ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ „ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ
ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲗᲕᲘᲡ“

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲔᲑᲘ

ᲜᲐᲬᲘᲚᲘ I

(მეორე გადამუშავებული გამოცემა)

შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და
პასუხისმგებელი რედაქტორი
სამართლის დოქტორი

ᲕᲐᲡᲘᲚᲘ ᲒᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

თბილისი
2008

სარჩევი

წინათქმა 6

ამერიკის შეერთებული შტატები 9
ზოგადი ცნობარი 10
კონსტიტუციის მიმოხილვა 15
კონსტიტუცია 42

არგენტინა 67
ზოგადი ცნობარი 68
კონსტიტუციის მიმოხილვა 73
კონსტიტუცია 91

დანია 135
ზოგადი ცნობარი 136
კონსტიტუციის მიმოხილვა 141
კონსტიტუცია 156

იაპონია 176
ზოგადი ცნობარი 177
კონსტიტუციის მიმოხილვა 182
კონსტიტუცია 197

კუბის რესპუბლიკა 218
ზოგადი ცნობარი 219
კონსტიტუციის მიმოხილვა 225
კონსტიტუცია 237

ლატვიის რესპუბლიკა 283
ზოგადი ცნობარი 284
კონსტიტუციის მიმოხილვა 290
კონსტიტუცია 301

მაროკო 317
ზოგადი ცნობარი 318
კონსტიტუციის მიმოხილვა 323
კონსტიტუცია 332

რუსეთის ფედერაცია 354
ზოგადი ცნობარი 355
კონსტიტუციის მიმოხილვა 361
კონსტიტუცია 383

სომხეთის რესპუბლიკა 428
ზოგადი ცნობარი 429
კონსტიტუციის მიმოხილვა 434
კონსტიტუცია 449

ქუვეითი 491
ზოგადი ცნობარი 492
კონსტიტუციის მიმოხილვა 497
კონსტიტუცია 507

შვეიცარიის კონფედერაცია 539
ზოგადი ცნობარი 540
კონსტიტუციის მიმოხილვა 546
კონსტიტუცია 556

ჩეხეთის რესპუბლიკა 620
ზოგადი ცნობარი 621
კონსტიტუციის მიმოხილვა 626
კონსტიტუცია 640

რეზიუმე 683

წინათქმა

ნებისმიერი ქვეყნის, ისევე როგორც საქართველოს განვითარება და გაძლიერება, უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივი სისტემის სრულყოფილების ხარისხზე, კანონმდებლობის დემოკრატიულობის დონესა და მისი აღსრულების სამართლებრივ ნებაზეა დამოკიდებული. იმისთვის, რომ საქართველოში ყველაზე უფრო საუკეთესო, საქართველოზე მორგებული კონსტიტუციური ინსტიტუტები დავამკვიდროთ, აუცილებელია საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამისი გამოცდილების დეტალური შესწავლა.

წარმოდგენილი წიგნის მიზანიც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ყველა დაინტერესებულ პირს შევთავაზოთ მსოფლიოში არსებული სხვადასხვა კონსტიტუციური ინსტიტუტების მოდელები, სახელმწიფო ორგანოებს შორის ურთიერთობის მექანიზმები, სახელმწიფო, რეგიონულ, ავტონომიურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის არსებული კავშირები, ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და მათი გარანტიების კონსტიტუციური ასპექტები, სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურების თავისებურებები და მახასიათებლები, კონსტიტუციის გადასინჯვის მოდელები, რომელთა ანალიზისა და საქართველოს რეალობის გათვალისწინების საფუძველზე, შესაძლოა საქართველოს კანონმდებლობის უფრო სრულყოფილი მექანიზმები იქნეს შემუშავებული.

ნაშრომის ერთ-ერთ დადებით მახასიათებლად ის უნდა ჩაითვალოს, რომ თარგმანისას გამოყენებულ იქნა შესაბამისი ქვეყნების სახელმწიფო ორგანოების ვებ-გვერდებსა და ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოებში გამოქვეყნებული ტექსტები. ამასთან, ყველა ქვეყნის კონსტიტუცია მოიცავს მის უახლეს ცვლილებებსაც.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნაშრომში წარმოდგენილ კონსტიტუციურ აქტებს ერთვის სტატია, სადაც კონსტიტუციისა თუ კონსტიტუციური აქტების მრავალმხრივ ანალიზთან ერთად ასევე განხილულია კონკრეტული ქვეყნების კონსტიტუციონალიზმის ისტორია, მოქმედი კონსტიტუციების მიღების პროცედურა და მათი განსაკუთრებული თავისებურებანი, რაც ამა თუ იმ ქვეყნის კონსტიტუციონალიზმის თავისებურების საერთო სურათს წარმოაჩენს.

თითოეული ქვეყნის კონსტიტუციური სამართლის უკეთ გაცნობისა და გააზრებისთვის, წიგნი შეიცავს უახლეს ინფორმაციას შესაბამის ქვეყანაში მიმდინარე სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების შესახებ. მოკლედ არის მოცემული ქვეყნების შექმნის ისტორია და ძირითადი თარიღები, მოსახლეობის რაოდენობა, ასაკობრივი შემადგენლობა, ზრდის ტემპი, რელიგია, ეთნიკური ჯგუფები, არსებული პოლიტიკური პარტიები, უკანასკნელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების თარიღები, ტერიტორი-

ული ორგანოების სტატუსი და სახელწოდებები, აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენლობა და არსებული სამინისტროები, ეკონომიკის მოკლე მიმოხილვა, მონაცემები მთლიანი შიდა პროდუქტისა და ექსპორტ-იმპორტის შესახებ, სახელმწიფო ბიუჯეტის ოდენობა და სხვ.

აღნიშნული ინფორმაციის დამუშავებისას გამოყენებულია ინტერნეტის სხვადასხვა ვებ-გვერდებზე არსებული მონაცემები. მაგალითად, გეოგრაფიის, მოსახლეობისა და ხელისუფლების შესახებ ინფორმაცია ძირითადად აღებულია www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/ index.html ვებ-გვერდიდან, ქვეყნების მთავრობების შემადგენლობის შესახებ — www.gksoft.com/govt/en/world.html -დან, ეკონომიკისა და ისტორიის ძირითადი თარიღებისა და ფაქტების თაობაზე:

http://countries.ru/; www.state.gov/; www.krugosvet.ru/aMenu/1.htm; www.wikipedia.org/; http://sos.net.ua/geo.php?t=1; www.saga.ua/36.html; www.listtur.ru/ - დან.

გარდა ამისა, კონკრეტული ქვეყნების მონაცემების შესავსებად ასევე გამოყენებულია შესაბამისი ქვეყნების ვებ-გვერდებზე განთავსებული სხვა ინფორმაციაც.

რაც შეეხება კონსტიტუციების მიმოხილვებს, მათი ერთ-ერთი პარაგრაფი — კონსტიტუციონალიზმის ისტორია მომზადებულია თითოეულ ქვეყანაში დღეს მოქმედი კონსტიტუციის მიღებამდე არსებული კონსტიტუციებისა თუ სხვა ძირითადი აქტების მიმოხილვის საფუძველზე, სადაც ძირითადად გამოყენებულია შესაბამისი წყაროები. ამასთან, თითოეული მათგანი გაანალიზებულია იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით. კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პარაგრაფის ანალიზს საფუძვლად იდევს მოქმედი კონსტიტუციის ნორმები, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ სხვა აქტები, ასევე გადასინჯვის შესახებ ინტერნეტში გამოქვეყნებული სტატიებიდან და სხვა ქვეყნების პერიოდული საგაზეთო თუ საჟურნალო პუბლიკაციებიდან მოძიებული პრაქტიკული ინფორმაცია კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურის, არსებული პროექტების, კენჭისყრის შედეგების შესახებ და სხვ. კონსტიტუციის ანალიზი განხილულია ქართველი მკითხველისთვის საინტერესო კუთხით, ანუ თითოეული ქვეყნის კონსტიტუციონალიზმის თავისებურებებთან ერთად, მასში ყურადღება გამახვილებულია საქართველოს კონსტიტუციონალიზმისთვის საინტერესო საკითხებზე და, აქედან გამომდინარე, ზოგიერთი საკითხი გარდა კონსტიტუციური ნორმებისა, ასევე გამოკვლეულია შესაბამისი სახელმწიფოს სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზეც. კონსტიტუციის ანალიზი მომზადებულია სხვადასხვა სამეცნიერო გამოცემების, ინტერნეტის პუბლიკაციებისა და თითოეული კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტის პრაქტიკული განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით. კონსტიტუციის მიმოხილვის ბოლო პა-

რავრაფი ეთმობა კონსტიტუციის განსაკუთრებულ თავისებურებებს, სადაც წარმოჩენილია მსოფლიო კონსტიტუციონალიზმისგან განსხვავებული ყოველი ქვეყნის ძირითადი კანონის პოზიტიური თუ ნეგატიური დებულებები.

რაც შეეხება შემდგენელთა ჯგუფს, იგი პრაქტიკოსი იურისტებისგან შედგება, რომელთაც გარკვეული სამეცნიერო გამოცდილებაც გააჩნიათ. მაინ უმეტესობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატის თანამშრომელი და პასუხისმგებელი თანამდებობის პირია და კანონშემოქმედებით პროცესშიც აქტიურად არის ჩართული კვლევით საქმიანობაში. ორი შემდგენელი საქართველოს პარლამენტის აპარატს წარმოადგენს.

ვფიქრობთ, წინამდებარე წიგნი უდავოდ დიდ დახმარებას გაუწევს კანონშემოქმედებით პროცესში ჩართულ პირებს და მისცემს საშუალებას უკეთ გაეცნონ სხვა ქვეყნების კონსტიტუციურ აქტებსა და კონსტიტუციური სამართლის თავისებურებებს.

ეს წიგნი არის ხუთი ნაწილისაგან შემდგარი სერიის I ნაწილის მეორე — განახლებული გამოცემა. მისი პირველი ვარიანტი გამოიცა 2004 წელს. წარმოდგენილ წიგნში კი განახლებულია ძველ გამოცემაში მოცემული კონსტიტუციების ტექსტები და სხვა ინფორმაცია, ასევე დამატებულია კონსტიტუციების მიმოხილვითი სტატიები.

ვასილ გონაშვილი
სამართლის დოქტორი

ამერიკის შეერთებული შტატები



ზოგადი ცნობარი
შესავალი

ამერიკის დამოუკიდებლობისათვის გადადგმულ ერთ-ერთ თავდაპირველ ნაბიჯად 1774 წლის კონტინენტური კონგრესის პირველი შეკრება უნდა მივიჩნიოთ. იგი ამერიკულ კოლონიებს აერთიანებდა. 1776 წლის 4 ივლისს მან „ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია" მიიღო, ხოლო 1777 წელს — აქტი „კონფედერაციის მუხლებისა და მუდმივი კავშირის შესახებ", რომელიც 13 შტატს შორის სახელმწიფოთაშორისო ხასიათის კავშირს განსაზღვრავდა. 1783 წელს პარიზის ხელშეკრულების თანახმად ეს კოლონიები ცნობილ იქნენ ახალ ერად, ამერიკის შეერთებულ შტატებად. XIX და XX საუკუნეებში არსებულ 13 შტატს 37 შტატიც დაემატა.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: დასავლეთით აკრავს წყნარი ოკეანე, აღმოსავლეთით — ატლანტის ოკეანე, ჩრდილოეთით — კანადა, სამხრეთით — მექსიკა.

ფართობი: სულ: 9 629 091 კმ^2; ხმელეთი: 9 158 960 კმ^2; წყალი: 470 131 კმ^2.

შენიშვნა: შეიცავს მხოლოდ 50 შტატსა და კოლუმბიის ოლქს.

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: ქვანახშირი, სპილენძი, ტყვია, მოლიბდენი, ფოსფატი, ურანი, ბოქსიტი, ოქრო, რკინა, ვერცხლისწყალი, ნიკელი, კალა, ვერცხლი, ვოლფრამი, თუთია, ნავთობი, ბუნებრივი გაზი, ხე-ტყე.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 303 824 646 (2008).

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:
0-14 წლის: 20.2% (მამაკაცი 31 152 050; ქალი 29 777 438);
15-64 წლის: 67.2% (მამაკაცი 100 995 752; ქალი 101 365 035);
65 წლის და ზემოთ: 12.6% (მამაკაცი 15 858 477; ქალი 21 991 195) (2007).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: 0.883% (2008);

შობადობა: 14.18 დაბადებული 1 000 მოსახლეზე (2008);

სიკვდილიანობა: 8.27 გარდაცვლილი 1 000 მოსახლეზე (2008);

მიგრაცია: 2.92 მიგრანტი 1 000 მოსახლეზე (2008);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: მთელი მოსახლეობის მიმართ: 78 წელი; კაცი: 75.15; ქალი: 80.97 (2007).

მოქალაქეობა: ამერიკის

ეთნიკური ჯგუფები: თეთრკანიანი: 81.7%, შავკანიანი: 12.9%, აზიელი: 4.2%, ამერ-ინდიელი და ალასკელი: 1%, ჰავაელი და სხვა წყნარი ოკეანის კუნძულელი: 0.2% (2003).

რელიგია: პროტესტანტული: 52%, რომაული კათოლიკური: 24%, ებრაული: 1%, მუსულმანური 1%, სხვა 22% (2003).

ენა: ინგლისური: 82.1% (2000).

განათლებულობა: სრული მოსახლეობის: 99%; კაცი: 99%; ქალი: 99% (2003).

განსაზღვრება: მოცემულია 15 წლის ზევით პირთა მიმართ, რომელთაც წერა-კითხვა შეუძლიათ.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:
ვრცელი ფორმა: ამერიკის შეერთებული შტატები;
მოკლე ფორმა: შეერთებული შტატები;
აბრევიატურა: აშშ.

სახელმწიფოს ფორმა: ფედერაციული საპრეზიდენტო რესპუბლიკა

დედაქალაქი: ვაშინგტონი

ადმინისტრაციული ერთეულები: 50 **შტატი:** აიდაჰო, აიოვა, ალაბამა, ალასკა, არიზონა, არკანზასი, დასავლეთ ვირჯინია, დელავერი, ვაიომინგი, ვაშინგტონი, ვერმონტი, ვირჯინია, ვისკონსინი, ილინოისი, ინდიანა, იუტა,

კალიფორნია, კანზასი, კენტუკი, კოლორადო, კონეკტიკუტი, ლუიზიანა, მასაჩუსეტსი, მენი, მერილენდი, მინესოტა, მისისიპი, მისური, მიჩიგანი, მონტანა, ნებრასკა, ნევადა, ნიუ-იორკი, ნიუ-მეხიკო, ნიუ-ჯერსი, ნიუ-ჰემპშირი, ოკლაჰომა, ორეგონი, ოჰაიო, პენსილვანია, როდ-აილენდი, სამხრეთ დაკოტა, სამხრეთ კაროლინა, ტენესი, ტეხასი, ფლორიდა, ჩრდილოეთ დაკოტა, ჩრდილოეთ კაროლინა, ჯორჯია, ჰავაი. 1 ფედერალური ოლქი: კოლუმბიის ოლქი.

დამოკიდებული ტერიტორიები: ამერიკული სამოა, ბეიკერის, ჰოულენდის, იარვისის კუნძულები, ჯონსტონის კუნძული, კინგმენის რიფი, ნავასას, ჩრდ. მარიანას კუნძულები, პალმირას კუნძული, პუერტო-რიკო, ვირჯინიის კუნძულები, ვეიკის კუნძულები.

დამოუკიდებლობა: 4 ივლისი 1776 წელი (დიდი ბრიტანეთისგან);

ეროვნული დღესასწაული: დამოუკიდებლობის დღე 4 ივლისი (1776);

აღმასრულებელი ხელისუფლება:
ქვეყნისა და მთავრობის მეთაური: პრეზიდენტი ჯორჯ ვ. ბუში (2001 წლის 20 იანვრიდან 2009 წლის 20 იანვრამდე); ვიცე-პრეზიდენტი რიჩარდ ბ. ჩეინი;

კაბინეტი შედგება ვიცე-პრეზიდენტისა და 15 აღმასრულებელი დეპარტამენტის მდივნისაგან. ესენია: სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, თავდაცვის, განათლების, ენერგეტიკის, ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების, ეროვნული უშიშროების, მშენებლობისა და ურბანული განვითარების, შინაგან საქმეთა, შრომის, ტრანსპორტის, ფინანსთა, ვეტერანთა საქმეების მდივნები და გენერალური ატორნეი.

საკანონმდებლო ხელისუფლება: კონგრესი შედგება ორი პალატის: 100 წევრიანი სენატისაგან და 435 წევრიანი წარმომადგენელთა პალატისაგან.
არჩევნების შედეგები: პალატების არჩევნები უკანასკნელად ჩატარდა 2006 წლის 7 ნოემბერს.

ძირითადი პოლიტიკური პარტიები: დემოკრატიული პარტია, რესპუბლიკური პარტია და სხვა მცირე პარტიები.

ეკონომიკის მიმოხილვა: აშშ-ის ეკონომიკა ძირითადად შერეული ტიპისაა და მიუხედავად იმისა, რომ რესურსების უდიდესი ნაწილი კერძო საკუთრებაშია, ფედერალური ხელისუფლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბაზრო ეკონომიკაში. აშშ, სადაც მსოფლიო მოსახლეობის 5%-ზე ნაკლები ცხოვრობს, 1990 წლისათვის აწარმოებდა მსოფლიო პროდუქციის 25%-ს. აშშ-ს ეკონომიკა ორჯერ უსწრებს მისი მომდევნო ქვეყნის — იაპონიის ეკონომიკას. მიღებული გათვლებით, აშშ-ის პროდუქციისა და ცხოვრების დონე ერთ-ერთი უმაღლესია მსოფლიო ქვეყნებს შორის.

1870 წლიდან მოყოლებული თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე აშშ გადაიქცა მსოფლიოს უდიდეს მწარმოებელ ცენტრად — ფულის, ავტომობილების და სხვა პროდუქციის წარმოების მხრივ. 1960 წლიდან იწყება ახალი ტრანსფორმაცია, როდესაც მომსახურების ახალ სფეროზე დამყარებულმა და ინფორმაციის პროცესებთან დაკავშირებულმა ინდუსტრიებმა თანდათან შეცვალეს ტრადიციული ინდუსტრიები. 1990-იანი წლებისთვის წარმატებამ ისეთ სფეროებში, როგორიცაა ქიმია, ელექტრონიკა და ბიოტექნოლოგია, განაპირობა საქონელწარმოების და მომსახურების ფართო სპექტრის აღმოცენება — დაწყებული ნახევარგამტარების წრეებიდან, დამთავრებული ლაზერული ქირურგიით. ანალოგიურად, ახალმა ფერმერულმა ტექნოლოგიებმა გარდაქმნეს ამერიკის აგრარული სექტორი.

ეკონომიკური სისტემის ძლიერებას უზრუნველყოფს საქონლის წარმოებისათვის აუცილებელი ბუნებრივი რესურსები, მდიდარი მინერალური რესურსები და ნოყიერი სასოფლო ნიადაგები, რასაც თან ერთვის ზომიერი კლიმატური პირობები.

მთლიანი შიდა პროდუქტი - მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: $ 13.86 ტრილიონი (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 2.2% (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: $46,000 (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა: 0.9%; მრეწველობა: 20.6%; მომსახურება: 78.5% (2007).

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: 12% (2004);

ბიუჯეტი: სახელმწიფო შემოსავალი: $2.568 ტრილიონი; გასავალი: $2.73 ტრილიონი (2007).

ექსპორტი: $1.14 მილიარდი (2007);

საექსპორტო საქონელი: ავტომობილები, სამრეწველო მარაგი, ნედლეული, სამომხმარებლო საქონელი, სოფლის მეურნეობის პროდუქტი.

ექსპორტის პარტნიორი: კანადა 22.2%, მექსიკა 12.9%, იაპონია 5.8%, დიდი ბრიტანეთი 4.4%, (2006);

იმპორტი: $1.987 ტრილიონი (2007);

საიმპორტო საქონელი: ნედლი ნავთობი, რაფინირებული ნავთობის პროდუქტი, აღჭურვილობა, ავტომობილები, სამომხმარებლო საქონელი, სამრეწველო ნედლეული, საკვები და სასმელები.

იმპორტის პარტნიორები: კანადა 16%, ჩინეთი 15.9%, მექსიკა 10.4%, იაპონია 7.9%, გერმანია 4.8%, (2006);

საგარეო ვალი: $12.25 ტრილიონი (2007);

ეკონომიკური მხარდაჭერა: $6.9 მილიარდი (1997);

ვალუტა: აშშ-ის დოლარი (USD).

კონსტიტუციის მიმოხილვა

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. აშშ-ის პირველ კონსტიტუციურ აქტად უნდა ჩაითვალოს „ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია“, რომელიც კონტინენტურმა კონგრესმა 1776 წლის 4 ივლისს მიიღო. იგი შემუშავებული იყო თომას ჯეფერსონის მიერ და განამტკიცებდა ძირითად პრინციპებს მმართველობის, სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ სწრაფვის უფლების შესახებ. ამ დეკლარაციით დადგინდა შტატების თავისუფლება ბრიტანეთისგან და განმტკიცდა სახალხო ხელისუფლების იდეა. იმ დროს არსებული 13 შტატიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებას მხარი დაუჭირა 11-მა შტატმა, წინააღმდეგი არავინ ყოფილა, როდ-აილენდის დელეგაცია არ ესწრებოდა, ხოლო ნიუ-იორკის დელეგაციამ თანხმობა მოგვიანებით განაცხადა. ინგლისმა აშშ-ის დამოუკიდებლობა სცნო 1783 წელს.

1777 წელს მიღებულ იქნა ახალი აქტი „კონფედერაციის მუხლებისა და მუდმივი კავშირის შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 1781 წელს და ადგენდა 13 შტატს შორის სახელმწიფოთაშორისი ხასიათის კავშირს სუვერენიტეტის შენარჩუნებით ანუ კონფედერაციას. ყოველ შტატს, მიუხედავად სიდიდისა, კონგრესში თითო ხმა გააჩნდა. მნიშვნელოვან საკითხებზე კენჭისყრა საჭიროებდა 13-დან არანაკლებ 9 შტატის თანხმობას. თუმცა სხვადასხვა მიზეზების გამო კონფედერაციამ ვერ გაამართლა, ვინაიდან არ ითვალისწინებდა ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლებისათვის აუცილებელ, მაგალითად, გადასახადების აკრეფის უფლებამოსილებას და კონგრესის თავმჯდომარედ ოფიციალური პირის დანიშვნის გარდა არ ადგენდა ქვეყნის ხელმძღვანელი პირის თანამდებობას, ცენტრალურ მთავრობას არ ჰქონდა შტატთაშორისი და საგარეო ვაჭრობის უფლება, თითოეულ შტატს გააჩნდა ვეტოს უფლება კონფედერაციაში ნებისმიერ ცვლილებაზე.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. 1787 წლის მაისში ფილადელფიაში მოწვეულ იქნა კონვენტი, რომელშიც მონაწილეობდა სხვადასხვა შტატის 55 დელეგატი. კონსტიტუციის პროექტი შემუშავებულ იქნა ე.წ. „ვირჯინიის გეგმის“ მიხედვით, რომელიც ჯეიმს მედისონის ავტორობით მომზადდა და საფუძვლად დაედო ლოკისა და მონტესკიეს იდეები. თუმცა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროექტს ასევე „ნიუ-ჯერსის გეგმა“ წარმოადგენდა, რომელიც ნიუ-ჯერსის წარმომადგენლის ვილიამ პატერსონის მიერ იყო შემუშავებული. ამ პროექტების შესაჯერებლად, დიდ და მცირე შტატებს შორის შეთანხმების მისაღწევად და გამოსავალის მოსანახად შეიქმნა კომისია, რომელიც შედგებოდა ყველა შტატიდან არჩეული თითო დეპუტატისგან. კომისიამ შეიმუშავა პროექტი, რომელიც „კონეკტიკუტის კომპრომისის“ სახელწოდებით არის ცნობილი. „კონეკტიკუტის კომპრომისი“

შედგებოდა პრეამბულისა და 23 მუხლისგან. მასში „ვირჯინიის გეგმის“ ძირითად ნაწილთან ერთად შეტანილ იქნა ნორმები „ნიუ-ჯერსის გეგმიდან“, „კონფედერაციის მუხლებისდან“ და შტატების კონსტიტუციებიდან.

აშშ კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1787 წლის 17 სექტემბერს. იმის გამო, რომ ზოგიერთ წევრს მასზე ხელმოწერა არ სურდა, დოკუმენტის ბოლო აბზაცი იმგვარად ჩამოყალიბდა, რომ დაფიქსირებული ყოფილიყო ერთიანი ნების გამოხატულება: „მიღებულ იქნა კონვენტზე დამსწრე შტატების ერთსულოვანი თანხმობით“.

კონსტიტუციის მიღების წესი თვით კონსტიტუციით გაიწერა: მის მისაღებად საკმარისი იყო 13-დან 9 შტატის კონვენტის მიერ რატიფიცირება, რის შემდეგაც იგი ძალაში შევიდოდა იმ შტატებისათვის, რომლებიც მას დაამტკიცებდნენ. კონსტიტუციის რატიფიკაცია პირველმა მოახდინა დელავერმა 1787 წლის 7 დეკემბერს, 9 შტატიდან ბოლო იყო ნიუ-ჰემპშირი, თუმცა, მართალია კონსტიტუცია ფორმალურად ძალაში შევიდა, მაგრამ ორი მნიშვნელოვანი შტატის ვირჯინიისა და ნიუ-იორკის მიერ რატიფიკაციის გარეშე მისი ბედი განუსაზღვრელი რჩებოდა. ვირჯინიის კონვენტმა მისი რატიფიკაცია მოახდინა 1788 წლის 26 ივნისს, ხოლო ნიუ-იორკმა — 26 ივლისს. ეს პროცესი დაასრულეს ჩრდილოეთ კაროლინამ (1789 წლის 21 ნოემბერს) და როდ-აილენდმა (1790 წლის 29 მაისს). კონტინენტურმა კონგრესმა კონსტიტუციის ძალაში შესვლა აღიარა 1788 წელს.

კონსტიტუციის მიღებიდან დღემდე მასში 27 შესწორებაა შესული. მისი V მუხლი განსაზღვრავს კონსტიტუციის გადასინჯვის წესს. აშშ-ის კონსტიტუცია „მყარ“ კონსტიტუციებს განეკუთვნება: ორივე პალატის წევრთა 2/3-ის მოთხოვნით კონგრესი ან თვითონ იღებს შესწორებებს, ან შტატების საკანონმდებლო კრებების 2/3-ის ინიციატივით მოიწვევს სპეციალურ კონვენტს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ პრაქტიკულად კონვენტის მოწვევას ადგილი არ ჰქონია. ყველა შესწორება კონგრესის მიერ იყო შემუშავებული.

ორივე გზით მიღებული შესწორებები შემდგომ რატიფიცირებულ უნდა იქნეს შტატების საკანონმდებლო კრებების ან შტატების კონვენტების 3/4-ის მიერ. პრაქტიკულად, მიღებული 27 შესწორებიდან 26 შესწორება შტატების საკანონმდებლო ორგანოების მიერ იყო რატიფიცირებული, ხოლო კონვენტების მიერ რატიფიცირების მექანიზმი მხოლოდ ერთხელ იქნა გამოყენებული — XXI შესწორებისათვის, რომელმაც გააუქმა XVIII შესწორება.

კონსტიტუციური შესწორებების სტატისტიკა განსაზღვრავს კონსტიტუციის სიმყარის ხარისხს. მისი მიღებიდან ორი საუკუნის მანძილზე შემოტანილ იქნა 5 000-მდე შესწორება, მაგრამ აქედან მხოლოდ 33-მა მიიღო კონგრესში ხმების აუცილებელი 2/3 და გატანილ იქნა სარატიფიკაციოდ, რომელთაგან მხოლოდ 27 დამტკიცდა.

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ რატიფიკაციის სტადია აფერხებს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას, ისინი შესაძლოა საუკუნეების განმავლობაში იხილებოდეს შტატების საკანონმდებლო კრებების მიერ. მაგალითად, მასაჩუსეტსის, ჯორჯიისა და კონეკტიკუტის შტატებმა „უფლებათა ბილი“ 150 წლის შემდეგ დაამტკიცეს. ასეთი პრეცედენტების გამო 1917 წლიდან კონგრესმა რატიფიცირების პერიოდი შეზღუდა და დაადგინა, რომ თუ ამ დროის განმავლობაში შტატები არ მიიღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას, შესწორება ამოღებულ იქნება დღის წესრიგიდან. ეს წესი არ შეეხო მანამდე მიღებულ დაუმტკიცებელ შესწორებებს. ამიტომ 1789 წელს კონგრესის მიერ მიღებული დამატება 203 წლის მანძილზე იმყოფებოდა რატიფიკაციის პერიოდში და მხოლოდ 1992 წელს იქნა რატიფიცირებული 38-ე შტატის — მიჩიგანის მიერ და შევიდა ძალაში, როგორც XXVII შესწორება.

კონსტიტუციის სიმყარის აუცილებლობაზე მეტყველებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ჯ. მარშალის მოსაზრება საქმეზე „მერბერი მედისონის წინააღმდეგ“: „კონსტიტუცია არის უმაღლესი კანონი, რომლის შეცვლაც არ შეიძლება ჩვეულებრივი კანონებით, ასევე არ შეიძლება იგი მათ სიმაღლეზე იქნეს დაყენებული და შეცვლილი, როდესაც ეს საკანონმდებლო ხელისუფლებას მოესურვება. მაშინ კონსტიტუცია სხვა არაფერია, თუ არა თავისი ბუნებით უსაზღვრო ხელისუფლების შეზღუდვის აბსურდული ცდა“.

კონსტიტუციის ტექსტში ამავდროულად გაკეთდა დათქმა, რომ 1808 წლამდე მიღებული არც ერთი ცვლილება არ უნდა შეეხოს პირველი მუხლის მე-9 ნაწილის პირველ და მე-4 პუნქტებს, რომლებიც გადასახადით დაბეგვრის პრინციპებს ეხება. გარდა ამისა, გარკვეული გარანტიები შეეხო შტატის თანასწორ ხმებს სენატში, ვინაიდან აღინიშნა, რომ შტატს მისი თანხმობის გარეშე არ შეიძლება ჩამოერთვას სხვა შტატის თანასწორი ხმის უფლება სენატში, მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა შესამაბისი კონსტიტუციური ცვლილება რატიფიცირებული სხვა შტატების 2/3-ის მიერ.

კონსტიტუციის ანალიზი. აშშ-ის კონსტიტუცია მსოფლიოში პირველი ერთიანი დაწერილი ძირითადი კანონია. იგი შედგება პრეამბულის, 7 მუხლისა და 27 შესწორებისგან. მუხლები იყოფა ნაწილებად. კონსტიტუციის ტექსტი ლაკონურობით ხასიათდება და შედგება 9 ათასი სიტყვისგან. ტექსტში გამოყენებულია სულ მცირე 120 ტერმინი. კონსტიტუციის სტრუქტურა ორიგინალურობით გამოირჩევა, ვინაიდან მისი პირვანდელი ტექსტის შენარჩუნების მიზნით, კონსტიტუციის შესწორებები კონსტიტუციის ტექსტში არ შეიტანება, არამედ ქვეყნდება ტექსტისათვის დამატებების სახით და ერთვის მას.

კონსტიტუციის სიძველის გამო მისი სტრუქტურა არ შეესაბამება თანამედროვე კონსტიტუციების სტრუქტურას და მასში არ არის გათვალისწინე-

ბული სახელმწიფო მმართველობაში წამყვანი როლის მქონე ბევრი ინსტიტუტი. მაგალითად, პოლიტიკური პარტიები, პრეზიდენტის კაბინეტი და ბევრი სხვა საკითხი. თუმცა დროთა განმავლობაში გამოვლენილ ხარვეზებს, კონსტიტუციურ მოთხოვნათა ფარგლებში, ავსებენ კონგრესის კანონები, პრეზიდენტის აქტები, სასამართლო პრეცედენტები და კონსტიტუციური ადათები.

კონსტიტუცია აგებულია რესპუბლიკანიზმის, ხელისუფლების დანაწილებისა და ფედერალიზმის პრინციპებზე.

კონსტიტუციამ საერთო-სახელმწიფოებრივ დონეზე უშუალო დემოკრატიის ერთი ფორმა — არჩევნები გაითვალისწინა. აშშ-ის ამომრჩეველს უფლება აქვს თავისი საარჩევნო ნება გამოიყენოს როგორც საკანონმდებლო ხელისუფლების, ისე პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით. თუმცა აღსანიშნავია, რომ ყველგან შტატებისა და ადგილობრივ დონეზე არჩევნებთან ერთად გვხვდება მათ მიერ დამკვიდრებული უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებიც, როგორიცაა მაგალითად, სახალხო საკანონმდებლო ინიციატივა 21 შტატში, დეპუტატის გამოწვევა წარმომადგენლობითი ორგანოდან 15 შტატში, ყველაზე ხშირად კი რეფერენდუმი — 37 შტატში.

კონსტიტუციის ტექსტში პრინციპი „ხელისუფლების დანაწილება" არ ფიქსირდება. თუმცა კონსტიტუციით გათვალისწინებული სახელმწიფო ხელისუფლების მთელი მექანიზმი წარმოადგენს ამ პრინციპის არსებობის მყარ გარანტიას. ამასვე ადასტურებს თვით კონსტიტუციის სტრუქტურა — მის პირველ მუხლში საუბარია საკანონმდებლო, მეორეში — აღმასრულებელ, ხოლო მესამეში — სასამართლო ხელისუფლებაზე. ხელისუფლების დანაწილების პრინციპის სარეალიზაციოდ კი განმტკიცებულია ე.წ. „კონტროლისა და გაწონასწორების" პრინციპი. კონგრესი პრეზიდენტსა და უზენაეს სასამართლოზე ზეგავლენას ახდენს კანონების მიღებით და უფლება აქვს მიიღოს იმპიჩმენტის გადაწყვეტილება. თავისმხრივ, პრეზიდენტს გააჩნია კონგრესის მიერ მიღებულ კანონებზე ვეტოს უფლება და უზენაესი სასამართლოს წევრთა დანიშვნის უფლება, ხოლო უზენაესი სასამართლო ზემოქმედებს კონგრესსა და პრეზიდენტზე უფლებით, გამოაცხადოს მათი აქტები არაკონსტიტუციურად.

აშშ-ში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განმსაზღვრელი ძირითადი საერთო-სახელმწიფოებრივი სამართლებრივი აქტებია ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია და კონსტიტუცია (შესწორებებით). ადამიანის უფლებების შესახებ ნორმები არ იყო ასახული კონსტიტუციის თავდაპირველ ტექსტში. ამ სფეროს მარეგულირებელი ნორმები შემდგომ შესწორებების სახით იქნა მასში შეტანილი. პირველი 10 შესწორება, რომელიც ცნობილია „უფლებათა ბილის" სახელწოდებით, მიღებულ იქნა კონსტიტუციის ძალაში შესვლის პირველსავე — 1789 წელს, ხოლო ძალაში შევიდა 1791

წელს. მან განსაზღვრა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის კონსტიტუციური სისტემისათვის ერთიანი საფუძვლები. ამასთან დაადგინა, რომ თვით კონსტიტუციაში ცალკეული უფლებების ჩამოთვლა არ უნდა იქნეს განმარტებული ხალხისათვის მინიჭებული სხვა უფლებების უარყოფად ან საზიანოდ. აღსანიშნავია, რომ 27 კონსტიტუციური შესწორებიდან 15 პირდაპირ შეეხება ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.

მიღებულ შესწორებებში დიდი ყურადღება ეთმობა პოლიტიკურ და პირად უფლებებს. გარანტირებულია პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა, სიტყვის, ბეჭდვის, მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება, პეტიციის უფლება. ხელისუფლება არ აკანონებს რომელიმე რელიგიას, დადგენილია რელიგიის თავისუფალი აღმსარებლობა; უზრუნველყოფილია მოქალაქეების მიერ იარაღის ტარების უფლება; დაუშვებელია უმიზეზო ჩხრეკა და დაპატიმრება, ამის თაობაზე ორდერი საფუძვლიან მიზეზს უნდა ეყრდნობოდეს; აკრძალულია მოქალაქის გასამართლება მნიშვნელოვანი დანაშაულისათვის მისდამი ბრალდების წაყენებამდე, სასამართლო პროცესის ხელახლა ჩატარება ერთი და იგივე დანაშაულისათვის, მოქალაქის დასჯა კანონით გათვალისწინებული პროცესების გარეშე და ბრალდებულზე ზეგავლენის მოხდენა, რათა მან თავისი თავის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება; უზრუნველყოფილია საჯარო სასამართლოს სწრაფი ჩატარება სისხლის სამართლის დანაშაულისათვის, სასამართლო პროცესის ჩატარება მიუკერძოებელი მოსამართლეების მიერ, ბრალდებულის უფლება გამოიყენოს ადვოკატი, აგრეთვე სასამართლო პროცესზე მოწინააღმდეგე მოწმეებთან დაპირისპირების უფლება; აკრძალულია სასტიკი და არასტანდარტული სასჯელები; უქმდება მონობა, დაუშვებელია სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლების შეზღუდვა „სათანადო სამართლებრივი პროცედურის“ გარეშე.

ეკონომიკურ უფლებებში უნდა გამოვყოთ საკუთრების უფლება, რომლის თაობაზეც V დამატება ადგენს, რომ კერძო საკუთრება საზოგადოებრივი სარგებლობისათვის არ შეიძლება ამოღებულ იქნეს სამართლიანი ანაზღაურების გარეშე.

ზოგიერთი შესწორება მოიცავს პოლიტიკურ უფლებებს და არეგულირებს საარჩევნო სამართლის საკითხებს. არ შეიძლება საარჩევნო უფლების შეზღუდვა რასის, კანის ფერის ან ადრე მონურ მდგომარეობაში ყოფნის მოტივით, აკრძალულია საარჩევნო ქონებრივი ცენზი, ვაშინგტონის მოქალაქეებს ენიჭებათ საარჩევნო უფლება პრეზიდენტის არჩევნებში, აქტიურ საარჩევნო უფლებად დაწესებულია 18 წელი, ქალებს ენიჭებათ საარჩევნო უფლება და სხვ.

ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს ეხებოდა დამოუკიდებლობის დეკლარაციაც.

მართალია აშშ-ში აღიარებულია მრავალპარტიულობა, მაგრამ დროთა განმავლობაში ორპარტიული სისტემა ჩამოყალიბდა, რაც ქვეყნის სათავეში ორი გაბატონებული — დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების არსებობას გულისხმობს. მათ სპეციფიური ორგანიზაციული სტრუქტურა და ნიშნები გააჩნიათ. ორივე გაუფორმებელ პარტიას განეკუთვნება. მათ არა აქვთ მუდმივი პოლიტიკური პროგრამა, მუდმივი წევრობის ინსტიტუტი და პარტიის წევრობის ბილეთი, თუმცა, ამავდროულად გააჩნიათ მაღალკვალიფიცირებული პარტიული ფუნქციონერებისაგან დაკომპლექტებული მუდმივმოქმედი აპარატი. პარტიის წევრად ითვლება ყველა ის ამომრჩეველი, რომელიც არჩევნებში დაუჭერს მხარს. უნდა აღინიშნოს, რომ დემოკრატებს ჰყავთ დაახლოებით 2400 ოფიციალური წევრი, ხოლო რესპუბლიკელებს — 1600. აღნიშნული პირები არიან ისინი, რომლებსაც არჩევითი თანამდებობები უკავიათ და მის სხდომებზე იკრიბებიან.

რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიები სარგებლობენ ამომრჩეველთა დიდი მხარდაჭერით. ისინი მონაცვლეობით მოდიან ხელისუფლებაში — თუ ერთი მათგანი ხელისუფლებაშია, მეორე ოპოზიციაში იმყოფება. აშშ-ში არსებობს სხვა პოლიტიკური პარტიებიც, თუმცა მათი „პოლიტიკური წონა" უმნიშვნელოა.

რაც შეეხება ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობას, აშშ-ის კონსტიტუციამ კონფედერაცია ფედერაციული მოწყობით შეცვალა და იგი დღემდე ასეთად რჩება. ქვეყნის შემადგენლობაშია 50 შტატი. აშშ-ში ფედერაცია შეიქმნა უკვე არსებული დამოუკიდებელი სახელმწიფოების მიერ, რომლებმაც ფედერაციას გადასცეს თავისი სუვერენიტეტი და უფლება უზრუნველყოს თავისი სუვერენობა და საერთაშორისო სამართალსუბიექტურობა. ამიტომ აშშ-ის ფედერაცია შეიძლება მივაკუთვნოთ ე.წ. ხელშეკრულებით ფედერაციათა რიცხვს. ფედერაციის შემოღება შტატების ინტერესებში შედიოდა, რათა დაეცვათ საკუთარი ავტონომიურობა და თავისუფლება და არ დაეშვათ ხელისუფლების კონცენტრაცია ცენტრალური ხელისუფლების ხელში.

აშშ დუალისტური ფედერალიზმის პრინციპზეა აგებული, სადაც ფედერალური და შტატის ხელისუფლების უფლებები მკაცრად არის განსაზღვრული და გარკვეული ამერიკული თავისებურებებითაც ხასიათდება. სახელმწიფო-ტერიტორიულ მოწყობას გააჩნია ფედერაციისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი: ქვეყანა იყოფა სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებად — შტატებად, რომლებიც ფედერაციის სუბიექტებს წარმოადგენენ; ფედერალური ორგანოების ხელისუფლებას აშშ-ის კონსტიტუცია განსაზღვრავს, ხოლო შტატების კონსტიტუციების საფუძველზე იქმნება მათი ხელისუფლების ორგანოთა სისტემა; შტატების საკანონმდებლო ორგანოები იღებენ კანონებს; ფედერაციის სუბიექტებს აქვთ თავისი სამართლისა და სასამართლო სისტემები; მოქმედებს ორმაგი — საკავშირო და საშტატო მოქალაქეობა. თუმცა,

კლასიკური ფედერალიზმის დამახასიათებელ ამ ნიშნებთან ერთად გვხვდება ცენტრალიზებული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ბევრი ნიშანი, რაც კონგრესის განსაკუთრებული კომპეტენციის სახით არის წარმოდგენილი.

შტატებსაც რჩებათ განსაზღვრული უფლებები. ისინი იცავენ საკუთრების უფლებას, არეგულირებენ ვალდებულებით, საქორწინო, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ურთიერთობებს. შტატების უფლებამოსილებათა ფარგლებში ექცევა ასევე შტატის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობა და ორგანიზაცია, საზოგადოებრივად აუცილებელი მუშაობის ჩატარება, გადასახადების დაკისრება, სამართალდარღვევისათვის სანქციის გამოყენება. საკმარისია ითქვას, რომ საქმეთა 95% შტატების სასამართლოების მიერ განიხილება. ხშირ შემთხვევაში ისინი სარგებლობენ თავიანთი შტატის სამართლებრივი ნორმებით. ეს უკანასკნელი ფედერალური სასამართლოების მიერაც გამოიყენება, თუ მოსარჩელე და მოპასუხე სხვადასხვა შტატის წარმომადგენლები არიან.

შტატებს ეკრძალებათ დადონ ხელშეკრულებები სხვა სახელმწიფოებთან და სხვა შტატებთან; სუვერენია თავად შეერთებული შტატები, ცალკეულ შტატებს არ გააჩნიათ სახელმწიფო სუვერენიტეტი, არ აქვთ ფედერაციიდან გასვლის უფლება. ყველა შტატი თანასწორია და ამდენად, ყველა შტატში სრული ნდობით სარგებლობენ სხვა შტატის საჯარო აქტები, ოფიციალური დოკუმენტები და სასამართლო გადაწყვეტილებები. ამ დროს, არც ერთ შტატს არა აქვს უფლება გამოსცეს კანონი, რომელიც ზღუდავს აშშ-ის მოქალაქეთა პრივილეგიებს. შეერთებული შტატები იცავენ შტატებს მტრის შემოჭრისაგან, ხოლო შტატების თხოვნით აგრეთვე — შინაგანი ძალმომრეობისაგან.

შტატები დიდ ზეგავლენას ახდენენ სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტაზე, ვინაიდან სარგებლობენ მნიშვნელოვანი გარანტიებით: ფედერაციას უფლება არა აქვს განახორციელოს დისკრიმინაციული ღონისძიებები, უპირატესობა მიანიჭოს „ძლიერ“ შტატებს „სუსტებთან“ შედარებით ან ერთი რეგიონის შტატებს მეორესთან შედარებით; არ დაიშვება მათი ტერიტორიის გაყოფა ან მათი ნაწილის სხვა შტატისათვის გადაცემა შტატის საკანონმდებლო ორგანოსა და აშშ-ის კონგრესის თანხმობის გარეშე; კონგრესის ერთ-ერთი პალატის — სენატის ფორმირების წესი, რომელიც შედგება შტატების წარმომადგენლებისაგან, თანასწორია მიუხედავად მათი მოსახლეობის რაოდენობისა და უშუალოდ შტატების ინტერესებს იცავს; აშშ-ის კონსტიტუციური შესწორებების მისაღებად აუცილებელია შტატების საკანონმდებლო ორგანოების თანხმობა და სხვ.

ცენტრსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილების გამიჯვნასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციის X შესწორებაც, რომლითაც დგინდება, რომ უფლებამოსილება, რომელიც კონსტიტუციით

შეერთებული შტატებისათვის არ არის დელეგირებული და რომლით სარგებლობაც არ არის აკრძალული ცალკეული შტატების მიერ, დაცულია შესაბამისად შტატებისათვის. თუმცა, როგორც პრაქტიკა მოწმობს, ეს ნორმა ფორმალურ ხასიათს ატარებს, ვინაიდან მის საპირისპიროდ კონსტიტუციის VIII მუხლის I ნაწილი ითვალისწინებს ე.წ. „მოქნილ პუნქტს“ და კონგრესს კონსტიტუციაში ჩამოთვლილ უფლებებთან ერთად ასევე „ნაგულისხმევი უფლებამოსილების“ ფარგლებში ანიჭებს ყველა კანონის მიღების უფლებას, რომელიც აუცილებელი და საკმარისია მისი უფლებამოსილების განსახორციელებლად. ეს პუნქტი აფართოებს ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციას შტატების ხელისუფლების ხარჯზე. უზენაესი სასამართლოს განმარტებების პრაქტიკაც სწორედ ამ უკანასკნელი ნორმის უზრუნველყოფისკენ არის მიმართული.

შტატებს აქვთ საკუთარი კონსტიტუციები, ზოგიერთი მათგანი მიღებულია აშშ-ის კონსტიტუციაზე ადრე XVIII საუკუნეში. მაგალითად, მასაჩუსეტსის — 1780 წელს, ვერმონტის — 1783 წელს), ხოლო ზოგიერთი შედარებით ახალია.

ყველა შტატში, გარდა ნებრასკასი, მოქმედებს ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანო, რომელიც დემოკრატიულ პრინციპებზე აირჩევა. შტატისა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია გუბერნატორი, რომელიც 47 შტატში აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე 4 წლის ვადით, გარდა მისისიპის შტატისა, რომელიც გუბერნატორს ირჩევს ირიბი წესით — დელეგატთა მიერ.

შტატების აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს თანამდებობის პირთა არჩევითობა. გუბერნატორსა და გენერალ-გუბერნატორთან ერთად უშუალოდ ამომრჩეველთა მიერ აირჩევა მდივანი 38 შტატში, ატორნეი — 43 შტატში, ხაზინადარი — 38 შტატში და სხვ. რაც შეეხება შტატების თანამდებობის პირთა ურთიერთობას საერთოსახელმწიფოებრივთან, უნდა აღინიშნოს, რომ არც პრეზიდენტს და არც კონგრესს არა აქვს გუბერნატორების თანამდებობიდან გადაყენების და, საერთოდ, საკითხის დასმის უფლებაც კი.

ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა შტატებად დაყოფასთან ერთად გამოყოფს კოლუმბიის ფედერალურ ოლქს, რომელიც არ სარგებლობს შტატის სტატუსით. კონსტიტუციური ნორმის საფუძველზე მერილენდისა და ვირჯინიის შტატებმა დათმეს გარკვეული ტერიტორიები, რომელზეც 1800 წლიდან მდებარეობს ქვეყნის დედაქალაქი ვაშინგტონი. 1972 წელს ამ ტერიტორიის მოსახლეობამ თვითმმართველობის უფლება მოიპოვა. ამ ოლქის მოსახლეობა ირჩევს ქალაქის საბჭოს, ქალაქის მერს და 3 ამომრჩეველს საპრეზიდენტო არჩევნებისათვის. თუმცა, ოლქს არ გააჩნია კონგრესის წევრთა არჩევის უფლება.

კონსტიტუციის თანახმად, კონგრესს უფლება აქვს განკარგოს აშშ-ის მიკუთვნებული ტერიტორიები, როგორიცაა აღმოსავლეთ სამოა, ვირჯინიის, კაროლინის, მარშალისა და მარიანის კუნძულები. „ნებაყოფლობითი გაერთიანების“ ხელშეკრულების თანახმად პუერტო-რიკოს — 1952 წლის კონსტიტუციით და გუამის კუნძულებს მიენიჭათ „ნებაყოფლობით გაერთიანებული სახელმწიფოების“ სტატუსი, რითაც აშშ-ის გადაეცა უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელების უფლება. მათ ტერიტორიაზე მოქმედებს აშშ-ის კონგრესის კანონები. ამერიკა ახორციელებს მათ დაცვას, საერთაშორისო ვაჭრობას, საგარეო პოლიტიკას. პუერტო-რიკოს მოქალაქეებს აქვთ ასევე ამერიკის მოქალაქეობა, თუმცა ეს არ ნიშნავს საკავშირო მოქალაქეობის დაწესებას.

პუერტო-რიკოსა და გუამის კუნძულების მოსახლეობა ირჩევს საკანონმდებლო კრებას და გუბერნატორს. შეერთებული შტატების გამგებლობაშია ასევე პანამის არხის ზონა და პატარა კუნძულები წყნარ ოკეანესა და კარიბის ზღვაში.

კონსტიტუციამ აშშ-ის სახელმწიფო მოწყობის მხოლოდ ზოგადი მონახაზი ასახა, შემდეგ კი ეს საკითხები არამარტო კონსტიტუციის ტექსტის მიხედვით, არამედ პოლიტიკური პრაქტიკის მოთხოვნებით განისაზღვრა.

კონსტიტუცია აღნიშნავს, რომ მთელი საკანონმდებლო უფლებამოსილება გადაეცემა შეერთებული შტატების კონგრესს, რომელიც შედგება სენატის (ზედა პალატის) და წარმომადგენელთა პალატისგან (ქვედა პალატისაგან). სენატი ძლიერი ზედა პალატის უფლებებით არის აღჭურვილი. პალატები აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. გამოიყენება მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა შეფარდებითი უმრავლესობით.

წარმომადგენელთა პალატა შედგება 435 დეპუტატისგან, რომლებიც აირჩევიან 2 წლის ვადით ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში. დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც აშშ-ის მოქალაქეა არანაკლებ 7 წლის განმავლობაში, მიაღწია 25 წლის ასაკს და ცხოვრობს იმ შტატის ტერიტორიაზე, სადაც მდებარეობს მისი საარჩევნო ოლქი. წარმომადგენელთა პალატის წევრთა რაოდენობა მოსახლეობის რაოდენობაზეა დამოკიდებული და დაახლოებით 530 ათას მოსახლეზე ერთი წევრი მოდის. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა შტატს სხვადასხვა რაოდენობის წარმომადგენელი ჰყავს: 6 შტატს — ალიასკას, დელავერს, ჩრდილოეთ დაკოტას, სამხრეთ დაკოტას, ვერმონტსა და ვაიომინგს მხოლოდ თითო წარმომადგენელი; 6 შტატს — ოცზე მეტი, მათ შორის კალიფორნიას ყველაზე მეტი — 45, ხოლო დანარჩენებს — ორიდან ოცამდე ფარგლებში. ამ პრინციპის დასაცავად ათ წელიწადში ერთხელ ხდება მოსახლეობის აღწერა და პალატის ადგილების გადანაწილება მოსახლეობის ცვლილებათა გათვალისწინებით. გარდა

შტატებიდან საყოველთაო წესით არჩეული წევრებისა, წარმომადგენელთა პალატის შემადგენლობაში შედის თითო წევრი კოლუმბიის ოლქიდან და იმ ტერიტორიებიდან, რომლებიც აშშ-ის იურისდიქციას ექვემდებარება. მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ პალატის მუშაობაში ხმის უფლების გარეშე.

სენატი შედგება 100 სენატორისგან. ყოველი შტატი ირჩევს 2-2 სენატორს 6 წლის ვადით, ყოველ ორ წელიწადში მესამედის განახლებით. ეს გარემოება ანიჭებს კონგრესს მოდმივმოქმედი ორგანოს სტატუსს. სენატორად შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც სულ მცირე 9 წელი შეერთებული შტატების მოქალაქეა, მიაღწია 30 წლის ასაკს და ცხოვრობს იმ შტატის ტერიტორიაზე, სადაც მდებარეობს მისი საარჩევნო ოლქი.

საარჩევნო ოლქები წარმომადგენელთა პალატის არჩევნებისას არის ერთმანდატიანი, ხოლო სენატორთა არჩევისას — ორმანდატიანი, ვინაიდან ყოველ შტატში აირჩევა 2-2 სენატორი.

საარჩევნო კორპუსში შედიან 18 წლის ასაკს მიღწეული აშშ-ის მოქალაქეები, რომლებიც აღნიშნულ ოლქში ცხოვრობენ არანაკლებ 20-30 დღე და არა აქვთ ეს უფლება შეზღუდული სასამართლოს მიერ ან ქმედუუნარობის საფუძველზე. აღნიშნულ უფლებას თავიანთი მოსახლეობის მიმართ არეგულირებენ შტატები.

კანდიდატების დასახელების ყველაზე გავრცელებულ ფორმად აშშ-ში პირველადი არჩევნები ანუ ე.წ. პრაიმერიზი ითვლება, როდესაც ამომრჩეველი ხმას აძლევს კანდიდატს კანდიდატობისათვის, რომ შემდეგ იგი გახდეს დეპუტატობის კანდიდატი და მისი გვარი შეიტანონ საარჩევნო ბიულეტენში.

რაც შეეხება კონგრესის წევრთა სტატუსს, პრაქტიკაში კონგრესმენი ეწოდება არა მთელი კონგრესის წევრებს, არამედ მხოლოდ წარმომადგენელთა პალატის წევრებს. სენატორები და დეპუტატები სარგებლობენ თავისუფალი მანდატით, არ არიან პასუხისმგებელი თავისი მოქმედებისათვის ამომრჩევლების წინაშე და არიან არა კონკრეტული ოლქის ან შტატის, არამედ მთელი ქვეყნის წარმომადგენლები, ამიტომ კონგრესის პალატებიდან მათი გამოწვევა დაუშვებელია.

ისინი სარგებლობენ შეზღუდული საპარლამენტო იმუნიტეტით, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ექვემდებარებიან დაკავებას და დაპატიმრებას საერთო საფუძველზე. ყველა შემთხვევაში, გარდა სახელმწიფო ღალატისა, მძიმე დანაშაულისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა, ისინი სარგებლობენ დაპატიმრებისაგან თავისუფლების პრივილეგიით მხოლოდ სენატში მოსვლისას, შენობაში ან სენატიდან წამოსვლისას. აქ ჩვენ ვხედავთ იმუნიტეტის შეზღუდვას მოცულობაშიც და ვადაშიც.

კონგრესის წევრები არ არიან პასუხისმგებელნი კონგრესში გამოსვლებზე, მათ მიმართ დაცულია სიტყვის თავისუფლება და ხმის მიცემის უფლება. კონგრესმენის მანდატი შეუთავსებელია სხვა თანამდებობასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ კონგრესის წევრებს უფლება არა აქვთ შეუდგნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას იქამდე, სანამ არ მიიღებენ ფიცს. წარმომადგენელთა პალატისა და სენატის წევრთა 1/3-ის მანდატის მოქმედება აითვლება კონგრესის ახალი შემადგენლობის მოწვევის დღიდან. კონგრესის ახალი შემადგენლობის მუშაობა იწყება არჩევნების ჩატარების შემდეგი წლის 3 იანვარს შუადღით.

დეპუტატის მანდატი ვადამდე წყდება მისი სიკვდილის, გადადგომის ან პალატიდან გარიცხვის შემთხვევაში. ამ უკანასკნელისათვის საჭიროა პალატის წევრთა 2/3-ის თანხმობა. ვაკანსიის შემთხვევაში წარმომადგენელთა პალატაში ტარდება ხელახალი არჩევნები, ხოლო სენატში ვაკანსიას სენატორის დანიშვნით ავსებს შტატის გუბერნატორი, რაც ამერიკული თავისებურება და ტრადიციული ნორმაა, თუმცა წინააღმდეგობაში მოდის არჩევითობის პრინციპთან.

კონგრესის კომპეტენცია შეიძლება დავყოთ რამდენიმე სფეროდ. კონგრესის საფინანსო უფლებამოსილება მოიცავს: გადასახადების დადგენასა და ამოღებას, საგადასახადო საკითხებს, მონეტის მოჭრას, აშშ ვალუტის კურსის რეგულირებას, საბაჟო საკითხებს და სხვ. ეკონომიკურ და სავაჭრო უფლებამოსილებას მიეკუთვნება: სხვა სახელმწიფოებსა და შტატებს შორის ვაჭრობის რეგულირება, გაკოტრების საკითხები, საპატენტო და საავტორო უფლებების რეგულირება, ზომა-წონის ერთეულთა დადგენა და სხვ. კონგრესს გარკვეული უფლებები გააჩნია სამხედრო სფეროშიც, როგორიცაა ომის გამოცხადება, არმიის ფორმირება და უზრუნველყოფის საკითხების მოგვარება, სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნა და შენახვა, აგრეთვე კანონების აღსრულების უზრუნველსაყოფად მილიციის შექმნა. გარდა აღნიშნულისა, მის უფლებებშია: ფედერალური მოსამართლეების დამტკიცება, მოქალაქეობის მიღების საკითხების რეგულირება და სხვ.

საკანონმდებლო ხელისუფლება მოიცავს ისეთ უფლებამოსილებასაც, რომელიც მხოლოდ ერთ-ერთი პალატის კომპეტენციას განეკუთვნება. მაგალითად, მხოლოდ წარმომადგენელთა პალატაში უნდა იქნეს შეტანილი საფინანსო კანონპროექტები. აქ ხდება აგრეთვე პრეზიდენტისა და სხვა თანამდებობის პირებისათვის იმპიჩმენტის საკითხის წამოჭრა, ასევე პრეზიდენტის არჩევა იმ შემთხვევაში, თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა. სენატიც სარგებლობს ბევრი საკუთარი უფლებამოსილებით, რომელთა შორის აღსანიშნავია, საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება, სახელმწიფო უმაღლეს თანამდებობებზე პრეზიდენტის მიერ დანიშნული პირების დამტკიცება, იმპიჩ-

მენტის საკითხის გადაწყვეტა, ვიცე-პრეზიდენტის არჩევა, თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ამომრჩეველთა ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას.

საკანონმდებლო პროცესი შედგება შემდეგი სტადიებისგან: კანონპროექტის შეტანა — საკანონმდებლო ინიციატივა, მისი განხილვა, მიღება და გამოქვეყნება. პროექტის შეტანა შეიძლება ორივე პალატაში. სამი მოსმენით მიღების შემდგომ იგი დასამტკიცებლად გადაეცემა მეორე პალატას.

ორივე პალატაში მიღებული იდენტური ტექსტის მქონე კანონები ხელმოსაწერად გადაეცემა პრეზიდენტს, რომლებიც ძალაში შედის პრეზიდენტის ხელმოწერის შემდეგ, თუ თვითონ კანონში არ არის მითითებული მისი მოქმედების დაწყების სხვა ვადა. ფედერალური კანონები ქვეყნდება პრეზიდენტისა და პალატების ხელმძღვანელთა ხელმოწერების გარეშე, რაც იმის დამადასტურებელია, რომ კანონი გამოხატავს სახელმწიფოს და არა მისი რომელიმე წევრის ნებას. კონსტიტუციური შესწრებების პრომულგირებას პრეზიდენტი არ ახდენს.

განსაკუთრებული წესებია დადგენილი საფინანსო კანონპროექტების მიღებისას, საერთაშორისო შეთანხმებათა რატიფიკაციისას, პრეზიდენტის მიერ თანამდებობებზე დანიშვნისას თანხმობის მიცემისას, კონკრეტულ შემთხვევებში პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის არჩევისას.

წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარეა სპიკერი, ხოლო სენატს ხელმძღვანელობს ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც არ არის სენატის წევრი — იგი არის საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ადგილზე გასული პიროვნება. ვიცე-პრეზიდენტი სენატის დებატებში არ მონაწილეობს და ხმას აძლევს მხოლოდ მაშინ, როდესაც ხმები თანაბრად გაიყოფა.

გარდა მუდმივი პალატების კომიტეტისა, ამერიკული საპარლამენტო პრაქტიკა იცნობს სპეციალურ, გაერთიანებულ, შემთანხმებელ და მთელი პალატის კომიტეტებს. სენატისა და წარმომადგენელთა პალატის კომიტეტები ფართო საგამოძიებო უფლებამოსილებით არის აღჭურვილი. კომიტეტის სხდომაზე პირის გამოუცხადებლობა განიხილება, როგორც კონგრესის უგულებელყოფა და შეიძლება გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც.

აშშ-ში პირველად ჩამოყალიბდა საპრეზიდენტო მმართველობის ფორმა და წარმოიშვა პრეზიდენტის თანამდებობა, რომელიც ერთდროულად ითავსებს სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის მეთაურის უფლებამოსილებას. მართალია კონსტიტუცია პირდაპირ არ ადგენს პრეზიდენტის მიერ ამ ორი ფუნქციის შეთავსებას, მაგრამ თავისთავად იგულისხმება, რადგან კონსტიტუცია ცალკე არ გამოყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელის თანამდებობას.

პრეზიდენტი აირჩევა არაპირდაპირი გზით 4 წლის ვადით. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს 35 წლის ასაკს მიღწეული, დაბადებით ამერიკის მოქალა-

ქე, რომელსაც აშშ-ში მუდმივად უცხოვრია არანაკლებ 14 წელი. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ. აუცილებელი არ არის ამ თანამდებობის ზედიზედ დაკავება. პრეზიდენტად არ შეიძლება აირჩეს ნატურალიზებული მოქალაქე.

პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატის დასახელება ხდება ეროვნულ პარტიულ ყრილობებზე. ამავე დროს აირჩევა ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი. ხმის მიცემის ტურთა რაოდენობა დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, მათ შორის, ასარჩევ პირთა რაოდენობასა და გავლენაზე. პრეზიდენტის პირველადი არჩევნები ანუ პრაიმერიზი ტარდება 36 შტატში, კოლუმბიის ოლქისა და პუერტო-რიკოს ჩათვლით. მისი რამდენიმე ფორმა არსებობს.

პრეზიდენტის საარჩევნო კოლეგიის ასარჩევად მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებად წარმოგვიდგება შტატები და ფედერალური ოლქი. პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს ხმა უნდა მისცეს კვალიფიციურმა უმრავლესობამ. არჩევნები ჩატარებულად ითვლება ნებისმიერი რაოდენობის ამომრჩევლის მონაწილეობით და ხმათა დადგენილი ნორმაც აქედან აითვლება.

პრეზიდენტის არჩევნები ტარდება არაპირდაპირი საარჩევნო სისტემით. ამომრჩევლები ხმას აძლევენ პრეზიდენტის ამომრჩევლებს — დელეგატებს შტატებში წლის ამავე დროს. პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატებს ძირითადად დემოკრატები და რესპუბლიკელები აყენებენ. მთელ ქვეყანაში აირჩევა 538 დელეგატი. ყოველი შტატიდან აირჩევა იმდენი დელეგატი, რამდენი წარმომადგენელიც ჰყავს ამა თუ იმ შტატს კონგრესში, ხოლო კოლუმბიის ფედერალურ ოლქში ასეთ პირთა რაოდენობა სამს შეადგენს. დელეგატები აირჩევიან ერთიანი სიებით შეფარდებითი უმრავლესობით მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე. პარტია, რომლის სიაც მეტ ხმას მიიღებს, გაიყვანს შტატის ყველა დელეგატს. ამ დროს ამომრჩეველი ხმას აძლევს დელეგატს, რომელიც შემდგომ ხმას მისცემს მისთვის სასურველ პრეზიდენტობის კანდიდატს. არჩეულად ითვლება პრეზიდენტობის ის კანდიდატი, რომელიც დელეგატთა ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას ანუ 270 და მეტ ხმას მიიღებს.

იმ შემთხვევაში, თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მოიპოვებს აღნიშნულ უმრავლესობას, ამ დროს სამი უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატთაგან წარმომადგენელთა პალატა ერთ-ერთს ირჩევს პრეზიდენტად, ხოლო სენატი — ვიცე-პრეზიდენტად. მაგრამ ამ შემთხვევებში წარმომადგენელთა პალატის ყველა წევრს თითო ხმა კი არა აქვს, არამედ თითოეული შტატის დეპუტაციას — ერთი ხმა. აშშ-ის ისტორიაში წარმომადგენელთა პალატამ ორჯერ აირჩია პრეზიდენტი: 1820 წელს — თ. ჯეფერსონი და 1824 წელს — დ. ადამსი.

არჩევნების ჩატარების ვადა პირდაპირ კონსტიტუციით არის მითითებული. რამდენადაც აშშ საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, პარლამენტს უფლება

არა აქვს გაზარდოს ან შეამციროს თავისი უფლებამოსილების ვადა, არც პრეზიდენტი სარგებლობს პარლამენტის დათხოვნის უფლებით და არჩევნები ტარდება რეგულარულად. მაგალითად, 1944 წელს მაინც ჩატარდა არჩევნები, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში.

ახალი პრეზიდენტის არჩევის შემთხვევაში უფლებამოსილების გადასვლისათვის ძველიდან ახალზე საჭიროა 3 თვის ვადა, ანუ ნოემბერში არჩეული პრეზიდენტი ფიცს დებს იანვარში.

კონსტიტუციის საფუძველზე პრეზიდენტი ძლიერი უფლებამოსილებით არის აღჭურვილი, თუმცა მის სიძლიერესა და უფლებამოსილების სრულად განხორციელებას კონგრესში უმრავლესობის არსებობა განაპირობებს. პრეზიდენტის უფლებამოსილების გაძლიერებას ხელს უწყობს სასამართლო პრეცედენტები, დელეგირებული უფლებამოსილება, სახელმწიფო აპარატის ფუნქციონირების პრაქტიკა.

პრეზიდენტის ფართო უფლებამოსილება, მისი წყაროების მიხედვით შეიძლება რამდენიმე სახედ დავყოთ: კონსტიტუციით პირდაპირ განსაზღვრული უფლებამოსილება; „ნაგულისხმევი უფლებამოსილება", რაც კონსტიტუციის ტექსტში არ არის ასახული, მაგრამ მისგან გამომდინარეობს; კონგრესის მიერ დელეგირებული ან „საერთო-ეროვნული განსაკუთრებული უფლებების შესახებ" კანონიდან გამომდინარე უფლებამოსილება. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ გაზრდილია პრეზიდენტის კონსტიტუციის გარე ფუნქციები. პრეზიდენტის ინსტიტუტის არსებობის მანძილზე მასზე ასობით უფლებამოსილება იქნა დელეგირებული.

პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებიდან აღსანიშნავია, რომ იგი წარმოადგენს შეერთებულ შტატებს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში, ნიშნავს ელჩებსა და კონსულებს „სენატის რჩევითა და თანხმობით" და გამოიწვევს მათ. პრეზიდენტი, სახელმწიფო დეპარტამენტთან ერთად, პასუხისმგებელია უცხოეთში მყოფი ამერიკელების, აგრეთვე აშშ-ში მყოფი უცხო ერების წარმომადგენლების დაცვაზე. იგი ასევე წყვეტს, სცნოს თუ არა უცხოეთის ქვეყნების ახალი მთავრობები, აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა ქვეყნებთან, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, რომლებიც საჭიროებს სენატის მიერ დამტკიცებას. მათგან განსხვავებით, პრეზიდენტის მიერ დადებული „აღმასრულებელი ხელშეკრულებები" დამტკიცებას არ ექვემდებარება.

აღსანიშნავია პრეზიდენტის უფლებები სასამართლო სფეროშიც: ფედერალური მოსამართლეების, მათ შორის უზენაესი სასამართლოს წევრობის კანდიდატურების დასახელება, რომლებიც შემდგომ სენატმა უნდა დაამტკიცოს; მსჯავრდებულის სრული ან პირობითი შეწყალება, გარდა იმპიჩმენტის წესით აღძრული საქმეებისა. შეწყალების უფლება მოიცავს სასჯელის ზომისა და ჯარიმების შემცირებასაც.

პრეზიდენტის საკანონმდებლო უფლებამოსილებიდან აღსანიშნავია კონსტიტუციური დავალება, რომლის თანახმად, მანვე უნდა იზრუნოს „კანონების კეთილსინდისიერად აღსრულებისათვის“ და ამდენად იგი გვევლინება კონსტიტუციისა და კანონების დაცვის გარანტად. პრეზიდენტს უფლება აქვს მოიწვიოს კონგრესის სპეციალური სესია „განსაკუთრებულ შემთხვევებში“, თუმცა ეს ძალზე იშვიათად მომხდარა. საპრეზიდენტო მიმართვების ფორმის გამოყენებით მან კონგრესს პერიოდულად უნდა აცნობოს „კავშირში შექმნილი მდგომარეობის შესახებ“, განსახილველად შესთავაზოს ისეთი საკითხები, რომლებსაც მიზანშეწონილად მიიჩნევს. მართალია, პრეზიდენტს კონსტიტუციით არა აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, მაგრამ რეალურად ბევრი რამ მის ინიციატივაზეა დამოკიდებული, რისთვისაც იყენებს ყველა თავის საშუალებას და პირველ რიგში, ამას ახერხებს თავისი პარტიის წევრი კონგრესმენების მეშვეობით.

პრეზიდენტს აქვს ვეტოს უფლება, მაგრამ იგი არ შეიძლება დაედოს კონსტიტუციურ კანონს. ვეტოს შემთხვევაში კანონპროექტი ახლიდან უნდა იქნეს განხილული. კონგრესმა ან უნდა მიიღოს ვეტო, ან, თუ არ გაითვალისწინებს პრეზიდენტის შენიშვნებს, დაძლიოს იგი, ე.ი. ხმების 2/3-ით კვლავაც მიიღოს კანონპროექტის პირვანდელი ვარიანტი. ამ სახის ვეტოს შეფარდებით ვეტოს უწოდებენ. სხვა მხრივ პრეზიდენტმა კანონი უნდა დაამტკიცოს 10 დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დამტკიცებულად ითვლება. მაგრამ თუ ამ დროს კონგრესის სესია მთავრდება, პრეზიდენტს უფლება აქვს არც დაამტკიცოს და არც უარყოს იგი, ე.ი. „ჯიბეში ჩაიდოს“ და დამტკიცების საკითხი კონგრესის შემდეგ მოწვევამდე გადადოს, სადაც მისი განხილვა თავიდან უნდა დაიწყოს ყველა პროცედურის გავლით. ამიტომ ასეთ ვეტოს „ჯიბის ვეტოს“ უწოდებენ. მაგალითად, რ. რეიგანმა 6 წლის განმავლობაში 61-ჯერ დაადო სხვადასხვა კანონს ვეტო და კონგრესმა იგი მხოლოდ შვიდჯერ გადალახა. და საერთოდ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, კონგრესმა ვეტო მხოლოდ 7-11%-ში გადალახა. 1789-1989 წლებში პრეზიდენტებმა ვეტო გამოიყენეს 1421-ჯერ და აქედან კონგრესმა მხოლოდ 103 შემთხვევაში გადალახა იგი.

პრეზიდენტს უფლება აქვს გამოსცეს ე.წ. „აღმასრულებელი ბრძანებები“, რომლებსაც ფედერალური დაწესებულებისათვის კანონის ძალა აქვს. კონგრესს არა აქვს მისი უარყოფის უფლება. ეს უფლებამოსილება მხოლოდ უზენაესი სასამართლოს ხელშია, რა თქმა უნდა, თუ იგი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. როგორც წესი, მათ ნორმატიული ხასიათი გააჩნიათ და მიიღებიან საკანონმდებლო ნორმების კონკრეტიზაციისათვის ან რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს ქვემდებარე საკითხთა რეგლამენტაციისათვის. თანამედროვე პერიოდში მოქმედებს დაახლოებით 15 ათასი აღმასრულებელი ბრძანება.

კონგრესს ცალკეულ შემთხვევებში შეუძლია მოახდინოს საკანონმდებლო აქტების გამოცემის უფლების ნაწილობრივი დელეგირება აღმასრულებლისადმი. აშშ-ის პრაქტიკა იცნობს პრეზიდენტის წარდგინებით, მაგრამ ფორმალურად კონგრესის მიერ ჩამოყალიბებულ კომისიებს, რომელთაც კონგრესისაგან მიენიჭა კანონის ძალის მქონე დადგენილების გამოცემის უფლება გარკვეულ სფეროებში (მაგალითად, ენერგეტიკის კომისიას ენერგეტიკის სფეროში). დელეგირება კონსტიტუციურად ითვლება, თუ ითვალისწინებს ნორმატიული დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებს. უზენაესმა სასამართლომ მხოლოდ ორჯერ, 1935 წელს აღიარა დელეგირებული კანონი არაკონსტიტუციურად. საერთოდ, აშშ-ში დელეგირების სამი ფორმა არსებობს: პირდაპირი, ირიბი და პირობითი.

პრეზიდენტი არის ფლოტისა და მილიციის მთავარსარდალი, შეიარაღებული ძალების უმაღლესი თანამდებობის პირი, თუმცა ომის გამოცხადების უფლება კონგრესს ენიჭება. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტებს სამხედრო ოპერაციები კონგრესის შეუთანხმებლადაც წამოუწყიათ. საერთოდ, ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა სულ მცირე 200 შემთხვევაში, მაგრამ აქედან მხოლოდ 5 შემთხვევაში იყო ომი ფორმალურად გამოცხადებული. თუ სამხედრო მოქმედება დაიწყო კონგრესის შეუთანხმებლად, პრეზიდენტმა 48 საათის განმავლობაში კონგრესს უნდა წარუდგინოს მიმართვა წერილობითი ფორმით. კონგრესის სანქციის გარეშე საომარი მოქმედება შეიძლება არა უმეტეს 60 დღის განმავლობაში გაგრძელდეს, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში ეს ვადა შეიძლება 30 დღით კიდევ გაიზარდოს; ხოლო თუ კონგრესი მიიღებს რეზოლუციას საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ, პრეზიდენტი ვალდებულია დაემორჩილოს მას ორივე ვადის დროს.

პრეზიდენტის, როგორც მთავრობის მეთაურის უფლებამოსილებაც ფართოა. იგი უშუალოდ მართავს აღმასრულებელ აპარატს, შეუძლია აღმასრულებელი დეპარტამენტის ხელმძღვანელისგან მოითხოვოს წერილობითი ინფორმაცია ნებისმიერი საკითხის შესახებ, უფლება აქვს თავისი სურვილით მოიწვიოს კაბინეტის სხდომები. პრეზიდენტს, სენატის „რჩევითა და თანხმობით", აქვს დეპარტამენტების მდივნების დანიშვნის უფლება, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან პრეზიდენტის წინაშე და ნებისმიერ დროს შეიძლება გათავისუფლდნენ თანამდებობიდან.

საპრეზიდენტო ხელისუფლების ძლიერ ინსტრუმენტს სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს, რომლის კონგრესისათვის წარდგენის უფლება მხოლოდ პრეზიდენტს აქვს, თუმცა მის მომზადებასა და შესრულებაზე იგი პასუხისმგებელი არ არის.

იგი ასევე ახდენს მედლებით დაჯილდოვებას და საპატიო წოდებების მინიჭებას.

აშშ-ის პრაქტიკის საფუძველზე, როგორც ჩანს, პრეზიდენტის პარტიულობა შეთავსებადია მის თანამდებობასთან.

პრეზიდენტს პოლიტიკური პასუხისმგებლობა გააჩნია კონგრესის წინაშე, რომელსაც უფლება აქვს თანამდებობიდან გადააყენოს იგი იმპიჩმენტის საფუძველზე „სახელმწიფო ღალატისათვის, მექრთამეობისათვის, სხვა მნიშვნელოვანი დანაშაულისა და მისდიმინორებისათვის". მაგრამ ასეთი უფლების რეალიზაცია საკმაოდ რთულ მექანიზმს მოიცავს. საქმე იმპიჩმენტის შესახებ უნდა დაიწყოს წარმომადგენელთა პალატის რეზოლუციით, რომელიც მიიღება პალატის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. მასალები საქმის არსებითი განხილვის მიზნით გადაეცემა სენატს, სადაც იმპიჩმენტის საკითხი განიხილება სისხლის სამართლის პროცესის წესებით. ამ დროს სხდომებს ხელმძღვანელობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. საქმეზე მოწვეულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის პროცესისათვის საჭირო ყველა მონაწილე. გადაწყვეტილება პრეზიდენტის ბრალეულობის შესახებ მიიღება დამსწრე სენატორთა 2/3-ის თანხმობით. იმპიჩმენტის გამოტანის დროს ერთადერთი სანქცია არის თანამდებობიდან გადაყენება. თანამდებობიდან გადაყენებულს არამარტო ეკრძალება ფედერალურ სახელმწიფო აპარატში ნებისმიერ თანამდებობაზე მუშაობა, არამედ მას შეიძლება საერთო საფუძველზე სისხლის სამართლის წესითაც მოსთხოვონ პასუხი. ენდრიუ ჯონსონი იყო პირველი პრეზიდენტი, რომლის მიმართაც 1868 წელს აღიძრა იმპიჩმენტის საქმე და მის მიღებას ერთი ხმა დააკლდა სენატში. 1998-1999 წლებში ასეთ პრაქტიკას ადგილი ჰქონდა პრეზიდენტ ბ. კლინტონის მიმართ. საქმე აგორდა მისი და თეთრი სახლის ერთ-ერთი თანამშრომლის მონიკა ლევინსკის სექსუალური ერთიერთობებიდან. პრეზიდენტს ბრალი დაედო ცრუ ჩვენების მიცემასა და ამერიკელი ხალხის შეცდომაში შეყვანისათვის. წარმომადგენელთა პალატამ დაადასტურა მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა და საბოლოო პროცედურისათვის საქმე სენატს გადაუგზავნა, ხოლო აქ უმრავლესობა სწორედ პრეზიდენტის პარტიის წარმომადგენლები იყვნენ და პრეზიდენტი ისევ დარჩა თანამდებობაზე. ცნობილია კიდევ ერთი შემთხვევა ამ საკითხთან დაკავშირებით პრეზიდენტ რ. ნიქსონის მიმართ, მაგრამ იგი წინასწარ გადადგა.

გარდა პრეზიდენტისა, იმპიჩმენტის წესით შესაძლებელია ვიცე-პრეზიდენტის, მოსამართლეთა და აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირთა თანამდებობიდან გადაყენება.

პრეზიდენტის გადადგომის, სიკვდილის (მაგალითად, ა. ლინკოლნის ან ჯ. კენედის მკვლელობისას) ან უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის სხვა შემთხვევაში (მაგალითად, დაავადებით ფ. დ. რუზველტის გარდაცვალებისას 1945 წლის აპრილში), მას ენაცვლება ვიცე-პრეზიდენტი, რომელსაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეუძლია ეს უფლებამოსილება

ყოფილი პრეზიდენტის დარჩენილი საპრეზიდენტო ვადის განმავლობაში განახორციელოს.

ვიცე-პრეზიდენტი ასრულებს პრეზიდენტის გარკვეულ დავალებებს, მაგრამ არ შეუძლია მისი საწინააღმდეგო პოლიტიკური პოზიცია დაიკავოს. ეს თანამდებობა პირველად შეერთებულ შტატებში წარმოიშვა პრეზიდენტის პოსტთან ერთად. იგი აირჩევა პრეზიდენტთან ერთად და იმავე პარტიის წარმომადგენელია, რომლისაც პრეზიდენტი. თუმცა ისინი არ შეიძლება იყვნენ ერთი და იგივე შტატის მცხოვრებლები.

ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობის ვაკანსიის დროს პრეზიდენტი შემცვლელს ნიშნავს თავისი პარტიის წევრ — სენატორთაგან, რომელსაც შემდგომ სენატი ამტკიცებს. ასეთ შემთხვევას უკვე ჰქონდა ადგილი 1973 წელს. იგი უოთერგეითის სკანდალთან იყო დაკავშირებული, როცა ვიცე-პრეზიდენტს. აგნიუს მონაცვლედ პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა სენატორი დ. ფორდი დანიშნა. მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა — სკანდალის ირგვლივ ატეხილი ხმაური ვერ ჩაახშო. წარმომადგენელთა პალატის იურიდიულმა კომიტეტმა ხმა მისცა პრეზიდენტ რ. ნიქსონის იმპიჩმენტს. მაგრამ, ვიდრე მთელი პალატა კენჭს უყრიდა ამ წინადადებას, რომლის მიღების ალბათობა რეალურად ძალიან პერსპექტიული იყო, ნიქსონი 1974 წლის აგვისტოში გადადგა. და მოხდა კონსტიტუციით გაუთვალისწინებელი არჩევანი — პირველად ქვეყნის ისტორიაში პრეზიდენტი გახდა არა საარჩევნო სამართლით მონაცვლე ვიცე-პრეზიდენტი, არამედ დანიშნული ვიცე-პრეზიდენტი.

ბოლო წლებში ამერიკაში საკმაოდ გაიზარდა ვიცე-პრეზიდენტის როლი სამთავრობო პოლიტიკაში. როგორც წესი, იგი ხელმძღვანელობს რამდენიმე სამთავრობო კომისიას, ბევრს მოგზაურობს ქვეყანაში, ახორციელებს საგარეო ვიზიტებს და თავისი ოფიციალური საქმიანობით წარმოადგენს პრეზიდენტის პოლიტიკას.

იმდენად, რამდენადაც ვიცე-პრეზიდენტი არა დანიშნული, არამედ არჩეული პირია, პრეზიდენტთან წარმოშობილი უთანხმოების შემთხვევაში ამ უკანასკნელს არ შეუძლია მისი თანამდებობიდან გადაყენება. ამ დროს პრეზიდენტს უფლება აქვს მხოლოდ აუკრძალოს მას ქვეყნის უმნიშვნელოვანეს პრობლემებთან კავშირი. მაგალითად, პრეზიდენტი ლ. ჯონსონი რამდენიმე თვის განმავლობაში უკრძალავდა ვიცე-პრეზიდენტ გ. ჰემფრის წარემართა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომები. თუ ვიცე-პრეზიდენტი შეუძლებლად თვლის პრეზიდენტის პოლიტიკის გატარებას, ამერიკული ტრადიციის საფუძველზე ის უნდა გადადგეს თანამდებობიდან. აშშ-ის ისტორიის მანძილზე ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა მხოლოდ ერთხელ 1832 წელს, როდესაც ვიცე-პრეზიდენტი ჯ. კელჰუნი თანამდებობიდან გადადგა პრეზიდენტ ე. ჯექსონის პოლიტიკასთან უთანხმოების შემთხვევაში.

პრეზიდენტის თანამდებობა ერთი და იგივე პირმა შეიძლება მხოლოდ ორჯერ დაიკავოს. ეს წესი ჯ. ვაშინგტონის მიერ იქნა დადგენილი, როდესაც მან უარი თქვა მესამედ ეყარა კენჭი. ხოლო ეს ჩვეულება საკანონმდებლო წესით განმტკიცდა მხოლოდ 1951 წელს კონსტიტუციის XXII შესწორებით. ამის გამო, კონსტიტუციაში მითითებულია, რომ თუ ამ უფლებამოსილების ვიცე-პრეზიდენტზე გადასვლისას დარჩენილია 2 წელზე მეტი, ეს ვადა ჩაითვლება რაოდენობაში და ამ პირს უფლება ექნება აღნიშნულ თანამდებობაზე მხოლოდ ერთხელღა იყაროს კენჭი. ასე რომ, ვიცე-პრეზიდენტს, რომელიც პრეზიდენტის თანამდებობას დაიკავებს ორ წლამდე ვადით, შესაძლებლობა ექნება ამ თანამდებობაზე თითქმის 10 წლის განმავლობაში იყოს.

ამერიკის თავისებურებაა, რომ პრეზიდენტთან ერთად ვიცე-პრეზიდენტის სიკვდილის ან გადადგომის შემთხვევაში ახალი არჩევნები კი არ ტარდება, არამედ ხელისუფლება შემდგომ რიგრიგობით, დეპარტამენტთა ქრონოლოგიური ნიშნის მიხედვით გადადის შემდეგ თანამდებობის პირებზე: წარმომადგენელთა პალატის სპიკერზე, სენატის დროებით თავმჯდომარეზე, სახელმწიფო მდივანზე, ფინანსთა მდივანზე და ასე შემდეგ სხვა დეპარტამენტების ხელმძღვანელებზე. მართალია ამ შემთხვევაში ირღვევა სახალხო მანდატის პრინციპი, მაგრამ ამ პროცედურას საფუძვლად უდევს ხელისუფლებაში სტაბილურობის შენარჩუნება.

იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის არჩევა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს გადასაწყვეტი გახდა და პრეზიდენტის პოსტზე არც ერთი კანდიდატურა არ დამტკიცდა, პრეზიდენტი შეიძლება გახდეს პიროვნება, რომელსაც სენატი აირჩევს ვიცე-პრეზიდენტად.

ვინაიდან შეერთებული შტატები საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, მინისტრთა კაბინეტს არა აქვს კონსტიტუციური სტატუსი, ხოლო ე.წ. მთავრობა არ წარმოადგენს კოლეგიალურ ორგანოს, მას მხოლოდ სათათბირო უფლებამოსილება გააჩნია. გადაწყვეტილებებს იღებს პრეზიდენტი ან ის პირი, ვისზეც იგი უფლებამოსილების დელეგირებას მოახდენს. ეს ორგანო ცნობილია პრეზიდენტის კაბინეტის სახელწოდებით. მის შემადგენლობაში შედიან ხელისუფლების ცალკეული დარგის ხელმძღვანელები — აღმასრულებელი დეპარტამენტების მდივნები.

აღმასრულებელ ხელისუფლებაში დიდ როლს ასრულებენ დამოუკიდებელი სააგენტოები და სამთავრობო კორპორაციები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის სააგენტოები, რომლებიც კონგრესის გადაწყვეტილების საფუძველზე იქმნება.

აღსანიშნავია კიდევ ერთი პრეზიდენტის საკონსულტაციო ორგანოს — ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ. პრეზიდენტი უშუალოდ აკონტროლებს მის მოქმედებას და ხელმძღვანელობს სხდომებს. მასში თანამდებობის

მიხედვით შედიან ვიცე-პრეზიდენტი, სახელმწიფო მდივანი, თავდაცვის მინისტრი, ასევე, როგორც წესი, ცენტრალური საგამოძიებო სამსახურის დირექტორი, შტაბის მეთაურთა კომიტეტის თავმჯდომარე და იუსტიციის მინისტრი.

აშშ-ში პროკურატურა შედის აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში. იუსტიციის მინისტრი ანუ გენერალ-ატორნეი იმავდროულად გენერალური პროკურორია. მას ექვემდებარებიან ქვემდგომი პროკურორები, რის გამოც შეერთებულ შტატებში ფედერალურ სისტემასთან ერთად ყოველ შტატში არსებობს პროკურატურის ორგანოთა საკუთარი სისტემა, რომელიც იმართება შტატის გენერალ-ატორნეის მიერ და არ ექვემდებარება ფედერალურ პროკურატურას. ფედერალური პროკურორები ინიშნებიან პრეზიდენტის მიერ გენერალ-ატორნეის წარდგინებით სენატის „რჩევითა და თანხმობით", ხოლო შტატებში ისინი ანალოგიური წესით ინიშნებიან გუბერნატორების მიერ.

აშშ-ის კონსტიტუციის თანახმად ქვეყნის სასამართლო ხელისუფლება გადაეცემა უზენაეს სასამართლოს და მისდამი დაქვემდებარებული სასამართლოების სისტემას, რომლებიც კონგრესს შეუძლია დროდადრო დააწესოს და დააფუძნოს. აღნიშნულის გათვალისწინებით პირველმა კონგრესმა ქვეყანა ოლქებად დაყო და თითოეულში ფედერალური სასამართლო შექმნა. აქედან განვითარდა სასამართლო სისტემა ამჟამინდელი იერარქიით: უზენაესი სასამართლო, 13 სააპელაციო, 94 საოლქო და რამდენიმე სპეციალური იურისდიქციის სასამართლო. კონგრესი კვლავაც ინარჩუნებს უფლებას შექმნას და გააუქმოს ფედერალური სასამართლოები და განსაზღვროს მოსამართლეთა რაოდენობა ფედერალურ სასამართლო სისტემაში, მაგრამ მას არა აქვს უზენაესი სასამართლოს გაუქმების უფლება.

როგორც უზენაესი სასამართლოს, ისე დაბალი ინსტანციის ფედერალური სასამართლოების მოსამართლეები თანამდებობაზე დარჩებიან მანამდე, ვიდრე თავის მოვალეობას „კეთილსინდისიერად ასრულებენ". ეს ნიშნავს, რომ ფაქტობრივად ისინი უვადოდ — სიცოცხლის ბოლომდე არიან დანიშნული, უფრო ზუსტად კი საპენსიო ასაკის მიღწევამდე. ხოლო თუ თავის მოვალეობას არაკეთილსინდისიერად შეასრულებენ, მაშინ მათ წინააღმდეგ ამუშავდება იმპიჩმენტის მექანიზმი.

სასამართლო სისტემაში ზემდგომ სასამართლო ორგანოს წარმოადგენს უზენაესი სასამართლო. იგი შედგება თავმჯდომარისა და 8 წევრისაგან, რომლებსაც ნიშნავს პრეზიდენტი, სენატის „რჩევითა და თანხმობით". უზენაესი სასამართლოს წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს კონგრესი, რომელსაც შეუძლია გარკვეულ ფარგლებში გადაწყვიტოს, თუ რა სახის საქმეთა განხილვა შეუძლია მას, მაგრამ ვერ შეცვლის უზენაესი სასამართლოსადმი კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებს.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ნიშნავს პრეზიდენტი უზენაესი - სასამართლოს მოსამართლეთაგან. თუ მთავარი მოსამართლის ადგილი ვაკანტური გახდება, მას ახალის დამტკიცებამდე იკავებს უხუცესი მოსამართლე.

9 წევრიდან ნებისმიერი 6 შეადგენს ქვორუმს. უზენაესი სასამართლო იხილავს საქმეებს საბოლოო ინსტანციით შტატებს შორის კომპეტენციის გამიჯვნის თაობაზე და პირველი, მაგრამ არა საბოლოო ინსტანციით — ყველა საქმეს, სადაც მხარეებად გამოდიან ელჩები, კონსულები, ვიცე-კონსულები, საქმეებს შეერთებულ შტატებსა და შტატებს შორის დავის შესახებ, ყველა საქმესა და სარჩელს, რომელიც წარმოიშობა შტატების მიერ მოქალაქეებისა და უცხოელების წინააღმდეგ. უზენაეს სასამართლოს აქვს სააპელაციო უფლებამოსილება ქვემდგომი სასამართლოების მიერ განხილულ საქმეებზე და შტატების უზენაესი სასამართლოების გადაწყვეტილებებზე.

უზენაეს სასამართლოში ყოველწლიურად შედის 4 ათასი საქმე. უმრავლეს შემთხვევაში ხდება მათი უარყოფა. სრული მოცულობით იგი დაახლოებით 150-200 საქმეს იხილავს.

ფედერალური მართლმსაჯულების მეორე უმაღლეს დონეს ქმნიან სააპელაციო სასამართლოები. შეერთებული შტატები იყოფა 13 დამოუკიდებელ სააპელაციო რეგიონად.

როგორც უზენაესი სასამართლოს, ისე ფედერალური სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეები ინიშნებიან პრეზიდენტის მიერ სენატის „რჩევითა და თანხმობით". სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლეთა რიცხვი მერყეობს 4-დან 23-მდე. სააპელაციო სასამართლოები იხილავენ საჩივრებს რაიონის სასამართლოების ყველა საბოლოო გადაწყვეტილებაზე, მათ გადაწყვეტილებებს პანამის არხის ტერიტორიის თაობაზე, გუამისა და ვირჯინიის კუნძულების რაიონული სასამართლოების საქმეებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შესაძლებელია ეს საქმე პირდაპირ უზენაესმა სასამართლომ განიხილოს. ფედერალური სააპელაციო სასამართლოები იღებენ როგორც საბოლოო, ისე გასაჩივრებად გადაწყვეტილებებს. ისინი არ სარგებლობენ პირველადი იურისდიქციით.

აღნიშნული ინსტანციის ქვემოთ 94 საოლქო (რაიონის) სასამართლო დგას. შეერთებული შტატების ტერიტორიაზე 89 ასეთი სასამართლო არსებობს. აქვე შედის ერთი სასამართლო კოლუმბიის ოლქში, ხოლო აშშ-ის მმართველობაში მყოფ სხვა ტერიტორიებზე (პუერტო-რიკო, გუამი და სხვ.) კიდევ 5 ასეთი სასამართლო გვხვდება. ყოველ შტატში სულ ცოტა ერთი საოლქო სასამართლო მაინც არსებობს, რომელთა წევრებიც ინიშნებიან პრეზიდენტის მიერ სენატის „რჩევითა და თანხმობით" სიკვდილამდე. დანიშვნის იმავე წესი და პირობები არსებობს კოლუმბიის ფედერალური ოლქის რაიონულ მოსამართლეთათვის, ხოლო გუამის, ვირჯინიის, ჩრდილო-მარიანის კუნძულების მოსამართლეები ინიშნებიან 10 წლის ვადით.

აშშ-ში დროდადრო წარმოიქმნება სპეციალური დანიშნულების სასამართლოთა შექმნის საჭიროება. ისინი ცნობილია „საკანონმდებლო“ სასამართლოთა სახელწოდებით, რადგან კონგრესის გადაწყვეტილებით იქმნება. მათ მოსამართლეებსაც პრეზიდენტი ნიშნავს სენატის რჩევითა და თანხმობით. სპეციალურ სასამართლოთაგან აღსანიშნავია: სასარჩელო სასამართლო, საბაჟო სასამართლო, ბაჟისა და პატენტის სააპელაციო სასამართლო, საერთაშორისო ვაჭრობის ფედერალური სასამართლო, ფედერალური საპრეტენზიო სასამართლო, ფედერალური საგადასახადო სასამართლო.

პირველი ინსტანციის სასამართლოებში ფუნქციონირებს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. იგი შედგება 12 ან 23 კაცისაგან. მათ გარკვეული ვადით ირჩევს მოსახლეობა.

რაც შეეხება ცალკეული შტატების სასამართლო სისტემებს, უნდა ითქვას, რომ ყველა შტატი ამ საკითხში უნიკალურია, საერთო კი ის აქვთ, რომ სასამართლო სისტემის სათავეში დგას შტატის უზენაესი სასამართლო. მაგალითად, ვირჯინიის შტატში ვხვდებით პოლიციის სასამართლოებს, საოლქო და უზენაეს სასამართლოს. სამ შტატში — მასაჩუსეტსში, ნიუ-ჰემპშირსა და როდ-აილენდში უზენაესი სასამართლოების მოსამართლეები ინიშნებიან უვადოდ და ასრულებენ ფუნქციებს 70 წლის ასაკის მიღწევამდე. დანარჩენ შტატებში მოსამართლეები აირჩევიან ან ინიშნებიან განსაზღვრული ვადით, როგორც წესი 6, 8 ან 10 წლის ვადით. 43 შტატში უზენაესი სასამართლო შედგება 5 ან 7 წევრისგან, ხოლო სხვა შტატებში — 9 წევრისგან.

შემდეგი საფეხურია სააპელაციო სასამართლოები, რომლებიც შექმნილია 38 შტატში. შემდგომ მოდის საერთო იურისდიქციის სასამართლოები — საოლქო, რაიონის, უმაღლესი, საკანცლერო, საგრაფოს, საერთო სასარჩელო, რომლებიც განიხილავენ მძიმე სისხლისსამართლებრივ და რთულ სამოქალაქო საქმეებს. ისინი იმავდროულად ასრულებენ სააპელაციო სასამართლოს ფუნქციებს ქვემდგომი სასამართლოების საქმეებზე.

უმეტესად მოუწესრიგებელია და სისტემატიზაციას არ ექვემდებარება შეზღუდული იურისდიქციის სასამართლო სისტემა — სასამართლო იერარქიის ქვემდგომი დონე. მათ სხვადასხვა სახელწოდებები აქვთ: მაგისტრატურის სასამართლო, მშვიდობის სასამართლო და სხვ. ისინი პრაქტიკულად არ შეესაბამება რაიმე კლასიფიკაციასა და შედარებას. მის კომპეტენციაში შედის წვრილმანი სამართალდარღვევებისა და 500 დოლარამდე ოდენობის სასარჩელო დავის განხილვა. სასამართლოთა სისტემას ართულებს შტატების სპეციალური იურისდიქციის სასამართლოები. მაგალითად, შექმნილია მემკვიდრეობის, საგზაო მოძრაობის უზრუნველყოფის, ობლობის საქმეთა და სხვა სასამართლოები. ამერიკის შტატებში სულ ფუნქციონირებს დაახლოებით 17 ათასი სასამართლო.

სხვადასხვა შტატში მოსამართლეთა თანამდებობაზე გამწესების განსხვავებული საშუალებები გვხვდება. საერთოდ, მისი სამი მოდელი არსებობს: მოსახლეობის მიერ არჩევა (22 შტატში), საკანონმდებლო ორგანოს მიერ არჩევა და გუბერნატორის მიერ დანიშვნა (12 შტატში), სენატის, სპეციალური კომისიის, მუნიციპალური ხელისუფლების, მერების, ზემდგომი სასამართლოების თავმჯდომარეთა მიერ დანიშვნა (16 შტატში).

რაც შეეხება საკონსტიტუციო კონტროლის საკითხს, აშშ-ში არ არსებობს სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი სასამართლო ორგანო და შესაბამისად მას ყველა სასამართლო ახორციელებს ჩვეულებრივი საქმის წარმოების დროს. აშშ-ში ფედერაციის შექმნას და 1787 წელს კონსტიტუციის მიღებას იმთავითვე მოჰყვა ცალკეული კანონების კონსტიტუციურობის შემოწმების აუცილებლობა. და ეს მაშინ, როცა საკონსტიტუციო ზედამხედველობას აშშ-ის კონსტიტუცია გარკვევით არც კი განსაზღვრავს. სასამართლო ორგანოებმა ეს უფლებამოსილება კონსტიტუციის ტექსტიდან და სტრუქტურიდან გამომდინარე, მისი ინტერპრეტაციის გზით შეიძინეს. პირველ ხანებში, ადგილი, რომ ჰქონდა ცალკეულ ასეთ ფაქტებს — კონსტიტუციის მიღებიდან 1803 წლამდე შტატების სასამართლოების მიერ გამოტანილ იქნა ოცზე მეტი გადაწყვეტილება, რომლებიც არაკონსტიტუციურად აღიარებდნენ შესაბამისი შტატების ცალკეულ კანონებს.

საკონსტიტუციო ზედამხედველობის ინსტიტუტი უზენაესი სასამართლოს მიერ ერთ-ერთი კონკრეტული საქმის განხილვის დროს მიღებულ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბდა. ეს მოხდა 1803 წელს საქმეზე „მერბერი მედისონის წინააღმდეგ", როდესაც უზენაესი სასამართლოს მიერ საქმის არსებითი გადაწყვეტა ითხოვდა პასუხს კითხვაზე: თუ კონგრესის მიერ მიღებული კანონი ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას, რომელ მათგანს ენიჭებოდა უპირატესობა? საქმე კონკრეტულად ეხებოდა წინააღმდეგობრივ დანიშვნებს, რომლებსაც პრეზიდენტ ჯონ ადამსის თანამდებობაზე ყოფნის ბოლო დღეებში განხორციელდა. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონსტიტუცია არის „ქვეყნის ძირითადი და უზენაესი კანონი", „კონსტიტუციის საწინააღმდეგო საკანონმდებლო აქტი მოკლებულია იურიდიულ ძალას" და „მხოლოდ სასამართლოს გამგებლობაშია და მის მოვალეობას წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ რა არის კანონი". სწორედ ამ ნორმების გამოყენების საფუძველზე დაიწყეს სასამართლო ორგანოებმა კონსტიტუციის განმარტება და მასთან შეუსაბამო აქტების ბათილად ცნობა. აშშ-ის სასამართლო ორგანოებს, აქედან მოყოლებული უფლება მიეცათ ბათილად გამოეცხადებინათ კონგრესის აქტები, თუ ისინი კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდნენ. მომდევნო საქმეების განხილვამ სასამართლო კონტროლის უფლება განავრცო პრეზიდენტის მიერ გამოცემულ აქტებზეც.

ამერიკაში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა შტატების გამგებლობას განეკუთვნება. ამის გამო შტატებს აშკარად განსხვავებული ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულები გააჩნიათ. ამჟამად შეერთებული შტატები ითვლის 78 ათას სხვადასხვა ასეთ ერთეულს. ქალაქის მცხოვრებს ერთდროულად საქმე აქვს 3-4 სხვადასხვა ადმინისტრაციულ დონესთან.

შტატები იყოფა საგრაფოებად, ქალაქებად, თაუნებად, თაუნშიპებად და მუნიციპალიტეტებად. ერთ-ერთ ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან ტერიტორიულ ერთეულს საგრაფო წარმოადგენს. საგრაფოები გამოყოფილია ქალაქებისგან, თუმცა არსებობს ქალაქები, რომლებიც თვითონ შეიცავს საგრაფოებს. ქვეყნის მასშტაბით არის 3042 საგრაფო.

რაც შეეხება ქალაქებს, მათი მასშტაბებიდან გამომდინარე განასხვავებენ საქალაქო მმართველობის სამ ძირითად ტიპს: მერ-საბჭოს, კომისიას და მენეჯერ-საბჭოს. თუმცა წმინდა სახით ისინი იშვიათად გვხვდება და მრავალ ქალაქში კომბინირებული სახით არიან ამოქმედებული.

კიდევ უფრო მცირე ზომის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს ამერიკაში წარმოადგენენ ტაუნები და ტაუნშიპები, რომლებსაც პატარა ქალაქებსა და რაიონებსაც უწოდებენ (ფუნქციონირებს დაახლოებით 17 ათასი ამგვარი ერთეული).

თავისი ადგილი უჭირავთ მუნიციპალიტეტებს. მათი რიცხვი 19 ათასს შეადგენს. ქვეყნის მთელი მოსახლეობის 2/3 მუნიციპალიტეტებში ცხოვრობს. შტატების კონსტიტუციები მათ იურიდიული პირის (კორპორაციის) სტატუსს და ფართო უფლებებს ანიჭებენ.

გარდა აღნიშნული ადგილობრივი ერთეულებისა, აშშ-ში არსებობს კიდევ 22 სხვა სახის ტერიტორიული ერთეული, რომლებიც სპეციალური ოლქების სახელწოდებითაა ცნობილი.

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანიზაციის ერთი თავისებურება, რომელიც უმეტესწილად შეერთებული შტატების ნიუ-ინგლენდის რეგიონში გვხვდება, ცნობილია „სადაბო კრების“ ან „ტაუნ-მიტინგის“ სახელწოდებით. ასეთი წესი დაახლოებით 500 ადგილას გვხვდება. წელიწადში ერთხელ, ხოლო თუ საჭიროა უფრო ხშირადაც, დაბის რეგისტრირებული ამომრჩევლები (ტაუნის უფროსი ასაკის მოსახლეობა) იკრიბებიან ღია სხდომაზე, რათა სასწრაფო პრობლემების მოსაგვარებლად აირჩიონ აღმასრულებელი კომიტეტი 3-5 კაცის შემადგენლობით, განიხილონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები და მიიღონ საქმიანობისათვის საჭირო აქტები. ეს ფორმა ორ საუკუნეზე მეტია არსებობს და მიიჩნევა უშუალო დამოკრატიის ყველაზე წმინდა ფორმად ამერიკაში, რადგან ხელისუფლება არავის გადაეცემა და პირდაპირ და რეგულარულად ხორციელდება მთელი ხალხის მიერ. თუმცა, მოსახლეობის რაოდენობის ზრდის გამო ეს ფორმა ზოგიერთ ადგილას ცვლილებებს განიცდის. ახალი ფორმის თანახმად, რომელსაც წარმომადგენ-

ლობით შეკრებას უწოდებენ, მოსახლეობა ირჩევს მოქალაქეთა განსაზღვრულ რაოდენობას (ძირითადად ასს ამ მეტს), რომლებიც მას წარმოადგენენ შეკრებებზე. კანცელარიის ხელმძღვანელი, ხაზინადარი, ინსპექტორი, კონსტებლი, სკოლის მმართველობის საბჭო და სხვა მოსამსახურეები აირჩევიან წარმომადგენელთა მიერ.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციის შესახებ ნორმებს არ შეიცავს აშშ-ის კონსტიტუცია. ეს სფერო განისაზღვრება შტატების კონსტიტუციებითა და კანონმდებლობით და მოიცავს საქმიანობის შემდეგ ძირითად მიმართულებებს: ა) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სფეროში აღნიშნული ორგანოები ხელმძღვანელობენ ადგილობრივ პოლიციას, იუსტიციას, მოსახლეობამდე დაჰყავთ ფედერაციული და შტატების ორგანოთა აქტები, ზემდგომ ორგანოებს აწვდიან ინფორმაციას ადგილებზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ; ბ) საფინანსო სფეროში ახორციელებენ ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების დადგენას, ადგილობრივი ბიუჯეტის განსაზღვრასა და მის შესრულებაზე კონტროლს; გ) სოციალური სფერო მოიცავს ადგილობრივ სასკოლო საქმეებს, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, მშენებლობის და გზების შეკეთებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

აშშ-ში შესამჩნევია ხელისუფლების დეცენტრალიზაციის ბაზაზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციის თანდათანობითი გაფართოების ტენდენცია.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აქვთ ქონების განკარგვის ფუნქციაც, მათ საკუთრებაშია რამდენიმე საწარმო. აღნიშნული ორგანოები წყვეტენ სასოფლო-სამეურნეო პრობლემებსაც. ყოველ ადგილობრივ ერთეულს აქვს საკუთარი ბიუჯეტი, რომლის შეკრების ძირითად წყაროს წარმოადგენს გადასახადები, ადგილობრივი მოსაკრებლები, ჯარიმებისა და ლიცენზიების გაცემის შედეგად მიღებული სახსრები. ადგილობრივ ბიუჯეტში მთლიანად ან ნაწილობრივ რჩება საკუთრებაზე გადასახადით მიღებული თანხები. მნიშვნელოვან როლს ასრულებს აგრეთვე ფედერალური ხელისუფლების და შტატების მიერ დახმარების ფორმით გადაცემული სუბსიდიები და შემოსავალთა განაწილება.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები. უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციური სამართალი გამოირჩევა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნორმებისა და პრინციპების სიმრავლით, კონსტიტუციონალიზმის ბევრი თავისებურება თავდაპირველად სწორედ აშშ-ში დაინერგა:

— პირველ რიგში, ყურადსაღებია აშშ-ის კონსტიტუცია, რომელიც მსოფლიოში პირველი დაწერილი კონსტიტუციური აქტია. მისი სიძველის გამო,

კონსტიტუციის სისტემა არ შეესაბამება თანამედროვე კონსტიტუციებს და სახელმწიფო სამართლის ბევრი ინსტიტუტი არ არის მასში გათვალისწინებული. იმ სფეროს, რომელიც მას მოსაწესრიგებელი დარჩა, ავსებენ სხვა კანონები, პრეზიდენტის აქტები, კონსტიტუციური ჩვეულებები და სასამართლო პრეცედენტები;

— აშშ-ის კონსტიტუცია „მყარი" კონსტიტუციების რიცხვს განეკუთვნება, ორივე პალატის წევრთა 2/3-ის მოთხოვნით კონგრესი ან თვითონ იღებს შესწორებებს, ან შტატების საკანონმდებლო კრებების 2/3-ის ინიციატივით მოიწვევს სპეციალურ კონვენტს. ცვლილებების შეტანის ძალზე გართულებული მექანიზმის გამო, როგორც შედეგი გვიჩვენებს, ორი საუკუნის მანძილზე 5 ათასამდე შემოტანილი შესწორებიდან მიღებულ იქნა მხოლოდ 27. ამასთან, მასში შესწორების შეტანისას კონსტიტუციის პირვანდელი ტექსტი ხელუხლებელი რჩება და შესწორებები კონსტიტუციის ტექსტს ბოლოში ემატება;

— ამერიკის შეერთებული შტატებია ის ქვეყანა, სადაც პირველად იქნა შემოღებული პრეზიდენტის ინსტიტუტი და ჩამოყალიბდა პირველი საპრეზიდენტო რესპუბლიკა;

— გარკვეული თავისებურებით ხასიათდება ასევე პრეზიდენტის საკანონმდებლო კონტროლის უფლებამოსილება. მას უფლება არა აქვს ვეტო დააღოს კონსტიტუციურ შესწორებას. არ გააჩნია ასევე საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. მისთვის სასურველი კანონპროექტების კონგრესში შეტანას იგი ახორციელებს მისი პარტიის წევრი კონგრესმენების მეშვეობით;

— თავისებურებით ხასიათდება პარტიული სისტემაც. აქ ყველა პარტია „გაუფორმებელია", მათ არა აქვთ მუდმივი პოლიტიკური პროგრამები, მუდმივი წევრობა და პარტიული ბილეთი. პარტიის წევრთა რაოდენობად ცხადდება უკანასკნელ საყოველთაო არჩევნებში მხარდამჭერთაგან მოპოვებული ხმების რაოდენობა;

— აშშ-ის საარჩევნო სამართლისათვის დამახასიათებელია პრაიმერიზის ინსტიტუტი. ამ დროს შტატების ამომრჩეველი ხმას აძლევს კანდიდატს კანდიდატობისთვის, ე.ი. ირჩევს პიროვნებებს, რომლებსაც უფლება ექნებათ შემდგომ მონაწილეობა მიიღონ კონგრესისა და საპრეზიდენტო არჩევნებში პასიური საარჩევნო უფლებით;

— აღსანიშნავია ისიც, რომ პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის არჩევა ხდება არაპირდაპირი გზით — ამომრჩეველი ირჩევს დელეგატებს, ხოლო დელეგატები პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატების ვერც ერთი წყვილი ვერ მიიღებს დელეგატთა ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას, ირღვევა ძირითადი — პარტიული სოლიდარობის საარჩევნო პრინციპი — პრეზიდენტს ირჩევს წარმომადგენელთა პალატა, ხოლო ვიცე-პრეზიდენტს — სენატი;

— ვიცე-პრეზიდენტის ადგილის ვაკანსიის დროს მას ნიშნავს პრეზიდენტი და ამტკიცებს სენატი. ხოლო პრეზიდენტის თანამდებობის ვაკანსიისას მას ცვლის ვიცე-პრეზიდენტი.

— მართალია კონსტიტუცია კონკრეტულად ჩამოთვლის კონგრესისათვის მინიჭებულ უფლებებს, მაგრამ აქვე დაურთავს ნორმას, რომელსაც ამერიკის იურიდიულ მეცნიერებაში „მოქნილ პუნქტს" უწოდებენ. ამ პუნქტის საფუძველზე კონგრესს, კანონების გამოცემის გზით, უფლება აქვს შეეხოს ისეთ სფეროს, რომელიც მის კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ აუცილებელია კონგრესის სხვა უფლებების განსახორციელებლად. ეს ნორმა საკმაოდ აფართოებს მისი უფლებამოსილების ფარგლებს;

— პირველად ამერიკაში ჩამოყალიბდა საკონსტიტუციო ზედამხედველობის დოქტრინა და დამკვიდრდა საკონსტიტუციო ზედამხედველობის მექანიზმი, რომელიც ახლა საკმაოდ ეფექტურად გამოიყენება სხვა ქვეყნებშიც.

— აშშ-ში საკონსტიტუციო ზედამხედველობას ახორციელებენ არამარტო უზენაესი სასამართლო, არამედ საერთო სასამართლოები ყველა დონეზე, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს უზენაესი სასამართლო;

— ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა შტატებად დაყოფასთან ერთად გამოყოფს კოლუმბიის ფედერალურ ოლქს, რომელიც არ სარგებლობს შტატის სტატუსით. გარდა ამისა, განსხვავებული სტატუსით აშშ-ის მმართველობაში შედის ზოგიერთი კუნძულიც;

— თავისებურებებით ხასიათდება შეერთებული შტატების ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურაც. აქ გვხვდება უამრავი სხვადასხვა სახელწოდების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული. თითოეული მათგანი გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა. აღსანიშნავია აგრეთვე საქალაქო მმართველობის ფორმები და სპეციალური ოლქები. ეს უკანასკნელი არა ტერიტორიული ნიშნით, არამედ გარკვეული საზოგადოებრივი ფუნქციების შესასრულებლად იქმნება მის სხვადასხვა დარგში;

— ადგილობრივი არჩევნების თავისებურებაა ისიც, რომ არამარტო წარმომადგენლობითი, არამედ ბევრი არაწარმომადგენლობითი თანამდებობის პირის არჩევაა შესაძლებელი.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ[1]

ᲞᲠᲔᲐᲛᲑᲣᲚᲐ

ᲩᲕᲔᲜ, შეერთებული შტატების ხალხი, რათა შევქმნათ უფრო სრულყოფილი კავშირი, დავამკვიდროთ მართლმსაჯულება, უზრუნველვყოთ შინაგანი სამშვიდე, ერთიანი თავდაცვა, ხელი შევუწყოთ საყოველთაო კეთილდღეობას და ჩვენი და ჩვენი შთამომავლობისათვის განვამტკიცოთ თავისუფლების ბალი, საზეიმოდ ვაცხადებთ და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ვადგენთ ამ კონსტიტუციას.

ᲛᲣᲮᲚᲘ I

ნაწილი 1. ამ აქტით დადგენილი მთელი საკანონმდებლო უფლებამოსილება გადაეცემა შეერთებული შტატების კონგრესს, რომელიც შედგება სენატისა და წარმომადგენელთა პალატისგან.

ნაწილი 2. წარმომადგენელთა პალატა შედგება ცალკეული შტატების მოსახლეობის მიერ ყოველ ორ წელიწადში არჩეული წევრებისგან; ამომრჩევლები ყოველ შტატში უნდა პასუხობდნენ შტატის საკანონმდებლო ორგანოს ყველაზე მრავალრიცხოვანი პალატის ამომრჩეველთათვის წაყენებულ მოთხოვნებს.

არც ერთი პირი არ შეიძლება იყოს წარმომადგენელი, თუ არ მიაღწია ოცდახუთი წლის ასაკს, შვიდი წლის განმავლობაში არ იყო შეერთებული შტატების მოქალაქე და არჩევის მომენტში არ არის იმ შტატის მცხოვრები, სადაც აირჩევა.

[წარმომადგენლები და პირდაპირი გადასახადები ნაწილდება ცალკეულ შტატებს შორის, რომლებიც შესაძლოა შევიდნენ ამ კავშირში, მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად, რაც განისაზღვრება თავისუფალ პირთა საერთო რაოდენობისთვის იმ პირთა დამატებით, რომლებიც მრავალწლიანი ვადის განმავლობაში მსახურობენ, გარდა გადასახადით დაუბეგრავი ინდიე-

---

[1] თარგმანისას გამოყენებულია აშშ-ის ეროვნულ არქივში ინტერნეტის ვებ-გვერდზე www.mcwdn.org/GOVERNMENT/Constitution.html გამოქვეყნებული აშშ-ის კონსტიტუცია ორიგინალური ფორმით უფლებათა ბილთან ერთად და კონგრესის სენატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.senate.gov/civics/constitution_item/constitution.htm შესწორებებთან ერთად წარმოდგენილი აშშ-ის კონსტიტუციის ინგლისურენოვანი ტექსტი.

ლებისა, ასევე, სხვა პირთა სამი მეხუთედის დამატებით.[1] მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ჩატარდება შეერთებული შტატების კონგრესის პირველი სესიიდან სამი წლის განმავლობაში, ხოლო შემდგომ — კანონით დადგენილი წესით, ყოველ ათ წელიწადში.

წარმომადგენელთა რიცხვი ყოველ ოცდაათი ათას მცხოვრებზე არ უნდა აღემატებოდეს ერთს, თუმცა ყოველ შტატს უნდა ჰყავდეს არანაკლებ ერთი წარმომადგენელი; და სანამ ამგვარი აღწერა ჩატარდება, ნიუ-ჰემპშირი ირჩევს სამ წარმომადგენელს, მასაჩუსეტსი — რვას, როდ-აილენდი და პროვიდენს პლანტეიშენი — ერთს, კონეკტიკუტი — ხუთს, ნიუ-იორკი — ექვსს, ნიუ-ჯერსი — ოთხს, პენსილვანია — რვას, დელავერი — ერთს, მერილენდი — ექვსს, ვირჯინია — ათს, სამხრეთ კაროლინა — ხუთს, ჩრდილოეთ კაროლინა — ხუთს, ხოლო ჯორჯია — სამს.

როდესაც რომელიმე შტატის წარმომადგენლობაში წარმოიქმნება ვაკანსიები, მათ შესავსებად ამ შტატის აღმასრულებელი ხელისუფლება გამოსცემს არჩევნების ჩატარების შესახებ ბრძანებას.

წარმომადგენელთა პალატა ირჩევს თავის სპიკერსა და სხვა თანამდებობის პირებს; და მხოლოდ მას აქვს იმპიჩმენტის აღძვრის განსაკუთრებული უფლებამოსილება.

ნაწილი 3. შეერთებული შტატების სენატის შემადგენლობაში შედიან 6 წლის ვადით [შესაბამისი შტატის საკანონმდებლო ორგანოს მიერ][2] არჩეული ორ-ორი წარმომადგენელი თითოეული შტატიდან; და ყოველ სენატორს ერთი ხმა აქვს.

პირველი არჩევნების შედეგად შეკრებილი სენატორები შეძლებისდაგვარად სამ თანაბარ ჯგუფად უნდა დაიყვნენ. პირველი ჯგუფის სენატორთა ადგილები ვაკანტური ხდება მეორე წლის გასვლისას, მეორე ჯგუფის — მეოთხე წლის, ხოლო მესამე ჯგუფის — მეექვსე წლის გასვლისას, ისე, რომ სენატორთა ერთი მესამედის არჩევა ყოველ ორ წელიწადში მოხდეს; [და თუ ვაკანსიები გაჩნდება გადადგომის ან სხვა მიზეზით, რომელიმე შტატის საკანონმდებლო კრების მუშაობის შესვენების დროს, ამ შტატის აღმასრულებელ ხელისუფლებას შეუძლია განახორციელოს დროებითი დანიშვნა საკანონმდებლო კრების მომდევნო სესიამდე, რომელიც ამ ვაკანსიებს შემდგომ ავსებს].[3]

---

[1] ფრჩხილებში მითითებული დებულება შეიცვალა კონსტიტუციის XIV შესწორების მე-2 ნაწილით.

[2] ფრჩხილებში მითითებული დებულება შეიცვალა კონსტიტუციის XVII შესწორებით.

[3] ფრჩხილებში მითითებული დებულება შეიცვალა კონსტიტუციის XVII შესწორებით.

არც ერთი პირი არ შეიძლება იყოს სენატორი, თუ მან არ მიაღწია ოცდაათი წლის ასაკს, ცხრა წლის განმავლობაში არ იყო შეერთებული შტატების მოქალაქე და არჩევის მომენტში არ ცხოვრობს იმ შტატში, სადაც აირჩევა.

შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი არის სენატის თავმჯდომარე, მაგრამ კენჭისყრაში მონაწილეობა შეუძლია მხოლოდ ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში.

სენატი ირჩევს თავის სხვა თანამდებობის პირებს, ასევე, ვიცე-პრეზიდენტის არყოფნის ან მის მიერ შეერთებული შტატების პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების შემთხვევაში — დროებით თავმჯდომარეს.

მხოლოდ სენატს აქვს იმპიჩმენტის წესით ყველა საქმის განსაკუთრებული განხილვის უფლება. ამ მიზნით შეკრებისას სენატორები დებენ ფიცსა და საზეიმო დაპირებას. შეერთებული შტატების პრეზიდენტის საქმის განხილვისას, სხდომას ხელმძღვანელობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე; არავის არ შეიძლება მსჯავრი დაედოს დამსწრე სენატორთა ორი მესამედის თანხმობის გარეშე.

იმპიჩმენტის საქმეზე განაჩენი უნდა შემოიფარგლოს თანამდებობიდან გადადგომითა და შეერთებული შტატების სამსახურში რაიმე საპატიო, საპასუხისმგებლო ან შემოსავლიანი თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით. თუმცა, მიუხედავად ამისა, ასეთი პირი კანონის შესაბამისად ექვემდებარება სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობას, სამართალში მიცემასა და სასამართლოს განაჩენით სასჯელის დაკისრებას.

ნაწილი 4. სენატორთა და წარმომადგენელთა არჩევნების ჩატარების დრო, ადგილი და წესი განისაზღვრება თითოეულ შტატში მათივე საკანონმდებლო ორგანოების მიერ; თუმცა კონგრესს ნებისმიერ დროს შეუძლია კანონით დაადგინოს ან შეცვალოს არჩევნების ჩატარების წესები, გარდა სენატორთა არჩევის ადგილისა.

კონგრესი იკრიბება წელიწადში ერთხელ მაინც [და მისი სესიები იწყება დეკემბრის პირველ ორშაბათს],[1] თუ კონგრესი კანონით სხვა დღეს არ დაადგენს.

ნაწილი 5. თითოეული პალატა თვითონ არის მოსამართლე არჩევნების, მისი შედეგებისა და პალატის წევრთა კვალიფიკაციის საკითხებში. თითოეულ პალატაში საქმის წარმოებისთვის საჭირო ქვორუმს შეადგენს წევრთა უმრავლესობა; თუმცა პალატას წევრთა უფრო მცირე რაოდენობით შეუძლია

---

[1] ფრჩხილებში მითითებული დებულება შეიცვალა კონსტიტუციის XX შესწორების მე-2 ნაწილით.

თავისი სხდომის ერთი დღიდან მეორე დღეს გადატანა და უფლებამოსილია, პალატების მიერ გათვალისწინებული წესითა და სასჯელის დაკისრებით გამცდენ წევრებს აიძულოს დასწრება.

თითოეულ პალატას შეუძლია დაადგინოს თავისი საპროცედურო წესები, თავისი წევრები დასაჯოს უმსგავსო საქციელისთვის და ორი მესამედის თანხმობით გარიცხოს თავისი შემადგენლობიდან.

თითოეული პალატა აწარმოებს თავისი სხდომების ჟურნალს და მათ პერიოდულად აქვეყნებს, იმ ნაწილების გარდა, რომლებიც, მისი აზრით, ფარულად უნდა იყოს შენახული; თითოეული პალატის წევრთა მიერ ყოველ საკითხზე გამოთქმული „დიახ" ან „არა", დამსწრე წევრთა ერთი მეხუთედის სურვილით, შეიტანება ჟურნალში.

კონგრესის სესიის მიმდინარეობისას არც ერთ პალატას არა აქვს უფლება, მეორის თანხმობის გარეშე სხდომა გადაიტანოს სამ დღეზე მეტი ვადით ან ორივე პალატის შეკრების ადგილისგან განსხვავებულ ადგილას დანიშნოს.

ნაწილი 6. სენატორები და წარმომადგენლები თავისი სამსახურისთვის იღებენ ანაზღაურებას, რაც კანონით არის დადგენილი და გადაიხდება შეერთებული შტატების ხაზინის მიერ. ყველა შემთხვევაში, გარდა სახელმწიფო ღალატის, მძიმე დანაშაულისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა, ისინი სარგებლობენ დაპატიმრებისგან თავისუფლების პრივილეგიით შესაბამისი პალატის სხდომაზე დასწრების, იქ მისვლისა და იქიდან დაბრუნების დროს; და პალატაში გამოსვლისა და დებატებში მონაწილეობისთვის არ შეიძლება მათ პასუხი მოეთხოვოთ ნებისმიერ სხვა ადგილას.

არჩევის ვადის განმავლობაში არც ერთი სენატორი და წარმომადგენელი არ შეიძლება დაინიშნოს შეერთებული შტატების სამოქალაქო თანამდებობაზე, რომელიც შექმნილია ან რომლისგანაც შემოსავლები იზრდება ვადის განმავლობაში; არც ერთი პირი, რომელსაც რაიმე თანამდებობა უკავია შეერთებული შტატების სამსახურში, მისი თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება იყოს რომელიმე პალატის წევრი.

ნაწილი 7. სახელმწიფო შემოსავლების შესახებ ყველა კანონპროექტი შეიტანება წარმომადგენელთა პალატაში; მაგრამ იგი, ისევე როგორც სხვა კანონპროექტები და მათში შესატანი ცვლილებები წარედგინება და უთანხმდება სენატს.

წარმომადგენელთა პალატისა და სენატის მიერ მიღებული ყოველი კანონპროექტი, სანამ კანონი გახდებოდეს, წარედგინება შეერთებული შტატების პრეზიდენტს; თუ ის მოიწონებს კანონპროექტს, ხელს აწერს მას; თუ არ ეთანხმება, თავისი შენიშვნებით უბრუნებს იმ პალატას, საიდანაც შემო-

ვიდა, რომელიც პრეზიდენტის წინადადებებს სრულად შეიტანს თავის ჟურნალში და დაიწყებს კანონპროექტის ხელახალ განხილვას.

თუ ამ განხილვის შემდეგ კანონპროექტი მიღებულ იქნება პალატის წევრთა ორი მესამედის მიერ, იგი პრეზიდენტის შენიშვნებთან ერთად გადაიგზავნება მეორე პალატაში, რომელიც ასევე ხელახლა იხილავს მას. და თუ ეს უკანასკნელი მიიღებს კანონპროექტს ხმათა ორი მესამედით, ის ხდება კანონი. ოღონდ ყველა ასეთ შემთხვევაში ორივე პალატაში კენჭისყრა ტარდება პალატის წევრთა მიერ „დიახ" ან „არას" გამოხატვით, ხოლო იმ პირთა სახელები, რომლებმაც დადებითი ან უარყოფითი ხმა მისცეს, შეიტანება შესაბამისი პალატის ჟურნალში.

თუ რომელიმე კანონპროექტი მისი წარდგენიდან ათი დღის განმავლობაში (კვირა დღის ჩაუთვლელად) არ დაბრუნდება პრეზიდენტის მიერ, ასეთი კანონპროექტი ისევე ხდება კანონი, როგორც ხელმოწერილი რომ ყოფილიყო პრეზიდენტის მიერ; კანონპროექტი არ ხდება კანონი, თუ ის ვერ დაბრუნდა კონგრესში სხდომების გადატანის გამო.

ყველა განკარგულება, რეზოლუცია ან გადაწყვეტილება, რომლისთვისაც აუცილებელია სენატისა და წარმომადგენელთა პალატის თანხმობა (გარდა სხდომის გადადების შესახებ საკითხისა), წარედგინება შეერთებული შტატების პრეზიდენტს და ძალაში შედის მხოლოდ მისი მომავალი დამტკიცებისას; დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, კანონპროექტებთან დაკავშირებით დადგენილი წესებისა და შეზღუდვების შესაბამისად, სენატისა და წარმომადგენელთა პალატის ხმათა ორი მესამედით ისინი ხელახლა უნდა იქნეს მიღებული.

ნაწილი 8. კონგრესს უფლება აქვს:

დაადგინოს და მოკრიფოს გადასახადები, მოსაკრებლები, ბაჟი და აქციზები, რათა გადაიხადოს ვალები, უზრუნველყოს ერთიანი თავდაცვა და შეერთებული შტატების საყოველთაო კეთილდღეობა; ამასთან, ყველა მოსაკრებელი, ბაჟი და აქციზი შეერთებულ შტატებში ყველგან ერთგვაროვანი უნდა იყოს.

შეერთებული შტატების სახელით აიღოს სესხი;

უცხოეთის სახელმწიფოებთან, ცალკეულ შტატებს შორის და ინდიელ ტომებთან დაარეგულიროს ვაჭრობა;

შეერთებული შტატების ფარგლებში დაადგინოს ნატურალიზაციის ერთნაირი წესი და მიიღოს საგაკოტრებო საკითხებთან დაკავშირებული ერთგვაროვანი კანონები;

მოჭრას ფული, დაარეგულიროს მისი და უცხოური ვალუტის ფასები, დაადგინოს ზომა-წონის ერთეულები;

ფასიანი ქაღალდებისა და შეერთებული შტატების მიმოქცევაში არსებული ვალუტის გაყალბებისთვის გაითვალისწინოს სასჯელის ზომები;

შექმნას საფოსტო სამსახურები და საფოსტო გზები;

ხელი შეუწყოს მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებას, ავტორებისა და გამომგონებლებისთვის მათ ნაწერებსა და აღმოჩენებზე განსაზღვრული ვადით განსაკუთრებული უფლების განმტკიცებას;

დააფუძნოს უზენაესი სასამართლოს ქვემდგომი სასამართლოები;

განსაზღვროს, თუ რა არის მეკობრეობა, ღია ზღვაში ჩადენილი მძიმე დანაშაულები და ამგვარი ქმედებისთვის, აგრეთვე ერების უფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის დააწესოს სასჯელი;

გამოაცხადოს ომი, გასცეს საკაპერო და რეპრესალიის შესახებ მოწმობები და დაადგინოს ხმელეთსა და წყალში ნადავლის მოპოვების წესები;

შექმნას და შეინახოს არმიები, მაგრამ ამისთვის თანხები არ შეიძლება გამოიყოს ორ წელზე მეტი ვადით;

შექმნას და შეინახოს სამხედრო-საზღვაო ფლოტი;

წყალქვეშა და საზღვაო ძალების ორგანიზაციისა და მართვის შესახებ გამოსცეს წესები;

მიიღოს ზომები კავშირის კანონების აღსრულების უზრუნველყოფის, ამბოხების ჩახშობისა და შემოსევის მოგერიებისთვის მილიციის გაწვევის შესახებ;

მიიღოს ზომები მილიციის ორგანიზების, შეიარაღების, წვრთნისა და მისი იმ ნაწილის მართვის შესახებ, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს შეერთებული შტატების სამსახურში. თანამდებობის პირთა დანიშვნისა და კონგრესის მიერ წერილობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად მილიციის მომზადების ორგანიზაციის უფლება შტატებს უნარჩუნდება;

ყველა შემთხვევაში განახორციელოს განსაკუთრებული საკანონმდებლო უფლებამოსილება ოლქთან ურთიერთობაში (რომლის ფართობი არ აღემატება ათ კვადრატულ მილს), რომელიც ცალკეული შტატების დათმობითა და კონგრესის მიერ მიღებით, გახდება შეერთებული შტატების მთავრობის ადგილსამყოფელი. აგრეთვე განახორციელოს მსგავსი უფლებამოსილება ყველა მიწასთან დაკავშირებით, რომელიც საკანონმდებლო ორგანოსთან შეთანხმებით შესყიდულ იქნება სიმაგრეების, საწყობების, არსენალებისა და სხვა საჭირო ნაგებობების აშენებისთვის, და ბოლოს

გამოსცეს შეერთებული შტატების მთავრობის, რომელიმე დეპარტამენტის ან მისი თანამდებობის პირისთვის ამ კონსტიტუციით მინიჭებული, ზემოთჩამოთვლილი უფლებამოსილებების აღსრულებისთვის აუცილებელი და სავალდებულო ყველა კანონი.

ნაწილი 9. კონგრესის მიერ არ შეიძლება აიკრძალოს იმ პირთა მიგრაცია ან შემოყვანა ათას რვაას რვა წლამდე, რომელთა დაშვებას საჭიროდ ჩათვლის ამჟამად არსებული ნებისმიერი შტატი. თუმცა ამგვარი შემოყვანა შეიძლება დაიბეგროს ყოველ პირზე არა უმეტეს ათი დოლარის ოდენობის გადასახადით ან ბაჟით.

პრივილეგირებული უფლება `*habeas corpus*`-ის მოქმედება არ შეიძლება შეჩერდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ აჯანყების ან შემოსევის შემთხვევებში ამას მოითხოვს საზოგადოებრივი უსაფრთხოება.

არ შეიძლება მიღებულ იქნეს `*bill of attainder*`-ი ან კანონი `*ex post facto*`.

არ შეიძლება დადგენილ იქნეს რაიმე სულადი ან სხვა პირდაპირი გადასახადი, ზემოთ აღნიშნული მოსახლეობის აღწერის შესაბამისობის გაუთვალისწინებლად.

არ შეიძლება გადასახადით ან ბაჟით დაიბეგროს საქონელი, რომელიც გაიტანება რომელიმე შტატიდან.

ვაჭრობისა ან სახელმწიფო შემოსავლების შესახებ რომელიმე დადგენილების ძალით არ უნდა მიენიჭოს უპირატესობა ერთი შტატის ნავსადგურს მეორის ნავსადგურების მიმართ; რომელიმე შტატში მიმავალი ან შტატიდან გამოსული ხომალდი არ შეიძლება იძულებით იქნეს შეყვანილი სხვა შტატის პორტში, განიტვირთოს ან იქ დაეკისროს მოსაკრებელი.

არ უნდა გაიცეს ფული ხაზინიდან, გარდა კანონში გაწერილი თანხებისა; ყველა შეტყობინება და ანგარიში მთელი სახელმწიფო ფულის მიღებისა და გასავლების შესახებ პერიოდულად უნდა გამოქვეყნდეს.

არანაირი არისტოკრატული ტიტულები არ შეიძლება მიენიჭოს შეერთებული შტატების მიერ და არც ერთმა პირმა, რომელსაც შემოსავლის მომტანი ან საპასუხისმგებლო თანამდებობა უკავია შეერთებული შტატების სამსახურში, არ შეიძლება კონგრესის თანხმობის გარეშე რომელიმე მეფის, პრინცის ან უცხოეთის სახელმწიფოსგან მიიღოს რაიმე საჩუქარი, ანაზღაურება, თანამდებობა ან ნებისმიერი სახის წოდება.

ნაწილი 10. არც ერთ შტატს არ შეუძლია დადოს რაიმე ხელშეკრულება, შევიდეს კავშირში ან კონფედერაციაში, გასცეს საკაპერო და რეპრესალიების შესახებ მოწმობები, მოჭრას ფული, გამოუშვას საკრედიტო ბილეთები, ვალების გადასახდელად გამოიყენოს ოქროსა და ვერცხლის მონეტის გარდა სხვა რამ, მიიღოს `*bill of attainder*`-ი, კანონი `*ex post facto*` ან სხვა კანონები, რომლებიც არღვევენ სახელშეკრულებო ვალდებულებებს ან უბოძოს არისტოკრატული წოდებები.

არც ერთ შტატს არ აქვს უფლება, კონგრესის თანხმობის გარეშე რაიმე ბაჟით ან მოსაკრებლით დაბეგროს საქონლის იმპორტი ან ექპორტი, გარდა

იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს შტატის საინსპექციო კანონების შესასრულებლად საკმარისია აუცილებელია; შტატის მიერ იმპორტზე და ექსპორტზე დადგენილი ყველა მოსაკრებლიდან და ბაჟიდან სუფთა შემოსავალი ექცევა შეერთებული შტატების ხაზინის განკარგულებაში; ყველა ამგვარი კანონი შეიძლება გახდეს კონგრესის კონტროლისა და გადასინჯვის საგანი.

არც ერთ შტატს არ აქვს უფლება კონგრესის თანხმობის გარეშე დაადგინოს ტონაჟი, შეინახოს ჯარი ან მშვიდობის დროს სამხედრო ხომალდი, სხვა შტატთან ან უცხოეთის სახელმწიფოსთან დადოს შეთანხმება ან ხელშეკრულება ან აწარმოოს ომი, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ უკვე შემოესივნენ ან იმყოფება იმგვარ გარდაუვალ საშიშროებაში, რომლის დროსაც დაუშვებელია დაყოვნება.

მუხლი II

ნაწილი 1. აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს. იგი თანამდებობას იკავებს ოთხი წლის ვადით და ამავე ვადით არჩეულ ვიცე-პრეზიდენტთან ერთად შემდეგი წესით აირჩევა:

თითოეული შტატი მისივე საკანონმდებლო ორგანოს მიერ დადგენილი წესით ნიშნავს იმდენ დელეგატს, რამდენი სენატორისა და წარმომადგენლის კონგრესში არჩევის უფლებაც აქვს თითოეულ შტატს; მაგრამ დელეგატად არ შეიძლება დაინიშნოს სენატორი, წარმომადგენელი ან პირი, რომელსაც შეერთებული შტატების სამსახურში საპასუხისმგებლო ან შემოსავლის მომტანი თანამდებობა უკავია.

[დელეგატები იკრიბებიან თავიანთ შტატებში და ბიულეტენების მეშვეობით უყრიან კენჭს ორ პირს, რომელთაგან ერთი მაინც არ უნდა იყოს ამ შტატის მაცხოვრებელი. ისინი ადგენენ ყველა იმ პირის სიას, რომლებსაც ხმა მისცეს და თითოეული მათგანისთვის მიცემული ხმების რაოდენობას; ამ სიას ისინი ხელს აწერენ, ამოწმებენ და ბეჭედდასმულს აგზავნიან სენატის თავმჯდომარის სახელზე შეერთებული შტატების მთავრობის ადგილსამყოფელ ადგილზე. სენატის თავმჯდომარე სენატისა და წარმომადგენელთა პალატის თანდასწრებით ხსნის ყველა ბეჭედდასმულ სიას, რის შემდეგაც ხმები ითვლება. პირი, რომელიც მეტ ხმებს მიიღებს ხდება პრეზიდენტი, თუ ეს რიცხვი შეადგენს ყველა დანიშნული დელეგატის ხმათა უმრავლესობას; იმ შემთხვევაში, თუ ამგვარ უმრავლესობას ერთზე მეტი პირი მიიღებს და მათ ხმათა თანაბარი რაოდენობა ექნებათ, წარმომადგენელთა პალატა, ბიულეტენებით კენჭისყრით, ერთ-ერთ მათგანს დაუყოვნებლივ ირჩევს პრეზიდენტად.

თუ ვერც ერთი პირი ვერ მიიღებს ხმათა უმრავლესობას, დასახელებული პალატა ამგვარივე წესით ირჩევს პრეზიდენტს იმ ხუთი პირისგან, რომლებმაც სიაში არსებულ ყველა კანდიდატს შორის მეტი ხმები მიიღეს. მაგრამ პრეზიდენტის არჩევისას ხმები გადაეცემა შტატებს, ისე, რომ ყოველი შტატის წარმომადგენლობას თითო ხმა აქვს; ამ შემთხვევაში ქვორუმს შეადგენს შტატების წევრთა ორი მესამედი. პრეზიდენტის არჩევის შემდეგ, ყველა შემთხვევაში, ვიცე-პრეზიდენტი ხდება პირი, რომელიც დელეგატთა ხმების უმრავლესობას მიიღებს. თუ აღმოჩნდება, რომ ხმათა თანაბარი რაოდენობა მიიღო ორმა ან მეტმა პირმა, სენატი, ბიულეტენებით კენჭისყრით, მათგან ირჩევს ვიცე-პრეზიდენტს].[1]

კონგრესს შეუძლია განსაზღვროს დელეგატთა არჩევის დრო და მათ მიერ ხმის მიცემის დღე; ასეთი დღე მთელ შეერთებულ შტატებში საერთოა.

არც ერთ პირს, გარდა დაბადებით მოქალაქისა ან ამ კონსტიტუციის მიღების მომენტში შეერთებული შტატების მოქალაქისა, არ აქვს პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩევის უფლება; ამ თანამდებობაზე არჩევის უფლება არც იმ პირს გააჩნია, რომელსაც ოცდათხუთმეტი წლის ასაკისთვის არ მიუღწევია და თოთხმეტი წლის მანძილზე არ ცხოვრობს შეერთებულ შტატებში.

[პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების, გარდაცვალების, გადადგომის ან დასახელებული თანამდებობრივი უფლებამოსილებისა და მოვალეობის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს ვიცე-პრეზიდენტი; პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის გადაყენების, გარდაცვალების, გადადგომის ან ქმედუუნარობის შემთხვევაში, კონგრესს შეუძლია მიიღოს კანონი, სადაც მიუთითებს, თუ რომელი თანამდებობის პირი იმოქმედებს როგორც პრეზიდენტი; ეს თანამდებობის პირი შესაბამისად მოქმედებს, სანამ არ აღმოიფხვრება პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების შეუსრულებლობის მიზეზი ან არ აირჩევა ახალი პრეზიდენტი].[2]

პრეზიდენტი თავისი სამსახურისთვის დადგენილ ვადებში იღებს ანაზღაურებას, რომელიც არ შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს არჩევის ვადის განმავლობაში და მას ამ პერიოდში არ შეუძლია შეერთებული შტატებიდან ან რომელიმე შტატიდან რაიმე სხვა შემოსავლის მიღება.

თანამდებობის დაკავების წინ პრეზიდენტი დებს შემდეგ ფიცს ან საზეიმო დაპირებას: „საზეიმოდ ვფიცავ (ან ვპირდები), რომ კეთილსინდისიერად აღვასრულებ შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანამდებობრივ მოვალეობას, შესაძლებლობების ფარგლებში სრულად დავუჭერ მხარს და დავიცავ შეერთებული შტატების კონსტიტუციას“.

---

[1] ფრჩხილებში მითითებული დებულება შეიცვალა კონსტიტუციის XII შესწორებით.

[2] ფრჩხილებში მითითებული დებულება შეიცვალა კონსტიტუციის XXV შესწორებით.

ნაწილი 2. პრეზიდენტი არის შეერთებული შტატების არმიისა და ფლოტის და შეერთებული შტატების მოქმედ სამსახურში გასაწვევი ცალკეული შტატების მილიციის მთავარსარდალი; მას შეუძლია ნებისმიერი აღმასრულებელი დეპარტამენტის უმაღლესი თანამდებობის პირისგან, მათ თანამდებობრივ ვალდებულებებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე, წერილობითი ფორმით მოითხოვოს აზრი; მას აქვს შეერთებული შტატების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის, გარდა იმპიჩმენტის შემთხვევისა, სასჯელის აღსრულების გადავადების ან შეწყალების უფლება.

მას უფლება აქვს სენატის რჩევითა და თანხმობით დადოს საერთაშორისო ხელშეკრულებები დამსწრე სენატორთა ორი მესამედის მიერ დამტკიცების პირობით; სენატის რჩევითა და თანხმობით იგი ნიშნავს ელჩებს, სხვა ოფიციალურ წარმომადგენლებსა და კონსულებს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებსა და შეერთებული შტატების იმ სხვა თანამდებობის პირებს, რომელთა დანიშვნაც კონსტიტუციის ამ წესით არ არის გათვალისწინებული და რომელთა თანამდებობაც კანონით იქმნება; თუმცა კონგრესს შეუძლია პრეზიდენტს, მოსამართლეებს ან დეპარტამენტების თავმჯდომარეებს კანონით მიანიჭოს იმ ქვემდგომი თანამდებობის პირების ინდივიდუალურად დანიშვნის უფლება, რომლებსაც მართებულად ჩათვლის.

პრეზიდენტს უფლება აქვს თანამდებობრივი რწმუნების მინიჭებით შეავსოს სენატის სესიებს შორის პერიოდში წარმოქმნილი ყველა ვაკანსია, რომელთა მოქმედების ვადა შემდგომი სესიის ბოლოს დასრულდება.

ნაწილი 3. პრეზიდენტი კონგრესს პერიოდულად აწვდის ინფორმაციას კავშირის მდგომარეობის შესახებ და აძლევს იმ ზომების განხილვის რეკომენდაციას, რომლებსაც აუცილებლად და მიზანშეწონილად მიიჩნევს; მას შეუძლია საგანგებო შემთხვევებში მოიწვიოს ორივე პალატა ან ნებისმიერი მათგანი, ხოლო პალატებს შორის უთანხმოების შემთხვევაში სხდომის დროებით გადატანის მიზნით — გადაიტანოს ისინი იმ ვადით, რასაც მართებულად ჩათვლის; იგი იღებს ელჩებსა და სხვა ოფიციალურ წარმომადგენლებს; იგი ზრუნავს კანონების კეთილსინდისიერად აღსრულებაზე და შეერთებული შტატების ყველა თანამდებობის პირს ანიჭებს თანამდებობრივ უფლებამოსილებას.

ნაწილი 4. პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტისა და შეერთებული შტატების ყველა სამოქალაქო თანამდებობის პირის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება შესაძლებელია სახელმწიფო ღალატის, მექრთამეობის, სხვა მნიშვნელოვანი დანაშაულისა და გადაცდომისათვის მსჯავრდებისას.

მუხლი III

ნაწილი 1. შეერთებული შტატების სასამართლო ხელისუფლება ენიჭება ერთ უზენაეს სასამართლოს და იმ ქვემდგომ სასამართლოებს, რომლებსაც კონგრესი პერიოდულად დააფუძნებს. უზენაესი სასამართლოსა და ქვემდგომი სასამართლოების მოსამართლეები თანამდებობას იკავებენ, სანამ მათი ყოფაქცევა უმწიკვლოა, ხოლო დადგენილ ვადებში იღებენ სამსახურებრივ ანაზღაურებას, რომლის შემცირება მათი თანამდებობაზე ყოფნის დროს დაუშვებელია.

ნაწილი 2. სასამართლო ხელისუფლება ვრცელდება: ამ კონსტიტუციის, შეერთებული შტატების კანონებისა და მისი სახელით დადებულ ან მომავალში დასადებ საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილ, სამართალსა და სამართლიანობაზე დაფუძნებულ ყველა საქმეზე; ყველა საქმეზე, რომელიც ეხება ელჩებს, სხვა ოფიციალურ წარმომადგენლებსა და კონსულებს; საადმირალო და საზღვაო იურისდიქციის ყველა საქმეზე; იმ დავებზე, რომლებშიც მხარედ შეერთებული შტატები გამოდის; ორ ან მეტ შტატს შორის დავებზე; შტატსა და რომელიმე სხვა შტატის მოქალაქეებს შორის; სხვადასხვა შტატის მოქალაქეებს შორის; სხვა შტატის მიერ ნაბოძებ მიწაზე პრეტენზიის მქონე ერთი და იმავე შტატის მოქალაქეებს შორის და შტატებს ან მათ მოქალაქეებსა და უცხო სახელმწიფოებს, მათ მოქალაქეებს ან ქვეშევრდომებს შორის დავებზე.

ელჩების, სხვა ოფიციალური წარმომადგენლებისა და კონსულების ყველა საქმესთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლო აღჭურვილია პირველადი იურისდიქციით. ყველა სხვა ზემოჩამოთვლილ საქმეებზე უზენაესი სასამართლო აღჭურვილია სააპელაციო იურისდიქციით, როგორც კანონის, ისე ფაქტის საკითხთან დაკავშირებით, კონგრესის მიერ დადგენილი გამონაკლისებითა და წესით.

ყველა დანაშაულის შესახებ საქმე, გარდა იმპიჩმენტის წესით დეენისა, განიხილება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ. ასეთი განხილვა იმ შტატში უნდა წარიმართოს, სადაც ჩადენილია დანაშაული; მაგრამ თუ ისინი არც ერთი შტატის საზღვრებში არ არის ჩადენილი, საქმის განხილვა მიმდინარეობს კონგრესის მიერ კანონში მითითებულ ადგილას ან ადგილებზე.

ნაწილი 3. შეერთებული შტატების წინააღმდეგ მიმართულ სახელმწიფო ღალატად ჩაითვლება მხოლოდ მის წინააღმდეგ ომის წარმოება, მის მტრებთან გაერთიანება, მტრებისთვის დახმარების ან მხარდაჭერის აღმოჩენა. არავის არ შეიძლება მსჯავრი დაედოს სახელმწიფო ღალატში ერთი და იმავე

საჯარო ქმედების შესახებ ორი მოწმის ჩვენების ან სასამართლოს ღია სხდომაზე საკუთარი აღიარების შემთხვევაში.

კონგრესს უფლება აქვს სახელმწიფო ღალატისთვის დაადგინოს სასჯელი, მაგრამ სახელმწიფო ღალატში ბრალდება არ იწვევს შთამომავლობის უფლებების აყრას ან ქონების კონფისკაციას პირის სიკვდილის შემდეგ. ეს მხოლოდ მის სიცოცხლეშია შესაძლებელი.

მუხლი IV

ნაწილი 1. სრული ნდობა და პატივისცემა უნდა მიაგონ ყოველ შტატში ნებისმიერი სხვა შტატის ოფიციალურ აქტებს, დოკუმენტებსა და სამართალწარმოების პროცედურებს. კონგრესს საერთო კანონების მიღების გზით შეუძლია განსაზღვროს ამ აქტების, სამართალწარმოების დოკუმენტებისა და პროცედურების ნამდვილობის დამოწმების, ასევე მათი იურიდიული ძალის დადგენის წესი.

ნაწილი 2. ყოველი შტატის მოქალაქეს ენიჭება სხვა შტატის მოქალაქეთა პრივილეგიები და შეღავათები.

რომელიმე შტატში სახელმწიფო ღალატის, მძიმე და სხვა დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირი, რომელიც ემალება მართლმსაჯულებას და აღმოჩენილ იქნება სხვა შტატში, იმ შტატის აღმასრულებელი ხელისუფლების მოთხოვნით, რომელ შტატსაც გაექცა, უნდა გადაეცეს შტატს, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება ეს დანაშაული.

[არც ერთი პირი, რომელიც მსახურობს ან მუშაობს ერთ შტატში ამავე შტატის კანონით და გაიქცა სხვა შტატში, არ თავისუფლდება სამსახურიდან ან სამუშაოდან ამ უკანასკნელი შტატის კანონის ან დადგენილების ძალით, მაგრამ უნდა გადაეცეს იმ მხარის განცხადებით, რომელსაც ამ სამსახურზე ან სამუშაოზე აქვს უფლება.][1]

ნაწილი 3. ახალი შტატები შეიძლება კონგრესის მიერ მიღებულ იქნეს ამ კავშირში, მაგრამ არც ერთი ახალი შტატი არ შეიძლება შეიქმნას და დაარსდეს რომელიმე სხვა შტატის იურისდიქციის ფარგლებში; და არც ერთი შტატი არ შეიძლება შეიქმნას ორი ან მეტი შტატის ან შტატების ნაწილის შეერთებით, დაინტერესებული შტატების საკანონმდებლო კრებების, ისევე როგორც კონგრესის თანხმობის გარეშე.

---

[1] ფრჩხილებში მოცემული დებულება შეიცვალა კონსტიტუციის XIII შესწორებით.

კონგრესს უფლება აქვს განკარგოს შეერთებულ შტატებს მიკუთვნებული ტერიტორიები ან სხვა საკუთრება და მათ შესახებ გამოსცეს ყველა აუცილებელი დადგენილება და წესი. ეს კონსტიტუცია ისე უნდა განიმარტოს, რომ ზიანი არ მიადგეს შეერთებულ შტატებს ან ცალკეულ შტატს.

ნაწილი 4. შეერთებული შტატები ამ კავშირის ნებისმიერი შტატისთვის უზრუნველყოფენ მმართველობის რესპუბლიკურ ფორმას და თითოეულ მათგანს იცავენ შემოსევისგან, ხოლო საკანონმდებლო კრების ან აღმასრულებელი ხელისუფლების შუამდგომლობით (როდესაც საკანონმდებლო კრება არ შეიძლება მოწვეულ იქნეს) — შინაგანი ძალმომრეობისგან.

მუხლი V

როდესაც პალატების წევრთა ორი მესამედი საჭიროდ ჩათვლის, კონგრესს შეუძლია წარადგინოს შესწორებები ამ კონსტიტუციაში, ან შტატების საკანონმდებლო კრებების ორი მესამედის მოთხოვნით ცვლილებების წარსადგენად მოიწვიოს კონვენტი; ორივე შემთხვევაში ამგვარ ცვლილებებს, როგორც კონსტიტუციის ნაწილს, ყველა ურთიერთობაში იურიდიული ძალა გააჩნია შტატების საკანონმდებლო კრებების სამი მეოთხედის ან მათი კონვენტების სამი მეოთხედის მიერ რატიფიკაციის შემდეგ, იმის მიუხედავად, თუ რატიფიკაციის რომელ ფორმას შესთავაზებს კონგრესი. ათას რვაას რვა წლამდე მიღებული არც ერთი ცვლილება არ უნდა შეეხოს პირველი მუხლის მეცხრე ნაწილის პირველ და მეოთხე პუნქტებს; შტატს, მისი თანხმობის გარეშე, არ შეიძლება ჩამოერთვას სხვა შტატის თანასწორი ხმის უფლება სენატში.

მუხლი VI

ამ კონსტიტუციის მიღებამდე არსებული ვალები და ვალდებულებები ამ კონსტიტუციით იმავე ძალას ინარჩუნებენ შეერთებული შტატებისთვის, რასაც კონფერედაციისთვის.

ეს კონსტიტუცია და ამ კონსტიტუციის აღსასრულებლად მიღებული შეერთებული შტატების კანონები, ისევე როგორც ხელშეკრულებები, რომლებიც დადებულია ან დაიდება შეერთებული შტატების სახელით, წარმოადგენს ქვეყნის უზენაეს სამართალს; და მოსამართლეები ყოველ შტატში ვალდებულნი არიან შეიზღუდონ ამ სამართლით, რომ მას არ ეწინააღმდეგებოდეს არც ერთი შტატის კონსტიტუცია და კანონი.

ზემოდასახელებული სენატორები და წარმომადგენლები, ცალკეული შტატების საკანონმდებლო კრებების წევრები, შეერთებული შტატებისა და ცალკეული შტატების აღმასრულებელი და სასამართლო თანამდებობის პირები დებენ საზეიმო ფიცსა და დაპირებას, რომ დაიცავენ ამ კონსტიტუციას; მაგრამ რელიგიურობის არანაირი ერთგულება არ შეიძლება განხილულ იქნეს რაიმე თანამდებობის ან შეერთებული შტატების სამსახურში ოფიციალური თანამდებობის დაკავების პირობად.

მუხლი VII

ამ კონსტიტუციის მისაღებად საკმარისია ცხრა შტატის კონვენტების მიერ მისი რატიფიცირება, რის შემდეგაც იგი ძალაში შევა იმ შტატებისათვის, რომლებიც ამ წესის შესაბამისად დაამტკიცებენ მას.

მიღებულ იქნა კონვენტზე დამსწრე შტატების ერთსულოვანი თანხმობით უფლისა ჩვენისა დაბადებიდან სექტემბრის ჩვიდმეტ რიცხვში ათას შვიდას ოთხმოცდაშვიდ წელს და ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობიდან მეთორმეტე წელს; რის დასტურადაც ჩვენ ხელს ვაწერთ,

ჯ. ვაშინგტონი - პრეზიდენტი და დეპუტატი ვირჯინიიდან
ნიუ-ჰემპშირი: ჯონ ლენგდონი, ნიკოლას გილმენი
მასაჩუსეტსი: ნათანიელ გორემი, რუფუს კინგი
კონეტიკუტი: უილიამ სემიუელ ჯონსონი, როჯერ შერმანი
ნიუ-იორკი: ალექსანდერ ჰამილტონი
ნიუ-ჯერსი: უილიამ ლივინგსტონი, დევიდ ბრერლი, უილიამ პეტერსონი, ჯონათან დეიტონი
პენსილვანია: ბენჯამინ ფრანკლინი, თომას მიფლინი, რობერტ მორისი, ჯორჯ კლაიმერი, თომას ფიცსიმონსი, ჯარელ ინგერსოლი, ჯეიმს უილსონი, გუვერნერ მორისი
დელავერი: ჯორჯ რუდი, განინგ ბენდფორდ უმცრ., ჯონ დიკინსონი, რიჩარდ ბასეტი, ჯეიკობ ბრუმი
მერილენდი: ჯეიმს მაკჰენრი, დენიელ ოფ სენტ-თომას ჯენიფერი, დენიელ ქეროლი
ვირჯინია: ჯონ ბლეირი, ჯეიმს მედისონ უმცროსი
ჩრდილოეთ კაროლინა: უილიამ ბლაუნტი, რიჩარდ დობს სპეითი, პიუ უილიამსონი
სამხრეთ კაროლინა: ჯონ რუტლეჯი, ჩარლზ კოუტსუორტ პინკნი, ჩარლზ პინკნი, პირს ბატლერი
ჯორჯია: უილიამ ფიუ, აბრამ ბოლდვინი

ვადასტურებ: უილიამ ჯეკსონი, მდივანი

17 სექტემბერი 1787 წელი

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის შესწორებების შესახებ მუხლები, რომლებიც კონსტიტუციის მეხუთე მუხლის შესაბამისად წარმოდგენილია კონგრესის მიერ და რატიფიცირებულია ცალკეული შტატების საკანონმდებლო კრებების მიერ

I შესწორება (1791 წელი)[1]

კონგრესს არ შეუძლია გამოსცეს რაიმე კანონი რელიგიის დადგენისა და თავისუფალი აღმსარებლობის აკრძალვის, სიტყვისა და ბეჭდის თავისუფლების ან ხალხის მშვიდობიანად შეკრებისა და საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ ხელისუფლებისთვის პეტიციით მიმართვის უფლებების შეზღუდვის თაობაზე.

II შესწორება (1791 წელი)

რამდენადაც კარგად ორგანიზებული მილიცია აუცილებელია თავისუფალი სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის, არ შეიძლება დაირღვევს ხალხის უფება, შეინახოს ან ატაროს იარაღი.

III შესწორება (1971 წელი)

მშვიდობიანობისა თუ ომიანობის დროს არც ერთი ჯარისკაცი არ შეიძლება დაბინავდეს რომელიმე სახლში მფლობელის თანხმობის გარეშე; თუმცა საომარ დროს ეს დასაშვებია კანონით გათვალისწინებული წესით.

IV შესწორება (1971 წელი)

არ შეიძლება დაირღვევს ხალხის უფლება დაცულ იქნეს პირადი, საცხოვრებელი ადგილის, დოკუმენტებისა და ქონების უსაფუძვლო ჩხრეკისა და დაპატიმრებისაგან. ფიცით ან საზეიმო განცხადებით განმტკიცებული არც ერთი ორდერი არ შეიძლება გამოიცეს საკმარისი საფუძვლის არსებობის გარეშე; ამიტომ ორდერი უნდა შეიცავდეს გასაჩხრეკი ადგილისა და დასაპატიმრებელი პირებისა და საგნების დაწვრილებით აღწერას.

---

[1] აშშ-ის კონსტიტუციის პირველი ათი შესწორება ერთდროულად იქნა მიღებული და წარმოადგენს უფლებათა ბილს.

V შესწორება (1791 წელი)

არავინ არ შეიძლება მიეცეს პასუხისგებაში მძიმე ან სხვა დამამცირებელი დანაშაულისთვის, დიდი ჟიურის წარმომადგენლობისა და საბრალდებო დასკვნის გარეშე, გარდა სახმელეთო ან სამხედრო-საზღვაო ძალებში ან მილიციაში აღძრული საქმეებისა, როდესაც პირი მოქმედ სამსახურში ომის დროს ან საზოგადოებისთვის საშიშ პერიოდში არის გაწვეული; არავინ არ შეიძლება ერთი და იგივე სამართალდარღვევისთვის ორჯერ დაექვემდებაროს სიცოცხლის შეწყვეტის ან სხეულის ხელშეუხებლობის დარღვევის მუქარას; არავინ არ შეიძლება იძულებულ იქნეს სისხლის სამართლის საქმეზე იყოს მოწმე საკუთარი თავის წინააღმდეგ; არავის არ შეიძლება აეკრძალოს სიცოცხლე, თავისუფლებები ან საკუთრება სათანადო სამართლებრივი პროცედურის გარეშე; კერძო საკუთრება საზოგადოებრივი სარგებლობისათვის არ შეიძლება ამოღებულ იქნეს სამართლიანი ანაზღაურების გარეშე.

VI შესწორება (1971 წელი)

სისხლისსამართლებრივი დევნის ყველა შემთხვავევაში ბრალდებულს აქვს მიუკერძოებელ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით სწრაფი და საჯარო სასამართლო განხილვის უფლება იმ შტატის და ოლქის მიერ, სადაც ჩადენილ იქნა დანაშაული; ბრალდებულს უფლება აქვს გაეცნოს ბრალის არსსა და საფუძველს; მას აქვს იმ მოწმეებთან დაპირისპირების უფლება, რომლებიც მის წინააღმდეგ ჩვენებას აძლევენ. ასევე მას აქვს თავისი მხრიდან მოწმეების იძულებითი მოწვევისა და საკუთარი დაცვისთვის ადვოკატის დახმარების უფლება.

VII შესწორება (1791 წელი)

საერთო სამართალზე დაფუძნებულ ყველა საქმეზე, რომლებშიც სარჩელის სადავო ფასი აღემატება ოც დოლარს, დაცულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილვის უფლება; მაგრამ ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილული არც ერთი ფაქტი არ შეიძლება გადაისინჯოს შეერთებული შტატების რომელიმე სასამართლოს მიერ, საერთო სამართლის ნორმებთან შესაბამისობის გარეშე.

VIII შესწორება (1791 წელი)

არ უნდა იქნეს მოთხოვნილი გადაჭარბებული გირაო ან დაეკისროს გადაჭარბებული ჯარიმები ან დაინიშნოს მძიმე და უჩვეულო სასჯელები.

IX შესწორება (1791 წელი)

კონსტიტუციაში ცალკეული უფლებების ჩამოთვლა არ უნდა იქნეს განმარტებული ხალხისთვის მინიჭებული სხვა უფლებების უარყოფად ან საზიანოდ.

X შესწორება (1791 წელი)

უფლებამოსილება, რომელიც ამ კონსტიტუციით შეერთებული შტატებისთვის არ არის დელეგირებული და რომლით სარგებლობაც არ არის აკრძალული ცალკეული შტატების მიერ, დაცულია შესაბამისად შტატების ან ხალხისთვის.

XI შესწორება (1795 წელი)

შეერთებული შტატების სასამართლო ხელისუფლება არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, რომ გავრცელდეს რომელიმე იმ სასარჩელო წარმოებაზე, რომელიც დაფუძნებულია სამართალსა და სამართლიანობაზე და აღძრულია ან მიმდინარეობს ერთი შტატის მოქალაქეთა წინააღმდეგ მეორე შტატის მოქალაქეთა მიერ ან რომელიმე უცხოეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომთა მიერ.

XII შესწორება (1804 წელი)

დელეგატები იკრიბებიან თავიანთ შტატებში და ხმას აძლევენ პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს, რომელთაგან ერთი მაინც არ უნდა იყოს ამ შტატის მაცხოვრებელი; ისინი თავიანთ ბიულეტენებში უთითებენ პირს, რომელსაც ხმას აძლევენ პრეზიდენტად, ხოლო სხვა ბიულეტენში — პირს, რომელსაც ხმას აძლევენ ვიცე-პრეზიდენტად; ისინი ასევე ადგენენ იმ პირთა ცალკეულ სიებს, რომელთაც ხმა მისცეს პრეზიდენტად და ვიცე-პრეზიდენტად, თითოეული კანდიდატისთვის მიცემული ხმების რაოდენობის მითითებით; ამ სიებს ისინი ხელს აწერენ, ამოწმებენ და დალუქულს აგზავნიან შეერთებული შტატების მთავრობის ადგილსამყოფელ ადგილზე და სენატის თავმჯდომარის სახელზე. სენატის თავმჯდომარე სენატისა და წარმომადგენელთა პალატის თანდასწრებით ხსნის ყველა დალუქულ სიას, რის შემდეგაც ითვლება ხმები. პირი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს, ხდება პრეზიდენტი, თუ ამგვარი ხმების რაოდენობა შეადგენს ყველა დანიშნული დელეგატის ხმათა უმრავლესობას; იმ შემთხვევაში, თუ არც ერთი პირი არ მიიღებს ხმათა ამგვარ უმრავლესობას, იმ პირთაგან (არა უმეტეს სამისა მათგან, რომელსაც ხმა მისცეს პრეზიდენტად), რომელთაც აქვთ ხმათა უმეტე-

სი რაოდენობა, წარმომადგენელთა პალატა ბიულეტენებით კენჭისყრით ერთ-ერთ მათგანს დაუყოვნებლივ ირჩევს პრეზიდენტად. პრეზიდენტის არჩევისას ხმები გადაეცემა შტატებს, ამიტომ ყოველი შტატის წარმომადგენლობას თითო ხმა აქვს; ამ შემთხვევაში ქვორუმს შეადგენენ შტატების ორი მესამედიდან არჩეული პალატის წევრები. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტის ასარჩევად აუცილებელია ყველა შტატის ხმების უმრავლესობა. [თუ წარმომადგენელთა პალატა, როდესაც არჩევის უფლება მასზე გადადის, შემდგომი მარტის მეოთხე დღემდე არ აირჩევს პრეზიდენტს, მაშინ ვიცე-პრეზიდენტი მოქმედებს როგორც პრეზიდენტი, ისევე როგორც პრეზიდენტის სიკვდილის ან კონსტიტუციური უუნარობის შემთხვევებში].[1]

ვიცე-პრეზიდენტი ხდება პირი, რომელიც ვიცე-პრეზიდენტად უმეტეს ხმებს მიიღებს, თუ ამგვარი რაოდენობა შეადგენს ყველა დანიშნული დელეგატის ხმათა უმრავლესობას; თუ ვერც ერთი პირი ვერ მიიღებს ხმათა უმრავლესობას, მაშინ იმ ორი პირიდან, რომლებმაც სიაში არსებულ ყველა კანდიდატს შორის ხმათა უმეტესი რაოდენობა მიიღეს, სენატი ირჩევს ვიცე-პრეზიდენტს; ამ შემთხვევაში ქვორუმი შეადგენს ყველა სენატორის ორ მესამედს, ამიტომ ვიცე-პრეზიდენტის ასარჩევად აუცილებელია ყველა სენატორის ხმათა უმრავლესობა. მაგრამ არც ერთი პირი, რომელიც არ ექვემდებარება კონსტიტუციური მოთხოვნის ძალით პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩევას, არ შეიძლება არჩეულ იქნეს შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე.

XIII შესწორება (1865 წელი)

ნაწილი 1. შეერთებულ შტატებში ან მის იურისდიქციას დაქვემდებარებულ რომელიმე ადგილზე არ შეიძლება არსებობდეს მონობა და იძულებითი სამუშაოები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გათვალისწინებულია, როგორც ჩადენილი დანაშაულისთვის კანონით დადგენილი სასჯელი.

ნაწილი 2. კონგრესს უფლება აქვს ეს მუხლი აღასრულოს შესაბამისი კანონმდებლობის მიღების გზით.

XIV შესწორება (1868 წელი)

ნაწილი 1. ყველა პირი, ვინც დაბადებულია ან ნატურალიზებულია შეერთებულ შტატებში და ექვემდებარება მის იურისდიქციას, არის შეერთებული შტატებისა და იმ შტატის მოქალაქე, სადაც ცხოვრობს. არც ერთ შტატს

---

[1] ფრჩხილებში მოცემული დებულება შეცვლილია კონსტიტუციის XX შესწორების მე-3 ნაწილით.

არ აქვს უფლება მიიღოს ან გამოიყენოს კანონი, რომელიც ზღუდავს შეერთებული შტატების მოქალაქეთა პრივილეგიებსა და შეღავათებს; ასევე, არც ერთ შტატს არ აქვს უფლება რომელიმე პირს ჩამოართვას სიცოცხლე, თავისუფლება ან საკუთრება სათანადო სამართლებრივი პროცედურის გარეშე ან უარი უთხრას თავისი იურისდიქციის ფარგლებში კანონებით თანასწორ დაცვაზე.

ნაწილი 2. ცალკეულ შტატებს შორის წარმომადგენლები ნაწილდება მათი მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად, გარდა გადასახადით დაუბეგრავი ინდიელებისა. მაგრამ დელეგატთა მიერ შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის არჩევისას, კონგრესის წარმომადგენლების, შტატის აღმასრულებელი და სასამართლო თანამდებობის პირთა ან შტატის საკანონმდებლო კრების წევრთა არჩევნებზე, თუ ხმის მიცემაზე უარი ეთქმება ოცდაერთი წლის ასაკს მიღწეულ შეერთებული შტატების მამრობითი სქესის მოქალაქეს ან ეს უფლება რაიმე წესით იზღუდება, რაც გამოწვეულია აჯანყებაში ან სხვა დანაშაულში მონაწილეობით, ამ შტატის წარმომადგენლობის რაოდენობა უნდა შემცირდეს იმ პროპორციებში, რომ ამგვარ მამაკაც მოქალაქეთა რიცხვი შეესაბამებოდეს ამ შტატის ოცდაერთი წლის ასაკს მიღწეულ მამაკაც მოქალაქეთა საერთო რაოდენობას.

ნაწილი 3. არც ერთი პირი არ შეიძლება იყოს სენატორი ან წარმომადგენელი კონგრესში ან პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის დელეგატი ან შეერთებული შტატების ან რომელიმე შტატის სამსახურში იკავებდეს რაიმე სამოქალაქო ან სამხედრო თანამდებობას, თუ მან წინათ ფიცი დადო, როგორც კონგრესის წევრმა ან შეერთებული შტატების თანამდებობის პირმა ან რომელიმე შტატის საკანონმდებლო კრების წევრმა ან რომელიმე შტატის აღმასრულებელი ან სასამართლო თანამდებობის პირმა, იმის თაობაზე, რომ დაიცავდა შეერთებული შტატების კონსტიტუციას, ხოლო შემდგომ მონაწილეობა მიიღო შეერთებული შტატების წინააღმდეგ ამბოხებაში ან აჯანყებაში ან მის მტრებს აღმოუჩინა დახმარება ან თანადგომა. მაგრამ კონგრესს შეუძლია თითოეული პალატის ხმათა ორი მესამედით აღმოფხვრას ასეთი შეზღუდვა.

ნაწილი 4. კანონით სანქციონირებული შეერთებული შტატების სახელმწიფო ვალის კანონზომიერება, პენსიის გადახდისა და ამბოხების ან აჯანყების ჩახშობისთვის სამსახურებრივი ჯილდოსთვის აღებული ვალის ჩათვლით, არ დგას ეჭვქვეშ. მაგრამ არც შეერთებულმა შტატებმა და არც რომელიმე შტატმა არ შეიძლება თავის თავზე აიღოს შეერთებული შტატების წინააღმდეგ ამბოხების ან აჯანყებისთვის დახმარებასთან დაკავშირებული ვა-

ლების რაიმე ვალდებულება ან გადახდა ან სცნოს რომელიმე მონის დაკარგვასა და განთავისუფლებასთან დაკავშირებული რაიმე პრეტენზია; ყველა ამგვარი ვალი, ვალდებულება და პრეტენზია უკანონოდ და ბათილად ითვლება.

ნაწილი 5. კონგრესს უფლება აქვს ეს მუხლი აღასრულოს შესაბამისი კანონმდებლობის მიღების გზით.

XV შესწორება (1870 წელი)

ნაწილი 1. შეერთებული შტატების მოქალაქეთა ხმის უფლება არ შეიძლება შეერთებული შტატების ან რომელიმე შტატის მიერ უარყოფილ იქნეს ან შეიზღუდოს რასის, კანის ფერის ან მონობის უწინდელ პირობებში ყოფნის ნიშნით.

ნაწილი 2. კონგრესს უფლება აქვს აღასრულოს ეს მუხლი შესაბამისი კანონმდებლობის მიღების გზით.

XVI შესწორება (1913 წელი)

კონგრესს უფლება აქვს დაადგინოს და მოკრიფოს გადასახადები ნებისმიერი წყაროდან მიღებული შემოსავლიდან, ამ გადასახადების შტატებს შორის განაწილებისა და მოსახლეობის რაიმე მიწერის ან აღრიცხვის გარეშე.

XVII შესწორება (1913 წელი)

შეერთებული შტატების სენატის შემადგენლობაში შედის თითოეული შტატიდან შტატის მოსახლეობის მიერ ექვსი წლის ვადით არჩეული ორი სენატორი; ყოველ სენატორს აქვს ერთი ხმა. ყოველი შტატის ამომრჩევლები უნდა პასუხობდნენ შტატის საკანონმდებლო კრების ყველაზე მრავალრიცხოვანი პალატის ამომრჩევლებისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. როდესაც სენატში რომელიმე შტატის წარმომადგენლობაში გაჩნდება ვაკანსია, ამ შტატის აღმასრულებელი ხელისუფლება გამოსცემს ბრძანებას ამ ვაკანსიის შესავსებად არჩევნების ჩატარების შესახებ; ამიტომ შტატის საკანონმდებლო კრებას შეუძლია მისსავე აღმასრულებელ ხელისუფლებას დაავალოს დროებითი დანიშვნის განხორციელება, სანამ მოსახლეობა საკანონმდებლო კრების მიერ დადგენილი წესით ჩატარებული არჩევნების გზით არ შეავსებს ვაკანსიას. ეს შესწორება არ შეიძლება განიმარტოს იმ სახით, რომ მისი მოქმედება გავრცელდეს შესწორების, როგორც კონსტიტუციის ნაწილის ძალაში შესვლამდე არჩეული სენატორის არჩევნებზე ან უფლებამოსილების ვადაზე.

XVIII შესწორება (1919 წელი)

[*ნაწილი 1.* ამ მუხლის რატიფიკაციიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ შეერთებულ შტატებსა და მის იურისდიქციას დაქვემდებარებულ ყველა ტერიტორიაზე აიკრძალება დამათრობელი სასმელის წარმოება, გაყიდვა და მოხმარების მიზნით გადაზიდვა; შეერთებულ შტატებსა და მის ტერიტორიებზე აიკრძალება აღნიშნული მიზნით დამათრობელი სასმელის შემოტანა, ისევე როგორც ამ სასმელის ამავე მიზნით გატანა.

ნაწილი 2. კონგრესსა და ცალკეულ შტატებს უფლება აქვთ ერთიანად აღასრულონ ეს მუხლი შესაბამისი კანონმდებლობის მიღების გზით.

ნაწილი 3. ეს მუხლი არ შედის ძალაში, თუ ის, როგორც კონსტიტუციის ცვლილება არ იქნება რატიფიცირებული ცალკეული შტატების საკანონმდებლო კრებების მიერ, როგორც ეს გათვალისწინებულია კონსტიტუციაში, კონგრესის მიერ შტატებისთვის დასამტკიცებლად წარდგენიდან შვიდი წლის განმავლობაში.][1]

XIX შესწორება (1920 წელი)

შეერთებული შტატების ან რომელიმე შტატის მიერ არ შეიძლება შეერთებული შტატების მოქალაქეთა ხმის უფლება უარყოფილ იქნეს ან შეიზღუდოს სქესის ნიშნით.

კონგრესს უფლება აქვს ეს მუხლი აღასრულოს შესაბამისი კანონმდებლობის მიღების გზით.

XX შესწორება (1933 წელი)

ნაწილი 1. თუ ეს მუხლი არ იქნება რატიფიცირებული, პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადები იწურება იანვრის მე-20 დღის შუადღით, ხოლო სენატორთა და წარმომადგენელთა უფლებამოსილების ვადები — იანვრის მე-3 დღის შუადღით იმ წელს, როდესაც ეს ვადები ამოიწურებოდა, თუ ეს მუხლი რატიფიცირებული იქნებოდა. ამავე დროს იწყება მათი უფლებამონაცვლეების უფლებამოსილების ვადები.

ნაწილი 2. კონგრესი იკრიბება წელიწადში არანაკლებ ერთხელ და ეს სესია იწყება იანვრის მე-3 დღის შეადღით, თუ კონგრესი კანონით სხვა დღეს არ დანიშნავს.

---

[1] ფრჩხილებში მოცემული დებულება შეცვლილია XXI შესწორების პირველი ნაწილით.

ნაწილი 3. თუ პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის დასაწყისში არჩეული პრეზიდენტი გარდაიცვლება, არჩეული ვიცე-პრეზიდენტი ხდება პრეზიდენტი. თუ პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის დასაწყისად დადგენილ მომენტში პრეზიდენტი ვერ იქნა არჩეული ან თუ არჩეული პრეზიდენტი ვერ პასუხობს ამ თანამდებობისთვის წაყენებულ მოთხოვნებს, არჩეული ვიცე-პრეზიდენტი მოქმედებს როგორც პრეზიდენტი, სანამ პრეზიდენტი არ უპასუხებს ამგვარ მოთხოვნებს; იმ შემთხვევაში, თუ ვერც არჩეული პრეზიდენტი და ვერც არჩეული ვიცე-პრეზიდენტი ვერ პასუხობენ ამ თანამდებობებისთვის წაყენებულ მოთხოვნებს, კონგრესს შეუძლია მიიღოს კანონი, რომელიც მიუთითებს, თუ ვინ იმოქმედებს როგორც პრეზიდენტი ან დაადგინოს იმ პირის არჩევის წესი, რომელმაც უნდა იმოქმედოს, როგორც პრეზიდენტმა; ასეთი პირი ასრულებს შესაბამის ვალდებულებებს, სანამ პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი არ უპასუხებენ მათ თანამდებობებზე კანდიდატებისთვის წაყენებულ მოთხოვნებს.

ნაწილი 4. კონგრესს შეუძლია კანონით გაითვალისწინოს ზომები იმ პირთა გარდაცვალების შემთხვევისთვის, რომელთაც წარმომადგენელთა პალატა, როდესაც არჩევის უფლება მასზე გადადის, ირჩევს პრეზიდენტად, ხოლო სენატი, როდესაც არჩევის უფლება მასზე გადადის — ვიცე-პრეზიდენტად.

ნაწილი 5. პირველი და მეორე ნაწილები ძალაში შედის ამ მუხლის რატიფიკაციის უახლოესი ოქტომბრის მე-15 დღეს.

ნაწილი 6. ეს მუხლი არ შედის ძალაში, თუ ის კონსტიტუციის შესწორების სახით არ იქნება რატიფიცირებული ცალკეული შტატების საკანონმდებლო კრებების სამი მეოთხედის მიერ სარატიფიკაციოდ წარდგენიდან შვიდი წლის განმავლობაში.

XXI შესწორება (1933 წელი)

ნაწილი 1. შეერთებული შტატების კონსტიტუციის შესწორების მეთვრამეტე მუხლი ამით იცვლება.

ნაწილი 2. იკრძალება რომელიმე შტატში, ტერიტორიაზე ან შეერთებული შტატების სამფლობელოში დამათრობელი სასმელების მოქმედი კანონების დარღვევით, გადაზიდვის ან გამოყენების მიზნით შეტანა ან იქედან გატანა ამით.

ნაწილი 3. ეს მუხლი არ შედის ძალაში, თუ კონსტიტუციის შესწორების სახით არ იქნა რატიფიცირებული ცალკეული შტატების კონვენტების მიერ, როგორც ეს გათვალისწინებულია კონსტიტუციით, კონგრესის მიერ შტატებისთვის დასამტკიცებლად წარდგენიდან შვიდი წლის განმავლობაში.

XXII შესწორება (1951 წელი)

ნაწილი 1. არც ერთი პირი არ შეიძლება არჩეულ იქნეს პრეზიდენტის თანამდებობაზე ორზე მეტჯერ და არც ერთი პირი არ შეიძლება პრეზიდენტად არჩეულ იქნეს ერთზე მეტჯერ, რომელიც პრეზიდენტის თანამდებობას დაიკავებს ან მოქმედებს როგორც პრეზიდენტი ორ წელზე მეტი ვადით, რის შემდეგაც პრეზიდენტად სხვა პირი იქნა არჩეული. მაგრამ ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება პირზე, რომელსაც პრეზიდენტის თანამდებობა ეკავა კონგრესის მიერ კონსტიტუციის წარდგენისას და არ აფერხებს პირს, რომელიც პრეზიდენტის თანამდებობას იკავებს ან მოქმედებს როგორც პრეზიდენტი ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის ვადის განმავლობაში ან უკავია პრეზიდენტის თანამდებობა დარჩენილი ვადის განმავლობაში ან მოქმედებდა როგორც პრეზიდენტი.

ნაწილი 2. ეს მუხლი არ შედის ძალაში, თუ ის ცალკეული შტატების საკანონმდებლო კრებების სამი მეოთხედის მიერ კონგრესის მიერ შტატებისთვის დასამტკიცებლად წარდგენიდან შვიდი წლის განმავლობაში კონსტიტუციის შესწორების სახით არ იქნება რატიფიცირებული.

XXIII შესწორება (1961 წელი)

ნაწილი 1. ოლქი, რომელიც არის შეერთებული შტატების მთავრობის ადგილსამყოფელი ადგილი, კონგრესის მიერ დადგენილი წესით ნიშნავს სენატორთა და წარმომადგენელთა იმ რაოდენობის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის დელეგატებს, რამდენის არჩევის უფლებაც ექნებოდა ოლქს, თუ შტატი იქნებოდა, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში იმაზე ბევრს, რამდენსაც ყველაზე ნაკლები რაოდენობის მოსახლეობით დასახლებული შტატი ირჩევს; ისინი ამატებენ შტატების მიერ დანიშნულ დელეგატებს, მაგრამ პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის არჩევისას განხილულ უნდა იქნენ, როგორც შტატების მიერ დანიშნული დელეგატები; ისინი იკრიბებიან ოლქში და ასრულებენ XII შესწორებით დაწესებულ ვალდებულებებს.

ნაწილი 2. კონგრესს უფლება აქვს ეს მუხლი აღასრულოს შესაბამისი კანონმდებლობის მიღების გზით.

XXIV შესწორება (1964 წელი)

ნაწილი 1. შეერთებული შტატების მოქალაქეთა უფლება, ხმა მისცენ პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის რომელიმე პირველად ან სხვა არჩევნებზე, ასევე პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის დელეგატთა ან კონგრესში სენატორთა ან წარმომადგენელთა არჩევნებზე, შეერთებული შტატების ან რომელიმე შტატის მიერ არ შეიძლება უარყოფილ იქნეს ან შეიზღუდოს რომელიმე საარჩევნო ან სხვა გადასახადის გადაუხდელობის გამო.

ნაწილი 2. კონგრესს უფლება აქვს ეს მუხლი აღასრულოს შესაბამისი კანონმდებლობის მიღების გზით.

XXV შესწორება (1967 წელი)

ნაწილი 1. პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების, გარდაცვალების ან გადადგომის შემთხვევებში ვიცე-პრეზიდენტი ხდება პრეზიდენტი.

ნაწილი 2. თუ ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა ვაკანტური გახდება, პრეზიდენტი ნიშნავს ვიცე-პრეზიდენტს, რომელიც თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგება კონგრესის ორივე პალატის ხმათა უმრავლესობის მიერ დამტკიცებისას.

ნაწილი 3. თუ პრეზიდენტი სენატის დროებით თავმჯდომარესა და წარმომადგენელთა პალატის სპიკერს გადასცემს თავის წერილობით განცხადებას იმის შესახებ, რომ მას არ შესწევს თავისი თანამდებობრივი უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების განხორციელების უნარი და ჯერ არ მიუღია უკან დაბრუნებული წერილობითი განცხადება, ამგვარი უფლებამოსილებები და ვალდებულებები ხორციელდება ვიცე-პრეზიდენტის, როგორც პრეზიდენტის უფლებამოსილების განმახორციელებლის მიერ.

ნაწილი 4. თუ ვიცე-პრეზიდენტი და აღმასრულებელი დეპარტამენტების ან სხვა ამგვარი ორგანოს, რომელიც კონგრესს შეუძლია კანონით გაითვალისწინოს, უმაღლესი თანამდებობის პირთა უმრავლესობა სენატის დროებით თავმჯდომარესა და წარმომადგენელთა პალატის სპიკერს გადასცემს თავის წერილობით განცხადებას იმის შესახებ, რომ პრეზიდენტს არ შესწევს თავისი თანამდებობრივი უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების განხორციელების უნარი, ვიცე-პრეზიდენტი, როგორც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, დაუყოვნებლივ იღებს თავის თავზე ამ თანამდებობრივ უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს.

შემდგომ, როდესაც პრეზიდენტი სენატის დროებით თავმჯდომარესა და წარმომადგენელთა პალატის სპიკერს გადასცემს თავის წერილობით განცხადებას იმის შესახებ, რომ უკვე აღარ არსებობს ქმედუუნარობა, იგი აღიდგენს თავის თანამდებობრივ უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს, თუ ვიცე-პრეზიდენტი და აღმასრულებელი დეპარტამენტების ან სხვა ამგვარი ორგანოს, რომელიც კონგრესს შეუძლია კანონით გაითვალისწინოს, უმაღლეს თანამდებობის პირთა უმრავლესობა სენატის დროებით თავმჯდომარეს ოთხი დღის ვადაში არ წარუდგენს ან წარმომადგენელთა პალატის სპიკერს არ გადასცემს თავის წერილობით განცხადებას იმის შესახებ, რომ პრეზიდენტს არ შესწევს თავისი თანამდებობრივი უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების განხორციელების უნარი. ამის შედეგად, კონგრესი ამ მიზნით იკრიბება ოცდარვა საათის განმავლობაში, თუ ამ დროს არ მიმდინარეობს მისი სესია და წყვეტს მოცემულ საკითხს. თუ კონგრესი უკანასკნელი წერილობითი განცხადების მიღებიდან ოცდაერთი დღის ვადაში ან, თუ ამ დროს არ მიმდინარეობს კონგრესის სესია, კონგრესის შეკრებიდან ოცდაერთი დღის ვადაში, ორივე პალატის ხმათა ორი მესამედით განსაზღვრავს, რომ პრეზიდენტს არ შესწევს თავისი თანამდებობრივი უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების განხორციელების უნარი, ვიცე-პრეზიდენტი, როგორც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, აგრძელებს ამის განხორციელებას; წინააღმდეგ შემთხვევაში პრეზიდენტი ხელახლა აღიდგენს თავისი თანამდებობრივი უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების განხორციელებას.

XXVI შესწორება (1971 წელი)

ნაწილი 1. შეერთებული შტატების თვრამეტი წლის ან მეტი ასაკის მოქალაქეთა ხმის უფლება არ შეიძლება შეერთებული შტატების ან რომელიმე შტატის მიერ უარყოფილ იქნეს ან შეიზღუდოს ასაკის მიუხედავად.

ნაწილი 2. კონგრესს უფლება აქვს შესაბამისი კანონმდებლობის მირების გზით აღასრულოს ეს მუხლი.

XXVII შესწორება (1992 წელი)

არც ერთი კანონი, რომელიც სენატორთა და წარმომადგენელთა სამსახურებრივი ანაზღაურების ოდენობას ცვლის არ შეიძლება ძალაში შევიდეს წარმომადგენელთა არჩევნების ჩატარებამდე.

არგენტინა


BOLIVIA
BRAZIL
PARAGUAY
URUGUAY
CHILE
San Miguel de Tucumán
Resistencia
San Juan
Córdoba
Santa Fe
Mendoza
Rosario
Río Cuarto
BUENOS AIRES
La Plata
Bahía Blanca
Mar del Plata
San Carlos de Bariloche
Viedma
South Atlantic Ocean
Comodoro Rivadavia
Patagonia
Puerto Santa Cruz
Falkland Islands
Ushuaia
Cape Horn
0 200 400 km
0 200 400 mi

ზოგადი ცნობარი
შესავალი

ადამიანი არგენტინის ტერიტორიაზე დასახლდა ნეოლითის ხანაში ჩვ. წ. აღ-მდე 8-7 ათასი წლის წინათ. XVI საუკუნისთვის იქ ცხოვრობდნენ სხვადასხვა ინდიელი ტომები, რომლებიც თემურ-გვაროვნულ წყობილებას ინარჩუნებდნენ. შემდგომ პერიოდში არგენტინა კოლონიის სტატუსით შედიოდა ესპანეთის სამეფოს შემადგენლობაში. ესპანეთისაგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1816 წლიდან არგენტინაში მუდმივად მიმდინარეობდა შიდა კონფლიქტები კონსერვატორებსა და ლიბერალებს, აგრეთვე სამოქალაქო და სამხედრო დაჯგუფებებს შორის. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პერონისტების მმართველობას მოჰყვა სამხედრო ხუნტა, რომელმაც 1976 წელს ძალაუფლება მოიპოვა. დემოკრატიული წყობა აღდგენილ იქნა 1983 წელს და ამ პერიოდის შემდგომმა მრავალრიცხოვანმა არჩევნებმა დაადასტურეს არგენტინის წინსვლა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობისკენ.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: სამხრეთ ამერიკის სამხრეთი ნაწილი; ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება ბოლივია, პარაგვაი და ბრაზილია, აღმოსავლეთით — ურუგვაი, დასავლეთით და სამხრეთით — ჩილე.

ფართობი: სულ: 2 766 890 კმ^2; ხმელეთი: 2 736 690 კმ^2; წყალი: 30 200 კმ^2.

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: პამპასების ნაყოფიერი მიწები, ტყვია, თუთია, კალა, სპილენძი, რკინის მადანი, მანგანუმი, ნავთობი, ურანი.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 40 677 348 (2008);

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:
0-14 წლის: 24.6% (მამაკაცი 5 123 722; ქალი 4 893 843);
15-64 წლის: 64.6% (მამაკაცი 13 143 693; ქალი 13 127 372);
65 წლის და ზემოთ: 10.8% (მამაკაცი 1 801 101; ქალი 2 587 617) (2008).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: 0.917% (2008);

შობადობა: 16.32 დაბადებული 1 000 მოსახლეზე (2008);

სიკვდილიანობა: 7.54 გარდაცვლილი 1 000 მოსახლეზე (2008);

მიგრაცია: 0,39 მიგრანტი 1 000 მოსახლეზე (2008);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა:
მთელი მოსახლეობის მიმართ: 76.52 წელი; კაცი: 72.81 წელი; ქალი: 80.43 (2008);

ეთნიკური ჯგუფები: თეთრკანიანი (უმეტესწილად ესპანელი და იტალიელი) 97%, მეტისი, ინდიელი და სხვა არათეთრკანიანი 3%;

რელიგია: რომაულ-კათოლიკური 92%, პროტესტანტული 2%, იუდაიზმი 2%, სხვა 4%;

ენა: ესპანური (სახელმწიფო ენა), ინგლისური, იტალიური, გერმანული, ფრანგული;

განათლებულობა:
მთელი მოსახლეობის: 97.2%. მამაკაცი: 97.2%; ქალი: 97.2% (2001);
განსაზღვრება: მოცემულია 15 წლის ზევით პირთა მიმართ, რომელთაც წერა-კითხვა შეუძლიათ.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:
ვრცელი ფორმა: არგენტინის რესპუბლიკა;
შემოკლებული ფორმა: არგენტინა;
ადგილობრივი შემოკლებული სახელწოდება: არგენტინა;
ადგილობრივი ვრცელი სახელწოდება: რეპუბლიკა არგენტინა.

მმართველობის ფორმა: რესპუბლიკა

დედაქალაქი: ბუენოს-აირესი

ადმინისტრაციული ერთეულები:
23 **პროვინცია:** ბუენოს-აირესი, კატამარკა, ჩაკო, ჩუბუტი, კორდობა, კორიენტესი, ენტრე რიოსი, ფორმოზა, ჟუჟუი, ლა პამპა, ლა რიოხა, მენდოზა, მისიონესი, ნეუქენი, რიო ნეგრო, სალტა სან ხუანი, სან ლუისი, სანტა

კრუზი, სანტა ფე, სანტიაგო დელ ესტერო, ტიერა დელ ფუეგო - ანტარტიდა ე ისლეს დელ ატლანტიკო სურ, ტუკუმანი.
1 ავტონომიური ქალაქი: დედაქალაქი ბუენოს-აირესი.

დამოუკიდებლობა: 1816 წლის 9 ივლისი (ესპანეთისგან);

ეროვნული დღესასწაული: რევოლუციის დღე, 25 მაისი (1810);

აღმასრულებელი ხელისუფლება:
სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური: პრეზიდენტი ქრისტინა კირჩნერი (2007 წლის 10 დეკემბრიდან);
არჩევნები: უკანასკნელად ჩატარდა 2007 წლის 28 ოქტომბერს.

სამინისტროები: განათლების სამინისტრო, ეკონომიკისა და წარმოების სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, იუსტიციისა და ადამიანის უფლებების დაცვის სამინისტრო, საგარეო საქმეთა, საერთაშორისო ვაჭრობის, კულტის, ღვთისმსახურების, საეკლესიო საქმეთასამინისტრო, სოციალური განვითარების სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, შრომის, დასაქმებისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და საწარმოო ინოვაციების სამინისტრო, ფედერალური დაგეგმვის, სახელმწიფო ინვესტიციებისა და მომსახურების სამინისტრო.

საკანონმდებლო ხელისუფლება:
ორპალატიანი ეროვნული კონგრესი: შედგება სენატისა და დეპუტატთა პალატისგან;
არჩევნები: უკანასკნელად ჩატარდა 2007 წლის 28 ოქტომბერს.

ძირითადი პოლიტიკური პარტიები: ჰუსტიციალისტური პარტია, ტრადიციონალისტთა მიმდინარეობა, სამოქალაქო რადიკალური კავშირი, მოძრაობა „აღდგენა ზრდის მიზნით“, მოძრაობა „ელიტარული რესპუბლიკისათვის“, კომუნისტური პარტია, გაერთიანებული მენარცხენე ალიანსი, სახალხო პარტია.

ეკონომიკა

ეკონომიკის მიმოხილვა: არგენტინა სარგებელს იღებს საკუთარი მდიდარი ბუნებრივი რესურსებიდან, ექსპორტზე ორიენტირებული აგრარული სექტორიდან და მრავალდარგოვანი სამრეწველო ბაზიდან. უკანასკნელ ათწლეულში ქვეყანა განიცდიდა ინფლაციას, საგარეო ვალთან, კაპიტალის გადინე-

ბასა და საბიუჯეტო დეფიციტთან დაკავშირებულ პრობლემებს. ეკონომიკის ზრდის ტემპი 2000 წელს 0.8%-ით შემცირდა. მთავრობის მცდელობა, მიეღწია „ნულოვანი დეფიციტისთვის", მოეხდინა საბანკო სისტემის სტაბილიზაცია და ეკონომიკური ზრდის აღდგენა, მზარდი ეკონომიკური პრობლემების წინაშე არასაკმარისი აღმოჩნდა, რაც გადაიზარდა 2001 წელს ქვეყნის თანამედროვე ისტორიაში უმძიმეს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ კრიზისში. 2002 წლის ბოლოსთვის მოხერხდა ეკონომიკის განვითარების მცირეოდენი სტაბილიზაცია. 2003 წელს რეკორდული ექსპორტის შედეგად ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი შეადგენდა 5.5%-ს, უმუშევრობის დონემ იკლო და ინფლაცია წელიწადში 4.2%-მდე შემცირდა. მთავრობამ განახორციელა ეროვნული ვალუტის დევალვაცია, თუმც იმავდროულად დააწესა ფასებზე კონტროლი, შეზღუდა სამსახურიდან დათხოვნის თავისუფლება, აამოქმედა შემწეობებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა.

მთლიანი შიდა პროდუქტი - მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: $523.7 მილიარდი (2007;

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 8.5% (2007;

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: $13.000 (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა: 6%; მრეწველობა: 29%; მომსახურება: 65% (2007);

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: 23.4% (2007);

ბიუჯეტი: შემოსავალი: $48.99 მილიარდი; გასავალი: $46.87 მილიარდი (2007);

ექსპორტი: $54.6 მილიარდი (2007);

საექსპორტო საქონელი: სოიოს ნაწარმი, ნავთობი და ბენზინი, მარცვლეული ხორბლეული, მექანიკური სატრანსპორტო საშუალებები.

ექსპორტის პარტნიორები:
ბრაზილია 17.5%, ჩილე 9.5%, აშშ 8.9%, ჩინეთი 7.5% (2006);

იმპორტი: $40.26 მილიარდი (2007);

საიმპორტო საქონელი: მანქანა-დანადგარები, მექანიკური სატრანსპორტო საშუალებები, ორგანული ქიმიკატები, ნავთობი და ბუნებრივი აირი, პლასტმასი.

იმპორტის პარტნიორები: ბრაზილია 34.8%, აშშ 12.6%, ჩინეთი 9.1%, გერმანია 4.5% (2006);

საგარეო ვალი: $118 მილიარდი (2007 წლის სექტემბერი);

ეკონომიკური მხარდაჭერა: $99.66 მილიონი (2005);

ვალუტა: არგენტინული პესო (ARS).

კონსტიტუციის მიმოხილვა

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. არგენტინაში სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პირველ მცდელობას ადგილი ჰქონდა მთავრობის მიერ მაისის რევოლუციის შემდეგ, როდესაც პირველ ხუნტას არ შეეძლო გადასახადების დამოუკიდებლად შემოღება კაბილდოს თანხმობის გარეშე. მრავალ რევოლუციურ ლიდერს, რომელთაც მარიანო მორენო მეთაურობდა, სურდა დამოუკიდებლობის მყისვე გამოცხადება, რისთვისაც აუცილებელი იყო კონსტიტუციის მიღება. 1810 წლის ოქტომბერში დიდმა ხუნტამ, როგორც პირველი ხუნტის სამართალმემკვიდრემ, შექმნა ხელისუფლების დანაწილებისათვის აუცილებელი პროექტი, მაგრამ იგი არ იქნა მიღებული აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ. მიუხედავად ამისა, იმავე წლის ნოემბერში მიღებულ იქნა ბეჭდვის თავისუფლების დამადასტურებელი და პიროვნული უსაფრთხოების აქტები. 1813 წელს საყოველთაო კონსტიტუციური ასამბლეა აპირებდა კონსტიტუციის მიღებას, მაგრამ შეძლო მხოლოდ მონათა შვილებისათვის თავისუფლების გამოცხადება.

1819 და 1826 წლებში გამოცხადდა ორი კონსტიტუციის ტექსტი, რაც საბოლოოდ წარუმატებლობით დასრულდა ფედერალებსა და ცენტრისტებს შორის არსებული უთანხმოების გამო.

1820-დან 1853 წლამდე – საბოლოო კონსტიტუციის მიღებამდე, ბევრი სხვა აქტი მოქმედებდა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია: პილარის შეთანხმება (1820), კვადრილატეროს შეთანხმება (1822), ფედერალური პაქტი (1831), პალერმოს ოქმი (1852) და სან ნიკოლას პაქტი (1852).

ფედერალურმა პაქტმა არ გაითვალისწინა პროვინციებისათვის საერთო ფედერალური კონგრესის მოწვევის უფლება, რითაც ფაქტობრივად შეიზღუდა ხუან მანუელ და როზას ძალაუფლება, რომელიც იყო ყველაზე ძლიერი პროვინციის გუბერნატორი და, ამდენად, კონგრესი საერთოდ ვერ იქნა მოწვეული. დე როზას დამარცხების შემდეგ, 1952 წლის სან ნიკოლას შეთანხმების შედეგად საბოლოოდ მოწვეულ იქნა ეროვნული დამფუძნებელი კრება, რომელმაც 1853 წლის 1 მაისს სანტა ფეში, დადო ფიცი, რომ მიიღებდა ფედერალურ კონსტიტუციას.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. არგენტინის პირველი კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1853 წელს სანტა ფეში შეკრებილი ეროვნული დამფუძნებელი კრების მიერ, რომლის დოქტრინალური საფუძველის ნაწილი გადმოღებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციიდან.

კონსტიტუციის გადასინჯვის წესს ითვალისწინებს არგენტინის კონსტიტუციის 30-ე მუხლი, რომლის თანახმად, შესაძლებელია კონსტიტუციის

მთლიანად ან ნაწილობრივ შეცვლა. ამ მიზნით კონსტიტუციური რეფორმის აუცილებლობა კონგრესის წევრთა ხმების სულ მცირე ორი მესამედით უნდა იყოს ინიცირებული. ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ მიზნით მოწვეული კონვენტის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

არგენტინის კონსტიტუციაში ცვლილებები შეტანილ იქნა 1860, 1866, 1898, 1949, 1957 და 1994 წლებში.

პირველი საკონსტიტუციო ცვლილება 1853 წლის კონსტიტუციის ორიგინალურ ტექსტში განხორციელდა 1860 წელს, მას შემდეგ, რაც ბუენოს-აირესი დაუბრუნდა არგენტინის კონფედერაციას. იგი მოიცავდა რამდენიმე ცვლილებას, რომელთაგან ერთ-ერთი უმთავრესი ეხებოდა სახელმწიფოს სახელწოდების შეცვლას – გატარებული რეფორმების შედეგად ქვეყნის ოფიციალური სახელწოდება გახდა „არგენტინის რესპუბლიკა", რამაც შეცვალა კონსტიტუციის ყველა მუხლში არგენტინის კონფედერაციის ცნება. აგრეთვე მნიშვნელოვანი იყო ბუენოს-აირესის განსაკუთრებული უფლებების კონსტიტუციის დონეზე აღიარება, რაც გარანტირებული იყო სან ნიკოლასის შეთანხმებით.

შემდგომი რეფორმები გაგრძელდა 1866 წელს, როდესაც კონსტიტუციით დადგინდა, რომ საექსპორტო და საიმპორტო გადასახადები უნდა მიემართოს ეროვნულ ხაზინაში.

1898 წელს განხორციელდა მცირე კონსტიტუციური შესწორება. იგი დეპუტატთა პალატაში წევრობისთვის ადგენდა უფრო მოქნილ ცენზს, ხოლო მინისტრების რაოდენობა 8 წევრით განისაზღვრა.

კონსტიტუციის მნიშვნელოვან გადასინჯვას ადგილი ჰქონდა 1949 წლის რეფორმის შედეგად. მისი მიზანი იყო ტექსტის შესწორება და მე-20 საუკუნეში არსებული დემოკრატიის კონცეფტუალურ პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც მოიცავდა სოციალურ უფლებებს, რომლებიც აუმჯობესებდა შრომით პირობებს, კარგი განათლების უფლებას და სხვა. ცვლილებების შედეგად დადგინდა პრეზიდენტის ხელახალი ვადით არჩევის შეუზღუდავი წესი.

სამხედრო რეჟიმის პერიოდში 1955, 1957 და 1958 წლის არჩევნებამდე კონსტიტუციის რეფორმირების მიზნით არჩეულ იქნა კონსტიტუციური კონვენტი, რომელმაც ფაქტობრივად გააუქმა 1949 წლის რეფორმის შედეგები და ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების ტექსტი დაეფუძნა 1898 წლის კონსტიტუციის ტექსტს. განხორციელებული ცვლილებების არსი მდგომარეობდა იმაში, რომ კონსტიტუციაში შევიდა პერონის სოციალური ხასიათის მუხლები, რომელიც ცნობილია 14[1] მუხლით, აგრეთვე დადგინდა შრომისა და სოციალური უსაფრთხოების კოდექსის მიღების აუცილებლობა.

1972 წელს კონსტიტუციური ცვლილება განხორციელდა სამხედრო მთავრობის მიერ, რომელმაც შეასწორა 1957 წლის ტექსტი. ეს ცვლილებები სრულად არ იყო აღიარებული პერონის დემოკრატიული მთავრობის მიერ უფლებამოსილების მესამე ვადაში და მისი მეუღლე იზაბელა პერონის მიერ, რომელიც პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა ქმრის გარდაცვალების შემდეგ. ცვლილებების ნაწილი შეეხებოდა სენატის შემადგენლობის რაოდენობას, აგრეთვე პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტის ერთი ვადით ხელახლა არჩევას, ითვალისწინებდა პრეზიდენტის, სენატორების და დეპუტატთა უფლებამოსილების ვადის ოთხ წლამდე შემცირებას.

კონსტიტუციის უკანასკნელი და დღეს მოქმედი ვერსია ჩამოყალიბდა 1994 წელს პრეზიდენტ კარლოს მენემის მიერ. იგი მოიცავდა 1972 წლის შესწორების მრავალ მოდიფიკაციას, კერძოდ, სენატორთა რადენობას (სამ-სამი სენატორი თითო პროვინციიდან), პრეზიდენტის ხელახლა არჩევის ერთ შესაძლებლობას და მისი უფლებამოსილების ვადის 4 წლამდე დაყვანას. ცვლილებების შედეგად ბუენოს-აირესი გახდა დამოუკიდებელი ერთეული საკუთარი ხელისუფლებით. სხვა ცვლილებები ეხებოდა უფრო საპრეზიდენტო რეჟიმის შესუსტებას, უფლებათა თავში ახალი თავის შემოღებას, რომელიც ეხებოდა პოლიტიკურ უფლებებს, აგრეთვე უფლებებს ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის სფეროში, აგრეთვე კანონების მისაღებად განისაზღვრა უფრო სწრაფი საკანონმდებლო პროცედურები.

კონსტიტუციის ანალიზი. არგენტინის კონსტიტუცია შედგება პრეამბულისა და 130 მუხლისაგან.

კონსტიტუციის პირველი თავი ითვალისწინებს ზოგადი ხასიათის დებულებებს პროვინციების უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, საგადასახადო და საბაჟო განაწესებზე, ადამიანის უფლებებსა და მათი განხორციელების გარანტიებზე. ქვეყანაში განმტკიცებულია მმართველობის რესპუბლიკური ფორმა და წარმომადგენლობითი პოლიტიკური სისტემა.

კონსტიტუცია უზრუნველყოფს რელიგიის თავისუფლებას. ამასთან, რომაულ-კათოლიკურ ეკლესიას ქვეყანაში ტრადიციულად პრივილეგირებული მდგომარეობა უკავია. 1994 წლის კონსტიტუციურმა რეფორმამ გააუქმა ეკლესიაზე სახელმწიფო მეურვეობის ფორმა, აგრეთვე პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის მიმართ კათოლიკური ეკლესიისადმი მიკუთვნების სავალდებულო მოთხოვნები, თუმცა ამის შემდგომაც კონსტიტუციაში არსებობს ნორმა, რომელიც ფედერალურ მთავრობას ავალდებულებს მხარი დაუჭიროს რომაულ-კათოლიკურ სამოციქულო სარწმუნოებას.

არგენტინის კონსტიტუციით დაცული უფლებები ოთხ ჯგუფად არის დაყოფილი: სამოქალაქო, პირად, პოლიტიკურ და სოციალურ უფლებებად.

არგენტინის ყველა მცხოვრებს აქვს მუშაობისა და ნებისმიერი კანონიერი საქმიანობის შესრულების, ხელისუფლების ორგანოებისადმი მიმართვის, არგენტინის ტერიტორიაზე შესვლის, დარჩენის, გადაადგილებისა და მისი დატოვების, წინასწარი ცენზურის გარეშე პრესაში საკუთარი აზრების გამოქვეყნების, საკუთრებით სარგებლობისა და მისი განკარგვის, სასარგებლო მიზნით გაერთიანების, რწმენის თავისუფლად გამოხატვის, სწავლისა და სწავლების უფლებები.

კონსტიტუციის შესაბამისად, შრომა მისი სხვადასხვა ფორმით კანონით არის დაცული და იგი მშრომელთათვის უნდა უზრუნველყოფდეს: შრომის ღირსეულ და სამართლიან პირობებს, შეზღუდულ სამუშაო საათებს, ანაზღაურებად დასვენებასა და შვებულებას, სამართლიან ანაზღაურებას, დადგენილ საცხოვრებელ მინიმუმს, თანასწორ ანაზღაურებას თანასწორი სამუშაოს შესრულებისთვის, საწარმოთა მოგებაში მონაწილეობას, წარმოებაზე კონტროლსა და ადმინისტრაციასთან თანამშრომლობას, თვითნებური გათავისუფლებისგან დაცვას, სახელმწიფო მოსამსახურეთა გარანტიებს.

საუკუნეების სულისკვეთებით არის ნაკარნახევი არგენტინის კონსტიტუციის მე-15 მუხლი, კერძოდ „არგენტინის სახელმწიფოში მონები არ არსებობენ. ისინი, ვინც ჯერ კიდევ მონები არიან, წინამდებარე კონსტიტუციის მიღების მომენტიდან იღებენ თავისუფლებას. სპეციალური კანონი დაადგენს ანაზღაურებას, რაც შესაძლოა ამ დებულებამ წარმოშვას. ადამიანების ყიდვის ან გაყიდვის შესახებ ნებისმიერი გარიგება დანაშაულად ითვლება, რისთვისაც პასუხს აგებენ მისი ხელმომწერი მხარეები, ასევე ნოტარიუსი ან მოხელე, რომლებმაც ნება დართეს ასეთი გარიგების დადებაზე. მონები, რომლებიც რაიმე გზით არგენტინაში აღმოჩნდებიან, ხდებიან თავისუფალნი თვით რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოსვლის ფაქტის ძალით.“

კონსტიტუციით დაცულია კერძო საკუთრება და იგი ხელშეუხებლად ცხადდება საკუთრების ჩამორთმევა სახელმწიფო ინტერესებისათვის დასაშვებია კანონის ძალით და მხოლოდ წინასწარი ანაზღაურების პირობით.

სახელმწიფოს არც ერთი მცხოვრები არ შეიძლება მსჯავრდებულ იქნეს წინასწარი სასამართლო განხილვის გარეშე იმ კანონის საფუძველზე, რომელიც მიღებული იყო მისი საქმის აღძვრამდე. საცხოვრებელი ადგილი, წერილობითი კორესპონდენცია და პირადი წერილები ხელშეუხებელია, პოლიტიკურ საქმეებზე სიკვდილით დასჯა და ნებისმიერი სახის წამება სამუდამოდ გაუქმებულია.

საინტერესოა არგენტინის კონსტიტუციის მე-19 მუხლის დანაწესი, რომელიც ეხება ბრალეულობის საკითხს და აცხადებს, რომ პირთა კერძო მოქმედებები, რომლებიც საზოგადოებრივ წესრიგს და მორალს არ არღვევს, ან ზიანს არ აყენებს მესამე პირებს მხოლოდ ღმერთის განსჯადია და გამოირიცხება მოსამართლეთა გამგებლობიდან.

უცხოელები არგენტინის ტერიტორიაზე სარგებლობენ ყველა სამოქალაქო უფლებით.

კონსტიტუცია არგენტინის თითოეულ მოქალაქეს ავალებს იარაღით ხელში დადგეს სამშობლოსა და კონსტიტუციის დასაცავად. ამასთან აღნიშნული მოვალეობისაგან თავისუფლდებიან ნატურალიზებული მოქალაქეები, რომლებიც მოქალაქეობის შესახებ მიღებიდან ათი წლის განმავლობაში თავისუფალნი არიან ამ სამსახურის შესრულებისა თუ შეუსრულებლობისგან.

კონსტიტუცია შეიცავს არგენტინაში იმიგრაციის წამახალისებელ ნორმას, რომლის მიხედვით ფედერალურმა მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს ევროპულ იმიგრაციას და რომელსაც უფლება არა აქვს შეზღუდოს, გაართულოს ან გადასახადით დაბეგროს არგენტინის ტერიტორიაზე იმ უცხოელთა შესვლა, რომლებიც ჩამოდიან მიწის დამუშავების, მრეწველობის განვითარების ხელშეწყობისა და მეცნიერებისა და ხელოვნების გაცნობისა და სწავლების მიზნით.

არგენტინის კონსტიტუციის II თავი (ახალი უფლებები და გარანტიები) უზრუნველყოფს პოლიტიკური უფლებების სრულად განხორციელებას სახალხო სუვერენიტეტის პრინციპისა და მისგან გამომდინარე კანონების შესაბამისად.

არგენტინაში საარჩევნო უფლება საყოველთაო, თანასწორი, ფარული და სავალდებულოა. ამომრჩევლები ვალდებულნი არის მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. კონსტიტუციით უზრუნველყოფილია პოლიტიკური პარტიების დაფუძნებისა და საქმიანობის განხორციელების თავისუფლება.

კონსტიტუციის ამავე თავით მოწესრიგებულია სახალხო საკანონმდებლო ინიციატივის ინსტიტუტი. მოქალაქეებს აქვთ დეპუტატთა პალატაში კანონპროექტების წარდგენის უფლება. კონგრესმა ისინი უნდა განიხილოს 12 თვის ვადაში.

კონგრესი თითოეული პალატის წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით იღებს კანონს, რომელმაც შესაბამისი ტერიტორიული დანაწილების გათვალისწინებით სახალხო ინიციატივის მხარდასაჭერად არ შეიძლება დააწესოს რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 3%-ზე მეტი რაოდენობა. მეტი აუცილებლობა. ასევე კონსტიტუციით დადგენილია საკითხთა წრე, რომლებზეც დაუშვებელია სახალხო ინიციატივის წესით კანონპროექტის წარდგენა. ესენია კანონპროექტები, რომლებიც ეხება კონსტიტუციურ რეფორმას, საერთაშორისო ხელშეკრულებებს, გადასახადების დაკისრებას, ბიუჯეტსა და სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობას.

კონსტიტუციაში მოცემულია აგრეთვე სახალხო კენჭისყრის (რეფერენდუმის) შესახებ ნორმები, კერძოდ, დეპუტატთა პალატის ინიციატივით, კონგრესმა შეიძლება კანონპროექტი წარადგინოს სახალხო კენჭისყრაზე. ხალხის მიერ დადებითი კენჭისყრის შედეგად კანონპროექტი კანონად იქცე-

ვა, რომლის გამოქვეყნებაც ავტომატურად ხდება. ასეთი წესით მიღებულ კანონზე ვეტოს დადება დაუშვებელია. კონგრესი ან პრეზიდენტი უფლებამოსილი არიან დანიშნონ არასავალდებულო ძალის სახალხო კენჭისყრა, რა შემთხვევაშიც მასში მონაწილეობა სავალდებულო ხასიათს არ წარმოადგენს.

კონსტიტუცია უზრუნველყოფს ყველა ადამიანის განვითარების შესაბამისი ჯანსაღი და დაბალანსებული გარემოს უფლებას. ამ უფლების რეალიზების მიზნით სახელმწიფო ადგენს მინიმალური დაცვის სტანდარტებს და პროვინციები ვალდებულნი არიან დაიცვან ისინი თავისი ადგილობრივი უფლებამოსილებების შეუცვლელად.

კონსტიტუციით აგრეთვე საკმაოდ დეტალურად არის რეგლამენტირებული სამართლებრივი დაცვის უფლება და მისი გამოყენების სამართლებრივი ინსტრუმენტები. აკრძალულია პრესის თავისუფლების შემზღუდავი ან მასზე ფედერალური იურიდისდიქციის დამდგენი კანონების მიღება.

კონსტიტუცია, არ შემოიფარგლება მხოლოდ მასში გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების ჩამონათვალით და აცხადებს, რომ დეკლარაციების, უფლებებისა და გარანტიების ჩამოთვლა არ უნდა იქნეს განმარტებული კონსტიტუციით გაუთვალისწინებული სხვა უფლებებისა და გარანტიების უარყოფად, თუ ისინი ხალხის სუვერენიტეტის პრინციპიდან და მმართველობის რესპუბლიკური ფორმიდან გამომდინარეობს.

არგენტინაში საკანონმდებლო ხელისუფლება მინიჭებული აქვს კონგრესს, რომელიც შედგება ორი პალატისგან — დეპუტატთა პალატისა და სენატისგან. ეს უკანასკნელი წარმოადგენს პროვინციებსა და ქალაქ ბუენოს-აირესს.

კონგრესის ორივე პალატა თავისი უფლებამოსილების მიხედვით მცირედ განსხვავდება ერთმანეთისაგან. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ დეპუტატთა პალატას ეკუთვნის ექსკლუზიური საკანონმდებლო ინიციატივის უფლება გადასახადებისა და ჯარში გაწვევის სფეროებში. მხოლოდ იგი არის უფლებამოსილი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული არამართლზომიერი ქმედებისა და დანაშაულის ჩადენისათვის სენატის წინაშე წაუყენოს ბრალდება პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეს, მინისტრებს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს. პალატა მოცემულ საკითხს წინასწარ განიხილავს და ბრალდების წაყენების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების 2/3-ით.

დეპუტატთა პალატა შედგება წარმომადგენლებისგან, რომლებიც აირჩევიან ხმების უბრალო უმრავლესობით პირდაპირ მოსახლეობის მიერ. თითო დეპუტატი აირჩევა ყოველი 33 ათასი მცხოვრებიდან ან დარჩენილ მაცხოვრებელთა არანაკლებ 16 ათას ხუთასიანი ნაწილისგან.

დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნეს 25 წლის ასაკს მიღწეული ოთხი წლის განმავლობაში არგენტინის სრულუფლებიანი მოქალაქე, რომელიც იმ პროვინციის მკვიდრია, საიდანაც კენჭს იყრის ან არჩევნებამდე ორი წლის

განმავლობაში გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი მოცემული პროვინციის ტერიტორიაზე. არჩევნები ტარდება 24 საარჩევნო ოლქში პროპორციული საარჩევნო სისტემის მიხედვით.

დეპუტატები თანამდებობას იკავებენ 4 წლის ვადით და შეიძლება ხელმეორედ იქნენ არჩეული. დეპუტატთა პალატის შემადგენლობის ნახევარი განახლდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ.

სენატი შედგება თითოეული პროვინციიდან და ქალაქ ბუენოს-აირესიდან ერთიანად და პირდაპირ არჩეული 3-3 სენატორისაგან. სამიდან ორი ადგილი დაეთმობა არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე პოლიტიკურ პარტიას, ხოლო ერთი - მეორე ადგილზე გასულ პოლიტიკურ პარტიას. თითოეულ სენატორს გააჩნია ერთი ხმის უფლება.

სენატორი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საარჩევნო ცენზებს: უნდა იყოს 30 წლის ასაკს მიღწეული 6 წლის განმავლობაში არგენტინის მოქალაქე, რომლის წლიური შემოსავალი 2 000 ოქროს პესოა და იმ პროვინციის მკვიდრია, საიდანაც კენჭს იყრის ან არჩევნებამდე ორი წლის განმავლობაში მოცემული პროვინციის ტერიტორიაზე გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

სენატორები თანამდებობას იკავებენ 6 წლის ვადით და მათი ხელახლა არჩევის რაოდენობა არ არის შეზღუდული. სენატის შემადგენლობა საარჩევნო ოლქების მიხედვით ყოველ ორ წელიწადში განახლდება 1/3-ით.

სენატს თავმჯდომარეობს ვიცე-პრეზიდენტი, რომელსაც ხმის უფლება აქვს მხოლოდ სენატორების ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში.

მხოლოდ სენატი არის უფლებამოსილი ღია სხდომაზე გაასამართლოს დეპუტატთა პალატის მიერ ბრალდებული პირები. როდესაც ბრალდება პრეზიდენტის წინააღმდეგ არის მიმართული, სენატს თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. სენატის განაჩენი, რომელიც დამსწრე სენატორთა არანაკლებ 2/3-ის თანხმობით მიიღება, შემოიფარგლება ბრალდებული პირის თანამდებობიდან გადაყენებითა და სახელმწიფო სამსახურში საპატიო, საპასუხისმგებლო ან ანაზღაურებადი თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით. მიუხედავად ამისა, დამნაშავედ ცნობილი მხარე, კანონის შესაბამისად ექვემდებარება ბრალდების წაყენებას, სამართალში მიცემასა და სასჯელის დაკისრებას საერთო სასამართლოების წინაშე.

კონგრესის წევრები სარგებლობენ იმუნიტეტით. დაუშვებელია კონგრესის წევრისთვის ბრალდების წაყენება, მისი სასამართლოში დაკითხვა ან დევნა კანონმდებლის უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში გამოთქმული აზრების ან წარმოთქმული სიტყვისთვის. ამას გარდა, დაუშვებელია სენატორის ან დეპუტატის დაპატიმრება მისი არჩევის დღიდან უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას დააპატიმრებენ ადგილზე წასწრებისას იმ დანაშაულისთვის, რაც სიკვდილით, სამარცხვინო

ან სხვა სერიოზული სასჯელით ისჯება, რის თაობაზეც შესაბამის პალატას დაუყოვნებლივ ატყობინებენ.

თითოეული პალატა სარგებლობს ინტერპელაციის უფლებით, იგი უფლებამოსილია პალატის მიერ აუცილებლად მიჩნეული განმარტებებისა და ანგარიშების მოსასმენად მოიწვიოს მინისტრები.

კონგრესის წევრს არ აქვს უფლება დაიკავოს თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან შეასრულოს აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილება შესაბამისი პალატის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა სამსახურებრივი დაწინაურების შემთხვევებისა. კონგრესის წევრები არ შეიძლება იყვნენ მოქმედი სასულიერო პირები. აგრეთვე, კონგრესის წევრი არ შეიძლება იყოს გუბერნატორი იმ პროვინციიდან, რომელსაც იგი წარმოადგენს.

კონგრესის ძირითად უფლებამოსილებას მიეკუთვნება: ეროვნული საბაჟო კანონმდებლობის მიღება და საიმპორტო და საექპორტო გადასახადების დაწესება; სახელმწიფოს სახელით სესხის აღება; სახელმწიფო მიწების გამოყენებისა და გასხვისების საკითხის გადაწყვეტა; სახელმწიფოს საგარეო და შიდა ვალის გადახდის საკითხის მოწესრიგება; სახელმწიფო ხაზინიდან დოტაციების გამოყოფა იმ პროვინციებისათვის, რომელთა შემოსავლები მათი ბიუჯეტების შესაბამისად მიმდინარე ხარჯებს ვერ ფარავენ; ფულის მოჭრა, ეროვნული და უცხოური ვალუტის კურსის დადგენა; კანონების მიღება; უზენაესი სასამართლოსადმი დაქვემდებარებული სასამართლოების დაფუძნება; თანამდებობების შემოიღება და განსაზღვრა; ჯილდოების დადგენა და საყოველთაო ამნისტიების გამოცხადება; პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის გადადგომის მიღება ან უარყოფა და აუცილებლობის შემთხვევაში ახალი არჩევნების დანიშვნა; უცხო სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ხელშეკრულებების, აგრეთვე ვატიკანთან დადებული კონკორდატების დამტკიცება ან უარყოფა; აღმასრულებელ ხელისუფლებისათვის ომის გამოცხადებისა და ზავის დადების უფლებამოსილების მინიჭება; ომისა და მშვიდობის პერიოდში სამხედრო ძალების რაოდენობისა და მათი მართვისა და ორგანიზების წესების დადგენა; უცხოური სამხედრო ძალებისათვის ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლაზე ნებართვის მიცემა და სხვ.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება გარდა ხალხისა, არგენტინაში გააჩნია კონგრესის ორივე პალატის წევრებს და აღმასრულებელ ხელისუფლებას.

კანონპროექტები, რომლებიც საარჩევნო და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ პარტიების სისტემას ცვლიან, მიიღება პალატების წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით.

კანონპროექტების ინიცირება კონგრესის ორივე პალატაშია შესაძლებელი. კანონპროექტი მის წარმომდგენ პალატაში დამტკიცების შემდეგ განსახილველად გადაეგზავნება მეორე პალატას. ორივე პალატის მიერ მიღებული

კანონპროექტი განსახილველად გადაეცემა ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებას და მისი მოწონების შემთხვევაში კანონად იქცევა.

კანონპროექტის ზოგადი დამტკიცების შემდეგ თითოეული პალატა წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით უფლებამოსილია კანონპროექტი დეტალური დამტკიცებისთვის გადასცეს თავის კომიტეტებს. პალატას შეუძლია ხმების იმავე რაოდენობით გააუქმოს დელეგირებული უფლებამოსილებები და ჩვეულებრივ პროცედურას დაუბრუნდეს. კომიტეტში კანონპროექტის დამტკიცება საჭიროებს მის წევრთა ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას. კომიტეტის მიერ კანონპროექტის დამტკიცების შემდეგ გრძელდება კანონპროექტის განხილვის ზოგადი პროცედურები.

ნებისმიერი კანონპროექტი, რომელიც ათი სამუშაო დღის განმავლობაში არ იქნება დაბრუნებული, აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მოწონებულად ჩაითვლება. კანონპროექტის ნაწილობრივ უარყოფის შემთხვევაში, დაუშვებელია მისი დარჩენილი ნაწილის მიღება. ამასთან, კანონის ვეტოდაუდებელი ნაწილები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გამოქვეყნდეს, თუ მათ ნორმატიული ავტონომია გააჩნიათ და მათი ნაწილობრივი მიღება კონგრესის მიერ მიღებული კანონპროექტის ძირითად არსს არ ცვლის. ამ შემთხვევაში გამოიყენება აუცილებელი და გადაუდებელი დეკრეტების გამოცემისთვის დადგენილი წესი.

ორივე პალატის მიერ მთლიანად უარყოფილი კანონპროექტი იმავე წლის საკანონმდებლო სესიაზე არ შეიძლება ხელმეორედ იქნეს წარდგენილი. არც ერთ პალატას არ შეუძლია მთლიანად უარყოს მის მიერ წარდგენილი და შემდგომში ზედამხედველი პალატის მიერ შესწორებული კანონპროექტი. ზედამხედველი პალატის მიერ კანონპროექტში დამატებებისა და შესწორებების შეტანის შემთხვევაში, კენჭისყრის შედეგები ნამდვილია, თუ აღნიშნული დამატებები და შესწორებები მიღებულია პალატის დამსწრე წევრთა ხმების 2/3-ით. კანონპროექტის წარმდგენი პალატა კანონპროექტს მასში შეტანილი დამატებებითა და შესწორებებით ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით ან კენჭს უყრის თავდაპირველ ტექსტს იმ შემთხვევაში, თუ ზედამხედველი პალატის მიერ შეტანილი დამატებები და შესწორებები არ იყო მიღებული პალატის დამსწრე წევრთა ხმების 2/3-ით. ასეთ შემთხვევაში კანონპროექტი ზედამხედველი პალატის მიერ შეტანილი დამატებებითა და შესწორებებით გადაეცემა აღმასრულებელ ხელისუფლებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონპროექტის წარმდგენმა პალატამ დამსწრე წევრთა ხმების 2/3-ით მიიღო კანონპროექტის თავდაპირველი ტექსტი. კანონპროექტის წარმდგენ პალატას არა აქვს ზედამხედველი პალატის მიერ მიღებულ დამატებებსა და შესწორებებში ახალი დამატებებისა და შესწორებების შეტანის უფლება.

თუ კანონპროექტი მთლიანად ან ნაწილობრივ უარყოფილია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, იგი შენიშვნებით უბრუნდება მის წარმომდგენ პალატას, რომელიც ხელმეორედ განიხილავს მას. ხმების ორი მესამედით კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, იგი ხელმეორედ გადაეგზავნება ზედამხედველ პალატას. ორივე პალატის წევრთა ხმების 2/3-ით კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, იგი კანონად იქცევა და გამოსაქვეყნებლად გადაეცემა აღმასრულებელ ხელისუფლებას. ასეთ შემთხვევებში ორივე პალატაში ტარდება სახელობითი კენჭისყრა. თუ პალატები შენიშვნებთან დაკავშირებით ვერ შეთანხმდებიან, კანონპროექტი არ შეიძლება ხელმეორედ იქნეს წარდგენილი იმავე წლის საკანონმდებლო სესიაზე.

არგენტინაში საკანონმდებლო ხელისუფლებას გააჩნია სახელმწიფო სამსახურის ქონებრივი, ეკონომიკური, ფინანსური და ოპერატიული ასპექტების გარე კონტროლის განხორციელების განსაკუთრებული უფლებამოსილება, რასაც იგი ახორციელებს სახელმწიფოს მთავარი აუდიტორის სამსახურის ანგარიშებზე დაყრდნობით. აღნიშნული ორგანო წარმოადგენს კონგრესის ფუნქციური ავტონომიის მქონე ტექნიკურ საკონსულტაციო ორგანოს, რომლის თავმჯდომარე ინიშნება კონგრესში ყველაზე მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობის მქონე ოპოზიციური გაერთიანების წარდგინების საფუძველზე.

სახელმწიფოს მთავარი აუდიტორი პასუხისმგებელია ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული სახელმწიფო სამსახურის, განურჩევლად მისი ორგანიზაციული ფორმებისა, საქმიანობის სამართლებრივი ასპექტების, მართვისა და აუდიტის კონტროლზე, ასევე ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს. მთავარმა აუდიტორმა მონაწილეობა უნდა მიიღოს სახელმწიფო ფონდების შემოსავლებისა და საინვესტიციო ანგარიშების დამტკიცების ან უარყოფის პროცესში.

კონსტიტუციით გათვალისწინებულია ომბუდსმენის ინსტიტუტი, რომელიც არის დამოუკიდებელი ორგანო, შექმნილია ეროვნული კონგრესის სფეროში და სარგებლობს ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოს მითითებებისგან სრული ავტონომიით. ომბუდსმენის ამოცანაა ადამიანის უფლებებისა და სხვა უფლებების, გარანტიებისა და ინტერესების დაცვა ადმინისტრაციის გადაწყვეტილებების, მოქმედებების ან უმოქმედობისაგან, ისევე როგორც კონტროლი სახელმწიფოს ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელებაზე.

ომბუდსმენი თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება თითოეული პალატის დამსწრე წევრთა ხმების 2/3-ით. იგი სარგებლობს სადეპუტატო იმუნიტეტითა და პრივილეგიებით, თანამდებობას იკავებს 5 წლის ვადით და ხელახლა შეიძლება იყოს დანიშნული მხოლოდ ერთხელ.

არგენტინაში აღმასრულებელი ხელისუფლება ხორციელდება „არგენტინელი ერის პრეზიდენტის" მიერ. პრეზიდენტის ავადმყოფობის, დედაქალაქში

არყოფნის, გარდაცვალების, თანამდებობიდან გადადგომის ან გადაყენების შემთხვევაში აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს ვიცე-პრეზიდენტი, ხოლო პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების, გადადგომის, გარდაცვალების ან მათ მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში კონგრესი წყვეტს, თუ რომელმა თანამდებობის პირმა უნდა შეასრულოს პრეზიდენტის მოვალეობები შეუძლებლობის მიზეზის აღმოფხვრამდე ან ახალი პრეზიდენტის არჩევამდე.

პრეზიდენტად ან ვიცე-პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს არგენტინის ტერიტორიაზე დაბადებული პირი ან საზღვარგარეთ დაბადებული დაბადებით არგენტინის მოქალაქის ვაჟი, რომელიც აკმაყოფილებს სენატორის არჩევისთვის დადგენილ სხვა მოთხოვნებს.

პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი თანამდებობებს იკავებენ 4 წლის ვადით. ისინი ხელახლა შეიძლება იქნენ არჩეულნი ან ერთმანეთი შეცვალონ მხოლოდ ერთი მომდევნო ვადით. ამ შემთხვევაში დაუშვებელია აღნიშნულ თანამდებობებზე მათი არჩევა შემდგომი ერთი ვადის განმავლობაში.

პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი აირჩევიან ხალხის მიერ პირდაპირი არჩევნების გზით. ამ მიზნით ეროვნული ტერიტორია წარმოადგენს ერთ საარჩევნო ოლქს. არჩევნები უნდა ჩატარდეს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე ორი თვის განმავლობაში. არჩევნების მეორე ტური ტარდება საუკეთესო შედეგის მქონე ორ წყვილს შორის. თუ არჩევნების პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატთა წყვილი ნამდვილად ჩათვლილი ხმების 45%-ზე მეტს მიიღებს, ისინი გამოცხადდებიან პრეზიდენტად და ვიცე-პრეზიდენტად. თუ არჩევნების პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატთა წყვილი ნამდვილად ჩათვლილი ხმების 40%-ს მაინც მიიღებს და მიღებული ხმები 10%-ით მაინც აღემატება კანდიდატთა მეორე წყვილის მიერ მიღებული ხმების რაოდენობას, ისინი გამოცხადდებიან პრეზიდენტად და ვიცე-პრეზიდენტად.

1994 წლის კონსტიტუციური რეფორმა მიმართული იყო კონგრესისა და სასამართლო ხელისუფლების უფლებების გაფართოებისა და პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ძალაუფლების ნაწილობრივი შეზღუდვისაკენ, მაგალითად, შემოღებულ იქნა მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის ანგარიშვალდებულება კონგრესისადმი, შეიზღუდა პრეზიდენტის უფლებამოსილება გამოსცეს საკანონმდებლო ხასიათის აქტები, გაფართოვდა მოსამართლეთა უფლებამოსილება.

პრეზიდენტი არის ერის უზენაესი მეთაური და მთავრობის ხელმძღვანელი და პოლიტიკურად პასუხისმგებელია ქვეყნის საერთო მართვაზე. პრეზიდენტი სენატის დამსწრე წევრთა 2/3-ის თანხმობით ნიშნავს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს; სენატის თანხმობით ნიშნავს ქვემდგომი ფედერალური სასამართლოების მოსამართლეებს; უფლებამოსილია შესაბამისი სა-

სამართლოს მოხსენების საფუძველზე შეიწყალოს ან სასჯელი შეამსუბუქოს ფედერალურ იურისდიქციას მიკუთვნებული დანაშაულისათვის, გარდა დეპუტატთა პალატის მიერ აღძრული იმპიჩმენტის საქმეების შემთხვევებისა; სენატის თანხმობით ნიშნავს და გამოიწვევს ელჩებს, მინისტრების სრულუფლებიან წარმომადგენელებსა და სავაჭრო ატაშეებს; ერთპიროვნულად ნიშნავს თანამდებობაზე და ათავისუფლებს მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარესა და მინისტრებს, თავისი სამდივნოს თანამდებობის პირებს, კონსულებსა და სხვა მოსამსახურეებს, რომელთა დანიშვნის განსხვავებული წესი კონსტიტუციით არ არის გათვალისწინებული; ყოველწლიურად ხსნის კონგრესის საკანონმდებლო სესიას, მას მოახსენებს ქვეყნის მდგომარეობისა და კონსტიტუციაში შესატანი შესწორებების თაობაზე და კონგრესს განსახილველად წარუდგენს მის მიერ აუცილებლად და მიზანშეწონილად მიჩნეულ ღონისძიებათა გეგმას; უფლებამოსილია გადაავადოს კონგრესის მორიგი სესიის დამთავრება ან მოიწვიოს საგანგებო სესია, თუ ეს აუცილებელია წესრიგის ან სახელმწიფო ინტერესების უზრუნველსაყოფად; ზედამხედველობს მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელებას, სახელმწიფო შემოსავლების აკრეფასა და კანონის ან ბიუჯეტის შესაბამისად მათი ხარჯვის ნაწილში; დებს და ხელს აწერს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხო ქვეყნებთან ხელშეკრულებებს, კონკორდატებსა და სხვა შეთანხმებებს, იღებს უცხო ქვეყნების ელჩებს და დაუშვებს მათ კონსულებს; კონგრესის თანხმობითა და მის მიერ დამტკიცების შემდეგ აცხადებს ომს და გასცემს რეპრესალიებს; გარედან თავდასხმის შემთხვევაში შეზღუდული ვადით და სენატის თანხმობით სახელმწიფოს ერთ ან რამდენიმე ადგილში აცხადებს საალყო მდგომარეობას.

შიდა არეულობის დროს, რასაც ადგილი აქვს კონგრესის არდადეგებზე ყოფნისას პრეზიდენტი უფლებამოსილია ერთპიროვნულად გამოაცხადოს სამხედრო მდგომარეობა ან ჩაერიოს პროვინციის საქმეებში. პრეზიდენტი ამ უფლებით სარგებლობს კონსტიტუციის დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით და უნდა მიიღოს კონგრესის თანხმობა მისი მუშაობის დაწყების შემდეგ.

პრეზიდენტი არის ქვეყნის შეირაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი;

პრეზიდენტის საკანონმდებლო საქმიანობა გამოიხატება კანონების შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციებისა და განკარგულებების გამოცემაში კანონების ძირითადი არსის შეუცვლელად. კონსტიტუციის შესაბამისად პრეზიდენტი მონაწილეობს კანონების შემუშავებაში, აქვეყნებს და გამოსცემს მათ.

მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, როდესაც კონსტიტუციით გათვალისწინებული ჩვეულებრივი პროცედურების მიხედვით

შეუძლებელია კანონების მიღება და ეს კანონები არ ეხება სისხლისსამართლებრივ საკითხებს, გადასახადებს, საარჩევნო საკითხებსა და პოლიტიკური პარტიების სისტემას, პრეზიდენტი საჭიროებისა და აუცილებლობიდან გამომდინარე გამოსცემს განკარგულებებს იმ მინისტრების საერთო თანხმობით, რომლებიც მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარესთან ერთად ხელს აწერენ მათ.

არგენტინაში აღმასრულებელ ხელისუფლებას პრეზიდენტთან ერთად ახორციელებს მინისტრთა კაბინეტი, რომელიც შედგება თავმჯდომარისა და სხვა მინისტრებისგან, რომელთა რაოდენობა და უფლებამოსილება სპეციალური კანონით განისაზღვრება და რომლებიც თავის საქმიანობაში პასუხისმგებელნი არიან ერის წინაშე. ისინი ხელს აწერენ და სამართლებრივად ნამდვილს ხდიან პრეზიდენტის აქტებს, რის გარეშეც ეს უკანასკნელნი ბათილია.

მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე, რომელიც პოლიტიკურად ანგარიშვალდებულია ეროვნული კონგრესის წინაშე, უფლებამოსილია: განახორციელოს ქვეყნის საერთო მართვა; იმოქმედოს და გამოსცეს წესები, რაც საჭიროა თავი უფლებამოსილების, ისევე როგორც პრეზიდენტის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, რასაც ხელს აწერს შესაბამისი მინისტრი, რომელსაც ეს მოქმედება ან წესი ეხება; კონგრესის გაერთიანებული მუდმივი კომიტეტის კონტროლით ხელი მოაწეროს კონგრესის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების შესახებ დეკრეტებს; სხვა მინისტრებთან ერთად ხელი მოაწეროს გადაუდებელი აუცილებლობისა და საჭიროებიდან გამომდინარე განკარგულებებს, აგრეთვე განკარგულებებს კანონების ნაწილობრივი გამოქვეყნების თაობაზე. ამ დეკრეტებს დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში იგი პირადად წარუდგენს განსახილველად გაერთიანებულ მუდმივ კომიტეტს.

მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეს არ შეიძლება იმავდროულად ეკავოს სხვა მინისტრის თანამდებობა. მინისტრები იმავდროულად არ შეიძლება იყვნენ სენატორები და დეპუტატები.

მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე ვალდებულია თვეში ერთხელ მაინც რიგრიგობით დაესწროს თითოეული პალატის სხდომებს და მოახსენოს მთავრობის საქმიანობის შესახებ. ორივე პალატის წევრთა საერთო რაოდენობის ხმების აბსოლუტური უმრავლესობით იგი შეიძლება გამოძახებულ იქნეს მისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხის განხილვაზე და შეიძლება გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან თითოეული პალატის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობით.

ქვეყნის სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება უზენაესი სასამართლოსა და იმ ქვემდგომი სასამართლოების მიერ, რომლებიც კონგრესმა შეიძლება შექმნას ქვეყნის ტერიტორიაზე.

უზენაესი სასამართლოს წევრი უნდა იყოს იურისტი სპეციალობით მუშაობის 8 წლის გამოცდილებით, რომელიც აკმაყოფილებს სენატორად არჩევისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

ფედერალური სასამართლოების მოსამართლეებს იმავდროულად არ შეიძლება ეკავოთ იგივე თანამდებობა პროვინციების სასამართლოებში. სახელმწიფო და სამხედრო ფედერალურ მოსამსახურეს არა აქვს იმ პროვინციაში ცხოვრების უფლება, სადაც მის მიერ ფედერალური ფუნქციები ხორციელდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს პროვინცია აღნიშნული თანამდებობის პირის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს. უკანასკნელი გარემოების მიზანია, რომ პროვინციაში სამსახურისთვის არ იქნეს შერჩეული იქ შემთხვევით მყოფი პირი.

უზენაესი და ქვემდგომი სასამართლოების მოსამართლეები თანამდებობას იკავებენ ვიდრე მათი ყოფაქცევა უმწიკვლოა და თავისი სამსახურისთვის იღებენ კანონით დადგენილ ანაზღაურებას, რაც არ შეიძლება შემცირდეს მოსამართლის მიერ თანამდებობის დაკავების პერიოდში. მოსამართლის მიერ 75 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ იგი სენატის თანხმობით ხელახლა ინიშნება თანამდებობაზე. 75 წლის ასაკს მიღწეული ან გადაცილებული მოსამართლეები იმავე პროცედურის დაცვით ხუთი წლის ვადით ინიშნებიან და შეიძლება ხელახლა იქნენ დანიშნული ამავე ვადით შეუზღუდავად.

მოსამართლეების შერჩევასა და სასამართლო ხელისუფლების მართვაზე პასუხისმგებელია თითოეული პალატის წევრთა საერთო რაოდენობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ სპეციალური კანონის საფუძველზე შექმნილი მაგისტრატთა საბჭო. საბჭოს შემადგენლობა პერიოდულად იცვლება იმგვარად, რომ სახალხო არჩევნების შედეგების გათვალისწინებით დაცულ იქნეს ბალანსი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობას, ყველა ინსტანციის მოსამართლეთა და ფედერალური რეგისტრაციის მქონე ადვოკატებს შორის. მის შემადგენლობაში აგრეთვე შეიძლება შედიოდნენ მეცნიერები და სწავლულები.

ქვეყნის უზენაესი სასამართლო და ქვემდგომი სასამართლოები უფლებამოსილნი არიან განიხილონ და გადაწყვიტონ: კონსტიტუციიდან და კანონმდებლობიდან, აგრეთვე უცხო სახელმწიფოებთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა საქმე; უცხო ქვეყნების ელჩებს, კონსულებსა და დიპლომატიურ წარმომადგენლებთან დაკავშირებული საქმეები; სამხედრო-საზღვაო და საზღვაო იურისდიქციის საქმეები; საქმეები, რომლებშიც ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს სახელმწიფო; ორ ან მეტ პროვინციას შორის, პროვინციებსა და სხვა პროვინციის მაცხოვრებლებს შორის, სხვადასხვა პროვინციების მაცხოვრებლებს შორის, პროვინციას ან მის მაცხოვრებლებსა და უცხო სახელმწიფოს ან მის მოქალაქეებს შორის წარმოშობილი დავები. ზემოაღნიშნულ შემთხვევებში უზენაესი სასამართლო თა-

ვის იურისდიქციას ახორციელებს როგორც სააპელაციო ინსტანცია კონგრესის მიერ დადგენილი წესებისა და გამონაკლისების შესაბამისად ყველა საქმეზე, რომელიც უცხო ქვეყნის ელჩებს, კონსულებსა და დიპლომატიურ წარმომადგენლებს ეხება. იმ საქმეებზე, სადაც ერთ-ერთი მხარე არის პროვინცია, უზენაესი სასამართლო გამოდის როგორც პირველი და საბოლოო ინსტანცია.

არგენტინაში არ არის შექმნილი საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სპეციალური ორგანო. მისი განხორციელების ფორმაზე კონსტიტუცია არ საუბრობს, თუმცა სასამართლოების უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ეს კომპეტენცია ყველა სასამართლოს ხელშია. არგენტინაში არსებობს საზოგადოებრივი სამინისტრო, რომელიც არის ფუნქციური ავტონომიისა და ფინანსური ავტარქიის მქონე დამოუკიდებელი ორგანო და მისი მთავარი ამოცანაა საზოგადოების სამართლებრივი ხასიათის საერთო ინტერესების დაცვის მიზნით, რესპუბლიკის ხელისუფლების სხვა შტოებთან ერთად მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობის ხელშეწყობა. იგი შედგება გენერალური ატორნეისა და მთავარი დამცველის, ასევე კანონით განსაზღვრული სხვა პირებისგან.

ტერიტორიული მოწყობის მხრივ არგენტინა ფედერაციული სახელმწიფოა. მის ერთეულებს ფართო უფლებამოსილებით აღჭურვილი პროვინციები შეადგენენ. ამჟამად შექმნილია 23 პროვინცია და ერთი ფედერალური მნიშვნელობის ქალაქი — ბუენოს-იარესი.

გარდა კონსტიტუციით პროვინციებისათვის გათვალისწინებული კონკრეტული უფლებამოსილებისა, მათ გამგებლობას ასევე განეკუთვნება ის საკითხები, რაც კონსტიტუციის თანახმად ფედერალური მთავრობისთვის არ არის დელეგირებული, აგრეთვე, რაც პროვინციების გაერთიანების დროს მათთვის სპეციალური პაქტებით იყო გადაცემული.

პროვინციები თავად ქმნიან ადგილობრივ დაწესებულებებს, ფედერალური მთავრობის ჩარევის გარეშე ირჩევენ გუბერნატორებს, საკანონმდებლო ორგანოებსა და სხვა ადგილობრივ თანამდებობის პირებს. თითოეული პროვინცია იღებს საკუთარ კონსტიტუციას, რომელიც ინსტიტუციონალურ, პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ, ეკონომიკურ და ფინანსურ სფეროებში უზრუნველყოფს მუნიციპალურ ავტონომიას და უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული კონსტიტუციის პრინციპებს, დეკლარაციებსა და გარანტიებს.

პროვინციები უფლებამოსილნი არიან მოაწესრიგონ რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარება და ამ მიზნის განსახორციელებლად დააფუძნონ შესაბამისი ორგანოები. ისინი აგრეთვე უფლებამოსილნი არიან კონგრესის თანხმობით დადონ საერთაშორისო ხელშეკრულებები, იმ პირობით, რომ ისინი შეესაბამებოდნენ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას და არ მოიცავდნენ ფედერალური მთავრობისათვის დელეგირებულ უფლებამოსილებებს

ან არ ითვალისწინებდნენ სახელმწიფო სესხის აღებას. პროვინციები არიან მათ ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების მესაკუთრეები.

პროვინციებს, ფედერალური კონგრესის თანხმობით, შეუძლიათ დადონ ცალკეული შეთანხმებები მართლმსაჯულების განხორციელების, ეკონომიკური საკითხების, ორმხრივად სასარგებლო სამუშაოების შესახებ, აგრეთვე იმ საკითხებზე, რომლებიც ხელს უწყობენ მრეწველობას, იმიგრაციას, რკინიგზისა და სანაოსნო არხების მშენებლობას, პროვინციების კუთვნილი მიწების ათვისებას, მრეწველობის ახალი დარგების დანერგვას, უცხოური კაპიტალის იმპორტსა და თავის მდინარეებზე ნაოსნობას ამ მიზნების მიღწევის მომწესრიგებელი კანონების მეშვეობით და საკუთარი სახსრებით.

პროვინციებსა და ბუენოს-აირესს შეიძლება ჰქონდეთ სოციალური უზრუნველყოფის თავიანთი ობიექტები სახელმწიფო მოსამსახურეებისა და მშრომელებისთვის. აგრეთვე ისინი ხელს უწყობენ ეკონომიკურ პროგრესს, ადამიანთა განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნას, განათლებას, მეცნიერებას, ცოდნასა და კულტურას.

პროვინციები არ სარგებლობენ სახელმწიფოსათვის გადაცემული უფლებამოსილებით. მათ არ შეუძლიათ ცალკე დადონ პოლიტიკური ხასიათის მქონე ხელშეკრულებები, მიიღონ კანონები ვაჭრობისა და საგარეო და საშინაო ნაოსნობის შესახებ, დააფუძნონ ადგილობრივი საბაჟოები, მოჭრან ფული, ემისიის უფლებით ფედერალური კონგრესის თანხმობის გარეშე დააფუძნონ ბანკები, მიიღონ სამოქალაქო, სისხლის, სავაჭრო და სამთო კოდექსები, კონგრესის მიერ აღნიშნული კოდექსების მიღების შემდეგ მიიღონ კანონები მოქალაქეობისა და ნატურალიზაციის, გაკოტრების, ფულის ან სახელმწიფო საბუთების გაყალბების შესახებ, შემოიღონ გადასახადები წონიდან, შეიაარაღონ სამხედრო ხომალდები ან შექმნან ჯარი, გარდა გარე შემოტევის შემთხვევებისა ან როდესაც საშიშროება იმდენად გარდაუვალია, რომ ჯარის შექმნა გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს, რის თაობაზეც დაუყოვნებლივ ატყობინებენ ფედერალურ მთავრობას, აგრეთვე არ შეუძლიათ დანიშნონ ან მიიღონ უცხო ქვეყნების წარმომადგენლები.

არც ერთ პროვინციას არ შეუძლია გამოაცხადოს ან აწარმოოს ომი სხვა პროვინციასთან. პროვინციის პრეტენზიები უნდა გადაეცეს უზენაეს სასამართლოს. პროვინციების მტრული მოქმედებები წარმოადგენენ სამოქალაქო ომს და შეფასდება როგორც აჯანყება ან ამბოხი, რომელიც ფედერალურმა მთავრობამ უნდა ჩაახშოს კანონის შესაბამისად.

პროვინციების გუბერნატორები არიან ფედერალური მთავრობის წარმომადგენლები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოს კონსტიტუციისა და კანონების შესრულებას.

ფედერალურ მთავრობას აქვს პროვინციების საქმეებში ჩარევის უფლება მმართველობის რესპუბლიკური ფორმის დაცვის ან გარე შემოტევებისგან

მოგერიების მიზნით, ასევე პროვინციების უფლებამოსილი ხელისუფლების ორგანოების მხარდასაჭერად ან აღსადგენად, მათივე თხოვნით, თუ ისინი დამხობილ იქნენ ამბოხების ან სხვა პროვინციის თავდასხმის შედეგად. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ არგენტინაში პროვინციები არ იღებენ მონაწილეობას კონსტიტუციური შესწორებების მიღებაში.

საინტერესოა ნორმები არგენტინის ტერიტორიაზე ახალი პროვინციების ჩამოყალიბების შესახებ. დაუშვებელია ახალი პროვინციის შექმნა სხვა პროვინციის ან პროვინციების ტერიტორიაზე, ისევე როგორც შესაბამისი პროვინციების საკანონმდებლო კრებებისა და კონგრესის თანხმობის გარეშე რამდენიმე პროვინციის ერთ პროვინციად გაერთიანება.

პროვინციები იყოფა მუნიციპალურ ოლქებად და დეპარტამენტებად.

ქალაქ ბუენოს-აირესს გააჩნია ისეთი მმართველობა, რაც უზრუნველყოფს ამ მიზნების განხორციელებას. მას აქვს მმართველობის ავტონომიური სისტემა საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებით, რომლის მთავრობის თავმჯდომარე პირდაპირ აირჩევა ქალაქის მოსახლეობის მიერ.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები. არგენტინის კონსტიტუციით განმტკიცებულია ლათინური ამერიკის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობა, რომელიც მეცნიერებაში „სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

- მართალია ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებას პრეზიდენტი ხელმძღვანელობს, მაგრამ, ამავდროულად, გათვალისწინებულია მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობა, ასევე შექმნილია ვიცე-პრეზიდენტის პოსტიც;
- პრეზიდენტად ან ვიცე-პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს არგენტინის ტერიტორიაზე დაბადებული პირი ან საზღვარგარეთ დაბადებული დაბადებით არგენტინის მოქალაქის ვაჟი;
- თავისებურებით ხასიათდება პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის არჩევისათვის საჭირო ხმათა პროცენტულობის საკითხი. აქტიური საარჩევნო უფლება სავალდებულო ხასიათს ატარებს;
- კონგრესის წევრისთვის დადგენილია ბინადრობის ცენზი, კერძოდ ის უნდა იყოს იმ პროვინციის მკვიდრი, საიდანაც კენჭს იყრის ან არჩევნებამდე ორი წლის განმავლობაში გააჩნდეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი მოცემული პროვინციის ტერიტორიაზე; ამასთან, კონგრესის წევრად არ შეიძლება აირჩეს გუბერნატორი იმ პროვინციიდან, რომელსაც იგი წარმოადგენს;
- კონგრესის წევრს უფლება აქვს დაიკავოს თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან შეასრულოს აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილება შესაბამისი პალატის წინასწარი თანხმობით, აგრეთვე სამსახურებრივი დაწინაურების შემთხვევებში;

- ქვეყნის ფედერალური სისტემა აერთიანებს ფართო უფლებამოსილებით აღჭურვილ პროვინციებს, რომელთაც გარკვეული თვითმმართველობითი ფუნქციები გააჩნიათ საკადრო, საფინანსო, საერთაშორისო, სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში;

- სახელმწიფოს მთავარი აუდიტორის სამსახურის თავმჯდომარე ინიშნება კონგრესში ყველაზე მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობის მქონე ოპოზიციური გაერთიანების წარდგინების საფუძველზე;

- უზენაესი და ქვემდგომი სასამართლოების მოსამართლეები თანამდებობას იკავებენ უვადოდ, ვიდრე მათი ყოფაქცევა უმწიკვლოა, ხოლო 75 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ ინიშნებიან 5 წლიანი ვადით.

არგენტინელი ერის კონსტიტუცია[1]

მიღებულია 1853 წელს

(ცვლილებები შეტანილ იქნა 1860, 1866, 1898, 1957 და 1994 წლებში)

პრეამბულა

ჩვენ, არგენტინელი ერის წარმომადგენლები, არგენტინის შემადგენლობაში შემავალი პროვინციების ნებითა და არჩევანით შევიკრიბეთ რა ეროვნულ დამფუძნებელ კრებაზე იმ მიზნით, რომ შევასრულოთ წინა შეთანხმებები, შევქმნათ ეროვნული კავშირი, უზრუნველვყოთ სამართლიანობა, ქვეყნის შიგნით მშვიდობა და საერთო თავდაცვა, ხელი შევუწყოთ საერთო კეთილდღეობასა და ჩვენთვის, ჩვენი შთამომავლობისთვისა და არგენტინის მიწაზე ცხოვრების ყველა მსურველისთვის უზრუნველვყოთ თავისუფლების სიკეთე, ყოველივე გონივრულისა და სამართლიანობის წყაროს — ღმერთის მფარველობის იმედით, ხელს ვაწერთ, ვაცხადებთ და ვამტკიცებთ არგენტინელი ერის წინამდებარე კონსტიტუციას.

პირველი ნაწილი
თავი I
დეკლარაციები, უფლებები და გარანტიები

მუხლი 1.

წინამდებარე კონსტიტუციის შესაბამისად არგენტინელი ერი ამტკიცებს მმართველობის ფედერალურ რესპუბლიკურ წარმომადგენლობით ფორმას.

მუხლი 2.

ფედერალური მთავრობა მხარს უჭერს რომაულ-კათოლიკურ სამოციქულო სარწმუნოებას.

მუხლი 3.

ფედერალური ხელისუფლების ორგანოების ადგილსამყოფელია ის ქალაქი, რომელიც კონგრესის სპეციალური კანონით რესპუბლიკის დედაქალაქად გამოცხადდება პროვინციების ერთი ან მეტი საკანონმდებლო კრების მიერ

---

[1] თარგმანისას გამოყენებულია არგენტინის სენატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართზე: www.senado.gov.ar/web/constitucion/english.html გამოქვეყნებული არგენტინის კონსტიტუციის ინგლისურენოვანი ტექსტი.

დედაქალაქისთვის ტერიტორიის გამოყოფის გზით; იგი ფედერალურ სტატუსს იძენს.

მუხლი 4.

ფედერალური მთავრობა სახელმწიფო ხარჯებს უზრუნველყოფს ეროვნული ხაზინის ფონდებიდან, რომლებიც შედგება საიმპორტო და საექსპორტო ბაჟისა და ერის კუთვნილი მიწების გაყიდვის ან იჯარით გაცემისგან მიღებული შემოსავლების, საფოსტო შემოსავლებისა და სხვა გადასახადებისგან, რომლებიც სამართლიანად და პროპორციულად დაეკისრება მოსახლეობას ეროვნული კონგრესის მიერ, ასევე, იმ სესხებისა და საკრედიტო ოპერაციებისგან, რაც სახელმწიფოს გადაუდებელი აუცილებლობისთვის ან სახელმწიფო მნიშვნელობის საწარმოებისთვის შეიძლება დაადგინოს ეროვნულმა კონგრესმა.

მუხლი 5.

ყველა პროვინცია ეროვნული კონსტიტუციის პრინციპების, დეკლარაციებისა და გარანტიების შესაბამისად იღებს რესპუბლიკური წარმომადგენლობითი სისტემის მქონე საკუთარ კონსტიტუციას. პროვინციის კონსტიტუცია უნდა უზრუნველყოფდეს მართლმსაჯულების განხორციელებას, მმართველობის მუნიციპალურ სისტემას და დაწყებით განათლებას. ამ პირობების არსებობისას ფედერალური მთავრობა ყველა პროვინციისთვის უზრუნველყოფს მათი ორგანოების სრული მოცულობით ფუნქციონირებას.

მუხლი 6.

ფედერალურ მთავრობას აქვს პროვინციების საქმეებში ჩარევის უფლება მმართველობის რესპუბლიკური ფორმის დაცვის ან გარე შემოტევებისგან მოგერიების მიზნით, ასევე პროვინციების უფლებამოსილი ხელისუფლების ორგანოების მხარდასაჭერად ან აღსადგენად, მათივე თხოვნით, თუ ისინი დამხობილ იქნენ ამბოხების ან სხვა პროვინციის თავდასხმის შედეგად.

მუხლი 7.

ერთი პროვინციის სამართლებრივი აქტები და სასამართლო გადაწყვეტილებები სხვა პროვინციებში სრული აღიარებით სარგებლობენ; კონგრესმა, საერთო კანონების მეშვეობით, შეიძლება დაადგინოს ამ აქტებისა და გადაწყვეტილებების დამტკიცების წესი და განსაზღვროს მათი სამართლებრივი შედეგი.

მუხლი 8.

თითოეული პროვინციის მოქალაქეები სარგებლობენ სხვა პროვინციების მოქალაქეების თანაბარი უფლებებით, უპირატესობებითა და შეღავათებით; დამნაშავეთა გადაცემა წარმოადგენს ყველა პროვინციის ურთიერთვალდებულებას.

მუხლი 9.

ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მხოლოდ ეროვნული საბაჟოები არსებობს, რომლებშიც კონგრესის მიერ დამტკიცებული ტარიფები მოქმედებს.

მუხლი 10.

გადასახადებისგან თავისუფლდება რესპუბლიკის შიგნით ეროვნული წარმოების ან დამზადების საქონლის მიმოქცევა, ისევე როგორც ეროვნულ საბაჟოებზე განბაჟებული ყველა საქონელი.

მუხლი 11.

ეროვნული ან უცხოური წარმოების ან დამზადების საქონელი, ისევე როგორც ყველა სახეობის შინაური პირუტყვი, რომელიც ერთი პროვინციის ტერიტორიიდან მეორეზე გაივლის, თავისუფლდება ე.წ. სატრანზიტო გადასახადებისგან. იგივე წესი ვრცელდება ვაგონების, გემების ან იმ პირუტყვის მიმართ, რომლებშიც ან რომლებზედაც ხორციელდება ამ უკანასკნელთა გადაზიდვა; აგრეთვე დაუშვებელია პროვინციის ტერიტორიაზე გავლისათვის მათთვის, მათი სახელწოდების მიუხედავად, რაიმე გადასახადის დაკისრება.

მუხლი 12.

ერთი პროვინციიდან მეორე პროვინციაში მიმავალი გემები არ არიან ვალდებულნი შევიდნენ მოცემული პროვინციის პორტებში, დადგნენ ღუზაზე ან გადაიხადონ სატრანზიტო გადასახადები; ამასთან, არც ერთ შემთხვევაში არ დაიშვება კანონის ან სავაჭრო წესების საფუძველზე ერთი პორტისთვის მეორის წინაშე უპირატესობის მინიჭება.

მუხლი 13.

სახელმწიფოს შემადგენლობაში შეიძლება მიღებულ იქნენ ახალი პროვინციები. დაუშვებელია ახალი პროვინციის შექმნა სხვა პროვინციის ან პროვინციების ტერიტორიაზე, ისევე როგორც შესაბამისი პროვინციების საკანონმდებლო კრებებისა და კონგრესის თანხმობის გარეშე რამდენიმე პროვინციის ერთ პროვინციად გაერთიანება.

მუხლი 14.

ქვეყნის ყველა მაცხოვრებელს უფლებების განხორციელების მარეგულირებელი კანონების შესაბამისად აქვს შემდეგი უფლებები: მუშაობისა და ნებისმიერი კანონიერი საქმიანობის შესრულების; ნაოსნობისა და ვაჭრობის; ხელისუფლების ორგანოებისადმი მიმართვის; არგენტინის ტერიტორიაზე შესვლის, დარჩენის, გადაადგილებისა და მისი დატოვების; წინასწარი ცენზურის გარეშე პრესაში საკუთარი აზრების გამოქვეყნების; საკუთრებით სარგებლობისა და მისი განკარგვის; სასარგებლო მიზნით გაერთიანების, თავისი რწმენის თავისუფლად გამოხატვის; სწავლისა და სწავლების.

მუხლი 14[1].

შრომა მისი სხვადასხვა ფორმით კანონით არის დაცული, რაც მშრომელთათვის უნდა უზრუნველყოფდეს: შრომის ღირსეულ და სამართლიან პირობებს, შეზღუდულ სამუშაო საათებს, ანაზღაურებად დასვენებასა და შვებულებას, სამართლიან ანაზღაურებას, დადგენილ საცხოვრებელ მინიმუმს, თანასწორ ანაზღაურებას თანასწორი სამუშაოს შესრულებისთვის, საწარმოთა მოგებაში მონაწილეობას, წარმოებაზე კონტროლსა და ადმინისტრაციასთან თანამშრომლობას, თვითნებური გათავისუფლებისგან დაცვას, სახელმწიფო მოსამსახურეთა გარანტიებს თავისუფალ და დემოკრატიულ პროფკავშირულ ორგანიზაციებს, რომელთა აღიარება სპეციალურ რეესტრში უბრალო რეგისტრაციის საფუძველზე ხორციელდება.

პროფესიული კავშირებისთვის უზრუნველყოფილია კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებების დადების, მომრიგებელი პროცედურებისა და არბიტრაჟისადმი მიმართვისა და გაფიცვის უფლება. პროფესიული კავშირების წარმომადგენლები უზრუნველყოფილნი არიან კავშირის დავალებების შესრულებისა და თავისი სამუშაოს სტაბილურობისთვის აუცილებელი გარანტიებით.

სახელმწიფო აწესებს სოციალური უზრუნველყოფის შემწეობებს, რომლებიც ხელშეუვალ ხასიათს ატარებს და არ შეიძლება გადაცემულ იქნეს სხვისთვის. სახელდობრ, კანონები ადგენენ: სავალდებულო სოციალურ დაზღვევას, რომლისთვისაც პასუხისმგებელნი არიან ეკონომიკური და ფინანსური ავტონომიის მქონე ეროვნული და პროვინციების ერთეულები, რომლებიც სადაზღვევო შესატანების ოდენობის ნაწილობრივი შემცირების გარეშე დაინტერესებული მხარეების მიერ სახელმწიფოს მონაწილეობით იმართებიან; სამსახურიდან გასვლასთან დაკავშირებულ შემწეობებსა და პენსიებს; ოჯახისა და საცხოვრებელი ადგილის სრულ დაცვას; მრავალშვილიანი ოჯახებისთვის ეკონომიკურ შემწეობებსა და ღირსეული საცხოვრებელი ადგილის მიღების შესაძლებლობას.

მუხლი 15.

არგენტინის სახელმწიფოში მონები არ არსებობენ. ისინი, ვინც ჯერ კიდევ მონები არიან, წინამდებარე კონსტიტუციის მიღების მომენტიდან იღებენ თავისუფლებას. სპეციალური კანონი დაადგენს ანაზღაურებას, რაც შესაძლოა ამ დებულებამ წარმოშვას. ადამიანების ყიდვის ან გაყიდვის შესახებ ნებისმიერი გარიგება დანაშაულად ითვლება, რისთვისაც პასუხს აგებენ მისი ხელმომწერი მხარეები, ასევე ნოტარიუსი ან მოხელე, რომლებმაც ნება დართეს ასეთი გარიგების დადებაზე. მონები, რომლებიც რაიმე გზით არგენტინაში აღმოჩნდებიან, ხდებიან თავისუფალნი თვით რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოსვლის ფაქტის ძალით.

მუხლი 16.

არგენტინელი ერი არ აღიარებს უპირატესობებს არც სისხლის, არც დაბადების მიხედვით; არგენტინაში არ არსებობს პირადი პრივილეგიები და არისტოკრატული წოდებები. ქვეყნის ყველა მაცხოვრებელი კანონის წინაშე თანასწორია და მათ შეუძლიათ საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე ნებისმიერი თანამდებობის დაკავება. თანასწორობა წარმოადგენს გადასახადების დაკისრებისა და სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებების არსებობის საფუძველს.

მუხლი 17.

კერძო საკუთრება ხელშეუხებელია. სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილების გარეშე დაუშვებელია ერის რომელიმე მაცხოვრებლისთვის საკუთრების ჩამორთმევა. საკუთრების ჩამორთმევა სახელმწიფო ინტერესებისთვის დასაშვებია კანონის ძალით და მხოლოდ წინასწარი ანაზღაურების პირობით. მხოლოდ კონგრესია უფლებამოსილი, შემოიღოს ამ კონსტიტუციის მე-4 მუხლით გათვალისწინებული გადასახადები. პირადი მომსახურების მოთხოვნა დაიშვება მხოლოდ კანონის ძალით ან სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილების საფუძველზე. ყველა ავტორს ან გამომგონებელს, კანონით დადგენილი ვადის განმავლობაში, აქვს განსაკუთრებული უფლება თავის ნაწარმოებზე, გამოგონებაზე ან აღმოჩენაზე. ქონების კონფისკაცია არგენტინის სისხლის სამართლის კოდექსიდან სამუდამოდ გამოირიცხება. არც ერთ შეიარაღებულ ნაწილს არ აქვს რეკვიზიციების განხორციელების ან რაიმე დახმარების მოთხოვნის უფლება.

მუხლი 18.

სახელმწიფოს არც ერთი მაცხოვრებელი არ შეიძლება მსჯავრდებულ იქნეს წინასწარი სასამართლო განხილვის გარეშე იმ კანონის საფუძველზე, რომელიც მიღებული იყო მისი საქმის აღძვრამდე, აგრეთვე გასამართლებულ იქნეს სპეციალური სასამართლოების მიერ ან ამოღებულ იქნეს იმ მოსამარ-

თლეების ქვემდებარეობიდან, რომლებიც მოცემული საქმის აღძვრამდე კანონის საფუძველზე არიან დანიშნულნი. არავინ არ შეიძლება იძულებულ იქნეს საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მისაცემად, აგრეთვე დაპატიმრებულ იქნეს უფლებამოსილი ორგანოს წერილობითი ბრძანების გარეშე. პირებისა და უფლებების სასამართლო წესით დაცვის უფლება ხელშეუვალია. საცხოვრებელი ადგილი, წერილობითი კორესპონდენცია და პირადი წერილები ხელშეუხებელია; მათი დათვალიერებისა და ამოღების ნებადართული შემთხვევები და პირობები განისაზღვრება კანონით. პოლიტიკურ საქმეებზე სიკვდილით დასჯა, ნებისმიერი სახის წამება და გამათრახება სამუდამოდ გაუქმებულია. სახელმწიფოს ციხეები ჯანსაღ და სუფთა პირობებში შეინახება და უნდა ემსახურებოდეს იქ მოთავსებულ მსჯავრდებულთა დაცვას და არა წამებას. ყოველგვარი ზომების გამოყენებაზე, რომლებიც სიფრთხილის ღონისძიების მიზეზით არიან მიღებულნი და მსჯავრდებულების იმაზე მეტ დამცირებას იწვევენ, ვიდრე ეს უსაფრთხოების მოთხოვნების დასაცავად არის საჭირო, პასუხისმგებელია ნებართვის გამცემი მოსამართლე.

მუხლი 19.

პირების კერძო მოქმედებები, რომლებიც საზოგადოებრივ წესრიგს და მორალს არ არღვევენ, ასევე რომლებიც მესამე პირებს ზიანს არ აყენებენ მხოლოდ ღმერთის განსჯადია და გამოირიცხება მოსამართლეთა გამგებლობიდან. სახელმწიფოს არც ერთი მაცხოვრებელი არ შეიძლება იქნეს იძულებული, შეასრულოს ის, რასაც მას კანონი არ ავალდებულებს ან ჩამოერთვას ის, რაც კანონით აკრძალული არ არის.

მუხლი 20.

უცხოელები რესპუბლიკის ტერიტორიაზე სარგებლობენ ყველა სამოქალაქო უფლებით: თავიანთი საქმიანობის განხორციელების; ვაჭრობისა და პროფესიის; უძრავი ქონების ფლობის, მისი შეძენისა და გასხვისების; მდინარეებსა და სანაპირო წყლებში ნაოსნობის; რელიგიური რწმენის თავისუფლად გამოხატვის; კანონმდებლობის შესაბამისად ანდერძის დატოვებისა და დაქორწინების. მათ არ ეკისრებათ მოქალაქეობის მიღებისა და საგანგებო სავალდებულო გადასახადების გადახდის მოვალეობა. მოქალაქეობის მიღება მათ შეუძლიათ ქვეყანაში ორი წლის განმავლობაში უწყვეტი ცხოვრების შემდეგ; რესპუბლიკისთვის სამსახურის გაწევის ფაქტის არსებობისას და მისი შესაბამისი დამტკიცების შემთხვევაში ხელისუფლების ორგანოებს ეს ვადა შეუძლიათ შეამცირონ მთხოვნელის სასარგებლოდ.

მუხლი 21.

არგენტინის თოთოეული მოქალაქე ვალდებულია იარაღით ხელში დადგეს სამშობლოსა და წინამდებარე კონსტიტუციის დასაცავად ამ მიზნისთვის კონგრესის მიერ მიღებული კანონებისა და ეროვნული აღმასრულებელი ხელისუფლების დეკრეტების შესაბამისად. ნატურალიზებული მოქალაქეები, მოქალაქეობის შესახებ მოწმობის მიღებიდან ათი წლის განმავლობაში თავისუფალნი არიან ამ სამსახურის შესრულებასა თუ შეუსრულებლობაში.

მუხლი 22.

ხალხს აქვს გადაწყვეტილების მიღებისა და მართვის უფლება მხოლოდ წინამდებარე კონსტიტუციით განსაზღვრული თავისი წარმომადგენლებისა და ხელისუფლების ორგანოების მეშვეობით. ყველა იმ შეირაღებული ძალის ან პირთა გაერთიანების ქმედება, რომელიც ხალხის უფლებებს ითვისებს და მისი სახელით გამოდის, ამბოხებად ითვლება.

მუხლი 23.

შიდა არეულობის ან გარედან თავდასხმის შემთხვევაში, რაც საფრთხის ქვეშ აყენებს წინამდებარე კონსტიტუციის განხორციელებასა და მის მიერ შექმნილი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობას, იმ პროვინციაში ან ტერიტორიაზე, სადაც ადგილი აქვს არეულობას, გამოცხადდება საალყო მდგომარეობა და შეჩერდება კონსტიტუციური გარანტიების მოქმედება. ამასთან, შეჩერების პერიოდში რესპუბლიკის პრეზიდენტს არა აქვს განაჩენის გამოტანისა და სასჯელის შეფარდების უფლება. ამ შემთხვევაში მისი ძალაუფლება პირთა მიმართ შეზღუდულია მათი დაპატიმრებით ან ქვეყნის ერთი ადგილიდან მეორეში გადასახლებით, თუ მოცემულმა პირებმა არგენტინის ტერიტორიის დატოვება არჩიეს.

მუხლი 24.

კონგრესმა უნდა ჩაატაროს რეფორმა მოქმედი კანონმდებლობის ყველა სფეროში და დააფუძნოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

მუხლი 25.

ფედერალურმა მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს ევროპულ იმიგრაციას; მას უფლება არა აქვს შეზღუდოს, გაართულოს ან გადასახადით დაბეგროს არგენტინის ტერიტორიაზე იმ უცხოელთა შესვლა, რომლებიც ჩამოდიან მიწის დამუშავების, მრეწველობის განვითარების ხელშეწყობისა და მეცნიერებისა და ხელოვნების გაცნობისა და სწავლების მიზნით.

მუხლი 26.

არგენტინის შიდა მდინარეებზე ნაოსნობა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, ყველა ქვეყნის გემებისთვის თავისუფალია.

მუხლი 27.

ფედერალური მთავრობა ვალდებულია, წინამდებარე კონსტიტუციით დადგენილი საჯარო სამართლის პრინციპების შესაბამისად, სახელშეკრულებო გზით გაამყაროს უცხო სახელმწიფოებთან მშვიდობიანი კავშირები და სავაჭრო ურთიერთობები.

მუხლი 28.

წინა მუხლებში გაცხადებული პრინციპები, გარანტიები და უფლებები არ შეიძლება შეცვლილ იქნეს მათი განხორციელების მომწესრიგებელი კანონებით.

მუხლი 29.

კონგრესს უფლება არა აქვს ეროვნულ აღმასრულებელ ხელისუფლებას გადასცეს, ხოლო პროვინციების საკანონმდებლო ორგანოებს - პროვინციების გუბერნატორებს გადასცენ განსაკუთრებული უფლებამოსილებები ან მთლიანად სახელმწიფო ხელისუფლება, ისევე როგორც მათი დაქვემდებარების ან უზენაესობის შესახებ აქტების გამოცემის უფლება, რის შედეგადაც არგენტინელების სიცოცხლე, პატივი ან კეთილდღეობა მთავრობებზე ან რომელიმე პირზე იქნება დამოკიდებული. ასეთი სახის აქტები მთლიანად ბათილია, ხოლო მათი შემქმნელი, მათთვის დათანხმებული ან მათი ხელმომწერი პირები, როგორც სამშობლოს უღირსი მოღალატეები, პასუხისგებაში მიეცემიან.

მუხლი 30.

წინამდებარე კონსტიტუცია შეიძლება შეცვლილ იქნეს მთლიანად ან ნაწილობრივ. კონსტიტუციური რეფორმის აუცილებლობა კონგრესის წევრთა ხმების სულ მცირე ორი მესამედით უნდა იყოს გაცხადებული. ეს ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ მიზნით მოწვეული კონვენტის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

მუხლი 31.

წინამდებარე კონსტიტუცია, კონგრესის მიერ კონსტიტუციის საფუძველზე მიღებული კანონები და უცხო სახელმწიფოებთან დადებული ხელშეკრულებები ერის უზენაეს კანონებს წარმოადგენენ; ქვეყნის ყველა პროვინცია, გარდა ბუენოს-აირესის პროვინციისა, ვალდებულია შეასრულოს ისინი იმ შემთხვევაშიც, თუ პროვინციების კონსტიტუციები და კანონები, ასევე 1859

წლის 11 ნოემბრის პაქტის შემდეგ რატიფიცირებული ხელშეკრულებები, ზემოაღნიშნული აქტების საწინააღმდეგო დებულებებს შეიცავენ.

მუხლი 32.

ფედერალურმა კონგრესმა არ უნდა მიიღოს პრესის თავისუფლების შემზღუდავი ან მასზე ფედერალური იურიდისდიქციის დამდგენი კანონები.

მუხლი 33.

წინამდებარე კონსტიტუციაში დეკლარაციების, უფლებებისა და გარანტიების ჩამოთვლა არ უნდა იქნეს განმარტებული კონსტიტუციით გაუთვალისწინებული სხვა უფლებებისა და გარანტიების უარყოფად, თუ ისინი ხალხის სუვერენიტეტის პრინციპიდან და მმართველობის რესპუბლიკური ფორმიდან გამომდინარეობენ.

მუხლი 34.

ფედერალური სასამართლოების მოსამართლეებს იმავდროულად არ შეიძლება ეკავოთ იგივე თანამდებობა პროვინციების სასამართლოებში. სახელმწიფო და სამხედრო ფედერალურ მოსამსახურეს არა აქვს იმ პროვინციაში ცხოვრების უფლება, სადაც მის მიერ ფედერალური ფუნქციები ხორციელდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს პროვინცია აღნიშნული თანამდებობის პირის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს. უკანასკნელი გარემოების მიზანია, რომ პროვინციაში სამსახურისთვის არ იქნეს შერჩეული იქ შემთხვევით მყოფი პირი.

მუხლი 35.

1810 წლიდან დღემდე თანმიმდევრულად არსებული ქვეყნის სახელწოდებები, კერძოდ: „დელ რიო დე ლა-პლატას გაერთიანებული პროვინციები", „არგენტინის რესპუბლიკა", „არგენტინის კონფედერაცია" შემდგომ გამოიყენება როგორც მთავრობისა და პროვინციების ტერიტორიების ოფიციალური თანაბარმნიშვნელოვანი სახელწოდებები. კანონების შემუშავებისა და მიღებისას გამოიყენება სიტყვები „არგენტინელი ერი".

თავი II.
ახალი უფლებები და გარანტიები

მუხლი 36.

(1) წინამდებარე კონსტიტუცია მოქმედებს მაშინაც, როდესაც მისი შესრულება შეწყვეტილია ინსტიტუციონალური წესისა და დემოკრატიული სისტემის წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი ქმედებების შედეგად. ეს ქმედებები ყველა შემთხვევაში ბათილია.

(2) აღნიშნული ქმედებების შემსრულებლები კონსტიტუციის 29-ე მუხლის შესაბამისად ისჯებიან. მათ სამუდამოდ ეკრძალებათ სახელმწიფო სამსახურში თანამდებობების დაკავება, აგრეთვე ჩამოერთმევათ შეწყალებისა და სასჯელის შემსუბუქების უფლება.

(3) ისინი, რომლებიც ამ ქმედებების შედეგად წინამდებარე კონსტიტუციით სახელმწიფო ან პროვინციების ხელისუფლების ორგანოებისთვის დადგენილ უფლებამოსილებებს მიითვისებენ, იმავე წესით ისჯებიან და თავიანთი ქმედებისთვის სისხლისა და სამოქალაქო სამართლის წესით აგებენ პასუხს. აღნიშნულ პირებს დაეკისრებათ სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

(4) ყველა მოქალაქეს აქვს იმ პირებისთვის წინააღმდეგობის გაწევის უფლება, რომლებიც ახორციელებენ ამ მუხლით გათვალისწინებულ ძალადობრივ ქმედებებს.

(5) მას, ვინც პირადი გამდიდრების მიზნით მონაწილეობს ერისა და დემოკრატიული სისტემის მიმართ მნიშვნელოვან თაღლითურ ქმედებაში, კანონით განსაზღვრული ვადის განმავლობაში ეკრძალება საჯარო თანამდებობის დაკავება.

(6) კონგრესი იღებს კანონს საჯარო ეთიკის შესახებ, რომლითაც განისაზღვრება სახელმწიფო სამსახურის განხორციელების წესი.

მუხლი 37.

(1) წინამდებარე კონსტიტუცია უზრუნველყოფს პოლიტიკური უფლებების სრულად განხორციელებას სახალხო სუვერენიტეტის პრინციპისა და მისგან გამომდინარე კანონების შესაბამისად. საარჩევნო უფლება საყოველთაო, თანასწორი, ფარული და საკალდებულოა.

(2) მამაკაცებისა და ქალების მიერ არჩევითი და პოლიტიკური თანამდებობების დაკავების შესაძლებლობის ფაქტობრივი თანასწორობა უზრუნველყოფილია პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო სისტემის მომწესრიგებელი და განმსაზღვრელი ნორმებით.

მუხლი 38.

(1) პოლიტიკური პარტიები დემოკრატიული სისტემის ძირითადი ინსტიტუტებია.

(2) წინამდებარე კონსტიტუციით უზრუნველყოფილია პოლიტიკური პარტიების დაფუძნებისა და საქმიანობის განხორციელების თავისუფლება, ისევე როგორც მათი დემოკრატიული ორგანიზაცია, უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენლობა, არჩევითი სახელმწიფო თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატურების წარდგენა, საჯარო ინფორმაციასთან დაშვება და აზრის თავისუფლად გავრცელება.

(3) სახელმწიფო ხელს უწყობს მათი საქმიანობის ეკონომიკურ მხარდაჭერასა და მათი ლიდერების სწავლებას.

(4) პოლიტიკური პარტიების ფულადი სახსრებისა და ქონების წარმოშობის წყაროები და დანიშნულება საჯარო უნდა იყოს.

მუხლი 39.

(1) მოქალაქეებს აქვთ დეპუტატთა პალატაში კანონპროექტების წარდგენის უფლება. კონგრესმა ისინი თორმეტი თვის ვადაში უნდა განიხილოს.

(2) კონგრესი თითოეული პალატის წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით იღებს კანონს, რომელმაც შესაბამისი ტერიტორიული დანაწილების გათვალისწინებით სახალხო ინიციატივის მხარდასაჭერად არ შეიძლება დააწესოს რეგისტრირებულ ამომრჩეველთა სამ პროცენტზე მეტი რაოდენობა.

(3) კანონპროექტები, რომლებიც კონსტიტუციურ რეფორმას, საერთაშორისო ხელშეკრულებებს, გადასახადების დაკისრებას, ბიუჯეტსა და სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობას ეხება, არ შეიძლება წარდგენილ იქნეს სახალხო ინიციატივით.

მუხლი 40.

(1) დეპუტატთა პალატის ინიციატივით, კონგრესმა შეიძლება კანონპროექტი წარადგინოს სახალხო კენჭისყრაზე. დაუშვებელია განსახილველად წარდგენილ კანონზე ვეტოს დადება. ხალხის მიერ დადებითი კენჭისყრის შედეგად კანონპროექტი კანონად იქცევა, რომლის გამოქვეყნებაც ავტომატურად ხდება.

(2) კონგრესი ან ერის პრეზიდენტი თავიანთი უფლებამოსილების შესაბამისად ნიშნავენ არასავალდებულო ძალის სახალხო კენჭისყრას. ასეთ შემთხვევაში კენჭისყრაში მონაწილეობა სავალდებულო არ არის.

(3) თითოეული პალატის წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით კონგრესი განსაზღვრავს სახალხო კენჭისყრის ობიექტს, პროცედურასა და ვადას.

მუხლი 41.

(1) ყველა მაცხოვრებელს აქვს ადამიანის განვითარების შესაბამისი ჯანსაღი და დაბალანსებული გარემოს უფლება. საწარმოო საქმიანობამ არსებული მოთხოვნილებები უნდა დააკმაყოფილოს მომავალი თაობებისათვის საფრთხის შექმნის გარეშე, გარემოს დაცვის ვალდებულებასთან ერთად. როგორც პრიორიტეტი, გარემოსთვის მიყენებული ზიანი კანონის შესაბამისად იწვევს მისი გამოსწორების ვალდებულებას.

(2) ხელისუფლება უზრუნველყოფს ამ უფლების დაცვას, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდ-

რეობისა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებას, აგრეთვე გარემოს შესახებ ინფორმაციასა და განათლებას.

(3) სახელმწიფო ადგენს მინიმალური დაცვის სტანდარტებს და პროვინციები ვალდებულნი არიან დაიცვან ისინი თავისი ადგილობრივი უფლებამოსილებების შეუცვლელად.

(4) აკრძალულია ეროვნულ ტერიტორიაზე საშიში ან პოტენციურად საშიში, აგრეთვე რადიოაქტიური ნარჩენების შემოტანა.

მუხლი 42.

(1) რაც შეეხება სამომხმარებლო ბაზარს, საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებსა და მოსარგებლეებს აქვთ თავიანთი ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ინტერესების დაცვის, შესაბამისი და სარწმუნო ინფორმაციის, არჩევანის თავისუფლებისა და სამართლიანი და სანდო მომსახურების უფლება.

(2) ხელისუფლების ორგანოები უზრუნველყოფენ აღნიშნული უფლებების დაცვას, მომხმარებელთა განათლებას, კონკურენციის დაცვას ყოველგვარი საბაზრო გადახრებისგან, ბუნებრივი და სახელმწიფო მონოპოლიების, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოების კვალიფიკაციასა და ეფექტურობაზე კონტროლსა და მომხმარებელთა და მოსარგებლეთა გაერთიანებების ჩამოყალიბებას.

(3) კანონმდებლობა განსაზღვრავს დავების თავიდან აცილებისა და გადაწყვეტის სათანადო პროცედურებს, ისევე როგორც სახელმწიფო საწარმოების საქმიანობის მომწესრიგებელ წესებს. ამ კანონმდებლობამ უნდა გაითვალისწინოს მომხმარებელთა და მოსარგებლეთა გაერთიანებებისა და დაინტერესებული პროვინციების მაკონტროლებელ ღონისძიებებში მონაწილეობა.

მუხლი 43.

(1) ყველა პირმა დაუყოვნებლივ უნდა შეიტანოს სარჩელი თავის კონსტიტუციურ გარანტიებთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს სხვა სამართლებრივი საშუალება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ან თანამდებობის პირების იმ ნებისმიერი მოქმედების ან უმოქმედების წინააღმდეგ, რომელიც აზიანებს, ზღუდავს, ცვლის ან საფრთხეს უქმნის კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ უფლებებსა და გარანტიებს, რაც თვითნებობასა და უკანონობაში გამოიხატება. ასეთ შემთხვევაში მოსამართლემ შეიძლება დაადგინოს, რომ მოქმედება ან უმოქმედობა დაფუძნებულია არაკონსტიტუციურ ნორმაზე.

(2) აღნიშნული დაუყოვნებლივი სარჩელი დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის წინააღმდეგ და გარემოს, კონკურენციის, მომხმარებელთა და მოსარგებლეთა უფლებების დაცვის, ასევე საერთო სახელმწიფო ინტერესების შესახებ, შეიტანება დაზარალებული მხარის მიერ, ომბუდსმენისა და გაერ-

თიანების მონაწილეობით, რომელთა ძირითად საქმიანობას სწორედ ამ ფუნქციების განხორციელება წარმოადგენს.

(3) ყველა პირს აქვს უფლება, მოითხოვოს ინფორმაცია საკუთარი თავისა და საქმიანობის შესახებ, რომელიც რეგისტრირებულია სახელმწიფო ან კერძო რეესტრებში ან მონაცემთა ბაზებში; და ყალბი ინფორმაციის ან დისკრიმინაციის შემთხვევაში სარჩელი შეიძლება შეტანილ იქნეს აღნიშნული მონაცემების გაუქმების, შესწორების, საიდუმლოდ შენახვისა და განახლების მოთხოვნით. ჟურნალისტური ინფორმაციის წყაროების საიდუმლოების შეზღუდვა დაუშვებელია.

(4) როდესაც დარღვეული ან შეზღუდულია უფლება, საფრთხე ექმნება ფიზიკურ თავისუფლებას ან დაკავების წესისა და პირობების უკანონო გაუარესების, ანდა პირის იძულებით გაუჩინარების შემთხვევაში, ჰაბეას კორპუსის სარჩელი შეტანილ უნდა იქნეს დაზარალებული მხარის ან მისი სახელით ნებისმიერი პირის მიერ. მოსამართლე ვალდებულია აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე, მათ შორის საალყო მდგომარეობის პირობებშიც, დაუყოვნებლივ მიიღოს გადაწყვეტილება.

მეორე ნაწილი.
სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები
ტიტული I – ფედერალური მთავრობა
პირველი განყოფილება – საკანონმდებლო ხელისუფლება

მუხლი 44.

ერის საკანონმდებლო ხელისუფლება კონგრესს აქვს მინიჭებული, რომელიც შედგება ორი პალატისგან – დეპუტატთა პალატისა და სენატისგან, რომელიც პროვინციებსა და ქალაქ ბუენოს-აირესს წარმოადგენს.

თავი I. დეპუტატთა პალატა

მუხლი 45.

დეპუტატთა პალატა შედგება წარმომადგენლებისგან, რომლებიც ხმების უბრალო უმრავლესობით მოსახლეობის მიერ პირდაპირ აირჩევიან პროვინციების, ბუენოს-აირესისა და დედაქალაქის მიერ, მისი სხვა ადგილზე გადატანის შემთხვევაში, რომლებიც ამ მიზნით სახელმწიფოს საარჩევნო ოლქებად ჩაითვლებიან. თითო დეპუტატი აირჩევა ყოველი ოცდაცამეტი ათასი მაცხოვრებლიდან ან დარჩენილ მაცხოვრებელთა არანაკლებ თექვსმეტი ათას ხუთასიანი ნაწილისგან. ყოველი აღწერის შემდეგ კონგრესი განსაზღვრავს წარმომადგენელთა რაოდენობას მისი შედეგის შესაბამისად და უფლებამოსი-

ლია გაზარდოს, მაგრამ არ შეუძლია, რომ შეამციროს დეპუტატის არჩევისათვის საჭირო ამომრჩეველთა რაოდენობა.

მუხლი 46.

პირველი მოწვევის დეპუტატები შემდეგი პროპორციით აირჩევიან: ბუენოს-აირესის პროვინციიდან — თორმეტი; კორდობას პროვინციიდან — ექვსი; კატამარკას პროვინციიდან — სამი; კორიენტესის პროვინციიდან — ოთხი; ენტრე რიოსის პროვინციიდან — ორი; ჟუჟუის პროვინციიდან — ორი; მენდოზას პროვინციიდან — სამი; ლა რიოხის პროვინციიდან — ორი; სალტას პროვინციიდან — სამი; სანტიაგოს პროვინციიდან — ოთხი; სან-ხუანის პროვინციიდან — ორი; სანტა-ფეს პროვინციიდან — ორი; სან-ლუისის პროვინციიდან — ორი და ტუკუმანის პროვინციიდან — სამი დეპუტატი.

მუხლი 47.

მომდევნო მოწვევის დეპუტატების ასარჩევად ჩატარდება მოსახლეობის საყოველთაო აღწერა და დეპუტატთა რაოდენობა მის შესაბამისად დადგინდება; შემდგომ აღწერა ჩატარდება მხოლოდ ყოველ ათ წელიწადში ერთხელ.

მუხლი 48.

დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნეს ოცდახუთი წლის ასაკს მიღწეული ოთხი წლის განმავლობაში არგენტინის სრულუფლებიანი მოქალაქე, რომელიც იმ პროვინციის მკვიდრია, საიდანაც კენჭს იყრის ან არჩევნებამდე ორი წლის განმავლობაში გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი მოცემული პროვინციის ტერიტორიაზე.

მუხლი 49.

პირველი მოწვევის დეპუტატთა არჩევისას პროვინციების საკანონმდებლო ორგანოები ყველა აუცილებელ ზომას მიიღებენ ერის დეპუტატების პირდაპირი არჩევნების ჩასატარებლად. შემდგომ კონგრესმა უნდა მიიღოს საერთო კანონი.

მუხლი 50.

დეპუტატები თანამდებობას იკავებენ ოთხი წლის ვადით და შეიძლება ხელმეორედ იქნენ არჩეული. დეპუტატთა პალატის შემადგენლობის ნახევარი განახლდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. ამ მიზნით, პირველი მოწვევის ლეგისლატურაში არჩეული დეპუტატები შეკრების შემდეგ წილისყრით განსაზღვრავენ იმ დეპუტატებს, რომლებიც პალატას პირველი ორწლიანი ვადის შემდეგ დატოვებენ.

მუხლი 51.

ვაკანტური ადგილის წარმოქმნის შემთხვევაში პროვინციის ან დედაქალაქის მთავრობა ახალი წევრის ასარჩევად უზრუნველყოფს კანონიერი არჩევნების ჩატარებას.

მუხლი 52.

მხოლოდ დეპუტატთა პალატას გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივის უფლება სახელმწიფო შემოსავლებისა და ჯარში გაწვევის სფეროში.

მუხლი 53.

მხოლოდ დეპუტატთა პალატა არის უფლებამოსილი თავიანთი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული არამართლზომიერი ქმედებისა და დანაშაულის, აგრეთვე სხვა დანაშაულის ჩადენისთვის სენატის წინაშე წაუყენოს ბრალდება პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეს, მინისტრებს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს. პალატა მოცემულ საკითხს წინასწარ განიხილავს და ბრალდების წაყენების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედით.

თავი II. სენატი

მუხლი 54.

სენატი შედგება თითოეული პროვინციიდან და ქალაქ ბუენოს-აირესიდან ერთიანად და პირდაპირ არჩეული სამ-სამი სენატორისაგან. სამიდან ორი ადგილი დაეთმობა არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე პოლიტიკურ პარტიას, ხოლო ერთი ადგილი - მეორე ადგილზე გასულ პოლიტიკურ პარტიას. თითოეულ სენატორს ერთი ხმის უფლება გააჩნია.

მუხლი 55.

პირი სენატორად შეიძლება არჩეულ იქნეს შემდეგი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში: თუ ის არის ოცდაათი წლის ასაკს მიღწეული ექვსი წლის განმავლობაში არგენტინის მოქალაქე, რომლის წლიური შემოსავალი ორი ათასი ოქროს პესო ან მისი შესაბამისი ოდენობაა და იმ პროვინციის მკვიდრია, საიდანაც კენჭს იყრის ან არჩევნებამდე ორი წლის განმავლობაში მოცემული პროვინციის ტერიტორიაზე გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

მუხლი 56.

სენატორები თანამდებობას იკავებენ ექვსი წლის ვადით და მათი ხელახლა არჩევის რაოდენობა არ არის შეზღუდული. სენატის შემადგენლობა სა-

არჩევნო ოლქების მიხედვით ყოველ ორ წელიწადში განახლდება ერთი მესამედით.

მუხლი 57.

ერის ვიცე-პრეზიდენტი არის სენატის თავმჯდომარე. ვიცე-პრეზიდენტს ხმის უფლება აქვს მხოლოდ სენატორების ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში.

მუხლი 58.

ვიცე-პრეზიდენტის არყოფნის ან ამ უკანასკნელის მიერ ერის პრეზიდენტის თანამდებობის დაკავების შემთხვევაში სენატი ნიშნავს დროებით თავმჯდომარეს, რომელიც თავმჯდომარის უფლებამოსილებებს ახორციელებს.

მუხლი 59.

მხოლოდ სენატი არის უფლებამოსილი ღია სხდომაზე გაასამართლოს დეპუტატთა პალატის მიერ ბრალდებული პირები. ამ შემთხვევაში სენატის წევრები ფიცს დებენ. როდესაც ბრალდება ერის პრეზიდენტის წინააღმდეგ არის მიმართული, სენატს თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. არავინ არ შეიძლება დამნაშავედ იქნეს ცნობილი დამსწრე სენატორთა ორი მესამედის თანხმობის გარეშე.

მუხლი 60.

სენატის განაჩენი შემოიფარგლება ბრალდებული პირის თანამდებობიდან გადაყენებითა და სახელმწიფო სამსახურში საპატიო, საპასუხისმგებლო ან ანაზღაურებადი თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით. მიუხედავად ამისა, დამნაშავედ ცნობილი მხარე, კანონის შესაბამისად ექვემდებარება ბრალდების წაყენებას, სამართალში მიცემასა და სასჯელის დაკისრებას საერთო სასამართლოების წინაშე.

მუხლი 61.

სენატი აგრეთვე უფლებამოსილია, გარედან თავდასხმის შემთხვევაში ერის პრეზიდენტს მიანიჭოს რესპუბლიკის ერთ ან რამდენიმე ადგილზე საალყო მდგომარეობის გამოცხადების უფლებამოსილება.

მუხლი 62.

სენატორის გარდაცვალების, გადადგომის ან სხვა მიზეზის გამო მისი ადგილის გათავისუფლების შემთხვევაში, შესაბამისი პროვინციის მთავრობა ვალდებულია დაუყოვნებლივ ჩაატაროს სენატის ახალი წევრის არჩევნები.

თავი III.
ორივე პალატისთვის საერთო დებულებები

მუხლი 63.

თითოეული პალატა მოიწვევა ყოველწლიურად დამოუკიდებლად მორიგ საკანონმდებლო სესიაზე პირველი მარტიდან 30 ნოემბრამდე. ერის პრეზიდენტი უფლებამოსილია მოიწვიოს საგანგებო საკანონმდებლო სესია ან გაგრძელოს მორიგი სესიის ხანგრძლივობა.

მუხლი 64.

თითოეული პალატა განიხილავს არჩევნების, პალატის წევრთა უფლებებისა და კვალიფიკაციის საკითხებს მათი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. არც ერთ პალატას არ შეუძლია სხდომაზე შეიკრიბოს მის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობის დასწრების გარეშე. უმცირესობას შეუძლია სხდომაზე არმყოფი წევრები აიძულოს გამოცხადდნენ სხდომებზე თითოეული პალატის მიერ დადგენილ ვადაში და სანქციების მუქარით.

მუხლი 65.

ორივე პალატის საკანონმდებლო სესიები ერთდროულად იწყება და მთავრდება. სესიის პერიოდში არც ერთ პალატას არ შეუძლია მეორე პალატის თანხმობის გარეშე სამ დღეზე მეტი ვადით გადადოს თავისი სხდომები.

მუხლი 66.

თითოეული პალატა შეიმუშავებს საკუთარ რეგლამენტს და წევრთა ორი მესამედის თანხმობით უფლებამოსილია თავის წევრთაგან ნებისმიერი დასაჯოს კონგრესის წევრის მოვალეობათა განხორციელებასთან შეუფერებელი საქციელისთვის ან გადააყენოს ან სხდომათა დარბაზიდან გააძევოს იგი კონგრესში არჩევის შემდეგ აღმოჩენილი ფიზიკური ან ზნეობრივი უუნარობის გამო. თანამდებობიდან ნებაყოფლობით გადადგომის შესახებ საკითხი წყდება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 67.

თანამდებობის დაკავებისას სენატორები და დეპუტატები ფიცს დებენ, რომ თავიანთ მოვალეობებს ღირსეულად შეასრულებენ და ყველა შემთხვევაში იმოქმედებენ წინამდებარე კონსტიტუციის დებულებების შესაბამისად.

მუხლი 68.

დაუშვებელია კონგრესის წევრისთვის ბრალდების წაყენება, მისი სასამართლოში დაკითხვა ან დევნა კანონმდებლის უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში გამოთქმული აზრების ან წარმოთქმული სიტყვისთვის.

მუხლი 69.

დაუშვებელია სენატორის ან დეპუტატის დაპატიმრება მისი არჩევის დღიდან უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დააპატიმრებენ ადგილზე წასწრებისას, იმ დანაშაულისთვის, რაც სიკვდილით, სამარცხვინო ან სხვა სერიოზული სასჯელით ისჯება, რის თაობაზეც შესაბამის პალატას დაუყოვნებლივ ატყობინებენ.

მუხლი 70.

საერთო სასამართლოში სენატორზე ან დეპუტატზე წერილობითი საჩივრის შეტანის შემთხვევაში თითოეული პალატა უფლებამოსილია ღია სხდომაზე მტკიცებულებების შეფასების შემდეგ წევრთა ორი მესამედის თანხმობით ბრალდებულ კონგრესის წევრს შეუჩეროს უფლებამოსილება და მისი საქმე განსახილველად გადასცეს შესაბამის სასამართლოს.

მუხლი 71.

თითოეული პალატა უფლებამოსილია პალატის მიერ აუცილებლად მიჩნეული განმარტებებისა და ანგარიშების მოსასმენად მოიწვიოს აღმასრულებელი ხელისუფლების მინისტრები.

მუხლი 72.

კონგრესის არც ერთმა წევრმა არ შეიძლება დაიკავოს თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან შეასრულოს აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილება შესაბამისი პალატის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა სამსახურებრივი დაწინაურების შემთხვევებისა.

მუხლი 73.

კონგრესის წევრები არ შეიძლება იყვნენ მოქმედი სასულიერო პირები. აგრეთვე, კონგრესის წევრი არ შეიძლება იყოს გუბერნატორი იმ პროვინციიდან, რომელსაც იგი წარმოადგენს.

მუხლი 74.

სენატორებისა და დეპუტატების შრომა, კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით, ანაზღაურდება ერის ხაზინიდან.

თავი IV. კონგრესის უფლებამოსილებები

მუხლი 75.

კონგრესი უფლებამოსილია:

1. მიიღოს ეროვნული საბაჟო კანონმდებლობა და დააწესოს საიმპორტო და საექსპორტო გადასახადები, რომლებიც, ისევე როგორც მათი გამოანგარიშების წესი, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ერთგვაროვანი უნდა იყოს;

2. პროვინციების თანხმობით შემოიღოს არაპირდაპირი გადასახადები. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შემოიღოს გარკვეული ვადით და თანაბარი პირდაპირი გადასახადები, თუ ამას მოითხოვს სახელმწიფოს თავდაცვა, საზოგადოებრივი უსაფრთხოება და საერთო კეთილდღეობა. მუხლის ამ ნაწილით გათვალისწინებული გადასახადები წარმოადგენს ერთობლივი გამგებლობის საგანს, გარდა სპეციალური დანიშნულების მქონე გადასახადებისა მთლიანად ან მათი ნაწილისა.

სახელმწიფოსა და პროვინციების ურთიერთშეთანხმებაზე დამყარებული კანონი-ხელშეკრულება აფუძნებს აღნიშნული გადასახადების ერთობლივი გამგებლობის სისტემას, რაც უზრუნველყოფს ფულადი სახსრების ავტომატურ გადარიცხვას.

გადასახადების განაწილება სახელმწიფოს, პროვინციებსა და ქალაქ ბუენოს-აირესს შორის უნდა განხორციელდეს თითოეული მათგანის კომპეტენციას, უფლებამოსილებებსა და ფუნქციებთან პირდაპირ დამოკიდებულებაში განაწილების ობიექტური კრიტერიუმების გათვალისწინებით; იგი თანასწორობისა და სოლიდარობის პრინციპებზე არის დამყარებული, რომლის მთავარ პრიორიტეტად დასახულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განვითარების თანაბარი დონის, საცხოვრებელი სტანდარტებისა და თანაბარი შესაძლებლობების მიღწევა.

კანონი-ხელშეკრულება სენატს წარედგინება და თითოეული პალატის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობით მიიღება. იგი პროვინციების მიერ მტკიცდება და ცალმხრივად არ შეიძლება იქნეს შესწორებული ან რეგლამენტირებული.

დაუშვებელია კომპეტენციის, უფლებამოსილებებისა და ფუნქციების გადაცემა კონგრესის, ისევე როგორც დაინტერესებული პროვინციის ან ბუენოს-აირესის მიერ დამტკიცებული ფონდების დანიშნულების შესაბამისი ცვლილების გარეშე.

ფედერალური საგადასახადო ორგანო პასუხისმგებელია მუხლის ამ ნაწილით გათვალისწინებული დებულების კონტროლსა და მონიტორინგზე კანონის შესაბამისად, რომლის თანახმადაც იგი უზრუნველყოფს ამ პროცესში ყველა პროვინციისა და ქალაქ ბუენოს-აირესის წარმომადგენლობას;

3. თითოეული პალატის წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მიღებული კანონის საფუძველზე, გარკვეული ვადით დაადგინოს და შეცვალოს ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებული სპეციალური სახსრების განაწილების წესი;

4. სახელმწიფოს სახელით აიღოს სესხი;

5. გადაწყვიტოს სახელმწიფო მიწების გამოყენებისა და გასხვისების საკითხი;

6. დააფუძნოს ფედერალური ბანკი და სხვა ეროვნული ბანკები მათთვის ფულის ემისიის უფლების მინიჭებასთან ერთად;

7. მოაწესრიგოს სახელმწიფოს საგარეო და შიდა ვალის გადახდა;

8. ამ მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად ყოველწლიურად დაადგინოს მთავრობის საერთო პროგრამა და სახელმწიფო საინვესტიციო გეგმაზე დაფუძნებული ეროვნული ადმინისტრაციის ხარჯებისა და შემოსავლების საერთო ბიუჯეტი, აგრეთვე დაამტკიცოს ან უარყოს საინვესტიციო ანგარიში;

9. სახელმწიფო ხაზინიდან გამოყოს დოტაციები იმ პროვინციებისთვის, რომელთა შემოსავლები მათი ბიუჯეტების შესაბამისად მიმდინარე ხარჯებს ვერ ფარავენ;

10. მოაწესრიგოს შიდა მდინარეებზე თავისუფალი ნავიგაცია, გასცეს ნებართვა იმ პორტების საქმიანობაზე, რომლებზეც აუცილებლად მიიჩნევს, გახსნას და გააუქმოს საბაჟოები;

11. მოჭრას ფული, დაადგინოს ეროვნული და უცხოური ვალუტის კურსი, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მიიღოს ერთიანი ზომა-წონის სტანდარტები;

12. ცალკეული კანონების ან კრებულების სახით მიიღოს სამოქალაქო, სავაჭრო, სისხლის, სამთო, შრომისა და სოციალური უსაფრთოების კოდექსები იმ პირობით, რომ ამ კოდექსებით არ შეიცვალოს ადგილობრივი იურისდიქცია და მათი მოქმედება პასუხობდეს ფედერალური ან პროვინციების სასამართლოებისთვის დადგენილ პირების ან ნივთების შესაბამის განსჯადობას; მათ შორის, მიიღოს არგენტინის სასარგებლოდ, მოქალაქეობის მოპოვების დაბადებისა და არჩევის პრინციპზე დაფუძნებული მთელი ქვეყნისთვის ნატურალიზაციისა და მოქალაქეობის შესახებ საერთო კანონები, აგრეთვე გაკოტრების, ფულისა და სახელმწიფო საბუთების გაყალბების შესახებ და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დასაფუძნებლად აუცილებელი კანონები;

13. უცხო ქვეყნებთან, აგრეთვე პროვინციებს შორის მოაწესრიგოს ვაჭრობა;

14. შექმნას სახელმწიფოს მთავარი საფოსტო სამსახურები და მოაწესრიგოს მათი საქმიანობა;

15. დაადგინოს ეროვნული ტერიტორიისა და პროვინციების ტერიტორიების ზუსტი საზღვრები, შექმნას ახალი პროვინციები და სპეციალური კანონმდებლობით დაადგინოს იმ ეროვნული ტერიტორიების ორგანიზაციის, ადმინისტრაციისა და მმართველობის სისტემა, რომელიც პროვინციებისათვის დადგენილ საზღვრებს გარეთ არსებობს;

16. უზრუნველყოს საზღვრების უსაფრთხოება;

17. აღიაროს არგენტინის მკვიდრი ხალხების ეთნიკური და კულტურული არსებობა.

უზრუნველყოს თვითმყოფადობის პატივისცემისა და ორენოვანი და ქვეყნის შიგნით კულტურული განათლების უფლება; აღიაროს მათი გაერთიანებების ქმედუნარიანობა და მათ მფლობელობასა და საკუთრებაში ტრადიციულად არსებული მიწები; გადაწყვიტოს მათთვის ადამიანის განვითარებისათვის შესაბამისი მიწების საკმარისი ოდენობის გადაცემის საკითხი. დაუშვებელია აღნიშნული მიწების გაყიდვა ან სხვისთვის გადაცემა, ისინი არ შეიძლება იქცნენ ყადაღის დადების ან დაპატიმრების ობიექტად. ბუნებრივი რესურსების შესახებ და მათი ინტერესების სფეროში შემავალი სხვა საკითხების გადაწყვეტაში უზრუნველყოს მათი მონაწილეობა პროვინციებმა ეს უფლებამოსილებები შეიძლება ერთობლივად განახორციელონ;

18. უზრუნველყოს ქვეყნის აყვავების, პროვინციების წინსვლისა და კეთილდღეობის, განათლების განვითარებისათვის აუცილებელი ზოგადი და საუნივერსიტეტო განათლების გეგმების მიღება, ხელი შეუწყოს მრეწველობის, იმიგრაციის, რკინიგზისა და სანაოსნო არხების მშენებლობას, სახელმწიფოს კუთვნილი მიწების ათვისებას, მრეწველობის ახალი დარგების შექმნასა და გავრცელებას, უცხოური კაპიტალის შემოტანასა და შიდა მდინარეების გამოყენებას, ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელი კანონების მიღების, დროებითი შეღავათებისა და წამახალისებელი კომპენსაციების მინიჭების გზით;

19. უზრუნველყოს ადამიანის განვითარებისათვის ყველა აუცილებელი პირობა, სოციალური სამართლიანობით ეკონომიკური პროგრესი, ეროვნული ეკონომიკის ზრდა, სამუშაო ადგილების შექმნა, მშრომელთა პროფესიული სწავლების, ეროვნული ვალუტის კურსის დაცვა, მეცნიერული და ტექნოლოგიური კვლევა და განვითარება, მათი საყოველთაო გავრცელება და სასარგებლოდ გამოყენება.

უზრუნველყოს ერის ჰარმონიული ზრდა და ქვეყნის ტერიტორიის დასახლება, პროვინციებისა და რეგიონების შედარებით არათანაბარი განვითარების დასაბალანსებლად გაატაროს განსხვავებული პოლიტიკა. ეს ინიციატივები სენატის მიერ შემუშავდება.

მიიღოს ერის ერთიანობის გამყარებისაკენ მიმართული და პროვინციებისა და ადგილობრივი თავისებურებებისადმი მისადაგებული განათლების ორგანიზაციისა და საფუძვლების შესახებ კანონები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, რომელიც არ შეიძლება გადაცემულ იქნეს, აგრეთვე ოჯახსა და საზოგადოებრივ მონაწილეობას, ხელს უწყობენ დემოკრატიული ფასეულობების განვითარებას და თანაბარ შესაძლებლობებს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, აგრეთვე უზრუნველყოფენ სახელმწიფო განათლების თავისუფალ და თანასწორ პრინციპებს, ისევე როგორც ეროვნული უნივერსიტეტების ავტონომიასა და ავტარქიას.

მიიღოს კულტურული თვითმყოფადობისა და მრავალფეროვნების, ავტორების მიერ მხატვრული ნაწარმოებების თავისუფალი შემოქმედებისა და მათი მიმოქცევის, კულტურული და აუდიოვიზუალური ღონისძიებების ჩასატარებლად განკუთვნილი კულტურული მემკვიდრეობისა და ადგილების დამცველი კანონები;

20. დააფუძნოს უზენაესი სასამართლოსადმი დაქვემდებარებული სასამართლოები; შემოიღოს და გააუქმოს თანამდებობები; განსაზღვროს მათი ფუნქციები; გადაიხადოს პენსიები; დაადგინოს ჯილდოები და გამოაცხადოს საყოველთაო ამნისტიები;

21. მიიღოს ან უარყოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის გადადგომა და აუცილებლობის შემთხვევაში დანიშნოს ახალი არჩევნები;

22. უცხო სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან დაამტკიცოს ან უარყოს ხელშეკრულებები, აგრეთვე ვატიკანთან დადებული კონკორდატები. ხელშეკრულებები და კონკორდატები იერარქიით კანონებზე მაღლა დგანან.

სრული მოქმედების ძალა გააჩნიათ: ადამიანის უფლებებისა და მოვალეობების ამერიკულ დეკლარაციას; ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას; ადამიანის უფლებათა შესახებ ამერიკის კონვენციას; საერთაშორისო პაქტს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ; საერთაშორისო პაქტს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და მის თანდართულ პროტოკოლს; კონვენციას გენოციდის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ; საერთაშორისო კონვენციას რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის გაუქმების შესახებ; კონვენციას ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის გაუქმების შესახებ; კონვენციას წამების და სხვა სასტიკი, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის წინააღმდეგ და კონვენციას ბავშვის უფლებების შესახებ. მათი დებულებები იერარქიულად კონსტიტუციის დონეზე დგანან, არ აუქმებენ კონსტიტუციის პირველი ნაწილის არც ერთ მუხლს და ავსებენ კონსტიტუციით აღიარებულ უფლებებსა და გარანტიებს. მათი დენონსაცია შესაძლებელია მხოლოდ ეროვნული აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, თითოეული პალატის წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა ორი მესამედით დამტკიცების შემდეგ.

ადამიანის უფლებათა შესახებ სხვა ხელშეკრულებები და კონვენციები იერარქიულად კონსტიტუციური დონის მისაღწევად საჭიროებენ კონგრესის მიერ დამტკიცებას თითოეული პალატის წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა ორ მესამედით;

23. მიიღოს კანონმდებლობა და გაატაროს პოზიტიური ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობასა და მოქცევას, წინამდებარე კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა მოქმედი საერთაშორისო

ხელშეკრულებებით აღიარებული ადამიანის უფლებებით სრულ სარგებლობასა და მათ განხორციელებას, განსაკუთრებით, რომლებიც ეხება ბავშვებს, ქალებს, მოხუცებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს.

მიიღოს სპეციალური და შიდა უსაფრთხოების სოციალური სისტემა ორსულობის მომენტიდან საწყისი განათლების მიღების დამთავრებამდე ბავშვების მიტოვებისა და დედის ორსულობისა და ძუძუთი კვების პერიოდში ბავშვთა დაცვისთვის;

24. დაამტკიცოს ინტეგრაციის შესახებ ხელშეკრულებები, რომელთა ძალითაც უფლებამოსილებები და იურისდიქცია ზეეროვნულ ორგანიზაციებს ურთიერთანასწორობის პირობებით გადაეცემა და რომლებიც პატივს სცემენ დემოკრატიულ წყობილებასა და ადამიანის უფლებებს. ეს ხელშეკრულებები იერარქიულად კანონებზე მაღლა დგანან.

ლათინური ამერიკის სახელმწიფოებთან დადებული აღნიშნული ხელშეკრულებების დასამტკიცებლად საჭიროა თითოეული პალატის წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა. სხვა სახელმწიფოებთან ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, ეროვნული კონგრესი თითოეული პალატის დამსწრე წევრთა უმრავლესობით დასვამს საკითხს ხელშეკრულების დამტკიცების მიზანშეწონილობის თაობაზე. ხელშეკრულება შეიძლება დამტკიცდეს მხოლოდ თითოეული პალატის წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, მიზანშეწონილობის საკითხის დასმიდან ას ოცი დღის შემდეგ.

წინამდებარე მუხლის ამ ნაწილით გათვალისწინებული ხელშეკრულების დენონსაცია თითოეული პალატის წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა აბსოლუტური უმრავლესობის წინასწარ დამტკიცებას საჭიროებს;

25. აღმასრულებელ ხელისუფლებას მიანიჭოს ომის გამოცხადებისა და ზავის დადების უფლებამოსილება;

26. აღმასრულებელ ხელისუფლებას მიანიჭოს რეპრესალიების გამოცემისა და სამხედრო ნადავლთან დაკავშირებით წესების დადგენის უფლებამოსილება;

27. დაადგინოს ომისა და მშვიდობის პერიოდში სამხედრო ძალების რაოდენობა და მათი მართვისა და ორგანიზების წესები;

28. ნებართვა მისცეს უცხოურ სამხედრო ძალებს ერის ტერიტორიაზე შემოსვლასა და ეროვნული ძალების რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გასვლაზე;

29. შიდა არეულობის შემთხვევაში სახელმწიფოს ერთ ან რამდენიმე პუნქტში გამოაცხადოს საალყო მდგომარეობა, დაამტკიცოს ან გააგრძელოს კონგრესის არდადეგების დროს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გამოცხადებული საალყო მდგომარეობა;

30. ერის დედაქალაქის ტერიტორიაზე განახორციელოს განსაკუთრებული კანონმდებლობა და მიიღოს კანონმდებლობა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ეროვნული ინტერესიდან გამომდინარე სპეციალური მიზნების მისაღწევად. პროვინციებისა და მუნიციპალური ხელისუფლების ორგანოებს ამ სპეციალური მიზნების მისაღწევად აქვთ გადასახადების შემოღებისა და პოლიციის ძალების გამოყენების უფლება იმდენად, რამდენადაც ისინი არ უნდა ერეოდნენ აღნიშნული მიზნების განხორციელებაში;

31. გასცეს ნებართვა პროვინციებისა და ქალაქ ბუენოს-აირესის საქმეებში ჩასარევად.

დაამტკიცოს ან გააუქმოს კონგრესის არდადეგების პერიოდში აღმასრულებელი ხელისუფლების ჩარევის შესახებ გამოცემული დეკრეტი;

32. ამ კონსტიტუციით არგენტინელი ერის მთავრობისთვის ზემოაღნიშნული უფლებამოსილების და სხვა უფლებამოსილების განსახორციელებლად მიიღოს ნებისმიერი აუცილებელი კანონი და წესი.

მუხლი 76.

საკანონმდებლო ხელისუფლება არ შეიძლება დელეგირებულ იქნეს აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის, გარდა მმართველობისა და გადაუდებელი აუცილებლობის საკითხებისა და მათი განხორციელებისთვის გარკვეული ვადით კონგრესის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული ვადის ამოწურვა არ უნდა ითვალისწინებდეს იმ ურთიერთობების გადახედვას, რომლებიც წარმოიშვა კონგრესის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების შედეგად.

თავი V.
კანონების შემუშავება და მიღება

მუხლი 77.

კანონები მიიღება კონგრესის ორივე პალატაში მათი წევრებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ წარდგენილი კანონპროექტების საფუძველზე, გარდა წინამდებარე კონსტიტუციით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

კანონპროექტები, რომლებიც საარჩევნო სისტემასა და პოლიტიკურ პარტიებს ცვლიან, მიიღება პალატების წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა აბსოლუტური უმრავლესობის მიერ.

მუხლი 78.

კანონპროექტი მის წარმომდგენ პალატაში დამტკიცების შემდეგ განსახილველად გადაეგზავნება მეორე პალატას. ორივე პალატის მიერ მიღებული

კანონპროექტი განსახილველად გადაეცემა ერის აღმასრულებელ ხელისუფლებას და მისი მოწონების შემთხვევაში კანონად იქცევა.

მუხლი 79.

კანონპროექტის ზოგადი დამტკიცების შემდეგ თითოეული პალატა წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით უფლებამოსილია მოცემული კანონპროექტი დეტალური დამტკიცებისთვის გადასცეს თავის კომიტეტებს. პალატას შეუძლია ხმების იმავე რაოდენობით გააუქმოს დელეგირებული უფლებამოსილებები და ჩვეულებრივ პროცედურას დაუბრუნდეს. კომიტეტში კანონპროექტის დამტკიცება საჭიროებს მის წევრთა ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას. კომიტეტის მიერ კანონპროექტის დამტკიცების შემდეგ გაგრძელდება ჩვეულებრივი პროცედურები.

მუხლი 80.

ნებისმიერი კანონპროექტი, რომელიც ათი სამუშაო დღის განმავლობაში არ იქნება დაბრუნებული, აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მოწონებულად ჩაითვლება. კანონპროექტის ნაწილობრივ უარყოფის შემთხვევაში, დაუშვებელია მისი დარჩენილი ნაწილის მიღება. ამასთან, კანონის ვეტოდაუდებელი ნაწილები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გამოქვეყნდეს, თუ მათ ნორმატიული ავტონომია გააჩნიათ და მათი ნაწილობრივი მიღება კონგრესის მიერ მიღებული კანონპროექტის ძირითად არსს არ ცვლის. ამ შემთხვევაში გამოიყენება აუცილებელი და გადაუდებელი დეკრეტების გამოცემისთვის დადგენილი წესი.

მუხლი 81.

ორივე პალატის მიერ მთლიანად უარყოფილი კანონპროექტი იმავე წლის საკანონმდებლო სესიაზე არ შეიძლება ხელმეორედ იქნეს წარდგენილი. არც ერთ პალატას არ შეუძლია მთლიანად უარყოს მის მიერ წარდგენილი და შემდგომში ზედამხედველი პალატის მიერ შესწორებული კანონპროექტი. ზედამხედველი პალატის მიერ კანონპროექტში დამატებებისა და შესწორებების შეტანის შემთხვევაში, კენჭისყრის შედეგები ნამდვილია, თუ აღნიშნული დამატებები და შესწორებები მიღებულია პალატის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედით. კანონპროექტის წარმდგენი პალატა კანონპროექტს მასში შეტანილი დამატებებითა და შესწორებებით ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით ან კენჭს უყრის თავდაპირველ ტექსტს იმ შემთხვევაში, თუ ზედამხედველი პალატის მიერ შეტანილი დამატებები და შესწორებები არ იყო მიღებული პალატის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედით. ასეთ შემთხვევაში კანონპროექტი ზედამხედველი პალატის მიერ შეტანილი დამატებებითა და შესწორებებით გადაეცემა აღმასრულებელ ხელისუფლებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონპროექ-

ტის წარმდგენმა პალატამ დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედით მიიღო კანონპროექტის თავდაპირველი ტექსტი. კანონპროექტის წარმდგენ პალატას არა აქვს ზედამხედველი პალატის მიერ მიღებულ დამატებებსა და შესწორებებში ახალი დამატებებისა და შესწორებების შეტანის უფლება.

მუხლი 82.

თითოეული პალატის ნება ნათლად უნდა იყოს გამოხატული; კანონპროექტის დუმილით ან ფიქტიურად დამტკიცება ყველა შემთხვევაში გამორიცხულია.

მუხლი 83.

თუ კანონპროექტი მთლიანად ან ნაწილობრივ უარყოფილია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, იგი შენიშვნებით უბრუნდება მის წარმომდგენ პალატას, რომელიც ხელმეორედ განიხილავს მას. ხმების ორი მესამედით კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, იგი ხელმეორედ გადაეგზავნება ზედამხედველ პალატას. ორივე პალატის წევრთა ხმების ორი მესამედით კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, იგი კანონად იქცევა და გამოსაქვეყნებლად გადაეცემა აღმასრულებელ ხელისუფლებას. ასეთ შემთხვევებში ორივე პალატაში ტარდება სახელობითი კენჭისყრა; დეპუტატთა სახელები და კენჭისყრის შედეგი აღმასრულებელი ხელისუფლების შენიშვნებთან ერთად დაუყოვნებლივ ქვეყნდება პრესაში. თუ პალატები შენიშვნებთან დაკავშირებით შეთანხმებას ვერ მიაღწევენ, კანონპროექტი არ შეიძლება ხელმეორედ იქნეს წარდგენილი იმავე წლის საკანონმდებლო სესიაზე.

მუხლი 84.

კანონის გამოქვეყნებისას გამოიყენება შემდეგი ფორმულა: „კონგრესში გაერთიანებული არგენტინელი ერის სენატი და დეპუტატთა პალატა გამოსცემენ ან იღებენ წინამდებარე კანონს“.

თავი VI.
სახელმწიფოს მთავარი აუდიტორის სამსახური

მუხლი 85.

(1) საკანონმდებლო ხელისუფლებას გააჩნია სახელმწიფო სამსახურის ქონებრივი, ეკონომიკური, ფინანსური და ოპერატიული ასპექტების გარე კონტროლის განხორციელების განსაკუთრებული უფლებამოსილება.

(2) ეროვნული სახელმწიფო სამსახურის საქმიანობასა და საერთო მდგომარეობაზე საკანონმდებლო ხელისუფლების ზედამხედველობა და დასკვნები დაფუძნებულია სახელმწიფოს მთავარი აუდიტორის სამსახურის ანგარიშებზე.

(3) კონგრესის ფუნქციური ავტონომიის მქონე აღნიშნული ტექნიკური საკონსულტაციო ორგანო დაფუძნებულია მისი შექმნისა და საქმიანობის მომწესრიგებელი კანონის საფუძველზე, რომელიც მიიღება თითოეული პალატის წევრთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით. მისი თავმჯდომარე ინიშნება კონგრესში ყველაზე მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობის მქონე ოპოზიციური გაერთიანების წარდგინების საფუძველზე.

(4) სახელმწიფოს მთავარი აუდიტორი პასუხისმგებელია ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული სახელმწიფო სამსახურის, განურჩევლად მისი ორგანიზაციული ფორმებისა, საქმიანობის სამართლებრივი ასპექტების, მართვისა და აუდიტის კონტროლზე, ასევე ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს. მთავარმა აუდიტორმა მონაწილეობა უნდა მიიღოს სახელმწიფო ფონდების შემოსავლებისა და საინვესტიციო ანგარიშების დამტკიცების ან უარყოფის პროცესში.

თავი VII. ომბუდსმენი

მუხლი 86.

(1) ომბუდსმენი არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც შექმნილია ეროვნული კონგრესის სფეროში და სარგებლობს ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოს მითითებებისგან სრული ავტონომიით. ომბუდსმენის ამოცანაა კონსტიტუციითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ადამიანის უფლებებისა და სხვა უფლებების, გარანტიებისა და ინტერესების დაცვა ადმინისტრაციის გადაწყვეტილებების, მოქმედებების ან უმოქმედობისაგან, ისევე როგორც კონტროლი სახელმწიფოს ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელებაზე.

(2) ომბუდსმენი უფლებამოსილია მხარედ გამოვიდეს სასამართლო პროცესში. იგი თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება თითოეული პალატის დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედით. იგი სარგებლობს სადეპუტატო იმუნიტეტითა და პრივილეგიებით. ომბუდსმენი თანამდებობას იკავებს ხუთი წლის ვადით და ხელახლა შეიძლება მხოლოდ ერთხელ იყოს დანიშნული.

(3) ომბუდსმენის ორგანიზაცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება სპეციალური კანონით.

მეორე განყოფილება – აღმასრულებელი ხელისუფლება
თავი I. არსი და ვადა

მუხლი 87.

ერის აღმასრულებელი ხელისუფლება ხორციელდება არგენტინის მოქალაქის მიერ, რომელიც „არგენტინელი ერის პრეზიდენტის" სახელწოდებას ატარებს.

მუხლი 88.

პრეზიდენტის ავადმყოფობის, დედაქალაქში არყოფნის, გარდაცვალების, თანამდებობიდან გადადგომის ან გადაყენების შემთხვევაში აღმასრულებელი ხელისუფლება ხორციელდება ერის ვიცე-პრეზიდენტის მიერ. ერის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების, გადადგომის, გარდაცვალების ან მათ მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში კონგრესი გადაწყვეტს, თუ რომელმა თანამდებობის პირმა უნდა შეასრულოს პრეზიდენტის მოვალეობები შეუძლებლობის მიზეზის აღმოფხვრამდე ან ახალი პრეზიდენტის არჩევამდე.

მუხლი 89.

ერის პრეზიდენტად ან ვიცე-პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს არგენტინის ტერიტორიაზე დაბადებული პირი ან საზღვარგარეთ დაბადებული დაბადებით არგენტინის მოქალაქის ვაჟი, რომელიც აკმაყოფილებს სენატორის არჩევისთვის დადგენილ სხვა მოთხოვნებს.

მუხლი 90.

პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი თანამდებობებს იკავებენ ოთხი წლის ვადით. ისინი ხელახლა შეიძლება იქნენ არჩეულნი ან ერთმანეთი შეცვალონ მხოლოდ ერთი მომდევნო ვადით. მათი ხელახლა არჩევის ან ერთმანეთის შეცვლის შემთხვევაში დაუშვებელია აღნიშნულ თანამდებობებზე მათი არჩევა შემდგომი ერთი ვადის განმავლობაში.

მუხლი 91.

ერის პრეზიდენტი უფლებამოსილებას იხსნის თავისი ოთხწლიანი ვადის ამოწურვის დღეს. არც ერთი მოვლენა, რომელსაც შეუძლია შეწყვიტოს მისი ხელისუფლებაში ყოფნის ვადა, არ შეიძლება გახდეს აღნიშნული ვადის გაგრძელების საფუძველი.

მუხლი 92.

პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი ანაზღაურებას იღებენ სახელმწიფო ხაზინიდან, რომლის ოდენობა მათი თანამდებობაზე ყოფნის ვადის განმავლობაში არ შეიძლება შეიცვალოს. ამავე პერიოდის განმავლობაში პრეზი-

დენტსა და ვიცე-პრეზიდენტს არა აქვთ სხვა თანამდებობის დაკავების ან სახელმწიფოს ან პროვინციებისგან რაიმე ანაზღაურების მიღების უფლება.

მუხლი 93.

თანამდებობის დაკავებისას პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი ფიცს დებენ სენატის თავმჯდომარისა და შეკრებილი კონგრესის წინაშე, საკუთარი რელიგიური შეხედულებების პატივისცემით: „ვფიცავ, ერთგულად და პატრიოტულად შევასრულებ ერის პრეზიდენტის (ვიცე-პრეზიდენტის) უფლებამოსილებას, კეთილსინდისიერად დავიცავ არგენტინელი ერის კონსტიტუციას და სხვასაც მისი დაცვისკენ ვუბიძგებ“.

თავი II.
ერის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის არჩევის პროცედურა და ვადა

მუხლი 94.

ერის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი აირჩევიან კონსტიტუციის შესაბამისად ხალხის მიერ პირდაპირ არჩევნების მეორე ტურში. ამ მიზნისათვის ეროვნული ტერიტორია ერთ საარჩევნო ოლქს წარმოადგენს.

მუხლი 95.

არჩევნები უნდა ჩატარდეს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე ორი თვის განმავლობაში.

მუხლი 96.

არჩევნების მეორე ტური, საჭიროების შემთხვევაში, ტარდება საუკეთესო შედეგის მქონე ორ წყვილს შორის პირველი ტურის ჩატარებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში.

მუხლი 97.

თუ არჩევნების პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატთა წყვილი ნამდვილად ჩათვლილი ხმების ორმოცდახუთ პროცენტზე მეტს მიიღებს, ისინი პრეზიდენტად და ვიცე-პრეზიდენტად გამოცხადდებიან.

მუხლი 98.

თუ არჩევნების პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატთა წყვილი ნამდვილად ჩათვლილი ხმების ორმოც პროცენტს მაინც მიიღებს და მიღებული ხმები ათი პროცენტით მაინც აღემატება კანდიდატთა მეორე

წყვილის მიერ მიღებული ხმების რაოდენობას, ისინი პრეზიდენტად და ვიცე-პრეზიდენტად გამოცხადდებიან.

თავი III.
აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებები

მუხლი 99.

ერის პრეზიდენტი:

1. არის ერის უზენაესი მეთაური და მთავრობის ხელმძღვანელი და პოლიტიკურად პასუხისმგებელია ქვეყნის საერთო მართვაზე;

2. გამოსცემს კანონების შესასრულებლად აუცილებელ ინსტრუქციებსა და განკარგულებებს კანონების ძირითადი არსის შეუცვლელად.

3. კონსტიტუციის შესაბამისად მონაწილეობს კანონების შემუშავებაში, აქვეყნებს და გამოსცემს მათ.

დაუშვებელია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საკანონმდებლო ხასიათის მქონე დებულებების გამოცემა. ასეთ შემთხვევაში ეს დებულებები მთლიანად და ყველა შემთხვევაში ბათილად და გაუქმებულად ითვლება.

მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, როდესაც კონსტიტუციით გათვალისწინებული ჩვეულებრივი პროცედურების მიხედვით შეუძლებელია კანონების მიღება და ეს კანონები არ ეხება სისხლისსამართლებრივ საკითხებს, გადასახადებს, საარჩევნო საკითხებსა და პოლიტიკური პარტიების სისტემას პრეზიდენტი საჭიროებისა და აუცილებლობიდან გამომდინარე გამოსცემს განკარგულებებს იმ მინისტრების საერთო თანხმობით, რომლებიც მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარესთან ერთად ხელს აწერენ მათ.

მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე პერსონალურად არის ვალდებული ეს გადაწყვეტილება ათი დღის ვადაში წარუდგინოს განსახილველად კონგრესის გაერთიანებულ მუდმივ კომიტეტს, რომელიც შედგება თითოეულ პალატაში პარტიების პოლიტიკური წარმომადგენლობის პროპორციულად. კომიტეტმა ეს საკითხი სპეციალური მსჯელობისათვის ათი დღის ვადაში უნდა გაიტანოს თითოეული პალატის პლენარულ სხდომაზე, რომელიც ორივე პალატის მიერ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განხილული. ამ პროცესში კონგრესის მონაწილეობის წესი და უფლებამოსილება განისაზღვრება თითოეული პალატის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობის მიერ მიღებული სპეციალური კანონით;

4. სენატის დამსწრე წევრთა ორი მესამედის თანხმობით ნიშნავს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს ამ მიზნისთვის მოწვეულ სენატის ღია სხდომაზე.

სენატის თანხმობით ღია სხდომაზე ნიშნავს ქვემდგომი ფედერალური სასამართლოების მოსამართლეებს კანდიდატებისადმი წაყენებული მოთხოვნების გათვალისწინებით, მაგისტრატთა საბჭოს მიერ წარდგენილი სამი პირისგან შემდგარ კანდიდატთა სიიდან.

მოსამართლის მიერ სამოცდათხუთმეტი წლის ასაკის მიღწევის შემდეგ იგი სენატის თანხმობით ხელახლა ინიშნება თანამდებობაზე. სამოცდათხუთმეტი წლის ასაკს მიღწეული ან გადაცილებული მოსამართლეები იმავე პროცედურის დაცვით ხუთი წლის ვადით ინიშნებიან და შეიძლება ხელახლა იქნენ დანიშნული ამავე ვადით შეუზღუდავად;

5. უფლებამოსილია შესაბამისი სასამართლოს მოხსენების საფუძველზე შეიწყალოს ან სასჯელი შეამსუბუქოს ფედერალურ იურისდიქციას მიკუთვნებული დანაშაულისათვის, გარდა დეპუტატთა პალატის მიერ აღძრული იმპიჩმენტის საქმეების შემთხვევებისა;

6. სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად ანიჭებს სამსახურიდან გასვლის, გადადგომისა და ქვრივობის პენსიებს;

7. სენატის თანხმობით ნიშნავს და გამოიწვევს ელჩებს, მინისტრების სრულუფლებიან წარმომადგენელებსა და სავაჭრო ატაშეებს; ერთპიროვნულად ნიშნავს თანამდებობაზე და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარესა და მინისტრებს, თავისი სამდივნოს თანამდებობის პირებს, კონსულებსა და სხვა მოსამსახურეებს, რომელთა დანიშვნის განსხვავებული წესი კონსტიტუციით არ არის გათვალისწინებული;

8. ყოველწლიურად ხსნის კონგრესის საკანონმდებლო სესიას, რისთვისაც ორივე პალატა ერთად იკრიბება, მას მოახსენებს ქვეყნის მდგომარეობისა და კონსტიტუციაში შესატანი შესწორებების თაობაზე და კონგრესს განსახილველად წარუდგენს მის მიერ აუცილებელად და მიზანშეწონილად მიჩნეულ ღონისძიებათა გეგმას;

9. უფლებამოსილია გადაავადოს კონგრესის მორიგი სესიის დამთავრება ან მოიწვიოს საგანგებო სესია, თუ ეს აუცილებელია წესრიგის ან სახელმწიფო ინტერესების უზრუნველსაყოფად;

10. ზედამხედველობს მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის უფლებამოსილებათა განხორციელებას, სახელმწიფო შემოსავლების აკრეფასა და კანონის ან ბიუჯეტის შესაბამისად მათი ხარჯვის ნაწილში;

11. დებს და ხელს აწერს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხო ქვეყნებთან კარგი ურთიერთობების შესანარჩუნებლად აუცილებელ ხელშეკრულებებს, კონკორდატებსა და სხვა შეთანხმებებს, იღებს უცხო ქვეყნების ელჩებს და დაუშვებს მათ კონსულებს;

12. არის ერის შეირაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი;

13. უზრუნველყოფს სახელმწიფოს სამხედრო თანამდებობების დაწესებას. შეიარაღებული ძალების უმაღლეს ოფიცრებს სენატის თანხმობით ანიჭებს

წოდებებსა და თანამდებობებს, ერთპიროვნულად გააჩნია აღნიშნული უფლებამოსილებების განხორციელების უფლება ბრძოლის ველზე;

14. აკონტროლებს შეირაღებულ ძალებს და პასუხს აგებს მათ ორგანიზაციისა და სახელმწიფოს საჭიროებების შესაბამისად განაწილებაზე;

15. კონგრესის თანხმობითა და მის მიერ დამტკიცების შემდეგ აცხადებს ომს და გასცემს რეპრესალიებს;

16. გარედან თავდასხმის შემთხვევაში შეზღუდული ვადით და სენატის თანხმობით აცხადებს საალყო მდგომარეობას სახელმწიფოს ერთ ან რამდენიმე ადგილში. შიდა არეულობის დროს საალყო მდგომარეობას ერთპიროვნულად აცხადებს, როდესაც კონგრესი არდადეგებზე იმყოფება, ვინაიდან ეს უფლებამოსილება კონგრესს ეკუთვნის. პრეზიდენტი ამ უფლებით სარგებლობს კონსტიტუციის 23-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვებით;

17. შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერი საჭიროდ მიჩნეული ინფორმაცია მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარისგან, ადმინისტრაციის ყველა უწყებისა და დეპარტამენტისგან და მათი მეშვეობით ყველა მოსამსახურისგან, რომლებიც ვალდებული არიან შეასრულონ მისი მითითებები;

18. უფლებამოსილია კონგრესის თანხმობით დატოვოს ერის ტერიტორია. კონგრესის არდადეგებზე ყოფნის პერიოდში, როდესაც ამას მოითხოვს სახელმწიფო ინტერესები, პრეზიდენტს შეუძლია კონგრესის ნებართვის გარეშე დატოვოს ქვეყანა;

19. კონგრესის არდადეგების დროს უფლებამოსილია შეავსოს ის ვაკანსიები, რომლებიც კონგრესის თანხმობას საჭიროებენ. კონგრესის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისას პრეზიდენტის აღნიშნული აქტები ძალას კარგავენ;

20. დეკრეტით აკანონებს პროვინციების ან ქალაქ ბუენოს-აირესის საქმეებში ჩარევას კონგრესის არდადეგებზე ყოფნის დროს და იმავდროულად უნდა მოიწვიოს ეს უკანასკნელი ასეთი გადაწყვეტილების განსახილველად.

თავი IV.
მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა მინისტრები

მუხლი 100.

მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე და სხვა მინისტრები, რომელთა რაოდენობა და უფლებამოსილება სპეციალური კანონით განისაზღვრება, თავის საქმიანობაში პასუხისმგებელნი არიან ერის წინაშე. ისინი ხელს აწერენ და სამართლებრივად ნამდვილს ხდიან პრეზიდენტის აქტებს, რის გარეშეც ეს უკანასკნელნი ბათილია.

მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე, რომელიც პოლიტიკურად ანგარიშვალდებულია ეროვნული კონგრესის წინაშე, უფლებამოსილია:

1. განახორციელოს ქვეყნის საერთო მართვა;

2. იმოქმედოს და გამოსცეს წესები, რაც საჭიროა ამ მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილებების, ისევე როგორც პრეზიდენტის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, რასაც ხელს აწერს შესაბამისი მინისტრი, რომელსაც ეს მოქმედება ან წესი ეხება;

3. დანიშნოს ადმინისტრაციის მოსამსახურები, გარდა იმ მოსამსახურეებისა, რომელთაც პრეზიდენტი ნიშნავს;

4. განახორციელოს პრეზიდენტის მიერ მისთვის დელეგირებული ფუნქციები და უფლებამოსილება და კაბინეტის თანხმობით გადაწყვიტოს აღმასრულებელი ხელისუფლების გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები, ხოლო ერთპიროვნულად — თავისი კომპეტენციის ფარგლებში ის საკითხები, რომელთაც მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩათვლის;

5. პრეზიდენტის არყოფნის დროს განახორციელოს მინისტრთა კაბინეტის სხდომების კოორდინირება, მომზადება და მოწვევა და პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში უხელმძღვანელოს მათ;

6. კაბინეტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების წინასწარი თანხმობით კონგრესს წარუდგინოს სამინისტროებისა და ეროვნული ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტები;

7. უზრუნველყოს ერის შემოსავლების აკრეფა და ეროვნული ბიუჯეტის შესახებ კანონის შესრულება;

8. ხელი მოაწეროს კანონების მარეგულირებელ განკარგულებებს, განკარგულებებს კონგრესის საკანონმდებლო სესიის გაგრძელებისა ან საგანგებო სესიის მოწვევის შესახებ, ასევე პრეზიდენტის წერილებს საკანონმდებლო ინიციატივის მხარდაჭერის თაობაზე;

9. ხმის უფლების გარეშე დაესწროს კონგრესის სხდომებს და მიიღოს მონაწილეობა დებატებში;

10. კონგრესის მორიგი სესიის დაწყების შემდეგ სხვა მინისტრებთან ერთად წარადგინოს დეტალური მოხსენება, რომელიც ეხება შესაბამისი სამინისტროების საქმიანობას;

11. მისცეს ზეპირი ან წერილობითი ანგარიშები და განმარტებები, რაც აღმასრულებელი ხელისუფლებიდან ორივე პალატამ შეიძლება მოითხოვოს;

12. გაერთიანებული მუდმივი კომიტეტის კონტროლით ხელი მოაწეროს კონგრესის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების შესახებ დეკრეტებს;

13. სხვა მინისტრებთან ერთად ხელი მოაწეროს გადაუდებელი აუცილებლობისა და საჭიროებიდან გამომდინარე განკარგულებებს, აგრეთვე განკარგულებებს კანონების ნაწილობრივი გამოქვეყნების თაობაზე. ამ დეკრეტებს

დამტკიცებიდან ათი დღის ვადაში იგი პირადად წარუდგენს განსახილველად გაერთიანებულ მუდმივ კომიტეტს.

მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეს არ შეიძლება იმავდროულად ეკავოს სხვა მინისტრის თანამდებობა.

მუხლი 101.

მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე ვალდებულია თვეში ერთხელ მაინც რიგრიგობით დაესწროს თითოეული პალატის სხდომებს და მოახსენოს მთავრობის საქმიანობის შესახებ, მიუხედავად 71-ე მუხლით გათვალისწინებული დებულებებისა. ორივე პალატის წევრთა საერთო რაოდენობის ხმების აბსოლუტური უმრავლესობით იგი შეიძლება გამოძახებულ იქნეს მისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხის განხილვაზე და შეიძლება გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან თითოეული პალატის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობით.

მუხლი 102.

თითოეული მინისტრი ინდივიდუალურად არის პასუხისმგებელი მის მიერ გამოცემულ აქტებზე და ერთიანად — იმ აქტებზე, რომელთაც იგი კოლეგებთან ერთად ეთანხმება.

მუხლი 103.

მინისტრს არ შეუძლია გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღება, გარდა შესაბამისი დეპარტამენტების ეკონომიკური და ადმინისტრაციული საკითხებისა.

მუხლი 104.

საკანონმდებლო სესიის გახსნის შემდეგ მინისტრები კონგრესს წარუდგენენ დეტალურ მოხსენებას თავიანთი დეპარტამენტების საქმიანობის შესახებ.

მუხლი 105.

მინისტრის თანამდებობის დატოვების გარეშე მინისტრები იმავდროულად არ შეიძლება იყვნენ სენატორები და დეპუტატები.

მუხლი 106.

მინისტრები კონგრესის სხდომებს შეიძლება დაესწრონ ხმის უფლების გარეშე და მონაწილეობა მიიღონ დებატებში.

მუხლი 107.

მინისტრები იღებენ კანონით გათვალისწინებულ ანაზღაურებას, რომელიც მათ სასარგებლოდ ან საზიანოდ არ შეიძლება იქნეს მომატებული ან შემცირებული.

მესამე განყოფილება — სასამართლო ხელისუფლება
თავი I.
არსი და უფლებამოსილების ვადა

მუხლი 108.

ერის სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება უზენაესი სასამართლოსა და იმ ქვემდგომი სასამართლოების მიერ, რომლებიც კონგრესმა შეიძლება შექმნას ერის ტერიტორიაზე.

მუხლი 109.

პრეზიდენტს არც ერთ შემთხვევაში არ აქვს სასამართლო ფუნქციების, წარმოებაში მყოფი საქმეების განხილვის ან საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვის უფლება.

მუხლი 110.

უზენაესი და ქვემდგომი სასამართლოების მოსამართლეები თანამდებობებს იკავებენ ვიდრე მათი ყოფაქცევა უმწიკვლოა და თავისი სამსახურისთვის იღებენ კანონით დადგენილ ანაზღაურებას, რაც არ შეიძლება შემცირდეს მოსამართლის მიერ თანამდებობის დაკავების პერიოდში.

მუხლი 111.

უზენაესი სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს ერის იურისტი სპეციალობით მუშაობის რვა წლის გამოცდილებით, რომელიც აკმაყოფილებს სენატორის არჩევისთვის დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 112.

პირველი მოწვევის უზენაესი სასამართლოს შემადგენლობა ფიცს დებს ერის პრეზიდენტის წინაშე, რომ შეასრულებს თავის მოვალეობებს და კონსტიტუციით დადგენილი დებულებების შესაბამისად სამართლიანად და ერთგულად განახორციელებს მართლმსაჯულებას. მომავალში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები ფიცს დადებენ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე.

მუხლი 113.

უზენაესი სასამართლო იღებს თავის შინაგანაწესს და ნიშნავს ქვემდებარე მოსამსახურეებს.

მუხლი 114.

მოსამართლეების შერჩევასა და სასამართლო ხელისუფლების მართვაზე პასუხისმგებელია თითოეული პალატის წევრთა საერთო რაოდენობის აბსო-

ლუტური უმრავლესობის მიერ სპეციალური კანონის საფუძველზე შექმნილი მაგისტრატთა საბჭო.

საბჭოს შემადგენლობა პერიოდულად იცვლება იმგვარად, რომ სახალხო არჩევნების შედეგების გათვალისწინებით დაცულ იქნეს ბალანსი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობას, ყველა ინსტანციის მოსამართლეთა და ფედერალური რეგისტრაციის მქონე ადვოკატებს შორის. მის შემადგენლობაში, აგრეთვე შეიძლება შედიოდნენ კანონით დადგენილი რაოდენობის მეცნიერები და სწავლულები.

საბჭო უფლებამოსილია:

1. საჯარო კონკურსის საფუძველზე ქვემდგომი სასამართლოებისთვის შეარჩიოს კანდიდატურები;

2. წარადგინოს წინადადებები ქვემდგომ სასამართლოებში დასანიშნი მოსამართლეობის სამ-სამი კანდიდატისგან შემდგარ სიებთან დაკავშირებით;

3. პასუხი აგოს კანონის თანახმად მართლმსაჯულების განხორციელებისთვის გამოყოფილი სახსრებისა და ბიუჯეტის მართვაზე;

4. მოსამართლეების მიმართ გამოიყენოს დისციპლინური ზომები;

5. გადაწყვიტოს მოსამართლეების თანამდებობიდან გადაყენების საქმის აღძვრის, მათი უფლებამოსილების შეჩერებისა და შესაბამისი ბრალდების წაყენებასთან დაკავშირებული საქმისწარმოების დაწყების საკითხები;

6. გამოსცეს სასამართლოების საქმიანობის ორგანიზაციის წესები, აგრეთვე სხვა წესები, რაც უზრუნველყოფს მოსამართლეთა დამოუკიდებლობასა და მათ მიერ მართლმსაჯულების ეფექტურ განხორციელებას.

მუხლი 115.

ქვემდგომი სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობიდან გადაყენება ხორციელდება წინამდებარე კონსტიტუციის 53-ე მუხლით გათვალისწინებული წესით, სპეციალური ჟიურის მიერ, რომელიც შედგება კანონმდებლების, მოსამართლეებისა და ფედერალური რეგისტრაციის მქონე ადვოკატებისაგან.

აღნიშნულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება, შემოიფარგლება მხოლოდ ბრალდებული პირის თანამდებობიდან გადაყენებით. მიუხედავად ამისა, ბრალდებული მხარე ექვემდებარება კანონის შესაბამისად ბრალდების წაყენებას, სამართალში მიცემასა და საერთო სასამართლოების მიერ სასჯელის შეფარდებას.

თუ თანამდებობიდან გადაყენების შესახებ საქმის გახსნიდან ას ოთხმოცი დღის განმავლობაში გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, აღნიშნული საქმისწარმოება წყდება, ხოლო მოსამართლის შეჩერებული უფლებამოსილება აღდგება.

ჟიურის შემადგენლობა და მისი საქმიანობის წესი განისაზღვრება წინამდებარე კონსტიტუციის 114-ე მუხლით გათვალისწინებული სპეციალური კანონით.

თავი II.
სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილება

მუხლი 116.

ერის უზენაესი სასამართლო და ქვემდგომი სასამართლოები უფლებამოსილნი არიან განიხილონ და გადაწყვიტონ: კონსტიტუციიდან და კანონმდებლობიდან (გარდა კონსტიტიციის 75-ე მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისისა), უცხო სახელმწიფოებთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა საქმე; უცხო ქვეყნების ელჩებს, კონსულებსა და დიპლომატიურ წარმომადგენლებთან დაკავშირებული საქმეები; სამხედრო-საზღვაო და საზღვაო იურისდიქციის საქმეები; საქმეები, რომლებშიც ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს სახელმწიფო; ორ ან მეტ პროვინციას შორის, პროვინციებსა და სხვა პროვინციის მაცხოვრებლებს შორის, სხვადასხვა პროვინციების მაცხოვრებლებს შორის, პროვინციას ან მის მაცხოვრებლებსა და უცხო სახელმწიფოს ან მის მოქალაქეებს შორის წარმოშობილი დავები.

მუხლი 117.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში უზენაესი სასამართლო თავის იურისდიქციას ახორციელებს როგორც სააპელაციო ინსტანცია კონგრესის მიერ დადგენილი წესებისა და გამონაკლისების შესაბამისად ყველა საქმეზე, რომელიც უცხო ქვეყნის ელჩებს, კონსულებსა და დიპლომატიურ წარმომადგენლებს ეხება. იმ საქმეებზე, სადაც ერთ-ერთი მხარე არის პროვინცია, უზენაესი სასამართლო გამოდის როგორც პირველი და საბოლოო ინსტანცია.

მუხლი 118.

ყველა საერთო ხასიათის სისხლის სამართლის საქმე, რომელიც დეპუტატთა პალატაში ბრალდების აღძვრის უფლებიდან არ წარმოიშობა, ნაფიც მსაჯულთა მიერ განიხილება სახელმწიფოში ამ ინსტიტუტის შემოღების შემდეგ. სასამართლო განხილვა შესაბამის პროვინციებში ტარდება დანაშაულის ჩადენის ადგილის მიხედვით. ქვეყნის ფარგლებს გარეთ საჯარო საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, სასამართლო განხილვა ტარდება კონგრესის მიერ მიღებული სპეციალური კანონით განსაზღვრული ადგილის მიხედვით.

მუხლი 119.

სამშობლოს ღალატად ჩაითვლება მის წინააღმდეგ იარაღით ხელში გამოსვლა ან მტრებთან შეკვრა მათთვის დახმარებისა და მხარდაჭერის აღმოჩენის გზით. კონგრესი სპეციალური კანონით ადგენს ამ დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის ზომას, მაგრამ იგი მხოლოდ დამნაშავის პიროვნებას ეხება და დამნაშავის სირცხვილი არ შეეხება მის რომელიმე შტოს ნათესავებს.

მეოთხე განყოფილება — საზოგადოებრივი სამინისტრო

მუხლი 120.

საზოგადოებრივი სამინისტრო არის ფუნქციური ავტონომიისა და ფინანსური ავტარქიის მქონე დამოუკიდებელი ორგანო, რომლის მთავარი ამოცანაა საზოგადოების სამართლებრივი ხასიათის საერთო ინტერესების დაცვის მიზნით, რესპუბლიკის ხელისუფლების სხვა შტოებთან ერთად მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობის ხელშეწყობა.

იგი ერის გენერალური ატორნეისა და ერის მთავარი დამცველის, ასევე კანონით განსაზღვრული სხვა პირებისგან შედგება.

მის წევრებს ფუნქციონალური იმუნიტეტი და მყარი ანაზღაურება გააჩნიათ.

ტიტული II — პროვინციების მმართველობა

მუხლი 121.

პროვინციები ახორციელებენ იმ უფლებამოსილებებს, რაც კონსტიტუციის თანახმად ფედერალური მთავრობისთვის არ არის დელეგირებული, აგრეთვე, რაც პროვინციების გაერთიანების დროს მათთვის სპეციალური პაქტებით იყო გადაცემული.

მუხლი 122.

პროვინციები თავად განსაზღვრავენ ადგილობრივ ინსტიტუტებს და იმართებიან მათ მიერ. ისინი ფედერალური მთავრობის ჩარევის გარეშე ირჩევენ გუბერნატორებს, კანონმდებლებსა და სხვა ადგილობრივ თანამდებობის პირებს.

მუხლი 123.

წინამდებარე კონსტიტუციის მ.-5 მუხლის შესაბამისად, თითოეული პროვინცია იღებს საკუთარ კონსტიტუციას, რომელიც ინსტიტუციონალურ, პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ, ეკონომიკურ და ფინანსურ სფეროებში უზრუნველყოფს მუნიციპალურ ავტონომიას.

მუხლი 124.

პროვინციები უფლებამოსილნი არიან მოაწესრიგონ რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარება და ამ მიზნის განსახორციელებლად დააფუძნონ შესაბამისი ორგანოები. ისინი, აგრეთვე, უფლებამოსილნი არიან კონგრესის თანხმობით დადონ საერთაშორისო ხელშეკრულებები, იმ პირობით, რომ ისინი შეესაბამებოდნენ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას და არ მოიცავდნენ ფედერალური მთავრობისათვის დელეგირებულ უფლებამოსილებებს ან არ ითვალისწინებენ სახელმწიფო სესხის აღებას. ბუენოს-აირესს გააჩნია ისეთი მმართველობა, რაც უზრუნველყოფს ამ მიზნების განხორციელებას.

პროვინციები არიან მათ ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების მესაკუთრეები.

მუხლი 125.

პროვინციებს, ფედერალური კონგრესის თანხმობით, შეუძლიათ დადონ ცალკეული შეთანხმებები მართლმსაჯულების განხორციელების, ეკონომიკური საკითხების, ორმხრივად სასარგებლო სამუშაოების შესახებ, აგრეთვე იმ საკითხებზე, რომლებიც ხელს უწყობენ მრეწველობას, იმიგრაციას, რკინიგზისა და სანაოსნო არხების მშენებლობას, პროვინციების კუთვნილი მიწების ათვისებას, მრეწველობის ახალი დარგების დანერგვას, უცხოური კაპიტალის იმპორტსა და თავის მდინარეებზე ნაოსნობას ამ მიზნების მიღწევის მომწესრიგებელი კანონების მეშვეობით და საკუთარი სახსრებით.

პროვინციებსა და ბუენოს-აირესს შეიძლება ჰქონდეთ სოციალური უზრუნველყოფის თავიანთი ობიექტები სახელმწიფო მოსამსახურეებისა და მშრომელებისთვის. აგრეთვე ისინი ხელს უწყობენ ეკონომიკურ პროგრესს, ადამიანთა განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნას, განათლებას, მეცნიერებას, ცოდნასა და კულტურას.

მუხლი 126.

პროვინციები არ სარგებლობენ სახელმწიფოსათვის გადაცემული უფლებამოსილებით. მათ არ შეუძლიათ ცალკე დადონ პოლიტიკური ხასიათის მქონე ხელშეკრულებები, მიიღონ კანონები ვაჭრობისა და საგარეო და საშინაო ნაოსნობის შესახებ, დააფუძნონ ადგილობრივი საბაჟოები, მოჭრან ფული, ემისიის უფლებით ფედერალური კონგრესის თანხმობის გარეშე დააფუძნონ ბანკები, მიიღონ სამოქალაქო, სისხლის, სავაჭრო და სამთო კოდექსები, კონგრესის მიერ აღნიშნული კოდექსების მიღების შემდეგ მიიღონ კანონები მოქალაქეობისა და ნატურალიზაციის, გაკოტრების, ფულის ან სახელმწიფო საბუთების გაყალბების შესახებ, შემოიღონ გადასახადები წონიდან, შეიაარაღონ სამხედრო ხომალდები ან შექმნან ჯარი, გარდა გარე შემოტევის შემთხვევებისა ან როდესაც საშიშროება იმდენად გარდაუვალია,

რომ ჯარის შექმნა გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს, რის თაობაზეც დაუყოვნებლივ ატყობინებენ ფედერალურ მთავრობას, აგრეთვე დანიშნონ ან მიიღონ უცხო ქვეყნების წარმომადგენლები.

მუხლი 127.

არც ერთ პროვინციას არ შეუძლია გამოაცხადოს ან აწარმოოს ომი სხვა პროვინციასთან. პროვინციის პრეტენზიები გადაცემულ უნდა იქნეს უზენაესი სასამართლოსათვის, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვიტოს ისინი. პროვინციების მტრული მოქმედებები წარმოადგენენ სამოქალაქო ომს და შეფასდება როგორც აჯანყება ან ამბოხი, რომელიც ფედერალურმა მთავრობამ უნდა ჩაახშოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 128.

პროვინციების გუბერნატორები არიან ფედერალური მთავრობის წარმომადგენლები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოს კონსტიტუციისა და კანონების შესრულებას.

მუხლი 129.

ქალაქ ბუენოს-აირესს აქვს მმართველობის ავტონომიური სისტემა საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებით, რომლის მთავრობის თავმჯდომარე პირდაპირ აირჩევა ქალაქის მოსახლეობის მიერ.

ვიდრე ბუენოს-აირესი იქნება სახელმწიფოს დედაქალაქი, კანონი უზრუნველყოფს ეროვნული სახელმწიფოს ინტერესების დაცვას.

ზემოაღნიშნული დებულებების თანახმად, ეროვნული კონგრესი მოიწვევს ბუენოს-აირესის მცხოვრებლებს, ისე, რომ ამ მიზნით არჩეულმა მისმა წარმომადგენლობებმა მიიღონ ქალაქის დაწესებულებების ორგანიზაციული სტატუსი.

გარდამავალი დებულებები

პირველი.

არგენტინელი ერი ავრცელებს თავის კანონიერ და ურყევ სუვერენიტეტს მალვინებზე, ჯორჯიისა და სანდვიჩის კუნძულებზე და საზღვაო და კუნძულოვან ზონებზე, რამდენადაც ისინი ეროვნული ტერიტორიის განუყოფელი ნაწილებია.

აღნიშნული ტერიტორიების აღდგენა, სუვერენიტეტის სრული განხორციელება და მათ მაცხოვრებელთა ცხოვრების დონის საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანა არგენტინელი ხალხის მუდმივი და განუსხვისებელი ამოცანაა.

მეორე.

37-ე მუხლის ბოლო პუნქტში გათვალისწინებული დებულებები არ უნდა იყოს კონსტუტუციის ძალაში შესვლის დროისთვის მოქმედ გარანტიებზე ნაკლები და მათი მოქმედების ვადა კანონით უნდა იყოს განსაზღვრული. (ეხება 37-ე მუხლს)

მესამე.

სახალხო ინიციატივის განხორციელების მომწესრიგებელი კანონი მიღებულ უნდა იქნეს კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან თვრამეტი თვის ვადაში. (ეხება 39-ე მუხლს)

მეოთხე.

სენატის მოქმედი წევრები თანამდებობას იკავებენ მათი უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე.

ათას ცხრაას ოთხმოცდაექვს წელს არჩეული სენატორების უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ ათას ცხრაას ოთხმოცდათხუთმეტ წელს სენატორთა ერთი მესამედის განახლების დროს, ყოველი მესამე სენატორი აირჩევა თითოეული ლეგისლატურის საარჩევნო ოლქიდან. თითოეული საარჩევნო ოლქიდან არჩეული სენატორებიდან, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ორი სენატორი უნდა იყოს ლეგისლატურაში წევრთა უმრავლესობის მქონე პოლიტიკური პარტიის ან საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელი, ხოლო მესამე ადგილი უნდა დაიკავოს პირმა ლეგისლატურაში რაოდენობით მეორე წარმომადგენლობის მქონე პოლიტიკური პარტიიდან ან საარჩევნო ბლოკიდან. ხმების გაყოფის შემთხვევაში უპირატესობით სარგებლობს ის პოლიტიკური პარტია ან საარჩევნო ბლოკი, რომელმაც პროვინციის ლეგისლატურის წინა არჩევნების დროს ხმების უმრავლესობა მოიპოვა.

იმ სენატორების ჩანაცვლება, რომელთა უფლებამოსილების ვადა ათას ცხრაას ოთხმოცდათვრამეტ წელს იწურება, ისევე როგორც მოქმედი სენატორის შეცვლა, წინამდებარე კონსტიტუციის 62-ე მუხლის შესაბამისად, ხორციელდება არჩევის იმავე წესის მიხედვით. ამასთან, პოლიტიკურ პარტიას ან საარჩევნო ბლოკს, რომელსაც სენატორის არჩევის დროისთვის ლეგისლატურაში წევრთა უმრავლესობა ჰყავს, თავისი კანდიდატის არჩევის უფლება აქვს იმ შეზღუდვით, რომ სამივე სენატორი არ ეკუთვნოდეს ერთ პოლიტიკურ პარტიასა თუ საარჩევნო ბლოკს.

ეს წესები გამოიყენება ასევე ათას ცხრაას ოთხმოცდათხუთმეტ წელს ბუენოს-აირესის სენატორების არჩევის დროს საარჩევნო ორგანოს მიერ და ათას ცხრაას ოთხმოცდათვრამეტ წელს დედაქალაქის საკანონმდებლო ორგანოს მიერ.

ამ ნაწილით გათვალისწინებული სენატორების არჩევნები ტარდება სენატორის მიერ თანამდებობის დაკავებამდე არანაკლებ სამოცი და არა უმეტეს ოთხმოცდაათი დღისა.

ყველა შემთხვევაში სენატორობის კანდიდატები წარდგენილნი იქნებიან პოლიტიკური პარტიების ან საარჩევნო ბლოკების მიერ. კანდიდატურის წამოსაყენებლად დადგენილი სამართლებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემოწმება ხორციელდება ეროვნული საარჩევნო სასამართლოს მიერ და ეცნობება საკანონმდებლო ორგანოს.

სენატორის არჩევისას უნდა განისაზღროს სენატორის მოადგილე, რომელიც სენატორის თანამდებობას იკავებს წინამდებარე კონსტიტუციის 62-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

გარდამავალი დებულების შესაბამისად არჩეული სენატორები თანამდებობებს იკავებენ ორი ათას პირველი წლის ცხრა დეკემბრამდე. (ეხება 54-ე მუხლს)

მეხუთე.

სენატის ყველა წევრი უნდა აირჩეს წინამდებარე კონსტიტუციის 54-ე მუხლით განსაზღვრული წესით, ორი ათას პირველი წლის ათ დეკემბრამდე ორი თვის განმავლობაში და შემდგომ წილისყრით გადაწყდება, თუ ვინ დატოვებს სენატს პირველ და მეორე ორწლედებში. (ეხება 56-ე მუხლს)

მეექვსე.

75-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ერთობლივი გამგებლობის სისტემა და ფედერალური საგადასახადო ორგანო უნდა ჩამოყალიბდეს ათას ცხრაას ოთხმოცდათექვსმეტი წლის დასასრულისათვის; ამ შესწორების ძალაში შესვლის დროს მოქმედი იურისდიქციის, ხელისუფლებისა და ფუნქციების დანაწილება არ შეიძლება შეცვლილ იქნეს დაინტერესებული პროვინციის თანხმობის გარეშე. ასევე, ამ შესწორების ძალაში შესვლის დროისთვის მოქმედი სახსრების განაწილების წესი არ უნდა იქნეს შეცვლილი პროვინციების საზიანოდ, ორივე შემთხვევაში, სანამ ერთობლივი გამგებლობის ზემოაღნიშნული სისტემა არ იქნება ჩამოყალიბებული.

ეს დებულება არ ეხება იმ მოქმედ ადმინისტრაციულ და სასამართლო დავებს, რომლებიც წარმოიშვა ერსა და პროვინციებს შორის იურისდიქციის, ხელისუფლების, ფუქციებისა და სახსრების განსხვავებულ პირობებში არსებობის დროს. (ეხება 75-ე მუხლის მე-2 ნაწილს)

მეშვიდე.

კონგრესი საკანონმდებლო ხელისუფლებას, რომელიც მას წინამდებარე კონსტიტუციის 129-ე მუხლის შესაბამისად გააჩნია, ახორციელებს ქალაქ

ბუენოს-აირესში, ვინაიდან ეს არის ერის დედაქალაქი. (ეხება 75-ე მუხლის 30-ე ნაწილს)

მერვე.

წინათ არსებული დელეგირებული კანონმდებლობა წყვეტს მოქმედებას ამ დებულების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის შემდეგ, გარდა იმ კანონმდებლობისა, რომელიც კონგრესის მიერ იქნება მიღებული ახალი კანონით. (ეხება 76-ე მუხლს)

მეცხრე.

ამ რეფორმის ძალაში შესვლის დროისთვის პრეზიდენტის მიერ დაკავებული თანამდებობა ითვლება პირველი უფლებამოსილების ვადად. (ეხება 90-ე მუხლს)

მეათე.

ერის პრეზიდენტის თანამდებობრივი უფლებამოსილების ვადა, რომელიც მან ათას ცხრაას ოთხმოცდათხუთმეტი წლის 8 ივლისს დაიკავა იწურება ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი წლის 10 დეკემბერს. (ეხება 90-ე მუხლს)

მეთერთმეტე.

წინამდებარე კონსტიტუციის 99-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანიშნული პირების უფლებამოსილების ვადის ამოწურვა და უფლებამოსილების შეზღუდვა ამოქმედდება კონსტიტუციური რეფორმის ძალაში შესვლიდან ხუთი წლის შემდეგ. (ეხება 99-ე მუხლის მე-4 ნაწილს)

მეთორმეტე.

მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის შესახებ კონსტიტუციის 100-101-ე მუხლებით, IV თავით, მეორე განყოფილებითა და კონსტიტუციის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დებულებები ამოქმედდება ათას ცხრაას ოთხმოცდათხუთმეტი წლის 8 ივლისიდან.

მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე პირველად დაინიშნება 1995 წლის 8 ივლისს; მანამდე მის უფლებამოსილებებს განახორციელებს რესპუბლიკის პრეზიდენტი. (ეხება 99-ე მუხლის მე-7 ნაწილს და 100-101-ე მუხლებს)

მეცამეტე.

ამ რეფორმის ძალაში შესვლიდან სამას სამოც დღეში ქვემდგომი მოსამართლეები დაინიშნებიან მხოლოდ წინამდებარე კონსტიტუციის შესაბამისად. მანამდე მოქმედებს წინა სისტემა. (ეხება 114-ე მუხლს)

მეთოთხმეტე.

საკითხები, რომლებიც დგას დეპუტატთა პალატის წინაშე, მაგისტრატთა საბჭოს შექმნის დროს გადაეცემა ამ უკანასკნელს, წინამდებარე კონსტიტუციის 114-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული მიზნების განსახორციელებლად. სენატში გაგრძელდება უკვე არსებული საკითხების შემუშავება მათ საბოლოო გადაწყვეტამდე. (ეხება 115-ე მუხლს)

მეთხუთმეტე.

ვიდრე არ ჩამოყალიბდება ბუენოს-აირესის ახალი ავტონომიური რეჟიმის უფლებამოსილება, კონგრესი განახორციელებს განსაკუთრებულ კანონმდებლობას მის ტერიტორიაზე ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე არსებული პირობებით.

მთავრობის თავმჯდომარე აირჩევა ათას ცხრაას ოთხმოცდათხუთმეტ წელს.

წინამდებარე კონსტიტუციის 129-ე მუხლის მე-2-3 ნაწილებით გათვალისწინებული კანონი ამოქმედდება კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორას სამოცდაათი დღის შემდეგ.

ორგანიზაციიული კანონის მიღებამდე ბუენოს-აირესის მოსამართლეების თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება მოწესრიგდება წინამდებარე კონსტიტუციის 114-ე და 115-ე მუხლების შესაბამისად. (ეხება 129-ე მუხლს)

მეთექვსმეტე.

ეს რეფორმა ძალაში შედის მისი გამოქვეყნებიდან მეორე დღეს. დამფუძნებელი კრების წევრები, არგენტინელი ერის პრეზიდენტი, საკანონმდებლო პალატების თავმჯდომარეები და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ფიცს ერთად დადებენ ათას ცხრაას ოთხმოცდათოთხმეტი წლის 24 აგვისტოს, სან ხოსეს სასახლეში, კონცეპციონ დელ ურუგვაიში, ენტრე რიოსის პროვინციაში.

სახელმწიფო ხელისუფლების შტოები და პროვინციებისა და მუნიციპალური ორგანოები უზრუნველყოფენ მათი წევრებისა და თანამდებობის პირების მიერ ფიცის დადებას.

მერვიდმეტე.

კონსტიტუციის საბოლოო ტექსტი, რომელიც დამფუძნებელი კრების მიერ არის მიღებული, ცვლის წინათ არსებულ ტექსტს.

მიღებულია ეროვნული დამფუძნებელი კრების მიერ სხდომათა დარბაზში, ქალაქ სანტა-ფეში ათას ცხრაას ოთხმოცდათოთხმეტი წლის ოცდაერთ აგვისტოს.

ედუარდო მენემი
ეროვნული დამფუძნებელი კრების
თავმჯდომარე

DANMARK


Skagen
Ålborg
SWEDEN
Randers
Jutland
Århus
Yding Skovhøj
Helsingør
Horsens
Vejle
Lammefjord
COPENHAGEN
Kolding
Fredericia
Roskilde
Esbjerg
Odense
Sjælland
Fyn
Rønne
Åbenrå
Møn
Bornholm
Lolland
Falster
Baltic Sea
GERMANY
POL.
0
50 km
0
50 mi

ზოგადი ცნობარი
შესავალი

თანამედროვე დანიის ტერიტორიაზე დანიური ტომები დასახლდნენ სამხრეთიდან ჩვ. წ. აღრიცხვით V-VI საუკუნეებში, ხოლო IX საუკუნეში დაიწყეს გაერთიანება. X საუკუნეში შეიქმნა ადრინდელი ფეოდალური სახელმწიფო და გავრცელდა ქრისტიანობა. XVI საუკუნეში დაიწყო რეფორმაცია და 1536 წელს დანიიდან გაძევებულ იქნა კათოლიკური ეკლესია, რომელიც ლუთარენული ეკლესიით შეიცვალა. დანიისთვის ოქროს ხანა დადგა მეფე ქრისტიან IV-ს (1588-1648) მმართველობის დროს. პირველი მსოფლიო ომის დროს დანიამ გამოაცხადა ნეიტრალიტეტი, ასევე მოიქცა II მსოფლიო ომის დროს, მაგრამ გერმანიამ მაინც მიახდინა მისი ოკუპაცია. გერმანელები 3 წლის განმავლობაში მართავდნენ მას, როგორც ავტონომიას. 1944 წელს დანიას ჩამოცილდა ირლანდია, რომელსაც ის 1380 წლიდან მართავდა. 1945 წლის 5 მაისს დანიელები აღნიშნავენ, როგორც განთავისუფლების დღეს. 1949 წელს დანია შევიდა ნატოში, ხოლო 1973 წელს — ევროპის თანამეგობრობაში.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: ჩრდილოეთ ევროპა; აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ბალტიის ზღვა, სამხრეთიდან — გერმანია, დასავლეთიდან — ჩრდილოეთის ზღვა.

ფართობი: სულ: 43.094 კმ^2; ხმელეთი: 42.394კმ^2; წყალი: 700 კმ^2.

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: ნავთობი, ბუნებრივი გაზი, თევზი, მარილი, კირქვა, ქვები, ოქროიანი ქვიშა.

მოსახლეობის რაოდენობა: 5 484 723 (2008);

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:
0-14 წლის: 18.4% (მამაკაცი 516 735; ქალი 490 532);
15-64 წლის: 65.9% (მამაკაცი 1 818 681; ქალი 1 796 753);
65 წლის და ზემოთ: 15.7% (მამაკაცი 374 388; ქალი 487 634) (2008).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: 0.295% (2008);

შობადობა: 11.71 დაბადებული 1000 მოსახლეზე (2008);

სიკვდილიანობა: 10.25 დაბადებული 1000 მოსახლეზე (2008);

მიგრაცია: 2.49 დაბადებული 1000 მოსახლეზე (2008);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: მთელი მოსახლეობის მიმართ: 78.13 წელი; კაცი: 75.8 წელი; ქალი: 80.59 (2008).

მოქალაქეობა: დანიის

ეთნიკური ჯგუფები: სკანდინავიელები, ფარერელები, გერმანელები, თურქები, ირანელები, სომალელები.

რელიგია: ევანგელისტურ-ლუთერანული 95%, პროტესტანტული და კათოლიკური 3%, მუსულმანური 2%.

ენები: დანიური (ოფიციალური), ფარერული, გრენლანდიური (ოფიციალურია დანიურთან ერთად შესაბამის ტერიტორიებზე).
შენიშვნა: ინგლისური არის მეორე დომინირებული ენა.

განათლებულობა: მთელი მოსახლეობის: 99%.
განსაზღვრება: აითვლება 15 წლის ასაკს მიღწეული პირებიდან (2003).

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:
ვრცელი ფორმა: დანიის სამეფო;
შემოკლებული ფორმა: დანია;
ადგილობრივი შემოკლებული სახელწოდება: დანია;
ადგილობრივი ვრცელი სახელწოდება: კონგერიგეთ დანია.

მმართველობის ფორმა: კონსტიტუციური მონარქია

დედაქალაქი: კოპენჰაგენი

ადმინისტრაციული ერთეულები: 5 რეგიონი: კოპენჰაგენი, ზელანდია, ჩრდილოეთ იუტლანდია, ცენტრალური იუტლანდია, სამხრეთ დანია.

დამოუკიდებლობა: გაერთიანებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა X საუკუნეში, 1849 წელს გახდა კონსტიტუციური მონარქია.

ეროვნული დღესასწაული: კონსტიტუციის დღე – 5 ივნისი (1953 წელი);

აღმასრულებელი ხელისუფლება:
სახელმწიფოს მეთაური: დედოფალი მარგარეტ II (1972 წლის 14 იანვრიდან), სამეფო ტახტის მემკვიდრე, მონარქის უფროსი შვილი პრინცი ფრედერიკი (დაიბადა 1968 წლის 26 მაისს).
მთავრობის მეთაური: პრემიერ-მინისტრი ანდერს ფოგ რასმუსენი (2001 წლის 27 ნოემბრიდან).

მთავრობის შემადგენლობა: პრემიერ-მინისტრი, იუსტიციის სამინისტრო, გადასახადების სამინისტრო, განათლების სამინისტრო, გარემოს დაცვის სამინისტრო, დასაქმების სამინისტრო, ეკლესიის საქმეთა სამინისტრო, ეკონომიკისა და ბიზნესის სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, კულტურის სამინისტრო, ლტოლვილთა, იმიგრაციისა და ინტეგრაციის საკითხთა სამინისტრო, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, სოციალურ საკითხთა და სქესთა თანასწორობის სამინისტრო, სურსათის, სოფლის მეურნეობისა და თევზჭერის სამინისტრო, ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა და ჯანმრთელობის სამინისტრო.

საკანონმდებლო ხელისუფლება: ერთპალატიანი პარლამენტი – ფოლკეტინგი (შედგება 179 წევრისგან, რომელთაგან 2-2 არის გრენლანდიისა და ფარერის კუნძულების წარმომადგენელი; წევრები აირჩევიან პროპორციული სისტემით 4 წლის ვადით);
არჩევნები უკანასკნელად ჩატარდა 2007 წლის 13 ნოემბერს.

ძირითადი პოლიტიკური პარტიები: ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია, ლიბერალური პარტია, კონსერვატიული პარტია, დანიის სახალხო პარტია, ახალი ალიანსი, წითელ-მწვანე გაერთანებული სია (მოიცავს სოციალისტურ პარტიას, დანიის კომუნისტურ პარტიას, სოციალისტური მშრომელების პარტიას), სოციალ-დემოკრატიული პარტია, სოციალ-ლიბერალური პარტია, სოციალისტური სახალხო პარტია.

ეკონომიკა

ეკონომიკის მიმოხილვა: დანია არის მაღალგანვითარებული სამრეწველო ქვეყანა, რომლის მოსახლეობის ცხოვრების დონე ერთ-ერთი ყველაზე მაღა-

ლია მსოფლიოში. ეკონომიკაში ჭარბობს კერძო სექტორი, მაგრამ სახელმწიფო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფულად-საკრედიტო, საფინანსო და საგადასახადო პოლიტიკის მეშვეობით, აგრეთვე მეურნეობისთვის სუბსიდიების მიცემით. სახელმწიფო ფლობს ბევრ კომუნალურ საწარმოს და საჰაერო და რკინიგზის ტრანსპორტის საშუალებების უდიდეს ნაწილს.

დანიის მრეწველობა ატარებს მრავალპროფილიან ხასიათს. განსაკუთრებით გამოიყოფა ელექტრო მოწყობილობის წარმოება, კვების მრეწველობა, გემთმშენებლობა, ხიდების მშენებლობა და ავეჯის წარმოება, ხდება ნედლეულის დიდი ნაწილის იმპორტირება. თევზჭერისა და სოფლის მეურნეობის განვითარებით დანიამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უფრო სწრაფად შეძლო თავისი ეკონომიკის აღდგენა, ვიდრე ეს შეძლეს მეზობელმა ქვეყნებმა. მაგრამ მას შემდეგ სოფლის მეურნეობის წილი ეროვნულ შემოსავალში 1953-1995 წლებში შემცირდა 20%-დან 3.9%-მდე. დანიის ეკონომიკაში მის შემცირებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი შეიძინა მომსახურების სფერომ, რომელიც დასაქმებულთა დაახლოებით 74.7%-ის კონცენტრირებას ახდენს.

1991-1997 წლებში უმუშევრობის დონე საშუალოდ 10.3%-ს შეადგენდა, ხოლო ინფლაცია 1990-1995 წლებში – 2.5%-ს.

მთლიანი შიდა პროდუქტი - მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: $204.6 მილიარდი (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 1.7% (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: $37.400 (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა: 1.6%; მრეწველობა: 26.3%; მომსახურება: 72.1% (2007).

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: არ არსებობს მონაცემები;

ბიუჯეტი: შემოსავალი: $167.9 მილიარდი; გასავალი: $156.1 მილიარდი (2007);

ექსპორტი: $102.1 მილიარდი (2007);

საექსპორტო საქონელი: მანქანები და ხელსაწყოები, ხორცი და ხორცის პროდუქტი, რძის პროდუქტი, თევზი, ქიმიური ნივთიერებები, ავეჯი, გემები, ქარის წისქვილები.

ექსპორტის პარტნიორები: გერმანია 17.3%, შვედეთი 14.1%, დიდი ბრიტანეთი 8.7%, აშშ 6.2%, ნიდერლანდი 5.4%, ნორვეგია 5.4%, საფრანგეთი 4.9% (2006).

იმპორტი: $101.3 მილიარდი (2007).

საიმპორტო საქონელი: მანქანები და ხელსაწყოები, ნედლეული მასალები და ნახევარფაბრიკატები მრეწველობისთვის, ქიმიური ნივთიერებები, ხორბალი, მარცვლეული, სურსათ-სანოვაგე, სამომხმარებლო საქონელი.

იმპორტის პარტნიორები: გერმანია 21.4%, შვედეთი 14.2%, ნორვეგია 6.5%, ნიდერლანდი 6.3%, დიდი ბრიტანეთი 5.7%, ჩინეთი 5%, საფრანგეთი 4.4%, (2006).

საგარეო ვალი: $492.6 მილიარდი (2007);

ეკონომიკური მზარდაჭერა: $2.236 მილიარდი (2006);

ვალუტა: დანიური კრონი (DKK).

ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. დანიის კონსტიტუციონალიზმის ისტორია კონსტიტუციური აქტების სიმრავლით გამოირჩევა. პირველი კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1849 წლის 5 ივნისს ევროპის რევოლუციების შემდეგ, რითაც დანია გახდა კონსტიტუციური მონარქია, შეიზღუდა მეფის უფლებამოსილება და განხორციელდა გარკვეული დემოკრატიული რეფორმები საარჩევნო და ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროებში. ქვეყანაში პირველად შეიქმნა პარლამენტი, რომელიც შედგებოდა ორი პალატისგან — ფოლკეტინგისა და ლანდსტინგისაგან. ფოლკეტინგი აირჩეოდა პირდაპირი წესით 31 წლის ასაკს მიღწეული კარგი რეპუტაციის მქონე მამაკაცების მიერ, ხოლო პალატის წევრად არჩევა შეეძლო ამომრჩეველს 25 წლის ასაკიდან. ლანდსტინგი კომპლექტდებოდა არაპირდაპირ — საარჩევნო კოლეგიის მიერ 40 წლის ასაკს მიღწეული შეძლებული მოქალაქეებისგან (ფერმერებისგან, ვაჭრებისგან). ორივე პალატას გააჩნდა თანაბარი უფლებამოსილება, მათი განსხვავება მხოლოდ არჩევის წესში იყო.

დანიის მეორე კონსტიტუცია 1955 წლით თარიღდება, რომლის ძირითადი ამოცანა იყო შლეზვიგისა და ჰოლშტეინის საჰერცოგოების განსაკუთრებული სტატუსის განმტკიცება, თუმცა ისინი პრუსიასთან ომის შედეგად მალე გაუქმდა. შემდგომმა, 1963 წლის კონსტიტუციამ ოლდენბურგთა სამეფო დინასტია შეცვალა ლუქსემბურგთა დინასტიით.

1866 წელს კი მიღებულ იქნა კიდევ ერთი კონსტიტუცია, რომელმაც აღადგინა 1849 წლის კონსტიტუციის ნორმები, თუმცა მასში არ იყო გათვალისწინებული 1849 წლის კონსტიტუციური აქტის ბევრი დემოკრატიული ფასეულობა. კერძოდ, ზედა პალატის არჩევისას შემოღებულ იქნა უფრო მაღალი ქონებრივი ცენზი, რაც ხელს აძლევდა მიწის მფლობელებს ამ პალატაში გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნებაში.

შემდგომი კონსტიტუცია 1915 წელს იქნა მიღებული, რომელმაც განამტკიცა ქვეყნის პოლიტიკური სისტემის მრავალი დემოკრატიული ნორმა. შემოღებულ იქნა საყოველთაო საარჩევნო უფლება, რითაც მანამდე არ სარგებლობდნენ ქალები და დაქირავებული პირები, ასევე პროპორციული საარჩევნო სისტემა, ჩატარდა სასამართლო რეფორმა და გაფართოვდა დემოკრატიულ უფლებათა და თავისუფლებათა ჩამონათვალი. ამ უკანასკნელ კონსტიტუციაში ცვლილებები შევიდა 1920 წლის 10 სექტემბერს.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. დანიის მოქმედი კონსტიტუციის ტექსტი შემუშავებულ იქნა საკონსტიტუციო კომისიის მიერ, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ შეიქმნა. ახალმა კონსტიტუციამ გააუქმა პარლამენტის ზედა პალატა — ლანდსტინგი და და-

ამკვიდრა ისეთი სიახლეები, როგორიცაა ტახტის გადაცემა ქალების ხაზით, მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რეფერენდუმი, ომბუდსმენი, გრენლანდიისა და ფარერის კუნძულების ავტონომია. იგი მიღებულ იქნა რეფერენდუმზე 1953 წლის 5 ივნისს და ძალაში შევიდა იმავე დღეს დაუყოვნებლივ.

კონსტიტუცია გადასინჯვის რთულ წესს ითვალისწინებს. თუ პარლამენტი მიიღებს კონსტიტუციური შესწორებების პროექტს, დაითხოვება პარლამენტი და ინიშნება რიგგარეშე არჩევნები, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი მისი მიღებიდან 6 თვის განმავლობაში მეორედაც მიიღებს შესწორებების შესახებ კანონპროექტს იმავე რედაქციით, იგი დასამტკიცებლად გაიტანება რეფერენდუმზე. კონსტიტუციური შესწორებების მისაღებად საჭიროა ამომრჩეველთა საკმაოდ დიდი რაოდენობის მხარდაჭერა — მას ხმა უნდა მისცეს კენჭისყრაში მონაწილეთა უმრავლესობამ, მაგრამ არანაკლებ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 40%-სა, რის შემდეგ მას ხელს აწერს მეფე და იგი იქცევა კონსტიტუციის განუყოფელ ნაწილად.

ამგვარი გართულებული პროცედურის გამო და, ამავდროულად, კონსტიტუციური წესრიგის სტაბილურობის ინტერესებიდან გამომდინარე, დანიის კონსტიტუციაში დღემდე არც ერთი ცვლილება არ არის შესული.

კონსტიტუციის ანალიზი. დანიის კონსტიტუციას ოფიციალურად ეწოდება დანიის კონსტიტუციური კანონი. იგი საკმაოდ ლაკონურია, რაც სკანდინავიის ქვეყნების სამართლებრივი ტრადიციებისთვის არის დამახასიათებელი, ხოლო მისი სტრუქტურა — ორიგინალური. იგი შედგება 11 ნაწილის და 89 პარაგრაფისგან. მას არ გააჩნია პრეამბულა, ხოლო მუხლობრივი დაყოფის ნაცვლად გვხვდება პარაგრაფები. ლაკონურობა იმაში გამოიხატება, რომ გარდა პარაგრაფების მცირე რაოდენობისა, მათი შინაარსი საკმაოდ მოკლეა და მხოლოდ კონსტიტუციური სამართლის ზოგიერთი ძირითადი საკითხის ფორმულირებით შემოიფარგლება.

დანიის კონსტიტუცია ჯერ კიდევ მისი მიღების დროიდან შეიცავს სახელმწიფო სუვერენიტეტის შეზღუდვის ისეთ მექანიზმს, რომელიც სხვა ევროპის ქვეყნებმა 90-იანი წლების შემდგომ შეიტანეს კონსტიტუციებში, რაც იმაში გამოიხატება, რომ სახელმწიფო ორგანოებისათვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებები, კანონით დადგენილ ფარგლებში, საერთაშორისო მართლწესრიგისა და თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, შეიძლება გადაეცეს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შექმნილ საერთაშორისო ორგანიზაციებს. ამის შესახებ კანონპროექტის მისაღებად საჭიროა ფოლკეტინგის წევრთა საერთო რაოდენობის 5/6-ის თანხმობა. თუ კანონპროექტმა ვერ მიიღო ხმათა აღნიშნული უმრავლესობა, მაგრამ მხოლოდ ჩვეულებრივი კანონპროექტის მისაღებად სა-

ჭირო ხმათა უმრავლესობა შეგროვდა, ან თუ მას მხარს უჭერს მთავრობა, კანონპროექტი გადის რეფერენდუმზე. ამ სახის პრაქტიკას ადგილი ჰქონდა დანიის ევროკავშირში მიღებასთან დაკავშირებით. პირველი ამგვარი რეფერენდუმი ჩატარდა 1992 წლის 2 ივლისს, რითაც უარყოფილ იქნა მაასტრიხის შეთანხმება, ხოლო მეორედ 1993 წლის 18 მაისს, რითაც დაკანონდა დანიის შესვლა ევროკავშირში გარკვეული შეზღუდვებით, კერძოდ, შეიზღუდა დანიის მონაწილეობა საგალუტო კავშირში.

კონსტიტუცია დანიის ოფიციალურ ეკლესიად აღიარებს ევანგელისტურ ლუთერანულ ეკლესიას და ამიტომ მას მხარს უჭერს სახელმწიფო. მეფე უნდა იყოს ამ ეკლესიის წევრი. მისი წესდება დგინდება კანონით. თუმცა, ამავდროულად, მოქალაქეებს უფლება აქვთ თავიანთი მრწამსის შესაბამისად დააფუძნონ სხვადასხვა რელიგიური გაერთიანებები იმ პირობით, რომ სარწმუნოებრივი სწავლება და საქციელი არ დაარღვევს მორალის ნორმებსა და საზოგადოებრივ წესრიგს. არავის არ შეიძლება ეთქვას უარი მრწამსის ან წარმომავლობის საფუძველზე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების სრული მოცულობით ფლობაზე და არავის არ შეუძლია აღნიშნული მიზეზებით თავი აარიდოს საყოველთაოდ მიღებული რაიმე სამოქალაქო ვალდებულებების დაცვას.

დანიის მმართველობის ფორმაა კონსტიტუციური მონარქია. კონსტიტუციის თანახმად, საკანონმდებლო ხელისუფლებას ერთობლივად ახორციელდებენ მეფე და ფოლკეტინგი, აღმასრულებელ ხელისუფლებას — მეფე, ხოლო სასამართლო ხელისუფლებას — მართლმსაჯულების ორგანოები. თუმცა, პრაქტიკულად მონარქის ხელისუფლება ფორმალურია და მეფე არ ერევა ხელისუფლების შტოების მიერ უფლებამოსილების განხორციელებაში.

კონსტიტუციით აღიარებულია, რომ სამეფო ხელისუფლება მემკვიდრეობით გადაეცემა სამეფო დინასტიის არა მხოლოდ მამაკაცთა, არამედ ქალთა სქესის წარმომადგენლებსაც. კონსტიტუციურ კანონთა რიცხვს განეკუთვნება 1953 წლის 27 მარტის კანონი „დანიის ტახტის მემკვიდრეობის შესახებ", რომლის მიხედვით, ტახტი მემკვიდრეობით გადაეცემათ მეფე ქრისტიანა X-სა და დედოფალ ალექსანდრინას შთამომავლებს. ამჟამად ქვეყნის მეთაურია შლეზვიგ-ჰოლშტეინ-ზონდერბურგ-გლიუკსბურგის დინასტიის წარმომადგენელი დედოფალი მარგარიტა II, რომელიც ტახტზე ავიდა 1972 წლის 14 იანვარს. კონსტიტუციის მიხედვით, მონარქის გარდაცვალების შემდეგ ტახტი გადადის მის ვაჟიშვილზე ან ქალიშვილზე იმ პირობით, რომ ტახტზე უპირატესი უფლება აქვს ვაჟს ქალიშვილის მიმართ, ხოლო იგივე სქესის რამდენიმე ბავშვის არსებობისას — ასაკით უფროს ბავშვს. მეფის სიკვდილის შემთხვევაში, თუ მას არ დარჩა შვილები, რომელთაც ექნებოდათ ტახტის დაკავების უფლება, ტახტი გადადის მის ძმაზე ან დაზე იმ პირობით, რომ უპირატესი უფლება ტახტზე ეკუთვნის მეფის ძმას, ხოლო თუ არც ამ

კატეგორიის პირთაგან არის ვინმე, ტახტი გადადის მეფის შთამომავლების უახლოეს შტოს წარმომადგენლებზე, პირდაპირი ხაზის მიხედვით და უპირატესობის მინიჭებით კაცებისათვის ქალებთან მიმართებით და ასაკით უფროსებისათვის უმცროსებთან მიმართებით. მხოლოდ კანონიერ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებს აქვთ ტახტის მემკვიდრეობის უფლება.

მეფეს უფლება არა აქვს დაქორწინდეს რიქსდაგის თანხმობის გარეშე. თუ ტახტის მემკვიდრეობის უფლების მქონე პირი ქორწინდება სახელმწიფო საბჭოში მიცემული მეფის თანხმობის გარეშე, ის, ისევე როგორც მისი შვილები და შთამომავლები, კარგავენ ტახტის მემკვიდრეობის უფლებას.

კონსტიტუცია ადგენს, რომ მეფეს მემკვიდრეობის მიღების უფლება აქვს 18 წლის მიღწევიდან. იგივე წესი ვრცელდება ტახტის მემკვიდრის მიმართაც. ტახტის ვაკანსიისა და მემკვიდრეების არარსებობის შემთხვევაში ფოლკეტინგი ირჩევს მეფეს და ადგენს ტახტის მემკვიდრეობის მომავალ წესებს.

კონსტიტუციის თანახმად, მეფე სამეფოს ყველა საკითხზე კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში აღჭურვილია უზენაესი ხელისუფლებით და მას ახორციელებს მინისტრების მეშვეობით. ეს იმას ნიშნავს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებაზე სრულად არიან პასუხისმგებლები მინისტრები. მეფე არ აგებს პასუხს თავის მოქმედებებზე, მისი პიროვნება ხელშეუხებელია. აქედან გამომდინარე, ყველა უფლებამოსილებას, რაც კონსტიტუციით მეფის უფლებამოსილებას განეკუთვნება, ახორციელებს მთავრობა.

მეფე ნიშნავს და ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრსა და სხვა მინისტრებს. თუმცა, პრაქტიკულად მთავრობა ფორმირდება კოალიციური გზით საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალების მიერ მათივე შემადგენლობიდან და მეფე არ ერევა საკადრო საკითხების გადაწყვეტაში. ამ პერიოდისთვის მთავრობის ფორმირების შემდეგი პროცედურა ჩამოყალიბდა: ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შემდეგ მეფე ნიშნავს უფლებამოსილ პირს, რომლის ამოცანას წარმოადგენს საპარლამენტო ფრაქციების ლიდერებთან კონსულტაციების გამართვა. ამ თანამდებობაზე, როგორც წესი, ინიშნება პოლიტიკოსი, რომელსაც გააჩნია მთავრობის ხელმძღვანელობის ყველაზე დიდი შანსი. უფლებამოსილი პირი კონსულტაციების შედეგად მეფეს წარუდგენს საკუთარ რეკომენდაციებს მთავრობის შემადგენლობის შესახებ, რაც მეფის სახელით შემდგომ დასამტკიცებლად წარედგინება ფოლკეტინგს. კონსტიტუციის მიხედვით მეფე წყვეტს მინისტრთა საერთო რაოდენობისა და მათ შორის მმართველობითი ფუნქციების განაწილების საკითხებს, თუმცა ამ საკითხსაც მთავრობა წყვეტს მეფის ფორმალური მონაწილეობით. კანონმდებლობისა და მმართველობის თაობაზე მეფის მიერ ხელმოწერილ რეზოლუციებს ასევე ხელს უნდა აწერდეს ერთი ან

რამდენიმე მინისტრი, რაზეც პასუხისმგებლობას ატარებს მასზე ხელმომწერი მინისტრი.

მეფეს აქვს შეწყალებისა და ამნისტიის, ასევე ფულის მოჭრის უფლება.

აღმასრულებელი ხელისუფლების პრაქტიკული განმახორციელებელი ორგანოა მინისტრთა საბჭო, რომელიც შედგება ყველა მინისტრისგან და მას მეთაურობს პრემიერ-მინისტრი. მთავრობის შემადგენლობაში ამჟამად 17 სამინისტროა, რომელთაგან გარდა ქვეყნების უმრავლესობაში არსებული კლასიკური უფლებამოსილების მქონე სამინისტროებისა, ქვეყნის პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით ასევე გამოირჩევა ზოგიერთი განსხვავებული უფლებამოსილებით აღჭურვილი სამინისტრო. ასეთებია, მაგალითად, ეკლესიის საქმეთა სამინისტრო, დასაქმების სამინისტრო, სოციალურ საკითხთა და სქესთა თანასწორობის სამინისტრო. ცალკე სტრუქტურის სახით ფუნქციონირებს გადასახადების სამინისტრო, ხოლო შინაგან საქმეთა და ჯანმრთელობის სფეროები ერთ სამინისტროდ არის გაერთიანებული. სამინისტროები საკუთარი პოლიტიკის გატარების სფეროში აღჭურვილია ფართო უფლებამოსილებით. ეს უმეტესად გამომდინარეობს კოალიციური მთავრობის არსებობიდან, როდესაც სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც შედიან მმართველ კოალიციაში, იღებენ კონტროლის უფლებამოსილებას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე.

მთავრობის ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. დამსწრე მინისტრების მიერ ხელმოწერილ სხდომის ოქმს პრემიერ-მინისტრი გადასცემს მეფეს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მინისტრთა საბჭოს რეკომენდაციებისათვის დაუყოვნებლივ დათანხმების ან ამ საკითხის სახელმწიფო საბჭოსთვის განსახილველად გადაცემის შესახებ.

კონსტიტუცია ითვალისწინებს მინისტრთა პოლიტიკურ და სამართლებრივ პასუხისმგებლობას. მინისტრი უნდა გადადგეს თანამდებობიდან, თუ საკანონმდებლო ორგანო მას უნდობლობას გამოუცხადებს. იმ შემთხვევაში კი, თუ ფოლკეტინგი უნდობლობას გამოუცხადებს პრემიერ-მინისტრს, ეს უკანასკნელი მიმართავს თხოვნით მთავრობის გადადგომის შესახებ, იმ პირობით, რომ არ დაინიშნოს ფოლკეტინგის ახალი არჩევნები. თუ ფოლკეტინგი მთავრობის მიმართ მიიღებს უნდობლობის ვოტუმს ან თუ იგი თვითონ მიმართავს თხოვნით გადადგომის შესახებ, მთავრობა კვლავ აგრძელებს უფლებამოსილების განხორციელებას მთავრობის ახალი შემადგენლობის ფორმირებამდე. მინისტრები, რომლებიც ზემოაღნიშნული წესით აგრძელებენ თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებას, ახორციელებენ მხოლოდ სახელმწიფო საქმეების შეუფერხებელი განხორცილებისთვის აუცილებელ მოქმედებებს. უნდობლობის ვოტუმი პრაქტიკაში ძალიან იშვიათად გამოიყენება.

ამგვარ შემთხვევას დანიის კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში უკანასკნელად ადგილი ჰქონდა 1909 წელს.

მინისტრთა სამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოიხატება იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებაში, რისი საფუძველიც შეიძლება იყოს სამსახურებრივი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულება. მათი თანამდებობიდან გადაყენების უფლება აქვს მეფეს ან პარლამენტს. სამსახურებრივი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შესახებ მინისტრების იმპიჩმენტის თაობაზე საქმეებს განიხილავს სამეფოს მაღალი სასამართლო, რომელსაც სპეციალურად ამ მიზნით ქმნის ფოლკეტინგი. იგი შედგება სამეფოს უზენაესი სასამართლოს არა უმეტეს 15 უხუცესი მოსამართლისგან და ფოლკეტინგის მიერ პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის შესაბამისად 6 წლის ვადით არჩეული 15 მოსამართლისგან. მისი მოსამართლეობა შეუთავსებელია სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან. მაღალი სასამართლო თავის მოსამართლეთა შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს. იგი მეფის ან ფოლკეტინგის ინიციატივით განიხილავს საქმეებს მინისტრთა წინააღმდეგ, ხოლო ფოლკეტინგის თანხმობითა და მეფის ინიციატივით — სხვა პირთა დანაშაულში ბრალდების შესახებ, თუ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულები სახელმწიფოსთვის განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს.

კონსტიტუცია იცნობს კიდევ ერთ ორგანოს — სახელმწიფო საბჭოს, რომლის შემადგენლობაში შედიან მინისტრები და სრულწლოვანების მიღწევიდან — ტახტის მემკვიდრე. საბჭოს თავმჯდომარეობს მეფე. ყველა კანონპროექტი და მნიშვნელოვანი სამთავრობო აქტი განიხილება სახელმწიფო საბჭოში. თუმცა, მეფეს უფლება აქვს საკითხის განხილვა დაავალოს მინისტრთა საბჭოს. აქედან გამომდინარე, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, სახელმწიფო საბჭო იშვიათად მოიწვევა და სახელმწიფო მმართველობის ყველა საკითხს მინისტრთა საბჭო წყვეტს.

დანიაში უმაღლესი წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანოა პარლამენტი, რომელსაც ეწოდება ფოლკეტინგი. იგი შედგება ერთი პალატისგან და მის შემადგენლობაშია არა უმეტეს 179 წევრი, რომელთაგან 135 აირჩევა პროპორციული სისტემით 23 ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში, 40 — ე.წ. დამატებით ადგილებზე, რომლებიც ნაწილდება ქვეყნის მასშტაბით მიღებული ხმების საერთო რაოდენობის პროპორციულად იმ პარტიებს შორის, რომლებიც მიიღებენ ამომრჩეველთა არანაკლებ 2%-ს, ხოლო 2-2 წევრი აირჩევა ფარერის კუნძულებიდან და გრენლანდიიდან. ამომრჩეველს უფლება აქვს ხმა მისცეს პარტიულ სიას, პარტიული სიის ერთ-ერთ კანდიდატს ან დამოუკიდებელ კანდიდატს. თითოეული რეგიონიდან დეპუტატთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრისას აუცილებელია მცხოვრებთა რაოდენობის, ამომრჩეველთა რაოდენობისა და მოსახლეობის სიმჭიდროვის გათვა-

ლისწინება. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა პოლიტიკურ გაერთიანებას. რომელ მათგანსაც წარმომადგენელი არ ჰყავს პარლამენტში, უნდა მოაგროვოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 1/75-ის ხელმოწერები. ეს მოთხოვნა არ ეხება იმ პარტიებს, რომლებსაც ფოლკეტინგში ჰყავთ წარმომადგენელი. დეპუტატები აირჩევიან 4 წლის ვადით.

ფოლკეტინგის არჩევნები ტარდება საყოველთაო და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს დანიის ქმედუნარიან მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან, რომელსაც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი გააჩნია სამეფოში. აღსანიშნავია, რომ ასაკობრივი საარჩევნო ცენზი დადგენილია რეფერენდუმის საფუძველზე მიღებული 1953 წლის 25 მარტის კანონით, რომელიც შეიძლება შეიცვალოს ასევე რეფერენდუმზე მიღებული კანონით. თუმცა, პრაქტიკაში ამგვარ რეფერენდუმს ადგილი ჯერ არ ჰქონია. ამასთან, კონსტიტუცია კანონს ანიჭებს უფლებას დაადგინოს სისხლის სამართლის სასჯელისა და სიღარიბის მიხედვით სოციალური შემწეობის რა შემთხვევები შეიძლება იქნეს მიჩნეული საარჩევნო უფლების ჩამორთმევის კანონიერ საფუძვლად, თუმცა ამგვარი შეზღუდვები არ არის კანონით დადგენილი.

ფოლკეტინგში შეიძლება არჩეულ იქნეს ნებისმიერი პირი, რომელიც ფლობს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, თუ ის არ იყო გასამართლებული ისეთი ქმედებისათვის, რომელსაც საზოგადოებრიობა ფოლკეტინგის წევრად არჩევისთვის შეუთავსებლად მიიჩნევს. ფოლკეტინგის შემადგენლობაში არჩეული სახელმწიფო მოსამსახურეები დეპუტატები ხდებიან მთავრობის თანხმობის მიუხედავად.

ფოლკეტინგი ხელშეუხებელია. ნებისმიერი პირი, რომელიც ხელყოფს მის უსაფრთხოებას ან თავისუფლებას, გასცემს ან შეასრულებს ფოლკეტინგის საწინააღმდეგო ბრძანებას, ითვლება სახელმწიფო ღალატის ჩადენაში ბრალდებულად.

მეფეს უფლება აქვს დანიშნოს პარლამენტის ახალი არჩევნები და დაითხოვოს პარლამენტი, თუმცა პრაქტიკაში ვადამდელი არჩევნების ჩატარების საკითხს პრემიერ-მინისტრი წყვეტს. ახალი არჩევნები არ შეიძლება დაინიშნოს ახალი მთავრობის ფორმირების შემდეგ პრემიერ-მინისტრის ფოლკეტინგისათვის წარდგენამდე. დათხოვნილი პარლამენტის წევრთა უფლებამოსილება წყდება არა დათხოვნისას, არამედ ახალი არჩევნების ჩატარების შემდეგ. არჩევის ფაქტის დადგენის შემდეგ თითოეული ახალი დეპუტატი წარმოთქვამს საზეიმო ფიცს, რომელიც კონსტიტუციის დაცვას ავალდებულებს. ფოლკეტინგი დამოუკიდებლად ადგენს თითოეული დეპუტატის არჩევის ფაქტს და წყვეტს დადგენილი მოთხოვნებისადმი მათი შესაბამისობის საკითხს.

ახალარჩეული ფოლკეტინგი მოიწვევა არჩევნების ჩატარებიდან 12 დღეში, თუ მეფემ უფრო ადრე არ მოიწვია მისი სხდომა. დეპუტატთა მანდატების დამტკიცების შემდეგ ფოლკეტინგი დაუყოვნებლივ ატარებს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილეების არჩევნებს. პარლამენტის პირველ სხდომაზე პრემიერ-მინისტრი წარმოადგენს ანგარიშს სახელმწიფოს საქმეების საერთო მდგომარეობისა და მთავრობისათვის შეთავაზებული ზომების შესახებ, რაც წარმოადგენს ფოლკეტინგში ზოგადი დებატების საფუძველს.

ფოლკეტინგის წევრობა შეთავსებადია მინისტრობასთან და, როგორც წესი, სწორედ პარლამენტის წევრთაგან კომპლექტდება მთავრობა. მინისტრებს, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა პარლამენტის წევრები, უფლება აქვთ დაესწრონ ფოლკეტინგის სხდომებს და მონაწილეობა მიიღონ დებატებში ისე ხშირად, რამდენადაც ეს აუცილებელია. თუმცა მათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატები არიან.

ფოლკეტინგის დეპუტატები თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობენ მხოლოდ საკუთარი რწმენით და არა ამომრჩეველთა რაიმე მითითებებით. მათი რაიმე ფორმით დევნა ან დაპატიმრება დაუშვებელია ფოლკეტინგის თანხმობის გარეშე, თუ არ იქნენ დაკავებული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე. ფოლკეტინგის კედლებში გამოსვლისათვის არც ერთი დეპუტატი არ შეიძლება იქნეს მიცემული პასუხისგებაში ფოლკეტინგის თანხმობის გარეშე.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს მეფეს, მინისტრთა საბჭოს, თითოეულ დეპუტატს და ფოლკეტინგის მუდმივ კომიტეტს. ძირითადად კანონპროექტები შეიტანება მინისტრთა საბჭოს მიერ.

ფოლკეტინგის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია სხდომებსა და კენჭისყრაში ფოლკეტინგის წევრთა არანაკლებ ნახევრის მონაწილეობა. პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი კანონი ხდება, თუ ის მისი საბოლოო მიღებიდან არა უგვიანეს 30 დღის ვადაში მიიღებს სამეფო დამტკიცებას. თუმცა, პრაქტიკაში ადგილი არ ჰქონია ისეთ შემთხვევას, რომ მეფეს უარი ეთქვა პრომულგაციისათვის წარდგენილი კანონის ხელმოწერაზე. თუ კანონპროექტი არ იქნება საბოლოოდ მიღებული ახალი არჩევნებისა და საპარლამენტო წლის დასრულებამდე, იგი დღის წესრიგიდან იხსნება და ხელახლა უნდა დაიწყოს საკანონმდებლო პროცედურები.

კონსტიტუცია ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც განსაკუთრებული აუცილებლობის პირობებში, როდესაც ფოლკეტინგს არ შეუძლია შეკრება, მეფეს უფლება აქვს გამოსცეს დროებითი კანონები იმ პირობით, რომ ისინი არ ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას, რაც ფოლკეტინგს დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს შეკრებისთანავე.

ფოლკეტინგი ფართო უფლებამოსილებით არის აღჭურვილი, რაც მას გამოარჩევს დასავლეთ ევროპის სხვა შედარებით ძლიერი პარლამენტებისგან.

კონსტიტუცია განსაზღვრავს იმ საკითხთა წრეს, რომლებიც აუცილებლად კანონით უნდა იქნეს მოწესრიგებული. ესენია: გადასახადების დადგენა, შეცვლა ან გაუქმება, სამხედრო სამსახურში გაწვევა, სახელმწიფო სესხი, უცხოელთა ნატურალიზაცია, უცხოელების მიერ უძრავი ქონების შეძენის უფლების შეზღუდვა.

საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობა მთავრობის კომპეტენციაა, მაგრამ ფოლკეტინგის თანხმობაა საჭირო ისეთ ხელშეკრულებებზე, რომლებიც გამოიწვევს სახელმწიფოს ტერიტორიის გაზრდას ან შემცირებას, ან რომელიც განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა; მეფეს უფლება არა აქვს ფოლკეტინგის თანხმობის გარეშე მოახდინოს ფოლკეტინგის თანხმობით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულების დენონსირება. ასევე პარლამენტის თანხმობის გარეშე მეფეს არ შეუძლია სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ შეიარაღებული ძალების გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სამეფოზე ან დანიის შეიარაღებულ ძალებზე შეიარაღებული თავდასხმის შედეგად თავდაცვის მიზნით. კონსტიტუციის დონეზეა გათვალისწინებული ფოლკეტინგის მიერ თავისი შემადგენლობიდან საგარეო საქმეთა კომიტეტის შექმნა, რომელთანაც მთავრობამ უნდა აწარმოოს კონსულტაციები საგარეო პოლიტიკის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

კონსტიტუციაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საგადასახადო და საბიუჯეტო საკითხებს, რაშიც ფართო უფლებებით არის აღჭურვილი საკანონმდებლო ორგანო. შემდგომი საბიუჯეტო წლის ფინანსური კანონპროექტი ფოლკეტინგში შეიტანება საბიუჯეტო წლის დაწყებამდე არა უგვიანეს 4 თვისა. თუ საკარაუდოა, რომ შემდგომი საბიუჯეტო წლის ფინანსური კანონპროექტის მიღება საბიუჯეტო წლის დასაწყისისთვის არ იქნება დამთავრებული, ფოლკეტინგში შეიტანება კანონპროექტები დროებით ასიგნებათა შესახებ. გადასახადები არ შეიძლება ამოღებულ იქნეს ფინანსური კანონის ან დროებით ასიგნებათა შესახებ კანონის მიღებამდე.

სახელმწიფო სახსრების ხარჯვის შესახებ ანგარიშები გადაეცემა ფოლკეტინგს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 6 თვისა. ფოლკეტინგი ირჩევს აუდიტორებს, რომლებიც ამოწმებენ სახელმწიფო სახსრების ხარჯვის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშებს, თვალყურს ადევნებენ ყველა საბიუჯეტო შემოსავლის სახელმწიფო ხაზინაში მოხვედრას და ხარჯების წარმოებას მხოლოდ საბიუჯეტო კანონის ან ასიგნებათა შესახებ სხვა კანონის შესაბამისად. აუდიტორებს აქვთ ნებისმიერი აუცილებელი ინფორმაციის მოთხოვნისა და ყველა აუცილებელ დოკუმენტზე ხელმისაწვდომობის უფლება. სახელმწიფო სახსრების ხარჯვის შესახებ ანგარიშები ფოლკეტინგს განსახილველად წარედგინება აუდიტორების ანგარიშებთან ერთად.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე კონტროლს ახორციელებს ომბუდსმენი, რომელსაც ირჩევს ახალარჩეული ფოლკეტინგი. ეს თანამდებობა კონსტიტუციით არის დადგენილი, თუმცა მას კონსტიტუციურად ომბუდსმენი არ ეწოდება. ძირითად აქტში აღნიშნულია, რომ სახელმწიფოს სამოქალაქო და სამხედრო ადმინისტრაციის კონტროლისათვის, კანონი ადგენს ფოლკეტინგის მიერ იმ ერთი ან ორი პირის დანიშვნას, რომლებიც არ არიან დეპუტატები. ამგვარი კანონი „ომბუდსმენის შესახებ" 1996 წლის 12 ივნისს არის მიღებული. მისი კონტროლის საგანს წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები, რაც კონკრეტული აქტების მიღებით და ქმედებებით არის გამოწვეული. ამგვარი კონტროლი ხორციელდება როგორც მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე, ისე ომბუდსმენის ინიციატივით. პრაქტიკულად, ომბუდსმენი განიხილავს წელიწადში დაახლოებით 500 ათას საჩივარს და შესაბამის რეკომენდაციებს აძლევს აღმასრულებელ ორგანოებს. ამასთან, მას უფლება აქვს დარღვევების შესახებ აცნობოს პარლამენტს ან მიმართოს სასამართლოს. დანიაში დღეს მოქმედებს 2 ომბუდსმენი — სამოქალაქო და სამხედრო ადმინისტრაციის საქმეებზე.

დანიის კონსტიტუციურ სამართალში უშუალო დემოკრატიის ფორმებიდან საკმაოდ ფართოდ გამოიყენება რეფერენდუმის ინსტიტუტი. კონსტიტუცია იცნობს საკონსტიტუციო და საკანონმდებლო რეფერენდუმებს. ამასთან, ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს როგორც წინასწარი, ანუ ეხებოდეს კანონპროექტის დამტკიცებას მის ძალაში შესვლამდე, ისე შემდგომიც, ანუ ითვალისწინებდეს უკვე მიღებული კანონის რეფერენდუმზე გატანას.

პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტის რეფერენდუმზე გატანის თაობაზე ფოლკეტინგის თავმჯდომარეს შეიძლება მიმართოს დეპუტატთა 1/3-მა კანონპროექტის მიღებიდან არა უმეტეს 3 სამუშაო დღის ვადაში. ამ შემთხვევაში ფოლკეტინგს შეუძლია გამოიწვიოს კანონპროექტი მისი მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღეში, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი. პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილების შესაბამისად რეფერენდუმი ტარდება კანონპროექტის გამოქვეყნებიდან არანაკლებ 12 და არა უგვიანეს 18 სამუშაო დღის ვადაში. ამ კანონპროექტმა რეფერენდუმის ჩატარებამდე არ შეიძლება მიიღოს სამეფო დამტკიცება. რეფერენდუმზე ხმას აძლევენ კანონპროექტს ან მის წინააღმდეგ. კანონპროექტის უარყოფა ხდება კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ ხმის უფლების მქონე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 30%-ისა.

ამასთან, კონსტიტუციაში მოცემულია იმ საკითხების ჩამონათვალი, რომლებიც არ შეიძლება იყოს რეფერენდუმის საგანი. ესენია: საფინანსო, დამატებით ასიგნებათა, დროებით ასიგნებათა, სახელმწიფო სამსახურის, ხელფასისა და პენსიის, ნატურალიზაციის, ექსპროპრიაციის, საგადასახადო დაბეგ-

ვრის კანონპროექტები, აგრეთვე კანონპროექტები, რომელთა მიზანია არსებული საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების შეცვლა. იგივე წესი ვრცელდება მეფის ტახტზე ასვლისა და უფლებამოსილების მარეგულირებელ ზოგიერთ მუხლზე და კანონით მიღებულ აქტებზე, გარდა იმ გამონაკლისებისა, თუ თვით ამ აქტებში არ არის გათვალისწინებული მათი გატანა რეფერენდუმზე.

რაც შეეხება საგანგებო მდგომარეობის დროს მიღებულ კანონს, რომელიც სხვა შემთხვევაში უნდა დამტკიცდეს რეფერენდუმზე, შეიძლება დაუყოვნებლივ მიიღოს სამეფო დამტკიცება, თუ თვით კანონპროექტი შეიცავს ამის შესახებ დებულებებს. თუმცა, დეპუტატთა 1/3-ის მითხოვნის შემთხვევაში იგი შემდგომ მაინც უნდა გავიდეს რეფერენდუმზე. თუ ამგვარი კანონი უარყოფილ იქნება რეფერენდუმზე, ძალას კარგავს შედეგების ოფიციალური გამოცხადების დღიდან.

თუ რეფერენდუმების პრაქტიკასაც მოვიშველიებთ, მიღებული კანონპროექტის საბოლოოდ დამტკიცებამდე რეფერენდუმი ჩატარდა 1963 წელს, რითაც უარყოფილ იქნა მთავრობის მიერ გატარებული მიწის რეფორმის თაობაზე ოთხი კანონპროექტი.

რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლებას, მის სათავეში დგას უზენაესი სასამართლო, რომელიც იხილავს საჩივრებს ქვემდგომი სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე და კანონის დარღვევის შემთხვევაში აუქმებს მათ. მის გადაწყვეტილებებს პრეცედენტის ძალა გააჩნია და სავალდებულოა ყველა სასამართლოსთვის.

მეორე ინსტანციას წარმოადგენს 2 სააპელაციო სასამართლო — აღმოსავლეთ და დასავლეთ ტერიტორიების, რომლებიც იხილავენ საჩივრებს საოლქო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე და ამასთან არიან პირველი ინსტანციის სასამართლოები რთულ სამოქალაქო საქმეებზე და იმ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომელთათვისაც სასჯელი შეადგენს არანაკლებ 8 წელს. მასზე ქვემდგომი დონეა საოლქო სასამართლოები, რომლებიც შექმნილია 84 სასამართლო ოლქში. მოსამართლე თანამდებობაზე ინიშნება მეფის მიერ სპეციალური კვაზი-სახელმწიფო ორგანოს წარდგინებით, იმ პირთაგან, რომელთაც გააჩნიათ არანაკლებ 15-20 წლიანი პროფესიული სტაჟი. მოსამართლე ინიშნება უვადოდ ანუ 70 წლის ასაკის მიღწევამდე.

დაუშვებელია მართლმსაჯულების განსახორციელებლად საგანგებო სასამართლოების შექმნა.

საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებაზე კონსტიტუცია არაფერს ამბობს, თუმცა პრაქტიკის მიხედვით ამ უფლებამოსილებას ახორციელებს ყველა სასამართლო.

მართლმსაჯულება ხორციელდება აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად, შეძლებისდაგვარად ღიად და საჯაროდ. თავისი უფლებამო-

სილების განხორციელებისას მოსამართლეები ხელმძღვანელობენ მხოლოდ კანონით. მოსამართლეები არ შეიძლება გადაყენებულ იქნენ თანამდებობიდან გამამტყუნებელი განაჩენის გარეშე, ან გადაყვანილ იქნენ სხვა თანამდებობებზე მათი თანხმობის გარეშე, გარდა სასამართლო ორგანოების რეორგანიზაციის გამონაკლისი შემთხვევებისა. აღნიშნულ შემთხვევებში 75 წლის ასაკს მიღწეული მოსამართლეები თანამდებობაზე ყოფნის ზღვრული ასაკის მიღწევამდე შეიძლება გადაყენებულ იქნენ თანამდებობიდან უწინდელი ხელფასის შენარჩუნებით.

კონსტიტუცია იცნობს მსაჯულთა ინსტიტუტსაც, რომელიც მონაწილეობს სისხლის სამართლწარმოებაში.

ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს ეხება კონსტიტუციის მე-8 ნაწილი. აღიარებულია პიროვნების ხელშეუხებლობა. დანიის არც ერთ მოქალაქეს, მისი პოლიტიკური და რელიგიური მრწამსის, აგრეთვე წარმოშობის საფუძველზე, არ შეიძლება რაიმე სახით აღეკვეთოს თავისუფლება. პიროვნებას შეიძლება თავისუფლება აღეკვეთოს მხოლოდ კანონის საფუძველზე.

ნებისმიერი დაკავებული პირი 24 საათის განმავლობაში უნდა წარსდგეს მოსამართლის წინაშე. თუ დაკავებული პირის დაუყოვნებლივ გათავისუფლება შეუძლებელია, მოსამართლემ უნდა გააკეთოს მოტივირებული დასკვნა, რომელიც მიღებულ უნდა იქნეს რაც შეიძლება სწრაფად, მაგრამ არა უგვიანეს 3 დღისა, იმის თაობაზე, რომ პირი ექვემდებარება დაპატიმრებას ან პატიმრობისგან გირაოთი გათავისუფლებას სასამართლო ბრძანებით დადგენილ პირობებში და ოდენობით. სასამართლოს გადაწყვეტილება ბრალდებულმა შეიძლება სადავო გახადოს ზემდგომ სასამართლოში აპელაციის მეშვეობით. არც ერთი პირი არ შეიძლება დაპატიმრებულ იქნეს იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც ინიშნება სასჯელი ჯარიმის სახით ან პირობითი პატიმრობა.

საცხოვრებელი ადგილი და საკუთრების უფლება ხელშეუხებელია. საზოგადოებრივი აუცილებლობის მიზეზით საკუთრების ჩამორთმევა დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილი წესით, მესაკუთრისათვის სრული კომპენსაციის პირობით. დანიის კონსტიტუცია ითვალისწინებს საკუთრების დაცვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარანტიას. საკუთრების ექსპროპრიაციის შესახებ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში დეპუტატთა 1/3-ს შეუძლია მოითხოვოს, რომ არ გადაეცეს კანონპროექტი მეფეს ფოლკეტინგის ახალი არჩევნების ჩატარებამდე და კანონპროექტის განმეორებით მიღებამდე. ანუ ამ შემთხვევაში ექსპროპრიაციის კანონის მისაღებად აუცილებელი ხდება ორი მოწვევის პარლამენტის თანხმობა. ამასთან, მართალია ექსპროპრიაციის კანონიერებისა და მესაკუთრისათვის კომპენსაციის ოდენობის შესახებ დავას იხილავს სასამართლო, მაგრამ კომპენსაციის ოდენობის საკითხზე საქმის

მოსმენა შეიძლება ასევე გადაეცეს სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ სასამართლო ორგანოებს.

კონსტიტუციით აღიარებულია სოციალური დახმარების, უფასო დაწყებითი განათლების მიღების, აზრის ბეჭდვით, წერილობით ან ზეპირი ფორმით გამოთქმის, საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნის, წინასწარი ნებართვის გარეშე უიარაღოდ შეკრების უფლება. კონსტიტუცია ასევე ყურადღებას ამახვილებს აჯანყების უფლებაზე და ადგენს, რომ აჯანყების შემთხვევაში შეიარაღებულ ძალებს, თუ მათ არ ესხმიან თავს, შეუძლიათ გამოიყენონ ძალა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამჯერ წაუყენებენ დაშლის მოთხოვნას და ხალხი ამ მოთხოვნას არ დაემორჩილება.

დანია წარმოადგენს უნიტარულ სახელმწიფოს. 2007 წლის 1 იანვრამდე დანიის ტერიტორია იყოფოდა 14 ამტად ანუ ოლქად. 2007 წლის ადგილობრივი რეფორმის შედეგად ამტები რეორგანიზებულ იქნა 5 მსხვილ ადმინისტრაციულ რეგიონად, რომლებიც თავის მხრივ დაიყო 98 მუნიციპალიტეტად. მცირე მუნიციპალიტეტები ანუ კომუნები შეუერთდნენ მუნიციპალიტეტებს, რის შედეგად 270-ის ნაცვლად ჩამოყალიბდა 98 მუნიციპალიტეტი. რეგიონის წარმოადგენლობითი ორგანოა 41 წევრიანი, 4 წლის ვადით არჩეული რეგიონული საბჭო. კანონი ადგენს მუნიციპალიტეტის უფლებას, სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ დამოუკიდებლად განახორციელონ ადგილობრივი საქმეები. დანიის სამეფოს შემადგენლობაშია ასევე ორი თვითმმართველი ტერიტორია — ფარერის კუნძულები და გრენლანდია, რომელთა თვითმმართველობის გარანტს, უპირველეს ყოვლისა, დანიის კონსტიტუცია წარმოადგენს.

ფარერის კუნძულები სარგებლობს შიდა ავტონომიით 1948 წლის 23 მარტის თვითმმართველობის კანონის საფუძველზე. მისი ოფიციალური ენებია ფარერული და დანიური. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ლეგტინგი, რომელიც შედგება პროპორციული სისტემით, 4 წლის ვადით, საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე არჩეული 32 დეპუტატისგან. უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა კოალიციური მთავრობა — ლანდსტიური, რომელიც იქმნება ლეგტინგის მიერ და რომელსაც ხელმძღვანელობს თავმჯდომარე. ფარერის კუნძულებზე დანიის სამეფოს ინტერესებს წარმოადგენს სამეფო ბრძანებულებით დანიშნული უმაღლესი კომისარი — რიგსომბუდსმენი. ფარერის კუნძულები შედგება 8 ოლქისგან.

რაც შეეხება გრენლანდიას, იგი იყო დანიის კოლონია, მაგრამ 1953 წლის კონსტიტუციის საფუძველზე არის დანიის სამეფოს სრულუფლებიანი ნაწილი. გრენლანდიის სამართლებრივ მდგომარეობას ადგენს 1978 წლის 17 ნოემბრის კანონი „გრენლანდიის შიდა ავტონომიის გაფართოების შესახებ", რომელიც დამტკიცდა გრენლანდიაში ჩატარებულ რეფერენდუმზე 1979 წლის 17 იანვარს. ოფიციალური ენებია ესკიმოსური და დანიური. უმაღლეს

საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს ლანდსტინგი, რომელიც შედგება პროპორციული სისტემით, 4 წლის ვადით, საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე არჩეული 31 დეპუტატისგან. უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა მთავრობა — ლანდსტიური, რომელსაც აყალიბებს ლანდსტინგი. გრენლანდიაში დანიის სამეფოს ინტერესებს წარმოადგენს უმაღლესი კომისარი.

გარდა ამისა, დანიის კონსტიტუცია ითვალისწინებს დათქმებს, რომ პარლამენტმა შეიძლება დაადგინოს დანიის მთელი ტერიტორიისათვის დადგენილი რეჟიმისგან განსხვავებული წესები. მათ გააჩნიათ საკუთარი წარმომადგენლობა დანიის პარლამენტში — 2-2 წევრი, ამასთან, შეიძლება დადგინდეს ამ წევრების არჩევისა და უფლებამოსილების განხორციელების, ასევე მათ ტერიტორიებზე რეფერენდუმისა და ადგილობრივი არჩევნების ჩატარების განსხვავებული წესები, რაც ასევე მათი თვითმმართველობის მნიშვნელოვანი გარანტიაა.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები.

— უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ დანიის კონსტიტუციური სამართალი სტაბილურობით გამოირჩევა — ქვეყნის კონსტიტუციაში დღემდე არც ერთი ცვლილება არ არის შეტანილი;

— რთულია კონსტიტუციის გადასინჯვის წესიც: იგი იდენტური რედაქციით უნდა მიიღოს ორი მოწვევის პარლამენტმა და შემდგომ არანაკლებ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 40%-ის მხარდაჭერით დამტკიცდეს რეფერენდუმზე;

— კონსტიტუციის თანახმად ხელისუფლების განმახორციელებელ პირად მეფეა აღიარებული, თუმცა პრაქტიკულად მეფის ხელისუფლება ფორმალურია და იგი არ მონაწილეობს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;

— მონარქის გარდაცვალების შემდეგ ტახტი შეიძლება გადავიდეს არამარტო ვაჟზე, არამედ ქალიშვილზეც იმ პირობით, რომ ტახტზე უპირატესი უფლება აქვს ვაჟს ქალიშვილის მიმართ;

— დანიაში აღიარებულია ოფიციალური რელიგია. ეს არის ევანგელისტურ ლუთერანული ეკლესია, რომელსაც მხარს უჭერს სახელმწიფო. მეფე უნდა იყოს ამ რელიგიის მიმდევარი;

— იმპიჩმენტის საქმეებს განიხილავს ფოლკეტინგის მიერ სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი მაღალი სასამართლო;

— ფოლკეტინგის წევრობა შეთავსებადია მინისტრობასთან, თუმცა მინისტრებს საპარლამენტო კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატები არიან;

— ფოლკეტინგი ფართო უფლებამოსილებებით არის აღჭურვილი, რომელთაგან საკმაოდ ძლიერია საფინანსო, საგადასახადო, ადამიანის უფლებების დაცვის, საკადრო სფეროების კონტროლის უფლებამოსილება;

— დანია გამოირჩევა რეფერენდუმების მრავალსახეობით. კონსტიტუცია იცნობს საკონსტიტუციო და საკანონმდებლო, წინასწარ და შემდგომ რეფერენდუმებს;

— კონსტიტუციაში ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს ეთმობა მე-8 ნაწილი, ანუ სტრუქტურულად მათზე წინ დგას სახელმწიფო ცხოვრების ბევრი სხვა საკითხი, რითაც დანია განსხვავდება მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობისგან, რომლებიც უფლებებს ძირითადად მე-2 თავს უთმობენ;

— კონსტიტუცია ითვალისწინებს საკუთრების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ დეპუტატთა 1/3-ის მოთხოვნით ექსპროპრიაციის შესახებ კანონის მისაღებად აუცილებელია ორი მოწვევის პარლამენტის თანხმობა;

— გარდა დანიის თვითმმართველობის ერთეულებისა, სამეფოს შემადგენლობაშია ასევე ორი თვითმმართველი ტერიტორია — ფარერის კუნძულები და გრენლანდია, რომელთაც განსხვავებული სტატუსი და გარანტიები გააჩნიათ.

დანიის კონსტიტუციური კანონი[1]

მიღებულია 1953 წლის 5 ივნისს

ნაწილი I

§1. ეს კონსტიტუციური კანონი გამოიყენება დანიის სამეფოს ყველა ნაწილში.

§2. მმართველობის ფორმაა კონსტიტუციური მონარქია. ტახტის მემკვიდრეობის შესახებ 1953 წლის 27 მარტის კანონის დებულებების შესაბამისად, სამეფო ხელისუფლება მემკვიდრეობით გადაეცემა სამეფო დინასტიის მამაკაცთა და ქალთა სქესის წარმომადგენლებს.

§3. საკანონმდებლო ხელისუფლებას ერთობლივად ახორციელებენ მეფე და ფოლკეტინგი. აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მეფე. სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ მართლმსაჯულების ორგანოები.

§4. ევანგელისტური ლუთერანული ეკლესია წარმოადგენს დანიის ოფიციალურ ეკლესიას და ამიტომ მას მხარს უჭერს სახელმწიფო.

ნაწილი II

§5. მეფე ფოლკეტინგის თანხმობის გარეშე ვერ დაიკავებს სამეფო ტახტს რომელიმე სხვა ქვეყანაში.

§6. მეფე უნდა იყოს ევანგელისტური ლუთერანული ეკლესიის წევრი.

§7. მეფეს მემკვიდრეობის მიღების უფლება აქვს თვრამეტი წლის მიღწევიდან. იგივე წესი ვრცელდება ტახტის მემკვიდრის მიმართაც.

---

[1] თარგმანისას გამოყენებულია დანიის კონსტიტუციის ოფიციალური გამოცემა: The Constitutional Act of Denmark of June 5, 1953. Published by the Folketing, Copenhagen, 1999, ISBN 87-89756-31-2; ასევე დანიის ფოლკეტინგის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.folketinget.dk/pdf/constitution.pdf წარმოდგენილი დანიის კონსტიტუციის ინგლისურენოვანი ტექსტი.

§8. მეფე ტახტზე ასვლამდე დებს საზეიმო ფიცს, რითაც იღებს ვალდებულებას, რომ განუხრელად დაიცავს კონსტიტუციას და მას ხელს აწერს სახელმწიფო საბჭოს წინაშე. ხელი მოეწერება ფიცის ორ იდენტურ დედანს, რომელთაგან ერთი გადაეცემა ფოლკეტინგს მის არქივში დასაცავად, ხოლო მეორე ინახება სახელმწიფო არქივში. თუ მეფე არყოფნის ან სხვა მიზეზით ვერ შეძლებს დაუყოვნებლივ მოაწეროს ხელი ტახტზე ასვლის შესახებ მითითებულ ფიცს უშუალოდ ტახტზე ასვლამდე, ფიცის ხელმოწერამდე მმართველობას ახორციელებს სახელმწიფო საბჭო, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. იმ შემთხვევაში, თუ მეფემ მითითებული ფიცი დადო, როგორც ტახტის მემკვიდრემ, იგი დაუყოვნებლივ ადის ტახტზე, როგორც კი ტახტი ვაკანტური გახდება.

§9. მეფის არასრულწლოვანების, ავადმყოფობის ან არყოფნის შემთხვევაში სამეფო ხელისუფლების განხორციელების შესახებ დებულებები დგინდება კანონით. ტახტის ვაკანსიისა და მემკვიდრეების არარსებობის შემთხვევაში ფოლკეტინგი ირჩევს მეფეს და ადგენს ტახტის მემკვიდრეობის მომავალ წესებს.

§10. (1) მეფის ცივილური ლისტი დგინდება კანონით მეფობის მთელი დროის განმავლობაში. აღნიშნული კანონი განსაზღვრავს ასევე მეფის განკარგულებაში გადასაცემი ციხე-დარბაზების, სასახლეებისა და სახელმწიფოს სხვა საკუთრების ნუსხას.

(2) ცივილური ლისტი არ შეიძლება დატვირთულ იქნეს ვალით.

§11. სამეფო სახლის წევრები კანონით დადგენილი წესით იღებენ სარჩოს. ამგვარი სარჩოთი სარგებლობა სამეფოს საზღვრებს გარეთ დაუშვებელია, თუ ფოლკეტინგის მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

ნაწილი III

§12. მეფე სამეფოს ყველა საკითხზე ამ კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში აღჭურვილია უზენაესი ხელისუფლებით და მას ახორციელებს მინისტრების მეშვეობით.

§13. მეფე არ აგებს პასუხს თავის მოქმედებებზე; მისი პიროვნება ხელშეუხებელია. მმართველობაზე პასუხისმგებელნი არიან მინისტრები; მათი პასუხისმგებლობა განისაზღვრება კანონით.

§14. მეფე ნიშნავს და ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრსა და სხვა მინისტრებს. ის წყვეტს მინისტრთა საერთო რაოდენობისა და მათ შორის მმართველობითი ფუნქციების განაწილების საკითხებს. კანონმდებლობისა და მმართველობის თაობაზე მეფის მიერ რეზოლუციების ხელმოწერა ძალას ანიჭებს ამ რეზოლუციებს, თუ მეფის ხელმოწერას თან ახლავს ერთი ან რამდენიმე მინისტრის ხელმოწერა. ამგვარ რეზოლუციაზე პასუხისმგებლობას ატარებს მასზე ხელმომწერი მინისტრი.

§15. (1) მინისტრი უნდა გადადგეს თანამდებობიდან, თუ ფოლკეტინგი მას უნდობლობას გამოუცხადებს.

(2) თუ ფოლკეტინგი უნდობლობას გამოუცხადებს პრემიერ-მინისტრს, ეს უკანასკნელი მიმართავს თხოვნით მთავრობის გადადგომის შესახებ, იმ პირობით, რომ არ დაინიშნოს ფოლკეტინგის ახალი არჩევნები. თუ მთავრობის მიმართ მიღებულ იქნება უნდობლობის ვოტუმი ან თუ იგი თვითონ მიმართავს თხოვნით გადადგომის შესახებ, მთავრობა კვლავ აგრძელებს უფლებამოსილების განხორციელებას მთავრობის ახალი შემადგენლობის ფორმირებამდე. მინისტრები, რომლებიც ზემოაღნიშნული წესით აგრძელებენ თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებას, ახორციელებენ მხოლოდ სახელმწიფო საქმეების შეუფერხებელი განხორცილებისთვის აუცილებელ მოქმედებებს.

§16. სამსახურებრივი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების გამო მინისტრები შეიძლება იმპიჩმენტის წესით იქნენ გადაყენებული თანამდებობიდან მეფის ან პარლამენტის მიერ. სამსახურებრივი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შესახებ მინისტრების იმპიჩმენტის თაობაზე საქმეებს განიხილავს სამეფოს მაღალი სასამართლო.

§17. (1) მინისტრები — მთავრობის წევრები შეადგენენ სახელმწიფო საბჭოს, რომლის შემადგენლობაშიც სრულწლოვანების მიღწევიდან შედის ტახტის მემკვიდრეც. საბჭოს თავმჯდომარეობს მეფე, გარდა მე-8 მუხლში გათვალისწინებული და იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც საკანონმდებლო ორგანო სამეფო ხელისუფლების განხორციელებას მე-9 მუხლით დადგენილი წესით გადასცემს სახელმწიფო საბჭოს.

(2) ყველა კანონპროექტი და მნიშვნელოვანი სამთავრობო აქტი განიხილება სახელმწიფო საბჭოში.

§18. თუ მეფეს არ შეუძლია სახელმწიფო საბჭოს სხდომის ჩატარება, მას უფლება აქვს საკითხის განხილვა დაავალოს მინისტრთა საბჭოს. მინისტრთა საბჭო შედგება ყველა მინისტრისგან და მას მეთაურობს პრემიერ-მი-

ნისტრი. ყველა მინისტრის ხმა შეიტანება სხდომის ოქმში და ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. დამსწრე მინისტრების მიერ ხელმოწერილ სხდომის ოქმს პრემიერ-მინისტრი გადასცემს მეფეს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მინისტრთა საბჭოს რეკომენდაციებისათვის დაუყოვნებლივ დათანხმების ან ამ საკითხის სახელმწიფო საბჭოსთვის განსახილველად გადაცემის შესახებ.

§19. (1) მეფე საერთაშორისო ურთიერთობებში მოქმედებს სახელმწიფოს სახელით, მაგრამ ფოლკეტინგის თანხმობის გარეშე მას არ შეუძლია ხელი მოაწეროს აქტებს, რომლებიც გამოიწვევს სახელმწიფოს ტერიტორიის გაზრდას ან შემცირებას, ასევე არ შეუძლია იკისროს ვალდებულება, რომლის განსახორციელებლად აუცილებელია ფოლკეტინგის თანხმობა ან რომელიც განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა; მეფეს უფლება არა აქვს ფოლკეტინგის თანხმობის გარეშე მოახდინოს ფოლკეტინგის თანხმობით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულების დენონსირება.

(2) მეფეს ფოლკეტინგის თანხმობის გარეშე არ შეუძლია სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ შეიარაღებული ძალების გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სამეფოზე ან დანიის შეიარაღებულ ძალებზე შეიარაღებული თავდასხმის შედეგად თავდაცვის მიზნით. ამ პუნქტში აღნიშნულ შემთხვევებში მეფის მიერ მიღებული აქტები დაუყოვნებლივ წარედგინება განსახილველად ფოლკეტინგს. თუ ფოლკეტინგი ამ დროისთვის არ არის შეკრებილი, იგი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მოწვეული.

(3) ფოლკეტინგი თავისი შემადგენლობიდან ქმნის საგარეო საქმეთა კომიტეტს, რომელთანაც მთავრობამ უნდა აწარმოოს კონსულტაციები საგარეო პოლიტიკის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე. საგარეო საქმეთა კომიტეტის შესახებ დებულებები დგინდება კანონით.

§20. (1) სამეფოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის ამ კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებები, კანონით დადგენილ ფარგლებში, საერთაშორისო მართლწესრიგისა და თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, შეიძლება გადაეცეს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შექმნილ საერთაშორისო ორგანიზაციებს.

(2) ზემოაღნიშნული საკითხის შესახებ კანონპროექტის მისაღებად საჭიროა ფოლკეტინგის წევრთა საერთო რაოდენობის ხუთი მეექვსედის თანხმობა. თუ კანონპროექტმა ვერ მიიღო ხმათა აღნიშნული უმრავლესობა, მაგრამ მხოლოდ ჩვეულებრივი კანონპროექტის მისაღებად საჭირო ხმათა უმრავლესობა შეგროვდა ან თუ მას მხარს უჭერს მთავრობა, კანონპროექტი 42-ე

მუხლით დადგენილი წესით დასამტკიცებლად ან უარსაყოფად რეფერენდუმის გზით წარედგინება ამომრჩევლებს.

§21. მეფეს უფლება აქვს კანონპროექტები და სხვა აქტების პროექტები განსახილველად წარუდგინოს ფოლკეტინგს.

§22. პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი კანონი ხდება, თუ ის მისი საბოლოო მიღებიდან არა უგვიანეს ოცდაათი დღის ვადაში მიიღებს სამეფო დამტკიცებას. მეფე კანონის პრომულგაციის შესახებ იძლევა განკარგულებას და მეთვალყურეობს აღნიშნული აქტის შესრულებას.

§23. მეფეს, განსაკუთრებული აუცილებლობის პირობებში, როდესაც ფოლკეტინგს არ შეუძლია შეკრება, უფლება აქვს გამოსცეს დროებითი კანონები იმ პირობით, რომ ისინი არ ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას, რაც ფოლკეტინგს მისი შეკრებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად ან უარსაყოფად.

§24. მეფეს აქვს შეწყალებისა და ამნისტიის უფლება. სამეფოს მაღალი სასამართლოს მიერ მსჯავრდებული მინისტრების შეწყალება მეფეს შეუძლია მხოლოდ ფოლკეტინგის თანხმობით.

§25. მეფეს უფლება აქვს უშუალოდ ან შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით მიანიჭოს ისეთი პრივილეგიები ან დაადგინოს გამონაკლისები იმ კანონთა გამოყენების სფეროდან, რომლებიც შეესაბამება 1849 წლის 5 ივნისამდე მოქმედ დებულებებს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ მიღებულ კანონებს.

§26. მეფეს უფლება აქვს კანონის შესაბამისად მოჭრას ფული.

§27. (1) სახელმწიფო მოსამსახურეთა დანიშვნის განმსაზღვრელი წესები დგინდება კანონით. არც ერთი პირი არ შეიძლება დაინიშნოს სახელმწიფო მოსამსახურედ, თუ ის არ არის დანიის ქვეშევრდომი. მეფის მიერ თანამდებობაზე დანიშნული სახელმწიფო მოსამსახურეები დებენ საზეიმო ფიცს, რაც მათ კონსტიტუციის დაცვას ავალდებულებს.

(2) სახელმწიფო მოსამსახურეთა თანამდებობიდან გათავისუფლების, სხვა თანამდებობაზე გადაყვანისა და საპენსიო უზრუნველყოფის წესები დგინდება კანონით, 64-ე მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით.

(3) მეფის მიერ დანიშნული სახელმწიფო მოსამსახურეები მათი თანხმობის გარეშე სხვა თანამდებობაზე შეიძლება გადაყვანილ იქნენ, თუ ამით და-

კავებული თანამდებობის მიხედვით არ მცირდება მათი გასამრჯელო და თუ მათ ზოგადი წესების თანახმად ეძლევათ არჩევანი სამსახურის გამოცვლასა და პენსიაზე გასვლას შორის.

ნაწილი IV

§28. ფოლკეტინგი შედგება ერთი პალატისგან, რომლის შემადგენლობაშია არა უმეტეს ას სამოცდაცხრამეტი წევრი, რომელთაგან ორი წევრი აირჩევა ფარერის კუნძულებიდან, ხოლო ორი — გრენლანდიიდან.

§29. (1) ფოლკეტინგში არჩევის უფლება აქვს მე-2 პუნქტში განსაზღვრულ საარჩევნო ასაკს მიღწეულ დანიის ქვეშევრდომობის ქვეშ მყოფ თითოეულ ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელსაც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი გააჩნია სამეფოში. კანონი ადგენს სისხლის სამართლის სასჯელისა და სიღარიბის მიხედვით სოციალური შემწეობის რა შემთხვევები შეიძლება იქნეს მიჩნეული საარჩევნო უფლების ჩამორთმევის კანონიერ საფუძვლად.

(2) ასაკობრივი საარჩევნო ცენზი დგინდება იმგვარად, რაც განისაზღვრა რეფერენდუმის საფუძველზე მიღებული 1953 წლის 25 მარტის კანონით. ასაკობრივი საარჩევნო ცენზი ყოველთვის შეიძლება შეიცვალოს კანონით. ამ საკითხთან დაკავშირებით ფოლკეტინგის მიერ მიღებული კანონი სამეფო დამტკიცებას იღებს იმ შემთხვევაში, თუ ასაკობრივი ცენზის შეცვლა დამტკიცებულია 42-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული რეფერენდუმის წესით.

§30. (1) ფოლკეტინგში შეიძლება არჩეულ იქნეს ნებისმიერი პირი, რომელიც ფლობს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, თუ ის არ იყო გასამართლებული ისეთი ქმედებისთვის, რომელსაც საზოგადოებრიობა ფოლკეტინგის წევრად არჩევისთვის შეუთავსებლად მიიჩნევს.

(2) ფოლკეტინგის შემადგენლობაში არჩეული სახელმწიფო მოსამსახურეები დეპუტატები ხდებიან მთავრობის თანხმობის მიუხედავად.

§31. (1) ფოლკეტინგის წევრები აირჩევიან საყოველთაო და პირდაპირი არჩევნების მეშვეობით.

(2) საარჩევნო უფლების განხორციელების წესები დგინდება არჩევნების შესახებ კანონით, რომელიც ითვალისწინებს არჩევნების ჩატარების ისეთ წესს, რომელიც უზრუნველყოფს ამომრჩეველთა სხვადასხვა ფენების თანასწორ წარმომადგენლობას და წყვეტს საკითხს საარჩევნო სამართლის პროპორციული სისტემის შემოღების მიზანშეწონილობის თაობაზე, ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში არჩევნების ჩატარებით.

(3) თითოეული რეგიონიდან დეპუტატთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრისას აუცილებელია მცხოვრებთა რაოდენობის, ამომრჩეველთა რაოდენობისა და მოსახლეობის სიმჭიდროვის გათვალისწინება.

(4) არჩევნების შესახებ კანონი ითვალისწინებს დეპუტატთა ვაკანტურ ადგილებზე დამატებითი არჩევნების, აგრეთვე, სადაც აუცილებელია, ახალი არჩევნების ჩატარების წესებს.

(5) კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ფოლკეტინგში გრენლანდიის წარმომადგენლობის შესახებ განსაკუთრებული წესები.

§32. (1) ფოლკეტინგის დეპუტატები აირჩევიან ოთხი წლის ვადით.

(2) მეფეს ნებისმიერ დროს შეუძლია გამოსცეს ბრძანებულება ახალი არჩევნების ჩატარების შესახებ, რომლის შედეგადაც ყალიბდება ფოლკეტინგის ახალი შემადგენლობა. ახალი არჩევნების ჩატარების შესახებ ბრძანებულება არ შეიძლება გამოცემულ იქნეს ახალი მთავრობის ფორმირების შემდეგ პრემიერ-მინისტრის ფოლკეტინგისთვის წარდგენამდე.

(3) პრემიერ-მინისტრი წყვეტს ფოლკეტინგში ვადამდელი არჩევნების ჩატარების საკითხს.

(4) არც ერთ დეპუტატს არ შეუძლია დატოვოს თავისი ადგილი ახალი არჩევნების ჩატარებამდე.

(5) კანონით შეიძლება დადგინდეს გრენლანდიისა და ფარერის კუნძულების წარმომადგენლობის განხორციელების განსაკუთრებული წესები.

(6) თუ ფოლკეტინგის დეპუტატი არ პასუხობს დადგენილ მოთხოვნებს, მისი ადგილი ვაკანტური ხდება.

(7) არჩევის ფაქტის დადგენის შემდეგ თითოეული ახალი დეპუტატი წარმოთქვამს საზეიმო ფიცს, რომელიც კონსტიტუციის დაცვას ავალდებულებს.

§33. ფოლკეტინგი დამოუკიდებლად ადგენს თითოეული დეპუტატის არჩევის ფაქტს და წყვეტს დეპუტატთა დადგენილი მოთხოვნებისადმი შესაბამისობის საკითხს.

§34. ფოლკეტინგი ხელშეუხებელია. ნებისმიერი პირი, რომელიც ხელყოფს მის უსაფრთხოებას ან თავისუფლებას, გასცემს ან შეასრულებს ფოლკეტინგის საწინააღმდეგო ბრძანებას, ითვლება სახელმწიფო ღალატის ჩადენაში ბრალდებულად.

ნაწილი V

§35. (1) ახალარჩეული ფოლკეტინგი მოიწვევა არჩევნების ჩატარებიდან თორმეტ დღეში დღის თორმეტ საათზე, თუ მეფემ მითითებულ ვადაზე ადრე არ მოიწვია ფოლკეტინგის სხდომა.

(2) დეპუტატთა მანდატების დამტკიცების შემდეგ ფოლკეტინგი დაუყოვნებლივ ატარებს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილეების არჩევნებს.

§36. (1) ფოლკეტინგის სესია იწყება ოქტომბრის პირველ სამშაბათს და გრძელდება შემდეგი წლის ოქტომბრის პირველ სამშაბათამდე.

(2) ფოლკეტინგის ყოველი ახალი სესიის პირველი დღე იწყება დღის თორმეტ საათზე.

§37. ფოლკეტინგი იკრიბება მთავრობის ადგილსამყოფელ ადგილას. საგანგებო მდგომარეობის პირობებში ფოლკეტინგის სხდომები შეიძლება ჩატარდეს სამეფოს ნებისმიერ სხვა ადგილას.

§38. (1) ფოლკეტინგის პირველ სხდომაზე პრემიერ-მინისტრი წარმოადგენს ანგარიშს სახელმწიფოს საქმეების საერთო მდგომარეობისა და მთავრობისათვის შეთავაზებული ზომების შესახებ.

(2) მითითებული ანგარიში წარმოადგენს ფოლკეტინგში ზოგადი დებატების საფუძველს.

§39. ფოლკეტინგის თავმჯდომარე იწვევს ფოლკეტინგის სხდომებს, ადგენს რა მისი სხდომების დღის წესრიგს. თავმჯდომარე, დეპუტატთა არანაკლებ ორი მეხუთედის ან პრემიერ-მინისტრის მოთხოვნით, იწვევს ფოლკეტინგის საგანგებო სხდომას, ადგენს რა ფოლკეტინგის სხდომის დღის წესრიგს.

§40. მინისტრებს თანამდებობრივად აქვთ უფლება დაესწრონ ფოლკეტინგის სხდომებს და ფოლკეტინგის რეგლამენტის დაცვის პირობით, დებატების დროს მიმართონ ფოლკეტინგს ისე ხშირად, რამდენადაც ეს აუცილებელია. მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფოლკეტინგის დეპუტატები არიან.

§41. (1) ფოლკეტინგის ყოველ დეპუტატს აქვს კანონპროექტებისა და სხვა აქტების პროექტების ფოლკეტინგში შეტანის უფლება.

(2) არც ერთი კანონპროექტი არ შეიძლება მიღებულ იქნეს, თუ სამჯერ არ იქნება ფოლკეტინგში განხილული.

(3) ფოლკეტინგის დეპუტატთა რაოდენობის ორ მესამედს უფლება აქვს მიმართოს ფოლკეტინგის თავმჯდომარეს კანონპროექტის მესამე მოსმენით ჩატარების მოთხოვნით, მეორე მოსმენიდან არანაკლებ თორმეტ სამუშაო დღეში. მითითებული მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით, მისი წარმომდგენი დეპუტატების ხელმოწერებით. მესამე მოსმენის ვადის გადადება დაუშვებელია საფინანსო, დამატებით ასიგნებათა, დროებით ასიგნებათა, სახელმწიფო სესხის, ნატურალიზაციის, ექსპროპრიაციის, არაპირდაპირი დაბეგვრისა და საგანგებო მდგომარეობის შესახებ კანონპროექტებთან, აგრეთვე სხვა იმ კანონპროექტებთან მიმართებაში, რომელთა მიღების ვადა, მათი მიღების შესაბამისი მიზნებიდან გამომდინარე, არ შეიძლება გაგრძელდეს.

(4) ახალი არჩევნებისა და საპარლამენტო წლის დასრულების შემთხვევაში ჯერ კიდევ მიუღებელი ყველა კანონპროექტი და სხვა ღონისძიებები იხსნება.

§42. (1) თუ კანონპროექტი მიღებულ იქნა ფოლკეტინგის მიერ, დეპუტატთა ერთ მესამედს კანონპროექტის მიღებიდან არა უმეტეს სამი სამუშაო დღის ვადაში შეუძლია მიმართოს ფოლკეტინგის თავმჯდომარეს კანონპროექტის რეფერენდუმზე დაყენების მოთხოვნით. მითითებული მოთხოვნა წარმოდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით, მისი წარმომდგენი დეპუტატების ხელმოწერებით.

(2) მე-7 პუნქტში მოხსენიებულ გამონაკლის შემთხვევებში, არც ერთმა კანონპროექტმა, რომელიც შეიძლება გამოტანილ იქნეს რეფერენდუმზე, გარდა მე-6 პუნქტში მითითებული კანონპროექტებისა, პირველ პუნქტში გათვალისწინებული ვადის გასვლამდე ან კანონპროექტის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებამდე არ შეიძლება მიიღოს სამეფო დამტკიცება.

(3) თუ კანონპროექტის შესახებ რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე წამოყენებულია მოთხოვნა, ფოლკეტინგს შეუძლია გამოიწვიოს კანონპროექტი მისი მიღებიდან არა უგვიანეს ხუთ დღეში.

(4) თუ ფოლკეტინგი არ მიიღებს მე-3 პუნქტში გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს, ის დაუყოვნებლივ აცნობებს პრემიერ-მინისტრს იმის შესახებ, რომ კანონპროექტის შესახებ უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი და პრემიერ-მინისტრი გამოსცემს დადგენილებას კანონპროექტის გამოქვეყნებისა და რეფერენდუმის ჩატარების შესახებ. პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილების შესაბამისად რეფერენდუმი ტარდება კანონპროექტის გამოქვეყნებიდან არანაკლებ თორმეტი და არა უგვიანეს თვრამეტი სამუშაო დღის ვადაში.

(5) რეფერენდუმზე ხმას აძლევენ კანონპროექტს ან მის წინააღმდეგ. კანონპროექტის უარყოფა ხდება კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ ხმის უფლების მქონე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ოცდაათი პროცენტისა.

(6) საფინანსო, დამატებით ასიგნებათა, დროებით ასიგნებათა, სახელმწიფო სამსახურის (კანონში შესწორებები), ხელფასისა და პენსიის, ნატურალიზაციის, ექსპროპრიაციის, საგადასახადო დაბეგვრის (პირდაპირი და არაპირდაპირი) კანონპროექტები, აგრეთვე კანონპროექტები, რომელთა მიზანია არსებული საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების შეცვლა, არ შეიძლება იყოს რეფერენდუმის საგანი. მოცემული დებულებები ეხება ასევე მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 მუხლებში მოხსენიებულ კანონპროექტებს, აგრეთვე მე-19 მუხლში მითითებულ და კანონით მიღებულ აქტებს, თუ თვით ამ აქტებში არ არის გათვალისწინებული მათი გატანა რეფერენდუმზე. კონსტიტუციური შესწორებების რეფერენდუმზე გატანის წესი განისაზღვრება 88-ე მუხლის დებულებებით.

(7) საგანგებო მდგომარეობის დროს კანონპროექტმა, რომელიც სხვა პირობებში გაიტანება რეფერენდუმზე, შეიძლება დაუყოვნებლივ მიიღოს სამეფო დამტკიცება, თუ თვით კანონპროექტი შეიცავს ამის შესახებ დებულებებს. იმ შემთხვევებში, როდესაც პირველი პუნქტის შესაბამისად ფოლკეტინგის დეპუტატთა ერთი მესამედი მოითხოვს რეფერენდუმის ჩატარებას იმ კანონპროექტზე ან კანონზე, რომელმაც მიიღო სამეფო დამტკიცება, რეფერენდუმი ტარდება ზემოთ მითითებული წესით. თუ კანონი უარყოფილ იქნება რეფერენდუმზე, ამის შესახებ ოფიციალურ განცხადებას, რეფერენდუმის ჩატარებიდან არა უგვიანეს თოთხმეტ დღეში დაუსაბუთებელი დაყოვნების გარეშე აკეთებს პრემიერ-მინისტრი. ასეთი კანონი ძალას კარგავს ოფიციალური განცხადების დღიდან.

(8) რეფერენდუმის ჩატარების წესები, რომლებიც შეიცავს გრენლანდიასა და ფარერის კუნძულებზე რეფერენდუმის ჩატარების შესახებ დებულებებს, დგინდება კანონით.

§43. არავითარი გადასახადები არ შეიძლება დადგენილ, შეცვლილ ან გაუქმებულ იქნეს, თუ არა კანონით. არც ერთი პირი არ შეიძლება გაწვეულ იქნეს სამხედრო სამსახურში და არც ერთი სახელმწიფო სესხი არ შეიძლება დადგენილ იქნეს, თუ არა კანონით.

§44. (1) არც ერთი უცხოელი არ შეიძლება იქნეს ნატურალიზებული, თუ არა კანონით.

(2) უცხოელების მიერ უძრავი ქონების შეძენის უფლების შეზღუდვა დგინდება კანონით.

§45. (1) შემდგომი საბიუჯეტო წლის ფინანსური კანონპროექტი ფოლკეტინგში შეიტანება აღნიშნული საბიუჯეტო წლის დაწყებამდე არა უგვიანეს ოთხი თვისა.

(2) თუ ივარაუდება, რომ შემდგომი საბიუჯეტო წლის ფინანსური კანონპროექტის მიღება საბიუჯეტო წლის დასაწყისისთვის არ იქნება დამთავრებული, ფოლკეტინგში შეიტანება კანონპროექტები დროებით ასიგნებათა შესახებ.

§46. (1) გადასახადები არ შეიძლება ამოღებულ იქნეს ფოლკეტინგის მიერ ფინანსური კანონის ან დროებით ასიგნებათა შესახებ კანონის მიღებამდე.

(2) არავითარი ხარჯები არ შეიძლება იქნეს გადახდილი, თუ არ არის გათვალისწინებული ფოლკეტინგის მიერ მიღებულ ფინანსურ კანონში, ფოლკეტინგის მიერ მიღებულ დამატებით ასიგნებათა შესახებ კანონში ან დროებით ასიგნებათა შესახებ კანონში.

§47. (1) სახელმწიფო სახსრების ხარჯვის შესახებ ანგარიშები გადაეცემა ფოლკეტინგს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს ექვსი თვისა.

(2) ფოლკეტინგი ირჩევს აუდიტორებს. აღნიშნული აუდიტორები ამოწმებენ სახელმწიფო სახსრების ხარჯვის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშებს, თვალყურს ადევნებენ ყველა საბიუჯეტო შემოსავლის სახელმწიფო ხაზინაში მოხვედრას და ხარჯების წარმოებას მხოლოდ საბიუჯეტო კანონის ან ასიგნებათა შესახებ სხვა კანონის შესაბამისად. აუდიტორებს აქვთ ნებისმიერი აუცილებელი ინფორმაციის მოთხოვნისა და ყველა აუცილებელ დოკუმენტზე ხელმისაწვდომობის უფლება. კანონი განსაზღვრავს აუდიტორთა საერთო რაოდენობასა და მათზე დაკისრებულ მოვალეობებს.

(3) სახელმწიფო სახსრების ხარჯვის შესახებ ანგარიშები ფოლკეტინგს განსახილველად წარედგინება აუდიტორების ანგარიშებთან ერთად.

§48. ფოლკეტინგი ადგენს საკუთარ რეგლამენტს, რომელიც შეიცავს ფოლკეტინგში საქმეთა წარმოებისა და წესრიგის დაცვის შესახებ დებულებებს.

§49. ფოლკეტინგის სხდომები ღიაა. თავმჯდომარის, რეგლამენტით დადგენილ დეპუტატთა რაოდენობით, აგრეთვე მინისტრის მოთხოვნით უცხო პირები შეიძლება გაყვანილ იქნენ ფოლკეტინგის სხდომათა დარბაზიდან, რის შემდეგაც განხილვის გარეშე მიიღება გადაწყვეტილება საკითხის განხილვის შესახებ ღია ან დახურულ სხდომაზე.

§50. გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია სხდომებსა და კენჭისყრაში ფოლკეტინგის წევრთა არანაკლებ ნახევრის მონაწილეობა.

§51. ფოლკეტინგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების გამოსაძიებლად დეპუტატთაგან ქმნის კომიტეტებს. აღნიშნულ კომიტეტებს აქვთ წერილობითი ან ზეპირი ინფორმაციის როგორც მოქალაქეებისგან, ისე სახელმწიფო ორგანოებისგან გამოთხოვის უფლება.

§52. კომიტეტების შემადგენლობისა და სხვა თანამდებობებზე ფოლკეტინგის დეპუტატთა არჩევა ხორციელდება პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის შესაბამისად.

§53. ფოლკეტინგის თანხმობით თითოეულ დეპუტატს უფლება აქვს ფოლკეტინგის განსახილველად გამოიტანოს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე ნებისმიერი საკითხი და ამ საკითხებზე მოითხოვოს მინისტრთა ახსნა-განმარტებები.

§54. პეტიციები შეიძლება წარედგინოს ფოლკეტინგს მხოლოდ ფოლკეტინგის დეპუტატთა მეშვეობით.

§55. სახელმწიფოს სამოქალაქო და სამხედრო ადმინისტრაციის კონტროლისთვის, კანონი ადგენს ფოლკეტინგის მიერ იმ ერთი ან ორი პირის დანიშვნას, რომლებიც არ არიან დეპუტატები.

§56. ფოლკეტინგის დეპუტატები თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობენ მხოლოდ საკუთარი რწმენით და არა თავის ამომრჩეველთა რაიმე მითითებებით.

§57. ფოლკეტინგის დეპუტატის რაიმე ფორმით დევნა ან დაპატიმრება დაუშვებელია ფოლკეტინგის თანხმობის გარეშე, თუ ის არ იქნა დაკავებული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე. ფოლკეტინგის კედლებში ფოლკეტინგში გამოსვლისათვის არც ერთი დეპუტატი არ შეიძლება იქნეს მიცემული პასუხისგებაში ფოლკეტინგის თანხმობის გარეშე.

§58. ფოლკეტინგის დეპუტატები იღებენ გასამრჯელოს არჩევნების შესახებ კანონით დადგენილი ოდენობით.

ნაწილი VI

§59. (1) სამეფოს მაღალი სასამართლო შედგება სამეფოს უზენაესი სასამართლოს თანამდებობრივად არა უმეტეს 15 უხუცესი მოსამართლისგან და ფოლკეტინგის მიერ პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის შესაბამისად ექვსი წლის ვადით არჩეული იმავე რაოდენობის მოსამართლეებისგან. ფოლკეტინგის არც ერთი დეპუტატი არ შეიძლება არჩეულ იქნეს სამეფოს მაღალი სასამართლოს მოსამართლედ და ფოლკეტინგის არც ერთ დეპუტატს არ შეუძლია შეასრულოს სამეფოს მაღალი სასამართლოს მოსამართლის ფუნქციები. თუ სამეფოს უზენაესი სასამართლოს წევრთაგან რომელიმეს არ შეუძლია მონაწილეობის მიღება სასამართლოს რაიმე საქმის განხილვაში, საქმის განხილვაში მონაწილეობისაგან ჩამოცილებულ იქნება ფოლკეტინგის მიერ არჩეულ მოსამართლეთა იგივე რაოდენობა.

(2) სამეფოს მაღალი სასამართლო თავის მოსამართლეთა შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს.

(3) თუ სამეფოს მაღალ სასამართლოში განსახილველად შეტანილია რაიმე საქმე, ფოლკეტინგის მიერ არჩეული მოსამართლეები ინარჩუნებენ თავიანთ თანამდებობებს სამეფოს მაღალ სასამართლოში საქმის განხილვის იმ ვადის გასვლის ვადით, რა ვადითაც ისინი არჩეულ იქნენ ფოლკეტინგის მიერ.

(4) სამეფოს მაღალ სასამართლოში საქმეთა განხილვის წესი დგინდება კანონით.

§60. (1) სამეფოს მაღალი სასამართლო მეფის ან ფოლკეტინგის ინიციატივით განიხილავს მინისტრთა წინააღმდეგ საქმეებს.

(2) ფოლკეტინგის თანხმობითა და მეფის ინიციატივით სამეფოს მაღალ სასამართლოს შეუძლია განიხილოს საქმე სხვა პირთა დანაშაულში ბრალდების შესახებ, თუ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულები მეფის აზრით სახელმწიფოსთვის განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენენ.

§61. მართლმსაჯულება ხორციელდება მხოლოდ კანონის საფუძველზე. დაუშვებელია მართლმსაჯულების განსახორციელებლად საგანგებო სასამართლოების შექმნა.

§62. მართლმსაჯულება ხორციელდება აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად. ამ საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი გარანტიები დგინდება კანონით.

§63. (1) მართლმსაჯულების განმახორციელებელ სასამართლოებს უფლება აქვთ განიხილონ ნებისმიერი საკითხი, რომელიც ეხება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილების მოცულობას. პირს, რომელიც სადავოდ ხდის ასეთ უფლებამოსილებას და შეიტანს რა სასამართლოში შესაბამის სარჩელს, უფლება არა აქვს თავი აარიდოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების განკარგულებების შესრულებას, სანამ სასამართლო ამ საკითხზე არ გამოიტანს გადაწყვეტილებას.

(2) აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილების მოცულობის შესახებ საკითხები შეიძლება კანონით გადაეცეს ერთი ან მეტი რაოდენობის ადმინისტრაციული სასამართლოების იურისდიქციაში. ადმინისტრაციული სასამართლოების გადაწყვეტილებებზე აპელაცია შეიძლება შეტანილ იქნეს სამეფოს უმაღლეს სასამართლოში. აღნიშნულ საკითხთა განხილვის პროცედურა დგინდება კანონით.

§64. თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას მოსამართლეები ხელმძღვანელობენ მხოლოდ კანონით. მოსამართლეები არ შეიძლება გადაყენებულ იქნენ თანამდებობიდან გამამტყუნებელი განაჩენის გარეშე. ისინი არ შეიძლება გადაყვანილ იქნენ სხვა თანამდებობებზე მათი თანხმობის გარეშე, გარდა სასამართლო ორგანოების რეორგანიზაციის გამონაკლისი შემთხვევებისა. აღნიშნულ შემთხვევებში სამოცდახუთი წლის ასაკს მიღწეული მოსამართლეები თანამდებობაზე ყოფნის ზღვრული ასაკის მიღწევამდე შეიძლება გადაყენებულ იქნენ თანამდებობიდან უწინდელი ხელფასის შენარჩუნებით.

§65. (1) მართლმსაჯულება უნდა განხორციელდეს შეძლებისდაგვარად ღიად და საჯაროდ.

(2) მსაჯულები მონაწილეობენ სისხლის სამართლწარმოებაში. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ქვემდებარე საქმეების განხილვაში მსაჯულთა მონაწილეობის საფუძვლები და წესი დგინდება კანონით.

ნაწილი VII

§66. ოფიციალური ეკლესიის წესდება დგინდება კანონით.

§67. მოქალაქეებს უფლება აქვთ თავიანთი მრწამსის შესაბამისად კულტისათვის მისამართად დააფუძნონ რელიგიური გაერთიანებები იმ პირობით, რომ სარწმუნოებრივი სწავლება და საქციელი არ დაარღვევს მორალის ნორმებსა და საზოგადოებრივ წესრიგს.

§68. არავინ არ არის ვალდებული, შეიტანოს კერძო შესაწირი რომელიმე სხვა ეკლესიაში, გარდა იმ ეკლესიისა, რომელსაც ის ეკუთვნის.

§69. იმ რელიგიური გაერთიანებების შესახებ წესები, რომლებიც არ შედის ოფიციალური ეკლესიის შემადგენლობაში, დგინდება კანონით.

§70. არავის არ შეიძლება ეთქვას უარი მრწამსის ან წარმომავლობის საფუძველზე მისი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების სრული მოცულობით ფლობაზე და არავის არ შეუძლია აღნიშნული მიზეზებით თავი აარიდოს საყოველთაოდ აღიარებული რაიმე სამოქალაქო ვალდებულებების დაცვას.

ნაწილი VIII

§71. (1) პიროვნების თავისუფლება ხელშეუხებელია. დანიის არც ერთ ქვეშევრდომს, მისი პოლიტიკური და რელიგიური მრწამსის, აგრეთვე წარმოშობის საფუძველზე, არ შეიძლება რაიმე სახით აღეკვეთოს თავისუფლება.

(2) პიროვნებას შეიძლება თავისუფლება აღეკვეთოს მხოლოდ კანონის საფუძველზე.

(3) ნებისმიერი დაკავებული პირი ოცდაოთხი საათის განმავლობაში უნდა წარსდგეს მოსამართლის წინაშე. თუ დაკავებული პირის დაუყოვნებლივ გათავისუფლება შეუძლებელია, მოსამართლემ სასამართლოს ბრძანებაში უნდა გააკეთოს მოტივირებული დასკვნა, რომელიც მიღებულ უნდა იქნეს რაც შეიძლება სწრაფად, მაგრამ არა უგვიანეს სამი დღისა, იმის თაობაზე, რომ პირი ექვემდებარება დაპატიმრებას ან პატიმრობისგან გირაოთი გათავისუფლებას სასამართლო ბრძანებით დადგენილ პირობებში და ოდენობით. კანონმა შეიძლება შეზღუდოს აღნიშნული წესის გამოყენება, ამოიღოს მისი მოქმედებიდან გრენლანდიის ტერიტორია, თუ ასეთი ამოღება გამომდინარეობს ადგილობრივი გარემოებების აუცილებლობიდან.

(4) სასამართლოს გადაწყვეტილება ბრალდებულმა შეიძლება სადავო გახადოს ზემდგომ სასამართლოში აპელაციის მეშვეობით.

(5) არც ერთი პირი არ შეიძლება დაპატიმრებულ იქნეს იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც ინიშნება სასჯელი ჯარიმის სახით ან პირობითი პატიმრობა.

(6) გარდა სისხლის სამართლის საქმეებისა, არასასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებით გამოტანილი თავისუფლების აღკვეთის კანონიერება, აგრეთვე უცხოელების თავისუფლების აღკვეთა, კანონით დადგენილი წესით, თავისუფლებააღკვეთილი პირის ან მისი წარმომადგენლის შუამდგომლობის

საფუძველზე შეიძლება განხილულ იქნეს საერთო იურისდიქციის სასამართლოს ან სხვა სასამართლოს მიერ. აღნიშნული პროცედურა დგინდება კანონით.

(7) მე-6 პუნქტში აღნიშნულ პირს შეუძლია დასაცავად მიმართოს ფოლკეტინგის მიერ ამ მიზნით არჩეულ ფოლკეტინგის უფლებამოსილს.

§72. საცხოვრებელი ადგილი ხელშეუხებელია. საცხოვრებელი ადგილის ჩხრეკას, წერილებისა და სხვა დოკუმენტების დაყადაღებასა და პერლიუსტრაციას, ისევე როგორც საფოსტო და სატელეგრაფო გზავნილებისა და სატელეფონო საუბრების საიდუმლოების დარღვევას, შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ სასამართლოს ბრძანების შესაბამისად, თუ აღნიშნული წესიდან კანონით გამონაკლისი არ არის დადგენილი.

§73. (1) საკუთრების უფლება ხელშეუხებელია. არავინ არ შეიძლება იძულებულ იქნეს უარი თქვას თავის საკუთრებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას მოითხოვს საზოგადოებრივი აუცილებლობა. საზოგადოებრივი აუცილებლობის მიზეზით საკუთრების ჩამორთმევა დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილი წესით, მესაკუთრისათვის სრული კომპენსაციის პირობით.

(2) თუ მიიღება საკუთრების ექსპროპრიაციის შესახებ კანონპროექტი, ფოლკეტინგის დეპუტატთა ერთ მესამედს შეუძლია კანონპროექტის მიღებიდან არა უგვიანეს სამ კვირაში მიმართოს მოთხოვნით, არ გადაეცეს კანონპროექტი მეფეს ფოლკეტინგის ახალი არჩევნების ჩატარებამდე და კანონპროექტის განმეორებით მიღებამდე.

(3) ნებისმიერი საკითხი, რომელიც ექსპროპრიაციის კანონიერებასა და მესაკუთრისათვის კომპენსაციის ოდენობას ეხება, შეიძლება სადავო გახდეს სასამართლოში. მესაკუთრისათვის კომპენსაციის ოდენობის საკითხზე საქმის მოსმენა შეიძლება კანონის შესაბამისად გადაეცეს სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ სასამართლო ორგანოებს.

§74. სამეწარმეო საქმიანობისადმი თავისუფალი და თანასწორი ხელმისაწვდომობის ნებისმიერი შეზღუდვა, თუ ის არ ემსახურება საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიზნებს, სახელმწიფოს მიერ უნდა აღმოიფხვრას.

§75. (1) საზოგადოებრივი კეთილდღეობის ხელის შეწყობის მიზნით, სახელმწიფომ ყველა ღონეს უნდა მიმართოს, რათა თითოეულ შრომისუნარიან მოქალაქეს მიეცეს სამუშაო მისი არსებობის უზრუნველმყოფ პირობებში.

(2) ყოველ პირს, რომელსაც არ აქვს თავისი თავისა და მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენის უნარი, იმ პირობებში, როდესაც არც ერთი სხვა პი-

რი პასუხს არ აგებს მის რჩენაზე, აქვს სოციალური დახმარების უფლება, რომელიც მიეცემა, თუ დაცულ იქნება ამ საკითხის შესახებ კანონით დადგენილი მოთხოვნები.

§76. ყველა სასკოლო ასაკის ბავშვს აქვს უფასო დაწყებითი განათლების მიღების უფლება. მშობლები ან მეურვეები, რომლებიც დამოუკიდებლად ასწავლიან თავის ბავშვებს ან მეურვეობის ქვეშ აყვანილ ბავშვებს, საერთო დაწყებითი განათლების სტანდარტის შესაბამისად, არ შეიძლება აიძულონ საკუთარი ან მეურვეობის ქვეშ მყოფი ბავშვები გადასცენ დაწყებით სკოლებს.

§77. თითოეულ პირს აქვს თავისი აზრის ბეჭდვით, წერილობით ან ზეპირი ფორმით გამოთქმის უფლება, იმ პირობით, რომ შესაძლებელია იგი მიცემულ იქნეს პასუხისგებაში სასამართლოში. ცენზურა და სხვა გამაფრთხილებელი ზომები არ შეიძლება აღდგეს.

§78. (1) მოქალაქეებს აქვთ საზოგადოებრივი გაერთიანებების ნებისმიერი კანონიერი მიზნით, წინასწარი გაფრთხილების გარეშე შექმნის უფლება.

(2) საზოგადოებრივი გაერთიანებები, რომლებიც იყენებენ ძალადობას ან ისწრაფვიან თავისი მიზნების ძალადობით მიღწევისკენ, მოუწოდებენ ძალადობისაკენ ან თავს ახვევენ სხვებს თავის შეხედულებებს ძალადობის მუქარის დახმარებით, ლიკვიდირებულ იქნება სასამართლოს გადაწყვეტილებით.

(3) არც ერთი საზოგადოებრივი გაერთიანება არ შეიძლება ლიკვიდირებულ იქნეს ხელისუფლების გადაწყვეტილებით.

(4) საზოგადოებრივი გაერთიანებების ლიკვიდაციის შესახებ საქმეები შეიძლება გამოტანილ იქნეს სამეფოს უზენაესი სასამართლოს მიერ განსახილველად, რაიმე სპეციალური ნებართვის გარეშე.

(5) საზოგადოებრივი გაერთიანებების ლიკვიდაციის სამართლებრივი შედეგები დგინდება კანონით.

§79. მოქალაქეებს აქვთ წინასწარი ნებართვის გარეშე უიარაღოდ შეკრების უფლება. პოლიციას უფლება აქვს დაესწროს საჯარო შეკრებებს. ღია ცის ქვეშ შეკრებები შეიძლება აიკრძალოს, თუ ისინი საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებისათვის.

§80. აჯანყების შემთხვევაში შეიარაღებულ ძალებს, თუ მათ არ ესხმიან თავს, შეუძლიათ გამოიყენონ ძალა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეფისა და კანონის სახელით სამჯერ წაუყენებენ დაშლის მოთხოვნას და ხალხი ამ მოთხოვნას არ დაემორჩილება.

§81. იარაღის ტარების უნარის მქონე ყოველმა მოზრდილმა მამაკაცმა პირადად უნდა შეასრულოს თავისი ქვეყნის დაცვის მოვალეობა, კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

§82. მუნიციპალიტეტების უფლება დამოუკიდებლად განახორციელონ სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ ადგილობრივი საქმეების წარმოება, დგინდება კანონით.

§83. უნდა გაუქმდეს ნებისმიერი პრივილეგია, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად დაკავშირებულია არისტოკრატულ წარმომავლობასთან, ტიტულთან და წოდებასთან.

§84. მომავალში არ დაიშვება ფეოდალური ლენური სამფლობელოების შექმნა და უძრავი და მოძრავი ქონების მხოლოდ მამაკაცთა ხაზით მემკვიდრეობის შეზღუდული წესით გამოყენება.

§85. 71-ე, 78-ე და 79-ე მუხლების დებულებები გამოიყენება შეიარაღებული ძალების მიმართ, მხოლოდ იმ ზომით, რომლითაც ისინი შეესაბამებიან სამხედრო კანონებით დადგენილ მოთხოვნებს.

ნაწილი IX

§86. ადგილობრივ არჩევნებში ამომრჩეველთა ასაკობრივი ცენზი უნდა იყოს ისეთივე, როგორც ფოლკეტინგის არჩევნებისას. ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის ასაკობრივი ცენზი გრენლანდიასა და ფარერის კუნძულებზე დგინდება კანონით ან კანონის საფუძველზე.

§87. ისლანდიის მოქალაქეები, რომლებიც დანია-ისლანდიის კავშირის ხელშეკრულების შესაბამისად დანიის მოქალაქეების თანასწორი უფლებებით სარგებლობენ, ინარჩუნებენ ამ კონსტიტუციით დადგენილ დანიის მოქალაქეობას.

ნაწილი X

§88. თუ პარლამენტი ახალი კონსტიტუციური დებულებების მიღების მიზნით მიიღებს კანონპროექტს და მთავრობა ისურვებს მის მიღებას, გამოიცემა ბრძანებულება ფოლკეტინგის წევრთა ახალი არჩევნების შესახებ. თუ კანონპროექტი მიიღება ფოლკეტინგის ახალი შემადგენლობის მიერ ცვლი-

ლებების გარეშე მიღებიდან ექვსი თვის განმავლობაში, იგი გადაეცემა რეფერენდუმზე დამტკიცების ან უარყოფისთვის. რეფერენდუმის ჩატარების წესი დგინდება კანონით. თუ კენჭისყრაში მონაწილეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ორმოცი პროცენტი, ხმას მისცემს ფოლკეტინგის მიერ მიღებული კანონპროექტის მხარდასაჭერად და კანონპროექტი მიიღებს სამეფო დამტკიცებას, იგი იქცევა ამ კონსტიტუციის განუყოფელ ნაწილად.

ნაწილი XI

§89. ეს კონსტიტუცია ძალაში შედის დაუყოვნებლივ. ამასთან, უკანასკნელი მოწვევის რიქსდაგი, რომელიც ფორმირებულია დანიის სამეფოს 1915 წლის 5 ივნისის კონსტიტუციის 1920 წლის 10 სექტემბრის შესწორებების შესაბამისად, აგრძელებს თავისი უფლებამოსილების განხორციელებას ამ კონსტიტუციის IV ნაწილის დებულებების შესაბამისად არჩევნების ჩატარებამდე. აღნიშნული არჩევნების ჩატარებამდე ძალაში რჩება რიქსდაგის უფლებამოსილებებიც, იმ ფორმით, როგორც დადგენილია დანიის სამეფოს 1915 წლის 5 ივნისის კონსტიტუციის 1920 წლის 10 სექტემბრის შესწორებებით.

კანონი „დანიის ტახტის მემკვიდრეობის შესახებ“

მიღებულია 1953 წლის 27 მარტს

მუხლი 1.

ტახტი მემკვიდრეობით გადაეცემათ მეფე ქრისტიან X-სა და დედოფალ ალექსანდრინას შთამომავლებს.

მუხლი 2.

მეფის გარდაცვალების შემდეგ ტახტი გადადის მის ვაჟიშვილზე ან ქალიშვილზე იმ პირობით, რომ ტახტზე უპირატესი უფლება აქვს ვაჟს ქალიშვილის მიმართ, ხოლო იგივე სქესის რამდენიმე ბავშვის არსებობის შემთხვევაში — ასაკით უფროს ბავშვს.

თუ მეფის რომელიმე ბავშვი გარდაიცვალა, გარდაცვლილის ბავშვები იკავებენ მის ადგილს მემკვიდრეობის ხაზით პირველ მუხლში დადგენილი წესების დაცვით.

მუხლი 3.

მეფის სიკვდილის შემთხვევაში, თუ მას არ დარჩა შვილები, რომელთაც ექნებოდათ ტახტის დაკავების უფლება, ტახტი გადადის მის ძმაზე ან დაზე იმ პირობით, რომ უპირატესი უფლება ტახტზე ეკუთვნის მეფის ძმას. თუ მეფეს ჰყავდა ერთი ან მეტი და ან ძმა და რომელიმე მის ძმათაგან ან დათაგან გარდაიცვალა, გამოიყენება მე-2 მუხლით დადგენილი წესები.

მუხლი 4.

თუ არც ერთ პირს არა აქვს მე-2 და მე-3 მუხლებში დადგენილი წესების შესაბამისად ტახტის მემკვიდრეობით მიღების უფლება, ტახტი გადადის მეფე ქრისტიან X-სა და დედოფალ ალექსანდრინას შთამომავლების უახლოეს შტოს წარმომადგენლებზე, პირდაპირი ხაზის მიხედვით და უპირატესობის მინიჭებით კაცებისათვის ქალებთან მიმართებით და ასაკით უფროსებისათვის უმცროსებთან მიმართებით, მე-2 და მე-3 მუხლების შესაბამისად.

მუხლი 5.

მხოლოდ კანონიერ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებს აქვთ ტახტის მემკვიდრეობის უფლება.

მეფეს უფლება არა აქვს დაქორწინდეს რიქსდაგის თანხმობის გარეშე. თუ ტახტის მემკვიდრეობის უფლების მქონე პირი ქორწინდება სახელმწიფო საბჭოში მიცემული მეფის თანხმობის გარეშე, ის, ისევე როგორც მისი შვილები და შთამომავლები, კარგავენ ტახტის მემკვიდრეობის უფლებას.

მუხლი 6.

მე-2–მე-5 მუხლების დებულებები გამოიყენება შესაბამისად მეფის ტახტიდან გადადგომის შემთხვევაშიც.

მუხლი 7.

ეს კანონი ძალაში შედის დანიის სამეფოს კონსტიტუციასთან ერთად 1953 წლის 5 ივნისიდან.





იაპონია


0 200 400 km
0 200 400 mi
RUS.
CHINA
Hokkaido
Sapporo
Occupied by the Soviet Union in 1945 administered by RUSSIA claimed by JAPAN
NORTH KOREA
Sea of Japan
Hachiro-gata
Akita
Sendai
Liancourt Rocks
SOUTH KOREA
TOKYO
Honshu
Yellow Sea
Fuji
Yokohama
Hiroshima
Kobe
Nagoya
Osaka
Kitakyushu
Fukuoka
Shikoku
Kyushu
NORTH PACIFIC OCEAN
NAMPO-SHOTO
East China Sea
Philippine Sea
BONIN ISLANDS
SENKAKU SHOTO
Okinawa
RYUKYU ISLANDS
DAITO-SHOTO
VOLCANO ISLANDS
130
140

ზოგადი ცნობარი
შესავალი

იაპონიის ერთიანი სახელმწიფო ჩვ. წ. აღრიცხვით 33 წელს ჩამოყალიბდა, სადაც 538-552 წლებში შევიდა ბუდიზმი. იაპონია საბოლოოდ 1590 წელს გაერთიანდა.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მე-18 საუკუნის ბოლოს რუსეთთან დამყარებულმა სავაჭრო ურთიერთობებმა და 1854 წელს – ვაჭრობის განვითარების მიზნით რამდენიმე პორტის გახსნამ. 1868 წელი ითვლება იაპონიის ევროპეიზაციის დასაწყისად. 1872 წელს იაპონიაში გაიხსნა პირველი რკინიგზა.

იაპონიის ისტორია მნიშვნელოვანი ბრძოლებით გამოირჩევა. მე-15 საუკუნის 60-70-იან წლებში მიმდინარეობდა ონინის ომი, 1894-95 წლებში – ომი ჩინეთთან, 1904-05 წლებში – ომი რუსეთთან. პირველი მსოფლიო ომის დროს – 1914-1918 წლებში იაპონია შეუერთდა მოკავშირეებს. 1937 წელი ითვლება იაპონია-ჩინეთის მეორე ომის, ხოლო 1941 წელი – წყნარი ოკეანის ომის დასაწყისად, 1952 წელს დასრულდა მოკავშირეების მიერ იაპონიის ოკუპაცია.

1946 წელს იაპონია გახდა გაეროს წევრი.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: აღმოსავლეთი აზია, კუნძულები ჩრდილოეთ წყნარ ოკეანესა და იაპონიის ზღვას შორის, კორეის კუნძულის აღმოსავლეთით.

ფართობი: სულ: 377 835 კმ^2; ხმელეთი: 374 744 კმ^2; წყალი: 3 091 კმ^2.

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: მინერალური რესურსები, თევზი.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 127 288 419 (2008);

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:
0-14 წლის – 13.7% (მამაკაცი 8 926 439; ქალი 8 460 629);
15-64 წლის – 64.7% (მამაკაცი 41 513 061; ქალი 40 894 057);
65 წლის და ზემოთ – 21.6% (მამაკაცი 11 643 845; ქალი 15 850 388) (2008).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: -0.139% (2008);

შობადობა: 7.87 დაბადებული – 1 000 მოსახლეზე (2008);

სიკვდილიანობა: 9.26 გარდაცვლილი – 1 000 მოსახლეზე (2008);

მიგრაცია: 0 მიგრანტი – 1 000 მოსახლეზე (2008);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: მთელი მოსახლეობის მიმართ: 82.07 წელი; კაცი: 78.73 წელი; ქალი: 85.59 წელი (2008).

მოქალაქეობა: იაპონიის

ეთნიკური ჯგუფები: იაპონელი 98.5%, სხვა 1.5% (კორეელი, ჩინელი, ბრაზილიელი, ფილიპინელი, სხვა) (2004).

რელიგია: სინტოიზმი და ბუდიზმი 84%, სხვა 16% (შეიცავს 0,7% ქრისტიანულს).

ენა: იაპონური

განათლებულობა: მთელი მოსახლეობის: 99% (2002);
განსაზღვრება: მოცემულია 15 წლის ზევით პირთა მიმართ, რომელთაც წერა-კითხვა შეუძლიათ.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:
ვრცელი ფორმა: არ აქვს;
შემოკლებული ფორმა: იაპონია.

მმართველობის ფორმა: კონსტიტუციური მონარქია

დედაქალაქი: ტოკიო

ადმინისტრაციული ერთეულები: 47 **პრეფექტურა:** აიჩი, აკიტა, აომორი, გიფუ, გუმა, ეჰიმე, იამაგატა, იამაგუჩი, იამანაში, იბარაკი, ივეიტი, იშიკავა, კაგავა, კაგოშიმა, კანაგავა, კიოტო, კოჩი, კუმამოტო, მაი, მაიაგი, მაიაზაკი, ნაგანო, ნაგასაკი, ნარა, ნიგატა, ოიტა, ოკაიამა, ოკინავა, ოსაკა, საგა, საიტამა, ტოიამა, ტოკიო, ტოკუშიმა, ტოტორი, ტოჩიგი, უაკაიამა, ფუკუი, ფუ-

კუოკა, ფუკუშიმა, შიგა, შიმეინი, შიზუოკა, ჩიბა, ჰიოგო, ჰიროსიმა, ჰოკაიდო.

დამოუკიდებლობა: ჩვ. წ. აღრიცხვამდე 660 წელი;

ეროვნული დღესასწაული: იმპერატორ აკიჰიტოს დაბადების დღე, 23 დეკემბერი (1933);

აღმასრულებელი ხელისუფლება:
სახელმწიფოს მეთაური: იმპერატორი აკიჰიტო (1989 წლის 7 იანვრიდან);
მთავრობის მეთაური — **პრემიერ-მინისტრი** იასიუ ფუკუდა (2007 წლის 26 სექტემბრიდან);

მინისტრები: **პრემიერ-მინისტრი, იუსტიციის მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, ფინანსთა მინისტრი, განათლების, კულტურის, სპორტის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მინისტრი, ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური კეთილდღეობის მინისტრი, სოფლის მეურნეობის, სატყეო და მეთევზეობის მინისტრი, ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი, გარემოს დაცვის მინისტრი (გლობალური გარემოსდაცვითი პრობლემების მინისტრი), თავდაცვის მინისტრი, მიწის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და ტურიზმის მინისტრი (ოკეანის პოლიტიკის მინისტრი), შინაგან საქმეთა და კომუნიკაციების მინისტრი (სახელმწიფო მინისტრი დეცენტრალიზაციის რეფორმების, რეგიონალური განვითარების, რეგიონული მმართველობისა და საფოსტო სამსახურების პრივატიზაციის საკითხებში), მომხმარებელთა საკითხების მინისტრი (სახელმწიფო მინისტრი ოკინავასა და ჩრდილოეთის ტერიტორიების საქმეებზე, სამეცნიერო და ტექნოლოგიური პოლიტიკის, ცხოვრების დონის ამაღლების პოლიტიკისა და პერიოდული რეფორმების საკითხებში), მინისტრი ეროვნული არქივების საკითხებში (სახელმწიფო მინისტრი გენდერული თანასწორობისა და სოციალურ საკითხებში), სახელმწიფო მინისტრი — კაბინეტის სამდივნოს უფროსი, სახელმწიფო მინისტრი ეკონომიკისა და ფისკალური პოლიტიკის საკითხებში, სახელმწიფო მინისტრი უბედურებების აღმოფხვრისა და კვების უსაფრთხოების საკითხებში (სახელმწიფო მინისტრი, ეროვნული საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომისიის თავმჯდომარე), სახელმწიფო მინისტრი საფინანსო სამსახურებისა და ადმინისტრაციული რეფორმების საკითხებში.**

საკანონმდებლო ხელისუფლება:
პარლამენტი შედგება ორი პალატის — მრჩეველთა პალატის (მის შემადგენლობაშია 242 წევრი, რომლებიც 6 წლის ვადით აირჩევიან ყოველ ორ წელიწადში მესამედის განახლებით. პალატის 146 წევრი აირჩევა ერთმანდა-

ტიან საარჩევნო ოლქებში, ხოლო 96 – პროპორციული წესით) და წარმომადგენელთა პალატისგან (მის შემადგენლობაშია 4 წლის ვადით არჩეული 480 წევრი, რომელთაგან 300 აირჩევა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში, ხოლო 180 პროპორციული წესით 11 საარჩევნო ოლქიდან).

მრჩეველთა პალატის არჩევნები უკანასკნელად ჩატარდა 2007 წლის 29 ივლისს, ხოლო წარმომადგენელთა პალატის – 2005 წლის 11 სექტემბერს.

ძირითადი პოლიტიკური პარტიები: ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია, იაპონიის კომუნისტური პარტია, დემოკრატიული პარტია, კომეიტო, სოციალ-დემოკრატიული პარტია.

ეკონომიკა

ეკონომიკის მიმოხილვა: იაპონია წინ უსწრებს სხვა აზიურ სახელმწიფოებს მრეწველობის განვითარების დონით, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლებით გაუსწრო დასავლეთის ბევრ ქვეყანასაც.

1868 წლის შემდეგ, როდესაც ადგილი ჰქონდა „მეიძის რევოლუციას", სახელმწიფოს მიზნად გამოცხადდა ეკონომიკის მოდერნიზაცია. მე-20 საუკუნის დასაწყისში ყველაზე უფრო განვითარებული იყო ტექსტილური წარმოება. 1905 წლიდან დაიწყო მძიმე მრეწველობის განვითარება. მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონიის ტექსტილური წარმოება დომინირებდა მსოფლიო ბაზარზე, ხოლო თვით იაპონიის ეკონომიკაში წინა პლანზე წამოიწია მეტალურგიამ, მანქანათმშენებლობამ, ქიმიურმა მრეწველობამ და სხვ. ამ სფეროების განვითარებამ და ძლიერი ტრადიციული წარმოების არსებობამ ხელი შეუწყო იაპონიაში ორმაგი ეკონომიკური სტრუქტურის – „ნიძიუ კოძოს" ჩამოყალიბებას.

1995 წელს ეროვნული შიდა პროდუქტი 483 ტრილიონი იენით ან 4 ტრილიონი დოლარით შეფასდა და იაპონია მისი ოდენობით მსოფლიოში მეორე ადგილზე აღმოჩნდა.

იაპონიის ეკონომიკა დაფუძნებულია კერძო მეწარმეობაზე. სახელმწიფო საკუთრება ძირითადად იზღუდება ადგილობრივი კომუნალური საწარმოებითა და თამბაქოს წარმოებით. მეორე მსოფლიო ომის დროს ბევრი უმსხვილესი კორპორაცია იყო გაერთიანებული გიგანტურ საფინანსო-სამრეწველო ჯგუფში, რასაც „ძაიბაცუს" უწოდებდნენ და შედგებოდა შვილობილი ფირმების კონტროლირებადი ჰოლდინგური კომპანიებისაგან. თუმცა „ძაიბაცუ" ამ ფორმით აღარ არსებობს – წარმოიქმნა სხვადასხვა სფეროებში სპეციალიზებული ახალი მსხვილი ფირმები. მათ რიცხვს განეკუთვნება „მიცუბიში", „მიცუი", „სუმიტომო".

მთლიანი შიდა პროდუქტი - მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: $4.417 ტრილიონი (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 1.9% (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: $33.800 (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა: 1.5%; მრეწველობა: 25.2%; მომსახურება: 73.3% (2007);

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: მონაცემები არ მოიპოვება;

ბიუჯეტი: შემოსავალი: $1.463 ტრილიონი; გასავალი: $1.575 ტრილიონი (2007);

ექსპორტი: $665.7 მილიარდი (2007);

საექსპორტო საქონელი: მოტო-სატრანსპორტო საშუალებები, ნახევარგამტარები, საოფისე აღჭურვილობა, ქიმიური ნივთიერებები.

ექსპორტის პარტნიორები: აშშ 22.8%, ჩინეთი 14.3%, სამხრეთ კორეა 7.8%, ტაივანი 6.8%, ჰონგ-კონგი 5.6% (2006);

იმპორტი: $571.1 მილიარდი (2007);

საიმპორტო საქონელი: მანქანები და აღჭურვილობა, საწვავი, სურსათ-საწოვაგე, ქიმიური ნივთიერებები, ტექსტილი, ნედლეული (2001).

იმპორტის პარტნიორები: ჩინეთი 20.5%, აშშ 12%, საუდის არაბეთი 6.4%, არაბეთის გაერთიანებული საემიროები 5.5%, ავსტრალია 4.8%, სამხრეთ კორეა 4.7%, ინდონეზია 4.2%, (2006).

საგარეო ვალი: $1.492 ტრილიონი (2007);

ეკონომიკური მხარდაჭერა: $11.19 მილიარდი (2006);

ვალუტა: იენი (JPY).

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. იაპონიის პირველი კონსტიტუციური აქტი იყო 1889 წლის კონსტიტუცია. მართალია იგი წარმოადგენდა იმპერატორისა და ბიუროკრატიის შეთანხმების შედეგს და მცირედით ზღუდავდა სამეფო ხელისუფლებას, მაგრამ მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის საერთაშორისო იმიჯისათვის, ვინაიდან იაპონია პირველად ექცეოდა კონსტიტუციური წესრიგის ქვეშ. კონსტიტუციის ტექსტზე მუშაობა 1882-1888 წლებში მიმდინარეობდა, რისთვისაც ადგილზე იქნა შესწავლილი სხვა ქვეყნების გამოცდილება. იაპონიისთვის განსაკუთრებით ყურადსაღები აღმოჩნდა პრუსიის 1851 წლის კონსტიტუცია, რომელიც ძლიერი უფლებამოსილებით აღჭურვილ მონარქსა და ე.წ. „ჯიბის" საკანონმდებლო ორგანოს ითვალისწინებდა. სწორედ პრუსიის კონსტიტუციის დიდი ნაწილი იქნა გადმოღებული იაპონიის ძირითადი კანონისთვის. ამავდროულად, გარკვეული ნორმები იქნა შეტანილი სხვადასხვა გერმანული აქტებიდან: ბავარიის 1818 წლის, ბადენის 1818 წლის, ვიურტემბერგის 1819 წლის, ჰესენის 1820 წლის ძირითადი კანონებიდან. ფაქტობრივად, 1889 წლის იაპონიის კონსტიტუციის მხოლოდ სამი მუხლი შეიძლება მივიჩნიოთ სრულიად ორიგინალურად, რომლებიც ეხებოდა საიმპერატორო დინასტიის მმართველობას, უფლებებისა და თავისუფლებების გაუვრცელებლობას ომისა და ეროვნული უბედურების დროს, ბიუჯეტის მიღებლობისას და მთავრობის მიერ შეუდგენლობისას მთავრობის მიერვე წინა წლის ბიუჯეტის გამოყენებას.

1889 წლის კონსტიტუცია, რომელსაც „მეიძის კონსტიტუციას" უწოდებენ, მიღებულ იქნა 1889 წლის 11 აპრილს და განეკუთვნება ე.წ. ნაჩუქარ კონსტიტუციებს, ვინაიდან მასში მითითებული იყო, რომ იმპერატორი „უბოძებს" თავის ქვეშევრდომებს კონსტიტუციას, რომლის შეცვლისა და გაუქმების უფლებაც მხოლოდ მას ჰქონდა. კონსტიტუცია შედგებოდა 76 მუხლისგან. მასში საკმაოდ შეზღუდულად იყო გადმოცემული უფლებათა და თავისუფლებათა წრე. მართალია გათვალისწინებული იყო ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, საცხოვრებელი ადგილის არჩევისა და ხელშეუხებლობის უფლება, უკანონო დაკავების დაუშვებლობა, მიმოწერის, რელიგიის, სიტყვის, ბეჭდვის, შეკრების თავისუფლება, პეტიციის უფლება და სხვა, მაგრამ ისინი ფორმალურ ხასიათს ატარებდა და გამყარებული იყო სხვადასხვა დათქმებით. მოქალაქეები მოიხსენიებოდნენ ქვეშევრდომებად.

ქვეყანაში არსებობდა შეზღუდული (დუალისტური) მონარქიული მმართველობა. ხელისუფლების განმახორციელებლად იმპერატორი ითვლებოდა, რომელიც მოქმედებდა სხვა ორგანოების მეშვეობით. იგი სარგებლობდა ხელშეუხებლობით, ნიშნავდა მინისტრებსა და სხვა თანამდებობის პირებს, მინისტრები პასუხისმგებელნი იყვნენ იმპერატორის წინაშე. მონარქი აცხა-

დებდა ომს და ზავს, დებდა საერთაშორისო ხელშეკრულებებს, აცხადებდა საგანგებო მდგომარეობას, ადგენდა შეიარაღებული ძალების სტრუქტურასა და რაოდენობას. კონსტიტუციაში არ იყო გათვალისწინებული პარლამენტის მიერ მთავრობის უნდობლობის გამოცხადებისა და ბიუჯეტის უარყოფის მექანიზმები.

კონსტიტუცია ადგენდა ნორმებს საიდუმლო საბჭოს ინსტიტუტის შესახებ, რომლის წევრებს უმაღლეს სამხედრო-ბიუროკრატ პირთა წრიდან ნიშნავდა იმპერატორი. მის ფუნქციას წარმოადგენდა იმპერატორის მიმართვის საფუძველზე ყველა მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხის განხილვა. საიდუმლო საბჭო ფუნქციონირებდა მინისტრთა კაბინეტისგან დამოუკიდებლად.

საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებდნენ იმპერატორი და პარლამენტი, რომელიც შედგებოდა ორი პალატის – წარმომადგენელთა პალატისა და პერების პალატისგან. ქვედა პალატაში აირჩეოდნენ დეპუტატები მაღალი ასაკობრივი და ქონებრივი ცენზის გათვალისწინებით. პერების პალატას იმპერატორი აკომპლექტებდა. იმპერატორს შეეძლო პარლამენტთან შეუთანხმებლად გამოეცა შესასრულებლად სავალდებულო აქტები, ხოლო პარლამენტი ვერ მიიღებდა კანონს იმპერატორის ხელმოწერის გარეშე.

რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლებას, ფორმალურად გათვალისწინებული იყო მოსამართლეთა შეუცვლელობისა და დამოუკიდებლობის პრინციპები. საერთო სასამართლოების კომპეტენცია შეზღუდული იყო, ვინაიდან მათ არ შეეძლოთ ადმინისტრაციის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების განხილვა, გათვალისწინებული იყო სპეციალური ადმინისტრაციული სასამართლოს შექმნა, მაგრამ თანამდებობის პირთა საქმიანობა არ შედიოდა სასამართლო კონტროლის სფეროში.

აღნიშნული კონსტიტუციის დემოკრატიზაცია წლების მანძილზე ეტაპობრივად ხორციელდებოდა. მაგალითად, 1924 წელს პარლამენტში წარმოდგენილმა პოლიტიკურმა პარტიებმა, ე.წ. კონსტიტუციურმა ძალებმა მიაღწიეს მთავრობის ფაქტობრივ პასუხისმგებლობას წარმომადგენელთა პალატის წინაშე, ხოლო 1925 წელს მამაკაცებისათვის გაუქმდა ქონებრივი საარჩევნო ცენზი, რაც აქტიური საარჩევნო უფლების დროს შეადგენდა სამ იენს.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. იაპონიის ახალი კონსტიტუციის მიღება გამოწვეული იყო იაპონიის მეორე მსოფლიო ომში დამარცხებით. 1945 წელს იაპონიამ ხელი მოაწერა უპირობო კაპიტულაციის აქტს და სამოკავშირეო სახელმწიფოების პოსტდამის ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებდა იაპონიის დაწესებულებების კარდინალურ შეცვლას და დემოკრატიული და მშვიდობიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. კონსტიტუციის ტექსტზე მუშაობა დაიწყო იაპონიის მთავრობის მიერ 1945

წლის ბოლოს შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ მრჩეველთა ჯგუფის მონაწილეობით. პროექტი მომზადდა 1946 წლისათვის, მაგრამ კვლავ იაპონურ ტრადიციებზე იყო აგებული, არ ითვალისწინებდა თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის მიღწევებს და უცვლელად ტოვებდა 1889 წლის კონსტიტუციის ბევრ დებულებას, იმპერატორის ფართო უფლებამოსილებას და სამხედრო-ბიუროკრატიულ სისტემას. პარლამენტში წარდგენის შემდეგ აღნიშნულ პროექტს დიდი წინააღმდეგობა შეხვდა იაპონური საზოგადოებისა და შორეული აღმოსავლეთის კომისიის მხრიდან, რომელიც შედგებოდა ომში გამარჯვებული ქვეყნების წარმომადგენლებისგან. ამის გამო იგი გამოწვეულ იქნა პარლამენტიდან და დღის წესრიგში დადგა ახალი კარდინალურად განსხვავებული ვარიანტის შემუშავების საკითხი.

ამგვარი პროექტის მომზადების ინიციატივა თავის თავზე აიღო იაპონიაში ამერიკის ძალების მთავარსარდალმა დ. მაკ-არტურმა, ამიტომ იაპონიის კონსტიტუციას ლიტერატურაში „მაკარტურის კონსტიტუციასაც“ უწოდებენ. უნდა ითქვას, რომ იგი ამერიკული ჯარების შტაბში მომზადდა. მასზე მუშაობისას გათვალისწინებულ იქნა გარკვეული დეტალები იაპონიის 1889 წლის კონსტიტუციიდან, გერმანიის 1919 წლის ვაიმარის კონსტიტუციიდან, ასევე ანგლო-საქსონური სამართლისა და, ამერიკული კონსტიტუციონალიზმის ზოგიერთი პრინციპი. მასში აისახა იაპონიის ზოგიერთი პარტიის, მაგალითად, კომუნისტური პარტიის გარკვეული მოსაზრებები სახალხო ხელისუფლების იდეას შესახებ. საბოლოოდ იაპონიის საზოგადოება, მთავრობა და იმპერატორი ჰიროჰიტო დათანხმდნენ მონარქიის სუსტი ფორმით მაინც შენარჩუნებას და შეთანხმებული ვარიანტი წარედგინა პარლამენტს დასამტკიცებლად.

კონსტიტუციის მიღება განხორციელდა იაპონიის 1889 წლის კონსტიტუციით დადგენილი ცვლილებების შეტანისათვის განსაზღვრული წესით, თუმცა ფაქტობრივად ეს იყო ახალი კონსტიტუცია, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა ძველ რეჟიმთან. პროექტის დამტკიცებაში მონაწილეობა მიიღეს იმ დროს მოქმედმა პარლამენტის პალატებმა — წარმომადგენელთა პალატამ და პერების პალატამ. კონსტიტუციის ტექსტი ფაქტობრივად ერთხმად იქნა მიღებული პარლამენტის პალატების მიერ 1946 წლის 6 ოქტომბერს, შემდგომ — საიდუმლო საბჭოს მიერ და პრომულგირებულ იქნა იმპერატორის მიერ 1946 წლის 3 ნოემბერს, ხოლო ძალაში შევიდა გამოქვეყნების დღიდან 6 თვის შემდეგ (1947 წლის 3 მაისს).

იაპონიის კონსტიტუცია ითვალისწინებს მასში ცვლილებების შეტანის რთულ წესს, სწორედ ეს წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს, რომ, მიუხედავად მრავალი მცდელობისა, დღემდე მასში არც ერთი ცვლილება არ არის შესული. შეუცვლელობის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ასევე იაპონელი ხალხის პატივისცემა მაღალი საზოგადოებრივი ფასეულობების, სამარ-

თლებრივი წესრიგისა და დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი და სურვილი, რომ არ შეიცვალოს ე.წ. „მშვიდობიანი კონსტიტუცია“.

კონსტიტუციაში შესწორებების შეტანის შემდეგი წესია დადგენილი: ინიციატივა უნდა მომდინარეობდეს მხოლოდ პარლამენტიდან. სხვა არც ერთ ორგანოს არ აქვს გადასინჯვის მოთხოვნის უფლება. ამასთან, ინიციტივისას საჭიროა ორივე პალატის წევრთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 2/3-ის თანხმობა. ამის შემდეგ იგი დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს ხალხს. თავისმხრივ, სახალხო დამტკიცების ორი ფორმა არსებობს – სპეციალური რეფერენდუმის მეშვეობით ან წარმომადგენელთა პალატის არჩევნების დროს. საკითხს, თუ რომელი ფორმით დამტკიცდება კონსტიტუციური შესწორება, წყვეტს პარლამენტი. კონსტიტუციური შესწორება ორივე შემთხვევაში მიღებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა უმრავლესობა. ხალხის მიერ დამტკიცებულ შესწორებებს, როგორც კონსტიტუციის განუყოფელ ნაწილს, ხალხის სახელით დაუყოვნებლივ აწერს ხელს და აქვეყნებს იმპერატორი.

ყველაზე უფრო რეალური კონსტიტუციური ცვლილებების პროექტი, რომელიც შესაძლოა მომავალში მიღებულ იქნეს, არის მმართველი პარტიის – ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის მიერ მომზადებული ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებს კონსტიტუციის მე-9 მუხლის შეცვლას და იაპონიის შეარაღებული ძალებისათვის შეიარაღებულ ოპერაციებში მონაწილეობის უფლების მინიჭებას. აღნიშნული ცვლილებების რეფერენდუმზე გატანას 2007 წელს მხარი დაუჭირა პარლამენტის ორივე პალატამ და არსებობს რეალური შესაძლებლობა, რომ მომავალში შეიცვალოს კონსტიტუცია. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ გამოკითხვების მიხედვით ცვლილებების მომხრე და მოწინააღმდეგე იაპონელთა რაოდენობა ჯერ-ჯერობით დაახლოებით თანაბარია.

კონსტიტუციის ანალიზი. იაპონიის კონსტიტუცია სრულად პასუხობს თანამედროვე მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოების მოთხოვნებს. კონსტიტუციის ტექსტი მოკლეა. იგი შედგება პრეამბულის, 103 მუხლისა და 11 თავისგან. პრეამბულა საკმაოდ მოცულობითია და მასში გატარებულია იაპონელი ხალხის ნება, სახალხო ხელისუფლების იდეა და მიზნები.

კონსტიტუციის პირველივე თავი ეთმობა მონარქის ინსტიტუტს, რომლის უფლებამოსილება როგორც ფაქტობრივად, ასევე იურიდიულად საკმაოდ სუსტია. მართალია იაპონიის მონარქიის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნა დიდი ბრიტანეთის მონარქიის გამოცდილება, მაგრამ ამ უკანასკნელისგან განსხვავებით იაპონიის იმპერატორი არ არის აღჭურვილი არც ფორმალური უფლებამოსილებებით. სხვა კონსტიტუციური მონარქიებისა და იაპონიის ძველი კონსტიტუციისგან განსხვავებით, იმპერატორი არ არის ხელი-

სუფლების წყარო და მას გააჩნია მხოლოდ სიმბოლური — სახელმწიფოსა და ხალხის ერთიანობის სიმბოლოს სტატუსი. ამავდროულად, აღნიშნულია, რომ მისი სტატუსი განისაზღვრება სუვერენული ხელისუფლების მატარებელი ხალხის ნებით.

საიმპერატორო ტახტი არის დინასტიური და პარლამენტის მიერ მიღებული საიმპერატორო გვარის შესახებ კანონის შესაბამისად მემკვიდრეობით ვადადის. მოქმედებს ტახტის მემკვიდრეობის სალიკური სისტემა: ტახტი გადაეცემა უფროს შვილს. ქალები გამოირიცხებიან მემკვიდრეთა რიგიდან.

იმპერატორი საკმაოდ შეზღუდულია უფლებამოსილებებში. სახელმწიფოს საქმიანობასთან დაკავშირებული იმპერატორის არც ერთი მოქმედება არ შეიძლება წამოწყებულ იქნეს კაბინეტის რჩევისა და თანხმობის გარეშე, და მის ყველა ქმედებაზე კაბინეტი არის პასუხისმგებელი. ძირითად კანონში ცალსახად არის მითითებული, რომ იმპერატორი ახორციელებს მხოლოდ კონსტიტუციით გათვალისწინებულ სახელმწიფო საქმიანობას მიკუთვნებულ მოქმედებებს და არ არის აღჭურვილი სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებული უფლებამოსილებით. კონსტიტუცია დეტალურად ჩამოთვლის მონარქის უფლებამოსილებას, თუმცა ისიც მითითებულია, რომ იგი ამ უფლებამოსილებას ახორციელებს მხოლოდ კაბინეტის რჩევითა და თანხმობით, ხალხის სახელით. ეს ფუნქციებია: კონსტიტუციური შესწორებების, კანონების, კაბინეტის ბრძანებებისა და ხელშეკრულებების პრომულგაცია; პარლამენტის მოწვევა; წარმომადგენელთა პალატის დათხოვნა; საყოველთაო საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა; სახელმწიფო მინისტრთა და სხვა თანამდებობის პირთა დანიშვნისა და განთავისუფლების დამტკიცება, ასევე ელჩებისა და დიპლომატიური წარმომადგენლების უფლებამოსილებისა და რწმუნების სიგელების დამტკიცება; საყოველთაო და სპეციალური ამნისტიის, სასჯელის შემცირებისა და გადავადების და უფლებების აღდგენის დამტკიცება; ჯილდოების მინიჭება; სარატიფიკაციო სიგელებისა და სხვა დიპლომატიური დოკუმენტების დამტკიცება; უცხო ქვეყნების ელჩებისა და დიპლომატიური წარმომადგენლების მიღება; ცერემონიალის განხორციელება. ამასთან, მას შეუძლია კიდევ უფრო სიმბოლური გახადოს თავისი თანამდებობა და კანონის შესაბამისად სხვა პირს გადასცეს სახელმწიფო საქმიანობასთან დაკავშირებული თავისი უფლებამოსილების განხორციელების უფლება.

ფორმალურად იმპერატორს გააჩნია გარკვეული საკადრო საკითხების გადაწყვეტის უფლება. იგი პარლამენტის წარდგინებით ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო კაბინეტის წარდგინებით — უზენაესი სასამართლოს მთავარ მოსამართლეს. თუმცა, ეს მხოლოდ ფორმალურ დასტურში გამოიხატება და ძირითადად საპარლამენტო უმრავლესობაში მყოფი პოლიტიკური ძალის სურვილზეა დამოკიდებული.

კონსტიტუციამ შეკვეცა საიმპერატორო გვარის არამარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური მდგომარეობაც. საიმპერატორო გვარის მთელი ქონება სახელმწიფოს საკუთრებაა. პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს მისი გასავლები, როგორც ბიუჯეტის ნაწილი. დაუშვებელია საიმპერატორო გვარისთვის რაიმე ქონების გადაცემა ან მის მიერ რაიმე ქონების ან საჩუქრის მიღება პარლამენტის რეზოლუციის გარეშე.

კონსტიტუციის მეორე თავში განმტკიცებული პაციფიზმის იდეა ამ აქტის კიდევ ერთი თავისებურებაა. იგი ითვალისწინებს ომზე უარის თქმას, რაც კონსტიტუციის მიღების პერიოდში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენდა და რის საფუძველზეც იაპონიის კონსტიტუცია მსოფლიოში ყველაზე უფრო „მშვიდობიან" კონსტიტუციად ითვლება. მასში აღნიშნულია, რომ იაპონელი ხალხი გულწრფელად ისწრაფვის რა სამართლიანობასა და წესრიგზე დაფუძნებული საერთაშორისო მშვიდობისათვის, სამუდამოდ უარს ამბობს ომზე, როგორც ერის სუვერენულ უფლებაზე, ასევე მუქარასა და შეიარაღებული ძალების გამოყენებაზე, როგორც საერთაშორისო დავების გადაწყვეტის საშუალებაზე. ამ მიზნის მისაღწევად, მომავალში არასოდეს შეიქმნება სახმელეთო, საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალები, ისევე როგორც სხვა სამხედრო საშუალებები. სახელმწიფოს მიერ ომის წარმოების უფლება არ არის აღიარებული. აღნიშნული მუხლის აუცილებლობა ყოველთვის დავის საგანს წარმოადგენდა და წლების მანძილზე იდგა დღის წესრიგში ამ ნორმების შეცვლის საკითხი, ვინაიდან ისინი იაპონიას ხელს უშლიდნენ საერთაშორისო მიზნებიდან გამომდინარე სხვადასხვა სამხედრო ოპერაციების წარმოებაში. კონსტიტუციის აღნიშნული მუხლის (მე-9 მუხლი) შეცვლას ურჩევენ იაპონიას საერთაშორისო ორგანიზაციები და მოკავშირე ქვეყნებიც. იაპონიას გააჩნია 240 ათასიანი ბრძოლისუნარიანი ე.წ. თავდაცვის ძალები, რაც ფაქტობრივად არმიას წარმოადგენს, თუმცა მას იურიდიულად არ აქვს სამხედრო ოპერაციების წარმოებისა და იარაღის გამოყენების უფლება. როგორც პრაქტიკა მოწმობს, ბოლო წლებში ეს ყოველივე იაპონიისათვის საკმაოდ მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენდა, რათა შეესრულებინა სამოკავშირეო ვალდებულებები აშშ-თან ერაყისა და ავღანეთის ოპერაციების დროს. იაპონიის ხელისუფლება ვალდებულია ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მიიღოს კონკრეტული კანონი და შემოიფარგლოს მხოლოდ მხარდამჭერი ფუნქციებით, ისიც მას შემდეგ, რაც ოფიციალურად იქნება გამოცხადებული სამხედრო ოპერაციების დასრულების შესახებ. მაგალითისთვის, იაპონიის თავდაცვის ძალების 550 კაციანი კონტინგენტი, რომელიც ერაყის ერთ-ერთ ქალაქში ჰუმანიტარულ საქმიანობას ახორციელებდა, ვალდებული იყო ასევე დაეცვა სხვა ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეები.

კონსტიტუციაში შემდეგი ადგილი აქვს დათმობილი ხალხის უფლებებსა და ვალდებულებებს, თუმცა ისინი არ განიხილება ინდივიდუალური მოქალაქეებისათვის მინიჭებული უფლებების სახით, არამედ, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, წარმოადგენენ მთელი იაპონელი ხალხის კუთვნილი უფლებების ერთიანობას. ამასთან, კონსტიტუციაში განმტკიცებული ყოველი უფლება თუ თავისუფლება არა მხოლოდ იაპონიის მოქალაქეების, არამედ იაპონიაში მცხოვრები სხვა ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებად წარმოჩინდება, ვინაიდან განიხილება როგორც ხალხის უფლება.

უფლებები ეხება პოლიტიკურ, პირად, სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს, რომელთაგან უმეტესობა საყოველთაოდ აღიარებული უფლებების ანალოგიურია, ხოლო ზოგიერთი მათგანი თვით იაპონიის სინამდვილიდან და იმდროინდელი საჭიროებიდან გამომდინარეობს. ხალხი შეუფერხებლად სარგებლობს ადამიანის ყველა ძირითადი უფლებით. ხალხმა თავი უნდა შეიკავოს თავისუფლებებისა და უფლებების ბოროტად გამოყენებისაგან და ხალხი მუდმივ პასუხისმგებლობას ატარებს მათ საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის გამოყენებაზე. კონსტიტუციაში ცალსახად არის მითითებული, რომ იაპონელი ხალხისთვის გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებები არის ხალხის თავისუფლებისათვის დიადი ბრძოლის შედეგი. ამ უფლებებმა წარსულში მკაცრი განსაცდელი განიცადა და ბოძებულია ამჟამინდელი და მომავალი თაობებისთვის იმ იმედით, რომ სამარადისოდ დარჩებიან ურღვევად.

ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციიდან აღებულია პიროვნების სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ სწრაფვის უფლება. თუ პირი არ არღვევს საზოგადოებრივ კეთილდღეობას კანონმდებლობისა და სხვა სახელმწიფოებრივი საქმიანობის სფეროში, წარმოადგენს ზრუნვის უმაღლეს საგანს.

ყოველი ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია და პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობებში დაუშვებელია მისი დისკრიმინაცია რასის, რელიგიის, სქესის, სოციალური მდგომარეობისა და წარმოშობის მოტივით.

დიდი ადგილი აქვს დათმობილი პირად უფლებებსა და თავისუფლებებს. არავის არ შეიძლება ჩამოერთვას სიცოცხლე ან თავისუფლება ან დაეკისროს რაიმე სასჯელი, კანონით დადგენილი შესაბამისი პროცედურის გარეშე. დაუშვებელია პირის დაპატიმრება, გარდა დანაშაულის ჩადენის ადგილზე დაპატიმრების ან მართლმსაჯულების კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ბრძანებისა, სადაც მითითებული უნდა იყოს დანაშაული, რომელიც არის დაკავების მიზეზი. ყველას აქვს საქმის სასამართლოში განხილვის უფლება.

იკრძალება წამებისა და სასტიკი სასჯელების გამოყენება, ბრალდებულს აქვს თავისი საქმის მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ სწრაფი და ღია

განხილვის, მოწმეთა გამოძახების, ადვოკატისთვის მიმართვის, უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება. დაუშვებელია პირის იძულება ჩვენება მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ. იძულებითი, წამების ქვეშ, მუქარით, გაუმართლებელი ხანგრძლივობის დაპატიმრების ან დაკავებისას აღიარება არ შეიძლება განხილულ იქნეს მტკიცებულებად. არავინ არ შეიძლება იქნეს მსჯავრდებული ან დაექვემდებაროს სასჯელს, იმ შემთხვევაში, როდესაც მის წინააღმდეგ ერთადერთი მტკიცებულება მისი საკუთარი აღიარებაა. აკრძალულია მონობა და იძულებითი შრომა.

იაპონიის სინამდვილის გათვალისწინებით, აკრძალულია პერობა და სხვა არისტოკრატული ინსტიტუტები. საპატიო წოდებების, ჯილდოების ან წარჩინების ნიშნების მისაკუთვნებლად არანაირი პრივილეგიები არ გამოიყენება და ყოველი ამგვარი ჯილდო მხოლოდ იმ პირის სიცოცხლეში მოქმედებს, რომელიც მას იმ დროისთვის ფლობს ან შეძლებს მის მომავალში მიღებას.

აღიარებულია შეკრების, გაერთიანების, სიტყვის, ბეჭდვის და აზრის ყველა სხვა ფორმით გამოთქმის, საცხოვრებელი ადგილის არჩევის, სამეცნიერო საქმიანობის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. იაპონია წარმოადგენს საერო სახელმწიფოს. კონსტიტუციაში მითითებულია, რომ არც ერთმა რელიგიურმა ორგანიზაციამ არ შეიძლება სახელმწიფოსგან მიიღოს რაიმე პრივილეგია და ისარგებლოს პოლიტიკური ხელისუფლებით. კონსტიტუციის მიღებამდე ქვეყნის მთელი მოსახლეობა ვალდებული იყო შეესრულებინა შუასაუკუნეების სინტოიზმის რიტუალები, რითაც იგი ფაქტობრივად სახელმწიფო რელიგიად ცხადდებოდა. ამ იდეოლოგიის არსი მდგომარეობდა საიმპერატორო დინასტიის გაღმერთებაში და ასაბუთებდა მის საღმრთო ხასიათს.

კონსტიტუციაში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი მეუღლეთა უფლებრივ საკითხებს. ქორწინება ეფუძნება ორივე მხარის ურთიერთთანხმობას და განმტკიცებულია ურთიერთთანამშრომლობით, რასაც საფუძვლად უდევს მეუღლეთა უფლებების თანასწორობა. მეუღლის არჩევასთან, მეუღლეთა ქონებრივ უფლებებთან, მემკვიდრეობასთან, საცხოვრებელი ადგილის არჩევასთან, განქორწინებასთან, ქორწინებისა და ოჯახის სხვა საკითხებთან დაკავშირებული კანონები შედგენილი უნდა იქნეს პირადი ღირსებისა და სქესთა თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე.

ყველას აქვს ჯანმრთელობისა და კულტურული ცხოვრების მინიმალურ დონეზე დაცვის, თანასწორი განათლების, შრომის, მშრომელთა ორგანიზაციის შექმნის, საკუთრების უფლება. საკუთრების უფლება განისაზღვრება კანონით ისე, რომ არ ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოებრივ კეთილდღეობას. კერძო საკუთრება შეიძლება გამოყენებულ იქნეს საჯარო ინტერესებისათვის სამართლიანი ანაზღაურებით.

კონსტიტუციურად ხალხი ფლობს საჯარო თანამდებობის პირების (და არამარტო წარმომადგენლობითი ორგანოების წევრთა) არამარტო არჩევის, არამედ თანამდებობიდან გადაყენების ხელშეუვალ უფლებას. მართალია კონსტიტუციით არ არის გათვალისწინებული პარლამენტის დეპუტატთა გამოწვევის ინსტიტუტი, მაგრამ ადგილობრივ დონეზე ადგილობრივი ადმინისტრაციების ხელმძღვანელთა გამოწვევის ინიაციატივის უფლება გააჩნია ადგილობრივ ამომრჩეველთა 1/3-ს. ქვეყნის ყველა თანამდებობის პირი წარმოადგენს მთელი საზოგადოების და არა მისი რომელიმე ნაწილის მსახურს. აღიარებულია არჩევნების საყოველთაობის, ფარულობისა და თავისუფლების პრინციპები. ყველას აქვს მშვიდობიანი პეტიციით მიმართვისა და სახელმწიფოს ან საჯარო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუ მას ზიანი მიადგა რომელიმე საჯარო თანამდებობის პირის უკანონო მოქმედებით.

იაპონიაში პარლამენტი არის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო და ქვეყნის ერთადერთი საკანონმდებლო ორგანო. სხვა კონსტიტუციური მონარქიებისგან განსხვავებით მონარქი ფორმალურადაც კი არ მოიაზრება საკანონმდებლო ხელისუფლების განმახორციელებელ ორგანოდ. პარლამენტი შედგება ორი პალატის — ქვედა პალატის (წარმომადგენელთა პალატა) და ზედა პალატისგან (მრჩეველთა პალატა). ორივე პალატა აერთიანებს არჩევით წევრებს, რომლებიც წარმოადგენენ მთელ ხალხს.

კონსტიტუციაში არ არის განსაზღვრული პალატების წევრთა რაოდენობა, საარჩევნო ცენზები, საარჩევნო ოლქები, ხმის მიცემის საშუალებები და პალატების წევრთა არჩევასთან დაკავშირებული სხვა საკითხები და მათ კანონი ადგენს. ეს არის 1950 წლის კანონი „საჯარო თანამდებობის პირთა არჩევნების შესახებ", რომელშიც ბევრჯერ იქნა შეტანილი ცვლილება-დამატებები. ამ აქტის თანახმად, აქტიური საარჩევნო უფლებით სარგებლობენ 20 წლის ასაკს მიღწეული იაპონიის მოქალაქეები, რომლებიც შესაბამის საარჩევნო ოლქში ცხოვრობენ არანაკლებ სამი თვისა და შეტანილი არიან საარჩევნო სიებში, რომლებიც ყოველწლიურად განახლდება. პასიური საარჩევნო უფლება წარმომადგენელთა პალატაში გააჩნია მოქალაქეს 25 წლის ასაკიდან, ხოლო მრჩეველთა პალატაში — 30 წლის ასაკიდან. ასევე გვხვდება ქონებრივი ცენზიც, რაც იმაში გამოიხატება, რომ კანდიდატებმა დარეგისტრირებისას უნდა შეიტანონ საარჩევნო შენატანი, რისი რაოდენობაც ზედა პალატაში ერთნახევრით მეტია. შენატანის ოდენობა ორმაგდება კანდიდატის სიით წარდგენისას. აღნიშნული თანხა ქვედა პალატის წევრს არ უბრუნდება, თუ ვერ მიიღებს ხმათა მეხუთედს, ხოლო ზედა პალატის წევრს — თუ ვერ მიიღებს ხმათა მერვედს მაინც. დაუშვებელია რასის, რელიგიის, სქესის, სოციალური მდგომარეობის, წარმოშობის, განათლების, ქონებრივი მდგომარეობის ან შემოსავლების მოტივით დისკრიმინაცია.

წარმომადგენელთა პალატის წევრთა უფლებამოსილების ვადა 4 წელია, ხოლო მრჩეველთა პალატის — 6 წელი. ამასთან, გათვალისწინებულია ამ უკანასკნელის ყოველ 3 წელიწადში ნახევრით განახლება. იმ ქვეყნებში, სადაც პალატის განახლების მექანიზმი ფუნქციონირებს, ყოველთვის პრობლემატურია საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ნაწილი უნდა განახლდეს პირველად და წევრთა რა კატეგორიას უნდა შეუწყდეს უფლებამოსილება ვადაზე ადრე. იაპონიის კონსტიტუციამ გაითვალისწინა აღნიშნული პრობლემა და დაადგინა, რომ პირველი მოწვევის მრჩეველთა პალატის წევრთა ნახევრის უფლებამოსილების ვადა შეადგენს 3 წელს, ხოლო ამ კატეგორიას მიკუთვნებულ წევრთა განსაზღვრა კანონს მიანდო.

არავის არ აქვს უფლება ერთდროულად იყოს ორივე პალატის წევრი. პარლამენტის წევრთა იმუნიტეტი ვრცელდება მხოლოდ სესიის პერიოდზე. არ შეიძლება მათი დაპატიმრება პარლამენტის სესიის პერიოდში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. იმ შემთხვევაში, თუ მათ დააპატიმრებენ სესიის დაწყებამდე, შესაბამისი პალატის მოთხოვნით სესიის პერიოდში უნდა განთავისუფლდნენ. ისინი სარგებლობენ ინდემნიტეტითაც და პასუხს არ აგებენ პარლამენტის კედლებს გარეთ გამოთქმული სიტყვების, გამოთქმებისა და ხმის მიცემისათვის პალატაში. პარლამენტის წევრები ანაზღაურებას იღებენ სახელმწიფო ხაზინიდან.

ყოველი პალატა წყვეტს თავის წევრთა კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ დავებს. დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტისა და პალატის შემადგენლობიდან გარიცხვისათვის აუცილებელია რეზოლუციის მიღება დამსწრე წევრთა არანაკლებ 2/3-ის ხმათა უმრავლესობით.

აღსანიშნავია, რომ პარლამენტის მორიგი სესია მოიწვევა წელიწადში ერთხელ. საგანგებო სესიის მოწვევის ინიციატივის უფლება აქვს კაბინეტს და პალატის წევრთა საერთო რაოდენობის 1/4-ზე მეტს.

კონსტიტუცია ითვალისწინებს მხოლოდ ქვედა პალატის — წარმომადგენელთა პალატის დათხოვნის შესაძლებლობას, რის შემდეგ ტარდება ვადამდელი არჩევნები. წარმომადგენელთა პალატის დათხოვნისას სხდომებს იმავდროულად წყვეტს მრჩეველთა პალატაც. თუმცა ეს არ ნიშნავს მის დათხოვნას, არამედ მხოლოდ საქმიანობის დროებით შეჩერებაში გამოიხატება. კონსტიტუციამ გაითვალისწინა ისეთი შემთხვევაც, როდესაც ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელია საკანონმდებლო ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღება და დაადგინა, რომ წარმომადგენელთა პალატის არჩევამდე საგანგებო მდგომარეობის არსებობისას კაბინეტს შეუძლია მოიწვიოს მრჩეველთა პალატის საგანგებო სესია. ამ შემთხვევაში მრჩეველთა პალატა გადაწყვეტილებას იღებს როგორც სრულუფლებიანი პარლამენტი. თუმცა, საგანგებო სესიაზე მიღებული ზომები დროებითია და ძალას კარ-

გავს, თუ არ იქნება დამტკიცებული ახალარჩეული წარმომადგენელთა პალატის მიერ სესიის გახსნის მომენტიდან 10 დღის ვადაში.

პალატაში ქვორუმს შეადგენს პალატის წევრთა საერთო რაოდენობის არანაკლებ მესამედი, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, გარდა კონსტიტუციით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია.

საკანონმდებლო საქმიანობაში ორივე პალატა მონაწილეობს, მაგრამ წარმომადგენელთა პალატას გადამწყვეტ სიტუაციებში უპირატესობა გააჩნია. გარდა კონსტიტუციით სპეციალურად გათვალისწინებული შემთხვევებისა, კანონპროექტი კანონი ხდება ორივე პალატის მიერ მიღების შემდეგ. თუ წარმომადგენელთა პალატის მიერ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში მრჩეველთა პალატა მიიღებს მისგან განსხვავებულ გადაწყვეტილებას, წარმომადგენელთა პალატას გააჩნია ე.წ. საპარლამენტო ვეტოს უფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ წარმომადგენელთა პალატამ უნდა გადალახოს მრჩეველთა პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და მის მიერვე ერთხელ დამსწრეთა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილება ამჯერად იმავე რედაქციით მიიღოს არანაკლებ დამსწრეთა 2/3-ით. კონსტიტუციით გათვალისწინებული აღნიშნული მექანიზმი არ გამორიცხავს, რომ წარმომადგენელთა პალატამ მოითხოვოს ორივე პალატის ერთობლივი სხდომის მოწვევა, სადაც მიიღება შეჯერებული ვარიანტი. პრაქტიკულად, ერთობლივი სხდომის მოწვევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, თუ წარმომადგენელთა პალატას არ შესწევს უნარი გადალახოს მრჩეველთა პალატის ვეტო.

განსხვავებული პროცედურა არის დადგენილი ბიუჯეტის პროექტის განხილვისას. იგი თავდაპირველად განსახილველად წარედგინება წარმომადგენელთა პალატას. ამ შემთხვევაშიც პრიორიტეტი ენიჭება წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილებას და შეუჯერებლობის შემთხვევაში ან მრჩეველთა პალატის მიერ 30 დღის ვადაში გადაწყვეტილების არმიღების შემთხვევაში, წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილება ხდება პარლამენტის გადაწყვეტილება. ანალოგიური წესი გამოიყენება ასევე პარლამენტის მიერ ხელშეკრულებების დამტკიცებისას.

თითოეული პალატა აღჭურვილია სახელმწიფო მმართველობის საკითხების თაობაზე გამოძიების წარმოების უფლებით. ამავე დროს უფლება აქვს მოითხოვოს მოწმეების დასწრება და ჩვენების მიცემა, ასევე ოქმების წარმოდგენა. იმპიჩმენტის წესით მოსამართლეთა თანამდებობიდან გადაყენების შესახებ საქმის აძღვრის შემთხვევაში, პარლამენტი ორივე პალატის წევრთაგან ქმნის შესაბამის მოსამართლეთა დარღვევების განმხილველ სასამართლოს, რათა სრულყოფილად იქნეს გამოძიებული იმპიჩმენტის საფუძვლები.

აღმასრულებელ ხელისუფლებას დამოუკიდებლად ახორციელებს კაბინეტი — მთავრობა, რომელიც შედგება მისი ხელმძღვანელი პრემიერ-მინისტრისა და სხვა სახელმწიფო მინისტრებისგან. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუცია მხოლოდ სახელმწიფო მინისტრის თანამდებობის არსებობაზე აკეთებს აქცენტს, თუმცა იაპონიის მთავრობაში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობასთან ერთად გვხვდება მინისტრის თანამდებობაც. ამჟამად იაპონიის მთავრობის შემადგენლობაშია პრემიერ-მინისტრი, 11 მინისტრი და 6 სახელმწიფო მინისტრი. სავალდებულოა, რომ ყველა მათგანი იყოს სამოქალაქო პირი.

მთავრობის ფორმირება ხდება საპარლამენტო გზით. პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას წარადგენს პარლამენტი დეპუტატთაგან. როგორც წესი, პრემიერ-მინისტრი ხდება არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერი. თუ წარდგენის შესახებ წარმომადგენელთა პალატა და მრჩეველთა პალატა ვერ შეთანხმდნენ, საბოლოოდ პრიორიტეტი ენიჭება წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილებას და იგი ხდება პარლამენტის გადაწყვეტილება. მინისტრებს ნიშნავს პრემიერ-მინისტრი. ამასთან, კონსტიტუციის თანახმად, რათა მინისტრები საზოგადოებისთვის ცნობილი და ავტორიტეტული პირები იყვნენ და მანდატს იღებდნენ ხალხისგან, აუცილებელია, რომ მათი უმრავლესობა არჩეულ იქნეს პარლამენტის წევრთა შემადგენლობიდან. დღეს მოქმედ, 2007 წელს ფორმირებულ მთავრობის შემადგენლობაში 13 პირი, მათ შორის პრემიერ-მინისტრი, არის წარმომადგენელთა პალატის, 3 — მრჩეველთა პალატის წევრი და მხოლოდ 2 წევრს არ გააჩნია სახალხო მანდატი.

მინისტრების ინდივიდუალურად თანამდებობიდან გადაყენება თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია პრემიერ-მინისტრს. კაბინეტი აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებისას პარლამენტის წინაშე კოლექტიურად არის პასუხისმგებელი. თუ წარმომადგენელთა პალატა უნდობლობას გამოუცხადებს მთავრობას ან უარყოფს მთავრობის მიერ დაყენებულ ნდობის საკითხს, მონარქს უფლება აქვს დაითხოვოს იგი. წინააღმდეგ შემთხვევაში კაბინეტი სრული შემადგენლობით უნდა გადადგეს.

კაბინეტი სრული შემადგენლობით უნდა გადადგეს ასევე პრემიერ-მინისტრის თანამდებობის ვაკანტურად დარჩენის ან წარმომადგენელთა პალატის წევრთა საყოველთაო არჩევნების შემდეგ პარლამენტის პირველი სესიის მოწვევისას. გადადგომის შემთხვევებში კაბინეტი თავისი ფუნქციების შესრულებას აგრძელებს ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნამდე.

კონსტიტუციაში გაწერილია პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის უფლებამოსილება. პრემიერ-მინისტრი, როგორც კაბინეტის წარმომადგენელი, პარლამენტს განსახილველად წარუდგენს კანონპროექტებს, მოახსენებს სახელმწიფო საქმეებისა და საგარეო ურთიერთობების ძირითადი მდგომარეობის შესახებ და კონტროლსა და ზედამხედველობას უწევს სხვადასხვა ადმინის-

ტრაციულ სტრუქტურებს. კაბინეტის კომპეტენციაში შედის კანონების ცხოვრებაში კეთილსინდისიერად გატარება, სახელმწიფო საქმეების წარმართვა; საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობა; ხელშეკრულებების დადება, რისთვისაც საჭიროა პარლამენტის მიერ მისი წინასწარი ან, გარემოებების გათვალისწინებით, შემდგომი დამტკიცება; ბიუჯეტის შედგენა და პარლამენტში განსახილველად შეტანა; საყოველთაო და სპეციალური ამნისტიის, სასჯელის შემსუბუქებისა და გადავადების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

ყველა კანონსა და კაბინეტის ბრძანებას ხელს აწერს კომპეტენტური მინისტრი და ამოწმებს პრემიერ-მინისტრი.

თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში მინისტრებს გააჩნიათ იმუნიტეტი. მათ სასამართლო პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროთ მხოლოდ პრემიერ-მინისტრის თანხმობით.

მთელი სასამართლო ხელისუფლება ეკუთვნის უზენაეს სასამართლოსა და ქვემდგომი ინსტანციის ისეთ სასამართლოებს, რომლებიც კანონით იქმნება. არ შეიძლება დაფუძნდეს განსაკუთრებული სასამართლოები. ადმინისტრაციულ ორგანოებს არ აქვთ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების გზით სასამართლო ხელისუფლების განხორციელების უფლება.

ამჟამად იაპონიაში გარდა უზენაესი სასამართლოში, ფუნქციონირებს უმაღლესი სასამართლოები, რომლებიც პირველი ინსტანციით იხილავენ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს და სააპელაციო ინსტანციით — ქვემდგომი სასამართლოების მიერ განხილულ სისხლისა და სამოქალაქო საქმეებს, ასევე 50 საოლქო სასამართლო ყოველ პრეფექტურაში და დისციპლინარული და საოჯახო სასამართლოები.

უზენაესი სასამართლო არის უმაღლესი ინსტანციის სასამართლო. ამასთან, იგი აღჭურვილია ქვეყნის ერთიანი სამართალწარმოების საპროცედურო წესების, საადვოკატო საქმიანობის, სასამართლოს შინაგანაწესისა და სასამართლო საქმეების მართვის წესების დადგენის უფლებამოსილებით. მას შეუძლია ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებს გადასცეს თავიანთი საქმიანობის წესების დადგენის უფლებამოსილება. პროკურორებმა უნდა დაიცვან უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი წესები. უზენაესი სასამართლო შედგება მთავარი მოსამართლისა და 14 მოსამართლისგან. შექმნილია სამი განყოფილება 5-5 წევრის შემადგენლობით.

კონსტიტუცია მოკლედ, მაგრამ მაინც ამახვილებს ყურადღებას საკონსტიტუციო კონტროლზე. აქტის კონსტიტუციურობის დადგენის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ უზენაეს სასამართლოს. იგი არ არის შეზღუდული რომელიმე კონკრეტული აქტების შემოწმებით და შეუძლია გადაწყვიტოს ყველა ოფიციალური აქტის, მათ შორის, კანონის, ბრძანების, წესის ან სხვა აქტის კონსტიტუციურობის საკითხი. პრაქტიკულად, ეს სასამართლო იშვია-

თად ცნობს ნორმატიულ აქტს არაკონსტიტუციურად: მთელი მისი ფუნქციონირების მანძილზე მხოლოდ ერთხელ იქნა ცნობილი არაკონსტიტუციურად კანონის დებულება.

უზენაესი სასამართლო შედგება მთავარი მოსამართლისა და კანონით დადგენილი რაოდენობის მოსამართლეთაგან; ყველა მოსამართლე, გარდა მთავარი მოსამართლისა ინიშნება კაბინეტის მიერ. იაპონიის კონსტიტუციური სამართლის თავისებურებას წარმოადგენს მოსამართლეთა კორპუსის ნაწილის დამტკიცება სახალხო გზით. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნა ხალხის მიერ უნდა „გადაისინჯოს" წარმომადგენელთა პალატის პირველივე არჩევნების ჩატარების დროს და ანალოგიურად — ყოველ 10 წელიწადში. თუ აღნიშნულ შემთხვევებში ამომრჩეველთა უმრავლესობა ხმას მისცემს რომელიმე მოსამართლის განთავისუფლებას, ასეთი მოსამართლე უნდა განთავისუფლდეს.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები თანამდებობიდან გადადგებიან კანონით დადგენილი ასაკის მიღწევისას. ყველა მოსამართლე იღებს განსაზღვრულ ანაზღაურებას, რომლის ოდენობა მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში არ შეიძლება შემცირდეს.

ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეები ინიშნებიან კაბინეტის მიერ უზენაესი სასამართლოს მიერ წარდგენილ პირთა სიიდან. ყველა ასეთი მოსამართლე თანამდებობას იკავებს 10 წლის განმავლობაში და შემდგომ შესაძლებელია მათი მეორეჯერ დანიშვნა.

კონსტიტუციით იაპონიის ისტორიაში პირველად იქნა განმტკიცებული თვითმმართველობის საკითხები, რომლის თანახმად, იაპონია უნიტარული სახელმწიფოა ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობით. ადგილობრივი ერთეულები ეფუძნება ავტონომიის პრინციპს. იაპონია დაყოფილია 47 პრეფექტურად. საჯარო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა ხელმძღვანელები, მათი კრების წევრები და ზოგიერთი სხვა ადგილობრივი თანამდებობის პირი პირდაპირი არჩევნების გზით აირჩევიან შესაბამისი ადგილობრივი ორგანოს ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მიერ.

ადგილობრივ ორგანოებს უფლება აქვთ განკარგონ თავისი ქონება, წარმართონ საქმიანობა და განახორციელონ ადმინისტრაციული საკითხები, გამოსცენ თავიანთი აქტები. ავტონომიურობა გამოიხატება იმაშიც, რომ პარლამენტს უფლება აქვს კონკრეტული ადგილობრივი ორგანოებისათვის გამოსაყენებელი სპეციალური კანონი მიიღოს მხოლოდ ადგილობრივი ორგანოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ამომრჩეველთა უმრავლესობის თანხმობით.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები. იაპონიის, როგორც მონარქული ქვეყნის კონსტიტუცია მრავალი თავისებურებით ხასიათდება, რომელიც არ წააგავს სხვა ანალოგიებს და თუ იაპონიის კონსტიტუციური

სამართლის უცხოელ მკვლევარებსაც დავუჯერებთ, ბევრ საკითხში რესპუბლიკური მმართველობის ნიშნებითაც კი ხასიათდება. მონარქი წარმოადგენს მხოლოდ ქვეყნის სიმბოლოს, სხვა კონსტიტუციური მონარქიებისგან განსხვავებით, მას ფორმალურადაც კი არ გააჩნია სახელმწიფო ხელისუფლებრივი უფლებამოსილების განხორციელების უფლება;

— თავისებური და გართულებულია კონსტიტუციის გადასინჯვის წესიც, რაც ერთობლივად საპარლამენტო და სახალხო თანხმობას საჭიროებს;

— აქტიური საარჩევნო უფლება 20 წლის ასაკიდან იწყება; პასიური საარჩევნო უფლების განხორციელებისას გათვალისწინებულია ქონებრივი შენატანი;

— კონსტიტუციური რეგულირების სფეროს არ წარმოადგენს პარლამენტის წევრთა რაოდენობის საკითხი, თუნდაც მისი გარკვეული ფარგლების დონეზე;

— პარლამენტი იკრიბება წელიწადში ერთ მორიგ სესიაზე;

— პრემიერ-მინისტრი და მინისტრების უმრავლესობა ინიშნება პარლამენტის წევრთაგან;

— გათვალისწინებულია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატურების პერიოდულად სახალხო დამტკიცების აუცილებლობაც;

— საკონსტიტუციო კონტროლის უფლებით აღჭურვილია უზენაესი სასამართლო;

— იმპიჩმენტი ეხება თანამდებობების საკმაოდ ვიწრო წრეს — მოსამართლეებს და მხოლოდ პარლამენტი, სხვა დამოუკიდებელი ორგანოების გარეშე, მის მიერვე შექმნილი იმპიჩმენტის სასამართლოს მეშვეობით იღებს მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილებას;

— ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნაში მონაწილეობს აღმასრულებელი ხელისუფლება და უზენაესი სასამართლო: ისინი ინიშნებიან კაბინეტის მიერ უზენაესი სასამართლოს მიერ წარდგენილ პირთა სიიდან;

— კონსტიტუცია შეიცავს ე.წ. „მშვიდობიან“ ნორმას, რომლის მიხედვით იაპონიას არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს სამხედრო ოპერაციებში.

— ცენტრალურ ხელისუფლებას არ გააჩნია თვითმმართველობის საქმიანობაში ინტერვენციის უფლება და თუ საჭიროდ ჩათვლის კონკრეტული ერთეულისათვის რაიმე სპეციალური კანონის მიღებას, ამისთვისაც ადგილობრივი მოსახლეობის თანხმობა სჭირდება.

იაპონიის კონსტიტუცია[1]

მიღებულია 1946 წლის 6 ოქტომბერს

ჩვენ, იაპონელი ხალხი, ვმოქმედებთ რა ამგვარი სახით პარლამენტში არჩეული ჩვენი წარმომადგენლების მეშვეობით, გადავწყვიტეთ რა უზრუნველვყოთ ჩვენი და ჩვენი შთამომავლობის სხვა ერებთან მშვიდობიანი თანამშრომლობა და ჩვენი ქვეყნის თავისუფლების კურთხევა, მთავრობამ თავისი მოქმედებით რომ არ დაუშვას ახალი ომის საშინელება, ვაცხადებთ, რომ ხალხი აღჭურვილია სუვერენული ხელისუფლებით და ვადგენთ ამ კონსტიტუციას.

სახელმწიფო ხელისუფლება დაფუძნებულია ხალხის ურყევ ნდობაზე და მისი ავტორიტეტი მომდინარეობს ხალხისგან, მისი უფლებამოსილება ხორციელდება ხალხის წარმომადგენელთა მიერ, ხოლო მისი სიკეთეებით ხალხი სარგებლობს. ეს პრინციპი საერთოა მთელი კაცობრიობისთვის და ეს კონსტიტუციაც მას ეფუძნება. ჩვენ ვაუქმებთ ამ კონსტიტუციის საწინააღმდეგო ყველა კონსტიტუციას, კანონს, ორდონანსსა და რესკრიპტს.

ჩვენი, იაპონელი ხალხის, სურვილია სამარადისო მშვიდობა და ადამიანებს შორის ურთიერთობების განმსაზღვრელად უმაღლეს იდეალებს ვაცხადებთ; ვეყრდნობით რა მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხების სამართლიანობასა და პატიოსნებას, მზად ვართ უზრუნველვყოთ ჩვენი უსაფრთხოება და არსებობა. გვსურს საერთაშორისო თანამეგობრობაში დავიკავოთ საპატიო ადგილი, ვისწრაფვით დავიცვათ მშვიდობა და დედამიწის ზურგზე სამუდამოდ გავანადგუროთ ტირანია და მონობა, ჩაგვრა და შეუწყნარებლობა. ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ მსოფლიოს ხალხებს აქვთ შიშისა და გასაჭირის გარეშე მშვიდობიანი ცხოვრების უფლება.

ჩვენ გვჯერა, რომ არც ერთი სახელმწიფო არ უნდა ხელმძღვანელობდეს მხოლოდ თავისი ინტერესებით, სხვა სახელმწიფოს იგნორირების საფუძველზე, რომ პოლიტიკური მორალის პრინციპები არის საყოველთაო და რომ ამ პრინციპებისადმი მორჩილება ყველა იმ სახელმწიფოს ვალია, რომელიც იცავს საკუთარ სუვერენიტეტს და მხარდაჭერას უცხადებს სხვა სახელმწიფოებთან თანასწორუფლებიან ურთიერთობას.

---

[1] თარგმანისას გამოყენებულია იაპონიის პარლამენტის პალატების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე: www.sangiin.go.jp/eng/law/index.htm და www.shugiin.go.jp/itdb_english.nsf/html/kenpou/english/constitution.htm გამოქვეყნებული იაპონიის კონსტიტუციის ინგლისურენოვანი ტექსტები. ასევე განხილულ იქნა ინტერნეტის სხვა მისამართებზე: www.solon.org/Constitutions/Japan/English/english-Constitution.html და www.intl-lawyers.com/constitution/JP_con_big.htm გამოქვეყნებული მისი ინგლისური და იაპონურენოვანი ტექსტები.

ჩვენ, იაპონელი ხალხი, ვფიცავთ რა ჩვენს ეროვნულ ღირსებას, ძალღონეს არ დავიშურებთ, რათა მივაღწიოთ ამ მაღალ იდეალებსა და მიზნებს.

თავი I. იმპერატორი

მუხლი 1.

იმპერატორი არის სახელმწიფოსა და ხალხის ერთიანობის სიმბოლო. მისი სტატუსი განისაზღვრება სუვერენული ხელისუფლების მატარებელი ხალხის ნებით.

მუხლი 2.

საიმპერატორო ტახტი არის დინასტიური და პარლამენტის მიერ მიღებული საიმპერატორო გვარის შესახებ კანონის შესაბამისად მემკვიდრეობით გადადის.

მუხლი 3.

სახელმწიფოს საქმიანობასთან დაკავშირებული იმპერატორის არც ერთი მოქმედება არ შეიძლება წამოწყებულ იქნეს კაბინეტის რჩევისა და თანხმობის გარეშე, და მასზე კაბინეტი არის პასუხისმგებელი.

მუხლი 4.

1) იმპერატორი ახორციელებს მხოლოდ ამ კონსტიტუციით გათვალისწინებულ სახელმწიფო საქმიანობას მიკუთვნებულ მოქმედებებს და არ არის აღჭურვილი სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებული უფლებამოსილებით.

2) იმპერატორს შეუძლია, კანონის შესაბამისად, სხვა პირს გადასცეს სახელმწიფო საქმიანობასთან დაკავშირებული თავისი მოქმედებების განხორციელების უფლება.

მუხლი 5.

თუ საიმპერატორო გვარის შესახებ კანონის შესაბამისად დგინდება რეგენტობა, სახელმწიფო საქმიანობასთან დაკავშირებულ მოქმედებებს იმპერატორის სახელით ახორციელებს რეგენტი. ამ შემთხვევაში გამოიყენება წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტი.

მუხლი 6.

იმპერატორი პარლამენტის წარდგინებით ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო კაბინეტის წარდგინებით — უზენაესი სასამართლოს მთავარ მოსამართლეს.

მუხლი 7.

იმპერატორი კაბინეტის რჩევითა და თანხმობით, ხალხის სახელით ახორციელებს სახელმწიფო საქმიანობასთან დაკავშირებულ შემდეგ მოქმედებებს:

(1) კონსტიტუციური შესწორებების, კანონების, კაბინეტის ბრძანებებისა და ხელშეკრულებების პრომულგაციას;

(2) პარლამენტის მოწვევას;

(3) წარმომადგენელთა პალატის დათხოვნას;

(4) საყოველთაო საპარლამენტო არჩევნების გამოცხადებას;

(5) კანონის შესაბამისად სახელმწიფო მინისტრთა და სხვა თანამდებობის პირთა დანიშვნისა და განთავისუფლების დამტკიცებას, ასევე ელჩებისა და დიპლომატიური წარმომადგენლების უფლებამოსილებისა და რწმუნების სიგელების დამტკიცებას;

(6) საყოველთაო და განსაკუთრებული ამნისტიის, სასჯელის შემცირებისა და გადავადების და უფლებების აღდგენის დამტკიცებას;

(7) ჯილდოების მინიჭებას;

(8) სარატიფიკაციო სიგელებისა და სხვა დიპლომატიური დოკუმენტების კანონის შესაბამისად დამტკიცებას;

(9) უცხო ქვეყნების ელჩებისა და დიპლომატიური წარმომადგენლების მიღებას;

(10) ცერემონიალის განხორციელებას.

მუხლი 8.

დაუშვებელია საიმპერატორო გვარისთვის რაიმე ქონების გადაცემა ან მის მიერ რაიმე ქონების ან საჩუქრის მიღება პარლამენტის რეზოლუციის გარეშე.

თავი II. ომზე უარის თქმა

მუხლი 9.

1) იაპონელი ხალხი გულწრფელად ისწრაფვის რა სამართლიანობასა და წესრიგზე დაფუძნებული საერთაშორისო მშვიდობისათვის, სამუდამოდ უარს ამბობს ომზე, როგორც ერის სუვერენულ უფლებაზე, ასევე მუქარასა და შეიარაღებული ძალების გამოყენებაზე, როგორც საერთაშორისო დავების გადაწყვეტის საშუალებაზე.

2) წინამდებარე პუნქტში მითითებული მიზნის მისაღწევად, მომავალში არასოდეს შეიქმნება სახმელეთო, საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალები, ისევე როგორც სხვა სამხედრო საშუალებები. სახელმწიფოს მიერ ომის წარმოების უფლება არ არის აღიარებული.

თავი III. ხალხის უფლებები და ვალდებულებები

მუხლი 10.

იაპონიის მოქალაქეობის აუცილებელი პირობები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 11.

ხალხი შეუფერხებლად სარგებლობს ადამიანის ყველა ძირითადი უფლებით. ამ კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებები, როგორც სამარადისო და ურღვევი უფლებები, გადაეცემა ამჟამინდელ და მომავალ თაობებს.

მუხლი 12.

ამ კონსტიტუციით ხალხისთვის გარანტირებული თავისუფლებები და უფლებები მხარდაჭერილ უნდა იქნეს ხალხის მუდმივი ძალისხმევით. ხალხმა თავი უნდა შეიკავოს ამ თავისუფლებებისა და უფლებების ნებისმიერი ბოროტად გამოყენებისაგან და ხალხი მუდმივ პასუხისმგებლობას ატარებს მათ საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის გამოყენებაზე.

მუხლი 13.

ყოველი პირი დაფასებულ უნდა იქნეს როგორც პიროვნება. მისი სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ სწრაფვის უფლება, თუ ეს არ არღვევს საზოგადოებრივ კეთილდღეობას კანონმდებლობისა და სხვა სახელმწიფოებრივი საქმიანობის სფეროში, წარმოადგენს ზრუნვის უმაღლეს საგანს.

მუხლი 14.

1) ყოველი ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია და პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობებში დაუშვებელია მისი დისკრიმინაცია რასის, რელიგიის, სქესის, სოციალური მდგომარეობისა და წარმოშობის მოტივით.

2) პერობა და სხვა არისტოკრატული ინსტიტუტები არ არის აღიარებული.

3) საპატიო წოდებების, ჯილდოების ან წარჩინების ნიშნების მისაკუთვნებლად არანაირი პრივილეგიები არ გამოიყენება და ყოველი ამგვარი ჯილდო მხოლოდ იმ პირის სიცოცხლეში მოქმედებს, რომელიც მას ამ დროისთვის ფლობს ან შეძლებს მის მომავალში მიღებას.

მუხლი 15.

1) ხალხი ფლობს საჯარო თანამდებობის პირების არჩევისა და თანამდებობიდან გადაყენების ხელშეუვალ უფლებას.

2) ყველა თანამდებობის პირი წარმოადგენს მთელი საზოგადოების და არა მისი რომელიმე ნაწილის მსახურს.

3) საჯარო თანამდებობის პირების არჩევისას საარჩევნო უფლება სრულწლოვანებისთვის არის გარანტირებული.

4) არც ერთი არჩევნების წარმართვისას არ შეიძლება დაირღვეს ფარული კენჭისყრა. ამომრჩეველი არც საჯაროდ და არც კერძოდ არ ატარებს პასუხისმგებლობას მის მიერ გაკეთებული არჩევანისთვის.

მუხლი 16.

ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი პეტიციით მიმართოს ზიანის ანაზღაურების, საჯარო თანამდებობის პირთა შეცვლის, კანონების, ორდონანსებისა და წესების გაუქმების ან შესწორების, ასევე სხვა საკითხების შესახებ; ამგვარი პეტიციის შეტანისას დაუშვებელია რომელიმე პირის შეზღუდვა.

მუხლი 17.

ყველას აქვს უფლება, კანონის შესაბამისად, სახელმწიფოს ან საჯარო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს მოსთხოვოს ზარალის ანაზღაურება, თუ მას ზიანი მიადგა რომელიმე საჯარო თანამდებობის პირის უკანონო მოქმედებით.

მუხლი 18.

არავინ არ შეიძლება რაიმე ფორმით დაექვემდებაროს მონობას. აკრძალულია იძულებითი შრომა, გარდა დანაშაულის ჩადენისათვის დაკისრებული სასჯელის სახისა.

მუხლი 19.

არ შეიძლება დაირღვეს აზრისა და სინდისის თავისუფლება.

მუხლი 20.

1) ყველასთვის გარანტირებულია რელიგიის თავისუფლება. არც ერთმა რელიგიურმა ორგანიზაციამ არ შეიძლება სახელმწიფოსგან მიიღოს რაიმე პრივილეგია და არ შეიძლება ისარგებლოს პოლიტიკური ხელისუფლებით.

2) დაუშვებელია პირის იძულება რელიგიურ მოქმედებებში, დღესასწაულებში, ცერემონიალებში ან წესებში მონაწილეობაზე.

3) სახელმწიფომ და მისმა ორგანოებმა თავი უნდა შეიკავონ რელიგიური სწავლებისა და რაიმე რელიგიური საქმიანობის წარმართვისაგან.

მუხლი 21.

1) გარანტირებულია შეკრებისა და გაერთიანების, ასევე სიტყვის, ბეჭდვის და აზრის ყველა სხვა ფორმით გამოთქმის თავისუფლება.

2) ყოველგვარი ცენზურა დაუშვებელია. არ შეიძლება დაირღვეს კორესპონდენციის საიდუმლოება.

მუხლი 22.

1) ყოველი პიროვნება სარგებლობს საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლებით, ვინაიდან ეს არ არღვევს საზოგადოებრივ კეთილდღეობას.

2) არ შეიძლება დაირღვეს საზღვარგარეთ გამგზავრებისა და მოქალაქეობაზე უარის თქმის თავისუფლება.

მუხლი 23.

გარანტირებულია სამეცნიერო საქმიანობის თავისუფლება.

მუხლი 24.

1) ქორწინება ეფუძნება ორივე მხარის ურთიერთთანხმობას და განმტკიცებულია ურთიერთთანამშრომლობით, რასაც საფუძვლად უდევს მეუღლეთა უფლებების თანასწორობა.

2) მეუღლის არჩევასთან, მეუღლეთა ქონებრივ უფლებებთან, მემკვიდრეობასთან, საცხოვრებელი ადგილის არჩევასთან, განქორწინებასთან, ქორწინებისა და ოჯახის სხვა საკითხებთან დაკავშირებული კანონები შედგენილი უნდა იქნეს პირადი ღირსებისა და სქესთა თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე.

მუხლი 25.

1) ყველას აქვს ჯანმრთელობისა და კულტურული ცხოვრების მინიმალურ დონეზე დაცვის უფლება.

2) სახელმწიფო ყველა ღონეს ხმარობს ცხოვრების ყველა სფეროში საზოგადოებრივი კეთილდღეობის, სოციალური უზრუნველყოფის, ხალხის სიჯანსაღის დონის ამაღლებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

მუხლი 26.

1) ყველას აქვს თავისი შესაძლებლობის შესაბამისად კანონით გათვალისწინებული წესით განათლების მიღების თანაბარი უფლება.

2) ყველა ვალდებულია კანონის შესაბამისად უზრუნველყოს მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვების სავალდებულო განათლება. სავალდებულო განათლება უფასოა.

მუხლი 27.

1) ყველას აქვს შრომის უფლება და ვალდებულია იშრომოს.

2) ხელფასი, სამუშაო დრო, დასვენება და სხვა სამუშაო პირობები განისაზღვრება კანონით.

3) აკრძალულია ბავშვების ექსპლუატაცია.

მუხლი 28.

გარანტირებულია მშრომელთა ორგანიზაციის შექმნის, ასევე კოლექტიური მოლაპარაკებისა და კოლექტიურად მოქმედების უფლება.

მუხლი 29.

1) საკუთრების უფლება არ უნდა დაირღვეს.

2) საკუთრების უფლება განისაზღვრება კანონით ისე, რომ არ ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოებრივ კეთილდღეობას.

3) კერძო საკუთრება შეიძლება გამოყენებულ იქნეს საჯარო ინტერესებისათვის სამართლიანი ანაზღაურებით.

მუხლი 30.

მოსახლეობა კანონის შესაბამისად იბეგრება გადასახადებით.

მუხლი 31.

არავის არ შეიძლება ჩამოერთვას სიცოცხლე ან თავისუფლება ან დაეკისროს რაიმე სასჯელი, კანონით დადგენილი შესაბამისი პროცედურის გარეშე.

მუხლი 32.

არავის არ შეიძლება ჩამოერთვას საქმის სასამართლოში განხილვის უფლება.

მუხლი 33.

დაუშვებელია პირის დაპატიმრება, გარდა დანაშაულის ჩადენის ადგილზე დაპატიმრების ან მართლმსაჯულების კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ბრძანებისა, სადაც მითითებულია დანაშაული, რომელიც არის დაკავების მიზეზი.

მუხლი 34.

არავინ არ შეიძლება იქნეს დაკავებული ან დაექვემდებაროს თავისუფლების აღკვეთას, თუ მას დაუყოვნებლივ არ წაეყენება ბრალი და მიეცემა ადვოკატისთვის მიმართვის უფლება. არავინ არ შეიძლება იქნეს დაკავებული ამგვარი სახით, სათანადო საფუძვლის არსებობის გარეშე. ამის შესახებ შესაბამისი მოთხოვნის არსებობისას დაუყოვნებლივ ეცნობება სასამართლოს ღია სხდომაზე, დაკავებულისა და მისი ადვოკატის თანდასწრებით.

მუხლი 35.

1) არ შეიძლება დაირღვეს პირის საცხოვრებელი ადგილის, დოკუმენტების ხელშეუხებლობისა და ქონების ხელყოფისაგან დაცვის უფლება, გარდა 33-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა ან საფუძვლიანი მიზეზების არსებობისას გამოცემული იმ ბრძანების შესაბამისად ჩასატარებელი

ჩხრეკისა და ამოღებისას, რომელშიც მითითებულია გასაჩხრეკი ადგილი და აპოსაღები საგანი.

2) ყოველი ჩხრეკა და ამოღება წარიმართება მართლმსაჯულების ორგანოების კომპეტენტური მუშაკის მიერ გამოცემული ცალკეული ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 36.

კატეგორიულად იკრძალება საჯარო თანამდებობის პირების მიერ წამებისა და სასტიკი სასჯელების გამოყენება.

მუხლი 37.

1) ყველა სისხლისსამართლებრივ საქმეზე ბრალდებულს აქვს თავისი საქმის მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ სწრაფი და ღია განხილვის უფლება.

2) სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულს ეძლევა სრული შესაძლებლობა დაკითხოს ყველა მოწმე. მას აქვს უფლება, სახელმწიფოს ხარჯზე, იძულებითი წესით გამოიძახოს მოწმეები.

3) სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულს ყველა შემთხვევაში შეუძლია დასახმარებლად მიმართოს კვალიფიციურ ადვოკატს; იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულს არ შესწევს ამის უნარი, ადვოკატი ინიშნება სახელმწიფოს მიერ.

მუხლი 38.

1) დაუშვებელია პირის იძულება ჩვენება მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ.

2) იძულებით, წამების ქვეშ, მუქარით, გაუმართლებელი ხანგრძლივობის დაპატიმრების ან დაკავებისას აღიარება არ შეიძლება განხილულ იქნეს მტკიცებულებად.

3) არავინ არ შეიძლება იქნეს მსჯავრდებული ან დაექვემდებაროს სასჯელს, იმ შემთხვევაში, როდესაც მის წინააღმდეგ ერთადერთი მტკიცებულება მისი საკუთარი აღიარებაა.

მუხლი 39.

არავინ არ შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში იმ ქმედებისთვის, რომელიც მისი ჩადენის მომენტში კანონიერი იყო ან რომელთან დაკავშირებითაც იგი გამართლებულ იქნა. არავინ არ შეიძლება ერთი და იგივე დანაშაულისთვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში ორჯერ იქნეს მიცემული.

მუხლი 40.

დაპატიმრების ან დაკავების შემდეგ სასამართლოს მიერ გამართლების შემთხვევაში ყველას აქვს კანონის შესაბამისად ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის წარდგენის უფლება.

თავი IV. პარლამენტი

მუხლი 41.

პარლამენტი არის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო და ქვეყნის ერთადერთი საკანონმდებლო ორგანო.

მუხლი 42.

პარლამენტი შედგება ორი პალატის — წარმომადგენელთა პალატისა და მრჩეველთა პალატისაგან.

მუხლი 43.

1) ორივე პალატა შედგება არჩევითი წევრებისაგან, რომლებიც წარმოადგენენ მთელ ხალხს.

2) თითოეული პალატის წევრთა რაოდენობა დგინდება კანონით.

მუხლი 44.

ორივე პალატის წევრთა, ასევე მათ ამომრჩეველთა საარჩევნო ცენზები განისაზღვრება კანონით. თუმცა ამ შემთხვევაში დაუშვებელია რასის, რელიგიის, სქესის, სოციალური მდგომარეობის, წარმოშობის, განათლების, ქონებრივი მდგომარეობის ან შემოსავლების მოტივით დისკრიმინაცია.

მუხლი 45.

წარმომადგენელთა პალატის წევრთა უფლებამოსილების ვადა ოთხი წელია. თუმცა, წარმომადგენელთა პალატის დათხოვნის შემთხვევაში, მათი უფლებამოსილება წყდება სრული ვადის გასვლამდე.

მუხლი 46.

მრჩეველთა პალატის უფლებამოსილების ვადა ექვსი წელია. ამასთან, ყოველ სამ წელიწადში განახლდება პალატის წევრთა ნახევარი.

მუხლი 47.

საარჩევნო ოლქების, ხმის მიცემის საშუალებების და პალატების წევრთა არჩევასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 48.

არავის არ აქვს უფლება ერთდროულად იყოს ორივე პალატის წევრი.

მუხლი 49.

ორივე პალატის წევრები, კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ხაზინიდან ყოველწლიურად იღებენ განსაზღვრულ ანაზღაურებას.

მუხლი 50.

არც ერთი პალატის წევრები არ შეიძლება დაპატიმრებულ იქნენ პარლამენტის სესიის პერიოდში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა; სესიის დაწყებამდე დაპატიმრებული პარლამენტის წევრები შესაბამისი პალატის მოთხოვნით სესიის პერიოდში უნდა განთავისუფლდნენ.

მუხლი 51.

არც ერთი პალატის წევრები არ აგებენ პასუხს პარლამენტის კედლებს გარეთ გამოთქმული სიტყვების, გამონათქვამებისა და ხმის მიცემისათვის პალატაში.

მუხლი 52.

პარლამენტის მორიგი სესია მოიწვევა წელიწადში ერთხელ.

მუხლი 53.

კაბინეტს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება პარლამენტის საგანგებო სესიების მოწვევის შესახებ. პარლამენტმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება პარლამენტის საგანგებო სესიის მოსაწვევად, თუ ამას მოითხოვს ერთ-ერთი პალატის წევრთა საერთო რაოდენობის მეოთხედზე მეტი.

მუხლი 54.

1) წარმომადგენელთა პალატის დათხოვნის შემთხვევაში, მისი დათხოვნის დღიდან ორმოცი (40) დღის განმავლობაში უნდა ჩატარდეს წარმომადგენელთა პალატის საყოველთაო არჩევნები, ხოლო არჩევნების ჩატარების დღიდან ოცდაათი (30) დღის განმავლობაში მოწვეულ უნდა იქნეს პარლამენტი.

2) წარმომადგენელთა პალატის დათხოვნისას სხდომებს იმავდროულად წყვეტს მრჩეველთა პალატა. თუმცა საგანგებო მდგომარეობის არსებობისას კაბინეტს შეუძლია მოიწვიოს მრჩეველთა პალატის საგანგებო სესია.

3) წინა პუნქტში მოხსენიებულ საგანგებო სესიაზე მიღებული ზომები დროებითია და ძალას კარგავს, თუ პარლამენტის შემდგომი სესიის გახსნის მომენტიდან ათი (10) დღის ვადაში წარმომადგენელთა პალატის მიერ არ იქნება დამტკიცებული.

მუხლი 55.

ყოველი პალატა წყვეტს თავის წევრთა კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ დავებს. იმისთვის, რომ შეწყდეს რომელიმე დეპუტატის უფლებამოსილება, აუცილებელია რეზოლუციის მიღება დამსწრე წევრთა არანაკლებ ორი მესამედის ხმათა უმრავლესობით.

მუხლი 56.

1) თითოეულ პალატას შეუძლია წარმართოს საქმიანობა სხდომაზე მის წევრთა საერთო რაოდენობის არანაკლებ მესამედის დასწრებისას.

2) თითოეული პალატა ყველა საკითხს წყვეტს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, გარდა ამ კონსტიტუციით სპეციალურად გათვალისწინებული შემთხვევებისა; ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია.

მუხლი 57.

1) ორივე პალატის სხდომები ღიაა. თუმცა, შეიძლება ჩატარდეს დახურული სხდომებიც, თუ დამსწრე წევრთა არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით მის შესახებ მიღებულია რეზოლუცია.

2) ყოველ პალატას გააჩნია თავისი სხდომების დღის წესრიგი. ეს დღის წესრიგი უნდა გამოქვეყნდეს და გავრცელდეს საყოველთაო გაცნობისათვის, გარდა დახურული სხდომების დღის წესრიგისა, რომლებიც საიდუმლოდ ითვლება.

3) დამსწრე წევრთა არანაკლებ მეხუთედის მოთხოვნით ყოველი წევრის მიერ ნებისმიერი საკითხისათვის ხმის მიცემა უნდა აღინიშნოს დღის წესრიგში.

მუხლი 58.

1) თითოეული პალატა ირჩევს თავმჯდომარესა და სხვა თანამდებობის პირებს.

2) თითოეული პალატა ადგენს თავისი სხდომების წარმართვის, პროცედურების, შინაგანი დისციპლინის წესებს და თავისი წევრების მიერ დისციპლინის დარღვევისთვის შეუძლია სასჯელის გამოყენება. პალატის შემადგენლობიდან წევრის გარიცხვისათვის აუცილებელია რეზოლუციის მიღება დამსწრე წევრთა არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

მუხლი 59.

1) გარდა კონსტიტუციით სპეციალურად გათვალისწინებული შემთხვევებისა, კანონპროექტი კანონი ხდება ორივე პალატის მიერ მიღების შემდეგ.

2) წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებული კანონპროექტი, რომლის შესახებაც მრჩეველთა პალატამ წარმომადგენელთა პალატისაგან განსხვავე-

ბული გადაწყვეტილება მიიღო, კანონი ხდება წარმომადგენელთა პალატის დამსწრე წევრთა არანაკლებ ორი მესამედის მიერ მისი ხელმეორედ დამტკიცების შემდეგ.

3) წინა პუნქტის დებულება წარმომადგენელთა პალატას არ უკრძალავს კანონის შესაბამისად ორივე პალატის ერთობლივი სხდომის მოწვევის მოთხოვნის უფლებას.

4) თუ მრჩეველთა პალატა წარმომადგენელთა პალატის მიერ კანონპროექტთან დაკავშირებით მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებას არ დაამტკიცებს სამოცი (60) დღის განმავლობაში, მისი მიღების შემდეგ საპარლამენტო მუშაობის შესვენების დროის ჩაუთვლელად, მაშინ წარმომადგენელთა პალატას შეუძლია ეს მიიჩნიოს მრჩეველთა პალატის მიერ ამ კანონის უარყოფად.

მუხლი 60.

1) ბიუჯეტი თავდაპირველად განსახილველად წარედგინება წარმომადგენელთა პალატას.

2) თუ მრჩეველთა პალატა ბიუჯეტის შესახებ მიიღებს წარმომადგენელთა პალატისგან განსხვავებულ გადაწყვეტილებას და თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული არც კანონით გათვალისწინებული ორივე პალატის გაერთიანებული სხდომის დახმარებით, ან თუ მრჩეველთა პალატამ არ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება წარმომადგენელთა პალატის მიერ ბიუჯეტის მიღებიდან ოცდაათ (30) დღეში (პარლამენტის მუშაობაში შესვენების დროის ჩაუთვლელად), წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილება ხდება პარლამენტის გადაწყვეტილება.

მუხლი 61.

წინამდებარე მუხლის მეორე პუნქტი გამოიყენება ასევე პარლამენტის მიერ ხელშეკრულებების დამტკიცებისას.

მუხლი 62.

თითოეულ პალატას აქვს სახელმწიფო მმართველობის საკითხების თაობაზე გამოძიების წარმოების უფლება. ამავე დროს უფლება აქვს მოითხოვოს მოწმეების დასწრება და ჩვენების მიცემა, ასევე ოქმების წარმოდგენა.

მუხლი 63.

პრემიერ-მინისტრსა და სხვა სახელმწიფო მინისტრებს, იმის მიუხედავად, არიან თუ არა რომელიმე პალატის წევრები, ნებისმიერ დროს შეუძლიათ კანონპროექტთან დაკავშირებით საპასუხოდ ან ახსნა-განმარტების მისაცემად დაესწრონ ნებისმიერი პალატის სხდომას.

მუხლი 64.

1) პარლამენტი ორივე პალატის წევრთაგან ქმნის იმ მოსამართლეთა დარღვევების იმპიჩმენტის წესით განმხილველ სასამართლოს, რომელთა წინააღმდეგაც აღძრულია საქმე თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

2) იმპიჩმენტის წესით განხილვასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება კანონით.

თავი V. კაბინეტი

მუხლი 65.

აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს კაბინეტი.

მუხლი 66.

1) კაბინეტი კანონის შესაბამისად შედგება მისი ხელმძღვანელი პრემიერ-მინისტრისა და სხვა სახელმწიფო მინისტრებისგან.

2) პრემიერ-მინისტრი და სხვა სახელმწიფო მინისტრები უნდა იყვნენ სამოქალაქო პირები.

3) კაბინეტი აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებისას პარლამენტის წინაშე კოლექტიურად არის პასუხისმგებელი.

მუხლი 67.

1) პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის წარდგენა ხდება პარლამენტის რეზოლუციით პარლამენტის წევრთა რიცხვიდან. ეს წარდგენა წინ უნდა უსწრებდეს პარლამენტის ყველა სხვა საქმეს.

2) თუ წარდგენის შესახებ წარმომადგენელთა პალატამ და მრჩეველთა პალატამ მიიღეს განსხვავებული რეზოლუციები და თუ შეთანხმება არ იქნა მიღწეული არც კანონით გათვალისწინებული ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე ან თუ მრჩეველთა პალატამ არ მიიღო წარდგენის შესახებ გადაწყვეტილება წარმომადგენელთა პალატის მიერ მისი წარდგენიდან ათი (10) დღის განმავლობაში, პარლამენტის მუშაობაში შესვენების დროის ჩაუთვლელად, წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილება ხდება პარლამენტის გადაწყვეტილება.

მუხლი 68.

1) პრემიერ-მინისტრი ნიშნავს სახელმწიფო მინისტრებს. ამასთან, მინისტრთა უმრავლესობა არჩეულ უნდა იქნეს პარლამენტის წევრთა შემადგენლობიდან.

2) პრემიერ-მინისტრს შეუძლია სახელმწიფო მინისტრები თავისი შეხედულებისამებრ გადააყენოს თანამდებობიდან.

მუხლი 69.

თუ წარმომადგენელთა პალატა მიიღებს უნდობლობის შესახებ რეზოლუციის პროექტს ან უარყოფს ნდობის შესახებ რეზოლუციის პროექტს და თუ ათი (10) დღის განმავლობაში წარმომადგენელთა პალატა არ იქნება დათხოვნილი, კაბინეტი სრული შემადგენლობით უნდა გადადგეს.

მუხლი 70.

პრემიერ-მინისტრის თანამდებობის გათავისუფლების ან წარმომადგენელთა პალატის წევრთა საყოველთაო არჩევნების შემდეგ პარლამენტის პირველი სესიის მოწვევისას კაბინეტი სრული შემადგენლობით უნდა გადადგეს.

მუხლი 71.

წინამდებარე ორ მუხლში აღნიშნულ შემთხვევებში კაბინეტი თავისი ფუნქციების შესრულებას აგრძელებს ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნამდე.

მუხლი 72.

პრემიერ-მინისტრი, როგორც კაბინეტის წარმომადგენელი, პარლამენტს განსახილველად წარუდგენს კანონპროექტებს, მოახსენებს სახელმწიფო საქმეებისა და საგარეო ურთიერთობების ძირითადი მდგომარეობის შესახებ და კონტროლსა და ზედამხედველობას უწევს სხვადასხვა ადმინისტრაციულ სტრუქტურებს.

მუხლი 73.

კაბინეტი სხვა საერთო მმართველობით ფუნქციებთან ერთად ახორციელებს უფლებამოსილებას, რომელსაც განეკუთვნება:

(1) კანონების ცხოვრებაში კეთილსინდისიერად გატარება, სახელმწიფო საქმეების წარმართვა;

(2) საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობა;

(3) ხელშეკრულებების დადება. ამასთან, საჭიროა პარლამენტის მიერ მისი წინასწარი ან, გარემოებების გათვალისწინებით, შემდგომი დამტკიცება;

(4) კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად სამოქალაქო სამსახურის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა;

(5) ბიუჯეტის შედგენა და პარლამენტში განსახილველად შეტანა;

(6) ამ კონსტიტუციისა და კანონების დებულებების ცხოვრებაში გასატარებლად კაბინეტის ბრძანებების გამოცემა. ამასთან, კაბინეტის ბრძანებები, გარდა შესაბამისი კანონით ნებართვისა, არ შეიძლება შეიცავდეს დებულებებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის შესახებ;

(7) საყოველთაო და სპეციალური ამნისტიის, სასჯელის შემსუბუქებისა და გადავადების უფლებების აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

მუხლი 74.

ყველა კანონსა და კაბინეტის ბრძანებას ხელს აწერს კომპეტენტური სახელმწიფო მინისტრი და ამოწმებს პრემიერ-მინისტრი.

მუხლი 75.

სახელმწიფო მინისტრებს თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში პრემიერ-მინისტრის თანხმობის გარეშე არ შეიძლება დაეკისროთ სასამართლო პასუხისმგებლობა. თუმცა, ამით არ ილახება სასამართლო წესით პასუხისგებაში მიცემის უფლება.

თავი VI. სასამართლო ხელისუფლება

მუხლი 76.

1) მთელი სასამართლო ხელისუფლება ეკუთვნის უზენაეს სასამართლოსა და ქვემდგომი ინსტანციის ისეთ სასამართლოებს, რომლებიც კანონით იქმნება.

2) არ შეიძლება დაფუძნდეს განსაკუთრებული სასამართლოები. ადმინისტრაციულ ორგანოებს არ აქვთ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების გზით სასამართლო ხელისუფლების განხორციელების უფლება.

3) ყველა მოსამართლე დამოუკიდებელია, მოქმედებს საკუთარი სინდისით და ემორჩილება მხოლოდ ამ კონსტიტუციასა და კანონებს.

მუხლი 77.

1) უზენაესი სასამართლო აღჭურვილია სამართალწარმოების საპროცედურო წესების, საადვოკატო საქმიანობის, სასამართლოს შინაგანაწესისა და სასამართლო საქმეების მართვის წესების დადგენის უფლებამოსილებით.

2) პროკურორებმა უნდა დაიცვან უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი წესები.

3) უზენაეს სასამართლოს შეუძლია ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებს გადასცეს თავიანთი საქმიანობის წესების დადგენის უფლებამოსილება.

მუხლი 78.

არ შეიძლება მოსამართლე იმპიჩმენტის წესით გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან საქმის საჯარო განხილვის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი სასამართლო წესით გონებრივად ან ფიზიკურად ქმედუუნაროდ არის აღიარებული, რათა შეასრულოს თავისი ვალდებულებები. ადმინისტრაციულ ორგანოებს არ შეუძლიათ მოსამართლეების მიმართ გამოიყენონ დისციპლინური სახდელები.

მუხლი 79.

1) უზენაესი სასამართლო შედგება მთავარი მოსამართლისა და კანონით დადგენილი რაოდენობის მოსამართლეთაგან; ყველა მოსამართლე, გარდა მთავარი მოსამართლისა, ინიშნება კაბინეტის მიერ.

2) უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნა ხალხის მიერ გადაისინჯება ამ დანიშვნის შემდეგ წარმომადგენელთა პალატის პირველი საყოველთაო არჩევნების ჩატარებისას და შეიძლება ხელახლა გადაისინჯოს წარმომადგენელთა პალატის წევრთა პირველ საყოველთაო არჩევნებზე ათი (10) წლის შემდეგ. ეს პროცედურა შემდგომ ამავე წესით მეორდება.

3) თუ წინა პუნქტში აღნიშნულ შემთხვევებში ამომრჩეველთა უმრავლესობა ხმას მისცემს რომელიმე მოსამართლის განთავისუფლებას, ასეთი მოსამართლე უნდა განთავისუფლდეს.

4) გადასინჯვასთან დაკავშირებული ყველა საკითხი განისაზღვრება კანონით.

5) უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები თანამდებობიდან გადადგებიან კანონით დადგენილი ასაკის მიღწევისას. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები დადგენილ ვადებში იღებენ განსაზღვრულ ანაზღაურებას, რომლის ოდენობა მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში არ შეიძლება შემცირდეს.

მუხლი 80.

1) ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეები ინიშნებიან კაბინეტის მიერ უზენაესი სასამართლოს მიერ წარდგენილ პირთა სიიდან. ყველა ასეთი მოსამართლე თანამდებობას იკავებს ათი (10) წლის განმავლობაში და შემდგომ შესაძლებელია მათი მეორეჯერ დანიშვნა. თუმცა, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევისას, ისინი უნდა გადადგნენ.

2) ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეები დადგენილ ვადებში იღებენ განსაზღვრულ ანაზღაურებას, რომლის ოდენობა მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში არ შეიძლება შემცირდეს.

მუხლი 81.

უზენაესი სასამართლო არის უმაღლესი ინსტანციის სასამართლო და უფლებამოსილია გადაწყვიტოს ნებისმიერი კანონის, ბრძანების, წესის ან სხვა ოფიციალური აქტის კონსტიტუციურობის საკითხი.

მუხლი 82.

1) სასამართლოში საქმის განხილვა და გადაწყვეტილების გამოცხადება მიმდინარეობს ღია სხდომაზე.

2) თუ სასამართლო ერთხმად გადაწყვეტს, რომ საჯაროობა წარმოადგენს საშიშროებას საჯარო წესრიგისა და მორალისათვის, განხილვა შეიძ-

ლება წარიმართოს დახურულ სხდომაზე. თუმცა, პოლიტიკური, ბეჭდვით სიტყვასთან დაკავშირებული დანაშაულები და ის საქმეები, რომლებშიც ამ კონსტიტუციის მესამე თავით გარანტირებული უფლებები ირღვევა, ყოველთვის ღია სხდომაზე განიხილება.

თავი VII. ფინანსები

მუხლი 83.

სახელმწიფო ფინანსების განკარგვის უფლება ხორციელდება პარლამენტის გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 84.

ახალი გადასახადების შემოღება და არსებულის შეცვლა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონის საფუძველზე ან კანონით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

მუხლი 85.

პარლამენტის გადაწყვეტილების გარეშე დაუშვებელია ყოველგვარი სახელმწიფო საშუალებების ხარჯვა და სახელმწიფო ფულადი ვალდებულებების მიღება.

მუხლი 86.

კაბინეტი ყოველ საფინანსო წელს ადგენს და პარლამენტს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ბიუჯეტს.

მუხლი 87.

ბიუჯეტის გაუთვალისწინებელი დეფიციტის დასაფარავად პარლამენტის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას სარეზერვო ფონდი, რომლის ხარჯვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება კაბინეტს.

სარეზერვო ფონდის სახსრებსა და ყველა ასიგნაციასთან დაკავშირებით კაბინეტმა პარლამენტისგან უნდა მიიღოს შემდგომი თანხმობა.

მუხლი 88.

საიმპერატორო გვარის მთელი ქონება სახელმწიფოს საკუთრებაა. პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს საიმპერატორო გვარის გასავლები, როგორც ბიუჯეტის ნაწილი.

მუხლი 89.

სახელმწიფოს არანაირი ფულადი საშუალება ან სხვა ქონება არ შეიძლება გაიხარჯოს და მიეკუთვნოს რომელიმე ისეთ რელიგიურ დაწესებულებას, გაერთიანებას ან რომელიმე საქველმოქმედო, საგანმანათლებლო ან ფილანტროფიულ დაწესებულებას გამოყენების, სარგებლობის ან შენახვისათვის, რომელიც არ იმყოფება საჯარო ხელისუფლების კონტროლის ქვეშ.

მუხლი 90.

1) სახელმწიფოს გასავლებისა და შემოსავლების შესახებ საბოლოო ანგარიში ყოველწლიურად ექვემდებარება რევიზიას სარევიზიო საბჭოში და საფინანსო წლის განმავლობაში უშუალოდ შემდგომ საანგარიშო პერიოდში რევიზიის შესახებ მოხსენებასთან ერთად კაბინეტის მიერ წარედგინება პარლამენტს.

2) სარევიზიო საბჭოს სტრუქტურა და უფლებამოსილება განისაზღვრება კანონით.

მუხლი 91.

მინისტრთა კაბინეტი რეგულარულად, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ, პარლამენტსა და ხალხს მოახსენებს სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობის შესახებ.

თავი VIII. ადგილობრივი თვითმმართველობა

მუხლი 92.

საჯარო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ორგანიზაციისა და მუშაობის წესები განისაზღვრება კანონით, ადგილობრივი ავტონომიის პრინციპის შესაბამისად.

მუხლი 93.

1) საჯარო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან, კანონის შესაბამისად, სათათბირო ორგანოების სახით იქმნება კრებები.

2) საჯარო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა ხელმძღვანელი თანამდებობის პირები, მათი კრების წევრები და კანონით განსაზღვრული სხვა ადგილობრივი თანამდებობის პირები, პირდაპირი არჩევნების გზით აირჩევიან საჯარო ხელისუფლების შესაბამისი ადგილობრივი ორგანოს ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მიერ.

მუხლი 94.

საჯარო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს უფლება აქვთ განკარგონ თავისი ქონება, წარმართონ საქმიანობა და განახორციელონ ადმინის-

ტრაციული საკითხები; მათ შეუძლიათ კანონის ფარგლებში გამოსცენ თავიანთი აქტები.

მუხლი 95.

პარლამენტს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად, საჯარო ხელისუფლების კონკრეტული ადგილობრივი ორგანოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ამომრჩეველთა უმრავლესობის თანხმობით მიიღოს მხოლოდ საჯარო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის გამოსაყენებელი სპეციალური კანონი.

თავი IX. შესწორებები

მუხლი 96.

1) ამ კონსტიტუციაში შესწორებების შეტანა ხდება პარლამენტის ინიციატივით, თითოეული პალატის წევრთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ორი მესამედის თანხმობით, ხოლო დასამტკიცებლად წარედგინება ხალხს; შესწორება დამტკიცებულად ჩაითვლება, თუ მას სპეციალურ რეფერენდუმზე ან არჩევნებზე — როგორც პარლამენტი გადაწყვეტს, ხმას მისცემს კენჭისყრაში მონაწილეთა უმრავლესობა.

2) ამ სახით დამტკიცებულ შესწორებებს, როგორც ამ კონსტიტუციის განუყოფელ ნაწილს, ხალხის სახელით დაუყოვნებლივ ხელს აწერს და აქვეყნებს იმპერატორი.

თავი X. უზენაესი კანონი

მუხლი 97.

ამ კონსტიტუციით იაპონელი ხალხისთვის გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებები არის ხალხის თავისუფლებისათვის დიადი ბრძოლის შედეგი. ამ უფლებებმა წარსულში მკაცრი განსაცდელი განიცადა და ბოძებულია ამჟამინდელი და მომავალი თაობებისთვის იმ იმედით, რომ სამარადისოდ დარჩებიან ურღვევად.

მუხლი 98.

1) ეს კონსტიტუცია არის ქვეყნის უზენაესი კანონი და არც ერთ კანონს, ორდონანსს, საიმპერატორო რესკრიპტს ან სხვა სახელმწიფო აქტს, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ ეწინააღმდეგება მის დებულებებს, არ აქვს კანონიერი ძალა.

2) იაპონიის მიერ დადებული ხელშეკრულებები და საერთაშორისო სამართლით დადგენილი ნორმები კეთილსინდისიერად უნდა იქნეს დაცული.

მუხლი 99.

იმპერატორი ან რეგენტი, ისევე როგორც სახელმწიფო მინისტრები, პარლამენტის წევრები, მოსამართლეები და ყველა სხვა საჯარო თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან პატივისცემით მოეკიდონ და დაიცვან ეს კონსტიტუცია.

თავი XI. დამატებითი დებულებები

მუხლი 100.

1) ეს კონსტიტუცია ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან ექვსი თვის შემდეგ.

2) ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლისთვის აუცილებელი კანონები უნდა გამოიცეს და მრჩეველთა პალატის წევრთა არჩევნები, პარლამენტის მოწვევის პროცედურა და ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლისთვის აუცილებელი სხვა მოსამზადებელი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს წინა პუნქტით გათვალისწინებულ თარიღამდე.

მუხლი 101.

თუ ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის მომენტისათვის მრჩეველთა პალატა არ იქნება დაკომპლექტებული, მის დაკომპლექტებამდე პარლამენტის სახით იმოქმედებს წარმომადგენელთა პალატა.

მუხლი 102.

პირველი მოწვევის მრჩეველთა პალატის წევრთა ნახევარის უფლებამოსილების ვადა, ამ კონსტიტუციის შესაბამისად, შეადგენს სამ წელს. ამ კატეგორიას მიკუთვნებული წევრები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 103.

ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლისას თანამდებობაზე მყოფი სახელმწიფო მინისტრები, წარმომადგენელთა პალატის წევრები და მოსამართლეები, ასევე ამ კონსტიტუციით აღიარებული სხვა საჯარო თანამდებობის პირები, რომლებსაც ამ კონსტიტუციით აღიარებული თანამდებობების შესაბამისი თანამდებობები უკავიათ, ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის მიზეზით ავტომატურად არ უნდა განთავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუმცა, თუ ამ კონსტიტუციის დებულებების საფუძველზე არჩეულ და დანიშნულ იქნებიან უფლებამონაცვლეები, ისინი შესაბამისად თავისუფლდებიან თანამდებობიდან.

*****

მოხარული ვარ, რომ ახალი იაპონიის შექმნას საფუძვლად დაედო იაპონელი ხალხის ნება და, ამგვარად, ხელს ვაწერ და ვაქვეყნებ საიდუმლო საბჭოსთან კონსულტაციებისა და იმპერიის პარლამენტის მიერ კონსტიტუციის 73-ე მუხლის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე შედგენილ იაპონიის იმპერიის კონსტიტუციის შესწორებებს.

ხელს აწერს:

ჰიროჰიტო, იმპერატორი,
ათას ცხრაას ორმოცდაექვსი წლის სამი ნოემბერი (3 ნოემბერი, 1946 წელი).

თანახელმომწერნი:

იოშიდა შიგერუ, პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი
ბარონ შიდეჰარა კიჯურო, სახელმწიფო მინისტრი
კიმურა ტოკუტარო, იუსტიციის მინისტრი
ომურა სეიჩი, შინაგან საქმეთა მინისტრი
ტანაკა კოტარო, განათლების მინისტრი
ვადა ჰირუ, სოფლის მეურნეობისა და ტყის მინისტრი
საიტო ტაკაო, სახელმწიფო მინისტრი
ჰიტოცუმაცუ სადაიოში, კომუნიკაციების მინისტრი
ჰოშიჯიმა ჯირო, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი
კავაი იოშინარი, სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი
უეჰარა ეცუჯირო, სახელმწიფო მინისტრი
ჰირაცუკა ცუნეჯირო, ტრანსპორტის მინისტრი
იშიბაში ტანზან, ფინანსთა მინისტრი
კანამორი ტოკუჯირო, სახელმწიფო მინისტრი
ზენ კეინოსუკი, სახელმწიფო მინისტრი

კუბის რესპუბლიკა



ზოგადი ცნობარი
შესავალი

ადამიანის პირველი კვალი კუბაში ჩვ.წ. აღ-მდე მე-4 ათასწლეულიდ თარიღდება. ჩვ. წ. აღრიცხვით VII-IX საუკუნეებში კუბის ჩრდილო-აღმოსავლეთში სამხრეთ ამერიკიდან გადმოსახლდნენ ინდიელები. XV საუკუნეში კუნძულზე 100-200 ათასი მაცხოვრებელი იყო.

კუბამ დამოუკიდებლობა მოიპოვა 1959 წელს ფიდელ კასტროს მეთაურობით. ქვეყანა გააერთიანა მისმა რკინის კანონმა. კუბის კომუნისტური რევოლუცია საბჭოთა მხარდაჭერით იყო განხორციელებული.

ქვეყანა ნელ-ნელა გამოდის 1990 წლის კრიზისული ეკონომიკური მდგომარეობიდან, რაც გამოიწვია ყოველწლიურმა 4-6 მილიარდ დოლარამდე ძველი სუბსიდიების დაბრუნებამ. კუბის მნიშვნელოვანი პრობლემაა არაკანონიერი მიგრაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: კუნძული კარიბის ზღვასა და ჩრდილოეთ ატლანტის ოკეანეს შორის;

ფართობი: სულ: 110 860 კმ^2; ხმელეთი: 110 860 კმ^2; წყალი: 0 კმ^2.

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: კობალტი, ნიკელი, რკინის მადანი, სპილენძი, მანგანუმი, მარილი, სამშენებლო ხის მასალა, ნავთობი, სახნავი მიწა.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 11 423 952 (2008);

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:
0-14 წლის: 18.5% (მამაკაცი 1 088 311; ქალი 1 030 499);
15-64 წლის: 70.5% (მამაკაცი 4 029 381; ქალი 4 025 154);
65 წლის და ზემოთ: 10.9% (მამაკაცი 569 002; ქალი 681 605 (2008).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: 0.251% (2008);

შობადობა: 11.27 დაბადებული 1 000 მოსახლეზე (2008);

სიკვდილიანობა: 7.19 გარდაცვლილი 1 000 მოსახლეზე (2008);

მიგრაცია: -1.57 მიგრანტი 1 000 მოსახლეზე (2008);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: მთელი მოსახლეობის მიმართ: 77.27 წელი; კაცი: 75.02 წელი; ქალი: 79.64 (2008).

მოქალაქეობა: კუბის

ეთნიკური ჯგუფები: მულატი: 51%, თეთრკანიანი: 37%, შავკანიანი: 11%, ჩინელი: 1%.

რელიგია: კათოლიკები 85%; ასევე წარმოდგენილნი არიან პროტესტანტები, იეღოვას მოწმეები და სხვ.

ენა: ესპანური

განათლებულობა: მთელი მოსახლეობა: 97%; მამაკაცი: 97.2%; ქალი: 96.9% (2003);
განსაზღვრება: მოცემულია 15 წლის ზევით პირთა მიმართ, რომელთაც წერა-კითხვა შეუძლიათ.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:
ვრცელი ფორმა: კუბის რესპუბლიკა;
შემოკლებული ფორმა: კუბა;
ადგილობრივი შემოკლებული სახელწოდება: კუბა;
ადგილობრივი ვრცელი სახელწოდება: რეპუბლიკა დე კუბა.

მმართველობის ფორმა: სოციალისტური რესპუბლიკა

დედაქალაქი: ჰავანა

ადმინისტრაციული ერთეულები:
14 **პროვინცია:** კამაგვეი, კიეგო დე ავილა, კიენფიუგუსი, კიუდად დე ლა ჰაბანა, გრანმა, გუანტანამო, ჰოლგუინი, ლა ჰაბანა, ლას ტუნასი, მატანზასი, პინარ დელ რიო, სანქტი სპირიტუსი, სანტიაგო დე კუბა, ვილა კლარა.
1 **სპეციალური მუნიციპალიტეტი:** იუვენტუდის კუნძული (ახალგაზრდობის კუნძული).

დამოუკიდებლობა: 20 მაისი 1902 (ესპანეთისგან 1898 წლის 10 დეკემბერს; აშშ-იდან – 1902 წლის 20 მაისს);

ეროვნული დღესასწაული: რევოლუციის გამარჯვების დღე, 1 იანვარი, 1959;

აღმასრულებელი ხელისუფლება:
სახელმწიფოს მეთაური: სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს მეთაურია გენერალი რაულ კასტრო რუზი (პრეზიდენტი 2008 წლის 24 თებერვლიდან);
სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე:
გენერალი ხოსე რამონ მაჩადო ვენტურა (2008 წლის 24 თებერვლიდან);
არჩევნები: თავმჯდომარე და მისი მოადგილე აირჩევიან ეროვნული კრების მიერ; **არჩევნები ბოლოს ჩატარდა 2008 წლის 24 თებერვალს;**
არჩევნების შედეგები: ხმათა 100%-ით გენერალი რაულ კასტრო იქნა არჩეული თავმჯდომარედ, ხოლო გენერალი ხოსე რამონ მაჩადო ვენტურა – თავმჯდომარის მოადგილედ;

მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა:
თავმჯდომარე; თავმჯდომარის პირველი მოადგილე; მინისტრთა საბჭოს მდივანი; 4 თავმჯდომარის მოადგილე;
27 მინისტრი: ეკონომიკისა და დაგეგმვის მინისტრი; მთავრობისა და საგარეო ვაჭრობის განვითარების მინისტრი; რევოლუციური სამხედრო ძალების მინისტრი; საგარეო ვაჭრობის მინისტრი; ქვეყნის საშინაო ვაჭრობის მინისტრი; კომპიუტერული მეცნიერებისა და კომუნიკაციების მინისტრი; მშენებლობის მინისტრი; კულტურის მინისტრი; განათლების მინისტრი; უმაღლესი განათლების მინისტრი; ფინანსებისა და ფასების მინისტრი; ძირითადი მრეწველობის მინისტრი; ფერადი მრეწველობის მინისტრი; შაქრის მრეწველობის მინისტრი; თევზის მრეწველობის მინისტრი; სურსათის მრეწველობის მინისტრი; შინაგან საქმეთა მინისტრი; იუსტიციის მინისტრი; საგარეო ურთიერთობების მინისტრი; საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მინისტრი; შრომისა და სოციალური უსაფრთხოების მინისტრი; ტრანსპორტის მინისტრი; ტურიზმის მინისტრი; საგარეო ინვესტიციებისა და ეკონომიკური ურთიერთკავშირების მინისტრი; აუდიტისა და კონტროლის მინისტრი; მეცნიერების, ტექნოლოგიისა და გარემოს დაცვის მინისტრი; სოფლის მეურნეობის მინისტრი;
4 ინსტიტუტის ხელმძღვანელი: კუბის სამოქალაქო ავიაციის ინსტიტუტის პრეზიდენტი; კუბის რადიოსა და ტელევიზიის ინსტიტუტის პრეზიდენ-

ტი; სპორტის, ფიზიკური აღზრდისა და რეკრეაციის ინსტიტუტის პრეზიდენტი; ეროვნული ჰიდრავლიკური რესურსების ინსტიტუტის პრეზიდენტი.

საკანონმდებლო ხელისუფლება:

ერთპალატიანი სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრება (614 ადგილიანი; აირჩევა 5 წლის ვადით);

არჩევნები: ბოლოს ჩატარდა 2008 წლის 20 იანვარს;

არჩევნების შედეგი: კუბის კომუნისტური პარტია არის ერთადერთი კანონიერი პარტია.

ძირითადი პოლიტიკური პარტიები:

კუბის კომუნისტური პარტია; კუბის ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია; დემოკრატიული სოლიდარობის პარტია და სხვ.

ეკონომიკა

ეკონომიკის მიმოხილვა: კუბის ეკონომიკა არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ნაციონალიზებული. კოლექტივიზაციის ყველაზე მაღალი ტემპი შეინიშნებოდა რევოლუციის შემდეგ პირველ ორ წელიწადში, როდესაც სახელმწიფო საკუთრებასა და მმართველობაში გადავიდა სამრეწველო და მადნეულის მომპოვებელი საწარმოები, სამშენებლო ორგანიზაციები, საფინანსო დაწესებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი, საშინაო და საგარეო ვაჭრობა, სასოფლო-სამეურნეო მრეწველობა. 1970-იან წლებში კერძო სექტორში იმყოფებოდა მხოლოდ სასოფლო-მეურნეობის 25%, ტრანსპორტის 7%, სატელეკომუნიკაციო საშუალებებისა და თევზჭერის ფლოტის თითო პროცენტი.

1960-იან წლებში კუბაში შემოღებულ იქნა ცენტრალური მმართველობა დაგეგმვით, რომლის ამოცანას წლიური, საშუალო და გრძელვადიანი გეგმების შემუშავება წარმოადგენდა. 1990-იანი წლების დასაწყისში ეს მექანიზმი გაუქმდა და ფუნქციები გადაეცა ეკონომიკისა და დაგეგმვის სამინისტროს. ამასთან, სახელმწიფო საწარმოებმა და ორგანიზაციებმა მიიღეს უფრო დიდი ავტონომია და მოგების თავად განკარგვის შესაძლებლობა.

1990-იან წლებში საბჭოთა კავშირის დახმარების დაკარგვამ კუბა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააყენა. ამ კრიზისის თავიდან ასაცილებლად ქვეყნის ხელმძღვანელობამ გაატარა საბაზრო ეკონომიკის ელემენტების დანერგვის რეფორმები.

საერთო ჯამში, კუბის ეკონომიკა, მიუხედავად მკვეთრი მერყეობისა, თანდათან იზრდებოდა 1940-1950-იან წლებში, 1960-იან წლებში შეინიშნებოდა ვარდნა, ხოლო 1980-იანი წლების დასაწყისში სწრაფად დაიწყო განვითა-

რება. ეროვნული პროდუქტის მოცულობა ყოველწლიურად საშუალოდ 5.7%-ით იზრდებოდა.

კუბის ეკონომიკურ ზრდას ხელს უწყობდა საგარეო ინვესტიციების მოზიდვა, შიდა ანგარიშსწორებაში დოლარის ლეგალიზაცია, ტურიზმის მრეწველობის განვითარება.

ბოლო პერიოდში მთავრობამ განახორციელა განსაზღვრული რეფორმები, რათა გაეზარდა წარმოების ეფექტურობა და აღმოეფხვრა საკვების, სახალხო მოხმარების საქონლისა და მომსახურების სერიოზული ნაკლებობა. უკანასკნელ წლებში ეკონომიკურ განვითარებაში ვარდნა შეინიშნება, რომლის შედეგადაც კუბელთა ნახევარის ცხოვრების დონე უფრო დაბალია, ვიდრე ეს იყო 1990 წლის დასაწყისის მკაცრი ეკონომიკური დეპრესიის დროს, რაც გამოწვეული იყო საბჭოთა დახმარების დაკარგვით.

2000 წლიდან მოყოლებული ვენესუელა შეღავათიანი პირობებით აწვდის კუბას ნავთობს. იგი ამჟამად ყოველდღიურად ამარაგებს კუბას 100,000 ბარელი ნავთობპროდუქტებით.

2007 წელს მეტალის მაღალმა ფასებმა კუბას ნიკელიდან და კობალტიდან დიდი შემოსავლები მოუტანა.

ჰავანამ გააგრძელა ინვესტირება ქვეყნის ენერგეტიკის სექტორში, რათა შეერბილებინა ენერგეტიკული კრიზისი, რომელიც ქვეყანას ზიანს აყენებს 2004 წლიდან მოყოლებული.

მთლიანი შიდა პროდუქტი - მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: $51.11 მილიარდი (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 7% (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: $4.500 (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა: 4.6%; მრეწველობა: 26.1%; მომსახურება: 69.3% (2007);

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: მონაცემები არ არის.

ბიუჯეტი: შემოსავალი: $35.01 მილიარდი; გასავალი: $36.73 მილიარდი (2007);

ექსპორტი: $3.231 მილიარდი (2007);

საექსპორტო საქონელი: შაქარი, თამბაქო, თევზი, სამედიცინო პროდუქტი, ყავა, ნიკელი, ციტრუსი.

ექსპორტის პარტნიორები: ნიდერლანდები 21.8%, კანადა 21.6%, ჩინეთი 18.7%, ესპანეთი 5.9% (2006);

იმპორტი: $10.86 მილიარდი (2007);

საიმპორტო საქონელი: ნავთობი, სურსათი, მანქანები და აღჭურვილობა, ქიმიური ნივთიერებები.

იმპორტის პარტნიორები: ვენესუელა 26.6%, ჩინეთი 15.6%, ესპანეთი 9.8%, გერმანია 6.4%, იტალია 4.4%, კანადა 5.6%, აშშ 4.3%, ბრაზილია 4.2% (2006);

საგარეო ვალი: $16.79 მილიარდი (კონვერტირებადი ვალუტა); აგრეთვე რუსეთის ვალი აქვს $15-20 მილიარდი (2007 წლის 31 დეკემბერი);

ეკონომიკური მზარდაჭერა: $87.8 მილიონი (2005);

ვალუტა: კუბური პესო (CUP) და კონვერტირებადი პესო (CUC).

კონსტიტუციის მიმოხილვა

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. კუბის სახელმწიფოს პირველი კონსტიტუციური აქტი იყო 1901 წელს მიღებული კონსტიტუცია, რომლის ძალითაც ამერიკის შეერთებულ შტატებს უფლება ჰქონდა, ჩარეულიყო კუბის საშინაო საქმეებში მისი დამოუკიდებლობის დასაცავად.

კუბის მეორე კონსტიტუცია 1934 წლით თარიღდება და ითვლება დროებით კონსტიტუციად.

1940 წელს ბატისტას დე ფაქტო პრეზიდენტობის დროს ახალი კონსტიტუცია იქნა მიღებული. იგი ითვლებოდა იმ დროისათვის ერთ-ერთ „პროგრესულ" კონსტიტუციად, შეიცავდა და განამტკიცებდა რა მრავალ პროგრესულ იდეას, მიწის რეფორმას, საყოველთაო განათლებას, მინიმალურ ხელფასს და სხვ. თუმცა 1952 წელს შეწყდა კონსტიტუციის ზოგიერთი ნაწილის მოქმედება. კუბის რევოლუციის გამარჯვებამდე ფიდელ კასტრო და სხვა რევოლუციონერები აცხადებდნენ, რომ მათი უმთავრესი მიზანი იყო 1940 წლის კონსტიტუციის აღდგენა, მაგრამ მათ მიერ ეს დაპირება არ იქნა შესრულებული.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. 1959 წლის 1 იანვარს ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ კუბის რევოლუციური მთავრობა შეუდგა რევოლუციის დაკანონებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა კუბის მოქმედი კონსტიტუცია, რომელიც მიღებულ იქნა ეროვნულ რეფერენდუმზე 1976 წლის 15 თებერვალს და ძალაში შევიდა იმავე წლის 24 თებერვალს. ამ კონსტიტუციით კუბაში განმტკიცდა სოციალისტური სისტემა. კონსტიტუციამ გააუქმა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა და განამტკიცა სისტემა, რომელიც ეფუძნებოდა საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნების სახელმწიფო სისტემის ანალოგიურ სისტემას. ასევე განმტკიცდა ბაზრის ცენტრალიზებული კონტროლი და დაწესდა უფასო განათლება და ჯანდაცვა, დაინერგა ბავშვების სოციალისტური ფასეულობებით აღზრდა და შეიზღუდა რწმენისა და სიტყვის თავისუფლება, თუ იგი ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს ფუძემდებლურ სოციალისტურ პრინციპებს.

აღმოსავლეთის ბლოკის დაშლის შემდეგ, ახალი რეალობიდან გამომდინარე, 1992 წლის 12 ივლისს კუბის კონსტიტუციაში შევიდა შესწორებები, რის შედეგადაც აიკრძალა დისკრიმინაცია რელიგიური რწმენიდან გამომდინარე, მიეცათ რა რელიგიური რწმენის მოქალაქეებს კომუნისტური პარტიის წევრობის უფლება და უცხოურ საწარმოებს მიენიჭა კუნძულზე საკუთრების შეზღუდული ფლობის უფლება, თუ ისინი მთავრობასთან ერთად შექმნიდნენ ერთობლივ საწარმოებს.

2002 წლის 26 ივნისს ახალი კონსტიტუციური შესწორებების მიღებით კვლავ განმტკიცდა სოციალისტური სისტემის მუდმივობა და შეუქცევადობა.

კუბის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შემდეგი წესია დადგენილი: კონსტიტუცია განასხვავებს მის სრულ და ნაწილობრივ გადასინჯვას. კონსტიტუცია ნაწილობრივ შეიძლება გადაისინჯოს მხოლოდ საპარლამენტო გზით წევრთა არანაკლებ საერთო რაოდენობის 2/3-ის მიერ მიღებული რეზოლუციით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს კონსტიტუციის სრულ გადასინჯვას ან ეროვნული კრების ან მისი სახელმწიფო საბჭოს ინტეგრაციისა და უფლებამოსილების ან კონსტიტუციით განმტკიცებული უფლებებისა და მოვალეობების შეცვლას, კრების მიერ კონსტიტუციური ცვლილებების დამტკიცების შემდეგ უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი, რომელზედაც გადაწყვეტილება მიიღება საარჩევნო ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა უმრავლესობის თანხმობით.

კონსტიტუციის ანალიზი. კუბის კონსტიტუცია შედგება შესავლის, 15 თავისა და 137 მუხლისაგან. იგი გამოირჩევა დიდი პრეამბულით, სადაც განმტკიცებულია რევოლუციის გამარჯვება და აღნიშნულია, რომ კუბელმა ხალხმა, რომელიც გათავისუფლდა ესპანეთის კოლონიალიზმისა და ამერიკული იმპერიალიზმისაგან, ხოსე მარტის მოძღვრების შთაგონებითა და ფიდელ კასტროს მეთაურობით სახალხო რევოლუციის გამარჯვებით მოიპოვა სრული ეროვნული დამოუკიდებლობა, დაამყარა რევოლუციური ხელისუფლება, განახორციელა დემოკრატიული ცვლილებები და დაიწყო სოციალიზმის შენება კომუნისტური საზოგადოების შექმნის საბოლოო მიზნით. პრეამბულაში გაცხადებულია კუბელი ხალხის ნება, რომ რესპუბლიკის კანონთა კანონს უძღოდეს ხოსე მარტის საბოლოოდ მიღწეული სანუკვარი ოცნება: „მე მინდა, რომ ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონი იყოს კუბელების ხარკი ადამიანის სრული ღირსებისათვის“.

კონსტიტუციის თანახმად, კუბის რესპუბლიკა აღიარებს ანტიიმპერიალიზმისა და ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, კუბა გამოცხადებულია სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელიც ეფუძნება ხოსე მარტის პრინციპებსა და მარქსის, ენგელსისა და ლენინის პოლიტიკურ იდეებს.

კონსტიტუცია ხაზს უსვამს კუბის კომუნისტური პარტიის მნიშვნელოვან როლს, როგორც საზოგადოებისა და სახელმწიფოს წამყვან ძალას. მასში აღნიშნულია, რომ კუბის კომუნისტური პარტია, რომელიც წარმოადგენს კუბელი ერის ორგანიზებულ მოწინავე ნაწილს, არის საზოგადოებისა და სახელმწიფოს უმაღლესი ხელმძღვანელი ძალა, რომელიც ხელმძღვანელობს და უძღვება სოციალიზმის მშენებლობისა და კომუნისტური საზოგადოების შექმნის მიზნის საერთო ძალისხმევას.

ფორმალურად რესპუბლიკაში სუვერენიტეტი ეკუთვნის ხალხს, რომლისგანაც მომდინარეობს მთელი სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც ხორციელდება პირდაპირ ან სახალხო ხელისუფლების კრებებისა და სხვა სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით, რომლებმაც, თავის მხრივ, ხელისუფლება კრებებისაგან მიიღეს. სახელმწიფო ხელისუფლების უმთავრეს დანიშნულებას სოციალიზმის დაცვა წარმოადგენს, სახელმწიფო ორგანოები, მათი ხელმძღვანელები, თანამდებობის პირები და მოსამსახურეები მოქმედებენ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და მოვალენი არიან მკაცრად დაიცვან სოციალისტური კანონიერება და თვალყური ადევნონ მის პატივისცემას მთელ საზოგადოებაში.

კონსტიტუციის მეორე თავი ეძღვნება მოქალაქეობას. კონსტიტუციის თანახმად, კუბის მოქალაქეობა მიიღება დაბადებით და ნატურალიზაციით. კუბა არ აღიარებს ორმაგ მოქალაქეობას, რის გამოც სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღება იწვევს კუბის მოქალაქეობის დაკარგვას.

კუბის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ უცხოელებს მინიჭებული აქვს კუბელების თანაბარი უფლებები: პიროვნებისა და ქონების დაცვაში, კანონებისა და კონსტიტუციის დაცვის ვალდებულებაში, სახელმწიფო შემოსავლებში კანონით განსაზღვრული ფორმითა და რაოდენობით წვლილის შენატის ვალდებულებაში, რესპუბლიკის მართლმსაჯულების სასამართლოებისა და თანამდებობის პირთა იურისდიქციისა და გადაწყვეტილებებისათვის დაქვემდებარებაში.

კონსტიტუციაში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. ისინი საკმაოდ დეტალურაა რეგლამენტირებული, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში მათი განხორციელება ისეთი მოცულობით არ ხდება, როგორი შთაბეჭდილებაც იქმნება ამ მხრივ კონსტიტუციით. ამ თვალსაზრისით კონსტიტუცია უფრო დეკლარაციულია, ვიდრე ცხოვრებაში რეალურად მოქმედი.

ყველა მოქალაქეს აქვს თანაბარი უფლებები და მოვალეობები. დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, ეროვნების, რელიგიური რწმენის გამო და ადამიანის ღირსების შემლახველი დისკრიმინაციის ნებისმიერი სხვა ფორმა აკრძალულია და ისჯება კანონით. დაცულია გენდერული თანასწორობის პრინციპი, ქალებსა და მამაკაცებს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალურ სფეროებში, ისევე როგორც ოჯახში, მინიჭებული აქვს თანაბარი უფლებები. იმ მიზნით, რომ მიღწეული იქნეს ქვეყნის განვითარებაში ქალების სრული მონაწილეობა, სახელმწიფო ქალებს უზრუნველყოფს იმავე შესაძლებლობებით, რითაც — მამაკაცებს.

კონსტიტუციით აღიარებულია, რომ განათლება არის უფასო. აღიარებულია მხატვრული შემოქმედების თავისუფლება, თუ მისი შინაარსი არ ეწინააღმდეგება რევოლუციას, აგრეთვე მხატვრული საქმიანობის, სამეცნიერო

მიღწევებისა და სამეცნიერო კვლევის თავისუფლება. მუშაობა არა მხოლოდ უფლება, არამედ მოვალეობა და ყოველი მოქალაქის სიამაყის წყაროა. გარანტირებულია ჯანმრთელობის დაცვა და მზრუნველობა, უფასო სამედიცინო და საავადმყოფო მომსახურება, აგრეთვე უფასო სტომატოლოგიური მომსახურება. განმტკიცებულია ფიზიკური განათლების, სპორტისა და დასვენების უფლება. გარანტირებულია რვასაათიანი სამუშაო დღე, დასვენების უფლება და ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება.

პრინციპის დონეზე აღიარებულია სიტყვისა და პრესის თავისუფლება, თუმცა გარკვეული დათქმებით, რომ იგი უნდა განხორციელდეს სოციალისტური საზოგადოების მიზნების გათვალისწინებით. გარდა ამისა, პრესა, რადიო, ტელევიზია, კინო და მასმედიის სხვა საშუალებები არის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკუთრება და არ შეიძლება იყოს კერძო საკუთრება.

კონსტიტუციით აღიარებულია შეკრების, დემონსტრაციისა და გაერთიანების უფლება, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, ყველა მოქალაქის თავისუფლება, შეიცვალოს რელიგიური რწმენა ან არ აღიაროს არც ერთი. კონსტიტუციის ამჟამინდელი რედაქციის თანახმად, სახელმწიფო აღიარებს, მხარს უჭერს და უზრუნველყოფს რელიგიის თავისუფლებას. რელიგიური დაწესებულებები სახელმწიფოსგან განცალკევებულია. განსხვავებული რწმენა და რელიგია თანაბარი პირობებით სარგებლობს.

ბინა, საფოსტო მიმოწერა, სატელეგრამო, სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირი ხელშეუხებელია. აგრეთვე ქვეყნის ყველა მცხოვრები უზრუნველყოფილია პიროვნების ხელშეუხებლობის თავისუფლებით. პირი შეიძლება გასამართლდეს ან მსჯავრი დაედოს მხოლოდ კომპეტენტური სასამართლოს მიერ, ამასთანავე, ყველა ბრალდებულს აქვს დაცვის უფლება. არავითარი ძალადობა ან ზეწოლა არ შეიძლება, იქნეს გამოყენებული პირის მიმართ ჩვენების მიცემის იძულების მიზნით.

კონსტიტუციით აღიარებულია თითოეული მოქალაქის უფლება, როდესაც სხვა საშუალებები ამოწურულია, იბრძოლოს ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის იარაღით, ყველას წინააღმდეგ, ვინც კონსტიტუციით დამყარებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური წესრიგის დამხობას შეეცდება.

ძირითადი კანონი ადგენს, რომ მოქალაქეებისათვის აღიარებული არც ერთი თავისუფლება არ შეიძლება, განხორციელდეს სოციალისტური სახელმწიფოს არსებობისა და მიზნების საწინააღმდეგოდ, ან კუბელი ხალხის გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, ააშენონ სოციალიზმი და კომუნიზმი.

სამშობლოს დაცვა კუბის თითოეული მოქალაქის უდიდესი პატივი და უზენაესი მოვალეობაა. სამხედრო სამსახური კუბელებმა აუცილებლად უნდა მოიხადონ.

კონსტიტუციის ცალკე თავი ეძღვნება ოჯახს, რომელიც აღიარებულია საზოგადოების მთავარ ბირთვად და მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა და

ფუნქციები ენიჭება ახალი თაობის განათლებასა და ჩამოყალიბებაში. ყველა ბავშვს აქვს თანაბარი უფლებები, მიუხედავად იმისა, დაიბადებიან ქორწინებით, თუ ქორწინების გარეშე. წარმომავლობის მიხედვით ნებისმიერი შეზღუდვა გაუქმებულია.

სახელმწიფო პირდაპირ მართავს ქონებას, რომელიც წარმოადგენს მთელი ხალხის სოციალისტურ ქონებას. სახელმწიფო აგრეთვე აკონტროლებს და მართავს საგარეო ვაჭრობას. საკუთრების ძირითად ფორმად, სხვა ყოფილი სოციალისტური ქვეყნების მსგავსად, აღიარებულია სახელმწიფო საკუთრება. სოციალისტური ქვეყნის ქონება, რომელიც არის მთელი ხალხის ქონება, მოიცავს: მიწებს, საზღვაო ეკონომიკურ ზონაში არსებულ ქვენიადაგს, მაღაროებს, მინერალებს, მცენარეულ და ცხოველურ რესურსებს, ტყეებს, წყლებს, კომუნიკაციის საშუალებებს, ქარხნებს, ფაბრიკებს, მთავარ სატრანსპორტო საშუალებებს და სხვ.

კონსტიტუცია შეზღუდულად, მაგრამ მაინც აღიარებს კერძო საკუთრებას, რომელსაც შესაძლოა, ფლობდნენ როგორც გაერთიანებები, ისე კერძო პირები. აღიარებულია მცირე ფერმერების საკუთრების უფლება მიწაზე, სხვა უძრავ ქონებასა და მიწის დამუშავებისათვის ზოგიერთ საჭირო მოძრავ ქონებაზე. აკრძალულია მცირე ფერმერების საკუთრებაში არსებულ მიწაზე იჯარა, წილობრივი ამხანაგობა, იპოთეკა და კერძო პირებისათვის მიწაზე უფლების გადაცემა. მცირე ფერმერებს მინიჭებული აქვს უფლება, გაერთიანდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების და სახელმწიფო სესხებისა და მომსახურების მიღების მიზნით.

კონსტიტუციით პირადი საკუთრების უფლება ნებადართულია პირის საკუთარი შრომით გამომუშავებულ და დაზოგილ თანხებზე, აგრეთვე საცხოვრებელ სახლზე, რომელზედაც პირს აქვს კანონიერი საკუთრების უფლება და სხვა ქონებასა და ობიექტებზე, რომლებიც ემსახურება ადამიანის მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. აგრეთვე შეიძლება, რომ მათ საკუთრებაში ჰქონდეთ ინდივიდუალური და საოჯახო სამუშაო იარაღები, რომლებიც არ შეიძლება გამოყენებული იქნეს მოგების მისაღებად სხვა პირთა შრომის ექპლუატაციის შედეგად.

კონსტიტუციით აგრეთვე აღიარებულია პოლიტიკური, მასობრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრების უფლება მათი მიზნების განხორციელებისთვის განკუთვნილ ქონებაზე, აგრეთვე — საკუთრების უფლება ერთობლივ საწარმოებსა და ეკონომიკურ კავშირებზე. ქონების ჩამორთმევა ნებადართულია მხოლოდ საზოგადოების სასარგებლოდ ან საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, სამართლიანი კომპენსაციით.

კონსტიტუციის მეცხრე თავში აღნიშნულია სახელმწიფო დაწესებულებების შექმნის მიზანი: განახორციელონ სოციალისტურ დემოკრატიაზე დამყარებული თავიანთი ფუნქციები. წარმომადგენლობითი ორგანოების ყველა

წევრი აირჩევა და ექვემდებარება გაწვევას. კონსტიტუციით დარღვეულია ხელისუფლების დანაწილების პრინციპი. ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთობა არ ეფუძნება ურთიერთბალანსსა და კონტროლს. თითქმის მთელი ძალაუფლება თავმოყრილია სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ხელში.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრება, რომელიც აირჩევა 5 წლის ვადით და გამოხატავს მთელი ხალხის სუვერენულ ნებას. იგი არის ერთადერთი ორგანო რესპუბლიკაში, რომელსაც მინიჭებული აქვს სადამფუძნებლო და საკანონმდებლო ხელისუფლება. ეროვნული კრება შედგება 614 დეპუტატისაგან, რომლებიც აირჩევიან პროპორციული წესით, თავისუფალი და პირდაპირი არჩევნებით, ფარული კენჭისყრით.

ეროვნული კრება აღჭურვილია ფართო უფლებამოსილებით: იღებს კანონებს; აუქმებს სახელმწიფო საბჭოს კანონ-დეკრეტებს; ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს, სავალუტო და საკრედიტო სისტემას და საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითად საფუძვლებს; სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს მინისტრთა საბჭოს წევრებს; აცხადებს საომარ მდგომარეობას და ამტკიცებს სამშვიდობო შეთანხმებებს; ადგენს ქვეყნის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ დაყოფას; ირჩევს სახალხო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, მის მოადგილეებსა და სხვა მოსამართლეებს; ირჩევს გენერალურ პროკურორსა და მის მოადგილეებს; ქმნის დროებით და მუდმივ კომისიებს; ახორციელებს უმაღლეს ზედამხედველობას სახელმწიფო და სამთავრობო ორგანოებზე; ნიშნავს რეფერენდუმს კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში და აგრეთვე იმ შემთხვევებში, რომელთაც კრება მიიჩნევს მიზანშეწონილად; წყვეტს კონსტიტუციურ რეფორმებს; აცხადებს ამნისტიას; მინიჭებული აქვს კონსტიტუციური კონტროლის უფლებამოსილება — წყვეტს კანონების, კანონ-დეკრეტების, დეკრეტებისა და სხვა ძირითადი აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობას; აუქმებს სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს აქტებს, რომლებიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას ან კანონს; აუქმებს ან ცვლის ადგილობრივი ორგანოების აქტებს, რომლებიც არღვევს კონსტიტუციას და სხვა ზემდგომ აქტებს, ან საზიანოა სხვა ადგილობრივი ორგანოების ან ერის საერთო ინტერესებისათვის; ცვლილებები შეაქვს კონსტიტუციაში და სხვ.

ეროვნულ კრებას ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც აღჭურვილია კრების ორგანიზაციული უფლებამოსილებით.

დეპუტატები სარგებლობენ იმპერატიული მანდატით. მათი მოვალეობაა, განახორციელონ თავიანთი ვალდებულებები ხალხის ინტერესების სასიკეთოდ, ჰქონდეთ კავშირი თავიანთ ამომრჩეველებთან, მოისმინონ მათი პრობლემები, წინადადებები და კრიტიკა და აუხსნან სახელმწიფოს პოლიტიკა.

აგრეთვე კანონით განსაზღვრული წესით მათ უნდა ჩააბარონ თავიანთი საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიში. გათვალისწინებულია დეპუტატების ვადამდე გამოწვევის ინსტიტუტი, თუმცა სხვა სოციალისტური ქვეყნების მსგავსად, კუბაშიც იგი არა ხალხის, არამედ კომუნისტური პარტიის ინტერესებს ემსახურება.

აღსანიშნავია, რომ დეპუტატის სტატუსი არ იწვევს პრივილეგიებს და არ ანაზღაურდება. სადეპუტატო უფლებამოსილების პერიოდში დეპუტატები ანაზღაურებას იღებენ თავიანთ სამუშაო ადგილზე და ინარჩუნებენ მასთან კავშირს.

კონსტიტუციით საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე პირთა წრე საკმაოდ ფართოა და ფორმალურად ემსახურება საზოგადოების ფართოდ ჩართვას კანონშემოქმედების პროცესში. ამ უფლებით სარგებლობენ: დეპუტატები, სახელმწიფო საბჭო, მინისტრთა საბჭო, ეროვნული კრების კომისიები, კუბის პროფკავშირების ცენტრალური ორგანიზაცია და სხვა საზოგადოებრივი და მასობრივი ორგანიზაციების ეროვნული სამსახურები, სახალხო უზენაესი სასამართლო, სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, გენერალური პროკურატურა, მის იურისდიქციას მიკუთვნებულ საკითხებზე, საარჩევნო უფლების მქონე არანაკლებ 10 000 მოქალაქე.

კონსტიტუციის თანახმად, ეროვნული კრება დეპუტატთაგან ირჩევს თავის წინაშე ანგარიშვალდებულ სახელმწიფო საბჭოს, რომელიც შედგება თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილის, 5 თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 23 სხვა წევრისაგან. სახელმწიფო საბჭო არის ეროვნული კრების ორგანო, რომელიც მას წარმოადგენს სესიებს შორის პერიოდში და ასრულებს მის რეზოლუციებს. სახელმწიფო საბჭო არის კოლეგიური ორგანო და კუბის სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო და საშინაო მიზნების განხორციელებაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ სახალხო კრება იშვიათად მოიწვევა, გამოდის, რომ მთელი საკანონმდებლო უფლებამოსილება საბჭოს ხელშია თავმოყრილი.

სახელმწიფო საბჭო ეროვნული კრების სესიებს შორის პერიოდში გამოსცემს კანონ-დეკრეტებს; აცხადებს საყოველთაო მობილიზაციას, ომს ან ამტკიცებს სამშვიდობო ხელშეკრულებებს; ცელის მინისტრთა საბჭოს წევრებს; სასამართლოებისთვის და გენერალური პროკურატურისთვის გამოსცემს ინსტრუქციებს; ნიშნავს და ათავისუფლებს დიპლომატიურ წარმომადგენლებს სხვა ქვეყნებში; ახორციელებს შეწყალებას; ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციასა და დენონსაციას; სხვა ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობებს ანიჭებს აკრედიტაციას ან უარს ამბობს მის მინიჭებაზე; აჩერებს მინისტრთა საბჭოს და ადგილობრივი კრებების იმ აქტებს, რომლებიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, კანონს, ადგილობრივი

ორგანოს ინტერესებს ან ქვეყნის საერთო ინტერესებს; აგრეთვე აუქმებს ადგილობრივი ორგანოების ანალოგიურ აქტებს და სხვ. სახელმწიფო საბჭოს მინიჭებული აქვს ისეთი მნიშვნელოვანი უფლებამოსილებაც, როგორიცაა მოქმედი კანონების ზოგადი და სავალდებულო განმარტება.

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ერთდროულად არის სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური. მის ხელში თავმოყრილია განსაკუთრებულად ფართო უფლებამოსილება: წარმოადგენს სახელმწიფოსა და მთავრობას და წარმართავს მათ საერთო პოლიტიკას; ორგანიზაციას უწევს და წარმართავს სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს საქმიანობას; აკონტროლებს და ზედამხედველობს სამინისტროებისა და ადმინისტრაციის სხვა ცენტრალური ორგანოების საქმიანობის განვითარებას; ხელმძღვანელობს სამინისტროებს და ადმინისტრაციის სხვა ცენტრალურ ორგანოებს; ახალარჩეულ ეროვნულ კრებას წარუდგენს მინისტრთა საბჭოს წევრებს; იღებს მინისტრთა საბჭოს წევრთა გადადგომას ან ეროვნულ კრებას ან სახელმწიფო საბჭოს წარუდგენს წინადადებას ნებისმიერი წევრის შეცვლის შესახებ და ორივე შემთხვევაში წარუდგენს შესაბამის შემცვლელს; იღებს უცხოური დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელთა აკრედიტაციას; ახორციელებს უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქციას და განსაზღვრავს შეიარაღებული ძალების საერთო ორგანიზაციას; თავმჯდომარეობს ეროვნული თავდაცვის საბჭოს; აცხადებს საგანგებო მდგომარეობას და შეძლებისდაგვარად დაუყოვნებლივ აცნობებს გადაწყვეტილებას ეროვნულ კრებას ან სახელმწიფო საბჭოს; ხელს აწერს სახელმწიფო საბჭოს კანონ-დეკრეტებს და სხვა რეზოლუციებს და მინისტრთა საბჭოს ან მისი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტებს და ორგანიზებას უწევს მათ გამოქვეყნებას რესპუბლიკის ოფიციალურ გაზეთში და სხვ.

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის, ავადმყოფობის ან გარდაცვალების შემთხვევაში მის უფლებამოსილებებს ასრულებს მისი პირველი მოადგილე.

ქვეყნის უმაღლესი აღმასრულებელი და ადმინისტრაციული ორგანოა მინისტრთა საბჭო, რომელიც წარმოადგენს რესპუბლიკის მთავრობას და პასუხისმგებელია სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების წინაშე და პერიოდულად აბარებს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ. მინისტრთა საბჭო შედგება სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურის, როგორც მისი თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილის, მოადგილეების, 27 მინისტრის, მდივნისა და კანონით განსაზღვრული სხვა წევრებისაგან. მის შემადგენლობაშია ასევე 4 ინსტიტუტის ხელმძღვანელი: კუბის სამოქალაქო ავიაციის ინსტიტუტის, რადიოსა და ტელევიზიის ინსტიტუტის, სპორტის, ფიზიკური აღზრდისა და რეკრეაციის ინსტიტუტისა და ეროვნული ჰიდრავლიკური რესურსების ინსტიტუტის პრეზიდენტები.

ძირითადად კუბაში თითოეული სფეროს მართვა განაწილებულია რამდენიმე სამინისტროს შორის და მას აკონტროლებს რამდენიმე მინისტრი. მაგალითად, კუბას ჰყავს მრეწველობის 5 მინისტრი: ძირითადი მრეწველობის, ფერადი მრეწველობის, შაქრის მრეწველობის, თევზის მრეწველობისა და სურსათის მრეწველობის. აგრეთვე კუბას ცალ-ცალკე ჰყავს განათლებისა და უმაღლესი განათლების მინისტრი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუცია იცნობს მინისტრთა საბჭოს ვიწრო წარმომადგენლობით ორგანოსაც, რომელიც შედგება თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის, მოადგილეებისა და მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი სხვა წევრისაგან და მას ეწოდება აღმასრულებელი კომიტეტი. იგი მინისტრთა საბჭოს შეკრებებს შორის პერიოდში იღებს გადაწყვეტილებებს მის იურისდიქციას დაქვემდებარებულ საკითხებზე.

მინისტრთა საბჭო ახორციელებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სამეცნიერო, სოციალურ და თავდაცვით საქმიანობას; წარმართავს რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკასა და სხვა ქვეყნის მთავრობებთან ურთიერთობას; ამტკიცებს საერთაშორისო შეთანხმებებს და რატიფიკაციისთვის წარუდგენს სახელმწიფო საბჭოს; მართავს და აკონტროლებს საგარეო ვაჭრობას; ადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს და ეროვნული კრების მიერ მისი მიღებისას თვალყურს ადევნებს მის შესრულებას; აღასრულებს ეროვნული კრების მიერ მიღებულ კანონებსა და რეზოლუციებს და სახელმწიფო საბჭოს მიერ გამოცემულ კანონ-დეკრეტებს და დადგენილებებს და საჭიროებისას გასცემს შესაბამის ინსტრუქციებს; აუქმებს პროვინციული ან მუნიციპალური კრებებისადმი დაქვემდებარებული იმ ადმინისტრაციების გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიღებულია ცენტრალური სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დელეგირებული უფლებამოსილების შესაბამისად, როდესაც ისინი ეწინააღმდეგება ზემდგომი ორგანოების მიერ გამოცემულ შესასრულებლად სავალდებულო ინსტრუქციებს; აუქმებს სამინისტროების ხელმძღვანელთა მიერ გამოცემულ დადგენილებებს, როდესაც ისინი ეწინააღმდეგება ზემდგომი ორგანოების მიერ გამოცემულ ინსტრუქციებს; ეროვნულ კრებას ან სახელმწიფო საბჭოს წარუდგენს წინადადებას, შეაჩეროს ადგილობრივი კრებების მიერ მიღებული ის რეზოლუციები და დადგენილებები, რომლებიც არღვევს მოქმედ კანონებსა და სხვა აქტებს ან საზოგადოების ან ერის საერთო ინტერესებისთვის არის საზიანო და სხვ.

კონსტიტუციის თანახმად, მინისტრთა საბჭოს წევრები წარმართავენ მათი ქვემდებარე სამინისტროს ან დაწესებულების საქმეებსა და ამოცანებს და გამოსცემენ მათ შესასრულებლად საჭირო რეზოლუციებსა და დადგენილებებს; გამოსცემენ სავალდებულო წესებს იმ შემთხვევაში, თუ ეს არ არის სხვა სახელმწიფო ორგანოების განსაკუთრებული უფლებამოსილება; კანონის თანახმად ნიშნავენ შესაბამის თანამდებობის პირებს და სხვ.

რაც შეეხება კუბის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ დაყოფას, კონსტიტუციის თანახმად, კუბა დაყოფილია პროვინციებად და ერთ სპეციალურ მუნიციპალიტეტად — იუვენტუდის (ახალგაზრდობის) კუნძული. პროვინციები, თავის მხრივ, დაყოფილია მუნიციპალიტეტებად.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ადგილობრივი ორგანოებია: პროვინციებისა და მუნიციპალიტეტების კრებები, რომლებიც აირჩევა თავისუფალი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით, შესაბამისად 5 და ორნახევარი წლით. კრებების მიერ შექმნილი ადგილობრივი ადმინისტრაციები მართავენ მათდამი ადგილობრივად დაქვემდებარებული ეკონომიკის, წარმოებისა და მომსახურების სფეროებს.

ქალაქებში, საქალაქო დასახლებებში, გარეუბნებში და სასოფლო დასახლებებში შექმნილია სახალხო საბჭოები; ისინი აირჩევა რაიონებში არჩეული დელეგატებისაგან და თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას აღჭურვილნი არიან უმაღლესი ხელისუფლებით, წარმოადგენენ ტერიტორიას, სადაც თავის ფუნქციებს ახორციელებენ და აგრეთვე წარმოადგენენ სახალხო ხელისუფლების მუნიციპალურ, პროვინციულ და ეროვნულ ორგანოებს.

პროვინციული და მუნიციპალური კრებების თავმჯდომარეები არიან შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების თავმჯდომარეები და წარმოადგენენ სახელმწიფოს მათ ტერიტორიაზე.

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებულია ეროვნული თავდაცვის საბჭოს შექმნა, რომელიც იქმნება და მომზადებას გადის მშვიდობის დროს, რათა საომარი მდგომარეობის, ომის, საერთო მობილიზაციის ან საგანგებო მდგომარეობის პირობებში გაუძღვეს ქვეყანას. კონსტიტუცია აგრეთვე ითვალისწინებს პროვინციული და მუნიციპალური თავდაცვის საბჭოებისა და თავდაცვის ზონის საბჭოების შექმნას.

სასამართლოები დამოუკიდებელია ადგილობრივი ორგანოებისაგან. ისინი შექმნილია ყველა სხვა სისტემისგან ფუნქციური დამოუკიდებლობის პრინციპზე, მაგრამ ექვემდებარება სახალხო ხელისუფლების ეროვნულ კრებასა და სახელმწიფო საბჭოს.

კუბის სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა სახალხო უზენაესი სასამართლო, რომელსაც მმართველი საბჭოს მეშვეობით შეუძლია, წარადგინოს და მიიღოს დებულებები და აგრეთვე ყველა სასამართლოსათვის შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებები და ნორმები, რომლებიც ეფუძნება მათ გამოცდილებას. იგი გამოსცემს სავალდებულო ინსტრუქციებს, რათა შექმნას კანონის განმარტებისა და გამოყენების ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა.

მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ყველა სასამართლო ფუნქციონირებს კოლეგიური ფორმით და პროფესიონალი მოსამართლეები და მსაჯულები მასში მონაწილეობენ თანაბარი უფლებებით და ვალდებულებით.

კანონიერების დაცვაზე კონტროლს ახორციელებს რესპუბლიკის გენერალური პროკურატურა, რომელიც ექვემდებარება მხოლოდ ეროვნულ კრებასა და სახელმწიფო საბჭოს. რესპუბლიკის გენერალური პროკურორი აირჩევა და გაიწვევა ეროვნული კრების მიერ და პირდაპირ სახელმწიფო საბჭოსგან იღებს ინსტრუქციებს. იგი ხელმძღვანელობს და აკონტროლებს მისი სამსახურის მიერ შესრულებულ სამუშაოს მთელ ქვეყანაში და გაწეული საქმიანობის ანგარიშს წარუდგენს ეროვნულ კრებას. გენერალური პროკურატურის ორგანოები შექმნილია ვერტიკალური წესით და ექვემდებარება მხოლოდ გენერალურ პროკურატურას და ყველა ადგილობრივი ორგანოსაგან დამოუკიდებელია.

რაც შეეხება კუბის საარჩევნო სისტემას, მიუხედავად იმისა, რომ კუბაში არჩევნები ფორმალურია და ფუნქციონირებს ერთპარტიული სისტემა არჩევნებთან დაკავშირებით კონსტიტუციით განმტკიცებულია რიგი დემოკრატიული უფლებებისა, მაგრამ რეალურად აღნიშნული უფლებები, როგორც აღინიშნა, არ ხორციელდება, რადგან ერთპარტიულობა აღიარებულია კუბის რევოლუციის ფუნდამენტურ პრინციპად. კუბაში მხოლოდ კომუნისტური პარტიის საქმიანობაა ნებადართული, ხოლო ოპოზიციური პარტიები არალეგალურად ფუნქციონირებს და მათი საქმიანობა დასჯადია.

კონსტიტუციის თანახმად, ხმის მიცემის უფლება მოქალაქეს ენიჭება 16 წლის ასაკიდან. ყოველ ამომრჩეველს აქვს ერთი ხმა და ყველა ქმედუნარიან მოქალაქეს აქვს უფლება, უშუალოდ ან სახალხო ხელისუფლების ორგანოებში მათ მიერ არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით მიიღოს მონაწილეობა ქვეყნის მართვაში და ამ მიზნითა და კანონით დადგენილი წესის შესაბამისად მონაწილეობდეს პერიოდულ არჩევნებსა და სახალხო რეფერენდუმში თავისუფალი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის მეშვეობით.

ეროვნული კრების დეპუტატად არჩევის, ანუ პასიური საარჩევნო უფლება აქვს 18 წლის ასაკის კუბის ყველა მოქალაქეს, რომელიც ფლობს სრულ პოლიტიკურ უფლებებს.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები. კუბის კონსტიტუციური სამართალი სხვა სოციალისტური სახელმწიფოების მსგავსად ფორმალურად სახალხო ხელისუფლების პრინციპზეა აგებული და შეიცავს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ფართო ჩამონათვალს, თუმცა ეს მხოლოდ ფორმალობაა და მისი განხორციელების მექანიზმები არ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო დონეზე. შესაბამისად, ადამიანის უფლებები რეალურ ცხოვრებაში არ ხორციელდება. გარდა აღნიშნულისა, აგრეთვე აღსანიშნავია შემდეგი თავისებურებები:

— კონსტიტუციას აქვს დიდი პრეამბულა, რომელიც განმსჭვალულია რევოლუციის გამართლების მცდელობით;

— კუბა აღიარებულია სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელიც ეფუძნება ხოსე მარტის პრინციპებსა და მარქსის, ენგელსისა და ლენინის პოლიტიკურ იდეებს;

— კონსტიტუცია ხაზს უსვამს კუბის კომუნისტური პარტიის როლს აღიარებს რა მას საზოგადოებისა და სახელმწიფოს წამყვან ძალად;

— ქვეყნის ძირითადი ობიექტები სახელმწიფო საკუთრებაა;

— კერძო საკკთრების უფლება შეზღუდულადაა დაშვებული;

— არ არის დაცული ხელისუფლების დანაწილების პრინციპი;

— სახელმწიფო საბჭოს აქვს კანონების ზოგადი და სავალდებულო განმარტების უფლებამოსილება;

— ნებადართულია ეროვნული კრების დეპუტატებისა და პროვინციული და მუნიციპალური კრებების დელეგატების ვადამდე გაწვევა. გარდა ამისა, დეპუტატობა არ არის ანაზღაურებადი.

— ხმის მიცემის უფლება მოქალაქეს ენიჭება 16 წლიდან, ხოლო პასიური საარჩევნო უფლება იწყება 18 წლიდან.

კუბის რესპუბლიკის კონსტიტუცია[1]

მიღებულია 1976 წლის 15 თებერვალს

(ცვლილებები შეტანილი იქნა 1992 წლის 12 ივლისსა და 2002 წლის 26 ივნისს)

პრეამბულა

ჩვენ, კუბის მოქალაქეები,

შემოქმედებითი საქმიანობისა და ჩვენი წინაპრების მიერ წახალისებული საბრძოლო სულისკვეთების, სიმტკიცის, გმირობისა და თავგანწირვის ტრადიციების მემკვიდრეები და გამგრძელებლები,

ინდიელების მიერ, რომლებმაც მორჩილებას გადაშენება ამჯობინეს;

მონების მიერ, რომლებიც აჯანყდნენ თავიანთი ბატონების წინააღმდეგ;

პატრიოტების მიერ, რომელთაც 1868 წელს ესპანური კოლონიალიზმის წინააღმდეგ გააჩაღეს თავისუფლების ომები და რომელთაც 1895 წლის უკანასკნელი ძალისხმევით 1898 წელს მათ მოუტანეს გამარჯვება, რომელიც უზურპირებულ იქნა სამხედრო ჩარევისა და ოკუპაციის გზით ამერიკული იმპერიალიზმის მიერ;

მუშების, გლეხების, სტუდენტებისა და ინტელიგენციის მიერ, რომლებიც 50 წლის განმავლობაში იბრძოდნენ იმპერიალისტური ბატონობის, პოლიტიკური კორუფციის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უგულებელყოფის, უმუშევრობის და კაპიტალისტებისა და მიწათმფლობელების მხრიდან ექსპლუატაციის წინააღმდეგ;

იმათ მიერ, ვინც ხელი შეუწყო, შეუერთდა და განავითარა მუშათა და გლეხთა პირველი ორგანიზაციები, გაავრცელა სოციალისტური იდეები და დააარსა პირველი მარქსისტული და მარქსისტულ-ლენინური მოძრაობები;

მარტის დაბადებიდან ასი წლისთავის თაობის მოწინავე წევრთა მიერ, რომლებიც მისი მოძღვრების შთაგონებით მიგვიძღოდნენ იანვრის სახალხო რევოლუციაში გამარჯვებისკენ;

მათ მიერ, ვინც საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვა რევოლუცია და ამით დიდი წვლილი შეიტანა მის საბოლოო კონსოლიდაციაში;

---

[1] თარგმანისას გამოყენებულია მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციების ვებ-გვერდებზე: www.confinder.richmond.edu/cuba_eng.html და www.constitution.org/cons/cuba.htm გამოქვეყნებული კუბის კონსტიტუციის ინგლისურენოვანი ტექსტები და ვებ-გვერდზე: www.georgetown.edu/pdba/Constitutions/Cuba/cuba.html წარმოდგენილი კონსტიტუციური რეფორმის შედეგად შეტანილი ცვლილებების ესპანურენოვანი ტექსტი.

მათ მიერ, ვინც მასიურად განახორციელეს გმირული საერთაშორისო მისიები;

ხოსე მარტის იდეებითა და მარქსის, ენგელსისა და ლენინის პოლიტიკური და სოციალური იდეებით;

დავეყრდნინთ რა

მსოფლიო ხალხებს, განსაკუთრებით კი, ლათინური ამერიკისა და კარიბის ხალხებს შორის პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს, ძმურ მეგობრობას, დახმარებას, თანამშრომლობასა და სოლიდარობას;

გადავწყვიტეთ

განგვეხორციელებინა მონკადას, სიერას გრანმასა და გირონის ტრიუმფალური რევოლუცია ფიდელ კასტროს მეთაურობით, რომელიც მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა რა ყველა რევოლუციურ ძალასთან და ხალხთან, მოვიპოვეთ სრული ეროვნული დამოუკიდებლობა, დავამყარეთ რევოლუციური ხელისუფლება, განვახორციელეთ დემოკრატიული ცვლილებები, დავიწყეთ სოციალიზმის შენება და კომუნისტური პარტიით სათავეში ეს შენება გავაგრძელეთ კომუნისტური საზოგადოების შექმნის საბოლოო მიზნით;

გვწამს რა, რომ

ყველა რეჟიმი, რომელიც ეფუძნება ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრას, იწვევს ჩაგრულთა დამცირებასა და მჩაგვრელთა ადამიანური ბუნების დეგრადაციას;

მხოლოდ სოციალიზმისა და კომუნიზმის პირობებში არის შესაძლებელი, რომ ადამიანი იყოს ექსპლუატაციის ყველა ფორმის — მონობის, მორჩილებისა და კაპიტალიზმისგან თავისუფალი, რომ მხოლოდ ამ დროს მიიღწევა ადამიანის სრული ღირსება;

ჩვენმა რევოლუციამ აღტაცებაში მოიყვანა ქვეყანა და ხალხი;

ვაცხადებთ

ჩვენს ნებას, რომ რესპუბლიკის კანონთა კანონს უძღოდეს ხოსე მარტის საბოლოოდ მიღწეული სანუკვარი ოცნება: „მე მინდა, რომ ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონი იყოს კუბელების ხარკი ადამიანის სრული ღირსებისათვის“;

და ვიღებთ

რეფერენდუმზე თავისუფალი კენჭისყრის გზით შემდეგ

კონსტიტუციას

თავი I. სახელმწიფოს პოლიტიკური, სოციალური, და ეკონომიკური პრინციპები

მუხლი 1.

კუბა არის დამოუკიდებელი და სუვერენული, მუშათა სოციალისტური სახელმწიფო, ყველას საკეთილდღეოდ და ყველას მიერ შექმნილი, როგორც ერთიანი და დემოკრატიული რესპუბლიკა, რათა დაამყაროს პოლიტიკური თავისუფლება, სოციალური სამართლიანობა, ინდივიდუალური და კოლექტიური კეთილდღეობა და ადამიანური სოლიდარობა.

მუხლი 2.

კუბის სახელმწიფოს სახელწოდებაა კუბის რესპუბლიკა, ოფიციალურ ენას წარმოადგენს ესპანური, ხოლო დედაქალაქია ჰავანა.

მუხლი 3.

კუბის რესპუბლიკაში სუვერენიტეტი ეკუთვნის ხალხს, რომლისგანაც მომდინარეობს მთელი სახელმწიფო ხელისუფლება. ეს ხელისუფლება ხორციელდება პირდაპირ ან სახალხო ხელისუფლების კრებებისა და სხვა სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით, რომლებმაც, თავის მხრივ, ხელისუფლება კრებებისგან მიიღეს კონსტიტუციით და კანონით დადგენილი ფორმითა და წესით.

როდესაც სხვა საშუალებები ამოწურულია, ყველა მოქალაქეს აქვს უფლება, იბრძოლოს ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის იარაღით, ყველას წინააღმდეგ, ვინც კონსტიტუციით დამყარებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური წესრიგის დამხობას შეეცდება.

ამ კონსტიტუციით დადგენილია სოციალიზმი და რევოლუციური პოლიტიკური და საზოგადოებრივი სისტემა, რომელიც განმტკიცებულ იქნა ყველა სახის აგრესიისა და იმპერიული ძალების მთავრობების ეკონომიკური ომის წინააღმდეგ გმირული წინააღმდეგობით, რაც არსებობდა და რომელმაც აჩვენა ქვეყნის გარდაქმნისა და სრულიად ახალი და სამართლიანი საზოგადოების შექმნის შესაძლებლობა. კუბა არასოდეს დაუბრუნდება კაპიტალიზმს.

მუხლი 4.

კუბის რესპუბლიკის ეროვნული სიმბოლოებია:
დროშა ერთი ვარსკვლავით;
ბაიამოს ჰიმნი;
გერბი სამეფო პალმის გამოსახულებით.

ისინი ასეული წლების განმავლობაში წინ მიუძღოდნენ დამოუკიდებლობის, ხალხთა ერთიანობისა და სოციალური განვითარებისთვის კუბის ბრძოლას.

მუხლი 5.

კუბის კომუნისტური პარტია, რომელიც მისდევს მარტის იდეებსა და მარქსიზმ-ლენინიზმს და წარმოადგენს კუბელი ერის ორგანიზებულ მოწინავე ნაწილს, არის საზოგადოებისა და სახელმწიფოს უმაღლესი ხელმძღვანელი ძალა, რომელიც ხელმძღვანელობს და უძღვება სოციალიზმის მშენებლობისა და კომუნისტური საზოგადოების შექმნის მიზნის საერთო ძალისხმევას.

მუხლი 6.

კუბის ავანგარდული ახალგაზრდობის ორგანიზაცია — ახალგაზრდა კომუნისტური ლიგა, აღიარებს და მხარს უჭერს სახელმწიფოს მის მთავარ მოვალეობაში — ხელი შეუწყოს ახალგაზრდების აქტიურ მონაწილეობას სოციალიზმის მშენებლობაში და, შესაბამისად, მათ მომზადებას კეთილსინდისიერ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში, რათა ჩვენი საზოგადოების სასარგებლოდ იტვირთონ უდიდესი პასუხისმგებლობა.

მუხლი 7.

კუბის სოციალისტური სახელმწიფო აღიარებს და სტიმულს აძლევს სოციალურ და მასობრივ ორგანიზაციებს, რომლებიც ჩვენი ხალხის ბრძოლის ისტორიული პროცესის შედეგად წარმოიქმნენ. ეს ორგანიზაციები იქმნება მოსახლეობის სხვადასხვა სექტორებში, წარმოადგენს მათ სპეციფიკურ ინტერესებს და აერთიანებს მათ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის, კონსოლიდაციისა და დაცვის ამოცანის განხორციელებაში.

მუხლი 8.

სახელმწიფო აღიარებს, მხარს უჭერს და უზრუნველყოფს რელიგიის თავისუფლებას. კუბის რესპუბლიკაში რელიგიური დაწესებულებები სახელმწიფოსგან განცალკევებულია. განსხვავებული რწმენა და რელიგია თანაბარი პირობებით სარგებლობს.

მუხლი 9.

სახელმწიფო:

ა) ასრულებს მშრომელი ხალხის ნებას და

- ერის ძალისხმევას მიმართავს სოციალიზმის მშენებლობისკენ;
- მხარს უჭერს და იცავს ქვეყნის მთლიანობასა და სუვერენიტეტს;

- უზრუნველყოფს ადამიანის თავისუფლებასა და სრულ ღირსებას, მისი უფლებების განხორციელებას, მოვალეობების აღსრულებას, აგრეთვე პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას;

- ამტკიცებს იმ საზოგადოების იდეოლოგიას, ერთად ცხოვრებისა და საკადრისი ქცევის წესებს, რომელიც თავისუფალია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციისაგან;

- იცავს ხალხის შემოქმედებით საქმიანობას, აგრეთვე სოციალისტური ერის ქონებასა და სიმდიდრეს;

- დაგეგმვის მეთოდით მართავს ეროვნულ ეკონომიკას;

- უზრუნველყოფს განათლების, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის განვითარებას ქვეყანაში;

ბ) როგორც სახალხო ხელისუფლება ხალხისთვის, უზრუნველყოფს

- რომ ყველა შრომისუნარიან მამაკაცს ან ქალს ჰქონდეს სამუშაო ადგილი, რომლითაც ხელს უწყობს საზოგადოების კეთილდღეობასა და ინდივიდუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას;

- რომ შრომისუუნარო პირები არ დარჩნენ არსებობისთვის სათანადო დახმარების გარეშე;

- რომ ავადმყოფები არ დარჩნენ სამედიცინო დახმარების გარეშე;

- რომ ბავშვი არ დარჩეს სკოლის, საკვებისა და ჩასაცმელის გარეშე;

- რომ ახალგაზრდები არ დარჩნენ სწავლის შესაძლებლობის გარეშე;

- რომ არავინ იყოს მოწყვეტილი სწავლას, კულტურასა და სპორტს;

გ) იღწვის, რათა მიაღწიოს, რომ არც ერთი ოჯახი არ დარჩეს კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ადგილის გარეშე.

მუხლი 10.

სახელმწიფო ორგანოები, მათი ხელმძღვანელები, თანამდებობის პირები და მოსამსახურეები მოქმედებენ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და მოვალენი არიან მკაცრად დაიცვან სოციალისტური კანონიერება და თვალყური ადევნონ მის პატივისცემას მთელ საზოგადოებაში.

მუხლი 11.

სახელმწიფო ახორციელებს საკუთარ სუვერენიტეტს:

ა) მთელ ეროვნულ ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს კუნძულ კუბას, ახალგაზრდობის კუნძულსა და ყველა სხვა მომიჯნავე კუნძულებსა და სრუტეებს, შიდა წყლებს, ტერიტორიულ წყლებს, რომლებიც გარს აკრავს და რომლებიც კანონით არის განსაზღვრული და საჰაერო სივრცეს, რომელიც განლაგებულია კუბის ზემოთ;

ბ) გარემოსა და ბუნებრივ რესურსებზე ქვეყანაში;

გ) ხმელეთსა და ოკეანის ფსკერზე განლაგებულ მინერალებზე, მცენარეულ და ცხოველურ რესურსებზე, ასევე წყლებში, რომლებიც ქმნიან რესპუბლიკის საზღვაო ეკონომიკურ ზონას, რაც დადასტურებულია კანონით, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

კუბის რესპუბლიკა უარყოფს და უკანონოდ და ბათილად მიიჩნევს ყველა შეთანხმებას, პაქტსა და კონცესიას, რომელიც დაიდო არათანაბარ პირობებში ან რომელიც არ ცნობს ან ასუსტებს მის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ ხელშეუხებლობას.

სახელმწიფოებთან ეკონომიკური, დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობები არ შეიძლება წარმოებულ იქნეს უცხოური ძალების აგრესიის, მუქარის ან იძულების გამოყენებით.

მუხლი 12.

კუბის რესპუბლიკა აღიარებს ანტიიმპერიალიზმისა და ინტერნაციონალიზმის პრინციპებს და

ა) რატიფიცირებას უკეთებს მის მისწრაფებას, რომ ყველა ქვეყნისთვის, მიუხედავად იმისა, დიდია თუ პატარა, სუსტია თუ ძლიერი, დამყარდეს მხარდაჭერაზე, თავისუფლებაზე და ხალხების სუვერენიტეტსა და თვითგამორკვევის უფლებაზე დაფუძნებული კანონიერი, ნამდვილი და ღირსეული მშვიდობა;

ბ) თანასწორუფლებიანობაზე, ხალხთა თვითგამორკვევის უფლებაზე, ტერიტორიულ მთლიანობაზე, სახელმწიფოების დამოუკიდებლობაზე, სიკეთეზე, ურთიერთპატივისცემაზე, სამართლიან ინტერესზე და მოგებაზე დაფუძნებულ საერთაშორისო თანამშრომლობაზე, თანაბარი დათმობების ხარჯზე და პატივისცემის საფუძველზე სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტაზე და გაერთიანებული ერების ქარტიითა და სხვა იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებულ პრინციპებზე დაყრდნობით, რომლის წევრიც არის კუბა, ამყარებს საერთაშორისო ურთიერთობებს;

გ) ადასტურებს ლათინური ამერიკისა და კარიბის ქვეყნებთან ინტეგრაციისა და თანამშრომლობის სურვილს, რომელთა საერთო მსგავსებამ და ისტორიულმა საჭიროებამ ხელი უნდა შეუწყოს მას ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის გზაზე, რათა მიაღწიოს ნამდვილ თავისუფლებას, რაც ჩვენ მოგვცემს მსოფლიოში ჩვენი სამართლიანი ადგილის დამკვიდრების შესაძლებლობას;

დ) მხარს უჭერს მესამე მსოფლიო ქვეყნების კავშირს ნეოკოლონისტური და იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც მიისწრაფვის შეზღუდოს და დაიქვემდებაროს ჩვენი ხალხის სუვერენიტეტი და გააუარესოს ექსპლუატაციის ეკონომიკური პირობები და ნაკლებგანვითარებული ერების ჩაგვრა;

ე) აძაგებს ყველა ფაშისტური, კოლონიალისტური, ნეოკოლონიალისტური და რასისტული მანიფესტაციების წამომწყებსა და მხარდამჭერს — იმპერიალიზმს, როგორც აგრესიისა და ომის მთავარ ძალას და ხალხების ყველაზე დიდ მტერს;

ვ) უარყოფს სხვა ქვეყნის საშინაო და საგარეო საქმეებში პირდაპირ ან არაპირდაპირ ჩარევას და ამიტომაც უარყოფს შეიარაღებულ აგრესიას, ეკონომიკურ ბლოკადას, ასევე სხვა სახის ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ შეზღუდვას, სხვა ქვეყნებში მცხოვრები ხალხის მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენებას ან ქვეყნების და ერების პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ელემენტების წინააღმდეგ სხვა სახის ჩარევას ან აგრესიას;

ზ) უარყოფს სხვა ქვეყნების განუსხვისებელი და სუვერენული უფლების დარღვევას, მათ ტერიტორიებზე დაარეგულირონ ტელეკომუნიკაციების გამოყენება და სარგებელი, საყოველთაო პრაქტიკისა და იმ საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად, რომლებსაც მათ მოაწერეს ხელი;

თ) საერთაშორისო დანაშაულად მიიჩნევს სამხედრო აგრესიასა და დამპყრობლურ ომს; ცნობს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათის ბრძოლის კანონიერებას, ისევე როგორც აგრესიისგან შეიარაღებულ თავდაცვას; და მიიჩნევს, რომ სოლიდარობა მათთან, ვისაც თავს ესხმიან და იმ ხალხთან, რომელიც თავისუფლებისა და თვითგამორკვევისთვის იბრძვის, წარმოადგენს მის საერთაშორისო მოვალეობას;

ი) ამყარებს ურთიერთობებს იმ ქვეყნებთან, რომლებიც ძმურ მეგობრობაზე, თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე აგებენ ახალი საზოგადოების მშენებლობის საერთო მიზნებზე დაფუძნებულ სოციალიზმს;

კ) იცავენ მეგობრულ ურთიერთობებს იმ ქვეყნებთან, რომლებიც, მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სისტემისა, აღიარებენ მის სუვერენიტეტს, თვალყურს ადევნებენ სახელმწიფოებს შორის თანაარსებობის წესებსა და ურთიერთმისაღებ პრინციპებს და ამტკიცებენ ჩვენს ქვეყანასთან ურთიერთობას.

მუხლი 13.

კუბის რესპუბლიკა თავშესაფარს აძლევს მათ, ვინც იდევნება თავისი იდეალების ან დემოკრატიული უფლებებისთვის; იმპერიალიზმის, ფაშიზმის, კოლონიალიზმის და ნეოკოლონიალიზმის გამო; დისკრიმინაციისა და რასიზმის გამო; ეროვნული თავისუფლებისთვის; მუშების, გლეხებისა და სტუდენტების უფლებებისა და მათი საჩივრების გამოსწორების გამო; მათი პროგრესული პოლიტიკური, სამეცნიერო, მხატვრული და ლიტერატურული საქმიანობისათვის; სოციალიზმისა და მშვიდობისათვის.

მუხლი 14.

კუბის რესპუბლიკაში ეკონომიკის სოციალისტური სისტემა ემყარება ხალხის წარმოების ძირითად სახსრებზე დაფუძნებულ სოციალისტურ საკუთრებას და კაცის მიერ კაცის ჩაგვრის გაუქმებას.

კუბაში ასევე მოქმედებს სოციალისტური განაწილების პრინციპი „თითოეულისგან მისი შესაძლებლობების მიხედვით, თითოეულს მისი სამუშაოს მიხედვით". კანონი ადგენს დებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ პრინციპის ეფექტურ განხორციელებას.

მუხლი 15.

სოციალისტური ქვეყნის ქონება, რომელიც არის მთელი ხალხის ქონება, მოიცავს:

ა) მიწებს, რომლებიც არ ეკუთვნის მცირე ფერმერებს ან მათ მიერ შექმნილ კოოპერატივებს, რესპუბლიკის საზღვაო ეკონომიკურ ზონაში არსებულ ქვენიადაგს, მაღაროებს, მინერალებს, მცენარეულ და ცხოველურ რესურსებს, ტყეებს, წყლებს, კომუნიკაციის საშუალებებს;

ბ) შაქრის ქარხნებს, ფაბრიკებს, მთავარ სატრანსპორტო საშუალებებს და ყველა სხვა საწარმოებს, ბანკებს და მოწყობილობებს, რომლებიც ნაციონალიზებულ იქნა და ჩამოერთვათ იმპერიალისტებს, მიწათმფლობელებს და ბურჟუებს, აგრეთვე სახელმწიფოს წახალისებითა და ხარჯებით აშენებულ და სახელმწიფოს მიერ მომავალში ასაშენებელ ფაბრიკებს, საწარმოებს და ეკონომიკურ საშუალებებს და აგრეთვე სამეცნიერო, სოციალურ, კულტურულ და სპორტულ შენობა-ნაგებობებს.

ქონებაზე მესაკუთრეობა არ შეიძლება გადაეცეს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური მიზნის ნაწილობრივ ან მთლიანად გადაცემა ხორციელდება ქვეყნის განვითარებისათვის და ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ საფუძვლებზე ვერ ახდენს ზეგავლენას. ამისთვის საჭიროა მინისტრთა საბჭოს ან მისი აღმასრულებელი კომიტეტის წინასწარი თანხმობა.

ამ მიზნის განსახორციელებლად სხვა საკუთრებითი უფლებების სახელმწიფო საწარმოსთვის და სხვა უფლებამოსილი დაწესებულებისთვის გადაცემა განისაზღვრება კანონით.

მუხლი 16.

სახელმწიფო ორგანიზებას უწევს, მართავს და აკონტროლებს ერის ეკონომიკურ ცხოვრებას გეგმის მიხედვით, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის პროგრამულ განვითარებას სოციალისტური სისტემის გაძლიერების, საზოგადოებისა და მოქალაქეების მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების უკეთესად დაკმაყოფილების, ადამიანური ყოფისა და ღირსების განვითა-

რების ამაღლებისა და ქვეყნის განვითარებისა და თავდაცვის გაძლიერების მიზნით.

ეკონომიკის ყველა დარგში და სოციალური ცხოვრების სხვა სფეროებში მოღვაწე მუშები აქტიურად და შეგნებულად მონაწილეობენ წარმოების შექმნასა და აღსრულებაში და გეგმების განვითარებაში.

მუხლი 17.

სახელმწიფო პირდაპირ მართავს ქონებას, რომელიც წარმოადგენს მთელი ხალხის სოციალისტურ ქონებას, აგრეთვე, რათა მართოს ზემოაღნიშნული ქონება, შეუძლება შექმნას და უხელმძღვანელოს საწარმოებსა და დაწესებულებებს, რომელთა სტრუქტურა, უფლებამოსილება, ფუნქციები და მათი ურთიერთობის სისტემა განისაზღვრება კანონით.

ეს საწარმოები და დაწესებულებები ვალებისთვის პასუხს აგებენ მხოლოდ მათი ფინანსური რესურსებით, კანონით განსაზღვრული შეზღუდვების ფარგლებში. სახელმწიფო არ არის პასუხისმგებელი იმ ვალებზე, რომლებიც საწარმოებს, დაწესებულებებსა და სხვა იურიდიულ პირებს გააჩნიათ და არც ისინი აგებენ პასუხს სახელმწიფოს ვალებისათვის.

მუხლი 18.

სახელმწიფო აკონტროლებს და მართავს საგარეო ვაჭრობას. კანონი ადგენს სახელმწიფო დაწესებულებებსა და თანამდებობებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან:

- შექმნან საგარეო სავაჭრო საწარმოები;
- მოახდინონ სტანდარტიზაცია და დაარეგულირონ საექსპორტო და საიმპორტო გარიგებები; და
- განსაზღვრონ საექსპორტო-საიმპორტო გარიგებების განმახორციელებელი და სავაჭრო შეთანხმებებზე ხელმომწერი, კანონიერი უფლებამოსილების მქონე ფიზიკური და იურიდიული პირები.

მუხლი 19.

სახელმწიფო აღიარებს მცირე ფერმერების საკუთრების კანონიერ უფლებას მათ მიწაზე, სხვა უძრავ ქონებასა და მათი მიწის დამუშავებისთვის საჭირო მოძრავ ქონებაზე, რომელიც კანონით არის განსაზღვრული.

მცირე ფერმერებს შეუძლიათ მხოლოდ შეუერთონ თავიანთი მიწები სოფლის მეურნეობის წარმოების კოოპერატივებს, კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ უფლებამოსილების წინასწარ მინიჭებით და სხვა კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებით. მათ შეუძლიათ ასევე თავიანთი მიწა გაყიდონ, გაცვალონ ან საკუთრების უფლებით გადასცენ სხვა სახელმწიფო და სოფლის მეურნეობის წარმოების კოოპერატივებს ან მცირე ფერმერებს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, ფორმებითა და პირობებში, სა-

ხელმწიფოს უპირატესი უფლებისათვის ზიანის მიყენების გარეშე, მიწის შესყიდვაზე სამართლიანი ფასის გადახდით.

აკრძალულია მცირე ფერმერების საკუთრებაში არსებულ მიწაზე იჯარა, წილობრივი ამხანაგობა, იპოთეკა და კერძო პირებისათვის მიწაზე უფლების გადაცემა.

სახელმწიფო მხარს უჭერს ეროვნული ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობ მცირე ფერმერების ინდივიდუალურ წარმოებას.

მუხლი 20.

მცირე ფერმერებს უფლება აქვთ, კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად გაერთიანდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების და სახელმწიფო სესხებისა და მომსახურების მიღების მიზნით.

კანონით განსაზღვრული წესითა და გზით ნებადართულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოოპერატივების დაარსება. კოოპერატივების საკუთრების უფლება, რომელიც შედგება სოციალისტური წარმოების მოწინავე და ეფექტური ფორმებისგან, აღიარებულია სახელმწიფოს მიერ.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოოპერატივები მართავენ, ფლობენ, სარგებლობენ და განკარგავენ მათ მფლობელობაში არსებულ საქონელს, კანონით და მათი დებულებით განსაზღვრული წესით.

მიწა, რომელსაც ფლობს კოოპერატივი არ შეიძლება დაყადაღდეს ან დაიბეგროს და მასზე საკუთრების უფლება შესაძლოა მხოლოდ კანონით განსაზღვრული მიზეზების შესაბამისად გადაეცეს სხვა კოოპერატივს ან სახელმწიფოს.

სახელმწიფო ყველა საშუალებით უჭერს მხარს ამ ფორმის სასოფლო-სამეურნეო საწარმოს.

მუხლი 21.

სახელმწიფო უზრუნველყოფს პირადი საკუთრების უფლებას პირის საკუთარი შრომით გამომუშავებულ და დაზოგილ თანხებზე, ასევე საცხოვრებელ სახლზე, რომელზეც მას აქვს კანონიერი საკუთრების უფლება და სხვა ქონებასა და ობიექტებზე, რომლებიც ემსახურება ადამიანის მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

აგრეთვე სახელმწიფო უზრუნველყოფს მოქალაქეების უფლებას საკუთრებაში ჰქონდეთ თავიანთი ინდივიდუალური და საოჯახო სამუშაო იარაღები, რომლებიც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოგების მისაღებად სხვა პირთა შრომის ექპლუატაციის შედეგად.

კანონი ადგენს პირის საკუთრებაში არსებული ქონების ოდენობას, რომელსაც შესაძლოა, შეეხოს კონფისკაცია.

მუხლი 22.

სახელმწიფო აღიარებს პოლიტიკური, მასობრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრების უფლებას, მათი მიზნების განხორციელებისთვის განკუთვნილ ქონებაზე.

მუხლი 23.

სახელმწიფო აღიარებს საკუთრების უფლებას კანონის საფუძველზე შექმნილ ერთობლივ საწარმოებზე, კომპანიებსა და ეკონომიკურ კავშირებზე.

ზემოხსენებული ორგანიზაციების კუთვნილი ქონების ფლობა, სარგებლობა და გასხვისება რეგულირდება კანონითა და შეთანხმებებით, აგრეთვე მათი წესდებებითა და დებულებებით.

მუხლი 24.

სახელმწიფო აღიარებს საცხოვრებელ სახლზე, სხვა პირად ქონებასა და მოძრავ ნივთებზე მოქალაქეების მემკვიდრეობის უფლებას.

მცირე ფერმერების ქონების წარმოებასთან დაკავშირებული მიწა და სხვა ქონება შეიძლება, მემკვიდრეობით იქნეს მიღებული მხოლოდ იმ მემკვიდრეების მიერ, რომლებიც მიწაზე მუშაობენ, გარდა კანონით განსაზღვრული გამონაკლისებისა.

კანონი განსაზღვრავს კოოპერაციული საკუთრების ქონების მემკვიდრეობით მიღების შემთხვევებს, პირობებსა და გზებს.

მუხლი 25.

ქონების ჩამორთმევა ნებადართულია მხოლოდ საზოგადოების სასარგებლოდ ან საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, სამართლიანი კომპენსაციით.

კანონი აწესებს ექსპროპრიაციის მეთოდს და საფუძველს, რომლითაც განისაზღვრება ჩამორთმევის მეთოდი და ამ აქციის საჭიროებისა და აუცილებლობის საფუძველი, ისევე როგორც კომპენსაციის ფორმას, იმ პირის ინტერესისა და სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნილებების გათვალისწინებით, რომლის ქონების ჩამორთმევაც ხდება.

მუხლი 26.

ნებისმიერ პირს, რომელიც საზოგადოებრივი ფუნქციების შესრულებისას სახელმწიფო თანამდებობის პირებისგან ან მოხელეებისგან განიცდის უსამართლო ზეწოლას, კანონის შესაბამისად აქვს საჩივრისა და შესაბამისი ზიანის ანაზღაურების უფლება.

მუხლი 27.

სახელმწიფო იცავს გარემოსა და ბუნებრივ რესურსებს. ის აღიარებს მჭიდრო კავშირს, რომელიც მათ აქვთ უწყვეტ ეკონომიკურ და სოციალურ

განვითარებასთან, რათა ადამიანის ცხოვრება უფრო რაციონალური გახადოს და უზრუნველყოს ახლანდელი და მომავალი თაობების გადარჩენა, კეთილდღეობა და უსაფრთხოება.

ამ პოლიტიკის განხორციელება ევალება კომპეტენტურ ორგანოებს.

წყლის, ატმოსფეროს დაცვისა და ნიადაგის, ფლორის, ფაუნის და ბუნების სხვა მდიდარი პოტენციალის შენარჩუნების ხელშეწყობა ყველა მოქალაქის მოვალეობაა.

თავი II. მოქალაქეობა

მუხლი 28.

კუბის მოქალაქეობა მიიღება დაბადებით ან ნატურალიზაციით.

მუხლი 29.

დაბადებით კუბის მოქალაქეები არიან:

ა) ისინი, ვინც დაიბადნენ ეროვნულ ტერიტორიაზე, გარდა იმ უცხოელების შვილებისა, რომლებიც ემსახურებიან თავის ხელისუფლებას ან საერთაშორისო ორგანიზაციებს. ქვეყნის ტერიტორიაზე დროებით მცხოვრები უცხოელების შვილებთან დაკავშირებით კანონი განსაზღვრავს სპეციალურ მოთხოვნებსა და პროცედურებს;

ბ) ისინი, ვინც დაიბადა საზღვარგარეთ და მათი ერთ-ერთი მშობელი მაინც არის კუბელი და საზღვარგარეთ იმყოფება ოფიციალური მისიით;

გ) ისინი, ვინც დაიბადნენ საზღვარგარეთ, მათი ერთ-ერთი მშობელი მაინც არის კუბელი, რომელმაც შეასრულა კანონით განსაზღვრული სპეციალური პროცედურა;

დ) ისინი, ვინც დაიბადნენ ეროვნული ტერიტორიის გარეთ, ერთი მშობელი მაინც ჰყავს კუბელი, რომელმაც კუბის მოქალაქეობა დაკარგა სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღებით, კანონით დადგენილი პროცედურების მიხედვით;

ე) უცხოელები, რომლებსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით კუბის განთავისუფლებისთვის ბრძოლაში გამარჯვებაში.

მუხლი 30.

ნატურალიზაციით კუბის მოქალაქეები არიან:

ა) უცხოელები, რომლებიც კუბის მოქალაქეობას იღებენ კანონით განსაზღვრული დებულებების შესაბამისად;

ბ) ისინი, ვინც წვლილს შეიტანა ტირანიის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლასა და 1959 წლის 1 იანვარს მის დამხობაში, თუ კანონით დადგენილი ფორმით წარმოადგენენ ამის მტკიცებულებებს;

გ) ისინი, ვინც თვითნებურად გავლენ დაბადებით მოქალაქეობიდან და კუბის მოქალაქეობას მიიღებენ სახელმწიფო საბჭოს თანხმობით.

მუხლი 31.

ქორწინება და განქორწინება არ ახდენს გავლენას მეუღლეებისა და შვილების მოქალაქეობის სტატუსზე.

მუხლი 32.

კუბელებს არ შეიძლება ჩამოერთვათ მოქალაქეობა, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა. ასევე არ შეიძლება მათ ჩამოერთვათ მოქალაქეობის შეცვალის უფლება. სახელმწიფო არ ცნობს ორმაგ მოქალაქეობას, ამიტომ უცხოური მოქალაქეობის მიღება იწვევს კუბის მოქალაქეობის დაკარგვას.

მოქალაქეობის დაკარგვის ლეგალიზაცია და მისი გადაწყვეტის უფლებამოსილი ორგანოები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 33.

კუბის მოქალაქეობა შეიძლება აღდგენილ იქნეს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და გზებით.

თავი III. უცხოელები

მუხლი 34.

კუბის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ უცხოელებს აქვთ კუბელების თანაბარი უფლებები:

- პიროვნებისა და ქონების დაცვაში;
- კონსტიტუციით აღიარებული უფლებებით სარგებლობასა და მოვალეობების შესრულებაში, კანონით განსაზღვრული პირობებითა და შეზღუდვებით;
- კანონებისა და კონსტიტუციის დაცვის ვალდებულებაში;
- სახელმწიფო შემოსავლებში კანონით განსაზღვრული ფორმითა და რაოდენობით წვლილის შენატის ვალდებულებაში;
- რესპუბლიკის მართლმსაჯულების სასამართლოებისა და თანამდებობის პირთა იურისდიქციისა და გადაწყვეტილებებისთვის დაქვემდებარებაში.

კანონი ადგენს ეროვნული ტერიტორიიდან უცხოელების გაძევების შემთხვევებსა და გზებს და ამ საკითხების გადაწყვეტის უფლებამოსილ ორგანოებს.

თავი IV. ოჯახი

მუხლი 35.

სახელმწიფო იცავს ოჯახს, დედობასა და ცოლქმრობას. სახელმწიფო ოჯახს აღიარებს საზოგადოების მთავარ ბირთვად და მნიშვნელოვან პასუხისმგებლობასა და ფუნქციებს ანიჭებს ახალი თაობის განათლებასა და ჩამოყალიბებაში.

მუხლი 36.

ქორწინება არის მამაკაცსა და ქალს შორის ოჯახის შექმნის მიზნით ურთიერთსიყვარულზე დამყარებული ნებაყოფლობითი კავშირი. ის დაფუძნებულია მეუღლეთა სრულ თანასწორ უფლებებსა და მოვალეობებზე, რომლებმაც სოციალური საქმიანობის შესაბამისი საერთო ძალისხმევით უნდა უზრუნველყონ ოჯახის რჩენა და მათი შვილების განათლების ხელშეუვალი უფლება.

კანონი არეგულირებს ქორწინების გაფორმებას, აღიარებასა და გაყრას და ასეთი აქტიდან წარმოშობილ უფლებებსა და მოვალეობებს.

მუხლი 37.

ყველა ბავშვს აქვს თანაბარი უფლებები, მიუხედავად იმისა, დაიბადებიან ქორწინებით, თუ ქორწინების გარეშე.

წარმომავლობის მიხედვით ნებისმიერი შეზღუდვა გაუქმებულია.

არავითარი განცხადება არ შეიძლება გაკეთდეს დაბადების ან მშობლების სამოქალაქო სტატუსის განსხვავების თაობაზე ბავშვების დაბადების რეგისტრაციის ჟურნალში ან მშობლის სტატუსის განმსაზღვრელ სხვა ნებისმიერ დოკუმენტში.

სახელმწიფო შესაბამისი კანონიერი საშუალებით უზრუნველყოფს მამობის განსაზღვრასა და ცნობას.

მუხლი 38.

მშობლები მოვალენი არიან კვებით უზრუნველყონ თავიანთი შვილები, დაეხმარონ მათ კანონიერი ინტერესების დაცვასა და სამართლიანი მისწრაფებების განხორციელებაში, აქტიურად შეუწყონ ხელი განათლებასა და საერთო განვითარებაში, რათა ჩამოყალიბდნენ სოციალისტური საზოგადოების მარგებელ და კარგად-მომზადებულ მოქალაქეებად.

თავის მხრივ, შვილები ვალდებულნი არიან პატივი სცენ და დაეხმარონ თავიანთ მშობლებს.

თავი V. განათლება და კულტურა

მუხლი 39.

სახელმწიფო ხელს უწყობს და ავითარებს განათლებას, კულტურასა და მეცნიერებას მის ყველა გამოხატულებაში.

მისი საგანმანათლებლო და კულტურული პოლიტიკა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) სახელმწიფო თავის საგანმანათლებლო და კულტურულ პოლიტიკას აფუძნებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარებაზე, მარქსისა და მარტის იდეოლოგიაზე და საყოველთაო და კუბელების პროგრესულ პედაგოგიურ ტრადიციებზე;

ბ) განათლება არის სახელმწიფოს ფუნქცია და არის უფასო. ის დაფუძნებულია დასკვნებსა და მეცნიერების მიერ მიღებულ ხელშეწყობაზე, აგრეთვე სწავლასა და ცხოვრებას, მუშაობასა და წარმოებას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირზე.

სახელმწიფო მხარს უჭერს ფართო სტიპენდიის სისტემას სტუდენტებისთვის და უზრუნველყოფს მუშებს შესაძლებლობით ისწავლონ და მიიღონ შეძლებისდაგვარად მაქსიმალური ცოდნა და გამოცდილება.

კანონი განსაზღვრავს განათლების ეროვნული სისტემის ინტეგრაციასა და სტრუქტურას, საავალდებულო განათლების დონეს და აწესებს საყოველთაო განათლების მინიმალურ ზღვარს, რომელიც ყველა მოქალაქემ უნდა მიიღოს;

გ) სახელმწიფო ხელს უწყობს ახალი თაობების პატრიოტულ და კომუნისტურ განათლებას და ბავშვების, ახალგაზრდებისა და მოზარდების სოციალური ცხოვრებისათვის მომზადებას.

იმ მიზნით, რომ ეს პრინციპი გახდეს რეალური, საყოველთაო განათლება და სპეციალიზებული სამეცნიერო, ტექნიკური ან მხატვრული განათლება არის შერწყმული მუშაობასთან, სამეცნიერო კვლევის განვითარებასთან, ფიზიკურ განათლებასთან, სპორტთან, პოლიტიკურ და სოციალურ საქმიანობაში მონაწილეობასთან და სამხედრო მზადებასთან;

დ) აღიარებულია მხატვრული შემოქმედების თავისუფლება, თუ მისი შინაარსი არ ეწინააღმდეგება რევოლუციას. აღიარებულია მხატვრული საქმიანობის თავისუფლება;

ე) ხალხის კულტურის დონის ამაღლების მიზნით, სახელმწიფო აღვივებს და ავითარებს მხატვრულ განათლებას, შემოქმედებით ნიჭს, ხელოვნების განვითარებასა და დაფასებას;

ვ) აღიარებულია სამეცნიერო მიღწევებისა და სამეცნიერო კვლევის თავისუფლება. სახელმწიფო მხარს უჭერს, უადვილებს კვლევას და ანიჭებს უპირატესობას მეცნიერებს, რომელთა საქმიანობა მიმართულია საზოგადოე-

ბის ინტერესებსა და ხალხის კეთილდღეობასთან დაკავშირებული პრობლემის გადაწყვეტისკენ;

ზ) სახელმწიფო მუშებს აძლევს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო შრომაში და თავიანთი წვლილი შეიტანონ მეცნიერების განვითარებაში;

თ) სახელმწიფო ხელს უწყობს, ახალისებს და ავითარებს ფიზიკური განათლებისა და სპორტის ყველა ფორმას, როგორც მოქალაქეთა შინაგანი განვითარების საშუალებასა და განათლების წყაროს;

ი) სახელმწიფო იცავს კუბის კულტურულ ტრადიციებს და უზრუნველყოფს ერის კულტურული მემკვიდრეობის, მხატვრული და ისტორიული სიმდიდრის შენახვას.

სახელმწიფო იცავს ეროვნულ ძეგლებსა და ადგილებს, რომლებიც ცნობილია თავიანთი ბუნებრივი სილამაზით ან მხატვრული ან ისტორიული ფასეულობით;

კ) სახელმწიფო ხელს უწყობს სოციალური და მასობრივი ორგანიზაციების მეშვეობით მოქალაქეთა მონაწილეობას ქვეყნის საგანმანათლებლო და კულტურული პოლიტიკის განვითარებაში.

მუხლი 40.

სახელმწიფო და საზოგადოება განსაკუთრებულად იცავენ ბავშვებსა და ახალგაზრდებს. ოჯახების, სკოლების, სახელმწიფო დაწესებულებების და სოციალური და მასობრივი ორგანიზაციების მოვალეობაა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბავშვებისა და ახალგაზრდების სრულფასოვან განვითარებას.

თავი VI. თანასწორობა

მუხლი 41.

ყველა მოქალაქეს აქვს თანაბარი უფლებები და მოვალეობები.

მუხლი 42.

დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, ეროვნების, რელიგიური რწმენის გამო და ადამიანის ღირსების შემლახველი დისკრიმინაციის ნებისმიერი სხვა ფორმა აკრძალულია და ისჯება კანონით.

სახელმწიფო დაწესებულებებში სწავლა შეუძლია ყველას, ადამიანებს შორის თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, შეძლებისდაგვარად ადრეული ასაკიდან.

მუხლი 43.

სახელმწიფო უძღვნის რევოლუციით მიღწეულ უფლებას, რომ ყველა მოქალაქეს მიუხედავად რასის, კანის ფერის, სქესის, რწმენის, ეროვნებისა და ადამიანის ღირსების შეურაცხმყოფელი ნებისმიერი სხვა ფაქტორისა:

აქვს უფლება, დაწესებულ მოთხოვნებთან თავისი დამსახურებისა და შესაძლებლობების შესაბამისობის შემთხვევაში დაიკავოს თანამდებობა ან განახორციელოს საქმიანობა ნებისმიერ სახელმწიფო, საჯარო ადმინისტრაციასა და წარმოების სამსახურში;

- შესაბამისი დამსახურებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით, შეუძლია მიაღწიოს ნებისმიერ რანგს რევოლუციურ შეიარაღებულ ძალებში, უშიშროების სამსახურში და შინაგან ძალებში;

- აქვს უფლება, ერთნაირი სამუშაოსთვის მიიღოს თანაბარი ანაზღაურება;

- აქვს უფლება, მიიღოს განათლება ნებისმიერ ეროვნულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, დაწყებული დაწყებითი სკოლიდან უნივერსიტეტამდე, რომლებშიც ყველასთვის თანაბარი სწავლის პირობებია;

- აქვს უფლება, იმკურნალოს ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში;

- იცხოვროს ნებისმიერ სექტორში, ზონაში ან რაიონში და შეჩერდეს ნებისმიერ სასტუმროში;

- მიიღოს მომსახურება ყველა რესტორანში და სხვა საჯარო მომსახურების დაწესებულებაში;

ყოველგვარი დაყოფის გარეშე ისარგებლოს ნებისმიერი სახის საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო ტრანსპორტით;

ისარგებლოს ნებისმიერი სახის კურორტებით, პლიაჟებით, პარკებით, სოციალური ცენტრებით და კულტურის, სპორტის, გართობისა და დასვენების სხვა ცენტრებით.

მუხლი 44.

ქალებსა და მამაკაცებს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალურ სფეროებში, ისევე როგორც ოჯახში, აქვთ თანაბარი უფლებები.

იმ მიზნით, რომ მიღწეული იქნეს ქვეყნის განვითარებაში ქალების სრული მონაწილეობა სახელმწიფო ქალებს უზრუნველყოფს იმავე შესაძლებლობებით, რითაც — მამაკაცებს.

სახელმწიფო ქმნის ისეთ დაწესებულებებს, როგორიცაა საბავშვო ბაღები, ნახევრად სკოლა-ინტერნატები და სკოლა ინტერნატები, მოხუცებულთა სახლები და სამსახურები, რათა მშრომელთა ოჯახებს გაუადვილდეთ თავიანთი მოვალეობების შესრულება.

სახელმწიფო ზრუნავს ქალების ჯანმრთელობაზე, ისევე როგორც მათ შთამომავლობაზე. მომუშავე ქალებს მშობიარობის წინა და მომდევნო პერიოდში ეძლევათ ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება და დედობრივ საქ-

მიანობასთან შეთავსებადი დროებითი სამუშაოს არჩევის უფლება. სახელმწიფო ისწრაფვის, რათა შექმნას ყველა პირობა თანასწორობის პრინციპის რეალობად ქცევის ხელშეწყობისთვის.

თავი VII. ძირითადი უფლებები, მოვალეობები და გარანტიები

მუხლი 45.

სოციალისტურ საზოგადოებაში მუშაობა არის უფლება და მოვალეობა და ყოველი მოქალაქის სიამაყის წყარო.

მუშაობა ანაზღაურდება მისი ხარისხისა და ოდენობის მიხედვით; ეკონომიკისა და საზოგადოების მოთხოვნილებების უზრუნველყოფის პირობებში მხედველობაში მიიღება მშრომელთა არჩევანი, მათი გამოცდილება და შესაძლებლობა; სოციალისტური ეკონომიკური სისტემა კრიზისის გარეშე უზრუნველყოფს სოციალური და ეკონომიკური განვითარების გაადვილებას და ამგვარად აღმოფხვრის უმუშევრობასა და „მკვდარ სეზონს".

მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტექნიკურ, მხატვრულ და მომსახურების სფეროში მთელი საზოგადოების სასარგებლოდ განხორციელებული აუნაზღაურებელი, ნებაყოფლობითი სამუშაო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენი ხალხის კომუნისტური შეგნების ჩამოყალიბებაში.

ყველა მშრომელის მოვალეობაა, სამუშაოს მეშვეობით პატიოსნად განახორციელოს მისთვის დაკისრებული მოვალეობები.

მუხლი 46.

ყველას, ვინც მუშაობს, აქვს დასვენების უფლება, რაც გარანტირებულია რვა საათიანი სამუშაო დღით, ყოველკვირეული დასვენებით და ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით.

სახელმწიფო ხელს უწყობს შვებულების გეგმის განვითარებასა და კეთილმოწყობას.

მუხლი 47.

სოციალური უსაფრთხოების სისტემის მეშვეობით, სახელმწიფო შესაბამისი მხარდაჭერით უზრუნველყოფს ყველა მუშას, რომელსაც ასაკის, ავადმყოფობის ან ქმედუუნარობის გამო აღარ შეუძლია მუშაობა.

მუშის სიკვდილის შემთხვევაში მისი დახმარება ვრცელდება მის ოჯახზე.

მუხლი 48.

სახელმწიფო სოციალური დახმარების მეშვეობით იცავს ხანშიშესულ მოქალაქეებს, რომლებიც განიცდიან ფინანსური საშუალებების უკმარისობას

ან არ ჰყავთ პირი, რომელიც მათზე იზრუნებს და ყველა შრომისუუნარო პირს, რომელსაც არ ჰყავს ნათესავები, რომლებიც დაეხმარებიან.

მუხლი 49.

სახელმწიფო უზრუნველყოფს დაცვის, უსაფრთხოებისა და სამუშაოზე ჰიგიენის უფლებას, იღებს რა შესაბამის ღონისძიებებს სამუშაოზე უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან ასაცილებლად.

ყველას, ვისაც შეემთხვა უბედური შემთხვევა ან დაავადდა პროფესიული დაავადებით, აქვს სამედიცინო დახმარებისა და კომპენსაციის უფლება, ხოლო თუ ამ შემთხვევას დროებითი ან მუდმივი შრომისუუნარობა მოსდევს — პენსიის უფლება.

მუხლი 50.

ყველას აქვს ჯანმრთელობის დაცვისა და მზრუნველობის უფლება. სახელმწიფო ამ უფლებას უზრუნველყოფს:

- უფასო სამედიცინო და საავადმყოფო მომსახურების დანერგვით, რაც ხორციელდება სასოფლო-სამედიცინო მომსახურების ქსელის დაფუძნების გზით, აგრეთვე პოლიკლინიკების, საავადმყოფოების, პროფილაქტიკური და სპეციალიზებული სამკურნალო ცენტრების დაფუძნების მეშვეობით;
- უფასო სტომატოლოგიური მომსახურების გზით;
- ჯანმრთელობის დაცვის სარეკლამო კომპანიების, სამედიცინო განათლების, რეგულარული სამედიცინო შემოწმებების, საერთო აცრებისა და სხვა ღონისძიებების ხელშეწყობით, რათა თავიდან იქნეს აცილებული დაავადების აფეთქება. მთელი მოსახლეობა ამ მოქმედებებსა და გეგმებში მონაწილეობს სოციალური და მასობრივი ორგანიზაციების მეშვეობით.

მუხლი 51.

ყველას აქვს განათლების უფლება. ეს უფლება უზრუნველყოფილია თავისუფალი და ფართოდ გავრცელებული სკოლების, ასევე ნახევრად სკოლა-ინტერნატების და სკოლა-ინტერნატების სისტემით, ყველა სახის და ყველა დონის საგანმანათლებლო სასწავლებლების არსებობით და აგრეთვე იმით, რომ ყველა საგანმანათლებლო საშუალება არის უფასო, რაც ყველა ბავშვს და ახალგაზრდას, მიუხედავად მათი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობისა, აძლევს სწავლის შესაძლებლობას მათი უნარის, სოციალური მოთხოვნილებებისა და საჭიროების და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესაბამისად.

ამ უფლებით ასევე უზრუნველყოფილები არიან მოზრდილები; კანონის შესაბამისად, მათთვის განათლება არის უფასო და გადასახადისაგან თავისუფალი, რაც გულისხმობს მოზრდილების განათლების პროგრამას, ტექნიკურ

და პროფესიულ განათლებას, სახელმწიფო დაწესებულებებსა და საწარმოებში სასწავლო კურსებსა და მუშების გადამზადების კურსებს.

მუხლი 52.

ყველას აქვს ფიზიკური განათლების, სპორტისა და დასვენების უფლება.

ამ უფლების განხორციელება უზრუნველყოფილია ფიზიკური განათლების სწავლებითა და პრაქტიკით, ასევე ეროვნულ საგანმანათლებლო სისტემაში სპორტის ჩართვით და ხალხის სამსახურში არსებული ფართო ხასიათის ინსტრუქციებითა და საშუალებებით, რაც სპორტის სწავლებასა და დასვენებას მასობრივ საფუძველზე ხდის შესაძლებელს.

მუხლი 53.

მოქალაქეებს სოციალისტური საზოგადოების მიზნების გათვალისწინებით აქვთ სიტყვისა და პრესის თავისუფლება. ამ უფლების განხორციელებისთვის მატერიალური პირობები უზრუნველყოფილია იმ ფაქტით, რომ პრესა, რადიო, ტელევიზია, კინო და მასმედიის სხვა საშუალებები არის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკუთრება და არ შეიძლება იყოს კერძო საკუთრება. ეს უზრუნველყოფს მათ გამოყენებას მხოლოდ მშრომელი ხალხის სამსახურისა და საზოგადოების ინტერესებისათვის.

ამ თავისუფლებების განხორციელებას არეგულირებს კანონი.

მუხლი 54.

შეკრების, დემონსტრაციისა და გაერთიანების უფლებები ხორციელდება ფიზიკურად და ინტელექტუალურად მომუშავეების, გლეხების, ქალების, სტუდენტებისა და მშრომელი ხალხის სხვა ნაწილის წარმომადგენლების მიერ და მათ აქვთ ამისთვის აუცილებელი საშუალებები. სოციალურ და მასობრივ ორგანიზაციებს აქვთ ყველა საჭირო საშუალება, რომ განახორციელონ ეს მოქმედებები, რომლებშიც მათ წევრებს აქვთ ინიციატივისა და კრიტიკის შეუზღუდავ უფლებაზე დაფუძნებული სიტყვისა და აზრის სრული თავისუფლება.

მუხლი 55.

სახელმწიფო, რომელიც აღიარებს, პატივს სცემს და უზრუნველყოფს სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას, ასევე აღიარებს, პატივს სცემს და უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის თავისუფლებას, შეიცვალოს რელიგიური რწმენა ან არ აღიაროს არც ერთი და კანონის მოთხოვნათა ფარგლებში ირწმუნოს ის რელიგია, რომელსაც უპირატესობას ანიჭებს.

კანონი არეგულირებს სახელმწიფოს ურთიერთობას რელიგიურ დაწესებულებებთან.

მუხლი 56.

ბინა ხელშეუხებელია. არავის არ შეუძლია შევიდეს სხვის ბინაში მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 57.

საფოსტო მიმოწერა ხელშეუხებელია. იგი მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში შეიძლება იქნეს დაყადაღებული, გახსნილი და დათვალიერებული. საიდუმლოება დაცულია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიმდინარეობს გამოძიება.

იგივე პრინციპი გამოიყენება სატელეგრამო, სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირის შემთხვევებში.

მუხლი 58.

ქვეყნის ყველა მცხოვრები უზრუნველყოფილია პიროვნების ხელშეუხებლობის თავისუფლებით.

არავინ არ შეიძლება იყოს დაპატიმრებული, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა და შესაბამისი გარანტიებით.

დაპატიმრებულის ან მსჯავრდებულის პიროვნული ღირსება ხელშეუხებელია.

მუხლი 59.

პირი შეიძლება გასამართლდეს ან მსჯავრი დაედოს მხოლოდ კომპეტენტური სასამართლოს მიერ, დანაშაულის ჩადენის მომენტში მოქმედი კანონების გამოყენებით და კანონით დადგენილი პროცედურებისა და გარანტიების შესაბამისად.

ყველა ბრალდებულს აქვს დაცვის უფლება.

არავითარი ძალადობა ან ზეწოლა არ შეიძლება, იქნეს გამოყენებული ხალხის მიმართ ჩვენების მიცემის იძულების მიზნით.

ზემოაღნიშნული დარღვევით მოპოვებული ყველა მტკიცებულება არის ბათილი და კანონიერი ძალის არმქონე და დარღვევაზე პასუხისმგებელი პირი ისჯება კანონით.

მუხლი 60.

საკუთრების კონფისკაცია სასჯელის სახით გამოიყენება სახელმწიფო ორგანოების მიერ მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და ფორმით.

მუხლი 61.

სისხლის სამართლის კანონს აქვს უკუძალა, როდესაც აუმჯობესებს ბრალდებულის ან მსჯავრდებულის მდგომარეობას. სხვა კანონებს არ აქვს

უკუძალა, სანამ სოციალური ინტერესების მიზნით საწინააღმდეგო არ არის დადგენილი ან თუ ეს საზოგადოებრივი მიზნებისთვის არის საჭირო.

მუხლი 62.

მოქალაქეებისათვის აღიარებული არც ერთი თავისუფლება არ შეიძლება, განხორციელდეს იმის საწინააღმდეგოდ, რაც კონსტიტუციით და კანონით არის დადგენილი ან სოციალისტური სახელმწიფოს არსებობისა და მიზნების საწინააღმდეგოდ, ან კუბელი ხალხის გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ — ააშენონ სოციალიზმი და კომუნიზმი. ამ პრინციპის დარღვევა ისჯება კანონით.

მუხლი 63.

ყველა მოქალაქეს აქვს უფლება შეიტანოს საჩივარი, სახელმწიფო ორგანოებს გაუგზავნოს პეტიცია და გონივრულ ვადაში, კანონის შესაბამისად, მიიღოს შესაბამისი პასუხი ან მიიქციოს ყურადღება.

მუხლი 64.

ყოველი მოქალაქე ვალდებულია გაუფრთხილდეს საზოგადო და სოციალურ ქონებას, დაიცვას შრომის დისციპლინა, პატივი სცეს სხვათა უფლებებს, დაიცვას სოციალისტური ცხოვრების სტანდარტები და თვალყური ადევნოს სამოქალაქო და სოციალური მოვალეობების განხორციელებას.

მუხლი 65.

სოციალისტური სამშობლოს დაცვა კუბის თითოეული მოქალაქის უდიდესი პატივი და უზენაესი მოვალეობაა. კანონი აწესებს სამხედრო სამსახურს, რომელიც კუბელებმა უნდა მოიხადონ. სახელმწიფო ღალატი არის ყველაზე მძიმე დანაშაული; მისი ჩამდენი უმკაცრესად ისჯება.

მუხლი 66.

კონსტიტუციისა და კანონების ზუსტად განხორციელება ყველა პირის უპირატესი მოვალეობაა.

თავი VIII. საგანგებო მდგომარეობა

მუხლი 67.

გარდაუვალი სტიქიური უბედურების ან კატასტროფის ან სხვა გარემოებების შემთხვევაში ან ასეთი მოვლენების საფრთხის არსებობისას, რაც თავისი ხასიათით, პროპორციით ან მნიშვნელობით ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივ წესრიგზე, ქვეყნის უსაფრთხოებაზე ან სტაბილურობაზე, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს შეუძლია მთელ ეროვნულ ტერიტორიაზე ან

მის ნაწილში გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა და საგანგებო მდგომარეობის ძალაში ყოფნის ვადით გასცეს მოსახლეობის მობილიზაციის ბრძანება.

კანონი არეგულირებს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების, მოქმედებისა და შეწყვეტის წესს. ის ასევე განსაზღვრავს კონსტიტუციაში აღიარებულ ძირითად უფლებებსა და მოვალეობებს, რომელთა განხორციელებაც საგანგებო მდგომარეობის არსებობისას განსხვავებული წესით რეგულირდება.

თავი IX. სახელმწიფო დაწესებულებათა ორგანიზაციისა და ფუნქციონირების პრინციპები

მუხლი 68.

სახელმწიფო დაწესებულებები იქმნება, რათა განახორციელონ სოციალისტურ დემოკრატიაზე დამყარებული თავიანთი ფუნქციები, რაც ვლინდება შემდეგ დებულებებში:

ა) სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების ყველა წევრი არის არჩეული და ექვემდებარება გამოწვევას;

ბ) ხალხი აკონტროლებს სახელმწიფო დაწესებულებების, დეპუტატების, დელეგატებისა და მოხელეების საქმიანობას;

გ) არჩეულმა თანამდებობის პირებმა უნდა წარმოადგინონ გაწეული სამუშაოს ანგარიში და შეიძლება დათხოვნილ იქნენ ნებისმიერ დროს;

დ) ყველა სახელმწიფო დაწესებულება ვითარდება შორსგამიზნული გეგმით თავისი იურისდიქციის ფარგლებში, ადგილობრივ დონეზე არსებული რესურსებისათვის უპირატესობის მინიჭებით, ადგილობრივ დონეზე არსებული შესაძლებლობებით და მათ საქმიანობაში მასობრივი და სოციალური ორგანიზაციების ჩართვით;

ე) ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებები სავალდებულოა ქვემდგომისათვის;

ვ) ქვემდგომი სახელმწიფო ორგანოები პასუხისმგებელნი არიან ზემდგომის წინაშე და ვალდებულნი არიან ჩააბარონ ანგარიში გაწეული სამუშაოს შესახებ;

ზ) კამათის თავისუფლება, კრიტიკა, თვითკრიტიკა და უმცირესობის უმრავლესობისადმი დაქვემდებარება დადგენილია ყველა კოლეგიალურ სახელმწიფო ორგანოში.

თავი X. სახალხო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები

მუხლი 69.

სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრება არის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო და წარმოადგენს და გამოხატავს მთელი ხალხის სუვერენულ ნებას.

მუხლი 70.

სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრება არის ერთადერთი ორგანო რესპუბლიკაში, რომელსაც მინიჭებული აქვს სადამფუძნებლო და საკანონმდებლო ხელისუფლება.

მუხლი 71.

სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრება შედგება თავისუფალი, პირდაპირი არჩევნებითა და ფარული კენჭისყრით, პროპორციული წესით და კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად არჩეული დეპუტატებისგან.

მუხლი 72.

სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრება აირჩევა ხუთი წლის ვადით. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ თვით საბჭოს რეზოლუციით ომის დროს ან სხვა გამონაკლის შემთხვევებში, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალონ არჩევნების ნორმალურ ჩატარებას, სანამ ასეთი გარემოებების არსებობა გრძელდება.

მუხლი 73.

ახალარჩეული სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრება თავის დეპუტატთაგან პირველი შეკრებისთანავე ირჩევს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს. კრების ფორმირების წესი და პროცედურა და ამ არჩევნების ჩატარების წესი რეგულირდება კანონით.

მუხლი 74.

სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრება თავის დეპუტატთაგან ირჩევს სახელმწიფო საბჭოს, რომელიც შედგება თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილის, ხუთი თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 23 სხვა წევრისგან.

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე იმავდროულად არის სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური.

სახელმწიფო საბჭო თავისი მოქმედებებისათვის ანგარიშვალდებულია სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების წინაშე, რომელსაც ყველა თავის მოქმედებაზე უნდა ჩააბაროს ანგარიში.

მუხლი 75.

სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრება აღჭურვილია შემდეგი უფლებამოსილებით:

ა) 137-ე მუხლში განსაზღვრული წესით წყვეტს კონსტიტუციურ რეფორმებს;

ბ) ხალხთან კონსულტაციის შემდეგ ამტკიცებს, ცვლის და აუქმებს კანონებს, როდესაც ეს, კანონის განხილვის ხასიათიდან გამომდინარე, საჭიროდ მიიჩნევა;

გ) წყვეტს კანონების, კანონ-დეკრეტების, დეკრეტებისა და სხვა ძირითადი აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობას;

დ) მთლიანად ან ნაწილობრივ აუქმებს სახელმწიფო საბჭოს მიერ გამოცემულ კანონ-დეკრეტებს;

ე) განხილავს და ამტკიცებს ეკონომიკისა და სოციალური განვითარების ეროვნულ გეგმებს;

ვ) განიხილავს და ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს;

ზ) ამტკიცებს ეროვნული ეკონომიკის დაგეგმვისა და მენეჯმენტის სისტემის პრინციპებს;

თ) ამტკიცებს სავალუტო და საკრედიტო სისტემას;

ი) ამტკიცებს საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითად საფუძვლებს;

კ) სამხედრო აგრესიის დროს აცხადებს საომარ მდგომარეობას და ამტკიცებს სამშვიდობო შეთანხმებებს;

ლ) კონსტიტუციის 102-ე მუხლში განსაზღვრული წესის შესაბამისად ადგენს და ცვლის ქვეყნის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ დაყოფას;

მ) ირჩევს ეროვნული კრების თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს;

ნ) ირჩევს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, თავმჯდომარის მოადგილეებს, მდივანს და სხვა წევრებს;

ო) სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, თავმჯდომარის მოადგილეებსა და მინისტრთა საბჭოს სხვა წევრებს;

პ) ირჩევს სახალხო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, მის მოადგილეებსა და სხვა მოსამართლეებს;

ჟ) ირჩევს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორსა და გენერალური პროკურორის მოადგილეებს;

რ) ქმნის დროებით და მუდმივ კომისიებს;

ს) აუქმებს მის მიერ არჩეულ ან დანიშნულ პირთა არჩევნებსა და დანიშვნებს;

ტ) სახელმწიფო და სამთავრობო ორგანოებზე ახორციელებს უმაღლეს ზედამხედველობას;

უ) იღებს ინფორმაციას, აფასებს და ამტკიცებს შესაბამის გადაწყვეტილებას სახელმწიფო საბჭოს, მინისტრთა საბჭოს, სახალხო უზენაესი სასამართლოს, რესპუბლიკის გენერალური პროკურატურისა და პროვინციის სახალხო ხელისუფლების კრებების მიერ განსახილველად წარმოდგენილ მოხსენებებსა და ანგარიშებზე;

ფ) აუქმებს სახელმწიფო საბჭოს იმ დადგენილებებს ან კანონ-დეკრეტებს და მინისტრთა საბჭოს იმ დეკრეტებს ან რეზოლუციებს, რომლებიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას ან კანონს;

ქ) აუქმებს ან ცვლის იმ რეზოლუციებსა და დადგენილებებს, რომლებიც მიიღეს ადგილობრივმა სახალხო ხელისუფლების ორგანოებმა და რომლებიც არღვევენ კონსტიტუციას, კანონებს, კანონ-დეკრეტებს, დეკრეტებსა და ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებულ სხვა აქტებს ან საზიანოა სხვა ადგილობრივი ორგანოების ან ერის საერთო ინტერესებისათვის;

ღ) აცხადებს ამნისტიას;

ყ) ნიშნავს რეფერენდუმს კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში, და აგრეთვე იმ შემთხვევებში, რომელთაც კრება მიიჩნევს მიზანშეწონილად;

შ) ადგენს თავისი მართვისა და პროცედურულ წესებს;

ჩ) ახორციელებს კონსტიტუციით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 76.

სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების ყველა კანონი და რეზოლუცია, გარდა კონსტიტუციური ცვლილებებისა, მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 77.

სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების მიერ მიღებული კანონი ძალაში შედის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კანონში მითითებულ დღეს.

ეროვნული სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული კანონები, კანონ-დეკრეტები, დეკრეტები, რეზოლუციები, დადგენილებები და ეროვნული სახელმწიფო ორგანოების სხვა ძირითადი აქტები ქვეყნდება რესპუბლიკის ოფიციალურ გაზეთში.

მუხლი 78.

სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრება წელიწადში ატარებს ორ მორიგ სესიას და სპეციალურ სესიას, როდესაც ამას მოითხოვს მის წევრთა ერთი მესამედი ან მოიწვევს სახელმწიფო საბჭო.

მუხლი 79.

სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების სესიის ჩასატარებლად აუცილებელია მას ესწრებოდეს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.

მუხლი 80.

სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების ყველა სესია საჯაროა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კრება მიიღებს გადაწყვეტილებას, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ჩაატაროს დახურული სესია.

მუხლი 81.

სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების თავმჯდომარე აღჭურვილია შემდეგი უფლებამოსილებით:

ა) თავმჯდომარეობს ეროვნული კრების სესიებს და თვალყურს ადევნებს მისი პროცედურული წესების შესრულებას;

ბ) იწვევს ეროვნული კრების მორიგ სესიებს;

გ) ეროვნულ კრებას სთავაზობს სესიების დღის წესრიგის პროექტს;

დ) ხელს აწერს და აქვეყნებს აქტებს რესპუბლიკის ოფიციალურ გაზეთში, რომელიც განკუთვნილია ეროვნული კრების მიერ მიღებული კანონებისა და რეზოლუციებისთვის;

ე) ორგანიზებას უწევს ეროვნული კრების საერთაშორისო ურთიერთობებს;

ვ) წარმართავს და ორგანიზებას უწევს ეროვნული კრების მიერ შექმნილი დროებითი და მუდმივი კომისიების მუშაობას;

ზ) ესწრება სახელმწიფო საბჭოს სხდომებს;

თ) ახორციელებს კონსტიტუციით ან სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების მიერ მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 82.

დეპუტატის სტატუსი არ იწვევს პერსონალურ პრივილეგიებს ან რაიმე სახის ეკონომიკურ სარგებელს. სადეპუტატო უფლებამოსილების პერიოდში დეპუტატები იღებენ იგივე ანაზღაურებას, რასაც თავიანთ სამუშაო ადგილზე და ინარჩუნებენ მასთან კავშირს.

მუხლი 83.

სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების დეპუტატის დაპატიმრება ან გასამართლება აკრძალულია კრების, ხოლო თუ კრება არ იმყოფება სესიაზე სახელმწიფო საბჭოს ნებართვის გარეშე, გარდა დანაშაულის ადგილზე წასწრებისა.

მუხლი 84.

სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების დეპუტატების მოვალეობაა განახორციელონ თავიანთი ვალდებულებები ხალხის ინტერესების სასიკეთოდ, ჰქონდეთ კავშირი თავიანთ ამომრჩევლებთან, მოისმინონ მათი პრობლემები, წინადადებები და კრიტიკა და აუხსნან სახელმწიფოს პოლიტიკა. ასევე კანონით განსაზღვრული წესით მათ უნდა ჩააბარონ თავიანთი საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიში.

მუხლი 85.

სახალხო ხელისუფლების ეროვნული საბჭოს დეპუტატის მანდატი შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს კანონით განსაზღვრული მიზეზებითა და წესით.

მუხლი 86.

სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების დეპუტატებს უფლება აქვთ შეკითხვა დაუსვან სახელმწიფო საბჭოს, მინისტრთა საბჭოს ან მათ წევრებს და მიიღონ მათზე პასუხი იმავე სესიის განმავლობაში ან მომდევნო სესიაზე.

მუხლი 87.

ყველა სახელმწიფო ორგანოსა და საწარმოს მოვალეობაა ითანამშრომლოს დეპუტატებთან მათი მოვალეობების განხორციელებისას.

მუხლი 88.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება გააჩნიათ:

ა) სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების დეპუტატებს;

ბ) სახელმწიფო საბჭოს;

გ) მინისტრთა საბჭოს;

დ) სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების კომისიებს;

ე) კუბის პროფკავშირების ცენტრალურ ორგანიზაციას და სხვა საზოგადოებრივი და მასობრივი ორგანიზაციების ეროვნულ სამსახურებს;

ვ) სახალხო უზენაეს სასამართლოს, სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ზ) რესპუბლიკის გენერალურ პროკურატურას, მის იურისდიქციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

თ) მოქალაქეებს. ამ შემთხვევაში აუცილებელი წინაპირობაა, რომ ინიციატივა წარადგინოს საარჩევნო უფლების მქონე არანაკლებ 10 000-მა მოქალაქემ.

მუხლი 89.

სახელმწიფო საბჭო არის სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების ორგანო, რომელიც მას წარმოადგენს სესიებს შორის პერიოდში, ასრულებს მის რეზოლუციებს და ახორციელებს კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვა მოვალეობებს.

ის არის კოლეგიალური ორგანო და კუბის სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო და საშინაო მიზნების განხორციელებაში.

მუხლი 90.

სახელმწიფო საბჭო აღჭურვილია შემდეგი უფლებამოსილებით:

ა) იწვევს სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების სპეციალურ სესიებს;

ბ) სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების პერიოდული განახლების მიზნით ადგენს არჩევნების თარიღს;

გ) სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების სესიებს შორის პერიოდში გამოსცემს კანონ-დეკრეტებს;

დ) იძლევა მოქმედი კანონების ზოგად და სავალდებულო განმარტებას, როდესაც ეს აუცილებელია;

ე) ახორციელებს საკანონმდებლო ინიციატივას;

ვ) ახორციელებს ყველა საჭირო სამზადისს რეფერენდუმის ჩასატარებლად, როდესაც მას ნიშნავს სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრება;

ზ) აცხადებს საყოველთაო მობილიზაციას, როდესაც ქვეყნის თავდაცვა ამას საჭიროებს და უფლებამოსილია აგრესიის დროს გამოაცხადოს ომი ან დაამტკიცოს სამშვიდობო ხელშეკრულებები — უფლებამოსილებები, რომლებსაც კონსტიტუცია სახალხო ხელისუფლების ეროვნულ კრებას ანიჭებს — როდესაც კრება იმყოფება სესიებს შორის შესვენებაზე და ვერ შეიკრიბება სესიაზე, საკითხის გადაწყვეტა კი აუცილებელია უშიშროებისა და გადაუდებლობის გამო;

თ) სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების სესიებს შორის პერიოდში მისი თავმჯდომარის ინიციატივით ცვლის მინისტრთა საბჭოს წევრებს;

ი) სახალხო უზენაესი სასამართლოს მმართველი საბჭოს მეშვეობით სასამართლოებისთვის გამოსცემს ზოგად ინსტრუქციებს;

კ) რესპუბლიკის გენერალური პროკურატურისთვის გამოსცემს ინსტრუქციებს;

ლ) თავმჯდომარის ინიციატივით ნიშნავს და ათავისუფლებს დიპლომატიურ წარმომადგენლებს სხვა ქვეყნებში;

მ) ანიჭებს ჯილდოებსა და საპატიო წოდებებს;

ნ) სახელს არქმევს კომისიებს;

ო) გამოსცემს შეწყალებას;

პ) ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციასა და დენონსაციას;

ჟ) სხვა ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობებს ანიჭებს აკრედიტაციას ან უარს ამბობს მის მინიჭებაზე;

რ) აჩერებს მინისტრთა საბჭოს იმ რეზოლუციებსა და სახალხო ხელისუფლების ადგილობრივი კრებების იმ რეზოლუციებსა და დადგენილებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, კანონს, ადგილობრივი ორგანოს ინტერესებს ან ქვეყნის საერთო ინტერესებს; და ამ მოქმედების შესახებ ატყობინებს სახალხო ხელისუფლების ეროვნულ კრებას შეჩერების შემდეგ პირველივე სესიაზე;

ს) აუქმებს სახალხო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების იმ რეზოლუციებსა და დადგენილებებს, რომლებიც არღვევს კონსტიტუციას, კანონებს, კანონ-დეკრეტებს, დეკრეტებს და სხვა აქტებს, რომლებიც გამოსცეს ზემდგომმა ორგანოებმა ან საზიანოა სხვა ადგილობრივი მმართველობის ინტერესებისთვის ან ერის საერთო ინტერესებისთვის;

ტ) ამტკიცებს თავისი მართვისა და პროცედურულ წესებს;

უ) მას ასევე აქვს კონსტიტუციითა და კანონებით ან სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების მიერ მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 91.

სახელმწიფო საბჭოს ყველა გადაწყვეტილება მიიღება მისი წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 92.

სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების მიერ სახელმწიფო საბჭოსთვის მინიჭებული მანდატი წყდება პერიოდული განახლების საფუძველზე არჩეული ახალი სახელმწიფო საბჭოს უფლებამოსილების ცნობით.

მუხლი 93.

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე არის მთავრობის მეთაური და აღჭურვილია შემდეგი უფლებამოსილებით:

ა) წარმოადგენს სახელმწიფოსა და მთავრობას და წარმართავს მათ საერთო პოლიტიკას;

ბ) ორგანიზაციას უწევს და წარმართავს სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს საქმიანობას, სესიების მოწვევას და მათ თავმჯდომარეობას;

გ) აკონტროლებს და ზედამხედველობს სამინისტროებისა და ადმინისტრაციის სხვა ცენტრალური ორგანოების საქმიანობის განვითარებას;

დ) თავის თავზე იღებს ნებისმიერი სამინისტროს ან ადმინისტრაციის სხვა ცენტრალური ორგანოს ხელმძღვანელობას;

ე) ახალარჩეულ სახალხო ხელისუფლების ეროვნულ კრებას წარუდგენს მინისტრთა საბჭოს წევრებს;

ვ) იღებს მინისტრთა საბჭოს წევრთა გადადგომას ან სახალხო ხელისუფლების ეროვნულ კრებას ან სახელმწიფო საბჭოს წარუდგენს წინადადებას ნებისმიერი წევრის შეცვლის შესახებ და ორივე შემთხვევაში წარუდგენს შესაბამის შემცვლელს;

ზ) იღებს უცხოური დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელთა აკრედიტაციას.

ეს პასუხისმგებლობა შეიძლება გადაეცეს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის რომელიმე მოადგილეს;

თ) ახორციელებს უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქციას და განსაზღვრავს შეიარაღებული ძალების საერთო ორგანიზაციას;

ი) თავმჯდომარეობს ეროვნული თავდაცვის საბჭოს;

კ) კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში აცხადებს საგანგებო მდგომარეობას და შეძლებისდაგვარად დაუყოვნებლივ აცნობებს გადაწყვეტილებას სახალხო ხელისუფლების ეროვნულ კრებას ან სახელმწიფო საბჭოს, ხოლო თუ კრებას არ შეუძლია შეკრება, აცნობებს დადგენილი სამართლებრივი ნორმების შესაბამისად;

ლ) ხელს აწერს სახელმწიფო საბჭოს კანონ-დეკრეტებს და სხვა რეზოლუციებს და მინისტრთა საბჭოს ან მისი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტებს და ორგანიზებას უწევს მათ გამოქვეყნებას რესპუბლიკის ოფიციალურ გაზეთში;

მ) ახორციელებს კონსტიტუციით ან კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 94.

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის, ავადმყოფობის ან გარდაცვალების შემთხვევაში მის უფლებამოსილებებს ასრულებს მისი პირველი მოადგილე.

მუხლი 95.

მინისტრთა საბჭო არის უმაღლესი აღმასრულებელი და ადმინისტრაციული ორგანო და წარმოადგენს რესპუბლიკის მთავრობას. სამინისტროებისა და მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალი ცენტრალური ორგანოების რაოდენობა, სახელწოდებები და ფუნქციები განსაზღვრულია კანონით.

მუხლი 96.

მინისტრთა საბჭო შედგება სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურის, როგორც მისი თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილის, მოადგილეების, მინისტრების, მდივნისა და კანონით განსაზღვრული სხვა წევრებისაგან.

მუხლი 97.

თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე, მოადგილეები და მინისტრთა საბჭოს სხვა წევრები თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული წესით ქმნიან აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც მინისტრთა საბჭოს შეკრებებს შორის პერიოდში იღებს გადაწყვეტილებებს მინისტრთა საბჭოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ საკითხებზე.

მუხლი 98.

მინისტრთა საბჭო აღჭურვილია შემდეგი უფლებამოსილებით:

ა) სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების მიერ განსაზღვრული წესით ორგანიზაციას უწევს და ახორციელებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სამეცნიერო, სოციალურ და თავდაცვით საქმიანობას;

ბ) სახალხო ხელისუფლების ეროვნულ კრებას წარუდგენს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საერთო გეგმების პროექტს და მათი დამტკიცების შემთხვევაში ორგანიზებას უწევს, წარმართავს და აკონტროლებს მათ შესრულებას;

გ) წარმართავს რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკასა და სხვა ქვეყნის მთავრობებთან ურთიერთობებს;

დ) ამტკიცებს საერთაშორისო შეთანხმებებს და რატიფიკაციისთვის წარუდგენს სახელმწიფო საბჭოს;

ე) მართავს და აკონტროლებს საგარეო ვაჭრობას;

ვ) ადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს და სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების მიერ მისი მიღებისას თვალყურს ადევნებს მის შესრულებას;

ზ) იღებს საფინანსო და ფულად-საკრედიტო სისტემის გამყარებისთვის გამიზნულ ზომებს;

თ) შეიმუშავებს კანონპროექტებს და განსახილველად წარუდგენს შესაბამისად სახალხო ხელისუფლების ეროვნულ კრებას ან სახელმწიფო საბჭოს;

ი) ახორციელებს ეროვნულ თავდაცვას, ქვეყანაში წესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას, მოქალაქეთა უფლებებისა და სტიქიური უბედურების დროს სიცოცხლისა და ქონების დაცვას;

კ) ახორციელებს სახელმწიფოს მართვას და აერთიანებს, კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანოებისა და ადგილობრივი ადმინისტრაციების საქმიანობას;

ლ) აღასრულებს სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების მიერ მიღებულ კანონებსა და რეზოლუციებს და სახელმწიფო საბჭოს მიერ გამოცემულ კანონ-დეკრეტებს და დადგენილებებს და საჭიროებისას გასცემს შესაბამის ინსტრუქციებს;

მ) მოქმედი კანონების შესაბამისად და საფუძველზე გამოსცემს დეკრეტებსა და დადგენილებებს და ზედამხედველობს მათ შესრულებას;

ნ) აუქმებს სახალხო ხელისუფლების პროვინციული ან მუნიციპალური კრებებისადმი დაქვემდებარებული იმ ადმინისტრაციების გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიღებულია ცენტრალური სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დელეგირებული უფლებამოსილების შესაბამისად, როდესაც ისინი ეწინააღმდეგება ზემდგომი ორგანოების მიერ გამოცემულ შესასრულებლად სავალდებულო ინსტრუქციებს;

ო) სახალხო ხელისუფლების პროვინციულ და მუნიციპალურ კრებებს წარუდგენს წინადადებებს მათი ქვემდებარე მუნიციპალური და პროვინციული ადმინისტრაციების მიერ, მათი საქმიანობისას მიღებული იმ დადგენილებების გაუქმების შესახებ, რომლებიც მათი ფუნქციების განხორციელებისას ეწინააღმდეგება ცენტრალური სახელმწიფო ადმინისტრაციული დაწესებულებების მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციებს;

პ) აუქმებს ცენტრალური სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელთა მიერ გამოცემულ დადგენილებებს, როდესაც ისინი ეწინააღმდეგება ზემდგომი ორგანოების მიერ გამოცემულ შესასრულებლად სავალდებულო ინსტრუქციებს;

ჟ) სახალხო ხელისუფლების ეროვნულ კრებას ან სახელმწიფო საბჭოს წარუდგენს წინადადებას შეაჩეროს სახალხო ხელისუფლების ადგილობრივი კრებების მიერ მიღებული ის რეზოლუციები და დადგენილებები, რომლებიც არღვევს მოქმედ კანონებსა და სხვა აქტებს ან სხვა საზოგადოების ან ერის საერთო ინტერესებისთვის არის საზიანო;

რ) მისთვის მინიჭებული ფუნქციების აღსრულების გაიოლების მიზნით, საჭიროებისამებრ, ქმნის კომისიებს;

ს) კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობის პირებს;

ტ) ასრულებს სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების ან სახელმწიფო საბჭოს მიერ მისთვის დაკისრებულ ნებისმიერ ვალდებულებას.

კანონი არეგულირებს მინისტრთა საბჭოს ორგანიზაციასა და ფუნქციონირებას.

მუხლი 99.

მინისტრთა საბჭო პასუხისმგებელია სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების წინაშე და პერიოდულად აბარებს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ.

მუხლი 100.

მინისტრთა საბჭოს წევრები აღჭურვილნი არიან შემდეგი უფლებამოსილებით:

ა) წარმართავენ მათ ქვემდებარე სამინისტროს ან დაწესებულების საქმეებსა და ამოცანებს და გამოსცემენ მათ შესასრულებლად საჭირო რეზოლუციებსა და დადგენილებებს;

ბ) გამოსცემენ სავალდებულო წესებს იმ შემთხვევაში, თუ ეს არ არის სხვა სახელმწიფო ორგანოების განსაკუთრებული უფლებამოსილება, რომ შესაძლებელი გახადონ იმ კანონებისა და კანონ-დეკრეტების განხორციელება, რომლებიც მათ ეხება;

გ) სიტყვისა და ხმის მიცემის უფლებით დაესწრონ მინისტრთა საბჭოს სესიებს და საბჭოს განსახილველად წარუდგინონ კანონპროექტები, კანონ-დეკრეტები, დეკრეტები, რეზოლუციები და სხვა წინადადებები, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევენ;

დ) კანონის თანახმად ნიშნავენ შესაბამის თანამდებობის პირებს;

ე) ისინი ასევე აღჭურვილნი არიან კონსტიტუციითა და კანონებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებით.

მუხლი 101.

ეროვნული თავდაცვის საბჭო იქმნება და მომზადებას გადის მშვიდობის დროს, რათა საომარი მდგომარეობის, ომის, საერთო მობილიზაციის ან საგანგებო მდგომარეობის პირობებში გაუძღვეს ქვეყანას. კანონი აწესრიგებს მის ორგანიზაციასა და საქმიანობას.

თავი XI. პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფა

მუხლი 102.

პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მიზნით ქვეყანა დაყოფილია პროვინციებად და მუნიციპალიტეტებად. მათი რაოდენობა, საზღვრები და სახელწოდებები განსაზღვრულია კანონით.

კანონმა შეიძლება აგრეთვე დააწესოს სხვა დანაყოფები.

პროვინცია არის ადგილობრივი ერთეული, რომელსაც სრულად გააჩნია იურიდიული ძალის სამართალსუბიექტურობა. ის კანონის შესაბამისად არის პოლიტიკურად ორგანიზებული, რათა ცენტრალურ და მუნიციპალურ მთავ-

რობებს შორის შუამავალი რგოლის ფუნქცია შეასრულოს. იგი მოიცავს მის დემარკაციაში მოქცეული მუნიციპალიტეტების ექვივალენტურ სივრცეს. ის ახორციელებს მის იურისდიქციაში შემავალ ფუნქციებს და სახელმწიფოებრივ და ადმინისტრაციულ უფლებამოსილებებს და მისი ძირითადი ვალდებულებაა ხელი შეუწყოს ტერიტორიის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, რისთვისაც კოორდინაციას და კონტროლს უწევს ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების მიერ დამტკიცებული პოლიტიკის, პროგრამირებისა და გეგმების განხორციელებას, საკუთარი მუნიციპალიტეტების მხარდაჭერითა და ინტერესების გათვალისწინებით.

მუნიციპალიტეტი არის ადგილობრივი ერთეული, რომელსაც სრულად გააჩნია იურიდიული სამართალსუბიექტურობა. ის კანონის შესაბამისად არის პოლიტიკურად ორგანიზებული, რომელიც მოიცავს ტერიტორიას, რაც განსაზღვრულია მისი მოსახლეობისათვის საჭირო ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობებითა და ადგილობრივი მოთხოვნილებების მინიმუმის დაკმაყოფილების შესაძლებლობით.

პროვინციებსა და მუნიციპალიტეტებს, გარდა იმისა, რომ ახორციელებენ შესაბამის ფუნქციებს, თავიანთი წვლილი შეაქვთ სახელმწიფო მიზნების განხორციელებაში.

თავი XII. სახალხო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები

მუხლი 103.

სახალხო ხელისუფლების კრებები, რომლებიც დაფუძნებულია ქვეყნის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ დანაყოფებში, წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ადგილობრივ ორგანოებს. ამიტომ ისინი აღჭურვილნი არიან უმაღლესი ხელისუფლებით მათი საზღვრების ფარგლებში განახორციელონ სახელმწიფოებრივი ფუნქციები. ამ მიზნით, ისინი მართავენ ყველაფერს, რაც კანონის შესაბამისად მათ იურისდიქციაშია.

საქმიანობის განვითარებასა და გეგმების განხორციელებაში ისინი ასევე ეხმარებიან მათ ტერიტორიაზე არსებულ იმ ერთეულებს, რომლებიც არ არიან დაქვემდებარებული მათდამი, კანონით განსაზღვრული წესით.

ამ კრებების მიერ შექმნილი ადგილობრივი ადმინისტრაციები მართავენ მათდამი ადგილობრივად დაქვემდებარებულ ეკონომიკის, წარმოებისა და მომსახურების სფეროებს, რათა დააკმაყოფილონ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ტერიტორიების კოლექტივების მოთხოვნილებები ეკონომიკაში, ჯანმრთელობის დაცვაში, მომსახურებაში, განათლებაში, კულტურაში, სპორტსა და დასვენებით მომსახურებაში.

თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას სახალხო ხელისუფლების ადგილობრივ კრებებს აქვთ მხარდაჭერა სახალხო საბჭოებში, მოსახლეობის ინიციატივებსა და ფართო მონაწილეობაში და ისინი მოქმედებენ სოციალურ და მასობრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კოორდინაციით.

მუხლი 104.

სახალხო საბჭოები შექმნილია ქალაქებში, საქალაქო დასახლებებში, გარეუბნებში და სასოფლო დასახლებებში; ისინი მათი უფლებამოსილების განხორციელებისას აღჭურვილნი არიან უმაღლესი ხელისუფლებით, წარმოადგენენ ტერიტორიას, სადაც თავის ფუნქციებს ახორციელებენ და აგრეთვე წარმოადგენენ სახალხო ხელისუფლების მუნიციპალურ, პროვინციულ და ეროვნულ ორგანოებს.

ისინი აქტიურად მუშაობენ, რათა წარმატებას მიაღწიონ წარმოებისა და მომსახურების სფეროს საქმიანობის განვითარებაში და ჯანდაცვის, ეკონომიკის, განათლების, კულტურისა და სოციალური საქმიანობის სფეროში მოსახლეობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ხელს უწყობენ მათ ფართო მონაწილეობას და ადგილობრივ ინიციატივებს მათი პრობლემების გადაწყვეტაში.

ისინი კოორდინაციას უწევენ მათ ტერიტორიაზე არსებული ერთეულების საქმიანობას თავიანთი საქმიანობის სფეროში, ხელს უწყობენ მათ შორის თანამშრომლობას და აკონტროლებენ და ზედამხედველობენ მათ საქმიანობას.

სახალხო საბჭოები შედგება დელეგატებისგან, რომლებიც აირჩევიან რაიონებში. ისინი თავისი შემადგენლობიდან აირჩევენ თავმჯდომარეებს. მასობრივი ორგანიზაციების და ყველაზე მნიშვნელოვანი დაწესებულებების წარმომადგენლებს შეუძლიათ შექმნან საბჭოების ნაწილები.

კანონი არეგულირებს სახალხო საბჭოების ორგანიზაციასა და ფუნქციებს.

მუხლი 105.

სახალხო ხელისუფლების პროვინციული კრებები მათი იურისდიქციის ფარგლებში აღჭურვილნი არიან შემდეგი უფლებამოსილებით:

ა) ემორჩილებიან და ხელს უწყობენ კანონების და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული სხვა ძირითადი აქტების აღსრულებას;

ბ) ამტკიცებენ პროვინციის შემოსავლისა და გასავლის ბიუჯეტის პროექტს და აკონტროლებენ მათ შესრულებას კომპეტენტური ეროვნული დაწესებულებების მიერ შემუშავებული წესების მიხედვით;

გ) ირჩევენ ან გამოიწვევენ პროვინციული კრების თავმჯდომარესა და მის მოადგილეს;

დ) ნიშნავენ ან ცვლიან კრების მდივანს;

ე) მონაწილეობენ სახელმწიფო ბიუჯეტისა და ტექნიკურ-ეკონომიკური გეგმის იმ ნაწილების შედგენასა და ზედამხედველობაში, რომლებიც ეხება მათ ტერიტორიაზე განლაგებულ ერთეულებს და კანონის შესაბამისად ექვემდებარებიან სხვა ორგანოებს;

ვ) აკონტროლებენ და ზედამხედველობენ პროვინციული ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობას, თავისი სამუშაო კომისიების დახმარებით;

ზ) ნიშნავენ და ცვლიან პროვინციული ადმინისტრაციული ორგანოს წევრებს მათი თავმჯდომარეების წარდგინებით;

თ) მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი პრინციპების შესაბამისად განსაზღვრავენ იმ ერთეულების ორგანიზაციას, ფუნქციებსა და ამოცანებს, რომლებიც ექვემდებარება პროვინციულ ადმინისტრაციულ ორგანოს და პასუხისმგებელნი არიან ეკონომიკის, მრეწველობისა და მომსახურების, განათლების, ჯანდაცვის, კულტურის, სპორტის, გარემოს დაცვისა და დასვენების განვითარებაზე;

ი) იღებენ გადაწყვეტილებებს მათ ტერიტორიაზე იმ ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებიც კანონის მიხედვით არ შეესაბამება ცენტრალური სახელმწიფო ადმინისტრაციის ან სახელმწიფო ხელისუფლების მუნიციპალური ორგანოების საერთო იურისდიქციას;

კ) სახალხო ხელისუფლების მუნიციპალური კრებების წარდგინებით ამტკიცებენ სახალხო საბჭოების შექმნასა და ორგანიზაციას;

ლ) მათი იურისდიქციის ფარგლებში აუქმებენ პროვინციული ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებებს ან მათ გაუქმებაზე წინადადებებს წარუდგენენ მინისტრთა საბჭოს, თუ ეს გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა ცენტრალურ სახელმწიფო ადმინისტრაციულ დაწესებულებათა მიერ მათთვის ამ უფლებამოსილების გადაცემის შედეგად მოქმედების დროს;

მ) შეისწავლიან და აფასებენ ადმინისტრაციული ორგანოებისა და მათდამი დაქვემდებარებული სახალხო ხელისუფლების კრებების მიერ წარდგენილ მოხსენებით ანგარიშებს და ამ მოხსენებებთან დაკავშირებით იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს;

ნ) ქმნიან ან აუქმებენ სამუშაო კომისიებს;

ო) მონაწილეობენ ყველაფერში, რასაც კავშირი აქვს ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების მიერ შედგენილ საკადრო პოლიტიკასთან;

პ) ახორციელებენ კანონიერების, საზოგადოებრივი წესრიგისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას;

ჟ) ახორციელებენ კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 106.

სახალხო ხელისუფლების მუნიციპალურ კრებას მისი იურისდიქციის ფარგლებში მინიჭებული აქვს შემდეგი უფლებამოსილება:

ა) ემორჩილება და ხელს უწყობს კანონებისა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული სხვა ძირითადი აქტების აღსრულებას;

ბ) ირჩევს ან გამოიწვევს კრების თავმჯდომარესა და მის მოადგილეს;

გ) ნიშნავს ან ცვლის კრების მდივანს;

დ) სამუშაო კომისიების დახმარებით აკონტროლებს და ზედამხედველობს მუნიციპალური ორგანოსადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს;

ე) აუქმებს ან ცვლის მათდამი დაქვემდებარებული სხვა ორგანოების ან თანამდებობის პირების მიერ მიღებულ რეზოლუციებს ან განხორციელებულ ღონისძიებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას ან კანონებს, კანონ-დეკრეტებს, დეკრეტებს, ზემდგომი სახელმწიფო ორგანოს მიერ მიღებულ რეზოლუციებს ან რომლებიც ეხება საზოგადოების, სხვა ტერიტორიების ან ქვეყნის საერთო ინტერესებს ან მათი გაუქმების შესახებ წინადადებას წარუდგენს მინისტრთა საბჭოს, თუ იგი მიღებულ იქნა ცენტრალური სახელმწიფო ადმინისტრაციის დაწესებულების მიერ გადაცემული უფლებამოსილების შესაბამისად მოქმედების დროს;

ვ) იღებს გადაწყვეტილებებს და მუნიციპალური ინტერესებიდან გამომდინარე ახორციელებს ღონისძიებებს კონსტიტუციისა და მოქმედი კანონების ფარგლებში და აკონტროლებს მათ შესრულებას;

ზ) ნიშნავს ან ცვლის თავისი ადმინისტრაციული ორგანოს წევრებს მისი თავმჯდომარის წინადადებით;

თ) მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი პრინციპების შესაბამისად განსაზღვრავს თავისი ადმინისტრაციული ორგანოსადმი დაქვემდებარებული იმ ერთეულების ორგანიზაციას, ფუნქციებსა და ამოცანებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ეკონომიკური, სამეწარმეო და მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვის მოქმედებების, სამედიცინო დახმარების, განათლების, კულტურის, სპორტის, გარემოს დაცვისა და დასვენებითი საქმიანობის განვითარებაზე;

ი) კანონით დადგენილი წესით იძლევა სახალხო საბჭოების შექმნისა და ორგანიზაციის წინადადებას;

კ) ქმნის ან აუქმებს სამუშაო კომისიებს;

ლ) ცენტრალური სახელმწიფო ადმინისტრაციის კომპეტენტური დაწესებულებების მიერ შემუშავებული პროცედურის შესაბამისად ამტკიცებს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ გეგმას და ბიუჯეტს და აკონტროლებს მის შესრულებას;

მ) თავისი სამუშაო კომისიებისა და ადმინისტრაციული ორგანოების მეშვეობით ეხმარება მის ტერიტორიაზე განლაგებულ ერთეულებს, რომლებიც

არ ექვემდებარება მას, საქმიანობის განვითარებასა და წარმოებისა და მომსახურების გეგმების განხორციელებაში;

ნ) შეისწავლის და აფასებს მისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოდგენილ მოხსენება-ანგარიშს და ამის შესახებ იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას;

ო) მონაწილეობს ყველაფერში, რასაც კავშირი აქვს ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების მიერ შედგენილ საკადრო პოლიტიკასთან;

პ) ხელს უწყობს კანონიერების, საზოგადოებრივი წესრიგისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას;

ჟ) ახორციელებს კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებულ სხვა ფუნქციებს.

მუხლი 107.

სახალხო ხელისუფლების ადგილობრივი კრებების მორიგი და საგანგებო სესიები არის საჯარო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფო მიზნებიდან გამომდინარე მიღებულია გადაწყვეტილება დახურული სხდომის ჩატარების შესახებ ან როდესაც საკითხი ეხება პირთა კეთილსინდისიერებას.

მუხლი 108.

იმ მიზნით, რომ სახალხო ხელისუფლების ადგილობრივი კრების გადაწყვეტილებები იყოს იურიდიული ძალის მქონე, სხდომას უნდა ესწრებოდეს მის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 109.

ადგილობრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად სპეციფიკური მიზნების განსახორციელებლად შექმნილი ერთეულები იმართება კანონებით, კანონ-დეკრეტებითა და დეკრეტებით; მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული შეთანხმებებით; ცენტრალური სახელმწიფო ადმინისტრაციული დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიერ მათი იურისდიქციის სფეროში გამოცემული დადგენილებებით, რაც საერთო ინტერესის საგანია და მოითხოვს სახელმწიფოებრივ დონეზე გადაწყვეტას და იმ ადგილობრივი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით, რომლებსაც ისინი ექვემდებარება.

მუხლი 110.

მუდმივი სამუშაო კომისიები იქმნება სახალხო ხელისუფლების პროვინციული და მუნიციპალური კრებების მიერ, რათა დაკმაყოფილონ მათი ტერიტორიების სპეციფიკური ინტერესები, იმ მიზნით, რომ მათ დაეხმარონ საქმიანობის განხორციელებაში და განსაკუთრებით აკონტროლონ და ზედამ-

ხელველობა გაუწიონ ადგილობრივ ქვემდებარე ერთეულებსა და შესაბამისად სხვა დონის ქვემდებარე ერთეულებს, რომლებიც განლაგებულია მათ ტერიტორიაზე.

დროებითი კომისიები სპეციფიკურ ამოცანებს ახორციელებენ დროის განსაზღვრულ მონაკვეთში.

მუხლი 111.

სახალხო ხელისუფლების პროვინციული კრებები განახლდება ყოველ ხუთ წელიწადში, რაც დელეგატთა უფლებამოსილების ვადაა.

სახალხო ხელისუფლების მუნიციპალური კრებები განახლდება ყოველ ორნახევარ წელიწადში, რაც დელეგატთა უფლებამოსილების ვადაა.

ეს ვადები შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების გადაწყვეტილებით 72-ე მუხლში აღნიშნულ შემთხვევებში.

მუხლი 112.

ადგილობრივ კრებებში დელეგატთა უფლებამოსილების ვადა შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს. კანონი აწესებს მათი შეწყვეტის წესს, შემთხვევებსა და მეთოდებს.

მუხლი 113.

დელეგატები მათი ამომრჩევლების მანდატს ახორციელებენ მთელი საზოგადოების ინტერესებისათვის, რისთვისაც კოორდინაცია უნდა გაუწიონ თავიანთ ფუნქციებს, ისევე როგორც თავიანთ ჩვეულებრივ მოვალეობებსა და ამოცანებს. კანონი არეგულირებს ამ ფუნქციების განხორციელების წესს.

მუხლი 114.

სახალხო ხელისუფლების მუნიციპალური კრებების დელეგატებს აქვთ კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები და განსაკუთრებით ვალდებულნი არიან:

ა) მათი ამომრჩევლების მიერ გამოთქმული მოთხოვნილებები და პრობლემები გააცნონ კრებებსა და ადგილობრივ ადმინისტრაციას;

ბ) ამომრჩევლებს მოახსენონ კრების პოლიტიკისა და იმ ზომების შესახებ, რაც მან მიიღო იმ პრობლემების გადასაწყვეტად, რომლებიც მოსახლეობამ წარმოაჩინა ან დაასახელონ მათი გადაუჭრელობის მიზეზი;

გ) ამომრჩეველებს რეგულარულად წარუდგინონ ანგარიში თავიანთი საქმიანობის შესახებ და კრებას ან კომისიას, რომელსაც ისინი განეკუთვნება მოახსენონ მათ ფუნქციებში შემავალი ამოცანების განხორციელების შესახებ, როდესაც სთხოვენ ამის გაკეთებას.

მუხლი 115.

სახალხო ხელისუფლების პროვინციული კრებების დელეგატები ვალდებულნი არიან განახორციელონ თავინთი საქმიანობა კოლექტივის სასიკეთოდ და მოახსენონ მათ მიერ პერსონალურად მიღებული ზომების შესახებ კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

მუხლი 116.

სახალხო ხელისუფლების პროვინციული და მუნიციპალური კრებები თავიანთი დელეგატებიდან ირჩევენ თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეს.

მუხლი 117.

სახალხო ხელისუფლების პროვინციული და მუნიციპალური კრებების თავმჯდომარეები არიან ასევე შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების თავმჯდომარეები და წარმოადგენენ სახელმწიფოს მათ ტერიტორიაზე. მათი ფუნქციები დადგენილია კანონით.

მუხლი 118.

ადმინისტრაციული ორგანოები, რომლებსაც წარმოადგენენ სახალხო ხელისუფლების პროვინციული და მუნიციპალური კრებები, მუშაობენ კოლეგიურ საფუძველზე და მათი შემადგენლობა, გაერთიანება, ფუნქციები და მოვალეობები დადგენილია კანონით.

მუხლი 119.

პროვინციული და მუნიციპალური თავდაცვის საბჭოები და თავდაცვის ზონის საბჭოები იქმნება მშვიდობის დროს, რათა საომარი მდგომარეობის, ომის, მობილიზაციის ან საგანგებო მდგომარეობის დროს შესაბამისი ტერიტორიების საქმეები წარმართონ საყოველთაო თავდაცვის გეგმის საფუძველზე, არმიის სამხედრო საბჭოების შესაბამისი როლისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. ეროვნული თავდაცვის საბჭო კანონის შესაბამისად განსაზღვრავს ამ საბჭოების ორგანიზაციასა და ფუნქციებს.

თავი XIII. სასამართლოები და გენერალური პროკურატურა

მუხლი 120.

მართლმსაჯულების განხორციელების ფუნქცია მომდინარეობს ხალხისგან და მათივე სახელით ხორციელდება სახალხო უზენაესი სასამართლოსა და კანონით დადგენილი სხვა სასამართლოების მიერ.

კანონი აწესებს სასამართლო საქმიანობის მთავარ მიზნებს და არეგულირებს სასამართლოების ორგანიზაციას, იურისდიქციისა და კომპეტენციის გავრცელებას, აგრეთვე მათ უფლებამოსილებას და მისი განხორციელების ფორმას, პირობებს, რომლებსაც მოსამართლეები უნდა აკმაყოფილებდნენ, მათი არჩევის წესსა და გამოწვევის ან უფლებამოსილების შეწყვეტის მიზეზებსა და წესს.

მუხლი 121.

სასამართლოები შეადგენენ სახელმწიფო ორგანოების სისტემას, რომელიც შექმნილია ყველა სხვა სისტემისგან ფუნქციონალური დამოუკიდებლობის პრინციპზე და ექვემდებარება მხოლოდ სახალხო ხელისუფლების ეროვნულ კრებასა და სახელმწიფო საბჭოს.

სახალხო უზენაესი სასამართლო არის უმაღლესი სასამართლო ორგანო და მისი გადაწყვეტილება საბოლოოა.

თავისი მმართველი საბჭოს მეშვეობით მას შეუძლია წარადგინოს და მიიღოს დებულებები, ასევე ყველა სასამართლოსთვის შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებები და ნორმები, რომლებიც ეფუძნება მათ გამოცდილებას. ასევე იგი გამოსცემს სავალდებულო ინსტრუქციებს, რათა შექმნას კანონის განმარტებისა და გამოყენების ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა.

მუხლი 122.

მოსამართლეები თავისი სამოსამართლო ფუნქციების განხორციელებისას დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

მუხლი 123.

სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებში დადგენილ ან გამოცხადებულ განაჩენებსა და სხვა გადაწყვეტილებებს უნდა ემორჩილებოდნენ და ასრულებდნენ სახელმწიფო ორგანოები, ეკონომიკური და სოციალური დაწესებულებები და მოქალაქეები, რომელთაც პირდაპირ ეხებათ და აგრეთვე ისინიც, რომელთაც არა აქვთ მათი განხორციელების უშუალო ინტერესი, მაგრამ მასში მონაწილეობის მიღების მოვალეობა აკისრია.

მუხლი 124.

მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ყველა სასამართლო ფუნქციონირებს კოლეგიური ფორმით და პროფესიონალი მოსამართლეები და მსაჯულები მასში მონაწილეობენ თანაბარი უფლებებით და ვალდებულებებით.

მსაჯულებისთვის დაკისრებული სამოსამართლო ფუნქციები, მათი სოციალური მნიშვნელობის თვალსაზრისით პრიორიტეტულია მათ ჩვეულებრივ საქმიანობასთან შედარებით.

მუხლი 125.

სასამართლოები მათი საქმიანობის შედეგების ანგარიშს წარადგენენ კანონით დადგენილი წესითა და პერიოდულობით.

მუხლი 126.

მოსამართლეების გაწვევა შეუძლია მხოლოდ მათ ამრჩევ ორგანოს.

მუხლი 127.

რესპუბლიკის გენერალური პროკურატურა არის სახელმწიფო ორგანო, რომლის ძირითადი მიზანია განახორციელოს კონტროლი კანონიერების დაცვაზე, ამიტომ უზრუნველყოფს კონსტიტუციის, კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების მკაცრად შესრულებას სახელმწიფო დაწესებულებების, ეკონომიკური და სოციალური ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მიერ და წარმოადგენს სახელმწიფოს სასამართლოში საჯარო ბრალდების მხარდაჭერისას.

კანონი განსაზღვრავს სხვა მიზნებსა და ფუნქციებს, აგრეთვე ფორმას, ხანგრძლიობასა და შემთხვევებს, რომლის დროსაც გენერალური პროკურატურა ახორციელებს თავის უფლებამოსილებას.

მუხლი 128.

რესპუბლიკის გენერალური პროკურატურა წარმოადგენს ორგანულ ერთეულს, რომელიც ექვემდებარება მხოლოდ სახალხო ხელისუფლების ეროვნულ კრებასა და სახელმწიფო საბჭოს.

რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ინსტრუქციებს იღებს პირდაპირ სახელმწიფო საბჭოსგან.

რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ხელმძღვანელობს და აკონტროლებს მისი სამსახურის მიერ შესრულებულ სამუშაოს მთელ ქვეყანაში.

გენერალური პროკურატურის ორგანოები ვერტიკალური წესით არის შექმნილი მთელ ქვეყანაში. ისინი ექვემდებარება მხოლოდ რესპუბლიკის გენერალურ პროკურატურას და ყველა ადგილობრივი ორგანოსგან დამოუკიდებელია.

მუხლი 129.

რესპუბლიკის გენერალური პროკურორი და მისი მოადგილეები აირჩევიან და გაიწვევიან სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების მიერ.

მუხლი 130.

რესპუბლიკის გენერალური პროკურორი გაწეული საქმიანობის ანგარიშს კანონით დადგენილი ფორმითა და პერიოდულობით წარუდგენს სახალხო ხელისუფლების ეროვნულ კრებას.

თავი XIV. საარჩევნო სისტემა

მუხლი 131.

ყველა ქმედუნარიან მოქალაქეს აქვს უფლება, უშუალოდ ან სახალხო ხელისუფლების ორგანოებში მათ მიერ არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით მიიღოს მონაწილეობა ქვეყნის მართვაში და ამ მიზნითა და კანონით დადგენილი წესის შესაბამისად მონაწილეობდეს პერიოდულ არჩევნებსა და სახალხო რეფერენდუმში თავისუფალი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის მეშვეობით. ყოველ ამომრჩეველს აქვს ერთი ხმა.

მუხლი 132.

ყველა კუბელს, კაცსა თუ ქალს, 16 წლის ასაკიდან აქვს ხმის მიცემის უფლება, გარდა იმ პირებისა, რომლებიც:

ა) არიან გონებრივად ჩამორჩენილები და ეს აღიარებულია სასამართლოს მიერ;

ბ) ჩაიდენენ დანაშაულს, რის გამოც დაკარგავენ ხმის მიცემის უფლებას.

მუხლი 133.

ყველა კუბელი მოქალაქე, კაცი თუ ქალი, რომელიც ფლობს სრულ პოლიტიკურ უფლებებს, შეიძლება, იქნეს არჩეული.

სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების დეპუტატად არჩევის უფლება აღნიშნულ პირებს აქვთ 18 წლის ასაკიდან.

მუხლი 134.

რევოლუციური შეიარაღებული ძალებისა და ერის სხვა სამხედრო შენაერთების წევრებს მინიჭებული აქვს უფლება, აირჩიონ და არჩეულ იქნენ ნებისმიერი სხვა მოქალაქის მსგავსად.

მუხლი 135.

კანონი განსაზღვრავს თითოეული პროვინციული და მუნიციპალური კრებების დელეგატთა რაოდენობას, თითოეულ იმ რეგიონში მცხოვრები ხალხის რაოდენობის პროპორციულად, რომლებადაც არჩევნების მიზნით იყოფა ქვეყანა.

პროვინციული და მუნიციპალური კრებების დელეგატები აირჩევიან ამომრჩეველთა მიერ თავისუფალი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით. ამასთანავე, მათი არჩევის პროცედურას აწესრიგებს კანონი.

მუხლი 136.

დეპუტატები ან დელეგატები არჩეულად ითვლებიან, თუ საარჩევნო ოლქებში მიიღებენ ნამდვილად ცნობილ ხმათა ნახევარზე მეტს.

კანონი არეგულირებს აურჩევლობის ან თანამდებობრივი ვაკანსიის წარმოქმნის შემდგომ პროცედურებს.

თავი XV. კონსტიტუციური რეფორმები

მუხლი 137.

ეს კონსტიტუცია შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ გადაისინჯოს მხოლოდ სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების მიერ სახელობითი კენჭისყრით, წევრთა არანაკლებ საერთო რაოდენობის ორი მესამედის მიერ მიღებული რეზოლუციით.

თუ ხდება კონსტიტუციის სრული გადასინჯვა ან სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების ან მისი სახელმწიფო საბჭოს ინტეგრაციისა და უფლებამოსილების ან კონსტიტუციით განმტკიცებული უფლებებისა და მოვალეობების შეცვლა, კრების მიერ უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი, რომელზედაც გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს საარჩევნო ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა უმრავლესობის თანხმობით.

ეს კონსტიტუცია, რომელიც მიღებული იქნა 1976 წლის 24 თებერვალს, შეიცავს სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების მიერ 1992 წლის 10, 11 და 12 ივლისს ჩატარებულ მესამე მოწვევის მორიგ მე-11 სესიაზე დამტკიცებულ რეფორმებს.

სპეციალური დებულებები

კუბელმა ხალხმა, 2002 წლის 15-18 ივლისს უმრავლესობით გამოხატა ყველაზე გადამწყვეტი მხარდაჭერა კონსტიტუციური რეფორმის პროექტთან დაკავშირებით, რომელიც წარმოდგენილ იქნა მასობრივი ორგანიზაციების მიერ 10 ივლისს გამართულ საგანგებო სესიაზე, რომლითაც რესპუბლიკის კონსტიტუცია მტკიცდება მის ყველა ნაწილში და სოციალისტური ხასიათი და პოლიტიკური და სოციალური სისტემა აღიარებულია შეუქცევადად, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური მთავრობის 2002 წლის 20 მაისის მოთხოვნასა და მუქარაზე ღირსეული და კატეგორიული პასუხი.

მიღებულ იქნა ერთხმად, მე-5 მოწვევის საკანონმდებლო ორგანოს საგანგებო სესიაზე, რომელიც ჩატარდა 2002 წლის 24, 25 და 26 ივლისს.

დასკვნითი დებულებები

პირველი: ამ კონსტიტუციური რეფორმის კანონით შესაბამისი ცვლილებები და დამატებები შევიდეს კუბის რესპუბლიკის კონსტიტუციის ოფიციალურ ტექსტში. აქვე განისაზღვროს მიმდინარე რეფორმასთან დაკავშირებული თარიღები და ინფორმაცია.

მეორე: განისაზღვროს ყველა სამართლებრივი აქტი, რომელიც ხელს უშლის ამ კანონის განხორციელებას.

მესამე: კონსტიტუციური რეფორმის ეს კანონი ძალაში შედის რესპუბლიკის ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნების დღეს.

მიღებულია სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრების სასესიო
დარბაზში, სახელშეკრულებო სასახლეში, ქალაქ კუბაში,
2002 წლის 26 ივნისს,
„იმპერიის გმირი პატიმრების წელს“

ლატვიის რესპუბლიკა

ზოგადი ცნობარი

შესავალი

1940 წელს საბჭოთა კავშირმა განახორციელა ლატვიის ანექსირება ორ მსოფლიო ომს შორის მცირე ხნის დამოუკიდებლობის შემდეგ. ლატვიამ დამოუკიდებლობა აღადგინა 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. თუმცა რუსეთის ბოლო ჯარებმა ქვეყანა 1994 წელს დატოვეს. რუსების უმცირესობის სტატუსი (მოსახლეობის 30%) კვლავ რჩება მოსკოვის დაინტერესების საგნად. ლატვია ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანდა 2004 წელს.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: აღმოსავლეთ ევროპა; ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ესტონეთი, აღმოსავლეთიდან — რუსეთის ფედერაცია, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან — ბელარუსი, სამხრეთიდან — ლიტვა, დასავლეთიდან — ბალტიის ზღვა.

ფართობი: სულ: 64.589 კმ^2; წყალი: 1.000 კმ^2; ხმელეთი: 63.589 კმ^2.

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: ტორფი, დოლომიტი, ქარვა, ტყე, სახნავ-სათესი მიწები.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 2 245 423 (2008);

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:
0-14 წლის: 13.4% (მამაკაცი: 154 077; ქალი: 146 825);
15-64 წლის: 69.7% (მამაკაცი: 760 976; ქალი: 803 106);
65 წელს ზემოთ: 16.9% (მამაკაცი 124 658; ქალი 255 781) (2008).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: -0.629%% (2008);

შობადობა: 9.62 დაბადებული 1 000 მოსახლეზე (2008);

სიკვდილიანობა: 13.63 გარდაცვლილი 1 000 მოსახლეზე (2008);

მიგრაცია: -2.29 მიგრანტი 1 000 მოსახლეზე (2008);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: მთელი მოსახლეობის მიმართ: 71.88 წელი; მამაკაცი: 66.68 წელი; ქალი: 77.35 წელი (2008);

მოქალაქეობა: ლატვიის

ეთნიკური ჯგუფები: ლატვიელი 57.7%, რუსი 29.6%, ბელორუსი 4.1%, უკრაინელი 2.7%, პოლონელი 2.5%, ლიტველი 1.4%, სხვა 2% (2002).

რელიგია: ლუთერანობა, რომის კათოლიციზმი, რუსული მართლმადიდებლობა.

ენები: ლატვიური (ოფიციალური), ლიტვური, რუსული, სხვა.

განათლებულობა: მთელი მოსახლეობის: 99.8%; მამაკაცი: 99.8%; ქალი: 99.8% (2000).
შენიშვნა: მოცემულია 15 წლის ასაკის ზევით პირთა მიმართ.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:
ვრცელი ფორმა: ლატვიის რესპუბლიკა;
შემოკლებული ფორმა: ლატვია;
ყოფილი: ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა;

მმართველობის ფორმა: საპარლამენტო რესპუბლიკა;

დედაქალაქი: რიგა

ადმინისტრაციული ერთეულები: 26 რაიონი და 7 ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქი.

დამოუკიდებლობა: 1918 წლის 18 ნოემბერი;

ეროვნული დღესასწაული: დამოუკიდებლობის დღე, 18 ნოემბერი (1918); **შენიშვნა:** 1918 წლის 18 ნოემბერი საბჭოთა რუსეთისგან დამოუკიდებლობის დღეა, 1991 წლის 21 აგვისტო — საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის დღე.

აღმასრულებელი ხელისუფლება:
სახელმწიფოს მეთაური: პრეზიდენტი ვალდის ზატლერსი (2007 წლის 8 ივლისიდან);
მთავრობის მეთაური: პრემიერ-მინისტრი ივარ გოდმანისი (2007 წლის 20 დეკემბრიდან);
არჩევნები უკანასკნელად ჩატარდა 2007 წლის 31 მაისს;
არჩევნების შედეგები: ვალდის ზატლერსი არჩეულ იქნა პრეზიდენტად პარლამენტის 58 ხმით, აივარს ენდზინსის წინააღმდეგ (39 ხმით).

მთავრობის შემადგენლობა: პრემიერ-მინისტრი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, გარემოს დაცვის მინისტრი, ეკონომიკის მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, იუსტიციის მინისტრი, კეთილდღეობის მინისტრი, კომუნიკაციების მინისტრი, კულტურის მინისტრი, მიწათმოქმედების მინისტრი, რეგიონალური განვითარებისა და თვითმმართველობის მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, ბავშვთა და საოჯახო საქმეთა მინისტრი, ფინანსთა მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, საზოგადოების ინტეგრაციის საქმეებში საგანგებო დავალებათა მინისტრი, მმართველობის საკითხებში საგანგებო დავალებათა მინისტრი, ევროკავშირის სახსრების ათვისების საქმეებში საგანგებო დავალებათა მინისტრი.

საკანონმდებლო ხელისუფლება: ერთპალატიანი პარლამენტი ანუ სეიმი (მის შემადგენლობაშია 4 წლის ვადით პროპორციული სისტემით არჩეული 100 წევრი);
არჩევნები უკანასკნელად ჩატარდა 2006 წლის 7 ოქტომბერს;

პოლიტიკური პარტიები: მწვანეთა ალიანსი და ფერმერთა კავშირი; მწვანეთა პარტია; ცენტრალური პოლიტიკური ალიანსი; ლატვიის პირველი პარტია; სამშობლოსა და თავისუფლებისათვის; გაერთიანებულ ლატვიაში ადამიანის უფლებებისათვის; ხალხთა ჰარმონიის პარტიის კოალიცია; ლატვიის სოციალისტური პარტია; თანასწორი უფლებების მოძრაობა; თავისუფლების პარტია; ლატვიის აღორძინების პარტია; ლატვიის სოციალისტურ-დემოკრატიული მუშათა პარტია; ლატვიის განვითარების კავშირი; ლატგალიის სინათლე; ახალი ერის პარტია; ჩვენი მიწის პარტია; ლატვიელთა პარტია; სახალხო პარტია; პროგრესული ცენტრისტული პარტია; რუსული პარტია; სოციალისტურ-დემოკრატიული კავშირი; სოციალისტურ-დემოკრატიული კეთილდღეობის პარტია; ლატვიის გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია.

ეკონომიკის მიმოხილვა: 1992-1993 წლებში ლატვიის ეკონომიკამ დაიწყო გადასვლა საბაზრო მეურნეობის პრინციპებზე. მთელი რიგი სექტორები ვაჭრობა, მომსახურება, ბანკები გათავისუფლდა სახელმწიფო კონტროლისაგან; სხვა სექტორებში (განათლება, ჯანდაცვა) ეს კონტროლი შენარჩუნდა. იგივე შეეხო ფასებსაც — შენარჩუნდა სახელმწიფო ფასები მოხმარების ზოგიერთ საქონელზე, ხოლო ზოგიერთ მათგანზე წარმოიშვა საბაზრო ფასები. ფასების ზრდის შედეგების შემსუბუქების მიზნით, მთავრობამ დაადგინა ხელფასის მინიმალური ზღვარი და დახმარება აღმოუჩინა მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილ ფენებს. 1993 წლამდე ლატვია კვლავ განაგრძობდა რუბლის ძირითად ფულად ერთეულად გამოყენებას (უცხოურ ვალუტასთან ერთად). 1993 წლის გაზაფხულზე შემოღებულ იქნა ეროვნული ვალუტა — ლატი, რომელიც მიემგრა გერმანულ მარკას და წლის ბოლოს ამ ვალუტამ შეცვალა მიმოქცევაში არსებული მთლიანი ფულადი მასა. 1994 წლის გაზაფხულისათვის ლატვიის ცენტრალური ბანკის მკაცრმა მონეტარულმა პოლიტიკამ ქვეყანაში 37%-მდე შეამცირა ინფლაცია 1993 წლის 109%-თან შედარებით.

სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია და მისი დაბრუნება ადრინდელ მფლობელებთან 1940-იან წლებში ნაციონალიზაციის შემდეგ ნელ-ნელა ხორციელდება. ქარხნები და კოლმეურნეობები ხშირად გარდაიქმნება კოოპერაციულ საწარმოებად, რომლებიც მოსამსახურეებს ეკუთვნის. კერძო მესაკუთრეთა საწარმოების რიცხვი გამუდმებით იზრდება (1997 წელს მათი წილი შეადგენდა მთლიანი შიდა პროდუქტის 60%-ს). ბევრმა მათგანმა დაამყარა პარტნიორობა ინვესტორებთან სხვადასხვა ქვეყნებიდან — შვედეთიდან, გერმანიიდან და პოლონეთიდან. 1994-1995 წლებში ეკონომიკურმა რეფორმებმა პირველი შედეგი გამოიღო. ინფლაციის დონე კვლავ მცირდებოდა (1995 წელს 26%-მდე შემცირდა). მთლიანი შიდა პროდუქტის ათწლიანი ვარდნა 1993 წელს შენელდა, ხოლო 1994 წელს დაიწყო ზრდა. 1994 წლისათვის მთელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნახევარზე მეტი გადაეცა ფერმერებს, მაშინ როდესაც მიწის დანარჩენი ნაწილი გადავიდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელში. ქალაქის საკუთრების პრივატიზაცია შედარებით ნელა ხორციელდებოდა, ქალაქის მოსახლეობის შემოსავალი კვლავ დაბალი რჩებოდა (1997 წელს მცხოვრებთა 66%-ის შემოსავალი მინიმალური საარსებო დონის ქვემოთ რჩებოდა).

1998 წელს წარმოების ზრდა შენელდა რუსეთში ეკონომიკური კრიზისის გამო, მაგრამ მაინც მიაღწია 4.5%-ს, ხოლო ინფლაცია შემცირდა 3.5%-მდე (ეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია).

ლატვიამ, ლიტვამ და ესტონეთმა ხელი მოაწერეს საბაჟო კავშირის შექმნის შესახებ შეთანხმებას. შესაბამისად, ამ ქვეყნებს შორის ვაჭრობის მოცულობა სწრაფად იზრდებოდა. ეკონომიკური კავშირები აგრეთვე ვითარდებოდა დსთ-ს წევრებს შორის (განსაკუთრებით, რუსეთთან, უკრაინასა და ბელორუსთან). გაიზარდა ლატვიის შიდა ვაჭრობის მოცულობაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან, განსაკუთრებით, სკანდინავიის ქვეყნებსა და გერმანიასთან. ლატვიის წევრობამ საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკში უზრუნველყო აუცილებელი საინვესტიციო კაპიტალი.

მთლიანი შიდა პროდუქტი: მსყიდველობითი უნარის პარიტეტი – $40.04 მილიარდი (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 10.3% (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტი – ერთ სულ მოსახლეზე: $17,700 (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა: 3.5%;
მრეწველობა: 21.3%; მომსახურება: 75.2 (2007).

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: არ არის მონაცემები;

ბიუჯეტი: შემოსავალი: $8.975 მილიარდი; გასავალი: $8.88 მილიარდი (2007).

ექსპორტი: $7.551 მილიარდი (2007);

საექსპორტო საქონელი: ხე-ტყე და ხე-ტყის პროდუქტები, მანქანები და აღჭურვილობა, ლითონი, საფეიქრო წარმოება, სურსათპროდუქტები.

ექსპორტის პარტნიორები: ლიტვა 14.2%, ესტონეთი 12.3%, რუსეთი 11.5%, გერმანია 9.8%, დიდი ბრიტანეთი 7.6%, შვედეთი 6.3%, დანია 4.8% (2006).

იმპორტი: $13.7 მილიარდი (2007);

საიმპორტო საქონელი: მანქანები და აღჭურვილობა, ქიმიკატები, საწვავი, სატრანსპორტო საშუალებები.

იმპორტის პარტნიორები: გერმანია 15.5%, ლიტვა 12.9%, რუსეთი 8%, ესტონეთი 7.7%, პოლონეთი 7.2%, ფინეთი 5.7%, შვედეთი 5%, ბელარუსი 4.7 (2006).

საგარეო ვალი: $29.85 მილიარდი (2007);

ეკონომიკური დახმარება: $162 მილიონი (2004);

ვალუტა: ლატვიური ლატი (LVL).

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. ლატვიის კონსტიტუციონალიზმის ისტორია ხუთ კონსტიტუციურ აქტს ითვლის. იგი იწყება 1919 წლის 15 იანვრიდან, როდესაც მუშათა და მსროლელთა დეპუტატთა ყრილობის მიერ მიღებულ იქნა ერთიანი ლატვიის საბჭოური კონსტიტუცია, რომელიც შედგებოდა სამი ნაწილისგან და შინაარსით ახლოს იყო რუსეთის სფსრ-ის კონსტიტუციასთან. იგი ლატვიას აცხადებდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, განსაზღვრავდა ლატვიის კავშირს რუსეთთთან, ასევე ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანიზაციას.

1920 წლის იანვარში საბჭოთა ხელისუფლებამ გამოაცხადა თვითლიკვიდაცია, რის შედეგადაც 1920 წლის 1 ივნისს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ იქნა ახალი დროებითი კონსტიტუციური აქტი და დაიწყო კონსტიტუციის ახალ ტექსტზე მუშაობა. მართალია დროებითი კონსტიტუცია შეიცავდა მხოლოდ 12 მუხლს, მაგრამ მას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. კონსტიტუციის მიხედვით საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდა დამფუძნებელი კრება, ხოლო აღმასრულებელს — მინისტრთა კაბინეტი; აისახა მათ შორის ურთიერთობა, ასევე კონსტიტუციურად განმტკიცდა მოქალაქეთა ძირითადი უფლებები.

ახალი კონსტიტუციის ტექსტზე მუშაობა 1920 წლის თებერვალში დასრულდა და მიღებულ იქნა 1922 წლის 15 თებერვალს თავისუფალი არჩევნების გზით არჩეული დამფუძნებელი კრების მიერ, ხოლო ძალაში შევიდა ამავე წლის 7 ნოემბერს. მას ხელს აწერენ დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე და მდივანი. აღნიშნული კონსტიტუცია ითვლება ლატვიის დამოუკიდებლობის სიმბოლოდ და აკმაყოფილებს კონსტიტუციის დონის აქტისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. იგი სრულად შეესაბამება XX საუკუნის პირველი ნახევრის ლიბერალურ-დემოკრატიული კონსტიტუციონალიზმის სტანდარტებს.

სამწუხაროდ ამ კონსტიტუციამ 1934 წლამდე იმოქმედა, ვინაიდან სახელმწიფო გადატრიალების შედეგად მისი მოქმედება შეჩერდა. ამის შემდეგ 1940 წლის 25 აგვისტოს მიღებულ იქნა ლატვიის სსრ კონსტიტუცია, რომელიც შედგენილი იყო საბჭოთა კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის საფუძველზე და განამტკიცებდა საბჭოურ იდეებს. ქვეყნის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენდა მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, რომელთა მთლიან სისტემას ხელმძღვანელობდა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო — უმაღლესი საბჭო. ეკონომიკურ სისტემად განსაზღვრული იყო მეურნეობის სოციალისტური სისტემა, ხოლო წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე — სოციალისტური საკუთრება.

ლატვიის შემდგომი კონსტიტუცია 1978 წლით თარიღდება, რომელიც საბჭოთა კავშირის შესაბამისი კონსტიტუციის საფუძველზე იყო აგებული. ამ კონსტიტუციამ 1990 წლამდე – ლატვიის დამოუკიდებლობის აღდგენამდე იმოქმედა, თუმცა მრავალი ცვლილება განიცადა.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. 1988 წლიდან ლატვიაში სახელმწიფოებრიობის ახალი ეტაპი დაიწყო, რაც 1990 წლის 4 მაისს ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციის მიღებით და ლატვიის სახელმწიფოს ახალი სახელწოდების (ლატვიის რესპუბლიკა) შემოღებით დაგვირგვინდა. ამავე აქტით აღდგა 1922 წლის კონსტიტუციის მოქმედება, მაგრამ მას აბსოლუტურად სიმბოლური დატვირთვა გააჩნდა, ვინაიდან ამავე აქტით დადგინდა 1922 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციით მომზადების აუცილებლობა და დროებით შეჩერდა მისი ძველი რედაქციის მოქმედება, გარდა იმ მუხლებისა, რომლებიც ეხებოდა სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ საფუძვლებს. გამოცხადდა გარდამავალი პერიოდი და კონსტიტუციის ახალი რედაქციის შესამუშავებლად შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია. ამ პერიოდში – დაახლოებით სამი წლის მანძილზე დამოუკიდებელი ლატვიის ძველ კონსტიტუციასთან ერთად დაიშვებოდა ასევე ლატვიის სსრ კონსტიტუციის გამოყენება იმ ნაწილში, რაც არ ეწინააღმდეგებოდა ძველი კონსტიტუციის პირველ, მე-2, მე-3 და მე-6 მუხლებს.

ლატვიის 1922 წლის კონსტიტუციის მოქმედება სრულად აღდგა 1993 წლის 6 ივლისს. მასში მრავალი ცვლილება იქნა შეტანილი, რის შედეგად მისი ტექსტი საბოლოო ჯამში სამჯერ გაიზარდა. მიუხედავად კონსტიტუციის მოცულობის გაზრდისა, იგი მაინც ლაკონურ კონსტიტუციათა რიცხვს განეკუთვნება. ცვლილებების შედეგად მას დაემატა ნორმები ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, თვითმმართველობის, საკონსტიტუციო მართლმსაჯულების შესახებ. ბოლო დროს მასში შეტანილი ცვლილებები ეხებოდა აქტიური საარჩევნო უფლების 21-დან 16-მდე დაწევას, ოფიციალური ენის განსაზღვრას, სეიმისა და პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის სამიდან ოთხ წლამდე გაზრდას, პრეზიდენტისთვის ორმაგი მოქალაქეობის აკრძალვას, მინისტრთა კაბინეტის უფლების გაუქმებას, რომ სესიებს შორის პერიოდში გამოეცა კანონის ძალის მქონე აქტები და სხვ.

ლატვიის კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კონსტიტუციის ტექსტში ცალკე თავი არ არის მოცემული და მის შესახებ ნორმები განმტკიცებულია „კანონმდებლობის" თავში. ცვლილებების შინაარსის მიხედვით კონსტიტუციის გადასინჯვის ორი წესი არსებობს: როდესაც გადაწყვეტილებას საკანონმდებლო ორგანო იღებს და როდესაც სეიმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ხალხი ამტკიცებს.

პირველი წესის მიხედვით სეიმს შეუძლია კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, თუ სხდომას ესწრება სეიმის წევრთა არანაკლებ 2/3. შესწორებები მიიღება სამი მოსმენით დამსწრე წევრთა არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით. იმ შემთხვევაში კი, თუ სეიმი შესწორებებს შეიტანს კონსტიტუციის პირველ, მე-2, მე-3, მე-4, მე-6 ან 77-ე მუხლებში, რომლებიც ეხება ლატვიის რესპუბლიკას, მის დამოუკიდებელ და დემოკრატიულ რეჟიმს, სახალხო ხელისუფლებას, ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებს, ოფიციალურ ენას, დროშის აღწერილობას, სეიმის საარჩევნო პრინციპებსა და სისტემას და კონსტიტუციის გადასინჯვის მუხლს, ასეთი შესწორებები მათი, როგორც კანონის ძალაში შესვლის მიზნით, წარდგენილი უნდა იქნეს ეროვნულ რეფერენდუმზე. რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება აქვს სეიმის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე ლატვიის ყველა მოქალაქეს. რეფერენდუმზე წარდგენილი კონსტიტუციის შესწორება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს ამომრჩეველთა არანაკლებ ნახევარი.

კონსტიტუციური შესწორებების პროექტის წარდგენის უფლება აქვს ასევე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 1/10-ს. ეს შესწორებები წარედგინება პრეზიდენტს, რომელიც მას გადასცემს სეიმს. სეიმი პროექტს იღებს კონსტიტუციის შესწორებისათვის დადგენილი წესით. იმ შემთხვევაში, თუ სეიმი არ მიიღებს მას არსებითი ცვლილებების გარეშე, იგი წარდგენილ იქნება რეფერენდუმზე.

კონსტიტუციაში დღემდე შეტანილი ყველა ცვლილება საპარლამენტო გზით განხორციელდა.

კონსტიტუციის ანალიზი. როგორც აღინიშნა, ლატვიის კონსტიტუცია ლაკონური კონსტიტუციების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ. იგი შედგება მცირე მოცულობის 116 მუხლისა და 8 თავისაგან და არ შეიცავს პრეამბულას და გარდამავალ დებულებებს.

კონსტიტუციის თანახმად, ლატვია არის დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა, სახელმწიფოს სუვერენული ხელისუფლება ეკუთვნის ლატვიელ ხალხს. კონსტიტუცია ითვალისწინებს საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებისას, დემოკრატიის განმტკიცების მიზნით, სახელმწიფო დაწესებულებების კომპეტენციის ნაწილის საერთაშორისო დაწესებულებებისათვის გადაცემას. ამგვარი ხელშეკრულებების რატიფიცირებას ახორციელებს სეიმი წევრთა არანაკლებ 2/3-ის მონაწილეობისას, დამსწრეთა 2/3-ის თანხმობით.

ეკლესია სახელმწიფოსგან დამოუკიდებელია. ლატვიურ ენას მინიჭებული აქვს ოფიციალური ენის სტატუსი.

ლატვია არის საპარლამენტო რესპუბლიკა. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს პარლამენტი, რომელსაც ისტორიული სახელწოდება –

სეიმი ეწოდება და რომელიც შედგება ხალხის 100 წარმომადგენლისაგან. იგი აირჩევა 4 წლის ვადით საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე. არჩევნების დროს ქვეყანა იყოფა საარჩევნო ოლქებად. ოლქიდან ასარჩევ დეპუტატთა რიცხვი განისაზღვრება თითოეული ოლქის ამომრჩეველთა რაოდენობის პროპორციულად.

აქტიური საარჩევნო უფლება აქვს ლატვიის ყველა სრულუფლებიან მოქალაქეს, რომელმაც არჩევნების დღეს მიაღწია 18 წლის ასაკს, ხოლო პასიური საარჩევნო უფლება — ვინც არჩევნების პირველი დღისათვის მიაღწია 21 წლის ასაკს.

ძველი მოწვევის სეიმის უფლებამოსილება იწურება ახალარჩეული სეიმის შეკრებისას. იგივე ეხება დათხოვნილ სეიმს, თუმცა იმ განსხვავებით, რომ დათხოვნილ სეიმს შეუძლია სხდომების გამართვა მხოლოდ პრეზიდენტის მოწვევის საფუძველზე.

სეიმს, ფართო უფლებამოსილებიდან გამომდინარე, გადამწყვეტი როლი აკისრია მთელ სახელმწიფო მექანიზმში. იგი არის ერთადერთი ორგანო, რომელიც მანდატს უშუალოდ ხალხისგან იღებს. სეიმი წყვეტს ისეთ უმნიშვნელოვანეს საკადრო საკითხებს, როგორიცაა პრეზიდენტის არჩევა, მთავრობის ფორმირება, მოსამართლეების, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების, სახელმწიფო კონტროლიორების დანიშვნა. იგი ფაქტიურად იღებს გადაწყვეტილებას ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ყველა საკითხის გადაწყვეტაში და ამავდროულად სარგებლობს საქმიანობის მყარი გარანტიებით, რაც საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს სხვა ხელისუფლების შტოებთან შედარებით დონიმირებული მდგომარეობა.

სეიმი აღჭურვილია საინფორმაციო კონტროლის უფლებამოსილებითაც. მას უფლება აქვს პრემიერ-მინისტრს ან ცალკეულ მინისტრებს წარუდგინოს ინტერპელაციები და კითხვები, რომლებსაც მათ უნდა უპასუხონ უშუალოდ ან მათ მიერ ამისთვის უფლებამოსილი პასუხისმგებელი თანამდებობის პირების მეშვეობით. პრემიერ-მინისტრმა ან მინისტრმა, სეიმს ან ერთ-ერთ კომიტეტს, მათი მოთხოვნით უნდა წარუდგინონ შესაბამისი დოკუმენტაცია და საქმეები. სეიმის უფლებამოსილებას წარმოადგენს ასევე ამნისტიის გამოცხადება, ბიუჯეტის დამტკიცება, მშვიდობიანობის დროს სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების რაოდენობის განსაზღვრა, იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება, რომლებიც იწვევს ცვლილებებს კანონებში.

სეიმი ირჩევს პრეზიდიუმს, რომლის შემადგენლობაში შედიან თავმჯდომარე, ორი მოადგილე და მდივნები. პრეზიდიუმი ფუნქციონირებს მუდმივად სეიმის მთელი უფლებამოსილების განმავლობაში. სეიმში ასევე იქმნება კომიტეტები, ხოლო განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით — საგამოძიებო კომიტეტები, თუ ამას მოითხოვს სეიმის წევრთა არანაკლებ 1/3.

კონსტიტუცია დიდ ყურადღებას უთმობს სეიმის წევრთა სამართლებრივი მდგომარეობის დადგენას და მათ სეიმის წევრებს უწოდებს. არჩეული პირი მანდატს მიიღებს, თუ დადებს საჯარო ფიცს. სეიმი თვითონ ამოწმებს თავის წევრთა უფლებამოსილებას. აღიარებულია თავისუფალი მანდატი. ამომრჩევლებს არ შეუძლიათ სეიმის წევრთა გამოწვევა.

სეიმის წევრი სარგებლობს ფართო იმუნიტეტით. სეიმის თანხმობის გარეშე დაუშვებელია მისი დაკავება, საცხოვრებლის გაჩხრეკა ან ნებისმიერი სახით პირადი თავისუფლების შეზღუდვა, გარდა დანაშაულის ჩადენაზე წასწრებისა. სეიმის წევრის დაკავების შესახებ 24 საათის განმავლობაში უნდა ეცნობოს პრეზიდიუმს, რომელმაც საკითხი განსახილველად უნდა გაიტანოს სეიმის მომდევნო სხდომაზე დაკავების გაგრძელების ან გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. სესიებს შორის პერიოდში სეიმის წევრის შემდგომი დაკავების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პრეზიდიუმი. სეიმის თანხმობის გარეშე დაუშვებელია მისი წევრის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა და ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრება.

პარლამენტის წევრი აღჭურვილია ინდემნიტეტითაც და ეს გარანტია დეტალურად და სრულყოფილად არის ჩამოყალიბებული კონსტიტუციაში. იგი არ შეიძლება მიეცეს პასუხისგებაში სასამართლო, ადმინისტრაციული თუ დისციპლინური წესით მის მიერ ხმის მიცემის ან სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას გამოთქმული აზრებისათვის. სასამართლო პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს სეიმის წევრს, თუ იგი, თუნდაც სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას, ავრცელებს განზრახ ცილისმწამებლურ ყალბ განცხადებებს, ან ცილისმწამებლურ განცხადებებს პირადი ან საოჯახო ცხოვრების შესახებ. სეიმის წევრს უფლება აქვს უარი თქვას ჩვენების მიცემაზე: იმ პირებთან დაკავშირებით, რომლებმაც მას, როგორც ხალხის წარმომადგენელს, გაუმჟღავნეს გარკვეული ფაქტები ან ინფორმაცია; იმ პირებთან დაკავშირებით, რომლებსაც მან, როგორც ხალხის წარმომადგენელმა, გაუმჟღავნა გარკვეული ფაქტები ან ინფორმაცია; ან უშუალოდ ამგვარ ფაქტებსა თუ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს პრეზიდენტს, კაბინეტს, სეიმის კომიტეტს, სეიმის არანაკლებ 5 წევრს ან ამომრჩეველთა 1/10-ს. სეიმის წევრს ინდივიდუალურად არ გააჩნია ინიციატივის უფლება. სახელმწიფოს შემოსავლებისა და გასავლების ბიუჯეტის წარდგენის უფლება აქვს მხოლოდ მთავრობას.

სეიმის სხდომები იმართება, თუ მასში მონაწილეობს სეიმის დამსწრე წევრთა არანაკლებ ნახევარი, ხოლო გადაწყვეტილებები მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა აბსოლუტური უმრავლესობით, გარდა კონსტიტუციაში აღნიშნული სპეციალური შემთხვევებისა.

პრეზიდენტმა უნდა გამოაქვეყნოს სეიმის მიერ მიღებული კანონები მიღებიდან არანაკლებ 10 და არა უმეტეს 21-ე დღისა. კანონი ძალაში შედის მისი გამოქვეყნებიდან მე-14 დღეს, თუ მასში სხვა ვადა არ არის მითითებული.

კანონის ძალაში შესვლის დროებით შესაჩერებლად პრეზიდენტს გააჩნია სუსტი, მაგრამ ბალანსის დაცვის მიზნით აუცილებელი გარკვეული ბერკეტები. მას არ გააჩნია დამოუკიდებლად ვეტოს დადების უფლება. ვეტოს ინიციატივა უნდა მომდინარეობდეს სეიმის თავმჯდომარიდან, რის შედეგად პრეზიდენტს შეუძლია მოითხოვოს მიღებული კანონის გადასინჯვა და არა უფრო დიდი უმრავლესობით ვეტოს გადალახვა. თუ სეიმი არ შეცვლის კანონს, პრეზიდენტს აღარ აქვს იმავე წინადადებით მეორედ მიმართვის უფლება. თუ სეიმი მიიღებს გადაწყვეტილებას არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით, რომ კანონი არის სასწრაფო, პრეზიდენტს არ შეუძლია მოითხოვოს მისი გადასინჯვა.

ამ მხრივ ასევე ინტერესს იწვევს პრეზიდენტის უფლება, ორი თვით შეაჩეროს კანონის გამოქვეყნება. პრეზიდენტი ვალდებულია შეაჩეროს კანონის გამოქვეყნება საკუთარი ან სეიმის წევრთა არანაკლებ 1/3-ის ინიციატივით. თუმცა, ამომრჩეველთა არანაკლებ 1/10-ის მოთხოვნით ამგვარად შეჩერებული კანონი გაიტანება რეფერენდუმზე. რეფერენდუმი არ ტარდება, თუ სეიმი ხელახლა უყრის კენჭს კანონს და ე.წ შეჩერებით ვეტოს გადალახავს სეიმის სრული შემადგენლობის არანაკლებ 3/4-ით.

გარდა არჩევნებისა, უშუალო დემოკრატიის ფორმებიდან ლატვიაში ფართოდ გამოიყენება რეფერენდუმის ინსტიტუტი. მაგალითად, რეფერუნდუმის მეშვეობით უნდა გადაწყდეს ევროპის კავშირში ლატვიის გაწევრიანება, რომელსაც ნიშნავს სეიმი, ასევე გაწევრიანებასთან დაკავშირებული პირობების არსებითი ცვლილებები, თუ ამას მოითხოვს სეიმის წევრთა არანაკლებ ნახევარი. რეფერენდუმზე შეიძლება გატანილ იქნეს პრეზიდენტის მიერ შეჩერებული კანონი, კონსტიტუციური ცვლილებები, ასევე ამომრჩეველთა 1/10-ის მიერ სახალხო ინიციატივის წესით წარდგენილი კანონპროექტი. თუ სეიმი არ მიიღებს სახალხო ინიციატივის გზით წარდგენილ ამ უკანასკნელ პროექტს არსებითი ცვლილებების გარეშე, იგი წარდგენილ იქნება რეფერენდუმზე. რეფერენდუმზე წარდგენილი კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ ამომრჩეველთა რაოდენობა არანაკლებ წინა სეიმის არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნახევარია და, თუ უმრავლესობა მხარს დაუჭერს კანონპროექტს.

რეფერენდუმის განხილვის საგანს არ შეიძლება წარმოადგენდეს ბიუჯეტი და კანონები სესხების, გადასახადების, საბაჟო მოსაკრებლის, სარკინიგზო ტარიფების, სამხედრო გაწვევის, ომის გამოცხადებისა და დაწყების, სამშვიდობო ხელშეკრულებების, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა

და მისი შეწყვეტის, მობილიზაციისა და დემობილიზაციის შესახებ, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებები.

ქვეყნის მეთაარია პრეზიდენტი, რომელსაც ისევე როგორც სხვა კლასიკურ საპარლამენტო რესპუბლიკებში, ირჩევს სეიმი. იგი აირჩევა ოთხი წლის ვადით, ფარული კენჭისყრით სეიმის არანაკლებ 51 წევრის ხმათა უმრავლესობით. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს 40 წლის ასაკს მიღწეული მოქალაქის სრული უფლებით აღჭურვილი პირი. 1997 წელს განხორციელებული ცვლილების თანახმად, პრეზიდენტად არ შეიძლება აირჩეს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი.

პრეზიდენტის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან. თუ პრეზიდენტად არჩეული პირი სეიმის წევრია, მან უნდა მოიხსნას სეიმის წევრის უფლებამოსილება. ერთსა და იმავე პირს პრეზიდენტის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს ზედიზედ რვა წელზე მეტი ვადით.

პრეზიდენტი არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური და მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციებით შემოიფარგლება. მის უფლებამოსილებას საერთაშორისო სფეროში განეკუთვნება: სახელმწიფოს წარმოდგენა საერთაშორისო ურთიერთობებში, დიპლომატიური წარმომადგენლების დანიშვნა, სხვა სახელმწიფოების დიპლომატიური წარმომადგენლების მიღება, სეიმის საერთაშორისო შეთანხმებების რატიფიკაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შესრულება.

პრეზიდენტს უფლებამოსილება გააჩნია სამხედრო სფეროშიც. იგი არის ლატვიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, ომის დროს ნიშნავს უმაღლეს მთავარსარდალს, სეიმის გადაწყვეტილების საფუძველზე აცხადებს ომს, ასევე უფლებამოსილია მიიღოს სახელმწიფოს სამხედრო თავდაცვისათვის აუცილებელი ზომები, თუ სხვა სახელმწიფო ომს გამოუცხადებს ლატვიას ან თუ თავდამსხმელი ხელყოფს ლატვიის საზღვრებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დაუყოვნებლად იწვევს სეიმს, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ომის გამოცხადებისა და დაწყების შესახებ.

პრეზიდენტს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის, შეწყალების, კაბინეტის საგანგებო სხდომების მოწვევისა და წარმართვის და ამგვარ სხდომათა დღის წესრიგის განსაზღვრის უფლება.

თავისებურებით ხასიათდება სეიმის დათხოვნის მექანიზმი. მართალია სეიმის დათხოვნის თაობაზე წინადადების წარდგენის უფლება პრეზიდენტს გააჩნია, მაგრამ დათხოვნის შემდეგ უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი. თუ რეფერენდუმში მონაწილე ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი დათხოვნის მომხრეა, სეიმი დათხოვნილად ითვლება და ინიშნება ახალი არჩევნები, რომელიც უნდა ჩატარდეს სეიმის დათხოვნის დღიდან არა უგვიანეს ორ თვეში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რეფერენდუმში მონაწილე ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი სეიმის დათხოვნის წინააღმდეგია, მაშინ თანამდებობიდან გადაყენებულად

ჩაითვლება პრეზიდენტი და სეიმი გადაყენებული პრეზიდენტის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით ირჩევს ახალ პრეზიდენტს. ამდენად, პრეზიდენტი შეზღუდულია საკანონმდებლო ორგანოს დათხოვნით, რამდენადაც ამ პროცედურის წამოწყებამ შესაძლოა მისივე გადაყენება გამოიწვიოს. აღნიშნულ მექანიზმში მნიშვნელოვანია ისიც, რომ ხელისუფლების შტოებს შორის პოლიტიკური დავის არსებობისას საბოლოო სიტყვა მაინც ხალხს ეკუთვნის. კონსტიტუცია არ იცნობს სეიმის მიერ თვითდათხოვნის მექანიზმს.

პრეზიდენტს არ ეკისრება პოლიტიკური პასუხისმგებლობა საპრეზიდენტო უფლებამოსილების განხორციელებაზე. პრეზიდენტის ყველა აქტს ამავდროულად ხელს უნდა აწერდეს პრემიერ-მინისტრი ან შესაბამისი მინისტრი, რომელსაც ეკისრება სრული პასუხისმგებლობა. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმპიჩმენტის უგულებელყოფას. იმპიჩმენტის აღძვრის უფლება აქვს სეიმის წევრთა არანაკლებ ნახევარს, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება სეიმის წევრთა არანაკლებ 2/3-ით. ამასთან, სეიმის წევრთა ამავე უმრავლესობის თანხმობით პრეზიდენტი შეიძლება დაექვემდებაროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

პრეზიდენტის გადადგომის, გარდაცვალების, თანამდებობიდან გადაყენების, ლატვიაში არ ყოფნის ან სხვა მიზეზით, თუ პრეზიდენტს არ შეუძლია უფლებამოსილების განხორციელება, მის მოვალეობებს დროებით ასრულებს სეიმის თავმჯდომარე.

ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მთავრობა — კაბინეტი, რომელიც შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისგან. ლატვიაში მინისტრთა ორი კატეგორია გვხვდება: მინისტრი და საგანგებო დავალებათა ანუ ე.წ უპორტფელო მინისტრი. ამჟამად ლატვიის მთავრობაში 15 მინისტრი და 3 საგანგებო დავალებათა მინისტრია.

პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას ასახელებს პრეზიდენტი, ხოლო მინისტრებისას — პრემიერ-მინისტრი. უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მთავრობა საჭიროებს სეიმის ნდობას და მისი წევრები საქმიანობისთვის ანგარიშვალდებულნი არიან სეიმის წინაშე. თუ სეიმი უნდობლობას გამოუცხადებს პრემიერ-მინისტრს, უნდა გადადგეს მთელი კაბინეტი. თუ უნდობლობა გამოეცხადება ცალკეულ მინისტრს, მაშინ მინისტრი უნდა გადადგეს და პრემიერ-მინისტრი მის ნაცვლად მოიწვევს სხვა პირს.

ლატვია სხვა საპარლამენტო რესპუბლიკებისგან განსხვავებით, მინისტრთა კაბინეტისთვის უნდობლობის გამოცხადებას არ უკავშირებს სეიმის დათხოვნის შესაძლებლობას, რაც კიდევ უფრო ზრდის საკანონმდებლო ორგანოს საკონტროლო უფლებამოსილების სრულად განხორციელების შესაძლებლობას.

კაბინეტის სხდომებს თავმჯდომარეობს პრემიერ-მინისტრი. კაბინეტი განიხილავს ცალკეული სამინისტროების მიერ მომზადებულ კანონპროექტებს, აგრეთვე იმ საკითხებს, რომლებიც ეხება რამდენიმე სამინისტროს საქმიანობას და მთავრობის წევრების მიერ სახელმწიფო პოლიტიკასთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხებს.

ლატვიაში საერთო სასამართლოების სისტემას შეადგენენ რაიონული (საქალაქო), საოლქო სასამართლოები და უზენაესი სასამართლო, ხოლო ომის ან საგანგებო მდგომარეობის დროს — აგრეთვე, სამხედრო სასამართლოები. გარდა ამისა, დარგობრივი კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილია ან პერიოდულად იქმნება სპეციალიზირებული სასამართლოები, როგორიცაა საარბიტრაჟო, შრომის, საპატენტო და სხვ.

მოსამართლეებს ამტკიცებს სეიმი და ისინი შეუცვლელნი არიან. თუმცა, კანონით შეიძლება განისაზღვროს მოსამართლეთა პენსიაზე გასვლის ასაკი. მოსამართლეთა ვადამდე გათავისუფლება შეუძლია სეიმს სასამართლო დისციპლინარული კოლეგიის გადაწყვეტილების ან სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს განაჩენის საფუძველზე.

ლატვიაში ფუნქციონირებს საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც ძირითადად განიხილავს საქმეებს კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე. იგი უფლებამოსილია ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონები და სხვა აქტები ან მათი ნაწილები. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს ამტკიცებს სეიმი წევრთა უმრავლესობით.

სახელმწიფო სახსრების ხარჯვას ზედამხედველობს კონტროლის სახელმწიფო პალატა, რომელიც არის დამოუკიდებელი კოლეგიური დაწესებულება. სახელმწიფო კონტროლიორებს ნიშნავს სეიმი.

ადამიანის უფლებებს ეძღვნება კონსტიტუციის მე-8 თავი. სახელმწიფო აღიარებს და იცავს ადამიანის ძირითად უფლებებს. ლატვიაში მყოფი ყოველი ადამიანი კანონისა და სასამართლოების წინაშე თანასწორია. აღიარებულია სამართლიანი სასამართლოს, უდანაშაულობის პრეზუმფციის, უსაფუძვლოდ მიყენებული ზიანის კომპენსაციის, ადვოკატის დახმარების, სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების, პირადი ცხოვრების, საცხოვრებლისა და მიმოწერის ხელშეუხებლობის, თავისუფალი გადაადგილების, საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება, ასევე აზრის, სინდისის, რელიგიისა და გამოხატვის თავისუფლება.

პოლიტიკური უფლებებიდან აღიარებულია თითოეული მოქალაქის უფლება, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოსა და ადგილობრივ მმართველობით საქმიანობაში და დაიკავოს თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში, ასევე გაერთიანებების, პოლიტიკური პარტიებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნისა და მათში გაერთიანების, წინასწარ გამოცხადებულ მშვიდობიან მიტინგებში, ქუჩებში მიმდინარე პროცესებსა და პიკეტებში მო-

ნაწილეობის, სახელმწიფო ან ადგილობრივი მმართველობის დაწესებულებებისათვის მიმართვის და პასუხის მიღების უფლება.

ყველას აქვს საკუთრების უფლება. დაუშვებელია საკუთრების გამოყენება საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ. საკუთრების უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონის შესაბამისად. საკუთრების ჩამორთმევა საზოგადოებრივი ინტერესებისათვის დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, სპეციალური კანონის საფუძველზე და სამართლიანი კომპენსაციის სანაცვლოდ.

ყველას აქვს თავისი შესაძლებლობებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად საქმიანობისა და სამუშაო ადგილის თავისუფლად არჩევის, შესრულებული სამუშაოსათვის შესაბამისი ანაზღაურების მიღების, ყოველკვირეული დასვენების დღეებისა და ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების, გაფიცვის, ხანდაზმულობის, სამუშაო ტრავმის, უმუშევრობისა და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში სოციალური უზრუნველყოფის, ასევე განათლების უფლება.

სახელმწიფო იცავს და ხელს უწყობს ქორწინებას, როგორც მამაკაცსა და ქალს შორის კავშირს, ოჯახს, მშობლებისა და ბავშვის უფლებებს, ადამიანის ჯანმრთელობას, ასევე უფასო დაწყებითი და საშუალო განათლების მიღებას. დაწყებითი განათლება სავალდებულოა.

აღიარებულია სამეცნიერო კვლევების, სახელოვნებო და სხვა შემოქმედებითი საქმიანობის თავისუფლება, ასევე პირის უფლება, იცხოვროს მისთვის სასურველ გარემოში და მიიღოს ინფორმაცია გარემო პირობების შესახებ.

ეთნიკურ უმცირესობებს აქვთ თავიანთი ენისა და ეთნიკური და კულტურული იდენტურობის დაცვისა და განვითარების უფლება.

კონსტიტუცია უშვებს შესაძლებლობას, რომ სხვათა უფლებების, სახელმწიფოს დემოკრატიული წყობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, კეთილდღეობისა და მორალის დაცვის მიზნით შეიზღუდოს კონსტიტუციით აღიარებული ზოგიერთი უფლება.

მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხები ლატვიაში კონსტიტუციის რეგულირების სფეროს არ განეკუთვნება და წესრიგდება ჩვეულებრივი კანონებით, რაც ამ სფეროს ხშირი ცვალებადობის საშუალებას იძლევა.

რაც შეეხება ტერიტორიულ მოწყობას და ადგილობრივ თვითმმართველობას, კონსტიტუციაში მხოლოდ ზოგადად არის ამის შესახებ საუბარი. ლატვიის სახელმწიფოს ტერიტორია მოიცავს 4 რეგიონს: ვიძიმეს, ლატგალიას, კურზემესა და ზემგალეს, რომლებიც თავისმხრივ იყოფოდა 26 რაიონად და 7 ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქად, ხოლო ესენი თავისმხრივ — 553 თვითმმართველ თემად (პაგასტად). 2007 წლის 4 სექტემბრის მთავრობის დადგენილებით, 2009 წლის მუნიციპალური არჩევნების ჩატარებამდე შეიქმნა 96 ოლქი (ლატიში) და 9 რესპუბლიკური ქალაქი.

კონსტიტუციით ადგილობრივ თვითმმართველობას ადგილობრივი მმართველობა ეწოდება. განსაზღვრულია, რომ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნებში აქტიური საარჩევნო უფლებით მონაწილეობენ არა მხოლოდ ლატვიის, არამედ ლატვიაში მუდმივად მცხოვრები ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეები. ამასთან, ლატვიაში მუდმივად მცხოვრებ ევროკავშირის ქვეყნების ყოველ მოქალაქეს, კანონით გათვალისწინებული წესით, უფლება აქვს მონაწილეობდეს ადგილობრივ მმართველობით საქმიანობაში. ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა სამუშაო ენა არის ლატვიური.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები. უპირველეს ყოვლისა, ლატვიის კონსტიტუციის თავისებურებას წარმოადგენს მისი სტრუქტურა და მიღების თარიღი. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ლატვიამ ახალი კონსტიტუციის მიღებას დამოუკიდებელი ლატვიის ძველი კონსტიტუციის აღდგენა არჩია, მიუხედავად იმისა, რომ იგი ძირვესვიანად შეცვალა;

— თავისებურებით გამოირჩევა ლატვიური ენის სტატუსი, რომელსაც არა სახელმწიფო, არამედ ოფიციალური ენის სტატუსი გააჩნია;

— სრულყოფილად და სხვა ინსტიტუტებთან შედარებით დეტალურად არის გადმოცემული სეიმის წევრის იმუნიტეტისა დ ინდემნიტეტის არსი და თავისებურებები;

— პრეზიდენტის მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესში მინიმალურია, მას ვეტოს უფლება გააჩნია მხოლოდ სეიმის თავმჯდომარის ინიციატივით, გარდა ამისა, ლატვიის კონსტიტუცია იცნობს პრეზიდენტის მიერ ე.წ. კანონის დროებით შეჩერების ინსტიტუტს;

— მაქსიმალურად არის უზრუნველყოფილი ხელისუფლების შტოების წონასწორობის შენარჩუნების პროცესში ხალხის მონაწილეობა, რაც უპირველესად გამოიხატება პრეზიდენტის მიერ სეიმის დათხოვნისას. ამ დროს საბოლოო გადაწყვეტილებას ხალხი იღებს, მაგრამ თუ ხალხი არ დაეთანხმება საკანონმდებლო ორგანოს დათხოვნას, პრეზიდენტი თანამდებობიდან გადაყენებულად ითვლება;

— პრეზიდენტობის კანდიდატს არ მოეთხოვება დაბადებით მოქალაქეობა და ამავდროულად იგი არ შეიძლება იყოს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი;

— პრეზიდენტობის ვადის შეზღუდვის პერიოდი არა ჯერადობით, არამედ საერთო ვადით არის განსაზღვრული — პირს პრეზიდენტის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს ზედიზედ რვა წელზე მეტი ვადით;

— ადგილობრივ არჩევნებში აქტიური საარჩევნო უფლება გააჩნიათ ლატვიაში მუდმივად მცხოვრებ ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეებს.

ლატვიის რესპუბლიკის კონსტიტუცია[1]

მიღებულია ლატვიის დამფუძნებელი კრების მიერ 1922 წლის 15 თებერვალს

(შეტანილია ცვლილებები 1933 წლის 21 მარტს, 1994 წლის 27 იანვარს, 1996 წლის 5 ივნისს, 1997 წლის 4 დეკემბერს, 1998 წლის 15 ოქტომბერს, 2002 წლის 30 აპრილს, 2003 წლის 8 მაისს, 2004 წლის 23 სექტემბერს, 2005 წლის 15 დეკემბერს, 2007 წლის 3 მაისს)

ლატვიელმა ხალხმა თავისუფალი ნების საფუძველზე არჩეული დამფუძნებელი კრების მეშვეობით მიიღო სახელმწიფოს წინამდებარე კონსტიტუცია:

თავი I. ძირითადი დებულებები

1. ლატვია არის დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა.

2. ლატვიის სახელმწიფოს სუვერენული ხელისუფლება ეკუთვნის ლატვიელ ხალხს.

3. ლატვიის სახელმწიფოს ტერიტორია, საერთაშორისო შეთანხმებებით დადგენილ ფარგლებში, მოიცავს ვიძიმეს, ლატგალიას, კურზემესა და ზემგალეს.

4. ლატვიის რესპუბლიკის ოფიციალური ენა არის ლატვიური ენა. ლატვიის ეროვნული დროშა არის წითელი თეთრი ზოლით.

თავი II. სეიმი

5. სეიმი შედგება ხალხის ასი წარმომადგენლისაგან.

6. სეიმი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე.

---

[1] თარგმანისას გამოყენებულია ლატვიის სეიმის მიერ გამოცემული ლატვიის კონსტიტუციის ოფიციალური ტექსტი: Latvijas Republikas Satversme. Latvijas Republikas Saeims kanceleja. Riga, 1997. p.113-136. ასევე ლატვიის პრეზიდენტის კანცელარიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.president.lv/pk/content/?cat_id=1084&lng=en და სეიმის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.saeima.lv/Likumdosana_eng/likumdosana_satversme.html წარმოდგენილი ლატვიის კონსტიტუციის ინგლისურენოვანი ოფიციალური ტექსტები.

7. ლატვია იყოფა ცალკეულ საარჩევნო ოლქებად. სეიმში თითოეული ოლქიდან არჩეულ დეპუტატთა რიცხვი განისაზღვრება თითოეული ოლქის ამომრჩეველთა რაოდენობის პროპორციულად.

8. ხმის მიცემის უფლება აქვს ლატვიის ყველა სრულუფლებიან მოქალაქეს, რომელმაც არჩევნების დღეს მიაღწია 18 წლის ასაკს.

9. სეიმში შეიძლება არჩეულ იქნეს არჩევნების პირველი დღისთვის ოცდაერთი წლის ასაკს მიღწეული ლატვიის ყველა სრულუფლებიანი მოქალაქე.

10. სეიმი აირჩევა ოთხი წლის ვადით.

11. სეიმის მორიგი არჩევნები ტარდება ოქტომბრის პირველ შაბათს.

12. ახალარჩეული სეიმი პირველ სხდომას მართავს ნოემბრის პირველ სამშაბათს, როდესაც იწურება წინა სეიმის უფლებამოსილება.

13. თუ წინა სეიმის დათხოვის გამო სეიმის არჩევნები ტარდება წლის სხვა დროს, ახალარჩეული სეიმი მოიწვევა არჩევიდან არა უგვიანეს ერთი თვისა და მისი მანდატი ამოიწურება ახალი სეიმის მოწვევისთანავე ნოემბრის პირველ სამშაბათს ამ არჩევნებიდან სამი წლის შემდეგ.

14. ამომრჩევლებს არ შეუძლიათ სეიმის ცალკეული წევრების გამოწვევა.

15. სეიმი თავის სხდომებს მართავს რიგაში და სხვაგან შეკრება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეუძლია.

16. სეიმი ირჩევს პრეზიდიუმს, რომლის შემადგენლობაში შედიან თავმჯდომარე, ორი მოადგილე და მდივნები. პრეზიდიუმი ფუნქციონირებს მუდმივად სეიმის მთელი უფლებამოსილების განმავლობაში.

17. ახალარჩეული სეიმის პირველ სხდომას ხსნის წინა მოწვევის სეიმის თავმჯდომარე ან პრეზიდიუმის სხვა წევრი პრეზიდიუმის დისკრეციით.

18. სეიმი თვითონ ამოწმებს თავის წევრთა უფლებამოსილებას. სეიმში არჩეული პირი მიიღებს სეიმის წევრის მანდატს, თუ დადებს საჯარო ფიცს: „მე, სეიმის წევრის თანამდებობის დაკავების წინ ლატვიელი ხალხის წინა-

შე ვფიცავ, რომ ვიქნები ლატვიის ერთგული, გავაძლიერებ მის სუვერენიტეტსა და ლატვიურ ენას, როგორც ოფიციალურ ენას, დავიცავ ლატვიის დამოუკიდებელ და დემოკრატიულ სახელმწიფოს, კეთილსინდისიერად და პატიოსნად შევასრულებ ჩემს უფლებამოსილებას. მე ვიღებ ვალდებულებას, დავიცვა ლატვიის კონსტიტუცია და ქვეყნის კანონები."

19. პრეზიდიუმი იწვევს სეიმის სესიებს, ადგენს მორიგი და საგანგებო სხდომების განრიგს.

20. პრეზიდიუმი იწვევს სეიმის სხდომებს, თუ ამას მოითხოვს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი ან სეიმის წევრთა არანაკლებ ერთი მესამედი.

21. შიდა საქმიანობისა და წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით სეიმი ადგენს რეგლამენტს. სეიმის სამუშაო ენა არის ლატვიური ენა.

22. სეიმის სხდომები საჯაროა. სეიმის ათი წევრის, პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის ან მინისტრის მოთხოვნით, დამსწრე წევრთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით, სეიმს შეუძლია სხდომა დახურულად გამოაცხადოს.

23. სეიმის სხდომები იმართება, თუ მასში მონაწილეობას იღებს სეიმის დამსწრე წევრთა არანაკლებ ნახევარი.

24. სეიმი, გარდა კონსტიტუციაში აღნიშნული სპეციალური შემთხვევებისა, გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე დამსწრე წევრების აბსოლუტური უმრავლესობით.

25. სეიმი ქმნის კომიტეტებს და განსაზღვრავს წევრთა რაოდენობასა და მათ მოვალეობებს. კომიტეტებს აქვთ უფლება, ცალკეულ მინისტრებს ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს მოსთხოვონ კომიტეტების მუშაობისთვის აუცილებელი ინფორმაცია და განმარტება, აგრეთვე უფლება აქვთ განმარტების მისაცემად სხდომებზე მოიწვიონ შესაბამისი სამინისტროებიდან ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოებიდან პასუხისმგებელი წარმომადგენლები. კომიტეტებს თავიანთი საქმიანობის განხორციელება შეუძლიათ აგრეთვე სეიმის სესიებს შორის პერიოდში.

26. სეიმი განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით ნიშნავს საპარლამენტო საგამოძიებო კომიტეტებს, თუ ამას მოითხოვს სეიმის წევრთა არანაკლებ ერთი მესამედი.

27. სეიმს უფლება აქვს პრემიერ-მინისტრს ან ცალკეულ მინისტრს წარუდგინოს ინტერპელაციები და კითხვები, რომლებსაც მათ უნდა უპასუხონ უშუალოდ ან მათ მიერ ამისთვის უფლებამოსილი პასუხისმგებელი თანამდებობის პირების მეშვეობით. პრემიერ-მინისტრმა ან ცალკეულმა მინისტრმა, სეიმს ან ერთ-ერთ კომიტეტს, მათი მოთხოვნით უნდა წარუდგინონ შესაბამისი დოკუმენტაცია და საქმეები.

28. სეიმის წევრი არ შეიძლება მიეცეს პასუხისგებაში რაიმე სასამართლო, ადმინისტრაციული თუ დისციპლინური წესით მის მიერ ხმის მიცემის ან სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას გამოთქმული აზრებისთვის. სასამართლო პასუხისმგებლობა შეიძლება აღიძრას სეიმის წევრის წინააღმდეგ, თუ იგი, თუნდაც სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას, ავრცელებს:

1) განზრახ ცილისმწამებლურ ყალბ განცხადებებს, ან

2) ცილისმწამებლურ განცხადებებს პირადი ან საოჯახო ცხოვრების შესახებ.

29. სეიმის თანხმობის გარეშე დაუშვებელია სეიმის წევრის დაკავება, მისი საცხოვრებლის გაჩხრეკა ან ნებისმიერი სახით პირადი თავისუფლების შეზღუდვა. სეიმის წევრი შეიძლება დაკავებულ იქნეს დანაშაულის ჩადენაზე წასწრებისას. სეიმის ნებისმიერი წევრის დაკავების შესახებ ოცდაოთხი საათის განმავლობაში უნდა ეცნობოს პრეზიდიუმს, რომელმაც საკითხი განსახილველად უნდა გაიტანოს სეიმის მომდევნო სხდომაზე სეიმის წევრისთვის დაკავების გაგრძელების ან გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. სესიებს შორის პერიოდში სესიის გახსნამდე სეიმის წევრის შემდგომი დაკავების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პრეზიდიუმი.

30. სეიმის თანხმობის გარეშე დაუშვებელია სეიმის წევრის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა და ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრება.

31. სეიმის წევრს უფლება აქვს უარი თქვას ჩვენების მიცემაზე:

1) იმ პირებთან დაკავშირებით, რომლებმაც მას, როგორც ხალხის წარმომადგენელს, გაუმჟღავნეს გარკვეული ფაქტები ან ინფორმაცია;

2) იმ პირებთან დაკავშირებით, რომლებსაც მან, როგორც ხალხის წარმომადგენელმა, გაუმჟღავნა გარკვეული ფაქტები ან ინფორმაცია; ან

3) უშუალოდ ამგვარ ფაქტებსა თუ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

32. სეიმის წევრს არ შეუძლია პირადად ან სხვა პირის სახელით სახელმწიფოსგან შეკვეთების ან კონცესიების მიღება. ამ მუხლის დებულებები გამოიყენება მინისტრებთან მიმართებაში მაშინაც, თუ ისინი არ არიან სეიმის წევრები.

33. პარლამენტის წევრის ანაზღაურება ხორციელდება სახელმწიფო სახსრებიდან.

34. დაუშვებელია, რომელიმე პირს შეეფარდოს პასუხისმგებლობა სეიმისა თუ მისი კომიტეტების სხდომებზე გაკეთებული მოხსენებებისათვის, თუ ამგვარი მოხსენებები სინამდვილეს შეესაბამება. ინფორმაცია სეიმის ან მისი კომიტეტების დახურული სხდომების შესახებ შეიძლება გამჟღავნდეს მხოლოდ სეიმის პრეზიდიუმის ან კომიტეტის ნებართვით.

თავი III. პრეზიდენტი

35. პრეზიდენტს ოთხი წლის ვადით ირჩევს სეიმი.

36. პრეზიდენტი აირჩევა ფარული კენჭისყრით სეიმის არანაკლებ ორმოცდათერთმეტი წევრის ხმათა უმრავლესობით.

37. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ორმოცი წლის ასაკს მიღწეული მოქალაქის სრული უფლებით აღჭურვილი პირი. პრეზიდენტად არ შეიძლება აირჩეს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი.

38. პრეზიდენტის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან. თუ პრეზიდენტად არჩეული პირი სეიმის წევრია, მან უნდა მოიხსნას სეიმის წევრის უფლებამოსილება.

39. ერთსა და იმავე პირს პრეზიდენტის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს ზედიზედ რვა წელზე მეტი ვადით.

40. პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ სეიმის სხდომაზე პრეზიდენტი თანამდებობის დაკავების წინ დებს შემდეგ ფიცს: „ვფიცავ, რომ მთელ ჩემს საქმიანობას მოვახმარ ლატვიელი ხალხის კეთილდღეობას. ლატვიის რესპუბლიკისა და ყველა მცხოვრების კეთილდღეობის განმტკიცების მიზნით მივმართავ ყოველგვარ ძალისხმევას. წმინდად შევინახავ და დავიცავ ლატვიის კონსტიტუციასა და სახელმწიფოს კანონებს. სამართლიანი ვიქნები ყველას მიმართ და კეთილსინდისიერად შევასრულებ ჩემს მოვალეობებს.“

41. პრეზიდენტი წარმოადგენს სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობებში, ნიშნავს დიპლომატიურ წარმომადგენლებს, აგრეთვე იღებს სხვა სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენლებს. პრეზიდენტი ასრულებს სეიმის საერთაშორისო შეთანხმებების რატიფიკაციასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს.

42. პრეზიდენტი არის ლატვიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. ომის დროს პრეზიდენტი ნიშნავს უმაღლეს მთავარსარდალს.

43. პრეზიდენტი ომს აცხადებს სეიმის გადაწყვეტილების საფუძველზე.

44. პრეზიდენტი უფლებამოსილია მიიღოს სახელმწიფოს სამხედრო თავდაცვისათვის აუცილებელი ზომები, თუ სხვა სახელმწიფო ომს გამოუცხადებს ლატვიას ან თუ თავდამსხმელი ხელყოფს ლატვიის საზღვრებს. ამავდროულად პრეზიდენტი დაუყოვნებლად იწვევს სეიმს, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ომის გამოცხადებისა და დაწყების შესახებ.

45. პრეზიდენტს აქვს უფლება შეიწყალოს სისხლის სამართლის დამნაშავეები, რომელთა მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გადაწყვეტილება. ამ უფლების განხორციელების შინაარსი და პროცედურა განსაზღვრულია სპეციალური კანონით. ამნისტიის უფლება აქვს სეიმს.

46. პრეზიდენტს აქვს უფლება მოიწვიოს და წარმართოს კაბინეტის საგანგებო სხდომები და განსაზღვროს ამგვარ სხდომათა დღის წესრიგი.

47. პრეზიდენტს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

48. პრეზიდენტი უფლებამოსილია წამოაყენოს წინადადება სეიმის დათხოვის თაობაზე. ამის შემდეგ უნდა ჩატარდეს ეროვნული რეფერენდუმი. თუ რეფერენდუმში მონაწილე ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი დათხოვნის მომხრეა, სეიმი დათხოვნილად ითვლება და ინიშნება ახალი არჩევნები, რომელიც უნდა ჩატარდეს სეიმის დათხოვნის დღიდან არა უგვიანეს ორ თვეში.

49. სეიმის დათხოვნის შემთხვევაში სეიმის წევრების მანდატი გრძელდება ახალარჩეული სეიმის შეკრებამდე, მაგრამ დათხოვნილ სეიმს შეუძლია სხდომების გამართვა მხოლოდ პრეზიდენტის მოწვევის საფუძველზე. ამგვარი სხდომების დღის წესრიგს განსაზღვრავს პრეზიდენტი.

50. თუ რეფერენდუმში მონაწილე ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი სეიმის დათხოვნის წინააღმდეგია, მაშინ პრეზიდენტი თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება და სეიმი გადაყენებული პრეზიდენტის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით ირჩევს ახალ პრეზიდენტს.

51. სეიმის სრული შემადგენლობის არანაკლებ ნახევრის წინადადებით, დახურულ სხდომაზე, სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის ხმათა უმრავლესობით სეიმს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

52. პრეზიდენტის გადადგომის, გარდაცვალების ან თანამდებობიდან გადაყენების შემთხვევაში, სეიმის მიერ ახალი პრეზიდენტის არჩევამდე, პრეზიდენტის მოვალეობებს ასრულებს სეიმის თავმჯდომარე. სეიმის თავმჯდომარე პრეზიდენტის მოვალეობებს ასრულებს ასევე, თუ ეს უკანასკნელი არ იმყოფება ლატვიაში ან ნებისმიერი სხვა მიზეზით არ შეუძლია უფლებამოსილების შესრულება.

53. პრეზიდენტს არ ეკისრება პოლიტიკური პასუხისმგებლობა საპრეზიდენტო უფლებამოსილების შესრულებისთვის. პრეზიდენტის ყველა ბრძანებას ამავდროულად ხელს უნდა აწერდეს პრემიერ-მინისტრი ან შესაბამისი მინისტრი, რომელსაც ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ამგვარი ბრძანებებისათვის, გარდა ორმოცდამერვე და ორმოცდამეთექვსმეტე მუხლებში განსაზღვრული შემთხვევებისა.

54. სეიმის წევრთა არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობის თანხმობით პრეზიდენტი შეიძლება დაექვემდებაროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

თავი IV. კაბინეტი

55. კაბინეტი შედგება პრემიერ-მინისტრისა და პრემიერ-მინისტრის მიერ მოწვეული მინისტრებისგან.

56. კაბინეტს აყალიბებს ის პირი, რომელსაც ამ მიზნით მოიწვევს პრეზიდენტი.

57. მინისტრების რაოდენობა და მათი საქმიანობის სფერო, ისევე როგორც სახელმწიფო დაწესებულებებს შორის ურთიერთობა, განისაზღვრება კანონით.

58. სახელმწიფო მმართველობის ორგანოები ექვემდებარება კაბინეტს.

59. უფლებამოსილების განხორციელების მიზნით პრემიერ-მინისტრი და სხვა მინისტრები საჭიროებენ სეიმის ნდობას და თავიანთი საქმიანობისთვის ანგარიშვალდებულნი არიან სეიმის წინაშე. თუ სეიმი უნდობლობას უცხადებს პრემიერ-მინისტრს, უნდა გადადგეს მთელი კაბინეტი. თუ უნდობლობა გამოეცხადება ცალკეულ მინისტრს, მაშინ მინისტრი უნდა გადადგეს და პრემიერ-მინისტრი მის ნაცვლად მოიწვევს სხვა პირს.

60. კაბინეტის სხდომებს თავმჯდომარეობს პრემიერ-მინისტრი, ხოლო პრემიერ-მინისტრის არყოფნისას — ამისთვის პრემიერ-მინისტრის მიერ უფლებამოსილი მინისტრი.

61. კაბინეტი განიხილავს ცალკეული სამინისტროების მიერ მომზადებულ კანონპროექტებს, აგრეთვე იმ საკითხებს, რომლებიც ეხება რამდენიმე სამინისტროს საქმიანობას და მთავრობის ინდივიდუალური წევრების მიერ სახელმწიფო პოლიტიკასთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხებს.

62. თუ სახელმწიფოს ემუქრება გარეშე მტერი ან თუ სახეზეა შიდა ამბოხება, რომელიც საფრთხეს უქმნის არსებულ პოლიტიკურ სისტემას ან სახელმწიფოში ან მის რომელიმე ნაწილში არსებობს მისი წარმოშობის საშიშროება, კაბინეტს აქვს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების უფლება, რის შესახებაც ოცდაოთხი საათის განმავლობაში უნდა შეატყობინოს პრეზიდიუმს, ხოლო პრეზიდიუმმა კაბინეტის ამგვარი გადაწყვეტილება დაუყოვნებლად უნდა წარუდგინოს სეიმს.

63. მინისტრებს, თუნდაც არ იყვნენ სეიმის წევრები, და მინისტრის მიერ უფლებამოსილ თანამდებობის პირებს აქვთ სეიმისა და მისი კომიტეტების სხდომებზე დასწრებისა და კანონპროექტის დამატებებისა და შესწორებების წარდგენის უფლება.

თავი V. კანონმდებლობა

64. წინამდებარე კონსტიტუციით გათვალისწინებული პროცედურებითა და ფარგლებში პარლამენტს, აგრეთვე ხალხს, აქვს კანონშემოქმედების უფლება.

65. კანონპროექტის სეიმში წარდგენის უფლება აქვს პრეზიდენტს, კაბინეტს ან სეიმის კომიტეტს, სეიმის არანაკლებ ხუთ წევრს ან, ამ კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ამომრჩეველთა ერთ მეათედს.

66. ყოველწლიურად ფინანსური წლის დაწყებამდე სეიმი იღებს სახელმწიფოს შემოსავლებისა და გასავლების ბიუჯეტს, რომლის კანონპროექტსაც მთავრობა წარუდგენს.

თუ სეიმი მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელიც მოიცავს ბიუჯეტში გათვალისწინებელ ხარჯებს, მაშინ ეს გადაწყვეტილება აგრეთვე უნდა ითვალისწინებდეს ამგვარი ხარჯების დასაფარავ სახსრებს.

საბიუჯეტო ხარჯების ანგარიში კაბინეტმა სეიმს დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს საბიუჯეტო წლის დასრულებამდე.

67. სეიმი განსაზღვრავს მშვიდობიანობის დროს სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების რაოდენობას.

68. ყველა საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს საკანონმდებლო გზით გადასაჭრელ საკითხებს, სეიმის მიერ უნდა იქნეს რატიფიცირებული.

საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებისას ლატვიას დემოკრატიის განმტკიცების მიზნით შეუძლია სახელმწიფო დაწესებულებების კომპეტენციის ნაწილი გადასცეს საერთაშორისო დაწესებულებებს. საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებას, რომლებითაც სახელმწიფო დაწესებულების კომპეტენცია დელეგირებული აქვს საერთაშორისო დაწესებულებებს, ახორციელებს სეიმი სხდომებზე, სეიმის წევრთა არანაკლებ ორი მესამედის მონაწილეობით. რატიფიცირებისთვის აუცილებელია დამსწრე წევრთა ორი მესამედის თანხმობა.

ევროპის კავშირში ლატვიის გაწევრიანება უნდა გადაწყდეს ეროვნული რეფერუნდუმის მეშვეობით, რომელსაც ნიშნავს სეიმი.

ევროპის კავშირში ლატვიის გაწევრიანებასთან დაკავშირებული პირობების არსებითი ცვლილებები უნდა გადაწყდეს ეროვნულ რეფერენდუმზე, თუ ამგვარ რეფერენდუმს მოითხოვს სეიმის წევრთა არანაკლებ ნახევარი.

69. პრეზიდენტმა უნდა გამოაქვეყნოს სეიმის მიერ მიღებული კანონები კანონის მიღებიდან არანაკლებ მეათე და არა უმეტეს ოცდამეერთე დღისა. კანონი ძალაში შედის მისი გამოქვეყნებიდან მეთოთხმეტე დღეს, თუ მასში სხვა ვადა არ არის მითითებული.

70. პრეზიდენტმა მიღებული კანონი საჯაროდ უნდა გამოაქვეყნოს შემდეგი სახით: „სეიმმა (ან ხალხმა) მიიღო და პრეზიდენტი საჯაროდ აქვეყნებს შემდეგ კანონს: (კანონის ტექსტი).“

71. სეიმის მიერ კანონის მიღებიდან ათი დღის განმავლობაში სეიმის თავმჯდომარის წერილობითი და დასაბუთებული თხოვნის საფუძველზე პრეზიდენტს შეუძლია მოითხოვოს კანონის გადასინჯვა. თუ სეიმი არ შეცვლის კანონს, პრეზიდენტს აღარ აქვს იმავე წინადადებით მეორედ მიმართვის უფლება.

72. პრეზიდენტს უფლება აქვს ორი თვით შეაჩეროს კანონის გამოქვეყნება. პრეზიდენტი ვალდებულია შეაჩეროს კანონის გამოქვეყნება, თუ ამას მოითხოვს სეიმის წევრთა არანაკლებ ერთი მესამედი. ამ უფლების განხორციელება შეუძლია აგრეთვე პრეზიდენტს ან სეიმის წევრთა ერთ მესამედს სეიმის მიერ კანონის მიღებიდან ათი დღის განმავლობაში. ამგვარად შეჩერებული კანონი წარდგენილ იქნება ეროვნულ რეფერენდუმზე, თუ ამას მოითხოვს ამომრჩეველთა არანაკლებ ერთი მეათედი. თუ ზემოხსენებული ორი თვის მანძილზე ასეთი მოთხოვნა არ იქნება მიღებული, ამ პერიოდის ამოწურვის შემდეგ კანონი საჯაროდ გამოქვეყნდება. თუმცა ეროვნული რეფერენდუმი არ ტარდება, თუ სეიმი ხელახლა უყრის კენჭს კანონს და კანონის მიღებას ხმას მისცემს სეიმის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი.

73. ბიუჯეტი და კანონები სესხების, გადასახადების, საბაჟო მოსაკრებლის, სარკინიგზო ტარიფების, სამხედრო გაწვევის, ომის გამოცხადებისა და დაწყების, სამშვიდობო ხელშეკრულებების, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და მისი შეწყვეტის, მობილიზაციისა და დემობილიზაციის შესახებ, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებები, არ წარმოადგენს რეფერენდუმის განხილვის საგანს.

74. სეიმის მიერ მიღებული და 72-ე მუხლში მითითებული პროცედურების შესაბამისად შეჩერებული კანონი შეიძლება გაუქმდეს ეროვნული რეფერენდუმით, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს იმ ამომრჩეველთა არანაკლებ

ნახევარი, რომლებიც მონაწილეობდნენ წინა სეიმის არჩევნებში და თუ უმრავლესობა ხმას მისცემს კანონის გაუქმებას.

75. თუ სეიმი მიიღებს გადაწყვეტილებას არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით, რომ კანონი არის სასწრაფო, პრეზიდენტს არ შეუძლია მოითხოვოს ამ კანონის გადასინჯვა; ამგვარი კანონი არ შეიძლება იქნეს წარდგენილი ეროვნულ რეფერენდუმზე. მიღებული კანონი საჯაროდ ქვეყნდება პრეზიდენტის მიერ, მიღებიდან არა უგვიანეს მესამე დღისა.

76. სეიმს შეუძლია კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა სხდომაზე, რომელშიც მონაწილეობს სეიმის წევრთა არანაკლებ ორი მესამედი. შესწორებები მიიღება სამი მოსმენით დამსწრე წევრთა არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

77. თუ სეიმი შესწორებებს შეიტანს კონსტიტუციის პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე, მეექვსე ან სამოცდამეჩვიდმეტე მუხლებში, ასეთი შესწორებები მათი, როგორც კანონის ძალაში შესვლის მიზნით, ეროვნულ რეფერენდუმზე უნდა იქნეს წარდგენილი.

78. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ერთ მეათედს უფლება აქვს პრეზიდენტს წარუდგინოს სრულად შემუშავებული კონსტიტუციის შესწორების პროექტი ან კანონპროექტი, რომელსაც პრეზიდენტი სეიმს წარუდგენს. თუ სეიმი არ მიიღებს პროექტს არსებითი ცვლილებების გარეშე, იგი წარდგენილ იქნება ეროვნულ რეფერენდუმზე.

79. ეროვნულ რეფერენდუმზე წარდგენილი კონსტიტუციის შესწორება, დადგენილება ლატვიის ევროპის კავშირში გაწევრიანებისა და ამგვარი გაწევრიანების პირობებთან დაკავშირებული არსებითი ცვლილებების შესახებ მიღებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს ამომრჩეველთა არანაკლებ ნახევარი. ეროვნულ რეფერენდუმზე წარდგენილი კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ ამომრჩეველთა რაოდენობა არანაკლებ წინა სეიმის არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნახევარია და, თუ უმრავლესობა მხარს დაუჭერს კანონპროექტს, ლატვიის ევროპის კავშირში გაწევრიანებას ან ამგვარი გაწევრიანების პირობებთან დაკავშირებულ არსებით ცვლილებებს.

80. ეროვნულ რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება აქვს სეიმის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე ლატვიის ყველა მოქალაქეს.

81. ამოღებულია

თავი VI. სასამართლოები

82. ლატვიაში სასამართლო საქმეებს განიხილავენ რაიონული (საქალაქო) სასამართლოები, საოლქო სასამართლოები და უზენაესი სასამართლო, ხოლო ომის ან საგანგებო მდგომარეობის დროს — აგრეთვე, სამხედრო სასამართლოები.

83. მოსამართლე დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება.

84. მოსამართლეებს ამტკიცებს სეიმი და ისინი შეუცვლელნი არიან. მოსამართლეთა გათავისუფლება მათი სურვილის წინააღმდეგ სეიმს შეუძლია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლო დისციპლინარული კოლეგიის გადაწყვეტილების ან სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს განაჩენის საფუძველზე. კანონით შეიძლება განისაზღვროს მოსამართლეთა პენსიაზე გასვლის ასაკი.

85. ლატვიაში ფუნქციონირებს საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც თავისი იურისდიქციის ფარგლებში, კანონის შესაბამისად, განიხილავს საქმეებს კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე, ასევე კანონით მის იურისდიქციას მიკუთვნებულ სხვა საკითხებს. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონები და სხვა აქტები ან მათი ნაწილები. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს კანონით დადგენილი ვადით ფარული კენჭისყრით სეიმის წევრთა არანაკლებ ორმოცდათერთმეტი წევრის უმრავლესობით ამტკიცებს სეიმი.

86. სამართალწარმოების წესით გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ იმ ორგანოებს შეუძლიათ, რომელთაც ეს უფლება კანონით და კანონით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად აქვთ მინიჭებული. სამხედრო სასამართლოები მოქმედებენ სპეციალური კანონის საფუძველზე.

თავი VII. კონტროლის სახელმწიფო პალატა

87. კონტროლის სახელმწიფო პალატა არის დამოუკიდებელი კოლეგიალური დაწესებულება.

88. სახელმწიფო კონტროლიორების დანიშვნა და დამტკიცება იმავე პროცედურების შესაბამისად ხორციელდება, როგორც მოსამართლეების, მაგრამ მხოლოდ განსაზღვრული ვადით, რომლის განმავლობაშიც მათი გათავი-

სუფლება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. კონტროლის სახელმწიფო პალატის ორგანიზაცია და კომპეტენცია განისაზღვრება სპეციალური კანონით.

თავი VIII. ადამიანის ძირითადი უფლებები

89. წინამდებარე კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ლატვიისთვის სავალდებულო საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად, სახელმწიფო აღიარებს და იცავს ადამიანის ძირითად უფლებებს.

90. ყველას აქვს უფლება იცოდეს თავისი უფლებების შესახებ.

91. ლატვიაში მყოფი ყოველი ადამიანი თანასწორია კანონისა და სასამართლოების წინაშე.

ადამიანის უფლებები ხორციელდება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

92. ყველას აქვს უფლება დაიცვას თავისი უფლება და კანონიერი ინტერესები სამართლიან სასამართლოში. პირი უდანაშაულოდ ითვლება, სანამ მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად. ყველას, ვისი უფლებაც უსაფუძვლოდ დაირღვა, აქვს კომპენსაციის მიღების უფლება. ყველას აქვს ადვოკატის დახმარების უფლება.

93. თითოეული ადამიანის სიცოცხლის უფლება დაცულია კანონით.

94. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება. არავის შეიძლება წაერთვას ან შეეზღუდოს თავისუფლება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

95. სახელმწიფო იცავს ადამიანის პატივსა და ღირსებას. ადამიანის წამება ან სხვა სასტიკი ან დამამცირებელი მოპყრობა დაუშვებელია. არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს არაადამიანურ ან დამამცირებელ სასჯელს.

96. ყველას აქვს პირადი ცხოვრების, საცხოვრებლისა და მიმოწერის ხელშეუხებლობის უფლება.

97. ყველას, ვინც კანონიერად ცხოვრობს ლატვიის ტერიტორიაზე, აქვს თავისუფალი გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება.

98. ყველას აქვს ლატვიიდან თავისუფლად გასვლის უფლება. ყველას, ვინც იმყოფება საზღვარგარეთ და აქვს ლატვიის პასპორტი, იცავს სახელმწიფო და აქვს ლატვიაში თავისუფლად დაბრუნების უფლება. ლატვიის მოქალაქის უცხო სახელმწიფოსთვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა სეიმის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თუ ექსტრადიციით არ დაირღვევა კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის უფლებები.

99. ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებაზე. ეკლესია დამოუკიდებელია სახელმწიფოსგან.

100. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე, რაც მოიცავს უფლებას, თავისუფლად მიიღოს, შეინახოს და გაავრცელოს ინფორმაცია და გამოხატოს საკუთარი შეხედულება. ცენზურა აკრძალულია.

101. ლატვიის თითოეულ მოქალაქეს, კანონით გათვალისწინებული წესის თანახმად, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოსა და ადგილობრივ მმართველობით საქმიანობაში და დაიკავოს თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში. ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს ირჩევენ ლატვიაში მუდმივად მცხოვრები ლატვიისა და ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეები. ლატვიაში მუდმივად მცხოვრებ ევროკავშირის ქვეყნების ყოველ მოქალაქეს, კანონით გათვალისწინებული წესის თანახმად, უფლება აქვს მონაწილეობდეს ადგილობრივ მმართველობით საქმიანობაში. ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა სამუშაო ენა არის ლატვიური.

102. ყველას აქვს გაერთიანებების, პოლიტიკური პარტიებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება.

103. სახელმწიფო იცავს წინასწარ გამოცხადებული მშვიდობიანი მიტინგების, ქუჩებში მიმდინარე პროცესებისა და პიკეტების თავისუფლებას.

104. ყველას აქვს უფლება მიმართოს სახელმწიფო ან ადგილობრივი მმართველობის დაწესებულებებს და მიიღოს არსებითად დასაბუთებული პასუხი. ყველას აქვს პასუხის ლატვიურ ენაზე მიღების უფლება.

105. ყველას აქვს საკუთრების უფლება. დაუშვებელია საკუთრების გამოყენება საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ. საკუთრების უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონის შესაბამისად. საკუთრების ჩამორთმევა საზოგადოებრივი ინტერესებისათვის დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, სპეციალური კანონის საფუძველზე და სამართლიანი კომპენსაციის სანაცვლოდ.

106. ყველას აქვს თავისი შესაძლებლობებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად, საქმიანობისა და სამუშაო ადგილის თავისუფლად არჩევის უფლება. იძულებითი შრომა აკრძალულია. კატასტროფების დასახმარებელ სამუშაოებსა და შედეგების აცილებაში სასამართლოს ბრძანების შესაბამისად მონაწილეობის მიღება და შრომა არ ჩაითვლება იძულებით შრომად.

107. თითოეულ მოსამსახურეს აქვს შესრულებული სამუშაოსათვის შესაბამისი ანაზღაურების მიღების უფლება, რომელიც არ უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ დადგენილ მინიმალურ ხელფასზე ნაკლები, ასევე აქვს ყოველკვირეული დასვენების დღეებისა და ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების უფლება.

108. მოსამსახურეს აქვს შრომის კოლექტიური შეთანხმებისა და გაფიცვის უფლება. სახელმწიფო იცავს პროფესიული კავშირების თავისუფლებას.

109. ხანდაზმულობის, სამუშაო ტრავმის, უმუშევრობისა და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში ყველას აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება.

110. სახელმწიფო იცავს და ხელს უწყობს ქორწინებას, როგორც მამაკაცსა და ქალს შორის კავშირს, ოჯახს, მშობლებისა და ბავშვის უფლებებს. ინვალიდი, მზრუნველობას მოკლებული ან იმ ბავშვებისთვის, ვინც აღმოჩნდა ძალადობის მსხვერპლი, სახელმწიფო უზრუნველყოფს სპეციალურ დახმარებას.

111. სახელმწიფო იცავს ადამიანის ჯანმრთელობას და ყველასთვის უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარების მინიმალურ დონეს.

112. ყველას აქვს განათლების უფლება. სახელმწიფო ყველასთვის უზრუნველყოფს უფასო დაწყებითი და საშუალო განათლების მიღებას. დაწყებითი განათლება სავალდებულოა.

113. სახელმწიფო აღიარებს მეცნიერული კვლევების, სახელოვნებო და სხვა შემოქმედებითი საქმიანობის თავისუფლებას და იცავს საავტორო და საპატენტო უფლებებს.

114. პირებს, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობებს მიეკუთვნებიან, აქვთ თავიანთი ენისა და ეთნიკური და კულტურული იდენტურობის დაცვისა და განვითარების უფლება.

115. სახელმწიფო იცავს თითოეული პირის უფლებას იცხოვროს მისთვის სასურველ გარემოში და მიიღოს ინფორმაცია გარემო პირობების შესახებ, განამტკიცოს გარემოს შენარჩუნება და გაუმჯობესება.

116. კონსტიტუციის ოთხმოცდამეთექვსმეტე, ოთხმოცდამეჩვიდმეტე, ოთხმოცდამეთვრამეტე, მეასე, ასმეორე, ასმესამე, ასმეექვსე და ასმერვე მუხლებში გათვალისწინებული ადამიანის უფლებები, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შეიძლება შეიზღუდოს სხვათა უფლებების, სახელმწიფოს დემოკრატიული წყობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, კეთილდღეობისა და მორალის დაცვის მიზნით. ამ მუხლში აღნიშნული გარემოებების საფუძველზე შეზღუდვები შეიძლება აგრეთვე გავრცელდეს რელიგიური რწმენის გამოხატვაზე.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ი. ჩაკსტე
დამფუძნებელი კრების მდივანი რ. ივანოვი

მაროკო

PORT.
SPAIN
Ceuta (SP.)
Tétouan
Tangier
Melilla (SP.)
Oujda
RABAT
Kenitra
Fès
Meknès
Casablanca
Mohammedia
NORTH
ATLANTIC
OCEAN
El Jadida
Bou
Arfa
Safi
Marrakech
Jbel
Toubkal
Ouarzazat
Agadir
ALGERIA
Tarfaya
Sebkha Tah
Western Sahara
MAUR.
0 100 200 km
0 100 200 mi

ზოგადი ცნობარი
შესავალი

მაროკოს ტერიტორიაზე საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა სახელმწიფოები ბატონობდნენ: ბიზანტია, არაბეთი, საფრანგეთი, ესპანეთი. 1956 წელს მაროკო საბოლოოდ გათავისუფლდა საფრანგეთის პროტექტორატისგან და დამოუკიდებელი გახდა. ამის შემდეგ 3 წლის მანძილზე მან შესძლო სხვადასხვა ტერიტორიების მიერთებაც. 1970 წელს მაროკომ მოახდინა დასავლეთ საჰარას ანექსია, რომლის ტერიტორიული სტატუსი დღესაც განუსაზღვრელი რჩება.

1990-იან წლებში მაროკოში განხორციელდა ძირფესვიანი პოლიტიკური რეფორმები, რომლებიც ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანოს ფორმირებით 1997 წელს დასრულდა.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: ჩრდილოეთ აფრიკა; დასავლეთით აკრავს ატლანტის ოკეანე, ჩრდილოეთით — ხმელთაშუა ზღვა, სამხრეთით ესაზღვრება დასავლეთ საჰარა, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით — ალჟირი.

ფართობი: სულ — 446.550 კმ^2; ხმელეთი — 446.300 კმ^2; წყალი — 250 კმ^2.

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: ფოსფატი, რკინის მადანი, მანგანუმი, ტყვია, თუთია, თევზი, მარილი.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 33 757 175 (2007).

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:
0-14 წლის: 31% (მამაკაცი 5 339 730; ქალი 5 140 482);
15-64 წლის 63.9% (მამაკაცი 10 750 240; ქალი 10 815 470);
65 წლის და ზემოთ 5.1% (მამაკაცი 740 686; ქალი 970 567) (2007).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: 1.528% (2007).

შობადობა: 21.64 დაბადებული 1 000 მოსახლეზე (2007).

სიკვდილიანობა: 5.54 გარდაცვლილი 1 000 მოსახლეზე (2007).

მიგრაცია: -0.82 მიგრანტი 1000 მოსახლეზე (2007).

სიცოხცლის საშუალო ხანგრძლივობა: მთელი მოსახლეობა – 71.22 წელი; მამაკაცები – 68.88 წელი; ქალები – 73.67 წელი (2007).

მოქალაქეობა: მაროკოს

ეთნიკური ჯგუფები: არაბი და ბერბერი – 99.1%, სხვა – 0.7%, ებრაელი – 0.2%.

რელიგია: მუსლიმანი – 98.7%, ქრისტიანი – 1.1%, იუდაისტი – 0.2%.

ენა: არაბული (ოფიციალური), ბერბერული დიალექტი, ფრანგული.

განათლება: მთელი მოსახლეობა: 52.3% (მამაკაცი – 65.7%; ქალი – 39.6%) (2004).
შენიშვნა: მოცემულია 15 წლის და უფროსი ასაკის პირთა მიმართ, რომელთაც წერა-კითხვა შეუძლიათ.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:
ვრცელი ფორმა – მაროკოს სამეფო;
შემოკლებული ფორმა – მაროკო;
ადგილობრივი ვრცელი ფორმა – ალ მამლაქა ალ მაღრიბია;
ადგილობრივი შემოკლებული ფორმა – ალ მაღრიბი.

მმართველობის ფორმა: კონსტიტუციური მონარქია

დედაქალაქი: რაბატი

ადმინისტრატიული ერთეულები: 16 რეგიონი მოიცავს 41 პროვინციასა და 25 პრეფექტურას.

დამოუკიდებლობა: 1956 წლის 2 მარტი.

ეროვნული დღესასწაული: სამეფო ტახტის დღე, 30 ივლისი (1999);

აღმასრულებელი ხელისუფლება:
სახელმწიფოს მეთაური – მეფე მოჰამედ VI (1999 წლის 30 ივლისიდან);
მთავრობის მეთაური – პრემიერ-მინისტრი აბას ელ ფასი (2007 წლის 19 სექტემბრიდან);
არჩევნები არ ტარდება; მონარქია არის მემკვიდრეობითი.

მთავრობის შემადგენლობა: პრემიერ-მინისტრი, ეკონომიკის, ფინანსებისა და პრივატიზაციის სამინისტრო, კომუნიკაციების სამინისტრო, ისლამის საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, მრეწველობის, ვაჭრობისა და ხელობის სამინისტრო, რეგიონული დაგეგმვის, გარემოს, ურბანული განვითარებისა და ბინათმშენებლობის სამინისტრო, საგარეო საქმეთა და თანამშრომლობის სამინისტრო, სახელმწიფო სამსახურის სამინისტრო, სახელმწიფო სექტორისა და პრივატიზაციის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის, აგრარული განვითარებისა და მეთევზეობის სამინისტრო, უმაღლესი განათლების, მომზადებისა და სამეცნიერო კვლევის სამინისტრო, ჯანმრთელობის დცვის სამინისტრო.

საკანონმდებლო ხელისუფლება: ორპალატიანი პარლამენტი. წარმომადგენელთა პალატა შედგება 5 წლის ვადით არჩეული 325 წევრისგან, ხოლო მრჩეველთა პალატა – 9 წლით არჩეული 270 წევრისგან.

არჩევნები: წარმომადგენელთა პალატის არჩევნები უკანასკნელად ჩატარდა 2007 წლის 7 სექტემბერს, ხოლო მრჩეველთა პალატისა – 2006 წლის 8 სექტემბერს.

ძირითადი პოლიტიკური პარტიები: სახალხო ძალების სოციალისტური კავშირი, სამართლიანობისა და განვითარების პარტია, დამოუკიდებელთა ეროვნული გაერთიანება, სახალხო მოძრაობა, კონსტიტუციური კავშირი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, პროგრესისა და სოციალიზმის პარტია.

ეკონომიკა

ეკონომიკის მიმოხილვა: მაროკოს ეკონომიკის ისტორია შეიძლება დაიყოს შემდეგ ეტაპებად. პირველი ეტაპი ეხება 1840-1875 წლებს, როდესაც მაროკომ გაუხსნა კარი ევროპულ ვაჭრობას. მეორე პერიოდი მოიცავს პოლიტიკურ პროტექციონიზმსა და XIX საუკუნის დასასრულს მულაი ჰასან I-ის (1873-1894) ინიციატივით წამოწყებულ შიდა ეკონომიკურ რეფორმებს.

მაროკოში ჩაშლილმა რეფორმამ და ევროპის დიდ სახელმწიფოებთან ურთიერთობის პოლიტიკამ დააჩქარა ხანგრძლივი კრიზისი (1904-1912), რომელმაც ქვეყანა ეკონომიკური უზრუნველყოფის მიზნით ფრანგული პროტექციონიზმის ფარგლებში მოქცევის გადაწყვეტილებამდე მიიყვანა. ამასთან, მაროკოს ტერიტორია გაიყო ფრანგებსა და ესპანელებს შორის და ტანჟერში დაწესდა საერთაშორისო მმართველობა (1912-1956).

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1956-1965) მაროკოში დამკვიდრდა პროტექტორული ეკონომიკა. ასეთ ეკონომიკას არ შეეძლო დაეცვა ქვეყანა მსოფლიო ბაზარზე შაქრის ფასის მკვეთრი მომატებით გამოწვეული სავალუტო კრიზისისგან. კრიზისმა მთავრობა იძულებული გახადა ვაჭრობასა და სავალუტო ოპერაციებზე დაემყარებინა უფრო მკაცრი კონტროლი და გაეძლიერებინა სახელმწიფო კონტროლი საფრანგეთის საკუთრებაში მყოფ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე და ამ მიწებიდან ხილის და ბოსტნეულის ექსპორტზე (1965-1973). 1973-1978 წლებში ხასან II-მ გააძლიერა ყურადღება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პრობლემაზე და სახელმწიფო და ერთობლივი საწარმოების განვითარებაზე, რომლებიც ადრე საიმპორტო დანიშნულების პროდუქციას აწარმოებდნენ. 1979-1985 წლებში მაროკომ გადადგა პირველი ნაბიჯები საგარეო დავალიანებების შემცირებისაკენ, 1986 წლის შემდეგ კი განახორციელა ეკონომიკის ლიბერალიზაცია და სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია.

მაროკოში სხვადასხვა პროგრამებს ახორციელებენ მსოფლიო ბანკი და პარიზის კლუბი. მიმდინარეობს რეფორმები ფინანსური სექტორის სრულყოფისთვის. ქვეყანაში განხორციელდა მობილური ტელეფონების ლიცენზიების გაყიდვა და სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ტელეკომუნიკაციების კომპანიის ნაწილობრივი პრივატიზაცია. 2002 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას ხელი შეუწყო კარგმა მოსავლის აღებამ.

მთლიანი შიდა პროდუქტი – მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: $127 მილიარდი (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 2.1% (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: $3.8 (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა: 15%; მრეწველობა: 38.2%; მომსახურება: 46.8% (2007);

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: 15% (2007);

ბიუჯეტი: შემოსავალი – $19.39 მილიარდი; გასავალი – $21.21 მილიარდი (2007);

ექსპორტი: $12.73 მილიარდი (2007);

საექსპორტო საქონელი: ტანსაცმელი, თევზი, არაორგანული ქიმიკატები, ტრანზისტორები, დაუმუშავებელი მინერალები, სასუქები (ფოსფატის შემცველობით), ნავთობპროდუქტები, ხილი, ბოსტნეული.

ექსპორტის პარტნიორები: ესპანეთი – 20.6%, საფრანგეთი – 20.5%, დიდი ბრიტანეთი – 4.8%, იტალია – 4.7%, ინდოეთი – 4% (2006);

იმპორტი: $22.15 მილიარდი (2007);

საიმპორტო საქონელი: დაუმუშავებელი ნავთობპროდუქტები, ტექსტილი, სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები, ხორბალი, გაზი და ელექტროენერგია, ტრანზისტორები.

იმპორტის პარტნიორები: საფრანგეთი – 17.5%, ესპანეთი – 13.9%, საუდის არაბეთი – 6.9%; ჩინეთი – 6.9%; იტალია – 6.3%, გერმანია – 6% (2006).

საგარეო ვალი: $16.86 მილიარდი (2007 წლის 31 დეკემბერი);

ეკონომიკური მხარდაჭერა: $651.8 მილიარდი (2005);

ვალუტა: მაროკოს დირჰამი (MAD).

კონსტიტუციის მიმოხილვა

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. მაროკოს კონსტიტუციონალიზმის ისტორია XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, 1956 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ იწყება. პირველი კონსტიტუცია მეფე ჰასან II-ის მმართველობის დროს, 1962 წელს იქნა მიღებული, რომლის მიხედვითაც მაროკო კონსტიტუციურ მონარქიად იქცა. თუმცა, ქვეყანაში წარმოქმნილი პოლიტიკური კრიზისის შედეგად, 1965 წელს ჰასან II-მ გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა, დაითხოვა პარლამენტი და შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება. აუცილებელი გახდა ახალი კონსტიტუციის შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა დაპირისპირებულ მხარეთა ინტერესები, რაც პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევას შეუწყობდა ხელს. სწორედ ამ ამოცანების განსახორციელებლად 1970 წელს მაროკოში მიიღეს ახალი კონსტიტუცია.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. 1970 წლის კონსტიტუციას არა ერთი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. მან ვერ უზრუნველყო დასახული მიზნების მიღწევა. ვითარება ქვეყანაში კვლავინდებურად დაძაბული იყო, სამხედრო ძალებს ორჯერ ჰქონდათ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. სულ მალე ნათელი გახდა, რომ ისევ აუცილებელი იყო კონსტიტუციური რეფორმის განხორციელება. ახალი კონსტიტუციის ტექსტზე მუშაობა სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა და უკვე 1972 წელს, რეფერენდუმის შედეგად მიიღეს მაროკოს ახალი, დღეს მოქმედი კონსტიტუცია.

1972 წლის კონსტიტუცია მხოლოდ სამჯერ: 1980, 1992 და 1996 წლებში გადაისინჯა, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. ასე მაგალითად, 1992 წლის შესწორებების შედეგად შეიქმნა საკონსტიტუციო საბჭო და პარლამენტის სტრუქტურაში მოხდა საგამოძიებო კომიტეტების გათვალისწინება, ხოლო 1996 წელს მიღებული შესწორებებით შეიქმნა ორპალატიანი პარლამენტი.

კონსტიტუციის გადასინჯვის ინიცირების უფლებამოსილება აქვს როგორც მეფეს, ისე პარლამენტს. მეფეს შეუძლია პირდაპირ რეფერენდუმზე გაიტანოს კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტი. რაც შეეხება პარლამენტს, კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესში მისი ორივე პალატაა ჩართული. კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადებას წარადგენს ერთ-ერთი პალატის ერთი ან რამდენიმე წევრი, რის შემდეგაც მას კენჭი ეყრება შესაბამის პალატაში. წინადადების მისაღებად საჭიროა პალატის წევრთა ორი მესამედის მხარდაჭერა. ერთ-ერთი პალატის მიერ მიღებული წინადადება გადაეცემა მეორე პალატას, რომელმაც ასევე წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით უნდა მიიღოს იგი. კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტი და წინადადება სა-

მეფო დეკრეტით გააქვთ რეფერენდუმზე, რომლის შედეგადაც მათი დამტკიცება კონსტიტუციის გადასინჯვის უკანასკნელ ეტაპადაა მიჩნეული. კონსტიტუციაში განსაზღვრულია, რომ დაუშვებელია სახელმწიფოს მონარქიულ სისტემასა და ისლამურ რელიგიასთან დაკავშირებული დებულებების გადასინჯვა.

კონსტიტუციის ანალიზი. მაროკოს კონსტიტუცია შედგება პრეამბულის, ცამეტი თავისა და 108 მუხლისგან. პრეამბულაში მაროკო მოხსენიებულია ისლამურ სამეფოდ, რომლის ოფიციალური ენაა არაბული. მაროკო დიდი არაბული მაღრიბის ნაწილადაა აღიარებული, მის მიზნებს შორის კი დასახელებულია აფრიკის ერთიანობის რეალიზაცია.

პირველ თავში განსაზღვრულია სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების ძირითადი საფუძვლები. მაროკო დახასიათებულია დემოკრატიულ, სოციალურ და კონსტიტუციურ მონარქიად. ისლამი სახელმწიფო რელიგიადაა გამოცხადებული. ხალხი სუვერენიტეტს ახორციელებს უშუალოდ, რეფერენდუმის, ან არაპირდაპირ, კონსტიტუციური ინსტიტუტების მეშვეობით. კანონი ერის ნების უმაღლეს გამოხატულებადაა მიჩნეული.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებებიც კონსტიტუციის პირველ თავშია მოცემული. მათ არც ისე დიდი ადგილი უკავია და მხოლოდ რამდენიმე მუხლშია ასახული. ხაზგასმულია კაცებისა და ქალების თანასწორობა პოლიტიკური უფლებებით სარგებლობის თვალსაზრისით. ხმის უფლება მინიჭებული აქვს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების მქონე ნებისმიერ სრულწლოვან მოქალაქეს. ყველასათვის უზრუნველყოფილია საჯარო შეკრებისა და აზრის გამოხატვის, აგრეთვე ნებისმიერი კავშირისა თუ პოლიტიკური ჯგუფისადმი კუთვნილების თავისუფლება.

პირადი უფლებებიდან გათვალისწინებულია საცხოვრებლის ხელშეუხებლობა, მიმოწერის საიდუმლოების დაცვა. ადამიანის დაკავება, დაპატიმრება და მისთვის სასჯელის შეფარდება ნებადართულია მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული გარემოებებისა და წესების შესაბამისად.

კონსტიტუციით გარანტირებულ სხვა უფლებებს შორის აღსანიშნავია კერძო საკუთრებისა და თავისუფალი მეწარმეობის უფლება. კანონით შეიძლება დაწესედეს მისი შეზღუდვის საფუძვლები ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მმართველობის ფორმის მიხედვით მაროკო კონსტიტუციურ მონარქიას წარმოადგენს. მას დუალისტურ მონარქიათა რიცხვს მიაკუთვნებენ — მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტს არცთუ მცირე უფლებამოსილებები აქვს მინიჭებული, სახელმწიფოს მართვის ძირითადი ბერკეტები კონცენტრირებულია მონარქის ხელში, განსხვავებით საპარლამენტო მონარქიებისგან, სადაც მონარქის უფლებამოსილება ძალზე შეზღუდული

ხასიათისაა. კონსტიტუციაში მეფე მოხსენიებულია როგორც მართლმორწმუნეთა სულიერი მბრძანებელი, ერის უზენაესი წარმომადგენელი და ერთიანობის სიმბოლო, მისი დამოუკიდებლობისა და სამეფოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტი. სამეფო ტახტი მემკვიდრეობითია. 16 წლის ასაკამდე მეფე არასრულწლოვნად ითვლება. ასეთ შემთხვევაში სამეფო ტახტის კონსტიტუციური უფლებების განხორციელება ეკისრება რეგენტთა საბჭოს. იგი მეფის სათათბირო ორგანოს ფუნქციებს ახორციელებს მეფის მიერ 20 წლის ასაკის მიღწევამდე.

ქვეყნის ძირითადი კანონი ფართო უფლებამოსილებებს ანიჭებს მეფეს, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან სფეროში. იგი არის სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო ამ უკანასკნელის რეკომენდაციით — მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრებს, უძღვება კაბინეტის სხდომებს, ხელს აწერს და აქვეყნებს კანონებს, თავმჯდომარეობს მაგისტრატურის უზენაეს საბჭოს, განათლების უზენაეს საბჭოსა და ეროვნული რეკონსტრუქციისა და დაგეგმვის უზენაეს საბჭოს. მეფე თანამდებობაზე ნიშნავს მოსამართლეებს, იღებს უცხოეთის სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩებისა და წარმომადგენლების აკრედიტაციას, ხელს აწერს ხელშეკრულებებს და ახდენს მათ რატიფიკაციას, ახორციელებს შეწყალებას, უფლებამოსილია დაითხოვოს პარლამენტის ორივე ან ერთ-ერთი პალატა, კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში კი — გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა პარლამენტის ორივე პალატასა და საკონსტიტუციო საბჭოს თავმჯდომარეებთან კონსულტაციისა და ხალხისთვის მიმართვის შემდეგ.

მაროკოში მთავრობა ანგარიშვალდებულია მეფისა და პარლამენტის წინაშე. იგი შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისგან. მეფის მიერ კაბინეტის წევრების დანიშვნის შემდეგ პრემიერ-მინისტრი პარლამენტის ორივე პალატას განსახილველად წარუდგენს მთავრობის პროგრამას, რომელშიც ნათლად უნდა იყოს ასახული მთავრობის პოლიტიკის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და საგარეო მიმართულებები. პრემიერ-მინისტრი უზრუნველყოფს მთავრობის საქმიანობის კოორდინაციას, პასუხისმგებელია მთავრობის მიერ კანონების შესრულებისთვის. პრემიერ-მინისტრის მიერ ხელმოწერილ დეკრეტს ხელს აწერენ მისი შესრულებისთვის პასუხისმგებელი მინისტრები. პრემიერ-მინისტრს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. პარლამენტში კანონპროექტის შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მინისტრთა კაბინეტის მიერ მისი განხილვის შემდეგ.

მთავრობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის პოლიტიკის განხორციელებაში. კონსტიტუციით განსაზღვრულია ის ძირითადი საკითხები, რომლებიც შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა ეცნობოს მთავრობას.

მაგალითად, მას უნდა ეცნობოს საომარი მდგომარეობის გამოცხადების, კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტებისა და პარლამენტის ერთ-ერთ პალატაში შეტანამდე — კანონპროექტების შესახებ.

საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ორი პალატისგან შემდგარი პარლამენტი. წარმომადგენელთა პალატა შედგება საყოველთაო და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე 5 წლის ვადით არჩეული 325 წევრისგან, მრჩეველთა პალატა კი — საყოველთაო და ირიბი საარჩევნო უფლების საფუძველზე არჩეული 270 წევრისგან. მრჩეველთა პალატის წევრთა 3/5-ს ყოველ რეგიონში ირჩევს ადგილობრივი საბჭოებისა და კრებების წარმომადგენელთაგან შემდგარი საარჩევნო კოლეგია, ხოლო 2/5-ს — საარჩევნო კოლეგია, რომელიც შედგება პროფესიული პალატების არჩეული წევრებისა და დაქირავებული მოსამსახურეების მიერ ეროვნულ დონეზე არჩეული წევრებისგან. მრჩეველთა პალატის უფლებამოსილების ვადაა 9 წელი, სამ წელიწადში ერთხელ ხდება მისი შემადგენლობის 1/3-ის განახლება. წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარეს ორჯერ ირჩევენ: თავდაპირველად, პალატის უფლებამოსილების ვადის დასაწყისში, ხოლო შემდეგ, დარჩენილი პერიოდით — ამ ვადის მესამე წლის აპრილის სესიაზე. რაც შეეხება მრჩეველთა პალატის თავმჯდომარეს, მას ირჩევენ ოქტომბრის სესიაზე პალატის ყოველი მორიგი განახლებისას.

კონსტიტუცია კრძალავს პარლამენტის წევრების პასუხისგებაში მიცემას მათ მიერ თავიანთი მოვალეობის შესრულებისას გამოთქმული აზრების გამო. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც საფრთხე ექმნება ქვეყნის მონარქიულ სისტემასა და ისლამურ რელიგიას, ან ილახება მეფის ღირსება. სესიების მიმდინარეობისას პარლამენტის წევრის დევნა ან დაპატიმრება შესაძლებელია მხოლოდ პარლამენტის შესაბამისი პალატის ნებართვით.

პარლამენტი წელიწადში ორ სესიაზე იკრიბება. ერთ-ერთი პალატის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობის ან მთავრობის მოთხოვნით შესაძლებელია საგანგებო სესიის მოწვევა. პალატებში იმართება ღია სხდომები, თუმცა, თითოეული პალატა უფლებამოსილია წევრთა მესამედის ან პრემიერ-მინისტრის მოთხოვნით ჩაატაროს დახურული სხდომა.

პარლამენტში ფუნქციონირებს 6 კომიტეტი, რომლებშიც პროპორციულადაა წარმოდგენილი სხვადასხვა საპარლამენტო ჯგუფები. მეფის ინიციატივით ან ერთ-ერთი პალატის წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით, კონკრეტული ფაქტების შესწავლისა და პალატისთვის დასკვნების წარდგენის მიზნით, თითოეულ პალატაში შესაძლებელია საგამოძიებო კომიტეტების შექმნაც, რომელთა საქმიანობის წესი განსაზღვრულია ორგანული კანონით. პარლამენტის მუშაობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ არანაკლებ 12 წევრისგან შემდგარ საპარლამენტო ჯგუფებს.

პარლამენტის უფლებამოსილებებს შორის აღსანიშნავია მის მიერ საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელება და მთავრობის საქმიანობაზე კონტროლი. უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო პროცესში პარლამენტთან ერთად აქტიურად არის ჩართული მთავრობაც. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ პარლამენტის წევრებს და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრემიერ-მინისტრს. ერთ-ერთ პალატაში წარდგენის შემდეგ კანონპროექტს იხილავენ კომიტეტები, რომლებიც პარლამენტის სესიებს შორის პერიოდშიც განაგრძობენ მუშაობას. კომიტეტებში განხილული პროექტების პალატაში წარდგენისა და დღის წესრიგის განსაზღვრისას უპირატესობა ენიჭება მთავრობის მიერ ინიცირებულ პროექტებს. პროექტი თანამიმდევრულად განიხილება ორივე პალატის მიერ. თუ მას არ მიიღებენ თითოეულ პალატაში ორი მოსმენის შემდეგ, ან თითოეულ პალატაში ერთი მოსმენის გამართვის შემდეგ მთავრობა განაცხადებს, რომ საკითხი გადაუდებელია, მას შეუძლია მოიწვიოს თანაბარი წარმომადგენლობის გაერთიანებული კომიტეტი. ამ კომიტეტის მიერ შემუშავებულ ტექსტს მთავრობა გადასცემს ორივე პალატას. შესწორებების განსახილველად აუცილებელია მთავრობის თანხმობა.

ორგანული კანონები მიიღება იმავე წესით, როგორითაც სხვა კანონები, მაგრამ მათ შორის სხვაობა, და თანაც მნიშვნელოვანი, მაინც არსებობს. კერძოდ ის, რომ ორგანული კანონის პრომულგირება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასჯელი მიიღებს გადაწყვეტილებას კონსტიტუციასთან მისი შესაბამისობის თაობაზე.

საკანონმდებლო საქმიანობის გარდა, კონსტიტუციაში მკაფიოდაა ჩამოთვლილი საკითხები, რომლებზეც ვრცელდება პარლამენტის უფლებამოსილება. ესენია: პირველ თავში დასახელებული ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებები; განსაზღვრული დანაშაულები და შესაბამისი სასჯელები, სისხლისა და სამოქალაქო საპროცესო სამართალი; კანონი მაგისტრატურის შესახებ; კანონი საჯარო სამსახურის შესახებ; სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურეებისთვის მინიჭებული ძირითადი გარანტიები; ადგილობრივი კრებებისა და საბჭოების საარჩევნო სისტემა; სამოქალაქო და კომერციული ვალდებულებების რეგულირება; ახალი სახელმწიფო ორგანოების შექმნა; საწარმოთა ნაციონალიზაცია ან მათი სახელმწიფოდან კერძო სექტორში გადასვლა. მხოლოდ კანონით შეიძლება გაგრძელდეს სამეფო დეკრეტით გამოცხადებული საომარი მდგომარეობის მოქმედება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მაროკოს კონსტიტუციაში ერთი თავი დათმობილი აქვს ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთობას. კერძოდ, განსაზღვრულია ურთიერთობა მეფესა და პარლამენტს, აგრეთვე პარლამენტსა და მთავრობას შორის. მეფეს მინიჭებული აქვს პარლამენტის ორივე პალატის დათხოვნის უფლებამოსილება. ამის თაობაზე დეკრეტის გამოცემა მას შეუძლია პალატების თავმჯდომარეებსა და საკონსტიტუციო საბჭოსთან

კონსულტაციების გამართვის, აგრეთვე ხალხისთვის მიმართვის შემდეგ. კონსტიტუციაში პარლამენტის დათხოვნის საფუძვლები არ არის მითითებული, რაც კონსტიტუციურ სამართალში დიდ იშვიათობას წარმოადგენს და მეფეს საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედების საშუალებას აძლევს. ყურადღებას იმსახურებს ისიც, რომ მეფეს პარლამენტის ორივე პალატის დათხოვნა შეუძლია. როგორც წესი, ორპალატიან პარლამენტებში ხდება ქვედა პალატის დათხოვნა.

ახალი პარლამენტის ან ახალი პალატის არჩევნები იმართება მათი დათხოვნიდან სამი თვის ვადაში. ამ პერიოდის განმავლობაში მეფე, კონსტიტუციით მისთვის მინიჭებულ სხვა ფუნქციებთან ერთად ასრულებს პარლამენტის უფლებამოსილებებსაც. ეს ფაქტი მაროკოს კონსტიტუციის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს და ხელისუფლებათა ბალანსის სისუსტეზე მეტყველებს.

რაც შეეხება პარლამენტსა და მთავრობას შორის ურთიერთობას, აღსანიშნავია პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილება, რომლის მიხედვითაც მას ძირითადი პოლიტიკის შესახებ დებულებებთან ან დასამტკიცებელ წინადადებებთან დაკავშირებით ნდობის ვოტუმის მისაღებად შეუძლია მიმართოს წარმომადგენელთა პალატას. ნდობის გამოუცხადებლობა იწვევს მთავრობის მთელი შემადგენლობის გადადგომას.

წარმომადგენელთა პალატას შეუძლია მიიღოს გაკიცხვის რეზოლუცია და დასვას მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი. რეზოლუციის მიღება ნიშნავს მთავრობის მთელი შემადგენლობის გადადგომას. ასეთი რეზოლუციის მიღების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში არ შეიძლება ახალი რეზოლუციის მიღება.

მრჩეველთა პალატას გაკიცხვის რეზოლუციასთან ერთად შეუძლია მიიღოს გაფრთხილების რეზოლუციაც. გაფრთხილების რეზოლუციის ტექსტს მრჩეველთა პალატის თავმჯდომარე დაუყოვნებლივ უგზავნის პრემიერ-მინისტრს, რომელმაც 6 დღის ვადაში მრჩეველთა პალატას უნდა წარუდგინოს მთავრობის პოზიცია გაფრთხილების გამომწვევი მიზეზების შესახებ. მთავრობის განცხადების შემდეგ იმართება დებატები.

კონსტიტუციური კონტროლის სპეციალიზებული ორგანოა საკონსტიტუციო საბჭო, რომელიც კონსტიტუციაში 1992 წელს შეტანილი შესწორებების შედეგად შეიქმნა. საკონსტიტუციო საბჭო შედგება 12 წევრისგან. 6 წევრს ნიშნავს მეფე 9 წლის ვადით, ხოლო საპარლამენტო ჯგუფებთან კონსულტაციების შემდეგ წარმომადგენელთა და მრჩეველთა პალატების თავმჯდომარეები იმავე ვადით ნიშნავენ 3-3 წევრს. სამ წელიწადში ერთხელ ხდება წევრთა 1/3-ის განახლება. უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ დაუშვებელია საბჭოს იმავე წევრების ხელახლა დანიშვნა. ორგანული კანონითაა მოწესრიგებული ისეთი საკითხები, როგორიცაა: საკონსტიტუციო საბ-

ჭოს ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი, საბჭოს წევრობასთან შეუთავსებელი საქმიანობა, თანამდებობიდან გადადგომის ან გარდაცვალების გამო წევრთა შეცვლის პროცედურა.

საკონსტიტუციო საბჭო განიხილავს პარლამენტის არჩევნებისა და რეფერენდუმის კონსტიტუციურობის საკითხს, აგრეთვე ამოწმებს, პრომულგაციამდე — ორგანული კანონის, ხოლო ძალაში შესვლამდე — პარლამენტის პალატების საპროცედურო წესების კონსტიტუციასთან შესაბამისობას. მეფეს, პრემიერ-მინისტრს, წარმომადგენელთა პალატისა და მრჩეველთა პალატის თავმჯდომარეებს ან ერთ-ერთი პალატის წევრთა შემადგენლობის ერთ მეოთხედს უფლება აქვთ საკონსტიტუციო საბჭოს პრომულგაციამდე წარუდგინონ სხვა კანონებიც კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესამოწმებლად. საკონსტიტუციო საბჭოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად.

კონსტიტუციის მიხედვით, სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია. განაჩენის გამოტანა და აღსრულება ხდება მეფის სახელით. მოსამართლეები თანამდებობაზე ინიშნებიან სამეფო დეკრეტის შესაბამისად, მაგისტრატურის უზენაესი საბჭოს რეკომენდაციით, რომელსაც თავმჯდომარეობს მეფე. მის გარდა, საბჭოს შემადგენლობაში შედიან: იუსტიციის მინისტრი (თავმჯდომარის მოადგილე), უზენაესი სასამართლოს პირველი თავმჯდომარე, უზენაესი სასამართლოს გენერალური პროკურორი, უზენაესი სასამართლოს პირველი პალატის თავმჯდომარე, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთაგან არჩეული ორი წარმომადგენელი, პირველი ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეთაგან არჩეული ოთხი წარმომადგენელი. საბჭო უზრუნველყოფს მოსამართლეთა დაწინაურებასა და დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული უფლებამოსილების განხორციელებას.

კონსტიტუცია, გარდა მთავრობის წევრთა პოლიტიკური პასუხისმგებლობისა, ითვალისწინებს მათი სასამართლო წესით პასუხისმგებლობასაც. მთავრობის წევრებისთვის ბრალის წარდგენის უფლება აქვთ პარლამენტის პალატებს. საბრალდებო დასკვნის პროექტს იხილავს და ამტკიცებს ორივე პალატა, რის შემდეგაც საქმე განსახილველად გადაეცემა მართლმსაჯულების უმაღლეს სასამართლოს. იგი შედგება წარმომადგენელთა და მრჩეველთა პალატებიდან თანაბარი რაოდენობით არჩეული წევრებისგან, ხოლო სასამართლოს თავმჯდომარე ინიშნება სამეფო დეკრეტით.

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ხასიათის ყველა საკითხზე მთავრობა და პარლამენტის პალატები კონსულტაციას იღებენ ეკონომიკური და სოციალური საბჭოსგან. საბჭო გამოთქვამს მოსაზრებებს ეკონომიკისა და სწავლების პროგრამების ძირითადი მიმართულებების შესახებ.

ბიუჯეტის შესრულებაზე საერთო ზედამხედველობისთვის პასუხისმგებელია აუდიტორული საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს შემოსავლებსა და

ხარჯებთან დაკავშირებული ოპერაციების შესრულებას. საბჭოს უფლება აქვს მიიღოს ზომები, რომლებიც მიმართულია ამ ოპერაციების მომწესრიგებელი წესების დარღვევის აღკვეთისკენ. გარდა ამისა, აუდიტორული საბჭოები მათი კომპეტენციის ფარგლებში დახმარებას უწევენ პარლამენტსა და მთავრობას. საბჭო თავისი საქმიანობის შესახებ მოხსენებას წარუდგენს მეფეს. რეგიონული აუდიტორული საბჭო ამოწმებს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ანგარიშებს.

ადგილობრივ ხელისუფლებას კონსტიტუციაში მცირე ადგილი აქვს დათმობილი. მას რეგიონებში, პრეფექტურებში, პროვინციებსა და კომუნებში ახორციელებენ საბჭოები და კრებები. მათი გადაწყვეტილებების შესრულებისთვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ გუბერნატორებს, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფოს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები. მაროკოს კონსტიტუცია ბევრი საინტერესო თავისებურებით გამოირჩევა:

— კონსტიტუციაში არ არის გათვალისწინებული სახალხო საკანონმდებლო ინიციატივა;

— ადამიანის უფლებებს ცალკე თავი არ ეთმობა — მათი ძალზე მწირი ჩამონათვალი მოცემულია პირველ თავში, სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების ძირითად საფუძვლებთან ერთად;

— კონსტიტუციის ერთი თავი ეძღვნება ხელისუფლების შტოებს, კერძოდ, მეფესა და პარლამენტს, ასევე პარლამენტსა და მთავრობას შორის ურთიერთობებს;

— მეფეს მინიჭებული აქვს პარლამენტის ორივე პალატის დათხოვნის უფლებამოსილება; პარლამენტის დათხოვნის შემთხვევაში ახალი არჩევნები ტარდება 3 თვის ვადაში, ამ ხნის განმავლობაში კი პარლამენტის უფლებამოსილებას ახორციელებს მეფე;

— უფლებამოსილების თვალსაზრისით არ არსებობს საგრძნობი განსხვავება პარლამენტის პალატებს შორის; წარმომადგენელთა პალატა უფლებამოსილების ვადაში ორჯერ ირჩევს თავმჯდომარეს, ხოლო მრჩეველთა პალატა — მისი შემადგენლობის ყოველი განახლებისას; აკრძალულია ორგანული კანონის პრომულგირება საკონსტიტუციო საბჭოს მიერ კონსტიტუციასთან მისი შესაბამისობის თაობაზე გადაწყვიტილების მიღებამდე;

— მაროკო წარმოადგენს დუალისტურ მონარქიას, მაგრამ მას საპარლამენტო მონარქიისთვის დამახასიათებელი ნიშნებიც გააჩნია, რომელთაგანაც უმთავრესია მთავრობის პასუხისმგებლობა როგორც მეფის, ისე პარლამენტის წინაშე;

– მთავრობის წევრების პასუხისმგებლობის საკითხს პარლამენტის პალატების მიერ ბრალდების წარდგენის შემდეგ იხილავს მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლო, რომელიც ამ პალატების წევრებისგან შედგება;

– კონსტიტუციით აკრძალულია სახელმწიფოს მონარქიულ სისტემასა და ისლამურ რელიგიასთან დაკავშირებული დებულებების გადასინჯვა.

მაროკოს კონსტიტუცია[1]

მიღებულია 1972 წლის 10 მარტს

(ცვლილებები შეტანილ იქნა 1992 წლის 4 სექტემბერსა და 1996 წლის 13 სექტემბერს)

პირველი თავი.
ზოგადი დებულებები. ძირითადი პრინციპები

მუხლი 1.

მაროკო არის დემოკრატიული, სოციალური და კონსტიტუციური მონარქია.

მუხლი 2.

სუვერენიტეტი ეკუთვნის ხალხს, რომელიც მას ახორციელებს უშუალოდ, რეფერენდუმის გზით ან არაპირდაპირ, კონსტიტუციური ინსტიტუტების მეშვეობით.

მუხლი 3.

პოლიტიკური პარტიები, კავშირები, რეგიონული საბჭოები და სავაჭრო პალატები მონაწილეობენ მოქალაქეების ორგანიზებასა და წარმოდგენაში.

ქვეყანაში არის მრავალპარტიული სისტემა.

მუხლი 4.

კანონი არის ერის ნების უმაღლესი გამოხატულება. ყველა იცავს მას. კანონს არ აქვს უკუქმედების ძალა.

მუხლი 5.

მაროკოს ყველა მოქალაქე კანონის წინაშე თანასწორია.

მუხლი 6.

ისლამი არის სახელმწიფო რელიგია. სახელმწიფო ყველასთვის უზრუნველყოფს თავისუფალ ღვთისმსახურებას.

---

[1] თარგმანისას გამოყენებულია მაროკოს კომუნიკაციების სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.mincom.gov.ma/english/generalities/state_st/constitution.htm წარმოდგენილი მაროკოს კონსტიტუციის ინგლისურენოვანი ტექსტი. იგივე ტექსტი არის გამოქვეყნებული აშშ-ის კონგრესის იურიდიული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე.

მუხლი 7.

სამეფოს ემბლემა არის წითელი დროშა ცენტრში ხუთქიმიანი მწვანე ვარსკვლავით.

სამეფოს დევიზია: ღმერთი, ქვეყანა, მეფე.

მუხლი 8.

მამაკაცები და ქალები თანაბარი პოლიტიკური უფლებებით სარგებლობენ. ხმის უფლება აქვს ნებისმიერ სრულწლოვან მოქალაქეს, რომელიც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით სარგებლობს.

მუხლი 9.

კონსტიტუცია ყველა მოქალაქისთვის უზრუნველყოფს:

ა) სამეფოს ნებისმიერ ნაწილში თავისუფალი გადაადგილებისა და დასახლების თავისუფლებას;

ბ) საჯარო შეკრებისა და აზრის ყველა ფორმით გამოხატვის თავისუფლებას;

გ) თავისუფალი გაერთიანებისა და თავისუფალი არჩევანის მეშვეობით ნებისმიერი გაერთიანებისა და პოლიტიკური ჯგუფისადმი კუთვნილებას.

დაუშვებელია ამ თავისუფლებების განხორციელების შეზღუდვა, თუ ეს კანონით არ არის განსაზღვრული.

მუხლი 10.

დაუშვებელია პირის დაპატიმრება, დაკავება ან სასჯელის დაკისრება, გარდა კანონით განსაზღვრული გარემოებებისა და პროცედურისა.

საცხოვრებელი ადგილი ხელშეუხებელია. ჩხრეკის ორდერი გაიცემა და გამოძიება იწყება კანონით განსაზღვრული პირობებისა და პროცედურის შესაბამისად.

მუხლი 11.

პირადი მიმოწერის საიდუმლოება დაცულია.

მუხლი 12.

სახელმწიფო დაწესებულებებში და თანამდებობებზე სამსახური ყველა მოქალაქისთვის ერთნაირად თავისუფალია.

მუხლი 13.

ყველა მოქალაქეს აქვს განათლების მიღებისა და მუშაობის თანასწორი უფლება.

მუხლი 14.

გაფიცვის უფლება გარანტირებულია.

ამ უფლების განხორციელების გზები და პირობები განსაზღვრულია ორგანული კანონით.

მუხლი 15.

უზრუნველყოფილია კერძო საკუთრებისა და თავისუფალი მეწარმეობის უფლება.

კანონი ადგენს მისი გავრცელებისა და გამოყენების შეზღუდვებს, თუ ამას მოითხოვს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა.

კონფისკაცია დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრული პირობებისა და დებულებების შესაბამისად.

მუხლი 16.

ყველა მოქალაქეს შეაქვს წვლილი ქვეყნის თავდაცვაში.

მუხლი 17.

სახელმწიფო ხარჯები ეკისრება ყველა მოქალაქეს მათი შესაძლებლობების მიხედვით, რომელიც მხოლოდ კანონის თანახმად და ამ კონსტიტუციის დებულებების პირობებში წესდება და ნაწილდება.

მუხლი 18.

ქვეყნის უბედურებების შედეგად გამოწვეული ხარჯები ყველას სოლიდარულად ეკისრება.

მეორე თავი. მონარქია

მუხლი 19.

მეფე, „ამირ ალ-მუმინინი" (მართლმორწმუნეთა სულიერი მბრძანებელი) არის ერის უმაღლესი წარმომადგენელი და ერთიანობის სიმბოლო. იგი არის ქვეყნის მუდმივობისა და მემკვიდრეობის გარანტი. იგი, როგორც რწმენის დამცველი, უზრუნველყოფს კონსტიტუციის პატივისცემას. მეფე არის მოქალაქეების, სოციალური ჯგუფებისა და ორგანიზაციების უფლებებისა და თავისუფლებების დამცველი.

მეფე არის ერის დამოუკიდებლობისა და სამეფოს კანონიერი საზღვრების ფარგლებში ტერიტორიული მთლიანობის გარანტი.

მუხლი 20.

მაროკოს სამეფო ტახტი და მისი კონსტიტუციური უფლებები მემკვიდრეობითია და მამიდან გადადის ვაჟზე, რომელიც მისი უდიდებულესობა მეფე

ჰასან II-ის შთამომავლებს შორის პირდაპირი მამრობითი ხაზითა და პირველშობილობის წესით არის მემკვიდრე. გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როდესაც მეფე თავის სიცოცხლეში დანიშნავს მისი ვაჟებიდან ტახტის მემკვიდრეს, გარდა ყველაზე უფროსისა. იმ შემთხვევაში, თუ მამაკაცთა შტოს პირდაპირი ხაზის მემკვიდრე არ არის, ტახტის მემკვიდრეობის უფლება იმავე პირობებით გადაეცემა გვერდითი შტოს უახლოეს სისხლით ნათესავ მამაკაცს.

მუხლი 21.

მეფე არასრულწლოვნად ითვლება, სანამ არ მიაღწევს 16 წლის ასაკს. არასრულწლოვნებისას მეფობის პერიოდში, სამეფო ტახტის კონსტიტუციური უფლებების განხორციელებას თავის თავზე იღებს რეგენტთა საბჭო, გარდა იმისა, რაც დაკავშირებულია კონსტიტუციის გადასინჯვასთან.

რეგენტთა საბჭო არის მეფის საკონსულტაციო კოლეგია, სანამ იგი არ მიაღწევს ოცი წლის ასაკს.

რეგენტთა საბჭოს ხელმძღვანელობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. გარდა თავმჯდომარისა, მის შემადგენლობაში შედიან: წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარე, მრჩეველთა პალატის თავმჯდომარე, რაბატისა და სალე ულამას (სწავლულთა) საბჭოს თავმჯდომარე და მეფის თანხმობით დანიშნული ათი დიდებული.

რეგენტთა საბჭოს საპროცედურო წესები დგინდება ორგანული კანონით.

მუხლი 22.

მეფეს აქვს ცივილური ფურცლის უფლება.

მუხლი 23.

მეფის პიროვნება წმინდა და ხელშეუხებელია.

მუხლი 24.

მეფე ნიშნავს პრემიერ-მინისტრს.

პრემიერ-მინისტრის რეკომენდაციით მეფე ნიშნავს კაბინეტის სხვა წევრებს. მეფეს ასევე შეუძლია მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტა.

მეფეს მთავრობის სხვა მოსამსახურეებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა შეუძლია საკუთარი ინიციატივით ან მათი გადადგომისას.

მუხლი 25.

მეფე ხელმძღვანელობს კაბინეტის სხდომებს.

მუხლი 26.

მეფე ახდენს საბოლოოდ მიღებული კანონების პრომულგირებას, მთავრობის მიერ მათი დამტკიცებიდან ოცდაათი დღის ვადაში.

მუხლი 27.

მეფეს, კონსტიტუციის 71-ე და 73-ე მუხლებით დადგენილი პირობების თანახმად, სამეფო დეკრეტით შეუძლია დაითხოვოს პარლამენტის ორივე ან ერთ-ერთი პალატა.

მუხლი 28.

მეფეს უფლება აქვს მიმართოს ერს და პარლამენტს. მიმართვა ორივე პალატის წინაშე უნდა იქნეს წაკითხული და არ უნდა გახდეს დებატების საგანი.

მუხლი 29.

მეფე სამეფო დეკრეტების მეშვეობით ასრულებს კონსტიტუციით მისთვის დელეგირებულ საკანონმდებლო უფლებამოსილებას.

სამეფო დეკრეტებს ასევე ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი, გარდა კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 24-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტებით, 35-ე, 69-ე, 71-ე, 79-ე, 84-ე, 91-ე, 99-ე და 105-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 30.

მეფე არის სამეფოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. იგი ახორციელებს სამოქალაქო და სამხედრო დანიშვნებს და აქვს ამ უფლებამოსილების დელეგირების უფლება.

მუხლი 31.

მეფე აკრედიტაციას აძლევს უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ელჩებს. საერთაშორისო ორგანიზაციების ელჩები ან წარმომადგენლები აკრედიტაციას იღებენ მასგან.

მეფე ხელს აწერს ხელშეკრულებებს და ახდენს მათ რატიფიკაციას. მიუხედავად ამისა, ხელშეკრულებები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო ფინანსებთან, არ შეიძლება იქნეს რატიფიცირებული, თუ ეს კანონით არ არის განსაზღვრული.

ხელშეკრულებები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს კონსტიტუციის დებულებებზე, მიიღება კონსტიტუციის გადასინჯვისთვის დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 32.

მეფე ხელმძღვანელობს მაგისტრატურის უზენაეს საბჭოს, განათლების უზენაეს საბჭოსა და ეროვნული რეკონსტრუქციისა და დაგეგმვის უზენაეს საბჭოს.

მუხლი 33.

84-ე მუხლით დადგენილი პირობების შესაბამისად, მეფე ნიშნავს მოსამართლეებს.

მუხლი 34.

მეფე ახორციელებს შეწყალების უფლებას.

მუხლი 35.

თუ საფრთხე ემუქრება ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას ან რაიმე მოქმედება იწვევს კონსტიტუციური ინსტიტუტების საქმიანობის მიმდინარეობის შეჩერებას, წარმომადგენელთა და მრჩეველთა პალატის თავმჯდომარეებთან, ისევე როგორც საკონსტიტუციო საბჭოს თავმჯდომარესთან კონსულტაციებისა და ხალხისთვის მიმართვის შემდეგ მეფეს უფლება აქვს სამეფო დეკრეტით გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა.

მიუხედავად საწინააღმდეგო დებულების არსებობისა, მეფე ამ დროიდან იღებს ქვეყნის დაცვისა და კონსტიტუციური ინსტიტუტების ნორმალური ფუნქციონირებისთვის პასუხისმგებლობას და სახელმწიფო საქმიანობის აღსადგენად იღებს ყველა აუცილებელ ზომას.

საგანგებო მდგომარეობა არ იწვევს პარლამენტის დათხოვნას.

საგანგებო მდგომარეობა მთავრდება იმავე პროცედურების შესაბამისად, რომლებიც მოჰყვა მის გამოცხადებას.

მესამე თავი. პარლამენტის ორგანიზაცია

მუხლი 36.

პარლამენტი შედგება ორი პალატის: წარმომადგენელთა პალატისა და მრჩეველთა პალატისგან. პალატების წევრები თავიანთ მანდატებს მოიპოვებენ ხალხისგან. საარჩევნო უფლება არის პირადი და დაუშვებელია მისი დელეგირება.

მუხლი 37.

წარმომადგენელთა პალატის წევრები აირჩევიან ექვსი წლის ვადით, პირდაპირი საყოველთაო საარჩევნო უფლებით. საკანონმდებლო ვადა მთავრდება პალატის არჩევნებიდან მეხუთე წლის ოქტომბრის სესიის გახსნისას.

წარმომადგენელთა რაოდენობა, ისევე როგორც საარჩევნო სისტემა, არჩევისთვის დაწესებული მოთხოვნები, შეუთავსებლობის შემთხვევები და არჩევნებთან დაკავშირებული სამართლებრივი დავები დგინდება ორგანული კანონით.

თავმჯდომარე თავდაპირველად აირჩევა საკანონმდებლო ვადის დაწყებისას, ხოლო შემდეგ — აღნიშნული პერიოდის მესამე წლის აპრილის სესიაზე და დარჩენილი ვადით.

კოლეგიის წევრები ირჩევიან ერთი წლის ვადით. მათი რაოდენობა წარმოდგენილი ჯგუფების პროპორციული უნდა იყოს.

მუხლი 38.

მრჩეველთა პალატის 3/5 შედგება სავაჭრო პალატის წევრთაგან შემდგარი საარჩევნო კოლეგიის მიერ არჩეული თითო წევრისგან ყოველ რეგიონში, ასევე, ეროვნულ დონეზე, ხელფასის მქონე პირთა წარმომადგენლებისგან შემდგარი საარჩევნო კოლეგიის მიერ არჩეულ წევრთაგან.

მრჩეველთა პალატის წევრები აირჩევიან ცხრა წლის ვადით. პალატის 1/3 განახლდება ყოველ 3 წელიწადში. პირველი და მეორე განახლებისას ადგილები მოიპოვება წილისყრით. მრჩეველთა რაოდენობა, ისევე როგორც კენჭისყრის სისტემა და თითოეული საარჩევნო კოლეგიის მიერ ასარჩევ წევრთა რაოდენობა, რეგიონების მიხედვით ადგილების განაწილება, არჩევნებში მონაწილეობის მოთხოვნები, შეუთავსებლობის შემთხვევები, ზემოაღნიშნული კენჭისყრის პროცედურები და არჩევნებთან დაკავშირებული სამართლებრივი დავები დგინდება ორგანული კანონით.

მრჩეველთა პალატის თავმჯდომარე და კოლეგიის წევრები აირჩევიან ოქტომბრის სესიაზე პალატის ყოველი განახლებისას. კოლეგიის წევრები აირჩევიან წარმოდგენილი ჯგუფების პროპორციულად.

მრჩეველთა პალატის დათხოვნის შემდეგ მისი პირველი შემადგენლობის შეკრებისას სესიის დაწყებისთანავე აირჩევიან თავმჯდომარე და კოლეგიის წევრები. მათი უფლებამოსილება განახლდება ოქტომბრის სესიის დაწყებისას პალატის ყოველი განახლებისას.

მუხლი 39.

დაუშვებელია პარლამენტის წევრის დევნა, დაპატიმრება, დატუსაღება ან სამართალში მიცემა სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას აზრის გამოთქმის ან ხმის მიცემისთვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აზრის გამოხატვა საზიანოა მონარქიული სისტემის ან ისლამური რელიგიისთვის ან ამცირებს მეფის ღირსებას.

პარლამენტის სესიების განმავლობაში არც ერთი პარლამენტის წევრი არ შეიძლება პალატის ნებართვის გარეშე დაექვემდებაროს დევნას ან დაპატიმ-

რებას სისხლისსამართლებრივი ბრალდების ან დანაშაულის გამო, რომლებიც არ არის აღნიშნული წინა პუნქტში. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევები.

პარლამენტის სხდომებს გარეთ არც ერთი პარლამენტის წევრის დაპატიმრება არ შეიძლება პალატის კოლეგიის ნებართვის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების, სანქციონირებული დევნის ან სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევები.

მუხლი 40.

პარლამენტი იკრიბება წელიწადში ორ სესიაზე. პირველი სესია, რომლის გახსნასაც ხელმძღვანელობს მეფე, იწყება ოქტომბრის მეორე პარასკევს. მეორე სესია იწყება აპრილის მეორე პარასკევს.

სესია შეიძლება შეწყდეს დეკრეტით, თუ პარლამენტი ერთი სესიის განმავლობაში არანაკლებ სამი თვე განაგრძობს შეკრებას.

მუხლი 41.

პარლამენტი შეიძლება შეიკრიბოს საგანგებო სესიაზე ერთი ან ორივე პალატის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობის მოთხოვნით ან დეკრეტით. პარლამენტის საგანგებო სესიები ტარდება განსაზღვრული დღის წესრიგით. თუ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურება, სესია შეიძლება დაიხუროს დეკრეტით.

მუხლი 42.

კაბინეტის წევრები შეიძლება დაესწრონ თითოეული პალატისა და მათი კომიტეტების სხდომებს. მათ უფლება აქვთ ეს უფლებამოსილება მიანიჭონ თავიანთ მოადგილეებს.

გარდა წინა პუნქტში მოხსენიებული მუდმივმოქმედი კომიტეტებისა, მეფის ინიციატივით ან ორი პალატიდან ერთ-ერთი პალატის წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით, განსაზღვრული ფაქტების გამოკვლევისა და პალატისთვის დასკვნების წარდგენის მიზნით თითოეული პალატის შემადგენლობაში შეიძლება შეიქმნას პარლამენტის საგამოძიებო კომიტეტები.

საგამოძიებო კომიტეტები არ შეიძლება შეიქმნას იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებზეც მიმდინარეობს სისხლისსამარლებრივი დევნა.

ნებისმიერი საგამოძიებო კომიტეტის მიზანი ამოიწურება სასამართლო გამოძიების საფუძველზე საქმის გახსნისას.

საგამოძიებო კომიტეტები დროებითია. მათი მიზანი ამოიწურება მოხსენების წარდგენით. ამ კომიტეტების ფუნქციონირება განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 43.

პარლამენტის პალატების სხდომები საჯაროდ იხსნება. დებატების პროცედურა შემოკლებული ფორმით ქვეყნდება გაზეთში.

თითოეულ პალატას შეუძლია პრემიერ-მინისტრის ან წევრთა მესამედის მოთხოვნით ჩაატაროს დახურული სხდომა.

მუხლი 44.

თითოეული პალატა ადგენს და კენჭს უყრის თავის რეგლამენტს. საკონსტიტუციო საბჭოს მიერ კონსტიტუციის პირობებთან შესაბამისობის გამოცხადებამდე ისინი არ შედის ძალაში.

პარლამენტის უფლებამოსილება

მუხლი 45.

კანონმდებლობას იღებს პარლამენტი. შეზღუდული ვადითა და განსაზღვრული მიზნით, მთავრობა შეიძლება კანონის საფუძველზე აღიჭურვოს დეკრეტის გამოცემის უფლებით, რათა კანონების ნორმალურად განსახორციელებლად მიიღოს ზომები. დეკრეტები ძალაში შედის გამოქვეყნების შემდეგ დაუყოვნებლივ. მიუხედავად ამისა, ისინი შეიძლება რატიფიკაციისთვის წარედგინოს პარლამენტს, უფლებააღმჭურველი კანონით განსაზღვრული შეზღუდული ვადის ფარგლებში. ასეთი კანონი ძალადაკარგულად ითვლება ერთ-ერთი პალატის დათხოვნისას.

მუხლი 46.

გარდა კონსტიტუციის სხვა მუხლებში აღნიშნული საკითხებისა, საკანონმდებლო ხელისუფლების უფლებამოსილება ვრცელდება ისეთ სფეროებზე, როგორიცაა:

ა) ამ კონსტიტუციის პირველ თავში ჩამოთვლილი ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებები;

ბ) განსაზღვრული დანაშაულები და შესაბამისი სასჯელები, სისხლისა და სამოქალაქო საპროცესო სამართალი და მართლმსაჯულების ახალი კატეგორიების გავრცელება;

გ) კანონი მაგისტრატების შესახებ;

დ) ძირითადი კანონი საჯარო სამსახურის შესახებ;

ე) სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურეებისთვის მინიჭებული ძირითადი გარანტიები;

ვ) ადგილობრივი კრებებისა და საბჭოების საარჩევნო სისტემა;

ზ) სამოქალაქო და კომერციული ვალდებულებების რეგულირება;

თ) ახალი სახელმწიფო ორგანოების შექმნა;

ი) საწარმოების ნაციონალიზაცია ან სახელმწიფო სექტორიდან მათი კერძო სექტორში გადატანა.

პარლამენტი უფლებამოსილია მიიღოს ძირითადი კანონები ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში სახელმწიფოს საქმიანობის უმთავრესი მიზნების შესახებ.

მუხლი 47.

საკითხები, რომლებიც არ შედის კანონის რეგულირების სფეროში, წესრიგდება კანონქვემდებარე აქტებით.

მუხლი 48.

მიღებულ კანონპროექტში შესწორების შეტანა შეიძლება დეკრეტით საკონსტიტუციო საბჭოს თანხმობით, თუ იგი განეკუთვნება საკანონმდებლო უფლებამოსილების მქონე ორგანოს კომპეტენციას.

მუხლი 49.

საომარი მდგომარეობა შეიძლება გამოცხადდეს სამეფო დეკრეტით ოცდაათი დღის ვადით. იგი შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ კანონით.

მუხლი 50.

ფინანსურ კანონს იღებს პარლამენტი ორგანული კანონით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

განვითარების გეგმებიდან გამომდინარე კაპიტალურ ხარჯებს ასეთი გეგმების მოწონებისას იღებს მხოლოდ პარლამენტი. ეს ხარჯები ავტომატურად გრძელდება გეგმის მთელი ვადის განმავლობაში. მხოლოდ მთავრობაა უფლებამოსილი, დამტკიცებული პროგრამების ცვლილების მიზნით წარმოადგინოს კანონპროექტები.

თუ საფინანსო წლის ბოლოს ბიუჯეტი არ იქნება მიღებული ან პრომულგირებული 81-ე მუხლის თანახმად საკონსტიტუციო საბჭოსთვის მისი განსახილველად წარდგენის შედეგად, მთავრობას უფლება აქვს დეკრეტით და დასამტკიცებლად წარდგენილი საბიუჯეტო წინადადებების შესაბამისად, გაანაწილოს კომუნალური მომსახურების ეფექტურობისთვის აუცილებელი სახსრები და განახორციელოს მისი ფუნქციები. ასეთ შემთხვევაში შემოსავლის მიღება უნდა მოხდეს კანონით დადგენილი წესის თანახმად, გარდა იმ შემოსავლებისა, რომლებიც უქმდება წარდგენილი ფინანსური კანონით. თუ შემოსავლები მცირდება იმავე კანონით, მათი მიღება უნდა მოხდეს წარდგენილი ახალი ტარიფის შესაბამისად.

მუხლი 51.

პარლამენტის წევრთა მიერ წარდგენილი წინადადებები და შესწორებები არ მიიღება, თუ ამან წარდგენილ ფინანსურ კანონზე შეიძლება გავლენა მოახდინოს სახელმწიფო რესურსების შემცირებით, სახელმწიფო ხარჯების ზრდით ან ახალი ხარჯების წარმოქმნით.

საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელება

მუხლი 52.

კანონების წარდგენის უფლება თანაბრად აქვთ პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის წევრებს.

კანონპროექტის შეტანა ხდება ერთ-ერთ პალატაში.

მუხლი 53.

მთავრობას შეუძლია ნებისმიერი წინადადება ან ცვლილება საკანონმდებლო სფეროსთან შეუსაბამოდ გამოაცხადოს.

შეუთანხმებლობის შემთხვევაში, საკონსტიტუციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ერთ-ერთი პალატის ან მთავრობის მოთხოვნიდან რვა დღის განმავლობაში.

მუხლი 54.

კანონპროექტი და წინადადება განიხილება მუდმივი კომიტეტების მიერ, რომელთა მუშაობა გრძელდება სესიებს შორის პერიოდშიც.

მუხლი 55.

არდადეგების დროს მთავრობას შეუძლია კომიტეტებთან შეთანხმებით ორივე პალატის თანხმობით მიიღოს დეკრეტები, რომლებიც პარლამენტს დასამტკიცებლად წარედგინება მომდევნო მორიგ სესიაზე.

კანონპროექტი წარედგინება ერთ-ერთ პალატას. იგი თანმიმდევრულად განიხილება ორივე პალატის შესაბამისი კომიტეტების მიერ, რათა ექვსი დღის განმავლობაში მიღებულ იქნეს ერთობლივი გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული, მთავრობის მოთხოვნით იქმნება თანაბარი წარმომადგენლობის გაერთიანებული კომიტეტი. მან სამი დღის ვადაში შესაბამისი კომიტეტებისთვის გადასაცემად უნდა შეიმუშაოს ერთობლივი გადაწყვეტილება.

ამ მუხლის პირველ პუნქტში მოხსენიებული შეთანხმება უარყოფილად ჩაითვლება, თუ თანაბარი წარმომადგენლობის გაერთიანებული კომიტეტი ზემოაღნიშნული შეზღუდული ვადის მანძილზე ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას ან თუ აღნიშნული კომიტეტის მიერ წარდგენილი გადაწყვეტილება შე-

საბამისი კომიტეტების მიერ ოთხი დღის განმავლობაში არ იქნება დამტკიცებული.

მუხლი 56.

თითოეული პალატის დღის წესრიგს ამზადებს შესაბამისი პალატის კოლეგია. მთავრობის ბრძანებით პრიორიტეტი ენიჭება მის მიერ წარდგენილი კანონპროექტებისა და იმ კანონების განხილვას, რომლებიც მოწონებულია მის მიერ.

პალატის წევრების კითხვებსა და მთავრობის პასუხებს თითოეულ პალატაში კვირაში თითო სხდომა ეთმობა.

მთავრობა პასუხს წარადგენს კითხვის მიღებიდან ოცი დღის ვადაში.

მუხლი 57.

თითოეული პალატის წევრებს, ისევე როგორც მთავრობას, აქვთ შესწორებების წარდგენის უფლება. დებატების დაწყების შემდეგ მთავრობას შეუძლია პროტესტი განაცხადოს ისეთი შესწორების განხილვაზე, რომელიც თანხმობის მისაღებად წინასწარ არ იყო წარდგენილი შესაბამისი კომიტეტისთვის.

პალატა, რომელსაც განსახილველად წარედგინა ტექსტი, განსახილველი მთლიანი პროექტის ან მისი ნაწილის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ერთი კენჭისყრით, თუ ამას მოითხოვს მთავრობა. განიხილება მხოლოდ მთავრობის მიერ წარდგენილი ან მოწონებული ცვლილებები.

მუხლი 58.

ნებისმიერი კანონპროექტი ან წარდგენილი პროექტი განიხილება თანმიმდევრულად პარლამენტის ორივე პალატის მიერ, იდენტური ტექსტის მიღებით. პალატა, რომელშიც პირველად იქნა შეტანილი კანონპროექტი, კანონპროექტის ტექსტს განიხილავს მთავრობის დასწრებით, ხოლო წარდგენილი პროექტის ტექსტს — დღის წესრიგის თანახმად. პალატა, რომელშიც მიღებულ იქნა მეორე პალატის მიერ წარდგენილი პროექტი, იხილავს მისთვის დაბრუნებულ პროექტს.

თუ კანონპროექტი ან წარდგენილი პროექტი არ იქნა მიღებული თითოეულ პალატაში ორი მოსმენის შემდეგ ან თუ მთავრობამ თითოეულ პალატაში ერთი მოსმენით განხილვის შემდეგ განაცხადა, რომ საკითხი გადაუდებელია, მთავრობას შეუძლია მოიწვიოს თანაბარი წარმომადგენლობის გაერთიანებული კომიტეტის სხდომა, რომელზეც განსახილველად წარადგენს პროექტის დარჩენილ დებულებებს. გაერთიანებული კომიტეტის მიერ შემუშავებული ტექსტი მთავრობის მიერ მისაღებად გადაეცემა პალატებს. არც ერთი ცვლილება არ მიიღება მთავრობის დამტკიცების გარეშე.

თუ გაერთიანებული კომიტეტი ვერ შეძლებს ერთობლივი პროექტის მიღებას ან თუ პროექტი არ იქნება მიღებული ორივე პალატის მიერ, მთავრობას შეუძლია წარმომადგენელთა პალატას წარუდგინოს კანონპროექტი ან წარდგენილი სახეშეცვლილი პროექტი, თუ ეს აუცილებელია პარლამენტის დებატების განმავლობაში მიღწეული და მთავრობის მიერ შესწორებული ცვლილებების გამოსააშკარავებლად. წარმომადგენელთა პალატა პროექტს საბოლოოდ იღებს მის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობით.

წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებული დებულებები 75-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პალატის აბსოლუტური უმრავლესობით მიღების შემდეგ ითვლება დამტკიცებულად.

ორგანული კანონების მიღება და შეცვლა ხდება იმავე პირობებით. თუმცა, კანონპროექტი ან ორგანული კანონის წარდგენილი პროექტი არ იქნება წარდგენილი განხილვაზე ან კენჭისყრაზე იმ პალატაში, სადაც იგი შეტანილ იქნა.

ორგანული კანონები მრჩეველთა პალატის კენჭისყრაზე დგება იმავე პირობებით, როგორც წარმომადგენელთა პალატაში.

ორგანული კანონი არ შეიძლება პრომულგირებულ იქნეს, სანამ საკონსტიტუციო საბჭო არ მიიღებს გადაწყვეტილებას კონსტიტუციასთან მისი შესაბამისობის შესახებ.

მეოთხე თავი. მთავრობა

მუხლი 59.

მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისგან.

მუხლი 60.

მთავრობა ანგარიშვალდებულია მეფისა და პარლამენტის წინაშე.

მეფის მიერ კაბინეტის წევრთა დანიშვნის შემდეგ, პრემიერ მინისტრი განსახორციელებელი პროგრამით წარსდგება თითოეული პალატის წინაშე. ასეთი პროგრამა ნათლად უნდა წარმოაჩენდეს მთავრობის მიერ დამტკიცებულ პოლიტიკას ეროვნული საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში, სახელდობრ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და საგარეო საკითხებში.

ეს პროგრამა განიხილება თითოეულ პალატაში. იგი წარმომადგენელთა პალატაში კენჭისყრაზე დგება 75-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების დებულებების თანახმად და იმავე მუხლის ბოლო პუნქტით გათვალისწინებული შედეგებით.

მუხლი 61.

პრემიერ-მინისტრის პასუხისმგებლობით, მთავრობა უზრუნველყოფს კანონების აღსრულებას. ყველა სახელმწიფო საშუალება მთავრობის განკარგულებაში ექცევა.

მუხლი 62.

პრემიერ-მინისტრს აქვს პროექტების წარდგენის უფლება. კანონპროექტი არ შეიძლება რომელიმე პალატაში წარდგენილ იქნეს სამინისტროს მიერ კაბინეტის სხდომაზე განხილვამდე.

მუხლი 63.

პრემიერ-მინისტრი ახორციელებს ადმინისტრაციულ უფლებამოსილებას.

პრემიერ-მინისტრის მიერ დამტკიცებულ დეკრეტს ხელს აწერენ მისი შესრულებისთვის პასუხისმგებელი მინისტრები.

მუხლი 64.

პრემიერ-მინისტრს შეუძლია ზოგიერთი თავისი უფლებამოსილება გადასცეს მინისტრს.

მუხლი 65.

პრემიერ-მინისტრი პასუხისმგებელია მინისტრთა საქმიანობის კოორდინაციაზე.

მუხლი 66.

კაბინეტს გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა ეცნობოს ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა:

ა) სახელმწიფოს ძირითად პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები;

ბ) საომარი მდგომარეობის გამოცხადება;

გ) ომის გამოცხადება;

დ) წარმომადგენელთა პალატისგან მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების მოთხოვნა, რათა მას მიეცეს თავისი მოვალეობის განახორციელების შესაძლებლობა;

ე) კანონპროექტები ერთ-ერთ პალატაში შეტანამდე;

ვ) საკანონმდებლო დეკრეტები;

ზ) კონსტიტუციის მე-40, 41-ე, 45-ე და 55-ე მუხლებში აღნიშნული დეკრეტები;

თ) წინასწარი გეგმა;

ი) ამ კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტები.

მეხუთე თავი. ხელისუფლების შტოები
მეფესა და პარლამენტს შორის ურთიერთობა

მუხლი 67.

მეფეს შეუძლია მოითხოვოს კანონპროექტის ან წარდგენილი კანონის ორივე პალატის მიერ მეორე მოსმენით განხილვა.

მუხლი 68.

მეორე მოსმენის მოთხოვნა ხდება განცხადებით. ასეთი ახალი მოსმენა არ შეიძლება იყოს უარყოფილი.

მუხლი 69.

მეორე მოსმენის შემდეგ მეფეს შეუძლია, სამეფო დეკრეტით რეფერენდუმზე წარადგინოს ნებისმიერი კანონპროექტი ან წარდგენილი კანონი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი წარდგენილ იქნა ახალი მოსმენისთვის და მიღებულ ან უარყოფილ იქნა თითოეული პალატის წევრთა ორი მესამედის მიერ.

მუხლი 70.

რეფერენდუმის შედეგები ყველასთვის სავალდებულოა.

მუხლი 71.

მეფეს, პალატების თავმჯდომარეებთან და საკონსტიტუციო საბჭოს თავმჯდომარესთან კონსულტაციებისა და ხალხისთვის მიმართვის შემდეგ, შეუძლია მიიღოს დეკრეტი ორივე პალატის ან მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის დათხოვნის შესახებ.

მუხლი 72. ახალი პარლამენტის ან ახალი პალატის არჩევნები ინიშნება დათხოვნიდან არა უგვიანეს სამი თვისა.

მეფე აღნიშნულ პერიოდში, კონსტიტუციით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებასთან ერთად ასრულებს პარლამენტის უფლებამოსილებას.

მუხლი 73.

პალატის დათხოვნა დაუშვებელია დათხოვნილი პალატის არჩევიდან ერთი წლის მანძილზე.

მუხლი 74.

ომის გამოცხადების თაობაზე განცხადება უნდა გაკეთდეს წარმომადგენელთა პალატისა და მრჩეველთა პალატისთვის შეტყობინების შემდეგ.

მუხლი 75.

პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია წარმომადგენელთა პალატის წინაშე დასვას მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი ნდობის ვოტუმის მეშვეობით, ძირითადი პოლიტიკის შესახებ დებულებებთან ან დასამტკიცებელ წინადადებებთან დაკავშირებით.

ნდობა და წარმოდგენილი პროექტის უარყოფა ხდება წარმომადგენელთა პალატის წევრთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით.

კენჭისყრა ტარდება ნდობის შესახებ საკითხის აღძვრიდან სამი დღის შემდეგ.

ნდობის გამოუცხადებლობა იწვევს მთავრობის მთელი შემადგენლობის გადადგომას.

მუხლი 76.

წარმომადგენელთა პალატას შეუძლია უნდობლობის რეზოლუციის მიღებით დასვას მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი. ასეთ რეზოლუციას ხელს უნდა აწერდეს პალატის წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედისა.

უნდობლობის რეზოლუციას იღებს წარმომადგენელთა პალატა წევრთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით. კენჭისყრა ტარდება რეზოლუციის წარდგენიდან სამი დღის შემდეგ.

უნდობლობის რეზოლუციის მიღება იწვევს მთავრობის მთელი შემადგენლობის გადადგომას. თუ წარმომადგენელთა პალატა მიიღებს უნდობლობის რეზოლუციას, ერთი წლის განმავლობაში დაუშვებელია სხვა უნდობლობის რეზოლუციის მიღება.

მუხლი 77.

მრჩეველთა პალატას შეუძლია მთავრობის წინაალმდეგ მიიღოს გაფრთხილების ან უნდობლობის რეზოლუციები. გაფრთხილების რეზოლუციას ხელს უნდა აწერდეს მრჩეველთა პალატის წევრთა არანაკლებ ერთი მესამედი. მას იღებს პალატის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა. კენჭისყრა ტარდება რეზოლუციის წარდგენიდან სამი დღის შემდეგ.

გაფრთხილების რეზოლუციის ტექსტს მრჩეველთა პალატის თავმჯდომარე დაუყოვნებლივ უგზავნის პრემიერ-მინისტრს, რომელიც მრჩეველთა პალატას ექვსი დღის ვადაში წარუდგენს მთავრობის პოზიციას გაფრთხილების გამომწვევი მიზეზების შესახებ.

მთავრობის განცხადების შემდეგ იმართება დებატები კენჭისყრის გარეშე.

დაუშვებელია უნდობლობის რეზოლუციის წარდგენა, თუ მას ხელს არ მოაწერს მრჩეველთა პალატის წევრთა სულ ცოტა ერთი მესამედი. მას ხმა-

თა უმრავლესობით ამტკიცებს პალატის წევრთა ორი მესამედი. კენჭისყრა ტარდება რეზოლუციის წარდგენიდან სამი დღის შემდეგ.

უნდობლობის რეზოლუციის მიღება იწვევს მთავრობის მთლიანი შემადგენლობის გადადგომას.

თუ მრჩეველთა პალატა მიიღებს უნდობლობის რეზოლუციას, ერთი წლის განმავლობაში დაუშვებელია სხვა უნდობლობის რეზოლუციის წარდგენა მრჩეველთა პალატაში.

მეექვსე თავი. საკონსტიტუციო საბჭო

მუხლი 78.

უნდა შეიქმნას საკონსტიტუციო საბჭო.

მუხლი 79.

საკონსტიტუციო საბჭო შედგება მეფის მიერ ცხრა წლის ვადით დანიშნული ექვსი წევრისგან.

საპარლამენტო ჯგუფებთან კონსულტაციების შემდეგ ამავე ვადით შეიძლება დაინიშნოს ექვსი სხვა წევრიც, რომელთა ნახევარი ინიშნება წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარის, ხოლო ნახევარი — მრჩეველთა პალატის თავმჯდომარის მიერ. თითოეული კატეგორის წევრთა მესამედი განახლდება ყოველ სამ წელიწადში.

საკონსტიტუციო საბჭოს თავმჯდომარეს ნიშნავს მეფე მის მიერ დანიშნულ წევრთაგან.

საკონსტიტუციო საბჭოს თავმჯდომარისა და წევრთა უფლებამოსილება არ შეიძლება განახლდეს.

მუხლი 80.

ორგანული კანონი აწესრიგებს საკონსტიტუციო საბჭოს ორგანიზაციასა და საქმიანობის წესს, ისევე როგორც პროცედურებს, რომლებიც მან უნდა მიიღოს, განსაკუთრებით დავების გადაცემის ბოლო ვადის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

ორგანული კანონით განისაზღვრება საბჭოს წევრობასთან შეუთავსებული ფუნქციები, სამი წლის ვადით პირველი ორი განახლების პირობები, არააქტიურობის გამო, ისევე როგორც უფლებამოსილების ვადის განმავლობაში თანამდებობიდან გადადგომის ან გარდაცვალების შედეგად წევრთა შეცვლის პროცედურა.

მუხლი 81.

საკონსტიტუციო საბჭო ასრულებს ამ კონსტიტუციის ან ორგანული კანონების დებულებებით განსაზღვრულ ფუნქციებს. ამასთან, იგი იღებს გა-

დაწყვეტილებას პარლამენტის წევრთა არჩევისა და რეფერენდუმის ჩატარების ნამდვილობის თაობაზე.

ორგანული კანონი — პრომულგაციამდე, ხოლო თითოეული პალატის საპროცედურო წესები — განხორციელებამდე, საკონსტიტუციო საბჭოს წარედგინება კონსტიტუციასთან მათი შესაბამისობის გამოსაკვლევად. მეფის, პრემიერ-მინისტრის, წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარის, მრჩეველთა პალატის თავმჯდომარის ან ერთ-ერთი პალატის წევრთა შემადგენლობის ერთი მეოთხედის მიერ საკონსტიტუციო საბჭოს ამავე მიზეზით შეიძლება გადაეცეს კანონები პრომულგაციამდე.

საკონსტიტუციო საბჭო წინა ორ პუნქტში განსაზღვრულ სპეციალურ მოთხოვნებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ერთი თვის ვადაში. საგანგებო მდგომარეობის დროს მთავრობის მოთხოვნით ეს ვადა შეიძლება რვა დღემდე შემცირდეს.

ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად საკონსტიტუციო საბჭოსთვის კანონის გადაცემა იწვევს პრომულგაციის ვადის შეჩერებას.

არ შეიძლება არც ერთი არაკონსტიტუციური დებულების პრომულგირება ან შესრულება.

საკონსტიტუციო საბჭოს გადაწყვეტილება არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ. ისინი აგრეთვე სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოს, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებისთვის.

მეშვიდე თავი. სასამართლო ხელისუფლება

მუხლი 82.

სასამართლო ხელისუფლება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელია.

მუხლი 83.

ბრძანება გამოიცემა და აღსრულდება მეფის სახელით.

მუხლი 84.

მაგისტრატურის უზენაესი საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე მოსამართლეები ინიშნებიან სამეფო დეკრეტით.

მუხლი 85.

მოსამართლეები შეუცვლელნი არიან.

მუხლი 86.

მაგისტრატურის უზენაეს საბჭოს თავმჯდომარეობს მეფე. მის შემადგენლობაში ასევე შედის:

ა) იუსტიციის მინისტრი, როგორც თავმჯდომარის მოადგილე;

ბ) უზენაესი სასამართლოს პირველი თავმჯდომარე;

გ) უზენაესი სასამართლოს გენერალური პროკურორი;

დ) უზენაესი სასამართლოს პირველი პალატის თავმჯდომარე;

ე) სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთაგან არჩეული ორი წარმომადგენელი;

ვ) პირველი ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეთაგან არჩეული ოთხი წარმომადგენელი.

მუხლი 87.

მაგისტრატურის უზენაესი საბჭო უზრუნველყოფს მოსამართლეთა დაწინაურებასა და დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებას.

მერვე თავი.
მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლო

მუხლი 88.

მთავრობის წევრები პასუხისგებაში მიეცემიან თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას ჩადენილი დანაშაულისთვის.

მუხლი 89.

მათ ბრალს წარუდგენს პარლამენტის ორივე პალატა და საქმეს განსახილველად გადასცემს მართლმსაჯულების უმაღლეს სასამართლოს.

მუხლი 90.

საბრალდებო დასკვნის წარდგენილ პროექტს ხელს უნდა აწერდეს იმ პალატის წევრთა არანაკლებ მეოთხედი, რომლის მიერაც იქნა პროექტი პირველად წარდგენილი. მას თანამიმდევრულად განიხილავს და დასკვნის სახით ამტკიცებს ორივე პალატა, თუ ორივე პალატის მიერ იდენტური ბრალდება არის ჩამოყალიბებული ფარული კენჭისყრით, წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით, გარდა გამოძიებისა და მოკვლევის პროცესების წარმართვაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული წევრებისა.

მუხლი 91.

მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლო შედგება წარმომადგენელთა და მრჩეველთა პალატიდან არჩეული თანაბარი რაოდენობის წევრებისგან. მისი თავმჯდომარე ინიშნება სამეფო დეკრეტით.

მუხლი 92.

ორგანული კანონი განსაზღვრავს უმაღლესი სასამართლოს წევრთა რაოდენობას, მათი არჩევის მეთოდს და საპროცედურო წესებს, რომლებიც უნდა იქნეს მიღებული.

მეცხრე თავი.
ეკონომიკისა და სოციალური საბჭო

მუხლი 93.

უნდა შეიქმნას ეკონომიკისა და სოციალური საბჭო.

მუხლი 94.

ეკონომიკისა და სოციალური საბჭო კონსულტაციებს იღებს მთავრობისგან, ისევე როგორც წარმომადგენელთა პალატისა და მრჩეველთა პალატისგან ეკონომიკური ან სოციალური ხასიათის ყველა საქმეზე. იგი გამოთქვამს მოსაზრებას ეროვნული ეკონომიკისა და მოსამზადებელი პროგრამების ძირითადი მიმართულებების შესახებ.

მუხლი 95.

ეკონომიკისა და სოციალური საბჭოს სტატუსი, ორგანიზაცია, გარანტიები და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

მეათე თავი. აუდიტორული საბჭო

მუხლი 96.

აუდიტორული საბჭო პასუხისმგებელია ბიუჯეტის შესრულებაზე საერთო ზედამზედველობისთვის. იგი უზრუნველყოფს შემოსავლებსა და ხარჯებთან დაკავშირებული ოპერაციების გონივრულ განხორციელებას და აფასებს კანონის შესაბამისად მის კონტროლქვეშ მყოფი ორგანოების მართვას.

აუცილებლობის შემთხვევაში იგი იღებს ზომებს ამ ოპერაციების მომწესრიგებელი წესების დარღვევის აღსაკვეთად.

მუხლი 97.

აუდიტორული საბჭოები მათი კომპეტენციის ფარგლებში, კანონით განსაზღვრული წესით დახმარებას უწევენ პარლამენტსა და მთავრობას.

მათი ყველა მოქმედება უნდა მოხსენდეს მეფეს.

მუხლი 98.

რეგიონული აუდიტორული საბჭო პასუხისმგებელია ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისა და მათი ჯგუფების ანგარიშების შემოწმებისა და მართვის შეფასებისთვის.

მუხლი 99.

აუდიტორული საბჭოსა და რეგიონული აუდიტორული საბჭოების უფლებამოსილების ვადა, ორგანიზაცია და საპროცედურო წესები განისაზღვრება კანონით.

მეთერთმეტე თავი. ადგილობრივი მმართველობა

მუხლი 100.

სამეფოს ადგილობრივი მმართველობა მოიცავს რეგიონებს, პრეფექტურებს, პროვინციებსა და კომუნებს. ადგილობრივი მმართველობის სხვა ფორმის დაწესება შესაძლებელია მხოლოდ კანონით.

მუხლი 101.

ადგილობრივი კრებები აირჩევა თავიანთი საქმეების დემოკრატიული პრინციპებისა და კანონით განსაზღვრული დებულებების შესაბამისად წარმოებისთვის.

პროვინციების, პრეფექტურებისა და რეგიონული კრებების გადაწყვეტილებებს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად ახორციელებენ გუბერნატორები.

მუხლი 102.

პროვინციებში, პრეფექტურებსა და რეგიონებში სახელმწიფოს წარმოადგენენ გუბერნატორები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ კანონის აღსრულებას. ისინი პასუხისმგებელნი არიან მთავრობის გადაწყვეტილებების განხორციელებასა და ადგილობრივი დეპარტამენტებისა და სამთავრობო დაწესებულებების მართვაზე.

მეთორმეტე თავი. კონსტიტუციის გადასინჯვა

მუხლი 103.

კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივის უფლება აქვს მეფეს, წარმომადგენელთა პალატასა და მრჩეველთა პალატას.

მეფეს უფლება აქვს გადასინჯვის შესახებ პროექტი პირდაპირ რეფერენდუმზე წარადგინოს.

მუხლი 104.

ერთ-ერთი პალატის ერთი ან მეტი წევრის მიერ წარდგენილი გადასინჯვის შესახებ წინადადება მიიღება, თუ მას ხმას მისცემს შესაბამისი პალატის წევრთა ორი მესამედი. წინადადება წარედგინება მეორე პალატას, რომელიც მას ამტკიცებს წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით.

მუხლი 105.

გადასინჯვის პროექტები და წინადადებები სამეფო დეკრეტის შესაბამისად გააქვთ რეფერენდუმზე.

კონსტიტუციის გადასინჯვა დასრულდება რეფერენდუმის შედეგად მიღების შემდეგ.

მუხლი 106.

კონსტიტუციის გადასინჯვის საგანი არ შეიძლება იყოს სახელმწიფოს მონარქიული სისტემა და ისლამურ რელიგიასთან დაკავშირებული დებულებები.

მეცამეტე თავი. სპეციალური დებულებები

მუხლი 107.

ამ კონსტიტუციით გათვალისწინებული პარლამენტის პალატების არჩევამდე მოვალეობის შესრულებას განაგრძობს ამჟამად მოქმედი წარმომადგენელთა პალატა და 27-ე მუხლის დებულებების შესაბამისად იღებს პარლამენტის ახალი პალატების ფორმირების შესახებ კანონებს.

მუხლი 108.

საკონსტიტუციო საბჭოს შექმნამდე, რომლის წევრობა განისაზღვრება ამ კონსტიტუციის დებულებების შესაბამისად, კონსტიტუციითა და ორგანული კანონებით დაკისრებული მოვალეობების შესრულებას განაგრძობს ამჟამად მოქმედი საკონსტიტუციო საბჭო.

რუსეთის ფედერაცია

ზოგადი ცნობარი
შესავალი

XII საუკუნეში შექმნილმა მოსკოვის სათავადომ შეძლო XIII-XV საუკუნეებში მონღოლთა უღლის მოხსნა და მიმდებარე სათავადოების დაპყრობა და გაერთიანება. XVII საუკუნის დასაწყისიდან ახალმა რომანოვების დინასტიამ გაარძელა ექსპანსიის ამგვარი პოლიტიკა ციმბირიდან წყნარ ოკეანამდე. პეტრე პირველის ზეობის დროს რუსეთის ჰეგემონია გავრცელდა ბალტიის ზღვაზე და ქვეყანას რუსეთის იმპერია ეწოდა. XIX საუკუნის განმავლობაში რუსეთს უფრო მეტი ტერიტორიული შენაძენები ჰქონდა ევროპასა და აზიაში. 1904-1905 წლების იაპონიასთან ომში დამარცხებამ ქვეყანა მიიყვანა 1905 წლის რევოლუციამდე, რამაც შედეგი გამოიღო პარლამენტის დაფუძნებაში და სხვა დემოკრატიული რეფორმების გატარებაში. კომუნისტურმა პარტიამ ლენინის მეთაურობით ხელში აიღო ძალაუფლება და ჩამოაყალიბა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, ხოლო სტალინის რეჟიმმა გააძლიერა კომუნისტური მმართველობა და რუსეთის დომინანტური ადგილი საბჭოთა კავშირის ფარგლებში. შემდგომი ათწლეულების განმავლობაში საბჭოთა ეკონომიკა და საზოგადოება სტაგნაციის მდგომარეობაში იმყოფებოდა, სანამ 1985-1991 წლებში არ გამოცხადდა გამჭვირვალობა და გარდაქმნები და კომუნიზმის მოდერნიზაციის მცდელობა, მაგრამ ამ ინიციატივების შედეგად მოხდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაშლა-დაყოფა რუსეთად და 14 დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. 1991 წლის დეკემბერში რუსეთის ფედერაცია დამოუკიდებელ სახელმწიფოს ჩამოყალიბდა.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: ჩრდილოეთი აზია; ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრება ნორვეგია, ფინეთი, ლიტვა, ლატვია და ესტონეთი, დასავლეთით — ბელორუსია და პოლონეთი, სამხრეთ-დასავლეთით — უკრაინა, სამხრეთით — საქართველო, აზერბაიჯანი და ყაზახეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთით — მონღოლეთი, ჩინეთი და ჩრდილოეთ კორეა.

ფართობი: სულ: 17.075.200 კმ^2; ხმელეთი: 16.995.800 კმ^2; წყალი: 79.400 კმ^2.

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: დიდი ოდენობით ნავთობი, ბუნებრივი აირი, ქვანახშირი, მრავალი სტრატეგიული მინერალი, ხე-ტყე.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 140 702 094 (2008);

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:
0-14 წლის: 14.6% (მამაკაცი 10 577 858; ქალი 10 033 254);
15-64 წლის და ზემოთ: 71.2% (მამაკაცი 48 187 807; ქალი 52 045 102);
65 წლის და ზემოთ: 14.1% (მამაკაცი 6 162 400; ქალი 13 695 673) (2008).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: -0.474% (2008);

შობადობა: 11.03 დაბადებული 1 000 მოსახლეზე (2008);

სიკვდილიანობა: 16.06 გარდაცვლილი 1 000 მოსახლეზე (2008);

მიგრაცია: 0.28 მიგრანტი 1 000 მოსახლეზე (2008);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: მთელი მოსახლეობის მიმართ: 65.94 წელი; მამაკაცი: 59.19 წელი; ქალი: 73.1 (2008).

ეთნიკური ჯგუფები: რუსი 79.8%, თათარი 3.8%, უკრაინელი 2%, ბაშკირი 1.2%, ჩუვაში 1.2%, სხვა 12.1% (2002)

რელიგია: რუსული მართლმადიდებლური, ისლამური და სხვ.

ენა: რუსული, უმცირესობათა მრავალი ენა.

განათლებულობა:
მთელი მოსახლეობის 99.4%; მამაკაცი 99.7%; ქალი 99.2% (2002);
განსაზღვრება: მოცემულია 15 წლის ზევით პირთა მიმართ, რომელთაც წერა-კითხვა შეუძლიათ.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:
ვრცელი ფორმა: რუსეთის ფედერაცია;
შემოკლებული ფორმა: რუსეთი;
ადგილობრივი შემოკლებული სახელწოდება: როსია;
ადგილობრივი ვრცელი სახელწოდება: როსიისკაია ფედერაცია;

ყოფილი: რუსეთის იმპერია, რუსეთის ფედერაციული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

მმართველობის ფორმა: შერეული მმართველობის რესპუბლიკა, ძლიერი პრეზიდენტით.

დედაქალაქი: მოსკოვი

რუსეთის ფედერაციის შემადგებლობაში იმყოფება რუსეთის ფედერაციის შემდეგი სუბიექტები:

21 რესპუბლიკა: ადიღეის რესპუბლიკა (ადიღეა), ალტაის რესპუბლიკა, ბაშკორთოსთანის რესპუბლიკა, ბურიატიის რესპუბლიკა, დაღესტნის რესპუბლიკა, ინგუშეთის რესპუბლიკა, თათარსტანის რესპუბლიკა (თათარსტანი), კალმიკიის რესპუბლიკა, კარელიის რესპუბლიკა, კომის რესპუბლიკა, მარი ელის რესპუბლიკა, მორდოვიის რესპუბლიკა, სახას რესპუბლიკა (იაკუტია), ტიუვას რესპუბლიკა, უდმურტის რესპუბლიკა, ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა, ყარაჩაევო-ჩერქეზეთის რესპუბლიკა, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა - ალანია, ჩეჩნეთის რესპუბლიკა, ჩუვაშის რესპუბლიკა - ჩუვაშია, ხაკასიის რესპუბლიკა;

9 მხარე: ალტაის მხარე, ზაბაიკალის მხარე, კამჩატკის მხარე, კრასნოდარის მხარე, კრასნოიარსკის მხარე, პერმის მხარე, პრიმორსკის მხარე, სტავროპოლის მხარე, ხაბაროვსკის მხარე;

46 ოლქი: ამურის ოლქი, არხანგელსკის ოლქი, ასტრახანის ოლქი, ბელგოროდის ოლქი, ბრიანსკის ოლქი, ვლადიმირის ოლქი, ვოლგოგრადის ოლქი, ვოლოგდის ოლქი, ვორონეჟის ოლქი, იაროსლავსკის ოლქი, ივანოვის ოლქი, ირკუტსკის ოლქი, კალინინგრადის ოლქი, კალუგის ოლქი, კემეროვის ოლქი, კიროვის ოლქი, კოსტრომის ოლქი, კურგანის ოლქი, კურსკის ოლქი, ლენინგრადის ოლქი, ლიპეცკის ოლქი, მაგადანის ოლქი, მოსკოვის ოლქი, მურმანსკის ოლქი, ნიჟეგოროდის ოლქი, ნოვგოროდის ოლქი, ნოვოსიბირსკის ოლქი, ომსკის ოლქი, ორენბურგის ოლქი, ორლოვის ოლქი, პენზენის ოლქი, პსკოვის ოლქი, როსტოვის ოლქი, რიაზანის ოლქი, სამარის ოლქი, სარატოვის ოლქი, სახალინის ოლქი, სვერდლოვსკის ოლქი, სმოლენსკის ოლქი, ტამბოვის ოლქი, ტვერის ოლქი, ტომსკის ოლქი, ტულის ოლქი, ტიუმენის ოლქი, ულიანოვსკის ოლქი, ჩელიაბინსკის ოლქი;

2 ფედერალური მნიშვნელობის ქალაქი: ფედერალური მნიშვნელობის ქალაქები: მოსკოვი, სანქტ-პეტერბურგი;

1 ავტონომიური ოლქი: ებრაელთა ავტონომიური ოლქი;

4 ავტონომიური ოკრუგი: ნენეცკის ავტონომიური ოკრუგი, ხანტი-მანსიის ავტონომიური ოკრუგი — იუგრა, ჩუკოტკის ავტონომიური ოკრუგი, იამალო-ნენეცკის ავტონომიური ოკრუგი.

დამოუკიდებლობა: 1991 წლის 24 აგვისტო (საბჭოთა კავშირისგან);

ეროვნული დღესასწაული: რუსეთის დღე, 12 ივნისი (1990);

აღმასრულებელი ხელისუფლება:
სახელმწიფოს მეთაური: პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი (2008 წლის 7 მაისიდან);
არჩევნები: უკანასკნელად ჩატარდა 2008 წლის 2 მარტს;

სამინისტროები: ბუნებრივი რესურსებისა და ეკოლოგიის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, კულტურის სამინისტრო, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, სამოქალაქო თავდაცვის საქმეთა, საგანგებო სიტუაციებისა და სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, კავშირგაბმულობისა და მასობრივი კომუნიკაციების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ჯანმრთელობისა და სოციალური განვითარების სამინისტრო, რეგიონალური განვითარების სამინისტრო, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის სამინისტრო, ტრანსპორტის სამინისტრო, ენერგეტიკის სამინისტრო.

საკანონმდებლო ხელისუფლება: ორპალატიანი ფედერალური კრება, რომელიც შედგება ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროსგან;
არჩევნები: უკანასკნელად ჩატარდა 2007 წლის 2 დეკემბერს.

ძირითადი პოლიტიკური პარტიები: „ერთიანი რუსეთი“, კომუნისტური პარტია, რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია, სამართლიანობის პარტია, აგრარული პარტია, დემოკრატიული პარტია, მწვანეთა პარტია.

ეკონომიკა

ეკონომიკის მიმოხილვა: საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის მცდელობები იყო მიმართული თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის დასაფუძნებლად და ეკონომიკის ზრდის ტემპების უზრუნველსაყოფად. გარკვეულ წინსვლას რუსეთმა 1997 წლისათვის მიაღწია, მზარდმა საბიუჯეტო დეფიციტმა და არაკეთილსაიმედო საინვესტიციო კლიმატმა წარმოშვა 1998 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი, რომელმაც 1998 წლის აგვისტოში რუსული რუბლის გაუფასურება და, შესაბამისად, მოსახლეობის ცხოვ-

რების დონის მკვეთრი დაცემა გამოიწვია. ეკონომიკის აღორძინება 1999-2002 წლებში დაიწყო, როდესაც ეკონომიკის ზრდის ტემპმა წელიწადში 6%-ს მიაღწია, რაც ნავთობზე მაღალი ფასებისა და შედარებით იაფი რუსული რუბლის ერთგვარ შედეგს წარმოადგენდა, ამას 2003 წლიდან დაემატა გაზრდილი სამომხმარებლო მოთხოვნილება და დიდი ოდენობის კაპიტალური ინვესტიციები. უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში მოსახლეობის შემოსავალი წელიწადში საშუალოდ 12%-ით იზრდება, რაც ქვეყანაში აძლიერებს და აფართოებს მოსახლეობის საშუალო კლასის ფენას. რუსეთმა აგრეთვე მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თავისი საერთაშორისო ფინანსური პოზიცია 1998 წლის კრიზის შემდეგ. ამასთან, მიღწეული ეკონომიკური წარმატების მიუხედავად რუსეთის წინაშე დგას ეკონომიკის დივერსიფიკაციის პრობლემა. ნავთობი, ბუნებრივი აირი, ლითონები და ხე-ტყე საექსპორტო პროდუქციის 80%-ს შეადგენს, რაც ქვეყნის ეკონომიკას აღნიშნულ პროდუქციაზე მსოფლიო ფასების რყევებისგან დამოკიდებულს ხდის.

მთლიანი შიდა პროდუქტი - მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: $2.076 ტრილიონი (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 8.1% (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: $14.600 (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა: 4.6%; მრეწველობა: 39.1%; მომსახურება: 56.3% (2007).

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: 15.8% (2007);

ბიუჯეტი: შემოსავალი: $299 მილიარდი; გასავალი: $262 მილიარდი (2007);

ექსპორტი: $365 მილიარდი (2007);

საექსპორტო საქონელი: ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ბუნებრივი აირი, ხე-ტყე და ხე-ტყის მასალა, ლითონები, მედიკამენტები და სამოქალაქო და სამხედრო ნაწარმის ფართო სპექტრი.

ექსპორტის პარტნიორები: ნიდერლანდები 12.3%, იტალია 8.6%, გერმანია 8.4%, ჩინეთი 5.4%, უკრაინა 5.1%, თურქეთი 4.9%, შვეიცარია 4.1% (2006).

იმპორტი: $260 მილიარდი (2007).

საიმპორტო საქონელი: მანქანა-დანადგარები, სამომხმარებლო საქონელი, ქიმიური ნივთიერებები, ხორცი, შაქარი, ლითონის ნაწარმის ნახევარფაბრიკატები.

იმპორტის პარტნიორები: გერმანია 13.9%, ჩინეთი 9.7%, უკრაინა 7%, იაპონია 5.9%, სამხრეთ კორეა 5.1%, აშშ 4.8%, საფრანგეთი 4.4% იტალია 4.3%, (2006).

საგარეო ვალი: $384 მილიარდი (2007);

ვალუტა: რუსული რუბლი (RUB).

კონსტიტუციის მიმოხილვა

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. რუსეთის კონსტიტუციონალიზმის ისტორია სათავეს იღებს XIX საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც ლიბერალური კონსტიტუციური იდეები გზას იკვლევდნენ თვითმპყრობელობის დოქტრინასთან ბრძოლაში. რუსეთის პირველ კონსტიტუციურ პროექტებს შესაძლებელია მივაკუთვნოთ მ.მ. სპერანსკის „სახელმწიფოებრივი გარდაქმნის გეგმა" და ნ.ნ. ნოვოსილცევის „რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საწესდებო სიგელი." თუმცა იმდროინდელი რუსეთის კონსტიტუციური გარდაქმნების პროგრესული იდეები არარეალიზებული დარჩა, რადგან არ არსებობდა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წინაპირობები. რუსეთის იმპერიის კანონები გამოხატავდნენ თვითმპყრობელობის იდეებს, კონსტიტუციის არსებობა კი გამოიწვევდა მეფის ძალაუფლების შეზღუდვას.

რუსეთში მონარქიული წყობილებიდან რესპუბლიკურზე გადასვლის პირველი ნაბიჯი გახდა კონსტიტუციური მონარქიის გაფორმება 1905 წლის 6 აგვისტოს მანიფესტის მიღების გზით, რომელმაც დააფუძნა სახელმწიფო სათათბირო – სათათბირო ფუნქციების მქონე პირველი რუსული პარლამენტი და გამოაცხადა რუსეთის ქვეშევრდომების საარჩევნო უფლებები. „სახელმწიფოებრივი წეს-წყობილების სრულყოფის შესახებ" 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით სახელმწიფო სათათბიროს საკანონმდებლო ფუნქციები მიენიჭა. გაცხადებულ იქნა განუსხვისებელი სამოქალაქო უფლებები: პიროვნების ხელშეუხებლობა, სინდისის, სიტყვის, შეკრებების, გაერთიანებების თავისუფლებები, საარჩევნო უფლებები, ხოლო 1905 წლის 19 ოქტომბრის მანიფესტმა რუსეთში დააფუძნა სამთავრობო ორგანო – მინისტრთა საბჭო.

1917 წლის ოქტომბრის შემდგომი კონსტიტუციური განვითარება ხასიათდებოდა იმპერიული სახელმწიფოებრივი სისტემის მსხვრევით და ახალი სახელმწიფოებრიობის საფუძვლების ფორმირებით. პოსტრევოლუციური პერიოდის პირველი წლების დეკრეტები ასახავდნენ მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის ლიკვიდაციას, მსხვილი საკუთრების ნაციონალიზაციას, კერძო საკუთრების გაუქმებას, ძველი სახელმწიფო აპარატის რეფორმირებას. ამ პერიოდის კონსტიტუციური მნიშვნელობის აქტები ეფუძნებოდა უტოპიურ წარმოდგენებს მსოფლიო რევოლუციური პროცესის ტენდენციებზე, ყველა ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების მოლოდინს და კომუნიზმის დამყარებას. ამ აქტებში ხორცშესხმულია პროლეტარიატის დიქტატურის იდეოლოგიზირებული, კლასობრივი მიმართულება.

ოქტომბრის პირველი დეკრეტებიდან მოყოლებული რუსეთის კონსტიტუციურმა კანონმდებლობამ საკმაოდ ხანგრძლივი ევოლუცია გაიარა, რასაც ადასტურებს 1918, 1925, 1937, 1978 და 1993 წლების კონსტიტუციები.

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის (რსფსრ) კონსტიტუცია მიღებულ იქნა მთელი რუსეთის საბჭოების V ყრილობის მიერ 1918 წლის 10 ივლისს. ეს იყო კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი სახელმწიფოს ძირითადი კანონი. მისი არსი მდგომარეობდა პროლეტარიატის დიქტატურის იურიდიულ განმტკიცებაში. ხელისუფლების უზენაეს მატარებლად გამოცხადდა ქვეყნის მშრომელი მოსახლეობა, რომელიც გაერთიანებული იყო ქალაქისა და სოფლის საბჭოებში. 1918 წლის კონსტიტუციამ გააფორმა წარმომადგენლობითი დემოკრატიის სისტემა საბჭოების სახით. ამავე კონსტიტუციამ განამტკიცა რუსეთის ფედერაციული მოწყობა. გათვალისწინებული იყო, რომ ოლქების საბჭოებს, რომლებიც განსაკუთრებული ყოფითა და ეროვნული შემადგენლობით გამოირჩეოდნენ, შეეძლოთ გაერთიანებულიყვნენ ავტონომიურ საოლქო კავშირებად, რომლებიც რსფსრ-ში შედიოდნენ ფედერაციულ საწყისებზე. დგინდებოდა სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ერთიანი ურთიერთდაკავშირებული სისტემა.

1922 წელს საბჭოთა კავშირის შექმნასთან ერთად რუსეთის, ისევე როგორც სხვა რესპუბლიკების, კონსტიტუციურმა განვითარებამ, დაკარგა თავისი დამოუკიდებლობა და ორიგინალობა. რესპუბლიკების კონსტიტუციები მნიშვნელოვანწილად წარმოადგენს საკავშირო კონსტიტუციის ასლს. 1925 წლის რსფსრ-ის მეორე კონსტიტუციამ, რომელიც საბჭოთა კავშირის 1924 წლის კონსტიტუციის შედეგად იქნა მიღებული, ასახა ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შერბილება, რაც დაკავშირებული იყო სამოქალაქო ომის დასრულებასთან და სსრკ-ს შექმნასთან. ამ კონსტიტუციამ იურიდიულად გააფორმა რუსეთის, როგორც სსრკ-ს შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკის, ახალი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტატუსი. კონსტიტუციის დონეზე განმტკიცდა რუსეთის ფედერაციული მოწყობა. მისი მეორე მუხლი რუსეთის რესპუბლიკას განმარტავდა როგორც მუშათა და გლეხთა სოციალისტურ სახელმწიფოს, რომელიც შენდება ეროვნული ნაციონალური რესპუბლიკების ფედერაციის საფუძველზე. კონსტიტუცია დეტალურად აწესრიგებდა სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებას, განამტკიცებდა ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სისტემას, საარჩევნო პროცედურას, რსფსრ-ის საბიუჯეტო უფლებებს, სახელმწიფო სიმბოლიკას.

რსფსრ-ის მესამე კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1937 წელს. მან გამოაცხადა სოციალიზმის საფუძვლების აშენების დასრულება. ამ კონსტიტუციაში განმტკიცებული იყო საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების საფუძვლები; მოქალაქეთა უფლებები და მოვალეობები; საარჩევნო სისტემა,

სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების, სასამართლოს და პროკურატურის კომპეტენცია. კონსტიტუციამ იურიდიულად გააფორმა სხვა თანასწორუფლებიან რესპუბლიკებთან ნებაყოფლობითი გაერთიანება საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, აგრეთვე რსფსრ-ის უფლებათა სუვერენული ხასიათი საკავშირო კომპეტენციის ფარგლებს გარეთ. თუმცა 1937 წლის კონსტიტუცია განმსჭვალული იყო სოციალისტური იდეოლოგიით, მისი ტექსტი უკვე აღარ შეიცავდა მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვების პირდაპირ მოწოდებებს.

რსფსრ-ის 1978 წლის 12 აპრილის მეოთხე კონსტიტუცია მომზადდა საბჭოთა კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის შესაბამისად. იგი განასახიერებდა განვითარებული სოციალიზმისა და საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოს აშენების არშემდგარ კონცეფციას, გაბატონებულ იდეოლოგიად აღიარებდა მეცნიერულ კომუნიზმს, ხოლო საზოგადოებრივი განვითარების საბოლოო მიზნად — უკლასო კომუნისტური საზოგადოების შენებას. კერძო საკუთრება არ დაიშვებოდა. განმტკიცდა მეურნეობის გეგმიური წარმოება მკაცრი ცენტრალიზაციის საფუძველზე. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციას ტრადიციულად საფუძვლად დაედო საბჭოების უზენაესობის პრინციპი.

1985 წლის შემდეგ საზოგადოებრივი წყობილების ღრმა ცვლილებებს, განსაკუთრებით 1991 წლის პუტჩს, საბჭოთა კავშირის დაშლას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა 1978 წლის კონსტიტუციის შინაარსზე. იგი არაერთხელ და მნიშვნელოვნად შეიცვალა. 1989-1992 წლების შესწორებების გათვალისწინებით კონსტიტუციამ პრინციპულად ახალი ხასიათი შეიძინა: საზოგადოებრივი განვითარების სოციალისტურ მოდელზე და პოლიტიკურ სისტემაში კომუნისტური პარტიის მონოპოლიურ მდგომარეობაზე უარის თქმა, პლურალიზმის იდეოლოგიისა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპის აღიარება.

ქვეყნისა და რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკების ოფიციალური სახელწოდებიდან ამოღებულ იქნა სიტყვები „საბჭოთა“ და „სოციალისტური“, ქვეყანას ეწოდა რუსეთი — რუსეთის ფედერაცია, დაკანონდა პოლიტიკური პლურალიზმი, საკუთრების ფორმების მრავალფეროვნება და თანასწორობა. ხელისუფლების დანაწილების თეორიის შესაბამისად განხორციელდა სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტების რეორგანიზაცია (დაფუძნდა პრეზიდენტის ინსტიტუტი, რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლო, გაფართოვდა ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებები. კონსტიტუციაში ინკორპორირებულ იქნა 1991 წლის 22 ნოემბერს მიღებული ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დეკლარაცია.

არსობრივად გარდაიქმნა სახელმწიფოებრივი მოწყობა. ყოფილ ავტონომიურ რესპუბლიკებს და რიგ ავტონომიურ ოკრუგებს და ოლქებს მიენიჭა რესპუბლიკების სტატუსი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. 1992 წლის 31 მარტის ფედერალური ხელშეკრულების საფუძველზე გაიმიჯნა ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და მისი სუბიექტების კომპეტენცია. დადგინდა რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის გარანტიები. საბჭოთა კავშირის არსებობის შეწყვეტამ განაპირობა კონსტიტუციიდან იმ მუხლების ამოღება, რომლებიც ზღუდავდა რუსეთის სუვერენიტეტს, შეიცვალა რუსეთის სახელმწიფო სიმბოლიკა, განმტკიცდა რუსეთის სრული საერთაშორისო სამართალსუბიექტობა, მისი საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის დამოუკიდებლობა. საკონსტიტუციო შესწორებების რიცხვმა 300-ს გადააჭარბა. თუმცა ამ გზით საკონსტიტუციო რეფორმის ჩატარების ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელი იყო.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. რსფსრ-ის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ დამტკიცებული „რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის“ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ“ 1990 წლის 12 ივნისის დეკლარაცია გახდა ამოსავალი პუნქტი რუსეთის ახალი კონსტიტუციის მომზადების პროცესის დასაწყებად. რსფსრ-ის სახალხო დეპუტატთა პირველივე ყრილობაზე შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია ბ. ელცინის (იმ დროს რსფსრ-ის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის) მეთაურობით. რსფსრ-ის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე საკონსტიტუციო კომისიის მიერ მიღებული ახალი კონსტიტუციის პროექტი ცნობად იყო მიღებული და კომისიას დაევალა მისი დამუშავება სახალხო დეპუტატთა შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით და მორიგ ყრილობაზე განსახილველად წარმოდგენა. მიუხედავად ამისა, სახალხო დეპუტატთა მეექვსე ყრილობამ ახალი კონსტიტუცია არ მიიღო და შემოიფარგლა რუსეთის ფედერაციაში კონსტიტუციური რეფორმების ზოგადი კონცეფციის, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს მიერ დამტკიცებული მისი უმნიშვნელოვანესი დებულებების მხარდაჭერით.

კონსტიტუციის მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგი ეტაპი დაკავშირებული იყო 1993 წელს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ მოწვეულ საკონსტიტუციო კრებასთან. მუშაობა ძირითადად წარიმართა ხუთ სამუშაო ჯგუფში, რომელიც ჩამოყალიბებული იყო სახელმწიფო ხელისუფლების ფედერალური ორგანოების, რუსეთის ფედერაციაში შემავალი ფედერაციული ერთეულების, ადგილობრივი თვითმმართველობის, პოლიტიკური, პარტიების, პროფესიული კავშირების, ახალგაზრდული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მასობრივი მოძრაობების და რელიგიური კონფესიების, ასევე მეწარმეთა წარმომადგენლებისაგან.

1993 წლის ივნის-ივლისში საკონსტიტუციო კრებამ მოამზადა თავისი პროექტი. ის ძირითადად შექმნილი იყო პრეზიდენტის წინადადებების ბაზაზე და იმ პროექტის გათვალისწინებით, რომელიც სახალხო დეპუტატთა მეექვსე ყრილობაზე განიხილებოდა. ორივე პროექტი ითვალისწინებდა მმართველობის რესპუბლიკურ ფორმას, ადამიანის უფლებათა პრიორიტეტს, ხელისუფლების დანაწილებას, კერძო საკუთრებას, ფედერალიზმს. პრეზიდენტის წინადადებებს ძლიერი პრეზიდენტის შესახებ უპირისპირდებოდა პარლამენტარიზმის იდეები. ამასთან, თავიანთი პროექტები და წინადადებები წამოაყენა მრავალმა ჯგუფმა, პოლიტიკურმა პარტიებმა და ცალკეულმა ავტორებმა.

1993 წლის ოქტომბერ-ნოემბერში კონსტიტუციური პროექტი შესწორდა როგორც რუსეთის ფედერაციის სუბიექტების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და წინადადადებების, აგრეთვე 1993 წლის ოქტომბრის მოვლენების გათვალისწინებით. პროექტის დამუშავებას ახორციელებდა პრეზიდენტის მიერ შექმნილი კომისია მეცნიერებისა და პრაქტიკოსების მონაწილეობით. პროექტზე ასევე მუშაობდნენ საკონსტიტუციო კრების სახელმწიფო და საზოგადოებრივი პალატები. 1993 წლის 12 დეკემბერს საბოლოო პროექტი გატანილი და მიღებული იქნა სრულიად რუსეთის რეფერენდუმზე, რომლის შედეგების მიხედვით კონსტუტუცია შევიდა ძალაში.

რუსეთის კონსტიტუციის დებულებების შესწორებებისა და გადასინჯვის შესახებ წინადადებების შეტანის უფლება აქვს პრეზიდენტს, ფედერაციის საბჭოს, სახელმწიფო სათათბიროს, მთავრობას, ფედერაციის სუბიექტების საკანონმდებლო (წარმომადგენლობით) ორგანოებს, ასევე ფედერაციის საბჭოს წევრთა ან სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა არანაკლებ 1/5-ს.

კონსტიტუციის შეცვლის წესი განსაკუთრებული ორიგინალურობით გამოირჩევა, სადაც კონსტიტუციური ნორმები, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე იყოფა სიმყარის თვალსაზრისით. ამ მხრივ, კონსტიტუციის ნორმები 4 ჯგუფად შეიძლება დავყოთ და, შესაბამისად, მათი გადასინჯვის წესიც ოთხნაირია. პირველ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ კონსტიტუციის პირველი (კონსტიტუციური წყობილების საფუძვლები), მე-2 (ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები) და მე-9 (კონსტიტუციური შესწორებები და კონსტიტუციის გადასინჯვა) თავები, რომლებიც არ შეიძლება გადაისინჯოს ფედერალური კრების მიერ. თუ ამ თავების გადასინჯვის შესახებ წინადადება ორივე პალატის წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა 3/5-ით იქნება მხარდაჭერილი, მაშინ სპეციალურად ამ მიზნით მოიწვევა კონსტიტუციური კრება, რომელიც ან ადასტურებს კონსტიტუციის შეუცვლელობას, ანდა შეიმუშავებს კონსტიტუციის ახალ პროექტს, რომელიც მიიღება კონსტიტუციური კრების წევრთა საერთო რაოდენობის ხმების 2/3-ით ან გაიტანება საერთო სახალხო კენჭისყრაზე. საერთო სახალხო კენჭისყრისას

კონსტიტუცია მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი, იმ პირობით, რომ მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა, ანუ ეს პრინციპი ითვალისწინებს კონსტიტუციის პროექტის კონსტიტუციური კრების მიერ მიღებას და ფედერალური კრების მიერ ან რეფერენდუმით დამტკიცებას.

რაც შეეხება მეორე ჯგუფს, მასში მოიაზრება კონსტიტუციის მე-3–მე-8 თავების ნორმები, რომლებიც ეხება ფედერაციულ მოწყობას, პრეზიდენტს, ფედერალურ კრებას, მთავრობას, სასამართლო ხელისუფლებას, ადგილობრივ თვითმმართველობას. ამ თავებში ცვლილებები შეიტანება კონსტიტუციური კანონის მიღებისათვის გათვალისწინებული წესით, მაგრამ მათ ძალაში შესასვლელად აუცილებელია მათი დამტკიცება ფედერაციის სუბიექტების საკანონმდებლო ორგანოების არანაკლებ 2/3-ის მიერ.

მესამე ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ კონსტიტუციის 65-ე მუხლში შესატანი ცვლილებები, რომლებიც ეხება ფედერაციის შემადგენლობასთან დაკავშირებულ ცვლილებებს, როგორიცაა ფედერაციაში მიღება, ფედერაციის შემადგენლობაში ახალი სუბიექტის შექმნა ან ფედერაციის სუბიექტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის შეცვლა. ამ მუხლში ცვლილება ხორციელდება მხოლოდ ფედერალური კონსტიტუციური კანონის საფუძველზე.

მეოთხე ჯგუფად კი უნდა გამოვყოთ კონსტიტუციის 65-ე მუხლში შესატანი ცვლილებები, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ფედერაციის სუბიექტის — რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქის, ავტონომიური ოლქისა და ავტონომიური ოკრუგის მხოლოდ სახელწოდების შეცვლასთან. ამ წესის მიხედვით სახელწოდების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება პრეზიდენტის ბრძანებულებით, რაც შეტანება კონსტიტუციის 65-ე მუხლში მოცემულ ფედერაციის სუბიექტთა დასახელებებში.

რუსეთის კონსტიტუციაში შესწორებები შეტანილ იქნა 1996, 2001, 2003 და 2004, 2005 და 2006 წლებში და ყველა მათგანი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში მყოფი სუბიექტების სახელწოდებების შეცვლას ეხება ან არსებული სუბიექტების კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის შეცვლის შედეგად ახალი სახელწოდების შემოღების აუცილებლობით არის განპირობებული.

კონსტიტუციის ანალიზი. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია შედგება პრეამბულის, 9 თავისა და 137 მუხლისაგან.

კონსტიტუციის შესაბამისად, რუსეთის ფედერაცია არის დემოკრატიული ფედერაციული სახელმწიფო მმართველობის რესპუბლიკური ფორმით, სადაც სუვერენიტეტის მატარებელი და ხელისუფლების ერთადერთი წყაროა მისი მრავალეროვანი ხალხი. კონსტიტუციის პირველ თავში განსაზღვრულია

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ძირითადი პრინციპი, სახელმწიფოს სოციალური ორიენტაცია და სახელმწიფოს ვალდებულება უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის თვალსაზრისით.

რუსეთის ფედერაციაში დაცულია ადამიანთა შრომა და ჯანმრთელობა, დგინდება შრომის მინიმალური გარანტირებული ოდენობა, უზრუნველყოფილია ოჯახის, დედობის, მამობის და ბავშვობის, ინვალიდებისა და ხანში შესული მოქალაქეების სახელმწიფო მხარდაჭერა. ნიშანდობლივია, რომ რუსეთის კონსტიტუცია იცნობს არა მხოლოდ კერძო საკუთრების ცნებას, არამედ აღიარებს და თანაბრად იცავს, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო, მუნიციპალურ საკუთრებას და საკუთრების სხვა ფორმებსაც.

რუსეთის ფედერაციაში აღიარებულია იდეოლოგიური და პოლიტიკური მრავალფეროვნება, აგრეთვე მრავალპარტიულობა. რუსეთი არის საერო სახელმწიფო, სადაც არც ერთი რელიგია არ შეიძლება იქნეს დადგენილი, როგორც სახელმწიფო ან სავალდებულო. რელიგიური გაერთიანებები სახელმწიფოსაგან განცალკევებული და კანონის წინაშე თანასწორია.

რუსეთის კონსტიტუციის მე-2 თავი ეთმობა ადამიანისა და მოქალაქის უფლებებს, შეიცაცს მათი დაცვის გარანტიებს. აღიარებულია უფლებებისა და თავისუფლებების სრულფასოვანი რეალიზაციის პრინციპი, რაც იმაში გამოიხატება, რომ მათი განხორციელება არ უნდა არღვევდეს სხვა პირების უფლებებსა და თავისუფლებებს. კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა თანასწორია. მამაკაცს და ქალს აქვთ თანაბარი უფლებები და თავისუფლებები და მათი რეალიზაციის თანაბარი შესაძლებლობები.

ყველას აქვს სიცოცხლის უფლება. სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელის განსაკუთრებული ზომა, მის გაუქმებამდე შეიძლება დადგენილ იქნეს ფედერალური კანონით სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში ბრალდებულისთვის, იმ უფლებით, რომ მისი საქმე სასამართლოს მიერ განხილულ იქნეს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. აკრძალული წამება, ძალადობა, სხვა სასტიკი ან ადამიანის ღირსების დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი. არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს სამედიცინო, სამეცნიერო ან სხვა ცდებს ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე. კონსტიტუციით გარანტირებულია თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. დაპატიმრება, დატუსაღება და პატიმრობაში ყოფნა დასაშვებია მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით. სასამართლო გადაწყვეტილებამდე პირი არ შეიძლება დაკავებულ იქნეს 48 საათზე მეტის ხნის ვადით.

კონსტიტუციით გარანტირებულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, პირადი და საოჯახო საიდუმლოების, საკუთარი პატივისა და სახელის დაცვის უფლება აგრეთვე საიდუმლო მიმოწერის, სატელეფონო საუბრების, საფოსტო, სატელეგრაფო და სხვა შეტყობინებების, საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის. ეროვნული კუთვნილების განსაზღვრისა და მითითების

უფლება, ისევე როგორც ყველას აქვს მშობლიური ენით სარგებლობის, ურთიერთობის, აღზრდის, სწავლისა და შემოქმედების ენის არჩევის უფლება, აგრეთვე გაერთიანების, კეთილსაიმედო გარემოს, მის მდგომარეობაზე სარწმუნო ინფორმაციისა და იმ ზიანის ანაზღაურების უფლება, რაც პირის ჯანმრთელობას ან ქონებას ეკოლოგიური სამართალდარღვევის შედეგად მიადგა, ნებისმიერი კანონიერი გზით ინფორმაციის მოძიების, მიღების, გადაცემის, წარმოებისა და გავრცელების უფლება, ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო დახმარების უფლება.

ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, აქვს თავისუფლად გადაადგილების, ადგილსამყოფელისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება. კონსტიტუციის უზრუნველყოფილია აგრეთვე რუსეთის ფედერაციის ფარგლებს გარეთ თავისუფლად გასვლისა და რუსეთის ფედერაციის მოქალაქის რუსეთის ფედერაციაში დაუბრკოლებლად დაბრუნების უფლება.

გარანტირებულია სინდისის თავისუფლება, რწმენის, აზრისა და სიტყვის თავისუფლება. არავინ არ შეიძლება იძულებულ იქნეს გამოხატოს საკუთარი აზრი და მრწამსი ან უარი თქვას მათზე.

მასობრივი ინფორმაციის თავისუფლება გარანტირებულია. ცენზურა აკრძალულია.

რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს უფლება აქვთ აირჩიონ და არჩეულ იქნენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, აგრეთვე მონაწილეობა მიიღონ რეფერენდუმში. აღნიშნული დანაწესით სარგებლობის უფლება შეზღუდულია აქვთ სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილ, აგრეთვე სასამართლო განაჩენით თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფ მოქალაქეებს.

კერძო საკუთრების უფლება კანონით არის დაცული. შრომა თავისუფალია. გარანტირებულია სკოლამდელი, ძირითადი ზოგადი და საშუალო პროფესიული განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა და უფასო განათლება სახელმწიფო ან მუნიციპალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საწარმოებში. ყველასთვის გარანტირებულია ლიტერატურული, მხატვრული, სამეცნიერო, ტექნიკური და შემოქმედების სხვა სახეობების, აგრეთვე სწავლების თავისუფლება. ინტელექტუალური საკუთრება კანონით არის დაცული.

კონსტიტუციით უზრუნველყოფილია უფლებებისა და თავისუფლებების სასამართლო წესით დაცვის, ისევე როგორც კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების უფლება, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხორციელდება უფასოდ.

დანაშაულის ჩადენაში ყველა ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება ფედერალური კანონით გათვა-

ლისწინებული წესით და არ დადგინდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით. ბრალდებული არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. პირის ბრალეულობის აღმოუფხვრელი ეჭვები ბრალდებულის სასარგებლოდ განიმარტება. დანაშაულისთვის მსჯავრდებულ ყველა პირს აქვს ფედერალური კანონით დადგენილი წესით განაჩენის ზემდგომი სასამართლოს მიერ გადასინჯვის, ასევე შეწყალებისა ან სასჯელის შემსუბუქების თხოვნის უფლება.

კონსტიტუცია შეიცავს მნიშვნელოვან ნორმას, რომლის მიხედვით ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების კონსტიტუციაში ჩამოთვლა არ უნდა იქნეს განმარტებული ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების უარყოფად ან დაკნინებად. ამას გარდა, არ უნდა იქნეს მიღებული ისეთი კანონები, რომლებიც აუქმებს ან ბღალავს უფლებებსა და თავისუფლებებს.

ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა დაიშვება ფედერალური კანონით მხოლოდ იმ ზომით, რამდენადაც აუცილებელია კონსტიტუციური წყობილების საფუძვლების, ზნეობის, ჯანმრთელობის, სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, ქვეყნის თავდაცვისა და სახელმწიფო უშიშროების უზრუნველსაყოფად. ამასთან, საგანგებო მდგომარეობის პირობებში მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კონსტიტუციური წყობილების დასაცავად ფედერალური კონსტიტუციური კანონის შესაბამისად შეიძლება დაწესდეს უფლებათა და თავისუფლებათა ცალკეული შეზღუდვები მათი მოქმედების ფარგლებისა და ვადის მითითებით.

კონსტიტუცია უფლებებსა და თავისუფლებებთან ერთად ითვალისწინებს აგრეთვე ვალდებულებებს, კერძოდ ყველა ვალდებულია გადაიხადოს კანონიერად დადგენილი გადასახადები და მოსაკრებლები, აგრეთვე დაიცვას ბუნება და გარემო, სიფრთხილით მოეპყროს ბუნებრივ რესურსებს. ყველა მოქალაქის ვალს და ვალდებულებას წარმოადგენს სამშობლოს დაცვა.

კონსტიტუცია შეიცავს ნორმებს მოქალაქეობასთან დაკავშირებით, რომელთა შესაბამისად ნებადართულია რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს ჰქონდეს უცხო სახელმწიფოს მოქალაქეობა (ორმაგი მოქალაქეობა). უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები თანაბრად სარგებლობენ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების უფლებებითა და დაკისრებული მოვალეობებით, გარდა ფედერალური კანონით ან რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. დაუშვებელია რუსეთის მოქალაქის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაძევება ან სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემა. რუსეთის ფედერაციაში არ დაიშვება სხვა სახელმწიფოებისთვის იმ პირების გადაცემა, რომლებიც იდევნებიან პოლიტიკური შეხედულებებისთვის, აგრეთვე იმ მოქმედებისთვის (უმოქმედობისთვის), რაც რუსეთში დანაშაულად არ ითვლება. დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პი-

რების, აგრეთვე სხვა სახელმწიფოებში სასჯელის მოსახდელად მსჯავრდებულთა გადაცემა ხორციელდება ფედერალური კანონის ან რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე.

კონსტიტუცია ადგენს ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობას და აცხადებს, რომ რუსეთის ფედერაცია შედგება რესპუბლიკების, მხარების, ოლქების, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ავტონომიური ოკრუგებისგან. ამასთან, მიუხედავად მათი სახელწოდებებისა, ყოველ მათგანს თანასწორი უფლებები და სტატუსი გააჩნიათ. თითოეულ რესპუბლიკას აქვს თავისი კონსტიტუცია და კანონმდებლობა, ხოლო მხარეს, ოლქს, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქს, ავტონომიურ ოლქსა და ავტონომიურ ოკრუგს — თავისი დებულება და კანონმდებლობა.

რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში არის 21 რესპუბლიკა, 9 მხარე, 46 ოლქი, 2 ფედერალური მნიშვნელობის ქალაქი, 1 ავტონომიური ოლქი და 4 ავტონომიური ოკრუგი.

რუსეთის ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად ითვლება რუსული ენა. რესპუბლიკებს უფლება აქვთ დაადგინონ საკუთარი სახელმწიფო ენები, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და რესპუბლიკების სახელმწიფო დაწესებულებებში რუსულ ენასთან ერთად გამოიყენება.

კონსტიტუცია დეტალურად განსაზღვრავს რუსეთის ფედერაციის, აგრეთვე ფედერაციისა და ფედერაციის სუბიექტების ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხთა წრეს.

რუსეთის ფედერაციის გამგებლობაშია შემდეგი საკითხები: ფედერაციის კონსტიტუციისა და კანონების მიღება, შეცვლა და მათ შესრულებაზე კონტროლი; ფედერაციული მოწყობა და ტერიტორია; ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების რეგულირება და დაცვა; მოქალაქეობა; ეროვნულ უმცირესობათა უფლებების რეგულირება და დაცვა; საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ფედერალური ორგანოების სისტემის, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესის დადგენა; სახელმწიფო ხელისუფლების ფედერალური ორგანოების ფორმირება; ფედერალური სახელმწიფო საკუთრება და მისი მართვა; რუსეთის სახელმწიფო, ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური, კულტურული და ეროვნული განვითარების სფეროში ფედერალური პოლიტიკის საფუძვლებისა და ფედერალური პროგრამების დადგენა; ერთიანი ბაზრის სამართლებრივი საფუძვლების დადგენა; საფინანსო, სავალუტო, საკრედიტო და საბაჟო რეგულირება, ფულადი ემისია, ფასების პოლიტიკის საფუძვლები; ფედერალური ეკონომიკური სამსახურები, მათ შორის ფედერალური ბანკები; ფედერალური ბიუჯეტი; ფედერალური გადასახადები და მოსაკრებლები; რეგიონალური განვითარების ფედერალური ფონდები; ფედერალური ენერგეტიკული სისტემები, ბირთვუ-

ლი ენერგეტიკა, გახლეჩადი მასალები; ფედერალური ტრანსპორტი, მიმოსვლის გზები, ინფორმაცია და კავშირი; საქმიანობა კოსმოსში; საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო ხელშეკრულებები; ომისა და მშვიდობის საკითხები; საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები; თავდაცვა და უშიშროება; თავდაცვითი წარმოება; იარაღის, საბრძოლო მასალის, სამხედრო ტექნიკისა და სხვა სამხედრო ქონების გაყიდვისა და შეძენის წესის განსაზღვრა; მომწამვლელი ნივთიერებებისა და ნარკოტიკული საშუალებების წარმოება და მათი გამოყენების წესი; სახელმწიფო საზღვრის, ტერიტორიული ზღვის, საჰაერო სივრცის, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისა და კონტინენტური შელფის სტატუსის განსაზღვრა და დაცვა; სამართალწარმოება; პროკურატურა; სისხლის, სისხლის სამართლის საპროცესო და სასჯელაღსრულებითი კანონმდებლობა; ამნისტია და შეწყალება; სამოქალაქო, სამოქალაქო სამართლის საპროცესო და საარბიტრაჟო პროცესუალური კანონმდებლობა; ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი რეგულირება; ფედერალური კოლიზიური სამართალი; მეტეოროლოგიური სამსახური, სტანდარტები, ეტალონები, მეტრული სისტემა და დროის გამოთვლა; გეოდეზია და კარტოგრაფია; გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებები; ოფიციალური სტატისტიკური და საბუღალტრო აღრიცხვა; რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ჯილდოები და საპატიო წოდებები; ფედერალური სახელმწიფო სამსახური.

ფედერაციისა და ფედერაციის სუბიექტების ერთობლივ გამგებლობაშია: რესპუბლიკების კონსტიტუციებისა და კანონების, მხარეების, ოლქების, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქების, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგების დებულებების, კანონებისა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციასთან და ფედერალურ კანონებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა; ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა; კანონიერების, მართლწესრიგის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სასაზღვრო ზონების რეჟიმი; მიწით, წიაღით, წყლითა და სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, მათი მფლობელობისა და განკარგვის საკითხები; სახელმწიფო საკუთრების გამიჯვნა; ბუნებით სარგებლობა; გარემოს დაცვა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა; განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიები; ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვა; აღზრდის, განათლების, მეცნიერების, კულტურის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის ზოგადი საკითხები; ჯანმრთელობის დაცვის საკითხების კოორდინაცია; ოჯახის, დედობის, მამობისა და ბავშვობის დაცვა; სოციალური დაცვა, მათ შორის სოციალური უზრუნველყოფა; კატასტროფებთან, სტიქიურ უბედურებებთან, ეპიდემიებსა და მათი შედეგების ლიკვიდაციასთან ბრძოლის ზომების განხორციელება; რუსეთის ფედერაციაში გა-

დასახადებით დაბეგვრისა და მოსაკრებლების ზოგადი პრინციპების დადგენა; ადმინისტრაციული, ადმინისტრაციულ-პროცესუალური, შრომის, საოჯახო, საბინაო, მიწის, წყლის, ტყის, წიაღისა და გარემოს შესახებ კანონმდებლობა; სასამართლო და სამართალდამცავი ორგანოების კადრები; ადვოკატურა; ნოტარიატი; მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფთა ბინადრობის ძირძველი ფეროსა და ცხოვრების ტრადიციული წესის დაცვა; სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სისტემის ორგანიზაციის ზოგადი პრინციპების დადგენა; ფედერაციის სუბიექტების საერთაშორისო და საგარეო ეკონომიკური კავშირების კოორდინაცია, რუსეთის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულება.

რაც შეეხება ე.წ. ნარჩენ უფლებამოსილებას, მასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ფედერაციისა და მისი სუბიექტების ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების ფარგლებს გარეთ არსებული სახელმწიფო ხელისუფლება მთელი სისრულით გააჩნიათ სუბიექტებს.

გარდა ამისა, თვით კონსტიტუცია უშვებს ცენტრალური და ფედერაციის სუბიეტთა აღმასრულებელი ხელისუფლების დელეგირების უფლებას. თავიანთი უფლებამოსილების განსახორციელებლად აღმასრულებელი ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებს შეუძლიათ შექმნან თავიანთი ტერიტორიული ორგანოები და დანიშნონ შესაბამისი თანამდებობის პირები. ასევე, მათ, ფედერაციის სუბიექტების აღმასრულებელ ორგანოებთან შეთანხმებით, შეუძლიათ ნაწილობრივ გადასცენ ამ უკანასკნელთ თავიანთი უფლებამოსილების განხორციელების უფლება, თუ ეს არ ეწინააღმდეგება რუსეთის კონსტიტუციასა და ფედერალურ კანონებს. თავისმხრივ, ფედერაციის სუბიექტების აღმასრულებელ ორგანოებს, აღმასრულებელი ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებთან შეთანხმებით, შეუძლიათ ნაწილობრივ გადასცენ ამ უკანასკნელთ თავისი უფლებამოსილების განხორციელების უფლება.

ფულის ერთეულს წარმოადგენს რუბლი. ფულადი ემისია ხორციელდება მხოლოდ ფედერაციის ცენტრალური ბანკის მიერ. დაუშვებელია სხვა ფულის შემოღება და ემისია.

კონსტიტუცია განამტკიცებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების შტოებად დაყოფის სახით, რომლის მიხედვით რუსეთი შერეული მმართველობის რესპუბლიკების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ, ძლიერი პრეზიდენტით სათავეში.

პრეზიდენტს გააჩნია მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურის სტატუსი, იგი არის რუსეთის კონსტიტუციის, ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების გარანტი, იღებს ზომებს ქვეყნის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოს მთლიანობის დასაცავად, უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების შეთანხმებულ ფუნქციონირებასა და ურთიერთმოქმედებას, განსაზღვრავს სახელმწიფოს საგარეო და საშინაო

პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, წარმოადგენს ფედერაციას ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ურთიერთობებში.

პრეზიდენტი აირჩევა ქვეყნის მოქალაქეების მიერ 4 წლის ვადით საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს რუსეთის ფედერაციის არანაკლებ 35 წლის ასაკის მოქალაქე, მიუხედავად მოქალაქეობის შეძენის ფორმისა, რომელსაც რუსეთის ფედერაციაში მუდმივად უცხოვრია არანაკლებ 10 წლის განმავლობაში. ერთსა და იგივე პირს არ შეიძლება ეკავოს პრეზიდენტის თანამდებობა ზედიზედ ორ ვადაზე მეტჯერ.

პრეზიდენტის უფლებამოსილება პირობითად რამდენიმე სფეროდ შეიძლება დავყოთ:

- საკანონმდებლო საქმიანობა: დაითხოვს სახელმწიფო სათათბიროს; ნიშნავს რეფერენდუმს; სახელმწიფო სათათბიროში შეაქვს კანონპროექტები; ხელს აწერს და აქვეყნებს ფედერალურ კანონებს;;

- აღმასრულებელ ხელისუფლებასთან დაკავშირებული საქმიანობა, რომლის ფარგლებში პრეზიდენტი სახელმწიფო სათათბიროს თანხმობით ნიშნავს მთავრობის თავმჯდომარეს; უფლებამოსილია თავმჯდომარეობდეს მთავრობის სხდომებს; იღებს გადაწყვეტილებას რუსეთის ფედერაციის მთავრობის გადაყენების შესახებ; მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეებს, ფედერალურ მინისტრებს;

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის, ასევე ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის უთანხმოების გადაწყვეტის მიზნით პრეზიდენტს შეუძლია გამოიყენოს შემთანხმებელი პროცედურები, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მას შეუძლია დავის გადაწყვეტა განსახილველად გადასცეს შესაბამის სასამართლოს. სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტამდე პრეზიდენტი უფლებამოსილია შეაჩეროს ფედერაციის სუბიქტების აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა აქტების მოქმედება ამ აქტების რუსეთის კონსტიტუციასთან და ფედერალურ კანონებთან, საერთაშორისო ვალდებულებებთან წინააღმდეგობის ან ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შემთხვევაში.

- საკადრო უფლებამოსილება: სახელმწიფო სათათბიროს წარუდგენს კანდიდატურას ცენტრალური ბანკის თავმჯდომარის თანამდებობაზე დასანიშნად; ფედერაციის საბჭოს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს საკონსტიტუციო სასამართლოს, უზენაესი სასამართლოს, უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლეების, ასევე გენერალური პროკურორის კანდიდატურებს; დამოუკიდებლად ნიშნავს სხვა ფედერალური სასამართლოების მო-

სამართლეებს; ქმნის და ხელმძღვანელობს უშიშროების საბჭოს; ნიშნავს და ათავისუფლებს პრეზიდენტის სრულუფლებიან რწმუნებულებს;

- საერთაშორისო უფლებამოსილება: ფედერალურ კრებას მიმართავს ყოველწლიური მოხსენებით ქვეყანაში არსებული მდგომარეობის, სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ; ფედერალური კრების პალატების შესაბამის კომიტეტებსა და კომისიებთან კონსულტაციების შემდეგ ნიშნავს და გამოიწვევს უცხო სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში რუსეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებს; ახორციელებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობას; აწარმოებს მოლაპარაკებებს და ხელს აწერს საერთაშორისო ხელშეკრულებებს; ხელს აწერს სარატიფიკაციო სიგელებს; იღებს მასთან აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლების რწმუნებათა და გამოწვევის სიგელებს;

- საომარი და საგანგებო მდგომარეობის უფლებამოსილება: რუსეთის წინააღმდეგ აგრესიის ან აგრესიის უშუალო საფრთხის შემთხვევაში რუსეთის პრეზიდენტი ქვეყნის ტერიტორიაზე ან მის ცალკეულ ადგილებში აცხადებს საომარ, ხოლო ფედერალური კონსტიტუციური კანონით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას და კანონით დადგენილი წესით - საგანგებო მდგომარეობას, რის თაობაზე დაუყოვნებლივ ატყობინებს ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს;

სამხედრო უფლებამოსილება: პრეზიდენტი არის შეირაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი; ამტკიცებს სამხედრო დოქტრინას; ნიშნავს და ათავისუფლებს შეირაღებული ძალების უმაღლეს სარდლობას;

პრეზიდენტს ასევე გააჩნია სახელმწიფოს მეთაურის ის სიმბოლური უფლებამოსილება, რომელიც ე.წ „სუსტ“ პრეზიდენტებსაც კი გააჩნიათ: იგი წყვეტს რუსეთის მოქალაქეობისა და პოლიტიკური თავშესაფრის მიცემის საკითხებს; აჯილდოებს სახელმწიფო ჯილდოებით, ანიჭებს საპატიო წოდებებს, უმაღლეს სამხედრო და უმაღლეს სპეციალურ წოდებებს; ახორციელებს შეწყალებას.

პრეზიდენტს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება გადადგომის, მუდმივი ქმედუუნარობისას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან თანამდებობიდან გადაყენების შემთხვევაში. ყველა შემთხვევაში, როდესაც პრეზიდენტს არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება, მას დროებით ასრულებს მთავრობის თავმჯდომარე. ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს არა აქვს სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის, რეფერენდუმის დანიშვნის, ასევე კონსტიტუციის შესწორებებისა და გადასინჯვის თაობაზე წინადადებების შეტანის უფლება.

პრეზიდენტი ხელშეუხებელია. იგი შეიძლება გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან ფედერაციის საბჭოს მიერ, მხოლოდ სახელმწიფო სათათბიროს

მიერ სახელმწიფო ღალატის ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენაში წაყენებული ბრალდების საფუძველზე, რაც დადასტურებული უნდა იყოს უზენაესი სასამართლოს დასკვნით პრეზიდენტის ქმედებებში დანაშაულის ნიშნების არსებობის შესახებ და საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნით ბრალდების წაყენების დადგენილი წესის დაცვის შესახებ. გადაწყვეტილებები ბრალდების წაყენების თაობაზე და პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ მიღებული უნდა იყოს შესაბამისი პალატის წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა 2/3-ით, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა არანაკლებ 1/3-ის ინიციატივით, სახელმწიფო სათათბიროს მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის დასკვნის არსებობისას.

ფედერაციის საბჭოს გადაწყვეტილება პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო სათათბიროს მიერ პრეზიდენტის წინააღმდეგ ბრალდების წაყენებიდან არა უგვიანეს 3 თვის ვადაში. თუ ამ პერიოდში არ იქნება მიღებული ფედერაციის საბჭოს გადაწყვეტილება, პრეზიდენტის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება მოხსნილად ითვლება.

რუსეთის ფედერაციის უმაღლესი წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანოა ფედერალური კრება — პარლამენტი, რომელიც შედგება ორი პალატის: ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროსაგან.

ფედერაციის საბჭოში შედის რუსეთის ფედერაციის ყოველი სუბიექტის ორ-ორი წარმომადგენელი: თითო-თითო სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოებიდან. აქედან გამომდინარე, მის შემადგენლობაში ამჟამად 168 წევრია.

სახელმწიფო სათათბირო შედგება 450 დეპუტატისგან და აირჩევა 4 წლის ვადით. დეპუტატად შეიძლება აირჩეს 21 წლის ასაკს მიღწეული და არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე რუსეთის მოქალაქე. ერთი და იგივე პირი არ შეიძლება იმავდროულად იყოს ორივე პალატის წევრი. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა წარმომადგენლობითი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დეპუტატი, ასევე არ შეიძლება იმყოფებოდეს სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობისა.

პალატების წევრები სარგებლობენ იმუნიტეტით, ისინი ხელშეუხებელნი არიან უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში. არ შეიძლება მათი დაკავება, დაპატიმრება, გაჩხრეკა, გარდა დანაშაულის ადგილზე დაკავების შემთხვევებისა, აგრეთვე მათი პირადი გასინჯვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გათვალისწინებულია ფედერალური კანონით სხვა ადამიანების უსაფრთხოების დასაცავად. ხელშეუხებლობის მოხსნის საკითხი წყდება შე-

საბამისი პალატის მიერ გენერალური პროკურორის წარდგინების საფუძველზე.

ფედერაციის საბჭოს გამგებლობას განეკუთვნება რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს შორის საზღვრების შეცვლის დამტკიცება; საომარი და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების დამტკიცება; ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების გამოყენების შესაძლებლობის საკითხის გადაწყვეტა; პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნა; პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება; საკონსტიტუციო სასამართლოს, უზენაესი სასამართლოს, უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლეების თანამდებობაზე დანიშვნა; გენერალური პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება; საანგარიშო პალატის თავმჯდომარის მოადგილისა და მის აუდიტორთა შემადგენლობის ნახევრის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება;

სახელმწიფო სათათბიროს გამგებლობას განეკუთვნება: მთავრობის თავმჯდომარის დასანიშნად პრეზიდენტისთვის თანხმობის მიცემა; მთავრობის ნდობის საკითხის გადაწყვეტა; ცენტრალური ბანკის თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება; საანგარიშო პალატის თავმჯდომარისა და მის აუდიტორთა შემადგენლობის ნახევრის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება; ადამიანის უფლებებზე რწმუნებულების თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება; ამნისტიის გამოცხადება; თანამდებობიდან გადაყენების მიზნით რუსეთის პრეზიდენტის წინააღმდეგ ბრალდების წაყენება.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს პრეზიდენტს, ფედერაციის საბჭოს, პალატების წევრებს, მთავრობას, ფედერაციის სუბიექტების საკანონმდებლო (წარმომადგენლობით) ორგანოებს. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, მათი გამგებლობის საკითხებზე, გააჩნია ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს, უზენაეს სასამართლოსა და უმაღლეს საარბიტრაჟო სასამართლოს.

კანონპროექტები გადასახადების შემოღების ან გაუქმების, გადახდისაგან გათავისუფლების, სახელმწიფო სესხების გამოშვების, სახელმწიფოს ფინანსური ვალდებულებების შეცვლის შესახებ და სხვა კანონპროექტები, რომლებიც ფედერალური ბიუჯეტის ხარჯზე დასაფარავ ხარჯებს ითვალისწინებს, შეიძლება იქნეს შეტანილი მხოლოდ მთავრობის დასკვნის არსებობისას.

ფედერალური კანონები მიიღება სახელმწიფო სათათბიროს მიერ დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობით და ხუთი დღის ვადაში განსახილველად გადაეცემა ფედერაციის საბჭოს, რომელიც მას ამტკიცებს წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტით. ფედერაციის საბჭოს მიერ

კანონის უარყოფის შემთხვევაში პალატებმა წარმოქმნილი უთანხმოებების დასაძლევად შეიძლება შექმნან შემთანხმებელი კომისია, რის შემდეგაც კანონს ხელახლა განიხილავს სახელმწიფო სათათბირო.

სახელმწოფო სათათბიროს გააჩნია ფედერაციის საბჭოს მიერ უარყოფილი კანონპროექტის დაძლევის უფლებამოსილება დეპუტატთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 2/3-ით.

ფედერაციის საბჭოში სავალდებულო განხილვას ექვემდებარება სახელმწიფო სათათბიროს მიერ შემდეგ საკითხებზე მიღებული კანონები: ბიუჯეტის; გადასახადებისა და მოსაკრებლების; საფინანსო, სავალუტო, საკრედიტო, საბაჟო რეგულირების, ფულადი ემისიის; რუსეთის საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებისა და დენონსირების; სახელმწიფო საზღვრის სტატუსისა და დაცვის; ომისა და მშვიდობის.

მიღებული კანონი ხელმოსაწერად და გამოსაქვეყნებლად გადაეცემა პრეზიდენტს, რომელიც ხელს აწერს და აქვეყნებს მას. თუ პრეზიდენტი უარყოფს ანუ ვეტოს დაადებს მას, მაშინ სახელმწიფო სათათბირო და ფედერაციის საბჭო ხელახლა განიხილავს და თუ განმეორებით განხილვისას კანონი პალატების წევრთა საერთო რაოდენობის ხმების არანაკლებ 2/3-ით მიღებულ იქნება ადრე მიღებული რედაქციით, მას ხელს აწერს და აქვეყნებს პრეზიდენტი.

კონსტიტუციური კანონები მიიღება კონსტიტუციით გათვალისწინებულ საკითხებზე და მისი მიღებისათვის საჭიროა ფედერაციის საბჭოს წევრთა ხმების საერთო რაოდენობის არანაკლებ 3/4 და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების ხმების საერთო რაოდენობის არანაკლებ 2/3. მიღებულ კონსტიტუციურ კანონს ხელს აწერს და აქვეყნებს პრეზიდენტი. ამ შემთხვევაში პრეზიდენტს არ გააჩნია ვეტოს უფლება.

კონსტიტუცია ითვალისწინებს მხოლოდ ქვედა პალატის დათხოვნის ინსტიტუტს. სახელმწიფო სათათბირო შეიძლება დათხოვნილ იქნეს პრეზიდენტის მიერ სახელმწიფო სათათბიროს მიერ მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურების სამჯერ უარყოფის შემდეგ ან მთავრობისათვის უნდობლობის ხელმეორედ გამოცხადებისას. დათხოვნა დაუშვებელია მისი არჩევიდან ერთი წლის განმავლობაში, პრეზიდენტის წინააღმდეგ ბრალდების წაყენების მომენტიდან ფედერაციის საბჭოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე, რუსეთის ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე საომარი ან საგანგებო მდგომარეობის მოქმედების დროს, აგრეთვე პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 6 თვის განმავლობაში.

აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მთავრობა, რომელიც შედგება მთავრობის თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა და ფედერალური მინისტრებისგან. მთავრობის თავმჯდომარე ინიშნება პრეზიდენტის მიერ სახელმწიფო სათათბიროს თანხმობით. მისი კანდიდატურის თაობაზე წინადა-

დების შეტანა ხდება ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ თანამდებობის დაკავებიდან არა უგვიანეს ორი კვირის ვადაში ან მთავრობის გადადგომის შემდეგ, ანდა სახელმწიფო სათათბიროს მიერ კანდიდატურის უარყოფის დღიდან ერთი კვირის ვადაში. თავისმხრივ, მთავრობის თავმჯდომარე პრეზიდენტს წარუდგენს კანდიდატურებს თავისი მოადგილეებისა და მინისტრების თანამდებობებზე.

მთავრობა: შეიმუშავებს და სახელმწიფო სათათბიროში წარადგენს ფედერალურ ბიუჯეტს და უზრუნველყოფს მის შესრულებას; სახელმწიფო სათათბიროს წარუდგენს ანგარიშს ფედერალური ბიუჯეტის შესრულების თაობაზე; უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანი საფინანსო, საკრედიტო და ფულადი პოლიტიკის გატარებას; ახორციელებს ფედერალური საკუთრების მართვას; იღებს ზომებს ქვეყნის თავდაცვის, სახელმწიფო უშიშროების, საგარეო პოლიტიკის რეალიზაციის უზრუნველსაყოფად; იღებს ზომებს კანონიერების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, საკუთრებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის უზრუნველსაყოფად; ახორციელებს კონსტიტუციით, ფედერალური კანონებითა და პრეზიდენტის ბრძანებულებებით მასზე დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მთავრობის უფლებამოსილება შეიძლება შეწყდეს უფლებამოსილების მოხსნის, გადადგომის, გადაყენების ან უნდობლობის გამოცხადებისას. მთავრობა უფლებამოსილებას იხსნის ახალარჩეული პრეზიდენტის წინაშე. მას უფლება აქვს სხვა შემთხვევაშიც ნებისმიერ დროს გადადგეს, რასაც პრეზიდენტი მიიღებს ან უარყოფს. ამასთან, პრეზიდენტს შეუძლია თავად მიიღოს გადაწყვეტილება მთავრობის გადაყენების შესახებ. სახელმწიფო სათათბიროს შეუძლია თავისი დადგენილებით, დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმათა ნახევარზე მეტით, უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას. უნდობლობის გამოცხადების შემდეგ პრეზიდენტი უფლებამოსილია გამოაცხადოს მთავრობის გადადგომის შესახებ ან არ დაეთანხმოს სახელმწიფო სათათბიროს გადაწყვეტილებას. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო სათათბირო მთავრობას 3 თვის ვადაში ხელმეორედ უცხადებს უნდობლობას, პრეზიდენტი აცხადებს მთავრობის გადადგომის შესახებ ან დაითხოვს სახელმწიფო სათათბიროს.

მთავრობის თავმჯდომარე უფლებამოსილია სახელმწიფო სათათბიროს წინაშე შეუძლია დააყენოს რუსეთის ფედერაციის მთავრობის ნდობის საკითხი. თუ სახელმწიფო სათათბირო უარს ეტყვის ნდობაზე, პრეზიდენტი შვიდი დღის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას მთავრობის გადადგომის ან სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნისა და ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ.

მართლმსაჯულება ხორციელდება მხოლოდ სასამართლოების მიერ. სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო, სამოქალაქო, ად-

მინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოების გზით. საგანგებო სასამართლოების შექმნა დაუშვებელია.

სასამართლო სისტემაში შედიან ფედერალური სასამართლოები, საკონსტიტუციო (საწესდებო) სასამართლოები და მომრიგებელი მოსამართლეები. ფედერალურ სასამართლოებს მიეკუთვნება: რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლო, რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლო, რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოები, სამხარეო და საოლქო სასამართლოები, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქების სასამართლოები, ავტონომიური ოლქისა და ავტონომიური ოკრუგების სასამართლოები, რაიონული სასამართლოები, სამხედრო და სპეციალიზირებული სასამართლოები; რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო, ოკრუგების ფედერალური საარბიტრაჟო სასამართლოები (საარბიტრაჟო საკასაციო სასამართლოები), საარბიტრაჟო სააპელაციო სასამართლოები, რუსეთის ფედერაციის სუბიექტების საარბიტრაჟო სასამართლოები. ფედერაციის სუბიექტებს გააჩნიათ საკუთარი სასამართლოთა სისტემა, რომელშიც შედის: ფედერაციის სუბიექტების საკონსტიტუციო (საწესდებო სასამართლოები) და მომრიგებელი მოსამართლეები.

მოსამართლეები შეიძლება იყვნენ 25 წლის ასაკს მიღწეული რუსეთის მოქალაქეები, რომელთაც აქვთ უმაღლესი იურიდიული განათლება და იურიდიული პროფესიით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება. მოსამართლეები შეუცვლელნი არიან. თუმცა, მათი უფლებამოსილება შეიძლება შეწყდეს ან შეჩერდეს ფედერალური კანონით დადგენილი წესითა და საფუძვლებით. მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის მაქსიმალური ზღვრული ვადაა – 70 წელი.

რუსეთის ფედერაციაში საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც შედგება 19 მოსამართლისგან. მასში წარდგინების შეტანის უფლება აქვთ პრეზიდენტს, პარლამენტის პალატას, პალატების წევრთა ერთ მეხუთედს, მთავრობას, უზენაეს სასამართლოსა და უმაღლეს საარბიტრაჟო სასამართლოს, ფედერაციის სუბიექტების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს. ამ ორგანოების წარდგინების საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს შემდეგი აქტების რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციასთან შესაბამისობა: ფედერალური კანონების, პრეზიდენტის, ფედერაციის საბჭოს, სახელმწიფო სათათბიროს, მთავრობის ნორმატიული აქტების; რესპუბლიკების კონსტიტუციების, დებულებების, აგრეთვე ფედერაციის სუბიექტების კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების, რომლებიც გამოცემულია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გამგებლობის და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ერთობლივი გამგებლობის საკით-

ხებზე; სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფედერაციის სუბიექ-ტების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის ხელშეკრულებების, ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის ხელშეკრულებების; ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებების, რომ-ლებიც ძალაში არ არის შესული.

საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს დავებს კომპეტენციის თაობა-ზე სახელმწიფო ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებს შორის, სახელ-მწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფედერაციის სუბიექტების სახელ-მწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის და ფედერაციის სუბიექტების უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებს შორის.

საკონსტიტუციო სასამართლო მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის შესახებ საჩივრებისა და სასამართლოების წარდგინებების საფუძველზე ამოწმებს კონკრეტულ საქმეში გამოყენებული ან გამოყენებას დაქვემდებარებული კანონის კონსტიტუციურობას. საკონსტი-ტუციო სასამართლო აღჭურვილია აგრეთვე რუსეთის კონსტიტუციის გან-მარტების უფლებამოსილებით.

საკონსტიტუციო სასამართლო ფედერაციის საბჭოს წარდგინების საფუძ-ველზე იძლევა დასკვნას რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის წინააღმდეგ სახელმწიფო ღალატის ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენის ბრალდების წა-ყენების დადგენილი წესის დაცვის თაობაზე.

არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტები ან მათი ცალკეული დებულებები ძალას კარგავენ. კონსტიტუციის შეუსაბამო რუსეთის საერთაშორისო ხელ-შეკრულებები ძალაში შესვლასა და გამოყენებას არ ექვემდებარება.

უზენაესი სასამართლო არის უმაღლესი სასამართლო ორგანო სამოქალა-ქო, სისხლის, ადმინისტრაციული და საერთო იურისდიქციის სასამართლოე-ბის განსჯად სხვა საქმეებზე, ახორციელებს ზედამხედველობას მათ საქმია-ნობაზე და სასამართლო პრაქტიკის საკითხებზე იძლევა განმარტებებს.

რუსეთში არსებობს უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო, რომელიც არის ეკონომიკური დავებისა და საარბიტრაჟო სასამართლოების მიერ გან-სახილველი სხვა საქმეების გადაწყვეტის უმაღლესი სასამართლო ორგანო, ახორციელებს ზედამხედველობას მათ საქმიანობაზე და სასამართლო პრაქ-ტიკის საკითხებზე იძლევა განმარტებებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს, უზენაესი სასამართლოსა და უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლეები ინიშნებიან ფედერაციის საბ-ჭოს მიერ პრეზიდენტის წარდგინებით. სხვა ფედერალური სასამართლოების მოსამართლეები ინიშნებიან პრეზიდენტის მიერ.

პროკურატურა შეადგენს ერთიან ცენტრალიზებულ სისტემას ქვემდგომი პროკურორების ზემდგომებისათვის და რუსეთის გენერალური პროკურორის-თვის დაქვემდებარებით. გენერალური პროკურორი თანამდებობაზე ინიშნება

და თანამდებობიდან თავისუფლდება ფედერაციის საბჭოს მიერ პრეზიდენტის წარდგინებით, ხოლო ფედერაციის სუბიექტების პროკურორები გენერალური პროკურორის მიერ ინიშნებიან ფედერაციის სუბიექტებთან შეთანხმებით. სხვა პროკურორები ინიშნებიან გენერალური პროკურორის მიერ. პროკურატურას ძალზე ფართო უფლებამოსილება გააჩნია – იგი საპროკურორო ზედამხედველობას ახორციელებს ასევე კანონების შესრულებაზე და ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე.

რუსეთის ფედერაციაში აღიარებული და გარანტირებულია ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელიც ხორციელდება მოქალაქეების მიერ რეფერენდუმის, არჩევნების, ნების პირდაპირი გამოვლენის სხვა ფორმების, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევითი და სხვა ორგანოების მეშვეობით. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები არ შედის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების სისტემაში.

მუნიციპალური წარმონაქმნები აირჩევა მოსახლეობის მიერ. ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მიზნით 2003 წელს ჩატარდა ფედერალური ხელისუფლების რეფორმა და შეიქმნა 7 ფედერალური ოლქი პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენლებით სათავეში. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ რუსეთის ფედერაციაში განხორციელებული ბოლოდროინდელი ცვლილებების შედეგად ახალი გუბერნატორის კანდიდატურას წარადგენს რუსეთის პრეზიდენტი, რომელსაც ამტკიცებენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სტრუქტურა განისაზღვრება მოსახლეობის მიერ დამოუკიდებლად. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები დამოუკიდებლად მართავენ მუნიციპალურ საკუთრებას, აყალიბებენ, ამტკიცებენ და ასრულებენ ადგილობრივ ბიუჯეტს, აწესებენ ადგილობრივ გადასახადებსა და მოსაკრებლებს, ახორციელებენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, ასევე წყვეტენ ადგილობრივი მნიშვნელობის სხვა საკითხებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს კანონით შეიძლება მიენიჭოთ ცალკეული სახელმწიფო უფლებამოსილებები, მათი განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ფინანსური საშუალებების გადაცემასთან ერთად. გადაცემული უფლებამოსილებების რეალიზება ექვემდებარება სახელმწიფოს მიერ კონტროლს.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები. რუსეთის კონსტიტუცია შერეული მმართველობის რესპუბლიკათა რიცხვს განეკუთვნება, სადაც ხელისუფლებათა ბალანსი პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სასარგებლოდ არის უზრუნველყოფილი.

— კონსტიტუცია შემოიფარგლება მხოლოდ პრეზიდენტის ხელშეუხებლობის შესახებ ნორმით და არ ადგენს მისი იმუნიტეტის ფარგლებს;

— პრეზიდენტი უფლებამოსილია შეაჩეროს ფედერაციის სუბიექტების აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა აქტების მოქმედება ამ აქტების რუსეთის კონსტიტუციასთან და ფედერალურ კანონებთან, საერთაშორისო ვალდებულებებთან წინააღმდეგობის ან ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შემთხვევაში;

— პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, მიუხედავად მოქალაქეობის შეძენის ფორმისა;

— თავისებურია პარლამენტის ზედა პალატის ფორმირების წესი და იგი ფედერაციული ერთეულების ხელმძღვანელთაგან შედგება;

— დეპუტატად არჩევის ასაკობრივი ცენზი დაბალია და 21 წელს შეადგენს;

— საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, მათი გამგებლობის საკითხებზე, გააჩნია საკონსტიტუციო სასამართლოს, უზენაეს სასამართლოსა და უმაღლეს საარბიტრაჟო სასამართლოს.

— რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს, მიუხედავად მათი სახელწოდებისა, თანასწორი უფლებები და სტატუსი გააჩნიათ;

— მოსამართლეები შეუცვლელნი არიან;

— პროკურატურა ფართო უფლებამოსილებით არის აღჭურვილი და უფლებრივად არაფრით ჩამოუვარდება საბჭოთა პერიოდის პროკურატურას;

— კონსტიტუცია იცნობს არა მხოლოდ კერძო საკუთრების ცნებას, არამედ აღიარებს და თანაბრად იცავს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო, მუნიციპალურ საკუთრებას და საკუთრების სხვა ფორმებსაც;

— კონსტიტუციის შეცვლის წესი განსაკუთრებული ორიგინალურობით გამოირჩევა, სადაც კონსტიტუციური ნორმები, მათი მნიშვნელობიდან და შეცვლის წესიდან გამომდინარე შეიძლება დავყოთ რამდენიმე ჯგუფად.

რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია[1]

მიღებულია 1993 წლის 12 დეკემბერს
საერთო სახალხო რეფერენდუმზე

(ცვლილებები შეტანილია 09.01.96-№20; 10.02.96-№173; 09.06.2001-№679; 25.07.2003-№841 რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის განკარგულებებით და 2004 წლის 25 მარტის, 2005 წლის 14 ოქტომბრის, 2006 წლის 12 იელისის და 2006 წლის 30 დეკემბრის ფედერალური კონსტიტუციური კანონებით)

ჩვენ, საკუთარ მიწაზე საერთო ბედით შეკავშირებული რუსეთის ფედერაციის მრავალეროვანი ხალხი, ვამტკიცებთ რა ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, სამოქალაქო მშვიდობასა და თანხმობას, ვინარჩუნებთ ისტორიულად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოებრივ ერთიანობას, გამოედივართ ერების თანასწორობისა და თვითგამორკვევის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან, პატივს ვცემთ წინაპრების ხსოვნას, რომელთაც გადმოგვცეს სამშობლოსადმი სიყვარული, პატივისცემა, სიკეთისა და სამართლიანობის რწმენა, ვაღორძინებთ რა რუსეთის სუვერენულ სახელმწიფოებრიობას და ვამტკიცებთ მისი დემოკრატიული საფუძვლის ურყევობას, მივისწრაფვით, რათა უზრუნველვყოთ რუსეთის კეთილდღეობა და აყვავება, გამოვდივართ რა დღევანდელი და მომავალი თაობების პასუხისმგებლობიდან სამშობლოს წინაშე და ვაცნობიერებთ ჩვენს თავს მსოფლიო საზოგადოების ნაწილად, ვიღებთ რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციას.

პირველი განყოფილება
თავი 1. კონსტიტუციური წყობილების საფუძვლები

მუხლი 1.

1. რუსეთის ფედერაცია - რუსეთი არის დემოკრატიული ფედერაციული სახელმწიფო მმართველობის რესპუბლიკური ფორმით.

---

[1] თარგმანისას გამოყენებულია ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში - „რუსეთის გაზეთში“ 1993 წლის 25 დეკემბერს გამოქვეყნებული რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის ტექსტი, რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის ოფიციალური გამოცემა, ISBN 5-7260-0720-4, გამომცემლობა „იურიდიული ლიტერატურა“, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაცია, 1997 (64 გვერდზე) და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.kremlin.ru გამოქვეყნებული რუსეთის ფედერაციის რუსულენოვანი ტექსტი ცვლილებებთან ერთად.

2. სახელწოდებები „რუსეთის ფედერაცია“ და „რუსეთი“ თანაბარმნიშვნელოვანია.

მუხლი 2.

ადამიანი, მისი უფლებები და თავისუფლებები წარმოადგენენ უმაღლეს ფასეულობებს. ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარება, შესრულება და დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებაა.

მუხლი 3.

1. რუსეთის ფედერაციაში სუვერენიტეტის მატარებელი და ხელისუფლების ერთადერთი წყაროა მისი მრავალეროვანი ხალხი.

2. ხალხი თავის ხელისუფლებას ახორციელებს როგორც უშუალოდ, ისე სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით.

3. ხალხის ხელისუფლების უმაღლეს უშუალო გამოხატულებას წარმოადგენს რეფერენდუმი და თავისუფალი არჩევნები.

4. რუსეთის ფედერაციაში არავის არ შეუძლია მიითვისოს ხელისუფლება. ხელისუფლების მიტაცება ან სახელისუფლებო უფლებამოსილებების მითვისება ისჯება ფედერალური კანონით.

მუხლი 4.

1. რუსეთის ფედერაციის სუვერენიტეტი ვრცელდება მის მთელ ტერიტორიაზე.

2. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციას და ფედერალურ კანონებს უზენაესი ძალა გააჩნიათ რუსეთის ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე.

3. რუსეთის ფედერაცია უზრუნველყოფს თავისი ტერიტორიის მთლიანობასა და ხელშეუხებლობას.

მუხლი 5.

1. რუსეთის ფედერაცია შედგება რუსეთის ფედერაციის თანასწორუფლებიანი სუბიექტების — რესპუბლიკების, მხარების, ოლქების, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ავტონომიური ოკრუგებისგან.

2. რესპუბლიკას აქვს თავისი კონსტიტუცია და კანონმდებლობა. მხარეს, ოლქს, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქს, ავტონომიურ ოლქსა და ავტონომიურ ოკრუგს აქვს თავისი დებულება და კანონმდებლობა.

3. რუსეთის ფედერაციის ფედერაციული წყობილება დაფუძნებულია მის სახელმწიფოებრივ მთლიანობაზე, სახელმწიფო ხელისუფლების სისტემის ერთიანობაზე, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და რუსეთის ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ორგანოების გამ-

გებლობას მიკუთვნებული სფეროებისა და უფლებამოსილებების გამიჯვნაზე, რუსეთის ფედერაციის ერების თანასწორუფლებიანობასა და თვითგამორკვევაზე.

4. სახელმწიფო ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებთან ურთიერთობებში რუსეთის ფედერაციის ყველა სუბიექტი ერთმანეთის თანასწორია.

მუხლი 6.

1. რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შეძენა და შეწყვეტა ხორციელდება ფედერალური კანონის შესაბამისად. მოქალაქეობა, მისი შეძენის საფუძვლების მიუხედავად, ერთიანი და თანასწორია.

2. რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ყველა მისი მოქალაქე სარგებლობს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით გათვალისწინებული ყველა უფლებითა და თავისუფლებით და დაკისრებული აქვს თანაბარი მოვალეობები.

3. რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს არ შეიძლება ჩამოერთვას მოქალაქეობა ან მისი შეცვლის უფლება.

მუხლი 7.

1. რუსეთის ფედერაცია არის სოციალური სახელმწიფო, რომლის პოლიტიკაა მიმართული ადამიანის ღირსეული ცხოვრებისა და თავისუფალი განვითარების უზრუნველმყოფი პირობების შექმნისკენ.

2. რუსეთის ფედერაციაში დაცულია ადამიანთა შრომა და ჯანმრთელობა, დგინდება შრომის მინიმალური გარანტირებული ოდენობა, უზრუნველყოფილია ოჯახის, დედობის, მამობის და ბავშვობის, ინვალიდებისა და ხანში შესული მოქალაქეების სახელმწიფო მხარდაჭერა, ვითარდება სოციალური სამსახურების სისტემა, დგინდება სახელმწიფო პენსიები, შემწეობები და სოციალური დაცვის სხვა გარანტიები.

მუხლი 8.

1. რუსეთის ფედერაციაში გარანტირებულია ეკონომიკური სივრცის ერთიანობა, საქონლის, მომსახურებისა და ფინანსური საშუალებების თავისუფალი გადაადგილება, კონკურენციის მხარდაჭერა, ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება.

2. რუსეთის ფედერაციაში აღიარებულია და თანაბრად არის დაცული კერძო, სახელმწიფო, მუნიციპალური საკუთრება და საკუთრების სხვა ფორმები.

მუხლი 9.

1. რუსეთის ფედერაციაში მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები გამოიყენება და დაცულია, როგორც შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების სიცოცხლისა და საქმიანობის საფუძველი.

2. მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები შეიძლება არსებობდეს კერძო, სახელმწიფო, მუნიციპალური საკუთრებით და საკუთრების სხვა ფორმებით.

მუხლი 10.

რუსეთის ფედერაციაში სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების შტოებად დანაწილების საფუძველზე. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოები დამოუკიდებელნი არიან.

მუხლი 11.

1. რუსეთის ფედერაციაში სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებენ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი, ფედერალური კრება (ფედერაციის საბჭო და სახელმწიფო სათათბირო), რუსეთის ფედერაციის მთავრობა, რუსეთის ფედერაციის სასამართლოები.

2. რუსეთის ფედერაციის სუბიექტებში სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებენ მათ მიერ შექმნილი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები.

3. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და რუსეთის ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ორგანოების გამგებლობას მიკუთვნებული სფეროებისა და უფლებამოსილებების გამიჯვნა ხორციელდება წინამდებარე კონსტიტუციით, გამგებლობას მიკუთვნებული სფეროებისა და უფლებამოსილებების გამიჯვნის შესახებ ფედერალური და სხვა ხელშეკრულებებით.

მუხლი 12.

რუსეთის ფედერაციაში აღიარებული და გარანტირებულია ადგილობრივი თვითმმართველობა. ადგილობრივი თვითმმართველობა დამოუკიდებელია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები არ შედის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების სისტემაში.

მუხლი 13.

1. რუსეთის ფედერაციაში აღიარებულია იდეოლოგიური მრავალფეროვნება.

2. არანაირი იდეოლოგია არ შეიძლება იქნეს დადგენილი, როგორც სახელმწიფო ან სავალდებულო.

3. რუსეთის ფედერაციაში აღიარებულია პოლიტიკური მრავალფეროვნება, მრავალპარტიულობა.

4. საზოგადოებრივი გაერთიანებები კანონის წინაშე თანასწორია.

5. აკრძალულია ისეთი საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნა და საქმიანობა, რომელთა მიზნები ან მოქმედებები მიმართულია რუსეთის ფედერაციის მთლიანობის დარღვევისა და კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი გზით შეცვლისაკენ, აგრეთვე სახელმწიფო უშიშროების ხელყოფის, შეირაღებული ფორმირებების შექმნისა და სოციალური, რასობრივი, ეროვნული ან რელიგიური შუღლის გაღვივებისკენ.

მუხლი 14.

1. რუსეთის ფედერაცია არის საერო სახელმწიფო. არც ერთი რელიგია არ შეიძლება იქნეს დადგენილი, როგორც სახელმწიფო ან სავალდებულო.

2. რელიგიური გაერთიანებები სახელმწიფოსაგან განცალკევებული და კანონის წინაშე თანასწორია.

მუხლი 15.

1. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციას აქვს უმაღლესი იურიდიული ძალა, მოქმედებს პირდაპირ და გამოიყენება რუსეთის ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე. რუსეთის ფედერაციაში მიღებული კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციას.

2. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, თანამდებობის პირები, მოქალაქეები და მათი გაერთიანებები ვალდებულნი არიან დაიცვან რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია და კანონები.

3. კანონები ექვემდებარება ოფიციალურ გამოქვეყნებას. გამოუქვეყნებელი კანონები არ გამოიყენება. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, რომლებიც ადამიანისა და მოქალაქის უფლებებს, თავისუფლებებსა და მოვალეობებს ეხება, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, თუ საყოველთაო გაცნობისათვის ოფიციალურად გამოქვეყნებული არ არის.

4. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები და რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებები რუსეთის ფედერაციის სამართლებრივი სისტემის შემადგენელი ნაწილია. თუ რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია კანონისაგან განსხვავებული წესები, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

მუხლი 16.

1. კონსტიტუციის წინამდებარე თავის დებულებები შეადგენენ რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციური წყობილების საფუძვლებს და არ შეიძლება შეცვლილ იქნეს, გარდა წინამდებარე კონსტიტუციით დადგენილი წესისა.

2. წინამდებარე კონსტიტუციის არც ერთი სხვა დებულება არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციური წყობილების საფუძვლებს.

თავი 2. ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები

მუხლი 17.

1. რუსეთის ფედერაციაში საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების თანახმად და წინამდებარე კონსტიტუციის შესაბამისად აღიარებული და გარანტირებულია ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები.

2. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები განუსხვისებელია და ყველას დაბადებიდან ეკუთვნის.

3. ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება არ უნდა არღვევდეს სხვა პირების უფლებებსა და თავისუფლებებს.

მუხლი 18.

ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები უშუალოდ მოქმედებენ. ისინი განსაზღვრავენ კანონების არსს, შინაარსსა და გამოყენებას, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობას და უზრუნველყოფილია მართლმსაჯულებით.

მუხლი 19.

1. ყველა თანასწორია კანონისა და სასამართლოს წინაშე.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების თანასწორობას განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, ენის, წარმოშობის, ქონებრივი და თანამდებობრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, რწმენის, საზოგადოებრივი გაერთიანებებისადმი კუთვნილების, ასევე სხვა გარემოებებისა. აკრძალულია მოქალაქეთა უფლებების ნებისმიერი ფორმით შეზღუდვა სოციალური, რასობრივი, ეროვნული, ენობრივი ან რელიგიური კუთვნილების გამო.

3. მამაკაცს და ქალს აქვთ თანაბარი უფლებები და თავისუფლებები და მათი რეალიზაციის თანაბარი შესაძლებლობები.

მუხლი 20.

1. ყველას აქვს სიცოცხლის უფლება.

2. სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელის განსაკუთრებული ზომა, მის გაუქმებამდე შეიძლება დადგენილ იქნეს ფედერალური კანონით სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში ბრალდებულისთვის, იმ უფლებით, რომ მისი საქმე სასამართლოს მიერ განხილულ იქნეს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.

მუხლი 21.

1. პიროვნების ღირსება დაცულია სახელმწიფოს მიერ. არც ერთი გარეგნობა არ შეიძლება იქცეს მისი შელახვის საფუძვლად.

2. არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, ძალადობას, სხვა სასტიკ ან ადამიანის ღირსების დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს. არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს სამედიცინო, სამეცნიერო ან სხვა ცდებს ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე.

მუხლი 22.

1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

2. დაპატიმრება, დატუსაღება და პატიმრობაში ყოფნა დასაშვებია მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით. სასამართლო გადაწყვეტილებამდე პირი არ შეიძლება დაკავებულ იქნეს 48 საათზე მეტის ხნის ვადით.

მუხლი 23.

1. ყველას აქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, პირადი და საოჯახო საიდუმლოების, საკუთარი პატივისა და სახელის დაცვის უფლება.

2. ყველას აქვს საიდუმლო მიმოწერის, სატელეფონო საუბრების, საფოსტო, სატელეგრაფო და სხვა შეტყობინებების უფლება. ამ უფლების შეზღუდვა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე დაიშვება.

მუხლი 24.

1. დაუშვებელია პირის თანხმობის გარეშე მის პირად ცხოვრებაზე ინფორმაციის შეგროვება, შენახვა, გამოყენება და გავრცელება.

2. სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, მათი თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან ყველასთვის უზრუნველყონ იმ დოკუმენტებისა და მასალების გაცნობის უფლება, რომლებიც უშუალოდ ეხება მის უფლებებსა და თავისუფლებებს, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 25.

1. საცხოვრებელი ადგილი ხელშეუხებელია. არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ადგილში მასში მცხოვრები პირების ნების საწინააღმდეგოდ, გარდა ფედერალური კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა ან სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 26.

1. ყველას აქვს თავისი ეროვნული კუთვნილების განსაზღვრისა და მითითების უფლება. არავინ არ შეიძლება იძულებულ იქნეს განსაზღვროს და მიუთითოს თავისი ეროვნული კუთვნილება.

2. ყველას აქვს მშობლიური ენით სარგებლობის, ურთიერთობის, აღზრდის, სწავლისა და შემოქმედების ენის არჩევის უფლება.

მუხლი 27.

1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, აქვს თავისუფლად გადაადგილების, ადგილსამყოფელისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება.

2. ყველას აქვს რუსეთის ფედერაციის ფარგლებს გარეთ თავისუფლად გასვლის უფლება. რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს აქვს რუსეთის ფედერაციაში დაუბრკოლებლად დაბრუნების უფლება.

მუხლი 28. ყველასთვის გარანტირებულია სინდისის თავისუფლება, რწმენის თავისუფლება, მათ შორის უფლება ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად სწამდეს ნებისმიერი რელიგია ან არ სწამდეს არც ერთი, თავისუფლად აირჩიოს, გააჩნდეს და გაავრცელოს რელიგიური ან სხვა მრწამსი და იმოქმედოს მის შესაბამისად.

მუხლი 29.

1. ყველასთვის გარანტირებულია აზრისა და სიტყვის თავისუფლება.

2. დაუშვებელია ისეთი პროპაგანდა ან აგიტაცია, რომელიც აღვიძებს სოციალურ, რასობრივ, ეროვნულ ან რელიგიურ შუღლს. აკრძალულია სოციალური, რასობრივი, ეროვნული, რელიგიური ან ენობრივი უპირატესობის პროპაგანდა.

3. არავინ არ შეიძლება იძულებულ იქნეს გამოხატოს საკუთარი აზრი და მრწამსი ან უარი თქვას მათზე.

4. ყველას აქვს ნებისმიერი კანონიერი გზით ინფორმაციის მოძიების, მიღების, გადაცემის, წარმოებისა და გავრცელების უფლება. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობათა ჩამონათვალი განისაზღვრება ფედერალური კანონით.

5. მასობრივი ინფორმაციის თავისუფლება გარანტირებულია. ცენზურა აკრძალულია.

მუხლი 30.

1. ყველას აქვს გაერთიანების უფლება, მათ შორის საკუთარი ინტერესების დასაცავად პროფესიული კავშირების შექმნის უფლება. საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობის თავისუფლება გარანტირებულია.

2. არავინ არ შეიძლება იძულებულ იქნეს შეეიდეს რაიმე გაერთიანებაში ან იმყოფებოდეს მასში.

მუხლი 31.

რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს უფლება აქვთ შეიკრიბონ მშვიდობიანად, უიარაღოდ, ჩაატარონ კრებები, მიტინგები და დემონსტრაციები, მსვლელობები და პიკეტირება.

მუხლი 32.

1. რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს მართვის საქმეში როგორც უშუალოდ, ისე თავისი წამომადგენლების მეშვეობით.

2. რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს უფლება აქვთ აირჩიონ და არჩეულ იქნენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, აგრეთვე მონაწილეობა მიიღონ რეფერენდუმში.

3. არ შეუძლიათ აირჩიონ და არჩეულ იქნენ სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი, აგრეთვე სასამართლო განაჩენით თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი მოქალაქეები.

4. რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების თანაბარი უფლება აქვთ.

5. რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ მართლმსაჯულების განხორციელებაში.

მუხლი 33.

რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს უფლება აქვთ პირადად მიმართონ, ასევე ინდივიდუალური და კოლექტიური მიმართვები წარუდგინონ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს.

მუხლი 34.

1. ყველას აქვს თავისი უნარისა და ქონების თავისუფალი გამოყენების უფლება სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობისათვის, რაც კანონით არ არის აკრძალული.

2. დაუშვებელია მონოპოლიზაციისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაკენ მიმართული ეკონომიკური საქმიანობა.

მუხლი 35.

1. კერძო საკუთრების უფლება კანონით არის დაცული.

2. ყველას აქვს უფლება ჰქონდეს ქონება საკუთრებაში და როგორც ერთპიროვნულად, ისე სხვა პირებთან ერთად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგოს იგი.

3. არავის არ შეიძლება ჩამოერთვას თავისი ქონება სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. სახელმწიფო საჭიროებისათვის ქონების იძულებითი გასხვისება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წინასწარი და ტოლფასი ანაზღაურების პირობით.

4. მემკვიდრეობის უფლება გარანტირებულია.

მუხლი 36.

1. მოქალაქეებსა და მათ გაერთიანებებს უფლება აქვთ საკუთრებაში ჰქონდეთ მიწა.

2. მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების მათი მესაკუთრეების მიერ ფლობა, სარგებლობა და განკარგვა თავისუფლად ხორციელდება, თუ ის არ აზიანებს გარემოს და არ არღვევს სხვა პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

3. მიწით სარგებლობის პირობები და წესი განისაზღვრება ფედერალური კანონის საფუძველზე.

მუხლი 37.

1. შრომა თავისუფალია. ყველას აქვს უფლება თავისუფლად განკარგოს შრომის საკუთარი შესაძლებლობები, აირჩიოს საქმიანობის სფერო და პროფესია.

2. იძულებითი შრომა აკრძალულია.

3. ყველას აქვს უსაფრთხოებისა და ჰიგიენის მოთხოვნების შესაბამის პირობებში შრომის, რაიმე დისკრიმინაციის გარეშე და არანაკლებ ფედერალური კანონით დადგენილი მინიმალური ოდენობით შრომის ანაზღაურების მიღების, აგრეთვე უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.

4. ინდივიდუალური და კოლექტიური შრომითი დავების, მათ შორის გაფიცვის უფლება აღიარებულია ფედერალური კანონით დადგენილი მათი გადაწყვეტის საშუალებების გამოყენებით.

5. ყველას აქვს დასვენების უფლება. შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე პირისათვის გარანტირებულია ფედერალური კანონით დადგენილი ხანგრძლივობის სამუშაო დრო, დასვენებისა და უქმე დღეები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება.

მუხლი 38.

1. დედობა, ბავშვობა და ოჯახი სახელმწიფოს დაცვის ქვეშ იმყოფება.

2. ბავშვებზე ზრუნვა და მათი აღზრდა მშობლების თანასწორი უფლება და მოვალეობაა.

3. 18 წელს მიღწეული შრომისუნარიანი ბავშვები ვალდებულნი არიან იზრუნონ შრომისუუნარო მშობლებზე.

მუხლი 39.

1. ყველასთვის გარანტირებულია სოციალური უზრუნველყოფა ასაკის გამო, ავადმყოფობის, ინვალიდობის, მარჩენალის დაკარგვის, ბავშვების აღსაზრდელად და კანონით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

2. სახელმწიფო პენსიები და სოციალური შემწეობები დგინდება კანონით.

3. წახალისებულია ნებაყოფლობითი სოციალური დაზღვევა, სოციალური უზრუნველყოფის დამატებითი ფორმების შექმნა და ქველმოქმედება.

მუხლი 40.

1. ყველას აქვს ბინის უფლება. არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას ბინა.

2. სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ხელს უწყობენ საბინაო მშენებლობას და ქმნიან პირობებს ბინის უფლების განხორციელებისთვის.

3. ხელმოკლე და კანონში მითითებულ სხვა მოქალაქეებს, რომელთაც ესაჭიროებათ ბინა, კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად სახელმწიფო, მუნიციპალური და სხვა საბინაო ფონდებიდან უფასოდ ან ხელმისაწვდომი ფასით მიეცემათ ბინა.

მუხლი 41.

1. ყველას აქვს ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო დახმარების უფლება. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო და მუნიციპალურ დაწესებულებებში მოქალაქეებს სამედიცინო დახმარება გაეწევათ უფასოდ შესაბამისი ბიუჯეტის სახსრების, სადაზღვევო შენატანებისა და სხვა შემოსულობების ხარჯზე.

2. რუსეთის ფედერაციაში ფინანსდება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და განმტკიცების ფედერალური პროგრამები, მიიღება ზომები ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო, მუინიციპალური, კერძო სისტემების განვითარებისათვის, წახალისდება საქმიანობა, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებას, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას, ეკოლოგიურ და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ კეთილდღეობას.

3. თანამდებობის პირების მიერ ისეთი ფაქტებისა და გარემოებების დამალვა, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, იწვევს პასუხისმგებლობას ფედერალური კანონის შესაბამისად.

მუხლი 42.

ყველას აქვს კეთილსაიმედო გარემოს, მის მდგომარეობაზე სარწმუნო ინფორმაციისა და იმ ზიანის ანაზღაურების უფლება, რაც მის ჯანმრთელობას ან ქონებას ეკოლოგიური სამართალდარღვევის შედეგად მიადგა.

მუხლი 43.

1. ყველას აქვს განათლების უფლება.

2. გარანტირებულია სკოლამდელი, ძირითადი ზოგადი და საშუალო პროფესიული განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა და უფასო განათლება სახელმწიფო ან მუნიციპალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საწარმოებში.

3. ყველას აქვს სახელმწიფო ან მუნიციპალურ საგანმანათლებლო დაწესებულებასა და საწარმოში კონკურსის საფუძველზე უმაღლესი განათლების მიღების უფლება.

4. ძირითადი ზოგადი განათლება სავალდებულოა. მშობლები ან მათი შემცვლელი პირები უზრუნველყოფენ ბავშვების მიერ ძირითადი ზოგადი განათლების მიღებას.

5. რუსეთის ფედერაცია ადგენს ფედერალურ სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტებს, ხელს უწყობს განათლებისა და თვითგანათლების სხვადასხვა ფორმებს.

მუხლი 44.

1. ყველასთვის გარანტირებულია ლიტერატურული, მხატვრული, სამეცნიერო, ტექნიკური და შემოქმედების სხვა სახეობების, აგრეთვე სწავლების თავისუფლება. ინტელექტუალური საკუთრება კანონით არის დაცული.

2. ყველას აქვს კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის, კულტურის დაწესებულებებით სარგებლობისა და კულტურულ ფასეულობებთან დაშვების უფლება.

3. ყველა ვალდებულია იზრუნოს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაზე, დაიცვას ისტორიისა და კულტურის ძეგლები.

მუხლი 45.

1. რუსეთის ფედერაციაში გარანტირებულია ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

2. ყველას აქვს თავისი უფლებებისა და თავისუფლებების ყველა იმ საშუალებით დაცვის უფლება, რაც კანონით არ არის აკრძალული.

მუხლი 46.

1. ყველასთვის არის გარანტირებული მისი უფლებებისა და თავისუფლებების სასამართლო წესით დაცვის უფლება.

2. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საზოგადოებრივი გაერთიანებების და თანამდებობის პირების გადაწყვეტილებები და მოქმედებები (ან უმოქმედობა) შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

3. ყველას აქვს რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სახელმწიფოთაშორისო ორგანოებისათვის მიმართვის უფლება, თუ ამოწურულია შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის ყველა არსებული საშუალება.

მუხლი 47.

1. არავის არ შეიძლება ჩამოერთვას მისი საქმის იმ სასამართლოში და იმ მოსამართლის მიერ განხილვის უფლება, რომელთა განსჯადობასაც კანონით განეკუთვნება.

2. დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულს, ფედერალური კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აქვს მისი საქმის სასამართლოს მიერ მსაჯულების მონაწილეობით განხილვის უფლება.

მუხლი 48.

1. ყველასთვის გარანტირებულია კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების უფლება. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში იურიდიული დახმარების გაწევა ხორციელდება უფასოდ.

2. ყველა დაკავებულს, დაპატიმრებულს, დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულს აქვს შესაბამისად დაკავების, დაპატიმრების ან ბრალდების წარდგენის მომენტიდან ადვოკატის (დამცველის) დახმარებით სარგებლობის უფლება.

მუხლი 49.

1. დანაშაულის ჩადენაში ყველა ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება ფედერალური კანონით გათვალისწინებული წესით და არ დადგინდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით.

2. ბრალდებული არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა.

3. პირის ბრალეულობის აღმოუფხვრელი ეჭვები ბრალდებულის სასარგებლოდ განიმარტება.

მუხლი 50.

1. არავინ არ შეიძლება ერთსა და იმავე დანაშაულისთვის განმეორებით იქნეს მსჯავრდებული.

2. მართლმსაჯულების განხორციელებისას დაუშვებელია ფედერალური კანონის დარღვევით მიღებული მტკიცებულებების გამოყენება.

3. დანაშაულისთვის მსჯავრდებულ ყველა პირს აქვს ფედერალური კანონით დადგენილი წესით განაჩენის ზემდგომი სასამართლოს მიერ გადასინჯვის, ასევე შეწყალებისა ან სასჯელის შემსუბუქების თხოვნის უფლება.

მუხლი 51.

1. არავინ არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება საკუთარი თავის, მეუღლის ან იმ ახლო ნათესავების წინააღმდეგ, რომელთა წრე ფედერალური კანონით განისაზღვრება.

2. ფედერალური კანონით შეიძლება დადგინდეს ჩვენების მიცემის მოვალეობისაგან განთავისუფლების სხვა შემთხვევები.

მუხლი 52.

დანაშაულის და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების შედეგად დაზარალებულთა უფლებები კანონით არის დაცული. სახელმწიფო უზრუნველყოფს დაზარალებულთა მართლმსაჯულებასთან დაშვებას და მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

მუხლი 53.

ყველას აქვს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ან მათი თანამდებობის პირების უკანონო მოქმედებებით (უმოქმედობით) მიყენებული ზიანის სახელმწიფოსგან ანაზღაურების უფლება.

მუხლი 54.

1. კანონს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არ გააჩნია.

2. არავინ არ შეიძლება აგოს პასუხი იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის მომენტში დანაშაულად არ ითვლებოდა. სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ მისთვის პასუხისმგებლობის გაუქმების ან შემსუბუქების შემთხვევაში გამოიყენება ახალი კანონი.

მუხლი 55.

1. ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციაში ჩამოთვლა არ უნდა იქნეს განმარტებული ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების უარყოფად ან დაკნინებად.

2. რუსეთის ფედერაციაში არ უნდა იქნეს მიღებული ისეთი კანონები, რომლებიც აუქმებს ან ბღალავს ადამიანისა და მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს.

3. ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები შეიძლება შეიზღუდოს ფედერალური კანონით მხოლოდ იმ ზომით, რამდენადაც აუცილებელია კონსტიტუციური წყობილების საფუძვლების, ზნეობის, ჯანმრთელობის, სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, ქვეყნის თავდაცვისა და სახელმწიფო უშიშროების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 56.

1. საგანგებო მდგომარეობის პირობებში მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კონსტიტუციური წყობილების დასაცავად ფედერალური კონსტიტუციური კანონის შესაბამისად შეიძლება დაწესდეს უფლებათა და თავისუფლებათა ცალკეული შეზღუდვები მათი მოქმედების ფარგლებისა და ვადის მითითებით.

2. რუსეთის ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე ან მის ცალკეულ ადგილებში საგანგებო მდგომარეობა შეიძლება გამოცხადდეს ფედერალური კანონით დადგენილი გარემოებების არსებობისას და წესით.

3. შეზღუდვას არ ექვემდებარება რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის მე-20, 21-ე, 23-ე (პირველი ნაწილი), 24-ე, 28-ე, 34-ე (პირველი ნაწილი), მე-40 (პირველი ნაწილი), 46-54-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები.

მუხლი 57.

ყველა ვალდებულია გადაიხადოს კანონიერად დადგენილი გადასახადები და მოსაკრებლები. კანონებს, რომლებიც აწესებენ ახალ გადასახადებს ან აუარესებენ გადასახადის გადამხდელთა მდგომარეობას, უკუძალა არ გააჩნიათ.

მუხლი 58.

ყველა ვალდებულია დაიცვას ბუნება და გარემო, სიფრთხილით მოეპყროს ბუნებრივ რესურსებს.

მუხლი 59.

1. სამშობლოს დაცვა რუსეთის ფედერაციის მოქალაქის ვალი და ვალდებულებაა.

2. რუსეთის ფედერაციის მოქალაქე სამხედრო სამსახურს გაიელის ფედერალური კანონის შესაბამისად.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც რუსეთის ფედერაციის მოქალაქის მრწამსი ან ალმსარებლობა ეწინააღმდეგება სამხედრო სამსახურის გავლას, აგრეთვე

ფედერალური კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში, მას უფლება აქვს იგი ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურით შეცვალოს.

მუხლი 60.

რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს თავისი უფლებებისა და მოვალეობების სრული მოცულობით დამოუკიდებლად განხორციელება შეუძლია 18 წლის ასაკიდან.

მუხლი 61.

1. დაუშვებელია რუსეთის ფედერაციის მოქალაქის რუსეთის ფედერაციის ფარგლებს გარეთ გაძევება ან სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემა.

2. რუსეთის ფედერაციის მიერ თავის მოქალაქეთა დაცვა და მფარველობა გარანტირებულია მის ფარგლებს გარეთ.

მუხლი 62.

1. რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს, ფედერალური კანონის ან რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად, შეიძლება ჰქონდეს უცხო სახელმწიფოს მოქალაქეობა (ორმაგი მოქალაქეობა).

2. რუსეთის ფედერაციის მოქალაქის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქეობ ყოფნა არ აკნინებს მის უფლებებსა და თავისუფლებებს და არ ათავისუფლებს რუსეთის მოქალაქეობიდან გამომდინარე მოვალეობებისგან, თუ ფედერალური კანონით ან რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. რუსეთის ფედერაციაში უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები თანაბრად სარგებლობენ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების უფლებებითა და დაკისრებული მოვალეობებით, გარდა ფედერალური კანონით ან რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 63.

1. რუსეთის ფედერაცია, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების შესაბამისად, პოლიტიკურ თავშესაფარს აძლევს უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.

2. რუსეთის ფედერაციაში არ დაიშვება სხვა სახელმწიფოებისთვის იმ პირების გადაცემა, რომლებიც იდევნებიან პოლიტიკური შეხედულებებისთვის, აგრეთვე იმ მოქმედებისთვის (უმოქმედობისთვის), რაც რუსეთის ფედერაციაში დანაშაულად არ ითვლება. დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირების, აგრეთვე სხვა სახელმწიფოებში სასჯელის მოსახდელად მსჯავრდებულთა გადაცემა ხორციელდება ფედერალური კანონის ან რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 64.

წინამდებარე თავის დებულებები შეადგენენ რუსეთის ფედერაციაში პიროვნების სტატუსის სამართლებრივ საფუძვლებს და მათი შეცვლა დაუშვებელია, გარდა ამ კონსტიტუციით დადგენილი წესისა.

თავი 3. ფედერაციული მოწყობა

მუხლი 65.

1. რუსეთის ფედერაციის შემადგებლობაში იმყოფება რუსეთის ფედერაციის შემდეგი სუბიექტები: ადიღეის რესპუბლიკა (ადიღეა), ალტაის რესპუბლიკა, ბაშკორთოსთანის, ბურიატიის რესპუბლიკა, დაღესტნის რესპუბლიკა, ინგუშეთის რესპუბლიკა, თათარსტანის რესპუბლიკა (თათარსტანი), კალმიკიის რესპუბლიკა, კარელიის რესპუბლიკა, კომის რესპუბლიკა, მარი ელის რესპუბლიკა, მორდოვიის რესპუბლიკა, სახას რესპუბლიკა (იაკუტია), ტიუვას რესპუბლიკა, უდმურტის რესპუბლიკა, ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა, ყარაჩაევო-ჩერქეზეთის რესპუბლიკა, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა - ალანია, ჩეჩნეთის რესპუბლიკა, ჩუვაშის რესპუბლიკა - ჩუვაშია, ხაკასიის რესპუბლიკა;

ალტაის მხარე, ზაბაიკალის მხარე, კამჩატკის მხარე, კრასნოდარის მხარე, კრასნოიარსკის მხარე, პერმის მხარე, პრიმორსკის მხარე, სტავროპოლის მხარე, ხაბაროვსკის მხარე;

ამურის ოლქი, არხანგელსკის ოლქი, ასტრახანის ოლქი, ბელგოროდის ოლქი, ბრიანსკის ოლქი, ვლადიმირის ოლქი, ვოლგოგრადის ოლქი, ვოლოგდის ოლქი, ვორონეჟის ოლქი, იაროსლავსკის ოლქი, ივანოვის ოლქი, ირკუტსკის ოლქი, კალინინგრადის ოლქი, კალუგის ოლქი, კემეროვის ოლქი, კიროვის ოლქი, კოსტრომის ოლქი, კურგანის ოლქი, კურსკის ოლქი, ლენინგრადის ოლქი, ლიპეცკის ოლქი, მაგადანის ოლქი, მოსკოვის ოლქი, მურმანსკის ოლქი, ნიჟეგოროდის ოლქი, ნოვგოროდის ოლქი, ნოვოსიბირსკის ოლქი, ომსკის ოლქი, ორენბურგის ოლქი, ორლოვის ოლქი, პენზენის ოლქი, პსკოვის ოლქი, როსტოვის ოლქი, რიაზანის ოლქი, სამარის ოლქი, სარატოვის ოლქი, სახალინის ოლქი, სვერდლოვსკის ოლქი, სმოლენსკის ოლქი, ტამბოვის ოლქი, ტვერის ოლქი, ტომსკის ოლქი, ტულის ოლქი, ტიუმენის ოლქი, ულიანოვსკის ოლქი, ჩელიაბინსკის ოლქი;

ფედერალური მნიშვნელობის ქალაქები: მოსკოვი, სანქტ-პეტერბურგი;

ებრაელთა ავტონომიური ოლქი;

ნენეცკის ავტონომიური ოკრუგი, ხანტი-მანსიის ავტონომიური ოკრუგი — იუგრა, ჩუკოტკის ავტონომიური ოკრუგი, იამალო-ნენეცკის ავტონომიური ოკრუგი.

2. რუსეთის ფედერაციაში ახალი სუბიექტის მიღება და მის შემადგენლობაში ახალი სუბიექტის შექმნა ხორციელდება ფედერალური კონსტიტუციური კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 66.

1. რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციითა და რესპუბლიკის კონსტიტუციით.

2. მხარის, ოლქის, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის სტატუსი განისაზღვრება რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციითა და მხარის, ოლქის, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის დებულებით, რომელიც მიიღება რუსეთის ფედერაციის შესაბამისი სუბიექტის საკანონმდებლო (წარმომადგენლობითი) ორგანოს მიერ.

3. ავტონომიური ოლქის ან ავტონომიური ოკრუგის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების წარდგინებით შეიძლება მიღებულ იქნეს ფედერალური კანონი ავტონომიური ოლქის ან ავტონომიური ოკრუგის შესახებ.

4. მხარის ან ოლქის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური ოკრუგების ურთიერთობები შეიძლება მოწესრიგდეს ფედერალური კანონით და ავტონომიური ოკრუგის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და, შესაბამისად, მხარის ან ოლქის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის ხელშეკრულებით.

5. რუსეთის ფედერაციის სუბიექტის სტატუსი შეიძლება შეიცვალოს იქნეს ფედერალური კონსტიტუციური კანონის შესაბამისად, რუსეთის ფედერაციისა და რუსეთის ფედერაციის სუბიექტის ურთიერთშეთანხმებით.

მუხლი 67.

1. რუსეთის ფედერაციის ტერიტორია მოიცავს მისი სუბიექტების ტერიტორიებს, შიდა წყლებს, ტერიტორიულ ზღვასა და მათ ზემოთ საჰაერო სივრცეს.

2. რუსეთის ფედერაციას გააჩნია სუვერენული უფლებები და ახორციელებს იურისდიქციას რუსეთის ფედერაციის კონტინენტურ შელფსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ფედერალური კანონითა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით დადგენილი წესით.

3. საზღვრები რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს შორის შეიძლება შეიცვალოს იქნეს მათი ურთიერთშეთანხმებით.

მუხლი 68.

1. რუსეთის ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად ითვლება რუსული ენა.

2. რესპუბლიკებს უფლება აქვთ დაადგინონ საკუთარი სახელმწიფო ენები. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და რესპუბლიკების სახელმწიფო დაწესებულებებში ისინი რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ენასთან ერთად გამოიყენება.

3. რუსეთის ფედერაცია მისი ხალხებისათვის უზრუნველყოფს მშობლიური ენის შენარჩუნების, მისი შესწავლისა და განვითარებისათვის პირობების შექმნის უფლებას.

მუხლი 69.

რუსეთის ფედერაცია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და რუსეთის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად უზრუნველყოფს მკვიდრი მცირერიცხოვანი ხალხების უფლებებს.

მუხლი 70.

1. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დროშა, გერბი და ჰიმნი, მათი აღწერილობა და ოფიციალური გამოყენების წესი დგინდება ფედერალური კონსტიტუციური კანონით.

2. რუსეთის ფედერაციის დედაქალაქია მოსკოვი. დედაქალაქის სტატუსი განისაზღვრება ფედერალური კანონით.

მუხლი 71. რუსეთის ფედერაციის გამგებლობაშია:

ა) რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციისა და ფედერალური კანონების მიღება, შეცვლა და მათ შესრულებაზე კონტროლი;

ბ) რუსეთის ფედერაციის ფედერაციული მოწყობა და ტერიტორია;

გ) ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების რეგულირება და დაცვა; მოქალაქეობა რუსეთის ფედერაციაში; ეროვნულ უმცირესობათა უფლებების რეგულირება და დაცვა;

დ) საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ფედერალური ორგანოების სისტემის, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესის დადგენა; სახელმწიფო ხელისუფლების ფედერალური ორგანოების ფორმირება;

ე) ფედერალური სახელმწიფო საკუთრება და მისი მართვა;

ვ) რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო, ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური, კულტურული და ეროვნული განვითარების სფეროში ფედერალური პოლიტიკის საფუძვლებისა და ფედერალური პროგრამების დადგენა;

ზ) ერთიანი ბაზრის სამართლებრივი საფუძვლების დადგენა; საფინანსო, სავალუტო, საკრედიტო და საბაჟო რეგულირება, ფულადი ემისია, ფასების

პოლიტიკის საფუძვლები; ფედერალური ეკონომიკური სამსახურები, მათ შორის ფედერალური ბანკები;

თ) ფედერალური ბიუჯეტი; ფედერალური გადასახადები და მოსაკრებლები; რეგიონალური განვითარების ფედერალური ფონდები;

ი) ფედერალური ენერგეტიკული სისტემები, ბირთვული ენერგეტიკა, გახლეჩადი მასალები; ფედერალური ტრანსპორტი, მიმოსვლის გზები, ინფორმაცია და კავშირი; საქმიანობა კოსმოსში;

კ) რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები, რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებები; ომისა და მშვიდობის საკითხები;

ლ) რუსეთის ფედერაციის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები;

მ) თავდაცვა და უშიშროება; თავდაცვითი წარმოება; იარაღის, საბრძოლო მასალის, სამხედრო ტექნიკისა და სხვა სამხედრო ქონების გაყიდვისა და შეძენის წესის განსაზღვრა; მომწამვლელი ნივთიერებებისა და ნარკოტიკული საშუალებების წარმოება და მათი გამოყენების წესი;

ნ) რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრის, ტერიტორიული ზღვის, საჰაერო სივრცის, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისა და კონტინენტური შელფის სტატუსის განსაზღვრა და დაცვა;

ო) სამართალწარმოება; პროკურატურა; სისხლის, სისხლის სამართლის საპროცესო და სასჯელაღსრულებითი კანონმდებლობა; ამნისტია და შეწყალება; სამოქალაქო, სამოქალაქო სამართლის საპროცესო და საარბიტრაჟო პროცესუალური კანონმდებლობა; ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი რეგულირება;

პ) ფედერალური კოლიზიური სამართალი;

ჟ) მეტეოროლოგიური სამსახური, სტანდარტები, ეტალონები, მეტრული სისტემა და დროის გამოთვლა; გეოდეზია და კარტოგრაფია; გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებები; ოფიციალური სტატისტიკური და საბუღალტრო აღრიცხვა;

რ) რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ჯილდოები და საპატიო წოდებები;

ს) ფედერალური სახელმწიფო სამსახური.

მუხლი 72.

1. რუსეთის ფედერაციისა და რუსეთის ფედერაციის სუბიექტების ერთობლივ გამგებლობაშია:

ა) რესპუბლიკების კონსტიტუციებისა და კანონების, მხარეების, ოლქების, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქების, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგების დებულებების, კანონებისა და სხვა ნორმატიულ-სამარ-

თლებრივი აქტების რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციასთან და ფედერალურ კანონებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

ბ) ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა; ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა; კანონიერების, მართლწესრიგის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სასაზღვრო ზონების რეჟიმი;

გ) მიწით, წიაღით, წყლითა და სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, მათი მფლობელობისა და განკარგვის საკითხები;

დ) სახელმწიფო საკუთრების გამიჯვნა;

ე) ბუნებით სარგებლობა; გარემოს დაცვა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა; განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიები; ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვა;

ვ) აღზრდის, განათლების, მეცნიერების, კულტურის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის ზოგადი საკითხები;

ზ) ჯანმრთელობის დაცვის საკითხების კოორდინაცია; ოჯახის, დედობის, მამობისა და ბავშვობის დაცვა; სოციალური დაცვა, მათ შორის სოციალური უზრუნველყოფა;

თ) კატასტროფებთან, სტიქიურ უბედურებებთან, ეპიდემიებსა და მათი შედეგების ლიკვიდაციასთან ბრძოლის ზომების განხორციელება;

ი) რუსეთის ფედერაციაში გადასახადებით დაბეგვრისა და მოსაკრებლების ზოგადი პრინციპების დადგენა;

კ) ადმინისტრაციული, ადმინისტრაციულ-პროცესუალური, შრომის, საოჯახო, საბინაო, მიწის, წყლის, ტყის, წიაღისა და გარემოს შესახებ კანონმდებლობა;

ლ) სასამართლო და სამართალდამცავი ორგანოების კადრები; ადვოკატურა; ნოტარიატი;

მ) მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფთა ბინადრობის ძირძველი სფეროსა და ცხოვრების ტრადიციული წესის დაცვა;

ნ) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სისტემის ორგანიზაციის ზოგადი პრინციპების დადგენა;

ო) რუსეთის ფედერაციის სუბიექტების საერთაშორისო და საგარეო ეკონომიკური კავშირების კოორდინაცია, რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულება.

2. წინამდებარე მუხლის დებულებები თანაბრად ვრცელდება რესპუბლიკებზე, მხარეებზე, ოლქებზე, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქებზე, ავტონომიურ ოლქსა და ავტონომიურ ოკრუგებზე.

მუხლი 73.

რუსეთის ფედერაციის გამგებლობისა და რუსეთის ფედერაციის უფლებამოსილების რუსეთის ფედერაციისა და მისი სუბიექტების ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების ფარგლებს გარეთ არსებული სახელმწიფო ხელისუფლება რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს მთელი სისრულით გააჩნიათ.

მუხლი 74.

1. რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე საქონლის, მომსახურებისა და ფინანსური საშუალებების თავისუფალი გადაადგილებისთვის არ დაიშვება საბაჟო საზღვრების, საბაჟო გადასახდელების, მოსაკრებლებისა და სხვა რაიმე დაბრკოლებების დადგენა.

2. საქონლისა და მომსახურების გადაადგილების შეზღუდვა შეიძლება შემოღებულ იქნეს ფედერალური კანონის შესაბამისად, თუ ეს აუცილებელია ადამიანების უსაფრთხოების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად, ბუნებისა და კულტურული ფასეულობების დასაცავად.

მუხლი 75.

1. რუსეთის ფედერაციაში ფულის ერთეულს წარმოადგენს რუბლი. ფულადი ემისია ხორციელდება მხოლოდ რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის მიერ. დაუშვებელია რუსეთის ფედერაციაში სხვა ფულის შემოღება და ემისია.

2. რუბლის მდგრადობის დაცვა და უზრუნველყოფა რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის ძირითადი ფუნქციაა, რომელსაც იგი სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებისაგან დამოუკიდებლად ახორციელებს.

3. რუსეთის ფედერაციაში ფედერალურ ბიუჯეტში შესატანი გადასახადების სისტემა და გადასახადებით დაბეგვრისა და მოსაკრებლების ზოგადი პრინციპები დგინდება ფედერალური კანონით.

4. სახელმწიფო სესხების გამოშვება ხორციელდება ფედერალური კანონით დადგენილი წესით და მათი განთავსება ხორციელდება ნებაყოფლობით საფუძველზე.

მუხლი 76.

1. რუსეთის ფედერაციის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე მიიღება ფედერალური კონსტიტუციური კანონები და ფედერალური კანონები, რომლებსაც რუსეთის ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე პირდაპირი მოქმედების ძალა აქვთ.

2. რუსეთის ფედერაციისა და რუსეთის ფედერაციის სუბიექტების ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე მიიღება ფედერალური კა-

ნონები და მათ შესაბამისად მისაღები რუსეთის ფედერაციის სუბიექტების კანონები და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები.

3. ფედერალური კანონები არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ფედერალურ კონსტიტუციურ კანონებს.

4. რუსეთის ფედერაციის გამგებლობის, რუსეთის ფედერაციისა და მისი სუბიექტების ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებულ ფარგლებს გარეთ არსებულ საკითხებზე რესპუბლიკები, მხარეები, ოლქები, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქები, ავტონომიური ოლქი და ავტონომიური ოკრუგები ახორციელებენ თავიანთ სამართლებრივ რეგულირებას, მათ შორის კანონებისა და ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მიღებას.

5. რუსეთის ფედერაციის სუბიექტების კანონები და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად მიღებულ ფედერალურ კანონებს. ფედერალურ კანონსა და რუსეთის ფედერაციაში გამოცემულ სხვა აქტს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში მოქმედებს ფედერალური კანონი.

6. ფედერალურ კანონსა და ამ მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად გამოცემულ რუსეთის ფედერაციის სუბიექტის ნორმატიულ-სამართლებრივ აქტს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში მოქმედებს რუსეთის ფედერაციის სუბიექტის ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი.

მუხლი 77.

1. რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ავტონომიური ოკრუგების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების სისტემა დამოუკიდებლად დგინდება რუსეთის ფედერაციის სუბიექტების მიერ რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციური წყობილების საფუძვლებისა და ფედერალური კანონით დადგენილი სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ორგანიზაციის ზოგადი პრინციპების შესაბამისად.

2. რუსეთის ფედერაციის გამგებლობისა და რუსეთის ფედერაციის უფლებამოსილების რუსეთის ფედერაციისა და მისი სუბიექტების ერთობლივი გამგებლობის ფარგლებში, ფედერალური და რუსეთის ფედერაციის სუბიექტების აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები ქმნიან აღმასრულებელი ხელისუფლების ერთიან სისტემას რუსეთის ფედერაციაში.

მუხლი 78.

1. თავიანთი უფლებამოსილების განსახორციელებლად აღმასრულებელი ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებს შეუძლიათ შექმნან თავიანთი ტერიტორიული ორგანოები და დანიშნონ შესაბამისი თანამდებობის პირები.

2. აღმასრულებელი ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებს, რუსეთის ფედერაციის სუბიექტების აღმასრულებელ ორგანოებთან შეთანხმებით, შეუძლიათ ნაწილობრივ გადასცენ ამ უკანასკნელთ თავიანთი უფლებამოსილების განხორციელების უფლება, თუ ეს არ ეწინააღმდეგება რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციასა და ფედერალურ კანონებს.

3. რუსეთის ფედერაციის სუბიექტების აღმასრულებელ ორგანოებს, აღმასრულებელი ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებთან შეთანხმებით, შეუძლიათ ნაწილობრივ გადასცენ ამ უკანასკნელთ თავისი უფლებამოსილების განხორციელების უფლება.

4. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი და რუსეთის ფედერაციის მთავრობა ფედერალური სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილებების განხორციელებას რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის შესაბამისად უზრუნველყოფენ რუსეთის ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე.

მუხლი 79.

რუსეთის ფედერაციას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოთაშორისო გაერთიანებებში და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად მათ ნაწილობრივ გადასცეს თავისი უფლებამოსილებები, თუ ეს არ იწვევს ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას და არ ეწინააღმდეგება რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციური წყობილების საფუძვლებს.

თავი 4. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი

მუხლი 80.

1. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური.

2. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი არის რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის, ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების გარანტი. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით დადგენილი წესით ის იღებს ზომებს რუსეთის ფედერაციის სუვერენიტეტის, მისი დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოს მთლიანობის დასაცავად, უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების შეთანხმებულ ფუნქციონირებასა და ურთიერთმოქმედებას.

3. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციისა და ფედერალური კანონების შესაბამისად განსაზღვრავს სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.

4. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფოს მეთაური, წარმოადგენს რუსეთის ფედერაციას ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ურთიერთობებში.

მუხლი 81.

1. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი აირჩევა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების მიერ ოთხი წლით საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

2. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს რუსეთის ფედერაციის არანაკლებ 35 წლის ასაკის მოქალაქე, რომელსაც რუსეთის ფედერაციაში მუდმივად უცხოვრია არანაკლებ 10 წლის განმავლობაში.

3. ერთი და იგივე პირმა არ შეიძლება დაიკავოს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობა ზედიზედ ორ ვადაზე მეტჯერ.

4. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევის წესი განისაზღვრება ფედერალური კანონით.

მუხლი 82.

1. თანამდებობის დაკავებისას რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ხალხის წინაშე დებს შემდეგ ფიცს:

„ვფიცავ, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის უფლებამოსილების განხორციელებისას პატივს ვცემ და დავიცავ ადამიანისა და მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს, შევასრულებ და დავიცავ რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციას, სუვერენიტეტს და დამოუკიდებლობას, სახელმწიფოს უშიშროებასა და მთლიანობას, ერთგულად ვემსახურები ხალხს.“

2. ფიცი დაიდება საზეიმო ვითარებაში ფედერაციის საბჭოს წევრების, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებისა და რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების თანდასწრებით.

მუხლი 83.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი:

ა) სახელმწიფო სათათბიროს თანხმობით ნიშნავს რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარეს;

ბ) უფლებამოსილია თავმჯდომარეობდეს რუსეთის ფედერაციის მთავრობის სხდომებს;

გ) იღებს გადაწყვეტილებას რუსეთის ფედერაციის მთავრობის გადაყენების შესახებ;

დ) სახელმწიფო სათათბიროს წარუდგენს კანდიდატურას რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარის თანამდებობაზე დასანიშნად; სახელმწიფო სათათბიროს წინაშე აყენებს საკითხს რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე;

ე) რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეებს, ფედერალურ მინისტრებს;

ვ) ფედერაციის საბჭოს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს, რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლეების, ასევე რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის კანდიდატურებს; ფედერაციის საბჭოში შეაქვს წინადადება რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე; ნიშნავს სხვა ფედერალური სასამართლოების მოსამართლეებს;

ზ) ქმნის და ხელმძღვანელობს რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს, რომლის სტატუსი განისაზღვრება ფედერალური კანონით;

თ) ამტკიცებს რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინას;

ი) ნიშნავს და ათავისუფლებს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სრულუფლებიან რწმუნებულებს;

კ) ნიშნავს და ათავისუფლებს რუსეთის ფედერაციის შეირაღებული ძალების უმაღლეს სარდლობას;

ლ) ფედერალური კრების პალატების შესაბამის კომიტეტებსა და კომისიებთან კონსულტაციების შემდეგ ნიშნავს და გამოიწვევს უცხო სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში რუსეთის ფედერაციის დიპლომატიურ წარმომადგენლებს.

მუხლი 84.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი:

ა) რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციისა და ფედერალური კანონის შესაბამისად ნიშნავს სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებს;

ბ) რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით დადგენილ შემთხვევებში და წესით დაითხოვს სახელმწიფო სათათბიროს;

გ) ფედერალური კონსტიტუციური კანონით დადგენილი წესით ნიშნავს რეფერენდუმს;

დ) სახელმწიფო სათათბიროში შეაქვს კანონპროექტები;

ე) ხელს აწერს და აქვეყნებს ფედერალურ კანონებს;

ვ) ფედერალურ კრებას მიმართავს ყოველწლიური მოხსენებით ქვეყანაში არსებული მდგომარეობის, სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ.

მუხლი 85.

1. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და რუსეთის ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის, ასევე რუსეთის ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის უთანხმოების გადაწყვეტის მიზნით რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს შეუძლია გამოიყენოს შემთანხმებელი პროცედურე-

ბი. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მას შეუძლია დავის გადაწყვეტა განსახილველად გადასცეს შესაბამის სასამართლოს.

2. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი უფლებამოსილია შესაბამისი სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტამდე შეაჩეროს რუსეთის ფედერაციის სუბიქტების აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა აქტების მოქმედება ამ აქტების რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციასთან და ფედერალურ კანონებთან, რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ვალდებულებებთან წინააღმდეგობის ან ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შემთხვევაში.

მუხლი 86.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი:

ა) ახორციელებს რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობას:

ბ) აწარმოებს მოლაპარაკებებს და ხელს აწერს რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებებს;

გ) ხელს აწერს სარატიფიკაციო სიგელებს;

დ) იღებს მასთან აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლების რწმუნებათა და გამოწვევის სიგელებს.

მუხლი 87.

1. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი არის რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

2. რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ აგრესიის ან აგრესიის უშუალო საფრთხის შემთხვევაში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ან მის ცალკეულ ადგილებში აცხადებს საომარ მდგომარეობას და ამის თაობაზე დაუყოვნებლიც ატყობინებს ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს.

3. საომარი მდგომარეობის რეჟიმი განისაზღვრება ფედერალური კონსტიტუციური კანონით.

მუხლი 88.

ფედერალური კონსტიტუციური კანონით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას და კანონით დადგენილი წესით, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ან მის ცალკეულ ადგილებში აცხადებს საგანგებო მდგომარეობას და ამის თაობაზე დაუყოვნებლივ ატყობინებს ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს.

მუხლი 89.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი:

ა) წყვეტს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობისა და პოლიტიკური თავშესაფრის მიცემის საკითხებს;

ბ) აჯილდოებს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ჯილდოებით, ანიჭებს რუსეთის ფედერაციის საპატიო წოდებებს, უმაღლეს სამხედრო და უმაღლეს სპეციალურ წოდებებს;

გ) ახორციელებს შეწყალებას.

მუხლი 90.

1. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებებსა და განკარგულებებს.

2. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანებულებები და განკარგულებები შესასრულებლად სავალდებულოა რუსეთის ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე.

3. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანებულებები და განკარგულებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციასა და ფედერალურ კანონებს.

მუხლი 91.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ხელშეუხებელია.

მუხლი 92.

1. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი უფლებამოსილების შესრულებას შეუდგება ფიცის დადების მომენტიდან და მის შესრულებას წყვეტს თანამდებობაზე ყოფნის ვადის ამოწურვასთან ერთად რუსეთის ფედერაციის ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან.

2. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი უფლებამოსილების განხორციელებას ვადამდე წყვეტს გადადგომის, მუდმივი ქმედუუნარობისას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან თანამდებობიდან გადაყენების შემთხვევაში. ამასთან, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები უნდა ჩატარდეს უფლებამოსილების განხორციელების ვადამდე შეწყვეტის მომენტიდან არა უგვიანეს სამი თვის ვადაში.

3. ყველა შემთხვევაში, როდესაც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება, მას დროებით ასრულებს რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარე. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს არა აქვს სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის, რეფერენდუმის დანიშვნის, ასევე რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის დებულებების შესწორებებისა და გადასინჯვის თაობაზე წინადადებების შეტანის უფლება.

მუხლი 93.

1. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი შეიძლება გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან ფედერაციის საბჭოს მიერ, მხოლოდ სახელმწიფო სათათბიროს მიერ სახელმწიფო ღალატის ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენაში წაყენებული ბრალდების საფუძველზე, რაც დადასტურებული უნდა იყოს რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს დასკვნით რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ქმედებებში დანაშაულის ნიშნების არსებობის შესახებ და რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნით ბრალდების წაყენების დადგენილი წესის დაცვის შესახებ.

2. სახელმწიფო სათათბიროს გადაწყვეტილება ბრალდების წაყენების თაობაზე და ფედერაციის საბჭოს გადაწყვეტილება პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ მიღებული უნდა იყოს თითოეულ პალატაში წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა ორი მესამედით, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა არანაკლებ ერთი მესამედის ინიციატივით, სახელმწიფო სათათბიროს მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის დასკვნის არსებობისას.

3. ფედერაციის საბჭოს გადაწყვეტილება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო სათათბიროს მიერ პრეზიდენტის წინააღმდეგ ბრალდების წაყენებიდან არა უგვიანეს სამი თვის ვადაში. თუ ამ პერიოდში არ იქნება მიღებული ფედერაციის საბჭოს გადაწყვეტილება, პრეზიდენტის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება მოხსნილად ითვლება.

თავი 5. ფედერალური კრება

მუხლი 94.

ფედერალური კრება — რუსეთის ფედერაციის პარლამენტი არის რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანო.

მუხლი 95.

1. ფედერალური კრება შედგება ორი პალატის: ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროსაგან.

2. ფედერაციის საბჭოში შედის რუსეთის ფედერაციის ყოველი სუბიექტის ორ-ორი წარმომადგენელი: თითო-თითო სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოებიდან.

3. სახელმწიფო სათათბირო შედგება 450 დეპუტატისგან.

მუხლი 96.

1. სახელმწიფო სათათბირო აირჩევა ოთხი წლის ვადით.

2. ფედერაციის საბჭოს შექმნისა და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების არჩევის წესი დგინდება ფედერალური კანონებით.

მუხლი 97.

1. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნეს 21 წლის ასაკს მიღწეული და არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე რუსეთის ფედერაციის მოქალაქე.

2. ერთი და იგივე პირი არ შეიძლება იმავდროულად იყოს ფედერაციის საბჭოს წევრი და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი იმავდროულად არ შეიძლება იყოს სახელმწიფო ხელისუფლების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დეპუტატი.

3. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები მუშაობენ პროფესიონალურ მუდმივ საფუძველზე. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები არ შეიძლება იმყოფებოდნენ სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდნენ სხვა ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობისა.

მუხლი 98.

1. ფედერაციის საბჭოს წევრები და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები უფლებამოსილების მთელი ვადის განამავლობაში ხელშეუხებელნი არიან. არ შეიძლება მათი დაკავება, დაპატიმრება, გაჩხრეკა, გარდა დანაშაულის ადგილზე დაკავების შემთხვევებისა, აგრეთვე მათი პირადი გასინჯვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გათვალისწინებულია ფედერალური კანონით სხვა ადამიანების უსაფრთხოების დასაცავად.

2. ხელშეუხებლობის მოხსნის საკითხი წყდება რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის წარდგინების საფუძველზე ფედერალური კრების შესაბამისი პალატის მიერ.

მუხლი 99.

1. ფედერალური კრება მუდმივმოქმედი ორგანოა.

2. სახელმწიფო სათათბირო პირველ სხდომაზე იკრიბება არჩევიდან ოცდამეათე დღეს. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს შეუძლია სახელმწიფო სათათბიროს სხდომა ამ ვადაზე ადრე მოიწვიოს.

3. სახელმწიფო სათათბიროს პირველ სხდომას ხსნის ასაკით უხუცესი დეპუტატი.

4. ძველი მოწვევის სახელმწიფო სათათბიროს უფლებამოსილება წყდება ახალი მოწვევის სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის დაწყების მომენტიდან.

მუხლი 100.

1. ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს სხდომები ცალ-ცალკე ტარდება.

2. ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს სხდომები ღიაა. პალატის რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მას შეუძლია ჩაატაროს დახურული სხდომები.

3. პალატები შეიძლება ერთად შეიკრიბონ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტისა და რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართვებისა და უცხო სახელმწიფოების მეთაურების გამოსვლების მოსასმენად.

მუხლი 101.

1. ფედერაციის საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს. სახელმწიფო სათათბირო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს.

2. ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილეები, სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე და მისი მოადგილეები უძღვებიან სხდომებს და განაგებენ პალატის შინაგანაწესს.

3. ფედერაციის საბჭო და სახელმწიფო სათათბირო ქმნიან კომიტეტებსა და კომისიებს, თავის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე აწარმოებენ საპარლამენტო მოსმენებს.

4. თითოეული პალატა იღებს თავის რეგლამენტს და წყვეტს თავისი საქმიანობის შინაგანაწესის საკითხებს.

5. ფედერალური ბიუჯეტის შესრულებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით ფედერაციის საბჭო და სახელმწიფო სათათბირო ქმნიან საანგარიშო პალატას, რომლის შემადგენლობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ფედერალური კანონით.

მუხლი 102.

1. ფედერაციის საბჭოს გამგებლობას განეკუთვნება:

ა) რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს შორის საზღვრების შეცვლის დამტკიცება;

ბ) საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანებულების დამტკიცება;

გ) საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანებულების დამტკიცება;

დ) რუსეთის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გამოყენების შესაძლებლობის საკითხის გადაწყვეტა;

ე) რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნა;

ვ) რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება;

ზ) რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს, რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლეების თანამდებობაზე დანიშვნა;

თ) რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება;

ი) საანგარიშო პალატის თავმჯდომარის მოადგილისა და მის აუდიტორთა შემადგენლობის ნახევრის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება;

2. ფედერაციის საბჭო იღებს დადგენილებებს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით მის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე.

3. ფედერაციის საბჭოს დადგენილებები მიიღება ფედერაციის საბჭოს წევრების საერთო რაოდენობის ხმების უმრავლესობით, თუ რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით გადაწყვეტილებების მიღების სხვა წესი არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 103.

1. სახელმწიფო სათათბიროს გამგებლობას განეკუთვნება:

ა) რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის დასანიშნად რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტისთვის თანხმობის მიცემა;

ბ) რუსეთის ფედერაციის მთავრობის ნდობის საკითხის გადაწყვეტა;

გ) რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება;

დ) საანგარიშო პალატის თავმჯდომარისა და მის აუდიტორთა შემადგენლობის ნახევრის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება;

ე) ადამიანის უფლებებზე რწმუნებულების თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება, რომელიც ფედერალური კონსტიტუციური კანონის შესაბამისად მოქმედებს;

ვ) ამნისტიის გამოცხადება;

ზ) თანამდებობიდან გადაყენების მიზნით რუსეთის პრეზიდენტის წინააღმდეგ ბრალდების წაყენება.

2. სახელმწიფო სათათბირო იღებს დადგენილებებს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით მის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე.

3. სახელმწიფო სათათბიროს დადგენილებები მიიღება სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმების უმრავლესობით, თუ რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით გადაწყვეტილებების მიღების სხვა წესი არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 104.

1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, ფედერაციის საბჭოს, ფედერაციის საბჭოს წევრებს, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებს, რუსეთის ფედერაციის მთავრობას, რუსეთის ფედერაციის სუბიექტების საკანონმდებლო (წარმომადგენლობით) ორგანოებს. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, მათი გამგებლობის საკითხებზე, გააჩნია ასევე რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს, რუსეთის ფედერაციის უზენაეს სასამართლოს და რუსეთის ფედერაციის უმაღლეს საარბიტრაჟო სასამართლოს.

2. კანონპროექტების შეტანა ხდება სახელმწიფო სათათბიროში.

3. კანონპროექტები გადასახადების შემოღების ან გაუქმების, გადახდისაგან გათავისუფლების, სახელმწიფო სესხების გამოშვების, სახელმწიფოს ფინანსური ვალდებულებების შეცვლის შესახებ და სხვა კანონპროექტები, რომლებიც ფედერალური ბიუჯეტის ხარჯზე დასაფარავ ხარჯებს ითვალისწინებს, შეიძლება იქნეს შეტანილი მხოლოდ რუსეთის ფედერაციის მთავრობის დასკვნის არსებობისას.

მუხლი 105.

1. ფედერალური კანონები მიიღება სახელმწიფო სათათბიროს მიერ.

2. ფედერალური კანონები მიიღება სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობით, თუ რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებული ფედერალური კანონები ხუთი დღის ვადაში განსახილველად გადაეცემა ფედერაციის საბჭოს.

4. ფედერალური კანონი ფედერაციის საბჭოს მიერ დამტკიცებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს ამ პალატის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი ან იგი ფედერაციის საბჭოს მიერ არ იქნება განხილული თოთხმეტი დღის ვადაში. ფედერაციის საბჭოს მიერ კანონის უარყოფის შემთხვევაში პალატებმა წარმოქმნილი უთანხმოებების დასაძლევად შეიძლება შექმნან შემთანხმებელი კომისია, რის შემდეგაც ფედერალურ კანონს ხელახლა განიხილავს სახელმწიფო სათათბირო.

5. ფედერაციის საბჭოს გადაწყვეტილებასთან სახელმწიფო სათათბიროს შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ფედერალური კანონი მიღებულად ითვლება, თუ განმეორებითი კენჭისყრის დროს მას ხმას მისცემს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ორი მესამედი.

მუხლი 106.

ფედერაციის საბჭოში სავალდებულო განხილვას ექვემდებარება სახელმწიფო სათათბიროს მიერ შემდეგ საკითხებზე მიღებული ფედერალური კანონები:

ა) ფედერალური ბიუჯეტის;

ბ) ფედერალური გადასახადებისა და მოსაკრებლების;

გ) საფინანსო, სავალუტო, საკრედიტო, საბაჟო რეგულირების, ფულადი ემისიის;

დ) რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებისა და დენონსირების;

ე) რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრის სტატუსისა და დაცვის;

ვ) ომისა და მშვიდობის.

მუხლი 107.

1. მიღებული ფედერალური კანონი ხუთი დღის ვადაში ხელმოსაწერად და გამოსაქვეყნებლად გადაეცემა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს.

2. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი თოთხმეტი დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს ფედერალურ კანონს.

3. თუ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ფედერალური კანონის შემოსვლიდან თოთხმეტი დღის ვადაში უარყოფს მას, მაშინ სახელმწიფო სათათბირო და ფედერაციის საბჭო კონსტიტუციით დადგენილი წესით ხელახლა განიხილავს მოცემულ კანონს. თუ განმეორებით განხილვისას ფედერალური კანონი ფედერაციის საბჭოს წევრებისა და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების საერთო რაოდენობის ხმების არანაკლებ ორი მესამედით მიღებულ იქნება ადრე მიღებული რედაქციით, მას შვიდი დღის განმავლობაში ხელს აწერს და აქვეყნებს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი.

მუხლი 108.

1. ფედერალური კონსტიტუციური კანონები მიიღება რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით გათვალისწინებულ საკითხებზე.

2. ფედერალური კონსტიტუციური კანონი მიღებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს ფედერაციის საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის არანაკლებ სამი მეოთხედი და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების საერთო რაოდენობის არანაკლებ ორი მესამედი. მიღებულ ფედერალურ კონსტიტუციურ კანონს თოთხმეტი დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი.

მუხლი 109.

1. სახელმწიფო სათათბირო შეიძლება დათხოვნილ იქნეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 111-ე და 117-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის შემთხვევაში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი არჩევნების თარიღს ნიშნავს იმის გათვალისწინებით, რომ

ახალარჩეული სახელმწიფო სათათბირო შეიკრიბოს დათხოვნის მომენტიდან არა უგვიანეს ოთხი თვის ვადაში.

3. სახელმწიფო სათათბირო არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 117-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებით მისი არჩევიდან ერთი წლის განმავლობაში.

4. სახელმწიფო სათათბირო არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის წინააღმდეგ ბრალდების წაყენების მომენტიდან ფედერაციის საბჭოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე.

5. სახელმწიფო სათათბირო არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს რუსეთის ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე საომარი ან საგანგებო მდგომარეობის მოქმედების დროს, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე ექვსი თვის განმავლობაში.

თავი 6. რუსეთის ფედერაციის მთავრობა

მუხლი 110.

1. რუსეთის ფედერაციის აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს რუსეთის ფედერაციის მთავრობა.

2. რუსეთის ფედერაციის მთავრობა შედგება რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის, რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეებისა და ფედერალური მინისტრებისგან.

მუხლი 111.

1. რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარე ინიშნება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ სახელმწიფო სათათბიროს თანხმობით.

2. რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურის თაობაზე წინადადების შეტანა ხდება რუსეთის ფედერაციის ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ თანამდებობის დაკავებიდან არა უგვიანეს ორი კვირის ვადაში ან რუსეთის ფედერაციის მთავრობის გადადგომის შემდეგ, ანდა სახელმწიფო სათათბიროს მიერ კანდიდატურის უარყოფის დღიდან ერთი კვირის ვადაში.

3. სახელმწიფო სათათბირო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ წარდგენილ რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურას განიხილავს წინადადების შეტანის დღიდან ერთი კვირის ვადაში.

4. სახელმწიფო სათათბიროს მიერ რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურების სამჯერ უარყოფის შემდეგ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი დაითხოვს სახელმწიფო სათათბიროს და ნიშნავს ახალ არჩევნებს.

მუხლი 112.

1. რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარე დანიშვნიდან არა უგვიანეს ერთი კვირის ვადაში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს წარუდგენს წინადადებებს აღმასრულებელი ხელისუფლების ფედერალური ორგანოების სტრუქტურის თაობაზე.

2. რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს წარუდგენს კანდიდატურებს რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეებისა და ფედერალური მინისტრების თანამდებობებზე.

მუხლი 113.

რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარე, რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის, ფედერალური კანონებისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანებულებების შესაბამისად განსაზღვრავს რუსეთის ფედერაციის მთავრობის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და ორგანიზებას უწევს მთავრობის მუშაობას.

მუხლი 114.

1. რუსეთის ფედერაციის მთავრობა:

ა) შეიმუშავებს და სახელმწიფო სათათბიროში წარადგენს ფედერალურ ბიუჯეტს და უზრუნველყოფს მის შესრულებას; სახელმწიფო სათათბიროს წარუდგენს ანგარიშს ფედერალური ბიუჯეტის შესრულების თაობაზე;

ბ) უზრუნველყოფს რუსეთის ფედერაციაში ერთიანი საფინანსო, საკრედიტო და ფულადი პოლიტიკის გატარებას;

გ) ახორციელებს ფედერალური საკუთრების მართვას;

დ) იღებს ზომებს ქვეყნის თავდაცვის, სახელმწიფო უშიშროების, რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის რეალიზაციის უზრუნველსაყოფად;

ე) იღებს ზომებს კანონიერების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, საკუთრებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის უზრუნველსაყოფად;

ვ) ახორციელებს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით, ფედერალური კანონებითა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანებულებებით მასზე დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. რუსეთის ფედერაციის მთავრობის საქმიანობის წესი განისაზღვრება ფედერალური კონსტიტუციური კანონით.

მუხლი 115.

1. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის, ფედერალური კანონების, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ნორმატიული აქტების საფუძველზე და

მათი შესრულების მიზნით, რუსეთის ფედერაციის მთავრობა გამოსცემს დადგენილებებსა და განკარგულებებს, უზრუნველყოფს მათ შესრულებას.

2. რუსეთის ფედერაციის მთავრობის დადგენილებები და განკარგულებები სავალდებულოა შესასრულებლად რუსეთის ფედერაციაში.

3. რუსეთის ფედერაციის მთავრობის დადგენილებები და განკარგულებები, რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციასთან, ფედერალურ კანონებთან და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანებულებებთან მათი წინააღმდეგობის შემთხვევაში, შეიძლება გაუქმდეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ.

მუხლი 116.

რუსეთის ფედერაციის მთავრობა თავის უფლებამოსილებას იხსნის რუსეთის ფედერაციის ახალარჩეული პრეზიდენტის წინაშე.

მუხლი 117.

1. რუსეთის ფედერაციის მთავრობას შეუძლია გადადგეს, რასაც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი მიიღებს ან უარყოფს.

2. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება რუსეთის ფედერაციის მთავრობის გადაყენების შესახებ.

3. სახელმწიფო სათათბირომ შეიძლება უნდობლობა გამოუცხადოს რუსეთის ფედერაციის მთავრობას. დადგენილება რუსეთის ფედერაციის მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ მიიღება სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმათა ნახევარზე მეტით. სახელმწიფო სათათბიროს მიერ რუსეთის ფედერაციის მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შემდეგ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი უფლებამოსილია გამოაცხადოს რუსეთის ფედერაციის მთავრობის გადადგომის შესახებ ან არ დაეთანხმოს სახელმწიფო სათათბიროს გადაწყვეტილებას. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო სათათბირო რუსეთის ფედერაციის მთავრობას სამი თვის ვადაში ხელმეორედ უცხადებს უნდობლობას, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი აცხადებს მთავრობის გადადგომის შესახებ ან დაითხოვს სახელმწიფო სათათბიროს.

4. რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარეს სახელმწიფო სათათბიროს წინაშე შეუძლია დააყენოს რუსეთის ფედერაციის მთავრობის ნდობის საკითხი. თუ სახელმწიფო სათათბირო უარს ეტყვის ნდობაზე, პრეზიდენტი შვიდი დღის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას რუსეთის ფედერაციის მთავრობის გადადგომის ან სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნისა და ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ.

5. გადადგომის ან უფლებამოსილების მოხსნის შემთხვევაში რუსეთის ფედერაციის მთავრობა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დავალებით აგ-

რძელებს საქმიანობას რუსეთის ფედერაციის ახალი მთავრობის ფორმირებამდე.

თავი 7. სასამართლო ხელისუფლება

მუხლი 118.

1. რუსეთის ფედერაციაში მართლმსაჯულება ხორციელდება მხოლოდ სასამართლოს მიერ.

2. სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოების საშუალებით.

3. რუსეთის ფედერაციის სასამართლო სისტემა დგინდება რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციითა და ფედერალური კონსტიტუციური კანონით. საგანგებო სასამართლოების შექმნა დაუშვებელია.

მუხლი 119.

მოსამართლეები შეიძლება იყვნენ 25 წლის ასაკს მიღწეული რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები, რომელთაც აქვთ უმაღლესი იურიდიული განათლება და იურიდიული პროფესიით მუშაობის არანაკლებ ხუთი წლის გამოცდილება. ფედერალური კანონით რუსეთის ფედერაციის სასამართლოების მოსამართლეებისათვის შეიძლება დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები.

მუხლი 120.

1. მოსამართლეები დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციასა და ფედერალურ კანონს ემორჩილებიან.

2. საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს რა სახელმწიფო ან სხვა ორგანოს აქტის კანონთან შეუსაბამობას, გადაწყვეტილებას იღებს კანონის შესაბამისად.

მუხლი 121.

1. მოსამართლეები შეუცვლელნი არიან.

2. მოსამართლის უფლებამოსილება შეიძლება შეწყდეს ან შეჩერდეს მხოლოდ ფედერალური კანონით დადგენილი წესითა და საფუძვლებით.

მუხლი 122.

1. მოსამართლეები ხელშეუხებელნი არიან.

2. მოსამართლე არ შეიძლება მიცემულ იქნეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში, გარდა ფედერალური კანონით განსაზღვრული წესისა.

მუხლი 123.

1. ყველა სასამართლოში საქმის განხილვა ღიაა. საქმის განხილვა დახურულ სხდომაზე დაიშვება ფედერალური კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. არ დაიშვება სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეების დაუსწრებელი განხილვა, გარდა ფედერალური კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის საფუძველზე.

4. ფედერალური კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამართალწარმოება ხორციელდება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.

მუხლი 124.

სასამართლოების დაფინანსება ხდება მხოლოდ ფედერალური ბიუჯეტიდან და ფედერალური კანონის შესაბამისად უნდა უზრუნველყოფდეს მართლმსაჯულების სრული და დამოუკიდებელი განხორციელების შესაძლებლობას.

მუხლი 125.

1. რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 19 მოსამართლისგან.

2. რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, ფედერაციის საბჭოს, სახელმწიფო სათათბიროს, ფედერაციის საბჭოს წევრთა ან სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა ერთი მეხუთედის, რუსეთის ფედერაციის მთავრობის, რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს, რუსეთის ფედერაციის სუბიექტების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების წარდგინების საფუძველზე განიხილავს შემდეგი აქტების რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციასთან შესაბამისობას:

ა) ფედერალური კანონების, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, ფედერაციის საბჭოს, სახელმწიფო სათათბიროს, რუსეთის ფედერაციის მთავრობის ნორმატიული აქტების;

ბ) რესპუბლიკების კონსტიტუციების, დებულებების, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის სუბიექტების კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების, რომლებიც გამოცემულია რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გამგებლობის და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და რუსეთის ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ერთობლივი გამგებლობის საკითხებზე;

გ) რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და რუსეთის ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის ხელშეკრულებების, რუსეთის ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის ხელშეკრულებების;

დ) რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებების, რომლებიც ძალაში არ არის შესული.

3. რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს დავებს კომპეტენციის თაობაზე:

ა) სახელმწიფო ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებს შორის;

ბ) რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და რუსეთის ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის;

გ) რუსეთის ფედერაციის სუბიექტების უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებს შორის.

4. რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლო მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის შესახებ საჩივრებისა და სასამართლოების წარდგინებების საფუძველზე ფედერალური კანონით დადგენილი წესით ამოწმებს კონკრეტულ საქმეში გამოყენებული ან გამოყენებას დაქვემდებარებული კანონის კონსტიტუციურობას.

5. რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, ფედერაციის საბჭოს, სახელმწიფო სათათბიროს, რუსეთის ფედერაციის მთავრობის, რუსეთის ფედერაციის სუბიექტების საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოების წარდგინების საფუძველზე იძლევა რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის განმარტებას.

6. არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტები ან მათი ცალკეული დებულებები ძალას კარგავენ. რუსეთის კონსტიტუციის შეუსაბამო რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებები ძალაში შესვლასა და გამოყენებას არ ექვემდებარება.

7. რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლო ფედერაციის საბჭოს წარდგინების საფუძველზე იძლევა დასკვნას რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის წინააღმდეგ სახელმწიფო ღალატის ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენის ბრალდების წაყენების დადგენილი წესის დაცვის თაობაზე.

მუხლი 126.

რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლო არის უმაღლესი სასამართლო ორგანო სამოქალაქო, სისხლის, ადმინისტრაციული და საერთო იურისდიქციის სასამართლოების განსჯად სხვა საქმეებზე, ფედერალური კანონით გათვალისწინებული პროცესუალური ფორმებით ახორციელებს ზედამ-

ხედველობას მათ საქმიანობაზე და სასამართლო პრაქტიკის საკითხებზე იძლევა განმარტებებს.

მუხლი 127.

რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო არის ეკონომიკური დავებისა და საარბიტრაჟო სასამართლოების მიერ განსახილველი სხვა საქმეების გადაწყვეტის უმაღლესი სასამართლო ორგანო, ფედერალური კანონით გათვალისწინებული პროცესუალური ფორმებით ახორციელებს ზედამხედველობას მათ საქმიანობაზე და სასამართლო პრაქტიკის საკითხებზე იძლევა განმარტებებს.

მუხლი 128.

1. რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს, რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოსა და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლეები ინიშნებიან ფედერაციის საბჭოს მიერ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის წარდგინებით.

2. სხვა ფედერალური სასამართლოების მოსამართლეები ინიშნებიან რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ ფედერალური კანონით დადგენილი წესით.

3. რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს, რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოსა და სხვა ფედერალური სასამართლოების უფლებამოსილება, შექმნისა და საქმიანობის წესი დგინდება ფედერალური კონსტიტუციური კანონით.

მუხლი 129.

1. რუსეთის ფედერაციის პროუკურატურა შეადგენს ერთიან ცენტრალიზებულ სისტემას ქვემდგომი პროკურორების ზემდგომებისათვის და რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორისთვის დაქვემდებარებით.

2. რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორი თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება ფედერაციის საბჭოს მიერ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის წარდგინებით.

3. რუსეთის ფედერაციის სუბიექტების პროკურორები რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის მიერ ინიშნებიან ფედერაციის სუბიექტებთან შეთანხმებით.

4. სხვა პროკურორები ინიშნებიან რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის მიერ.

5. რუსეთის ფედერაციის პროკურატურის უფლებამოსილება, საქმიანობის ორგანიზაცია და წესი განისაზღვრება ფედერალური კანონით.

თავი 8. ადგილობრივი თვითმმართველობა

მუხლი 130.

1. რუსეთის ფედერაციაში ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს მოსახლეობის მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების დამოუკიდებელ გადაწყვეტას, მუნიციპალური საკუთრებით სარგებლობას, მფლობელობასა და განკარგვას.

2. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება მოქალაქეების მიერ რეფერენდუმის, არჩევნების, ნების პირდაპირი გამოვლენის სხვა ფორმების, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევითი და სხვა ორგანოების მეშვეობით.

მუხლი 131.

1. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება ქალაქის, სოფლის დასახლებებსა და სხვა ტერიტორიებზე ისტორიული და სხვა ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინებით. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სტრუქტურა განისაზღვრება მოსახლეობის მიერ დამოუკიდებლად.

2. იმ ტერიტორიების საზღვრების შეცვლა, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება, დაიშვება შესაბამისი ტერიტორიის მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით.

მუხლი 132.

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები დამოუკიდებლად მართავენ მუნიციპალურ საკუთრებას, აყალიბებენ, ამტკიცებენ და ასრულებენ ადგილობრივ ბიუჯეტს, აწესებენ ადგილობრივ გადასახადებსა და მოსაკრებლებს, ახორციელებენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, ასევე წყვეტენ ადგილობრივი მნიშვნელობის სხვა საკითხებს.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს კანონით შეიძლება მიენიჭოთ ცალკეული სახელმწიფო უფლებამოსილებები, მათი განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ფინანსური საშუალებების გადაცემასთან ერთად. გადაცემული უფლებამოსილებების რეალიზება ექვემდებარება სახელმწიფოს მიერ კონტროლს.

მუხლი 133.

რუსეთის ფედერაციაში ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფილია სასამართლო წესით დაცვის უფლებით, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად წარმოქმნილი დამატებითი ხარჯების ანაზღაურებითა და რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციითა და ფედერალური კანონებით დადგენილი ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებების შეზღუდვის აკრძალვით.

თავი 9. კონსტიტუციური შესწორებები და კონსტიტუციის გადასინჯვა

მუხლი 134.

რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის დებულებების შესწორებებისა და გადასინჯვის შესახებ წინადადების შეტანის უფლება აქვს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, ფედერაციის საბჭოს, სახელმწიფო სათათბიროს, რუსეთის ფედერაციის მთავრობას, რუსეთის ფედერაციის სუბიექტების საკანონმდებლო (წარმომადგენლობით) ორგანოებს, ასევე ფედერაციის საბჭოს წევრთა ან სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა არანაკლებ ერთ მეხუთედს.

მუხლი 135.

1. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის პირველი, მე-2 და მე-9 თავების დებულებები არ შეიძლება გადაისინჯოს ფედერალური კრების მიერ.

2. თუ რუსეთის ფედერაციის პირველი, მე-2 და მე-9 თავების დებულებების გადასინჯვის შესახებ წინადადება ფედერაციის საბჭოს წევრთა და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმათა სამი მეხუთედით იქნება მხარდაჭერილი, მაშინ ფედერალური კონსტიტუციური კანონის შესაბამისად მოიწვევა კონსტიტუციური კრება.

3. კონსტიტუციური კრება ან ადასტურებს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის შეუცველელობას, ანდა შეიმუშავებს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის ახალ პროექტს, რომელიც მიიღება კონსტიტუციური კრების წევრთა საერთო რაოდენობის ხმების ორი მესამედით ან გაიტანება საერთო სახალხო კენჭისყრაზე. საერთო სახალხო კენჭისყრისას რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი, იმ პირობით, რომ მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა.

მუხლი 136.

რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის მე-3-8 თავების შესწორებები მიიღება ფედერალური კონსტიტუციური კანონის მიღებისათვის გათვალისწინებული წესით და ძალაში შედის რუსეთის ფედერაციის სუბიექტების საკანონმდებლო ორგანოების არანაკლებ ორი მესამედის მიერ მათი დამტკიცების შემდეგ.

მუხლი 137.

1. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 65-ე მუხლში რუსეთის ფედერაციის შემადგენლობის განმსაზღვრელი ცვლილებების შეტანა ხდება რუსეთის ფედერაციაში მიღების, რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ახალი

სუბიექტის შექმნის ან რუსეთის ფედერაციის სუბიექტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის შეცვლის შესახებ ფედერალური კონსტიტუციური კანონის საფუძველზე.

2. რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქის, ავტონომიური ოლქისა და ავტონომიური ოკრუგის სახელწოდების შეცვლის შემთხვევაში, რუსეთის ფედერაციის სუბიექტის ახალი სახელწოდება შეიტანება რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 65-ე მუხლში.

მეორე განყოფილება
დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

1. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია ძალაში შედის საერთო სახალხო კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, მისი ოფიციალური გამოქვეყნების დღიდან.

საერთო სახალხო კენჭისყრის დღე — 1993 წლის 12 დეკემბერი ითვლება რუსეთის კონსტიტუციის მიღების დღედ.

იმავდროულად წყდება 1978 წლის 12 აპრილს შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით მიღებული რუსეთის ფედერაციის — რუსეთის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მოქმედება.

ფედერალური ხელშეკრულების — რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებსა და რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შემავალ სუვერენული რესპუბლიკების სახელმწიფო ორგანოებს შორის გამგებლობისა და უფლებამოსილების გამიჯვნის თაობაზე, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებსა და რუსეთის ფედერაციის მხარეების, ოლქების, ქალაქების — მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის გამგებლობისა და უფლებამოსილების გამიჯვნის თაობაზე, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და რუსეთის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის გამგებლობისა და უფლებამოსილების გამიჯვნის თაობაზე ხელშეკრულების, ასევე რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებსა და რუსეთის ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის სხვა ხელშეკრულებების, რუსეთის ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის ხელშეკრულებების რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის დებულებებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, მოქმედებს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის დებულებები.

2. წინამდებარე კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მოქმედი კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები იმ ნა-

წილში გამოიყენება, რომელიც არ ეწინააღმდეგება რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციას.

3. რუსეთის ფედერაციის — რუსეთის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) შესაბამისად არჩეული რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი წინამდებარე კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან არჩევის ვადის ამოწურვამდე ახორციელებს მისთვის დადგენილ უფლებამოსილებებს.

4. რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭო — მთავრობა წინამდებარე კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან იძენს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით დადგენილ რუსეთის ფედერაციის მთავრობის უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას და შემდგომ რუსეთის ფედერაციის მთავრობად იწოდება.

5. რუსეთის ფედერაციაში მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები წინამდებარე კონსტიტუციით მათთვის დადგენილი უფლებამოსილების შესაბამისად.

კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ რუსეთის ფედერაციის ყველა სასამართლო თავის უფლებამოსილებას ინარჩუნებს არჩევის ვადის ამოწურვამდე.

ვაკანტური თანამდებობების დაკავება ხდება წინამდებარე კონსტიტუციით დადგენილი წესით.

6. სასამართლოს მიერ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის განხილვის წესის დამდგენი ფედერალური კანონის ამოქმედებამდე შენარჩუნებულია შესაბამისი საქმეების სასამართლო განხილვის წინა წესი.

რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის წინამდებარე კონსტიტუციის დებულებებთან შესაბამისობაში მოყვანამდე შენარჩუნებულია დაპატიმრების, პატიმრობაში ყოფნის და დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირების დაკავების წინა წესი.

7. პირველი მოწვევის ფედერაციის საბჭო და პირველი მოწვევის სახელმწიფო სათათბირო აირჩევა ორი წლის ვადით.

8. ფედერაციის საბჭო თავის პირველ სხდომაზე იკრიბება არჩევიდან ოცდამეათე დღეს. ფედერაციის საბჭოს პირველ სხდომას ხსნის რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი.

9. პირველი მოწვევის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი შეიძლება იმავდროულად იყოს რუსეთის ფედერაციის მთავრობის წევრი. რუსეთის ფედერაციის მთავრობის წევრ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებზე არ ვრცელდება დეპუტატების ხელშეუხებლობის შესახებ წინამდებარე კონსტიტუციის დებულებები, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული მოქმედების (უმოქმედობის) პასუხისმგებლობის ნაწილში.

პირველი მოწვევის ფედერაციის საბჭოს დეპუტატები თავიანთ უფლებამოსილებებს ახორციელებენ არამუდმივ საფუძველზე.



სომხეთის რესპუბლიკა

ზოგადი ცნობარი
შესავალი

ამჟამინდელი სომხეთის წინამორბედი დიდი სომხეთის სახელმწიფო ჩვ. წ. აღრიცხვამდე III საუკუნეში შეიქმნა. სომხეთი ქრისტიანულ სახელმწიფოდ ჯერ კიდევ 301 წელს გამოცხადდა. საუკუნეების მანძილზე მას ეომებოდნენ რომაელები, ბიზანტიელები, არაბები, ირანელები. XII საუკუნეში შეიქმნა სომხეთის სამეფო, ხოლო 1801-1828 წლებში სომხეთი შეეიდა რუსეთის შემადგენლობაში, მისი ერთი ნაწილი კი — თურქეთის შემადგენლობაში. 1920 წელს სომხეთი შეუერთდა საბჭოთა კავშირს, რითაც ჩამოყალიბდა სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. 1988 წლიდან მას ტერიტორიული დავა აქვს აზერბაიჯანთან, რომლის შემადგენლობაშია სომეხი ხალხით დასახლებული მთიანი-ყარაბახი.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: სამხრეთ-დასავლეთი აზია; ჩრდილოეთით ესაზღვრება საქართველო, აღმოსავლეთით — აზერბაიჯანი, დასავლეთით — თურქეთი, სამხრეთით — ირანი.

ფართობი: სულ: 29 800 კმ^2; ხმელეთი: 28 400კმ^2; წყალი: 1 400 კმ^2.

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: ოქროს პატარა საბადოები, სპილენძი, მოლიბდენი, თუთია, ალუმინი.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 2 971 650 (2007);

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:
0-14 წლის: 19.5% (მამაკაცი 307 610; ქალი 271 381);
15-64 წლის: 69.3% (მამაკაცი 962 126; ქალი 1 098 192)
65 და ზემოთ: 11.2% (მამაკაცი 132 705; ქალი 199 636) (2007).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: -0.129% (2007);

შობადობა: 12.34 დაბადებული 1 000 მოსახლეზე (2007);

სიკვდილიანობა: 8.29 გარდაცვლილი 1 000 მოსახლეზე (2007);

მიგრაცია: -5.34 მიგრანტი 1 000 მოსახლეზე (2007);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: მთელი მოსახლეობის მიმართ: 72.12 წელი; კაცი: 68.52 წელი; ქალი: 76.29 (2007).

მოქალაქეობა: სომხეთის

ეთნიკური ჯგუფები: სომეხი 93%, აზერბაიჯანელი 1%, რუსი 2%, სხვა (უმეტესად ქურთი იეზიდი) 4% (2002).

რელიგია: სომხური სამოციქულო 94%, სხვა ქრისტიანული 4%, იეზიდური 2%.

ენა: სომხური 97.7% (ოფიციალური), იეზიდური 1%, რუსული 0.9%, სხვა 0.4% (2001);

განათლებულობა: მთელი მოსახლეობის: 98.6%; მამაკაცი: 99.4%; ქალი: 98% (2003);
განსაზღვრება: მოცემულია 15 წლის ზევით პირთა მიმართ, რომელთაც წერა-კითხვა შეუძლიათ.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:
ვრცელი ფორმა: სომხეთის რესპუბლიკა;
შემოკლებული ფორმა: სომხეთი;
ადგილობრივი შემოკლებული სახელწოდება: აიასტან;
ადგილობრივი ვრცელი სახელწოდება: აიასტანი ჰანრაპეტუტიუნ;
ყოფილი: საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, სომხური რესპუბლიკა.

მმართველობის ფორმა: შერეული მმართველობის რესპუბლიკა

დედაქალაქი: ერევანი

ადმინისტრაციული ერთეულები: 11 ოლქი: არაგაცოტნი, არარატი, არმავირი, გეჰარკუნიკი, ვაიოსძორი, კოტაიკი, ლორი, მარზერი, სიუნიკი, ტავუში, შირაკი. 1 ოლქის მნიშვნელობის ქალაქი: ერევანი.

დამოუკიდებლობა: 1991 წლის 21 სექტემბერი (საბჭოთა კავშირისგან);

ეროვნული დღესასწაული: დამოუკიდებლობის დღე, 21 სექტემბერი (1991);

აღმასრულებელი ხელისუფლება:

სახელმწიფოს მეთაური: პრეზიდენტი სერჟ სარქსიანი (2008 წლის 9 აპრილიდან);

მთავრობის მეთაური: პრემიერ-მინისტრი ტიგრან სარქისიანი (2008 წლის 9 აპრილიდან);

არჩევნები: უკანასკნელად ჩატარდა 2008 წლის 19 თებერვალს;

არჩევნების შედეგები: სერჟ სარქსიანმა მიიღო ხმათა 52.9%, ლევონ ტერ-პეტროსიანმა – 21.5%, არტურ ბაგდასარიანმა – 16.7%.

მთავრობის შემადგენლობა: პრემიერ-მინისტრი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, გარემოს დაცვის მინისტრი, ენერგეტიკის მინისტრი, ეაჭრობისა და ეკონომიკური განვითარების მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, იუსტიციის მინისტრი, მთავრობის აპარატის მინისტრ-ხელმძღვანელი, კულტურის მინისტრი, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის მინისტრი, რეგიონალური მმართველობის მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, სოფლის მეურნეობის მინისტრი, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი, ქალაქმშენებლობის მინისტრი, შრომისა და სოციალურ საკითხთა მინისტრი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.

შენიშვნა: 2002 წელს სახელმწიფო შემოსავლებისა და ეროვნული უშიშროების სამინისტროები გადაკეთდა სამსახურებად, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტრო - პოლიციად.

საკანონმდებლო ხელისუფლება:

ერთპალატიანი ეროვნული კრება (პარლამენტი) შედგება 4 წლის ვადით არჩეული 131 წევრისგან, რომელთაგან 41 აირჩევა მაჟორიტარული წესით, ხოლო 90 – პარტიული სიით);

არჩევნები: უკანასკნელად ჩატარდა 2007 წლის 12 მაისს.

ძირითადი პოლიტიკური პარტიები: აგრო-ინდუსტრიული პარტია, სომხეთის პარტია, სომხეთის ეროვნული მოძრაობა, სომხეთის ლიბერალური პარტია, სომხეთის რევოლუციური ფედერაცია (დაშნაკი), დემოკრატიული პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული გაერთიანება, ეროვნული გაერთიანების პარტია, სომხეთის სახალხო პარტია, რესპუბლიკური პარტია, რესპუბლიკის პარტია, კანონის უზენაესობის პარტია, კონსტიტუციურ უფლებათა გაერთიანება, გაერთიანებული შრომის პარტია.

ეკონომიკის მიმოხილვა: სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სოფლის მეურნეობასთან ერთად მრეწველობამაც დაიწყო აღმასვლა. ფართოდ განვითარდა ლითონის დამუშავება, მანქანათმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა, სასმელის წარმოება, ფერადი მეტალურგია, ძვირფასი ქვების დამუშავება, სამშენებლო საშუალებების წარმოება, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ფუნქციონირება შეწყვიტა მრეწველობის ფართო ნაწილმა, გაიზარდა უმუშევართა რიცხვი, ქვეყანაში ისევ სოფლის მეურნეობამ იწყო გაძლიერება. სომხეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ადგილი ჰქონდა სოფლის მეურნეობის საშუალებების პრივატიზაციას. 1995-1996 წლებში შემუშავდა გლეხებისათვის კრედიტებისა და მატერიალური დახმარების პროგრამა. 1994 წლიდან დაიწყო მცირე და საშუალო მრეწველობის ობიექტების, ხოლო 1995 წლიდან – მსხვილი მრეწველობის ობიექტების პრივატიზაცია.

სომხეთის ეკონომიკა კვლავ სტაბილური გახდა და აღმასვლა დაიწყო 1995-2003 წლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ეკონომიკის მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი დახმარების შედეგად. შესუსტდა ინფლაციის ტემპიც.

კავკასიის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, სომხეთის ეკონომიკა ყოველთვის თავისებურებით გამოირჩეოდა ზღვაზე გასასვლელისა და ნავთობისა და გაზის უქონლობის გამო. ამასთან, ეკონომიკურ განვითარებას დიდად აფერხებს მთიან ყარაბაღში არსებული კონფლიქტი.

სომხეთი გამოირჩევა ენერგიის გამომუშავების მხრივაც. გარდა იმისა, რომ შექმნილია 6 ჰესი, ფუნქციონირებს ატომური ელექტროსადგური, რომელიც 1995 წელს ხელახლა ამოქმედდა. 2002 წელს პრივატიზებულ იქნა მთელი ენერგეტიკული სისტემა. ამ დროისთვის სომხეთს არამარტო მისთვის აუცილებელი ელექტროენერგია გააჩნია, არამედ მის ექსპლუატირებას სხვა მეზობელ ქვეყნებშიც ახდენს.

მთლიანი შიდა პროდუქტი - მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: $16.83 მილიარდი (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 10.5% (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: $ 5.700 (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა: 17.2%; მრეწველობა: 36.4%; მომსახურება: 46.4% (2007).

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: 26.5% (2004);

ბიუჯეტი: შემოსავალი: $1.501 მილიარდი; გასავალი: $1.645 მილიარდი (2007);

ექსპორტი: $1.09 მილიარდი (2007);

საექსპორტო საქონელი: ალმასი, მინერალური პროდუქცია, სურსათ-სანოვაგე, ენერგეტიკა.

ექსპორტის პარტნიორები: გერმანია 18.1%, ნიდერლანდი 14.1%, ბელგია 13.4%, რუსეთი 13.4%, ისრაელი 7.1%, აშშ 6.1%, საქართველო 5.1%, ირანი 4.9% (2006).

იმპორტი: $2.478 მილიარდი (2007);

საიმპორტო საქონელი: ბუნებრივი გაზი, ნავთობი, თამბაქოს პროდუქცია, სურსათ-სანოვაგე, ალმასი.

იმპორტის პარტნიორები: რუსეთი 21.8%, უკრაინა 7.8%, ბელგია 7.6%, თურქმენეთი 7.1%, იტალია 6.1%, გერმანია 5.7%, ირანი 5.7%, ისრაელი 4.8%, აშშ 4.5%, საქართველო 4.1% (2006).

საგარეო ვალი: $2.261 მილიარდი (2007);

ეკონომიკური მხარდაჭერა: $193.3 მილიონი (2005);

ვალუტა: დრამა.

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. სომხეთის დამოუკიდებლობა პირველად 1918 წლის 28 მაისს გამოცხადდა, შეიქმნა ხელისუფლების უმაღლესი ორგანო — პარლამენტი, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებდა მთავრობა, რომელიც პარლამენტის წინაშე იყო ანგარიშვალდებული. სომხეთი იყო საპარლამენტო რესპუბლიკა. თუმცა ამ პერიოდში არ ყოფილა მიღებული ერთიანი კონსტიტუციური აქტი.

1920 წლის 29 ნოემბრის შემდეგ, როდესაც სომხეთში დამყარდა საბჭოური წყობილება, საბჭოთა კავშირის შესაბამისი კონსტიტუციების საფუძველზე მიღებულ იქნა სომხეთის რამდენიმე კონსტიტუცია. პირველი საბჭოური კონსტიტუცია იყო 1922 წლის 2 თებერვალს სომხეთის საბჭოების პირველი სესიის მიერ მიღებული კონსტიტუცია, რომლითაც გამოცხადდა სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. მისი შემდგომი კონსტიტუცია 1927 წლით თარიღდება, რის საფუძველზეც სომხეთი როგორც ამიერკავკასიის სს რესპუბლიკების შემადგენელი ნაწილი, შევიდა სსრკ-ის შემადგენლობაში. 1937 წლის 23 მარტს სომხეთის საბჭოების მე-9 საგანგებო სესიამ მიიღო კიდევ ერთი კონსტიტუცია, რომლის მიხედვით სომხეთი უშუალოდ გაერთიანდა სსრკ-ში. სომხეთის კიდევ ერთი საბჭოური კონსტიტუცია 1978 წელს იქნა მიღებული. მართალია ქვეყნის დამოუკიდებლობა 1991 წელს გამოცხადდა, მაგრამ 1995 წლამდე არ ყოფილა მიღებული ახალი კონსტიტუცია და კონსტიტუციურ სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებდა ჯერ კიდევ მოქმედი 1978 წლის სომხეთის სსრ-ის კონსტიტუცია, რომელშიც ბოლო პერიოდში მრავალი ცვლილება იქნა შეტანილი და სხვა კონსტიტუციური კანონები. აღნიშნული აქტები გააუქმა სომხეთის რესპუბლიკის 1995 წლის კონსტიტუციამ. იგი ძალაში შევიდა რეფერენდუმის შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნების მომენტიდან.

დამოუკიდებელი სომხეთის რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია მიღებულ იქნა რეფერენდუმზე 1995 წლის 5 ივლისს, რომელიც შესწორებებით დღესაც მოქმედებს. იგი შედგებოდა 117 მუხლისა და 9 თავისგან. დამოუკიდებლობის დეკლარაციის შემდეგ მასში პირველად განმტკიცდა ქვეყნის დამოუკიდებლობის ნიშნები. სომხეთის რესპუბლიკა გამოცხადდა სუვერენულ, დემოკრატიულ, სოციალურ, სამართლებრივ სახელმწიფოდ; ხელისუფლება ეკუთვნოდა ხალხს; არჩევნები და რეფერენდუმი ტარდებოდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით; სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდებოდა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად დანაწილების საფუძველზე; აღიარებულ იქნა კანონის უზენაესობა, მრავალპარტიულობა, საკუთრების

უფლება; სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენად გამოცხადდა სომხური; განისაზღვრა დროშის გამოსახულება, ჰიმნი და დედაქალაქი.

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის მიღებამდე სომხეთში არსებობდა ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა, რომლის უფლებამოსილება კონსტიტუციის ძალაში შესვლისთანავე არ შეწყვეტილა და პრეზიდენტის დავალებების შესრულებას განაგრძობდა უფლებამოსილების ამოწურვამდე.

კონსტიტუციური მნიშვნელობის აქტად უნდა ჩაითვალოს ასევე სომხეთის დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომელიც მიღებულ იქნა 1990 წლის 23 აგვისტოს.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. სომხეთის რესპუბლიკის მოქმედ კონსტიტუციაში ცვლილებები შეტანილ იქნა მხოლოდ ერთხელ – 2005 წლის 27 ნოემბერს რეფერენდუმით, თუმცა მნიშვნელოვნად იქნა შეცვლილი კონსტიტუციის პირვანდელი ტექსტი და ცვლილებები შეეხო მის თითქმის ყველა თავს. განისაზღვრა ეკლესიის სტატუსი, შეიარაღებული ძალების დანიშნულება, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების თავს დაემატა რვა მუხლი და შეიცვალა არსებული ნორმების ნაწილი. ცვლილება შეეხება ასევე სახელმწიფო ორგანოთა სისტემას. შეიცვალა პრეზიდენტის სტატუსი, არჩევნების ჩატარებისა და უფლებამოსილების ცნობის გარკვეული პირობები, გაიზარდა პრეზიდენტის უფლებამოსილება, კონსტიტუციის დონეზე განმტკიცდა ახალი ინსტიტუტები: ადამიანის უფლებათა დამცველი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მარეგულირებელი ორგანო, კონტროლის პალატა, განისაზღვრა იმ საკითხთა წრე, რაც საკანონმდებლო რეგულირებას საჭიროებს, უფრო სრულყოფილად ჩამოყალიბდა ნორმები ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, თვითმმართველობის ერთეულად თემის ნაცვლად დადგინდა მუნიციპალიტეტი.

კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა გამომდინარეობდა ევროსაბჭოს წინაშე სომხეთის მიერ აღებული ვალდებულებებიდან. მისი პროექტი მომზადდა სახელისუფლებო პარტიების კოალიციის მიერ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 64%-მა, ხოლო ცვლილებებს ხმა მისცა მონაწილეთა 93.3%-მა.

სომხეთის კონსტიტუცია ითვალისწინებს კონსტიტუციის მიღებისა ან მასში შესწორებების შეტანის წესს, რაც ხორციელდება რესპუბლიკის პრეზიდენტის ან ეროვნული კრების ინიციატივით მხოლოდ რეფერენდუმის მეშვეობით.

რეფერენდუმს ნიშნავს პრეზიდენტი, რისთვისაც აუცილებელია ეროვნული კრების წინადადება ან შემდგომი თანხმობა. შესაბამის დადგენილებას ეროვნული კრება იღებს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლე-

სობით. იმ შემთხვევაში, თუ ინიციატივა მომდინარეობს ეროვნული კრებიდან, იგი გადაეცემა პრეზიდენტს, რომელსაც შეუძლია 21 დღის ვადაში საკუთარი შენიშვნებითა და წინადადებებით დაუბრუნოს იგი ეროვნულ კრებას და მოითხოვოს მისი ხელახალი განხილვა. ეროვნული კრება ადგენს ვადას, როდესაც რესპუბლიკის პრეზიდენტმა რეფერენდუმზე უნდა გაიტანოს კონსტიტუციის პროექტი ან ეროვნული კრების დეპუტატთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 2/3-ის მიერ ხელახლა წარდგენილი მასში შეტანილი ცვლილებები.

თუ ინიციატივა მომდინარეობს პრეზიდენტისგან, კონსტიტუციის პროექტის გადაცემიდან 3 თვის ვადაში ეროვნული კრება თავდაპირველად კენჭისყრაზე დააყენებს მის რეფერენდუმზე გატანის საკითხს, ხოლო თუ პროექტს ხმას მისცემს ეროვნული კრების დეპუტატთა საერთო რაოდენობის უმრავლესობა, იგი მიღებულად ითვლება და გაიტანება რეფერენდუმზე რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ, მის მიერვე დადგენილ ვადაში.

რეფერენდუმზე გატანილი პროექტი მიღებულად იცვლება, თუ მას ხმას მისცემს კენჭისყრაში მონაწილეთა ნახევარი, მაგრამ არანაკლებ საარჩევნო სიებში შეტანილ მოქალაქეთა 1/4-ისა.

კონსტიტუცია ასევე ითვალისწინებს ე.წ. შეუცვლელ ნორმებს, რომლებიც არ ექვემდებარება ცვლილებების შეტანას. ესენია კონსტიტუციის პირველი, მე-2 და 114-ე მუხლები, რომლებიც ეხება სახელმწიფოს სუვერენულ ნიშნებს და სახალხო ხელისუფლებას.

კონსტიტუციის ანალიზი. კონსტიტუცია შედგება პრეამბულის, 9 თავისა და 117 მუხლისგან.

სომხეთის რესპუბლიკა არის სუვერენული, დემოკრატიული, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო. ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს, რომელიც თავის ხელისუფლებას ახორციელებს თავისუფალი არჩევნების, რეფერენდუმის, ასევე კონსტიტუციით გათვალისწინებული სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მეშვეობით. პრეზიდენტის, ეროვნული კრების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები, ასევე რეფერენდუმი ტარდება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. გარდა კონსტიტუციური რეფერენდუმისა, კონსტიტუცია ასევე იცნობს საკანონმდებლო რეფერენდუმს. კანონების რეფერენდუმზე გატანა ხდება ეროვნული კრების ან მთავრობის წინადადებით. მასთან დაკავშირებით გამოიყენება კონსტიტუციის მისაღებად დადგენილი წესი და პროცედურები. რეფერენდუმის მეშვეობით მიღებულ კანონებში ცვლილებები შეიტანება მხოლოდ რეფერენდუმით.

კონსტიტუცია ადგენს ნორმატიული აქტების იერარქიას. კონსტიტუციას აქვს უმაღლესი იურიდიული ძალა და მისი ნორმები უშუალოდ მოქმედებს. კანონები უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას. სხვა სამართლებრივი აქტები უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციასა და კანონებს. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები მიიღება კონსტიტუციისა და კანონების საფუძველზე და მათი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით.

სომხეთის რესპუბლიკაში აღიარებულია იდეოლოგიური პლურალიზმი და მრავალპარტიულობა. სახელმწიფო ენაა სომხური. კონსტიტუციაში ცალკე მუხლი აქვს დათმობილი ეკლესიის სტატუსს. იგი გამოყოფილია სახელმწიფოსგან, თუმცა რესპუბლიკა აღიარებს სომხური აპოსტოლური წმინდა ეკლესიის, როგორც ეროვნული ეკლესიის განსაკუთრებულ მისიას სომეხი ერის სულიერ ცხოვრებაში, მისი ეროვნული კულტურის განვითარებისა და ეროვნული თვითმყოფადობის დაცვის საქმეში. უზრუნველყოფილია კანონით დადგენილი წესით მოქმედი ყველა რელიგიური ორგანიზაციის საქმიანობის თავისუფლება. სომხეთის რესპუბლიკასა და სომხურ აპოსტოლურ წმინდა ეკლესიას შორის ურთიერთობა რეგულირდება კანონით.

სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები ქვეყნის ტერიტორიაზე და მის საზღვრებს გარეთ იმყოფებიან სომხეთის რესპუბლიკის დაცვის ქვეშ. აღსანიშნავია, რომ ეროვნებით სომხები ქვეყნის მოქალაქეობას მოიპოვებენ გამარტივებული წესით.

კონსტიტუციის მე-2 თავი ეხება ადამიანისა და მოქალაქის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. კანონის წინაშე ყველა თანასწორია. დაუშვებელია დისკრიმინაცია სქესის, რასის, კანის ფერის, ეთნიკური ან სოციალური წარმოშობის, გენდერული ნიშნების, ენის, რელიგიის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების, ინვალიდობის, ასაკის და პირადი ან სოციალური ხასიათის სხვა გარემოებების გამო.

ყველას აქვს სიცოცხლის უფლება. არავინ არ შეიძლება დაისაჯოს ან დაექვემდებაროს სიკვდილით დასჯას. ადამიანს შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით. კონსტიტუცია ამომწურავად ჩამოთვლის შემთხვევებს, როდესაც კანონით თავისუფლების აღკვეთა შეიძლება იქნეს გათვალისწინებული.

არ შეიძლება ადამიანის წამება, სასტიკი და ღირსების დამამცირებელი მოპყრობა და დასჯა. ყველას აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალების უფლება სასამართლოში, ასევე სხვა სახელმწიფო ორგანოებში, ასევე იურიდიული დახმარების მიღების, უდანაშაულობის პრეზუმფციის, მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის, საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის, გაერთიანების,

მშვიდობიანად და უიარაღოდ შეკრების უფლება, აზრის, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლება.

18 წლის ასაკს მიღწეულ სომხეთის მოქალაქეს უფლება აქვს აირჩიოს, ასევე მონაწილეობა მიიღოს რეფერენდუმში, სახელმწიფოს მართვაში და ადგილობრივ თვითმმართველობაში უშუალოდ ან თავისუფალი ნების გამოვლენით არჩეული თავისი წარმომადგენლების მეშვეობით. სასამართლოს გადაწყვეტილებით არაქმედუნარიანად აღიარებულ მოქალაქეებს, ასევე პირებს, რომლებსაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა და სასჯელს იხდიან, არ აქვთ უფლება აირჩიონ ან არჩეულ იქნენ. კონსტიტუცია უშვებს შესაძლებლობას, რომ კანონით დადგინდეს იმ პირთა მიერ ადგილობრივი თვითმმართველობს ორგანოების არჩევნებში და ადგილობრივ რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება, რომლებიც არ არიან სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები.

კონსტიტუცია საუბრობს სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის საფუძვლებზე, ამასთან უშვებს ორმაგ მოქალაქეობას, თუმცა ამგვარ პირთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრას კანონს ანდობს.

კონსტიტუციაში ასე ჩამოთვლილია სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა ძირითადი პრინციპები. ყველას აქვს თავისი საკუთრების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის, ასევე თავისი შეხედულებით მისი მემკვიდრეობის უფლება. არავის არ შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და სასამართლო წესით. საკუთრების ჩამორთმევა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის შესაძლებელია გამონაკლის შემთხვევებში, უმაღლესი საზოგადოებრივი ინტერესების არსებობისას, კანონის საფუძველზე, წინასწარი თანასწორი ანაზღაურებით.

ყველა მოქალაქეს აქვს განათლების უფლება. ზოგადი საყოველთაო განათლება სავალდებულოა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საშუალო განათლება სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში უფასოა.

ამასთან, აღნიშნულია, რომ კონსტიტუციაში განმტკიცებული უფლებები და თავისუფლებები არ გამორიცხავს კანონებითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილ სხვა უფლებებსა და თავისუფლებებს.

კონსტიტუცია ასევე ითვალისწინებს ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის ორ ფორმას: პირველი — მათი შეზღუდვა კანონით დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად, დანაშაულთა აღსაკვეთად, საზოგადოების ჯანმრთელობისა და ზნეობის, სხვა პირთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების, პატივისა და კარგი რეპუტაციის დასაცავად. იმ უფლებების წრე, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს კანონით, საკმაოდ ფართოა. შეზღუდვა შეიძლება ეხებოდეს კონსტიტუციის იმ მუხლებს, რომლე-

ბიც აწესრიგებს პირადი და საოჯახო ცხოვრების, საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის, ქვეყნების ტერიტორიაზე გადაადგილების, აზრის გამოთქმის, გაერთიანების, შეკრების, არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის, მოქალაქეობის მოპოვებისა და შეცვლის და გაფიცვის უფლებებს. თუმცა, აქვე მითითებულია, რომ ადამიანისა და მოქალაქის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვები არ უნდა აღემატებოდეს სომხეთის რესპუბლიკის საერთაშორისო ვალდებულებებით დადგენილ ფარგლებს. რაც შეეხება მეორე სახის შეზღუდვებს, ეს შესაძლებელია დროებით, საომარი ან საგანგებო მდგომარეობის პერიოდში. თუმცა, ამ შემთხვევაში არ შეიძლება შეიზღუდოს უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც ეხება სიცოცხლის უფლებას, ჰუმანურ და ღირსეულ მოპყრობას, დაცვის უფლებას, სასამართლო განსჯადობის, უდანაშაულობის პრეზუმფციის, ჩვენების მიცემისგან გათავისუფლების უფლებებს.

სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად დანაწილების საფუძველზე. სახელმწიფო ორგანოებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და თანამდებობის პირებს უფლება არა აქვთ განახორციელონ ისეთი უფლებამოსილება, რაც კონსტიტუციით ან კანონებით არ აქვთ მინიჭებული. კონსტიტუციაში ხელისუფლების შტოების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრა რესპუბლიკის პრეზიდენტით იწყება. იგი არის სახელმწიფოს მეთაური, უზრუნველყოფს კონსტიტუციის დაცვას, საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებათა ნორმალურ ფუნქციონირებას და გვევლინება რესპუბლიკის დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და უსაფრთხოების გარანტად.

პრეზიდენტი აირჩევა სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეთა მიერ 5 წლის ვადით. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს 35 წლის ასაკს მიღწეული ყოველი პირი, რომელიც უკანასკნელი 10 წლის მანძილზე არის სომხეთის მოქალაქე, მუდმივად ცხოვრობს რესპუბლიკაში და ფლობს საარჩევნო უფლებას. ერთი და იგივე პირი შეიძლება პრეზიდენტად აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

პრეზიდენტი ფართო უფლებამოსილებით არის აღჭურვილი. მის ხელშია მოქცეული ყველა ძირითადი სახელმწიფოებრივი ბერკეტი. იგი სარგებლობს ვეტოს უფლებით; ითხოვს ეროვნულ კრებას და ნიშნავს რიგგარეშე არჩევნებს; ეროვნულ კრებაში სადეპუტატო ადგილების განაწილებისა და სადეპუტატო ფრაქციებთან კონსულტაციის საფუძველზე პრემიერ-მინისტრად ნიშნავს პირს, რომელიც სარგებლობს დეპუტატთა უმრავლესობის ნდობით, ხოლო თუ ეს შეუძლებელია — პირს, რომელიც სარგებლობს ყველაზე მეტი დეპუტატის ნდობით; პრემიერ-მინისტრის წინადადებით ნიშნავს და ათავისუფლებს მთავრობის წევრებს; ქმნის და ხელმძღვანელობს ეროვნული

უშიშროების საბჭოს; ეროვნულ კრებას წარუდგენს გენერალური პროკურორის, ცენტრალური ბანკის თავმჯდომარის, კონტროლის პალატის თავმჯდომარის კანდიდატურებს. გენერალური პროკურორის წინადადებით ნიშნავს და ათავისუფლებს გენერალური პროკურორის მოადგილეებს; ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს ოთხ წევრს, ხოლო ეროვნული კრების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არდანიშვნის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობიდან ნიშნავს მის თავმჯდომარეს; საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის საფუძველზე უფლება აქვს უფლებამოსილება შეუწყვიტოს თავის მიერ დანიშნულ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს ან მისცეს თანხმობა მის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემაზე, დაპატიმრებაზე, სასამართლო წესით ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემაზე; მართლმსაჯულების საბჭოს წინადადებით ნიშნავს საკასაციო სასამართლოსა და მისი პალატების თავმჯდომარეებსა და მოსამართლეებს, სააპელაციო, პირველი ინსტანციისა და სპეციალიზირებული სასამართლოების მოსამართლეებს, წყვეტს მათ უფლებამოსილებას, თანხმობას აძლევს ბრალდებულის სახით მათ პასუხისგებაში მიცემაზე, დაპატიმრებაზე, სასამართლო წესით ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემაზე, მართლმსაჯულების საბჭოს დასკვნის საფუძველზე ნიშნავს სააპელაციო, პირველი ინსტანციისა და სპეციალიზირებული სასამართლოების მოსამართლეებს; მართლმსაჯულების საბჭოს წევრებად ნიშნავს ორ სწავლულ-იურისტს. ასევე სრულად ახორციელებს სახელმწიფოს მეთაურისთვის განსაზღვრულ უფლებამოსილებას საერთაშორისო სფეროში: წარმოადგენს რესპუბლიკას საერთაშორისო ურთიერთობებში, ახორციელებს საგარეო პოლიტიკის საერთო ხელმძღვანელობას, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ეროვნულ კრებას სარატიფიკაციოდ წარუდგენს საერთაშორისო ხელშეკრულებებს და ხელს აწერს მათ სარატიფიკაციო სიგელებს, ამტკიცებს, აჩერებს მოქმედებას და დენონსირებას უკეთებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებიც არ საჭიროებს რატიფიცირებას; ნიშნავს და გამოიწვევს უცხო ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში სომხეთის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლებს, იღებს უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დიპლომატიურ წარმომადგენელთა რწმუნებისა და გამოწვევის სიგელებს.

გარდა ამისა, არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, კოორდინაციას უწევს თავდაცვის სფეროში სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას, ნიშნავს და ათავისუფლებს შეიარაღებული ძალებისა და სხვა ჯარების უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობას; აცხადებს საომარ ან საგანგებო მდგომარეობას, შეუძლია გამოაცხადოს საყოველთაო ან ნაწილობრივი მობილიზაცია და იღებს გადაწყვეტილებას შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ.

პრეზიდენტი ხელშეუხებელია. თავისი უფლებამოსილების ვადით და შემდგომ არ შეიძლება იგი დაექვემდებაროს დევნას და მიეცეს პასუხისგებაში მისი სტატუსის თანმდევი საქმიანობისათვის. თუმცა, მისი პასუხისგებაში მიცემა შესაძლებელია უფლებამოსილების დასრულების შემდეგ მხოლოდ იმ ქმედებისათვის, რაც არ არის დაკავშირებული მის სტატუსთან.

პრეზიდენტი შეიძლება გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან იმპიჩმენტის წესით სახელმწიფო ღალატის ან სხვა მძიმე დანაშაულისათვის. ორივე საფუძვლით დარღვევის თაობაზე დასკვნის მისაღებად ეროვნული კრება დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობით მიღებული დადგენილებით მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს, ხოლო დადებითი დასკვნის შემდეგ, დეპუტატთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 2/3-ით იღებს გადაწყვეტილებას. თუ საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს, რომ არ არსებობს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საფუძველი, საკითხი იხსნება ეროვნული კრების განხილვიდან. გარდა ამისა, კონსტიტუციით თავისებურებით გამოირჩევა პრეზიდენტის გადადგომის პროცედურაც. ამის შესახებ მან 10 დღის შუალედით ორჯერ უნდა მიმართოს ეროვნულ კრებას. პრეზიდენტი გადამდგარად ითვლება მეორედ მიმართვიდან 2 დღის შემდეგ და ტარდება რიგგარეშე არჩევნები.

თავისებურია და საკმაოდ გართულებული პრეზიდენტის ქმედუუნარობის დადგენის პროცედურაც. მისი მძიმე ავადმყოფობისას ან სხვა გარემოებებში, როდესაც იგი ხანგრძლივად ვეღარ ასრულებს თავის უფლებამოსილებას, პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ეროვნული კრება დეპუტატთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ორი მესამედის თანხმობით. ამასთან, წინადადება უნდა მომდინარეობდეს მთავრობისგან და ამავდროულად უნდა არსებობდეს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი დასკვნა საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა ვაკანტური გახდება, ახალარჩეული რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების განხორციელების დაწყებამდე რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებას ასრულებს ეროვნული კრების თავმჯდომარე, ხოლო თუ ეს შეუძლებელია — პრემიერ-მინისტრი, თუმცა, მათ შეზღუდული აქვს პრეზიდენტის ზოგიერთი უფლებამოსილების განხორციელება.

სომხეთის რესპუბლიკაში საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს პარლამენტი, რომელსაც კონსტიტუციით ეროვნული კრება ეწოდება. იგი შედგება 131 დეპუტატისგან და აირჩევა 5 წლის ვადით, თუმცა შეიძლება ვადამდე იქნეს დათხოვნილი. დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნეს ყოველი პირი, რომელმაც მიაღწია 25 წლის ასაკს, უკანასკნელი 5 წლის მანძილზე არის სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე, უკანასკნელი 5 წლის მანძილზე მუდმივად ცხოვრობს რესპუბლიკაში და სარგებლობს საარჩევნო უფლებით.

მას უფლება არა აქვს ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, დაიკავოს თანამდებობა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ან კომერციულ ორგანიზაციაში, ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობისა. დეპუტატი არ არის შეზღუდული იმპერატიული მანდატით, ხელმძღვანელობს საკუთარი სინდისითა და შეხედულებებით. დეპუტატის იმუნიტეტის მოცულობა საკმაოდ ფართოა და ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემასა და დაპატიმრებასთან ერთად ვრცელდება ასევე სასამართლო წესით ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემაზე, რისთვისაც აუცილებელია ეროვნული კრების თანხმობა.

დაუშვებელია დეპუტატის დაკავება ეროვნული კრების თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაკავება ხდება დანაშაულის ჩადენის მომენტში. ამ შემთხვევაში დაუყოვნებლივ ეცნობება ეროვნული კრების თავმჯდომარეს.

კანონები და ეროვნული კრების დადგენილებები, გარდა კონსტიტუციით დადგენილი შემთხვევებისა, მიიღება სხდომაზე დამსწრე დეპუტატთა ხმების უმრავლესობით, თუ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო დეპუტატთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ნახევარმა. ვეტოს გადასალახად აუცილებელია დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობის თანხმობა. კონსტიტუცია ითვალისწინებს ერთ-ერთ გამონაკლისს, როდესაც კანონპროექტები, რომლებიც მთავრობის დასკვნის თანახმად ამცირებს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს ან ზრდიან მის ხარჯებს, მიიღება დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობით. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის დონეზეა განსაზღვული ეროვნული კრების რეგლამენტის იერარქიული დონე და მისი მიღება კანონით. კონსტიტუცია დეტალურად განსაზღვრავს იმ საკითხთა წრეს, რომლებიც მხოლოდ კანონებით შეიძლება განისაზღვროს.

კონსტიტუცია ადგენს საპარლამენტო კომისიების რაოდენობის მაქსიმუმს, რაც 12 მუდმივ კომისიას შეადგენს. ასევე აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია დროებითი კომისიების შექმნაც.

პრეზიდენტი ვალდებულია დაითხოვოს ეროვნული კრება, თუ ეროვნულმა კრებამ 2 თვის მანძილზე ზედიზედ ორჯერ არ დაამტკიცა მთავრობის პროგრამა. გარდა ამისა, განსაზღვრულია შემთხვევები, როდესაც პრეზიდენტი უფლებამოსილია და არა ვალდებული, რომ დაითხოვოს ეროვნული კრება. დათხოვნის ინიციატივა უნდა მომდინარეობდეს ეროვნული კრების თავმჯდომარიდან ან პრემიერ-მინისტრიდან, თუ: ეროვნული კრება მორიგი სესიის 3 თვის მანძილზე არ მიიღებს გადაწყვეტილებას მთავრობის მიერ გადაუდებლად აღიარებული კანონის პროექტზე; მორიგი სესიის არა უმეტეს 3 თვის მანძილზე არ მოიწვევა ეროვნული კრების სხდომები; მორიგი სესიის არა უმეტეს 3 თვის მანძილზე ეროვნული კრება არ მიიღებს რაიმე გადაწ-

ყვეტილებას მის მიერ განსახილველ საკითხზე. კონსტიტუცია ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც ეროვნული კრება არ შეიძლება იქნეს დათხოვნილი. ესენია საომარი ან საგანგებო მდგომარეობის პერიოდი ან როდესაც აღძრულია საქმე პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

საკმაოდ ვიწროა საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე პირთა წრე. ეს უფლება გააჩნიათ დეპუტატებსა და მთავრობას.

ეროვნული კრება აღჭურვილია დამოუკიდებელი უფლებამოსილებით, თუმცა ასევე გააჩნია უფლებამოსილების დიდი ნაწილი, რასაც იგი ახორციელებს ხელისუფლების სხვა შტოების მონაწილეობით, რაც, საბოლოო ჯამში, ასუსტებს მისი, როგორც მაკონტროლებელი ორგანოს ფუნქციას. იგი მთავრობის წარდგინებით ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს, დამოუკიდებლად ახორციელებს კონტროლს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე, ასევე უცხო სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან მიღებული სესხებისა და კრედიტების გამოყენებაზე; კონტროლის პალატის დასკვნის არსებობისას იხილავს და ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს; პრეზიდენტის წინადადებით აცხადებს ამნისტიას; ახდენს სომხეთის რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციას, შეჩერებას ან დენონსაციას; იღებს გადაწყვეტილებას ომის გამოცხადების და ზავის დადების შესახებ; მთავრობის წინადადებით ადგენს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას; ეროვნული კრების თავმჯდომარის წინადადებით ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს 5 წევრს; საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობის ვაკანსიისას ეროვნული კრების თავმჯდომარის წინადადებით საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობიდან ნიშნავს მის თავმჯდომარეს; საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის საფუძველზე უფლება აქვს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობით უფლებამოსილება შეუწყვიტოს მის მიერ დანიშნულ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს, მისცეს თანხმობა ბრალდებულის სახით მის პასუხისგებაში მიცემაზე, დაპატიმრებაზე ან სასამართლო წესით ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემაზე; შეარჩევს მართლმსაჯულების საბჭოს ორ სწავლულ-იურისტს; დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობით უნდობლობას უცხადებს მთავრობას.

კონსტიტუცია ეროვნული კრების სტატუსის მარეგულირებელ თავში განსაზღვრავს ზოგიერთი სხვა დამოუკიდებელი ორგანოს სტატუსსაც. სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ დარღვეული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას ახორციელებს ადამიანის უფლებათა დამცველი, რომელსაც ირჩევს ეროვნული კრება დეპუტატთა არანაკლებ საერთო რაოდენობის ხმათა 3/5-ით 6 წლის ვადით. იგი სარგებლობს დეპუტატისთვის დადგენილი ხელშეუხებლობით.

სატრანსლიაციო საშუალებების თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და მრავალფეროვნების უზრუნველყოფის მიზნით კანონით იქმნება დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, რომლის წევრთა ნახევარი 6 წლის ვადით აირჩევა ეროვნული კრების მიერ, ხოლო მეორე ნახევარი — ამავე ვადით ინიშნება პრეზიდენტის მიერ.

სომხეთის რესპუბლიკაში ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფას ახორციელებს სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური ბანკი. იგი შეიმუშავებს, ამტკიცებს და ახორციელებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პროგრამებს, უშვებს სომხეთის სომხურ დრამს. მისი თავმჯდომარე ინიშნება ეროვნული ბანკის მიერ პრეზიდენტის წინადადებით 6 წლის ვადით.

საბიუჯეტო სახსრების, სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების გამოყენებაზე კონტროლს ახორციელებს სომხეთის რესპუბლიკის კონტროლის პალატა. მისი თავმჯდომარე ინიშნება ეროვნული კრების მიერ 6 წლის ვადით პრეზიდენტის წინადადებით. კონტროლის პალატის საქმიანობის პროგრამას ამტკიცებს ეროვნული კრება.

რაც შეეხება სომხეთში აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას, ამ მხრივ კონსტიტუცია გამოყოფს მთავრობას, თუმცა პირდაპირ არ აღნიშნავს, რომ სწორედ იგი წარმოადგენს აღმასრულებელ ორგანოს, ვინაიდან მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტს გააჩნია მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურის სტატუსი, იგი ამავდროულად აღჭურვილია გარკვეულ სფეროში აღმასრულებელი უფლებამოსილებებით. კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკას მთავრობა შეიმუშავებს და ახორციელებს დამოუკიდებლად, ხოლო საგარეო პოლიტიკას — პრეზიდენტთან ერთად. ამასთან, მთავრობის კომპეტენციას განეკუთვნება სახელმწიფო მმართველობის ყველა ის საკითხი, რაც კანონით არ განეკუთვნება სხვა სახელმწიფო ორგანოთა ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციას.

მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისგან. ერთ-ერთი მინისტრი პრემიერ-მინისტრის წინადადებით შეიძლება პრეზიდენტის მიერ დაინიშნოს ვიცე-პრემიერად, რომელიც შეცვლის პრემიერ-მინისტრს მისი არყოფნისას.

მთავრობის დადგენილებებს ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი. პრეზიდენტს უფლება აქვს ერთი თვით შეაჩეროს მთავრობის დადგენილებების მოქმედება და მათი კონსტიტუციურობის საკითხის გარკვევის მიზნით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

სომხეთის კონსტიტუცია იცნობს გუბერნატორის (მარზპეტის) ინსტიტუტს, რომელიც მთავრობის რეგიონულ წარმომადგენლად მოიაზრება, ახორციელებს მთავრობის ტერიტორიულ პოლიტიკას და კოორდინაციას უწევს აღმასრულებელი ხელისუფლების ტერიტორიული სამსახურების საქ-

მიანობას. იგი ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება მთავრობის დადგენილებით, რომელსაც ამტკიცებს პრეზიდენტი.

სომხეთის რესპუბლიკაში მართლმსაჯულებას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები. ფუნქციონირებს საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოები, სააპელაციო სასამართლო და საკასაციო სასამართლო, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება შეიქმნას ასევე სპეციალიზირებული სასამართლოები. უმაღლეს სასამართლო ინსტანციას წარმოადგენს საკასაციო სასამართლო, რომელიც უზრუნველყოფს კანონის გამოყენების ერთგვაროვნებას.

კონსტიტუციური მართლმსაჯულება ხორციელდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, რომელიც შედგება 9 წევრისაგან. საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს კანონების, ეროვნული კრების, პრეზიდენტის, მთავრობის, პრემიერ-მინისტრისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების აქტების შესაბამისობას კონსტიტუციასთან; წყვეტს რეფერენდუმისა და არჩევნების შედეგებთან დაკავშირებულ დავებს. გარდა ამისა, მას გააჩნია ისეთი უფლებამოსილებაც, რაც არ არის დაკავშირებული საკითხის კონსტიტუციურობასთან, თუმცა მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე საჭიროებს დამოუკიდებელი ორგანოს მიერ გადაწყვეტას. ესენია: პრეზიდენტობის კანდიდატისთვის წარმოშობილი დაუძლეველი და აღმოსაფხვრელი დაბრკოლებების დადგენა; პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საფუძვლის არსებობაზე, ასევე საკუთარი მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის თაობაზე დასკვნის მიცემა; მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გადაყენების საფუძვლების შესახებ დასკვნის მიცემა; პარტიის საქმიანობის შეჩერებისა და აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. საკონსტიტუციო სასამართლო ასევე აღჭურვილია პირველადი კონტროლის უფლებამოსილებით. იგი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაციამდე ადგენს კონსტიტუციის შესაბამისობას მასში განმტკიცებულ ვალდებულებებთან.

საკმაოდ ფართოა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლების მქონე პირთა წრე. მიმართვის უფლება სხვადასხვა საკითხებზე აქვთ პრეზიდენტს, დეპუტატთა განსაზღვრულ რაოდენობას, მთავრობას, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, მოქალაქეებს, მოსამართლეებს, გენერალურ პროკურორს, ადამიანის უფლებათა დამცველს, პრეზიდენტობისა და დეპუტატობის კანდიდატებს.

მოსამართლე და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეუცვლელნი არიან. ისინი თანამდებობას იკავებენ 65 წლის ასაკის მიღწევამდე. დაუშვებელია მათი დაპატიმრება, ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში ან სასამართლო წესით ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემა შესაბამისად მართლმსაჯულების საბჭოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. დაუშვებელია მათი დაკავება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაკა-

ვება ხორციელდება დანაშაულის ჩადენის მომენტში ან უშუალოდ მის შემდეგ. ამ შემთხვევებში დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება პრეზიდენტს და შესაბამისად საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარეს ან საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს.

მოსამართლესა და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება არა აქვთ განახორციელონ სამეწარმეო საქმიანობა, დაიკავონ სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში თანამდებობა, რაც არ არის დაკავშირებული მათ უფლებამოსილებასთან, დაიკავონ თანამდებობა კომერციულ ორგანიზაციაში, შეასრულონ სხვა ანაზღაურებადი საქმიანობა, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობისა. ისინი არ შეიძლება იყვნენ რომელიმე პარტიის წევრები ან ასრულებდნენ პოლიტიკურ საქმიანობას.

კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად სომხეთის კონსტიტუციაში გათვალისწინებულ იქნა მართლმსაჯულების საბჭოს ინსტიტუტი, რომლის შემადგენლობაში შედის მოსამართლეთა საერთო კრებაზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით არჩეული 9 მოსამართლე, ასევე პრეზიდენტისა და ეროვნული კრების თავმჯდომარის მიერ დანიშნული ორ-ორი სწავლულიიურისტი. საბჭოს სხდომებს, ხმის უფლების გარეშე, უძღვება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. საბჭოს კომპეტენციას წარმოადგენს მოსამართლეთა კანდიდატურების შერჩევა და მოსამართლეთა დისციპლინური პასუხიმგებლობის საკითხების გადაწყვეტა.

კონსტიტუცია განსაზღვრავს ასევე სომხეთის რესპუბლიკის პროკურატურის ძირითად დებულებებს. იგი წარმოადგენს ერთიან სისტემას, რომელსაც ხელმძღვანელობს პრეზიდენტის წარდგინებით ეროვნული კრების მიერ 6 წლის ვადით დანიშნული გენერალური პროკურორი. ერთი და იგივე პირი შეიძლება დაინიშნოს გენერალურ პროკურორად ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. მისი თანამდებობიდან გადაყენება შეუძლია ეროვნულ კრებას დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობით პრეზიდენტის წინადადებით.

პროკურატურის ფუნქციას წარმოადგენს სისხლის სამართლის დევნის აღძრა, წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის კანონიერების ზედამხედველობა; ბრალდების მხარდაჭერა სასამართლოში; სასამართლოში სარჩელის აღძრა სახელმწიფო ინტერესების დაცვის თაობაზე; სასამართლოს გადაწყვეტილებების, განაჩენებისა და დადგენილებების გასაჩივრება; სასჯელისა და იძულების სხვა ფორმების გამოყენების ზედამხედველობა.

სომხეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს წარმოადგენს მარზები (ოლქები) და მუნიციპალიტეტები. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტებში, რომლებიც წარმოადგენს ერთი ან რამდენიმე დასახლებული პუნქტის მოსახლეობის ერთობას. მუნიციპალიტეტი არის იურიდიული პირი, რომელსაც გააჩნია საკუთრების

უფლება და სხვა ქონებრივი უფლებები. მინიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული მიწა, რაც აუცილებელია სახელმწიფო საჭიროებისათვის, ასევე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა კუთვნილი მიწა წარმოადგენს მუნიციპალურ საკუთრებას. მუნიციპალიტეტები საკუთარ ბიუჯეტებს ადგენენ დამოუკიდებლად.

თვითმმართველობის საკუთარ უფლებას მუნიციპალიტეტი ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების — მუნიციპალური საბჭოებისა და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელების მეშვეობით, რომლებიც აირჩევიან 4 წლის ვადით. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გადაყენება შეუძლია მთავრობას საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის საფუძველზე.

კონსტიტუცია ცალკე გამოყოფს ქალაქ ერევნის სტატუსს. იგი არის მუნიციპალური გაერთიანება. კონსტიტუცია კანონს ანიჭებს უფლებას დაადგინოს ერევნის მერის პირდაპირი ან ირიბი არჩევნები.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები. სომხეთის რესპუბლიკაში განხორციელებული კონსტიტუციური რეფორმების შედეგად გაიზარდა პრეზიდენტის უფლებამოსილება და მას მიენიჭა ბევრი მნიშვნელოვანი სახელისუფლებო ბერკეტი, ამავდროულად უფრო სრულყოფილი გახდა ბევრი სხვა კონსტიტუციური ნორმა.

— მართალია კონსტიტუციის თანახმად პრეზიდენტი აღარ არის მთავრობის მეთაური, მაგრამ საგარეო პოლიტიკას მთავრობა ახორციელებს პრეზიდენტთან ერთად;

— პრეზიდენტის მიერ ეროვნული კრების დათხოვნის ორი ფორმაა გათვალისწინებული: როდესაც პრეზიდენტი ვალდებულია და როდესაც უფლებამოსილია, რომ დაითხოვოს ეროვნული კრება;

— პრეზიდენტს არ მოეთხოვება დაბადებით მოქალაქეობა, ამდენად, პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს სომხეთის ყველა მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს მისთვის დადგენილ სხვა მოთხოვნებს;

— თავისებურებით გამოირჩევა პრეზიდენტის გადადგომის პროცედურაც. ამის შესახებ მან 10 დღის შუალედით ორჯერ უნდა მიმართოს ეროვნულ კრებას. პრეზიდენტი გადამდგარად ითვლება მეორედ მიმართვიდან 2 დღის შემდეგ და ტარდება რიგგარეშე არჩევნები;

— გარდა კონსტიტუციური რეფერენდუმისა, კონსტიტუცია ასევე იცნობს საკანონმდებლო რეფერენდუმს. რეფერენდუმის მეშვეობით მიღებულ კანონებში ცვლილებები შეიტანება მხოლოდ რეფერენდუმით;

— რესპუბლიკა აღიარებს სომხური აპოსტოლური წმინდა ეკლესიის, როგორც ეროვნული ეკლესიის განსაკუთრებულ მისიას სომეხი ერის სულიერ

ცხოვრებაში, მისი ეროვნული კულტურის განვითარებისა და ეროვნული თვითმყოფადობის დაცვის საქმეში;

— ეროვნებით სომხები ქვეყნის მოქალაქეობას მოიპოვებენ გამარტივებული წესით; დაშვებულია ორმაგი მოქალაქეობა;

— კონსტიტუცია ითვალისწინებს უფლებების ფართო წრეს, როდესაც კანონით შეიძლება შეიზღუდოს კონსტიტუციით აღიარებული უფლებები და თავისუფლებები;

— კონსტიტუცია იცნობს გუბერნატორის (მარზპეტის) ინსტიტუტს, რომელიც ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას ტერიტორიულ ერთეულებში; იგი ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება მთავრობის დადგენილებით, რომელსაც ამტკიცებს პრეზიდენტი.

— საკონსტიტუციო სასამართლო აღჭურვილია სხვა თანამედროვე საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოებისგან განსხვავებული ზოგიერთი სხვა უფლებამოსილებით. გარდა აქტების კონსტიტუციურობის დადგენისა, იგი ასევე საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაციამდე ადგენს კონსტიტუციის შესაბამისობას მასში განმტკიცებულ ვალდებულებებთან. გარდა ამისა, იგი გასცემს დასკვნას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გადაყენების საფუძვლების შესახებ.

სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია[1]

მიღებულია რეფერენდუმზე 1995 წლის 5 ივლისს

(ცვლილებები შეტანილ იქნა რეფერენდუმით
2005 წლის 27 ნოემბერს)

სომეხი ხალხი, იღებს რა საფუძვლად სომხეთის სახელმწიფოებრიობის ძირითად პრინციპებსა და სომხეთის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში განმტკიცებულ საერთო ეროვნულ მიზნებს, ახორციელებს სუვერენული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესახებ თავისუფლებისმოყვარე წინაპრების დანაბარებს, ემხრობა მისი განმტკიცებისა და განვითარების საქმეს, რათა უზრუნველყოს თავისუფლება, საერთო სულისკვეთება, შთამომავლობის სამოქალაქო თანხმობა და ამტკიცებს რა თავის ერთგულებას ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების მიმართ, იღებს სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციას.

თავი 1. კონსტიტუციური წყობილების საფუძვლები

მუხლი 1. სომხეთის რესპუბლიკა არის სუვერენული, დემოკრატიული, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო.

მუხლი 2. სომხეთის რესპუბლიკაში ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს.

ხალხი თავის ხელისუფლებას ახორციელებს თავისუფალი არჩევნების, რეფერენდუმის, ასევე კონსტიტუციით გათვალისწინებული სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მეშვეობით.

დანაშაულად ითვლება ნებისმიერი ორგანიზაციის ან პიროვნების მიერ ხელისუფლების უზურპაცია.

მუხლი 3. ადამიანი, მისი ღირსება, ძირითადი უფლებები და თავისუფლებები წარმოადგენს უმაღლეს ფასეულობებს.

---

[1] თარგმანისას გამოყენებულია სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული კრების ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.parliament.am/parliament.php?id=constitution&lang=rus ოფიციალური დოკუმენტის სახით წარმოდგენილი სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის რუსულენოვანი და სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.president.am/ წარმოდგენილი კონსტიტუციის რუსული და ინგლისურენოვანი ტექსტები.

სახელმწიფო უზრუნველყოფს ადამიანისა და მოქალაქის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად.

სახელმწიფო შეზღუდულია ადამიანისა და მოქალაქის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით, რომელიც წარმოადგენს უშუალოდ მოქმედ სამართალს.

მუხლი 4. სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, ეროვნული კრების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები, ასევე რეფერენდუმი ტარდება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

მუხლი 5. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად დანაწილების საფუძველზე.

სახელმწიფო ორგანოებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და თანამდებობის პირებს უფლება არა აქვთ განახორციელონ ისეთი უფლებამოსილება, რაც კონსტიტუციით ან კანონებით არ აქვთ მინიჭებული.

მუხლი 6. რესპუბლიკის კონსტიტუციას აქვს უმაღლესი იურიდიული ძალა და მისი ნორმები უშუალოდ მოქმედებს.

კანონები უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას. სხვა სამართლებრივი აქტები უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციასა და კანონებს.

კანონები ძალაში შედის „სომხეთის რესპუბლიკის ოფიციალურ უწყებებში" გამოქვეყნების შემდეგ. სხვა ნორმატიული აქტები ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით გამოქვეყნების შემდეგ.

საერთაშორისო ხელშეკრულებები ძალაში შედის მხოლოდ რატიფიკაციის ან დამტკიცებისას. საერთაშორისო ხელშეკრულებები წარმოადგენს სომხეთის რესპუბლიკის სამართლის სისტემის ძირითად ნაწილს. თუ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია კანონებისგან განსხვავებული ნორმები, გამოიყენება ხელშეკრულების ნორმები.

დაუშვებელია კონსტიტუციის საწინააღმდეგო საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება.

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები მიიღება კონსტიტუციისა და კანონების საფუძველზე და მათი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 7. სომხეთის რესპუბლიკაში აღიარებულია იდეოლოგიური პლურალიზმი და მრავალპარტიულობა.

პარტიები იქმნება თავისუფლად; ისინი ხელს უწყობენ ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებასა და გამოხატვას. მათი საქმიანობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციასა და კანონებს, ხოლო მოქმედების წესი — დემოკრატიის პრინციპებს.

პარტიები თავიანთ ფინანსურ საქმიანობაში უზრუნველყოფენ საჯაროობას.

მუხლი 8. სომხეთის რესპუბლიკაში აღიარებული და დაცულია საკუთრების უფლება.

სომხეთის რესპუბლიკაში გარანტირებულია ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება და თავისუფალი ეკონომიკური კონკურენცია.

მუხლი 8¹. სომხეთის რესპუბლიკაში ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსგან.

სომხეთის რესპუბლიკა აღიარებს სომხური აპოსტოლური წმინდა ეკლესიის, როგორც ეროვნული ეკლესიის განსაკუთრებულ მისიას სომეხი ერის სულიერ ცხოვრებაში, მისი ეროვნული კულტურის განვითარებისა და ეროვნული თვითმყოფადობის დაცვის საქმეში.

სომხეთის რესპუბლიკაში უზრუნველყოფილია კანონით დადგენილი წესით მოქმედი ყველა რელიგიური ორგანიზაციის საქმიანობის თავისუფლება.

სომხეთის რესპუბლიკასა და სომხურ აპოსტოლურ წმინდა ეკლესიას შორის ურთიერთობა რეგულირდება კანონით.

მუხლი 8². სომხეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები უზრუნველყოფს სომხეთის რესპუბლიკის უსაფრთხოებას, დაცვასა და ტერიტორიულ მთლიანობას, მისი საზღვრების ხელშეუხებლობას. შეიარაღებული ძალები ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს პოლიტიკურ საკითხებში და იმყოფება სამოქალაქო კონტროლის ქვეშ.

მუხლი 9. სომხეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა ხორციელდება საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, ყველა სახელმწიფოსთან კეთილმეზობლური და ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობების დამყარების მიზნით.

მუხლი 10. სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემომცველი პირობების დაცვასა და კვლავწარმოებას, ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობას.

მუხლი 11. ისტორიის, კულტურის ძეგლები და სხვა კულტურული ფასეულობები იმყოფება სახელმწიფოს ზედამხედველობისა და დაცვის ქვეშ.

საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების ფარგლებში სომხეთის რესპუბლიკა ხელს უწყობს სხვა სახელმწიფოებში არსებული სომხური ისტორიული და კულტურული ფასეულობების დაცვასა და სომხური საგანმანათლებლო და კულტურული ცხოვრების განვითარებას.

მუხლი 11¹. სომხეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს წარმოადგენს მარზები (ოლქები) და მუნიციპალიტეტები.

მუხლი 11². სომხეთის რესპუბლიკა უზრუნველყოფს ადგილობრივ თვითმმართველობას.

მუხლი 11³. სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე და მის საზღვრებს გარეთ იმყოფებიან სომხეთის რესპუბლიკის დაცვის ქვეშ.

ეროვნებით სომხები სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეობას მოიპოვებენ გამარტივებული წესით.

მუხლი 12. სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა სომხური.

მუხლი 13. სომხეთის რესპუბლიკის დროშა სამფეროვანია: ჰორიზონტალური თანაბარი ზომის წითელი, ლურჯი და ნარინჯისფერი ზოლებით.

სომხეთის რესპუბლიკის გერბი: ფარის ცენტრში გამოსახულია არარატის მთები ნოეს კიდობანით და ისტორიული სომხეთის ოთხი სამეფოს გერბებით. ფარი უკავიათ არწივს და ლომს, ხოლო ფარის ქვეშ გამოსახულია ხმალი, ტოტი, ძნა, ჯაჭვი და ბაფთა.

დროშისა და გერბის დამატებითი აღწერილობა დგინდება კანონით.

სომხეთის რესპუბლიკის ჰიმნი დგინდება კანონით.

სომხეთის რესპუბლიკის დედაქალაქია ერევანი.

თავი 2. ადამიანისა და მოქალაქის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები

მუხლი 14. ადამიანის ღირსებას პატივს სცემს და იცავს სახელმწიფო, როგორც მისი უფლებებისა და თავისუფლებების განუსხვისებელ საფუძველს.

მუხლი 14¹. კანონის წინაშე ყველა თანასწორია.

დაუშვებელია დისკრიმინაცია სქესის, რასის, კანის ფერის, ეთნიკური ან სოციალური წარმოშობის, გენდერული ნიშნების, ენის, რელიგიის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების, ინვალიდობის, ასაკის და პირადი ან სოციალური ხასიათის სხვა გარემოებების გამო.

მუხლი 15. ყველას აქვს სიცოცხლის უფლება. არავინ არ შეიძლება დაისაჯოს ან დაექვემდებაროს სიკვდილით დასჯას.

მუხლი 16. ყველას აქვს პირადი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება. ადამიანს შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით. კანონით თავისუფლების აღკვეთა შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

1) უფლებამოსილი სასამართლოს მიერ დანაშაულისთვის პირის გასამართლებისას;

2) თუ პირმა არ შეასრულა კანონიერ ძალაში შესული მოსამართლის განკარგულება;

3) კანონით დადგენილი განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით;

4) თუ არსებობს დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ეჭვი ან როდესაც ეს აუცილებელია პირის მიერ დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით ან დანაშაულის ჩადენის შემდეგ პირის მიმალვისას;

5) არასრულწლოვანის აღმზრდელობითი ზედამხედველობის ქვეშ ან სხვა უფლებამოსილი ორგანოსათვის გადაცემის მიზნით;

6) გადამდები დაავადებების გავრცელების აღკვეთისა და საზოგადოებრივი საშიშროების აღმოფხვრის მიზნით, რაც მომდინარეობს ფსიქიკურად დაავადებული, ალკოჰოლიკი, ნარკომანი ან მაწანწალა პირებიდან;

7) სომხეთის რესპუბლიკაში პირთა უკანონო შეღწევის თავიდან აცილების, მათი გაძევების ან სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემის მიზნით.

ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს დაუყოვნებლივ ეცნობება ამის მიზეზების შესახებ, ხოლო სისხლისსამართლებრივი ბრალდების წარდგენისას ასევე — ბრალდების შესახებ მისთვის გასაგებ ენაზე. ყოველ თავისუფლებააღკვეთილ პირს გააჩნია უფლება დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მის მიერ ამორჩეულ პირს.

თუ დაკავებული პირი დაკავებიდან 72 საათის განმავლობაში არ იქნება დაპატიმრებული, იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

უკანონო თავისუფლების აღკვეთის ან უკანონო ჩხრეკის შემთხვევაში ყველა პირს გააჩნია კანონით დადგენილი საფუძვლებითა და წესით მიყენე-

ბული ზიანის ანაზღაურების უფლება. ყველას აქვს უფლება ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გაასაჩივროს თავისი თავისუფლების აღკვეთის ან ჩხრეკის კანონიერება და დასაბუთებულობა.

ადამიანს არ შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მას არ შეუძლია შეასრულოს სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულებები.

ადამიანი არ შეიძლება დაექვემდებაროს ჩხრეკას, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა და წესით.

მუხლი 17. არ შეიძლება ადამიანის წამება, სასტიკი და ღირსების დამამცირებელი მოპყრობა და დასჯა. დაკავებულ, დაპატიმრებულ და თავისუფლებააღკვეთილ პირს გააჩნია ჰუმანური მოპყრობისა და ღირსების პატივისცემის უფლება.

არ შეიძლება ადამიანის გამოყენება სამედიცინო ან სამეცნიერო ცდისთვის მისი თანხმობის გარეშე.

მუხლი 18. ყველას აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებების უფლება სასამართლოში, ასევე სხვა სახელმწიფო ორგანოებში.

ყველას აქვს თავისი უფლებებისა და თავისუფლებების ყველა იმ საშუალებით დაცვის უფლება, რაც არ არის აკრძალული კანონით.

ყველას აქვს უფლება თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიიღოს ადამიანის უფლებათა დამცველის დახმარება, კანონით დადგენილი საფუძვლებითა და წესით.

სომხეთის რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად ყველას აქვს უფლება თავის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ თხოვნით მიმართოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს.

მუხლი 19. ყველას თავისი დარღვეული უფლებების აღსადგენად, ასევე მისთვის წაყენებული ბრალდების დასაბუთებულობის გასარკვევად გააჩნია თავისი საქმის გონივრულ ვადებში, დამოუკიდებელი და მოუკერძოებელი სასამართლოს მიერ განხილვის უფლება, თანასწორობის საფუძველზე, სამართლიანობის ყველა მოთხოვნის დაცვით.

საზოგადოებრივი ზნეობის, წესრიგის, სახელმწიფო უშიშროების, სასამართლო პროცესის მონაწილეთა პირადი ცხოვრებისა და მართლმსაჯულების ინტერესების დაცვის გათვალისწინებით, შეიძლება აიკრძალოს საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენელთა და საზოგადოებრიობის მონაწილეობა სასამართლო პროცესში ან მის რომელიმე ნაწილში.

მუხლი 20. ყველას აქვს იურიდიული დახმარების მიღების უფლება. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში იურიდიული დახმარება ხორციელდება სახელმწიფოს სახსრებით.

ყველას აქვს დამცველის არჩევის უფლება დაკავების, აღკვეთის ღონისძიების შერჩევის ან ბრალის წაყენებისას.

ყველას აქვს მასთან დაკავშირებით გამოტანილი სასამართლო განაჩენის ზემდგომი სასამართლოს მიერ გადასინჯვის უფლება კანონით დადგენილი წესით.

ყველა გასამართლებულს აქვს შეწყალებისა და დანიშნული სასჯელის შემსუბუქების თხოვნის უფლება.

დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 21. დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება, სანამ მისი ბრალი არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით.

ბრალდებული არ არის ვალდებული ამტკიცოს მისი უდანაშაულობა. დაუმტკიცებელი ეჭვი განიმარტება ბრალდებულის სასარგებლოდ.

მუხლი 22. არავინ არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება თავისი თავის, თავისი მეუღლის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ. კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ჩვენების მიცემის ვალდებულებისგან გათავისუფლების სხვა შემთხვევები.

აკრძალულია კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება.

აკრძალულია უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნა, ვიდრე დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი კანონით იქნებოდა გამოყენებული.

ადამიანი არ შეიძლება ცნობილ იქნეს დანაშაულში ბრალდებულად, თუ დანაშაულის ჩადენის მომენტში მოქმედი კანონით ქმედება არ ითვლება დანაშაულად.

უკუქცევითი ძალა გააჩნია კანონს, რომელიც გამორიცხავს ქმედების დასჯადობას ან ამცირებს სასჯელს.

არავინ არ შეიძლება ხელახლა გასამართლდეს ერთი და იმავე ქმედებისათვის.

მუხლი 23. ყველას აქვს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.

აკრძალულია პირის თანხმობის გარეშე მისი პიროვნების შესახებ მონაცემების შეგროვება, შენახვა, გამოყენება და გავრცელება, გარდა კანონით

გათვალისწინებული შემთხვევებისა. აკრძალულია პირადი მონაცემების გამოყენება და გავრცელება, თუ ეს ეწინააღმდეგება მონაცემთა შეგროვების მიზნებს და არ არის გათვალისწინებული კანონით.

ყველას აქვს უფლება გაეცნოს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არსებულ მასთან დაკავშირებულ მონაცემებს.

ყველას აქვს მასზე არსებული არასარწმუნო მონაცემების გამოსწორებისა და მასთან დაკავშირებული უკანონოდ მოპოვებული მონაცემების ამოღების უფლება.

ყველას აქვს მიმოწერის, სატელეფონო საუბრების, საფოსტო, სატელეგრაფო და სხვა შეტყობინებების საიდუმლოების უფლება, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით, სასამართლოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 24. ყველას აქვს საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის უფლება.

აკრძალულია ადამიანის ნების საწინააღმდეგოდ მის საცხოვრებელ ადგილში შეჭრა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საცხოვრებელი ადგილი შეიძლება გაიჩხრიკოს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 25. სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე კანონიერად მყოფ ყველა პირს აქვს რესპუბლიკის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება.

ყველას აქვს რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ გასვლის უფლება.

ყოველ მოქალაქეს და ყველა პირს, ვისაც გააჩნია სომხეთის რესპუბლიკაში ცხოვრების უფლება, აქვს სომხეთის რესპუბლიკაში დაბრუნების უფლება.

მუხლი 26. ყველას აქვს აზრის, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს რელიგიისა და შეხედულებების, ასევე მათი აღმსარებლობის თავისუფლებას, საეკლესიო რიტუალებით და სხვა საკულტო ჩვეულებებით გამოხატვით, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვა პირებთან ერთად.

ამ უფლების გამოხატვა შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით, თუ ეს აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ჯანმრთელობის, საზოგადოების ზნეობის ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებებისთვის.

მუხლი 27. ყველას აქვს აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება. აკრძალულია ადამიანის იძულება უარყოს ან შეცვალოს თავისი აზრი.

ყველას აქვს სიტყვის თავისუფლება, მათ შორის ცნობებისა და იდეების ნებისმიერი ინფორმაციის საშუალებით მოპოვების, მიღებისა და გავრცელების თავისუფლება, სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად.

გარანტირებულია ინფორმაციისა და სხვა საინფორმაციო საშუალებების თავისუფლება.

სახელმწიფო უზრუნველყოფს დამოუკიდებელი საზოგადოებრივი რადიოსა და ტელევიზიის არსებობას და საქმიანობას, რომლებიც უზრუნველყოფენ საინფორმაციო, საგანმანათლებლო, კულტურული და გასართობი ხასიათის გადაცემების მრავალფეროვნებას.

მუხლი 27. ყველას თავისი პირადი ან საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის გათვალისწინებით აქვს უფლება, სახელმწიფო ორგანოებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და თანამდებობის პირებს წარუდგინოს განცხადებები და წინადადებები და გონივრულ ვადებში მიიღოს სათანადო პასუხი.

მუხლი 28. ყველას აქვს სხვა პირებთან ერთად გაერთიანების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში შესვლის უფლება.

ყველას აქვს სხვა პირებთან ერთად პარტიის შექმნისა და მასში გაერთიანების უფლება.

პარტიისა და პროფესიული კავშირის შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით, შეიარაღებული ძალების, პოლიციის, ეროვნული უშიშროების ორგანოების, პროკურატურის მოსამსახურეებთან, ასევე მოსამართლეებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებთან დაკავშირებით.

ადამიანს არ შეიძლება აეკრძალოს რომელიმე პარტიაში ან გაერთიანებაში შესვლა.

გაერთიანების საქმიანობა შეიძლება შეჩერდეს ან აიკრძალოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლო წესით.

მუხლი 29. ყველას აქვს მშვიდობიანად და უიარაღოდ შეკრების უფლება.

ამ უფლების შეზღუდვა შეიარაღებული ძალების, პოლიციის, ეროვნული უშუშროების ორგანოების, პროკურატურის მოსამსახურეებისათვის, ასევე მოსამართლეებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებისათვის შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს კანონით.

მუხლი 30. 18 წლის ასაკს მიღწეულ სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეს უფლება აქვს აირჩიოს, ასევე მონაწილეობა მიიღოს რეფერენდუმში, სა-

ხელმწიფოს მართვაში და ადგილობრივ თვითმმართველობაში უშუალოდ ან თავისუფალი ნების გამოვლენით არჩეული თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

კანონით შეიძლება დადგინდეს იმ პირთა მიერ ადგილობრივი თვითმმართველობს ორგანოების არჩევნებში და ადგილობრივ რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება, რომლებიც არ არიან სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები.

სასამართლოს გადაწყვეტილებით არაქმედუნარიანად აღიარებულ მოქალაქეებს, ასევე პირებს, რომლებსაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა და სასჯელს იხდიან, არ აქვთ უფლება აირჩიონ ან არჩეულ იქნენ.

მუხლი 30[1]. სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეთაგან დაბადებული ბავშვი ითვლება სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქედ. ყოველ ბავშვს, რომლის ერთ-ერთი მშობელი მაინც არის სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე, გააჩნია სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის უფლება. სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის მოპოვებისა და შეწყვეტის წესი დგინდება კანონით.

არავის არ შეიძლება ჩამოერთვას სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეობა, ასევე მოქალაქეობის შეცვლის უფლება.

სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე არ შეიძლება გადაეცეს სხვა სახელმწიფოს, გარდა სომხეთის რესპუბლიკის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთა უფლებები და მოვალეობები დგინდება კანონით.

მუხლი 30[2]. მოქალაქეებს აქვთ კანონით დადგენილი საერთო საფუძვლებით საზოგადოებრივ სამსახურში მოწყობის უფლება. საზოგადოებრივი სამსახურის ორგანიზაციის პრინციპები და წესი დგინდება კანონით.

მუხლი 31. ყველას აქვს თავისი საკუთრების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის, ასევე თავისი შეხედულებით მისი მემკვიდრეობის უფლება. საკუთრების უფლების განხორციელებამ ზიანი არ უნდა მიაყენოს გარემოს, დაარღვიოს სხვა პირთა, საზოგადოებისა და სახელმწიფოს უფლებები და კანონიერი ინტერესები.

არავის არ შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და სასამართლო წესით.

საკუთრების ჩამორთმევა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის შესაძლებელია გამონაკლის შემთხვევებში, უმაღლესი საზოგა-

დოებრივი ინტერესების არსებობისას, კანონის საფუძველზე, წინასწარი თანასწორი ანაზღაურებით.

მიწაზე საკუთრების უფლებით არ სარგებლობენ სხვა ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ინტელექტუალური საკუთრება დაცულია კანონით.

მუხლი 31[1]. სახელმწიფო იცავს მომხმარებელთა ინტერესებს, საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს ხარისხის კონტროლის მიზნით ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ ზომებს.

მუხლი 32. ყველა მოქალაქეს აქვს შრომის თავისუფლად არჩევის უფლება.

ყველა მომუშავეს აქვს უფლება მიიღოს სამართლიანი და არანაკლებ სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმალური ოდენობის შრომის ანაზღაურება, რაც დააკმაყოფილებს შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის პირობებს.

მომუშავეებს თავისი ეკონომიკური, სოციალური და შრომითი ინტერესების დაცვის მიზნით აქვთ გაფიცვის უფლება. ამ უფლების განხორციელებისა და შეზღუდვის წესი დგინდება კანონით.

აკრძალულია მუდმივ სამუშაოზე 16 წლამდე ბავშვების მიღება. დროებით სამუშაოზე მათი მიღების წესი და პირობები დგინდება კანონით.

აკრძალულია იძულებითი შრომა.

მუხლი 33. ყველას აქვს დასვენების უფლება. შრომის მაქსიმალური დრო, დასვენების დღეები და ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების მინიმალური ხანგრძლივობა დგინდება კანონით.

მუხლი 33[1]. ყველას აქვს უფლება განახორციელოს ისეთი სამეწარმეო საქმიანობა, რაც არ არის კანონით აკრძალული.

აკრძალულია ბაზარზე მონოპოლიური და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და არაკეთილსინდისიერი კონკურენცია.

კანონით შეიძლება დადგინდეს კონკურენციის შეზღუდვა, მონოპოლიის შესაძლო სახეები და მათი დასაშვები მოცულობა, თუ ეს აუცილებელია საზოგადოების ინტერესების დასაცავად.

მუხლი 33[2]. ყველას აქვს უფლება იცხოვროს მისი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესაბამის გარემოში და ვალდებულია პირადად და სხვა პირებთან ერთობლივად გაუფრთხილდეს და გააუმჯობესოს გარემო პირობები.

თანამდებობის პირები პასუხს აგებენ ეკოლოგიური ინფორმაციის დაფარვაზე და მის წარმოდგენაზე უარის გამო.

მუხლი 34. ყველა მოქალაქეს აქვს უფლება გააჩნდეს მისი და მისი ოჯახის ცხოვრებისათვის დამაკმაყოფილებელი პირობები, მათ შორის, უფლება საცხოვრებელზე, ასევე ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე. ამ უფლების განსახორციელებლად სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს.

მუხლი 35. ოჯახი არის საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედი.

საქორწინო ასაკს მიღწეულ ქალსა და მამაკაცს, ნების თავისუფალი გამოვლენისას, გააჩნიათ დაქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება. დაქორწინებისას, მეუღლეთა ცხოვრების განმავლობაში და განქორწინებისას ქალი და მამაკაცი თანაბარი უფლებებით სარგებლობს.

დაუშვებელია დედობასთან დაკავშირებული მიზეზით სამსახურიდან გათავისუფლება. ყოველ მომუშავე ქალს ორსულობისა და მშობიარობისას გააჩნია ანაზღაურებადი შვებულების, ახლადდაბადებული ბავშვის მოვლისთვის შვებულებისა და ბავშვის შვილებისთვის შვებულების უფლება.

მუხლი 36. მშობლებს აქვთ უფლება და ვალდებულნი არიან იზრუნონ მათი შვილების აღზრდაზე, ჯანმრთელობაზე, სრულფასოვან და ჰარმონიულ განვითარებასა და განათლებაზე.

მშობლის უფლებების ჩამორთმევა ან მათი შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კანონით დადგენილი წესით და შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით.

სრულწლოვანი შრომისუნარიანი პირები ვალდებულნი არიან იზრუნონ თავის შრომისუუნარო და გაჭირვებულ მშობლებზე.

მუხლი 37. ყველას აქვს მოხუცებულობის, ინვალიდობის, ავადმყოფობის, მარჩენალის დაკარგვის, უმუშევრობის და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში სოციალური უზრუნველყოფის უფლება. სოციალური უზრუნველყოფის მოცულობა და ფორმა დგინდება კანონით.

მუხლი 38. ყველას აქვს კანონით დადგენილი წესით სამედიცინო დახმარებისა და სამედიცინო მომსახურების უფლება.

ყველას აქვს ძირითადი სამედიცინო მომსახურების უფასოდ მიღების უფლება.

მისი ნუსხა და მომსახურების წესი დგინდება კანონით.

მუხლი 39. ყველა მოქალაქეს აქვს განათლების უფლება.

ზოგადი საყოველთაო განათლება სავალდებულოა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. კანონით შეიძლება დადგინდეს სავალდებულო განათლების უფრო მაღალი დონე.

საშუალო განათლება სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში უფასოა.

უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების თვითმმართველობის პრინციპები განისაზღვრება კანონით.

სასწავლო დაწესებულებების შექმნისა და საქმიანობის წესი დგინდება კანონით.

ყოველ მოქალაქეს აქვს სახელმწიფო სასწავლო და სხვა სპეციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში კონკურსის საფუძველზე კანონით დადგენილი წესით უფასო განათლების მიღების უფლება. სახელმწიფო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით აღმოუჩენს ფინანსურ და სხვა დახმარებას უმაღლეს და სხვა სასწავლო დაწესებულებებს, რომლებიც ახორციელებენ სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამებს, და მათ მოსწავლეებს.

მუხლი 40. ყველას აქვს თავისუფალი ლიტერატურული, სამხატვრო, სამეცნიერო და ტექნიკური შემოქმედების სამეცნიერო მიღწევებით სარგებლობისა და საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება.

მუხლი 41. ყველას აქვს თავისი ეროვნული და ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნების უფლება.

ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებულ მოქალაქეებს აქვთ თავისი ტრადიციების, რელიგიის, ენისა და კულტურის შენარჩუნებისა და განვითარების უფლება.

მუხლი 42. კონსტიტუციაში განმტკიცებული უფლებები და თავისუფლებები არ გამორიცხავს კანონებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილ სხვა უფლებებსა და თავისუფლებებს.

ყველა თავისუფალია გააკეთოს ის, რაც კანონით არ არის აკრძალული და არ არღვევს სხვა პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს. არავის არ უნდა გააჩნდეს ვალდებულებები, რომლებიც არ არის დადგენილი კანონით.

უკუქცევითი ძალა არ აქვს კანონებსა და სხვა სამართლებრივ აქტებს, რომლებიც აუარესებენ პირის სამართლებრივ მდგომარეობას.

სამართლებრივ აქტებს, რომლებიც აუმჯობესებენ პირის სამართლებრივ მდგომარეობას ან ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას, გააჩნიათ უკუქცევითი ძალა, თუ ეს გათვალისწინებულია ამავე აქტებით.

მუხლი 42[1]. ადამიანისა და მოქალაქის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები ასევე ერცელდება იურიდიულ პირებზე, იმდენად, რამდენადაც ეს უფლებები და თავისუფლებები თავისი არსით მათთან დაკავშირებით არის გამოსაყენებელი.

მუხლი 43. კონსტიტუციის 23-25-ე, 27-ე, 28-30-ე, 30[1] მუხლებითა და 32-ე მუხლის მე-3 ნაწილით განმტკიცებული ადამიანისა და მოქალაქის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით, თუ ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად, დანაშაულთა აღსაკვეთად, საზოგადოების ჯანმრთელობისა და ზნეობის, სხვა პირთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების, პატივისა და კარგი რეპუტაციის დასაცავად.

ადამიანისა და მოქალაქის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვები არ უნდა აღემატებოდეს სომხეთის რესპუბლიკის საერთაშორისო ვალდებულებებით დადგენილ ფარგლებს.

მუხლი 44. ადამიანისა და მოქალაქის ცალკეული უფლებები და თავისუფლებები, გარდა კონსტიტუციის მე-15, მე-17–22-ე და 42-ე მუხლებში მითითებულისა, შეიძლება დროებით შეიზღუდოს კანონით დადგენილი წესით საომარი ან საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, საგანგებო სიტუაციებში ვალდებულებების უარყოფასთან დაკავშირებით მიღებული საერთაშორისო ვალდებულებების ფარგლებში.

მუხლი 45. ყველა ვალდებულია კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით გადაიხადოს გადასახადები, ბაჟი, განახორციელოს სხვა სავალდებულო გადახდები.

მუხლი 46. ყოველი მოქალაქე ვალდებულია კანონით დადგენილი წესით მონაწილეობდეს სომხეთის რესპუბლიკის დაცვაში.

მუხლი 47. ყველა ვალდებულია დაიცვას კონსტიტუცია და კანონები, პატივი სცეს სხვა პირთა უფლებებს, თავისუფლებებსა და ღირსებას.

აკრძალულია უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება კონსტიტუციური წყობილების ძალმომრეობით დამხობის, ეროვნული, რასობრივი, რელიგიური სიძულვილის გაღვივების, ძალადობისა და ომის პროპაგანდის მიზნით.

მუხლი 48. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში სახელმწიფოს ძირითად ამოცანებს განეკუთვნება:

1) ოჯახის, დედობისა და ბავშვების დაცვა და მფარველობა;

2) მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა და შრომის პირობების გაუმჯობესება;

3) საბინაო მშენებლობის სტიმულირება, ყოველი მოქალაქის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა;

4) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების განხორციელება, ეფექტური და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების პირობების შექმნის ხელშეწყობა;

5) ახალგაზრდობის მონაწილეობის ხელშეწყობა ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში;

6) ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების სტიმულირება;

7) ინვალიდების დაცვისა და მკურნალობის პროგრამების განხორციელება, ინვალიდთა მონაწილეობის წახალისება საზოგადოებრივ ცხოვრებაში;

8) უფასო უმაღლესი და სხვა სპეციალური განათლების განვითარების ხელშეწყობა;

9) მეცნიერებისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობა;

10) არსებული და მომავალი თაობების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველმყოფი პოლიტიკის განხორციელება;

11) ყოველი პირის თავისუფალი ზიარების ხელშეწყობა ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებთან;

12) ხანდაზმული მოსახლეობის ღირსეული ცხოვრების დონის უზრუნველყოფა.

სახელმწიფო თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ვალდებულია მიიღოს ზომები ამ მუხლით განმტკიცებული ამოცანების განსახორციელებლად.

თავი 3. რესპუბლიკის პრეზიდენტი

მუხლი 49. რესპუბლიკის პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური.

რესპუბლიკის პრეზიდენტი უზრუნველყოფს კონსტიტუციის დაცვას, საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებათა ნორმალურ ფუნქციონირებას.

რესპუბლიკის პრეზიდენტი არის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და უსაფრთხოების გარანტი.

მუხლი 50. რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეთა მიერ 5 წლის ვადით.

რესპუბლიკის პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს 35 წლის ასაკს მიღწეული ყოველი პირი, რომელიც უკანასკნელი 10 წლის მანძილზე არის სომხე-

თის რესპუბლიკის მოქალაქე, მუდმივად ცხოვრობს რესპუბლიკაში და ფლობს საარჩევნო უფლებას.

ერთი და იგივე პირი შეიძლება რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

მუხლი 51. რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა კონსტიტუციითა და კანონით დადგენილი წესით. პრეზიდენტის არჩევნები ტარდება მისი უფლებამოსილების გასვლამდე 50 დღით ადრე.

არჩეულად ჩაითვლება რესპუბლიკის პრეზიდენტობის ის კანდიდატი, რომელიც კანდიდატებისთვის მიცემული ხმების უმეტესობას მიიღებს.

თუ კენჭისყრა ჩატარდება ორზე მეტ კანდიდატს შორის და მათ შორის ვერც ერთმა ვერ მიიღო ხმების აუცილებელი რაოდენობა, კენჭისყრიდან მეთოთხმეტე დღეს ტარდება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს ორი კანდიდატი, რომლებმაც ხმების უმრავლესობა მიიღეს. მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც ხმების უმეტესობას მიიღებს.

იმ შემთხვევაში, თუ კენჭისყრა ტარდება ერთი კანდიდატის მიმართ, იგი არჩეულად ითვლება, თუ მიიღებს არჩევნებში მონაწილეთა ხმების უმეტესობას.

თუ საკონსტიტუციო სასამართლო განსახილველად მიიღებს საქმეს, რომელიც ეხება რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებს, სასამართლოს მიერ დადგენილება მიღებულ უნდა იქნეს განცხადების გადაცემიდან 10 დღის ვადაში, ხოლო ამ მუხლით დადგენილი ვადები აითვლება სასამართლოს დადგენილების ძალაში შესვლის მომენტიდან.

თუ რესპუბლიკის პრეზიდენტი ვერ აირჩა, ინიშნება ხელახალი არჩევნები, ხოლო კენჭისყრა ტარდება ხელახალი არჩევნების დანიშვნიდან მეორმოცე დღეს.

რესპუბლიკის პრეზიდენტი თანამდებობას იკავებს ყოფილი რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილების გასვლის დღეს.

ხელახალი ან რიგგარეშე არჩევნებით არჩეული რესპუბლიკის პრეზიდენტი თანამდებობას იკავებს არჩევნებიდან მეათე დღეს.

მუხლი 52. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთ პრეზიდენტობის კანდიდატს შეექმნება დაუძლეველი დაბრკოლებები, რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები ორი კვირით გადაიდება. თუ ამ ვადაში არ აღმოიფხვრება დაუძლეველად აღიარებული დაბრკოლებები, ერთ-ერთი კანდიდატისთვის ტარდება ხელახალი არჩევნები. ხელახალი არჩევნები ტარდება დაბრკოლებების დაუძლეველად აღიარებიდან 40 დღის ვადაში.

კენჭისყრამდე ერთ-ერთი კანდიდატის გარდაცვალების შემთხვევაში ინიშნება ხელახალი არჩევნები, ხოლო კენჭისყრა ტარდება ხელახალი არჩევნების დანიშვნიდან მეორმოცე დღეს.

მუხლი 53. რესპუბლიკის პრეზიდენტის გადადგომის, გარდაცვალების, უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან მისი თანამდებობიდან გადაყენებისას, კონსტიტუციის 57-ე მუხლით დადგენილი წესით, ვაკანსიის გამოცხადებიდან მეორმოცე დღეს ტარდება რესპუბლიკის პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები.

მუხლი 53[1]. სამხედრო ან საომარო მდგომარეობის პერიოდში რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები არ ტარდება, ხოლო რესპუბლიკის პრეზიდენტი აგრძელებს თავისი უფლებამოსილების განხორციელებას. ამ შემთხვევაში რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები ტარდება საომარი ან საგანგებო მდგომარეობის პერიოდის დასრულებიდან მეორმოცე დღეს.

მუხლი 54. რესპუბლიკის პრეზიდენტი თანამდებობას იკავებს კანონით დადგენილი წესით ეროვნული კრების სპეციალურ სხდომაზე ხალხისათვის შემდეგი შინაარსის ფიცის მიცემიდან:

„ვიკავებ რა სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობას, ვფიცავ, უპირობოდ შევასრულებ კონსტიტუციის მოთხოვნებს: პატივს ვცემ ადამიანისა და მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს, უზრუნველვყოფ რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას და უსაფრთხოებას სომხეთის რესპუბლიკის დიდების და სომხეთის რესპუბლიკის ხალხის კეთილდღეობის სახელით“.

მუხლი 55. რესპუბლიკის პრეზიდენტი:

1) მიმართავს ხალხსა და ეროვნულ კრებას;

2) ეროვნული კრების მიერ კანონის მიღებიდან 21 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას.

ამ ვადის განმავლობაში შეუძლია კანონი შენიშვნებითა და წინადადებებით ხელახალი განხილვის მოთხოვნით დაუბრუნოს ეროვნულ კრებას. ხუთი დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს ეროვნული კრების მიერ ხელახლა მიღებულ კანონს;

3) კონსტიტუციის 74[1] მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით ითხოვს ეროვნულ კრებას და ნიშნავს რიგგარეშე არჩევნებს;

4) ეროვნულ კრებაში სადეპუტატო ადგილების განაწილებისა და სადეპუტატო ფრაქციებთან კონსულტაციის საფუძველზე პრემიერ-მინისტრად ნიშნავს პირს, რომელიც სარგებლობს დეპუტატთა უმრავლესობის ნდობით,

ხოლო თუ ეს შეუძლებელია — პირს, რომელიც სარგებლობს ყველაზე მეტი დეპუტატის ნდობით. რესპუბლიკის პრეზიდენტი მთავრობის გადადგომის მიღებიდან ათი დღის ვადაში ნიშნავს პრემიერ-მინისტრს. მთავრობა ყალიბდება პრემიერ-მინისტრის დანიშვნიდან ოცი დღის ვადაში.

რესპუბლიკის პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წინადადებით ნიშნავს და ათავისუფლებს მთავრობის წევრებს.

რესპუბლიკის პრეზიდენტი მთავრობის გადადგომას იღებს ეროვნული კრების პირველი სხდომის, რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ თანამდებობის დაკავების, მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების, მთავრობის პროგრამის დაუმტკიცებლობის, პრემიერ-მინისტრის მიერ გადადგომის შესახებ თხოვნით მიმართვის ან პრემიერ-მინისტრის თანამდებობის გათავისუფლების დღეს. რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ მთავრობის გადადგომის მიღებიდან მთავრობის წევრები აგრძელებენ თავიანთი უფლებამოსილების აღსრულებას ახალი მთავრობის ფორმირებამდე;

5) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს სახელმწიფო თანამდებობებზე დანიშვნას;

6) ქმნის ეროვნული უშიშროების საბჭოს, ხელმძღვანელობს მას, შეუძლია შექმნას სხვა საკონსულტაციო ორგანოები;

7) წარმოადგენს სომხეთის რესპუბლიკას საერთაშორისო ურთიერთობებში, ახორციელებს საგარეო პოლიტიკის საერთო ხელმძღვანელობას, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ეროვნულ კრებას სარატიფიკაციოდ წარუდგენს საერთაშორისო ხელშეკრულებებს და ხელს აწერს მათ სარატიფიკაციო სიგელებს, ამტკიცებს, აჩერებს მოქმედებას და დენონსირებას უკეთებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებიც არ საჭიროებს რატიფიცირებას;

8) ნიშნავს და გამოიწვევს უცხო ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში სომხეთის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლებს, იღებს უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დიპლომატიურ წარმომადგენელთა რწმუნებისა და გამოწვევის სიგელებს;

9) ეროვნულ კრებას წარუდგენს გენერალური პროკურორის, ცენტრალური ბანკის თავმჯდომარის, კონტროლის პალატის თავმჯდომარის კანდიდატურებს. გენერალური პროკურორის წინადადებით ნიშნავს და ათავისუფლებს გენერალური პროკურორის მოადგილეებს;

10) ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს ოთხ წევრს, ხოლო ეროვნული კრების მიერ კონსტიტუციის 83-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არდანიშვნის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობიდან ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს.

საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის საფუძველზე უფლება აქვს უფლებამოსილება შეუწყვიტოს თავის მიერ დანიშნულ წევრს ან მისცეს თანხმობა მის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემაზე, დაპატიმრებაზე, მის მიმართ სასამართლო წესით ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემაზე;

11) მართლმსაჯულების საბჭოს წინადადებით ნიშნავს საკასაციო სასამართლოსა და მისი პალატების თავმჯდომარეებსა და მოსამართლეებს, სააპელაციო, პირველი ინსტანციისა და სპეციალიზირებული სასამართლოების მოსამართლეებს, წყვეტს მათ უფლებამოსილებას, თანხმობას აძლევს ბრალდებულის სახით მათ პასუხისგებაში მიცემაზე, დაპატიმრებაზე, სასამართლო წესით ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემაზე, მართლმსაჯულების საბჭოს დასკვნის საფუძველზე ნიშნავს სააპელაციო, პირველი ინსტანციისა და სპეციალიზირებული სასამართლოების მოსამართლეებს;

111) მართლმსაჯულების საბჭოს წევრებად ნიშნავს ორ სწავლულ-იურისტს;

12) არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, კოორდინაციას უწევს თავდაცვის სფეროში სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას, ნიშნავს და ათავისუფლებს შეიარაღებული ძალებისა და სხვა ჯარების უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობას;

13) რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესიის, მის წინააღმდეგ უშუალო მუქარის ან ომის გამოცხადების შემთხვევაში აცხადებს საომარ მდგომარეობას, შეუძლია გამოაცხადოს საყოველთაო ან ნაწილობრივი მობილიზაცია და ილებს გადაწყვეტილებას შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ.

ომის დროს რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია დანიშნოს ან გაათავისუფლოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი.

შეიარაღებული ძალების გამოყენების ან სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში თავისი უფლებით დაუყოვნებლივ მოიწვევა ეროვნული კრების სპეციალური სხდომა.

საომარი მდგომარეობის სამართლებრივი რეჟიმი დგინდება კანონით;

14) იმ შემთხვევაში, თუ უშუალო საფრთხე ექმნება კონსტიტუციურ წყობილებას, ეროვნული კრების თავმჯდომარესა და პრემიერ-მინისტრთან კონსულტაციების შემდეგ აცხადებს საგანგებო მდგომარეობას, ახორციელებს სიტუაციიდან ნაკარნახევ ღონისძიებებს და ამის შესახებ მიმართავს ხალხს.

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში საკუთარი უფლებით დაუყოვნებლივ მოიწვევა ეროვნული კრების სპეციალური სხდომა;

საგანგებო მდგომარეობის სამართლებრივი რეჟიმი დგინდება კანონით;

15) კანონით დადგენილი წესით წყვეტს სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის მინიჭებასა და პოლიტიკური თავშესაფრის მიცემასთან დაკავშირებულ საკითხებს;

16) აჯილდოვებს სომხეთის რესპუბლიკის ორდენებითა და მედლებით, ანიჭებს უმაღლეს სამხედრო და საპატიო წოდებებს, უმაღლეს დიპლომატიურ და სხვა საკლასო ჩინებს;

17) ახორციელებს გასამართლებულთა შეწყალებას.

მუხლი 56. რესპუბლიკის პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებებსა და განკარგულებებს, რომლებიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს და ექვემდებარება შესრულებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

მუხლი 56¹. რესპუბლიკის პრეზიდენტი ხელშეუხებელია.

რესპუბლიკის პრეზიდენტი თავისი უფლებამოსილების ვადით და შემდგომ არ შეიძლება დაექვემდებაროს დევნას და მიეცეს პასუხისგებაში მისი სტატუსის თანმდევი საქმიანობისათვის.

რესპუბლიკის პრეზიდენტი შეიძლება მიეცეს პასუხისგებაში თავისი უფლებამოსილების დასრულების შემდეგ იმ ქმედებისათვის, რაც არ არის დაკავშირებული მის სტატუსთან.

მუხლი 57. რესპუბლიკის პრეზიდენტი შეიძლება გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან სახელმწიფო ღალატის ან სხვა მძიმე დანაშაულისათვის.

რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ დასკვნის მისაღებად ეროვნული კრება მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობით მიღებული დადგენილებით.

რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ დადგენილებას, საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის საფუძველზე, იღებს ეროვნული კრება დეპუტატთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ორი მესამედით.

თუ საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილებით არ არსებობს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საფუძველი, საკითხი იხსნება ეროვნული კრების განხილვიდან.

მუხლი 58. რესპუბლიკის პრეზიდენტი გადადგომის შესახებ მიმართავს ეროვნულ კრებას. გადადგომის შესახებ მიმართვიდან ათი დღის შემდეგ მეორედ მიმართვის შემთხვევაში, ორი დღის შემდეგ გადადგომა მიღებულად ითვლება და კონსტიტუციით დადგენილი წესით და ვადებში ტარდება რიგგარეშე არჩევნები.

მუხლი 59. რესპუბლიკის პრეზიდენტის მძიმე ავადმყოფობის ან მისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სხვა გადაულახავი დაბრკოლების არსებობისას, რომლებიც ხანგრძლივად ხდიან შეუძლებელს მის მიერ უფლებამოსილების განხორციელებას, ეროვნული კრება მთავრობის წინადადებით და საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის საფუძველზე, დეპუტატთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ორი მესამედის თანხმობით იღებს დადგენილებას რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შესახებ. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნაში არ არსებობს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის საფუძველი, მთავრობამ აღარ შეიძლება მიმართოს ეროვნულ კრებას ამგვარი წინადადებით.

მუხლი 60. იმ შემთხვევაში, თუ რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა ვაკანტური გახდება, ახალარჩეული რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების განხორციელების დაწყებამდე რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებას ასრულებს ეროვნული კრების თავმჯდომარე, ხოლო თუ ეს შეუძლებელია — პრემიერ-მინისტრი. ეროვნული კრების თავმჯდომარის მიერ რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილების შესრულებისას ეროვნული კრების თავმჯდომარის უფლებამოსილებას ასრულებს ეროვნული კრების თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც თანამდებობაზე არჩევისას მიიღებს ხმათა ყველაზე მეტ რაოდენობას. ამ პერიოდში აკრძალულია რეფერენდუმის დანიშვნა, პრემიერ-მინისტრის დანიშვნა, შეიარაღებული ძალებისა და სხვა ჯარების უმაღლესი მთავარსარდლობის დანიშვნა (გარდა საომარი მდგომარეობის პერიოდისა), კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში პოლიციისა და ეროვნული უშიშროების ორგანოების თანამდებობებზე დანიშვნა, ასევე კონსტიტუციის 55-ე მუხლის მე-3, მე-8, მე-16 და მე-17 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება.

მუხლი 61. რესპუბლიკის პრეზიდენტი კანონით დადგენილი წესით ქმნის თავის აპარატს. რესპუბლიკის პრეზიდენტის ანაზღაურების, მომსახურებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესები დგინდება კანონით.

თავი 4. ეროვნული კრება

მუხლი 62. სომხეთის რესპუბლიკაში საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ეროვნული კრება. ეროვნული კრება კონსტიტუციის 55-ე მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტებით, 57-ე და 59-ე მუხლებით, ამ მუხლის მეორე ნაწილით, 66-ე, 67-ე, 69-ე, 73-ე, 74-ე, 74^1, 75-ე, 77-ე, 79-ე მუხლებით, მე-80 მუხლის მეორე ნაწილით, 81-ე, 83-ე, 83^1, 83^2, 83^3, 83^4,

84-ე, 94[1] მუხლებით, 101-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 103-ე, 111-ე, 112-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ასევე თავისი საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებზე იღებს დადგენილებას, რომელსაც ხელს აწერს და აქვეყნებს ეროვნული კრების თავმჯდომარე.

კანონით — რეგლამენტით გათვალისწინებული წესით ეროვნულმა კრებამ შეიძლება მიიღოს მიმართვა და განცხადება.

ეროვნული კრების უფლებამოსილება დგინდება კონსტიტუციით.

ეროვნული კრების საქმიანობის, მისი ორგანოების ფორმირებისა და საქმიანობის წესი დგინდება კონსტიტუციითა და ეროვნული კრების რეგლამენტით.

მუხლი 63. ეროვნული კრება შედგება 131 დეპუტატისგან.

ეროვნული კრება აირჩევა ხუთი წლის ვადით. მისი უფლებოსილების ვადა იწყება ახლადარჩეული ეროვნული კრების პირველი სესიის მოწვევისას. ეროვნული კრების უფლებამოსილების ვადა სრულდება ახლადარჩეული ეროვნული კრების პირველი სესიის მოწვევისას.

ეროვნული კრება არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს საომარი ან საგანგებო მდგომარეობის პერიოდში ან როდესაც აღძრულია საქმე რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

საომარი ან საგანგებო მდგომარეობის პერიოდში ეროვნული კრების არჩევნები არ ტარდება, ხოლო ეროვნული კრების უფლებამოსილების ვადა გრძელდება საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგ არჩეული ეროვნული კრების პირველი სესიის გახსნამდე. ამ შემთხვევაში ეროვნული კრების არჩევნები ტარდება საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დასრულებიდან არანაკლებ 50 და არა უმეტეს 60 დღის ვადაში.

მუხლი 64. დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნეს ყოველი პირი, რომელმაც მიაღწია 25 წლის ასაკს, უკანასკნელი 5 წლის მანძილზე არის სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე, უკანასკნელი 5 წლის მანძილზე მუდმივად ცხოვრობს რესპუბლიკაში და სარგებლობს საარჩევნო უფლებით.

მუხლი 65. დეპუტატს უფლება არა აქვს ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, დაიკავოს თანამდებობა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ან კომერციულ ორგანიზაციაში, ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობისა.

დეპუტატი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს მუდმივ საფუძველზე.

დეპუტატის სტატუსი და საქმიანობის გარანტიები დგინდება კონსტიტუციითა და კანონით.

მუხლი 66. დეპუტატი არ არის შეზღუდული იმპერატიული მანდატით, ხელმძღვანელობს საკუთარი სინდისითა და შეხედულებებით.

დეპუტატი თავისი დადეპუტატო უფლებამოსილების პერიოდში და შემდგომ არ ექვემდებარება დევნასა და პასუხისგებაში მიცემას იმ ქმედებისათვის, რაც მისი სტატუსიდან გამომდინარეობს, მათ შორის, ეროვნულ კრებაში გამოთქმული აზრისათვის, თუ ის არ შეიცავს ცილისწამებასა და შეურაცხყოფას.

ეროვნული კრების თანხმობის გარეშე დაუშვებელია დეპუტატის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა, დაპატიმრება, სასამართლო წესით ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემა.

დაუშვებელია დეპუტატის დაკავება ეროვნული კრების თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაკავება ხდება დანაშაულის ჩადენის მომენტში. ამ შემთხვევაში დაუყოვნებლივ ეცნობება ეროვნული კრების თავმჯდომარეს.

მუხლი 67. დეპუტატის უფლებამოსილება წყდება ეროვნული კრების უფლებამოსილების გასვლის, ეროვნული კრების დათხოვნის, კონსტიტუციის 65-ე მუხლის პირველი ნაწილის პირობების დარღვევის, სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის დაკარგვის, ერთი მორიგი სესიის განმავლობაში კენჭისყრების ნახევრის არასაპატიოდ გაცდენის, თავისუფლების აღკვეთის მისჯის, არაქმედუნარიანად აღიარების ან გადადგომის შემთხვევებში.

დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტის წესი დგინდება კანონით — ეროვნული კრების რეგლამენტით.

მუხლი 68. ეროვნული კრების მორიგი არჩევნები ტარდება მისი უფლებამოსილების ამოწურვამდე არა უადრეს 40 და არა უგვიანეს 30 დღის დავაში.

ეროვნული კრების რიგგარეშე არჩევნები ტარდება ეროვნული კრების დთხოვნიდან არა უადრეს 30 და არა უგვიანეს 40 დღის ვადაში.

ეროვნული კრების არჩევნებს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბრძანებულებით.

ახალარჩეული ეროვნული კრების პირველი სესია მოიწვევა დეპუტატთა არანაკლებ საერთო რაოდენობის ორი მესამედის არჩევიდან მესამე ხუთშაბათს.

რიგგარეშე არჩევნების შემთხვევაში ახლადარჩეული ეროვნული კრების პირველი სესია მოიწვევა დეპუტატთა არანაკლებ საერთო რაოდენობის ორი მესამედის არჩევიდან მეორე ხუთშაბათს.

მუხლი 69. ეროვნული კრების მორიგი სესიები მოიწვევა კანონით — ეროვნული კრების რეგლამენტით დადგენილ ვადებში და წესით.

ეროვნული კრების სხდომები ღიაა. დახურული სხდომა შეიძლება ჩატარდეს ეროვნული კრების გადაწყვეტილებით.

მუხლი 70. ეროვნული კრების რიგგარეშე სესიას ან რიგგარეშე სხდომას იწვევს ეროვნული კრების თავმჯდომარე რესპუბლიკის პრეზიდენტის, დეპუტატთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ერთი მესამედის ან მთავრობის ინიციატივით. რიგგარეშე სესია ან რიგგარეშე სხდომა ტარდება ინიციატორის მიერ დადგენილი დღის წესრიგითა და ვადებში.

მუხლი 71. კანონები და ეროვნული კრების დადგენილებები, გარდა კონსტიტუციით დადგენილი შემთხვევებისა, მიიღება სხდომაზე დამსწრე დეპუტატთა ხმების უმრავლესობით, თუ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო დეპუტატთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ნახევარმა.

მუხლი 72. რესპუბლიკის პრეზიდენტის შენიშვნებისა და წინადადებების მიუღებლობის შემთხვევაში ეროვნულმა კრებამ დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობით ხელახლა უნდა მიიღოს დაბრუნებული ტექსტი.

რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დაბრუნებულ კანონს ეროვნული კრება განიხილავს რიგგარეშედ.

მუხლი 73. ეროვნულ კრებაში შეიძლება შეიქმნას არა უმეტეს 12 მუდმივი კომისია, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში — დროებითი კომისიები.

მუდმივი კომისიები იქმნება კანონპროექტებისა და სხვა წინადადებების წინასწარი განხილვისა და მათ შესახებ ეროვნული კრებისათვის დასკვნების წარსადგენად.

აუცილებლობის შემთხვევაში კანონით — ეროვნული კრების რეგლამენტით დადგენილი წესით, ცალკეულ კანონპროექტთა განხილვის, ეროვნული კრებისათვის დასკვნების წარდგენისა და განსაზღვრული მოვლენებისა და ფაქტების ცნობისათვის შეიძლება შეიქმნას დროებითი კომისიები.

მუხლი 74. მთავრობა ფორმირებიდან 20 დღის ვადაში ეროვნულ კრებას წარუდგენს თავის პროგრამას. ეროვნული კრების სხდომაზე ნდობის ვოტუმის საკითხის დაყენებით.

ეროვნული კრების მიერ მთავრობის პროგრამის დამტკიცების საკითხი განიხილება რიგგარეშე სესიაზე და კენჭისყრაზე დგება მისი წარდგენიდან 15 დღის ვადაში. მთავრობის პროგრამის დამტკიცების შესახებ დადგენილება

მიიღება ეროვნული კრების დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობით.

მუხლი 74'. რესპუბლიკის პრეზიდენტი დაითხოვს ეროვნულ კრებას, თუ ეროვნულმა კრებამ ორი თვის მანძილზე ზედიზედ ორჯერ არ დაამტკიცა მთავრობის პროგრამა.

რესპუბლიკის პრეზიდენტმა შეიძლება დაითხოვოს ეროვნული კრება ეროვნული კრების თავმჯდომარის ან პრემიერ-მინისტრის წინადადებით, თუ:

ა) ეროვნული კრება მორიგი სესიის სამი თვის მანძილზე არ მიიღებს გადაწყვეტილებას მთავრობის მიერ გადაუდებლად აღიარებული კანონის პროექტზე;

ბ) მორიგი სესიის არა უმეტეს სამი თვის მანძილზე არ მოიწვევა ეროვნული კრების სხდომები;

გ) მორიგი სესიის არა უმეტეს სამი თვის მანძილზე ეროვნული კრება არ მიიღებს რაიმე გადაწყვეტილებას მის მიერ განსახილველ საკითხზე.

მუხლი 75. ეროვნულ კრებაში საკანონმდებლო ინიციატივის უფლება გააჩნიათ დეპუტატებსა და მთავრობას.

მთავრობამ შეიძლება დაადგინოს მის მიერ შეტანილი კანონპროექტების განხილვის თანმიმდევრობა და მოითხოვოს მათი კენჭისყრაზე დაყენება მხოლოდ მისთვის მისაღები შესწორებებით.

კანონპროექტებს, რომლებიც მთავრობის დასკვნის თანახმად ამცირებენ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს ან ზრდიან მის ხარჯებს, ეროვნული კრება იღებს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობით.

მთავრობას შეუძლია მის მიერ შეტანილი კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით დასვას ნდობის საკითხი. თუ მთავრობის მიერ ნდობის საკითხის დაყენებიდან 24 საათის განმავლობაში ეროვნულ კრებას დეპუტატთა საერთო რაოდენობის ერთი მესამედის მიერ არ წარედგინება მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ დადგენილების პროექტი, ან თუ ამგვარი პროექტის წარდგენის შემთხვევაში ეროვნული კრების დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობის მიერ, კონსტიტუციის 84-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილ ვადებში, მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, მთავრობის მიერ შეტანილი კანონპროექტი მიღებულად ითვლება.

მთავრობას, მის მიერ შეტანილი კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით ნდობის საკითხის დასმა შეუძლია ერთი სესიის განმავლობაში არა უმეტეს ორჯერ.

მუხლი 76. ეროვნული კრება მთავრობის წარდგინებით ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს. სახელმწიფო ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, საბიუჯეტო წლის დაწყებამდე გასავლები ხორციელდება წინა წლის ბიუჯეტის პროპორციებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების წესი დგინდება კანონით — ეროვნული კრების რეგლამენტით.

მუხლი 77. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე, ასევე უცხო სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან მიღებული სესხებისა და კრედიტების გამოყენებაზე კონტროლს ახორციელებს ეროვნული კრება.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს ეროვნული კრება იხილავს და ამტკიცებს კონტროლის პალატის დასკვნის არსებობისას.

მუხლი 78. (ამოღებულია)

მუხლი 79. ეროვნული კრება დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობით ირჩევს ეროვნული კრების თავმჯდომარეს.

ეროვნული კრების თავმჯდომარე უძღვება სხდომებს, განკარგავს ეროვნული კრების მატერიალურ საშუალებებს, უზრუნველყოფს ეროვნული კრების ნორმალურ საქმიანობას.

ეროვნული კრება ირჩევს ეროვნული კრების თავმჯდომარის ორ მოადგილეს.

მუხლი 80. დეპუტატებს უფლება აქვთ მთავრობას მიმართონ წერილობითი ან ზეპირი კითხვით, ხოლო ფრაქციებმა და ჯგუფებმა ასევე — შეკითხვით. მორიგი სესიის ყოველი კვირის ერთ-ერთ სხდომაზე პრემიერ-მინისტრი და მთავრობის წევრები პასუხობენ დეპუტატთა კითხვებს. დეპუტატთა კითხვებთან დაკავშირებით ეროვნული კრება არ იღებს დადგენილებას.

შეკითხვები წარედგინება წერილობით განხილვამდე არანაკლებ 10 დღით ადრე. შეკითხვით მიმართვის, მათი განხილვის ორგანიზაციის და მათთან დაკავშირებით დადგენილების მიღების წესი დგინდება კანონით — ეროვნული კრების რეგლამენტით.

მუხლი 81. ეროვნული კრება რესპუბლიკის პრეზიდენტის წინადადებით:

1) აცხადებს ამნისტიას;

2) ახდენს სომხეთის რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციას, შეჩერებას ან დენონსაციას.

ეროვნული კრების მიერ რატიფიკაციას ექვემდებარება საერთაშორისო ხელშეკრულებები:

ა) რომლებსაც გააჩნია პოლიტიკური ან სამხედრო ხასიათი ან ითვალისწინებს სახელმწიფო საზღვრების შეცვლას,

ბ) რომლებიც ეხება ადამიანის უფლებებს, თავისუფლებებსა და ვალდებულებებს,

გ) რომლებიც სომხეთის რესპუბლიკისთვის ითვალისწინებს ფინანსურ ვალდებულებებს,

დ) რომელთა გამოყენებაც ითვალისწინებს კანონებში ცვლილებების შეტანას ან ახალი კანონის მიღებას ან ადგენს ნორმებს, რომლებიც ეწინააღმდეგება კანონს,

ე) რომლებიც ითვალისწინებს რატიფიკაციას,

ვ) კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

3) იღებს გადაწყვეტილებას ომის გამოცხადების და ზავის დადების შესახებ. ეროვნული კრების სხდომის მოწვევის შეუძლებლობის შემთხვევაში ომის გამოცხადების საკითხს წყვეტს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ეროვნულ კრებას შეუძლია ბათილად გამოაცხადოს კონსტიტუციის 55-ე მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 82. ეროვნული კრება მთავრობის წინადადებით ადგენს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას.

მუხლი 83. ეროვნული კრება:

1) ეროვნული კრების თავმჯდომარის წინადადებით ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს ხუთ წევრს;

2) საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობის გათავისუფლებიდან ცამეტი დღის ვადაში ეროვნული კრების თავმჯდომარის წინადადებით საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობიდან ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს;

3) საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის საფუძველზე უფლება აქვს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობით უფლებამოსილება შეუწყვიტოს მის მიერ დანიშნულ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს, მისცეს თანხმობა ბრალდებულის სახით მათ პასუხისგებაში მიცემაზე, დაპატიმრებაზე ან სასამართლო წესით ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემაზე;

4) შეარჩევს მართლმსაჯულების საბჭოს ორ სწავლულ-იურისტს.

მუხლი 83'. ეროვნული კრება დეპუტატთა არანაკლებ საერთო რაოდენობის ხმათა სამი მეხუთედით ექვსი წლის ვადით ირჩევს ადამიანის უფლებათა დამცველს.

ადამიანის უფლებათა დამცველად შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც საზოგადოებაში სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით და აკმაყოფილებს დეპუტატისთვის წარდგენილ მოთხოვნებს.

ადამიანის უფლებათა დამცველი შეუცვლელია.

ადამიანის უფლებათა დამცველი არის დამოუკიდებელი თანამდებობის პირი, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მიერ დარღვეული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

სახელმწიფო ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და თანამდებობის პირები თანამშრომლობენ ადამიანის უფლებათა დამცველთან.

ადამიანის უფლებათა დამცველი სარგებლობს დეპუტატისთვის დადგენილი ხელშეუხებლობით.

ადამიანის უფლებათა დამცველის სხვა გარანტიები დგინდება კანონით.

მუხლი 83². სატრანსლიაციო საშუალებების თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და მრავალფეროვნების უზრუნველყოფის მიზნიდან გამომდინარე კანონით იქმნება დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, რომლის წევრთა ნახევარი ექვსი წლის ვადით აირჩევა ეროვნული კრების მიერ, ხოლო მეორე ნახევარი — ექვსი წლის ვადით ინიშნება რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ. ეროვნული კრება ამ ორგანოს წევრებს ირჩევს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობით.

მუხლი 83³. სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური ბანკის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სომხეთის რესპუბლიკაში ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ცენტრალური ბანკი შეიმუშავებს, ამტკიცებს და ახორციელებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პროგრამებს.

ცენტრალური ბანკი უშვებს სომხეთის რესპუბლიკის ვალუტას — სომხურ დრამს.

ცენტრალური ბანკი დამოუკიდებელია კონსტიტუციითა და კანონით მისთვის დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელებისას.

ცენტრალური ბანკის თავმჯდომარე ინიშნება ეროვნული ბანკის მიერ რესპუბლიკის პრეზიდენტის წინადადებით ექვსი წლის ვადით. ერთი და იგივე პირი ცენტრალური ბანკის თავმჯდომარედ შეიძლება დაინიშნოს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

კანონით დადგენილ შემთხვევებში ეროვნული კრება დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობით რესპუბლიკის პრეზიდენტის წინადადებით თანამდებობიდან გადააყენებს ცენტრალური ბანკის თავმჯდომარეს.

მუხლი 83¹. სომხეთის რესპუბლიკის კონტროლის პალატა არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც ახორციელებს კონტროლს საბიუჯეტო სახსრების, სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების გამოყენებაზე.

კონტროლის პალატის საქმიანობის პროგრამას ამტკიცებს ეროვნული კრება.

კონტროლის პალატა არანაკლებ წელიწადში ერთხელ ეროვნულ კრებას წარუდგენს ანგარიშს კონტროლის პალატის საკონტროლო საქმიანობის შედეგების შესახებ.

კონტროლის პალატის საქმიანობის წესი და კომპეტენცია დგინდება კანონით.

კონტროლის პალატის თავმჯდომარე ინიშნება ეროვნული კრების მიერ ექვსი წლის ვადით რესპუბლიკის პრეზიდენტის წინადადებით.

კონტროლის პალატის თავმჯდომარედ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც აკმაყოფილებს დეპუტატისთვის წარდგენილ მოთხოვნებს. ერთი და იგივე პირი კონტროლის პალატის თავმჯდომარედ შეიძლება დაინიშნოს ზედიზედ არა უმეტეს ორჯერ.

მუხლი 83². მხოლოდ სომხეთის რესპუბლიკის კანონებით განისაზღვრება:

1) ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების განხორციელებისა და დაცვის პირობები და წესი;

2) ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვები, მათი ვალდებულებები, ასევე პასუხისმგებლობის სახეები და ზომები, პასუხისგებაში მიცემის წესი, იძულების საშუალებები და მათი გამოყენების წესი, ფიზიკური და იურიდიული პირების გადასახდელი გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა საკალდებულო გადასახდელების სახეები, ზომები, გადახდის წესი;

3) სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული იურიდიული და ფიზიკური პირების საქმიანობის ზედამხედველობისა და კონტროლის (მათ შორის: შემოწმების, შესწავლის, საინსპექციო შემოწმების) განხორციელების შემთხვევები, პირობები და წესი;

4) იურიდიულ პირთა შექმნის, მათი საქმიანობის შეწყვეტისა და შეჩერების წესი და პირობები;

5) ფიზიკური პირების შესახებ პირადი და საოჯახო მონაცემების ნუსხა, ასევე იურიდიული პირების შესახებ კომერციული მონაცემები, რაც არ არის კონფიდენციალური;

6) სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული, ეკონომიკური (ქონებრივი), დისციპლინური პასუხისმგებლობის შემთხვევები, წესი და პირობები, სისხლისსამართლებრივი სასჯელის განხორციელების წესი, სასამართლო და

ადმინისტრაციული აქტების იძულებითი აღსრულების წესი, ადვოკატთა სტატუსი და უფლებამოსილება;

7) რეფერენდუმების, რესპუბლიკის პრეზიდენტის, სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული კრებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების ჩატარების წესი;

8) სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისა და ხარჯვის წესი;

9) პარტიებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების სამართლებრივი სტატუსი;

10) სომხეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები და მათი საზღვრები.

მუხლი 84. ეროვნულ კრებას შეუძლია დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობით უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას.

მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ დადგენილების პროექტი შეიძლება შეიტანოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ან დეპუტატთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ერთმა მესამედმა. საომარი ან საგანგებო მდგომარეობის პერიოდში ამგვარი დადგენილების პროექტი არ შეიძლება შეტანილ იქნეს.

მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ დადგენილების პროექტი კენჭისყრაზე დგება მისი შეტანიდან არა უადრეს 48 და არა უგვიანეს 72 საათის განმავლობაში.

თავი 5. მთავრობა

მუხლი 85. მთავრობა შეიმუშავებს და ახორციელებს სომხეთის რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკას. სომხეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკას მთავრობა შეიმუშავებს და ახორციელებს რესპუბლიკის პრეზიდენტთან ერთად. მთავრობის კომპეტენციას განეკუთვნება სახელმწიფო მმართველობის ყველა ის საკითხი, რაც კანონით არ განეკუთვნება სხვა სახელმწიფო ორგანოთა ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციას.

მთავრობა სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებების, კანონების ან რესპუბლიკის პრეზიდენტის ნორმატიული აქტების საფუძველზე და მათი უზრუნველყოფის მიზნით იღებს დადგენილებებს, რომლებიც აღსრულებას ექვემდებარება რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისგან. ერთ-ერთი მინისტრი პრემიერ-მინისტრის წინადადებით შეიძლება რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დაინიშნოს ვიცე-პრემიერად, რომელიც შეცვლის პრემიერ-მინისტრს მისი არყოფნისას.

პრემიერ-მინისტრი და მინისტრები უნდა იყვნენ სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები.

მთავრობის უფლებამოსილება დგინდება კონსტიტუციითა და კანონებით.

მთავრობის სტრუქტურა დგინდება კანონით მთავრობის წინადადებით. მთავრობისა და მასზე დაქვემდებარებული სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოების საქმიანობის ორგანიზაციის წესი დგინდება რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით პრემიერ-მინისტრის წინადადებით.

მუხლი 86. მთავრობის სხდომებს იწვევს და უძღვება პრემიერ-მინისტრი.

მთავრობის სხდომები საგარეო პოლიტიკის, თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების საკითხებზე შეიძლება მოიწვიოს და წარმართოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა.

მთავრობის დადგენილებებს ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი.

რესპუბლიკის პრეზიდენტმა შეიძლება ერთი თვით შეაჩეროს მთავრობის დადგენილებების მოქმედება და მათი კონსტიტუციურობის საკითხის გარკვევის მიზნით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

მუხლი 87. პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს მთავრობის საქმიანობას და კოორდინაციას უწევს მინისტრების საქმიანობას.

პრემიერ-მინისტრი იღებს დადგენილებებს მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მუხლი 88. მთავრობის წევრი არ შეიძლება ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, სახელმწიფო ორგანოებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ან კომერციულ ორგანიზაციებში იკავებდეს თანამდებობას, რაც არ არის დაკავშირებული მის უფლებამოსილებასთან, ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობისა.

მუხლი 88¹. მარზპეტები (გუბერნატორები) ინიშნებიან და თანამდებობიდან თავისუფლდებიან მთავრობის დადგენილებით. მთავრობის ამ დადგენილებებს ამტკიცებს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

მარზპეტები (გუბერნატორები) ახორციელებენ მთავრობის ტერიტორიულ პოლიტიკას, კოორდინაციას უწევენ აღმასრულებელი ხელისუფლების ტერიტორიული სამსახურების საქმიანობას, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ქალაქ ერევანში ტერიტორიული მმართველობის თავისებურებები დგინდება კანონით.

მუხლი 89. მთავრობა:

1) კონსტიტუციის 74-ე მუხლით გათვალისწინებული წესით, ეროვნულ კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს თავის პროგრამას;

2) ეროვნულ კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, უზრუნველყოფს ბიუჯეტის შესრულებას, რის თაობაზეც ანგარიშს წარუდგენს ეროვნულ კრებას;

3) მართავს სახელმწიფო საკუთრებას;

4) ახორციელებს ერთიან საფინანსო-ეკონომიკურ, საკრედიტო და საგადასახადო სახელმწიფო პოლიტიკას;

4[1]) ახორციელებს რეგიონალური განვითარების სახელმწიფო პოლიტიკას;

5) ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას მეცნიერების, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და ბუნების დაცვის სფეროებში;

6) უზრუნველყოფს რესპუბლიკის თავდაცვას, ეროვნულ უშიშროებასა და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას;

7) უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, იღებს ზომებს კანონიერების განსამტკიცებლად, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად;

8) ახორციელებს კონსტიტუციითა და კანონებით დადგენილ სხვა ფუნქციებსა და უფლებამოსილებას.

მუხლი 90. მთავრობა ეროვნულ კრებას განსახილველად წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს საბიუჯეტო წლის დაწყებამდე არანაკლებ 90 დღისა და შეუძლია მოითხოვოს, რომ იგი ეროვნული კრების მიერ მიღებულ შესწორებებთან ერთად კენჭისყრაზე დადგეს ამ ვადის გასვლამდე. ბიუჯეტის დამტკიცებასთან დაკავშირებით მთავრობას შეუძლია დააყენოს მისი ნდობის საკითხი. თუ ეროვნული კრება კონსტიტუციის 75-ე მუხლით გათვალისწინებული წესის თანახმად მთავრობას არ გამოუცხადებს უნდობლობას, სახელმწიფო ბიუჯეტი დამტკიცებულად ითვლება მთავრობის მიერ მიღებულ ცვლილებებთან ერთად.

ეროვნული კრების მიერ ბიუჯეტის დამტკიცებასთან დაკავშირებით მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში, ახალი მთავრობა ბიუჯეტის პროექტს ეროვნულ კრებას წარუდგენს მისი პროგრამის დამტკიცებიდან 20 დღის ვადაში, რომელიც მას იხილავს და ამტკიცებს ამ მუხლით გათვალისწინებული წესით 30 დღის განმავლობაში.

მუხლი 91. სომხეთის რესპუბლიკაში მართლმსაჯულებას, კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად, ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები.

სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებები მიიღება სომხეთის რესპუბლიკის სახელით.

მუხლი 92. სომხეთის რესპუბლიკაში მოქმედებენ საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოები, სააპელაციო სასამართლო და საკასაციო სასამართლო, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სპეციალიზირებული სასამართლოებიც.

სომხეთის რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლო ინსტანციას, გარდა კონსტიტუციური მართლმსაჯულების საკითხებისა, წარმოადგენს საკასაციო სასამართლო, რომელიც უზრუნველყოფს კანონის გამოყენების ერთგვაროვნებას. საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება დგინდება კონსტიტუციითა და კანონით.

მუხლი 93. სომხეთის რესპუბლიკაში კონსტიტუციური მართლმსაჯულება ხორციელდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.

მუხლი 94. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა გარანტირებულია კონსტიტუციითა და კანონებით.

სასამართლოთა უფლებამოსილება, ფორმირებისა და საქმიანობა წესი დგინდება კონსტიტუციითა და კანონებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება და ფორმირების წესი დგინდება კონსტიტუციით, ხოლო საქმიანობის წესი – საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონით.

მუხლი 94'. კონსტიტუციითა და კანონით დადგენილი წესით იქმნება და მოქმედებს მართლმსაჯულების საბჭო.

მართლმსაჯულების საბჭოს შემადგენლობაში შედის კანონით დადგენილი წესით, სომხეთის რესპუბლიკის მოსამართლეთა საერთო კრებაზე ფარული კენჭისყრით ხუთი წლის ვადით არჩეული ცხრა მოსამართლე, ასევე რესპუბლიკის პრეზიდენტისა და ეროვნული კრების თავმჯდომარის მიერ დანიშნული ორ-ორი სწავლული-იურისტი.

მართლმსაჯულების საბჭოს სხდომებს, ხმის უფლების გარეშე, უძღვება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

მუხლი 95. მართლმსაჯულების საბჭო კანონით დადგენილი წესით:

1) ადგენს და რესპუბლიკის პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენს მოსამართლეთა კანდიდატურებისა და დასაწინაურებელ მოსამართლეთა სიას, რის საფუძველზეც ხდება დანიშვნა;

2) აძლევს დასკვნას მოსამართლეთა წარდგენილ კანდიდატურებზე;

3) წარადგენს საკასაციო სასამართლოსა და მისი პალატების თავმჯდომარეებისა და მოსამართლეების, სააპელაციო, პირველი ინსტანციისა და სპეციალიზირებულ სასამართლოთა თავმჯდომარეების კანდიდატურებს;

4) რესპუბლიკის პრეზიდენტის მოთხოვნით გამოთქვამს მოსაზრებას შეწყალების საკითხებზე;

5) მოსამართლეებს შეუფარდებს დისციპლინურ პასუხისმგებლობას. რესპუბლიკის პრეზიდენტს წარუდგენს წინადადებას მოსამართლეთა უფლებამოსილების შეწყვეტის, დაპატიმრებაზე თანხმობის მიცემის, ბრალდებულის სახით ან სასამართლო წესით ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემის შესახებ;

მუხლი 96. მოსამართლე და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეუცვლელია. მოსამართლე და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი თანამდებობას იკავებს 65 წლის ასაკის მიღწევამდე. მათი უფლებამოსილება წყდება მხოლოდ კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

მუხლი 97. მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლე და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება.

მოსამართლისა და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის საქმიანობის გარანტიები, ასევე პასუხისმგებლობის საფუძვლები და წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და კანონით.

დაუშვებელია მოსამართლისა და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დაპატიმრება, ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში ან სასამართლო წესით ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემა შესაბამისად მართლმსაჯულების საბჭოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. დაუშვებელია მოსამართლის ან საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დაკავება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაკავება ხორციელდება დანაშაულის ჩადენის მომენტში ან უშუალოდ მის შემდეგ. ამ შემთხვევებში დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება რესპუბლიკის პრეზიდენტს და შესაბამისად საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარეს ან საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს.

მუხლი 98. მოსამართლესა და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება არა აქვს განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა, დაიკავოს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში თანამდებობა, რაც არ არის დაკავშირებული მის უფლებამოსილებასთან, დაიკავოს თანამდებობა კომერციულ ორგანიზაციაში, შეასრულოს სხვა ანაზღაურებადი საქმიანობა, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობისა.

მოსამართლე და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი არ შეიძლება იყოს რომელიმე პარტიის წევრი ან ასრულებდეს პოლიტიკურ საქმიანობას.

მუხლი 99. საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ცხრა წევრისაგან.

მუხლი 100. საკონსტიტუციო სასამართლო კანონით დადგენილი წესით:

1) ადგენს კანონების, ეროვნული კრების დადგენილებების, რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების, მთავრობის, პრემიერ-მინისტრისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დადგენილებების შესაბამისობას კონსტიტუციასთან;

2) საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაციამდე ადგენს კონსტიტუციის შესაბამისობას მასში განმტკიცებულ ვალდებულებებთან;

3) წყვეტს რეფერენდუმის შედეგებთან დაკავშირებულ დავებს;

3[1]) წყვეტს რესპუბლიკის პრეზიდენტისა და დეპუტატთა არჩევნების შედეგების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ დავებს;

4) ადგენს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატისთვის წარმოშობილ დაუძლეველ და აღმოსაფხვრელ დაბრკოლებებს;

5) აძლევს დასკვნას რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საფუძვლის არსებობაზე;

6) აძლევს დასკვნას რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის თაობაზე;

7) აძლევს დასკვნას საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის, დაპატიმრების, ბრალდებულის სახით ან სასამართლო წესით ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ;

8) აძლევს დასკვნას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გადაყენების საფუძვლების შესახებ;

9) კანონით დადგენილი წესით გამოაქვს გადაწყვეტილება პარტიის საქმიანობის შეჩერებისა და აკრძალვის შესახებ.

მუხლი 101. საკონსტიტუციო სასამართლოს, კონსტიტუციითა და საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონით დადგენილი წესით, მიმართავენ:

1) რესპუბლიკის პრეზიდენტი — კონსტიტუციის მე-100 მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-7 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

2) დეპუტატთა არანაკლებ ერთი მესამედი — კონსტიტუციის მე-100 მუხლის მე-3, მე-5, მე-7 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

3) დეპუტატთა არანაკლებ ერთი მეხუთედი — კონსტიტუციის მე-100 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

4) მთავრობა — კონსტიტუციის მე-100 მუხლის პირველი, მე-6, მე-8 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

5) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები — სახელმწიფო ორგანოთა იმ ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხზე, რომლებიც არღვევს მათ კონსტიტუციურ უფლებას;

6) ყოველი პირი — კონკრეტულ საქმეზე, როდესაც არსებობს სასამართლოს საბოლოო აქტი, ამოწურულია სასამართლო დაცვის ყველა საშუალება და საჩივრდება მის მიმართ გამოყენებული კანონის დებულების კონსტიტუციურობა;

7) მოსამართლეები და გენერალური პროკურორი — იმ ნორმატიული აქტის დებულების კონსტიტუციურობის საკითხზე, რომელიც ეხება მათ წარმოებაში მყოფ კონკრეტულ საქმეს;

8) ადამიანის უფლებათა დამცველი — კონსტიტუციის მე-2 თავის დებულებების კონსტიტუციის მე-100 მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის საკითხზე;

9) რესპუბლიკის პრეზიდენტობისა და დეპუტატობის კანდიდატები — საკითხებზე, რომლებიც მათ ეხება კონსტიტუციის მე-100 მუხლის მე-3[1] და მე-4 პუნქტების კონტექსტში.

საკონსტიტუციო სასამართლო საქმეებს იხილავს მხოლოდ შესაბამისი განცხადების არსებობისას.

მუხლი 102. საკონსტიტუციო სასამართლო იღებს დადგენილებებსა და დასკვნებს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონით დადგენილ ვადებში და წესით.

საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილება და დასკვნა საბოლოოა და ძალაში შედის გამოქვეყნების მომენტიდან.

საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დადგენილებით შეიძლება დაადგინოს კონსტიტუციის შეუსაბამო ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის უფრო მოგვიანებითი ვადა.

კონსტიტუციის მე-100 მუხლის პირველი—მე-4 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე საკონსტიტუციო სასამართლო იღებს დადგენილებას, ხოლო კონსტიტუციის მე-100 მუხლის მე-5—მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე — დასკვნას. მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება მის წევრთა საერთო რაოდენობის

არანაკლებ ორი მესამედით, ხოლო სხვა დადგენილებები — წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით.

თუ საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა უარყოფილია, საკითხი იხსნება კომპეტენტური ორგანოს მიერ განხილვიდან.

მუხლი 103. სომხეთის რესპუბლიკის პროკურატურა არის ერთიანი სისტემა, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური პროკურორი.

გენერალურ პროკურორს რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით ექვსი წლის ვადით ნიშნავს ეროვნული კრება. ერთი და იგივე პირი შეიძლება დაინიშნოს გენერალურ პროკურორად ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

ეროვნულ კრებას შეუძლია დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობით თანამდებობიდან გადააყენოს გენერალური პროკურორი რესპუბლიკის პრეზიდენტის წინადადებით კანონით დადგენილი წესით.

პროკურატურა კანონით დადგენილი წესით:

1) აღძრავს სისხლის სამართლის დევნას;

2) ზედამხედველობს წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის კანონიერებას;

3) მხარს უჭერს ბრალდებას სასამართლოში;

4) სასამართლოში აღძრავს სარჩელს სახელმწიფო ინტერესების დაცვის თაობაზე;

5) ასაჩივრებს სასამართლოს გადაწყვეტილებებს, განაჩენებსა და დადგენილებებს;

6) ზედამხედველობს სასჯელისა და იძულების სხვა ფორმების გამოყენებას.

პროკურატურა მოქმედებს კანონის საფუძველზე, კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

თავი 7. ადგილობრივი თვითმმართველობა

მუხლი 104. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტებში.

ადგილობრივი თვითმმართველობა არის მუნიციპალიტეტის უფლება და შესაძლებლობა, საკუთარი პასუხისმგებლობით, კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად, მოსახლეობის კეთილდღეობის მიზნით გადაწყვიტოს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.

მუხლი 104[1]. მუნიციპალიტეტი არის ერთი ან რამდენიმე დასახლებული პუნქტის მოსახლეობის ერთობა.

მუნიციპალიტეტი არის იურიდიული პირი, რომელსაც გააჩნია საკუთრების უფლება და სხვა ქონებრივი უფლებები.

მუხლი 105. მუნიციპალიტეტის საკუთრების მართვისა და განკარგვის, მუნიციპალური მნიშვნელობის მქონე საკითხთა გადაწყვეტის და მუნიციპალიტეტის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სხვა უფლებამოსილება ხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ, როგორც საკუთარი უფლებამოსილება. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების ნაწილი კანონით შეიძლება დადგინდეს როგორც სავალდებულო.

სახელმწიფო ორგანოთა უფლებამოსილების უფრო მეტად ეფექტურად განხორციელების მიზნით ეს უფლებამოსილება კანონით შეიძლება დელეგირებულ იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე.

მუხლი 105¹. მინიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული მიწა, რაც აუცილებელია სახელმწიფო საჭიროებისათვის, ასევე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა კუთვნილი მიწა წარმოადგენს მუნიციპალურ საკუთრებას.

მუხლი 106. მუნიციპალიტეტები საკუთარ ბიუჯეტებს ადგენენ დამოუკიდებლად.

მუნიციპალური შემოსავლების წყაროები დგინდება კანონით.

კანონით დგინდება მუნიციპალიტეტის დაფინანსების ისეთი წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი უფლებამოსილების განხორციელებას.

მუნიციპალიტეტებისთვის დელეგირებული უფლებამოსილება ექვემდებარება სავალდებულო დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

მუნიციპალიტეტებისთვის კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში დგინდება ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები. მუნიციპალიტეტებისთვის შეიძლება დადგინდეს გადასახდელები მათ მიერ განხორციელებული მომსახურებისათვის.

მუხლი 107. თვითმმართველობის საკუთარ უფლებას მუნიციპალიტეტი ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების — მუნიციპალური საბჭოებისა და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელების მეშვეობით, რომლებიც კანონით დადგენილი წესით აირჩევიან ოთხი წლის ვადით.

მუნიციპალური საბჭო კანონით დადგენილი წესით განკარგავს მუნიციპალურ ქონებას, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს მუნიციპალურ ბიუჯეტს, აკონტროლებს ბიუჯეტის შესრულებას, კანონით დადგენილი წესით ადგენს ადგილობრივ გადასახადებს, მოსაკრებლებსა და გადასახდელებს, იღებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესასრულებლად

საკალდებულო სამართლებრივ აქტებს. მუნიციპალური საბჭოების მიერ მიღებული აქტები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონმდებლობას. მათი გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესი დგინდება კანონით.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის უფლებამოსილება და მისი აღსრულების წესი დგინდება კანონით.

მუნიციპალური გაერთიანების წევრებმა შეიძლება უშუალო მონაწილეობა მიიღონ მუნიციპალიტეტის საქმეების მართვაში მუნიციპალური მნიშვნელობის საკითხთა ადგილობრივ რეფერენდუმზე გადაწყვეტის გზით. ადგილობრივი რეფერენდუმის ჩატარების წესი დგინდება კანონით.

მუხლი 108. ერევანი არის მუნიციპალური გაერთიანება. ქალაქ ერევანში ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი ორგანოების ფორმირების თავისებურებები დგინდება კანონით. კანონით შეიძლება დადგინდეს ერევნის მერის პირდაპირი ან ირიბი არჩევნები.

მუხლი 108¹. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის კანონიერების უზრუნველყოფის მიზნით კანონით დადგენილი წესით ხორციელდება სამართლებრივი ზედამხედველობა. მუნიციპალიტეტებისთვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებაზე სახელმწიფო კონტროლის წესი დგინდება კანონით.

მუხლი 109. კანონით დადგენილ შემთხვევებში მთავრობას შეუძლია საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის საფუძველზე თანამდებობიდან გადააყენოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი.

მუხლი 110. საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტები კანონით შეიძლება გაერთიანდეს ან გაიყოს. შესაბამისი კანონი მიიღება ეროვნული კრების მიერ მთავრობის წინადადებით. მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენამდე შესაბამის მუნიციპალიტეტებში ინიშნება ადგილობრივი რეფერენდუმები. ადგილობრივი რეფერენდუმების შედეგები ერთვის საკანონმდებლო ინიციატივას. მუნიციპალიტეტები შეიძლება გაერთიანდეს ან გაიყოს ადგილობრივი რეფერენდუმების შედეგების მიუხედავად.

მუნიციპალიტეტების გაერთიანებისა და გაყოფის პრინციპები და წესი, ასევე ახლადშექმნილ მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების ჩატარების ვადები დგინდება კანონით.

კანონით დადგენილი წესით შეიძლება შეიქმნას მუნიციპალიტეტთაშორისო გაერთიანებები.

თავი 8. კონსტიტუციის მიღება, შეცვლა და რეფერენდუმი

მუხლი 111. კონსტიტუციის მიღება ან მასში შესწორებების შეტანა ხდება რესპუბლიკის პრეზიდენტის ან ეროვნული კრების ინიციატივით რეფერენდუმის მეშვეობით.

რეფერენდუმი ინიშნება პრეზიდენტის მიერ ეროვნული კრების წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობის წინადადებით ან თანხმობით. შესაბამის დადგენილებას ეროვნული კრება იღებს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობით.

კონსტიტუციის პროექტის ან მასში შესატანი შესწორებების მისთვის გადაცემიდან 21 დღის ვადაში პრეზიდენტს შეუძლია საკუთარი შენიშვნებითა და წინადადებებით იგი დაუბრუნოს ეროვნულ კრებას და მოითხოვოს მისი ხელახალი განხილვა.

ეროვნული კრების მიერ დადგენილ ვადაში რესპუბლიკის პრეზიდენტს რეფერენდუმზე გამოაქვს კონსტიტუციის პროექტი ან ეროვნული კრების დეპუტატთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ორი მესამედის მიერ ხელახლა წარდგენილი მასში შეტანილი ცვლილებები.

თუ ინიციატივით გამოდის რესპუბლიკის პრეზიდენტი, ეროვნული კრება კონსტიტუციის ან მასში შესატანი შესწორებების პროექტის გადაცემიდან სამი თვის ვადაში კენჭისყრაზე დააყენებს საკითხს პროექტის რეფერენდუმზე გატანის შესახებ. თუ ეროვნული კრების დეპუტატთა საერთო რაოდენობის უმრავლესობა ხმას მისცემს პროექტს, იგი მიღებულად ითვლება და გაიტანება რეფერენდუმზე რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ მის მიერ დადგენილ ვადაში.

მუხლი 112. კანონების რეფერენდუმზე გატანა ხდება ეროვნული კრების ან მთავრობის წინადადებით კონსტიტუციის 111-ე მუხლით დადგენილი წესით.

რეფერენდუმის მეშვეობით მიღებულ კანონებში ცვლილებები შეიტანება მხოლოდ რეფერენდუმით.

მუხლი 113. რეფერენდუმზე გატანილი პროექტი მიღებულად იცვლება, თუ მას ხმას მისცემს კენჭისყრაში მონაწილეთა ნახევარი, მაგრამ არანაკლებ საარჩევნო სიებში შეტანილ მოქალაქეთა ერთი მეოთხედისა.

მუხლი 114. ცვლილებების შეტანას არ ექვემდებარება კონსტიტუციის პირველი, მე-2 და 114-ე მუხლები.

თავი 9. გარდამავალი დებულებები

მუხლი 115. სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის ცვლილებები, გარდა 55-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველი წინადადების დებულებებისა, რომლებიც ეხება კონტროლის პალატის თავმჯდომარესა და გენერალურ პროკურორს, 63-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადებით, 74^1 მუხლის პირველი ნაწილით, 83^4 მუხლით, 85-ე მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადებით, 86-ე მუხლით, 88^1 მუხლის პირველი ნაწილით, 101-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული დებულებებისა და 107-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ვადებისა, ძალაში შედის მათი „სომხეთის რესპუბლიკის ოფიციალურ უწყებებში" გამოქვეყნებიდან შემდეგ დღეს.

მუხლი 116. 55-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველი წინადადების დებულებები, რომლებიც ეხება კონტროლის პალატის თავმჯდომარესა და გენერალურ პროკურორს, 74^1 მუხლის პირველი ნაწილი, 83^4 მუხლი, 86-ე მუხლი, 88^1 მუხლის პირველი ნაწილი ძალაში შედის შემდგომი მოწვევის ეროვნული კრების პირველი სესიის გახსნის დღეს.

63-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადებით დადგენილი დებულებები გამოიყენება მომდევნო მოწვევის ეროვნული კრებისათვის.

85-ე მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადებით დადგენილი დებულებები ძალაში შედის 2008 წლის 1 ივლისიდან.

101-ე მუხლის მე-6 პუნქტი ძალაში შედის 2006 წლის 1 ივლისიდან.

107-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადები ძალაში შედის კონსტიტუციის ცვლილებების მიღების შემდეგ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის.

მუხლი 117. კონსტიტუციის ძალაში შესვლის მომენტიდან:

1) ეროვნული კრება ორი წლის ვადაში შესაბამისობაში მოიყვანს მოქმედ კანონებს კონსტიტუციის ცვლილებებთან;

2) ეროვნული კრება ერთი წლის მანძილზე ადგენს კანონით სომხეთის რესპუბლიკის ჰიმნს. აქამდე მოქმედებს კონსტიტუციის ცვლილებების ძალაში შესვლამდე მოქმედი ჰიმნი;

3) კონსტიტუციით დადგენილი სოციალური უფლებები მოქმედებს შესაბამისი კანონებით დადგენილი მოცულობით;

4) რესპუბლიკის პრეზიდენტი შემდგომი მოწვევის ეროვნული კრების პირველი სესიის გახსნის დღემდე:

ა) ეროვნული კრების თავმჯდომარესთან და პრემიერ-მინისტრთან კონსულტაციის შემდეგ ითხოვს ეროვნულ კრებას და ნიშნავს რიგგარეშე არჩევნებს,

ბ) ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრს;

5) შემდგომი მოწვევის ეროვნული კრების პირველი სესიის გახსნამდე მთავრობის სხდომებს იწვევს და წარმართავს რესპუბლიკის პრეზიდენტი ან მისი დავალებით — პრემიერ-მინისტრი. მთავრობის დადგენილებას ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი და ამტკიცებს რესპუბლიკის პრეზიდენტი;

6) უშუალო საფრთხის არსებობისას, რაც საფრთხეს უქმნის კონსტიტუციურ წყობილებას, კანონით საგანგებო მდგომარეობის სამართლებრივი რეჟიმის შემოღებამდე რესპუბლიკის პრეზიდენტი ეროვნული კრების თავმჯდომარესთან და პრემიერ-მინისტრთან კონსულტაციის შემდეგ ახორციელებს სიტუაციიდან ნაკარნახევ ღონისძიებებს და ამასთან დაკავშირებით მიმართავს ხალხს;

7) ცენტრალური ბანკის თავმჯდომარე თანამდებობას იკავებს მოქმედი კანონით დადგენილი ვადის გასვლამდე;

8) კონტროლის პალატის თავმჯდომარე ინიშნება შემდგომი მოწვევის ეროვნული კრების პირველი სესიის გახსნის დღიდან ხუთი თვის ვადაში. აქამდე კონტროლის პალატა აგრძელებს კონსტიტუციური ცვლილებების ძალაში შესვლამდე დადგენილი უფლებამოსილების განხორციელებას;

9) გენერალური პროკურორი აგრძელებს თავის თანამდებობრივ უფლებამოსილებას შემდგომი მოწვევის ეროვნული კრების პირველი სესიის გახსნის დღიდან ხუთი თვის მანძილზე, კონსტიტუციის 55-ე მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით გენერალური პროკურორის დანიშვნამდე;

10) მართლმსაჯულების საბჭოს მოქმედი წევრები — მოსამართლეები და სწავლული იურისტები აგრძელებენ თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებას მათი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე. ეროვნული კრება სამი თვის ვადაში ირჩევს ორ სწავლულ იურისტს — მართლმსაჯულების საბჭოს წევრს;

11) კონსტიტუციის 83^2 მუხლით გათვალისწინებული დამოუკიდებელი ორგანოს მოქმედი წევრები აგრძელებენ თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებას „ტელევიზიისა და რადიოს შესახებ" სომხეთის რესპუბლიკის კანონით დადგენილი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე. მათი უფლებამოსილების ვადის გასვლის ან ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ვაკანტურ ადგილებს რიგრიგობით ავსებენ ეროვნული კრება და რესპუბლიკის პრეზიდენტი;

12) ქალაქ ერევანში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები იქმნება შესაბამისი კანონის მიღებიდან არანაკლებ ორი წლის ვადაში. აქამდე ქალაქ ერევანში ადგილობრივი თვითმმართველობა და ტერიტორიული მმართველობა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

13) საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედი წევრები თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებას აგრძელებენ 70 წლის მიღწევამდე.



KUWAIT

IRAN
IRAQ
Warbah
'Abdali
Būbiyān
Qaṣr aṣ Ṣabīyah
KUWAIT
Al Jahrah
Ash Shuwaykh
Persian Gulf
Mīnā' al Aḥmadī
Ash Shu'aybah
Mīnā' 'Abd Allāh
Qārūh
Mīnā' Su'ūd
Umm al Marādim
SAUDI ARABIA
Al Wafrah
Qaṣr
0 25 50 km
0 25 50 mi

ზოგადი ცნობარი
შესავალი

ქუვეითის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ადამიანთა პირველი დასახლებები ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ.-მდე III ათასწლეულში არსებობდა. მეშვიდე საუკუნეში ქუვეითი არაბთა სახალიფოს შემადგენლობაში, ხოლო XVII საუკუნიდან ოსმალეთის იმპერიაში შედიოდა, მოგვიანებით კი დიდი ბრიტანეთის პროტექტორატის ქვეშ მოექცა. 1961 წელს დიდმა ბრიტანეთმა აღიარა მისი დამოუკიდებლობა და შეიქმნა ქუვეითის სახელმწიფო, რომელიც დაარსებისთანავე ერაყის ტერიტორიული პრეტენზიებისა და აგრესიის წინაშე აღმოჩნდა. 1962 წელს ეს კონფლიქტი ბრიტანეთისა და არაბულ სახელმწიფოთა ლიგის აქტიური ჩარევით მოგვარდა. XX საუკუნის ბოლოს ქუვეითსა და ერაყს შორის ურთიერთობები კვლავ დაიძაბა. 1990 წლის 5 აგვისტოს ერაყის ჯარები თავს დაესხნენ და დაიპყრეს ქუვეითი. იგი განთავისუფლდა 1991 წლის 23 თებერვალს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების მიერ.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: ახლო აღმოსავლეთი; მდებარეობს სპარსეთის ყურის სანაპიროზე, ჩრდილოეთით ესაზღვრება ერაყი, სამხრეთით — საუდის არაბეთი.

ფართობი: სულ: 17.820 კმ^2; ხმელეთი: 17.820 კმ^2; წყალი: 0.

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: ნავთობი, ბუნებრივი აირი, თევზი.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 2 596 799; მათ შორის 1 291 354 უცხოელია (2008);

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:
0-14 წლის: 26.6% (კაცი 351 057; ქალი 338 634);
15-64 წლის: 70.6% (კაცი 1 172 460; ქალი 659 927);
64 წელზე ზევით: 2.9% (კაცი 46 770; ქალი 27 951) (2008).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: 3.591%; მათ შორის გათვალისწინებულია ემიგრაციიდან დაბრუნებულთა რაოდენობაც (2008);

შობადობა: 21.9 დაბადებული 1000 მოსახლეზე (2008);

სიკვდილიანობა: 2.37 გარდაცვლილი 1000 მოსახლეზე (2008);

მიგრაცია: - 16.39 მიგრანტი 1000 მოსახლეზე (2008);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: მთელი მოსახლეობის მიმართ: 77.53 წელი; მამაკაცების: 76.38 წელი; ქალების: 78.73 წელი (2008);

მოქალაქეობა: ქუვეითის

ეთნიკური ჯგუფები: ქუვეითელები 45%, არაბები სხვა ქვეყნებიდან 35%, სამხრეთ აზიიდან შემოსული პირები 9%, ირანელები 4%, სხვა 7%.

რელიგია: ისლამი 85% (სუნიტები 70%, შიიტები 30%) ქრისტიანები, ინდუსები და სხვა სულ 15%.

ენა: არაბული, ფართოდაა გავრცელებული ინგლისური.

განათლებულობა: მთელი მოსახლეობის მიმართ: 93,3%; მამაკაცებისათვის 94,4%, ქალებისათვის 91% (2005).

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:
ვრცელი ფორმა: ქუვეითის სახელმწიფო;
მოკლე ფორმა: ქუვეითი;
ადგილობრივი შემოკლებული სახელწოდება: ალ-ქუვეით;
ადგილობრივი ვრცელი სახელწოდება: დავლათ ალ-ქუვეით.

მმართველობის ფორმა: ფორმალურად კონსტიტუციური მონარქია

დედაქალაქი: ალ-ქუვეითი

ადმინისტრაციული ერთეულები: 6 მუხაფაზი (გუბერნია): ჰავალლი, ალ-ასიმა, ალ-ახმადი, ალ-ჯაჰრა, ალ-ფარვანიაჰი.

დამოუკიდებლობა: 1961 წლის 19 ივნისი (დიდი ბრიტანეთისგან);

ეროვნული დღესასწაული: ერის დღე 25 თებერვალი (1950 წლიდან);

აღმასრულებელი ხელისუფლება:
სახელმწიფოს მეთაური: ემირი საბაჰ ალ-აჰმად ალ-ჯაბირ ალ-საბაჰი (2006 წლის 29 იანვრიდან);
ტახტის მემკვიდრე: გვირგვინოსანი პრინცი ნავაფ ალ-აჰმად ალ-ჯაბირ ალ-საბაჰი;
მთავრობის მეთაური: პრემიერ-მინისტრი ნასირ მუჰამედ ალ-აჰმად ალ-საბაჰი.

მთავრობის შემადგენლობა: თავდაცვის სამინისტრო (მინისტრი თანამდებობით არის პრემიერ-მინისტრის მოადგილეა), შინაგან საქმეთა სამინისტრო (მინისტრი თანამდებობით არის პრემიერ-მინისტრის მოადგილეა), ავქაფისა და ისლამის საკითხთა სამინისტრო, განათლებისა და უმაღლესი განათლების სამინისტრო, ენერგეტიკის სამინისტრო, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, ინფორმაციის სამინისტრო, კომუნიკაციებისა და დაგეგმვის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, საზოგადოებრივ საქმეთა და განსახლების სამინისტრო, სახელმწიფო მინისტრი ადმინისტრაციულ საკითხებში, სახელმწიფო მინისტრი კაბინეტისა და ეროვნულ კრებასთან ურთიერთობის საკითხებში, სოციალურ საკითხთა და შრომის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

საკანონმდებლო ხელისუფლება: ერთპალატიანი ეროვნული კრება – მაჯლისს ალ-უმმა (50 ადგილი, წევრები აირჩევიან პირდაპირი და საყოველთაო არჩევნებით 4 წლის ვადით. უკანასკნელი არჩევნები ჩატარდა 2008 წლის 17 მაისს.

პოლიტიკური პარტიები: არ არსებობს. მოქმედებენ გარკვეული პოლიტიკური გავლენის ჯგუფები: ბედუინები, ვაჭრები, სუნიტთა გაერთიანება, შიიტი აქტივისტები, ნაციონალისტები, მემარცხენეები და სხვ.

ეკონომიკა

ეკონომიკის მიმოხილვა: ქუვეითის ეკონომიკა ძირითადად ნავთობზეა დამოკიდებული. წინასწარი გათვლებით ნედლი ნავთობის დაზვერილი მარაგი აქ დაახლოებით 104 მილიარდ ბარელს შეადგენს, რაც მსოფლიო დაზვერილი მარაგის 10%-ს წარმოადგენს. ნავთობი იძლევა საერთო ეროვნული შემოსავლის ნახევარს, მასზე მოდის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების

95% და სახელმწიფო შემოსავლების 80%. ამავე დროს, ქუეეითი განიცდის წყლის სიმცირეს და აქ პრაქტიკულად არ არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის ვარგისი მიწები, შესაბამისად, სოფლის მეურნეობა არ ვითარდება. ქვეყანა თითქმის მთლიანად არის დამოკიდებული საყოფაცხოვრებო, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და სურსათის იმპორტზე, გარდა თევზისა. სასმელი წყლის 75% იმპორტირდება ან გადამუშავების შედეგად მიიღება. ეკონომიკური რეფორმები ნელი ტემპით მიმდინარეობს. 1999 წელს მთავრობამ პირველი თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნა გამოაცხადა. მიმდინარეობს მოლაპარაკებები საერთაშორისო ნავთობკომპანიებთან ქვეყნის ჩრდილოეთში არსებული ნავთობის მარაგების დასაზვერად.

ერთიანი შიდა პროდუქტი: – მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: $130.1 მილიარდი (2007);

ერთიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: - 4,6% (2007);

ერთიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: $39.300 (2007);

ერთიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა: 0.3%; მრეწველობა: 51.5%; მომსახურება: 48.6% (2007).

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: მონაცემები არ არსებობს.

ბიუჯეტი: შემოსავალი: $84.76 მილიარდი, გასავალი: 36.8 მილიარდი (2007);

ექსპორტი: $61.43 მილიარდი (2007);

საექსპორტო საქონელი: ნავთობი;

ექსპორტის პარტნიორები: იაპონია 20.4%, სამხრეთ კორეა 16,2%, ტაივანი 10.8%, სინგაპური 9.7%, აშშ 9%, ნიდერლანდები 5.3%, ჩინეთი 4.1% (2006);

იმპორტი: $19.4 მილიარდი (2007);

საიმპორტო საქონელი: სასურსათო პროდუქტები, საყოფაცხოვრებო საქონელი, სამშენებლო მასალები, მანქანები.

იმპორტის პარტნიორები: აშშ 14.1%, იაპონია 7.8%, გერმანია 7.7%, საუდის არაბეთი 6.8% ჩინეთი 5.7%, დიდი ბრიტანეთი 5.4%, იტალია 4.6%, (2006).

საგარეო ვალი: $34.67 მილიარდი (2007);

ვალუტა: ქუვეითური დინარი (KD).

კონსტიტუციის მიმოხილვა

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. ქუვეითის კონსტიტუციონალიზმის ისტორიას საფუძველი XX საუკუნეში ქუვეითის თანამედროვე სახელმწიფოს ისტორიასთან ერთად ჩაეყარა. 1961 წლის 19 ივნისს გამოცხადდა ქუვეითის დამოუკიდებლობა და დაიწყო დიდი ბრიტანეთის კოლონიური სამფლობელოს სტატუსის მქონე სამთავროდან სუვერენულ სახელმწიფოდ მისი პოლიტიკურ-სამართლებრივი ტრანსფორმირების პროცესი. ამ პროცესში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1962 წლის ნოემბერში ქუვეითის პირველი კონსტიტუციის დამტკიცება, რომელმაც სათავე დაუდო ქუვეითის კონსტიტუციონალიზმს და დღემდე შეუცვლელად მოქმედ აქტად დარჩა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 1962 წლის კონსტიტუციას წინ უძღოდა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო ქუვეითში სამართლებრივი სისტემის ფორმირებისა და განვითარებისაკენ. ამ ღონისძიებებს ახორციელებდა როგორც ბრიტანეთის კოლონიალური მმართველობა, ასევე მოგვიანებით ქუვეითის მმართველი ალ-საბაპის გვარის ემირებიც.

თავდაპირველად, ქუვეითის სამართალში პირველი წერილობითი წყაროები ყურანის შემდეგ, რომელიც ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ არაბ ბედუინთა ტომებისთვის რელიგიური სამართლის (შარიათის) მოქმედების იდეოლოგიურ და იურიდიულ საფუძველს ჯერ კიდევ ადრეული შუა საუკუნეებიდან ქმნიდა, გაჩნდა XIX-XX საუკუნეებში ქუვეითში დიდი ბრიტანეთის მმართველობის განხორციელებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ინგლისელ კოლონიზატორებსა და ცალკეულ არაბ ტომთა შეიხებთან დადებული შეთანხმებების სახით. ამ აქტებიდან ყველა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება იქნეს განხილული სამართლებრივ აქტად, მათი შინაარსისა და იურიდიული ბუნების გათვალისწინებით, მაგრამ ისინი საზოგადოებრივ ურთიერთობათა მნიშვნელოვანი რეგულატორის ფუნქციას ასრულებდნენ და თანამედროვე ქუვეითის სამართლებრივი სისტემის კონტურებს ქმნიდნენ. მაგალითად, ამგვარი აქტებით იქნა განსაზღვრული ქუვეითის თანამედროვე სახელმწიფოს საზღვრები, ქუვეითის ემირების სამართლებრივი სტატუსი და მათი უფლებამოსილებები, გადასახადების შემოღებისა და შეკრების წესები და ა.შ. ამ აქტებს შორის სამართლებრივი თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1913 წლის ინგლის-ოსმალეთის შეთანხმება, რომლითაც პირველად იქნა იურიდიულად დაფიქსირებული ქუვეითი, როგორც „დამოუკიდებელი საემირო ბრიტანეთის პროტექტორატის ქვეშ" და განისაზღვრა ქუვეითის შეიხის უფლებამოსილებათა ზოგადი ფარგლები, და 1922 წლის 2 დეკემბრის ე.წ. „უქაირის ხელშეკრულება" ან ე.წ. „უქაირის პროტოკოლი", რომელიც შემუშავდა ბაღდადში ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენლის

პერსი ზაქარია კოქსის მიერ. ამ დოკუმენტით იურიდიულად გაფორმდა საზღვრების გამიჯვნა საუდის არაბეთს, ერაყსა და ქუვეითს შორის, რითაც დამთავრდა ხანგრძლივი დაპირისპირება საუდის არაბეთის მეფე აბდულ აზიზ ალ-საუდს, ერაყის მეფე ფაისალ I-სა და ქუვეითის მმართველ შეიხ აჰმედ ალ ჯაბერ ალ საბაჰს შორის ტერიტორიების თაობაზე, რაც რამდენჯერმე საომარ მოქმედებაშიც გადაიზარდა. სწორედ 1922 წლის 2 დეკემბრის ე.წ. „უქაირის ხელშეკრულებამ" დაადგინა ქუვეითის თანამედროვე სახელმწიფოს საზღვრები.

ბრიტანელებს უკავშირდება ასევე ქუვეითში თანამედროვე სასამართლო სისტემის წინამორბედი სასამართლო ორგანოების ფორმირება 1960-იან წლებში და მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებული კანონების შემუშავება.

ქუვეითის კონსტიტუციონალიზმისთვის სამართლებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს 1962 წლის №1 კანონი, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ახალი კონსტიტუციის მიღებამდე დროებით აწესრიგებდა სახელმწიფო მმართველობასთან დაკავშირებულ საკითხებს. მისი ცალკეული დებულებები კონსტიტუციის მოქმედ რედაქციაშიც აისახა. აღნიშნული კანონის სამართლებრივ მნიშვნელობას ხაზს უსვამს ის ფაქტიც, რომ ეს პრაქტიკულად კონსტიტუციური მნიშვნელობის სამართლებრივი აქტი თავად ქუვეითის მმართველი შეიხის იურისდიქციით გამოიცა და არა ბრიტანეთის რომელიმე კოლონიალური წარმომადგენლის ან მოხელის კომპეტენციის ფარგლებში. 1962 წლის №1 კანონი ძირითადად სახელმწიფო მმართველობის საკითხებს აწესრიგებდა, განსაზღვრავდა სახელმწიფოს მეთაურის დროებით კომპეტენციას და ადგენდა მისი ცალკეული უფლებამოსილებების შეზღუდვის საზღვრებს ხალხის წარმომადგენლების მიერ. ამ კანონმა დაადგინა ქუვეითის ქვეყნის პირველი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს - დამფუძნებელი კრების შექმნა და მისი ფორმირების დროებითი წესი. აღსანიშნავია, რომ 1962 წლამდე ქუვეითში წარმომადგენლობითი ორგანოები არ არსებობდა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს მხოლოდ ემირი და სასამართლოები წარმოადგენდა (ეს უკანასკნელიც მხოლოდ 1950-იანი წლებიდან დაარსდა ბრიტანელების მიერ). 1962 წლის №1 კანონში მთელი რიგი დებულებები ეთმობა კონსტიტუციის მიღებასთან და ეროვნული კრების არჩევასთან დაკავშირებით საჭირო ღონისძიებების განხორციელების საკითხებს.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. ქუვეითის კონსტიტუციის მოქმედი რედაქცია მიღებულ იქნა დამფუძნებელი კრების მიერ, რის შემდეგაც იგი ქუვეითის ემირმა დაამტკიცა.

1962 წლის კონსტიტუცია ითვალისწინებს მასში ცვლილებების შეტანის იურიდიულ პროცედურას, რომელსაც კონსტიტუციის გადასინჯვა ეწოდება. ქუვეითის ძირითადი კანონი ახალი კონსტიტუციის მიღების იურიდიულ შესაძლებლობას არ იცნობს. კონსტიტუციის გადასინჯვა გულისხმობს ქვეყნის ძირითადი კანონის როგორც მთლიან გადასინჯვასა და ცვლილებას, ასევე მისი ერთი ან მეტი დებულების შეცვლას, გაუქმებას ან ახლის დამატებას. კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადების ინიცირების უფლება აქვს სახელმწიფოს მეთაურს – ემირს და საკანონმდებლო ორგანოს წევრთა ერთ მესამედს. საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტს განიხილავს და იღებს ეროვნული კრება. ინიცირებული კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტის განხილვა ეროვნულ კრებაში შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, თუ მის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა მხარს დაუჭერს საკითხის განხილვას. საკონსტიტუციო ცვლილება მიღებულად ითვლება, თუ ეროვნული კრების წევრთა სრული შემადგენლობის 2/3 მხარს დაუჭერს მის დამტკიცებას. კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტი იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ ემირის მიერ ხელმოწერისა და დადგენილი წესით გამოქვეყნების შემდეგ. ამასთანავე, ემირი არ არის აღჭურვილი ვეტოს უფლებით და იგი ვალდებულია მოახდინოს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილების ხელმოწერა და გამოქვეყნება. მისი ეს ფუნქცია გარკვეულად დიდი ბრიტანეთის მონარქის კანონის სანქციონირებისა და პრომულგაციის უფლების ანალოგიურია და ქუვეითში მრავალწლიანი ბრიტანული კოლონიალიზმის გავლენის ნაყოფს წარმოადგენს. თუ ემირი ხელს არ მოაწერს ეროვნული კრების მიერ მიღებულ კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტს, პრომულგაციისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ იგი ავტომატურად ამოქმედებულად ითვლება.

1962 წლის კონსტიტუცია მსოფლიოს იმ კონსტიტუციათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც შეიცავენ ე.წ. დაცულ მუხლებს – საკითხთა წრეს, რომელთა ცვლილებაც დაუშვებელია საკონსტიტუციო ცვლილებებით. ასეთად ქუვეითის კონსტიტუციის მიერ გამოცხადებულია სახელმწიფო მმართველობის მონარქიული ფორმა (ემირატის სისტემა) და მონარქის (ემირის) უფლებები. ამავე დროს მითითებულია, რომ ემირის უფლებათა ნაწილში კონსტიტუციის გადასინჯვა დაიშვება, თუ გადასინჯვის მიზანი ემირის უფლებათა გაზრდაა.

ქუვეითის კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურის ერთ-ერთი თავისებურება არის კონსტიტუციის გადასინჯვის შეზღუდვა ვადებით. კერძოდ, 1962 წლის კონსტიტუცია შეიცავს დათქმას, რომლის თანახმადაც აკრძალული იყო კონსტიტუციის გადასინჯვის ინიცირება მისი მიღებიდან ხუთი წლის განმავლობაში. გარდა ამისა, თუ ეროვნული კრება მხარს არ დაუ-

ჭერს ინიცირებულ კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტს, დაუშვებელია მისი ხელახლა ინიცირება საკითხის უარყოფიდან ერთი წლის გასვლამდე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კონსტიტუციით დადგენილი მისი გადასინჯვის პროცედურა ამ დროისთვის მხოლოდ თეორიული კუთხით შეიძლება განვიხილოთ, რადგან იგი პრაქტიკულად არასოდეს განხორციელებულა. ქუვეითის კონსტიტუციაში 1962 წლის შემდეგ არც ერთი ცვლილება არ ყოფილა შეტანილი და იგი დღესაც პირვანდელი რედაქციით მოქმედებს.

კონსტიტუციის ანალიზი. ქუვეითის კონსტიტუცია პრეამბულისა და 183 მუხლისგან შედგება. კონსტიტუციის სტრუქტურა შედგება ნაწილების, თავებისა და განყოფილებებისგან, სადაც თითოეული განყოფილება, რომელიც რამდენიმე მუხლს აერთიანებს, შედის თავში, ხოლო თითოეული თავი კონსტიტუციის ნაწილში. ამასთანავე, ამგვარ ქვეწყობილ სტრუქტურას მხოლოდ კონსტიტუციის მეოთხე ნაწილი შეიცავს, ხოლო დანარჩენი ნაწილები პირდაპირ მუხლებს აერთიანებს.

კონსტიტუციის პრეამბულაში ქუვეითის სახელმწიფოს ემირის სახელით გაცხადებულია ამ კონსტიტუციის მიღების მიზნები და საფუძვლები.

პირველი ნაწილი ზოგადი ხასიათის დებულებებს შეიცავს და განსაზღვრავს ქუვეითის სახელმწიფოს არსს, მმართველობის ფორმას და ხალხის, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წყაროსა და სუვერენიტეტის მატარებელი სუბიექტის სტატუსს, სახელმწიფო რელიგიასა და სახელმწიფო ენას. ამ ნაწილშივეა დადგენილი ტახტის მემკვიდრეობის წესი. კონსტიტუცია ტახტის მემკვიდრეობის მხოლოდ ზოგად წესს განსაზღვრავს. ტახტის მემკვიდრეობის დამატებითი წესები განისაზღვრება სპეციალური კანონით, რომელიც თავისი იურიდიული სტატუსით აღიარებულია კონსტიტუციურ კანონად და მასში ცვლილებების შეტანა მხოლოდ საკონსტიტუციო გადასინჯვის პროცედურითაა შესაძლებელი. ქუვეითში სხვა არაბული მონარქიების მსგავსად (მაგალითად, საუდის არაბეთი, იორდანია) მონარქის ტახტზე ასვლისთანავე განისაზღვრება მისი მემკვიდრე, რომელიც მონარქის მმართველობის პარალელურად ასრულებს გვირგვინოსანი პრინცის ფუნქციებს. მონარქის სიცოცხლეშივე ტახტის მემკვიდრის ძლიერი ინსტიტუტის ფუნქციონირება აზიის ქვეყნებში, სადაც, როგორც წესი სახეზეა მეფის სისხლის შთამომავალთა სიმრავლე, უზრუნველყოფს სამეფო ხელისუფლების და ზოგადად სახელმწიფო ხელისუფლების სტაბილურობასა და უწყვეტობას. ქუვეითის ტახტის მემკვიდრე უნდა იყოს მუბარაქ ალ-საბაჰის შთამომავალი, მაჰმადიანი მშობლების სრულწლოვანი და საღი გონების ვაჟი. ტახტის მემკვიდრეს ასახელებს თავად ემირი ტახტზე ასვლიდან ერთი წლის განმავლობაში და მას ამტკიცებს ეროვნული კრება წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით. თუ ეროვნული კრება არ მოიწონებს ემირის მიერ წარ-

დგენილ კანდიდატს, ემირი განმეორებით წარუდგენს ეროვნულ კრებას ალ-საბაჰის გვარის არანაკლებ სამ შთამომავალს და მათგან ეროვნული კრება ერთ-ერთს ამტკიცებს ქუვეითის ტახტის მემკვიდრედ.

კონსტიტუციის მეორე ნაწილი განსაზღვრავს ქუვეითის საზოგადოების ძირითად საფუძვლებს. სამართლიანობა, თავისუფლება და თანასწორობა აღიარებულია საზოგადოების დასაყრდენ პრინციპებად. ამ ნაწილში განმტკიცებულია ოჯახის, ახალგაზრდობისა და მოხუცებულთა სამართლებრივი დაცვის გარანტიები და ისინი სახელმწიფოს განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშაა. სახელმწიფო იცავს ისლამურ და არაბულ მემკვიდრეობას. ხელს უწყობს და განავითარებს განათლებას, როგორც პროგრესის აუცილებელ საშუალებას, მხარს უჭერს მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებას, ზრუნავს სახალხო ჯანმრთელობაზე და უზრუნველყოფს მის დაცვას. კონსტიტუციის მეორე ნაწილში ცალკე მუხლები ეთმობა სახელმწიფო და კერძო საკუთრებას, განსაკუთრებით არის მოწესრიგებული კერძო საკუთრების ხელშეუხებლობასა და კონფისკაციის დასაშვებობასთან დაკავშირებული საკითხები. ხაზგასმულია, რომ ბუნებრივი რესურსები და მათგან მიღებული შემოსავლები სახელმწიფო საკუთრებაა. აქვეა განსაზღვრული საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური საფუძვლები, დაქირავებულთა და დამქირავებელთა ურთიერთობა, დანაზოგებთან, კრედიტებთან და გადასახადის შემოღებასთან დაკავშირებული საკითხები. საზოგადოების სოლიდარობის უზრუნველსაყოფად აღიარებულია სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთათვის კომპენსაციების გადახდის სისტემის არსებობა. სახელმწიფო სამსახური განიხილება ქუვეითის მოქალაქეთა უფლებად და სახელმწიფო თანამდებობების დაკავების უფლება უცხოელებს მხოლოდ კანონით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებში შეუძლიათ.

მესამე ნაწილი საზოგადო უფლებებსა და მოვალეობებს ეთმობა და ქუვეითის სახელმწიფოში ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს. გარანტირებულია ადამიანის ყველა ის ძირითადი უფლება და თავისუფლება, რაც განვითარებული სამართლებრივი სისტემის მქონე სახელმწიფოთა კონსტიტუციებშია დაფიქსირებული. კერძოდ, აღიარებულია ადამიანთა თანასწორობა, გადაადგილებისა და საცხოვრებლის არჩევის უფლება, რწმენის, აზრის, პიროვნული თავისუფლება, უდანაშაულობის პრეზუმფცია, გამოხატვის თავისუფლება, მედიის თავისუფლება, საცხოვრებელი ადგილისა და მიმოწერის (კომუნიკაციის) ხელშეუხებლობა, განათლების უფლება, შრომის უფლება, გაერთიანების უფლება, შეკრებისა და მანიფესტაციების თავისუფლება, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის მიმართვის უფლება, პოლიტიკურ დევნილთა თავშესაფრის უფლება. მოქალაქეთა მოვალეობად განიხილება სამშობლოს დაცვა, გადასახადებისა

და ბაჟის გადახდა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და საზოგადოებრივ ზნეობრივ ღირებულებათა პატივისცემა.

მეოთხე ნაწილი კონსტიტუციის ყველაზე ვრცელი და შინაარსობრივად დატვირთული ნაწილია. იგი სახელმწიფო მართვის საკითხებს განსაზღვრავს. სახელმწიფო ხელისუფლება ეფუძნება ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. სახელმწიფოს მეთაურია ქუვეითის ემირი, რომელიც საკანონმდებლო ხელისუფლებას ეროვნულ კრებასთან, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებას — მინისტრთა კაბინეტთან ინაწილებს. სასამართლო ორგანოები თავიანთ საქმიანობას ემირის სახელით ახორციელებენ. ამ ნაწილშიც ქუვეითის სახელმწიფო სამართალი ბრიტანული კონსტიტუციონალიზმის გავლენის ქვეშ მოექცა (ბრიტანეთის მონარქი ასევე ინაწილებს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შესაბამისად პარლამენტის პალატებთან და მინისტრთა კაბინეტთან, ხოლო სასამართლო ორგანოები მისი სახელით მოქმედებენ, თუმცა სხვა მონარქიებში მაგალითად, ესპანეთი, ნორვეგია, ბელგია და ა.შ. მონარქი, როგორც წესი არ წარმოადგენს საკანონმდებლო ხელისუფლების ნაწილს). ქუვეითის ემირის კომპეტენციაშია ქვეყნის პრემიერ-მინისტრისა და მისი წარდგინებით სხვა მინისტრების თანამდებობებზე დანიშვნა და განთავისუფლება, უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქციათა განხორციელება, ომის გამოცხადება, საომარი მდგომარეობის შემოღება, საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადება, მსჯავრდებულთა შეწყალება ან მათთვის სასჯელის შემსუბუქება, სამოქალაქო და სამხედრო პერსონალის სახელმწიფო თანამდებობებზე დანიშვნა, კანონების სანქციონირება და პრომულგაცია და ა.შ. თუმცა, ეს უკანასკნელი უფრო ფორმალური მოვალეობაა ვიდრე უფლება. ქუვეითის ემირი სარგებლობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით, ასევე უფლებამოსილია გადაუდებელი აუცილებლობისას, როდესაც ეროვნული კრება არ არის შეკრებილი გამოსცეს კანონის ძალის მქონე დეკრეტები, რომლებიც შემდეგ ეროვნული კრების მიერ დამტკიცებას საჭიროებს. ჩვეულებრივ შემთხვევებში ქუვეითის ემირი გამოსცემს დეკრეტს, რომელიც კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტია და როგორც წესი, კანონთა აღსასრულებლად გამოიცემა. ემირის დროებით არყოფნისას მისი უფლება-მოვალეობათა შესრულება გადადის ტახტის მემკვიდრეზე, ხოლო ამ უკანასკნელის მიერაც თუ ვერ მოხდება ემირის უფლება-მოვალეობათა განხორციელება, მაშინ ეს ფუნქციები მოადგილე ემირზე გადადის, რომელიც ამ შემთხვევისთვის სპეციალურად ინიშნება ემირის მიერ და როგორც წესი, სამეფო სისხლის შთამომავალთაგან შეირჩევა.

საკანონმდებლო ხელისუფლების ძირითად განმახორციელებელ სუბიექტს 50 წევრისგან შემდგარი ეროვნული კრება წარმოადგენს, რომელიც საყოველთაო და პირდაპირი არჩევნებით, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით 4 წლის ვადით აირჩევა. ეროვნული კრების დათხოვნის უფლება აქვს ემირს.

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუცია არ განსაზღვრავს იმ საფუძვლებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც იქნება შესაძლებელი ეროვნული კრების დათხოვნა. ემირს ამ უფლების განხორციელება იურიდიულად ნებისმიერი მეტნაკლებად ობიექტური პირობების არსებობისას შეუძლია. თუმცა იგივე მიზეზით ეროვნული კრების განმეორებით დათხოვნა დაუშვებელია. ეროვნული კრების წევრები სარგებლობენ იმუნიტეტით და მათზე ვრცელდება თანამდებობრივი შეუთავსებლობისა და ინტერესთა კონფლიქტის პრევენციასთან დაკავშირებული შეზღუდვები. ეროვნული კრების კომპეტენცია ძირითადად მოიცავს კანონების მიღებას, მთავრობის კონტროლს ინტერპელაციის მექანიზმისა და უნდობლობის ვოტუმის მეშვეობით, მოქალაქეთა პეტიციებისა და საჩივრების განხილვას, აგრეთვე, სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტას. ამ უკანასკნელი ფუნქციის ძირითადი დატვირთვა იმაში მდგომარეობს, რომ პერიოდულად ასეთი განხილვების შედეგად ეროვნული კრება მთავრობას წარუდგენს თავის სურვილებს სახელმწიფოებრივ საკითხებზე. ეს სურვილები მთავრობამ უნდა დააკმაყოფილოს, ან უარის შემთხვევაში დაასაბუთოს რატომ არ შეუძლია ამ სურვილების შესრულება. კანონებს ქუვეითის ეროვნული კრება იღებს ერთი მოსმენით.

ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლება მინისტრთა კაბინეტის ხელშია, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს. პრემიერ-მინისტრიც და მინისტრებიც, როგორც წესი ეროვნული კრების წევრთაგან ინიშნებიან ემირის მიერ. თუ კაბინეტის წევრად რომელიმე სხვა პირი იქნა დანიშნული, იგი, როგორც მინისტრი, *ex-officio* ეროვნული კრების წევრადაც განიხილება. მინისტრთა კაბინეტი შეიმუშავებს პროგრამას და განსახილველად წარუდგენს ეროვნულ კრებას, თუმცა ამ პროცედურას რაიმე იურიდიული შედეგები არ მოსდევს, რადგან ეროვნული კრება მთავრობის ფორმირების პროცესში არ მონაწილეობს და ამ საკითხთან მიმართებით არანაირი კომპეტენცია არ გააჩნია. პრემიერ-მინისტრი და მინისტრები თავიანთ საქმიანობაზე პასუხისმგებელი არიან ემირისა და ეროვნული კრების წინაშე. კერძოდ, პრემიერ-მინისტრი და მინისტრები ვალდებული არიან უპასუხოს ეროვნული კრების წევრთა შეკითხვებს სხდომებზე, აგრეთვე მათ მიმართ წარდგენილ ინტერპელაციებს. ეროვნული კრების არანაკლებ ათი წევრი უფლებამოსილია დასვას კონკრეტული მინისტრის უნდობლობის საკითხი. თუ ეროვნული კრების წევრთა უმრავლესობა, გარდა იმ წევრებისა, რომლებიც იმავდროულად კაბინეტის წევრებიც არიან, მხარს დაუჭერს უნდობლობის ინიციატივას, მინისტრი თანამდებობიდან გადაყენებულად ითვლება. უნდობლობის ვოტუმის მექანიზმი არ ვრცელდება პრემიერ-მინისტრზე და მთელ კაბინეტზე. თუმცა ეროვნულ კრებას უფლება აქვს მიმართოს ემირს წინადადებით, რომ საკანონმდებლო ორგანო ვეღარ თანამშრომლობს პრემიერ-მინისტრთან და მოითხოვოს მისი გადაყენება. ამ შემთხვევაში ემირი ან გადააყენებს პრემიერ-მი-

ნისტრს და დანიშნავს ახალს (რასაც შესაბამისად მოსდევს მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის ცვლილება, რადგან პრემიერ-მინისტრის გადაყენება ან გადადგომა იწვევს ყველა მინისტრის გადაყენებას ან გადადგომას) ან დაითხოვს ეროვნულ კრებას და დანიშნავს ახალ არჩევნებს.

მინისტრთა კაბინეტი განსაზღვრავს სამთავრობო პოლიტიკას და უზრუნველყოფს მის აღსრულებას. პრემიერ-მინისტრი წარმართავს კაბინეტის აღმასრულებელ საქმიანობას და კოორდინაციას უწევს მინისტრების მუშაობას, აგრეთვე, თავმჯდომარეობს მთავრობის სხდომებს. მინისტრები ხელმძღვანელობენ მათ დაქვემდებარებაში მყოფ სამინისტროებს და უზრუნველყოფენ სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეულ სფეროებში. კაბინეტის გადაწყვეტილებები მიიღება მთავრობის თათბირზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფისას გადამწყვეტია პრემიერ-მინისტრის ხმა. კაბინეტის ის წევრები, რომლებიც არ დაეთანხმებიან ამ გადაწყვეტილებას, ვალდებული არიან მაინც გაიზიარონ პასუხისმგებლობა კაბინეტის გადაწყვეტილებაზე ან გადადგნენ. მინისტრთა კაბინეტის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებიც ნორმადამდგენი ხასიათისაა იურიდიულად ემირის მიერ დეკრეტის გამოცემით ფორმდება. პრემიერ-მინისტრსა და მინისტრებზე ვრცელდება თანამდებობრივი შეუთავსებლობისა და ინტერესთა კონფლიქტის კიდევ უფრო მკაცრი შეზღუდვები, ვიდრე ეს საკანონმდებლო ორგანოს წევრთათვის არის დადგენილი.

კონსტიტუციის მეოთხე ნაწილში ცალკე განყოფილება ეთმობა ფინანსურ საკითხებს. აქ განსაზღვრულია გადასახადების შემოღებასთან, სახელმწიფო ფონდებთან და სასესხო სისტემასთან დაკავშირებული საკითხები. დეტალურადაა მოწესრიგებული სახელმწიფო ბიუჯეტის მიღების პროცედურა და სახელმწიფო ხარჯების გაწევის პირობები, აგრეთვე ეროვნული კრების წინაშე მთავრობის ფინანსური ანგარიშგების წესი. გათვალისწინებულია ქვეყნის უმაღლესი საფინანსო და აუდიტორული კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს შექმნისა და საქმიანობის პრინციპები. აქვეა მოწესრიგებული კონცესიების გაცემის საკითხები. მონოპოლიის არსებობა დასაშვებად არის აღიარებული შეზღუდული ვადებით და კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში. ამავე ნაწილში ერთი განყოფილება შეეხება სამხედრო სამსახურსა და ქვეყნის თავდაცვის საკითხებს. კონსტიტუცია ზოგადად აწესრიგებს სასამართლო სისტემის შექმნისა და ფუნქციონირების წესებს, სახელმწიფო პროკურატურის ადგილსა და როლს სასამართლო სისტემაში. აქვე განსაზღვრულია მოსამართლეთა სტატუსი და მართლმსაჯულების განხორციელების ზოგადი პრინციპები. მათ შორის ცალკეა გამოყოფილი ადმინისტრაციული მართლმსაჯულების განხორციელების საკითხები და ეს კომპეტენცია სპეციალურ სახელმწიფო საბჭოს ეკისრება. სასამართლო ხელისუფლების თავში

ზოგადად არის მოხსენიებული კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების შესაძლებლობაც, თუმცა ქუვეითის კონსტიტუციის ბუნდოვანი ფორმულირება არ იძლევა ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის თვალნათლივ გაგების საშუალებას.

კონსტიტუციის ბოლო, მეხუთე ნაწილი აწესრიგებს კონსტიტუციის გადასინჯვის პირობებსა და პროცედურებს, ასევე შეიცავს გარდამავალი ხასიათის დებულებებს, რომლებიც კონსტიტუციის ძალაში შესვლასთან დაკავშირებული შედეგების სამართლებრივ რეგულირებას ითვალისწინებს და განსაზღვრავს კონსტიტუციის ამოქმედებამდე დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ქვეყნის შიდა კანონმდებლობის იურიდიულ ძალასა და ქვეყნის ახალი ძირითადი კანონისადმი მიმართებას.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები. ქუვეითის კონსტიტუციის უპირველესი თავისებურებაა ის ფაქტი, რომ იგი სტაბილური კონსტიტუციაა, 1962 წლიდან დღემდე მასში არც ერთი ცვლილება ან დამატება არ ყოფილა შეტანილი და იგი დღესაც პირვანდელი რედაქციით მოქმედებს;

– ქუვეითის სახელმწიფო მართალია მონარქიაა, მაგრამ ტახტის მემკვიდრეობის წესი აქ მკაცრად განსაზღვრულ და თითქმის ავტომატურ ხასიათს არ ატარებს. პარლამენტი მონაწილეობს რა ტახტის მემკვიდრის შერჩევა-დამტკიცების პროცესში, უფლებამოსილია მემკვიდრეობითი მონარქიის პირობებში არაპირდაპირ ზეგავლენა მოახდინოს სახელმწიფოს მეთაურის მიერ ტახტის დაკავების პროცესზე და უზრუნველყოს ემირის ტახტზე მისთვის სასურველი პირის აყვანა;

– არაბული მონარქიებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული კონსტიტუციური პრაქტიკის შესაბამისად ქუვეითში სახელმწიფოს მეთაურის პარალელურად მოქმედებს ტახტის მემკვიდრის ძლიერი ინსტიტუტი, რომელიც ემირის ტახტზე ასვლიდან გარკვეულ პერიოდში იძენს ტახტის მემკვიდრის სტატუსს, რითაც უზრუნველყოფილია სახელმწიფო მეთაურის ინსტიტუტის სტაბილურობა და ხელისუფლების უწყვეტობა;

– ქუვეითის ემირი ბრიტანეთის მონარქის მსგავსად კონსტიტუციის თანახმად პარლამენტთან ერთად ინაწილებს საკანონმდებლო ხელისუფლებას;

– სახელმწიფოს მეთაური მიუხედავად ცალკეული ფორმალური უფლებებისა და მთელი რიგი კონსტიტუციური შეზღუდვებისა, მაინც ძლიერ სახელმწიფო ინსტიტუტად რჩება და შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს როგორც საკანონმდებლო ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებაზეც (მაგალითად, მას შეუძლია დეკრეტით ერთი თვით გადადოს ეროვნული კრების მოწვევა და ფაქტიურად შეაჩეროს მისი საქმიანობა). ქუვეითის ემირი რეალურად აღჭურვილია სახელმწიფო მმართველობის კომპეტენციით და იგი აქტიურადაა ჩართული ქვეყნის მართვაში;

— ეროვნული კრება არ მონაწილეობს მთავრობის ფორმირების პროცესში, თუმცა მასზე კონტროლისა და უნდობლობის ვოტუმის მექანიზმები მთავრობასთან მიმართებით მას ძლიერ ინსტიტუტად აქცევს. აღსანიშნავია სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე საკანონმდებლო ორგანოს მიერ მთავრობისათვის ე.წ. სურვილების წარდგენის უფლება;

— ემირს უფლება აქვს დაითხოვოს ეროვნული კრება ნებისმიერი მიზეზით, რომელსაც იგი ობიექტურად მიიჩნევს და დაასაბუთებს;

— კონსტიტუცია არ განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

— კონსტიტუციაში მოხსენიებულია კონსტიტუციური კონტროლი, მაგრამ არ არის განსაზღვრული მისი განხორციელების ფორმები და წესი;

— საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელების წესი არ იცნობს ახალი კონსტიტუციის მიღების შესაძლებლობას, კონსტიტუციაში არსებობს საკითხთა წრე, რომელთა შეცვლა ან გადასინჯვა დაუშვებელია, თუმცა საკითხთა ეს წრე ემირის უფლებათა განმტკიცებას ემსახურება.

ქუვეითის კონსტიტუცია[1]

სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობელისა, ჩვენ, აბდულლაჰ ალ-სალიმ ალ-საბაჰი, ქუვეითის სახელმწიფოს ემირი, ვისწრაფვით რა ჩვენს ძვირფას ქვეყანაში დემოკრატიული მმართველობის პრინციპების დამკვიდრებისთვის და გვწამს რა არაბული ნაციონალიზმის ხელშეწყობასა და მსოფლიოში მშვიდობისა და კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების საქმეში ამ ქვეყნის როლის და ვიბრძვით რა უკეთესი მომავლისათვის, რომელშიც ქვეყანა ისარგებლებს უდიდესი აყვავებითა და მაღალი საერთაშორისო მდგომარეობით და რომელშიც მოქალაქენი აღჭურვილნი იქნებიან უფრო მეტი პოლიტიკური თავისუფლებით, თანასწორობითა და სოციალური სამართლიანობით; მომავლისათვის, რომელიც განამტკიცებს არაბი ერისთვის ჩვეულ ტრადიციებს პიროვნების ღირსების მომატებითა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვით და მივმართავთ მოთათბირების წესს — ამ დრომდე ქვეყნის ერთიანობისა და სტაბილურობის შემნარჩუნებელს; ჩვენ, მხედველობაში ვიღებთ რა გარდამავალ პერიოდში მმართველობის სისტემის მომწესრიგებელ 1962 წლის ნომერ I კანონს, დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილების საფუძველზე, ამგვარად ვიწონებთ ამ კონსტიტუციას და საქვეყნოდ ვაცხადებთ მას.

ნაწილი I
სახელმწიფო და მმართველობის სისტემა

მუხლი 1.

ქუვეითი არის დამოუკიდებელი და სუვერენული არაბული სახელმწიფო. დაუშვებელია მისი სუვერენიტეტის ან ტერიტორიის რომელიმე ნაწილის გასხვისება. ქუვეითის ხალხი წარმოადგენს არაბი ერის შემადგენელ ნაწილს.

მუხლი 2.

სახელმწიფო რელიგია არის ისლამი, ხოლო ისლამური შარიათი — კანონმდებლობის ძირითადი წყარო.

მუხლი 3.

სახელმწიფოს ოფიციალური ენაა არაბული.

---

[1] თარგმანისას გამოყენებულია მალაიზიაში ქუვეითის საელჩოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.kuwaitemb-kl.net/eg-constitution.html გამოქვეყნებული ქუვეითის კონსტიტუციის ინგლისურენოვანი ტექსტი.

მუხლი 4.

ქუვეითი მემკვიდრეობითი საემიროა, რომლის მემკვიდრეობის უფლება თანმიმდევრობით გადაეცემა უკანასკნელი მუბარაქ ალ-საბაჰის შთამომავლებს.

ტახტის კანონიერი მემკვიდრე გამწესებულ უნდა იქნეს ემირის ტახტზე ასვლის დღიდან არა უგვიანეს ერთი წლისა.

მისი დამტკიცება ხდება ემირის ბრძანებით, მას შემდეგ რაც ემირის მიერ წარდგენილ კანდიდატს მოიწონებს ეროვნული კრება, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს საგანგებო სესიაზე წევრთა სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით.

იმ შემთხვევაში, როდესაც მემკვიდრე არ გამწესდება ზემოთ დადგენილი პროცედურის შესაბამისად, ემირი დაასახელებს უკანასკნელი მუბარაქ ალ-საბაჰის არანაკლებ სამ შთამომავალს, რომელთაგანაც ერთ-ერთს, როგორც კანონიერ მემკვიდრეს, ეროვნული კრება საზეიმოდ აღუთქვამს ერთგულებას.

კანონიერი მემკვიდრე უნდა იყოს სრულწლოვანებას მიღწეული, საღი გონების მქონე და მაჰმადიანი მშობლების კანონიერი ვაჟი.

წინამდებარე კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან ერთი წლის განმავლობაში გამოცემული სპეციალური კანონი დაადგენს საემიროში მემკვიდრეობის დამატებით წესებს. აღნიშნული კანონი თავისი არსით კონსტიტუციური ხასიათისაა, ამიტომაც მასში შესწორებების შეტანა მხოლოდ საკონსტიტუციო ცვლილებისათვის დაწესებული პროცედურით არის შესაძლებელი.

მუხლი 5.

სახელმწიფო დროშა, გერბი, ემბლემები, წარჩინების ნიშნები და ეროვნული ჰიმნი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 6.

ქუვეითში მმართველობის ფორმა არის დემოკრატიული, რომელშიც სუვერენიტეტი ყოველი ხელისუფლების წყაროს — ხალხს ეკუთვნის. სუვერენიტეტი ხორციელდება ამ კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.

ნაწილი II.
ქუვეითის საზოგადოების ძირითადი საფუძვლები

მუხლი 7.

სამართლიანობა, თავისუფლება და თანასწორობა საზოგადოების დასაყრდენია; ურთიერთთანამშრომლობა და ურთიერთდახმარება უმტკიცეს ვალდებულებას წარმოადგენს.

მუხლი 8.

სახელმწიფო იცავს საზოგადოების საფუძვლებს და მოქალაქეთათვის უზრუნველყოფს უსაფრთხოებას, სიმშვიდეს და თანაბარ შესაძლებლობებს.

მუხლი 9.

ოჯახი სახელმწიფოს ქვაკუთხედია. ის ეფუძნება რელიგიას, ზნეობასა და პატრიოტიზმს. კანონი იცავს ოჯახის მთლიანობასა და მისი კავშირის სიძლიერეს, აგრეთვე თავისი მხარდაჭერით მფარველობს დედაშვილობას.

მუხლი 10.

სახელმწიფო ზრუნავს ახალგაზრდებზე და იცავს მათ ექსპლუატაციისგან, მორალური, ფიზიკური და სულიერი ხელყოფისგან.

მუხლი 11.

სახელმწიფო დახმარებით უზრუნველყოფს მოხუცებულ, ავადმყოფ და შრომისუუნარო მოქალაქეებს. იგი, აგრეთვე, მათ უზრუნველყოფს სათანადო მომსახურებით სოციალური უზრუნველყოფის, სოციალური დახმარებებისა და სამედიცინო დახმარების სფეროში.

მუხლი 12.

სახელმწიფო იცავს ისლამისა და არაბების მემკვიდრეობას და ხელს უწყობს კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარებას.

მუხლი 13.

განათლება არის საზოგადოებრივი პროგრესის აუცილებელი საშუალება და გარანტირებული და ხელშეწყობილი სახელმწიფოს მხრიდან.

მუხლი 14.

სახელმწიფო მხარს უჭერს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას და ახდენს მეცნიერული აღმოჩენების წახალისებას.

მუხლი 15.

სახელმწიფო ზრუნავს სახალხო ჯანმრთელობაზე, უზრუნველყოფს დაავადებებისა და ეპიდემიების თავიდან აცილებასა და მკურნალობას.

მუხლი 16.

საკუთრება, ქონება და შრომა საზოგადოებრივი სტრუქტურის, სახელმწიფოსა და ეროვნული სიმდიდრის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია. თითოეული მათგანი წარმოადგენს ინდივიდუალურ უფლებასა და სოციალლურ ფუნქციას, როგორც ეს კანონით არის განსაზღვრული.

მუხლი 17.

სახელმწიფო საკუთრება ხელშეუხებელია და მისი დაცვა ყოველი მოქალაქის მოვალეობაა.

მუხლი 18.

კერძო საკუთრება ხელშეუხებელია. არავის არ შეიძლება აეკრძალოს თავისი საკუთრების განკარგვა, გარდა კანონით დაწესებული შეზღუდვებისა. საკუთრების ჩამორთმევა დაუშვებელია, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა საზოგადოებრივი კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე და მხოლოდ შესაბამისი კომპენსაციის გადახდის პირობებში.

მემკვიდრეობის უფლებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ისლამური შარიათით.

მუხლი 19.

დაუშვებელია რომელიმე პირისათვის საკუთრების მთლიანად ჩამორთმევა. საკუთრების გარკვეული ნაწილის კონფისკაცია, როგორც სასჯელის ერთ-ერთი ზომა, დაიშვება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

მუხლი 20.

ეროვნული ეკონომიკა ეფუძნება სოციალურ სამართლიანობას. იგი ემყარება სამართლიან სახელმწიფო და კერძო საქმიანობათა ურთიერთთანამშრომლობას. მისი მიზანია ეკონომიკური განვითარება, პროდუქტიულობის გაზრდა, ცხოვრების დონის ამაღლება და მოქალაქეთა კეთილდღეობის მიღწევა კანონის ფარგლებში.

მუხლი 21.

ბუნებრივი რესურსები და მათგან მიღებული შემოსავლები სახელმწიფო საკუთრებაა. სახელმწიფო ხელს უწყობს მათ დაცვასა და სათანადო გამოყენებას და ვალდებულია ისინი განკარგოს სახელმწიფო უშიშროებისა და ეროვნული ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

მუხლი 22.

დამქირავებლებსა და დაქირავებულებს, ასევე ბინების მესაკუთრეებსა და მოსარგებლეებს შორის ურთიერთობა წესრიგდება კანონით საერთო ეკონომიკური პრინციპების საფუძველზე, სოციალური სამართლიანობის ნორმების სავალდებულო დაცვით.

მუხლი 23.

სახელმწიფო ახდენს დანაზოგების შენახვისა და მათი პრაქტიკული გამოყენების წახალისებას, ზედამხედველობს კრედიტების გაცემას.

მუხლი 24.

გადასახადებისა და სახელმწიფო ბაჟის დაწესებას საფუძვლად უდევს სოციალური სამართლიანობა.

მუხლი 25.

სახელმწიფო უზრუნველყოფს საზოგადოების სოლიდარობას იმ ტვირთის განაწილებაში, რაც მას სტიქიური და სხვა უბედურებისაგან მიადგა და ნებისმიერ ადამიანზე გასცემს კომპენსაციებს ომში მიყენებული ზარალისა და დაზიანებებისათვის, რაც მან თავის სამხედრო მოვალეობათა აღსრულებისას მიიღო.

მუხლი 26.

სახელმწიფო თანამდებობა არის ეროვნული სამსახური მინდობილი პირებზე, რომლებსაც ეს თანამდებობები უკავიათ. სახელმწიფო მოხელეები მათზე დაკისრებულ მოვალეობათა განხორციელებისას ხელმძღვანელობენ საჯარო ინტერესებით.

უცხოელებს არა აქვთ სახელმწიფო თანამდებობების დაკავების უფლება, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

ნაწილი III.
საზოგადო უფლებები და მოვალეობები

მუხლი 27.

ქუვეითის მოქალაქეობა განისაზღვრება კანონით. მოქალაქეობის ჩამორთმევა ან გაუქმება დაუშვებელია, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

მუხლი 28.

დაუშვებელია ნებისმიერი ქუვეითელის გადასახლება ან მისთვის უკან დაბრუნებაში ხელის შეშლა.

მუხლი 29.

ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია თავისი ღირსებით, პოლიტიკური უფლებებითა და მოვალეობებით, განურჩევლად რასისა, წარმოშობისა, ენისა ან რელიგიისა.

მუხლი 30.

პიროვნული თავისუფლება გარანტირებულია.

მუხლი 31.

დაუშვებელია რომელიმე პირის დაკავება, დაპატიმრება, გაჩხრეკა ან ძალდატანებით სპეციალურ ადგილზე მოთავსება ან რომელიმე პირისათვის ბინადრობისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევანის ან გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა, გარდა კანონით დადგენილი დებულებებისა.

არც ერთი პირი არ შეიძლება იყოს წამების ან დამამცირებელი მოპყრობის ობიექტი.

მუხლი 32.

არანაირი დანაშაული და სასჯელი არ შეიძლება იქნეს დაწესებული, თუ არა კანონის საფუძველზე. სასჯელი შეიძლება დაკისრებულ იქნეს მხოლოდ ისეთ დანაშაულებზე, რომლებიც ჩადენილია შესაბამისი კანონის ძალაში შესვლის შემდეგ.

მუხლი 33.

სასჯელი ინდივიდუალურია.

მუხლი 34.

ივარაუდება, რომ ბრალდებული უდანაშაულოა, სანამ მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონიერ სასამართლო პროცესზე, რომელზეც უზრუნველყოფილი იქნება დაცვის უფლების განხორციელებისათვის აუცილებელი გარანტიები.

დაუშვებელია ბრალდებულისათვის ფიზიკური ან მორალური ზიანის მიყენება.

მუხლი 35.

რწმენის თავისუფლება შეუზღუდავია. სახელმწიფო იცავს რელიგიის აღმსარებლობის თავისუფლებას დადგენილი ჩვეულებების ფარგლებში, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სახელმწიფო პოლიტიკას ან ზნეობას.

მუხლი 36.

აზრის თავისუფლება და მეცნიერული აღმოჩენების თავისუფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება გამოხატოს და გაავრცელოს თავისი შეხედულებები ზეპირად, წერილობით ან სხვა ფორმით, კანონით დადგენილი პირობებისა და წესების დაცვით.

მუხლი 37.

პრესის, ბეჭდვითი და საგამომცემლო საშუალებების თავისუფლება გარანტირებულია კანონით განსაზღვრული ფორმებისა და პირობების შესაბამისად.

მუხლი 38.

საცხოვრებელი ადგილი ხელშეუხებელია. მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ მათში შესვლა დაუშვებელია, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა და შესაბამისი ფორმით.

მუხლი 39.

საფოსტო, სატელეგრაფო და სატელეფონო კომუნიკაციის თავისუფლება და მათი საიდუმლოება გარანტირებულია; შესაბამისად, დაუშვებელია მიმოწერის ცენზურა და მისი შინაარსის გამოაშკარავება, გარდა კანონით დადგენილი წესითა და პირობებით გათვალიწინებული გამონაკლისებისა.

მუხლი 40.

განათლება არის ყველა ქუვეითელის უფლება, რომელიც გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ, კანონის შესაბამისად, სახელმწიფო პოლიტიკისა და ზნეობის ფარგლებში. განათლება, კანონის თანახმად, მის დაწყებით სტადიაზე სავალდებულო და უფასოა.

გაუნათლებლობის აღმოსაფხვრელად აუცილებელ ღონისძიებათა გეგმას კანონი განსაზღვრავს.

სახელმწიფო განსაკუთრებულ მზრუნველობას უწევს ახალგაზრდობის ფიზიკურ, მორალურ და გონებრივ განვითარებას.

მუხლი 41.

ყოველ ქუვეითელს აქვს შრომისა და მისი სახეობის არჩევის უფლება.

შრომა ყველა მოქალაქის პიროვნული ღირსებითა და საზოგადო კეთილდღეობით განპირობებული ვალდებულებაა. სახელმწიფო ვალდებულია იგი ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადოს და შექმნას სამართლიანი პირობები.

მუხლი 42.

იძულებითი შრომა დაუშვებელია, გარდა ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე უკიდურესი აუცილებლობისა და სამართლიანი ანაზღაურების პირობით კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.

მუხლი 43.

კავშირებისა და გაერთიანებების შექმნის თავისუფლება გარანტირებულია ეროვნულ ნიადაგზე და მშვიდობიანი მიზნებისათვის, კანონით დადგენილი

პირობებითა და ფორმებით. არავინ არ შეიძლება იქნეს იძულებული გაერთიანდეს რომელიმე კავშირში ან გაერთიანებაში.

მუხლი 44.

ადამიანებს უფლება აქვთ შეიკრიბონ რაიმე ნებართვისა და წინასწარი შეტყობინებების გარეშე და პოლიციას არა აქვს ამ შეკრებაზე დასწრების უფლება.

საჯარო მიტინგები, დემონსტრაციები და შეკრებები ნებადართულია კანონით დადგენილ პირობებში და წესით, თუ მათი განზრახვა და მიზნები მშვიდობიანია და არ ეწინააღმდეგება ზნეობას.

მუხლი 45.

ყველას აქვს უფლება მიმართოს ხელისუფლების ორგანოებს წერილობით და მხოლოდ პირადი ხელმოწერით. მხოლოდ სათანადო წესით დაფუძნებულ ორგანიზაციებსა და გაერთიანებებს აქვთ ხელისუფლებისათვის კოლექტიურად მიმართვის უფლება.

მუხლი 46.

პოლიტიკურ დევნილთა ექსტრადაცია დაუშვებელია.

მუხლი 47.

სამშობლოს დაცვა წმინდათაწმინდა მოვალეობაა, სამხედრო სამსახური კი პატივია მოქალაქეთათვის და კანონით წესრიგდება.

მუხლი 48.

გადასახადებისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდა კანონით გათვალისწინებული მოვალეობაა. კანონი აწესრიგებს იმ მცირე შემოსავლების გადასახადებისგან გათავისუფლებას, რომლებიც საარსებო მინიმუმის შენარჩუნების ერთადერთ წყაროს წარმოადგენენ.

მუხლი 49.

ქუვეითის ყველა მცხოვრებს ეკისრება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და საზოგადოებრივ ზნეობრივ ღირებულებათა პატივისცემა.

ნაწილი IV. ხელისუფლება

თავი I - ძირითადი პრინციპები

მუხლი 50.

სახელმწიფო სისტემა ეფუძნება ხელისუფლების დანაწილების პრინციპს და ფუნქციონირებს თითოეული შტოს მეორესთან ურთიერთქმედებით კონ-

სტიტუციით დადგენილი დებულებების შესაბამისად. დაუშვებელია კონსტიტუციით განსაზღვრული ამ ხელისუფლების მთლიანად ან მისი შემადგენელი რაიმე ნაწილის სხვისთვის გადაცემა.

მუხლი 51.

საკანონმდებლო ხელისუფლება, კონსტიტუციის შესაბამისად, ეკუთვნის ემირსა და ეროვნულ კრებას.

მუხლი 52.

აღმასრულებელი ხელისუფლება, კონსტიტუციით დადგენილი წესით, ეკუთვნის ემირს, კაბინეტსა და მინისტრებს.

მუხლი 53.

სასამართლო ხელისუფლება ეკუთვნის სასამართლოებს, რომელიც ხორციელდება ემირის სახელით კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში.

თავი II - სახელმწიფოს მეთაური

მუხლი 54.

ემირი არის სახელმწიფოს მეთაური. მისი პიროვნება პასუხისმგებლობისაგან თავისუფალი და ხელშეუხებელია.

მუხლი 55.

ემირი თავის ხელისუფლებას ახორციელებს მინისტრთა მეშვეობით.

მუხლი 56.

ემირი ტრადიციული მოთათბირების შემდეგ თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრს. ემირი, აგრეთვე პრემიერ-მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრებს.

მინისტრები ინიშნებიან ეროვნული კრების წევრთა და სხვა პირთაგან.

მინისტრების რაოდენობა მთლიანად არ უნდა აღემატებოდეს ეროვნული კრების წევრთა სრული შემადგენლობის ერთ მესამედს.

მუხლი 57.

კაბინეტი ხელახლა იქნება შედგენილი წინა მუხლში განსაზღვრული წესით ეროვნული კრების ყოველი საკანონმდებლო ვადის დასაწყისში.

მუხლი 58.

პრემიერ-მინისტრი და მინისტრები ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაზე კოლექტიურად აგებენ პასუხს ემირის წინაშე. თითოეული

მინისტრი თავისი სამინისტროს საქმეებზე ინდივიდუალურად აგებს პასუხს ემირის წინაშე.

მუხლი 59.

კონსტიტუციის მე-4 მუხლით გათვალისწინებული კანონი დაწვრილებით განსაზღვრავს იმ ძირითად პირობებს, რომელთა დაცვითაც ემირი ახორციელებს თავის კონსტიტუციურ ხელისუფლებას.

მუხლი 60.

ხელისუფლების მიღებამდე ემირი ეროვნული კრების საგანგებო სხდომაზე დებს შემდეგი შინაარსის ფიცს:

„ყოვლისშემძლე ღმერთის წინაშე ვფიცავ, პატივი ვცე სახელმწიფოს კონსტიტუციასა და კანონებს, დავიცვა ხალხის თავისუფლება, ინტერესები და საკუთრება და განვამტკიცო ქვეყნის დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა“.

მუხლი 61.

ქვეყნის ფარგლებს გარეთ ყოფნისას და მემკვიდრის მიერ მოადგილის უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, ემირი თავისი ბრძანებით ნიშნავს მოადგილეს, რომელიც ემირის არყოფნისას ახორციელებს მის უფლებამოსილებებს. მოადგილის დანიშვნის ბრძანება უნდა შეიცავდეს ასევე იმ უფლებების დაწვრილებით ჩამონათვალს, რომელთა აღსრულებაც ხდება ემირის სახელით ან იმ ფარგლების განსაზღვრას, რომელშიც მოქცეულია მოადგილის საქმიანობა.

მუხლი 62.

მოადგილე ემირი უნდა აკმაყოფილებდეს იმ მოთხოვნებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია კონსტიტუციის 82-ე მუხლში. თუ იგი არის მინისტრი ან ეროვნული კრების წევრი, ასეთ შემთხვევაში, ემირის მოადგილედ მუშაობის მთელი ვადის მანძილზე მონაწილეობს მინისტრის ფუნქციათა შესრულებაში ან ეროვნული კრების საქმიანობაში.

მუხლი 63.

ხელისუფლების მიღებამდე მოადგილე ემირი ეროვნული კრების საგანგებო სხდომაზე დებს კონსტიტუციის მე-60 მუხლში მოხსენიებულ ფიცს, რომელსაც ემატება შემდეგი ფრაზა:

„და ვიყო ერთგული ემირისადმი“.

თუ ეროვნული კრება არ არის შეკრებილი, ფიცი დაიდება ემირის წინაშე.

მუხლი 64.

მოადგილე ემირზე ვრცელდება კონსტიტუციის 131-ე მუხლით დადგენილი დებულებები.

მუხლი 65.

ემირს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის, კანონების სანქციონირებისა და პრომულგაციის უფლება. პრომულგირება ხდება ეროვნული კრების მიერ ემირისათვის კანონის გაგზავნის დღიდან ოცდაათი დღის განმავლობაში. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ეს ვადა შვიდ დღემდე მცირდება. ამგვარი გადაუდებელი აუცილებლობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ეროვნული კრების მიერ წევრთა სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით.

პრომულგაციის ვადის ათვლისას მხედველობაში არ მიიღება ოფიციალური დასვენების დღეები.

თუ პრომულგაციის ვადა ამოიწურება სახელმწიფოს მეთაურის მიერ დამტკიცების გარეშე, ითვლება, რომ კანონპროექტი სანქციონირებული და პრომულგირებულია.

მუხლი 66.

კანონპროექტების წარდგენა ხდება დეკრეტის სახით, რომელშიც ფორმულირებულია განსახილველი საკითხები. თუ ეროვნული კრება წევრთა ხმების ორი მესამედით დაამტკიცებს კანონპროექტს, ემირი გადაცემიდან ოცდაათი დღის ვადაში ახდენს მის სანქციონირებასა და პრომულგაციას. თუ კანონპროექტი არ იქნება მიღებული ხმათა აღნიშნული რაოდენობით, დაუშვებელია მისი ხელახალი განხილვა იმავე სესიაზე. თუ ეროვნული კრება მომდევნო სესიაზე იგივე პროექტს დაამტკიცებს ხმათა უმრავლესობით, ემირი გადაცემიდან ოცდაათი დღის განმავლობაში ახდენს მის სანქციონირებასა და პრომულგირებას.

მუხლი 67.

ემირი არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. კანონის შესაბამისად, იგი თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სამხედრო მეთაურებს.

მუხლი 68.

ემირი თავდაცვით ომს აცხადებს საგანგებო დეკრეტით. აგრესიული ომის წარმოება დაუშვებელია.

მუხლი 69.

კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი პროცედურის დაცვით ემირი აცხადებს საომარ მდგომარეობას. საომარი მდგომარეობის შემოღება ხდება დეკრეტით. აღნიშნული დეკრეტი გამოცემიდან თხუთმეტი დღის განმავლობაში წარედგინება ეროვნულ კრებას საომარი მდგომარეობის მოქმედების შემდგომ მისი გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. თუ დეკრეტის გამოცემა ხდება ისეთ დროს, როდესაც ეროვნული კრება დათხოვნილია, მაშინ იგი პირველი შეკრებისთანავე წარედგინება ახალ ეროვნულ კრებას.

საომარი მდგომარეობის მოქმედება დაუყოვნებლივ შეწყდება, თუ ეროვნული კრება წევრთა სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით არ დაამტკიცებს მისი გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას.

ყველა შემთხვევაში საკითხი ეროვნულ კრებას წარედგინება ზემოთმოხსენებული პროცედურის შესაბამისად ყოველ სამ თვეში ერთხელ.

მუხლი 70.

ემირი დებს ხელშეკრულებებს დეკრეტით და სათანადო დადასტურებისათვის დაუყოვნებლივ გადაუგზავნის ეროვნულ კრებას. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის, რატიფიცირებისა და ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნების შემდეგ.

ამის მიუხედავად, სამშვიდობო და სამოკავშირეო ხელშეკრულებები, სახელმწიფოს ტერიტორიასთან, მის ბუნებრივ რესურსებთან ან სუვერენულ უფლებებთან, მოქალაქეთა საჯარო და კერძო უფლებებთან, სავაჭრო, სანაოსნო და ადგილსამყოფელთან დაკავშირებული ხელშეკრულებები, აგრეთვე, ხელშეკრულებები, რომლებიც საჭიროებენ სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ხარჯების გაწევას ან იწვევენ ცვლილებების შეტანას ქუეყეთის კანონებში, ძალაში შედის მხოლოდ კანონით მიღების შემდეგ.

ხელშეკრულებები არ შეიძლება შეიცავდეს ისეთ საიდუმლო დებულებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება საჯაროდ გაცხადებულს.

მუხლი 71.

გადაუდებელი ზომების მიღების საჭიროებისას, როდესაც ეროვნული კრება არ არის შეკრებილი სესიაზე ან დათხოვნილია, ემირი უფლებამოსილია გამოსცეს კანონის ძალის მქონე დეკრეტი, იმის გათვალისწინებით, რომ იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციასა და სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით დაცულ ასიგნებებს.

ამგვარი დეკრეტები გამოცემიდან თხუთმეტი დღის განმავლობაში წარედგინება ეროვნულ კრებას, თუ ის შეკრებილია მიმდინარე სესიაზე. თუ იგი დათხოვნილია ან უფლებამოსილების ვადა ამოეწურა, დეკრეტები წარედგინება მომდევნო მოწვევის ეროვნულ კრებას მის პირველივე სხდომაზე. თუ

ისინი არ იქნება ამ წესით წარდგენილი, ყოველგვარი დამატებითი გადაწყვეტილების ძალაში შესვლის გარეშე, უკუქმედებით შეუწყდება კანონის ძალა. თუ დეკრეტები წარედგინება და ეროვნული კრება არ დაამტკიცებს, მათ უკუქმედებით შეუწყდებათ კანონის ძალა, სანამ ეროვნული კრება არ დაამტკიცებს მათ კანონიერებას წინა პერიოდისათვის ან რაიმე სხვა გზით არ გადაწყვეტს იმ საკითხებს, რაც მათმა მიღებამ წამოჭრა.

მუხლი 72.

ემირი დეკრეტით გამოსცემს კანონთა აღსასრულებლად საჭირო წესებს, ამ კანონების შეცვლის ან შეჩერების და მათი აღსრულებიდან რაიმე გამონაკლისის დაწესების გარეშე. კანონი შეიძლება აწესებდეს უფრო ნაკლებად ოფიციალურ დებულებებს, ვიდრე მისი აღსრულების უზრუნველმყოფი წესების ამსახველი დეკრეტი.

მუხლი 73.

ემირი დეკრეტით ადგენს საჯარო სამსახურისა და ადმინისტრაციის ორგანიზებისათვის აუცილებელ წესებს, რომლებიც კანონს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.

მუხლი 74.

ემირი, კანონის შესაბამისად, ნიშნავს და ათავისუფლებს სამოქალაქო და სამხედრო პირებს, დიპლომატიურ წარმომადგენლებს უცხოეთის ქვეყნებში. იგი აგრეთვე იღებს რწმუნებათა სიგელებს უცხო ქვეყნების წარმომადგენლებისაგან.

მუხლი 75.

ემირი უფლებამოსილია დეკრეტით გასცეს შეწყალება ან შეამსუბუქოს სასჯელი.

თუმცა საყოველთაო ამნისტია არ შეიძლება გამოცხადდეს, გარდა კანონის ფორმით და იმ დანაშაულთა გათვალისწინებით, რომლებიც ამნისტიის პირობებს შეესაბამება.

მუხლი 76.

ემირი, კანონის შესაბამისად, ანიჭებს საპატიო ჯილდოებს.

მუხლი 77.

ფული მოიჭრება ემირის სახელით, კანონის შესაბამისად.

მუხლი 78.

სახელმწიფოს მეთაურის მიერ ხელისუფლების მიღების შემდეგ მისი ყოველწლიური გასამრჯელო განისაზღვრება კანონით მისი მმართველობის განმავლობაში.

თავი III - საკანონმდებლო ხელისუფლება

მუხლი 79.

არც ერთი კანონი არ შეიძლება იქნეს პრომულგირებული, სანამ არ იქნება მიღებული ეროვნული კრების და სანქციონირებული ემირის მიერ.

მუხლი 80.

ეროვნული კრება შედგება საარჩევნო კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად პირდაპირი, საყოველთაო არჩევნებით, ფარული კენჭისყრით არჩეული ორმოცდაათი წევრისაგან.

მინისტრები, რომლებიც არ არიან ეროვნული კრების არჩეული წევრები თანამდებობით ითვლებიან მის წევრებად.

მუხლი 81.

საარჩევნო ოლქები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 82.

ეროვნული კრების წევრი უნდა იყოს:

ა) კანონის შესაბამისად დაბადებით ქუვეითელი;

ბ) საარჩევნო კანონის შესაბამისად ამომრჩევლის უფლების მქონე;

გ) არჩევნების დღემდე არანაკლებ ოცდაათ კალენდარულ წელს მიღწეული;

დ) არაბულად წერა-კითხვის მცოდნე.

მუხლი 83.

ეროვნული კრების უფლებამოსილების ვადა არის ოთხი კალენდარული წელი, რომელიც პირველი სხდომის დღიდან აითვლება. ახალი კრების არჩევნები იმართება აღნიშნული ვადის ამოწურვამდე სამოცი დღის განმავლობაში. სათანადო ყურადღება ეთმობა 107-ე მუხლით გათვალისწინებულ დებულებებს.

წევრებს, რომელთა უფლებამოსილების ვადა ამოიწურა, აქვთ ხელახლა არჩევის უფლება.

ეროვნული კრების უფლებამოსილების ვადის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა ომის დროს არსებული საჭიროებისას და კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 84.

თუ რაიმე მიზეზით ეროვნულ კრებაში ადგილი გათავისუფლდა უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე, ვაკანსია შეივსება არჩევნების გზით, ეროვნული კრების მიერ ვაკანსიის შესახებ გამოცხადებიდან ორი თვის ვადაში. ახალი წევრის მანდატი გრძელდება მისი წინამორბედის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

თუ ვაკანსია წარმოიშობა ეროვნული კრების უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, უფლებამონაცვლე წევრი არ აირჩევა.

მუხლი 85.

ეროვნული კრების ყოველწლიური სესია გრძელდება არანაკლებ რვა თვისა. აღნიშნული სესია არ შეიძლება შეწყდეს ბიუჯეტის დამტკიცებამდე.

მუხლი 86.

ეროვნული კრება მორიგ სესიას იწყებს ემირის მოწვევით ყოველი წლის ოქტომბრის თვეში. თუ სხდომის მოწვევის დეკრეტი არ იქნება გამოცემული აღნიშნული თვის პირველ რიცხვში, შეკრების დროდ ჩაითვლება ამ თვის მესამე შაბათის დილის 9 საათი. თუ ეს დღე ემთხვევა ოფიციალური დასვენების დღეს, ეროვნული კრება იკრიბება მომდევნო დღის დილას.

მუხლი 87.

წინა ორ მუხლში განსაზღვრული დებულებების მიუხედავად ემირი ეროვნული კრების პირველ სხდომას იწვევს საერთო არჩევნებიდან ორი კვირის განმავლობაში. თუ მოწვევის დეკრეტი აღნიშნულ ვადაში არ იქნა გამოცემული, ამ ორი კვირის მომდევნო დღის დილისთვის ეროვნული კრება მოწვეულად ითვლება, წინა მუხლის შესაბამის დებულებათა დაცვით.

თუ ეროვნული კრების შეკრების თარიღი არ ემთხვევა 86-ე მუხლში მოხსენიებულ ყოველწლიურ თარიღს, 85-ე მუხლში განსაზღვრული სესიის ვადა შემცირდება ამ ორ თარიღს შორის არსებული სხვაობის ვადით.

მუხლი 88.

ეროვნული კრება საგანგებო სესიაზე იკრიბება ემირის დეკრეტით, თუ იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს ამის საჭიროებას ან თუ ამას მოითხოვს კრების წევრთა უმრავლესობა.

საგანგებო სესიაზე ეროვნულ კრებას არ აქვს იმ საკითხების განხილვის უფლება, რომელთა გადასაწყვეტადაც არ იქნა მოწვეული, გამონაკლისია კაბინეტის თანხმობა.

მუხლი 89.

ემირი აცხადებს მორიგ და საგანგებო სესიათა შეწყვეტას.

მუხლი 90.

დანიშნული დროისა და ადგილისაგან განსხვავებით გამართული ყველა შეკრება ითვლება გაუქმებულად და მასზე მიღებული გადაწყვეტილებები ბათილია კანონის ძალით.

მუხლი 91.

ეროვნულ კრებაში ან მის კომიტეტებში უფლებამოვალეობათა მიღებამდე ეროვნული კრების წევრი მის საჯარო სხდომაზე დებს შემდეგი შინაარსის ფიცს:

„ყოვლისშემძლე ღმერთის წინაშე ვფიცავ, ვიყო ქვეყნისა და ემირის ერთგული, პატივი ვცე სახელმწიფოს კონსტიტუციასა და კანონებს, დავიცვა ხალხის თავისუფლება, ინტერესები და საკუთრება და პატიოსნად და სამართლიანად აღვასრულო ჩემი მოვალეობანი“.

მუხლი 92.

ეროვნული კრება პირველივე სხდომაზე თავისი უფლებამოსილების ვადით ირჩევს სპიკერსა და ვიცე-სპიკერს. თუ რომელიმე ეს თანამდებობა ვაკანტური გახდა, ეროვნული კრება დარჩენილი უფლებამოსილების ვადით ირჩევს მის მემკვიდრეს.

ყველა შემთხვევაში არჩევისათვის საჭიროა დამსწრე წევრთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა. თუ ამგვარი ხმათა უმრავლესობა არ იქნება მიღწეული პირველივე კენჭისყრაზე, მეორე არჩევნები იმართება საუკეთესო შედეგების მქონე ორ კანდიდატს შორის. თუ მეორე ადგილზე გასული კანდიდატის მიერ მიღებულ ხმათა თანაბარი რაოდენობა მიიღო ერთზე მეტმა პირმა, ყველა ეს კანდიდატი მონაწილეობს მეორე კენჭისყრაში. ამ შემთხვევაში არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმათა უმრავლესობას. თუ ბოლო კენჭისყრა დამთავრდა თანაბარი შედეგით, არჩევა ხდება წილისყრით.

სპიკერის არჩევამდე პირველ სხდომას უძღვება კრების უხუცესი წევრი.

მუხლი 93.

ეროვნული კრება მისი ყოველწლიური სესიის პირველი კვირის განმავლობაში ქმნის მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო კომიტეტებს. ეს კომიტე-

ტები თავის უფლებამოსილებებს ახორციელებენენ ეროვნული კრების არდადეგების დროსაც, რათა მომზადებული საკითხები რეკომენდაციების სახით განსახილველად წარუდგინონ ეროვნულ კრებას, როდესაც ის შეიკრიბება.

მუხლი 94.

ეროვნული კრების სხდომები საჯაროა, თუმცა მთავრობის, ეროვნული კრების სპიკერის ან არანაკლებ ათი დეპუტატის მოთხოვნით ისინი შეიძლება დაიხუროს. ამგვარი მოთხოვნის განხილვა ხდება ასევე დახურულ სხდომაზე.

მუხლი 95.

ეროვნული კრება იღებს გადაწყვეტილებებს თავის წევრთა არჩევის კანონიერებაზე. არჩევნები არ შეიძლება გამოცხადდეს უკანონოდ, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს არ დაუჭერს ეროვნული კრების წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა. ეს იურისდიქცია კანონით შეიძლება მინდობილ იქნეს სასამართლო ორგანოებზე.

მუხლი 96.

ეროვნული კრება უფლებამოსილია მიიღოს წევრთა გადადგომა.

მუხლი 97.

ეროვნული კრების სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხმების სპეციალური უმრავლესობა არის საჭირო. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში წინადადება უარყოფილად ითვლება.

მუხლი 98.

ყოველი კაბინეტი ფორმირებისთანავ, თავის პროგრამას დაუყოვნებლივ წარუდგენს ეროვნულ კრებას. ეროვნული კრება უფლებამოსილია პროგრამის შესახებ გააკეთოს შენიშვნები.

მუხლი 99.

ეროვნული კრების ყველა წევრს უფლება აქვს შეკითხვა დაუსვას პრემიერ-მინისტრსა და მინისტრებს მათ კომპეტენციაში არსებული საკითხების ნათელსაყოფად. შეკითხვის დამსმელს უფლება აქვს ერთხელ გააკეთოს პასუხის კომენტარი.

მუხლი 100.

ეროვნული კრების ყველა წევრს შეუძლია ინტერპელაციებით მიმართოს პრემიერ-მინისტრსა და მინისტრებს, მათ კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესახებ.

ინტერპელაციაზე მსჯელობა არ შეიძლება გაიმართოს მისი წარდგენიდან რვა დღის გასვლამდე. გამონაკლისია გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა და შესაბამისი მინისტრის თანხმობა.

101-ე და 102-ე მუხლებით გათვალისწინებულ საკითხებზე ინტერპელაცია შეიძლება წინ უსწრებდეს ეროვნული კრების წინაშე მინისტრისათვის უნდობლობის გამოცხადების საკითხის დაყენებას.

მუხლი 101.

ყოველი მინისტრი პასუხისმგებელია ეროვნული კრების წინაშე თავისი სამინისტროს საკითხებზე. თუ ეროვნული კრება მინისტრის წინააღმდეგ მიიღებს უნდობლობის ვოტუმს, იგი თანამდებობიდან გადაყენებულად ითვლება უნდობლობის გამოცხადების დღიდან და ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს გადადგომის ფორმალურად გაფორმება. მინისტრთან დაკავშირებით ნდობის საკითხი შეიძლება წამოყენებულ იქნეს მისივე ინიციატივით ან არანაკლებ ათი წევრის მიერ ხელმოწერილი მოთხოვნით. ამგვარი მოთხოვნა შეიძლება გამოიწვიოს მინისტრის წინაშე დასმული ინტერპელაციის განხილვამ. ეროვნული კრება ვერ მიიღებს ამ საკითხზე გადაწყვეტილებას, მისი წამოყენებიდან შვიდი დღის გასვლამდე.

მინისტრისათვის უნდობლობის გამოცხადება ხდება ეროვნული კრების წევრთა (მინისტრების გამოკლებით) სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით. მინისტრები ნდობის ვოტუმის საკითხზე გამართულ კენჭისყრაში არ მონაწილეობენ.

მუხლი 102.

პრემიერ-მინისტრი არ იკავებს რომელიმე პორტფელს, ამიტომ ეროვნულ კრებაში მისი ნდობის საკითხის აღძვრა დაუშვებელია.

ამის მიუხედავად, თუ ეროვნული კრება წინა მუხლში განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად გადაწყვეტს, რომ მას არ შეუძლია ითანამშრომლოს პრემიერ-მინისტრთან, საკითხი წარედგინება სახელმწიფოს მეთაურს. ამ შემთხვევაში ემირი უფლებამოსილია შეცვალოს პრემიერ-მინისტრი და დანიშნოს ახალი კაბინეტი ან დაითხოვოს ეროვნული კრება.

დათხოვნის შემთხვევაში, თუ ახალი ეროვნული კრება ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით გადაწყვეტს, რომ მას არ შეუძლია აღნიშნულ პრემიერ-მინისტრთან თანამშრომლობა, იგი თანამდებობიდან გადაყენებულად ითვლება ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების დღიდან და ფორმირდება ახალი მთავრობა.

მუხლი 103.

თუ პრემიერ-მინისტრი რაიმე მიზეზით დატოვებს თანამდებობას გადაუდებელი საქმეების მოგვარების მიზნით, იგი განაგრძობს თავის უფლებამოსილებათა განხორციელებას მისი შემცვლელის დანიშვნამდე.

მუხლი 104.

ემირი ხსნის ეროვნული კრების ყოველწლიურ სესიას და წარმოადგენს ემირის სიტყვას, რომელშიც მიმოიხილავს ქვეყანაში შექმნილ ვითარებას, წინა წლის მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებს და აკეთებს მომდევნო წლისათვის მთავრობის მიერ განსახორციელებელი პროექტებისა და რეფორმების მონახაზს.

ემირი უფლებამოსილია პრემიერ-მინისტრს მიანდოს სესიის გახსნა ან ემირის სიტყვის წარმოდგენა.

მუხლი 105.

ეროვნული კრება თავის წევრთაგან ირჩევს კომიტეტს ემირის სიტყვაზე პასუხის მოსამზადებლად, რომელიც უნდა შეიცავდეს ეროვნული კრების შენიშვნებსა და სურვილებს. აღნიშნული პასუხი მტკიცება ეროვნული კრების მიერ და წარედგინება ემირს.

მუხლი 106.

ემირი უფლებამოსილია გარკვეული ვადით ეროვნული კრების სხდომა გადადოს დეკრეტით, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა. გადადება შეიძლება განმეორდეს იმავე სესიის განმავლობაში ეროვნული კრების თანხმობით, მაგრამ მხოლოდ ერთხელ. სესიის ვადის გამოთვლისას შესვენების დრო არ ითვლება.

მუხლი 107.

ემირი უფლებამოსილია დეკრეტით დაითხოვოს ეროვნული კრება, რომელშიც დათხოვნის მიზეზები მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული. მაგრამ იმავე მიზეზებით ეროვნული კრების განმეორებით დათხოვნა დაუშვებელია.

დათხოვნის შემთხვევაში ახალი ეროვნული კრების არჩევნები იმართება დათხოვნის დღიდან არა უგვიანეს ორი თვის განმავლობაში.

თუ დადგენილ ვადაში არჩევნები არ იქნება გამართული, დათხოვნილი ეროვნული კრება აღდგენილ იქნება მისი სრული კონსტიტუციური უფლებამოსილებით და დაუყოვნებლივ შეიკრიბება, როგორც საერთოდ დაუთხოვნელი. კრება შემდეგშიც აგრძელებს ფუნქციონირებას, სანამ ახალი ეროვნული კრება არ აირჩევა.

მუხლი 108.

ეროვნული კრების წევრი წარმოადგენს მთელ ერს. იგი იცავს სახელმწიფო ინტერესებს და ეროვნულ კრებაში ან მის კომიტეტებში მოვალეობათა აღსრულებისას არ შეიძლება იქცეს ზეწოლის ობიექტად.

მუხლი 109.

ეროვნული კრების წევრს აქვს კანონპროექტის შეტანის უფლება.

წევრის მიერ წამოყენებული და ეროვნული კრების მიერ უარყოფილი კანონპროექტი არ შეიძლება ხელახლა იქნეს შეტანილი იმავე სესიაზე.

მუხლი 110.

ეროვნული კრების წევრი თავისუფალია ეროვნულ კრებაში ან მის კომიტეტებში თავისი აზრისა და შეხედულებების გამოხატვაში. დაუშვებელია მისთვის ამის გამო პასუხისმგებლობის დაკისრება.

მუხლი 111.

არანაირი საგამოძიებო მოქმედებები, ჩხრეკა, დაპატიმრება, დაკავება ან დასჯითი ღონისძიებები არ შეიძლება იქნეს გამოყენებული ეროვნული კრების წევრის მიმართ, როდესაც კრება სესიაზეა შეკრებილი, გარდა დანაშაულის ადგილზე წასწრების შემთხვევებისა. გამონაკლისია თავად კრების ნებართვა. ეროვნულ კრებას ეცნობება ნებისმიერი დასჯითი ღონისძიების შესახებ, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მისი სესიის მსვლელობისას წინამდებარე მუხლით დადგენილი პროცედურის შესაბამისად. კრებას მის პირველივე სხდომაზე ეცნობება, თუ მისი წევრის მიმართ ამგვარი ღონისძიება იქნა გატარებული, როდესაც ის არ იყო შეკრებილი. თუ კრება ამ მოთხოვნის წარმოდგენის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, ნებართვის შესახებ დაყენებულ მოთხოვნაზე არანაირ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, ნებართვა გაცემულად ითვლება.

მუხლი 112.

არანაკლებ ხუთი წევრის მიერ ხელმოწერილი მოთხოვნით, სამთავრობო პოლიტიკის ნათელსაყოფად და ამასთან დაკავშირებული შეხედულებების გაცვლის მიზნით, კრებაში განსახილველად შეიძლება დადგეს საერთო ინტერესის საკითხი. ყველა სხვა წევრი ასევე უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ამ განხილვაში.

მუხლი 113.

ეროვნული კრება უფლებამოსილია მთავრობის მიმართ გამოხატოს სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებული სურვილები. თუ მთავრობას არ შეუძლია ამ სურვილთა შესრულება, იგი ვალდებულია ეროვნულ კრებას

განუმარტოს ამის მიზეზები. კრება უფლებამოსილია მთავრობის ამგვარ განცხადებაზე გააკეთოს ერთჯერადი კომენტარი.

მუხლი 114.

ეროვნული კრება უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ჩამოაყალიბოს საგამოძიებო კომიტეტები ან მის ერთ ან რამდენიმე წევრზე კომპეტენციის ფარგლებში მოახდინოს საგამოძიებო უფლების ნებისმიერ საკითხზე დელეგირება. მინისტრები და სამთავრობო თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან მათ მოთხოვნისთანავე მიაწოდონ ამ საკითხებთან დაკავშირებული სიგელები, დოკუმენტები და განცხადებები.

მუხლი 115.

ეროვნული კრება თავის ყოველწლიურ მუდმივმოქმედ კომიტეტებს შორის ქმნის სპეციალურ კომიტეტს, რომელიც განიხილავს ეროვნული კრებისადმი წარდგენილ მოქალაქეთა პეტიციებსა და საჩივრებს. კომიტეტი მოიპოვებს სათანადო ახსნა-განმარტებებს კომპეტენტური სამსახურებისგან და მიღებულ შედეგებთან დაკავშირებით ინფორმაციას აცნობებს განმცხადებლებს.

ეროვნული კრების წევრი არ შეიძლება ჩაერიოს სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში.

მუხლი 116.

პრემიერ-მინისტრსა და მინისტრებს, ყოველთვის როდესაც მათ წინაშე დაისმის შეკითხვა, უფლება აქვთ სიტყვით გამოვიდნენ. ისინი უფლებამოსილნი არიან დახმარებისათვის მიმართონ სამსახურების უფროსებსა და თავიანთ მოადგილეებს, სიტყვით გამოვიდნენ მათი სახელით. ეროვნული კრება უფლებამოსილია მინისტრს მოსთხოვოს სხდომაზე დასწრება ყოველთვის, როდესაც განიხილება მის სამინისტროსთან დაკავშირებული საკითხი. კაბინეტი ეროვნული კრების სხდომაზე წარმოდგენილია პრემიერ-მინისტრით ან რომელიმე სხვა მინისტრით.

მუხლი 117.

ეროვნული კრება განსაზღვრავს თავის სამოქმედო წესებს, რომელიც შეიცავს ეროვნული კრებისა და მისი კომიტეტების საქმიანობის პროცედურებსა და კონსტიტუციაში აღწერილ განხილვასთან, კენჭისყრასთან, შეკითხვის დასმასთან, ინტერპელაციასთან და ყველა სხვა ფუნქციასთან დაკავშირებულ წესებს. სამოქმედო წესები ადგენს სანქციებს, რომლებიც დაეკისრება წესრიგის დამრღვევ ან ეროვნული კრების ან კომიტეტის სხდომის გამცდენ ყველა წევრს, გარდა საპატიო მიზეზის არსებობისა.

მუხლი 118.

ეროვნულ კრებაში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია მისი სპიკერი. ეროვნულ კრებას ჰყავს სპეციალური დაცვა, რომელიც კრების სპიკერს ექვემდებარება.

შეიარაღებულ ძალებს ეკრძალებათ კრების შენობაში შესვლა ან მისი კარიბჭის სიახლოვეს განლაგება, თუ არ იქნება კრების სპიკერის მოთხოვნა.

მუხლი 119.

ეროვნული კრების სპიკერის, ვიცე-სპიკერისა და წევრების გასამრჯელო განისაზღვრება კანონით. აღნიშნული გასამრჯელოს შეცვლის შემთხვევაში, ცვლილება ძალაში შევა მხოლოდ მომდევნო საკანონმდებლო ვადიდან.

მუხლი 120.

ეროვნული კრების წევრობა შეუთავსებელია სხვა სახელმწიფო თანამდებობასთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეთავსება ნებადართულია კონსტიტუციით. ამ შემთხვევაში წევრობის გასამრჯელოსა და სახელმწიფო თანამდებობაზე ხელფასის მიღების უფლების გაერთიანება დაუშვებელია.

შეუთავსებლობის სხვა შემთხვევებს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 121.

მანდატის განხორციელების პერიოდში ეროვნული კრების წევრი არ შეიძლება იქნეს დანიშნული კომპანიის დირექტორთა საბჭოში ან მონაწილეობდეს მთავრობის ან სახელმწიფო ორგანოთა მიერ გაცემულ კონცესიაში.

გარდა ამისა, აღნიშნული მანდატის განმავლობაში მას არა აქვს უფლება, იყიდოს ან იქირავოს სახელმწიფოს რაიმე ქონება, მთავრობას მიყიდოს, მიქირავოს ან გადაუცვალოს თავისი რაიმე ქონება, გარდა საჯარო აუქციონის ან ტენდერის ან იმ შემთხვევებისა, როდესაც ადგილი აქვს სავალდებულო წესით შეძენას.

მუხლი 122.

ეროვნული კრების წევრი თავისი მანდატის განხორციელების მანძილზე არ შეიძლება დაჯილდოვდეს წარჩინების ნიშნებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას უკავია ეროვნული კრების წევრობასთან შეთავსებადი სახელმწიფო თანამდებობა.

თავი IV - აღმასრულებელი ხელისუფლება

განყოფილება I - კაბინეტი

მუხლი 123.

მინისტრთა საბჭო კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო დეპარტამენტებზე. იგი განსაზღვრავს მთავრობის ძირითად პოლიტიკას, უზრუნველყოფს

მის აღსრულებას და ზედამხედველობს სახელმწიფო დეპარტამენტებში საქმიანობის ხელმძღვანელობას.

მუხლი 124.

პრემიერ-მინისტრისა და მინისტრების გასამრჯელოს განსაზღვრავს კანონი.

მინისტრებთან დაკავშირებული ყველა სხვა დებულება გამოიყენება პრემიერ-მინისტრთან მიმართებითაც, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 125.

მინისტრი უნდა აკმაყოფილებდეს 82-ე მუხლში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს.

მუხლი 126.

პრემიერ-მინისტრი და მინისტრები თანამდებობის დაკავებამდე ემირის წინაშე დებენ 91-ე მუხლით განსაზღვრულ ფიცს.

მუხლი 127.

პრემიერ-მინისტრი თავმჯდომარეობს მინისტრთა საბჭოს სხდომებს და ზედამხედველობს სხვადასხვა სამინისტროთა შორის მუშაობის კოორდინაციას.

მუხლი 128.

მინისტრთა საბჭოს თათბირები დახურულია. გადაწყვეტილებები მიიღება მხოლოდ წევრთა უმრავლესობის დასწრებითა და დამსწრეთა უმრავლესობით გადაწყვეტილების დამტკიცებით. იმ შემთხვევაში, როდესაც კენჭისყრისას ხმები თანაბრად იყოფა, იმარჯვებს ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც ხმა მისცა პრემიერ-მინისტრმა.

უმცირესობა ვალდებულია ანგარიში გაუწიოს უმრავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ან გადადგეს.

მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებები, თუ დეკრეტის სახით გამოცემას საჭიროებენ, დასამტკიცებლად წარედგინება ემირს.

მუხლი 129.

პრემიერ-მინისტრის გადაყენება ან თანამდებობიდან გადადგომა იწვევს ყველა სხვა მინისტრის გადაყენებას ან გადადგომას.

მუხლი 130.

ყოველი მინისტრი ზედამხედველობს სამინისტროში არსებულ საკითხებს და აღასრულებს სამთავრობო პოლიტიკას. იგი აგრეთვე სამინისტროსთვის გამოსცემს მითითებებს და მეთვალყურეობს მათ აღსრულებას.

მუხლი 131.

თანამდებობაზე ყოფნისას მინისტრს უფლება არა აქვს დაიკავოს რომელიმე სახელმწიფო თანამდებობა ან განახორციელოს რაიმე პროფესიული საქმიანობა, სამრეწველო, სავაჭრო ან საფინანსო ბიზნესი. გარდა ამისა, მას არ შეუძლია მთავრობის ან სხვა სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემულ კონცესიაში მონაწილეობის მიღება ან თანამდებობის შეთავსება რომელიმე კომპანიაში დირექტორთა საბჭოს წევრობასთან.

ამასთან, აღნიშნული ვადის განმავლობაში მინისტრს არა აქვს უფლება იყიდოს ან რაიმე სხვა გზით შეიძინოს სახელმწიფოს ქონება, გარდა საჯარო აუქციონის შემთხვევებისა. ასევე, არ შეუძლია მთავრობისათვის რაიმე ქონების მიყიდვა, მიქირავება ან გაცვლა.

მუხლი 132.

კანონი ადგენს დანაშაულებს, რომლებიც შესაძლოა ჩაიდინოს მინისტრმა დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისას. იგი, აგრეთვე დაწვრილებით განსაზღვრავს მათთვის ბრალდების წარდგენისა და გასამართლების პროცედურას და გასამართლების უფლების მქონე ორგანოს, იმ სხვა კანონთა გამოყენებაში ჩარევის გარეშე, რომლებიც პასუხისმგებლობას ადგენენ ჩვეულებრივი დანაშაულებისთვის ან სამოქალაქო წესით.

მუხლი 133.

საერთო და მუნიციპალური ორგანოების საკითხს აწესრიგებს კანონი და მთავრობის მმართველობითა და ზედამხედველობით ამ გზით განამტკიცებს მათ დამოუკიდებლობას.

განყოფილება II - ფინანსური საკითხები

მუხლი 134.

საერთო გადასახადი შეიძლება დადგინდეს, შეიცვალოს ან გაუქმდეს მხოლოდ კანონით. არავინ არ შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ იქნეს გათავისუფლებული ამგვარი გადასახადების გადახდის მოვალეობისაგან, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა. არავის არ შეიძლება მოეთხოვოს კანონით გაუთვალისწინებელი რაიმე გადასახადის, შესატანის ან ბაჟის გადახდა.

მუხლი 135.

სახელმწიფო ფონდების შეგროვების წესებსა და მათი ხარჯვის პროცედურებს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 136.

სახელმწიფო სესხებთან დაკავშირებული საკითხები წყდება კანონით. მთავრობას უფლება აქვს გასცეს ან უზრუნველყოს სესხი კანონით, ან ბიუჯეტში ამ მიზნებისათვის განკუთვნილი ფონდების ფარგლებში.

მუხლი 137.

სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ კანონის შესაბამისად გასცენ ან უზრუნველყონ სესხები.

მუხლი 138.

კანონი ადგენს სახელმწიფო საკუთრების დაცვისა და მართვის წესებს, ასევე მისი განკარგვის პირობებსა და ამ საკუთრებიდან რაიმეს გასხვისების ფარგლებს.

მუხლი 139.

საფინანსო წელიწადი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 140.

მთავრობა შეიმუშავებს სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების შემცველ ყოველწლიურ ბიუჯეტს და ყოველი მიმდინარე საფინანსო წლის დასასრულამდე არა უგვიანეს ორი თვით ადრე განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ეროვნულ კრებას.

მუხლი 141.

ბიუჯეტი ეროვნულ კრებაში განიხილება ნაწილ-ნაწილ.

დაუშვებელია სახელმწიფო შემოსავლების სპეციალური მიზნებისათვის განაწილება, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა.

მუხლი 142.

თუ ხარჯების ხასიათი მოითხოვს, კანონით შეიძლება ასიგნებულ იქნეს სპეციალური ფონდები ერთ წელზე მეტი ვადით, იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული ბიუჯეტი შეიცავდეს იმ წლისათვის განაწილებულ ფონდებს ან ალტერნატიულად შედგენილ იქნება ერთზე მეტი ფინანსური წლის მომცველი საგანგებო ბიუჯეტი.

მუხლი 143.

ბიუჯეტი არ შეიძლება შეიცავდეს რაიმე დებულებებს ახალი გადასახადების დასაწესებლად ან არსებული გადასახადების გაზრდასთან დაკავშირებით, ასევე, არსებული კანონის შესაცვლელად ან სპეციალური კანონის მიღების თავიდან ასაცილებლად იმ საკითხებზე, რაზეც კონსტიტუცია სპეციალური კანონის მიღებას ითვალისწინებს.

მუხლი 144.

სახელმწიფო ბიუჯეტი მიიღება მხოლოდ კანონის ფორმით.

მუხლი 145.

თუ ბიუჯეტის კანონი არ იქნა მიღებული საფინანსო წლის დაწყებამდე, გამოიყენება წინა წლის ბიუჯეტი და შემოსავლების შეგროვება და ფულის ხარჯვა ხორციელდება წინა წლის ბოლოსათვის ძალაში მყოფი კანონის შესაბამისად.

მიუხედავად ამისა, თუ ეროვნული კრება დაამტკიცებს ახალი ბიუჯეტის ერთ ან მეტ ნაწილს, იგი შედის ძალაში.

მუხლი 146.

ბიუჯეტით გაუთვალისწინებული რომელიმე ხარჯი ან ბიუჯეტით დადგენილი ხარჯების გადაჭარბება, ისევე როგორც ბიუჯეტის ერთი ნაწილიდან მეორეში ფონდების გადატანა უნდა განხორციელდეს მხოლოდ კანონით.

მუხლი 147.

ბიუჯეტის შესახებ კანონით გათვალისწინებული ხარჯვითი ნაწილის მაქსიმალური ზღვარის გადაჭარბება დაუშვებელია.

მუხლი 148.

დამოუკიდებელი და დამატებითი საერთო ბიუჯეტები განისაზღვრება კანონით, რომელთან დაკავშირებითაც სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის დებულებები უპირატესად გამოიყენება.

მუხლი 149.

სახელმწიფო საფინანსო ადმინისტრაციის წინა წლის შემაჯამებელი ანგარიშები ეროვნულ კრებას განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინება აღნიშნული წლის დასასრულიდან მომდევნო ოთხი თვის განმავლობაში.

მუხლი 150.

მთავრობა ყოველი მორიგი სესიის განმავლობაში არანაკლებ ერთხელ წარუდგენს ეროვნულ კრებას მოხსენებას სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 151.

საფინანსო კონტროლი და აუდიტორული კომისია წესდება კანონით, რომელიც განამტკიცებს მის დამოუკიდებლობას. კომისია ექვემდებარება ეროვნულ კრებას და ეხმარება მთავრობასა და ეროვნულ კრებას სახელმწიფო ბიუჯეტით დადგენილ ფარგლებში შემოსავლების შეგროვებისა და ხარჯების გაწევის კონტროლში. კომისია ყოველწლიურ მოხსენებას წარუდგენს მთავრობასა და ეროვნულ კრებას გაწეული საქმიანობისა და შენიშვნების შესახებ.

მუხლი 152.

არანაირი კონცესიის გაცემა არ დაიშვება, თუ არა ბუნებრივი რესურსების ან საზოგადო სამსახურისთვის, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა და შეზღუდული ვადით. წინმსწრები მოსამზადებელი ზომები გააადვილებს გამოკვლევისა და გასხვისების ოპერაციებს და უზრუნველყოფს საჯაროობასა და შეჯიბრებითობას.

მუხლი 153.

მონოპოლიის ხელშეწყობა დაუშვებელია, გარდა შეზღუდული ვადით და კანონით დადგენილი შემთხვევებისა.

მუხლი 154.

ვალუტა და ბანკები, ისევე როგორც სტანდარტები და ზომა-წონა რეგულირდება კანონით.

მუხლი 155.

სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე გასაცემი ხელფასების, პენსიების, სუბსიდიებისა და საჩუქრების საკითხს აწესრიგებს კანონი.

მუხლი 156.

კანონი ადგენს იმ ადგილობრივი ორგანოებისა და დაწესებულებების ბიუჯეტებთან და შემაჯამებელ ანგარიშებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომელთაც ჰყავთ სახელმწიფო პერსონალი.

განყოფილება III - სამხედრო საკითხები

მუხლი 157.

მშვიდობა არის სახელმწიფოს მიზანი და ქვეყნის, როგორც დიდი არაბული სამყაროს მთლიანობის ნაწილის ერთიანობის დაცვა წარმოადგენს თითოეულ მოქალაქეზე გადაცემულ ნდობას.

მუხლი 158.

სამხედრო სამსახური რეგულირდება კანონით.

მუხლი 159.

მხოლოდ სახელმწიფოა უფლებამოსილი დააფუძნოს შეიარაღებული ძალები და სახელმწიფო უშიშროების სამსახურები.

მუხლი 160.

საერთო ან ნაწილობრივი მობილიზაცია წესრიგდება კანონით.

მუხლი 161.

თავდაცვის უზენაესი საბჭო იქმნება კანონის შესაბამისად, თავდაცვასთან დაკავშირებული საქმეების სახელმძღვანელოდ, ქვეყნის ერთიანობის დასაცავად და შეიარაღებულ ძალებზე საზედამხედველოდ.

თავი V - სასამართლო ხელისუფლება

მუხლი 162.

სასამართლო ხელისუფლების ღირსება, მოსამართლეთა ერთიანობა და მიუკერძოებლობა არის კანონის საფუძველი და უფლებებისა და თავისუფლებების გარანტი.

მუხლი 163.

მართლმსაჯულების აღსრულებისას მოსამართლეები არ შეიძლება იყვნენ რომელიმე ხელისუფლების ზეგავლენის ობიექტი. მართლმსაჯულების განხორციელებისას ნებისმიერი ჩარევა დაუშვებელია. კანონი უზრუნველყოფს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას და ადგენს მოსამართლეებთან დაკავშირებულ გარანტიებსა და დებულებებს და მათი მოუშლელობის პირობებს.

მუხლი 164.

სხვადასხვა სახეობისა და იერარქიის სასამართლოების შექმნა და მათი ფუნქციებისა და იურისდიქციის განსაზღვრა წესრიგდება კანონით. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამხედრო წესები მოქმედებს, სამხედრო სასამარ-

თლოების იურისდიქცია, კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, ვრცელდება მხოლოდ შეიარაღებული და უშიშროების ძალების წევრთა მიერ ჩადენილ სამხედრო დანაშაულებზე.

მუხლი 165.

სასამართლოებში სხდომები საჯაროა, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა.

მუხლი 166.

ყველასთვის გარანტირებულია სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. ამ უფლების განხორციელებისთვის საჭირო პროცედურებსა და ფორმებს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 167.

სახელმწიფო პროკურატურა საზოგადოების სახელით ხელმძღვანელობს სისხლის სამართლის ბრალდებას. იგი მეთვალყურეობს სასამართლო პოლიტიკის საკითხებს, სისხლის სამართლის კანონთა ცხოვრებაში გატარებას, დამნაშავეთა დევნასა და განაჩენთა აღსრულებას. კანონი აწესრიგებს ამ ორგანოს საქმიანობას, ადგენს მის მოვალეობებს, განსაზღვრავს პირობებსა და გარანტიებს მათთვის, ვინც ახორციელებს პროკურატურის ფუნქციებს.

გამონაკლისის სახით, კანონით დადგენილი ფორმის დაცვით, მართლწესრიგის ორგანოებისათვის კანონით შეიძლება მინდობილ იქნეს ბრალდების ხელმძღვანელობა მცირე მნიშვნელობის დანაშაულებზე.

მუხლი 168.

სასამართლო ხელისუფლებას აქვს უზენაესი საბჭო, რომლის საქმიანობაც წესრიგდება და მოვალეობები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 169.

კანონი აწესრიგებს ადმინისტრაციულ სარჩელთა გადაწყვეტას სპეციალური სასამართლო პალატის მეშვეობით და განსაზღვრავს მის ორგანიზაციასა და ადმინისტრაციული იურისდიქციის მიკუთვნების ფორმებს, რომლებიც მოიცავს ნულიფიკაციისა და კომპენსაციის უფლებამოსილებას, კანონსაწინააღმდეგო ადმინისტრაციული აქტების თვალსაზრისით.

მუხლი 170.

კანონი განსაზღვრავს იმ ორგანოთა მოწყობას, რომლებიც სამართლებრივ რჩევებს აძლევენ სამინისტროებსა და სახელმწიფო დეპარტამენტებს და შეიმუშავებენ კანონებისა და რეგლამენტების პროექტებს. კანონი, აგრეთვე

ადგენს სასამართლოში სახელმწიფოსა და სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლობის წესს.

მუხლი 171.

სახელმწიფო საბჭო იქმნება კანონით ადმინისტრაციული იურისდიქციის განხორციელების ხელმძღვანელობისათვის, სამართლებრივი რჩევების მისაცემად, კანონებისა და რეგლამენტების პროექტების შესამუშავებლად, როგორც ეს აღნიშნულია წინა ორ მუხლში.

მუხლი 172.

სხვადასხვა სახეობის სასამართლოებს შორის იურისდიქციათა და განაჩენთა წინააღმდეგობის გადაწყვეტის წესს ადგენს კანონი.

მუხლი 173.

კანონი ადგენს შესაბამის იურიდიულ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვიტოს კანონებისა და რეგლამენტების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული დავა და განსაზღვრავს მის იურისდიქციასა და შესაბამის პროცედურას.

კანონი განამტკიცებს მთავრობისა და დაინტერესებული მხარეების უფლებას, აღნიშნული ორგანოს წინაშე აღძრან კანონებისა და რეგალმენტების კონსტიტუციურობის საკითხი.

თუ აღნიშნული ორგანო დაადგენს, რომ კანონი ან რეგლამენტი არაკონსტიტუციურია, იგი გაუქმებულად და ძალადაკარგულად ითვლება.

ნაწილი V.
ძირითადი და გარდამავალი დებულებანი

მუხლი 174.

ემირს ან ეროვნული კრების წევრთა ერთ მესამედს უფლება აქვს წარადგინოს კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადება მისი ერთი ან მეტი დებულების შეცვლის ან გაუქმების ან ახალი დებულების დამატების შესახებ.

თუ ემირი და ეროვნული კრების სრული შემადგენლობის უმრავლესობა დაამტკიცებს გადასინჯვის წინადადებასა და მის საგანს, კრება კონსტიტუციური ცვლილებების პროექტს განიხილავს მუხლობრივად. პროექტი მიღებულად ითვლება ეროვნული კრების წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის მიერ დამტკიცების შემთხვევაში. კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადება ძალაში შედის მხოლოდ ემირის მიერ სანქციონირებისა და პრომულგაციის შემდეგ 65-ე და 66-ე მუხლებში წარმოდგენილ დებულებათა მოთხოვნების დაცვით.

თუ გადასინჯვის წინადადება ან მისი საგანი უარყოფილ იქნება, უარყოფიდან ერთი წლის გასვლამდე მისი ხელახალი წარმოდგენა დაუშვებელია.

არანაირი საკონსტიტუციო ცვლილება არ შეიძლება იქნეს შემოთავაზებული ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ხუთი წლის მანძილზე.

მუხლი 175.

ქუვეითის ემირატის სისტემასთან დაკავშირებული ამ კონსტიტუციით გათვალისწინებული დებულებები და თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპები, არ შეიძლება წარდგენილ იქნეს გადასინჯვისთვის, გარდა ემირის ტიტულთან ან თავისუფლებისა და თანასწორობის გარანტიების გაზრდასთან დაკავშირებული გამონაკლისი შემთხვევებისა.

მუხლი 176.

გადასინჯვის საგანი არ შეიძლება გახდეს კონსტიტუციით განსაზღვრული ემირის უფლებები, როდესაც მის მოვალეობებს ასრულებს მოადგილე ემირი.

მუხლი 177.

ამ კონსტიტუციის გამოყენება გავლენას არ ახდენს იმ ხელშეკრულებებსა და კონვენციებზე, რომლებიც ქუვეითს მანამდე ჰქონდა დადებული სხვა სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

მუხლი 178.

კანონები, მათი პრომულგაციიდან ორი კვირის განმავლობაში ქვეყნდება „ოფიციალურ გაზეთში" და ძალაში შედის გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ. ეს უკანასკნელი ვადა ნებისმიერი კანონისათვის შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს, თუ ის ამასთან დაკავშირებით შეიცავს სპეციალურ დებულებებს.

მუხლი 179.

კანონები გამოიყენება იმ მოვლენებისადმი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მათი ძალაში შესვლის შემდეგ, ამიტომ მათ არ შეიძლება გავლენა იქონიონ იმაზე, რაც ამ დრომდე მოხდა. თუმცა, ეროვნული კრების წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობის მიერ დამტკიცების შემთხვევაში შესაძლოა ამ საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტაც, გარდა სისხლის სამართლის კანონმდებლობისა.

მუხლი 180.

კანონების, რეგლამენტების, დეკრეტების, ბრძანებებისა და გადაწყვეტილებების ყველა დებულება, რომელიც მოქმედებდა კონსტიტუციის ძალაში

შესვლამდე, განაგრძობს მოქმედებას, სანამ არ შეიცვლება ან გაუქმდება ამ კონსტიტუციით დადგენილი პროცედურის შესაბამისად. ივარაუდება, რომ ისინი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის რომელიმე დებულებას.

მუხლი 181.

კონსტიტუციის არც ერთი დებულების მოქმედება არ შეიძლება შეჩერდეს, გარდა საომარი მდგომარეობის შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრულ ფარგლებში. არც ერთ გარემოებას არ შეუძლია შეაჩეროს ეროვნული კრების შეკრება ან ხელყოს მისი წევრების იმუნიტეტი აღნიშნული ვადის მანძილზე.

მუხლი 182.

ეს კონსტიტუცია გამოქვეყნებულ იქნება „ოფიციალურ გაზეთში" და ძალაში შევა ეროვნული კრების მოწვევის დღეს, მაგრამ არა უგვიანეს 1963 წლის იანვრისა.

მუხლი 183.

მმართველობის სისტემასთან დაკავშირებული 1962 წლის №1 კანონი განაგრძობს მოქმედებას და დამფუძნებელი კრების ამჟამინდელი წევრები აგრძელებენ თავიანთ უფლებამოსილებათა განხორციელებას აღნიშნული კანონის შესაბამისად ეროვნული კრების მოწვევამდე.

აბდულლაჰ ალ-სალიმ ალ საბაჰი
ქუვეითის სახელმწიფოს ემირი

ხელმოწერილია სეიფის სასახლეში ჰიჯრით 1382 წლის
ჯუმადა ალ-თანის 14-ს,
შეესაბამება 1962 წლის 11 ნოემბერს.

შვეიცარიის კონფედერაცია



ზოგადი ცნობარი
შესავალი

შვეიცარიის ტერიტორია დასახლებული იყო პალეოლითის ხანიდან. VI-VII საუკუნეებში დასრულდა შვეიცარიის მოსახლეობის გაქრისტიანება. 962 წელს შვეიცარიის ტერიტორია შევიდა „საღვთო რომის იმპერიაში". 1291 წელს ურისა და უნტერვალდენის კანტონებმა ე.წ. საუკუნო ზავით საფუძველი ჩაუყარეს შვეიცარიის კავშირს (შვეიცარიის კონფედერაციას). XIV-XV საუკუნეებში მიმდინარეობდა შვეიცარიის კავშირის ტერიტორიის გაფართოება და სამხედრო-პოლიტიკური გაძლიერება. თუმცა, თითქმის არსებობის ბოლომდე კონფედერაციას არ ჰქონდა მუდმივი ცენტრალური სახელმწიფო ორგანო, საერთო ადმინისტრაცია, ჯარი და ფინანსები. პერიოდულად იწვევდნენ მხოლოდ საერთო საკავშირო სეიმებს.

1648 წლის ვესტფალის ზავით შვეიცარიის დამოუკიდებლობამ კიდევ ერთხელ მიიღო საერთაშორისო აღიარება. 1586 წელს კათოლიკური კანტონების მიერ დადებული ხელშეკრულებით ქვეყანა ორ ნაწილად გაიყო, კათოლიკურად და პროტესტანტულად. 1798 წელს შვეიცარიაში საფრანგეთის ჯარი შევიდა და 13 კანტონის კონფედერაცია დაიშალა. კანტონების რიცხვი 13-და 19-მდე გაიზარდა.

1814 წლის სექტემბერში დაიდო საკავშირო შეთანხმება, რომლითაც გამოცხადდა 22 სუვერენული კანტონის კავშირი. შვეიცარიის მუდმივი ნეიტრალიტეტი აღიარებულ იქნა ვენის კონგრესის (1815 წლის მარტი) დეკლარაციით და პარიზის სამშვიდობო შეთანხმებით (1815 ნოემბერი).

1920 წელს შვეიცარია შევიდა ერთა ლიგაში. 1963 წელს გახდა ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა. 1972 წელს მან ხელშეკრულება დადო ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასთან. 2002 წლის 10 სექტემბრიდან იგი გვეკლინება გაეროს სრულუფლებიან წევრად.

შვეიცარიის ტერიტორიაზე განლაგებულია მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია და ტარდება მრავალრიცხოვანი საერთაშორისო კონფერენციები.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: ცენტრალური ევროპა; ჩრდილოეთიდან ესაზღვრება გერმანია, დასავლეთიდან — საფრანგეთი, აღმოსავლეთიდან ავსტრია, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან — იტალია.

ფართობი: სულ: 41.290 კმ^2; ხმელეთი: 39.770 კმ^2; წყალი: 1.520 კმ^2.

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: ჰიდრორესურსები, საშენი მასალა, ხეტყე, მარილი.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 7 581 520 (2008);

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:
0-14 წლის: 15.5% (მამაკაცი 623 213; ქალი 577 430);
15-64 წლის: 68.2% (მამაკაცი 2 605,044; ქალი 2 562 354);
65 და ზემოთ: 16% (მამაკაცი 501 699; ქალი 711 580 (2008).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: 0.329% (2008);

შობადობა: 9.62 დაბადებული 1 000 მოსახლეზე (2008);

სიკვდილიანობა: 8.54 გარდაცვლილი 1 000 მოსახლეზე (2008);

მიგრაცია: 2.21 მიგრანტი 1 000 მოსახლეზე (2008);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: მთელი მოსახლეობის მიმართ: 80.74 წელი; კაცი: 77.91 წელი; ქალი: 83.71 (2008);

მოქალაქეობა: შვეიცარიის

ეთნიკური ჯგუფები: გერმანელი 65%, ფრანგი 18%, იტალიელი 10%, სხვა 6%.

რელიგია: რომაული კათოლიკური 41.8%, პროტესტანტული 35.3%, მუსულმანი – 4.3%, მართლმადიდებელი 1.8%, დანარჩენი 1%, ათეისტი 11.1% (2000).

ენა: გერმანული (ოფიციალური) 63.7%, ფრანგული (ოფიციალური) 20.4%, იტალიური (ოფიციალური) 6.5 %, რეტორომანული (ოფიციალური) 0.5%, სხვა 8.7%.

განათლებულობა: მთელი მოსახლეობის: 99% (2003);
განსაზღვრება: მოცემულია 15 წლის ზევით პირთა მიმართ, რომელთაც წერა-კითხვა შეუძლიათ.

ქვეყნის სახელწოდება:
ერცელი ფორმა: შვეიცარიის კონფედერაცია;
შემოკლებული ფორმა: შვეიცარია;
ადგილობრივი შემოკლებული სახელწოდება: შვაიც (გერმანულად);
ადგილობრივი ერცელი სახელწოდება: შვაიცარიშე აიდგენოსენშაფტ (გერმანულად).

მმართველობის ფორმა: საპარლამენტო რესპუბლიკა

დედაქალაქი: ბერნი

ადმინისტრაციული ერთეულები: 26 კანტონი: არგაუ, აპენცელ აუსეროდენი, აპენცელ ინეროდენი, ბაზელ-მიწა, ბაზელ-ქალაქი, ბერნი, გლარუსი, გრაუბიუნდენი, ვაადტი, ვალისი, ზოლოთურნი, თესინი, თურგაუ, იურა, ლუცერნი, ნევშატელი, ნიდვალდენი, ობვალდენი, ჟენევა, სენტ გალენი, ური, ფრაიბურგი, შაფჰაუზენი, შვიცი, ციურიხი, ცუგი.

დამოუკიდებლობა: 1291 წლის 1 აგვისტო (შვეიცარიის კონფედერაციის დაარსება);

ეროვნული დღესასწაული: 1291 წლის 1 აგვისტო (შვეიცარიის კონფედერაციის დაარსება);

აღმასრულებელი ხელისუფლება:
სახელმწიფოს მეთაური: პრეზიდენტი პასკალ კოჩეპინი (2008 წლის 1 იანვრიდან); ვიცე-პრეზიდენტი ჰანს რუდოლფ მერცი (2008 წლის 1 იანვრიდან);
მთავრობის (ფედერალური საბჭოს) მეთაური: პრეზიდენტი;
არჩევნები: უკანასკნელად ჩატარდა 2007 წლის დეკემბერში;

ფედერალური ადმინისტრაცია: ფედერალური კანცელარია, გარემოს, ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და კომუნიკაციების ფედერალური დეპარტამენტი, ეკონომიკურ საქმეთა ფედერალური დეპარტამენტი, თავდაცვის, სამოქალაქო დაცვისა და სპორტის ფედერალური დეპარტამენტი, იუსტიციისა და პოლიციის ფედერალური დეპარტამენტი, საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტი, ფინანსთა ფედერალური დეპარტამენტი, შინაგან საქმეთა ფედერალური დეპარტამენტი.

საკანონმდებლო ხელისუფლება:
ორპალატიანი პარლამენტი (ფედერალური კრება): ეროვნული საბჭო (ქვედა პალატა) და კანტონების საბჭო (ზედა პალატა);
არჩევნები: ეროვნული საბჭოს არჩევნები უკანასკნელად ჩატარდა 2007 წლის 21 ოქტომბერს, ხოლო კანტონების საბჭოს არჩევნები – 2003 წლის 19 ოქტომბერს; კანტონები თვითონ განსაზღვრავენ ამ უკანასკნელ პალატაში არჩევნების ჩატარების დროს.

ძირითადი პოლიტიკური პარტიები: ქრისტიან დემოკრატიული სახალხო პარტია, მწვანეთა პარტია, რადიკალური თავისუფალი დემოკრატიული პარტია, სოციალ-დემოკრატიული პარტია, შვეიცარიის ხალხის პარტია.

ეკონომიკა

ეკონომიკის მიმოხილვა: შვეიცარია ღარიბია ბუნებრივი რესურსებით, თუ არ ჩავთვლით ჰიდრორესურსებს. მიუხედავად ამისა, იგი ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა ევროპაში, უპირველეს ყოვლისა, გადამამუშავებელი მრეწველობისა და მომსახურების სფეროს მაღალ დონეზე განვითარების გამო.

ეკონომიკური დაღმასვლა, რომელმაც 1990 წლების დასწყისში ევროპის ქვეყნების უმრავლესობა მოიცვა, შვეიცარიაზეც აისახა. უმუშევრობამ 1939 წლის შემდეგ ყველაზე უფრო დიდ მასშტაბს მიაღწია, გაიზარდა ინფლაციაც. თუმცა, მიუხედავად ამისა, ცხოვრების დონე შვეიცარიაში მაინც საკმაოდ მაღალი იყო და ასეთად რჩება დღესაც. შვეიცარია მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა საგარეო-სავაჭრო ბრუნვისა და მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობით.

შვეიცარია ძველთაგანვე ასრულებდა შუამავლის როლს საერთაშორისო ვაჭრობაში. მისი კაპიტალის წყაროს შეადგენდა აგრეთვე უცხოეთის კაპიტალის მუდმივი ნაკადი (რაც განაპირობა ანაბრის საიდუმლოების გარანტიამ და ნეიტრალური ქვეყნის სტატუსმა), ტურიზმი და საკურორტო საქმე. შვეიცარია დიდი სამრეწველო, საბანკო და სადაზღვევო მონოპოლიების ქვეყანაა. მრეწველობის მრავალ დარგში ჭარბობენ საშუალო და წვრილი საწარმოები, რომელთა უმეტეს ნაწილს დიდი კონცერნები აკონტროლებენ.

მსოფლიოში საყოველთაო აღიარება მოიპოვა შვეიცარიული საათების წარმოებამ. მეორე მსოფლიო ომის პერიოდიდან მოყოლებული, მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა ასევე, მეტალურგიაში და ქიმიურ მრეწველობაში, 1980-იანი წლებიდან სწრაფად ვითარდება მანქანათმშენებლობა. 1990-იანი წლებიდან ქვეყნის ეკონომიკაში დიდ როლს ასრულებს ქიმიური პროდუქტებისა და მედიკამენტების, სამეცნიერო ხელსაწყოების, ოპტიკური ინსტრუმენტე-

ბის, ჩარხების, საკვები პროდუქტების, განსაკუთრებით, ყველისა და შოკოლადის წარმოება.

ტურისტების, სპორტსმენების, სამკურნალოდ ჩასულ პირთა მომსახურება შვეიცარიის მეურნეობის განსაკუთრებული დარგია. შვეიცარიაში 8000-ზე მეტი სასტუმრო, მრავალი პანსიონატი და სანატორიუმია.

1996 წელს შვეიცარიაში ენერგეტიკის 54% გამომუშავდებოდა ჰიდროელექტროსადგურებზე. ასევე, აგებულია ხუთი ატომური ელექტროსადგური. 1990 წელს შვეიცარიის მოსახლეობამ მხარი დაუჭირა 10 წლიან მორატორიუმს, ახალი ატომური ელექტროსადგურების აშენების შესახებ.

შვიცარია ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც არ აქვს ზღვაზე გასასვლელი, მაგრამ ჰყავს საზღვაო ფლოტი.

შვეიცარიაში არსებობს ორი ურთიერთდაკავშირებული საბანკო სისტემა: სახელმწიფო სისტემა, რომელშიც შედის შვეიცარიის ეროვნული ბანკი და კანტონების ბანკები (27 ბანკი) და კერძო ბანკების სისტემა. შვეიცარიის ეროვნული ბანკი, რომელიც 1907 წელს დაარსდა, წარმოადგენს ერთადერთ საფინანსო დაწესებულებას, რომელსაც აქვს ეროვნული ვალუტის გამოცემის უფლება.

ერთიანი შიდა პროდუქტი - მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: $300.9 მილიარდი (2007);

ერთიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 2.6% (2007);

ერთიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: $39.800 (2007);

ერთიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა: 1.5%; მრეწველობა: 34%; მომსახურება: 64.5% (2003).

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: მონაცემები არ არსებობს;

ბიუჯეტი: შემოსავალი: $155 მილიარდი; გასავალი: $154.2 მილიარდი (2007);

ექსპორტი: $201 მილიარდი (2007);

საექსპორტო საქონელი: მანქანები, ქიმიური ნივთიერებები, ლიანდაგი, საათები, სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

ექსპორტის პარტნიორები: გერმანია 19.2%, აშშ 11.1%, იტალია 8.8%, საფრანგეთი 8.6%, დიდი ბრიტანეთი 4.8% (2006);

იმპორტი: $189.6 მილიარდი (2007);

საიმპორტო საქონელი: მანქანები, ქიმიური ნივთიერებები, სატრანსპორტო საშუალებები, ლიანდაგი, სოფლის მეურნეობის პროდუქტები, საფეიქრო ნაწარმი.

იმპორტის პარტნიორები: გერმანია 31.7%, იტალია 10.6%, საფრანგეთი 10%, აშშ 6.2%, ნიდერლანდები 4.7%, ავსტრია 4.3%, (2006);

საგარეო ვალი: 1.34 ტრილიონი;

ეკონომიკური მხარდაჭერა: $1.6 მილიარდი (2006);

ვალუტა: შვეიცარიული ფრანკი (CHF).

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. შვეიცარიის კონსტიტუციონალიზმის ისტორიის სათავე ქვეყნის ნაპოლეონისეული საფრანგეთის მიერ ოკუპაციის ფაქტს უკავშირდება. ფრანგული კონსტიტუციის მოდელის შესაბამისად შექმნილი 1798 წლის ძირითადი კანონი, რომელიც ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით უნიტარიზმის პრინციპს ამკვიდრებდა, ორგანულად მიუღებელი აღმოჩნდა ძლიერი თვითმმართველობის ტრადიციების მქონე შვეიცარიელებისათვის, რის გამოც ფრანგები იძულებული გახდნენ 1803 წელს კვლავ ხელისუფლების დეცენტრალიზებული მოდელი დაენერგათ.

პირველი დამოუკიდებელი, ეროვნული კონსტიტუციის მიღების აუცილებლობა ქვეყანაში განვითარებული მწვავე პოლიტიკური კრიზისით იყო განპირობებული, რაც კონფედერაციაში შემავალი შვიდი კანტონის მიერ გამოყოფის და დამოუკიდებელი გაერთიანების ჩამოყალიბების მცდელობაში გამოიხატა. სეცესიის აღნიშნული მცდელობა წარმატებით იქნა აღკვეთილი დანარჩენი კანტონების მიერ. აღნიშნულმა პროცესებმა ფაქტიურად დაასრულა შვეიცარიის, როგორც სახელმწიფოთა გაერთიანების ფედერაციულ წარმონაქმნად ჩამოყალიბების პროცესი და წარმოშვა ძირითადი კანონის მიღების აუცილებლობა, რომელიც შექმნილი პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, ახლებურად დაარეგულირებდა ფედერაციის სუბიექტებისა და ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთობის პრინციპებს. მოლაპარაკებისა და კონსტიტუციის ტექსტის შემუშავების პროცესმა ნაყოფი გამოიღო და 1848 წლის 12 სექტემბერს კანტონების წარმომადგენელთა კრების მიერ მიღებულ იქნა დამოუკიდებელი შვეიცარიის ისტორიაში პირველი ეროვნული კონსტიტუცია. კონსტიტუციის სტრუქტურა და სულისკვეთება აშკარად განიცდიდა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციისა და ფრანგული რევოლუციის იდეების ზეგავლენას. კონსტიტუცია განამტკიცებდა კანტონების სუვერენიტეტის პრინციპს და უფლებამოსილებათა ბალანსიც კონფედერაციის სუბიექტების სასარგებლოდ იყო დარღვეული.

ქვეყნის შემდგომმა განვითარებამ ცხადყო ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების აუცილებლობა, რაც საბოლოო ჯამში 1874 წლის 29 მაისს ახალი კონსტიტუციის მიღებაში გამოიხატა. ამ კონსტიტუციამ თითქმის 125 წელი იმოქმედა და მასში 130-ზე მეტი ცვლილება იქნა განხორციელებული. აღნიშნული ცვლილებების აბსოლუტურ უმრავლესობას წითელ ზოლად გასდევდა ცენტრალური ხელისუფლების მუდმივი გაძლიერების ტენდენცია.

ცვლილებათა ოდენობამ და მათმა პერმანენტულმა ხასიათმა თავისებური ასახვა ჰპოვა კონსტიტუციის ტექსტზე და მისი ლოგიკური წყობა და შინაარსობრივი თანმიმდევრობა დაარღვია. საკმარისია ითქვას, რომ კონსტიტუ-

ციის „ზოგადი დებულებები“ საკითხთა ისეთ ფართო წრეს არეგულირებდა, როგორიცაა მაგალითად ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საფუძვლები, ფედერაციული ურთიერთობები, პიროვნების სამართლებრივი მდგომარეობის საფუძვლები და ა.შ. აშკარა იყო, რომ როგორც სტრუქტურული, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით კონსტიტუცია მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა კონსტიტუციონალიზმის თანამედროვე მოთხოვნებს და საჭირო იყო ახალი კონსტიტუციის ტექსტის შემუშავება. აღნიშნული პროცესი 1990 წელს დაიწყო და საბოლოოდ 1999 წლის 18 აპრილს ახალი კონსტიტუციის მიღებით დასრულდა, რომელიც 2000 წლის პირველი იანვრიდან შევიდა ძალაში. მოცემული კონსტიტუცია წინამორბედისაგან განსხვავდება როგორც ლოგიკური სტრუქტურების თვალსაზრისით, ასევე თანამედროვე სამართლებრივი ტერმინოლოგიით, თუმცა შინაარსობრივი თვალსაზრისით მას რაიმე არსებითი ნოვაცია არ დაუნერგია.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. კონსტიტუცია ითვალისწინებს მისი სრული ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესაძლებლობას. კონსტიტუციის სრული გადასინჯვა შეიძლება განხორციელდეს 100 ათასი ამომრჩევლის, ერთ-ერთი პალატის ინიციატივით ან დადგენილ იქნეს ფედერალური კრების მიერ. თუ ინიციატივა მომდინარეობს ხალხისაგან ან პალატები ვერ შეთანხმდებიან სრული გადასინჯვის ჩატარების მიზანშეწონილობის თაობაზე, საკითხი წყდება რეფერენდუმის მეშვეობით. თუ ამომრჩეველთა უმრავლესობა მხარს დაუჭერს კონსტიტუციის სრული გადასინჯვის წინადადებას, ტარდება პარლამენტის ახალი არჩევნები, რათა ახლადარჩეულმა პარლამენტმა შეიმუშაოს კონსტიტუციის პროექტი და წარადგინოს რეფერენდუმზე დასამტკიცებლად.

ნაწილობრივი გადასინჯვა შესაძლებელია განხორციელდეს 100 ათასი ამომრჩევლის ინიციატივით ან დადგენილ იქნეს ფედერალური კრების მიერ. ინიციატივა კენჭისყრისთვის წარედგინება ხალხს და კანტონებს. ფედერალური კრება უფლებამოსილია გასცეს რეკომენდაცია მისი მიღების ან უარყოფის თაობაზე. ამასთან, თუ იგი არ ეთანხმება კანონპროექტს, მას შეუძლია ინიციატივას საკუთარი კონტრპროექტი დაუპირისპიროს.

სრულად ან ნაწილობრივ გადასინჯული კონსტიტუცია ძალაში შედის ხალხისა და კანტონების მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

კონსტიტუციის მიღებიდან განხორციელებულ იქნა 6 ცვლილება. მათგან უმნიშვნელოვანესად უნდა იქნეს მიჩნეული 2003 წლის 19 ივნისის ცვლილება, რომელმაც გარკვეული კორექტივები შეიტანა კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურაში.

კონსტიტუციის ანალიზი. ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის ტექსტი პრეამბულის, 6 კარისა და 197 მუხლისაგან შედგება და რეგულირებულ საკითხთა უაღრესი მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

პირველი კარი ზოგად დებულებებს შეიცავს, რომელთა მიხედვითაც შვეიცარია წარმოადგენს 26 კანტონისაგან შემდგარ კონფედერაციას. აქვეა ჩამოყალიბებული შვეიცარიის, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები, კონფედერაციის შექმნის მიზნები და მოცემულია დებულება კანტონთა სუვერენიტეტის შესახებ, რომლის მიხედვითაც, კანტონები, როგორც კონფედერაციის სუბიექტები, წარმოადგენენ სუვერენულ ერთეულებს, რომელთა სუვერენიტეტი შეზღუდული არ არის ფედერალური კონსტიტუციით და მათ შეუძლიათ განახორციელონ ყველა უფლებამოსილება, რომელიც არ არის გადაცემული კონფედერაციისათვის. ამ კარშია ასევე მოცემული დებულება სახელმწიფო ენების შესახებ, რომლის მიხედვითაც კონფედერაციის ოფიციალური ენებია გერმანული, ფრანგული, იტალიური და რეტორომანული.

მეორე კარი მთლიანად ადამიანის უფლება-თავისუფლებათა აღიარება-გარანტირებას ეთმობა. უნდა აღინიშნოს, რომ 2000 წელს განხორციელებულმა კონსტიტუციურმა რეფორმამ სწორედ ადამიანის უფლება-თავისუფლებათა ბლოკზე იქონია ყველაზე არსებითი გავლენა – კონსტიტუციურად იქნა განმტკიცებული მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი უფლებები, რომლებიც მანამდე მხოლოდ შვეიცარული სასამართლოების პრეცედენტული სამართლით იყო აღიარებული, დაიხვეწა კონსტიტუციით გარანტირებული უფლება-თავისუფლებების ფორმალურ შინაარსობრივი მხარე.

უფლება-თავისუფლებათა ჩამონათვალი ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ ზოგადი დებულებით იწყება, რომელსაც კანონის წინაშე თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი მოსდევს. აქვეა გარანტირებული გენდერული თანასწორობის პრინციპიც. ამასთან, კონსტიტუცია არ შემოიფარგლება სქესთა შორის სამართლებრივი თანასწორობის პრინციპის აღიარებით და ფაქტობრივი თანასწორობის უზრუნველყოფის ვალდებულებასაც აკისრებს სახელმწიფოს.

ისეთი ძირითადი უფლება-თავისუფლებების გარდა, როგორიცაა მაგალითად სიტყვის თავისუფლება, პრესის თავისუფლება, რწმენისა და სინდისის თავისუფლება, სიცოცხლისა და პიროვნული თავისუფლების უფლება, გაერთიანების თავისუფლება, საკუთრების უფლება და ა.შ. მოცემული თავი განამტკიცებს ასევე საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის, ეკონომიკური თავისუფლების, დაწყებითი განათლების მიღების, მეცნიერებისა და ხელოვნების თავისუფლების უფლებებს და ა.შ. აქვეა მოცემული ზოგადი საპროცესო გარანტიები და სასამართლო წარმოებასთან, სისხლის სამართალ-

წარმოებასთან და პიროვნების თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული დებულებები.

ამასთან, კონსტიტუცია შეიცავს არა მხოლოდ უფლებათა ამომწურავ ჩამონათვალს, არამედ ცალკე მუხლად გამოყოფს უფლებათა შეზღუდვის შესახებ დებულებას, რომლის მიხედვითაც კონსტიტუციით გარანტირებულ უფლება-თავისუფლებათა შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს კანონს, გამართლებული იყოს საჯარო ან მესამე პირის უფლებების დაცვის ინტერესით, გამოყენებული ზომა უნდა იყოს მიზნის პროპორციული და არ უნდა ხელყოფდეს უფლების არსს.

ეს კარი არეგულირებს ასევე შვეიცარიის მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, კონსტიტუციის 37-ე მუხლის თანახმად, შვეიცარიის მოქალაქეს წარმოადგენს ყველა პირი, რომელსაც გააჩნია მუნიციპალიტეტისა და კანტონის მოქალაქეობა. მოქალაქეობის შეძენისა და დაკარგვის საკითხების რეგულირება კონფედერაციის უფლებამოსილებათა წრეს განეკუთვნება. შვეიცარიის მოქალაქეობის მოპოვება შესაძლებელია, როგორც წარმოშობით, ასევე ნატურალიზაციით – ქორწინების ან შვილების გზით.

მესამე კარი მთლიანად კონფედერაციისა და სუბიექტების ურთიერთობების რეგულირებას ეთმობა და ქვეყნის ტერიტორიული ორგანიზაციის ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს. აღნიშნული კარის პირველი თავის თანახმად ყოველ კანტონს აქვს დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც მიიღება კანტონის მოსახლეობის მიერ. კანტონების კონსტიტუციების გარანტირებას ახდენს კონფედერაცია, თუმცა კონფედერაციას აღნიშნული ვალდებულება ეკისრება მხოლოდ კანტონის კონსტიტუციის ფედერალურ სამართალთან შესაბამისობის შემთხვევაში. ამავე დროს კონფედერაცია გვეელინება კანტონების კონსტიტუციური წყობის, მათი ავტონომიის, ტერიტორიული ხელშეუხებლობისა და არსებობის გარანტად. კონსტიტუციური წყობის უზრუნველყოფის ვალდებულების გათვალისწინებით, კონფედერაცია უფლებამოსილია ჩაერიოს კანტონის შიდა საქმეებში, თუ კანტონში დაირღვა შიდა წესრიგი ან საფრთხე შეექმნა მას და კანტონს არ შეუძლია თავად ან სხვა კანტონის დახმარებით მისი დაცვა. კანტონის ტერიტორიის შეცვლა საჭიროებს დაინტერესებული მოსახლეობის და დაინტერესებული კანტონის, ასევე ფედერალური კრების ნებართვას. კანტონები უფლებამოსილია დადონ ერთმანეთთან კანტონთაშორისო ხელშეკრულებები და შექმნან ერთობლივი ორგანიზაციები და დაწესებულებები, რაც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონფედერაციის სამართალსა და ინტერესებს.

მესამე კარის მეორე თავი, რომელიც მისი მოცულობის გათვალისწინებით კონსტიტუციის თითქმის ნახევარს შეადგენს, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში კონფედერაციასა და კანტო-

ნებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკითხს ეთმობა და რეგულირებულ საკითხთა უაღრესი მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

უფლებამოსილებათა ბალანსის თვალსაზრისით კონსტიტუციის ანალიზი შემდეგი სამი უფლებრივი კატეგორიის გამოყოფის საშუალებას იძლევა:

1. საკითხები, რომლებიც კონფედერაციის ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა წრეს განეკუთვნება. ამგვარია მაგალითად ჯარის ორგანიზაცია, წვრთნა და აღჭურვა, სამოქალაქო თავდაცვა, პროფესიული განათლება, კანონმდებლობა საგზაო და სარკინიგზო მოძრაობის, ატომური ენერგიის, ელექტროენერგიის მიწოდებისა და ტრანსპორტირების, რადიოსა და ტელევიზიის, საბანკო საბირჟო და კერძო დაზღვევის შესახებ, ფულადი და სავალუტო სფერო, ბანკნოტების მიმოქცევა და გამოცემა, კანონმდებლობა ალკოჰოლური სასმელების, აზარტული თამაშების, საბრძოლო მასალებისა და იარაღის შესახებ, ქსოვილების და უჯრედების ტრანსპლანტაცია, რეპროდუქციული მედიცინა და გენური ტექნოლოგიები, უცხოელთა მიგრაცია და ემიგრაცია, ზომა-წონის ერთეულები, სისხლის და სამოქალაქო კანონმდებლობა და ა.შ.

2. საკითხები, რომლებიც კანტონების ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს განეკუთვნება. ამგვარია, მაგალითად, სასკოლო საქმე, ეკლესიას და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა, სამოქალაქო სასამართლო წარმოების ორგანიზაცია და სამოქალაქო სამართლებრივი მართლმსაჯულება, სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულება, სასჯელთა აღსრულება და ა.შ.

3. სფეროები, სადაც გარკვეული უფლებამოსილებები გააჩნიათ როგორც ფედერაციას, ისევე კანტონებს. ამგვარია მაგალითად ქვეყნის უსაფრთხოება, ბავშვებისა და ახალგაზრდების განვითარება, ენერგომარაგები და ენერგიის ეკონომიური და რაციონალური მოხმარება და ა.შ. რიგ სფეროებში ფედერაცია შეიმუშავებს პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, ხოლო ფედერაციის მიერ დადგენილი პრინციპების ჩარჩოებში კონკრეტული პოლიტიკის გატარება ფედერაციის სუბიექტთა კომპეტენციას განეკუთვნება. მაგალითად, ფედერაცია ადგენს ფედრაციული, კანტონალური და მუნიციპალური გადასახადების ჰარმონიზაციის პრინციპებს, გადასახადით დაბეგვრის ძირითად პრინციპებს, წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების, ენერგიის წარმოების პრინციპებს, ტერიტორიების დაგეგმარების პრინციპებს და ა.შ.

ცალკე უნდა აღინიშნოს საგარეო ურთიერთობები, რომელიც კონსტიტუციის 54-ე მუხლის თანახმად კონფედერაციის ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა სფეროს განეკუთვნება, თუმცა ამავე თავის 56-ე მუხლის შესაბამისად კანტონები უფლებამოსილი არიან მათი კომპეტენციის ფარგლებში თავად დადონ ხელშეკრულებები საზღვარგარეთის ქვეყნებთან და დაამყარონ პირდაპირი ურთიერთობები საზღვარგარეთის ქვეყნების ქვემდგომ სახელმწიფო ორგანოებთან.

მე-4 კარი უშუალო დემოკრატიის ფორმების რეალიზაციას არეგულირებს. უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა საკითხებზე რეფერენდუმების ჩატარების რაოდენობის თვალსაზრისით შეეიცარია ლიდერ ქვეყანას წარმოადგენს. რეფერენდუმების ჩატარება შესაძლებელია როგორც ფედერალურ, ასევე კანტონალურ და მუნიციპალურ დონეზე. კონსტიტუცია განსაზღვრავს სავალდებულო და ფაკულტატურ რეფერენდუმთა წრეს. რეფერენდუმის ჩატარება სავალდებულოა, თუ ხდება კონსტიტუციის გადასინჯვა, კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციაში ან ზეეროვნულ გაერთიანებაში შესვლა, ა.შ. გარდა აღნიშნულისა, საარჩევნო უფლების მქონე 50 000 მოქალაქის ან რვა კანტონის მოთხოვნით რეფერენდუმზე შესაძლებელია გატანილ იქნეს ფედერალური კანონი, გადაუდებლად გამოცხადებული ფედერალური კანონი, რომლის მოქმედების ვადა ერთ წელს აღემატება, ფედერალური დადგენილებები და გარკვეული სახის საერთაშორისო ხელშეკრულებები.

მე-5 კარი მთლიანად ფედერალურ ორგანოებს ეთმობა და მათ ორგანიზაციას, უფლებამოსილებებსა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს.

კონსტიტუციის მიხედვით, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანს წარმოადგენს ფედერალური კრება, რომლის უფლებამოსილების ვადა 4 წლით განისაზღვრება და რომელიც ორი თანასწორუფლებიანი პალატისაგან: ეროვნული საბჭოსა და კანტონების საბჭოსაგან შედგება. ეროვნული საბჭო 200 დეპუტატით არის დაკომპლექტებული და მისი ფორმირება პირდაპირი, პროპორციული არჩევნების საფუძველზე ხდება. 143-ე მუხლი განსაზღვრავს პასიურ საარჩევნო უფლებას, რომლის მიხედვითაც, ფედერალურ საბჭოში შესაძლებელია არჩეულ იქნეს საარჩევნო ხმის მქონე ნებისმიერი მოქალაქე. საარჩევნო სისტემის საფუძვლები განისაზღვრება 149-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც ყოველი კანტონი წარმოადგენს ერთ საარჩევნო ოლქს. კანტონების კვოტები განისაზღვრება მოსახლეობის პროპორციულად, თუმცა ყოველი კანტონი წარმოდგენილ უნდა იქნეს ერთი ადგილით მაინც.

ზედა პალატა, კანტონების საბჭო 46 წარმომადგენლისაგან შედგება. თითოეული კანტონი 2 დეპუტატით არის წარმოდგენილი გარდა კანტონებისა: ობვალდენი, ნიდვალდენი, ბაზელ-ქალაქი, ბაზელ-მიწა, აპენცელ აუსეროდენი და აპენცელ ინეროდენი, რომლებიც თითო-თითო წარმომადგენელს ირჩევენ. კანტონები თავად განსაზღვრავენ დეპუტატების არჩევის წესს, პროცედურას და პირობებს.

საქმიანობის ორგანიზაციული საკითხების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის ფუნქციის განხორციელების მიზნით პალატები ირჩევენ თავმჯდომარეებსა და მოადგილეებს, რომელთა უფლებამოსილების ვადა ერთი წლით განისაზღვრება. ერთი და იმავე პირის ზედიზედ ორჯერ არჩევა აკრძალულია.

მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პარლამენტის საქმიანობაში საპარლამენტო კომისიები. თითოეული პალატა ქმნის 12-12 მუდმივმოქმედ საპარლამენტო კომისიას და სამ გაერთიანებულ მუდმივმოქმედ კომისიას. კომისიების სხდომებზე ხდება დასანიშნი პირების კანდიდატურათა განხილვა, კანონპროექტების პირველადი განხილვა და ცვლილებების შეტანა, რის შემდეგაც ხდება მათი პალატებისათვის გადაგზავნა და მთავრობასა და პარლამენტს შორის წარმოშობილი დავების დარეგულირება. კომისიები აღჭურვილია ინფორმაციისა და დოკუმენტების გამოთხოვისა და გამოძიების ჩატარების უფლებით და კანონის საფუძველზე შეუძლიათ განახორციელონ ცალკეული, არასაკანონმდებლო ხასიათის უფლებები.

უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ პარლამენტის საქმიანობაში საპარლამენტო ფრაქციები. ისინი აქტიურად მონაწილეობენ კომიტეტების ფორმირებაში, მთავრობის ფორმირებაში და სხვა თანამდებობის პირების არჩევაში. ფრაქციები იქმნება მხოლოდ ეროვნულ საბჭოში და მათ შემადგენლობაში შეიძლება იყოს სულ ცოტა 5 წევრი. ფრაქციაში შეიძლება გაერთიანდნენ ასევე კანტონთა საბჭოს წევრები.

პარლამენტის მუშაობის ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენს სასესიო მუშაობა. წლის განმავლობაში ტარდება 4 სესია, თითოეული საშუალოდ სამი კვირის ხანგრძლივობით. რიგგარეშე სესიის მოწვევა შესაძლებელია ეროვნული საბჭოს, კანტონების საბჭოს ან ფედერალური საბჭოს წევრთა 1/4-ის მოთხოვნით.

პალატები მოსმენებს ატარებენ ცალ-ცალკე. ფედერალური საბჭოს გადაწყვეტილება საჭიროებს ორივე პალატის თანხმობას. კონსტიტუციით განისაზღვრება ასევე იმ საკითხთა წრე, რომელზეც პალატები ატარებენ ერთობლივ სხდომებს. კერძოდ, 157-ე მუხლის თანახმად, გაერთიანებული ფედერალური კრების კომპეტენციას განეკუთვნება საკითხები არჩევნების ჩატარებაზე, უმაღლეს ფედერალურ ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე არსებული დავის გადაწყვეტა, შეწყალების განხორციელება. გარდა ამისა, გაერთიანებული ფედერალური კრება იკრიბება განსაკუთრებული მიზეზების არსებობისას და ფედერალური საბჭოს მოხსენების მოსასმენად.

პალატებისა და გაერთიანებული ფედერალური კრების მიერ გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრაში მონაწილეთა უმრავლესობით. 159-ე მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს იმ საკითხთა წრეს რომლებზეც გადაწყვეტილების მიღება საჭიროებს პალატის წევრთა უმრავლესობას.

ფედერალური კრება ე.წ. ნაწილობრივ განსაზღვრული კომპეტენციის მქონე პარლამენტთა რიცხვს განეკუთვნება. კერძოდ, განსაზღვრავს რა ფედერალური კრების ძირითად უფლებამოსილებებს, კონსტიტუცია შეიცავს დებულებას, რომლის მიხედვითაც პარლამენტი აწარმოებს საქმეებს, რომლე-

ბიც კონფედერაციის უფლებამოსილებაში შედის, მაგრამ არ განეკუთვნება არც ერთი სხვა ფედერალური ორგანოს კომპეტენციას.

ფედერალური კრების, როგორც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის ძირითად მიმართულებას კანონშემოქმედებითი საქმიანობა წარმოადგენს. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ პალატათა წევრებს, ფრაქციას, საპარლამენტო კომისიას და კანტონს. კანონპროექტები განიხილება სამი მოსმენით. ამასთან, საკითხი პალატათა მიერ კანონპროექტის განხილვის რიგითობის შესახებ წყდება ურთიერთშეთანხმებით. კონსტიტუციის მიხედვით, ფედერალური კანონი, რომლის მიღებაც არ შეიძლება გადაიდოს, თითოეული პალატის წევრების უმრავლესობის გადაწყვეტილებით შეიძლება გამოცხადდეს გადაუდებლად და ძალაში შევიდეს დაუყოვნებლივ.

კონსტიტუცია განსაზღვრავს იმ საკითხთა წრეს, რომელთა დარეგულირებაც შესაძლებელია მხოლოდ კანონით. ამგვარ საკითხებს განეკუთვნება: პოლიტიკური უფლებების განხორციელება, კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვა, პირთა უფლებები და მოვალეობები და ა.შ.

კონსტიტუციის მიხედვით, გარდა საკანონმდებლო ფუნქციებისა, ფედერალური კრებას ფართო უფლებამოსილებები გააჩნია საგარეო ურთიერთობათა სფეროში. იგი მონაწილეობს საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში, ზედამხედველობს საგარეო ურთიერთობებს და ამტკიცებს ასევე იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომელთა დადებაც არ წარმოადგენს ფედერალური საბჭოს პრეროგატივას.

კრება მონაწილეობს კონფედერაციის სხვა ორგანოების ფორმირების პროცესშიც. იგი ირჩევს ფედერალური საბჭოს წევრებს, ფედერალურ კანცლერს, ფედერალური უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებსა და მთავარსარდალს. მის კომპეტენციაში შედის ასევე ფედერალურ საბჭოსა და ფედერალური ადმინისტრაციის, ასევე ფედერალური სასამართლოს მოსამართლეების საქმიანობიაზე ზედამხედველობის განხორციელება.

კონფედრაციის უმაღლეს მმართველობით და აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს შვიდი წევრით დაკომპლექტებული კოლეგიური ორგანო - ფედერალური საბჭო (მთავრობა). საბჭოს წევრები აირჩევიან 4 წლის ვადით ეროვნული საბჭოს ყოველი სრული განახლებისას. ამასთან, საბჭოს ფორმირებისას ყურადღება ექცევა ქვეყნის გეოგრაფიული და ენობრივი რეგიონების თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპს. ფედერალურ საბჭოს თავმჯდომარეობს კონფედერაციის პრეზიდენტი, რომელსაც ვიცე-პრეზიდენტთან ერთად საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან ირჩევს ფედერალური კრება ერთი წლის ვადით. კონფედერაციის პრეზიდენტი ან ვიცე-პრეზიდენტი არ შეიძლება მომდევნო წელს არჩეულ იქნენ რომელიმე ზემოაღნიშნულ თანამდებობაზე. გადაწყვეტილებების მიღება ხდება კოლეგიალურად. საბჭო ხელმძღვანელობს

ფედერალურ ადმინისტრაციას, რომელიც შედგება დეპარტამენტებისაგან. თითოეულ დეპარტამენტს ხელმძღვანელობს საბჭოს ერთი წევრი.

ფედერალურ საბჭოს საკმაოდ ფართო უფლებამოსილებები გააჩნია სამართალშემოქმედებით სფეროში და კონსტიტუციით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში უფლებამოსილია გამოსცეს სამართლებრივი აქტები ორდონანსის ფორმით. იგი, ფედერალური კრების უფლებამოსილებათა გათვალისწინებით, აწარმოებს საგარეო ურთიერთობებს, წარმოადგენს შვეიცარიას საზღვარგარეთ, ხელს აწერს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ახდენს მათ რატიფიკაციას და დასამატკიცებლად წარუდგენს ფედერალურ კრებას, შეიმუშავებს ქვეყნის ბიუჯეტის პროექტს. მას ასევე ეკისრება ქვეყნის საშინაო და საგარეო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

ქვეყნის სასამართლო სისტემას ქმნის ფედერალური და კანტონალური სასამართლოების ერთობლიობა. მართლმსაჯულების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს 38 მუდმივმოქმედი და 31 დამხმარე მოსამართლით დაკომპლექტებული უზენაესი ფედერალური სასამართლო, რომლის წევრებიც აირჩევიან გაერთიანებული ფედერალური კრების მიერ 6 წლის ვადით. უზენაესი სასაამრთლოს მოსამართლეების არჩევისას მხედველობაში მიიღება ოფიციალური ენების წარმომადგენლობა. მოსამართლედ შეიძლება არჩეულ იქნეს . იურიდიული განათლების მქონე შვეიცარიის მოქალაქე, რომელიც ფლობს საარჩევნო უფლებებს და არ წარმოადგენს სასულიერო პირს.

სასამართლო შედგება 7 პალატისაგან, რომლებიც ყალიბდება ორი წლის ვადით. პალატებს ხელმძღვანელობენ უხუცესი მოსამართლეები, რომელთა რიგიდანაც აირჩევა უზენაესი ფედერალური სასამართლოს თავმჯდომარე.

შვეიცარიის უზენაესი სასამართლო ერთერთი პირველი იყო ევროპაში, რომელმაც საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციები იკისრა. სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს დევები ფედერაციასა და კანტონებს შორის, ასევე უშუალოდ კანტონებს შორის, განიხილავს საჩივრებს კანტონების სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, საჩივრებს კონსტიტუციური უფლებების დარღვევის თაობაზე, საჩივრებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელით მუნიციპალიტეტების ავტონომიისა და კანტონების სხვა გარანტიების დარღვევის თაობაზე.

უზენაესი სასამართლოს გარდა ფედერალურ დონეზე მოქმედებს ფედერალური სისხლის სამართლის სასამართლო, რომელიც წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს იმ საქმეებზე, რომლებიც კანონის შესაბამისად კონფედერაციის მართლმსაჯულების სფეროს მიეკუთვნება. მის საქმიანობაში იგი დამოუკიდებელია, თუმცა ექვემდებარება უზენაესი სასამართლოსა და ფედერალური კრების ზედამხედველობას. ფედერალური კრების მიერ არჩეუ-

ლი 15 მოსამართლისაგან დაკომპლექტებული სასამართლო შედგება სისხლის სამართლის პალატისაგან, რომელიც პირველი ინსტანციის წესით განიხილავს გარკვეული კატეგორიის საქმეებს და ორი სააპელაციო პალატისაგან.

სისხლის სამართლის სასამართლოს გარდა კონსტიტუცია ითვალისწინებს ასევე ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს არსებობასაც, რომელიც ფედერაციის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე საჯარო-სამართლებრივი დავების განხილვით არის დაკავებული. უმრავლეს შემთხვევებში ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს ფედერალურ უზენაეს სასამართლოში, თუმცა, ცალკეულ საკითხებზე მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები საბოლოოა და არ საჩივრდება.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები. შვეიცარია, როგორც თავისებური საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელის მქონე და განვითარებული ფედერაციური მოწყობის მწონე ქვეყანა, მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება.

— მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის თანახმად შვეიცარია კონფედერაციას წარმოადგენს, აღნიშნული უფრო ტრადიციებისადმი და ისტორიისადმი პატივისცემის გამოხატულებაა და იგი დიდი ხანია რაც ფედერაციულ სახელმწიფოდ არის ჩამოყალიბებული;

— კონსტიტუცია განამტკიცებს დებულებას ფედერაციის სუბიექტების სუვერენიტეტის შესახებ, თუმცა არ შეიცავს დებულებას სეცესიის უფლების შესახებ;

— დეტალურად არის დარეგულირებული ფედერაციასა და მის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკითხი და მას კონსტიტუციის ტექსტის თითქმის ნახევარი ეთმობა;

— კონსტიტუცია ითვალისწინებს სამმაგ მოქალაქეობას: ფედერაციის, კანტონის და მუნიციპალიტეტის. ამასთან უმნიშვნელოვანესია მუნიციპალიტეტისა და კანტონის მოქალაქეობა და ყველა პირი, რომელიც ფლობს მათ იმავდროულად არის შვეიცარიის მოქალაქე;

— ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებას კოლეგიური ორგანო მეთაურობს, სადაც პრეზიდენტი, რომლის უფლებამოსილების ვადაც მხოლოდ ერთი წლით განისაზღვრება, რაიმე განსაკუთრებული უფლებამოსილებებით არ არის აღჭურვილი;

— კონსტიტუცია განამტკიცებს ენობრივი და რეგიონალური წარმომადგენლობის ბალანსის დაცვის პრინციპს აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებათა ფორმირების დროს.

შვეიცარიის კონფედერაციის ფედერალური კონსტიტუცია[1]

მიღებულია ფედერალური კრების მიერ 1998 წლის 18 დეკემბერს და
დამტკიცებულია რეფერენდუმზე 1999 წლის 18 აპრილს

(ცვლილებები შეტანილ იქნა 1999 წლის 8 ოქტომბერსა და
2002 წლის 15 ოქტომბერს)

პრეამბულა

ყოვლისშემძლე ღმერთის სახელით!

ჩვენ, შვეიცარიელი ხალხი და კანტონები,

განმსჭვალულნი ვართ რა ყოვლისშემოქმედის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით,

ვისწრაფვით განვაახლოთ კონფედერაცია და მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან სოლიდარობითა და საჯაროობით განვამტკიცოთ თავისუფლება და დემოკრატია, დამოუკიდებლობა და მშვიდობა,

ჩვენი ცხოვრების მრავალფეროვნებას განვსაზღვრავთ რა ურთიერთპატივისცემის ერთიანობით,

შეგნებული გვაქვს ჩვენი საერთო მიღწევები და მომავალი თაობების წინაშე პასუხისმგებლობა,

გვწამს რა, რომ მხოლოდ ის არის თავისუფალი, ვინც თავისუფლებით სარგებლობს და რომ ხალხის სიძლიერე მის უსუსტეს წევრთა კეთილდღეობით განიზომება,

ვამტკიცებთ წინამდებარე კონსტიტუციას.

კარი 1.
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. შვეიცარიის კონფედერაცია

შვეიცარიელი ხალხი და კანტონები ციურიხი, ბერნი, ლუცერნი, ური, შვიცი, ობვალდენი და ნიდვალდენი, გლარუსი, ცუგი, ფრაიბურგი, ზოლო-

---

[1] თარგმანისას გამოყენებულია შვეიცარიის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული შვეიცარიის კონსტიტუციის გერმანულენოვანი ტექსტი, ინტერნეტის მისამართზე: www.admin.ch/ch/d/sr/1/101.de.pdf აშშ-ში შვეიცარიის საელჩოს მიერ გამოქვეყნებული შვეიცარიის კონსტიტუციის ოფიციალური ინგლისულენოვანი ტექსტი, ინტერნეტის მისამართზე: www.swissemb.org/legal/const.pdf ასევე, შვეიცარიის კონფედერაციის ფედერალური კრების ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.admin.ch/ch/itl/rs/1/C101ENG.pdf წარმოდგენილი შვეიცარიის კონფედერაციის ფედერალური კონსტიტუციის ინგლისურენოვანი ტექსტი.

თურნი, ბაზელ-ქალაქი და ბაზელ-მიწა, შაფჰაუზენი, აპენცელ აუსეროდენი და აპენცელ ინეროდენი, სენტ გალენი, გრაუბიუნდენი, არგაუ, თურგაუ, თესინი, ვაადტი, ვალისი, ნეშატელი, ჟენევა და იურა შეადგენენ შვეიცარიის კონფედერაციას.

მუხლი 2. მიზანი

1. შვეიცარიის კონფედერაცია იცავს ხალხის თავისუფლებას და უფლებებს, უზრუნველყოფს ქვეყნის დამოუკიდებლობასა და უსაფრთხოებას.

2. იგი ხელს უწყობს ქვეყნის საერთო კეთილდღეობას, დინამიურ განვითარებას, საშინაო კავშირებსა და კულტურულ მრავალფეროვნებას.

3. იგი ყველა მოქალაქისთვის უზრუნველყოფს შეძლებისდაგვარად თანაბარ შესაძლებლობებს.

4. იგი იღწვის ბუნებრივი სასიცოცხლო პირობების ხანგრძლივად შენარჩუნებისა და მშვიდობიანი და სამართლიანი საერთაშორისო წესრიგის ხელშეწყობისათვის.

მუხლი 3. კანტონები

კანტონები არიან სუვერენულნი, თუ მათი სუვერენიტეტი შეზღუდული არ არის ფედერალური კონსტიტუციით. ისინი ახორციელებენ ყველა იმ უფლებას, რომელიც გადაცემული არ აქვს კონფედერაციას.

მუხლი 4. სახელმწიფო ენები

სახელმწიფო ენებია გერმანული, ფრანგული, იტალიური და რეტორომანული.

მუხლი 5. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები

1. სახელმწიფოს საქმიანობა ეფუძნება სამართალს და იზღუდება სამართლით.

2. სახელმწიფოს მოქმედება უნდა ეფუძნებოდეს საზოგადოების ინტერესებსა და მიზნებს.

3. სახელმწიფო ორგანოები და კერძო პირები მოქმედებენ კეთილსინდისიერად.

4. კონფედერაცია და კანტონები პატივს სცემენ საერთაშორისო სამართალს.

მუხლი 6. ინდივიდუალური და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა

ყოველი პირი პასუხისმგებელია თავის თავზე და მას საკუთარი შესაძლებლობების მიხედვით შეაქვს წვლილი სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებაში.

ᲙᲐᲠᲘ 2.
ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ. ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ

ᲗᲐᲕᲘ 1.
ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ

მუხლი 7. ადამიანის უფლებები

ადამიანის უფლებები დაფასებული და დაცულია.

მუხლი 8. კანონის წინაშე თანასწორობა

1. ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია.

2. არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს დისკრიმინაციას წარმოშობის, რასის, სქესის, ასაკის, ენის, სოციალური მდგომარეობის, ცხოვრების ფორმის, რელიგიური, მსოფლმხედველობითი ან პოლიტიკური შეხედულებების ან ფიზიკური და ფსიქოლოგიური უუნარობის გამო.

3. კაცი და ქალი თანასწორუფლებიანები არიან. კანონი ზრუნავს მათ სამართლებრივ და ფაქტობრივ თანასწორუფლებიანობაზე, განსაკუთრებით ოჯახში, განათლების მიღებისას, სამუშაოზე. მამაკაცს და ქალს უფლება აქვთ თანაბარზომიერი სამუშაოსათვის მოითხოვონ თანაბარი ანაზღაურება.

4. კანონმდებლობა ითვალისწინებს ღონისძიებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად.

მუხლი 9. თვითნებობისაგან დაცვა და კეთილსინდისიერად მოქმედების პრინციპი

ყოველ პირს აქვს უფლება სახელმწიფო ორგანოებს მოსთხოვოს თვითნებობისგან დაცვა და კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით მოქმედება.

მუხლი 10. სიცოცხლისა და პიროვნული თავისუფლების უფლება

1. ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება. სიკვდილით დასჯა აკრძალულია.

2. ყოველ ადამიანს აქვს პიროვნული თავისუფლების, განსაკუთრებით ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობისა და თავისუფალი გადაადგილების უფლება.

3. აკრძალულია წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა ან დასჯის სხვა სახეები.

მუხლი 11. ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვა

1. ბავშვებსა და ახალგაზრდებს აქვთ ხელშეუხებლობის განსაკუთრებული დაცვისა და განვითარებისათვის ხელშეწყობის მოთხოვნის უფლება.

2. ისინი საკუთარ უფლებებს ახორციელებენ ქმედუნარიანობის ფარგლებში.

მუხლი 12. გასაჭირში მყოფთა დახმარების უფლება

გასაჭირში მყოფ პირს, რომელსაც არ შეუძლია იზრუნოს საკუთარ თავზე, უფლება აქვს მოითხოვოს დახმარება და მომსახურება, ასევე მიიღოს ადამიანის ღირსეული არსებობისათვის აუცილებელი საშუალებები.

მუხლი 13. პირადი ცხოვრების დაცვა

ყოველ ადამიანს აქვს მისი პირადი, ოჯახური ცხოვრების პატივისცემის, ასევე ბინის, მიმოწერის, საფოსტო გზავნილებისა და სატელეკომუნიკაციო შეტყობინებების საიდუმლოების უფლება.

მუხლი 14. ქორწინებისა და ოჯახის უფლება

ქორწინებისა და ოჯახის უფლება გარანტირებულია.

მუხლი 15. რწმენისა და სინდისის თავისუფლება

1. რწმენისა და სინდისის თავისუფლება გარანტირებულია.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად აირჩიოს რელიგია და მსოფლმხედველობითი შეხედულებები და მარტო ან სხვებთან ერთად აღიაროს ისინი.

3. ყოველ ადამიანს აქვს უფლება, შევიდეს რელიგიურ გაერთიანებაში ან მიეკუთვნებოდეს მას და მისდიოს რელიგიურ მოძღვრებას.

4. არავინ არ შეიძლება იქნეს იძულებული შევიდეს რომელიმე რელიგიურ გაერთიანებაში ან მიეკუთვნებოდეს მას, მონაწილეობა მიიღოს რელიგიურ წეს-ჩვეულებებში ან მისდიოს რელიგიურ მოძღვრებას.

მუხლი 16. აზრისა და ინფორმაციის თავისუფლება

1. აზრისა და ინფორმაციის თავისუფლება გარანტირებულია.

2. ყოველ ადამიანს აქვს საკუთარი აზრის თავისუფლად ჩამოყალიბების, თავისუფლად გამოხატვისა და გავრცელების უფლება.

3. ყოველ ადამიანს აქვს ინფორმაციის თავისუფლად მიღების, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან მოპოვებისა და მისი გავრცელების უფლება.

მუხლი 17. პრესის თავისუფლება

1. პრესის, რადიოსა და ტელევიზიის, ასევე პროდუქციისა და ინფორმაციის სატელეკომუნიკაციო ტექნიკის სხვა ფორმებით საჯარო გავრცელების თავისუფლება გარანტირებულია.

2. ცენზურა აკრძალულია.

3. საგამომცემლო საიდუმლოება გარანტირებულია.

მუხლი 18. ენის თავისუფლება

ენის თავისუფლება გარანტირებულია.

მუხლი 19. დაწყებითი განათლების მიღების უფლება

დამაკმაყოფილებელი და უფასო დაწყებითი განათლების მიღების უფლება გარანტირებულია.

მუხლი 20. მეცნიერების თავისუფლება

სამეცნიერო სწავლებისა და კვლევის თავისუფლება გარანტირებულია.

მუხლი 21. ხელოვნების თავისუფლება

ხელოვნების თავისუფლება გარანტირებულია.

მუხლი 22. შეკრების თავისუფლება

1. შეკრების თავისუფლება გარანტირებულია.

2. ყოველ ადამიანს აქვს შეკრების, მასში მონაწილეობის ან მონაწილეობაზე უარის თქმის უფლება.

მუხლი 23. გაერთიანების თავისუფლება

1. გაერთიანების თავისუფლება გარანტირებულია.

2. ყოველ ადამიანს აქვს გაერთიანებების შექმნის, გაწევრიანების ან მისთვის მიკუთვნებისა და მასში მონაწილეობის მიღების უფლება.

3. არავინ არ შეიძლება იქნეს იძულებული შეეიდეს გაერთიანებაში ან მიეკუთვნოს მას.

მუხლი 24. საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება

1. შვეიცარიელებს უფლება აქვთ, დასახლდნენ ქვეყნის ნებისმიერ ადგილას.

2. მათ უფლება აქვთ დატოვონ შვეიცარია ან დაბრუნდნენ შვეიცარიაში.

მუხლი 25. გაძევების, გადაცემისა და იძულებითი გადაადგილებისგან დაცვა

1. შვეიცარიის მოქალაქეები არ შეიძლება გაძევებულ იქნენ შვეიცარიიდან. ისინი მხოლოდ მათივე თანხმობით შეიძლება გადაეცენ უცხოეთის სახელმწიფო ორგანოს.

2. დაუშვებელია ლტოლვილების იძულებითი გადასახლება ან გადაცემა იმ სახელმწიფოსთვის, რომელშიც იდევნებიან.

3. არავინ არ შეიძლება იძულებით იქნეს გადაადგილებული იმ სახელმწიფოში, რომელშიც მას ემუქრება წამება ან სასტიკი და არაადამიანური მოპყრობა ან დასჯა.

მუხლი 26. საკუთრების უფლება

1. საკუთრების უფლება გარანტირებულია.

2. საკუთრების ჩამორთმევა და საკუთრების უფლების სხვაგვარი შეზღუდვა, რომელიც უთანაბრდება საკუთრების ჩამორთმევას, სრულად უნდა ანაზღაურდეს.

მუხლი 27. ეკონომიკური თავისუფლება

1. ეკონომიკური თავისუფლება გარანტირებულია.

2. ეკონომიკური თავისუფლება განსაკუთრებით მოიცავს პროფესიის არჩევის, ასევე კერძო ეკონომიკურ საქმიანობაზე თავისუფლად დაშვებისა და მისი განხორციელების თავისუფლებას.

მუხლი 28. კოალიციის თავისუფლება

1. მუშაკებსა და დამსაქმებლებს, ასევე მათ ორგანიზაციებს უფლება აქვთ მათი ინტერესების დაცვის მიზნით გაერთიანდნენ, შექმნან გაერთიანებები და შევიდნენ მათში ან უარი თქვან გაერთიანებაზე.

2. დავები შეძლებისდაგვარად უნდა მოგვარდეს მოლაპარაკებისა და შუამავლობის გზით.

3. გაფიცვა და ბოიკოტი დასაშვებია, თუ დაკავშირებულია შრომით ურთიერთობებთან და თუ არ ეწინააღმდეგება შრომის მშვიდობის დაცვისა და სამომრიგებლო მოლაპარაკებების წარმოების ვალდებულებებს.

4. კანონით შეიძლება პირთა განსაზღვრულ კატეგორიას აეკრძალოს გაფიცვაში მონაწილეობა.

მუხლი 29. ზოგადი საპროცესო გარანტიები

1. ყოველ პირს აქვს სასამართლო და ადმინისტრაციულ ინსტანციებში საქმის წარმოებისას თანასწორი და სამართლიანი მოპყრობის, ასევე გადაწყვეტილების გონივრულ ვადებში მიღების მოთხოვნის უფლება.

2. მხარეებს უფლება აქვთ, რომ მათ მოუსმინონ.

3. ყოველ პირს, რომელსაც არ გააჩნია აუცილებელი ფინანსური საშუალებები და როდესაც მისი მოთხოვნა შესაძლებელია დაკმაყოფილდეს, აქვს იურიდიული დახმარების უფასოდ განხორციელების მოთხოვნის უფლება. ამასთან, პირს აქვს უფასო იურიდიული წარმომადგენლობის უფლება, როდესაც ეს აუცილებელია მისი უფლებების დასაცავად.

მუხლი 29ა. ამოღებულია

მუხლი 30. სასამართლო წარმოება

1. ყოველ პირს, რომლის საქმეც სასამართლო განსჯადია, აქვს კანონით შექმნილი, კომპეტენტური, დამოუკიდებელი და არაპარტიული სასამართლოს უფლება. სპეციალური სასამართლოები აკრძალულია.

2. ყოველ პირს, ვის წინააღმდეგაც შეტანილია სამოქალაქო სარჩელი, უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მისი საქმე განიხილოს სასამართლომ მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სხვა სასამართლო განსჯადობა.

3. სასამართლო განხილვა და სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადება საჯაროა. კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს გამონაკლისები.

მუხლი 31. Habeas Corpus

1. დაუშვებელია პირისათვის თავისუფლების აღკვეთა, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა და წესით.

2. ყოველ თავისუფლებააღკვეთილ პირს აქვს უფლება, დაუყოვნებლივ და მისთვის გასაგებ ენაზე მიიღოს ინფორმაცია თავისუფლების აღკვეთის მიზეზისა და მისი უფლებების შესახებ. მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, განახორციელოს საკუთარი უფლებები. განსაკუთრებით, მას აქვს უფლება, დაკავების შესახებ შეატყობინოს ახლო ნათესავებს.

3. ყოველ დაკავებულ პირს აქვს სასამართლოს წინაშე დაუყოვნებლივ წარდგენის მოთხოვნის უფლება. მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას პირის პატიმრობაში დატოვების ან გათავისუფლების შესახებ. ყოველ დაკავებულ პირს აქვს უფლება, რომ სასამართლომ მის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს გონივრულ ვადაში.

4. ყოველ პირს, რომელსაც სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე აღეკვეთა თავისუფლება, აქვს სასამართლოსათვის ნებისმიერ დროს მიმართვის უფლება. თავისუფლების აღკვეთის კანონიერების თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს შეძლებისდაგვარად სწრაფად.

მუხლი 32. სისხლის სამართლებრივი წარმოება

1. ყოველი პირი უდანაშაულოდ ითვლება სანამ მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით.

2. ყოველ ბრალდებულ პირს აქვს უფლება შეძლებისდაგვარად სწრაფად მიიღოს დეტალური ინფორმაცია მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების შესახებ. მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა განახორციელოს დაცვის უფლება.

3. ყოველ მსჯავრდებულ პირს აქვს სასამართლო გადაწყვეტილების ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების უფლება. გამონაკლისია საქმეები, როდე-

საც ფედერალური უზენაესი სასამართლო არის ერთადერთი სასამართლო ინსტანცია.

მუხლი 33. პეტიციის უფლება

1. ყოველ პირს აქვს უფლება პეტიციით მიმართოს სახელმწიფო ორგანოებს ისე, რომ ზიანი არ მიადგეს.

2. სახელმწიფო ორგანოებმა უნდა განიხილონ აღნიშნული პეტიციები.

მუხლი 34. პოლიტიკური უფლებები

1. პოლიტიკური უფლებები გარანტირებულია.

2. პოლიტიკური უფლებების გარანტირება იცავს აზრის თავისუფალ ჩამოყალიბებას და ნების უცვლელ გამოხატვას.

მუხლი 35. ძირითადი უფლებების განხორციელება

1. ძირითადი უფლებები უნდა განხორციელდეს სამართლის მთელ სისტემაში.

2. ყველა, ვინც ახორციელებს სახელმწიფო ფუნქციებს, ვალდებულია პატივი სცეს ძირითად უფლებებს და ხელი შეუწყოს მათ განხორციელებას.

3. სახელმწიფო ორგანოები ძირითადი უფლებების დაცვას შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფენ კერძო პირებს შორის ურთიერთობებშიც.

მუხლი 36. ძირითადი უფლებების შეზღუდვა

1. ძირითადი უფლებების შეზღუდვა საჭიროებს კანონიერ საფუძველს. ძირითადი უფლებების მძიმე შეზღუდვები უშუალოდ უნდა იყოს გათვალისწინებული კანონით. გამონაკლისია აშკარა და უშუალო საფრთხის შემთხვევები.

2. ძირითადი უფლებების ყოველი შეზღუდვა გამართლებული უნდა იყოს საჯარო ინტერესებით ან მესამე პირთა ძირითადი უფლებების დაცვით.

3. ძირითადი უფლების შეზღუდვა უნდა იყოს მიზნის პროპორციული.

4. ძირითადი უფლებების არსი ხელშეუხებელია.

თავი 2.
მოქალაქეობა და პოლიტიკური უფლებები

მუხლი 37. მოქალაქეობა

1. ყველა პირი, რომელსაც გააჩნია მუნიციპალიტეტისა და კანტონის მოქალაქეობა, არის შვეიცარიის მოქალაქე.

2. არავის არ შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა ან მიადგეს ზიანი მოქალაქეობის გამო. გამონაკლისია პოლიტიკური უფლებები და მათ განხორციე-

ლებაში მონაწილეობა კორპორაციებში, თუ კანტონების კანონმდებლობა სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

მუხლი 38. მოქალაქეობის შეძენა და დაკარგვა

1. კონფედერაცია არეგულირებს მოქალაქეობის შეძენისა და დაკარგვის საკითხებს. მოქალაქეობა მოიპოვება წარმოშობის, ქორწინების და შვილების გზით. ამასთან, კონფედერაცია არეგულირებს შვეიცარიის მოქალაქეობის სხვა საფუძვლებით დაკარგვის, ასევე მოქალაქეობის აღდგენის საკითხებს.

2. იგი ადგენს კანტონების მიერ უცხოელების ნატურალიზაციის მინიმალურ მოთხოვნებს და იძლევა მოქალაქეობის მიღების ნებართვას.

3. იგი ამარტივებს მოქალაქეობის არმქონე ბავშვების მიერ მოქალაქეობის მიღებას.

მუხლი 39. პოლიტიკური უფლებების განხორციელება

1. კონფედერაცია არეგულირებს პოლიტიკური უფლებების განხორციელებას ფედერალურ საქმეებზე, კანტონები არეგულირებენ მათ განხორციელებას კანტონალურ და მუნიციპალურ საქმეებზე.

2. პოლიტიკური უფლებები ხორციელდება საცხოვრებელ ადგილზე. კონფედერაციამ და კანტონებმა შეიძლება გაითვალისწინონ გამონაკლისები.

3. არავის აქვს უფლება პოლიტიკური უფლებები განახორციელოს ერთზე მეტ კანტონში.

4. კანტონებს შეუძლიათ გაითვალისწინონ, რომ ახლად დასახლებულმა პირებმა კანტონალურ და მუნიციპალურ საკითხებზე პოლიტიკური უფლებები განახორციელონ მათი დასახლებიდან გარკვეული დროის, არა უმეტეს 3 თვის გასვლის შემდეგ.

მუხლი 40. საზღვარგარეთ მცხოვრები შვეიცარიის მოქალაქეები

1. კონფედერაცია ხელს უწყობს საზღვარგარეთ მცხოვრები შვეიცარიის მოქალაქეების ურთიერთობებს ერთმანეთთან და შვეიცარიასთან. მას შეუძლია მხარი დაუჭიროს ორგანიზაციებს, რომლებიც აღნიშნულ მიზანს ემსახურებიან.

2. კონფედერაცია იღებს კანონმდებლობას საზღვარგარეთ მცხოვრები შვეიცარიის მოქალაქეების უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, განსაკუთრებით ფედერალურ დონეზე მათი პოლიტიკური უფლებების განხორციელებასთან, სამხედრო ან ალტერნატიული სამსახურის გავლის ვალდებულებასთან, გაჭირვებული პირებისათვის დახმარებასთან, ასევე სოციალურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

თავი 3.
სოციალური მიზნები

მუხლი 41. ზოგადი დებულებები

1. კონფედერაცია და კანტონები მიისწრაფვიან, რათა პირად პასუხისმგებლობასა და კერძო ინიციატივასთან ერთად:

ა. ყოველი პირი სარგებლობდეს სოციალური უსაფრთხოებით;

ბ. ყოველი პირი იღებდეს ჯანმრთელობისათვის აუცილებელ მზრუნველობას;

გ. ოჯახს, როგორც მოზრდილებისა და ბავშვების ერთობას ხელი შეეწყოს და იქნეს დაცული;

დ. ყოველი შრომისუნარიანი პირი საკუთარ თავსა და ოჯახს არჩენდეს სამართლიან და ადეკვატურ პირობებიანი სამუშაოს მეშვეობით;

ე. ყოველ პირს, რომელიც ეძებს ბინას, ჰქონდეს შესაძლებლობა, თავისთვის და თავისი ოჯახისთვის იპოვოს შესაბამისი ბინა ზომიერი პირობებით;

ვ. ბავშვებსა და მოზრდილებს, ასევე შრომისუნარიან ასაკში მყოფ სხვა პირებს, საკუთარი უნარის შესაბამისად ჰქონდეთ განვითარების, განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა;

ზ. ბავშვებსა და მოზრდილებს ხელი შეეწყოთ დამოუკიდებელ და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებებად ჩამოყალიბებასა და მათ სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ინტეგრაციაში.

2. კონფედერაცია და კანტონები იღწვიან, რათა უზრუნველყონ, რომ ყოველი პირი დაზღვეული იყოს ასაკის, შრომისუუნარობის, ავადმყოფობის, უბედური შემთხვევის, უმუშევრობის, დედობის, ობლობისა და დაქვრივებიდან გამომდინარე ეკონომიკური შედეგებისგან.

3. ისინი ისწრაფვიან, რათა კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და მათ ხელთ არსებული საშუალებებით განახორციელონ სოციალური მიზნები.

4. სოციალური მიზნებიდან არ უნდა გამომდინარეობდეს სახელმწიფოს მიერ რაიმე სუბიექტური მოთხოვნის უფლება.

კარი 3.
კონფედერაცია, კანტონები და მუნიციპალიტეტები
თავი 1.
კონფედერაციისა და კანტონების ურთიერთობა

ნაწილი 1. კონფედერაციისა და კანტონების ამოცანები

მუხლი 42. კონფედერაციის ამოცანები

1. კონფედერაცია ახორციელებს ფედერალური კონსტიტუციით მისთვის მიკუთვნებულ ამოცანებს.

2. იგი თავის თავზე იღებს იმ ამოცანების განხორციელებას, რომლებიც ერთგვაროვან მოწესრიგებას საჭიროებს.

მუხლი 43. კანტონების ამოცანები

კანტონები განსაზღვრავენ იმ ამოცანებს, რომლებსაც შეასრულებენ თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

ნაწილი 2. კონფედერაციისა და კანტონების თანამშრომლობა

მუხლი 44. პრინციპები

1. კონფედერაცია და კანტონები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ხელს უწყობენ ერთმანეთს საკუთარი ამოცანების შესრულებაში.

2. ისინი ვალდებულნი არიან ითანამშრომლონ და დაეხმარონ ერთმანეთს. ისინი აღმოუჩენენ ერთმანეთს ადმინისტრაციულ და სამართლებრივ დახმარებას.

3. კანტონებს ან კანტონებსა და კონფედერაციას შორის დავები შეძლებისდაგვარად უნდა მოგვარდეს მოლაპარაკებისა და შუამავლობის მეშვეობით.

მუხლი 45. კონფედერაციის გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა

1. ფედერალური კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში კანტონები მონაწილეობენ კონფედერაციის მიერ გადაწყვეტილების მიღებაში, განსაკუთრებით სამართალშემოქმედებაში.

2. კონფედერაცია კანტონებს დროულად აწვდის საკუთარი გეგმების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას. იგი კონსულტაციებს გადის მათთან, თუ საკითხი მათ ინტერესებს ეხება.

მუხლი 46. ფედერალური სამართლის განხორციელება

1. კანტონები ფედერალურ სამართალს ახორციელებენ კონსტიტუციისა და კანონის თანახმად.

2. კონფედერაცია კანტონებს უტოვებს მოქმედების შეძლებისდაგვარად ფართო თავისუფლებას და მხედველობაში იღებს მათ თავისებურებებს.

3. კონფედერაცია მხედველობაში იღებს ფედერალური სამართლის განხორციელებასთან დაკავშირებულ ფინანსურ ტვირთს. იგი ამავე დროს კანტონებს უტოვებს საკმარის ფინანსურ წყაროებს და უზრუნველყოფს სამართლიან ფინანსურ რეგულირებას.

მუხლი 47. კანტონების ავტონომია

კონფედერაცია იცავს კანტონების ავტონომიას.

მუხლი 48. კანტონთაშორისო ხელშეკრულებები

1. კანტონებს შეუძლიათ დადონ კანტონთაშორისო ხელშეკრულებები, ასევე შექმნან ერთობლივი ორგანიზაციები და დაწესებულებები. მათ განსაკუთრებით შეუძლიათ რეგიონალური მნიშვნელობის ამოცანების ერთობლივად განხორციელება.

2. კონფედერაციას შეუძლია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს მონაწილეობა ზემოაღნიშნული ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობაში.

3. კანტონთაშორისო ხელშეკრულებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონფედერაციის სამართალსა და ინტერესებს, ასევე სხვა კანტონების უფლებებს. აღნიშნული ხელშეკრულებების დადების შესახებ უნდა ეცნობოს კონფედერაციას.

მუხლი 49. ფედერალური სამართლის უპირატესობა და დაცვა

1. ფედერალურ სამართალს კანტონალურ სამართალთან შედარებით აქვს უპირატესი იურიდიული ძალა.

2. კონფედერაცია ზედამხედველობს კანტონების მიერ ფედერალური სამართლის დაცვას.

ნაწილი 3. მუნიციპალიტეტები

მუხლი 50. ძირითადი დებულებები

1. მუნიციპალიტეტების ავტონომია გარანტირებულია კანტონალური სამართლით.

2. კონფედერაცია საკუთარი მოქმედებისას მხედველობაში იღებს შედეგებს, რაც შესაძლოა მიადგეს მუნიციპალიტეტებს.

3. განსაკუთრებით, იგი მხედველობაში იღებს ქალაქებისა და აგლომერაციების, ასევე მთიანი რეგიონების განსაკუთრებულ მდგომარეობას.

ნაწილი 4. ფედერალური გარანტიები

მუხლი 51. კანტონების კონსტიტუციები

1. ყოველი კანტონი იღებს დემოკრატიულ კონსტიტუციას. კანტონის კონსტიტუცია საჭიროებს ხალხის თანხმობას და გადასინჯული უნდა იქნეს საარჩევნო უფლების მქონე პირთა უმრავლესობის მოთხოვნით.

2. კანტონების კონსტიტუციები გარანტირებული უნდა იყოს კონფედერაციის მიერ. კონფედერაცია უზრუნველყოფს კანტონების კონსტიტუციების დაცვას, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება ფედერალურ სამართალს.

მუხლი 52. კონსტიტუციური წესრიგი

1. კონფედერაცია იცავს კანტონების კონსტიტუციურ წესრიგს.

2. იგი უფლებამოსილია ჩაერიოს, თუ კანტონში დაირღვა შიდა წესრიგი ან საფრთხე შეექმნა მას და თუ კანტონს თვითონ ან სხვა კანტონების დახმარებით არ შეუძლია მისი დაცვა.

მუხლი 53. კანტონების არსებობა და ტერიტორია

1. კონფედერაცია იცავს კანტონების არსებობასა და ტერიტორიას.

2. კანტონების, მათი რაოდენობისა და სტატუსის შეცვლა საჭიროებს დაინტერესებული მოსახლეობის, კანტონის, ასევე ხალხისა და კანტონების თანხმობას.

3. კანტონის ტერიტორიის შეცვლა საჭიროებს დაინტერესებული მოსახლეობისა და დაინტერესებული კანტონის, ასევე ფედერალური კრების ნებართვას, რომელიც გამოიცემა ფედერალური დადგენილების სახით.

4. კანტონთაშორისო სასაზღვრო შეთანხმება საჭიროებს კანტონების მიერ ერთმანეთთან ხელშეკრულებების დადებას.

თავი 2.
უფლებამოსილებები

ნაწილი 1. საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობა

მუხლი 54. საგარეო ურთიერთობა

1. საგარეო ურთიერთობები წარმოადგენს კონფედერაციის საქმეს.

2. კონფედერაცია იღწვის, რათა დაცულ იქნეს შვეიცარიის დამოუკიდებლობა და კეთილდღეობა; კერძოდ, იგი ხელს უწყობს გაჭირვებისა და სიღარიბის აღმოფხვრას მთელს მსოფლიოში, ადამიანის უფლებების პატივისცემას, დემოკრატიას, ერთა მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვას.

3. იგი მხედველობაში იღებს კანტონების კომპეტენციას და იცავს მათ ინტერესებს.

მუხლი 55. კანტონების მონაწილეობა საგარეო პოლიტიკის შესახებ დადგენილებებში

1. კანტონები მონაწილეობენ საგარეო პოლიტიკის შესახებ იმ დადგენილებების მომზადებაში, რომლებიც მათ კომპეტენციას ან არსებით ინტერესებს ეხება.

2. კონფედერაცია კანტონებს დროულად აწვდის სრულ ინფორმაციას და მათთან აწარმოებს კონსულტაციებს.

3. კანტონების პოზიციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, როდესაც საკითხი შედის მათ დაინტერესებაში. ასეთ შემთხვევებში, კანტონები მონაწილეობენ საერთაშორისო მოლაპარაკებებში, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

მუხლი 56. კანტონების ურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან

1. კანტონებს შეუძლიათ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში საზღვარგარეთის ქვეყნებთან დადონ ხელშეკრულებები.

2. აღნიშნული ხელშეკრულებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონფედერაციის სამართალსა და ინტერესებს, ასევე სხვა კანტონების სამართალს.

3. საზღვარგარეთის ქვეყნების ქვემდგომ სახელმწიფო ორგანოებთან კანტონებს შეუძლიათ დაამყარონ პირდაპირი ურთიერთობები. სხვა შემთხვევებში კანტონების ურთიერთობებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კანტონების სახელით წარმართავს კონფედერაცია.

ნაწილი 2. უსაფრთხოება, ქვეყნის დაცვა და სამოქალაქო თავდაცვა

მუხლი 57. უსაფრთხოება

1. კონფედერაცია და კანტონები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ზრუნავენ ქვეყნის უსაფრთხოებასა და მოსახლეობის დაცვაზე.

2. ისინი კოორდინაციას უწევენ თავიანთ მოქმედებებს საშინაო უსაფრთხოების სფეროში.

მუხლი 58. ჯარი

1. შვეიცარიას ჰყავს ჯარი, რომელიც პოლიციურ პრინციპზეა აგებული.

2. ჯარის ძირითადი დანიშნულებაა ომის აცილება და მშვიდობის შენარჩუნება. იგი იცავს ქვეყანას და მის მოსახლეობას. იგი ხელს უწყობს სახელმწიფო ორგანოებს, როდესაც მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრება ქვეყნის საშინაო უსაფრთხოებას ან სხვა საგანგებო სიტუაციის დაძლევაში. კანონმა შეიძლება გაითვალისწინოს სხვა ამოცანები.

3. ჯარის გამოყენება წარმოადგენს კონფედერაციის საქმეს. კანტონებს შეუძლიათ საზოგადოებრივი წესრიგის შესანარჩუნებლად საკუთარ ტერიტორიაზე გამოიყენონ თავიანთი შენაერთები, როდესაც სახელმწიფო ორგანოები უძლურნი არიან თავიდან აიცილონ მნიშვნელოვანი საფრთხე, რომელიც ემუქრება საშინაო უსაფრთხოებას.

მუხლი 59. სამხედრო და ალტერნატიული სამსახური

1. ყოველი შვეიცარიელი მამაკაცი ვალდებულია იმსახუროს სამხედრო სამსახურში. კანონი ითვალისწინებს სამოქალაქო ალტერნატიულ სამსახურს.

2. შვეიცარიელი ქალებისათვის სამხედრო სამსახური ნებაყოფლობითია.

3. შვეიცარიელი მამაკაცები, რომლებიც არ გადიან სამხედრო ან ალტერნატიულ სამსახურს, იხდიან ბაჟს.

4. კონფედერაცია იღებს კანონმდებლობას დაკარგული შემოსავლისთვის შესაბამისი ანაზღაურების შესახებ.

5. პირებს, რომელთა ჯანმრთელობასაც სამხედრო ან ალტერნატიული სამსახურის გავლისას მიადგება ზიანი ან მათი გარდაცვალებისას, უფლება აქვთ თავისთვის ან ნათესავებისთვის კონფედერაციისგან მოითხოვონ ადეკვატური მხარდაჭერა.

მუხლი 60. ჯარის ორგანიზაცია, წვრთნა და აღჭურვილობა

1. სამხედრო, ასევე ჯარის ორგანიზაციის, წვრთნისა და აღჭურვილობის შესახებ კანონმდებლობა წარმოადგენს კონფედერაციის საქმეს.

2. ფედერალური სამართლით განსაზღვრულ ფარგლებში კანტონებს უფლება აქვთ, კანტონების დონეზე შექმნან შენაერთები, დანიშნონ და დააწინაურონ აღნიშნული შენაერთების ოფიცრები, ასევე შეიძინონ ტანსაცმელი და აღჭურვილობა.

3. კონფედერაციას უფლება აქვს შესაბამისი ანაზღაურების საფუძველზე, თავის თავზე აიღოს კანტონების სამხედრო ფორმირებების მართვა.

მუხლი 61. სამოქალაქო თავდაცვა

1. კანონმდებლობა შეიარაღებული კონფლიქტების შედეგებისგან პირებისა და ქონების სამოქალაქო თავდაცვის შესახებ წარმოადგენს კონფედერაციის საქმეს.

2. კონფედერაცია იღებს კანონმდებლობას კატასტროფებისა და სტიქიური უბედურებების დროს სამოქალაქო თავდაცვითი ჩარევის შესახებ.

3. კონფედერაციას შეუძლია სამოქალაქო თავდაცვის სამსახური მამაკაცებისთვის სავალდებულოდ გამოაცხადოს. ქალებისთვის იგი ნებაყოფლობითია.

4. კონფედერაცია იღებს კანონმდებლობას დაკარგული შემოსავლისთვის შესაბამისი ანაზღაურების შესახებ.

5. პირებს, რომლებიც გადიან სამოქალაქო თავდაცვის სამსახურს და რომელთა ჯანმრთელობასაც მიადგა ზიანი ან გარდაიცვალნენ, უფლება აქვთ თავისთვის ან თავისი ნათესავებისთვის კონფედერაციისგან მოითხოვონ ადეკვატური მხარდაჭერა.

ნაწილი 3. განათლება, კვლევა და კულტურა

მუხლი 62. სასკოლო საქმე

1. სასკოლო საქმე წარმოადგენს კანტონების კომპეტენციას.

2. კანტონები ზრუნავენ დამაკმაყოფილებელ დაწყებით განათლებაზე, რომელიც ყველა ბავშვისთვის თავისუფალია. დაწყებითი განათლება სავალდებულოა და ექვემდებარება სახელმწიფო მართვას ან ზედამხედველობას. სახელმწიფო სკოლებში სწავლა უფასოა. სასწავლო წელი იწყება აგვისტოსა და სექტემბრის შუა რიცხვებს შორის.

მუხლი 63. პროფესიული განათლება და უნივერსიტეტები

1. კონფედერაცია იღებს კანონმდებლობას პროფესიული განათლების შესახებ.

2. იგი მართავს ტექნიკურ უნივერსიტეტებს. შეუძლია დააარსოს და მართოს სხვა უნივერსიტეტები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ან მხარი დაუჭიროს მათ. მისი მხარდაჭერა შეიძლება დამოკიდებული იყოს კოორდინაციის უზრუნველყოფის პირობაზე.

მუხლი 64. კვლევა

1. კონფედერაცია მხარს უჭერს სამეცნიერო კვლევას.

2. მისი მხარდაჭერა შეიძლება განსაკუთრებით იყოს დამოკიდებული კოორდინაციის უზრუნველყოფის პირობაზე.

3. მას შეუძლია დააარსოს ან მართოს კვლევითი ინსტიტუტები ან თავის თავზე აიღოს მათი მართვა.

მუხლი 65. სტატისტიკა

1. კონფედერაცია აგროვებს აუცილებელ სტატისტიკურ მონაცემებს შვეიცარიაში მოსახლეობის ზრდის, ეკონომიკის, საზოგადოების, ტერიტორიისა და გარემოს განვითარების შესახებ.

2. მონაცემთა შეგროვების გაადვილების მიზნით მას შეუძლია მიიღოს კანონმდებლობა საჯარო რეესტრის ჰარმონიზაციისა და წარმოების შესახებ.

მუხლი 66. განათლების მხარდაჭერა

1. კონფედერაციას შეუძლია კანტონებს მისცეს სუბსიდიები სტიპენდიებისა და განათლების მისაღებად საჭირო სხვა ფინანსური დახმარების ხარჯების დასაფარად.

2. ამასთან მას შეუძლია სასკოლო საქმეებში კანტონის ავტონომიის დაცვით, კანტონის მიერ განხორციელებული ღონისძიებების გარდა, თავად განახორციელოს ღონისძიებები განათლების წახალისების მიზნით.

მუხლი 67. ახალგაზრდებისა და მოზრდილთა განათლება

1. კონფედერაცია და კანტონები თავიანთი ამოცანების შესრულებისას ყურადღებას აქცევენ ბავშვებისა და ახალგაზრდების განვითარებისა და დაცვის განსაკუთრებულ მოთხოვნილებებს.

2. კონფედერაციას შეუძლია კანტონების მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების გარდა თავადაც ხელი შეუწყოს ბავშვებსა და ახალგაზრდებთან სკოლისგარეთ ზეგანაკვეთურ მუშაობას, ასევე მოზრდილთა განათლებას.

მუხლი 68. სპორტი

1. კონფედერაცია ხელს უწყობს სპორტს, განსაკუთრებით, სპორტულ განათლებას.

2. იგი მართავს სპორტულ სკოლებს.

3. მას შეუძლია მიიღოს კანონმდებლობა ახალგაზრდების სპორტის შესახებ და სპორტული სწავლება სკოლებში სავალდებულო გახადოს.

მუხლი 69. კულტურა

1. კულტურის სფერო წარმოადგენს კანტონების საქმეს.

2. კონფედერაციას შეუძლია მხარი დაუჭიროს საერთო შვეიცარიული ინტერესის მქონე კულტურულ მისწრაფებებს, ასევე ხელი შეუწყოს ხელოვნებას და მუსიკას, განსაკუთრებით განათლების სფეროში.

3. თავისი ამოცანების შესრულებისას კონფედერაცია ყურადღებას აქცევს ქვეყნის კულტურულ და ენობრივ მრავალფეროვნებას.

მუხლი 70. ენები

1. კონფედერაციის ოფიციალური ენებია გერმანული, ფრანგული და იტალიური. რეტორომანულ ენაზე მოლაპარაკე პირებთან ურთიერთობაში კონფედერაციის ოფიციალურ ენას წარმოადგენს რეტორომანული ენაც.

2. კანტონები განსაზღვრავენ თავიანთ ოფიციალურ ენებს. ენობრივ საზოგადოებებს შორის ურთიერთთანხმობის დაცვის მიზნით ისინი პატივს სცემენ ენების ტრადიციულ ტერიტორიულ განაწილებას და მხედველობაში იღებენ მკვიდრ ენობრივ უმცირესობებს.

3. კონფედერაცია და კანტონები ხელს უწყობენ ენობრივ საზოგადოებებს შორის ურთიერთგაგებასა და ურთიერთგაცვლას.

4. კონფედერაცია მრავალეროვან კანტონებს მხარს უჭერს მათი განსაკუთრებული ამოცანების შესრულებაში.

5. კონფედერაცია მხარს უჭერს რეტორომანული და იტალიური ენების შესანარჩუნებლად და მხარდასაჭერად მიმართულ გრაუბიუნდენისა და თესინის კანტონების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს.

მუხლი 71. კინო

1. კონფედერაციას შეუძლია წაახალისოს შვეიცარიული კინოპროდუქცია და კინოხელოვნება.

2. მას შეუძლია მიიღოს კანონმდებლობა კინემატოგრაფიის ხარისხისა და მრავალფეროვნების წასახალისებლად.

მუხლი 72. ეკლესია და სახელმწიფო

1. ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობების რეგულირება წარმოადგენს კანტონების საქმეს.

2. კონფედერაციასა და კანტონებს უფლება აქვთ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მიიღონ ზომები განსხვავებული რელიგიური საზოგადოებების წარმომადგენლებს შორის საზოგადოებრივი მშვიდობის შესანარჩუნებლად.

ნაწილი 4. გარემო და ტერიტორიის დაგეგმვა

მუხლი 73. დინამიურად განვითარება

კონფედერაცია და კანტონები ისწრაფიან, რათა, ერთი მხრივ, ბუნებასა და მის განახლებაუნარიანობასა და, მეორე მხრივ, ბუნებისადმი ადამიანის მოთხოვნილებებს შორის არსებობდეს ხანგრძლივი წონასწორობა.

მუხლი 74. გარემოს დაცვა

1. კონფედერაცია იღებს კანონმდებლობას ადამიანებისა და ბუნებრივი გარემოს მავნე ან უსიამოვნო ზეგავლენისგან დაცვის შესახებ.

2. კონფედერაცია უზრუნველყოფს ასეთი ზეგავლენის თავიდან აცილებას. ზეგავლენის თავიდან აცილებისა და მათი შედეგების აღმოფხვრის ხარჯები ეკისრება ზიანის მიმყენებელს.

3. წესების შესრულება შედის კანტონების კომპეტენციაში, თუ კანონით იგი კონფედერაციას არ განეკუთვნება.

მუხლი 75. ტერიტორიის დაგეგმვა

1. კონფედერაცია ადგენს ტერიტორიის დაგეგმვის პრინციპებს. აღნიშნულის შესრულება ევალებათ კანტონებს და ემსახურება მიწის მიზნობრივ და ეკონომიურ გამოყენებასა და ქვეყნის სწორ დასახლებას.

2. კონფედერაცია ხელს უწყობს და კოორდინაციას უწევს კანტონების მცდელობას და თანამშრომლობს მათთან.

3. კონფედერაცია და კანტონები თავიანთი ამოცანების შესრულებისას ითვალისწინებენ ტერიტორიის დაგეგმვის მოთხოვნებს.

მუხლი 76. წყალი

1. კონფედერაცია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს წყლის რესურსების ეკონომიურ გამოყენებას, ასევე წყლის მავნე ზეგავლენისგან დაცვას.

2. იგი ადგენს წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების, ენერგიის წარმოებისა და გამაგრილებელი მიზნებით წყლის გამოყენების, ასევე წყლის მიმოქცევაში სხვა სახის ჩარევის პრინციპებს.

3. იგი იღებს კანონმდებლობას წყალსატევების დაცვის, წყლის შესაბამისი მარაგისა და წყალწარმოქმნის უზრუნველყოფის, ჯებირების უსაფრთხოებისა და ნალექების გავლენის შესახებ.

4. წყლის რესურსებს ფლობენ კანტონები. ფედერალური კანონმდებლობის ფარგლებში მათ შეუძლიათ წყლით სარგებლობისთვის დააწესონ გადასახადები. კონფედერაციას უფლება აქვს წყალსატევები გამოიყენოს თავისი სატრანსპორტო საწარმოებისათვის. ამისთვის იგი იხდის გადასახადს ან შესაბამის კომპენსაციას.

5. საერთაშორისო წყლის რესურსებზე უფლებებისა და მათთან დაკავშირებული გადასახადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კონფედერაცია, დაინტერესებულ კანტონებთან კონსულტაციების შემდეგ. თუ კანტონები ვერ შეთანხმდებიან კანტონთაშორისო წყლის რესურსებზე მათი უფლებების შესახებ, გადაწყვეტილებას იღებს კონფედერაცია.

6. საკუთარი ამოცანების შესრულებისას კონფედერაცია ითვალისწინებს იმ კანტონების ინტერესებს, რომლებიდანაც მოედინება წყალი.

მუხლი 77. ტყე

1. კონფედერაცია უზრუნველყოფს ტყის დაცვითი, გამოყენებითი და გამაგრილებელი ფუნქციების შესრულებას.

2. იგი ადგენს ტყის დაცვის პრინციპებს.

3. იგი ხელს უწყობს ტყის შენარჩუნებისკენ მიმართულ ღონისძიებებს.

მუხლი 78. ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

1. ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა წარმოადგენს კანტონების საქმეს.

2. საკუთარი ამოცანების შესრულებისას კონფედერაცია მხედველობაში იღებს ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მისწრაფებებს. იგი ალამაზებს ლანდშაფტებს, პეიზაჟებს, ისტორიულ ადგილებს, ასევე ბუნებისა და კულტურის ძეგლებს. როდესაც ამას მოითხოვს საზოგადოებრივი ინტერესები, კონფედერაცია მათ ინარჩუნებს ხელშეუხებლად.

3. მას შეუძლია მხარი დაუჭიროს ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მისწრაფებებს და ხელშეკრულების ან ექსპროპრიაციის საფუძველზე, შეიძინოს ან დაიცვას ეროვნული მნიშვნელობის ობიექტები.

4. იგი იღებს კანონმდებლობას ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს დაცვისა და მათი სასიცოცხლო გარემოს მრავალფეროვნების შენარჩუნების შესახებ. იგი გადაშენებისგან იცავს საფრთხეში მყოფ ჯიშებს.

5. განსაკუთრებული სილამაზისა და ეროვნული მნიშვნელობის ჭაობები და ჭაობიანი ლანდშაფტები დაცულია. აღნიშნულ ადგილებში დაუშვებელია როგორც დანადგარების აგება, ისე მიწის ცვლილების გამომწვევი ნებისმიერი მოქმედება. გამონაკლისებს წარმოადგენს შენობა-ნაგებობები, რომლებიც ემსახურება ჭაობებისა და ჭაობიანი ლანდშაფტების დაცვას ან კვლავინდებურად მათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებას.

მუხლი 79. მეთევზეობა და მონადირეობა

კონფედერაცია ადგენს მეთევზეობისა და მონადირეობის განხორციელების პრინციპებს, განსაკუთრებით თევზების, გარეული ძუძუმწოვარი ცხოველებისა და ფრინველების ჯიშების მრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით.

მუხლი 80. ცხოველთა დაცვა

1. კონფედერაცია იღებს კანონმდებლობას ცხოველთა დაცვის შესახებ.

2. იგი განსაკუთრებით არეგულირებს:

ა. ცხოველთა შენახვასა და მოვლას;

ბ. ცხოველებზე ექსპერიმენტებსა და მათი სიცოცხლის ხელყოფას;

გ. ცხოველთა გამოყენებას;

დ. ცხოველთა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების იმპორტს;

ე. ცხოველებით ვაჭრობასა და ცხოველთა ტრანსპორტირებას;

ვ. ცხოველთა დაკვლას.

3. წესების შესრულება შედის კანტონების კომპეტენციაში, თუ იგი კანონით კონფედერაციას არ განეკუთვნება.

ნაწილი 5. საზოგადოებრივი სამუშაოები და გადაზიდვა

მუხლი 81. საზოგადოებრივი სამუშაოები

კონფედერაციას შეუძლია მთელი ქვეყნის ან მისი უმეტესი ნაწილის ინტერესებიდან გამომდინარე, შემოიღოს საზოგადოებრივი სამუშაოები და მართოს ისინი ან მხარი დაუჭიროს მათ განხორციელებას.

მუხლი 82. საგზაო მოძრაობა

1. კონფედერაცია იღებს საგზაო მოძრაობის შესახებ კანონმდებლობას.

2. იგი ახორციელებს უმაღლეს ზედამხედველობას ეროვნული მნიშვნელობის გზებზე. მას შეუძლია განსაზღვროს, რომელ ტრანზიტულ გზებზე შენარჩუნდეს თავისუფალი მოძრაობა.

3. საჯარო გზებით სარგებლობა უფასოა. ფედერალურ კრებას შეუძლია დაადგინოს გამონაკლისები.

მუხლი 83. ეროვნული გზები

1. კონფედერაცია უზრუნველყოფს ეროვნული გზებისა და მათი ინფრასტრუქტურის ქსელის მშენებლობას.

2. კანტონები აგებენ და ინახავენ ეროვნულ გზებს კონფედერაციის მიერ დადგენილი წესებითა და კონფედერაციის უმაღლესი ზედამხედველობით.

3. კონფედერაცია და კანტონები ეროვნული გზების ხარჯებს გაიღებენ ერთობლივად. ცალკეული კანტონების ხარჯების წილი განისაზღვრება ეროვნული გზებით დატვირთვის, აღნიშნული გზების მიმართ მათი ინტერესისა და ფინანსური რესურსების მიხედვით.

მუხლი 84. ალპების გადამკვეთი ტრანზიტული მოძრაობა

1. კონფედერაცია ალპურ რეგიონს იცავს ტრანზიტული მოძრაობის უარყოფითი ზეგავლენისგან. იგი ზღუდავს ტრანზიტული მოძრაობით გზების დატვირთვას იმ ზომაზე, რაც არ არის საზიანო ადამიანების, ცხოველების და მცენარეების, ასევე მათი სასიცოცხლო გარემოსათვის.

2. ალპების გადამკვეთი ტრანზიტული ტვირთის მოძრაობა საზღვრიდან საზღვრამდე ხორციელდება რკინიგზის მეშვეობით. ფედერალური საბჭო იღებს მისთვის საჭირო ზომებს. გამონაკლისები დაიშვება მხოლოდ გარდაუვალი აუცილებლობის შემთხვევებში. აღნიშნული გამონაკლისები დაწვრილებით უნდა დადგინდეს კანონით.

3. ტრანზიტული გზების შესაძლებლობების გაზრდა ალპურ რეგიონში დაუშვებელია. აღნიშნული შეზღუდვისაგან თავისუფალია შემოვლითი გზები, რომლებიც ემსახურება მიდამოს ტრანზიტული მოძრაობისგან განტვირთვას.

მუხლი 85. გადასახადი სატვირთო ტრანსპორტზე

1. კონფედერაციას შეუძლია სატვირთო ტრანსპორტზე დააწესოს შესაძლებლობაზე ან მოხმარებაზე დამოკიდებული გადასახადი. გადასახადი შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სატვირთო ტრანსპორტი იწვევს სახელმწიფო ხარჯებს, რომლებიც არ იფარება სხვა შემოწირულობით ან გადასახადით.

2. საგზაო მოძრაობასთან დაკავშირებული ხარჯები იფარება გადასახადებიდან მიღებული სუფთა მოგებიდან.

3. კანტონები მონაწილეობენ სუფთა მოგების განაწილებაში. წილების დაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება გადასახადის განსაკუთრებული გავლენა მთიან რეგიონებსა და პერიფერიებზე.

მუხლი 86. საწვავის მოხმარების გადასახადი და მოძრაობასთან დაკავშირებული სხვა გადასახადები

1. კონფედერაციას შეუძლია დააწესოს საწვავის მოხმარების გადასახადი.

2. იგი აწესებს გადასახადს ეროვნული გზების გამოყენებაზე იმ მოტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მისაბმელების მეშვეობით, რომლებიც არ ექვემდებარება სატვირთო ტრანსპორტის გადასახადს.

3. იგი საწვავის მოხმარების და ეროვნული გზების გადასახადებიდან შემოსულ წმინდა მოგებას იყენებს საგზაო მოძრაობასთან დაკავშირებული შემდეგი მიზნებისა და ხარჯებისათვის:

ა) ეროვნული გზების აგების, შენახვისა და მართვისთვის;

ბ) შერეული მოძრაობისა და ტრანსპორტის თანმხლებ მოტოსატრასპორტო საშუალებების ხელშეწყობის ღონისძიებებისთვის, ასევე სარკინიგზო მოძრაობის საგზაო მოძრაობისგან გასამიჯნად;

გ) ძირითადი გზების აგების შენატანისთვის;

დ) ბუნების ძალების საწინააღმდეგო სამშენებლო სამუშაოებისა და საგზაო მოძრაობისთვის აუცილებელი გარემოსა და ლანდშაფტის დაცვის ღონისძიებებისთვის შენატანებისთვის;

ე) კანტონების მიერ მოტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის ღია გზების დაფინანსებაში საერთო შენატანებისა და საგზაო სფეროში ფინანსური ხარჯების წონასწორობისთვის;

ვ) იმ კანტონების შენატანებისთვის, რომლებზეც არ გადის ეროვნული გზები და იმ კანტონებისთვის, რომლებზეც გადის საერთაშორისო მოძრაობისთვის განკუთვნილი ალპური გზები.

4. თუ აღნიშნული საშუალებები არ არის საკმარისი, საწვავის მოხმარების გადასახადზე კონფედერაცია აწესებს დანამატს.

მუხლი 87. რკინიგზა და მოძრაობის სხვა საშუალებები

კანონმდებლობა სარკინიგზო მოძრაობის, სბაგირო გზების, წყლის ტრანსპორტის, ასევე საჰაერო მოძრაობის შესახებ, წარმოადგენს კონფედერაციის საქმეს.

მუხლი 88. ფეხით სავალი გზები და ბილიკები

1. კონფედერაცია ადგენს ფეხით სავალი გზებისა და ბილიკების ქსელის შესახებ პრინციპებს.

2. მას შეუძლია მხარი დაუჭიროს და კოორდინაცია გაუწიოს კანტონების მიერ ასეთი ქსელების შექმნისა და დაცვისკენ მიმართულ ღონისძიებებს.

3. იგი საკუთარი ამოცანების შესრულებისას მხედველობაში იღებს ფეხით სავალი გზებისა და ბილიკების ქსელებს და ცვლის მოძრაობისთვის გამოუსადეგარ გზებს.

ნაწილი 6. ენერგეტიკა და კომუნიკაციები

მუხლი 89. ენერგეტიკული პოლიტიკა

1. კონფედერაცია და კანტონები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იღწვიან, რათა უზრუნველყონ დამაკმაყოფილებელი, მრავალფეროვანი, უსაფრთხო, ეკონომიური და ეკოლოგიურად მისაღები ენერგიით მომარაგება, ასევე ენერგიის ეკონომიური და რაციონალური მოხმარება.

2. კონფედერაცია ადგენს ენერგიის ადგილობრივი და განახლებადი სარგებლობისა და ეკონომიური და რაციონალური მოხმარების პრინციპებს.

3. კონფედერაცია იღებს კანონმდებლობას დანადგარებისა და ხელსაწყოებისათვის ენერგიის გამოყენების შესახებ. იგი ხელს უწყობს ენერგეტიკული ტექნიკის განვითარებას, განსაკუთრებით ენერგიის ეკონომიისა და განახლების სფეროში.

4. ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულია ენერგიის შენობებში მოხმარებასთან, უპირველეს ყოვლისა, კანტონების საქმეს წარმოადგენს.

5. საკუთარი ენერგეტიკული პოლიტიკის ფორმირებისას კონფედერაცია მხედველობაში იღებს კანტონებისა და მუნიციპალიტეტების, ასევე ეკონომიკის მისწრაფებებს. იგი ითვალისწინებს ცალკეული რეგიონების პირობებსა და ეკონომიკურ შესაძლებლობებს.

მუხლი 90. ატომური ენერგია

ატომური ენერგიის სფეროს შესახებ კანონმდებლობა წარმოადგენს კონფედერაციის საქმეს.

მუხლი 91. ენერგიის ტრანსპორტირება

1. კონფედერაცია იღებს ელექტროენერგიის ტრანსპორტირებისა და მიწოდების შესახებ კანონმდებლობას.

2. კანონმდებლობა თხევადი და აიროვანი საწვავის ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი მილსადენების შესახებ წარმოადგენს კონფედერაციის საქმეს.

მუხლი 92. საფოსტო და სატელეკომუნიკაციო მომსახურება

1. საფოსტო და სატელეკომუნიკაციო მომსახურება წარმოადგენს კონფედერაციის საქმეს.

2. კონფედერაცია უზრუნველყოფს საფოსტო და სატელეკომუნიკაციო მომსახურებით ქვეყნის ყველა რეგიონის საკმარის და ხელმისაწვდომ მომარაგებას. ტარიფები დგინდება ერთგვაროვანი პრინციპების მიხედვით.

მუხლი 93. რადიო და ტელევიზია

1. კანონმდებლობა რადიოსა და ტელევიზიის, ისევე როგორც გამოსახულებისა და ინფორმაციის სატელეკომუნიკაციო ტექნიკის სხვა ფორმებით საჯარო გავრცელების შესახებ წარმოადგენს კონფედერაციის საქმეს.

2. რადიოსა და ტელევიზიას შეაქვთ წვლილი განათლებასა და კულტურულ განვითარებაში, აზრის თავისუფალ ფორმირებასა და გართობაში. ისინი ითვალისწინებენ ქვეყნის თავისებურებებსა და კანტონების მოთხოვნილებებს. ისინი მოვლენებს ობიექტურად წარმოაჩენენ და განსხვავებულ მოსაზრებებს ღიად და ადეკვატურად აშუქებენ.

3. რადიოსა და ტელევიზიის თავისუფლება, ასევე პროგრამების შერჩევის ავტონომია გარანტირებულია.

4. ყურადღება ექცევა მედიის სხვა საშუალებების, განსაკუთრებით, პრესის სტატუსსა და ამოცანებს.

5. პროგრამების შესახებ პრეტენზიები შეიძლება წარდგენილ იქნეს დამოუკიდებელ სახელმწიფო ორგანოში.

ნაწილი 7. ეკონომიკა

მუხლი 94. ეკონომიკური წყობის პრინციპები

1. კონფედერაცია და კანტონები იცავენ ეკონომიკური თავისუფლების პრინციპს.

2. ისინი იცავენ ეროვნული ეკონომიკის ინტერესებს და ეკონომიკის კერძო სექტორთან ერთად წვლილი შეაქვთ მოსახლეობის კეთილდღეობასა და ეკონომიკურ უსაფრთხოებაში.

3. ისინი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იღწვიან ეკონომიკის კერძო სექტორისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნისთვის.

4. ეკონომიკური თავისუფლების პრინციპიდან გადახვევა, განსაკუთრებით კონკურენციის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გათვალისწინებულია ფედერალური კონსტიტუციით ან ეფუძნება კანტონების მონოპოლიას.

მუხლი 95. კერძო ეკონომიკური საქმიანობა

1. კონფედერაციას შეუძლია მიიღოს კანონმდებლობა კერძო ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შესახებ.

2. იგი ზრუნავს შვეიცარიის ეკონომიკური სივრცის ერთიანობაზე. იგი უზრუნველყოფს, რომ პირებს, რომლებსაც საუნივერსიტეტო ან შვეიცარიის, კანტონების ან კანტონის მიერ აღიარებული საუნივერსიტეტო განათლების სერტიფიკატი გააჩნიათ, ჰქონდეთ საკუთარი პროფესიული საქმიანობის შვეიცარიის მთელ ტერიტორიაზე განხორციელების შესაძლებლობა.

მუხლი 96. კონკურენციული პოლიტიკა

1. კონფედერაცია იღებს კანონმდებლობას კარტელებსა და კონკურენციის შემზღუდავ სხვა საშუალებებზე ეკონომიკურად ან სოციალურად საზიანო ზეგავლენის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

2. იგი იღებს ზომებს:

ა. ბაზარზე გაბატონებული საწარმოებისა და კერძო და საჯარო სამართლის ორგანიზაციების მიერ ფასების დაწესებისას საკუთარი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად;

ბ. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წინააღმდეგ.

მუხლი 97. მომხმარებელთა დაცვა

1. კონფედერაცია იღებს ზომებს მომხმარებელთა დასაცავად.

2. იგი იღებს კანონმდებლობას მომხმარებელთა ორგანიზაციებისათვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი საშუალებების შესახებ. აღნიშნულ ორგანიზაციებს, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ ფედერალური კანონმდებლობის სფეროში გააჩნიათ იგივე უფლებები, რაც პროფესიულ და ეკონომიკურ გაერთიანებებს.

3. განსაზღვრული ღირებულების დავებისათვის კანტონები ითვალისწინებენ სამმრიგებლო წარმოებას ან მარტივ და სწრაფ სასამართლო წარმოებას. დავის ღირებულების ზღვარს ადგენს ფედერალური საბჭო.

მუხლი 98. ბანკები და დაზღვევა

1. კონფედერაცია იღებს კანონმდებლობას საბანკო და საბირჟო საქმეებზე. ამასთან იგი მხედველობაში იღებს კანტონების ბანკების განსაკუთრებულ ამოცანებსა და მდგომარეობას.

2. მას შეუძლია მიიღოს კანონმდებლობა სხვა სფეროებში ფინანსური მომსახურების შესახებ.

3. იგი იღებს კერძო დაზღვევის შესახებ კანონმდებლობას.

მუხლი 99. ფულადი და სავალუტო პოლიტიკა

1. ფულადი და სავალუტო სფერო წარმოადგენს კონფედერაციის საქმეს. მხოლოდ კონფედერაციას აქვს მონეტების მოჭრისა და ბანკნოტების გამოცემის უფლება.

2. შვეიცარიის ეროვნული ბანკი, როგორც დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკი, წარმართავს ფულად და სავალუტო პოლიტიკას, რომელიც ემსახურება ქვეყნის საერთო ინტერესებს. იგი იმართება კონფედერაციასთან თანამშრომლობითა და ზედამხედველობით.

3. შვეიცარიის ეროვნული ბანკი საკუთარი მოგებიდან ქმნის საკმარის სავალუტო რეზერვებს. აღნიშნული რეზერვების ერთი ნაწილი ინახება ოქროს სახით.

4. შვეიცარიის ეროვნული ბანკის სუფთა მოგების არანაკლებ ორი მესამედი გადაეცემა კანტონებს.

მუხლი 100. ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა

1. კონფედერაცია იღებს ზომებს თანაბარი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით, უმუშევრობისა და სიძვირის თავიდან ასაცილებლად და დასაძლევად.

2. იგი ითვალისწინებს ქვეყნის ცალკეული რეგიონების ეკონომიკურ განვითარებას. იგი თანამშრომლობს კანტონებთან და ეკონომიკურ წრეებთან.

3. მას შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში, ფულად და საკრედიტო, საგარეო ვაჭრობისა და სახელმწიფო ფინანსების სფეროში გადაუხვიოს ეკონომიკური თავისუფლების პრინციპიდან.

4. კონფედერაცია, კანტონები და მუნიციპალიტეტები საბიუჯეტო პოლიტიკაში ითვალისწინებენ ეკონომიკურ განვითარებას.

5. კონფედერაციას შეუძლია ეკონომიკური განვითარების სტაბილიზაციის მიზნით ფედერალურ გადასახადებზე დროებით დააწესოს დანამატი ან შემოიღოს ფასდაკლება. მობილიზებული სახსრები უნდა გაიყინოს. მათი გამოცემის შემდეგ პირდაპირი გადასახადები ანაზღაურდება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, ხოლო არაპირდაპირი გადასახადები გამოიყენება ფასდაკლების უზრუნველსაყოფად ან სამუშაო ადგილების შესაქმნელად.

6. კონფედერაციას შეუძლია მეწარმეებს დააკისროს სამუშაო ადგილების რეზერვების შექმნის ვალდებულება. ამისთვის იგი აწესებს საგადასახადო შეღავათებს და შეუძლია მისი დაკისრება კანტონებსაც დაავალოს. რეზერვების გამოცემის შემდეგ მეწარმეები, კანონით გათვალისწინებული მიზნების ფარგლებში, თავისუფლად წყვეტენ, თუ როგორც გამოიყენონ ისინი.

მუხლი 101. საგარეო ვაჭრობა

1. კონფედერაცია იცავს შვეიცარიის ეკონომიკის ინტერესებს საზღვარგარეთ.

2. განსაკუთრებულ შემთხვევებში მას შეუძლია მიიღოს ზომები ეროვნული ეკონომიკის დასაცავად. საჭიროების შემთხვევაში მას შეუძლია გადაუხვიოს ეკონომიკური თავისუფლების პრინციპიდან.

მუხლი 102. ქვეყნის მომარაგება აუცილებელი საქონლითა და მომსახურებით

1. სამხედრო ან ეკონომიკური ომის საშიშროების შემთხვევებში, ასევე მძიმე დეფიციტისას, რომელთაც ეკონომიკა თვითონ ვერ დაძლევს, კონფედერაცია უზრუნველყოფს ქვეყნის მომარაგებას სიცოცხლისათვის აუცილებელი საქონლითა და მომსახურებით. კონფედერაცია ახორციელებს გარდამავალ ღონისძიებებს.

2. საჭიროების შემთხვევაში მას შეუძლია გადაუხვიოს ეკონომიკის თავისუფლების პრინციპიდან.

მუხლი 103. სტრუქტურული პოლიტიკა

კონფედერაციას შეუძლია დაეხმაროს ქვეყნის ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ რეგიონებს, ასევე ხელი შეუწყოს ეკონომიკის დარგებს და პროფესიებს, როდესაც მათ მიერ მიღებული ზომები არ არის საკმარისი მათი არსებობის უზრუნველსაყოფად. საჭიროების შემთხვევაში მას შეუძლია გადაუხვიოს ეკონომიკური თავისუფლების პრინციპიდან.

მუხლი 104. სოფლის მეურნეობა

1. კონფედერაცია უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის მიერ ხანგრძლივი და ბაზარზე ორიენტირებული პროდუქციის მეშვეობით არსებითი წვლილის შეტანას:

ა) მოსახლეობის მომარაგების უსაფრთხოებაში;

ბ) ბუნებრივი რესურსების დაცვასა და სასოფლო კულტურების მოვლაში;

გ) ქვეყნის დეცენტრალიზებულ დასახლებაში.

2. გარდა სოფლის მეურნეობის მიერ მიღებული თვითდახმარების ზომებისა, საჭიროების შემთხვევაში ეკონომიკური თავისუფლების პრინციპიდან გადახვევის გზით კონფედერაცია ხელს უწყობს საწარმოებს, რომლებიც ემსახურებიან მიწის კულტივაციას.

3. იგი ღონისძიებებს წარმართავს ისე, რომ სოფლის მეურნეობამ შეასრულოს თავისი მრავალჯერადი ამოცანები. მას განსაკუთრებით გააჩნია შემდეგი უფლებები და ამოცანები:

ა) შესრულებული სამუშაოს სამართლიანი და ადეკვატური ანაზღაურებისთვის სასოფლო-სამეურნეო შემოსავლებზე უზრუნველყოს დანამატი, პირდაპირი გადარიცხვებით, ეკოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პირობით;

ბ) ეკონომიკური ინვესტიციების მეშვეობით ხელი შეუწყოს წარმოების ფორმებს, რომლებიც განსაკუთრებით ახლოს არიან ბუნებასთან და გამოირჩევიან გარემოსა და ცხოველებისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით;

გ) მიიღოს კანონმდებლობა სურსათის წარმოშობის, ხარისხის, წარმოებისა და გადამამუშავებელი მეთოდების დეკლარირების შესახებ;

დ) დაიცვას გარემო სასუქის, ქიმიური საშუალებებისა და სხვა დამხმარე ნივთიერებების გადაჭარბებული გამოყენებისაგან გამოწვეული დაბინძურებისაგან;

ე) ხელი შეუწყოს სასოფლო-სამეურნეო კვლევას, კონსულტირებასა და განათლებას, ასევე განახორციელოს ინვესტიციები;

ვ) გამოსცეს კანონმდებლობა სასოფლო-სამეურნეო საკუთრების განმტკიცებისთვის.

4. ამისთვის იგი გაიღებს სოფლის მეურნეობის სფეროდან მობილიზებულ მიზნობრივ და ფედერალურ სახსრებს.

მუხლი 105. ალკოჰოლი

კანონმდებლობა ალკოჰოლური სასმელების წარმოების, შემოტანის, გაწმენდისა და გაყიდვის შესახებ წარმოადგენს კონფედერაციის საქმეს. კონფედერაცია განსაკუთრებით იღებს მხედველობაში ალკოჰოლის მოხმარების მავნე გავლენას.

მუხლი 106. აზარტული თამაშები

1. კანონმდებლობა აზარტული თამაშებისა და ლატარიების შესახებ წარმოადგენს კონფედერაციის საქმეს.

2. სამორინეების დაარსებისა და მართვისთვის საჭიროა კონფედერაციის ლიცენზია. ლიცენზიის გაცემისას კონფედერაცია მხედველობაში იღებს რეგიონალურ თავისებურებებსა და აზარტული თამაშებიდან გამომდინარე საფრთხეს.

3. კონფედერაცია სამორინეებისთვის აწესებს საშემოსავლო გადასახადს. აღნიშნული გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს სამორინეების საერთო შემოსავლის 80 პროცენტს. იგი გამოიყენება მოხუცებულთა, მარჩენალდაკარგულთა და ინვალიდების უზრუნველმყოფი ფედერალური სუბსიდიების დასაფარავად.

4. მოგების შესაძლებლობის მქონე სათამაშო აპარატების დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს კანტონების საქმეს.

მუხლი 107. იარაღი და საბრძოლო მასალა

1. კონფედერაცია იღებს კანონმდებლობას იარაღის, იარაღის ნაწილებისა და ამუნიციის ბოროტად გამოყენების შესახებ.

2. იგი იღებს კანონმდებლობას საბრძოლო მასალის წარმოების, შეძენის და ყიდვა-გაყიდვის, ასევე შემოტანის, გატანის და გადაზიდვის შესახებ.

ნაწილი 8. ბინათმშენებლობა, სამუშაო, სოციალური უსაფრთხოება და ჯანმრთელობა

მუხლი 108. ბინათმშენებლობისა და ბინის საკუთრების ხელშეწყობა

1. კონფედერაცია ხელს უწყობს ბინათმშენებლობას, ბინის საკუთრების უფლებას, რაც კერძო პირთა პირად მოთხოვნილებებს ემსახურება, ასევე საზოგადოებრივ ბინათმშენებლობაში ორგანიზაციების საქმიანობას.

2. იგი განსაკუთრებით უწყობს ხელს მშენებლობის მიზნით მიწის შეძენასა და განვითარებას, ბინათმშენებლობის რაციონალიზაციასა და გაიაფებას, ასევე საბინაო ხარჯების შემცირებას.

3. მას შეუძლია გამოსცეს კანონმდებლობა ბინათმშენებლობისათვის მიწის განვითარებისა და მშენებლობის რაციონალიზაციის შესახებ.

4. აღნიშნულის განხორციელებისას იგი განსაკუთრებით ითვალისწინებს ოჯახის, ხანდაზმულთა და შრომისუუნაროთა ინტერესებს.

მუხლი 109. საიჯარო ურთიერთობები

1. კონფედერაცია იღებს კანონმდებლობას საიჯარო ურთიერთობების სფეროში მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, კერძოდ გაუმართლებელი საიჯარო ქირის წინააღმდეგ, ასევე ურთიერთობების შეწყვეტის შესახებ უსამართლო შეტყობინების თავიდან აცილებისა და საიჯარო ურთიერთობების შეზღუდულ ხანგრძლივობაზე.

2. მას შეუძლია მიიღოს კანონმდებლობა მესაკუთრესა და მფლობელს შორის გენერალური საიჯარო ხელშეკრულებების საყოველთაო სავალდებულოდ გამოცხადების შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულებები საყოველთაო სავალდებულოდ შეიძლება გამოცხადდეს, თუ ისინი მხედველობაში იღებენ უმცირესობის ინტერესებსა და რეგიონალურ თავისებურებებს და ზიანს არ აყენებენ კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს.

მუხლი 110. შრომა

1. კონფედერაციას შეუძლია მიიღოს კანონმდებლობა:

ა) მოსამსახურეთა დაცვის შესახებ;

ბ) დამსაქმებელსა და მოსამსახურეს შორის ურთიერთობის, განსაკუთრებით საწარმოო და პროფესიული საკითხების ერთობლივი რეგულირების შესახებ;

გ) დასაქმების სამსახურების შესახებ;

დ) კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებისათვის ზოგადსავალდებულო ძალის მინიჭების შესახებ.

2. კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებები შეიძლება გახდეს ზოგადსავალდებულო, თუ ისინი ნათლად ითვალისწინებენ უმცირესობების ინტერესებს, ანგარიშს უწევენ რეგიონალურ თავისებურებებსა და პატივს სცემენ კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს, ასევე გაერთიანების თავისუფლებას.

3. პირველი აგვისტო არის ეროვნული დღესასწაული. შრომის სამართლის მიხედვით იგი უთანაბრდება დასვენების დღეს — კვირას და ანაზღაურდება.

მუხლი 111. მოხუცებულთა, მარჩენალდაკარგულთა და შრომისუუნაროთა სოციალური უსაფრთხოება

1. კონფედერაცია იღებს ზომებს მოხუცებულთა, მარჩენალდაკარგულთა და შრომისუუნაროთა სოციალური უსაფრთხოების შესახებ. იგი ეფუძნება სამ ასპექტს, კერძოდ, მოხუცებულთა, მარჩენალდაკარგულთა და შრომისუუნაროთა სოციალურ უზრუნველყოფას, მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფასა და ამ პირთა საკუთარი მომავლის უზრუნველყოფას.

2. კონფედერაცია უზრუნველყოფს, რომ მოხუცებულთა, მარჩენალდაკარგულთა და შრომისუუნაროთა ფედერალურმა სოციალურმა დაზღვევამ, ასევე მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფამ ხანგრძლივად შეასრულოს საკუთარი მიზნები.

3. კონფედერაციას შეუძლია დაავალდებულოს კანტონები, რომ საგადასახადო ვალდებულებებისგან გაათავისუფლონ მოხუცებულთა, მარჩენალდაკარგულთა და შრომისუუნაროთა დაზღვევის, ასევე მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებები და დაზღვეულებსა და მათ დამსაქმებლებს შენატანებსა და მომავალი სარგებლობის უფლებაზე შეუმსუბუქონ გადასახადები.

4. კონფედერაცია კანტონებთან თანამშრომლობით ხელს უწყობს პირებს საკუთარი მომავლის უზრუნველყოფაში, განსაკუთრებით, საგადასახადო და მესაკუთრეობის წამახალისებელი პოლიტიკით.

მუხლი 112. მოხუცებულთა, მარჩენალდაკარგულთა და შრომისუუნაროთა დაზღვევა

1. კონფედერაცია იღებს კანონმდებლობას მოხუცებულთა, მარჩენალდაკარგულთა და შრომისუუნაროთა დაზღვევის შესახებ.

2. აღნიშნულის განხორციელებისას იგი უნდა იცავდეს შემდეგ პრინციპებს:

ა) დაზღვევა უნდა იყოს სავალდებულო;

ბ) პენსიის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს საარსებო მინიმუმის მოთხოვნებს;

გ) მაქსიმალური პენსია არ უნდა აღემატებოდეს მინიმალური პენსიის ორმაგ ოდენობას;

დ) პენსიის ოდენობა ფასების განვითარებას მაინც უნდა შეესაბამებოდეს.

3. დაზღვევა ფინანსდება:

ა) დაზღვეულების შენატანებით. ამასთან, დამსაქმებლები იხდიან მათი მოსამსახურეების შენატანების ნახევარს;

ბ) კონფედერაციის სუბსიდიებით, ხოლო თუ ამას კანონი ითვალისწინებს – კანტონების სუბსიდიებითაც.

4. კონფედერაციისა და კანტონების სუბსიდიები ერთად არ უნდა აღემატებოდეს ხარჯების ნახევარს.

5. კონფედერაციის სუბსიდიები, უპირველეს ყოვლისა, იფარება თამბაქოს, სპირტიანი სასმელებისა და სამორინეების საქმიანობიდან მიღებული შემოსავლიდან.

6. კონფედერაცია ხელს უწყობს შრომისუუნაროთა საზოგადოებაში ინტეგრაციას და მხარს უჭერს მოხუცებულთა, მარჩენალდაკარგულთა და შრომისუუნაროთა საკეთილდღეოდ მიმართულ სწრაფვას. აღნიშნული მიზნით, მას შეუძლია გამოიყენოს მოხუცებულთა, მარჩენალდაკარგულთა და შრომისუუნაროთა დაზღვევიდან მიღებული ფინანსური საშუალებები.

მუხლი 113. მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფა

1. კონფედერაცია იღებს საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ კანონმდებლობას.

2. აღნიშნულის განხორციელებისას იგი იცავს შემდეგ პრინციპებს:

ა) მოხუცებულთა, მარჩენალდაკარგულთა და შრომისუუნაროთა დაზღვევასთან ერთად მოსამსახურეთა საპენსიო დაზღვევა უნდა უზრუნველყოფდეს ცხოვრების წესის წინანდელი ფორმით შენარჩუნებას;

ბ) მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფა სავალდებულო უნდა იყოს მოსამსახურეებისათვის. კანონმა შეიძლება გაითვალისწინოს გამონაკლისები;

გ) დამსაქმებლები უნდა აზღვევდნენ მათ მოსამსახურეებს საპენსიო დაწესებულებაში. საჭიროების შემთხვევაში კონფედერაცია აძლევს მათ შესაძლებლობას მოსამსახურეები დააზღვიონ ფედერალურ საპენსიო დაწესებულებაში;

დ) თვითდასაქმებულ პირებს ნებაყოფლობით უნდა შეეძლოთ საკუთარი თავის საპენსიო დაზღვევა ნებისმიერ საპენსიო დაწესებულებაში;

ე) კონფედერაციას უნდა შეეძლოს, რომ თვითდასაქმებულ პირთა გარკვეული ჯგუფებისათვის, საყოველთაოდ ან ცალკეულ რისკებთან დაკავშირებით მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფა სავალებულოდ გამოაცხადოს.

3. მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფა ფინანსდება დაზღვეულ პირთა შენატანებით, ამასთან, დამსაქმებლები იხდიან მათ მოსამსახურეთა შენატანების არანაკლებ ნახევარს.

4. მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებები უნდა აკმაყოფილებდნენ ფედერალურ დონეზე დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს. კონფედერაციას შეუძლია განსაკუთრებული ამოცანების გადასაწყვეტად განახორციელოს ეროვნული მასშტაბის ღონისძიებები.

მუხლი 114. უმუშევრობის დაზღვევა

1. კონფედერაცია იღებს უმუშევრობის დაზღვევის შესახებ კანონმდებლობას.

2. აღნიშნულის განხორციელებისას იგი იცავს შემდეგ პრინციპებს:

ა) დაზღვევამ უნდა უზრუნველყოს შემოსავლის დაკარგვით გამოწვეული ზიანის შესაბამისი კომპენსაცია და მხარი დაუჭიროს უმუშევრობის თავიდან აცილებისა და მისი დაძლევისაკენ მიმართულ ღონისძიებებს;

ბ) მოსამსახურეებისათვის დაზღვევა სავალდებულოა. კანონმა შეიძლება გაითვალისწინოს გამონაკლისები;

გ) თვითდასაქმებულ პირთათვის დაზღვევა ნებაყოფლობითია.

3. უმუშევრობის დაზღვევა ფინანსდება დაზღვეულ პირთა შენატანებით, ამასთან, დამსაქმებლები იხდიან მათი მოსამსახურების შენატანების ნახევარს.

4. განსაკუთრებულ შემთხვევებში კონფედერაცია და კანტონები ახორციელებენ სუბსიდირებას.

5. კონფედერაციას შეუძლია მიიღოს კანონმდებლობა უმუშევართა სოციალური დახმარების შესახებ.

მუხლი 115. უქონელ პირთა დახმარება

უქონელი პირები დახმარებას იღებენ იმ კანტონისგან, რომელშიც ცხოვრობენ. კონფედერაცია ადგენს გამონაკლისებს და განსაზღვრავს კომპეტენტურ ორგანოებს.

მუხლი 116. ოჯახის დახმარება და დედობის დაზღვევა

1. საკუთარი ამოცანების შესრულებისას კონფედერაცია მხედველობაში იღებს ოჯახის მოთხოვნილებებს. მას შეუძლია მხარი დაუჭიროს ოჯახის დასაცავად მიმართულ ღონისძიებებს.

2. მას შეუძლია მიიღოს კანონმდებლობა ოჯახის დახმარების შესახებ და მართოს ოჯახის საკომპენსაციო ფედერალური ფონდი.

3. იგი აწესებს დედობის დაზღვევას. მას შეუძლია შენატანების შეტანის ვალდებულება იმ პირებსაც დააკისროს, ვინც აღნიშნული სახის დაზღვევით არ სარგებლობს.

4. კონფედერაციას შეუძლია ოჯახის საკომპენსაციო ფედერალურ ფონდში გაერთიანება და დედობის დაზღვევაში მონაწილეობა ყველასთვის ან მოსახლეობის ცალკეული ჯგუფებისათვის სავალდებულოდ გამოაცხადოს და მის მიერ გაცემული სუბსიდიები კანტონების სამართლიან სუბსიდიებს დაუქვემდებაროს.

მუხლი 117. ავადმყოფობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევა

1. კონფედერაცია იღებს კანონმდებლობას ავადმყოფობის და უბედური შემთხვევის დაზღვევის შესახებ.

2. მას შეუძლია ავადმყოფობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევა ყველასთვის ან მოსახლეობის ცალკეული ჯგუფებისათვის სავალდებულოდ გამოაცხადოს.

მუხლი 118. ჯანმრთელობის დაცვა

1. კონფედერაცია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იღებს ზომებს ჯანმრთელობის დასაცავად.

2. იგი იღებს კანონმდებლობას:

ა) სურსათ-სანოვაგისა და სამკურნალო საშუალებების, ასევე ნარკოტიკული საშუალებების, ორგანიზმების, ქიმიური ნივთიერებებისა და ჯანმრთელობისათვის საშიში საგნების გამოყენების შესახებ;

ბ) ადამიანთა და ცხოველთა ინფექციური, ფართოდ გავრცელებული და განსაკუთრებულად საშიში დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;

გ) იონიზირებული სხივებისგან დაცვის შესახებ.

მუხლი 119. რეპროდუქციული მედიცინა და გენური ტექნოლოგია ადამიანთა სფეროში

1. ადამიანი დაცულია რეპროდუქციული მედიცინისა და გენური ტექნოლოგიის ბოროტად გამოყენებისგან.

2. კონფედერაცია იღებს კანონმდებლობას ადამიანის რეპროდუქციული და გენეტიკური მასალის გამოყენების შესახებ. იგი უზრუნველყოფს ადამიანის ღირსების, პიროვნებისა და ოჯახის დაცვას და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს შემდეგ პრინციპებს:

ა) კლონირებისა და ადამიანის რეპროდუქციული უჯრედებისა და ემბრიონების გენეტიკურ მასალაში ყოველი ფორმით ჩარევის დაუშვებლობას;

ბ) არაადამიანური წარმოშობის რეპროდუქციული და გენეტიკური მასალის ადამიანის რეპროდუქციულ მასალაში შეყვანისა ან აღრევის დაუშვებლობას;

გ) სამედიცინო მეთოდებით რეპროდუქციის საშუალებების მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოყენებას, როდესაც სხვაგვარად შეუძლებელია უნაყოფობის მკურნალობა ან მძიმე დაავადების გადაცემის საფრთხის თავიდან აცილება, მაგრამ არა ბავშვში გარკვეული თავისებურებების გამოწვევის ან მასზე კვლევის ჩატარების მიზნით. ადამიანის კვერცხუჯრედების ქალის სხეულის გარეთ განაყოფიერება დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილ პირობებში. ქალის სხეულის გარეთ დასაშვებია ადამიანის მხოლოდ იმდენი კვერცხუჯრედის ემბრიონად განვითარება, რამდენის ჩასახვაც დაუყოვნებლივ არის შესაძლებელი;

დ) ემბრიონის გაცემისა და სუროგატული დედობის ყველა ფორმის აკრძალვას;

ე) ადამიანის რეპროდუქციული მასალითა და ემბრიონიდან მიღებული პროდუქტით ვაჭრობის დაუშვებლობას;

ვ) პიროვნების გენეტიკური მასალა შეიძლება გამოკვლეული, რეგისტრირებული ან საჯარო გახდეს მხოლოდ ამ პირის თანახმობით, ან თუ აღნიშნული დადგენილია კანონით;

ზ) ყოველ ადამიანს აქვს მისი წარმომავლობის შესახებ მონაცემების გაცნობის უფლება.

მუხლი 119ა. სამედიცინო ტრანსპლანტაცია

1. კონფედერაცია იღებს კანონმდებლობას ორგანოების, ქსოვილებისა და უჯრედების ტრანსპლანტაციის სფეროში.

2. იგი განსაკუთრებით ადგენს ორგანოების სამართლიანი განაწილების კრიტერიუმებს.

3. ადამიანის ორგანოების, ქსოვილებისა და უჯრედების გაცემა უფასოა. ადამიანების ორგანოებით ვაჭრობა აკრძალულია.

მუხლი 120. გენური ტექნოლოგია ადამიანურ სფეროს მიღმა

1. ადამიანი და მისი გარემო დაცულია გენური ტექნოლოგიის ბოროტად გამოყენებისაგან.

2. კონფედერაცია იღებს კანონმდებლობას ცხოველთა, მცენარეთა და სხვა ორგანიზმების რეპროდუქციული და გენეტიკური მასალის გამოყენების შესახებ. იგი მხედველობაში იღებს ქმნილების ღირსებასა და ადამიანის, ცხოველისა და გარემოს უსაფრთხოებას და იცავს ცხოველთა და მცენარეთა ჯიშების მრავალფეროვნებას.

ნაწილი 9. უცხოელთა ბინადრობა და დასახლება

მუხლი 121.

1. კანონმდებლობა უცხოელთა იმიგრაციის, ემიგრაციის, ბინადრობისა და დასახლების, ასევე მათთვის თავშესაფრის მიცემის შესახებ წარმოადგენს კონფედერაციის საქმეს.

2. უცხოელები შეიძლება გაძევებულ იქნენ შვეიცარიიდან, თუ ისინი საფრთხეს შეუქმნიან ქვეყნის უშიშროებას.

ნაწილი 10. სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი, ზომა-წონა

მუხლი 122. სამოქალაქო სამართალი

1. სამოქალაქო სამართლებრივი კანონმდებლობა წარმოადგენს კონფედერაციის საქმეს.

2. სასამართლოები, სასამართლო წარმოების ორგანიზაცია და სამოქალაქო სამართლებრივი მართლმსაჯულება წარმოადგენს კანტონების კომპეტენციას.

3. სამოქალაქო საქმეებზე მიღებული კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება ექვემდებარება აღსრულებას შვეიცარიის მთელ ტერიტორიაზე.

მუხლი 123. სისხლის სამართალი

1. სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობა წარმოადგენს კონფედერაციის საქმეს.

2. სასამართლოების ორგანიზაცია, სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულება, ასევე სასჯელისა და სისხლის სამართლებრივი ღონისძიებების აღსრულება წარმოადგენს კანტონების საქმეს, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. კონფედერაციას შეუძლია კანტონებს გამოუყოს სუბსიდიები:

ა) ინსტიტუტების აგებისთვის;

ბ) სასჯელისა და სისხლის სამართლებრივი ღონისძიებების აღსრულების გაუმჯობესებისათვის;

გ) ბავშვების, ახალგაზრდებისა და მოზრდილთა აღმზრდელობითი დაწესებულებების მხარდასაჭერად.

მუხლი 123ა. გამასწორებელი სამუშაოები განსაკუთრებით საშიში დამნაშავეებისათვის

1. თუ გაუპატიურების ან სხვა ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენი პირი საექსპერტო დასკვნის შესაბამისად დაპატიმრებულ უნდა იქნეს როგორც განსაკუთრებით საშიში დამნაშავე და არ არსებობს მკურნალობის საშუალება, იგი შესაძლებელია ციხეში მოთავსებულ იქნეს სამუდამოდ დანაშაულის განმეორებით ჩადენის მაღალი რისკის გამო. ვადამდელი ან დროებითი გათავისუფლება აკრძალულია.

2. ახალი საექსპერტო შემოწმება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ახალი სამეცნიერო ფაქტების შესაბამისად დამნაშავემ შესაძლებელია წარმატებით გაიაროს თერაპიის კურსი და აღარ წარმოადგენდეს საშიშს საზოგადოებისათვის. ახალი შემოწმების შედეგების საფუძველზე გათავისუფლების შემთხვევაში, გათავისუფლებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული სააგენტო პასუხისმგებელია განმეორებით ჩადენილი დანაშაულისათვის.

3. საექსპერტო დასკვნა გაუპატიურების ან სხვა ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენი პირის შესახებ წარმოდგენილ უნდა იქნეს სულ მცირე ორი დამოუკიდებელი და გამოცდილი ექსპერტის მიერ ყველა შესაბამის ფაქტზე დაყრდნობით.

მუხლი 124. დანაშაულებრივი ქმედების მსხვერპლთა დახმარება

კონფედერაცია და კანტონები უზრუნველყოფენ, რომ პირებმა, რომელთა ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ ან სქესობრივ ხელშეუხებლობას დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიადგა ზიანი, მიიღონ დახმარება და შესაბამისი კომპენსაცია, თუ ისინი დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მძიმე ეკონომიკურ გაჭირვებას განიცდიან.

მუხლი 125. ზომა-წონა

კანონმდებლობა ზომა-წონის შესახებ წარმოადგენს კონფედერაციის საქმეს.

თავი 3. ფინანსები

მუხლი 126. ბიუჯეტის მართვა

1. კონფედერაცია უზრუნველყოფს შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსის ხანგრძლივი დროით შენარჩუნებას.

2. ბიუჯეტის პროექტში მოწონებული საერთო ხარჯების მაქსიმუმი განისაზღვრება სავარაუდო შემოსავლების მიხედვით, ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

3. გადახდის მოთხოვნის განსაკუთრებულ შემთხვევებში, თანხის მაქსიმუმი მე-2 პუნქტის შესაბამისად შეიძლება ადეკვატურად გაიზარდოს. გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფედერალური კრება 159-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის მიხედვით.

4. თუ სახელმწიფო ანგარიშში ასახული ერთიანი ხარჯები მე-2 ან მე-3 პუნქტის შესაბამისად გადააჭარბებს თანხის მაქსიმუმს, გადაჭარბებული ხარჯები ანაზღაურდება მომდევნო წლებში.

5. დეტალებს არეგულირებს კანონი.

მუხლი 127. გადასახადით დაბეგვრის პრინციპები

1. გადასახადით დაბეგვრის ძირითადი პრინციპები, განსაკუთრებით, გადასახადის გადამხდელთა წრე, გადასახადით დაბეგვრის ობიექტი და გამოანგარიშება დგინდება კანონით.

2. იმდენად, რამდენადაც ამის შესაძლებლობას იძლევა გადასახადის ბუნება, განსაკუთრებით ყურადღება ექცევა გადასახადებით დაბეგვრის საყოველთაობისა და თანასწორობის პრინციპებს, ასევე ეკონომიკური შესაძლებლობების მიხედვით დაბეგვრის პრინციპს.

3. კანტონთაშორისო ორმაგი დაბეგვრა აკრძალულია. კონფედერაცია იღებს აუცილებელ ზომებს.

მუხლი 128. პირდაპირი გადასახადები

1. კონფედერაციას შეუძლია დააწესოს პირდაპირი გადასახადები:

ა) ფიზიკური პირების შემოსავალზე - არა უმეტეს 11.5 პროცენტისა;

ბ) იურიდიული პირების სუფთა მოგებაზე - არა უმეტეს 9.8 პროცენტისა;

გ) იურიდიული პირების კაპიტალსა და რეზერვებზე არა უმეტეს 0.0825 პროცენტისა.

2. ტარიფების დადგენისას კონფედერაცია მხედველობაში იღებს კანტონებისა და მუნიციპალიტეტების პირდაპირი გადასახადებით დატვირთვას.

3. ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი პერიოდულად გადაისინჯება ინფლაციის შედეგების მიხედვით.

4. გადასახადები ფასდება და გროვდება კანტონების მიერ. საგადასახადო შემოსავლის ორი მესამედი რჩებათ კანტონებს. აღნიშნული თანხის არანაკლებ ერთი მეექვსედი გამოიყენება კანტონებს შორის ფინანსური თანასწორობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 129. გადასახადების ჰარმონიზაცია

1. კონფედერაცია ადგენს პრინციპებს კონფედერაციის, კანტონებისა და მუნიციპალიტეტების პირდაპირი გადასახადების ჰარმონიზაციის შესახებ. იგი ითვალისწინებს კანტონების მისწრაფებებს თავიანთი გადასახადების ჰარმონიზაციისკენ.

2. ჰარმონიზაცია ვრცელდება გადასახადების გადახდის ვალდებულებაზე, საგადასახადო დაბეგვრის ობიექტზე, გადასახადების გადახდის ვადაზე, საპროცესო და გადასახადებით დაბეგვრის შესახებ სისხლის სამართალზე. ჰარმონიზაცია არ მოიცავს საგადასახადო ტარიფებს, გადასახადის პროცენტს, გადასახდებისგან განთავისუფლების ოდენობას.

3. კონფედერაციას შეუძლია მიიღოს კანონმდებლობა გაუმართლებელი საგადასახადო შეღავათების წინააღმდეგ.

მუხლი 130. დამატებითი ღირებულების გადასახადი

1. კონფედერაციას შეუძლია საქონლითა და მომსახურებით მომარაგებაზე, მათ შორის პირადი მოხმარების ჩათვლით, ასევე იმპორტზე დააწესოს დამატებითი ღირებულების გადასახადი არა უმეტეს 6.5 პროცენტის ოდენობით.

2. საგადასახადო შემოსავლის 5 პროცენტი გამოიყენება დაბალი შემოსავლების მქონე ჯგუფების სასარგებლოდ მიმართული ღონისძიებებისათვის.

3. თუ ასაკობრივი სტრუქტურის განვითარების გამო მოხუცებულთა, მარჩენალდაკარგულთა და შრომისუუნაროთა დაზღვევა აღარ არის უზრუნველყოფილი, ასეთ შემთხვევაში დამატებითი ღირებულების გადასახადის პროცენტი შეიძლება გაიზარდოს ფედერალური კანონით, მაგრამ არა უმეტეს 1 საპროცენტო განაკვეთისა.

მუხლი 131. განსაკუთრებული მოხმარების გადასახადი

1. კონფედერაციას შეუძლია განსაკუთრებული მოხმარების გადასახადი დააწესოს:

ა) თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმზე;

ბ) სპირტიან სასმელებზე;

გ) ლუდზე;

დ) ავტომანქანებსა და მათ ნაწილებზე;

ე) ნავთობზე, სხვა მინერალურ საწვავზე, ბუნებრივ გაზზე და მათი გადამუშავებიდან მიღებულ პროდუქტებზე, ასევე საწვავზე.

2. მას შეუძლია საწვავის მოხმარების გადასახადზე დააწესოს დანამატი.

3. სპირტიანი სასმელების დაბეგვრიდან მიღებული საგადასახადო შემოსავლების 10 პროცენტს იღებენ კანტონები. აღნიშნული სახსრები გამოიყენება სპირტიანი სასმელებისადმი მიდრეკილების მიზეზებისა და შედეგების წინააღმდეგ.

მუხლი 132. საგერბო მარკა და დასაქვითი გადასახადი

1. კონფედერაციას შეუძლია ფასიან ქაღალდებზე, სადაზღვევო პოლისების ქვითრებსა და სხვა სავაჭრო დოკუმენტებზე დააწესოს საგერბო მარკის გადასახადი. საგერბო მარკის გადასახადისგან თავისუფლდება უძრავი ქონების მართვასა და იპოთეკასთან დაკავშირებული დოკუმენტები.

2. კონფედერაციას შეუძლია მოძრავი ქონებიდან მიღებულ შემოსავალზე, ლატარიებიდან მიღებულ მოგებაზე და სადაზღვევო სარგებელზე დააწესოს დასაქვითი გადასახადი.

მუხლი 133. ბაჟი

კანონმდებლობა ბაჟისა და ტრანს-სასაზღვრო საქონელზე სხვა გადასახადების შესახებ წარმოადგენს კონფედერაციის საქმეს.

მუხლი 134. კანტონალური და მუნიციპალური დაბეგვრის დაუშვებლობა

რაც ფედერალური კანონმდებლობით წარმოადგენს დამატებითი ღირებულების გადასახადით, განსაკუთრებული მოხმარების გადასახადით, საგერბო მარკის გადასახადით და დასაქვითი გადასახადით დაბეგვრის ობიექტს ან გადასახადებისგან თავისუფალია, არ შეიძლება კანტონების ან მუნიციპალიტეტების მიერ იმავე სახის გადასახადებით დაიბეგროს.

მუხლი 135. ფინანსური თანასწორობა

1. კონფედერაცია ხელს უწყობს კანტონებს შორის ფინანსურ თანასწორობას.

2. იგი ითვალისწინებს კანტონების და მთიანი რეგიონების ფინანსურ შესაძლებლობებს.

კარი 4.
ხალხი და კანტონები
თავი 1.
ზოგადი დებულებები

მუხლი 136. პოლიტიკური უფლებები

1. პოლიტიკური უფლებები ფედერალურ საქმეებზე გააჩნია ყველა შვეიცარიელს, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი და რომელიც ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო ქმედუუნაროდ არ არის ცნობილი. ყველას აქვს თანაბარი პოლიტიკური უფლებები და მოვალეობები.

2. მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ეროვნული საბჭოს არჩევნებში და კონფედერაციის კენჭისყრებში, ასევე წამოიწყონ და ხელი მოაწერონ სახალხო ინიციატივებსა და რეფერენდუმებს ფედერალურ საქმეებზე.

მუხლი 137. პოლიტიკური პარტიები

პოლიტიკური პარტიები მონაწილეობენ ხალხის აზრისა და ნების ფორმირებაში.

თავი 2.
ინიციატივა და რეფერენდუმი

მუხლი 138. სახალხო ინიციატივა ფედერალური კონსტიტუციის სრულ გადასინჯვაზე

1. საარჩევნო უფლების მქონე 100 000 მოქალაქეს უფლება აქვს მათი ინიციატივის ოფიციალური გამოქვეყნებიდან 18 თვის განმავლობაში შეიტანოს წინადადება ფედერალური კონსტიტუციის სრული გადასინჯვის შესახებ.

2. აღნიშნული წინადადება დასამტკიცებლად კენჭისყრაზე უნდა წარედგინოს ხალხს.

მუხლი 139. სახალხო ინიციატივა ფედერალური კონსტიტუციის ნაწილობრივ გადასინჯვაზე

1. საარჩევნო უფლების მქონე 100 000 მოქალაქეს უფლება აქვს მათი ინიციატივით შემუშავებული პროექტის მეშვეობით, მისი ოფიციალური გამოქვეყნებიდან 18 თვის განმავლობაში შეიტანოს წინადადება ფედერალური კონსტიტუციის ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ.

2. თუ ინიციატივა არღვევს ფორმისა და საგნის ერთიანობის პრინციპებს ან საერთაშორისო სამართლის სავალდებულო დებულებებს, ფედერალური კრება მას ნაწილობრივ ან მთლიანად ბათილად სცნობს.

3. პროექტის სახით ჩამოყალიბებული ინიციატივა კენჭისყრისათვის წარედგინება ხალხს და კანტონებს. ფედერალური კრება რეკომენდაციას უწევს ინიციატივის მიღებას ან უარყოფას. თუ ფედერალური კრება რეკომენდაციას იძლევა მის უარყოფაზე, უფლება აქვს ინიციატივას დაუპირისპიროს თავისი კონტრპროექტი.

მუხლი 139ა. საერთო სახალხო ინიციატივა

1. საარჩევნო უფლების მქონე 100 000 მოქალაქეს უფლება აქვს მათი ინიციატივის საყოველთაო წინადადების ფორმით ოფიციალური გამოქვეყნებიდან 18 თვის განმავლობაში მოითხოვოს კონსტიტუციური ან საკანონმდებლო დებულებების მიღება, შეცვლა ან გაუქმება.

2. თუ ინიციატივა არღვევს ფორმის ან საგნის ერთიანობის პრინციპებს ან საერთაშორისო სამართლის სავალდებულო დებულებებს, ფედერალური კრება მას ნაწილობრივ ან მთლიანად ბათილად სცნობს.

3. თუ ფედერალური კრება ინიციატივას ეთანხმება, იგი მას განახორციელებს ფედერალურ კონსტიტუციაში ან ფედერალურ კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილების შეტანით.

4. ფედერალური კრება უფლებამოსილია ინიციატივის აზრის შესაბამისად, ცვლილებას დაუპირისპიროს კონტრპროექტი. ფედერალური კონსტიტუციის ცვლილება და მისი კონტრპროექტი კენჭისყრისათვის წარედგინება ხალხს და კანტონებს. ფედერალური კანონმდებლობის ცვლილება და მისი კონტრპროექტი კენჭისყრისათვის წარედგინება ხალხს.

5. თუ ფედერალური კრება ინიციატივას უარყოფს, მაშინ იგი აღნიშნულ ინიციატივას კენჭისყრისთვის წარუდგენს ხალხს. თუ ინიციატივა მიღებული იქნება, ფედერალური კრება მას განახორციელებს ფედერალურ კონსტიტუციაში ან ფედერალურ კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილების შეტანით.

მუხლი 139ბ. ინიციატივის პროცედურა და კონტრპროექტი

1. საარჩევნო უფლების მქონე პირები ერთდროულად აძლევენ ხმას:

ა) სახალხო ინიციატივას ან მის შესაბამის ცვლილებას და

ბ) ფედერალური კრების კონტრპროექტს.

2. მათ შეუძლიათ ხმა მისცენ ორივე პროექტს. მათ უფლება აქვთ, საარჩევნო ბიულეტენში მიუთითონ, თუ რომელ პროექტს ანიჭებენ უპირატესობას ორივეს მიღების შემთხვევაში.

3. თუ სავარაუდო კონსტიტუციური ცვლილებების შესახებ საარჩევნო ბიულეტენების მეშვეობით ერთი პროექტი მიიღებს ხალხის, ხოლო მეორე პროექტი - კანტონების ხმების უმრავლესობას, ძალაში შევა ის პროექტი, რომელიც საარჩევნო ბიულეტენში პროცენტული შეფარდებით ხალხის ხმებისა და კანტონების ხმების უმრავლესობას მიიღებს.

მუხლი 140. სავალდებულო რეფერენდუმი

1. ხალხსა და კანტონებს კენჭისყრისათვის წარედგინება:

ა) ფედერალური კონსტიტუციის გადასინჯვა;

ბ) კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციაში ან ზეეროვნულ გაერთიანებებში შესვლა;

გ) გადაუდებლად გამოცხადებული ფედერალური კანონები, რომლებსაც არ გააჩნიათ კონსტიტუციური საფუძველი და რომელთა მოქმედების ვადა ერთ წელიწადზე მეტია. აღნიშნული კანონები კენჭისყრისთვის უნდა წარედგინოს ხალხს ფედერალური კრების მიერ მათი მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში.

2. ხალხს კენჭისყრისათვის წარედგინება:

ა) სახალხო ინიციატივა ფედერალური კონსტიტუციის სრულ გადასინჯვაზე;

ბ) საყოველთაო წინადადების ფორმით გამოხატული სახალხო ინიციატივა ფედერალური კონსტიტუციის ნაწილობრივ გადასინჯვაზე, რომელიც უარყოფილი იქნა ფედერალური კრების მიერ;

გ) საკითხი იმის თაობაზე, უნდა განხორციელდეს თუ არა ფედერალური კონსტიტუციის სრული გადასინჯვა პალატების შეუთანხმებლობის შემთხვევაში.

მუხლი 141. ფაკულტატური რეფერენდუმი

1. პროექტის ოფიციალური გამოქვეყნებიდან 100 დღის განმავლობაში, საარჩევნო უფლების მქონე 50 000 მოქალაქის ან რვა კანტონის მოთხოვნით, ხალხს კენჭისყრისათვის წარედგინება:

ა) ფედერალური კანონები;

ბ) გადაუდებლად გამოცხადებული ფედერალური კანონები, რომელთა მოქმედების ვადა ერთ წელს აღემატება;

გ) ფედერალური დადგენილებები, თუ ამას ითვალისწინებს კონსტიტუცია ან კანონი;

დ) საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც:

1. შეზღუდული არ არის დროით და არ შეიძლება შეწყდეს;

2. ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციაში შესვლას;

3. შეიცავს მნიშვნელოვან საკანონმდებლო დებულებებს, ან რომელთა განხორციელება საჭიროებს ფედერალური კანონების მიღებას.

მუხლი 142. საჭირო უმრავლესობა

1. პროექტები, რომლებიც კენჭისყრისათვის წარედგინება ხალხს, მიღებულად ითვლება, თუ მათ მხარს დაუჭერს ამომრჩეველთა უმრავლესობა.

2. პროექტები, რომლებიც კენჭისყრისათვის წარედგინება ხალხს და კანტონებს, მიღებულად ითვლება, თუ მათ მხარს დაუჭერს ამომრჩეველთა და კანტონების უმრავლესობა.

3. სახალხო კენჭისყრის შედეგი კანტონში ნიშნავს ამ კანტონის ხმას.

4. კანტონებს ობვალდენს, ნიდვალდენს, ბაზელ-ქალაქს, ბაზელ-მიწას, აპენცელ აუსეროდენს და აპენცელ ინეროდენს გააჩნიათ ნახევარი კანტონის ხმა.

კარი 5.
ფედერალური ორგანოები

თავი 1.
ზოგადი დებულებები

მუხლი 143. არჩევითობა

ეროვნულ საბჭოში, ფედერალურ საბჭოსა და ფედერალურ სასამართლოში შეიძლება არჩეულ იქნეს საარჩევნო უფლების მქონე ნებისმიერი მოქალაქე.

მუხლი 144. შეუთავსებლობა

1. ეროვნული საბჭოს, კანტონების საბჭოსა და ფედერალური საბჭოს წევრები, ასევე ფედერალური სასამართლოების მოსამართლეები არ შეიძლება იმავდროულად იყვნენ რომელიმე სხვა აღნიშნული ორგანოს წევრები.

2. ფედერალური საბჭოს წევრებსა და ფედერალური სასამართლოს მოსამართლეებს უფლება არ აქვთ ეკავოთ რაიმე სხვა თანამდებობა ფედერალურ ან კანტონების დონეზე ან ეწეოდნენ სხვა სამეწარმეო საქმიანობას.

3. კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს შეუთავსებლობის სხვა შემთხვევებიც.

მუხლი 145. უფლებამოსილების ვადა

ეროვნული საბჭოსა და ფედერალური საბჭოს წევრები, ასევე ფედერალური კანცლერი, აირჩევა 4 წლის ვადით. მოსამართლეების თანამდებობაზე გამწესების ვადა შეადგენს 6 წელს.

მუხლი 146. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა

კონფედერაცია პასუხისმგებელია სახელმწიფო ორგანოების მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას კანონსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული ზიანისათვის.

მუხლი 147. მოსმენები და კონსულტაციები

მნიშვნელოვანი კანონმდებლობის, სხვა არსებითი კოლიზიის შემცველი და მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებების მოსამზადებლად, საკუთარი მოსაზრების დასაფიქსირებლად მოიწვევიან კანტონები, პოლიტიკური პარტიები და დაინტერესებული წრეები.

თავი 2.
ფედერალური კრება

ნაწილი 1. ორგანიზაცია

მუხლი 148. სტატუსი

1. ხალხისა და კანტონების უფლებების დაცვით, კონფედერაციის უმაღლეს ხელისუფლებას ახორციელებს ფედერალური კრება.

2. ფედერალური კრება შედგება ორი პალატის: ეროვნული საბჭოსა და კანტონების საბჭოსგან. ორივე პალატა თანასწორუფლებიანია.

მუხლი 149. ეროვნული საბჭოს შემადგენლობა და არჩევნები

1. ეროვნული საბჭო შედგება შვეიცარიელი ხალხის 200 დეპუტატისგან.

2. დეპუტატები აირჩევიან ხალხის მიერ პირდაპირი, პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე. ეროვნული საბჭოს შემადგენლობა სრულად განახლდება ყოველ ოთხ წელიწადში.

3. ყოველი კანტონი წარმოადგენს ერთ საარჩევნო ოლქს.

4. ადგილები ეროვნულ საბჭოში ნაწილდება კანტონების მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად. ყოველი კანტონი წარმოდგენილია არანაკლებ ერთი ადგილით.

მუხლი 150. კანტონების საბჭოს შემადგენლობა და არჩევნები

1. კანტონების საბჭო შედგება კანტონების 46 წარმომადგენლისგან.

2. კანტონები ობვალდენი, ნიდვალდენი, ბაზელ-ქალაქი, ბაზელ-მიწა, აპენცელ აუსეროდენი და აპენცელ ინეროდენი ირჩევენ თითო წარმომადგენელს, დანარჩენი კანტონები — ორ-ორს.

3. კანტონების საბჭოს არჩევნებს არეგულირებენ კანტონები.

მუხლი 151. სესიები

1. პალატები რეგულარულად იკრიბებიან სესიებზე. პალატების მოწვევის წესს განსაზღვრავს კანონი.

2. ეროვნული საბჭოს, კანტონების საბჭოს ან ფედერალური საბჭოს წევრთა ერთ მეოთხედს შეუძლია მოითხოვოს რიგგარეშე სესიის მოწვევა.

მუხლი 152. ხელმძღვანელობა

ყოველი პალატა საკუთარი შემადგენლობიდან ერთი წლის ვადით ირჩევს თავმჯდომარესა და თავმჯდომარის პირველ და მეორე მოადგილეებს. მომდევნო წელს აღნიშნულ თანამდებობაზე პირის განმეორებითი არჩევა დაუშვებელია.

მუხლი 153. საპარლამენტო კომისიები

1. ყოველი პალატა თავისი შემადგენლობიდან ქმნის კომისიებს.

2. კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს გაერთიანებული კომისიებიც.

3. კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს კომისიებისათვის ცალკეული, არასაკანონმდებლო ხასიათის უფლებამოსილებების გადაცემა.

4. საკუთარი ამოცანების შესასრულებლად კომისიები აღჭურვილია ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გამოთხოვისა და გამოძიების ჩატარების უფლებებით. აღნიშნული უფლებამოსილებების ფარგლები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 154. ფრაქციები

ფედერალური კრების წევრებს შეუძლიათ შექმნან ფრაქციები.

მუხლი 155. პარლამენტის სამსახურები

ფედერალურ კრებას გააჩნია საპარლამენტო სამსახურები. მას შეუძლია ასევე ისარგებლოს ფედერალური ადმინისტრაციის სამსახურებით. გამონაკლისებს არეგულირებს კანონი.

ნაწილი 2. პროცედურა

მუხლი 156. განცალკევებული საქმის მოსმენა

1. ეროვნული საბჭო და კანტონების საბჭო საქმის მოსმენებს ატარებენ ცალ-ცალკე.

2. ფედერალური კრების გადაწყვეტილებები საჭიროებს ორივე პალატის თანხმობას.

3. კანონი ითვალისწინებს დებულებებს, რომლებიც პალატების შეუთანხმებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფენ გადაწყვეტილებების ნამდვილობას შემდეგ საკითხებზე:

ა) სახალხო ინიციატივის მთლიანი ან ნაწილობრივი ბათილობა;

ბ) ხალხის მიერ მიღებული საერთო-სახალხო ინიციატივის განხორციელება;

გ) ფედერალური კონსტიტუციის სრული გადასინჯვის დაწყების შესახებ ხალხის მიერ მხარდაჭერილი ფედერალური გადაწყვეტილებების განხორციელება;

დ) ბიუჯეტი ან დანართი.

მუხლი 157. გაერთიანებული საქმის მოსმენა

1. ეროვნული საბჭო და კანტონების საბჭო საქმის მოსმენებს ატარებენ ერთობლივად, გაერთიანებული ფედერალური კრების სახით ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის ხელმძღვანელობით, შემდეგ საკითხებზე:

ა) არჩევნების ჩატარებაზე;

ბ) უმაღლეს ფედერალურ ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე არსებული დავის გადაწყვეტაზე;

გ) შეწყალების განხორციელებაზე.

2. გარდა ამისა, გაერთიანებული ფედერალური კრება იკრიბება განსაკუთრებული მიზეზების არსებობისას და ფედერალური საბჭოს მოხსენების მოსასმენად.

მუხლი 158. სხდომების საჯაროობა

პალატების სხდომები საჯაროა. კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს გამონაკლისები.

მუხლი 159. კვორუმი და უმრავლესობა

1. პალატები უფლებამოსილნი არიან დაიწყონ საქმის მოსმენა, თუ სხდომას ესწრება წევრთა უმრავლესობა.

2. ორივე პალატისა და გაერთიანებული ფედერალური კრების გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრაში მონაწილეთა უმრავლესობით.

3. მიუხედავად ამისა, თითოეული პალატის წევრთა უმრავლესობის თანხმობას საჭიროებს:

ა) ფედერალური კანონის გადაუდებლად გამოცხადება;

ბ) დებულებები სუბსიდიების გაცემის, საკრედიტო ლიმიტების განსაზღვრისა და ხარჯვის ფარგლების დადგენის შესახებ, რომლებიც 20 მილიონ ფრანკზე დიდი ოდენობის ახალ ერთჯერად ან 2 მილიონ ფრანკზე დიდი ოდენობის ახალ მიმდინარე ხარჯებს იწვევს;

გ) 126-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გადახდის მოთხოვნის განსაკუთრებულ. შემთხვევებში საერთო ხარჯების გაზრდა.

4. ფედერალურ კრებას შეუძლია მე-3 პუნქტის შესაბამისად ორდონანსით შეუსაბამოს ინფლაციის ოდენობა.

მუხლი 160. ინიციატივისა და წინადადების უფლება

1. ფედერალური კრების ყოველ წევრს, ფრაქციას, საპარლამენტო კომისიასა და ყოველ კანტონს ფედერალურ კრებაში აქვს ინიციატივის უფლება.

2. ფედერალური კრების წევრებსა და ფედერალურ საბჭოს უფლება აქვთ დააყენონ წინადადება განხილვის სტადიაზე მყოფ საქმეებთან დაკავშირებით.

მუხლი 161. იმპერატიული მანდატის აკრძალვა

1. ფედერალური კრების წევრები ხმას აძლევენ მითითებების გარეშე.

2. ისინი თავიანთ კავშირებს ამყარებენ საჯაროდ.

მუხლი 162. იმუნიტეტი

1. ფედერალური კრებისა და ფედერალური საბჭოს წევრებს, ასევე ფედერალურ კანცლერს არ შეიძლება დაეკისროთ სამართლებრივი პასუხისმგებლობა პალატებსა და მათ ორგანოებში გაკეთებული განცხადებებისათვის.

2. კანონმა შეიძლება გაითვალისწინოს იმუნიტეტის სხვა ფორმები და ისინი სხვა პირებზეც გაავრცელოს.

ნაწილი 3. უფლებამოსილება

მუხლი 163. ფედერალური კრების აქტების ფორმები

1. ფედერალური კრება საკანონმდებლო აქტებს გამოსცემს ფედერალური კანონის ან ორდონანსის ფორმით.

2. დანარჩენი აქტები გამოიცემა ფედერალური დადგენილებების ფორმით. ფედერალური დადგენილება, რომელიც არ საჭიროებს რეფერენდუმის ჩატარებას, იწოდება მარტივ ფედერალურ დადგენილებად.

მუხლი 164. კანონმდებლობა

1. ყველა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო დებულება უნდა გამოიცეს ფედერალური კანონის ფორმით. მათ მიეკუთვნება ძირითადი დებულებები, რომლებიც შეეხება:

ა) პოლიტიკური უფლებების განხორციელებას;

ბ) კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვას;

გ) პირთა უფლებებსა და მოვალეობებს;

დ) გადასახადის გადამხდელთა წრეს; ასევე გადასახადების საგანსა და გამოანგარიშებას;

ე) კონფედერაციის ამოცანებსა და მომსახურებას;

ვ) ფედერალური სამართლის განხორციელებისა და აღსრულებისას კანტონების ვალდებულებებს;

ზ) ფედერალური ორგანოების ორგანიზაციასა და პროცედურას.

2. საკანონმდებლო აქტების გამოცემის უფლება შეიძლება დელეგირებულ იქნეს ფედერალური კანონით, თუ ეს ფედერალური კონსტიტუციით არ არის აკრძალული.

მუხლი 165. გადაუდებელი კანონმდებლობა

1. ფედერალური კანონი, რომლის ძალაში შესვლაც არ შეიძლება გადაიდოს, თითოეული პალატის წევრთა უმრავლესობის მიერ შეიძლება გადაუდებლად გამოცხადდეს და ძალაში შეეიდეს დაუყოვნებლივ. იგი შეზღუდული უნდა იყოს ვადით.

2. თუ გადაუდებლად გამოცხადებული ფედერალური კანონი რეფერენდუმის ჩატარებას საჭიროებს, იგი კარგავს ძალას ფედერალური კრების მიერ მისი მიღებიდან ერთი წლის შემდეგ, თუ აღნიშნული ვადის განმავლობაში ხალხის მიერ არ იქნება მიღებული.

3. გადაუდებლად გამოცხადებული ფედერალური კანონი, რომელსაც არ გააჩნია კონსტიტუციური საფუძველი, ფედერალური კრების მიერ მისი მიღებიდან ერთი წლის შემდეგს კარგავს ძალას, თუ აღნიშნული ვადის განმავლობაში ხალხისა და კანტონების მიერ არ იქნება მიღებული. იგი შეზღუდული უნდა იყოს ვადით.

4. გადაუდებლად გამოცხადებული ფედერალური კანონი, რომელიც არ იქნა მიღებული კენჭისყრის შედეგად, არ შეიძლება განახლდეს.

მუხლი 166. საგარეო ურთიერთობები და საერთაშორისო ხელშეკრულებები

1. ფედერალური კრება მონაწილეობს საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში და ზედამხედველობს საგარეო ურთიერთობებს.

2. ფედერალური კრება ამტკიცებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, გარდა იმ ხელშეკრულებებისა, რომელთა დადებაც კანონის ან საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე ფედერალური საბჭოს უფლებამოსილებას წარმოადგენს.

მუხლი 167. ფინანსები

ფედერალური კრება განსაზღვრავს კონფედერაციის გასავლების ოდენობას, იღებს ბიუჯეტის პროექტს და ამტკიცებს სახელმწიფო ანგარიშს.

მუხლი 168. არჩევნები

1. ფედერალური კრება ირჩევს ფედერალური საბჭოს წევრებს, ფედერალურ კანცლერს, ფედერალური უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებსა და მთავარსარდალს.

2. კანონით ფედერალურ კრებას შეიძლება მიენიჭოს უფლება, ჩაატაროს შემდგომი არჩევნები ან დაამტკიცოს დანიშვნები.

მუხლი 169. უმაღლესი ზედამხედველობა

1. ფედერალური კრება ახორციელებს უმაღლეს ზედამხედველობას ფედერალურ საბჭოზე და ფედერალურ ადმინისტრაციაზე, ფედერალური სასამართლოების მოსამართლეებსა და კონფედერაციის ამოცანების განმახორციელებელ სხვა ორგანოებზე.

2. კანონის შესაბამისად დანიშნულ საზედამხედველო კომისიების სპეციალურ დელეგაციებს არ შეიძლება დაეკისროს საიდუმლოების შენახვის ვალდებულება.

მუხლი 170. ეფექტურობის შეფასება

ფედერალური კრება ზრუნავს კონფედერაციის მიერ გატარებული ღონისძიებების ეფექტურობის შეფასებაზე.

მუხლი 171. ინსტრუქციები ფედერალური საბჭოს მიმართ

ფედერალური კრება უფლებამოსილია ფედერალურ საბჭოს მისცეს ინსტრუქციები. კანონი განსაზღვრავს დეტალებს და განსაკუთრებით იმ საშუალებებს, რომელთა გამოყენება ფედერალურ კრებას შეუძლია ფედერალური საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებში გავლენის მოსახდენად.

მუხლი 172. კონფედერაციასა და კანტონებს შორის ურთიერთობა

1. ფედერალური კრება ზრუნავს კონფედერაციისა და კანტონების ურთიერთობების განმტკიცებაზე.

2. ფედერალური კრება არის კანტონების კონსტიტუციების დაცვის გარანტი.

3. ფედერალური კრება ამტკიცებს კანტონთაშორისო და კანტონების ხელშეკრულებებს სხვა ქვეყნებთან, როდესაც აღნიშნული ხელშეკრულების თაობაზე პროტესტს გამოთქვამს ფედერალური საბჭო ან კანტონი.

მუხლი 173. სხვა ამოცანები და უფლებამოსილებები

1. ფედერალურ კრებას ასევე გააჩნია შემდეგი ამოცანები და უფლებამოსილებები:

ა) ქვეყნის საგარეო უსაფრთხოების, დამოუკიდებლობისა და ნეიტრალიტეტის დასაცავად ზომების მიღება;

ბ) ქვეყნის საშინაო უსაფრთხოების დასაცავად ზომების მიღება;

გ) როდესაც ამას მოითხოვს საგანგებო გარემოებები, „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული ამოცანების შესრულების მიზნით ორდონანსებისა და მარტივი ფედერალური დადგენილებების გამოცემა;

დ) მოქმედი სამხედრო სამსახურის დაწესება და ამისთვის ჯარის ან მისი ნაწილების მობილიზაცია;

ე) ფედერალური სამართლის განსახორციელებლად ზომების მიღება;

ვ) სახალხო ინიციატივის ნამდვილობის გადაწყვეტა, როდესაც იგი აკმაყოფილებს ოფიციალურ მოთხოვნებს;

ზ) მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმიანობის დაგეგმვაში მონაწილეობა;

თ) ინდივიდუალური აქტების მიღება, თუ ამას სპეციალურად ითვალისწინებს ფედერალური კანონი;

ი) უმაღლეს ფედერალურ ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე დავების გადაწყვეტა;

კ) შეწყალებისა და ამნისტიის გამოცხადება.

2. გარდა ამისა, ფედერალური კრება აწარმოებს საქმეებს, რომლებიც შედის კონფედერაციის უფლებამოსილებებში, მაგრამ არ განეკუთვნება არც ერთ სხვა ფედერალურ ორგანოს.

3. კანონით ფედერალურ კრებას შეიძლება მიეკუთვნოს სხვა ამოცანები და უფლებამოსილებები.

თავი 3.
ფედერალური საბჭო და ფედერალური ადმინისტრაცია

ნაწილი 1. ორგანიზაცია და პროცედურა

მუხლი 174. ფედერალური საბჭო

კონფედერაციის უმაღლეს მმართველობით და აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს ფედერალური საბჭო.

მუხლი 175. შემადგენლობა და არჩევნები

1. ფედერალური საბჭო შედგება შვიდი წევრისგან.

2. ფედერალური საბჭოს წევრები აირჩევიან ფედერალური კრების მიერ, ეროვნული საბჭოს ყოველი სრული განახლებისას.

3. ფედერალური საბჭოს წევრები აირჩევიან ოთხი წლის ვადით ეროვნულ საბჭოში არჩევის უფლების მქონე შვეიცარიის მოქალაქეთაგან.

4. ამასთან, ყურადღება ექცევა იმას, რომ ქვეყნის გეოგრაფიული და ენობრივი რეგიონები წარმოდგენილნი იყვნენ თანაბრად.

მუხლი 176. თავმჯდომარეობა

1. ფედერალურ საბჭოს თავმჯდომარეობს კონფედერაციის პრეზიდენტი.

2. კონფედერაციის პრეზიდენტი და ფედერალური საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი აირჩევიან ფედერალური კრების მიერ ფედერალური საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან ერთი წლის ვადით.

3. მომდევნო წელს ხელახალი არჩევა დაუშვებელია. პრეზიდენტი (ვიცე-პრეზიდენტი) არ შეიძლება არჩეულ იქნეს მომდევნო წელს. კონფედერაციის პრეზიდენტი არ შეიძლება მომდევნო წელს არჩეულ იქნეს ვიცე-პრეზიდენტად.

მუხლი 177. კოლექტიური უფლებამოსილებისა და დეპარტამენტებად დაყოფის პრინციპი

1. ფედერალური საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს კოლეგიალურად.

2. ფედერალური საბჭოს საკითხები მოსამზადებლად და შესასრულებლად ნაწილდება მის წევრებს შორის დეპარტამენტების მიხედვით.

3. დეპარტამენტებს ან მათ დაქვემდებარებაში მყოფ ადმინისტრაციულ ერთეულებს გადაეცემათ საკითხები დამოუკიდებლად გადასაწყვეტად. ასეთ შემთხვევებში გარანტირებული უნდა იყოს სამართლებრივი საშუალებით დაცვის უფლება.

მუხლი 178. ფედერალური ადმინისტრაცია

1. ფედერალურ ადმინისტრაციას ხელმძღვანელობს ფედერალური საბჭო. ფედერალური საბჭო უზრუნველყოფს ფედერალური ადმინისტრაციის ეფექტურ ორგანიზაციას და მისი ამოცანების ნაყოფიერად შესრულებას.

2. ფედერალური ადმინისტრაცია იყოფა დეპარტამენტებად. ყოველ დეპარტამენტს ხელმძღვანელობს ფედერალური საბჭოს ერთი წევრი.

3. კანონმა შესაძლოა მმართველობითი ამოცანები მიაკუთვნოს საჯარო ან კერძო სამართლის ორგანიზაციებს და პირებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ფედერალური ადმინისტრაციის ორგანოებს.

მუხლი 179. ფედერალური კანცელარია

ფედერალური კანცელარია წარმოადგენს ფედერალური საბჭოს ძირითად მომსახურე პერსონალს. ფედერალურ კანცელარიას ხელმძღვანელობს ფედერალური კანცლერი.

ნაწილი 2. უფლებამოსილება

მუხლი 180. სამთავრობო პოლიტიკა

1. ფედერალური საბჭო განსაზღვრავს სამთავრობო პოლიტიკის მიზნებს და მათი განხორციელების საშუალებებს. საბჭო გეგმავს და კოორდინაციას უწევს სახელმწიფო საქმიანობას.

2. ფედერალური საბჭო საზოგადოებას დროგამოშვებით აწვდის ყოვლისმომცველ ინფორმაციას თავისი საქმიანობის შესახებ, თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება უპირატეს საჯარო ან კერძო ინტერესებს.

მუხლი 181. ინიციატივის უფლება

ფედერალური საბჭო კანონპროექტებს წარუდგენს ფედერალურ კრებას.

მუხლი 182. კანონმდებლობა და განხორციელება

1. ფედერალური საბჭო სამართლებრივ აქტებს გამოსცემს ორდონანსების ფორმით, თუ აღნიშნული უფლებამოსილება მას მინიჭებული აქვს კონსტიტუციით ან კანონით.

2. ფედერალური საბჭო უზრუნველყოფს კანონების, ფედერალური კრების დადგენილებებისა და სასამართლო ორგანოთა გადაწყვეტილებების აღსრულებას.

მუხლი 183. ფინანსები

1. ფედერალური საბჭო შეიმუშავებს საფინანსო გეგმას, ბიუჯეტის პროექტს და ადგენს სახელმწიფო ანგარიშს.

2. ფედერალური საბჭო უზრუნველყოფს სწორ ფინანსურ მენეჯმენტს.

მუხლი 184. საგარეო ურთიერთობები

1. ფედერალური საბჭო აწარმოებს საგარეო ურთიერთობებს, ფედერალური კრების მონაწილეობის უფლების დაცვით. იგი წარმოადგენს შვეიცარიას საზღვარგარეთ.

2. ფედერალური საბჭო ხელს აწერს საერთაშორისო ხელშეკრულებებს და ახდენს მათ რატიფიცირებას. იგი ამ ხელშეკრულებებს დასამტკიცებლად წარუდგენს ფედერალურ კრებას.

3. ფედერალური საბჭო უფლებამოსილია გამოსცეს ორდონანსები და ბრძანებები, როდესაც ამას მოითხოვს ქვეყნის ინტერესების დაცვა. ორდონანსები გამოიცემა განსაზღვრული ვადით.

მუხლი 185. საშინაო და საგარეო უსაფრთხოება

1. ფედერალური საბჭო იღებს ზომებს შვეიცარიის საგარეო უსაფრთხოების, დამოუკიდებლობისა და ნეიტრალიტეტის დასაცავად.

2. ფედერალური საბჭო იღებს ზომებს ქვეყნის საშინაო უსაფრთხოების დასაცავად.

3. ფედერალური საბჭო უფლებამოსილია საზოგადოებრივი წესრიგის, საშინაო ან საგარეო უშიშროების უშუალო ხელყოფის ან ასეთი ხელყოფის საფრთხის არსებობის შემთხვევაში, უშუალოდ მოცემულ მუხლზე დაყრდნობით გამოსცეს ორდონანსები და ბრძანებები. აღნიშნული აქტები გამოიცემა განსაზღვრული ვადით.

4. გადაუდებელ შემთხვევებში ფედერალური საბჭო უფლებამოსილია მოახდინოს ჯარის მობილიზაცია. თუ აქტიური სამხედრო სამსახურისთვის მობილიზებული იქნება 4 000 ჯარისკაცზე მეტი ან აღნიშნული მობილიზა-

ცია საკარაუდოდ შესაძლოა სამ კვირაზე მეტი ვადით გაგრძელდეს, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მოწვეული ფედერალური კრება.

მუხლი 186. კონფედერაციასა და კანტონებს შორის ურთიერთობა

1. ფედერალური საბჭო ზრუნავს კონფედერაციის კანტონებთან ურთიერთობებზე და თანამშრომლობს მათთან.

2. ფედერალური საბჭო ამტკიცებს კანტონების კანონმდებლობას, როდესაც ამას მოითხოვს ფედერალური სამართლის განხორციელება.

3. ფედერალური საბჭო უფლებამოსილია გაასაჩივროს კანტონებს შორის, ასევე კანტონებსა და სხვა სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებები.

4. ფედერალური საბჭო უზრუნველყოფს ფედერალური სამართლის, ასევე კანტონების კონსტიტუციებისა და კანტონთაშორისო ხელშეკრულებების განხორციელებას და ამისათვის ატარებს აუცილებელ ღონისძიებებს.

მუხლი 187. სხვა ამოცანები და უფლებამოსილებები

1. ფედერალურ საბჭოს ასევე გააჩნია შემდეგი ამოცანები და უფლებამოსილებები:

ა) ფედერალური ადმინისტრაციისა და კონფედერაციის ამოცანების განხორციელებაზე უფლებამოსილი სხვა ორგანიზაციებისა და პირების ზედამხედველობა;

ბ) ფედერალური კრებისთვის ინფორმაციის სისტემატურად მიწოდება საკუთარი გაწეული საქმიანობისა და შვეიცარიის საერთო მდგომარეობის შესახებ;

გ) დანიშვნების განხორციელება, თუ ეს არ შედის არც ერთი სხვა ორგანოს უფლებამოსილებაში;

დ) საჩივრების განხილვა, თუ ამას ითვალისწინებს კანონი.

2. კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ფედერალური საბჭოსთვის სხვა ამოცანებისა და უფლებამოსილებების გადაცემაც.

თავი 4.
ფედერალური სასამართლო და სხვა სასამართლო ორგანოები

მუხლი 188. სტატუსი

1. ფედერალური უზენაესი სასამართლო არის კონფედერაციის უმაღლესი სასამართლო ორგანო.

2. მის ორგანიზაციასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს კანონი.

3. ფედერალურ უზენაეს სასამართლოს გააჩნია საკუთარი ადმინისტრაცია.

4. ფედერალური უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევისას ფედერალური კრება მხედველობაში იღებს ოფიციალური ენების წარმომადგენლობას.

მუხლი 189. უზენაესი კონსტიტუციური მართლმსაჯულება

1. ფედერალური უზენაესი სასამართლო იხილავს:

ა) საჩივრებს კონსტიტუციური უფლებების დარღვევის თაობაზე;

ბ) საჩივრებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელით, მუნიციპალიტეტების ავტონომიისა და კანტონების სხვა გარანტიების დარღვევის თაობაზე;

გ) საჩივრებს საერთაშორისო ან კანტონთაშორისო ხელშეკრულებების დარღვევის თაობაზე;

დ) კონფედერაციასა და კანტონებს ან კანტონებს შორის საჯარო-სამართლებრივ დავებს.

2. კანონმა ფედერალურ უზენაეს სასამართლოს შეიძლება დააკისროს სხვა უფლებამოსილებებიც.

მუხლი 190. სამოქალაქო, სისხლის და საჯარო სამართლებრივი იურისდიქცია

1. კანონი განსაზღვრავს ფედერალური უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სისხლის და საჯარო სამართლებრივ, ასევე სამართლის სხვა დარგებთან დაკავშირებულ იურისდიქციას.

2. კანტონებს უფლება აქვთ ფედერალური კრების თანხმობით, ფედერალურ უზენაეს სასამართლოს განსახილველად გადასცენ კანტონების საჯარო სამართლის შესახებ დავები.

მუხლი 191. უპირატესი სამართალი

ფედერალურ კანონებსა და საერთაშორისო საჯარო სამართალს ფედერალური უზენაესი სასამართლოსათვის და სხვა სამართალგამოყენებითი სახელმწიფო ორგანოებისათვის აქვს უპირატესი იურიდიული ძალა.

მუხლი 191ა. კონფედერაციის სხვა სასამართლო ორგანოები

1. კონფედერაცია ქმნის სისხლის სამართლის სასამართლოს, რომელიც, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო, განიხილავს სისხლის სამართლის საქმეებს, რომელთაც კანონი კონფედერაციის მართლმსაჯულებას მიაკუთვნებს. კანონმა შეიძლება ფედერალურ სისხლის სამართლის სასამართლოს მიანიჭოს სხვა უფლებამოსილებებიც.

2. კონფედერაცია ფედერალური ადმინისტრაციის იურისდიქციას მიკუთვნებული საჯარო სამართლებრივი დავების განსახილველად ქმნის სასამართლო ორგანოებს.

3. კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს კონფედერაციის სხვა სასამართლო ორგანოების არსებობაც.

მუხლი 191ბ. ამოღებულია

მუხლი 191გ. ამოღებულია

ᲙᲐᲠᲘ 6.
ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲘᲜᲯᲕᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ

ᲗᲐᲕᲘ 1. ᲒᲐᲓᲐᲡᲘᲜᲯᲕᲐ

მუხლი 192. პრინციპი

1. ფედერალური კონსტიტუცია შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ გადაისინჯოს ნებისმიერ დროს.

2. თუ ფედერალური კონსტიტუცია და მოქმედი კანონმდებლობა სხვა რამეს არ ითვალისწინებს, გადასინჯვა ხორციელდება საკანონმდებლო პროცედურით.

მუხლი 193. სრული გადასინჯვა

1. ფედერალური კონსტიტუციის სრული გადასინჯვა შეიძლება წარდგენილ იქნეს ხალხის ან ერთ-ერთი პალატის მიერ ან დადგენილ იქნეს ფედერალური კრების მიერ.

2. თუ ინიციატივა მომდინარეობს ხალხისგან ან პალატები ვერ შეთანხმდებიან, სრული გადასინჯვის ჩატარებაზე გადაწყვეტილებას იღებს ხალხი.

3. თუ ხალხი მხარს დაუჭერს ფედერალური კონსტიტუციის სრულ გადასინჯვას, ორივე პალატა ხელახლა აირჩევა.

4. არ შეიძლება დაირღვევს საერთაშორისო სამართლის სავალდებულო დებულებები.

მუხლი 194. ნაწილობრივი გადასინჯვა

1. ფედერალური კონსტიტუციის ნაწილობრივი გადასინჯვა შეიძლება მოითხოვოს ხალხმა ან დადგენილ იქნეს ფედერალური კრების მიერ.

2. ნაწილობრივი გადასინჯვისას დაცული უნდა იყოს საგნის მთლიანობა; მან არ უნდა დაარღვიოს საერთაშორისო სამართლის სავალდებულო დებულებები.

3. ამასთან, ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ სახალხო ინიციატივისას დაცული უნდა იყოს ფორმის მთლიანობის პრინციპი.

მუხლი 195. ძალაში შესვლა

სრულად ან ნაწილობრივ გადასინჯული ფედერალური კონსტიტუცია ძალაში შედის ხალხისა და კანტონების მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

თავი 2.
გარდამავალი დებულებები

მუხლი 196. გარდამავალი დებულებები ახალი ფედერალური კონსტიტუციის შესახებ, 1998 წლის 18 დეკემბრის ფედერალური აქტის შესაბამისად

1. გარდამავალი დებულება 84-ე მუხლის შესახებ (ალპების გადამკვეთი ტრანზიტული მოძრაობა)

ტრანზიტული მოძრაობის გზებიდან რკინიგზაზე გადატანა უნდა დასრულდეს ალპური რეგიონის ტრანზიტული მოძრაობისგან დაცვის შესახებ სახალხო ინიციატივის დამტკიცებიდან ათი წლის ვადაში.

2. გარდამავალი დებულება 85-ე მუხლის შესახებ (გადასახადი საქვირთო ტრანსპორტზე)

1. კონფედერაცია აწესებს წლიურ გადასახადს საერთო მოძრაობისათვის თავისუფალი გზებით სარგებლობისათვის შვეიცარიაში და საზღვარგარეთ რეგისტრირებული ყოველი მოტოსატრანსპორტო საშუალებისა და მოსაბმელისთვის, რომელთა საერთო წონა აღემატება 3.5 ტონას.

2. აღნიშნული გადასახადებია:

ა) საქვირთო ავტომობილებისა და მოტოსაპრანსპორტო საშუალებებისათვის, მათი საერთო წონის მიხედვით:

3.5 ტონიდან 12 ტონამდე – 650 ფრანკი;

12 ტონიდან 18 ტონამდე – 2000 ფრანკი;

18 ტონიდან 26 ტონამდე – 3000 ფრანკი;

26 ტონის ზევით – 4000 ფრანკი;

ბ) მისაბმელებისთვის:

3.5 ტონიდან 8 ტონამდე – 650 ფრანკი;

8 ტონიდან 10 ტონამდე – 1500 ფრანკი;

10 ტონის ზევით – 2000 ფრანკი;

გ) ავტობუსებისთვის – 650 ფრანკი.

3. საგადასახადო ტარიფები რეგულირდება ფედერალური კანონით, იმ ფარგლებში, რამდენადაც ეს გამართლებული იქნება საგზაო მოძრაობასთან დაკავშირებული ხარჯებით.

4. გარდა ამისა, ფედერალურ საბჭოს შეუძლია ორდონანსის გამოცემით მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი ტარიფების კატეგორია 12 ტონის ზევით მიუსადაგოს საგზაო მოძრაობის შესახებ 1958 წლის 19 დეკემბრის კანონით განსაზღვრული წონითი კატეგორიების ყველა შესაძლო ცვლილებას.

5. იმ სატრანსპორტო საშუალებების საგადასახადო ტარიფებს, რომლებსაც მთელი წლის მანძილზე არ უსარგებლიათ შვეიცარიის ტერიტორიაზე არსებული გზებით, განსაზღვრავს ფედერალური საბჭო, გადასახადების აკრეფასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით.

6. აღსრულებას არეგულირებს ფედერალური საბჭო. მას შეუძლია სატრანსპორტო საშუალებების სპეციალური კატეგორიებისთვის დაწესოს მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ტარიფები, განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალებები გაანთავისუფლოს გადასახადისგან და განსაკუთრებით სასაზღვრო რეგიონში მოძრაობისთვის მიიღოს სპეციალური წესები. ამ წესების შესაბამისად საზღვარგარეთ რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებები არ უნდა აღმოჩნდეს უპირატეს მდგომარეობაში შვეიცარიაში რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებებთან შედარებით. ფედერალურ საბჭოს დარღვევებისათვის შეუძლია გაითვალისწინოს საჯარიმო სანქციები. შვეიცარიაში რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებებზე გადასახადებს კრეფენ კანტონები.

7. კანონით შესაძლებელია აღნიშნული გადასახადის მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმება.

8. აღნიშნული მუხლი მოქმედებს სატვირთო ტრანსპორტის გადასახადის შესახებ 1997 წლის 19 დეკემბრის ფედერალური კანონის ძალაში შესვლამდე.

3. გარდამავალი დებულება 87-ე მუხლის შესახებ (რკინიგზა და მოძრაობის სხვა საშუალებები)

1. დიდი სარკინიგზო პროექტები მოიცავს ახალ სარკინიგზო-ალპურ გადაკვეთას, რელსს 2000-ს, აღმოსავლეთ და დასავლეთ შვეიცარიის ევროპის მაღალსიჩქარიან სარკინიგზო ქსელთან მიერთებას, ასევე სარკინიგზო გზებიდან გამოწვეული ხმაურის წინააღმდეგ აქტიური და პასიური ღონისძიებების გატარებას.

2. დიდი სარკინიგზო პროექტების დასაფინანსებლად ფედერალურ საბჭოს შეუძლია:

ა. 85-ე მუხლით განსაზღვრული შესაძლებლობაზე და მოხმარებაზე დამოკიდებული მძიმე ტრანსპორტის გადასახადის ძალაში შესვლამდე გამოიყენოს 196-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი სატვირთო ტრანსპორტის გადასახადიდან მიღებული სრული შემოსავალი და საგადასახადო განაკვეთები ამ მიზნით გაზარდოს არა უმეტეს 100 პროცენტამდე;

ბ. გამოიყენოს 85-ე მუხლით გათვალისწინებული, შესაძლებლობაზე ან მოხმარებაზე დამოკიდებული სატვირთო ტრანსპორტის გადასახადიდან მიღებული შემოსავლის არა უმეტეს ორი მესამედი;

გ. გამოიყენოს 86-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მინერალური საწვავის დაბეგვრიდან მიღებული შემოსავალი, იმისათვის, რომ დაფაროს ახალი სარკინიგზო-ალპური გადაკვეთის ძირითადი სალიანდაგო ხაზების საერთო ღირებულების 25 პროცენტი;

დ. საქონლის ბაზრიდან მოიზიდოს სახსრები, მაგრამ ახალი სარკინიგზო-ალპური გადაკვეთის, რელსი 2000-ის და აღმოსავლეთ და დასავლეთ შვეიცარიის მაღალსიჩქარიან ევროპის სარკინიგზო ქსელთან მიერთების საერთო ღირებულების არა უმეტეს 25 პროცენტისა;

ე. მოიზიდოს 196-ე მუხლის მე-14 პუნქტსა და 130-ე მუხლში დადგენილი დამატებითი ღირებულების გადასახადის 1 პროცენტი;

ვ. გაითვალისწინოს კერძო წყაროებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან დამატებითი დაფინანსება.

3. დიდი სარკინიგზო პროექტების დაფინანსება, პირველი პუნქტის შესაბამისად, ხორციელდება კონფედერაციაზე სამართლებრივად დამოკიდებული ფონდის მეშვეობით, მაგრამ გააჩნია განცალკევებული ანგარიშები. მე-2 პუნქტში მითითებული გადასახადებიდან მიღებული სახსრები მიიჩნევა კონფედერაციის ფინანსურ ანგარიშებად და იმავე წელს გადაეცემა ფონდს. კონფედერაციას შეუძლია ფონდს მისცეს ავანსი. ფედერალური კრება ორდონანსის ფორმით იღებს ფონდის წესებს.

4. ოთხი დიდი სარკინიგზო პროექტი, პირველი პუნქტის შესაბამისად, მტკიცდება ფედერალური კანონის ფორმით. თითოეული დიდი პროექტის შესახებ მთლიანობაში დასაბუთებული უნდა იყოს განხორციელების საჭიროება და შესრულების შესაძლებლობა. ახალი სარკინიგზო-ალპური გადაკვეთის პროექტის ცალკეული სამშენებლო ეტაპები უნდა განისაზღვროს ფედერალური კანონით. ფედერალური კრება კრედიტის გაცემის გზით გამოყოფს აუცილებელ სახსრებს. ფედერალური საბჭო ამტკიცებს სამშენებლო ეტაპებს და განსაზღვრავს მშენებლობის განრიგს.

5. აღნიშნული დებულება მოქმედებს პირველ პუნქტში მოხსენიებული დიდი სარკინიგზო პროექტების მშენებლობისა და დაფინანსების (ავანსის გადახდის) დამთავრებამდე.

4. გარდამავალი დებულება 90-ე მუხლის შესახებ (ატომური ენერგია)

2000 წლის 23 სექტემბრამდე არ გაიცემა ატომური ენერგიის მწარმოებელი ახალი დანადგარების გენერალური, სამშენებლო, წარმოებაში მიღების ან მართვის ნებართვა.

5. გარდამავალი დებულება 95-ე მუხლის შესახებ (კერძო ეკონომიკური საქმიანობა)

ფედერალური კანონმდებლობის მიღებამდე კანტონები ვალდებულნი არიან აღიარონ განათლებისა და მომზადების დამადასტურებელი მოწმობები.

6. გარდამავალი დებულება 102-ე მუხლის შესახებ (ქვეყნის მომარაგება აუცილებელი საქონლითა და მომსახურებით)

1. კონფედერაცია უზრუნველყოფს ხორბლითა და პურის ფქვილით ქვეყნის მომარაგებას.

2. ეს გარდამავალი დებულება ძალაშია არა უმეტეს 2003 წლის 31 დეკემბრამდე.

7. გარდამავალი დებულება 103-ე მუხლის შესახებ (სტრუქტურული პოლიტიკა)

კონსტიტუციის მიღებიდან არა უმეტეს ათი წლის განმავლობაში კანტონებს შეუძლიათ შეინარჩუნონ არსებული დებულებები, რომლებიც საჭიროებებზე დამოკიდებულს ხდიან სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესის გარკვეული მნიშვნელოვანი სექტორების არსებობას და ახალი სასტუმროებისა და რესტორნების გახსნას.

8. გარდამავალი დებულებები 106-ე მუხლის შესახებ (აზარტული თამაშები)

1. 106-ე მუხლი ძალაში შედის აზარტული თამაშებისა და სამორინეების შესახებ ფედერალური კანონის ძალაში შესვლისთანავე.

2. აღნიშნულ დრომდე გამოიყენება შემდეგი დებულებები:

ა) სამორინეების გახსნა და მართვა აკრძალულია.

ბ) კანტონების მთავრობებს შეუძლიათ საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე გარკვეული შეზღუდვების საფუძველზე გასცენ ნებართვა აზარტული თამაშების გამართვაზე, როგორც ეს იყო მიღებული კურსალში 1925 წლის გაზაფხულამდე, თუ ასეთი თამაშების გამართვაზე ნებართვის გამცემი ორგანო მიიჩნევს, რომ აზარტული თამაშის გამართვა აუცილებელია ტურიზმის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის და თუ ეგი ხორციელდება აღნიშნული მიზნის მქონე კურსალის საწარმოების მეშვეობით. კანტონებს ასევე შეუძლიათ აკრძალონ ასეთი სახის თამაშები.

გ) საზოგადობრივი ინტერესებიდან გამომდინარე შეზღუდვების შესახებ ფედერალური საბჭო გამოსცემს ორდონანსს. ფსონმა არ უნდა გადააჭარბოს 5 ფრანკს.

დ) ყოველი კანტონის მიერ გაცემული ლიცენზია უნდა დამტკიცდეს ფედერალური მთავრობის მიერ.

ე) სათამაშო ბიზნესიდან მიღებული შემოსავალის ერთი მეოთხედი გადაეცემა კონფედერაციას, რომელიც ვალდებულია აღნიშნული წილი, საკუთარი სუბსიდიების მიუხედავად, გამოიყენოს სტიქიური უბედურებისგან დაზარალებულთა, ასევე საზოგადოებრივი დახმარების დაწესებულებების სასარგებლოდ.

ვ) კონფედერაციას შეუძლია მიიღოს შესაბამისი ზომები ლატარიებთან მიმართებაშიც.

9. გარდამავალი დებულება 110-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესახებ (ეროვნული დღესასწაული)

1. ახალი ფედერალური კანონმდებლობის ძალაში შესვლამდე დეტალებს არეგულირებს ფედერალური საბჭო.

2. შვეიცარიის ეროვნული დღესასწაული არ ითვლება შრომის კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დასვენების დღეებში.

10. გარდამავალი დებულება 112-ე მუხლის შესახებ (მოხუცებულთა, მარჩენალდაკარგულთა და შრომისუუნაროთა დაზღვევა)

სანამ მოხუცებულთა, მარჩენალდაკარგულთა და შრომისუუნაროთა უზრუნველყოფა საარსებო მოთხოვნილებებს არ დაფარავს, კონფედერაცია კანტონებს აძლევს სუბსიდიებს დამატებითი სარგებლობის გასაწევად საჭირო დაფინანსებისათვის.

11. გარდამავალი დებულება 113-ე მუხლის შესახებ (მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფა)

დაზღვეულები, რომლებიც მოსამსახურეთა სავალდებულო საპენსიო უზრუნველყოფის წარდგენის დროს მომავალ თაობას განეკუთვნებიან და ამის გამო სრული ვადით არ შეუტანიათ წვლილი, კანონის ძალაში შესვლის შემდეგ 10-20 წლის მანძილზე, მათი შემოსავლის გათვალისწინებით იღებენ კანონით დადგენილ მინიმალურ სარგებელს.

12. გარდამავალი დებულება 126-ე მუხლის შესახებ (ბიუჯეტის მართვა)

1. კონფედერაციის ფინანსურ ანგარიშებში დეფიციტი მცირდება ეკონომიის მეშვეობით, სანამ ანგარიშები მნიშვნელოვნად არ იქნება გაწონასწორებული.

2. დეფიციტმა 1999 საბიუჯეტო წელს არ უნდა გადააჭარბოს 5 მილიარდ ფრანკს, ხოლო 2000 საბიუჯეტო წელს – 2.5 მილიარდს. 2001 საბიუჯეტო წელს იგი უნდა შემცირდეს შემოსავლის არა უმეტეს 2 პროცენტით.

3. თუ ამას მოითხოვს ეკონომიკური მდგომარეობა, ორივე პალატის წევრთა უმრავლესობას შეუძლია მე-2 პუნქტში მითითებული ვადები დადგენილებით გაზარდოს არა უმეტეს ორი წლით.

4. ფედერალური კრება და ფედერალური საბჭო ბიუჯეტის და მრავალწლიანი საფინანსო გეგმის შედგენისას, ასევე ფინანსური შედეგების მქონე ყველა სხვა წინადადების განხილვისას ითვალისწინებენ მე-2 პუნქტში მითითებულ მიზნებს.

5. ბიუჯეტის შესრულებისას ფედერალური საბჭო გამოიყენებს ეკონომიის შესაძლებლობებს. ამისთვის მას შეუძლია გაყინოს კრედიტები. კანონიერი

მოთხოვნები და ცალკეულ შემთხვევაში კანონით მოთხოვნილი სუბსიდიები რჩება ხელშეუხებელი.

6. თუ მე-2 პუნქტში დადგენილი მიზნები ვერ სრულდება, ფედერალური საბჭო განსაზღვრავს, რომელი თანხის ეკონომია უნდა მოხდეს დამატებით.

აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად:

ა) იგი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას დამატებითი ეკონომიის შესახებ;

ბ) დამატებითი ეკონომიისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების თაობაზე წინადადებით მიმართავს ფედერალურ კრებას.

7. ფედერალური საბჭო ადგენს დამატებითი ეკონომიის საერთო თანხის ოდენობას, იმ გზით, რომ მიზნები მიღწეულ იქნეს არა უმეტეს ორი წლის დაგვიანებით. ეკონომია უნდა განხორციელდეს როგორც მესამე პირთა სუბსიდირებაში, ასევე ფედერალურ სფეროში.

8. ფედერალური საბჭოს წინადადების თაობაზე პალატები გადაწყვეტილებას იღებენ იმავე სესიაზე. მათი დადგენილება ძალაში შედის კონსტიტუციის 165-ე მუხლის შესაბამისად. ისინი დამოკიდებულნი არიან ფედერალური საბჭოს მიერ მე-6 პუნქტის შესაბამისად დადგენილი ეკონომიის ოდენობაზე.

9. თუ დეფიციტი საანგარიშო წლის ბოლოს კვლავ გადააჭარბებს 2 პროცენტს, ამ მიზნით იგი უნდა შემცირდეს შემდეგ საანგარიშო წელს. თუ ეკონომიკური მდგომარეობა მოითხოვს, ფედერალურ კრებას შეუძლია ორდონანსით არა უმეტეს ორი წლით გაზარდოს ვადა. სხვა შემთხვევებში პროცედურა მიმდინარეობს მე-4-8 პუნქტების მიხედვით.

10. აღნიშნული დებულება მოქმედებს იქამდე, სანამ არ შეიცვლება ფედერალური დეფიციტისა და ფედერალური ვალის შეზღუდვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ღონისძიებებით.

13. გარდამავალი დებულება 128-ე მუხლის შესახებ (გადასახადის დაკისრების ვადა)

პირდაპირი გადასახადი მოქმედებს 2006 წლის ბოლომდე.

14. გარდამავალი დებულება 130-ე მუხლის შესახებ (დამატებითი ღირებულების გადასახადი)

1. დამატებითი ღირებულების გადასახადის შესახებ კანონის ძალაში შესვლამდე განსახორციელებელ დებულებებს ადგენს ფედერალური საბჭო. განსახორციელებელი დებულებებისთვის მოქმედებს შემდეგი პრინციპები:

ა) გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება:

1. საქონლის მიწოდება და მომსახურება, რომელსაც მეწარმე ასრულებს შესაბამისი საზღაურის მიღების სანაცვლოდ შვეიცარიის ტერიტორიაზე (პირადი მოხმარების ჩათვლით);

2. საქონლის იმპორტი.

ბ) გადასახადის გაქვითვის მოთხოვნის უფლების გარეშე გადასახადისგან თავისუფლდება:

1. საფოსტო მომსახურება მისი მონოპოლიის ფარგლებში, გარდა ადამიანთა ტრანსპორტირებისა;

2. ჯანმრთელობის დაცვის სფეროში გაწეული მომსახურება;

3. სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური უსაფრთხოების სფეროში გაწეული მომსახურება;

4. აღმზრდელობით, საგანმანათლებლო, ასევე ბავშვებისა და მოზარდების ზრუნვისთვის გაწეული მომსახურება;

5. მომსახურება კულტურის სფეროში;

6. სადაზღვევო ეკონომიკური ბრუნვა;

7. ფულისა და საქონლის ბაზრის ბრუნვა, გარდა ვალის მართვისა და დაფარვისა;

8. უძრავი ქონების გადაცემა, ლიზინგი და იჯარა;

9. სანაძლეო, ლატარია და სხვა აზარტული თამაშები;

10. არასამეწარმეო ორგანიზაციების მიერ მათი წევრებისთვის გაწეული მომსახურება;

11. შვეიცარიის ოფიციალური საფოსტო მარკების მიწოდება;

ჯანსაღი კონკურენციის დაცვა ან გადასახადების შეგროვების გამარტივება და ზემოაღნიშნულ პუნქტებში მითითებული ეკონომიკური ბრუნვის წინასწარი ნებაყოფლობითი დაბეგვრა შეიძლება დაშვებულ იქნეს გადახდილი გადასახადის გაქვითვის მოთხოვნის უფლებით.

გ) წინასწარ გადახდილი გადასახადების გაქვითვის მოთხოვნის უფლებით გადასახადებისგან თავისუფლდება:

1. საქონლის ექსპორტი და საზღვარგარეთ გაწეული მომსახურება;

2. საქონლის ექსპორტსა და ტრანზიტთან დაკავშირებული მომსახურება.

დ) შვეიცარიის ტერიტორიაზე განხორციელებულ ეკონომიკურ ბრუნვაზე გადასახადის გადახდისგან თავისუფლდება:

1. სამეწარმეო საქმიანობა, რომლის ყოველწლიურად დასაბეგრი საერთო ეკონომიკური ბრუნვა შეადგენს არა უმეტეს 75 000 ფრანკს;

2. სამეწარმეო საქმიანობა, რომლის ყოველწლიური დასაბეგრი ეკონომიკური ბრუნვა შეადგენს არა უმეტეს 250 000 ფრანკს, იმ პირობით, რომ გადასახადის ოდენობა წინასწარ გადახდილი გადასახადის გაქვითვის შემდეგ წელიწადში 4000 ფრანკს არ აღემატებოდეს;

3. ფერმერები, მეტყევეები და მებაღეები, რომლებიც ახორციელებენ მხოლოდ საკუთარი სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული პროდუქციის მიწოდებას, ასევე შინაური ცხოველებით მოვაჭრეები;

4. მხატვრები და არქიტექტორები, პირადად მათ მიერ შექმნილ ხელოვნების ნაწარმოებებზე;

ჯანსაღი კონკურენციის დაცვა ან გადასახადების შეგროვების გამარტივება და ზემოაღნიშნულ პუნქტებში მითითებული ეკონომიკური ბრუნვის წინასწარი ნებაყოფლობითი დაბეგვრა შეიძლება დაშვებულ იქნეს გადახდილი გადასახადის გაქვითვის მოთხოვნის უფლებით.

ე) საგადასახადო ტარიფებია:

1. 2.0 პროცენტი შემდეგი საქონლის მიწოდებასა და იმპორტზე, რომელთა დეტალური განსაზღვრაც შეუძლია ფედერალურ საბჭოს:

— წყალი მილსადენით,

— სურსათი და სასმელი, გარდა ალკოჰოლური სასმელისა,

— შინაური ცხოველები, შინაური ფრინველები, თევზები,

— მარცვლეული,

— თესლეული, ბოსტნეული, სანერგე ბოლქვები, ცოცხალი მცენარეები, ნერგები, მოჭრილი ყვავილები და ტოტები, ასევე, როდესაც ისინი დაწყობილია თაიგულებად, გვირგვინებად და სხვა ფორმებით,

— ფურაჟი, სასილოსე მჟავა, ჩალა, სასუქი და პესტიციდები,

— მედიკამენტები,

— ფედერალური საბჭოს მიერ განსაზღვრული ხარისხის ჟურნალ-გაზეთები, წიგნები და სხვა ბეჭდვითი პროდუქცია;

2. 2.0 პროცენტი რადიოსა და სატელევიზიო საქმიანობაზე, გარდა კომერციული ხასიათის საქმიანობისა;

3. 6.5 პროცენტი სხვა საქონლის მიწოდებასა და იმპორტზე, ასევე დაბეგვრას დაქვემდებარებულ ყველა სხვა მომსახურებაზე;

ვ) გადასახადები იანგარიშება გადასახადის მიღების მიხედვით, ხოლო თუ არ არის ამგვარი გადასახადი და იმპორტის შემთხვევებში — გაწეული მომსახურებისა და მიწოდებული პროდუქციის ღირებულებით.

ზ) გადასახადით იბეგრება:

1. გადასახადის გადამხდელი, რომლის მიმართაც წარმოიშობა დაბეგვრას დაქვემდებარებული საქონლბრუნვა;

2. საზღვარგარეთ წარმოებული მომსახურების მიმღები პირი, თუ მისი საერთო ეკონომიკური ბრუნვა ყოველწლიურად არ აღემატება 10 000 ფრანკს;

3. საქონლის იმპორტიორი, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს საბაჟო გადასახადი ან შეავსოს საბაჟო დეკლარაცია.

თ) გადასახადის გადამხდელი ვალდებულია გადასახადი გადაიხადოს დასაბეგრი საქონელბრუნვით. თუ იგი მისთვის მიწოდებულ საქონელსა და მომსახურებას იყენებს შვეიცარიის ტერიტორიაზე დასაბეგრი საქონელბრუნ-

ვისთვის, მას შეუძლია, თავისი გადასახადების გაანგარიშებისას, გაქვითოს მის მიერ ადრე გადახდილი შემდეგ გადასახადები:

1. გადამხდელებისგან სხვა გადამხდელისთვის გადაცემული გადასახადი და

2. საქონლის იმპორტზე ან საზღვარგარეთიდან მიღებული მომსახურებისთვის გადახდილი გადასახადები;

3. იმ ნატურალური პროდუქტების ფასის 2.0 პროცენტი, რომლებიც პირმა მიიღო იმ სამეწარმეო საქმიანობიდან, რომელიც მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად გადასახადით არ იბეგრება.

არაკომერციული ხასიათის ხარჯებზე არ ვრცელდება წინასწარ გადასახდელი გადასახადის გაქვითვის მოთხოვნის უფლება.

ი) გადასახადები და წინასწარ გადასახდელი გადასახადები, როგორც წესი, იანგარიშება ყოველკვარტალურად.

კ) ოქროს მონეტებისა და სუფთა ოქროს, ასევე განსაკუთრებულ საგადასახადო რეჟიმს დაექვემდებარებული საქონლის ეკონომიკური ბრუნვისათვის შეიძლება შემოღებულ იქნეს განსხვავებული პირობები.

ლ) გამარტივება შეიძლება დაწესდეს, თუ ეს მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს საგადასახადო შემოსავლებზე, კონკურენციაზე და გადასახადების სხვა გადამხდელებისათვის მეტისმეტად დამძიმებაზე.

მ) გადასახადებისგან თავის არიდება და გადახდისთვის საფრთხის შექმნა ისჯება საგადასახადო სამართლის სფეროში ფედერალური სისხლის სამართლის სხვა დებულებების ანალოგიურად.

ნ) ადმინისტრაციული სისხლის სამართლის შესახებ 1974 წლის 22 მარტის ფედერალური კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული სპეციალური დებულებები სამეწარმეო საქმიანობაში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევებშიც, როდესაც შესაძლებელია 5000 ფრანკზე მეტი ოდენობის ჯარიმის დაკისრება.

2. დამატებითი ღირებულების გადასახადის შემოღებიდან პირველი ხუთი წლის განმავლობაში აღნიშნული გადასახადიდან მიღებული შემოსავლის 5 პროცენტი გამოიყენება ჯანმრთელობის დაზღვევაში, დაბალი შემოსავლის მქონე პირთა სასარგებლოდ სადაზღვევო თანხის გასაიაფებლად. ფედერალური კრება იღებს გადაწყვეტილებას, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული სპეციფიკურ მიზანთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადის აღნიშნული ნაწილი ამ ვადის გასვლის შემდეგ.

3. შვეიცარიის ტერიტორიაზე ტურისტული მომსახურებისათვის კონფედერაციას შეუძლია კანონით დაადგინოს დამატებითი ღირებულების გადასახადის მინიმალური ზღვარი, თუ აღნიშნული მომსახურება უმეტესად გამოიყენება უცხოელთა მიერ და თუ ამას მოითხოვს კონკურენტუნარიანობა.

4. დამატებითი ღირებულების გადასახადის დაწესების უფლებამოსილება ხორციელდება 2006 წლის ბოლომდე.

15. გარდამავალი დებულება 131-ე მუხლის შესახებ (ლუდის გადასახადი)

ფედერალური კანონის მიღებამდე ლუდის გადასახადი წესდება ამჟამად მოქმედი კანონის შესაბამისად.

16. გარდამავალი დებულება 132-ე მუხლის შესახებ (საგერბო მარკა და დასაქვითი გადასახადი)

კანტონებს შორის ფინანსური თანასწორობის შესახებ ახალი წესების შემოღებამდე, კანტონების წილი დასაქვითი გადასახადიდან მიღებულ შემოსავალში შეადგენს 12 პროცენტს. თუ დასაქვითი გადასახადის ტარიფი 30 პროცენტს აჭარბებს, კანტონების წილი შეადგენს 10 პროცენტს.

მუხლი 197. გარდამავალი დებულებები 1999 წლის 18 აპრილის ფედერალური კონსტიტუციის დამტკიცების შემდეგ

1. შვეიცარიის შესვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

1. შვეიცარია შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

2. ფედერალური საბჭო უფლებამოსილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს მიმართოს შვეიცარიის აღნიშნულ ორგანიზაციაში მიღების შესახებ წინადადებითა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიაში მითითებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე მოხსენებით.



ჩეხეთის რესპუბლიკა

ზოგადი ცნობარი

შესავალი

ჩეხოსლოვაკია ჩამოყალიბდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ყოფილი ავსტია-უნგრული იმპერიის საფუძველზე ჩეხეთისა და სლოვაკეთის გაერთიანების შედეგად. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩეხოსლოვაკია იყო საბჭოთა ზეგავლენის ქვეშ. საბჭოთა ხელისუფლების კრახის შედეგად ჩეხოსლოვაკიამ აღადგინა დამოუკიდებლობა მშვიდობიანი „ბარხატოვანი რევოლუციის" შედეგად. 1993 წლის 1 იანვარს ქვეყანა ორ ნაწილად, ჩეხეთის რესპუბლიკად და სლოვაკეთად გაიყო.

ამჟამად, ნატოს წევრმა ჩეხეთის რესპუბლიკამ მსოფლიო ბაზართან ინტეგრაციისაკენ აიღო გეზი. 2004 წელს იგი ევროპის კავშირში გაერთიანდა.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: ცენტრალური ევროპა; დასავლეთიდან ესაზღვრება გერმანია, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან — პოლონეთი, სამხრეთიდან — ავსტრია, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან — სლოვაკეთი.

ფართობი: სულ: 78.866 კმ^2; ხმელეთი: 77.276 კმ^2; წყალი: 1.590 კმ^2.

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: ქვანახშირი, თიხა, გრაფიტი, მერქანი.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 10 220 911 (2008);

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:
0-14 წლის: 13.8% (მამაკაცი 723 521; ქალი 884 576);
15-64 წლის: 71.2% (მამაკაცი 3 653 679; ქალი 3,619,872);
65 წლის და ზემოთ: 15.1% (მამაკაცი 604 419; ქალი 934 634) (2008).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: -0.082% (2008);

შობადობა: 8.89 დაბადებული 1000 მოსახლეზე (2008);

სიკვდილიანობა: 10.69 გარდაცვლილი 1000 მოსახლეზე (2008);

მიგრაცია: 0.97 მიგრანტი 1000 მოსახლეზე (2008);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: მთელი მოსახლეობის მიმართ: 76.62 წელი; კაცი: 73.34 წელი; ქალი: 80.08 წელი (2008).

მოქალაქეობა: ჩეხეთის

ეთნიკური ჯგუფები: ჩეხი 90.4%, მორავიელი 3.7%, სლოვაკი 1.9%, სხვა 4% (2001).

რელიგია: რომაული კათოლიკური 39.2%, პროტესტანტული 4.6%, მართლმადიდებლური 3%, სხვა 53.2% (2001).

ენა: ჩეხური 94.9%, სლოვაკური 2%, სხვა 3.1%, (2001);

განათლებულობა: მთელი მოსახლეობის: 99% (2003).

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:
ვრცელი ფორმა: ჩეხეთის რესპუბლიკა;
შემოკლებული ფორმა: ჩეხეთის რესპუბლიკა;
ადგილობრივი შემოკლებული სახელწოდება: ჩესკო;
ადგილობრივი ვრცელი სახელწოდება: ჩესკა რეპუბლიკა.

მმართველობის ფორმა: საპარლამენტო რესპუბლიკა;

დედაქალაქი: პრაღა

ადმინისტრაციული ერთეულები: 13 რეგიონი (კრაი) და 1 დედაქალაქი – პრაღა.

დამოუკიდებლობა: 1993 წლის 1 იანვარი (ჩეხოსლოვაკია გაიყო ჩეხეთის რესპუბლიკად და სკოვაკეთად);

ეროვნული დღესასწაული: ჩეხეთის დაარსების დღე, 28 ოქტომბერი (1918);

აღმასრულებელი ხელისუფლება:
სახელმწიფოს მეთაური: პრეზიდენტი ვაცლავ კლაუსი (2003 წლის 7 მარტიდან);

არჩევნების შედეგები: ვაცლავ კლაუსი პრეზიდენტად ხელახლა იქნა არჩეული 2008 წლის 15 თებერვალს მესამე ტურში, სადაც მიიღო ორივე პალატის წევრთა 141 ხმა.

მთავრობის მეთაური: პრემიერ-მინისტრი მირეკ ტოპოლანეკი (2007 წლის 9 იანვრიდან).

მთავრობის შემადგენლობა: პრემიერ-მინისტრი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და რეგიონული განვითარების მინისტრი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და გარემოს დაცვის მინისტრი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და შრომისა და სოციალურ საქმეთა მინისტრი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე ევროპულ საქმეებში, ფინანსთა მინისტრი, განათლების, ახალგაზრდობისა და სპორტის მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, იუსტიციის მინისტრი, კულტურის მინისტრი, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი, სოფლის მეურნეობის მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, ტრანსპორტის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, ჯანდაცვის მინისტრი, მთავრობის მინისტრი, უპორტფელო მინისტრი.

საკანონმდებლო ხელისუფლება: ორპალატიანი პარლამენტი შედგება ორი პალატისგან: სენატის (81 წევრი აირჩევა 6 წლის ვადით ყოველ ორ წელიწადში მესამედის განახლებით) და წარმომადგენელთა პალატისგან (200 წევრი აირჩევა 4 წლის ვადით).

სენატის უკანასკნელი არჩევნების ბოლო ორი ტური ჩატარდა 2006 წლის 20-21 და 27-28 ოქტომბერს, ხოლო დეპუტატთა პალატის უკანასკნელი არჩევნები — 2006 წლის 2-3 ივნისს.

ძირითადი პოლიტიკური პარტიები: დამოუკიდებელი კანდიდატების-ევროპელი დემოკრატების გაერთიანება, ქრისტიანული და დემოკრატიული კავშირი — ჩეხოსლოვაკიის სახალხო პარტია; სამოქალაქო დემოკრატიული პარტია; ბოჰემიისა და მორავიის კომუნისტური პარტია; ჩეხეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია; თავისუფლების კავშირი — დემოკრატიული კავშირი, მწვანეთა პარტია, ღია საზოგადოების პარტია.

ეკონომიკა

ეკონომიკის მიმოხილვა: ჩეხოსლოვაკიის გაყოფამ ჩეხეთის და სლოვაკეთის რესპუბლიკებად შეასუსტა მათ შორის წარმოებისა და საავჭრო კავშირების განვითარების შესაძლებლობები. თითოეული ახლად შექმნილი რესპუბლიკისთვის ამას მოჰყვა უარყოფითი შედეგი, ერთიანი პროდუქტის მოცულობის შემცირებისა და შრომითი ნაყოფიერების ჩათვლით. მთლიანი ში-

და პროდუქტი ჩეხეთის რესპუბლიკაში 1990-იანი წლების დასაწყისში შემცირდა და მხოლოდ 1997 წელს მიაღწია წინათ არსებულ დონეს. ამავე დროს შესამჩნევი გახდა ცხოვრების დონის მუდმივი ზრდა კრონის მოხმარების რესტრუქტურიზაციისა და პოზიციის გაძლიერების გამო. 1998 წელს აღნიშნული ტენდენცია შეწყდა, უპირველეს ყოვლისა, პრობლემების გაძლიერების შედეგად ეკონომიკის ტრანსფორმაციის, შიდა სავაჭრო ბალანსის მაღალი დეფიციტის, სამშენებლო ინდუსტრიის დაცემის გზით. 1998 წელს ერთიანი შიდა პროდუქტი გარკვეულწილად შემცირდა.

1998 წელს უმუშევრობამ ჩეხეთში შეადგინა 7.5%, 1999 წლის 31 იანვარს კი – 8.1%, ინფლაციის წლიურმა მაჩვენებელმა 1997 წელს შეადგინა 7.6%, შიდა დავალიანებამ – $22 მილიარდი (მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის 44%).

უმუშევართა რიცხვი – 4.4% 1991 წლიდან 1992 წელს შემცირდა 2,6%-მდე, თუმცა ამ ფიცრებს გარეთ მნიშვნელოვანი ფარული უმუშევრობა შეინიშნებოდა, რომელიც წარმოიშვა შრომის ნაყოფიერების შემცირებისა და წარმოებაში დასაქმებულთა ნამატს შორის ბალანსის დარღვევის შედეგად. უმუშევრობის შემდგომი წლები შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება: 1993 – 3.4%, 1994 – 3.8%, 1995 – 3.4%, 1996 – 3.8%, 1997 – 5.7%, 1998 – 7.2%, 1999 – 8.2%.

ჩეხეთში 1989 წლის ბოლოდან 1993 წლის ბოლოსათვის სამრეწველო წარმოების მოცულობა შემცირდა 32%-ით, თუმცა რეკონსტრუქტირებული და თანამედროვე სიმძლავრეების დანერგვით მდგომარეობა შეიცვალა. სამრეწველო წარმოების მოცულობამ 81%-ს მიაღწია 1996 წელს, ხოლო პროდუქციის მოცულობამ – 1990 წელს, თუმცა მთლიანად ეკონომიკაში მკვეთრად გაიზარდა მომსახურების სფეროს ხვედრითი წილი. 1996 წელს წლიური სამრეწველო პროდუქცია გაიზარდა 2%-ით, 1997 წელს – 4.5%-ით. სამრეწველო გადამუშავების წილმა 1997 წელს შეადგინა 83%.

გადამამუშავებელი მრეწველობა წამყვან როლს ასრულებს ჩეხეთის ეკონომიკაში და იძლევა წარმოების საერთო მოცულობის 70%-ს. ყველაზე დიდ პრობლემას ჩეხეთის გადამამუშავებელი მრეწველობისთვის მსოფლიო ბაზარზე დაბალი კონკურენტუნარიანობა წარმოადგენს.

გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა დიდი ნაწილი პრივატიზებულ იქნა 1996 წლამდე. პრივატიზაციამ გამოიწვია მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები ჩეხეთის მრეწველობაში, კერძოდ, მის ისეთ დარგებში, რაც უცხოურ ინვესტიციებს იზიდავს (საავტომობილო, ქიმიური, მინისა და სამშენებლო კონსტრუქციის წარმოება).

მთლიანი შიდა პროდუქტი - მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: $249.1 მილიარდი (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 5.7% (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: $24,400 (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა: 2.4%; მრეწველობა: 39.7%; მომსახურება: 57.9% (2007).

ბიუჯეტი: შემოსავალი: $69.49 მილიარდი; გასავალი: $75.8 მილიარდი (2007).

ექსპორტი: $113 მილიარდი (2007);

საექსპორტო საქონელი: მანქანები და სატრანსპორტო აღჭურვილობა 52%, ქიმიური ნივთიერებები 5%, ნედლეული და საწვავი 9% (2006).

ექსპორტის პარტნიორები: გერმანია 32%, სლოვაკეთი 8.5%, პოლონეთი 5.7%, საფრანგეთი 5.5%, ავსტრია 5.1%, დიდი ბრიტანეთი 4.8%, იტალია 4.6% (2006).

იმპორტი: $109.8 მილიარდი (2007);

საიმპორტო საქონელი: მანქანები და სატრანსპორტო საშუალებანი 46%, ნედლეული და საწვავი 15%, ქიმიური ნივთიერებები 10% (2006).

იმპორტის პარტნიორები: გერმანია 32.5%, ნიდერლანდი 6.8%, სლოვაკეთი 6.2%, პოლონეთი 6.1%, რუსეთი 5.7% ავსტრია 5%, იტალია 4.4%, საფრანგეთი 4.3% (2006);

საგარეო ვალი: $61.74 მილიარდი (2007);

ეკონომიკური მხარდაჭერა: $278.7 მილიონი (2004);

ვალუტა: ჩეხური კრონა (CZK).

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. დამოუკიდებელი ჩეხეთის პირველ კონსტიტუციას წარმოადგენს 1992 წლის კონსტიტუცია. იქამდე ქვეყანაში არ ყოფილა მიღებული რაიმე კონსტიტუციური აქტი, თუ არ ჩავთვლით ჩეხოსლოვაკიის არსებობის პროცესში მიღებულ ძირითად კანონებს.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია იყო 1920 წლის 29 თებერვლის კონსტიტუცია, რომელიც უზრუნველყოფდა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, აფუძნებდა ორპალატიან საკანონმდებლო ორგანოს, რომელიც შედგებოდა ეროვნული კრებისა და სენატისაგან, აღმასრულებელი ხელისფლების განმახორციელებლად ადგენდა მთავრობას პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, რომელიც ექვემდებარებოდა ეროვნულ კრებას. ქვეყანას ხელმძღვანელობდა ფართო უფლებამოსილებით აღჭურვილი პრეზიდენტი. სახელმწიფო ენას წარმოადგენდა ჩეხური ენა. არჩევნები ტარდებოდა პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე, საყოველთაო და ფარული საარჩევნო უფლებით.

შემდგომი კონსტიტუცია 1949 წლით თარიღდება, ხოლო მისი შემდგომი – 1960 წლის 11 ივლისს არის მიღებული. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ძირითად აქტს და შედგებოდა 9 თავისგან, რომლებიც არეგულირებდა საზოგადოებრივ წესრიგს, მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, ეროვნული კრების, რესპუბლიკის პრეზიდენტის, მთავრობის, სლოვაკეთის ეროვნული საბჭოს, ეროვნული კომიტეტის, სასამართლოებისა და პროკურატურის სამართლებრივ მდგომარეობას. საკანონმდებლო ორგანოს ფორმალურად წარმოადგენდა ეროვნული კრება, მაგრამ ფაქტიურად ყველა კანონი მიიღებოდა ერთხმად კომუნისტური პარტიის მითითებებით. აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებდა პრეზიდენტი და მინიტრთა კაბინეტი, თუმცა პრეზიდენტის უფლებამოსილება საკმაოდ შეზღუდული იყო.

ამ კონსტიტუციაში ცვლილებები შევიდა 1968, 1969, 1971, 1978 წლებში.

გარდა კონსტიტუციებისა, ჩეხოსლოვაკიაში ასევე მოქმედებდა სხვა კონსტიტუციური კანონები, რომელთა შორის მნიშვნელოვანია 1968 წლის 27 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი „ჩეხოსლოვაკიის ფედერაციის შესახებ", რომლის რეგულირების სფერო სახელმწიფო ორგანოთა ნაწილში შეესაბამებოდა კონსტიტუციებით მოსაწესრიგებელ საკითხთა წრეს და არეგულირებდა ფედერაციასა და რესპუბლიკებს შორის კომპეტენციის გამიჯვნის, ფედერალური კრების, ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის, მთავრობის, საკონსტიტუციო სასამართლოს, ჩეხეთისა და სლოვაკეთის სოციალისტურ რესპუბლიკათა სახელმწიფო ორგანოების სამართლებრივ მდგომარეობას. იგი ასევე

ითვალისწინებდა ფედერაციის შემადგენლობაში ორი რესპუბლიკის — ჩეხეთის სოციალისტური რესპუბლიკის და სლოვაკეთის სოციალისტური რესპუბლიკის შექმნას, რომელთაც ექნებოდათ თავისი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები. შეიქმნა ასევე ორპალატიანი ფედერალური ეროვნული კრება, რომლის დეპუტატთა პალატის წევრები აირჩეოდნენ მოსახლეობის მიერ ტერიტორიული პრინციპის საფუძველზე, ხოლო ე.წ. ეროვნებათა პალატაში ორივე რესპუბლიკას თანაბარი წარმომადგენლობა ჰქონდა. ჩეხეთისა და სლოვაკეთIს საკანონმდებლო ორგანოების (ეროვნული კრებების) და მთავრობების კომპეტენციაში ძირითადად კულტურული განვითარებისა და განათლების სფერო შედიოდა, დანარჩენ უფლებამოსილებას ფედერალური ორგანოები ახორციელებდნენ.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. ჩეხეთის რესპუბლიკის მოქმედი კონსტიტუცია მიღებულია 1992 წლის 16 დეკემბერს. იგი მიიღო იმ დროს არსებულმა საკანონმდებლო ორგანომ — ეროვნულმა საბჭომ, რომელიც კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან დეპუტატთა პალატად ჩაითვალა და განაგრძო უფლებამოსილების განხორციელება 1996 წლამდე. კონტიტუციის მიღების პერიოდში ჩეხეთი ჯერ კიდევ ჩეხოსლოვაკიის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა. ჩეხეთისა და სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კრების მიერ მიღებული ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოებრიობის გაუქმების შესახებ დადგენილება 1992 წლის 31 დეკემბერს შევიდა ძალაში.

კონსტიტუციას ხელს აწერენ დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი. იგი ძალაში შევიდა 1993 წლის 1 იანვარს. ამ დროიდან გაუქმდა იმ დროს მოქმედი კონსტიტუცია, ჩეხოსლოვაკიის ფედერაციის კონსტიტუციური კანონი, კონსტიტუციური კანონები, რომელთა მეშვეობითაც კონსტიტუციაში შეტანილ იქნა ცვლილებები და დამატებები და ჩეხეთის ეროვნული საბჭოს 1990 წლის კონსტიტუციური კანონი „ჩეხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ", ხოლო ჩეხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ სხვა კონსტიტუციურ კანონებს მიენიჭა კანონის ძალა.

კონსტიტუცია თვითონ განსაზღვრავს კონსტიტუციური სისტემის შემადგენელ აქტებს, რომელთაც მიაკუთვნებს კონსტიტუციას, ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ქარტიას, კონსტიტუციის შესაბამისად მიღებულ კონსტიტუციურ კანონებს, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნული კრების, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრებისა და ჩეხეთის ეროვნული საბჭოს კონსტიტუციურ კანონებს, „ჩეხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის შესახებ" და ჩეხეთის ეროვნული საბჭოს მიერ 1992 წლის 6 ივნისიდან მიღებულ კონსტიტუციურ კანონებს.

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუცია არ ადგენს კონსტიტუციის გადასინჯვის წესს და ძირითადი აქტის შესაცვლელად კონსტიტუციური კანონებისთვის დადგენილ წესებს იყენებს, რომელთა შესახებ ნორმები მიმობნეულია კონსტიტუციის მთელ ტექსტში. აღნიშნულია, რომ კონსტიტუციაში ცვლილებები და დამატებები შეიტანება მხოლოდ კონსტიტუციური კანონით, ხოლო ამ უკანასკნელის მისაღებად აუცილებელია დეპუტატთა 3/5-ისა და დამსწრე სენატორთა 3/5-ის თანხმობა.

ამავდროულად, კონსტიტუცია ადგენს ზოგიერთ საკითხს, რომელიც აუცილებლად კონსტიტუციური კანონით უნდა იქნეს მიღებული. ესენია: ჩეხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრების შეცვლა, მაღალი დონის ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულის შექმნა და ლიკვიდაცია.

კონსტიტუციის ტექსტში რამდენიმე ცვლილება იქნა შეტანილი.

კონსტიტუციის ანალიზი. ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია შედგება პრეამბულის, 8 თავისა და 113 მუხლისაგან. გარდა ამისა, ქვეყნის კონსტიტუციური სისტემის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ქარტია, რომელიც ცალკე აქტად არის მიღებული და განამტკიცებს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.

კონსტიტუციის პრეამბულაში ასახულია ჩეხეთის ტერიტორიებზე მცხოვრები რესპუბლიკის მოქალაქეების ნება დააფუძნონ თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფო, როგორც ევროპული ოჯახისა და მსოფლიო დემოკრატიის შემადგენელი ნაწილი და მიიღონ კონსტიტუცია.

კონსტიტუციის პირველი თავი შეიცავს ნორმებს ქვეყნის სახელმწიფოებრიობისა და სუვერენიტეტის შესახებ. აღნიშნულია, რომ ჩეხეთის რესპუბლიკა არის სუვერენული, ერთიანი, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო. აღიარებულია სახალხო ხელისუფლების, პოლიტიკურ პარტიათა შეჯიბრებითობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და თვითმმართველობის პრინციპები. ამასთან, მითითებულია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებამ შეიძლება გაითვალისწინოს ჩეხეთის რესპუბლიკის ორგანოთა განსაზღვრული უფლებამოსილებების საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისთვის გადაცემა. აღნიშნული ხელშეკრულება პარლამენტის მიერ უნდა იქნეს რატიფიკაცირებული ან კონსტიტუციური კანონით განსაზღვრული წესის მიხედვით რეფერენდუმზე უნდა დამტკიცდეს.

ხელისუფლების წყაროა ხალხი. იგი მას ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა მეშვეობით.

საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ორპალატიანი პარლამენტი, რომლის ზედა პალატაა სენატი, ხოლო ქვედა — დეპუტატთა პალატა.

დეპუტატთა პალატა შედგება 4 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე,

პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის შესაბამისად არჩეული 200 დეპუტატისგან, ხოლო სენატი — ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, მაჟორიტარული სისტემის შესაბამისად 6 წლის ვადით არჩეული 81 სენატორისგან. ამასთან, ყოველ ორ წელიწადში ხდება სენატორთა 1/3-ის განახლება.

აქტიური საარჩევნო უფლება გააჩნია ჩეხეთის ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან, ხოლო პასიური — დეპუტატთა პალატაში 21 წლის ასაკიდან, სენატში კი — 40 წლის ასაკიდან. როგორც ჩანს, საკმაოდ მაღალი ასაკობრივი ცენზია დაწესებული სენატორებისთვის, რაც მათი მაღალი კვალიფიკაციისა და გამოცდილების აუცილებლობაზე მეტყველებს.

კონსტიტუცია დეპუტატთა პალატის წევრს „დეპუტატად" მოიხსენიებს, ხოლო სენატის წევრს — „სენატორად". დეპუტატის ან სენატორის ფუნქცია შეუთავსებელია პრეზიდენტის, მოსამართლის, მეორე პალატის წევრობის და კანონით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებთან. მნიშვნელოვანია, რომ თუ ისინი დაიკავებენ პრეზიდენტის, მოსამართლის ან სხვა შეუთავსებელ თანამდებობას, მათ საპარლამენტო უფლებამოსილების შეწყვეტას დამატებითი აქტის მიღება არ სჭირდება და იგი ავტომატურად წყდება შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების დღიდან.

საკმაოდ საინტერესო ფორმულირებას იძლევა კონსტიტუცია პარლამენტის წევრისა და მინისტრის თანამდებობების შეთავსებასთან დაკავშირებით. მინისტი შეიძლება იყოს პარლამენტის წევრი, თუმცა არ აქვს უფლება ამავდროულად იყოს პალატების თავმჯდომარე, მისი მოადგილე, ასევე საპარლამენტო კომიტეტის, საგამოძიებო კომისიის ან კომისიის წევრი, ანუ ვერ დაიკავებს საპარლამენტო თანამდებობას და როგორც პარლამენტარი ვერ მიიღებს მონაწილეობას პალატების სრტუქტურული ერთეულების მუშაობაში. აღსანიშნავია, რომ ამ ორგანოებში არ არის მოხსენიებული ფრაქციის წევრობის შეთავსება.

პარლამენტის წევრის მანდატი თავისუფალია. იგი არ აგებს პასუხს სისხლის სამართლის წესით ხმის მიცემისა და გამოსვლებისთვის. მას დისციპლინური პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს შესაბამისი პალატის გადაწყვეტილებით.

პარლამენტის წევრის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა შეიძლება მხოლოდ იმ პალატის თანხმობით, რომლის წევრიც არის იგი. თუ პალატა არ მისცემს თანხმობას, სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება სამუდამოდ. პარლამენტის წევრი შეიძლება დაკავებულ იქნეს მხოლოდ დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში ან უშუალოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება შესაბამისი პალატის თავმჯდომარეს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას დაკავებულის სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ, დაკავებული უნდა გათავისუფლდეს. პალატა უახლოეს სხდომაზე

ილებს საბოლოო გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის დასაშვებობის შესახებ.

პალატები თავიანთი ორგანოების სახით ქმნიან კომიტეტებსა და კომისიებს. ამასთან, მხოლოდ დეპუტატთა პალატას შეუძლია საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხთა გამოსაძიებლად შექმნას საგამოძიებო კომისიები.

რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია მხოლოდ ქვედა პალატის დათხოვნა. კონსტიტუციაში ამომწურავად არის ჩამოთვლილი ეს შემთხვევები, თუ: ა) დეპუტატთა პალატამ არ გამოხატა ნდობა ახლად დანიშნული მთავრობისადმი, რომლის თავმჯდომარეც პრეზიდენტმა დანიშნა დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის წინადადებით; (ბ) დეპუტატთა პალატამ სამი თვის განმავლობაში არ მიიღო დადგენილება მთავრობის კანონპროექტთან დაკავშირებით, რომლის განხილვასთანაც მთავრობა აკავშირებს ნდობის საკითხს; (გ) დეპუტატთა პალატის სხდომა შეწყდა უფრო მეტი ხნით, ვიდრე დასაშვებია; (დ) დეპუტატთა პალატა სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში იყო ქმედუუნარო გადაწყვეტილების მიღებაში, თუმცა მისი სესია არ შეწყვეტილა და ამ დროს იგი ხელახლა იქნა მოწვეული.

დეპუტატთა პალატა არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს მისი უფლებამოსილების გასვლამდე 3 თვის განმავლობაში.

პალატის დათხოვნის შემთხვევაში არჩევნები ტარდება დათხოვნის დღიდან 60 დღის ვადაში. ამ პერიოდში, რათა არ მოხდეს საკანონმდებლო პროცესის სრულად შეჩერება, საკანონმდებლო უფლებამოსილება გადაეცემა სენატს, იმ საკითხებზე, რომელთა დაყოვნებაც შეუძლებელია. თუმცა იგი არ არის უფლებამოსილი მიიღოს კონსტიტუციურ საკითხებთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტები, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების, საარჩევნო სამართლისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების საკითხებზე. ამ პროექტების შეტანის უფლება აქვს მხოლოდ მთავრობას. მიღებულ საკანონმდებლო აქტებს ხელს აწერენ სენატის თავმჯდომარე, პრეზიდენტი და მთავრობის თავმჯდომარე; მათი გამოქვეყნება ხდება კანონის გამოქვეყნებისათვის დადგენილი წესით. სენატის აღნიშნული საკანონმდებლო აქტები მტკიცდება დეპუტატთა პალატის პირველ სხდომაზე. იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატთა პალატა არ დაამტკიცებს სენატის აქტს, იგი ძალას კარგავს ამ მომენტიდან.

აღსანიშნავია, რომ პალატები სესიაზე იმყოფება მუდმივად და სესია შეიძლება შეწყდეს მხოლოდ პალატის დადგენილებით. შესვენების საერთო ხანგრძლივობა წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 120 დღეს.

მთავრობის წევრს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ორივე პალატის, მათი კომიტეტებისა და კომისიების სხდომებში. პალატისა და მისი სტრუქტურული ერთეულების სხდომებზე მთავრობის წევრის მოწვევის უფლება აქვს მხოლოდ დეპუტატთა პალატას. ამ ორგანოების სხდომებზე მთავრობის

წევრი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მისი მოადგილის ან მთავრობის სხვა წევრით, თუ პალატის დადგენილება არ შეიცავს მოთხოვნას მისი უშუალო მონაწილეობის შესახებ.

პალატები უფლებამოსილნი არიან მიიღონ გადაწყვეტილება, თუ მათ სხდომებს ესწრება წევრთა არანაკლებ მესამედი, ხოლო გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია დამსწრე დეპუტატებისა და სენატორების უმრავლესობის თანხმობა. გამონაკლისია გადაწყვეტილება ომის გამოცხადების, რესპუბლიკის ტერიტორიის გარეთ ჩეხეთის შეიარაღებული ძალების გაგზავნის ან რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხო სამხედრო ძალის ყოფნაზე თანხმობის შესახებ, აგრეთვე გადაწყვეტილება ჩეხეთის იმ საერთაშორისო ორგანიზაციათა დაცვის სისტემებში მონაწილეობის თაობაზე, რომლის წევრიც არის ჩეხეთი, რომელთა მიღება საჭიროებს დეპუტატთა საერთო რაოდენობის უმრავლესობისა და სენატორთა საერთო რაოდენობის უმრავლესობის თანხმობას. კონსტიტუციური კანონი და ჩეხეთის სახელმწიფო უფლებამოსილების საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიიღება დეპუტატთა პალატის წევრთა 3/5-ისა და დამსწრე სენატორთა 3/5-ის თანხმობით.

აღსანიშნავია, რომ პალატების მიერ ერთობლივი გადაწყვეტილების მისაღებად დადგენილია არა პალატების წევრთა საერთო რაოდენობის გარკვეული უმრავლესობა, არამედ თითოეული პალატის წევრთა განსაზღვრული რაოდენობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ გადაწყვეტილებას მხარს უნდა უჭერდეს სენატიც და დეპუტატთა პალატაც.

რაც შეეხება პალატების არჩევის, საქმიანობის წესისა და სტრუქტურის მომწესრიგებელ აქტებს, მათ მისაღებად აუცილებელია ორივე პალატის თანხმობა. ორივე პალატის თანხმობაა ასევე საჭირო სენატის რეგლამენტის მისაღებად.

საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელებაში გარკვეული პრიორიტეტი ენიჭება დეპუტატთა პალატას. ყველა კანონპროექტი თავდაპირველად შეიტანება დეპუტატთა პალატაში. ინიციატივის უფლება აქვს დეპუტატს, დეპუტატთა ჯგუფს, სენატს, მთავრობასა და მაღალი დონის ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულის წარმომადგენლობით ორგანოს. სახელმწიფო ბიუჯეტის და მისი შესრულების შესახებ კანონპროექტები შეიტანება მთავრობის მიერ. დეპუტატთა პალატის მიერ დამტკიცებული კანონპროექტი დაუყოვნებლივ გადაეცემა სენატს. სენატს შეუძლია თავისი დადგენილებით დამტკიცოს ან უარყოს კანონპროექტი, ანდა დააბრუნოს იგი დეპუტატთა პალატაში შესწორებისთვის, ანდა უარი თქვას მოცემული კანონპროექტის განხილვაზე. თუ სენატი 30 დღის ვადაში არ გამოთქვამს თავის აზრს კანონპროექტის შესახებ, კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება.

სენატის მიერ კანონპროექტის უარყოფის შემთხვევაში დეპუტატთა პალატამ წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტით ხელახლა უნდა მიიღოს იმავე რედაქციის კანონპროექტი, ანუ უნდა გადალახოს სენატის ვეტო. სენატს უფლება აქვს დააბრუნოს იგი შესწორებებით, მაგრამ დეპუტატთა პალატას შეუძლია არ დაეთანხმოს და მიიღოს ისევ პირვანდელი ვარიანტი, რომელიც გადაეცემა პრესიდენტს. ამ უკანასკნელს უფლება აქვს მიღებული კანონი, გარდა კონსტიტუციური კანონისა, საკუთარი შენიშვნებით დააბრუნოს, ანუ დაადოს ვეტო, რომელიც დეპუტატთა პალატამ უნდა გადალახოს წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტით. ვეტოს გადაულახაობის შემთხვევაში კანონი არ ჩაითვლება მიღებულად.

პარლამენტის ორივე პალატის მიერ დამტკიცებას საჭიროებს რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც: არეგულირებს ადამიანის უფლებებსა და ვალდებულებებს; ეხება გაერთიანებას, მშვიდობას ან სხვა პოლიტიკურ შეთანხმებებს; იწვევს საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩეხეთის რესპუბლიკის წევრობას; ძირითადი არსით ეკონომიკური ხასიათისაა; ეხება კანონით გათვალისწინებულ სხვა საკითხებს. ამასთან, კონსტიტუციით დეტალურად არის განსაზღვრული, იმ სამხედრო ხასიათის საკითხთა წრე, რომელთა გადაწყვეტისთვის აუცილებელია პარლამენტის თანხმობა.

მიღებულ კანონებს ხელს აწერს არა მხოლოდ პრეზიდენტი, არამედ დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე და მთავრობის თავმჯდომარე, რაც მის მიღებაზე პასუხისმგებლობის გადანაწილებას გულისხმობს. კანონის ნამდვილობისათვის იგი უნდა გამოქვეყნდეს.

კონსტიტუციის თანახმად, ისევე როგორც სხვა კლასიკურ საპარლამენტო რესპუბლიკებში, რესპუბლიკის პრეზიდენტი არის მხოლოდ სახელმწიფოს მეთაური და არ არის აღჭურვილი აღმასრულებელი ხელისუფლებით. მას ირჩევს პარლამენტი პალატების ერთობლივ სხდომაზე 5 წლის ვადით. პრეზიდენტი თავისი უფლებამოსილების განხორციელებაზე არ არის ანგარიშვალდებული.

პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს სენატში ასარჩევად წაყენებულ მოთხოვნებს, ანუ პირი უნდა იყოს საარჩევნო უფლების მქონე, 40 წლის ასაკს მიღწეული ჩეხეთის რესპუბლიკის მოქალაქე. დაბადებით მოქალაქეობა არ არის სავალდებულო. არავინ არ შეიძლება პრეზიდენტად იყოს არჩეული ზედიზედ ორზე მეტჯერ.

პრეზიდენტობის კანდიდატების წარდგენის უფლება აქვს არანაკლებ 10 დეპუტატსა და არანაკლებ 10 სენატორს. არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელსაც მხარს დაუჭერს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი და სენატორთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მოაგროვებს ხმათა საჭირო რაოდენობას, საუკეთესო შედე-

გის მქონე ორ კანდიდატს შორის ტარდება მეორე ტური, ხოლო თუ საჭიროა — მესამე ტურიც. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით. თუ პრეზიდენტი ვერც არჩევნების მესამე ტურში აირჩა, ტარდება ხელახალი არჩევნები. პრეზიდენტი ფიცს დებს პალატის ერთობლივ სხდომაზე, რომელსაც უძღვება დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე.

კონსტიტუციაში სპეციალურად არის გაწერილი პრეზიდენტის უფლება, რომ გადადგეს. მან ეს უნდა განუცხადოს დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეს.

პრეზიდენტის უფლებამოსილება მოიცავს უმაღლეს მთავარსარდლობასთან, არჩევნების დანიშვნასთან, სასჯელის შემსუბუქებასა და გათავისუფლებასთან, დეპუტატთა პალატის დათხოვნასთან დაკავშირებულ საკითხებს. ასევე მას შეუძლია მიიღოს გარკვეული საკადრო გადაწყვეტილებები: დანიშნოს და გაათავისუფლოს მთავრობის წევრები, დანიშნოს კონტროლის უზენაესი სამსახურის თავმჯდომარე და მისი მოადგილე, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები, თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები, მოსამართლეები, ეროვნული ბანკის საბანკო საბჭოს წევრები, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთაგან დანიშნოს მისი თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები.

პრეზიდენტი სარგებლობს ფართო იმუნიტეტით. არ შეიძლება მისი დაკავება, სისხლისსამართლებრივი დევნა, ასევე გადაცდომის ან სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის დევნა. პრეზიდენტობის პერიოდში ჩადენილი ქმედებებისთვის სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება სამუდამოდ. პრეზიდენტი სახელმწიფო ღალატის შემთხვევაში შეიძლება მიცემულ იქნეს პასუხისგებაში მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, სენატის მიერ წაყენებული ბრალდების საფუძველზე.

თავისებურია ჩეხეთში პრეზიდენტის თანამდებობის ვაკანსიის დროს მისი უფლებამოსილების განხორციელების საკითხი. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ თუ სერიოზული მიზეზების გამო პრეზიდენტს არ შეუძლია თავისი ფუნქციების განხორციელება, ეს ფაქტი უნდა დაადასტუროს დეპუტატთა პალატამ და სენატმა დადგენილებით, ხოლო შემდგომ მისი უფლებამოსილების ნაწილს დროებით ახორციელებს მთავრობის თავმჯდომარე, ნაწილს — დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე, ხოლო ნაწილის განხორციელების უფლება არავის არ აქვს. მაგალითად, ამ პერიოდში მთავრობის თავმჯდომარე ახორციელებს საგარეო და დიპლომატიურ ურთიერთობებს, არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, ნიშნავს მოსამართლეებს, აცხადებს ამნისტიას; დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე ნიშნავს და გამოიწვევს მთავრობის ხელმძღვანელსა და მინისტრებს, იწვევს დეპუტატთა პალატის სესიას და ითხოვს დეპუტატთა პალატას, ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობასა და ეროვნული ბანკის საბანკო საბჭოს წევ-

რებს, ასევე რეფერენდუმს — ჩეხეთის რესპუბლიკის ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით. ხოლო უფლებამოსილების ნაწილი, რაც მოიცავს უზენაესი სასამართლოსა და კონტროლის უზენაესი სამსახურის თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების დანიშვნას, შეწყალებას, სასჯელის შემსუბუქებას, ნასამართლეობის მოხსნას, ვეტოს დადებას, კანონზე ხელმოწერას, გენერლის წოდების მინიჭებას, დეპუტატთა პალატისა და სენატის არჩევნების დანიშვნას, არც ერთ პირს არ შეუძლია განახორციელოს. თუ რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა ვაკანტური გახდება დეპუტატთა პალატის დათხოვნის პერიოდში, პრეზიდენტის ზემოხსენებულ უფლებამოსილებას ახორციელებს სენატის თავმჯდომარე.

რაც შეეხება აღმასრულებელ ხელისუფლებას, მის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს მთავრობა, რომელიც კოლეგიური ორგანოა და შედგება მთავრობის თავმჯდომარის, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეებისა და მინისტრებისგან. მთავრობა ანგარიშვალდებულია დეპუტატთა პალატის წინაშე.

პრეზიდენტი ნიშნავს მთავრობის თავმჯდომარეს, ხოლო მისი წარდგინებით — მთავრობის სხვა წევრებს. დანიშვნიდან არა უმეტეს 30 დღეში მთავრობას ნდობა უნდა გამოუცხადოს დეპუტატთა პალატამ. თუ მეორედ წარდგენის შემთხვევაშიც ვერ მიიღობს მთავრობა ნდობას, პრეზიდენტი დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის წინადადებით ნიშნავს მთავრობის თავმჯდომარეს.

პრეზიდენტი მთავრობის თავმჯდომარის წინადადებით ათავისუფლებს მთავრობის სხვა წევრებს. მთავრობის თავმჯდომარე გადადგომის შესახებ განცხადებას წარუდგენს პრეზიდენტს.

მთავრობა ატარებს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ქვედა პალატის წინაშე. დეპუტატთა პალატას შეუძლია უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას. მისი ინიციატივის უფლება აქვს დეპუტატთა პალატის არანაკლებ 50 წევრს, ხოლო გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დეპუტატთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტის თანხმობა.

მთავრობა გადაწყვეტილებას იღებს კოლეგიურად, რისთვისაც აუცილებელია მის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტის თანხმობა. კანონის აღსასრულებლად და მის ფარგლებში მთავრობას უფლება აქვს გამოსცეს დადგენილებები. მათ ხელს აწერს მთავრობის თავმჯდომარე და სხვა შესაბამისი წევრები.

მთავრობის წევრი არ არის უფლებამოსილი ეწეოდეს საქმიანობას, რომელიც თავისი ხასიათით შეუსაბამობაშია მისი უფლებამოსილების განხორციელებასთან.

პროკურატურის სტატუსს კონსტიტუციაში მხოლოდ ერთი მუხლი ეთმობა, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების თავშია განთავსებული. სახელმწიფო პროკურორები ახორციელებენ საჯარო ბრალდებას სისხლის-

სამართლებრივ წარმოებასთან დაკავშირებით, ასევე — კანონით დაკისრებულ სხვა ამოცანებს.

სასამართლო ხელისუფლებას რესპუბლიკის სახელით ახორციელებენ დამოუკიდებელი სასამართლოები. საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს ამ ხელისუფლების და არა სასამართლო სისტემის შემადგენელ ნაწილს და კონსტიტუციურობის დაცვის სასამართლო ორგანოს. იგი შედგება 10 წლის ვადით დანიშნული 15 მოსამართლისაგან. მათ სენატის თანხმობით ნიშნავს პრეზიდენტი. მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს უმწიკვლო რეპუტაციის მქონე მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს სენატში ასარჩევად წაყენებულ მოთხოვნებს, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და იურიდიული სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე არ შეიძლება მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში სენატის თანხმობის გარეშე, გარდა დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში ან უშუალოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება სენატის თავმჯდომარეს. თუ სენატის თავმჯდომარე დაკავების მომენტიდან 24 საათის განმავლობაში არ მისცემს თანხმობას დაკავებულის სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ, დამკავებელი ორგანო ვალდებულია გაათავისუფლოს დაკავებული.

საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს კანონის კონსტიტუციურობას, ხოლო სხვა სამართლებრივი აქტების — კონსტიტუციურობასა და კანონიერებას. გარდა ამისა, იგი გადაწყვეტილებებს იღებს ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევასთან დაკავშირებით სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა გადაწყვეტილების და სხვა მოქმედების თაობაზე; დეპუტატისა და სენატორის არჩევის გადაწყვეტილების დადასტურების, ქმედუნარიანობის დაკარგვასა და ფუნქციების შეუთავსებლობის შესახებ სარჩელებზე; სენატის მიერ პრეზიდენტისთვის წაყენებული კონსტიტუციური ბრალდების თაობაზე; ჩეხეთისათვის შესასრულებლად სავალდებულო საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისათვის აუცილებელი ღონისძიებების თაობაზე, თუ ის არ შეიძლება აღსრულდეს სხვა ფორმით; პოლიტიკური პარტიის დათხოვნის ან პოლიტიკური პარტიის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილების კონსტიტუციურ და სხვა კანონებთან შესაბამისობის თაობაზე.

საკონსტიტუციო სასამართლო ასევე აღჭურვილია წინასწარი კონტროლის უფლებამოსილებით ჩეხეთის საერთაშორისო ორგანიზაციაში წევრობასთან ან რატიფიკაციას ქვემდებარე საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხზე.

ამასთან, კანონით შეიძლება დადგინდეს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ნაცვლად უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას: სამართლებრივი აქტების ან მათი ცალკეული დებულებების გა-

უქმების თაობაზე, თუ ისინი ეწინააღმდეგება კანონს; სახელმწიფო ორგანოებისა და ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციასთან დაკავშირებული დავის თაობაზე, თუ კანონით მოცემული დავის გადაწყვეტა სხვა ორგანოს კომპეტენციას არ განეკუთვნება.

აღსრულებას ქვემდებარე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა ყველა ორგანოსა და პირისთვის.

სასამართლო სისტემას ქმნიან: უზენაესი სასამართლო, უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლო, უმაღლესი, რეგიონული და რაიონული სასამართლოები. სხვა სახის სასამართლოები შეიძლება დადგინდეს კანონით. უზენაესი სასამართლო წარმოადგენს უმაღლეს სასამართლო ორგანოს სასამართლოთა კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებზე, გარდა საკონსტიტუციო სასამართლოსა და უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი საქმეებისა.

მოსამართლე ინიშნება რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ განუსაზღვრელი ვადით. მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე უმწიკვლო რეპუტაციის მქონე მოქალაქე.

მოსამართლისა და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ფუნქცია შეუთავსებელია პრეზიდენტის, პარლამენტის წევრის, ასევე სახელმწიფო მმართველობის რაიმე ფუნქციებთან.

ჩეხეთი უნიტარული სახელმწიფოა, რომელიც იყოფა თემებად. თვითმმართველობის უფრო მაღალ დონეს წარმოადგენენ რეგიონები, რომლებიც აერთიანებენ თემებს. ამჟამად ჩეხეთში 13 რეგიონია.

ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულები ფუნქციონირებს საჯარო-სამართლებრივი კორპორაციების სახით, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ საკუთარი ქონება და განკარგონ საკუთარი ბიუჯეტის საფუძველზე. სახელმწიფოს შეუძლია ჩაერიოს ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულთა საქმიანობაში, თუ ეს აუცილებელია კანონის დაცვის მიზნით და მხოლოდ კანონით დადგენილი წესით.

თემი დამოუკიდებლად იმართება 4 წლის ვადით არჩეული სათემო კრების მიერ. მისი წევრები აირჩევიან ფარული კენჭისყრით საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე.

რეგიონები იმართება წარმომადგენელთა კრების მიერ.

რაც შეხება ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ქარტიას, მასში დეტალურად არის გაწერილი ადამიანის უფლებები და თავისუფლებები და მათი გარანტიები. აღნიშნულია, რომ ძირითადი უფლებები და თავისუფლებები განუყოფელი და განუსხვისებელია და არ ექვემდებარება ხანდაზმულობას ან გაუქმებას.

ძირითადი უფლებები და თავისუფლებები გარანტირებულია ყველასათვის, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რწმენის და რელიგიის,

პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული თუ ეთნიკური უმცირესობის კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, წარმომავლობის ან სხვა გარემოებებისა. ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების საზღვრები შეიძლება დადგინდეს მხოლოდ კანონებით, ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ქარტიის მიერ დადგენილი პირობების დაცვით. პირადი უფლებებიდან აღსანიშნავია უფლებაუნარიანობის, პიროვნებისა და მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, სიცოცხლის უფლება. სიკვდილით დასჯა დაუშვებელია. ყველას აქვს თავისი ადამიანური ღირსების, პირადი პატივის, კარგი რეპუტაციის პატივისცემისა და სახელის დაცვის, თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება. საცხოვრებელი ადგილი ხელშეუხებელია. გარანტირებულია აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, სამეცნიერო კვლევისა და სამხატვრო შემოქმედების თავისუფლება.

პოლიტიკური უფლებებიდან გარანტირებულია სიტყვის თავისუფლება, ინფორმაციის, პეტიციის, მშვიდობიანი შეკრების, თავისუფლად გაერთიანების, საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში მონაწილეობის უფლება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა ისიც, რომ ყველა პოლიტიკური უფლებისა და თავისუფლების და მათი განმარტებისა და გამოყენების საკანონმდებლო რეგულირება უნდა ქმნიდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკურ ძალთა თავისუფალი შეჯიბრებითობისა და მისი დაცვის უზრუნველყოფის შესაძლებლობებს.

ქარტია ითვალისწინებს ნორმას, რომლის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ კონსტიტუციური ორგანოების მოქმედება და სამართლებრივი საშუალებების ეფექტურად გამოყენება შეუძლებელია, მოქალაქეებს ენიჭებათ უფლება წინააღმდეგობა გაუწიონ ყველას, ვინც ხელყოფს დემოკრატიულ წყობას.

ქარტიის ცალკე თავი ეძღვნება ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების უფლებებს. მოქალაქეებს, რომლებიც ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობებს წარმოადგენენ, გარანტირებული აქვთ ყოველმხრივი განვითარება, კერძოდ, სხვა უმცირესობის წარმომადგენლებთან ერთად თავისი კულტურის განვითარების, ინფორმაციის მშობლიურ ენაზე გავრცელებისა და მიღების და ეროვნულ გაერთიანებებში გაერთიანების უფლება. მათ ასევე აქვთ: თავის ენაზე განათლების მიღების, ოფიციალურ ურთიერთობებში თავისი ენის გამოყენების, ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობათა საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებიდან ყურადღება გამახვილებულია პროფესიის თავისუფლად არჩევისა და მასში მომზადების, აგრეთვე სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური საქმიანობის, გაფიცვის, პროფკავშირულ ორგანიზაციებში საქმიანობისა და სხვა გაერთიანებების შექმნის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების მიღების, კულტურულ ფასეულობებზე

ხელმისაწვდომობის, ხელსაყრელ გარემოში ცხოვრების უფლებაზე. ქალებს, ახალგაზრდებსა და ჯანმრთელობადარღვეულ პირებს აქვთ შრომის პროცესში ჯანმრთელობის გაუმჯობესებული დაცვისა და შრომის განსაკუთრებული პირობების უფლება, მოქალაქეებს აქვთ მოხუცებულობის, შრომისუუნაროობის, აგრეთვე მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში შესაბამისი ოდენობის მატერიალური უზრუნველყოფის უფლება.

ქარტია ასევე ყურადღებას ამახვილებს სასამართლო და სხვა სამართლებრივი დაცვის უფლებაზე. ყველას შეუძლია დადგენილი წესით დაიცვას თავისი უფლებები დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოში, ხოლო კანონით დადგენილ შემთხვევებში — სხვა ორგანოში.

მხოლოდ კანონით დგინდება, თუ რომელი ქმედება ითვლება დანაშაულად და რომელი სასჯელი ან უფლებებსა და ქონებასთან დაკავშირებული სხვა შეზღუდვა შეიძლება იქნეს დანიშნული მისი ჩადენისათვის.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები. ჩეხეთის რესპუბლიკა კლასიკური ფორმის საპარლამენტო რესპუბლიკას წარმოადგენს და სახელმწიფო ორგანოთა სტატუსიც აქედან გამომდინარე თავისებურებებით ხასიათდება;

— პირველ რიგში, აღსანიშნავია სუსტი პრეზიდენტი, რომელიც, ამავდროულად, არც პასუხს აგებს განხორციელებული საქმიანობისათვის;

— პრეზიდენტს არ გააჩნია განსაკუთრებულ შემთხვევებში კანონის ძალის მქონე აქტების გამოცემის უფლება;

— თავისებურებაა ისიც, რომ პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მისი უფლებამოსილება დროებით ნაწილდება ორ პირზე;

— პრეზიდენტად ასარჩევად არ არის სავალდებულო დაბადებით ჩეხეთის მოქალაქეობა;

— პარლამენტის წევრის მიერ შეუთავსებელი თანამდებობის დაკავებისას ავტომატურად წყდება მისი საპარლამენტო უფლებამოსილება;

— მინისტრი შეიძლება იყოს პარლამენტის წევრი, მაგრამ მას არ გააჩნია ზოგიერთი საპარლამენტო თანამდებობის დაკავების უფლება;

— მაღალი ასაკობრივი ცენზია დადგენილი სენატში ასარჩევად, რაც 40 წელს შეადგენს;

— დეპუტატთა პალატის დათხოვნისას მის უფლებამოსილებას ასრულებს სენატი;

— საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს არა მხოლოდ კონსტიტუციურობის, არამედ კანონიერების საკითხსაც;

— კონსტიტუცია ასევე არ შეიცავს ნორმებს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ და ეს სფერო ცალკე აქტით — ქარტიით არის მოწესრიგებული;

— ქარტია ითვალისწინებს ნორმას, რომლის მიხედვით როდესაც სხვა სამართლებრივი საშუალებები ამოწურულია, მოქალაქეებს გააჩნიათ დემოკრატიული რეჟიმის დასაცავად წინააღმდეგობის გაწევის უფლება;

— კონსტიტუციაში არ არის მოცემული კონსტიტუციის გადასინჯვის თავი და მისი გადასინჯვა ხორციელდება კონსტიტუციური კანონის მიღებისათვის დადგენილი წესით.

ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია[1]

მიღებულია 1992 წლის 16 დეკემბერს

(1992 წლის 16 დეკემბრის №1/1993 წლის კონსტიტუციურ კანონში შეტანილ იქნა შესწორებები №347/1997, 300/2000, 448/2001, 395/2001 და 515/2002 აქტებით)

ჩეხეთის ეროვნულმა საბჭომ მიიღო ეს კონსტიტუციური კანონი:

პრეამბულა

ჩვენ, ჩეხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის პერიოდში ჩეხეთის რესპუბლიკის მოქალაქენი ბოჰემიაში, მორავიასა და სილეზიაში, ვართ ერთგულნი რა ბოჰემიის სამეფო მიწებისა და ჩეხოსლოვაკიის ისტორიული სახელმწიფოებრიობის ყველა ჯანსაღი ტრადიციისა, საკაცობრიო ღირებულებებისა და თავისუფლებების ხელშეუვალი ფასეულობის სულისკვეთებით ვითავისებთ რა საკუთარ ვალდებულებებს სხვებთან მიმართებაში და საზოგადო პასუხისმგებლობას, რათა ავაშენოთ, დავიცვათ და განვავითაროთ ჩეხეთის რესპუბლიკა, როგორც თანასწორუფლებიანი თავისუფალი მოქალაქეების მამული, ადამიანის უფლებების პატივისცემაზე, სამოქალაქო საზოგადოების პრინციპებზე დაფუძნებული თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფო, ევროპული ოჯახისა და მსოფლიო დემოკრატიის შემადგენელი ნაწილი, გადავწყვიტეთ რა გავუფრთხილდეთ და განვავითაროთ მემკვიდრეობით მიღებული ბუნებრივი და კულტურული, მატერიალური და სულიერი სიმდიდრეები და ვხელმძღვანელობთ რა სამართლებრივი სახელმწიფოს ყველა დასაშვები პრინციპით, თავისუფლად არჩეული ჩვენი წარმომადგენლების მეშვეობით ვიღებთ ჩეხეთის რესპუბლიკის ამ კონსტიტუციას.

პირველი თავი. ძირითადი დებულებები

მუხლი 1.

(1) ჩეხეთის რესპუბლიკა არის ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემაზე დაფუძნებული სუვერენული, ერთიანი დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფო.

---

[1] თარგმანისას გამოყენებულია ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.hrad.cz/en/ustava_cr/index.shtml გამოქვეყნებული ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონისა და ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ქარტიის ინგლისურენოვანი ტექსტები.

(2) ჩეხეთის რესპუბლიკა თავის ვალდებულებას ასრულებს საერთაშორისო სამართლის გათვალისწინებით.

მუხლი 2.

(1) სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. იგი მას ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა მეშვეობით.

(2) კონსტიტუციურმა კანონმა შეიძლება განსაზღვროს, თუ როდის ახორციელებს ხალხი სახელმწიფო ხელისუფლებას უშუალოდ.

(3) სახელმწიფო ხელისუფლება ემსახურება ყველა მოქალაქეს და ხორციელდება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში, წესითა და ფარგლებში.

(4) ყოველ მოქალაქეს შეუძლია გააკეთოს ის, რაც არ არის კანონით აკრძალული და არავინ შეიძლება იყოს იძულებული გააკეთოს ის, რაც კანონით სავალდებულო არ არის.

მუხლი 3.

ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ქარტია წარმოადგენს ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციური სისტემის შემადგენელ ნაწილს.

მუხლი 4.

ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს იცავს სასამართლო ხელისუფლება.

მუხლი 5.

პოლიტიკური სისტემა ეფუძნება თავისუფალ და ნებაყოფლობით შექმნას და პოლიტიკურ პარტიათა თავისუფალ შეჯიბრებითობას, რომლებიც პატივს სცემენ დემოკრატიულ პრინციპებს და უარყოფენ ძალადობას, როგორც საკუთარი ინტერესების დაცვის საშუალებას.

მუხლი 6.

პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიიღება თავისუფალ არჩევნებში გამოხატული უმრავლესობის ნების საფუძველზე. უმრავლესობის გადაწყვეტილების მიღებისას უზრუნველყოფილია უმცირესობის უფლებათა დაცვა.

მუხლი 7.

სახელმწიფო ზრუნავს ბუნებრივი რესურსების გონივრულ გამოყენებასა და ბუნებრივი სიმდიდრის დაცვაზე.

მუხლი 8.

ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებისათვის გარანტირებულია თვითმმართველობა.

მუხლი 9.

(1) კონსტიტუციაში ცვლილებები და დამატებები შეიტანება მხოლოდ კონსტიტუციური კანონით.

(2) დაუშვებელია დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი ატრიბუტიკის შეცვლა.

(3) სამართლებრივი ნორმების განმარტება არ უნდა იყოს გამოყენებული დემოკრატიული სახელმწიფოს საფრთხის შექმნის ან ლიკვიდაციის საფუძვლად.

მუხლი 10.

გამოქვეყნებული საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა რატიფიკაცია პარლამენტმა მოახდინა და რომლებიც დაკავშირებულია ჩეხეთის რესპუბლიკასთან, შეადგენენ სამართლის სისტემის ნაწილს. თუ საერთაშორისო ხელშეკრულებები ადგენენ კანონისგან განსხვავებულ დებულებებს, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებები.

მუხლი 10ა.

(1) საერთაშორისო ხელშეკრულებამ შეიძლება გაითვალისწინოს ჩეხეთის რესპუბლიკის ორგანოთა განსაზღვრული უფლებამოსილებების საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისთვის გადაცემა.

(2) პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საერთაშორისო ხელშეკრულებათა პარლამენტის მიერ რატიფიკაცია სავალდებულოა, თუ კონსტიტუციური კანონი არ მოითხოვს მათ რეფერენდუმით დამტკიცებას.

მუხლი 10ბ.

(1) მთავრობამ რეგულარულად და წინასწარ უნდა შეატყობინოს პარლამენტს მე-10ა მუხლით გათვალისწინებული ჩეხეთის რესპუბლიკის საერთაშორისო ორგანიზაციაში თუ დაწესებულებაში წევრობასთან დაკავშირებით წარმოშობილი ვალდებულებების შესახებ.

(2) ასეთი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დაწესებულების გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით პარლამენტის პალატები გამოხატავენ თავის შეხედულებებს მათი რეგლამენტებით გათვალისწინებული ფორმით.

(3) პალატების ურთიერთმოქმედებებისა და ურთიერთთანამშრომლობის პრინციპებისა და მათი შიდა ურთიერთკავშირის შესაბამისად, კანონმა პალატის გაერთიანებულ ორგანოს შეიძლება დაავალოს პალატათა კომპეტენციის მე-2 პუნქტის შესაბამისად განხორციელება.

მუხლი 11.

ჩეხეთის რესპუბლიკის ტერიტორია წარმოადგენს განუყოფელ მთლიანობას. მისი სახელმწიფო საზღვრების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ კონსტიტუციური კანონით.

მუხლი 12.

(1) ჩეხეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის მიღებისა და შეწყვეტის წესი განისაზღვრება კანონით.

(2) არავის არ შეიძლება ჩამოერთვას მოქალაქეობა მისი ნების საწინააღმდეგოდ.

მუხლი 13.

ჩეხეთის რესპუბლიკის დედაქალაქია პრაღა.

მუხლი 14.

(1) ჩეხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლოებს წარმოადგენს დიდი და პატარა სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო ფერები, სახელმწიფო დროშა, რესპუბლიკის პრეზიდენტის შტანდარტი, სახელმწიფო ბეჭედი და სახელმწიფო ჰიმნი.

(2) სახელმწიფო სიმბოლოები და მათი გამოყენების წესი დგინდება კანონით.

მეორე თავი.
საკანონმდებლო ხელისუფლება

მუხლი 15.

(1) ჩეხეთის რესპუბლიკაში საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის პარლამენტს.

(2) პარლამენტი შედგება ორი პალატისგან – დეპუტატთა პალატისა და სენატისგან.

მუხლი 16.

(1) დეპუტატთა პალატა შედგება ოთხი წლის ვადით არჩეული 200 დეპუტატისგან.

(2) სენატი შედგება ექვსი წლის ვადით არჩეული 81 სენატორისგან. ყოველ ორ წელიწადში ხდება სენატორთა ერთი მესამედის განახლება.

მუხლი 17.

(1) ორივე პალატის არჩევნები ტარდება თითოეული პალატის უფლებამოსილების გასვლამდე ოცდამეათე დღიდან უფლებამოსილების გასვლის დღემდე პერიოდში.

(2) დეპუტატთა პალატის დათხოვნის შემთხვევაში არჩევნები ტარდება მისი დათხოვნის დღიდან სამოცი დღის ვადაში.

მუხლი 18.

(1) დეპუტატთა პალატის არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის შესაბამისად.

(2) სენატის არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, მაჟორიტარული სისტემის შესაბამისად.

(3) არჩევის უფლება აქვს ჩეხეთის რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან.

მუხლი 19.

(1) დეპუტატთა პალატაში შეიძლება არჩეულ იქნეს საარჩევნო უფლების მქონე ჩეხეთის რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე ოცდაერთი წლის ასაკიდან.

(2) სენატში შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე ჩეხეთის რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე ორმოცი წლის ასაკიდან.

(3) დეპუტატისა და სენატორის მანდატი მოიპოვება არჩევნების შედეგად.

მუხლი 20.

საარჩევნო უფლების განხორციელებისა და არჩევნების ორგანიზაციის სხვა პირობები და სასამართლო შემოწმების ფარგლები დგინდება კანონით.

მუხლი 21.

არავინ არ შეიძლება იყოს ერთდროულად პარლამენტის ორივე პალატის წევრი.

მუხლი 22.

(1) დეპუტატის ან სენატორის ფუნქცია შეუთავსებელია რესპუბლიკის პრეზიდენტის, მოსამართლისა და კანონით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებთან.

(2) დეპუტატის ან სენატორის მიერ რესპუბლიკის პრეზიდენტის, მოსამართლის ვალდებულებების თუ სხვა ფუნქციების შესრულების დღიდან

წყდება დეპუტატისა და სენატორის მათ ფუნქციებთან შეუთავსებელი მანდატი.

მუხლი 23.

(1) დეპუტატი იღებს ფიცს დეპუტატთა პალატის პირველი შეკრებისთანავე, რომლის მუშაობაშიც იგი მონაწილეობს.

(2) სენატორი ფიცს დებს სენატის პირველი შეკრებისთანავე, რომლის მუშაობაშიც იგი მონაწილეობს.

(3) დეპუტატისა და სენატორის ფიცი: „ვფიცავ, ვუერთგულებ ჩეხეთის რესპუბლიკას. ვფიცავ, დავიცავ მის კონსტიტუციასა და კანონებს. ვფიცავ, საკუთარ სინდისს, რომ ჩემს მანდატს განვახორციელებ მთელი ხალხის ინტერესებისათვის, საკუთარი რწმენისა და სინდისის ხელმძღვანელობით".

მუხლი 24.

დეპუტატს ან სენატორს უფლება აქვს უარი თქვას თავის მანდატზე შესაბამისი პალატის სხდომაზე პირადი განცხადების გაკეთებით. სერიოზული გარემოებების არსებობისას მას შეუძლია ეს გააკეთოს ასევე კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 25.

დეპუტატის ან სენატორის მანდატი შეიძლება შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:

ა) ფიცის დადებაზე უარის თქმის ან დათქმით ფიცის დადებისას;
ბ) უფლებამოსილების ვადის გასვლისას;
გ) მანდატზე უარის თქმის შემთხვევაში;
დ) ქმედუნარიანობის დაკარგვისას;
ე) დეპუტატებისთვის — დეპუტატთა პალატის დათხოვნისას;
ვ) 22-ე მუხლის შესაბამისად ფუნქციათა შეუთავსებლობის შემთხვევაში.

მუხლი 26.

დეპუტატები და სენატორები თავიანთ მანდატს ახორციელებენ პირადად, დადებული ფიცის შესაბამისად და არ არიან დამოკიდებული ვინმეს მითითებებზე.

მუხლი 27.

(1) დეპუტატი ან სენატორი არ შეიძლება მიცემულ იქნეს პასუხისგებაში დეპუტატთა პალატაში ან სენატში ან მათ ორგანოებში ხმის მიცემისათვის.

(2) დეპუტატი ან სენატორი არ შეიძლება მიცემულ იქნეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში დეპუტატთა პალატაში ან სენატში ან მათ ორ-

განოებში გამოსვლებისთვის. დეპუტატი ან სენატორი დისციპლინური წესით აგებს პასუხს მხოლოდ იმ პალატის წინაშე, რომლის წევრიც არის იგი.

(3) ჩადენილი გადაცდომისთვის დეპუტატი ან სენატორი მიეცემა დისციპლინურ პასუხისგებაში იმ პალატის მიერ, რომლის წევრიც არის იგი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

(4) დეპუტატი ან სენატორი არ შეიძლება მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში იმ პალატის თანხმობის გარეშე, რომლის წევრიც არის იგი. თუ პალატა არ მისცემს თანხმობას, სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება სამუდამოდ.

(5) დეპუტატი ან სენატორი შეიძლება დაკავებულ იქნეს მხოლოდ დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში ან უშუალოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ. შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს იმ პალატის თავმჯდომარეს, რომლის წევრიც არის დაკავებული. თუ დაკავების მომენტიდან 24 საათის განმავლობაში პალატის თავმჯდომარე არ მისცემს თანხმობას დაკავებულის სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ, დამკავებელმა ორგანომ უნდა გაათავისუფლოს დაკავებული. პალატა უახლოეს სხდომაზე იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის დასაშვებობის შესახებ.

მუხლი 28.

დეპუტატსა და სენატორს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტების შესახებ, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა დეპუტატისა და სენატორის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით, ასევე მანდატის შეწყვეტის შემდეგაც.

მუხლი 29.

(1) დეპუტატთა პალატა ირჩევს და გამოიწვევს დეპუტატთა პალატის თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს.

(2) სენატი ირჩევს და გამოიწვევს სენატის თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს.

მუხლი 30.

(1) საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხთა გამოსაძიებლად, დეპუტატთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ერთი მეხუთედის წინადადებით, დეპუტატთა პალატას შეუძლია შექმნას საგამოძიებო კომისიები.

(2) კომისიის საქმიანობის წესი რეგულირდება კანონით.

მუხლი 31.

(1) პალატები თავიანთი ორგანოების სახით ქმნიან კომიტეტებსა და კომისიებს.

(2) კომიტეტებისა და კომისიების საქმიანობა რეგულირდება კანონით.

მუხლი 32.

მთავრობის წევრი დეპუტატი ან სენატორი არ შეიძლება იყოს დეპუტატთა პალატის ან სენატის თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე, ასევე საპარლამენტო კომიტეტის, საგამოძიებო ან სხვა კომისიის წევრი.

მუხლი 33.

(1) დეპუტატთა პალატის დათხოვნის შემთხვევაში სენატი უფლებამოსილია მიიღოს კანონის ძალის მქონე აქტები საკანონმდებლო წესით დასარეგულირებელ იმ საკითხებზე, რომელთა დაყოვნებაც შეუძლებელია.

(2) სენატი არ არის უფლებამოსილი მიიღოს კონსტიტუციურ საკითხებთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტები, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების, საარჩევნო სამართლისა და მე-10 მუხლში გათვალისწინებულ საერთაშორისო ხელშეკრულებების საკითხებზე.

(3) სენატში საკანონმდებლო აქტის პროექტების შეტანის უფლება აქვს მხოლოდ მთავრობას.

(4) სენატის აღნიშნულ საკანონმდებლო აქტებს ხელს აწერენ სენატის თავმჯდომარე, რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობის თავმჯდომარე; მათი გამოქვეყნება ხდება კანონის გამოქვეყნებისათვის დადგენილი წესით.

(5) სენატის აღნიშნული საკანონმდებლო აქტები მტკიცდება დეპუტატთა პალატის პირველ სხდომაზე. იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატთა პალატა არ დაამტკიცებს სენატის აქტს, იგი ძალას კარგავს ამ მომენტიდან.

მუხლი 34.

(1) პალატები სესიაზე იმყოფება მუდმივად. რესპუბლიკის პრეზიდენტი იწვევს დეპუტატთა პალატის სესიას ისე, რომ იგი გაიხსნას არჩევნებიდან არა უმეტეს ოცდაათ დღეში; თუ პრეზიდენტი დადგენილ ვადაში არ მოიწვევს სესიას, დეპუტატთა პალატა იკრიბება არჩევნებიდან ოცდამეათე დღეს.

(2) პალატის სესია შეიძლება შეწყდეს მისი დადგენილებით. შესვენების საერთო ხანგრძლივობა წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს ას ოც დღეს.

(3) სესიებს შორის პერიოდში დეპუტატთა პალატის ან სენატის თავმჯდომარეს შეუძლია მოიწვიოს პალატა დადგენილ ვადაზე ადრე. ასეთ გადაწყვეტილებას ისინი იღებენ ყოველთვის რესპუბლიკის პრეზიდენტის, მთავრობის ან პალატის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის მოთხოვნით.

(4) დეპუტატთა პალატის სესია მთავრდება უფლებამოსილების დადგენილ ვადაში შეწყვეტის შემთხვევაში ან დათხოვნისას.

მუხლი 35.

(1) დეპუტატთა პალატა შეიძლება დათხოვნილ იქნეს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ იმ შემთხვევებში, თუ:

ა) დეპუტატთა პალატამ არ გამოხატა ნდობა ახლად დანიშნული მთავრობისადმი, რომლის თავმჯდომარეც რესპუბლიკის პრეზიდენტმა დანიშნა დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის წინადადებით;

(ბ) დეპუტატთა პალატამ სამი თვის განმავლობაში არ მიიღო დადგენილება მთავრობის კანონპროექტთან დაკავშირებით, რომლის განხილვასთანაც მთავრობა აკავშირებს ნდობის საკითხს;

(გ) დეპუტატთა პალატის სხდომა შეწყდა უფრო მეტი ხნით, ვიდრე დასაშვებია;

(დ) დეპუტატთა პალატა სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში იყო ქმედუუნარო გადაწყვეტილების მიღებაში, თუმცა მისი სესია არ შეწყვეტილა და ამ დროს იგი ხელახლა იქნა მოწვეული.

(2) დეპუტატთა პალატა არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს მისი უფლებამოსილების გასვლამდე სამი თვის განმავლობაში.

მუხლი 36.

პალატების სხდომები ღიაა. დახურული სხდომა შეიძლება გაიმართოს მხოლოდ კანონით დადგენილ მოთხოვნათა არსებობისას.

მუხლი 37.

(1) პალატების გაერთიანებულ სხდომას იწვევს დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე.

(2) გაერთიანებულ სხდომაზე დებატები იმართება დეპუტატთა პალატის რეგლამენტის შესაბამისად.

მუხლი 38.

(1) მთავრობის წევრს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ორივე პალატის, მათი კომიტეტებისა და კომისიების სხდომებში. მთავრობის წევრს მისი მოთხოვნისთანავე ნებისმიერ დროს ეძლევა სიტყვა გამოსვლისათვის.

(2) დეპუტატთა პალატის დადგენილებით, მთავრობის წევრი ვალდებულია პირადად დაესწროს მის სხდომას. მსგავსი მოთხოვნა მოქმედებს კომიტეტის, კომისიისა და საგამოძიებო კომისიის სხდომის შემთხვევაშიც. ამ ორგანოების სხდომებზე მთავრობის წევრი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მისი მოადგილის ან მთავრობის სხვა წევრით, თუ დადგენილება არ შეიცავს მოთხოვნას მისი უშუალო მონაწილეობის შესახებ.

მუხლი 39.

(1) პალატები უფლებამოსილნი არიან მიიღონ გადაწყვეტილება, თუ მათ სხდომებს ესწრება წევრთა არანაკლებ მესამედი.

(2) პალატის გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია დამსწრე დეპუტატებისა და სენატორების უმრავლესობის თანხმობა, თუ კონსტიტუციით სხვა რამ არ არის დადგენილი.

(3) გადაწყვეტილება ომის გამოცხადების, ჩეხეთის რესპუბლიკის ტერიტორიის გარეთ ჩეხეთის შეიარაღებული ძალების გაგზავნის ან ჩეხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხო სამხედრო ძალის ყოფნაზე თანხმობის შესახებ, აგრეთვე გადაწყვეტილება ჩეხეთის რესპუბლიკის იმ საერთაშორისო ორგანიზაციათა დაცვის სისტემებში მონაწილეობის თაობაზე, რომლის წევრიც არის ჩეხეთის რესპუბლიკა, საჭიროებს დეპუტატთა საერთო რაოდენობის უმრავლესობისა და სენატორთა საერთო რაოდენობის უმრავლესობის თანხმობას.

(4) კონსტიტუციური კანონისა და მე-10ა მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია დეპუტატთა სამი მეხუთედისა და დამსწრე სენატორთა სამი მეხუთედის თანხმობა.

მუხლი 40.

საარჩევნო კანონისა და პალატების საქმიანობის პრინციპებისა და პალატებს შორის ურთიერთობის, ასევე მათ სხვა ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ კანონის, ასევე სენატის რეგლამენტის შესახებ კანონის მისაღებად აუცილებელია დეპუტატთა პალატისა და სენატის თანხმობა.

მუხლი 41.

(1) კანონპროექტები შეიტანება დეპუტატთა პალატაში.

(2) კანონპროექტები შეიძლება შეტანილ იქნეს დეპუტატის, დეპუტატთა ჯგუფის, სენატის, მთავრობისა და მაღალი დონის ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ.

მუხლი 42.

(1) სახელმწიფო ბიუჯეტის და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ კანონპროექტები შეიტანება მთავრობის მიერ.

(2) აღნიშნული კანონპროექტები განიხილება ღია სხდომაზე და მათ შესახებ დადგენილება მიიღება მხოლოდ დეპუტატთა პალატის მიერ.

მუხლი 43.

(1) პარლამენტს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ ჩეხეთის რესპუბლიკაზე თავდასხმის შემთხვევაში ან თუ ეს გამომდინარეობს იმ საერთაშორისო ერთობლივი ვალდებულებებიდან, რომლებიც საერთო თავდაცვას ითვალისწინებს.

(2) პარლამენტმა უნდა გადაწყვიტოს ჩეხეთის რესპუბლიკის მონაწილეობის საკითხი იმ საერთაშორისო ორგანიზაციათა თავდაცვის სისტემაში, რომლის წევრიც არის იგი.

(3) პარლამენტმა თანხმობა უნდა მისცეს:

ა) ჩეხეთის რესპუბლიკის ძალების გაგზავნას ჩეხეთის რესპუბლიკის ტერიტორიის გარეთ;

ბ) ჩეხეთის ტერიტორიაზე უცხოური სამხედრო ძალების ყოფნას, თუ ამ გადაწყვეტილებების მიღების უფლება მთავრობისათვის არ არის შენარჩუნებული.

(4) მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს ჩეხეთის შეიარაღებული ძალების ჩეხეთის რესპუბლიკის ტერიტორიის გარეთ გაგზავნის და ჩეხეთის ტერიტორიაზე უცხოური შეიარაღებული ძალების არა უმეტეს 60 დღემდე ყოფნის საკითხი, როდესაც ეს უკავშირდება:

ა) საერთაშორისო ხელშეკრულების ვალდებულების შესრულებას აგრესიის წინააღმდეგ ერთობლივ თავდაცვაზე;

ბ) სამშვიდობო მოქმედებებში მონაწილეობას საერთაშორისო ორგანიზაციათა გადაწყვეტილების შესაბამისად, რომლის წევრიც არის ჩეხეთის რესპუბლიკა, და თუ აქვს მიღებული გამგზავნი სახელმწიფოს თანხმობა;

გ) სამაშველო მოქმედებებში მონაწილეობას ბუნებრივი, სამრეწველო და ეკოლოგიური კატასტროფების შემთხვევებში.

(5) მთავრობამ აგრეთვე უნდა გადაწყვიტოს:

ა) ჩეხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოური შეიარაღებული ძალების გატარება ან გადაფრენა;

ბ) ჩეხეთის რესპუბლიკის ტერიტორიის გარეთ ჩეხეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო სწავლებაში მონაწილეობა და ჩეხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოური შეიარაღებული ძალების სამხედრო სწავლებაში მონაწილეობა.

(6) მთავრობამ მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული თავისი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს პარლამენტის ორივე პალატას. პარლამენტს შეუძლია გააუქმოს მთავრობის ასეთი გადაწყვეტილება, მისი ერთ-ერთი პალატის გადაწყვეტილებით, თუ მას მხარს დაუჭერს ამ პალატის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარი.

მუხლი 44.

(1) მთავრობას უფლება აქვს ყველა კანონპროექტთან დაკავშირებით გამოთქვას თავისი აზრი.

(2) თუ კანონპროექტის მთავრობაში შესვლიდან ოცდაათი დღის ვადაში მთავრობა მის შესახებ თავის აზრს არ გამოთქვამს, კანონპროექტი მთავრობის მიერ მოწონებულად ითვლება.

(3) მთავრობა უფლებამოსილია მოითხოვოს, რომ დეპუტატთა პალატამ დაამთავროს სამთავრობო კანონპროექტის განხილვა მისი შეტანიდან სამი თვის ვადაში, თუ ის კანონპროექტის განხილვას უკავშირებს მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების საკითხს.

მუხლი 45.

დეპუტატთა პალატის მიერ დამტკიცებული კანონპროექტი დაუყოვნებლივ გადაეცემა სენატს.

მუხლი 46.

(1) სენატი კანონპროექტს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან ოცდაათი დღის ვადაში.

(2) სენატს შეუძლია თავისი დადგენილებით დაამტკიცოს ან უარყოს კანონპროექტი, ანდა დააბრუნოს იგი დეპუტატთა პალატაში შესწორებისთვის, ანდა უარი თქვას მოცემული კანონპროექტის განხილვაზე.

(3) თუ სენატი პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში არ გამოთქვამს თავის აზრს კანონპროექტის შესახებ, კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება.

მუხლი 47.

(1) სენატის მიერ კანონპროექტის უარყოფის შემთხვევაში დეპუტატთა პალატაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. კანონპროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.

(2) თუ სენატი დეპუტატთა პალატას დაუბრუნებს კანონპროექტს შესწორებისათვის, კენჭი ეყრება სენატის მიერ დამტკიცებულ რედაქციას. კანონპროექტი მიიღება დეპუტატთა პალატის დადგენილებით.

(3) თუ დეპუტატთა პალატა არ მიიღებს სენატის მიერ დამტკიცებული კანონპროექტის რედაქციას, ტარდება ხელახალი კენჭისყრა კანონპროექტის იმ რედაქციაზე, რომელიც სენატში იქნა გადაგზავნილი. კანონის პროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.

(4) დეპუტატთა პალატაში უარყოფილი ან დაბრუნებული კანონპროექტის განხილვისას ცვლილებების შეტანა დაუშვებელია.

მუხლი 48.

თუ სენატი უარს იტყვის კანონპროექტის განხილვაზე, კანონის პროექტი მიღებულად ითვლება.

მუხლი 49.

პარლამენტის ორივე პალატის მიერ დამტკიცებას საჭიროებს რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც:

ა) არეგულირებს ადამიანის უფლებებსა და ვალდებულებებს;

ბ) ეხება გაერთიანებას, მშვიდობას ან სხვა პოლიტიკურ შეთანხმებებს;

გ) იწვევს საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩეხეთის რესპუბლიკის წევრობას;

დ) ძირითადი არსით ეკონომიკური ხასიათისაა;

ე) ეხება კანონით გათვალისწინებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 50.

(1) რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს მიღებული კანონი, გარდა კონსტიტუციური კანონისა, საკუთარი შენიშვნებით დააბრუნოს მიღებიდან თხუთმეტი დღის ვადაში.

(2) დაბრუნებული კანონის შესახებ დეპუტატთა პალატა ატარებს ხელახალ კენჭისყრას. მასში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია. თუ დაბრუნებულ კანონს განმეორებით ხმას მისცემს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი, კანონი ქვეყნდება. წინააღმდეგ შემთხვევაში კანონი არ ჩაითვლება მიღებულად.

მუხლი 51.

მიღებულ კანონებს ხელს აწერენ დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე, რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობის თავმჯდომარე.

მუხლი 52.

(1) კანონის ნამდვილობისათვის იგი უნდა გამოქვეყნდეს.

(2) კანონით უნდა იქნეს გათვალისწინებული კანონისა და საერთაშორისო ხელშეკრულების გამოქვეყნების წესი.

მუხლი 53.

(1) ყოველ დეპუტატს აქვს უფლება შეიტანოს ინტერპელაცია მთავრობის ან მთავრობის წევრის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე.

(2) მთავრობის შესაბამისი წევრები ვალდებულნი არიან უპასუხონ ინტერპელაციას მისი შეტანიდან ოცდაათი დღის ვადაში.

მესამე თავი.
აღმასრულებელი ხელისუფლება
რესპუბლიკის პრეზიდენტი

მუხლი 54.

(1) რესპუბლიკის პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური.

(2) რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა პარლამენტის მიერ პალატების ერთობლივ სხდომაზე.

(3) რესპუბლიკის პრეზიდენტი თავისი უფლებამოსილების განხორციელებაზე არ არის ანგარიშვალდებული.

მუხლი 55.

რესპუბლიკის პრეზიდენტი თავისი უფლებამოსილების შესრულებას შეუდგება ფიცის დადების მომენტიდან. რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა შეადგენს ხუთ წელს, რომელიც აითვლება ფიცის დადების მომენტიდან.

მუხლი 56.

რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები ტარდება მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე ოცდაათი დღის ვადაში. რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას ახალი პრეზიდენტის არჩევნები იმართება ოცდაათი დღის ვადაში.

მუხლი 57.

(1) რესპუბლიკის პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს სენატში ასარჩევად წაყენებულ მოთხოვნებს.

(2) არავინ არ შეიძლება პრეზიდენტად იყოს არჩეული ზედიზედ ორზე მეტჯერ.

მუხლი 58.

(1) რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატების წარდგენის უფლება აქვს არანაკლებ ათ დეპუტატსა და არანაკლებ ათ სენატორს.

(2) რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელსაც მხარს დაუჭერს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი და სენატორთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.

(3) თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს დეპუტატთა საერთო რაოდენობისა და სენატორთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობას, თოთხმეტი დღის ვადაში ტარდება არჩევნების მეორე ტური.

(4) არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობს კანდიდატი, რომელმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღო დეპუტატთა პალატაში და კანდიდატი, რომელმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღო სენატში.

(5) თუ დეპუტატთა პალატასა და სენატში რამდენიმე კანდიდატი მიიღებს ხმათა თანაბარ რაოდენობას, შეჯამდება მათ მიერ ორივე პალატაში მიღებული ხმები. მეორე ტურში მონაწილეობს კანდიდატი, რომელიც შეჯამებულ ხმათა უმრავლესობას მიიღებს.

(6) არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმას მისცემს დამსწრე დეპუტატთა ნახევარზე მეტი და დამსწრე სენატორთა ნახევარზე მეტი.

(7) თუ რესპუბლიკის პრეზიდენტი ვერც არჩევნების მეორე ტურში აირჩა, თოთხმეტი დღის ვადაში ტარდება არჩევნების მესამე ტური; არჩეულად ჩაითვლება არჩევნების მეორე ტურში მონაწილე ის კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა დამსწრე დეპუტატთა და სენატორთა ნახევარზე მეტმა.

(8) თუ რესპუბლიკის პრეზიდენტი ვერც არჩევნების მესამე ტურში აირჩა, ტარდება ხელახალი არჩევნები.

მუხლი 59.

(1) რესპუბლიკის პრეზიდენტი ფიცს დებს პალატების ერთობლივ სხდომაზე, რომელსაც უძღვება დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე.

(2) რესპუბლიკის პრეზიდენტის ფიცი: „ვფიცავ, ვუერთგულებ ჩეხეთის რესპუბლიკას. ვფიცავ, რომ დავიცავ მის კონსტიტუციასა და კანონებს. ვფიცავ, საკუთარ სინდისს, რომ თანამდებობაზე ყოფნისას ვიმოქმედებ მთელი ხალხის ინტერესების შესაბამისად, საკუთარი რწმენისა და სინდისის ხელმძღვანელობით“.

მუხლი 60.

რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებაზე უარის თქმა ან დათქმით ფიცის დადება განიხილება, როგორც რესპუბლიკის პრეზიდენტის აურჩევლობა.

მუხლი 61.

რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს გადადგეს, რაც უნდა განუცხადოს დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეს.

მუხლი 62.

რესპუბლიკის პრეზიდენტი:

ა) ნიშნავს და გამოიწვევს მთავრობის ხელმძღვანელსა და სხვა წევრებს და იღებს მათ გადადგომას, ითხოვს მთავრობას და იღებს მის გადადგომას;

ბ) იწვევს დეპუტატთა პალატის სესიას;

გ) ითხოვს დეპუტატთა პალატას;

დ) მთავრობას, რომლის გადადგომაც მიიღო ან რომელიც დაითხოვა, ახალი მთავრობის დანიშვნამდე ანიჭებს უფლებამოსილების დროებით განხორციელების უფლებას;

ე) ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს, თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეებს;

ვ) უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთაგან ნიშნავს მის თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეებს;

ზ) ახორციელებს შეწყალებას, ამსუბუქებს სასამართლოს მიერ დანიშნულ სასჯელს; იძლევა მითითებებს, რათა არ დაიწყოს სისხლის სამართლის საქმის წარმოება ან შეჩერდეს დაწყებული სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოება; უხსნის ნასამართლობას;

თ) უფლებამოსილია პარლამენტს დაუბრუნოს მიღებული კანონი, გარდა კონსტიტუციური კანონისა;

ი) ხელს აწერს კანონებს;

კ) ნიშნავს კონტროლის უზენაესი სამსახურის თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეს;

ლ) ნიშნავს ჩეხეთის ეროვნული ბანკის საბანკო საბჭოს წევრებს;

მ) ნიშნავს რეფერენდუმს ჩეხეთის რესპუბლიკის ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით და აცხადებს მის შედეგებს.

მუხლი 63.

(1) რესპუბლიკის პრეზიდენტი ასევე:

ა) წარმოადგენს სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობებში;

ბ) დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს და ახდენს მათ რატიფიკაციას; უფლება აქვს საერთაშორისო ხელშეკრულების დადება დაავალოს მთავრობას ან მისი თანხმობით – მთავრობის ცალკეულ წევრებს.

გ) არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი;

დ) იღებს დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებს;

ე) ნიშნავს და გამოიწვევს დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებს;

ვ) ნიშნავს დეპუტატთა პალატისა და სენატის არჩევნებს;

ზ) ანიჭებს გენერლის წოდებას;

თ) იღებს გადაწყვეტილებას დაჯილდოების შესახებ და გადასცემს სახელმწიფო ჯილდოებს, თუ ამის უფლებამოსილებას არ გადასცემს სხვა ორგანოს;

ი) ნიშნავს მოსამართლეებს;

კ) აცხადებს ამნისტიას.

(2) რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია განახორციელოს სხვა ფუნქციებიც, რომლებიც უშუალოდ არ არის მითითებული კონსტიტუციური კანონით, მაგრამ გათვალისწინებულია კანონით.

(3) პირველი და მე-2 პუნქტებით მისაღები რესპუბლიკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებები ძალაში შედის მთავრობის თავმჯდომარის ან უფლებამოსილი მთავრობის წევრის მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

(4) რესპუბლიკის პრეზიდენტის იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მთავრობის თავმჯდომარის ან უფლებამოსილი მთავრობის წევრის ხელმოწერას საჭიროებს, პასუხისმგებელია მთავრობა.

მუხლი 64.

(1) რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს პარლამენტის ორივე პალატის, მათი კომიტეტებისა და კომისიების სხდომებში. მისი თხოვნით დაუყოვნებლივ ეძლევა სიტყვა გამოსასვლელად.

(2) რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მთავრობის სხდომებში, მთავრობისა და მისი წევრებისგან გამოითხოვოს ინფორმაცია და მთავრობასა და მთავრობის წევრებთან ერთად განიხილოს მათ კომპეტენციაში შემავალი საკითხები.

მუხლი 65.

(1) რესპუბლიკის პრეზიდენტი არ შეიძლება იქნეს დაკავებული, დაექვემდებაროს სისხლისსამართლებრივ დევნას, ასევე გადაცდომის ან სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის დევნას.

(2) რესპუბლიკის პრეზიდენტი სახელმწიფო ღალატის შემთხვევაში შეიძლება მიცემულ იქნეს პასუხისგებაში მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, სენატის მიერ წაყენებული ბრალდების საფუძველზე.

(3) პრეზიდენტობის პერიოდში ჩადენილი ქმედებებისთვის სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება სამუდამოდ.

მუხლი 66.

იმ შემთხვევაში, როდესაც რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა ვაკანტური ხდება, ხოლო ახალი რესპუბლიკის პრეზიდენტი არ არის არჩეული ან არ აქვს დადებული ფიცი, ასევე, როდესაც სერიოზული მიზეზების გამო რესპუბლიკის პრეზიდენტს არ შეუძლია თავისი ფუნქციების განხორციელება, რაც დასტურდება დეპუტატთა პალატისა და სენატის დადგენილებით, 63-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „თ“, „ი“, „კ“ ქვეპუნქტებითა და 63-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პრეზიდენტის უფლებამოსილებას ახორციელებს მთავრობის თავმჯდომარე. მთავრობის თავმჯდომარის მიერ პრეზიდენტის შეზღუდული უფლებამოსილებების შესრულების პერიოდში დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე ახორციელებს რესპუბლიკის პრეზიდენტის 62-ე მუხლის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ „ლ“ და „მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას; თუ რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა ვაკანტური გახდება დეპუტატთა პა-

ლატის დათხოვნის პერიოდში, პრეზიდენტის ზემოხსენებულ უფლებამოსილებას ახორციელებს სენატის თავმჯდომარე.

მთავრობა

მუხლი 67.

(1) აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს მთავრობა.

(2) მთავრობა შედგება მთავრობის თავმჯდომარის, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეებისა და მინისტრებისგან.

მუხლი 68.

(1) მთავრობა ანგარიშვალდებულია დეპუტატთა პალატის წინაშე.

(2) რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს მთავრობის თავმჯდომარეს, მისი წარდგინებით — მთავრობის სხვა წევრებს და აძლევს მათ სამინისტროებისა და სხვა უწყებების საქმიანობის მიმართულებებს.

(3) დანიშვნიდან არა უმეტეს ოცდაათ დღეში მთავრობა უნდა წარსდგეს დეპუტატთა პალატის წინაშე და მოითხოვოს ნდობის გამოცხადება.

(4) თუ დეპუტატთა პალატა ახლად დანიშნულ მთავრობას არ გამოუცხადებს ნდობას, კვლავ განხორციელდება მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული მოქმედებები. თუ დეპუტატთა პალატა ამ შემთხვევაშიც არ გამოუცხადებს მთავრობას ნდობას, რესპუბლიკის პრეზიდენტი დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის წინადადებით ნიშნავს მთავრობის თავმჯდომარეს.

(5) სხვა შემთხვევებში, რესპუბლიკის პრეზიდენტი მთავრობის თავმჯდომარის წინადადებით ნიშნავს და გამოიწვევს მთავრობის სხვა წევრებს და გადასცემს მათ სამინისტროებისა და სხვა მმართველობის დაწესებულებების ხელმძღვანელობას.

მუხლი 69.

(1) მთავრობის წევრი ფიცს დებს რესპუბლიკის პრეზიდენტის წინაშე.

(2) მთავრობის წევრის ფიცი არის შემდეგი შინაარსის: ვფიცავ, ვუერთგულებ ჩეხეთის რესპუბლიკას. ვფიცავ, დავიცავ მის კონსტიტუციასა და კანონებს და მათ ცხოვრებაში განვახორციელებ. ვფიცავ საკუთარ სინდისს, რომ კეთილსინდისიერად აღვასრულებ საკუთარ ვალდებულებებს და ბოროტად არ გამოვიყენებ საკუთარ მდგომარეობას.

მუხლი 70.

მთავრობის წევრი არ არის უფლებამოსილი ეწეოდეს საქმიანობას, რომელიც თავისი ხასიათით შეუსაბამობაშია მისი უფლებამოსილების განხორციელებასთან. დეტალები დგინდება კანონით.

მუხლი 71.

მთავრობას შეუძლია დეპუტატთა პალატას მოსთხოვოს ნდობის გამოცხადება.

მუხლი 72.

(1) დეპუტატთა პალატას შეუძლია უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას.

(2) მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადება განიხილება დეპუტატთა პალატის არანაკლებ ორმოცდაათი დეპუტატის მიერ შეტანილი წერილობითი წინადადების საფუძველზე. უნდობლობის გამოცხადებისათვის გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დეპუტატთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტის თანხმობა.

მუხლი 73.

(1) მთავრობის თავმჯდომარე გადადგომის შესახებ განცხადებას წარუდგენს რესპუბლიკის პრეზიდენტს. მთავრობის სხვა წევრები გადადგომის შესახებ განცხადებებს რესპუბლიკის პრეზიდენტს წარუდგენენ მთავრობის თავმჯდომარის მეშვეობით.

(2) მთავრობა გადადგება, თუ დეპუტატთა პალატამ უარი თქვა მის თხოვნაზე ნდობის გამოცხადების შესახებ ან გამოუცხადა უნდობლობა.

(3) თუ მთავრობა გადადგება მე-2 პუნქტის შესაბამისად, მის გადადგომას იღებს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

მუხლი 74.

რესპუბლიკის პრეზიდენტი მთავრობის წევრს ითხოვს მთავრობის თავმჯდომარის წინადადებით.

მუხლი 75.

რესპუბლიკის პრეზიდენტი ითხოვს მთავრობას, რომელიც ვალდებული იყო გადამდგარიყო და არ გადადგა.

მუხლი 76.

(1) მთავრობა გადაწყვეტილებას იღებს კოლეგიურად.

(2) მთავრობის დადგენილების მისაღებად აუცილებელია მის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტის თანხმობა.

მუხლი 77.

(1) მთავრობის თავმჯდომარე ორგანიზაციას უწევს მთავრობის საქმიანობას, ხელმძღვანელობს მის სხდომებს, გამოდის მისი სახელით და ახორციელებს კონსტიტუციითა და კანონებით დაკისრებულ სხვა მოვალეობებს.

(2) მთავრობის თავმჯდომარე ცვლის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილესა და მთავრობის სხვა უფლებამოსილ წევრებს.

მუხლი 78.

კანონის აღსასრულებლად და მის ფარგლებში მთავრობას უფლება აქვს გამოსცეს დადგენილებები. დადგენილებებს ხელს აწერენ მთავრობის თავმჯდომარე და სხვა შესაბამისი წევრები.

მუხლი 79.

(1) სამინისტროებისა და მმართველობის სხვა დაწესებულებების შექმნა და მათი კომპეტენცია დგინდება მხოლოდ კანონით.

(2) სამინისტროებისა და მმართველობის სხვა დაწესებულებების სახელმწიფო მოსამსახურეების სამართლებრივი ურთიერთობები განისაზღვრება კანონით.

(3) სამინისტროებს, მმართველობის სხვა დაწესებულებებსა და ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ კანონის საფუძველზე და მის ფარგლებში გამოსცენ სამართლებრივი აქტები, თუ ეს უფლებამოსილება მათ კანონით ენიჭებათ.

მუხლი 80.

(1) სახელმწიფო პროკურორები ახორციელებენ საჯარო ბრალდებას სისხლისსამართლებრივ წარმოებასთან დაკავშირებით, ასევე — კანონით დაკისრებულ სხვა ამოცანებს.

(2) სახელმწიფო პროკურორთა მდგომარეობა და კომპეტენცია განისაზღვრება კანონით.

მეოთხე თავი.
სასამართლო ხელისუფლება

მუხლი 81.

სასამართლო ხელისუფლებას რესპუბლიკის სახელით ახორციელებენ დამოუკიდებელი სასამართლოები.

მუხლი 82.

(1) მოსამართლეები თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელნი არიან. არავის არ აქვს უფლება ხელყოს მათი მიუკერძოებლობა.

(2) დაუშვებელია მოსამართლეების ნების საწინააღმდეგოდ მათი თანამდებობიდან დათხოვნა ან სხვა სასამართლოში გადაყვანა. დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ აღნიშნული წესის გამონაკლისს ადგენს კანონი.

(3) მოსამართლის ფუნქცია შეუთავსებელია რესპუბლიკის პრეზიდენტის, პარლამენტის წევრის, ასევე სახელმწიფო მმართველობის რაიმე ფუნქციებთან. კანონი განსაზღვრავს მოსამართლის ფუნქციის განხორციელებასთან შეუთავსებელი საქმიანობის სხვა სახეებს.

საკონსტიტუციო სასამართლო

მუხლი 83.

საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს კონსტიტუციურობის დაცვის სასამართლო ორგანოს.

მუხლი 84.

(1) საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ათი წლის ვადით დანიშნული თხუთმეტი მოსამართლისგან.

(2) საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს სენატის თანხმობით ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

(3) საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს უმწიკვლო რეპუტაციის მქონე მოქალაქე, რომელიც შეესაბამება სენატში ასარჩევად წაყენებულ მოთხოვნებს, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და იურიდიული სპეციალობით მუშაობის არანაკლებ ათი წლის გამოცდილება.

მუხლი 85.

(1) საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე თავისი უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგება რესპუბლიკის პრეზიდენტისთვის ფიცის მიცემის მომენტიდან.

(2) საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის ფიცი არის შემდეგი შინაარსის: „ვფიცავ, საკუთარ ღირსებასა და სინდისს, რომ დავიცავ ადამიანისა და მოქალაქის ბუნებითი უფლებების ურღვევობას, ვიხელმძღვანელებ კონსტიტუციური კანონებით და გადაწვეტილებას მივიღებ დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად, საკუთარი რწმენის შესაბამისად.

(3) თუ მოსამართლე უარს იტყვის ფიცის დადებაზე ან დათქმით დადებს ფიცს, იგი არ ჩაითვლება დანიშნულად.

მუხლი 86.

(1) საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე არ შეიძლება მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში სენატის თანხმობის გარეშე. თუ სენატი არ მისცემს თანხმობას, სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება სამუდამოდ.

(2) საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება დაკავებულ იქნეს მხოლოდ დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში ან უშუალოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ. შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სენატის თავმჯდომარეს. თუ სენატის თავმჯდომარე დაკავების მომენტიდან 24 საათის განმავლობაში არ მისცემს თანხმობას დაკავებულის სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ, დამკავებელი ორგანო ვალდებულია გაათავისუფლოს დაკავებული. სენატი უახლოეს სხდომაზე იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის დასაშვებობის შესახებ.

(3) საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტების გამო, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის საქმიანობის შეწყვეტის შემდეგაც.

მუხლი 87.

(1) საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას:

ა) კანონის ან მისი ცალკეული დებულებების გაუქმების შესახებ, თუ ის ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ კანონს;

ბ) სხვა სამართლებრივი აქტის ან მისი ცალკეული დებულებების გაუქმების შესახებ, თუ ის ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ კანონს ან კანონს;

გ) სახელმწიფოს უკანონო ჩარევის თაობაზე ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოთა კონსტიტუციურ სარჩელზე;

დ) კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევასთან დაკავშირებით კონსტიტუციურ სარჩელზე, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა გადაწყვეტილების და სხვა მოქმედების თაობაზე;

ე) დეპუტატისა და სენატორის არჩევის გადაწყვეტილების დადასტურების შესახებ სარჩელებზე;

ვ) დეპუტატისა და სენატორის 25-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედუნარიანობის დაკარგვასა და ფუნქციების შეუთავსებლობასთან დაკავშირებით ეჭვის წარმოშობისას;

ზ) 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად სენატის მიერ რესპუბლიკის პრეზიდენტისთვის წაყენებული კონსტიტუციური ბრალდების თაობაზე;

თ) რესპუბლიკის პრეზიდენტის წინადადებაზე დეპუტატთა პალატისა და სენატის დადგენილების გაუქმების თაობაზე, 66-ე მუხლის შესაბამისად;

ი) ჩეხეთის რესპუბლიკისათვის შესასრულებლად სავალდებულო საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისათვის აუცილებელი ღონისძიებების თაობაზე, თუ ის არ შეიძლება აღსრულდეს სხვა ფორმით;

კ) პოლიტიკური პარტიის დათხოვნის ან პოლიტიკური პარტიის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილების კონსტიტუციურ და სხვა კანონებთან შესაბამისობის თაობაზე;

ლ) სახელმწიფო ორგანოებისა და ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციასთან დაკავშირებული დავის თაობაზე, თუ მოცემული დავის გადაწყვეტა კანონით სხვა ორგანოს კომპეტენციას არ განეკუთვნება.

(2) საკონსტიტუციო სასამართლომ აგრეთვე უნდა დაადგინოს მე-10ა და 49-ე მუხლებით გათვალისწინებული საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისობა კონსტიტუციასთან, მათ რატიფიკაციამდე. ხელშეკრულების რატიფიცირება დაუშვებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

(3) კანონით შეიძლება დადგინდეს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ნაცვლად უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას:

ა) სამართლებრივი აქტების ან მათი ცალკეული დებულებების გაუქმების თაობაზე, თუ ისინი ეწინააღმდეგება კანონს;

ბ) სახელმწიფო ორგანოებისა და ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციასთან დაკავშირებული დავის თაობაზე, თუ კანონით მოცემული დავის გადაწყვეტა სხვა ორგანოს კომპეტენციას არ განეკუთვნება.

მუხლი 88.

(1) კანონით დგინდება, თუ ვინ და რა პირობების არსებობისას არის უფლებამოსილი შეიტანოს წინადადება წარმოების დაწყების შესახებ, აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოში წარმოების დაწყებასთან დაკავშირებული სხვა წესები.

(2) საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულნი არიან იხელმძღვანელონ მხოლოდ კონსტიტუციითა და კანონებით, პირველი პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 89.

(1) საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ექვემდებარება აღსრულებას, თუ ის გამოქვეყნებული იყო კანონით დადგენილი წესით და თუ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

(2) აღსრულებას ქვემდებარე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა ყველა ორგანოსა და პირისთვის.

(3) 87-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციასთან შეუსაბამობის დადგენისას, დაუშვებელია ხელშეკრულების რატიფიკაცია ასეთი შეუსაბამობის აღმოფხვრამდე.

სასამართლოები

მუხლი 90.

სასამართლოები მოწოდებულნი არიან კანონით დადგენილი წესით უზრუნველყონ უფლებათა დაცვა. მხოლოდ სასამართლო წყვეტს სისხლისსამართლებრივ დანაშაულზე ბრალისა და სასჯელის საკითხს.

მუხლი 91.

(1) სასამართლო სისტემას ქმნიან: უზენაესი სასამართლო, უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლო, უმაღლესი, რეგიონული და რაიონული სასამართლოები. სხვა სახის სასამართლოები შეიძლება დადგინდეს კანონით.

(2) სასამართლოთა უფლებამოსილებასა და ორგანიზაციას ადგენს კანონი.

მუხლი 92.

უზენაესი სასამართლო წარმოადგენს უმაღლეს სასამართლო ორგანოს სასამართლოთა კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებზე, გარდა საკონსტიტუციო სასამართლოსა და უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი საქმეებისა.

მუხლი 93.

(1) მოსამართლე ინიშნება რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ განუსაზღვრელი ვადით. იგი თავისი უფლებამოსილების შესრულებას შეუდგება ფიცის დადების მომენტიდან.

(2) მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე უმწიკვლო რეპუტაციის მქონე მოქალაქე. დანიშვნის სხვა პირობები და პროცედურა დგინდება კანონით.

მუხლი 94.

(1) კანონით დგინდება შემთხვევები, როდესაც მოსამართლეები გადაწყვეტილებას იღებენ ერთობლივად. სხვა შემთხვევებში მოსამართლეები გადაწყვეტილებებს იღებენ ერთპიროვნულად.

(2) კანონით შეიძლება დადგინდეს, თუ რომელ საქმეებში და რა წესით მონაწილეობენ მოქალაქეები მოსამართლეებთან ერთად სასამართლოებში საქმეების გადაწყვეტაში.

მუხლი 95.

(1) გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლე ხელმძღვანელობს კანონებით და სამართლებრივი სისტემის შემადგენელი საერთაშორისო ხელშეკრულებებით. იგი უფლებამოსილია განსაზღვროს სხვადასხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისობა კანონთან ან ამგვარ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან.

(2) თუ სასამართლო გადაწყვეტს, რომ კონკრეტული საქმის გადასაწყვეტად გამოსაყენებელი კანონი არღვევს კონსტიტუციურ წყობას, საკითხს განსახილველად გადასცემს საკონსტიტუციო სასამართლოს.

მუხლი 96.

(1) სასამართლო პროცესის ყველა მონაწილეს თანაბარი უფლებები აქვს.

(2) სასამართლოში საქმის განხილვა ზეპირი და ღიაა; ამ წესიდან გამონაკლისი დგინდება კანონით. გადაწყვეტილება ყოველთვის საჯაროდ ცხადდება.

მეხუთე თავი.
კონტროლის უზენაესი სამსახური

მუხლი 97.

(1) კონტროლის უზენაესი სამსახური დამოუკიდებელი ორგანოა. იგი ახორციელებს კონტროლს სახელმწიფო ქონების გამოყენებასა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე.

(2) კონტროლის უზენაესი სამსახურის თავმჯდომარესა და მის მოადგილეს დეპუტატთა პალატის წინადადებით ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

(3) კონტროლის უზენაესი სამსახურის სტატუსი, უფლებამოსილება, ორგანიზაციული სტრუქტურა და სხვა დეტალები დგინდება კანონით.

მეექვსე თავი.
ჩეხეთის ეროვნული ბანკი

მუხლი 98.

(1) ჩეხეთის ეროვნული ბანკი არის სახელმწიფოს ცენტრალური ბანკი. მისი ფუნქციონირების მთავარ მიზანს ვალუტის სტაბილურობის შენარჩუნება წარმოადგენს; მის საქმიანობაში ჩარევა დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე.

(2) ჩეხეთის ეროვნული ბანკის სტატუსი, უფლებამოსილება, ორგანიზაციული სტრუქტურა და სხვა დეტალები დგინდება კანონით.

მეშვიდე თავი.
ტერიტორიული თვითმმართველობა

მუხლი 99.

ჩეხეთის რესპუბლიკა იყოფა თემებად, რომლებიც წარმოადგენენ ტერიტორიული თვითმმართველობის ძირითად ერთეულებს. ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულების უფრო მაღალ დონეს წარმოადგენენ რეგიონები.

მუხლი 100.

(1) ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულებს წარმოადგენენ თვითმმართველობის უფლების მქონე მოქალაქეთა ტერიტორიული გაერთიანებები. კანონით დგინდება პირობები, როდესაც ისინი ადმინისტრაციულ ოკრუგებს წარმოადგენენ.

(2) თემი ყოველთვის არის მაღალი დონის ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულის შემადგენელი ნაწილი.

(3) მაღალი დონის ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულის შექმნა და ლიკვიდაცია ხორციელდება მხოლოდ კონსტიტუციური კანონით.

მუხლი 101.

(1) თემი დამოუკიდებლად იმართება სათემო კრების მიერ.

(2) მაღალი დონის ტეროტორიული თვითმმართველობის ერთეული დამოუკიდებლად იმართება წარმომადგენელთა კრების მიერ.

(3) ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულები წარმოადგენენ საჯარო-სამართლებრივ კორპორაციებს, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ საკუთარი ქონება და განკარგონ საკუთარი ბიუჯეტის საფუძველზე.

(4) სახელმწიფოს შეუძლია ჩაერიოს ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულთა საქმიანობაში, თუ ეს აუცილებელია კანონის დაცვის მიზნით და მხოლოდ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 102.

(1) კრების წევრები აირჩევიან ფარული კენჭისყრით საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე.

(2) კრების უფლებამოსილების ვადა შეადგენს ოთხ წელს. კანონით შეიძლება დადგინდეს პირობები, რომელთა არსებობისას კრების ახალი არჩევნები ინიშნება უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

მუხლი 103. ამოღებულია

მუხლი 104.

(1) კრების კომპეტენცია შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ კანონით.

(2) სათემო კრება გადაწყვეტილებას იღებს თვითმმართველობის საკითხებზე, თუ კანონით აღნიშნული არ განეკუთვნება მაღალი დონის ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულის უფლებამოსილებას.

(3) კრებამ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შეიძლება მიიღოს ზოგადსავალდებულო დადგენილებები.

მუხლი 105.

სახელმწიფო მმართველობის უფლებამოსილების განხორციელება თვითმმართველობის ორგანოებს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში.

მერვე თავი.
გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 106.

(1) ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან ჩეხეთის ეროვნული საბჭო მოქმედებს როგორც დეპუტატთა პალატა, რომლის უფლებამოსილების ვადა მთავრდება 1996 წლის 6 ივნისს.

(2) კონსტიტუციის შესაბამისად, სენატის არჩევამდე სენატის უფლებამოსილებას ასრულებს დროებითი სენატი. დროებითი სენატი იქმნება კანონით დადგენილი წესით. აღნიშნული კანონის ძალაში შესვლამდე სენატის უფლებამოსილებას ასრულებს დეპუტატთა პალატა.

(3) დეპუტატთა პალატა არ შეიძლება იქნეს დათხოვნილი, ვიდრე ის მე-2 პუნქტის შესაბამისად ასრულებს სენატის ფუნქციას.

(4) პალატების რეგლამენტების შესახებ კანონების მიღებამდე, ორივე პალატაში გამოიყენება ჩეხეთის ეროვნული საბჭოს რეგლამენტი.

მუხლი 107.

(1) სენატის არჩევნების შესახებ კანონი დაადგენს სენატის პირველ არჩევნებში სენატორთა იმ მესამედის განსაზღვრის წესს, რომლის უფლებამოსილების ვადა შეადგენს ორ წელს და სენატორთა იმ მესამედს, რომლის უფლებამოსილების ვადა შეადგენს ოთხ წელს.

(2) სენატის სესიას იწვევს რესპუბლიკის პრეზიდენტი ისე, რომ იგი გაიხსნას არჩევნებიდან არა უგვიანეს ოცდაათი დღის ვადაში; თუ პრეზიდენტი მითითებულ ვადაში არ მოიწვევს სენატის სესიას, სენატი იკრიბება არჩევნებიდან ოცდამეათე დღეს.

მუხლი 108.

1992 წლის არჩევნების შემდეგ დანიშნული და კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან თავისი ფუნქციების განმახორციელებელი ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობა მოქმედებს როგორც ამ კონსტიტუციის შესაბამისად დანიშნული მთავრობა.

მუხლი 109.

სახელმწიფო პროკურატურის სისტემის შექმნამდე მის უფლებამოსილებას ახორციელებს ჩეხეთის რესპუბლიკის პროკურატურა.

მუხლი 110.

1993 წლის 31 დეკემბრამდე სასამართლოთა სისტემაში ასევე შედიან სამხედრო სასამართლოები.

მუხლი 111.

ჩეხეთის რესპუბლიკის ყველა სასამართლოს მოსამართლეები, რომლებიც მოსამართლის ფუნქციებს ახორციელებენ ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღისათვის, მოქმედებენ როგორც ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად დანიშნული მოსამართლეები.

მუხლი 112.

(1) ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციურ სისტემას შეადგენენ: ეს კონსტიტუცია, ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ქარტია, ამ კონსტიტუციის შესაბამისად მიღებული კონსტიტუციური კანონები, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნული კრების, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრებისა და ჩეხეთის ეროვნული საბჭოს კონსტიტუციური კანონები, „ჩეხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ და

ჩეხეთის ეროვნული საბჭოს მიერ 1992 წლის 6 ივნისიდან მიღებული კონსტიტუციური კანონები.

(2) უქმდება ამჟამად მოქმედი კონსტიტუცია, ჩეხოსლოვაკიის ფედერაციის კონსტიტუციური კანონი, კონსტიტუციური კანონები, რომელთა მეშვეობითაც კონსტიტუციაში შეტანილ იქნა ცვლილებები და დამატებები და ჩეხეთის ეროვნული საბჭოს №67/1990 კონსტიტუციური კანონი „ჩეხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ".

(3) ჩეხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ სხვა კონსტიტუციურ კანონებს ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან ენიჭება კანონის ძალა.

მუხლი 113.

ეს კონსტიტუციური კანონი ძალაში შედის 1993 წლის 1 იანვრიდან.

მილან უდე (დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე)
ვაცლავ კლაუსი (პრემიერ-მინისტრი)

ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ქარტია

ფედერალური კრება, ჩეხეთის ეროვნული საბჭოსა და სლოვაკეთის ეროვნული საბჭოს პროექტების საფუძველზე, აღიარებს რა ადამიანის ბუნებითი უფლებების ურღვევობას, მოქალაქის უფლებებსა და კანონის უზენაესობას, კაცობრიობის საყოველთაოდ აღიარებულ ფასეულობებთან და ჩვენი ერების დემოკრატიულ და თვითმმართველურ ტრადიციებთან დაკავშირებით, იმ დროის მწარე გამოცდილების ხსოვნით, როდესაც ჩვენს სამშობლოში ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები ითელებოდა, იმედოვნებს რა, რომ ამ უფლებებს სხვა თავისუფალ ერებთან ერთად ერთიანი ძალებით უზრუნველყოფს, ჩეხეთისა და სლოვაკეთის ერების თვითგამორკვევის უფლებებიდან გამომდინარე, ითავისებს რა მიწაზე ცხოვრების ბედთან დაკავშირებით თავის პასუხისმგებლობას მომავალი თაობების წინაშე და გამოხატავს რა სურვილს, რომ ჩეხური და სლოვაკური ფედერაციული რესპუბლიკა ღირსეულად შევა იმ სახელმწიფოთა რიცხვში, რომლებიც პატივს სცემენ ამ ღირებულებებს, იღებს ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ამ ქარტიას:

პირველი თავი.
ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

ხალხი არის თავისუფალი და თანასწორი თავის ღირსებასა და უფლებებში. ძირითადი უფლებები და თავისუფლებები განუყოფელი და განუსხვისებელია და არ ექვემდებარება ხანდაზმულობას ან გაუქმებას.

მუხლი 2.

(1) სახელმწიფო ეფუძნება დემოკრატიულ ფასეულობებს და არ შეიძლება ემყარებოდეს განსაკუთრებულ იდეოლოგიას ან აღმსარებლობას.

(2) სახელმწიფო ხელისუფლება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებსა და ფარგლებში და კანონით განსაზღვრული წესით.

(3) ყველას აქვს იმის გაკეთების უფლება, რაც არ არის კანონით აკრძალული და არავინ შეიძლება იყოს იძულებული გააკეთოს ის, რასაც კანონი არ ავალდებულებს.

მუხლი 3.

(1) ძირითადი უფლებები და თავისუფლებები გარანტირებულია ყველასათვის, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რწმენის და რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული თუ ეთნიკური უმცირესობის კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, წარმომავლობის ან სხვა გარემოებებისა.

(2) ყველას აქვს თავისი ეროვნების თავისუფლად განსაზღვრის უფლება. აკრძალულია ამ გადაწყვეტილებაზე რაიმე სახის ზეგავლენის მოხდენა და ეროვნების ჩამორთმევისკენ მიმართული ყოველგვარი ზეწოლა.

(3) არავის არ შეიძლება შეელახოს ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების უფლება.

მუხლი 4.

(1) ვალდებულებების დაკისრება შეიძლება მხოლოდ კანონის საფუძველზე, მის ფარგლებში და ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის პირობებში.

(2) ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების საზღვრები შეიძლება დადგინდეს მხოლოდ კანონებით, ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ქარტიის (შემდგომში — ქარტია) მიერ დადგენილი პირობების დაცვით.

(3) ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების კანონიერი შეზღუდვები უნდა მოქმედებდეს ერთნაირად ყველა იმ შემთხვევისათვის, რომლებიც პასუხობენ დადგენილ პირობებს.

(4) ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების ფარგლების შესახებ ნორმების გამოყენებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მათი არსი და მნიშვნელობა. მითითებული შეზღუდვები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ მიზნით, რისთვისაც დადგენილია.

მეორე თავი.
ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები

პირველი განყოფილება.
ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები

მუხლი 5.

ყველას გააჩნია უფლებაუნარიანობა.

მუხლი 6.

(1) ყველას აქვს სიცოცხლის უფლება. ადამიანის სიცოცხლე დაცვას იმსახურებს ჯერ კიდევ დაბადებამდე.

(2) არავის არ შეიძლება ჩამოერთვას სიცოცხლე.

(3) სიკვდილით დასჯა დაუშვებელია.

(4) ამ მუხლის შესაბამისად დარღვევას არ წარმოადგენს სიცოცხლის ჩამორთმევა იმ ქმედებით, რომელიც კანონით სისხლისსამართლებრივად დასჯადი არ არის.

მუხლი 7.

(1) პიროვნებისა და მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა გარანტირებულია. შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში.

(2) არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს.

მუხლი 8.

(1) პირადი თავისუფლება გარანტირებულია.

(2) არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს დევნას ან თავისუფლების აღკვეთას, გარდა კანონით დადგენილი წესითა და საფუძვლით. არავის არ შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება მხოლოდ გარიგებით ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისთვის.

(3) დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული ან ეჭვმიტანილი შეიძლება დაკავებულ იქნეს მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში. დაკავებულს დაუყოვნებლივ უნდა გააცნონ დაკავების საფუძველი, მოუსმინონ და არა უმეტეს 24 საათისა გაათავისუფლონ ან წარუდგინონ სასამართლოს. მოსამართლემ 24 საათის განმავლობაში უნდა მოუსმინოს დაკავებულს და გამოიტანოს გადაწყვეტილება მისი დაპატიმრების ან გათავისუფლების შესახებ.

(4) ბრალდებული შეიძლება დაპატიმრებულ იქნეს მხოლოდ მოსამართლის მოტივირებული წერილობითი ბრძანების საფუძველზე. დაკავებული სასამართლოს უნდა წარედგინოს 24 საათის განმავლობაში. მოსამართლე ვალდებულია 24 საათის განმავლობაში მოუსმინოს დაკავებულს და გამოიტანოს გადაწყვეტილება მისი დაპატიმრების ან გათავისუფლების შესახებ.

(5) არავინ არ შეიძლება დაპატიმრებულ იქნეს, თუ არა კანონით დადგენილი საფუძვლითა და ვადით და სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

(6) კანონი ადგენს პირის საავადმყოფოში სამედიცინო მზრუნველობაში გადაცემის ან მისი თანხმობის გარეშე იქ ყოფნის შემთხვევებს. ასეთი ზომების გამოყენების შესახებ სასამართლოს უნდა ეცნობოს 24 საათის განმავლობაში, რომელიც 7 დღის ვადაში მიიღებს გადაწყვეტილებას პირის საავადმყოფოში მოთავსების შესახებ.

მუხლი 9.

(1) არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს იძულებით სამუშაოს ან იძულებით სამსახურს.

(2) პირველი პუნქტით გათვალისწინებული დებულება არ ვრცელდება:

ა) კანონით გათვალისწინებულ სამუშაოზე, რომლითაც პირი თავისუფლების აღკვეთის სახით იხდის სასჯელს ან სხვა სასჯელს, რომელიც ცვლის თავისუფლების აღკვეთას;

ბ) სავალდებულო სამხედრო სამსახურის ნაცვლად კანონით დადგენილ სამხედრო ან სხვა სამსახურზე;

გ) კანონის საფუძველზე მოთხოვნილ სამსახურზე, სტიქიური უბედურების, კატასტროფების ან სხვა საფრთხისას, რომელიც საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს მატერიალურ ფასეულობებს;

დ) სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და სხვა პირთა უფლებების დაცვის მიზნით კანონით დადგენილ საქმიანობაზე.

მუხლი 10.

(1) ყველას აქვს თავისი ადამიანური ღირსების, პირადი პატივის, კარგი რეპუტაციის პატივისცემისა და სახელის დაცვის უფლება.

(2) ყველას აქვს უფლება დაცულ იქნეს კერძო და ოჯახურ ცხოვრებაში უსაფუძვლო ჩარევისაგან.

(3) ყველას აქვს თავისი პიროვნული მონაცემების უსაფუძვლოდ შეკრების ან გამოქვეყნების ან მისი სხვაგვარად ბოროტად გამოყენებისგან დაცვის უფლება.

მუხლი 11.

(1) ყველას აქვს უფლება იყოს მესაკუთრე. ყველა მესაკუთრის საკუთრების უფლებას აქვს ერთნაირი სამართლებრივი შინაარსი და დაცვის გარანტია. მემკვიდრეობა უზრუნველყოფილია.

(2) კანონით დგინდება საზოგადოების მოთხოვნილებათა უზრუნველყოფის, ეროვნული ეკონომიკისა და საჯარო ინტერესის განვითარებისთვის აუცილებელი რომელი ქონება უნდა იმყოფებოდეს მხოლოდ სახელმწიფო, თემის ან განსაზღვრული იურიდიული პირების საკუთრებაში; კანონით აგრეთვე შეიძლება დადგინდეს, რომ განსაზღვრული ქონება შესაძლოა იმყოფებოდეს მხოლოდ იმ მოქალაქეთა ან იურიდიულ პირთა საკუთრებაში, რომელთაც ჩეხოსლოვაკიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აქვთ საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი.

(3) საკუთრება ავალდებულებს. იკრძალება საკუთრების ბოროტად გამოყენება და მისი გამოყენება კანონით დაცული საერთო ინტერესების წინააღმდეგ ან სხვა პირთა უფლებების საზიანოდ. საკუთრების უფლების განხორ-

ციელება არ უნდა აყენებდეს ზიანს ადამიანის ჯანმრთელობას, ბუნებასა და გარემოს, გარდა კანონით დადგენილი ნორმებისა.

(4) საკუთრების ჩამორთმევა ან საკუთრების უფლების იძულებითი შეზღუდვა დასაშვებია საზოგადოებრივი ინტერესებისათვის კანონის საფუძველზე და ანაზღაურებით.

(5) გადასახადები და მოსაკრებლები დგინდება მხოლოდ კანონის საფუძველზე.

მუხლი 12.

(1) საცხოვრებელი ადგილი ხელშეუხებელია. აკრძალულია საცხოვრებელ ბინაში შესვლა იქ მცხოვრები პირის თანხმობის გარეშე.

(2) საცხოვრებელი ადგილის ჩხრეკა დასაშვებია მხოლოდ სისხლისსამართლებრივი წარმოების მიზნით მოსამართლის წერილობითი მოტივირებული ბრძანებით. საცხოვრებელი ადგილის ჩხრეკის საპროცესო წესი დგინდება კანონით.

(3) საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის პრინციპიდან სხვა გამონაკლისები შეიძლება დადგინდეს კანონით, მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრებისა და ჯანმრთელობის, სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად ან საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგისათვის სერიოზული საფრთხის ასაცილებლად. თუ საცხოვრებელი ადგილი გამოიყენება ასევე მეწარმეობის ან სხვა ეკონომიკური საქმიანობისათვის, იქ შესვლა შეიძლება ნებადართულ იქნეს კანონით და იმ შემთხვევებში, როდესაც ეს აუცილებელია საჯარო მმართველობის ამოცანათა განსახორციელებლად.

მუხლი 13.

არავის არ აქვს უფლება დაარღვიოს როგორც კერძოდ შენახული, ისე ფოსტით გადაგზავნილი ან სხვა საშუალებით გადაცემული მიმოწერის ან სხვა დოკუმენტებისა და ჩანაწერების საიდუმლოება; გამონაკლისი დგინდება კანონით. ამგვარადვე არის გარანტირებული სატელეფონო, სატელეგრაფო ან სხვა მსგავსი საშუალებებით გადაცემული ცნობების საიდუმლოება.

მუხლი 14.

(1) გარანტირებულია თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება.

(2) ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება ჩეხოსლოვაკიის ფედერალურ ტერიტორიაზე აქვს ამ ტერიტორიის თავისუფლად დატოვების უფლება.

(3) მითითებული თავისუფლებები შეიძლება შეიზღუდოს კანონით, თუ ეს აუცილებელია სახელმწიფო უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის,

ჯანმრთელობის ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, ხოლო განსაზღვრულ ტერიტორიაზე — ბუნების დაცვის მიზნით.

(4) ყველა მოქალაქეს აქვს ჩეხოსლოვაკიის ფედერალური რესპუბლიკის ტერიტორიაზე თავისუფლად შესვლის უფლება. არ შეიძლება მოქალაქის იძულება დატოვოს თავისი სამშობლო.

(5) უცხოელი შეიძლება გაძევებულ იქნეს მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში.

მუხლი 15.

(1) გარანტირებულია აზრის, სინდისის, აღმსარებლობის თავისუფლება. ყველას აქვს უფლება შეცვალოს თავისი რელიგია ან რწმენა ან არ აღიაროს არც ერთი რელიგია.

(2) გარანტირებულია სამეცნიერო კვლევისა და სამხატვრო შემოქმედების თავისუფლება.

(3) არავინ არ შეიძლება იქნეს იძულებული გაიაროს სამხედრო სამსახური, თუ ეს ეწინააღმდეგება მის რწმენას ან აღმსარებლობას. დეტალები დგინდება კანონით.

მუხლი 16.

(1) ყველას აქვს უფლება ინდივიდუალურად ან სხვა პირებთან ერთად თავისუფლად გამოხატოს თავისი რელიგია და რწმენა, ღვთისმსახურებისა და სწავლების საჯაროდ და დამოუკიდებლად განხორციელებით, რელიგიური რიტუალების ან წეს-ჩვეულებების დაცვის გზით.

(2) ეკლესიები და რელიგიური გაერთიანებები დამოუკიდებლად მართავენ თავიანთ საქმეებს, კერძოდ, აფუძნებენ თავიანთ ორგანოებს, განსაზღვრავენ საკუთარ სასულიერო პირებს, აარსებენ მონასტრებსა და სხვა საეკლესიო დაწესებულებებს და არიან სახელმწიფო ორგანოებისგან დამოუკიდებელნი.

(3) სახელმწიფო სკოლებში რელიგიის სწავლების პირობები განისაზღვრება კანონით.

(4) მითითებული უფლებების განხორციელება შეიძლება შეიზღუდოს კანონით, თუ ასეთი ზომები აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის, ჯანმრთელობისა და ზნეობის ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

მეორე განყოფილება.
პოლიტიკური უფლებები

მუხლი 17.

(1) გარანტირებულია სიტყვის თავისუფლება და ინფორმაციის უფლება.

(2) ყველას აქვს თავისი შეხედულების ზეპირად, წერილობით, გაზეთში გამოსახულებით ან სხვაგვარი საშუალებით გამოხატვის, აგრეთვე იდეებისა და ინფორმაციის თავისუფლად შეგროვების, მიღებისა და გავრცელების უფლება სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად.

(3) ცენზურა დაუშვებელია.

(4) სიტყვის თავისუფლება და ინფორმაციის მოძიებისა და გავრცელების უფლება შესაძლებელია შეიზღუდოს კანონით, თუ ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და ზნეობის დასაცავად.

(5) სახელმწიფო და ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოები ვალდებულნი არიან შესაბამისი ფორმით წარმოადგინონ ინფორმაცია თავიანთი საქმიანობის შესახებ. ინფორმაციის წარმოდგენის პირობები და წესი დგინდება კანონით.

მუხლი 18.

(1) პეტიციის უფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება ინდივიდუალურად ან სხვა პირებთან ერთად საჯარო და სხვა საერთო ინტერესთან დაკავშირებულ საკითხზე თხოვნით, წინადადებებით ან საჩივრით მიმართოს სახელმწიფო ან ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოებს.

(2) პეტიციამ არ უნდა დაარღვიოს სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი.

(3) პეტიცია არ უნდა მოუწოდებდეს ქარტიის მიერ გარანტირებული ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევისაკენ.

მუხლი 19.

(1) გარანტირებულია მშვიდობიანი შეკრების უფლება.

(2) საჯარო ადგილებში შეკრების ჩატარების შემთხვევაში აღნიშნული უფლება შეიძლება კანონით შეიზღუდოს, თუ ასეთი ზომები აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობისა და ზნეობის, ქონებისა თუ სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად. შეკრების უფლება არ შეიძლება იყოს საჯარო მმართველობის ორგანოთა ნებართვაზე დამოკიდებული.

მუხლი 20.

(1) გარანტირებულია თავისუფლად გაერთიანების უფლება. ყველას აქვს უფლება სხვა პირებთან ერთად გაერთიანდეს კავშირში, საზოგადოებაში ან სხვა გაერთიანებაში.

(2) მოქალაქეებს აგრეთვე აქვთ პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკური მოძრაობების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება.

(3) მითითებული უფლებების განხორციელება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში, თუ ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის, დანაშაულის აცილების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

(4) პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკური მოძრაობები, აგრეთვე სხვა გაერთიანებები სახელმწიფოსგან დამოუკიდებელია.

მულხი 21.

(1) მოქალაქეებს საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ უშუალოდ ან თავისუფლად არჩეული თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

(2) არჩევნები უნდა ჩატარდეს იმ ვადაში, რაც არ აღემატება კანონით დადგენილ უფლებამოსილების რეგულარულ ვადებს.

(3) საარჩევნო უფლება საყოველთაო და თანასწორია და ხორციელდება ფარული კენჭისყრის გზით. საარჩევნო უფლების განხორციელების პირობებს ადგენს კანონი.

(4) მოქალაქეებს აქვთ საარჩევნო და სხვა საჯარო ფუნქციებთან ხელმისაწვდომობის თანაბარი პირობები.

მუხლი 22.

ყველა პოლიტიკური უფლებისა და თავისუფლების და მათი განმარტებისა და გამოყენების საკანონმდებლო რეგულირება უნდა ქმნიდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკურ ძალთა თავისუფალი შეჯიბრებითობისა და მისი დაცვის უზრუნველყოფის შესაძლებლობებს.

მუხლი 23.

თუ კანონით გათვალისწინებული კონსტიტუციური ორგანოების მოქმედება და სამართლებრივი საშუალებების ეფექტურად გამოყენება შეუძლებელი აღმოჩნდება, მოქალაქეებს უფლება აქვთ წინააღმდეგობა გაუწიონ ყველას, ვინც ხელყოფს ქარტიის მიერ დადგენილ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განსახორციელებლად საჭირო დემოკრატიულ წყობას.

მესამე თავი.
ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების უფლებები

მუხლი 24.

რომელიმე ეროვნულ თუ ეთნიკურ უმცირესობას მიკუთვნებაბ არ უნდა მიაყენოს ვინმეს ზიანი.

მუხლი 25.

(1) მოქალაქეებს, რომლებიც ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობებს წარმოადგენენ, გარანტირებული აქვთ ყოველმხრივი განვითარება, კერძოდ, სხვა უმცირესობის წარმომადგენლებთან ერთად თავისი კულტურის განვითარების, ინფორმაციის მშობლიურ ენაზე გავრცელებისა და მიღების და ეროვნულ გაერთიანებებში გაერთიანების უფლება. დეტალები დგინდება კანონით.

(2) ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს, კანონით დადგენილ პირობებში, გარანტირებული აქვთ აგრეთვე:

ა) თავის ენაზე განათლების მიღების უფლება;

ბ) ოფიციალურ ურთიერთობებში თავისი ენის გამოყენების უფლება;

გ) ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობათა საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება.

მეოთხე თავი.
ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები

მუხლი 26.

(1) ყველას აქვს პროფესიის თავისუფლად არჩევისა და მასში მომზადების, აგრეთვე სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური საქმიანობის უფლება.

(2) კანონით შეიძლება დადგინდეს გარკვეული პროფესიისა და საქმიანობის სახეების განხორციელების პირობები და შეზღუდვები.

(3) ყველას აქვს უფლება, თავისი საყოფაცხოვრებო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად შრომით მოიპოვოს სახსრები. პირებს, რომელთაც თავისი ბრალეულობით არ შეუძლიათ განახორციელონ ეს უფლება, სახელმწიფო სთავაზობს შესაბამისი ოდენობის მატერიალურ უზრუნველყოფას. პირობები დგინდება კანონით.

(4) უცხოელთათვის კანონით შეიძლება დადგინდეს სხვა პირობები.

მუხლი 27.

(1) თავისი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დასაცავად ყველას აქვს სხვა პირებთან ერთად თავისუფლად გაერთიანების უფლება.

(2) პროფკავშირული ორგანიზაციები იქმნება სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად. დაუშვებელია პროფკავშირული ორგანიზაციების რაოდენობის შეზღუდვა, აგრეთვე წარმოებისა თუ მის რომელიმე დარგში ზოგიერთი მათგანისათვის უფრო ხელსაყრელი პირობების შექმნა.

(3) ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დასაცავად, პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა და სხვა გაერთიანებების შექმნა და საქმიანობა შეიძლება შეიზღუდოს კანონით, თუ ასეთი ზომები აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგისა და სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

(4) გაფიცვის უფლება გარანტირებულია კანონით დადგენილი პირობებით. ეს უფლება არ ვრცელდება მოსამართლეებზე, პროკურორებზე, სამხედრო ძალებისა და უშიშროების შეიარაღებული ფორმირებების მოსამსახურეებზე.

მუხლი 28.

ყოველ მუშაკს აქვს შრომისა და სამუშაო პირობების დასაკმაყოფილებლად სამართლიანი გასამრჯელოს უფლება. დეტალები დგინდება კანონით.

მუხლი 29.

(1) ქალებს, ახალგაზრდებსა და ჯანმრთელობადარღვეულ პირებს აქვთ შრომის პროცესში ჯანმრთელობის გაუმჯობესებული დაცვისა და შრომის განსაკუთრებული პირობების უფლება.

(2) ახალგაზრდებსა და ჯანმრთელობადარღვეულ პირებს აქვთ შრომით ურთიერთობებში განსაკუთრებული დაცვისა და პროფესიის დაუფლებაში დახმარების უფლება.

(3) დეტალები დგინდება კანონით.

მუხლი 30.

(1) მოქალაქეებს აქვთ მოხუცებულობის, შრომისუუნარობის, აგრეთვე მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში შესაბამისი ოდენობის მატერიალური უზრუნველყოფის უფლება.

(2) ყველას, ვინც საჭიროებს მატერიალურ დახმარებას, აქვს არსებობისთვის აუცილებელი ძირითადი პირობების უზრუნველსაყოფად აუცილებელი დახმარების უფლება.

(3) დეტალები დგინდება კანონით.

მუხლი 31.

ყველას აქვს ჯანმრთელობის დაცვის უფლება. საზოგადოებრივი დაზღვევის საფუძველზე, კანონით დადგენილი პირობების თანახმად, მოქალაქეს აქვს უფასო სამედიცინო მომსახურებისა და სამედიცინო დახმარების უფლება.

მუხლი 32.

(1) დედობა, მამობა და ოჯახი იმყოფება კანონის დაცვის ქვეშ. გარანტირებულია ბავშვებისა და ახალგაზრდების განსაკუთრებული დაცვა.

(2) ორსულობის პერიოდში ქალებს გარანტირებული აქვთ განსაკუთრებული ზრუნვა, შრომით ურთიერთობებში დაცვა და შრომის სათანადო პირობები.

(3) ქორწინებაში და ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს თანასწორი უფლებები გააჩნიათ.

(4) ბავშვებზე ზრუნვა და მათი აღზრდა წარმოადგენს მშობლების უფლებას; ბავშვებს აქვთ მშობლიური აღზრდისა და მზრუნველობის უფლება. მშობელთა უფლებები შეიძლება შეიზღუდოს კანონით, ხოლო არასრულწლოვანი ბავშვები მშობელთა ნების საწინააღმდეგოდ შეიძლება განშორებულ იქნენ მშობლებისგან მხოლოდ მოსამართლის გადაწყვეტილებითა და კანონის საფუძველზე.

(5) მშობლებს, რომლებიც ზრუნავენ ბავშვებზე, აქვთ სახელმწიფო დახმარების უფლება.

(6) დეტალები დგინდება კანონით.

მუხლი 33.

(1) ყველას აქვს განათლების მიღების უფლება. სკოლაში დასწრება სავალდებულოა კანონით დადგენილი ვადის განმავლობაში.

(2) მოქალაქეს უფლება აქვს მიიღოს უფასო განათლება დაწყებით და საშუალო სკოლებში, ხოლო მოქალაქის უნარისა და საზოგადოების შესაძლებლობების გათვალისწინებით ასევე — უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

(3) არასახელმწიფო სკოლების შექმნა და იქ სწავლება დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილი პირობებით. არასახელმწიფო სკოლებში განათლების მიღება შეიძლება იყოს ფასიანი.

(4) კანონი ადგენს მოთხოვნებს, რომელთა არსებობისას პირს სწავლის პერიოდში აქვს სახელმწიფო დახმარების უფლება.

მუხლი 34.

(1) ინტელექტუალური შემოქმედების საქმიანობის შედეგზე უფლება დაცულია კანონით.

(2) კულტურულ ფასეულობებზე ხელმისაწვდომობის უფლება გარანტირებულია კანონით დადგენილი პირობებით.

მუხლი 35.

(1) ყველას აქვს ხელსაყრელ გარემოში ცხოვრების უფლება.

(2) ყველას აქვს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მდგომარეობის შესახებ დროული და სრული ინფორმაციის მიღების უფლება.

(3) საკუთარი უფლებების განხორციელებისას არავის არ აქვს უფლება საფრთხე შეუქმნას ან ზიანი მიაყენოს გარემოს, ბუნებრივ რესურსებს, ცხოველურ და მცენარეულ სამყაროსა და კულტურული ძეგლების მრავალფეროვნებას, გარდა კანონით დადგენილი ნორმებისა.

მეხუთე თავი.
სასამართლო და სხვა სამართლებრივი დაცვის უფლება

მუხლი 36.

(1) ყველას შეუძლია დადგენილი წესით დაიცვას თავისი უფლებები დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოში, ხოლო კანონით დადგენილ შემთხვევებში — სხვა ორგანოში.

(2) ყველა, ვინც ამტკიცებს, რომ მისი უფლებები დაირღვა სახელმწიფო მმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებით, ამ გადაწყვეტილების კანონიერების შესამოწმებლად შეუძლია მიმართოს სასამართლოს, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. სასამართლოს კომპეტენციიდან გამომდინარე არ შეიძლება გამოირიცხოს იმ გადაწყვეტილების შემოწმება, რომელიც ეხება ქარტიით გათვალისწინებულ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

(3) ყველას აქვს სასამართლოს, სხვა სახელმწიფო ორგანოს ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოს უკანონო გადაწყვეტილებით ან არასწორი ოფიციალური პროცედურით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება.

(4) პირობები და დეტალები დგინდება კანონით.

მუხლი 37.

(1) ყველას აქვს უფლება უარი თქვას ჩვენების მიცემაზე, თუ ეს სისხლისსამართლებრივი დევნის საფრთხეს უქმნის მას ან მის ახლობელს.

(2) სასამართლოში, სხვა სახელმწიფო ორგანოებში ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში საქმის განხილვისას ყველას აქვს სამართლებრივი დახმარების უფლება სამართალწარმოების დაწყების მომენტიდან.

(3) სამართალწარმოების ყველა მხარე თანასწორია.

(4) ყველას, ვინც განაცხადებს, რომ არ ფლობს სამართალწარმოების ენას, აქვს თარჯიმნის დახმარების უფლება.

მუხლი 38.

(1) არავის არ შეიძლება ჩამოერთვას დამოუკიდებელ და მოუკერძოებელ სასამართლოში მისი საქმის განხილვის უფლება. განსჯადობა დგინდება კანონით.

(2) ყველას აქვს ზედმეტი გაჭიანურების გარეშე მისი საქმის საჯაროდ და მისი დასწრებით განხილვის უფლება, იმისთვის, რათა ყველა მტკიცებულებაზე შეეძლოს აზრის გამოთქმა. საქმის განხილვის საჯაროობა შეიძლება გამოირიცხოს მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში.

მუხლი 39.

მხოლოდ კანონით დგინდება, თუ რომელი ქმედება ითვლება დანაშაულად და რომელი სასჯელი ან უფლებებსა და ქონებასთან დაკავშირებული სხვა შეზღუდვა შეიძლება იქნეს დანიშნული მისი ჩადენისათვის.

მუხლი 40.

(1) დანაშაულის ჩადენისას ბრალის ან სასჯელის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ სასამართლო.

(2) ყველა, ვის მიმართაც მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა, უდანაშაულოდ ითვლება, სანამ მისი ბრალი არ იქნება დადგენილი კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

(3) ბრალდებულს უფლება აქვს, მიეცეს დრო და საშუალება დაცვისთვის მოსამზადებლად და თავის დასაცავად, რაც მას შეუძლია განახორციელოს დამოუკიდებლად ან დამცველის დახმარებით. თუ ბრალდებული, რომელსაც კანონის შესაბამისად უნდა ჰყავდეს დამცველი დამოუკიდებლად არ აირჩევს მას, დამცველი დაენიშნება სასამართლოს მიერ. კანონით დადგენილ შემთხვევებში ბრალდებულს აქვს დამცველის უფასო დახმარების უფლება.

(4) ბრალდებულს უფლება აქვს უარი თქვას ჩვენების მიცემაზე; დაუშვებელია მისთვის ამ უფლების რაიმე წესით ჩამორთმევა.

(5) არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს სისხლისსამართლებრივ დევნას იმ ქმედებისათვის, რომლისთვისაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით ის უკვე იყო მსჯავრდებული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებული. აღნიშნული პრინციპი არ გამორიცხავს კანონის შესაბამისად საგანგებო სამართლებრივი საშუალებების გამოყენებას.

(6) ქმედების დასჯადობა განისაზღვრება და სასჯელი ინიშნება ქმედების ჩადენის მომენტისათვის მოქმედი კანონის შესაბამისად. შემდგომ მიღებული კანონი გამოიყენება, თუ ის ქმედების ჩამდენი პირისთვის უფრო ხელსაყრელია.

ოცდაექვსე თავი.
საერთო დებულებანი

მუხლი 41.

(1) ქარტიის 26-ე მუხლით, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტით, 28-31-ე მუხლებით, 32-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით, 33-ე და 35-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ ამ დებულების სარეალიზაციოდ მიღებული კანონით დადგენილ ფარგლებში.

(2) ამ ქარტიით ტერმინში „კანონი" იგულისხმება ფედერალური კრებულის კანონი, თუ საკანონმდებლო უფლებამოსილების კონსტიტუციური დანაწილების თანახმად, შესაბამისი ურთიერთობების რეგულირება ეროვნული საბჭოების კანონებით არ ხდება.

მუხლის 42.

(1) ქარტიაში „მოქალაქის" ცნება გამოიყენება ჩეხოსლოვაკიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქის მნიშვნელობით.

(2) უცხოელები ჩეხოსლოვაკიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სარგებლობენ ქარტიით გარანტირებული ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით, თუ ისინი მხოლოდ მოქალაქეთათვის არ არის პირდაპირ აღიარებული.

(3) ადრე მიღებულ სამართლებრივ აქტებში „მოქალაქის" ცნების ქვეშ იგულისხმება ყოველი ადამიანი, თუ საუბარია ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებზე, რომლებსაც მოქალაქეობის მიუხედავად აღიარებს ქარტია.

მუხლი 43.

ჩეხოსლოვაკიის ფედერალური რესპუბლიკა თავშესაფარს ანიჭებს პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისთვის დევნილ უცხოელებს. თავშესაფრის მიცემაზე შეიძლება უარი ეთქვას მას, ვინც ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მოქმედებდა.

მუხლი 44.

კანონით შეიძლება დადგინდეს შეზღუდვები: მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის — მე-20 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების უფლებაზე, ასევე უშიშროების ფორმირებების მოსამსახურეებისა და შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებისათვის — მე-18, მე-19 მუხლებზე და 27-ე მუხლის პირველ—მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებებზე, თუ მათი განხორციელება დაკავშირებულია სამსახურის გავლასთან. პირებისთვის, რომელთა პროფესია უშუალოდ უკავშირდება სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას, კანონით შეიძლება დადგინდეს გაფიცვის უფლების შეზღუდვა.

კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“ მისი თავმჯდომარის ვასილ გონაშვილის ხელმძღვანელობით იკვლევს საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციურ სამართალს.

ამ მიზნით,

– 2004 წელს გამოიცა წიგნი „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი I“, რომელიც მოიცავს 12 ქვეყნის: აშშ-ის, არგენტინის, ბელგიის, იაპონიის, ჩეხეთის, მაროკოს, კუბის, ლატვიის, რუსეთის, სომხეთის, შვეიცარიის, ქუვეითის კონსტიტუციებს;

– 2005 წელს გამოიცა წიგნი „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი II“, რომელიც მოიცავს 12 ქვეყნის: ავსტრალიის, ავსტრიის, აზერბაიჯანის, ბელარუსის, ლიტვის, ლუქსემბურგის, ისრაელის, საბერძნეთის, საფრანგეთის, პოლონეთის, ჩინეთის, ფინეთის კონსტიტუციებს;

– 2006 წელს გამოიცა წიგნი „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი III“, რომელიც მოიცავს 12 ქვეყნის: ბოსნიისა და ჰერცეგოვინის, გერმანიის, ესპანეთის, ესტონეთის, თურქეთის, კანადის, ნორვეგიის, რუმინეთის, უკრაინის, უნგრეთის, ყაზახეთის, ხორვატიის კონსტიტუციებს;

– 2007 წელს გამოიცა წიგნი „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი IV“, რომელიც მოიცავს 12 ქვეყნის: ალბანეთის, ბელგიის, ბულგარეთის, ინდოეთის, ისლანდიის, მაკედონიის, მექსიკის, მოლდაველეთის, მონაკოს, ყირგიზეთის, შვედეთის კონსტიტუციებს და დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს კონსტიტუციურ აქტებს.

– 2007 წელს გამოიცა წიგნი „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი V“, რომელიც მოიცავს 12 ქვეყნის: ბრაზილიის, ვატიკანის, ირლანდიის, იტალიის, კვიპროსის, ლიხტენშტეინის, ნიდერლანდის, პორტუგალიის, სერბეთის, სლოვაკეთის, სლოვენიის, ტაჯიკეთის კონსტიტუციურ აქტებს.

ეს წიგნი არის ამ სერიის I ნაწილის მეორე – განახლებული გამოცემა.

უახლოეს მომავალში იგეგმება ვასილ გონაშვილის მონოგრაფიის „პარლამენტის წევრის სტატუსი საზღვარგარეთის ქვეყნებსა და საქართველოში“ გამოცემა.

კავშირის „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“ შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ კავშირის ვებ-გვერდზე, მისამართზე: **WWW.LRL.ORG.GE**